ოთარ ლორთქიფანიძე

ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

ოთარ ლორთქიფანიძე

ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2002

ეროვნული
ბიბლიოთეკა

УДК 902/904(479.22)

ლ852

წიგნში ძველი ქართული, ბერძნულ-რომაული, ბიზანტიური წერილობითი წყაროებისა და მრავალფეროვანი არქეოლოგიური ძეგლების საფუძველზე განხილულია საქართველოს მიწა-წყალზე ადამიანის თავდაპირველი განსახლება, მიწათმოქმედების წარმოშობა, ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის განვითარება, ურბანისტული ცივილიზაციის წარმოქმნა, პირველი ქართული სახელმწიფოების - კოლხეთისა და იბერიის სულიერი და ნივთიერი კულტურა (რელიგია, ხუროთმოძღვრება, ტორევტიკა და ოქრომჭედლობა). წიგნი ილუსტრირებულია.

განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი დარეჯან კაჭარავა,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გურამ კვირკველია

რეცენზენტები: აკადემიკოსი ო. ჯაფარიძე
პროფესორი გ. გრიგოლია

ე 55765
4

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002

ლ 0504000000
608(06)-02
ESBN 99928-931-3-3

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

წინათქმა 5

შესავალი

1. ქვეყანა 8
2. ქართველები – მათი წარმომავლობისა და ეთნო-ლინგვისტური ისტორიის პრობლემები 11
3. წყაროები:
   ა) წერილობითი წყაროები
      1. ქართული წყაროები 20
      2. უცხოური წყაროები 26
   ბ) ტოპონიმიის, ონომასტიკის და ენობრივი მონაცემები 30
   გ) ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და მითოლოგიური მონაცემები 31
   დ) არქეოლოგიური წყაროები 32
4. მოკლე ისტორიოგრაფიული მიმოხილვა 34

კარი I. ისტორიის დასაწყისი: ქვიდან ლითონამდე

1. ძველი ქვის ხანის ადამიანები 36
2. ნეოლითური რევოლუცია: პირველი მესაქონლენი და მიწათმოქმედნი 50

კარი. II. საქართველო ადრეული ლითონების ეპოქაში

1. მეტალურგიის დასაწყისი: „მტკვარ-არაქსის კულტურა“ 68
2. დიდი ყორღანების საუნჯე (თრიალეთური კულტურა) 83
3. რკინის მეტალურგიის ათვისების გზაზე (აღმოსავლეთ საქართველო გვიანბრინჯაო – ადრერკინის ხანაში) 102

კარი III. „ოქრომრავალი კოლხეთი“ (მითი და რეალობა)

1. წინასიტყვაობის მაგიერ 124
2. მოკლედ წინარე ისტორიის შესახებ 125
3. კოლხური ბრინჯაოს კულტურა 127
4. თქმულება არგონავტებზე და აია//კოლხეთი 140
5. კოლხეთი და მისი კულტურა ძვ.წ. VII-IV სს-ში 153
6. კოლხეთის ურთიერთობანი ბერძნულ სამყაროსთან ძვ.წ. VIII-IV სს-ში 184
7. ინოვაციები კოლხეთის მატერიალურ კულტურაში ძვ.წ. IV-III სს-ში 209
8. ტაძრების ქალაქი 215

კარი IV. კავკასიის იბერია

1. „ურბანისტული აფეთქება“ 241
2. ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა 248
3. რომის ექსპანსია აღმოსავლეთში და ძველი საქართველო (იბერია, ლაზიკა-ეგრისი) 259
4. ქართლის (იბერიის) სამეფო ახ.წ. პირველ საუკუნეებში 267

ბიბლიოგრაფია

პერიოდული და სერიული გამოცემები, კრებულები 284

შესავლისათვის

1. ქვეყანა 286
2. ქართველები: მათი წარმომავლობისა და ეთნო-ლინგვისტური კუთვნილების საკითხები 287
3. წყაროები, წყაროთმცოდნეობითი და პალეოგრაფიული გამოკვლევები
ა) ქართული ანბანის შესახებ 289
ბ) ქართული წყაროები 289
გ) ეპიგრაფიკული ძეგლები 290
დ) უცხოური წყაროები 291
ე) ეთნონიმიკა, ტოპონიმიკა და ონომასტიკა 292
ვ) ეთნოგრაფია 292
ზ) ფოლკლორი და მითოლოგია 293
თ) არქეოლოგიური კვლევა-ძიების ისტორია 294
4. ისტორიოგრაფიისათვის 295

კარი I. ქვის ხანა

1. ძველი ქვის ხანა (იხ. აგრეთვე [39], 1) 296
2. ნეოლითი-ენეოლითი 300

კარი II. ადრეული ლითონების ეპოქა

1. ადრებრინჯაოს კულტურა (მტკვარ-არაქსი) 304
2. ფორღანული კულტურა 306
3. აღმოსავლეთ საქართველო გვიანბრინჯაო – ადრერკინის ხანაში 309

კარი III. კოლხეთი

1. კოლხეთი ძ.წ. II-I ათასწლეულებში 313
2. კოლხეთი (დასავლეთ საქართველო) რომაულ ხანაში (ახ.წ. I-III სს.) 327

კარი IV. იბერია (ქართლის სამეფო) 328

საძიებლები

ა) გეოგრაფიულ სახელთა 334
ბ) საკუთარ სახელთა 339

უწინარეს მინდა მკითხველს განვუმარტო, თუ რატომ შევარქვი ამ წიგნს „ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან“.

„ცივილიზაცია“ ნაწარმოებია ლათინური სიტყვიდან „ცივილის“, რაც ნიშნავს „სამოქალაქო“, „საზოგადოებრივი“, „სახელმწიფოებრივი“. ტერმინი „ცივილიზაცია“ საისტორიო, ფილოსოფიურ, მხატვრულ-კულტურულ თუ პოლიტიკურ ლიტერატურაში უკვე XVIII საუკუნის მიწურულიდან მკვიდრდება (ამ ტერმინის შემოქმედად ითვლება შოტლანდიელი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი ადამ ფერგიუსენი, რომელიც 1723-1816 წწ. ცხოვრობდა).

უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე ეს ტერმინი არაერთგზისაა გამოყენებული და მეტწილად სულ სხვადასხვა მნიშვნელობით. ამიტომაც დღეს ჯერ კიდევ არაა შემუშავებული ერთიანი და საყოველთაოდ მიღებული განმარტება. ზუსტად (განსაკუთრებით არასპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში) ერთმანეთთან აიგივებენ ორ ცნებას – „კულტურა“ და „ცივილიზაცია“, რაც აშკარად მიუღებელია: კულტურა უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე ცივილიზაცია. შინაარსობრივად ცივილიზაცია უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე კულტურა. კულტურა ადამიანთა საზოგადოების წარმოქმნიდანვე იწყებს თავის არსებობას, ცივილიზაცია კი – მხოლოდ ქალაქებსა და სახელმწიფოს გაჩენის შემდეგ. კულტურა ადამიანის ყოველდღიური და მიზანსწრაფული საქმიანობის გამოვლინებაა და მისი შედეგი. კულტურა მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა ერთობლიობაა, ადამიანი რომ ქმნიდა დღიდან მისი გაჩენის. ცივილიზაცია კი მსოფლიო-ისტორიული პროცესის ერთ გარკვეულ ეტაპზე წარმოქმნილი საზოგადოებაა, ან როგორც მას უწოდებენ – სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ორგანიზმია. ამიტომაცაა ცივილიზაცია უფრო ფართო ცნება: იგი მოიცავს როგორც სოციალურ-ეკონომიკურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ასევე კულტურულ სტრუქტურებს. ზოგიერთი მკვლევარი იმასაც კი ცდილობს, რომ ერთმანეთთან გააიგივოს „საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისა“ და „ცივილიზაციის“ ცნებები. მაგრამ საკმაოდ თვალსაჩინოა, რომ „ცივილიზაცია“ ხასიათდება მრავალი ისეთი ელემენტით, რომელიც ვერ თავსდება ერთი გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის ფარგლებში, განსაკუთრებით მატერიალური და სულიერი კულტურის ასპექტში. ისინი მემკვიდრეობით გადაეცემა ერთი ეპოქიდან მეორეს და ა.შ. ასეთებია, მაგალითად, ეროვნული ცივილიზაციების ისეთი არსებითი ელემენტები, როგორიცაა ენა, ეროვნული თვითშეგნება.

როდის გაჩნდა „ქართული ცივილიზაცია“? ამ კითხვაზე პასუხისათვის აუცილებელია ვეცდეთ „ცივილიზაციის“ დამახასიათებელი ნიშან-თვისებანი.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში „ცივილიზაციის“ განმსაზღვრელი კრიტერიუმებისა და დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა შესახებ მრავალი შეხედულებაა გამოთქმული. მათგან ყველაზე უფრო სრული და ყოვლის-მომცველია გამოჩენილი ინგლისელი არქეოლოგის გორდონ ჩაილდის მიერ შემუშავებული სქემა, რომლის თანახმად, „ცივილიზაციას“ ათი არსებითი ნიშანი უნდა ახასიათებდეს: სახელმწიფო ორგანიზაცია, პრივილეგირებული კლასისა თუ კლასების არსებობა, გადასახადების სისტემა და რეგულარული ხარკის მიღებით დაგროვილი ცენტრალიზებული სიმდიდრე, ეკონომიკის განვითარების გარკვეული დონე და სავაჭრო ურთიერთობათა განვითარება, პროფესიონალ ხელოსან-სპეციალისტთა გამოყოფა, დამწერლობა, მეცნიერების საწყისები (არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია).

გორდონ ჩაილდის დებულებები ცივილიზაციის, როგორც სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული სისტემის, განმსაზღვრელი ნიშნების შესახებ, არსებითად აღიარებულია ძველი საზოგადოებების მკვლევართა შორის, თუმც, ბუნებრივია, ზოგიერთი მეცნიერი საკუთარ რეცენზიასაც გვთავაზობს და უფრო კონკრეტულადაც განსაზღვრავს ცივილიზაციის არსს. ასე, მაგალითად, ჩინეთის ძველი კულტურის ისტორიის ცნობილი სპეციალისტი ვ. ებერჰარდი ცივილიზაციის განმსაზღვრელ და აუცილებელ ელემენტებად მიიჩნევს სტრატიფიცირებულ (ე.ი. სოციალურად დიფერენცირებულ) საზოგადოებასა და სახელმწიფო ორგანიზაციას; მარცვლეული კულტურების მოყვანაზე აქცენტირებულ მიწათმოქმედებასა და მოშინაურებული საქონლის გამოყენებას; საქალაქო ცენტრების (თუნდაც ერთის) და, შესაბამისად, ქალაქური ტიპის არქიტექტურის არსებობას, ლითონების გამოყენებას, დამწერლობასა და სახელმწიფო აღრიცხვიანობას.

მიუხედავად თითქოსდა ერთგვარი განსხვავებისა, ზემოთმოტანილ ორ (და კიდევ სხვა მრავალ) თვალსაზრისს აქვს ერთი რამ საერთო: ტერმინი „ცივილიზაცია“ შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ ისეთი საზოგადოების მიმართ, რომელიც უკვე გამოვიდა პირველყოფილი თემური წყობილების სტადიიდან (ფორმაციიდან) და შექმნა სახელმწიფო ორგანიზაცია, სადაც ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტად დამწერლობის არსებობაა აღიარებული.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, დასახელებული ნიშნების ამა თუ იმ საზოგადოებაში ფიქსირების საფუძველზე, განსაზღვრულია ცივილიზაციის ე.წ. პირველადი კერები (ან როგორც ზოგჯერ მათ უწოდებენ „პირველადი ცივილიზაციები“). ცივილიზაციის

პირვანდელ კერებად მიჩნეულია ის რეგიონები, სადაც პირველად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გაჩნდა პირველი ცივილიზაციები. მეცნიერთა უმრავლესობა ცივილიზაციის პირვანდელ კერებად აღიარებს ეგვიპტურ-მესოპოტამიურ, ჩინურ, ინდურ, მაიას თუ სხვა სახელმწიფოებრიობას. „პირვანდელი ცივილიზაციების“ შემდგომ ჩნდებიან ე.წ. „მეორადი ცივილიზაციები“. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს უკვე კონკრეტულ რეგიონულ და ეროვნულ კერებთან, ე.ი. ისეთ ცივილიზაციებთან, რომელნიც ვითარდებიან ერთ გარკვეულ ტერიტორიაზე და უკავშირდებიან გარკვეულ ეთნოსს, რომელსაც წამყვანი პოლიტიკური მდგომარეობა უკავია.

ნებისმიერი ეროვნული ცივილიზაცია, პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ როგორც რთული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურულ-იდეოლოგიური სისტემა, რომელიც უკვე იცნობს ექსპლოატაციისა და ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ორგანიზაციის საწყის ფორმებს. მასთან ერთად, ეროვნული ცივილიზაციის ერთ-ერთ არსებით კომპონენტად წარმოგვიდგება ენა. ბუნებრივია, ასეთი სახის რთული კომპლექსი ერთბაშად ვერ შეიქმნება. მას წინ უსწრებს მრავალათასწლოვანი განვითარება, რომელიც ქმნის ცივილიზაციის მყარ საფუძველს. თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ ადამიანთა საზოგადოების განვითარებას დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე (რაც ამ წიგნის უმთავრესი მიზანია), თვალნათლივ დავინახავთ ცივილიზაციის ცალკეული ელემენტების თანდათანობით გაჩენას მრავალათასწლოვანი ისტორიის ცალკეულ ეტაპზე. ამავე დროს შეგვიძლია ვილაპარაკოთ დასავლურ-ქართველ ტომთა – კოლხთა ცივილიზაციაზეც ძვ.წ. VIII საუკუნიდან. მაგრამ ერთიანი ქართული ცივილიზაციის წარმოქმნა უფრო გვიან დამთავრდა, მაშინ, როდესაც შეიქმნა ქართული სახელმწიფო ქართული ენით, საერთო ქართული კულტურითა და ეროვნული თვითშეგნებით. ბუნებრივი იქნებოდა, ასეთი თვალსაზრისით ქართულ ცივილიზაციად, ქრისტიანობის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ განვითარებული ქართული სახელმწიფოებრიობა მიგვეჩნია. მაგრამ იქნებ მაინც გვეფიქრა, რომ ქართლის პირველი მეფის ფარნავაზის მიერ ძვ.წ. III ს-ში შექმნილი სახელმწიფოებრიობა უკვე იყო დასაწყისი ქართული ცივილიზაციისა. საშუალო საუკუნეების ოფიციალური ქართული ისტორიოგრაფიაც (“ქართლის ცხოვრება“) ხომ სწორედ ფარნავაზ მეფეს მიაწერს პირველი ქართული სახელმწიფოს შექმნას ქართული ენითა და დამწერლობით, სახელმწიფო-სამოხელეო აპარატითა და საგადასახადო სისტემით! ე.ი. აქ თითქოს ფიქსირდება ყველა ის ნიშანი, რომელსაც თანამედროვე მეცნიერება ცივილიზაციის განმსაზღვრელად მიიჩნევს. ეს საკითხები უთუოდ საკისკუსიოა. ამიტომაც დავარქვი ამ წიგნს „ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან“ და მიზნად დავისახე მეჩვენებინა საქართველოს მიწა-წყალზე ადამიანთა საზოგადოებისა და მისი კულტურის მრავალათასწლოვანი განვითარება, რომელმაც მყარი საფუძველი შეამზადა ქართული ცივილიზაციის შესაქმნელად.

განსათვალისწინებელია სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებული დებულება იმის თაობაზე, რომ თითოეული ეროვნული ცივილიზაცია უნიკალური და განუმეორებელი ფენომენია, აქვს განვითარების საკუთარი გზა, სპეციფიკა და კანონზომიერებანი. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ცალკეული ნიშანი კი არაა განმსაზღვრელი, არამედ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა ქმნის ეროვნული ცივილიზაციის იმ სისტემას, რომელიც განსხვავდება სხვა ცივილიზაციისაგან. უდიდესი შეცდომა იქნებოდა ქართული ცივილიზაციის ჩამოყალიბება წარმოგვედგინა როგორც კონვერგენტული პროცესი, ე.ი. ისეთი, რაც ყველა დიდი სოციალურ-პოლიტიკური ძვრა და კულტურული აღმოჩენა (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ლიითონის დამუშავება, სახელოვნო, საქალაქო კულტურა, დამწერლობა) სხვისგან დამოუკიდებლად და ყოველგვარი უცხო გავლენის გარეშე შეიქმნა. ისტორიამ იცის, რა თქმა უნდა, კონვერგენტული განვითარების შემთხვევები, მაგრამ ისიც კარგადაა ცნობილი, რომ იზოლირებული საზოგადოებანი აღმავალი გზით კი არ ვითარდებიან, არამედ რჩებიან პრიმიტიულ დონეზე ან ქრებიან საერთოდ. ყოველი საახლის სწრაფად ათვისება და მისი საკუთარ, ორგანულ ნაწილად ქცევა პროგრესის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა!

ძველი სამყაროს ისტორიისა და კულტურის მკვლევარები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ზოგჯერ არსებითია არა იმის ძიება, თუ საიდან გაჩნდა ესა თუ ის კულტურულ-ტექნიკური სიახლე, იდეა ამა თუ იმ ეთნო-კულტურულ სისტემაში, არამედ მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რა სპეციფიკური ფორმა მიიღო მან. მაგალითად, მართლაც რომ შეუძლებელი იქნებოდა იმის დადგენა, თუ საიდან და ვისი გავლენით შეიძინეს ძველმა ქართველმა ტომებმა ლითონის დამუშავების ტექნიკის ცოდნა. მაგრამ ფაქტია, რომ უკვე ძვ.წ. III-II ათასწლეულებში მიაღწიეს ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების უმაღლეს დონეს და შექმნეს ლიითონის ნაკეთობათა უაღრესად თავისებური და სპეციფიკური სტილი.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ასეთი ცნება (დ. სტრიადის მიერ შემოთავაზებული) – „ცივილიზაციის ბირთვი“ ან „უნიკალური ბირთვი“. ესაა ის არსებითი და განმსაზღვრელი ელემენტი, რომელიც თავის ორგანოვ იკრებს სხვა ახალშექმნილ ელემენტებს და მათთან ურთიერთკავშირში ქმნის იმ თავისებურსა და თავისი იერსახით განუმეორებელ თვითმყოფად სისტემას, რომელსაც

ცივილიზაცია ეწოდება. ერთ-ერთი ასეთი სისტემათაგანია ქართული ცივილიზაციაც, რომელიც დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე საზოგადოების მრავალათასწლოვანი განვითარების შედეგია. აქვე ვხედავთ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ტომთა მიგრაციებს, კულტურული ელემენტების დიფუზიას და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში კონვერგენტულ განვითარებას. ეს განვითარება გარე სამყაროსგან იზოლირებულად კი არ მიმდინარეობდა, არამედ მასთან მჭიდრო კავშირისა და ცხოველი კონტაქტების გზით. ამიტომაცაა ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარება თანადროული სამყაროს მსოფლიო-ისტორიული პროცესის ორგანული და შემადგენელი ნაწილი. ქართული ცივილიზაცია ამ პროცესის პირმშოა.



სურ. 1. საქართველოს ისტორიული პროვინციები:

I. ქვემო ქართლი, II. ჯავახეთი, III. მესხეთი, IV. თორი, V. თრიალეთი, VI. კახეთი, VII. ერწო-თიანეთი, VIII. ფშავი. IX. თუშეთი, X. ხევსურეთი, XI. მთიულეთი, XII. ხევი, XIII. შიდა ქართლი, XIV. იმერეთი, XV. გურია, XVI. აჭარა, XVII. სამეგრელო, XVIII. რაჭა, XIX. ლეჩხუმი, XX. სვანეთი, XXI. აფხაზეთი.

1. ქვეყანა

დღევანდელი საქართველო ამერკავკასიის დასავლეთსა და ცენტრალურ ნაწილშია განლაგებული. დასავლეთით მას შავი ზღვის სანაპირო საზღვრავს, ჩრდილოეთით, კავკასიონის ქედი, აღმოსავლეთით – მდ. მტკვრის თათაშორისი ჩადაბლება (მეზობელი აზერბაიჯანის კასპიისპირეთის დაბლობში რომ გადადის), ხოლო სამხრეთით სახელმწიფო საზღვარი მიჰყვება მცირე კავკასიონის მთისწინეთს, დღევანდელი სომხეთის და თურქეთის გაყოლებით. რა თქმა უნდა, საქართველოსა და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ეს საზღვრები მუდმივი და უცვლელი როდი იყო, განსაკუთრებით ქართველ ტომთა და საეროდ, ქართული ეთნოსის წარმოქმნისა და განვითარების ადრეულ ეტაპებზე. შემდგომშიც საქართველოს ტერიტორია პოლიტიკური კატაკლიზმების გამო ხშირად იცვლებოდა – ხან მცირდებოდა, ზოგჯერ ფართოვდებოდა და შორს სცილდებოდა ძველქართველურ ტომთა განსახლების თავდაპირველ არეალს. ... და მაინც, უკვე ჩამოყალიბებული ქართული ეთნოსის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების რთული პროცესი მიმდინარეობდა ძირითადად დღევანდელი საქართველოს მიწა-წყალზე: დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, მცირე კავკასიონის ორსავე მხარეს, შავი ზღვის სანაპიროზე, მთისწინეთსა და ორი წყალუხვი მდინარის – რიონისა და მტკვრის ნაყოფიერ ველებზე. ამგვარმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, რომელიც მოქცეულია ალპურ ნაოჭა სარტყელში (რთული გეოლოგიური აგებულებით, დედამიწის ქერქის მობილურობითა და ნეოტექტონიკურ ძვრათა აქტიურობით რომ ხასიათდება), აგრეთვე ცირკულაციურმა პროცესებმა და სხვა ფაქტორებმა განაპირობეს რელიეფისა და, საერთოდ, ბუნების არაჩვეულებრივი მრავალფეროვნება. საქართველოს რელიეფის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა მაღალმთიანეთისა და შედარებით დაბალმთიანეთის, მთისწინეთისა და ზეგნის, დაბლობისა და ვაკის ურთიერთშეთანხმება და მონაცვლეობა.

დიდი კავკასიონის მძლავრი თხემი თითქმის 1000 მ-ით სცილდება მუდმივი თოვლის ხაზს. მრავალრიცხოვანი უღელტეხილები და ზვაკრები, მრავალი ათასი წლის წინ რომ გაუკვალავს ადამიანს სავალ ბილიკებად, ზოგჯერ ზღვის დონიდან 2400-3000 მ სიმაღლეზეც კი გვხვდება. მყინვარების ციცაბო და ფრიალო ფერდობები მუდმივად ასაზრდოებენ წყალით იმ მრავალრიცხოვან ნაკადებს, მთის სწრაფ მდინარეებს რომ ერთვიან. სწორედ დიდი თუ მცირე მდინარის ხეობებში, მეტწილად კი მთის კალთებზე (ხოლო იშვიათად მცირე ქვაბურებსა და პლატოსმაგვარ წყალგამყოფებზე), გაფანტულია ადამიანის დასახლებისა და სამეურნეო საქმიანობისათვის ვარგისი მცირე მიწები.

შესანიშნავი საძოვრების სიმრავლე, ხშირი ტყეები (საშენი მასალის, სათბობ-საწვავის, ადამიანისა და პირუტყვის საკვების მომცემი), ლითონდამუშავებისათვის აუცილებელი მადნეულით სიმდიდრე უძველესი დროიდან იზიდავდა ადამიანს საქართველოს მთიანი ოლქების ასათვისებლად. დიდი კავკასიონის მთიანეთში ადამიანთა მუდმივ სამოსახლოთა ზედა საზღვარი ამჟამად დაახლოებით 2600 მ-ის სიმაღლეზე გადის. კიდევ უფრო მაღლა კი გვხვდება მხოლოდ დროებითი სეზონური საზაფხულო სადგომები, მეტწილად მესაქონლეებისა.

მცირე კავკასიონის მთები კი, მიუხედავად საკმაოდ დიდი სიმაღლისა (თუმც დიდი კავკასიონის მწვერვალებს ვერ გაუტოლდებიან), გამოირჩევიან იმით, რომ აქ ადარ გვხვდება არც მყინვარები და არც მუდმივი თოვლით დაფარული სივრცეები. ზაფხულობით აქ თოვლი სწრაფად დნება, ხელს უწყობს სუბალპური და ალპური მდელოების ნოყიერი ბალახეული საფარის სწრაფ ზრდას, რასაც ფართოდ იყენებდა ადამიანი პირუტყვის საძოვრად და მესაქონლეობის განვითარებლად. მცირე კავკასიონის მთებიც ძალზე მდიდარია ტყეებით და მრავალფეროვნი მადნეულით.

დიდსა და მცირე კავკასიონს შორის მოქცეულ მთისწინეთსა და ვაკე-დაბლობებში განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები იყო ადამიანის დასახლებისა და მრავალდარგოვანი ბინადარი მეურნეობის განვითარებისათვის.

საქართველოს მთათაშორისი დაბლობები ორ ძირითად ოლქად იყოფა: დასავლეთი – კოლხეთის დაბლობი და აღმოსავლეთი – მდ. მტკვრის ხეობა.

კოლხეთის დაბლობი წარმოადგენს ერთგვარ სამკუთხედს, რომელიც მთლიანად მოიცავს ზღვის სანაპიროსა და მისგან დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მდ. რიონის ქვემო და შუა წელის გასწვრივ დაახლოებით 100 კმ-ის მანძილზე გაჭიმულ ვაკეს. კოლხეთის დაბლობი დაფარულია რამდენიმე ასეული ათასი წლის მანძილზე დაგროვილი მდინარეული ნალექებით. მისი აბსოლუტური ნიშნულები არ აღემატება 20 მ-ს ზღვის დონიდან. კოლხეთის დაბლობზე მდინარეების უხვი ქსელია და ყველანი შავ ზღვას ერთვიან. მათგან უმთავრესი მდინარეებია კოლორი, ენგური და რიონი, რომლებიც სათავეს დიდი კავკასიონის მთიდან იღებენ, და ჭოროხი, რომელიც მცირე კავკასიონიდან მოედინება.

კოლხეთის დაბლობს აღმოსავლეთით საზღვრავს დიდსა და მცირე კავკასიონს შორის მოქცეული მთის ყელი, რომელსაც იმერეთის მაღლობს უწოდებენ. მისი ყველაზე უფრო მაღალი

ნაწილია სურამის ქედი, რომელიც საქართველოს ორ ძირითად ფიზიკურ-გეოგრაფიულ ოლქად ყოფს – დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოდ, რაც არსებითად შეესატყვისება ძველი საქართველოს ორ ძირითად ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონს, რომელსაც ძველი ბერძენი და რომაელი ავტორები შესაბამისად კოლხეთსა და იბერიას უწოდებდნენ.

სურამის ქედის აღმოსავლეთით მდებარეობს მთებს შორის მოქცეული დაბლობი – მდ. მტკვრის ხეობა, რომლის შემადგენელ ნაწილთა შორის გამოირჩევა ვრცელი და უადრესად ნაყოფიერი შიდა ქართლის, ანუ ტირიფონ-მუხრანის ველი, იავრის ზეგანი და ალაზნის ველი.

რელიეფის მრავალფეროვნება განსაზღვრავს საქართველოს კლიმატის საერთო თავისებურებებსა და არაჩვეულებრივ მრავალფეროვნებას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანთა საზოგადოებისათვის უძველესი დროიდან – კაცობრიობის ისტორიის საწყისი ეტაპებიდან. საქართველოს მიწა-წყალზე წარმოდგენილია მრავალგვარი კლიმატური ზონები. სუბტროპიკული (აგროკლიმატური თვალსაზრისით) კლიმატი კოლხეთში ვრცელდება ზღვის დონიდან 500-600 მ-მდე. უფრო მაღლა კი იწყება ტენიანი ზომიერი კლიმატის ზონა, რომელსაც 1000 მ სიმაღლიდან ენაცვლება ზომიერად ცივი კლიმატის, ხოლო შემდეგ, ტყის მცენარეული ზოლის ზემოთ (ზღვის დონიდან დაახლოებით 2000-2200 მ-ზე) იწყება ე.წ. ცივი ალპური კლიმატის ზონა და ა.შ. ვიდრე მუდმივ თოვლიან მთებამდე და მყინვარებამდე. ამრიგად, საქართველოში სულ სხვადასხვა კლიმატური ზონებია წარმოდგენილი – ტენიანი სუბტროპიკულიდან მოკიდებული მყინვარებით დამთავრებული. მთლიანად კი, გეოგრაფიულად შედარებით დაბალ განედებზე განლაგების და საერთოდ საშუალო ღრუბლიანობის წყალობით, საქართველო იღებს სითბოს საკმაოდ დიდ რაოდენობას: მზიანობა საშუალოდ წლიურად 1350-2520 საათით განისაზღვრება.

ძირითადად სუბტროპიკულ ზონაში განლაგებულ საქართველოს, მზის რადიაციის რეჟიმის მიხედვით, ჩვეულებრივ ორ ცირკულაციურ კლიმატურ ოლქად და ერთ ქვეოლქად ყოფენ: 1. დასავლეთ საქართველო – ზღვის ტენიანი სუბტროპიკული კლიმატის მხარე. მისი ვაკე ნაწილი ძირითადად გამოირჩევა რბილი ზამთრით, შედარებით გრილი ზაფხულით, ტემპერატურის ზომიერი ამპლიტუდით, უხვი ნალექებით. 2. აღმოსავლეთ საქართველო – ზომიერი ტენიანი კონტინენტური კლიმატით; გამოირჩევა შედარებით (დასავლეთით) უფრო ცივი ზამთრითა და ჰაერის ტემპერატურის უფრო დიდი ამპლიტუდით. ნალექები შედარებით მცირეა, ტენიანობა – დაბალი. 2 ა) სამხრეთ საქართველოს ვულკანური ზეგანი – ხასიათდება მშრალი კონტინენტური-რიგან ზომიერად ტენიანზე გარდამავალი კლიმატით. ზაფხული აქ ცხელია, ზამთარი – ცივი. ატმოსფერული ნალექები – შედარებით მცირე.

საქართველო განსაკუთრებით მდიდარია მდინარეებით, რომელთა რაოდენობა 25 ათასით (!) აღირიცხება. შავი ზღვის აუზის მდინარეთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია (სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ) ჭოროხი (და მისი შენაკადი აჭარისწყალი), კინტრიში, ნატანები, სუფსა, რიონი თავისი შენაკადებით (ყვირილა, ცხენისწყალი, ტეხურა, ხანისწყალი, სულორი და სხვ.), ხობი, ენგური, კოდორი, ბზიფი და სხვ. კასპიის ზღვის აუზის მდინარეთაგან საქართველოს მიწა-წყალზე მიედინება მტკვარი (სათავეს თურქეთში, ყიზილ-გიაღუკის მთის აღმოსავლეთ კალთებზე იღებს) თავისი მრავალრიცხოვანი შენაკადებით (ლიახვი, ქსანი, არაგვი, იორი, ალაზანი, ალგეთი, ქცია და სხვ.). აღსანიშნავია, რომ ზემოთ დასახელებული მდინარეების უმრავლესობა ცნობილი იყო ჯერ კიდევ ბერძნულ-რომაულ სამყაროში და მათ არაერთი ბერძენი და რომაელი ავტორი იხსენიებს (სურ. 2).

მთის მდინარეებისა და ნაკადულების არაჩვეულებრივი სიმრავლე უდიდეს როლს ასრულებდა ძველი საქართველოს სამეურნეო ყოფაში, განსაკუთრებით კი მიწათმოქმედების ინტენსიური განვითარებაში. უნდა აღინიშნოს, რომ აქ, ჩვენს ქვეყანაში, არ იყო აუცილებელი ისეთი დიდი საირიგაციო სისტემების მშენებლობა, როგორიც ცნობილია ძველ აღმოსავლეთში (მაგ., ეგვიპტესა თუ ბაბილონში), და რომელიც ქმნიდა საფუძველს სახელმწიფო ექსპლუატაციის თავისებური ფორმების გაჩენისათვის.

მდინარეები ძველ საქართველოში სავაჭრო მაგისტრალების როლსაც ასრულებდნენ. იმავდროს, სწრაფი დინების გამო, მდინარეებს ხშირად იყენებდნენ ტრანსპორტირებისათვის, მაგალითად, საშენი ხე-ტყისა, რომლითაც ძველ სამყაროში ფართოდ იყო ცნობილი საქართველო, განსაკუთრებით კი ძველი კოლხეთი.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბუნებამ უხვად დაუჯილდოვა საქართველო ნაყოფიერი მიწებით, ბარაქიანი ველებით, მაღალმთიანი საძოვრებით, მრავალფეროვანი ფრინველითა და ნადირით სავსე ტყეებით, წყალუხვი და თევზსავსე ტბებითა და მდინარეებით. საქართველო მდიდარია სხვადასხვაგვარი მინერალური რესურსებითაც, მათ შორის, სასარგებლო წიაღისეული მადნეული (თუმც ახლა ყოველთვის როდია შესაძლებელი ზუსტად დადგენა იმისა, თუ კონკრეტულად რომელი საბადო მუშავდებოდა და რა მოიპოვებოდა ძველად). ერთი რამ მაინც უცილობელია: დიდი და მცირე კავკასიონის მთებში საკმაოდ აღრეული ხანიდან დაიწყო სპილენძის მოპოვება, რამაც ძალზე დიდი როლი შეასრულა სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარებაში, რომელმაც ძველ საქართველოში უმაღლეს დონეს მიაღწია; ასევეა რკინის მეტალურგიაც, რომელმაც რევოლუციური როლი შეასრულა კაცობრიობის ისტორიაში. მას ასაზ-

რდოებდა ადგილობრივი ნედლეული, ასე მრავლად რომ მოიპოვებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წიაღისეული მადნისა თუ შავი ზღვის სანაპირო ზოლში მაგნეტიტური ქვიშების სახით. ბერძენ-რომაელი მწერლები მოგვითხრობენ აგრეთვე ძველი კოლხეთის სიმდიდრეზე ოქროთი და ოქროს შემცველი მდინარეების შესახებ.

ასეთია ძირითადად ის ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო,[1] რომელშიც უკვე მრავალი ათასი წლის მანძილზე მიმდინარეობს ქართული ეთნოსის განვითარება.

საქართველოს თავისებურმა გეოგრაფიულმა გარემომ, განსაკუთრებით კი რელიეფის ხასიათმა და კლიმატურმა პირობებმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრეს მთლიანად ძველი საქართველოსა და მისი ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა და ეკონომიკური სტრუქტურა



სურ. 2. საქართველოს მდინარეები, რომელნიც მოხსენიებულია ძველბერძნულ წყაროებში სხვადასხვა სახელდებით ([321ა], [1353], [1320]). 1. ჭოროხი – აბასროსი (ფსევდო-სკილაქსი, 81); ჰარპასოსი (ქსენოფონტე, ანაბასისი, IV, 7, 18); აკამფისი (არიანე, პერიპლუსი, 7). 2. ყოროლის წყალი – ბათისი (არიანე, პერიპლუსი, 7). 3. კინტრიში – „ლესტონ პოტამოს“ ანუ „ყაჩაღთა მდინარე“ (ფსევდო-სკილაქსი, 81), აკინასე (არიანე, პერიპლუსი, 7). 4. ნატანები – ისისი (ფსევდო-სკილაქსი, 81; არიანე, პერიპლუსი, 7). 5. სუფსა – მოგროსი (არიანე, პერიპლუსი, 7). 6. რიონი – ფასისი (არისტოტელე, მეტეოროლოგია, 347 a-b). 6ა. რიონის ზედა წელი – რისი ? (ფსევდო-სკილაქსი, 81), გლავკოსი ? (სტრაბონი, XI, 2, 17). 6ბ. რიონის ქვემო და შუა წელი, მდ. ყვირილა – ფასისი (პეროდოტე, I, 2; I, 104; II, 103; IV, 37; ჰიპოკრატე, ჰაერთა..., 15; ფსევდო-სკილაქსი, 81; სტრაბონი, XI, 2, 16-17; XI, 3, 4; კლავდიოს პტოლემაიოსი, გეოგრაფიული სახელმძღვანელო, V, IX, 2), დიონ კასიუსი, რომის ისტორია, XXXVI, 50; XXXVII, 3). 7. ხობი – არიოსი (ფსევდო-სკილაქსი, 81), ხარიუსტოსი (კლავდიოს პტოლემაიოსი, გეოგრაფიული სახელმძღვანელო, V, IX, 2), ქარიეისი/ქარიენტი (არიანე, პერიპლუსი, 10). 8. ენგური – ქორსოსი (ფსევდო-სკილაქსი, 81), ხობოსი (არიანე, პერიპლუსი, 10). 9. ოქუმი (ერისწყალითურთ) – ქერობოსი (ფსევდო-სკილაქსი, 81), სინგამე (არიანე, პერიპლუსი, 10). 10. მოქვისწყალი – გიენოსი (ფსევდო-სკილაქსი, 81), კიანეოსი (კლავდიოს პტოლემაიოსი, გეოგრაფიული სახელმძღვანელო, V, IX, 2), ტარსურა (არიანე, პერიპლუსი, 10). 11. კოდორი – ჰიპოსი (არიანე, პერიპლუსი, 19; კლავდიოს პტოლემაიოსი, V, IX, 2). 12. კელასური – ქარესი (სტრაბონი, XI, 2, 18). 13. ბზიფი – კორაქსი (კლავდიოს პტოლემაიოსი, გეოგრაფიული სახელმძღვანელო, V, IX, 2); აბასკოსი (არიანე, პერიპლუსი, 18). 14. ტეხურა – გლავკოსი ? (სტრაბონი, XI, 2, 17; XI, 3, 4). 15. ცხენისწყალი – ჰიპპოსი (სტრაბონი, XI, 2, 17; XI, 3, 4). 16. მტკვარი – კიროსი (სტრაბონი, XI, 3, 1), კიროსი (სტრაბონი, I, 3, 21; XI, 1, 5; XI, 2, 17; XI, 3, 2; XI, 3, 5; XI, 7, 3; XI, 8, 9), კირნოსი (პლუტარქე, პომპეუსი, XXXIV; აპიანე, მითრიდატიკა, 103). 17. არაგვი – არაგოსი (სტრაბონი, XI, 3, 2; XI, 3, 5), პელორი (დიონ კასიუსი, რომის ისტორია, XXVII, 2). 18. ალაზანი – ალაზანიოსი (სტრაბონი, XI, 3, 2; XI, 3, 5), აბანტი (დიონ კასიუსი, რომის ისტორია, XXXVII, 3). 19. იორი – კამბისი (დიონ კასიუსი, რომის ისტორია, XXXVII, 3).

[1] იხ. „ბიბლიოგრაფია“ [121-139].

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. საქართველოს ეკონომიკური (და აგრეთვე სოციალ-პოლიტიკური და კულტურული) სტრუქტურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სპეციფიკური ნიშან-თვისება (გეოგრაფიული ფაქტორით განპირობებული) იყო ის, რომ უკვე ე.წ. ნეოლითური რევოლუციის დროიდან (ე.ი. მას შემდეგ, რაც ადამიანმა მწარმოებლური მეურნეობა შექმნა) მთა და ბარი ერთმანეთისაგან განცალკევებულ სამეურნეო ერთეულებს კი არ წარმოადგენდნენ, არამედ ერთი მთლიანი ორგანიზმის განუყოფელ და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ნაწილებს. მთისა და ბარის ეს ერთიანობა განსაზღვრავდა საქართველოსა და მისი ხალხის განვითარების ერთიან პროცესს მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მთელ გზაზე. ეს თვალსაზრისი ჩვენს ისტორიოგრაფიაში პირველად და მკაფიოდ გამოთქვა XVIII საუკუნის დიდმა ქართველმა მეცნიერმა – ისტორიკოსმა და გეოგრაფოსმა ვახუშტი ბაგრატიონმა. მან პირველმა მოგვცა საქართველოს დანაწევრება მთად და ბარად არა მხოლოდ წმინდა ფიზიკურ-გეოგრაფიული, არამედ სწორედ სამეურნეო (ე.ი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული) პრინციპით. ვახუშტი ბაგრატიონის კონცეფცია საქართველოს დაყოფისა მთად და ბარად, აკად. ივ. ჯავახიშვილის თქმით, „გეოგრაფიულ თვისებებთან ერთად, იმავე დროს ორ ბოტანიკურ და სასოფლო-სამეურნეო ზოლად გაყოფასაც გულისხმობდა. მთის ზოლის თვისებას, ამ მხრივ, უვენახობა, უხილობა და მარცვლეულობის მოსავლის სიმცირე წარმოადგენდა, ბარის ზოლისას კი სწორედ ვენახიანობა, ხილიანობა და „მოსავლიანობა“. საფიქრებელია, რომ ძველ ძეგლებშიც მთა და ბარი მარტო გეოგრაფიულად კი არა, არამედ ამნაირადვე მთისა და ბარის ზონებად და მეურნეობად უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი“ [428, გვ. 294].

თუმც მთისა და ბარის ურთიერთობის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონის კონცეფციაში სრულიად გასაგებია და ბუნებრივი, რომ არაა წარმოდგენილი ზოგიერთი განმსაზღვრელი, ანუ სისტემის შემქმნელი ელემენტი (მაგალითად, მესაქონლეობისა და მეტალურგიის როლი), მაინც მთავარი იდეა საქართველოს მთისა და ბარის სტრუქტურული ერთიანობის შესახებ უაღრესად მნიშვნელოვანია ძველი საქართველოს ისტორიული განვითარების ერთიანი პროცესის სწორად გასააზრებლად. აქვე უნდა დავძინო, რომ ვახუშტი ბაგრატიონის წყალობით ჩვენ ხელთ გვაქვს შესანიშნავი მეცნიერული აღწერილობანი საქართველოს ცალკეული ისტორიული პროვინციებისა და მის მიერ შექმნილი სრულიად უნიკალური ატლასი [253 და 253ა]. საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაში სწორი ორიენტაციისათვის მკითხველს ვთავაზობთ ცალკეული ისტორიული პროვინციების რუკას (სურ. 1), რომელთა სახელწოდებანი შემონახულია საშუალო საუკუნეების ქართულ წყაროებში და ასახულია ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში.

2. ქართველები – მათი წარმომავლობისა და ეთნო-ლინგვისტური ისტორიის პრობლემები

ამა თუ იმ ხალხის წარმოშობის საკითხი ყოველთვის იყო და არის საისტორიო და ლინგვისტურ მეცნიერებათა ერთ-ერთი ურთულესი პრობლემათაგანი. ბუნებრივია, იგივე ითქმის ქართველთა შესახებ, რომელთა წარმოშობის პრობლემებს უკვე მიეძღვნა საკმაოდ ვრცელი და მრავალრიცხოვანი საისტორიო, ლინგვისტური, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ანთროპოლოგიური ლიტერატურა (იხ. 140-225]. მათი დაწერილებითი მიმოხილვა ძალიან დიდ ადგილს დაიკავებდა და შორს წაგვიყვანდა (შდრ. [148-149], [420]). ამიტომ თავს უფლებას მივცემ შემოვიფარგლო მხოლოდ ძირითადი თეორიების მოკლე მოხსენიებით და თანამედროვე საბეცნიერო ლიტერატურაში განვითარებულ თვალსაზრისზე აქცენტირებით.

ქართველი, როგორც კარგადაა ცნობილი, ჩვენი ეროვნული თვითსახელწოდებაა. აქედანაა ნაწარმოები ჩვენი ქვეყნის სახელიც – საქართველო, რომელშიც გამოიყოფა პრეფიქსი „სა“ – ამ შემთხვევაში ქვეყნის აღმნიშვნელი; ე.ი. „საქართველო“ ნიშნავს „ქართველთა ქვეყანას“. ტერმინი „ქართველი“ უკვე უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში გვხვდება. ასე, მაგალითად, ჩვენი ეროვნული მატიანის – „ქართლის ცხოვრების“ – ერთ-ერთი უძველესი და საწყისი ნაწილი იწოდება ასე: „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ და ამ ნაწარმოების პირველსავე სტრიქონში მოხსენიებულნი არიან „ქართველნი“[2] [268, გვ. 3]. ტერმინი „საქართველო“ უფრო გვიან ჩნდება. აკად. ნ. ბერძენიშვილის თქმით, იგი „ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების ხანისაა“ [421, VIII, გვ. 95]. თავდაპირველად იგი ეთნოკულტურულ ცნებას წარმოადგენდა, შემდეგ კი პოლიტიკური შინაარსი შეიძინა და აღნიშნავდა ქართველ (ე.წ. ქართის ანუ აღმოსავლურ ქართველ) ტომთა და ქართლის მეთაურობით ყველა ქართველურ და არაქართველურ ტომთა პოლიტიკურსა და კულტურულ ერთობას.

სიტყვიდან „ქართველი“ წარმოდგება დღეს ლინგვისტურსა და საისტორიო ლიტერატურაში ხმარებული ტერმინი „ქართველური ენები“,

[2] სხვა საკითხია, თუ რა მნიშვნელობით ხმარობდა ამ ტერმინს „ქართლის ცხოვრების“ საწყისი ნაწილის ავტორი – წმინდა ეთნიკური (ე.ი. ქართლოსიანი), თუ კულტურული თვალსაზრისით (შდრ. [421, VI, გვ. 253-263]).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის სინონიმებად გვხვდება აგრეთვე „იბერიული“ ან უფრო ზშირად „სამხრეთ-კავკასიური ენები“ (დაწვრ. იხ. [112, გვ. 15-16], [178], [182]). „ქართველური ენების“ სახელწოდების ქვეშ ერთიანდებიან გენეტურად ერთმანეთის მონათესავე ენათა ჯგუფები: საკუთრივ ქართული (რომელიც საფუძვლად დაედო ჩვენს სალიტერატურო და სახელმწიფო ენას) და უდამწერლობო ენები – სვანური და მეგრულ-ჭანური (ანუ ზანური, თუ კოლხური). ყველა ისინი ერთი საერთო წინაპრისაგან, ე.წ. ფუძეენისაგან წარმოიქმნა, რომელსაც ლინგვისტები „საერთო-ქართველურს“ ან „პროტოქართველურს“ უწოდებენ.

საკუთრივ „ქართული“ (ზოგჯერ იგი აღინიშნება ნიკო მარის მიერ დამკვიდრებული ზელოვნური ტერმინით „ქართის“ ენა) თავდაპირველად აღმოსავლურ ქართველ ტომთა ენა იყო, რომელიც შემდგომ, ძვ.წ. III ს-ში შექმნილი ქართლის სამეფოს (ბერძნულ-რომაული წყაროების „იბერიის“) სახელმწიფო ენა გახდა. ქართული (“ქართის“) ენა ([154; 157; 163; 199; 210]) ამჟამად წარმოდგენილია მრავალი დიალექტით (აჭარული, გურული, თუშური, იმერული, ინგილოური, კახური, ლეჩხუმური, მესხური, მთიულურ-გუდამაყრული, მოხეური, რაჭული, ფერეიდნული, ფშაური, ქართლური, ყიზლარ-მოზდოკური, ხევსურული, ჯავახური), რომელნიც გავრცელებული არიან უპირატესად (გარდა ფერეიდნულისა და ყიზლარ-მოზდოკურისა) მთელს აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში, აგრეთვე ნაწილობრივ დასავლეთ საქართველოს ისტორიულად ჩამოყალიბებულ პროვინციებში (დაწვ. იხ.: [144], [160], [166ა]). ამჟამად ქართული ენა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო და ლიტერატურული ენაა.

მეგრულ-ჭანური ენა უდამწერლობოა და ძირითადად დღევანდელ დასავლეთ საქართველოსა და ნაწილობრივ თურქეთის ლაზისტანშია გავრცელებული ([158; 176-178; 184]). იგი ორი ძირითადი დიალექტითაა წარმოდგენილი – მეგრულითა და ჭანურით (ლაზურით). ქართველურ ენათა ამ ჯგუფის საერთო აღმნიშვნელია ტერმინი „ზანური“, რამდენადაც ძველი ბერძენ-რომაელი და ბიზანტიელი ავტორები (სტრაბონი, პროკოპი კესარიელი) დასავლურქართველ ტომებს – „ლაზებს“ ან „ჭანებს“ მოიხსენიებენ „სან“-ებად, ხოლო სვანები კი მეგრელებს „ზანარს“ უწოდებენ [165, გვ. 6-19]. უკანასკნელ ხანებში მეგრულ-ჭანურის აღსანიშნავად მკვიდრდება ტერმინი „კოლხური“ [157, გვ. 131; 171, II, გვ. 881].

სვანური ენა აგრეთვე უდამწერლობოა. იგი ამჟამად ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა (სვანეთსა და აფხაზეთში) გავრცელებული. მან ყველაზე უფრო მეტად შემოინახა საერთო ქართველური არქაული ელემენტები [153].

ამრიგად, ქართული (“ქართისა“), კოლხური თუ ზანური (მეგრულ-ჭანური) და სვანური ენები ქმნიან ენათა ერთიან ჯგუფს, რომლის საერთო სახელწოდებაა „ქართველური ენები“ (ან „სამხრეთ კავკასიური“). გენეტურად, ე.ი. თავდაპირველი საერთო წარმოშობით, მონათესავე ამ ენათა მატარებლების საერთო სახელწოდებაა „ქართველი“, რუსულად „Грузин“, ხოლო დასავლურევროპულ ენებში – გერმან. – Georgier, ინგ. – Georgian, ფრანგ. – Géorgien და ა.შ. ფიქრობენ, რომ ეს სახელწოდება რუსულ და დასავლურევროპულ ენებში გავრცელდა ქართველთა აღმნიშვნელი ისეთი აღმოსავლური სახელწოდებებიდან, როგორიცაა სირიული „გურზ-ან“, ახალსპარსული „გურჯ“, არაბული „ჯურზ“, თურქული „გურჯ“ და ა.შ. თვით ეს სახელწოდებანი უნდა მომდინარეობდეს სომხური „(ი)ვირ-ჯ“-დან, რომელიც თითქოს უკავშირდება ბერძნულ-ლათინურ „იბერს“ [165, გვ.- 51].[3]

ქართველური ენები შედიან კავკასიის ე.წ. ავტოქტონურ, ე.ი. ადგილობრივ ენათა ჯგუფში[4] და ჩვეულებრივ იწოდებიან „სამხრეთკავკასიურ ენებად“. რომ განასხვავონ ისინი „ჩრდილოკავკასიური“ (ანუ ვეინახურ-დაღესტნური) და „დასავლურკავკასიური“ (ანუ აფხაზურ-ადიღეური) ენებისაგან, ეს ორი უკანასკნელი ჯგუფი ზშირად მთის კავკასიურ ან ჩრდილოკავკასიურ ენებად იწოდება.

ქართველთა (ამ შემთხვევაში უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა – ძველი ქართველი ტომების – კოლხებისა და იბერების) წარმოშობის საკითხებით ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში დაინტერესდნენ. ძვ.წ. V ს-ის ბერძენი ისტორიკოსი, „ისტორიის მამამთავრად“ წოდებული ჰეროდოტე ამტკიცებდა: „ცხადია, რომ კოლხები ეგვიპტელები არიან. ამას მე თვითონ მივხვდი უწინ, ვიდრე მოვისმენდი სხვათაგან და ისე ვიტყოდი. და რადგანაც ეს მე ფიქრებში მქონდა, შევეკითხე ორივეს. კოლხებს უკეთ ახსოვდათ ეგვიპტელები, ვიდრე ეგვიპტელებს კოლხები. ეგვიპტელები ამბობენ, რომ მათ მიაჩნიათ, რომ კოლხები არიან სესოსტრისის[5] ლაშქრიდან“

[3] ქართველთა აღმნიშვნელი სახელწოდებების შესახებ სხვადასხვა ხალხთა ენებში იხ. საინტერესო ცნობები [151].

[4] ამ თვალსაზრისით, ბუნებრივია, კავკასიურ ენათა შემადგენლობაში არ შედიან დღეს ამ ტერიტორიაზე გავრცელებული ინდოევროპული (სომხური, ოსური, ქურთული და სხვ.), თურქული (აზერბაიჯანული, კუმიკური, ყარაჩაი-ბალყარული, ნოღაური) და სხვ. ენები. შესაბამისად ტერმინი „კავკასიური ენები“ არ ნიშნავს ერთი ენობრივი ოჯახის ენებს, ისე როგორც არიან, მაგალითად, „სემიტური“ ან „ინდოევროპული“ ენები.

[5] ცნობილია, რომ მთელ რიგ ბერძენ ავტორთა (არასტოტელე, პოლიბიოსი, დიოდორე და სხვა) ცნობებში სესოსტრისი წარმოგვიდგება როგორც ლეგენდარული პიროვნება, რომელიც ასახიერებდა რამდენიმე ფარაონის მოღვაწეობას. ამიტომაც უძნელ-

("ისტორია", II, 104-105, [320a], გვ. 71). ვფიქრობ, აუცილებელი არაა მტკიცება „ისტორიის მამამთავრის" თვალსაზრისის გულუბრყვილობის, რაც ახლა მკვლევართა უმრავლესობის მიერაა აღიარებული.

ძველ ბერძნულ-რომაულ ლიტერატურაში ძალზე პოპულარული იყო აგრეთვე იდეა იბერთა (ე.ი. აღმოსავლურ ქართველ ტომთა) გადმოსახლებისა პირენეის ნახევარკუნძულიდან აღმოსავლეთ საქართველოში ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის დროს. ამ გადმოცემას, რომელიც ძვ.წ. III ს-ის ბერძენ მწერალთან მეგასთენესთანაა შემონახული, დაბეჯითებით იმეორებენ უფრო გვიანდელი ბერძენ-რომაელი ავტორებიც – იოსებ ფლავიუსი, აბიდენოსი, ევსევი კესარიელი, დიონისიოსი, ათანე და სხვ. მაგალითად, I ს-ის ისტორიკოსი და გეოგრაფოსი სტრაბონი ირწმუნებოდა, „დასავლელი იბერები გადასახლდნენ პონტოსა და კოლხიდის ზემოთ მდებარე ადგილებში... ეგვიპტელები გადასახლდნენ ეთიოპელებთან და კოლხებთან..." ("გეოგრაფია", I, 3, 21).

I ს-ის ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი ქართველი ტომების – იბერებისა და მესხების წინაპრებად ბიბლიის „თობელსა" და „მოსოხს" მიიჩნევდა: „თობელმა დაიფუძნა თობელები, რომლებსაც ახლა იბერები ეწოდებათ. მოსოხნენი დაფუძნებული არიან მოსოხის მიერ" („იუდეველთა სიძველენი", I, 122-125; შდრ. [322, V, გვ. 80 და 144-145]).

ქართველთა წარმოშობის საკითხი, ბუნებრივია, იდგა თვით საშუალო საუკუნეების ქართველ ისტორიკოთა წინაშე. ისინი ამ საკითხს ბიბლიური პოზიციიდან განიხილავდნენ. ძველი საქართველოს ოფიციალური ეროვნული მატიანის „ქართლის ცხოვრების" საწყის ნაწილში (რომელსაც ეწოდება „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა") ქართველთა მამამთავარი – ქართლოსი შვილია თარგამოსისა,[6] რომელიც იყო „ძე თარშისი, ძმისწული იაფეთისი, ძისა ნოესი" [268, გვ. 3].

ძველ ქართულ წყაროებში, კერძოდ, საისტორიო ქრონიკაში – „მოქცევაჲ ქართლისაჲს" სახელით რომაა ცნობილი, წარმოდგენილია გადმოცემა ქართველთა გადმოსახლების შესახებ ალექსანდრე მაკედონელის დროს სამხრეთიდან – „არიან ქართლიდან" [265, გვ. 752]. „არიან ქართლის" სახელწოდებისა და მისი ადგილსამყოფელის განსაზღვრის თაობაზეც მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული. მაგალითად, აკად. ს. ჯანაშია „არიან" სახელწოდებას ზურიტებს – ძველი აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძველეს მოსახლეობას უკავშირებდა [431, II, გვ. 70-71]. აკად. გ. მელიქიშვილს შესაძლებლად მიაჩნია „არიან" სახელის „არიელებთან", ე.ი. ირანთან დაკავშირებისა და ამის საფუძველზე ვარაუდი იმისა, რომ ძველი ქართული საისტორიო ქრონიკის ცნობაში შესაძლებელია ასახულია ფაქტი ქართული მოსახლეობის მიგრაციისა სამხრეთით მდებარე იმ ქართული ოლქებიდან, რომლებიც აქემენიდური ირანის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. ამასთან, აკად. გ. მელიქიშვილი არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობასაც, რომ „არიან" შესაძლოა „პირენეის" მცდარი გააზრებაა და, მაშასადამე, თავისებური გამეორებაც ბერძნულ-რომაულ სამყაროში ასე პოპულარული იდეისა იბერთა (ე.ი. აღმოსავლურქართულ ტომთა) გადმოსახლების შესახებ პირენეის ნახევარკუნძულიდან (დაწვრ. ანტიკურ და საშუალო საუკუნეების მწერლობაში ქართველთა წარმოშობის შესახებ ცნობების განხილვა იხ. [149; 148, გვ. 7-18]).

ქართველთა ეთნოგენეზისის პრობლემებს არაერთი ნაშრომი მიუძღვნეს XIX ს-ის ქართველმა და უცხოელმა მკვლევარებმა (დაწვრ. [420, გვ. 50-75]). ამ დროს განსაკუთრებით პოპულარული იყო იდეა ქართველების დაკავშირებისა ბიბლიასა თუ სხვა ძველ წყაროებში მოხსენიებულ ხალხებთან, კერძოდ, იბერებისა და მოსხების (მესხების) ნათესაობისა ბიბლიურ „მეშეხთან" და „თუბალთან", რის შესახებაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ I ს-ის ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი წერდა.

XIX ს-ის ისტორიკოსთა ნაშრომები ქართველთა წარმოშობის შესახებ არსებითად მხოლოდ ბერძენ-რომაელ ავტორთა უარღესად მწირ ცნობებზე იყო დაფუძნებული, რაც ბუნებრივია, სრულიადაც არაა საკმარისი რთული ეთნოგენეტიკური პრობლემების კვლევისას.

კავკასიაში არქეოლოგიური კვლევა-ძიების დასაწყისი (XIX ს-ის 70-იანი წლები) აღინიშნა აქ მოსახლე უძველესი ხალხების წარმოშობის შესახებ ახალი თეორიების წამოყენებით. გამოითქვა მრავალგვარი ჰიპოთეზა და მტკიცება, ზოგჯერ საკმაოდ ახირებული და სრულიად დაუსაბუთებელიც. მაგალითად, ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის წარმოქმნას საქართველოში მიაწერდნენ ხან „მონღოლოიდურ-სემიტურ", ხან „თურანულ" თუ „არიულ ტომებს" და ა.შ. (იხ. [149, გვ. 332- 334]). მაგრამ უკვე XIX საუკუნეშივე შეეცადნენ ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხები შეეს-

---

დებათ მკვლევრებს მისი იდენტიფიკაცია ძველი ეგვიპტის რომელიმე კონკრეტულ მმართველთან. ფიქრობენ, რომ სესოსტრისის პროტოტიპები არიან ეგვიპტის ე.წ. XIII დინასტიის ფარაონები (სენუსერტ I, სენუსერტ II და რამზეს II). ფიქრობენ, ეს შესაძლოა თავისებური გამოძახილი იყოს გვიანბრინჯაოს ხანაში მომხდარი ხალხთა დიდი გადასახლებებისა, კერძოდ იმ ტომებისა, რომელთაც ეგვიპტური წარწერები უწოდებენ „შარდან" და იხსენიებიან აგრეთვე ე.წ. ზღვის ხალხთა შორისაც [145]. არსებობს მრავალი სხვა მოსაზრებაც.

[6] „ქართლის ცხოვრების" თარგმოსს უკავშირებენ ბიბლიურ თოგარმას [152, გვ. 7].

წავლათ ენობრივი მონაცემებითაც და ქართული ენა დაეკავშირებინათ იმ დროისათვის ცნობილ რომელიმე ენასთან და ენათა ოჯახთან. ეს რთული პრობლემა მაშინ მეტწილად ლექსიკური მასალის შედარებითი შესწავლის ფონზე განიხილებოდა. ცალკეული სიტყვების ურთიერთთან მიმსგავსების საფუძველზე ქართულ ენას ანათესაებდნენ ხან ეგვიპტურთან, ხან კლასიკურ ევროპულ (ბერძნულ, ლათინურ), ხან ესპანეთის უძველესი და აბორიგენული მოსახლეობის ენებთან.[7] ამასთან ერთად იყო ცდა ქართული ენის სხვა ენებთან ნათესაობის განხილვისა, გრამატიკული სტრუქტურისათვის დამახასიათებელი თვისებების შედარებითი ანალიზისა. გამოჩენილმა გერმანელმა მეცნიერმა გ. ლაიბნიცმა პირველმა წამოაყენა იდეა ქართული ენის ინდოევროპულ ენათა ოჯახთან ნათესაობის შესახებ [189, გვ. 291-291]; [210, გვ. 19], [197, გვ. 44]. ასეთივე შეხედულება შემდგომ გამოთქვა აგრეთვე ცნობილმა ფრანგმა ორიენტალისტმა და ქართული კულტურის დიდმა მოამაგემ აკადემიკოსმა მარი ბროსემ [205]. ქართული ენის ინდოევროპულ ენებთან ნათესაობის იდეას აქტიურად ავითარებდა ლინგვისტური მეცნიერების ფუძემდებელი ფრანც ბოპპიც [204], რომლის ნაშრომებმა უდიდესი როლი შეასრულეს ევროპელ ლინგვისტთა ინტერესის გაძლიერებაში ქართული ენის მიმართ. იმ დროს გამოქვეყნდა მთელი წყება ნაშრომებისა, რომელთა ავტორები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ ქართული ენის ნათესაობა მსოფლიოს სხვადასხვა ენებთან, მათ შორის ურალო-ალტაურთანაც კი. თუმც უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ ლინგვისტთა შორის უკვე შეინიშნებოდა ტენდენცია ქართული ენის იზოლირებულ ენად მიჩნევისა (ე.ი. ისეთ ენად, რომელსაც იმ დროისათვის ცნობილ ცოცხალ თუ მკვდარ ენათა შორის გენეტური ნათესაური კავშირი არ ეძებნება). ამ თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებოა ქართველი მეცნიერის, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის ალექსანდრე ცაგარელის 1886 წელს ქ. ვენაში ორიენტალისტთა VII ყრილობაზე წაკითხული მოხსენება, სადაც ამტკიცებდა, რომ ქართული ენა არ ენათესავება მსოფლიოს არც ერთ ენას. ამასთან, ალ. ცაგარელმა გამოთქვა იმ დროისათვის სრულიად ახალი თეორიული იდეა: ქართველთა ეთნოგენეტიკური ისტორიის პრობლემების გადასაწყვეტად აუცილებელია ქართული ენის არქეტიპის აღდგენა [195-196].

1888 წელს ნიკო მარმა (რომელიც მაშინ ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტში ალ. ცაგარელის სტუდენტი იყო) წამოაყენა დებულება ქართული ენის სემიტურ ენებთან გენეტური ნათესაობის შესახებ, რაც შემდგომ ვრცელი მონოგრაფიის სახით გამოაქვეყნა [183]. მაგრამ შემდგომ აკადემიკოსმა ნიკო მარმა თვითონვე უარყო ეს იდეა და, როგორც ცნობილია, შექმნა ე.წ. იაფეტური თეორია, სადაც ქართული ენა ე.წ. იაფეტურ ენათა ოჯახში მოაქცია.[8]

ქართული ენის წარმოშობისა და სხვა ენებთან ნათესაობის პრობლემისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა და გაიშიფრა შუმერული, ხეთური, ხურიტული, ელამური და ურარტული ენებზე შესრულებული ტექსტები. მაშინ განვითარდა თვალსაზრისი (მაგრამ სხვადასხვა თვალთახედვითა და ინტერპრეტაციით) ქართველებისა და მათი ენის გენეტური ნათესაობისა წინა აზიის უძველეს ხალხებთან და ენებთან. აი, რას წერდა ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი ედუარდ მაიერი: „კავკასია დასახლებულია მრავალრიცხოვანი ტომებით, რომელთა ეთნიკური ბუნება ჯერჯერობით სუსტადაა შესწავლილი. მათგან ყველაზე უფრო ცნობილი არან იბერები (ამჟამინდელი ქართველები), რომელთაც მდ. მტკვრის აუზი უკავიათ. ეჭვი არაა იმაში, რომ ამ ხალხით დასახლებული ტერიტორია ღრმად იყო შეჭრილი მცირე აზიასა და არმენიაში. ამ უძველეს ხალხთა რიცხვს უნდა მივათვალოთ აგრეთვე მოსხები-მესხები (ასურული წყაროების მუშკები, ხოლო ბიბლიაში – მეშეხ) და ტიბარენები (ბიბლიის თუბალნი, ასურული წყაროების თაბალნი), რომელთაც ხეთების სახელმწიფოს დაცემის შემდეგ დაიკავეს კაპადოკია და იქიდან აწყობდნენ თავდასხმებს ტიგროსის მიდამოებში“. დაახლოებით ასეთივე შინაარსის მტკიცებანი საკმაოდ ხშირად გვხვდება XIX ს-ის და XX ს-ის პირველ ნახევარში გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომებში (დაწვ. იხ. [148, გვ. 18-26; 149]).

1864 წელს კავკასიის ხალხებისა და ენების გამოჩენილმა მკვლევარმა პ. უსლარმა გამოთქვა აზრი ქართული ენის ჩრდილოკავკასიურ ენებთან გენეტური ნათესაობის თაობაზე [193], რომელსაც მრავალი მომხრე გაუჩნდა. ეს იდეა გაზიარა აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა [163],

[7] ყველაზე უფრო სრულად ქართული ენის წარმოშობის შესახებ სხვადასხვა თეორიისა და საერთოდ, XVII-XVIII ს-ის დასავლეთევროპული ლიტერატურის საქართველოს შესახებ ცნობათა მიმოხილვა დაწვრილებითი ბიბლიოგრაფიით იხ. [189].

[8] თავდაპირველად ნიკო მარმა ქართველური ენები იაფეტურ (ბიბლიურ ნოეს ჯაფის – იაფეტის სახელის მიხედვით) ენად გამოაცხადა და სემიტურთან ერთად ე.წ. ნოისტურ ენათა ოჯახში მოექცნენ ჩრდილოკავკასიური მთის ენები, ხოლო „იაფეტური“ ოჯახი გამოცხადდა ერთმანეთთან გენეტურად მონათესავე ენების ოჯახად, რომელიც განსხვავდებოდა „სემიტურისაგან“. ამის შემდგომ ნიკო მარმა „იაფეტური ოჯახში“ გააერთიანა აგრეთვე ბასკური, ეტრუსკული, ჰელადური და ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვა ძველი ენები. იაფეტური ენები მიჩნეულ იქნენ სემიტურსა და ინდოევროპულ ენებზე უფრო ძველად და ა.შ. (იხ. [186]).

ხოლო შემდგომ მისმა მოწაფემ, გამოჩენილმა ქართველმა ენათმეცნიერმა, აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ, რითაც საფუძველი ჩაეყარა ახალ თეორიას ე.წ. იბერიულ-კავკასიურ ენათა ცალკე ოჯახის არსებობის შესახებ. ენათა ამ ოჯახში გაერთიანდნენ ქართველური, აფხაზურ-ადიღეური და ვეინახურ-დაღესტნური ენები [159]. ამასთან, გამოითქვა მოსაზრება დღეს ცოცხალი იბერიულ-კავკასიური ენების ძველი წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის მკვდარ ენებთან მონათესაობის შესახებ. კავკასიის ენათა გენეტური ნათესაობის თეორიის ძირითადი დებულებაა: ქართველური ენები (ქართული, კოლხური ანუ ზანური და სვანური) გენეტურად არიან დაკავშირებული მრავალრიცხოვან ენათა ოჯახებთან, რომელთა ცოცხალი წარმომადგენლებიც შემორჩენილი არიან კავკასიაში (ქართველური, აფხაზურ-ადიღეური და ვეინახურ-დაღესტნური ენები) და პირენეის ნახევარკუნძულზე (ბასკური ენა), ხოლო ამავე ოჯახის მკვდარ ენებად ითვლება ხეთური, ელამური, ხურიტული, ურარტული (წინა აზიაში), აგრეთვე წინაბერძნული (პელაზგური) და ეტრუსკული ენები. ასე წარმოიქმნა ახალი სამეცნიერო მიმართულება – „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“. ამ მიმართულების მიმდევარნი იმოწმებენ ქართველურ და ჩრდილოკავკასიურ ენათა შორის ცალკეული ნიშნადი ელემენტების სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ მსგავსებებს და ზოგიერთი ფონეტიკური ხასიათის თანხვდომას, რის საფუძველზეც ამტკიცებენ ქართველური (სამხრეთ კავკასიური), აფხაზურ-ადიღეური (ჩრდილო-დასავლურ კავკასიური) და ვეინახურ-დაღესტნური (ჩრდილო-აღმოსავლურ კავკასიური) ენების გენეტურ ნათესაობას, ე.ი. ერთი საერთო ფუძენენიდან წარმოძავლობას. მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი კავკასიური ენების ურთიერთთან გენეტური ნათესაობის შესახებ თეორიის მიმართ არსებობს სკეპსისიც, რომელიც პირველად ცნობილმა რუსმა ლინგვისტმა ნ. ტრუბეცკოიმ გამოთქვა [221] და ახლა უკვე ფართოდაა გავრცელებული საკმაოდ ავტორიტეტულ ლინგვისტთა შორის. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევართა უმრავლესობა (მათ შორის კავკასიური ენების გენეტური ერთობის მომხრენიც) თვლის, რომ ისტორიული განვითარების ხანგრძლივი პროცესის მანძილზე კავკასიური ენები იმდენად დაცილდნენ ერთმანეთს, რომ მათი ნათესაობის შესახებ იდეის დასამტკიცებლად აუცილებელია „დიდი ძალისხმევა და კვლევის საგანგებოდ გააზრებული მეთოდიკა“ [112, გვ. 7].

ქართული ენის შესანიშნავი მცოდნის, ნორვეგიელი ლინგვისტის ჰანს ფოგტის აზრით, კავკასიური ენების გენეტური ნათესაობის დამტკიცება მრავალ და ძნელად გადასალახავ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ჩვენს წინაშეა, ერთი მხრივ, „დროის პერსპექტივის უქონლობა“, რამდენადაც მხოლოდ ქართულმა ენამ შეინახა წერილობითი ტრადიციები V საუკუნიდან, მეორე მხრივ, ძალზე მცირე ტერიტორია, რომელზედაც მრავალრიცხოვან კავკასიურ ენებს საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე ჰქონდათ მჭიდრო კონტაქტები, რაც ბადებდა ე.წ. „ენობრივ კავშირებს“. ამდენად, ქართველურსა და ჩრდილოკავკასიურ ენებს შორის ლინგვისტთა მიერ დადგენილი ზოგიერთი მსგავსება შესაძლოა მეორადი რიგისა თუ წარმოშობისაა და აიხსნება ცალკეულ კავკასიურ ენებს შორის ხანგრძლივი კონტაქტების გავლენით. ჰანს ფოგტის დასკვნა ასეთია: „კავკასიური ენების ერთიანი წარმოშობის შესახებ ჰიპოთეზა ერთობ მომხიბლავია და მოკლებული არაა დამაჯერებლობას, მაგრამ იმავე დროს ის ძნელად დასამტკიცებელია“ [75, № 4, 1972]. ასეთივე აზრისაა აკადემიკოსი გიორგი წერეთელი: „ვიდრე ენობრივი ეტიმოლოგიის სხვადასხვა დონეზე არ დადგინდება კანონზომიერი შესატყვისობანი ფონოლოგიის, მორფოლოგიისა და ლექსიკის სფეროში, საკითხი ქართველურ და მთის კავკასიურ ენათა შორის გენეტური კავშირის შესახებ დარჩება უფრო რწმენის, ვიდრე ცოდნის საგნად. რამდენადაც ძლიერი არ უნდა იყოს ეს რწმენა, იგი მტკიცების ძალას ვერ შეიძენს“ [197, გვ. 048-049].

გამოჩენილ ენათმეცნიერთა ნაშრომებიდან ეს ვრცელი ამონაწერები იმიტომ მოვიტანეთ, რომ კიდევ უფრო თვალსაჩინო გამხდარიყო მთელი სირთულე ქართველთა ეთნოგენეზისის პრობლემისა, რომლის გადაჭრაში ქართველურ ენათა ადგილის განსაზღვრას მსოფლიო ენების სხვადასხვა ოჯახთა სისტემაში უმთავრესი თუ არა, ერთ-ერთი უპირველესი (სხვა, მაგალითად, არქეოლოგიურ და ანთროპოლოგიურ მასალებთან ერთად) ადგილი ლინგვისტურ მონაცემებს უკავია. ამიტომაც ქართველთა წარმოშობლობის საკითხების კვლევისას ლინგვისტური მეცნიერების მნიშვნელობა სრულიად განსაკუთრებულია. თანამედროვე თეორიული ენათმეცნიერების კოლოსალური წარმატებანი სრულიად ახალ პერსპექტივას შლის ქართველთა ეთნოგენეზისის პრობლემებთან დაკავშირებული ისეთი რთული საკითხების გადასაჭრელად, როგორიცაა ქართველურ ენათა წარმოშობა, ფუძე ენის, ე.ი. პრაქართული ენის მატარებელი ეთნიკური მასის თავდაპირველი ბინადრობისა და სხვ. საკითხები.

თანამედროვე ლინგვისტიკაში ენები მიიჩნევიან მონათესავედ, ე.ი. ერთი საერთო ენობრივი ბაზისიდან, ანუ საერთო ფუძე ენიდან მომდინარედ, მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ აუცილებელი პირობით, თუ მონათესავედ მიჩნეული ენების ძირეულსა და აფიქსალურ მორფემებში დადგინდება რეგულარული ფონემური შესატყვისობანი. ამიტომაც ძირითად ამოცანად აღიარებულია ფუძეენის რეკონსტრუქცია, რათა დადგინდეს ისტორიულად დამოწმებული მონათესავე ენობრივი სისტემების წარმოქმნისა და

განვითარების გზები და პირობები. ამრიგად, ენათა შორის გენეტური ნათესაობის დასადგენად აუცილებელია ცალკეული ენებისა თუ ენობრივი სისტემების ურთიერთთან შედარება არა ისტორიულად დადასტურებულ სინქრონულ დონეზე, არამედ (და იქნებ პირველ რიგში!) ძველი, ე.ი. ფუძეენის დონეზე. ენათა გენეტიკური და ტიპოლოგიური ნათესაობის,[9] მათი ტრანსფორმაციის გზებისა და პირობების დადგენის ამ მეთოდს ლინგვისტები უწოდებენ „ენათა შედარებით-ისტორიულ ტიპოლოგიას“ [201, გვ. 17] ან „დიაქრონიულ ტიპოლოგიას“ [168, II, გვ. 35].

დიაქრონიული ლინგვისტიკის თეორიულ დებულებათა შუქზე ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემის შესასწავლად უდიდესი მნიშვნელობისაა რეკონსტრუქცია საერთოქართველური ანუ პრაქართული ფუძეენისა[10] ([142], [179-180]), რომლის დიფერენციაციის შედეგად წარმოიშვა ისტორიულად დადასტურებული და დღეს ცოცხალი ქართველური ენები – ქართული, კოლხური (მეგრულ-ჭანური) და სვანური. ამ ენების გენეტური ნათესაობა და მათი ასევე ერთო ფუძეენიდან წარმომავლობა მტკიცდება სწორედ ამ ენების ურთიერთშედარებისას დადასტურებული რეგულარული ფონეტიკური ცვლილებებისა და, შესაბამისად, კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისობების საფუძველზე.

დიაქრონიული ანალიზის პრინციპებით ლინგვისტებმა აღადგინეს ქართველური ენების უძველესი სტრუქტურა, მათი ფორმირებისა და ისტორიული განვითარების სავარაუდო პროცესი. ამ თვალსაზრისით ძალზე დიდი მნიშვნელობისაა ქართველი ენათმეცნიერების თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის ერთობლივი ნაშრომი ქართველურ ენებში სონანტთა სისტემის და აბლაუტის შესახებ [142]. ქართველურ ენათა შედარებით-ისტორიული შესწავლის გზით მათ დაადგინეს ქართველურ ენებში კანონზომიერ შესატყვისობათა სისტემა და აღადგინეს პრაენისათვის დამახასიათებელი სტრუქტურები ფონოლოგიურსა და მორფოლოგიურ დონეებზე. თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა ზემოთ დასახელებულ ფუნდამენტურ ნაშრომში წარმოადგინეს არა მხოლოდ ცალკეული ქართველური ენების ისტორიული განვითარების სურათი, არამედ მოგვცეს აგრეთვე საეროქართველური ფუძეენის სტრუქტურის დახასიათება; ამასთან (და ეს არსებითია ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემის კვლევისას), საერთოქართველური ფუძეენის განვითარებაში გამოიყო ორი ძირითადი ეტაპი. ადრეულ (“არქაულ“) ეტაპზე საერთოქართველური ენობრივი სისტემა ამყარებს რიგ მსგავსებას ჩრდილოკავკასიურ, განსაკუთრებით დასავლურკავკასიურ (აფხაზურ-ადიღეურ) ჯგუფთან. მიუხედავად ამისა, თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი მაინც ვერ მიიჩნევენ შესაძლებლად ამტკიცონ გენეტური ნათესაობა ქართველური ენებისა აფხაზურ-ადიღეურ და ვეინახურ-დაღესტნურ ენებთან, რამდენადაც ვერ ხერხდება რეგულარულ ფონემურ შესატყვისობათა დადგენა, რაც აუცილებელ პირობადაა აღიარებული ენათა გენეტური ნათესაობის დასადგენად [142, გვ. 374].

საერთოქართველური ფუძეენის განვითარების გვიან ეტაპზე შეიმჩნევა მისი ტრანსფორმაცია და რიგი ახალი სტრუქტურული ნიშნების გაჩენა. თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის გამოკვლევის თანახმად, გვიანი ეტაპის საერთოქართველური ფუძეენა მეტ ტიპოლოგიურ მსგავსებას ავლენს ინდოევროპულ სტრუქტურებთან, ვიდრე სხვა (მათ შორის ჩრდილოკავკასიურ) ენებთან. ფუძეენის დონეზე რეკონსტრუირებული ენობრივი სისტემების სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შედარების საფუძველზე პრაქართველური და პრაინდოევროპული მიკუთვნება საერთო სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ კლასს. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული ორი ენობრივი სისტემის საერთო ტიპოლოგიური კლასისადმი მიკუთვნება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს მათ გენეტურ ნათესაობას.[11]

[9] თანამედროვე ლინგვისტიკაში აღიარებულია, რომ ენათა გენეტიკური და ტიპოლოგიური ნათესაობა წარმოადგენს „ნათესაობის“ ორ ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებულ სახეობას; ერთ რომელიმე „ენობრივ ოჯახში“ (რომელშიც გენეტურად მონათესავე ენები შედიან) შეიძლება იყოს სხვადასხვა ტიპის ენები, ხოლო ერთი და იგივე ტიპის ენები შეიძლება ეკუთვნოდეს სრულიად სხვადასხვა „ენობრივ ოჯახებს“, ე.ი. წარმოადგენდეს გენეტურად არამონათესავე ენებს (დაწვრ. იხ. [201, გვ. 14-15].

[10] „საეროქართველური“ თუ „პრაქართული“, ისევე როგორც სხვა ფუძეენები („პრაინდოევროპული“, „პრასემიტური“ თუ სხვ.) არ წარმოადგენენ ისტორიულად დადასტურებულ ენებს. ფუძეენა ფაქტობრივად მხოლოდ თეორიულ-სტრუქტურული წყობაა, ანუ ენის თავისებური მოდელია, მაგრამ გარკვეული და მეტწილად რეალური ლექსიკური ფონდით საეროქართველური ფუძეენის რეკონსტრუქცია დაფუძნებულია ენობრივი ანალიზის სტრუქტურულ მეთოდებზე, კერძოდ კი რეალურად არსებულ ქართველურ ენებს (ქართული, კოლხური, სვანური) შორის ფორმალურ-ფუნქციონალური (ძირითადად ფონემური), მკაცრი და რეგულარული შესატყვისობის დადგენის გზით ([142], [179]).

[11] ზოგიერთმა მკვლევარმა სულ სწორად ვერ გაიგო თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის კონცეფცია და მიაწერა მათ ქართველური ენების მიკუთვნება იმავე ტიპოლოგიური კლასისადმი, რომელშიც შედიან ინდოევროპული ენები, ე.ი. ისტორიულად დადასტურებული თუ დღეს არსებული ამ ოჯახის ენები. სინამდვილეში საქმე ეხება ტიპოლოგიურ კლასში პრაქართული და პრაინდოევროპული ენების გაერთიანებას, ე.ი. ფუძეენებისას და არა მათგან წარმოშობილი ენებისას. საერთო ფუძეენიდან წარმოშობილ ინდოევროპულ ენებს ჰქონდათ განვითარების საკუთარი გზა, ხოლო ისტორიული პირობების გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრაქართველურსა და პრაინდოევროპულს შორის არსებული სტრუქტურული მსგავსებანი ლინგვისტებს ამძლევს საფუძველს ეს ენობრივი სისტემები მიაკუთვნონ საერთო არეალურ ჯგუფს და განიხილონ როგორც თავისებური „ენათა კავშირები, რომელნიც ხანგრძლივი კონტაქტების შედეგად შეიძენდნენ ე.წ. მეორადი ნათესაობის ნიშნებს (ასეთ ურთიერთობებს „ალეგონეტიკურს“ უწოდებენ [198]).

გვიანი ეტაპის საეროთქართველურ ფუძეენაში ფიქსირებული სტრუქტურული გარდაქმნები და ქართველურ-ინდოევროპული პარალელიზმები უთუოდ შედეგი იყო საეროთქართველური და საეროთინდოევროპული ენების მატარებელი ხალხების ხანგრძლივი კონტაქტებისა უძველეს ხანაში [168, II, გვ. 37 და შენიშვნა 10], რის მოწმობად მიიჩნევენ აგრეთვე საეროთქართველურში ინდოევროპულიდან ნასესხები ლექსიკის მთელ პლასტს (იხ. მაგ., [179], [168, II, გვ. 37]; [171, II, გვ. 877-880];[12] [172]). ზემოთქმულიდან კი გამომდინარეობს, რომ საეროთქართველური და საეროთინდოევროპული ფუძეენის[13] მატარებელ ხალხებს ერთ დროს ურთიერთის ახლო მეზობლად უნდა ეცხოვრათ. აქ ისმის კითხვა: სად უნდა ვეძიოთ ის ტერიტორია, სადაც ამ ორი უძველესი ფუძეენის მატარებელი ხალხის ენობრივი კონტაქტები ხორციელდებოდა? ამ საკითხის გადაჭრა თანაბრადაა მნიშვნელოვანი როგორც ქართველთა (უფრო ზუსტად, საერთოქართველური ფუძეენის მატარებელი ეთნოსის), ასევე პრაინდოევროპელთა პირველსაცხოვრისის დადგენისათვის [168, II, გვ. 38]. საამისოდ აუცილებელია პრაინდოევროპული ენის რეკონსტრუქციაც, რაც განაზოგიერებს ლინგვისტებმა თამაზ გამყრელიძემ და ვიაჩესლავ ივანოვმა [169-171]. პრაინდოევროპულად მიჩნეულ ლექსიკაში ფიქსირებული ფაუნის, ფლორის, მეურნეობის, მატერიალური და სულიერი კულტურის ამსახველი მრავალფეროვანი სემანტიკური ჯგუფების ანალიზის საფუძველზე თ. გამყრელიძემ და ვ. ივანოვმა პრაინდოევროპელთა პირველსაცხოვრისად მიიჩნიეს მახლობელი აღმოსავლეთის გარკვეული გეოგრაფიული არეალი, საიდანაც ფუძეენის მატარებელი ეთნოსის დიფერენციაციის შემდგომ დაიწყო ინდოევროპელ ტომთა მიგრაციები ევრაზიის ვრცელ ტერიტორიაზე. პრაინდოევროპელთა პირველსაცხოვრისის მახლობელ აღმოსავლეთში ლოკალიზაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პრაინდოევროპულ, პრასემიტურ და პრაქართველურ ენებში ურთიერთისაგან ნასესხები ლექსიკისა და სტრუქტურული ნიშნების არსებობის ფაქტის დადგენას. ეს ურთიერთნასესხობანი კი მხოლოდ ზემოდასახელებული ენობრივი სისტემების ხანგრძლივი კონტაქტების შედეგად შეიძლებოდა გაჩენილიყო. ეს კონტაქტები კი უნდა განხორციელებულიყო მხოლოდ მახლობელი აღმოსავლეთის არეალში, რამდენადაც სრულიად წარმოუდგენელია პრაქართველთა და პრასემიტთა სხვა ტერიტორიაზე განსახლება (ვთქვათ, ჩრდილო შავიზღვისპირეთის სტეპებში ან ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, სადაც პრაინდოევროპელთა პირველსაცხოვრისი ივარაუდებოდა).

პრაქართველური, პრაინდოევროპული და პრასემიტური ენობრივი სისტემების არეალური კონტაქტების არსებობის ფაქტის დადგენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართველ ტომთა ეთნოგენეტიკური ისტორიისათვისაც, ამ შემთხვევაში პრაქართველური ენობრივი სისტემის ქრონოლოგიისა და ტერიტორიული გავრცელების დასადგენად. რამდენადაც პრაქართველურ ენობრივ სისტემაში ფიქსირდება პრაინდოევროპული ლექსიკური ნასესხობანი და აგრეთვე მთელი რიგი სტრუქტურულად მსგავსი ნიშნები [171, II, გვ. 871], ამდენად ბუნებრივად გამომდინარეობს პრაქართველურისა და პრაინდოევროპულის სინქრონულად არსებობა. პრაინდოევროპული ენობრივი სისტემის არსებობა უკვე ძვ.წ. V-IV ათასწლეულისათვის ივარაუდება, ხოლო მისი დაშლის პროცესის დასაწყისი კი არა უგვიანეს IV ათასწლეულისათვის [171, II, გვ. 861, 863]. პრასემიტური ენის არსებობასაც განსაზღვრავენ არა უგვიანეს ძვ.წ. IV ათასწლეულისა [171, II, გვ. 880]. ახლა თუ გავიხსენებთ თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის უკვე ხსენებულ დებულებას, რომ „გვიანი ეტაპის“ პრაქართველურ ენაში ფიქსირდება პრაინდოევროპულ ენობრივ სისტემასთან ხანგრძლივი კონტაქტების შედეგად წარმოქმნილი სტრუქტურულ-გრამატიკული ტრანსფორმაციები და აგრეთვე ლექსიკური ნასესხობანი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პრაქართველური ენობრივი სისტემა და, შესაბამისად, მისი მატარებელი ეთნოსი არსებულა უკვე ძვ.წ. V ან, ყოველ შემთხვევაში, ძვ.წ. IV ათასწლეულში მაინც (აქ აღსანიშნავია ისიც, რომ პრაქართველურში გამოიყოფა, როგორც უკვე ვნახეთ, უფრო ადრეული, ე.წ. არქაული ეტაპი, რომელიც წინ უსწრებს თითქოს

სულ სხვა ენობრივი კონტაქტები და ბუნებრივია, რომ ისინი ვეღარ აგლენენ ქართველურთან იმ სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ მსგავსებებს, რომელნიც ფიქსირდება ფუძეენათა დონეზე შედარებისას [168].

[12] ამ ნაშრომში [171] სპეციალურადაა განხილული ქართველურ-ინდოევროპული ლექსიკური შეხვედრები სწორედ ფუძეენების დონეზე. იქვეა დასახელებული სპეციალური ლიტერატურაც.

[13] არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ქართველურ ენებში სონანტებისა და აბლაუტის შესახებ თეორიის საფუძველზე საეროქართველური ფუძეენის რეკონსტრუქციამ და ქართველურ-ინდოევროპული მორფოლოგიური ალომორფიზმების კონსტატაციამ [142] მნიშვნელოვნად განსაზღვრა ის დიდი ინტერესი ქართველური ენების მიმართ, აგრე თვალსაჩინოდ რომ მოვლენდება თანამედროვე ლინგვისტურ მეცნიერებაში (შდრ. [168, II, გვ. 38, შენიშვნა 17]; აგრეთვე [212].

საქართველოს პარლამენტის

პრაინდოევროპულ ენობრივ სისტემასთან გაცხოველებული კონტაქტების დასაწყისს).

საერთოქართველური ფუძეენის მატარებელი ეთნოსის პირველსამფოფელი უნდა ვივარაუდოთ რამდენადმე ჩრდილოეთით პრაინდოევროპელთა სამშობლოდან, რომელსაც თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი ათავსებენ წინა აზიის ჩრდილოეთ პერიფერიაზე ამიერკავკასიის სამხრეთით, ზემო მესოპოტამიამდე [171, II, გვ. 890].

ფაუნისა და ფლორის საერთოქართველური აღმნიშვნელი ლექსიკის ანალიზის საფუძველზე პრაქართული ეთნოსის თავდაპირველ საბინადროდ მაღალმთიანი ზონაა აღიარებული. ასეთად ზოგიერთი დიდ კავკასიონს მიიჩნევდა [179, გვ. 37]. მაგრამ ამჟამად მკვლევართა უმრავლესობა პრაქართველური ფუძეენის მატარებელი ეთნოსის თავდაპირველ სამშობლოდ ამიერკავკასიის ზეგანს მიიჩნევს, უფრო ზუსტად კი – მცირე კავკასიონის დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილს (იხ. [149, გვ. 339-349]; [172], [171, II, გვ. 880-881]). ასეთი მოსაზრების სასარგებლოდ თვალსაჩინოდ მეტყველებს ზემოთ განხილული ფაქტები პრაქართველების, პრაინდოევროპელების და პრასემიტების უცილობელი კონტაქტებისა წინა აზიის გარკვეულ არეალში. ამრიგად, შემოიფარგლა საერთოქართველური ფუძეენის მატარებელი ეთნოსის პირველსაცხოვრისი, მცირე კავკასიონის სამხრეთით მდებარე ტერიტორია, რომელიც უთუოდ მოიცავდა, როგორც ისტორიულ მესხეთ-ჯავახეთს, ქვემო ქართლსა და რამდენადმე მათ სამხრეთით მდებარე მიწა-წყალს, ასევე მოლიანად დღევანდელ საქართველოს. პრაქართველური ფუძეენის მატარებელი ეთნოსი კი უკვე ძვ.წ. V-IV ათასწლეულებში უნდა არსებულიყო.

ფუძეენის მატარებელი ეთნოსის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ხდებოდა მისი თანდათანობით დაშლა. მთაში მოსახლეობის სწრაფი გამრავლების შედეგად ადამიანთა დიდი ჯგუფები იწყებდნენ თავიანთი თავდაპირველი საცხოვრისიდან აყრას და სხვაგან გადასახლებას. ამ პროცესს ხალხთა მიგრაციებს უწოდებენ. დღეს რეალურად დადასტურებული ქართველური ენების (ქართული, კოლხური, სვანური) წარმოქმნაც ზემოაღნიშნული პროცესის შედეგია. თუმც უნდა ვივარაუდოთ კიდევ რამდენიმე სხვადასხვა დიალექტის მატარებელი ქართველური ტომის არსებობა, რომლებიც გვიან ასიმილირებული იქნენ დანარჩენი ქართველი ტომების მიერ.

სპეციალურ ლინგვისტურ ლიტერატურაში ამჟამად აღიარებულია საერთოქართველური ენის ისტორიული დიფერენციაციის სქემა (სურ. 3), რომელიც გერმანელმა მეცნიერმა ბ. დეეტერსმა წარმოადგინა: საერთოქართველურ ფუძეენას თავდაპირველად გამოეყო სვანური და ამრიგად დაიწყო დაშლა ფუძეენისა და მისი მატარებელი ეთნოსისა ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ჯგუფებად: სვანურ და ქართულ-კოლხურ ერთობად. ამით დაიწყო საერთოქართველური ფუძეენის მატარებელი ეთნოსის მიგრაციების პროცესი. ეს მიგრაციები ამიერკავკასიის ზეგანიდან ძირითადად დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორიისაკენ იყო მიმართული. საერთოქართველური ფუძეენის მქონე ეთნოსის გამოყოფილი პირველი დიდი ჯგუფის ენა თანდათანობით დაცილდა ფუძეენას, ჩამოყალიბდა ცალკე ენად – სვანურად, რომელმაც ყველაზე უფრო მეტად შემოინახა დედაენის დამახასიათებელი ნიშან-თვისებანი. პირველმა მიგრანტებმა – სვანებმა თანდათანობით დაიკავეს დღევანდელი კოლხეთის დაბლობი.



სურ. 3. სქემა: საერთოქართველური ფუძეენის დიფერენციაცია [206], [142].
A – საერთო ქართველური ფუძეენა
B – ქართულ-ზანური (ქართულ-კოლხური)
C – ქართული
D – ზანური (მეგრულ-ჭანური)
G – სვანური

ქართველურ ენათა დიფერენციაციის შემდგომი ეტაპი ქართულ-კოლხური (ანუ ქართულ-ზანური) ერთობის დაშლით აღინიშნა. მას გამოეყო ჯერ დასავლური დიალექტის მატარებელი ეთნიკური ჯგუფი, რომელმაც თანდათანობით შეავიწროვა კოლხეთის დაბლობზე მცხოვრები სვანები, რომელთაც, თავის მხრივ, დაიკავეს დიდი კავკასიონის სამხრეთი კალთები, სადაც ამჟამადაც ცხოვრობენ. ქართულ-კოლხური ერთობიდან გამოყოფილი დასავლური დიალექტი თანდათანობით ჩამოყალიბდა კოლხურ, ანუ ზანურ (მეგრულ-ჭანურ) ენად, რომლის მატარებელი ეთნიკური ერთობა დამკვიდრდა დღევანდელი დასავლეთ საქართველოსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ვრცელ ტერიტორიაზე, ძველაღმოსავლურსა და ანტიკურ წყაროებში იგი კოლხეთის სახელით გახდება ცნობილი (უფრო დეტალურად ამ საკითხებზე ქვემოთ იქნება საუბარი).

ქართულ-კოლხური ერთობის დაშლის შემდგომ აღმოსავლურ-ქართველური დიალექტის (საკუთრივ ქართულ ენას რომ დაედო საფუძვლად) მატარებელი ეთნიკური ერთობა ნაწილობრივ დარჩა დასავლეთ მცირე აზიის ფარ-

გლებში, მაგრამ ამავე დროს განსახლდა როგორც სამხრეთით (სადაც მათ არსებული წყაროები მუშკების სახელით მოიხსენიებენ), ასევე დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც ანტიკურ სამყაროში „იბერიის“ სახელწოდებით გახდება ცნობილი.

ცალკეული ქართველური ენებისა და ეთნიკური ჯგუფების წარმოქმნა-განვითარების ზემოთ წარმოდგენილი სქემა, ზოგადი სურათი, ამჟამად საყოველთაოდაა აღიარებული სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში[14], მაგრამ ერთგვარი აზრთა სხვადასხვაობაა ქართველურ ენათა (და, მაშასადამე, მათი მატარებელი ეთნიკური ერთობების) წარმოქმნისა და დიფერენციაციის ცალკეული ეტაპების დათარიღების თაობაზე.

საერთოქართველური ფუძეენის არსებობა უკვე V ათასწლეულში თუ არა, IV-III ათასწლეულებისათვის უცილობლად უნდა იქნეს მიჩნეული [171, II, გვ. 880]. ეს ენობრივი სისტემა რომ ძვ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ არ იყო დიფერენცირებული, ამის მოწმობად მიაჩნიათ ქართველურსა და ლურსმულდამწერლობიან ხეთურში (ნესიტურში)[15] რიგი საერთო სტრუქტურული ნიშნების არსებობა ([171, II, გვ. 897-898]; [172]).

ენათა დიფერენციაციის დათარიღებისათვის თანამედროვე ენათმეცნიერებაში არსებობს საგანგებო მეთოდი, რომელსაც გლოტოქრონოლოგიურ მეთოდს უწოდებენ და რომელიც გულისხმობს ფუძეენის მონათესავე ენებად დაშლის პროცესის აბსოლუტურ დათარიღებას ლექსიკურ-სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე. ამ მეთოდის გამოყენებით ლინგვისტები საერთოქართველური ფუძეენის დიფერენციაციის დასაწყისს და სვანურის გამოყოფას ძვ.წ. II ათასწლეულით ათარიღებენ, ხოლო ქართულ-კოლხური (ქართულ-ზანური) ერთობის დაშლას დაახლოებით 1000 წლის შემდგომ ვარაუდობენ, ე.ი. ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისისათვის ([179, გვ. 35]; [149, გვ. 70]), ზოგიერთები კი – ძვ.წ. VIII-VII სს-ში [1068]. მაგრამ არქეოლოგები ასეთ დათარიღებას არ იზიარებენ (იხ. [1184, გვ. 20]; [166, გვ. 294]). კიდევ მეტი, ახალი ლინგვისტური კვლევის საფუძველზე შეიმჩნევა ტენდენცია ცალკეული ქართველური ენების წარმოქმნის გადათარიღებისა იმ ავტორთა შორისაც, რომელნიც ადრე იზიარებდნენ გლოტოქრონოლოგიური მეთოდებით ქართველურ ენათა დიფერენციაციის ზემოხსენებულ თარიღებს. ამ საკითხების განხილვას ჩვენ შეძლებისდაგვარად უფრო დაწვრილებით კვლავ დავუბრუნდებით ამ წიგნის მომდევნო ნაწილებში, რომელიც მიეძღვნება სხვადასხვა ეპოქების არქეოლოგიურ კულტურებს და მათი ეთნიკური ატრიბუციის პრობლემებს. ამჯერად კი მოკლედ შევაჯამებთ ქართველთა ეთნოგენეზისის პრობლემებთან დაკავშირებით ზემოთქმულს და წარმოვადგენთ დასკვნას.

ქართველები მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ხალხია. უკვე ძვ.წ. V-III ათასწლეულებში ამიერკავკასიის ზეგანზე ჩამოყალიბდა პრაქართული ანუ საერთოქართველური ენის მქონე დიდი ეთნიკური ერთობა,[16] რომელსაც ძველი მახლობელი აღმოსავლეთის არეალში ცხოველი და ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდა პრაინდოევროპული ფუძეენის მატარებელ ხალხებთან. ამ კონტაქტების შედეგად პრაქართველურმა ენამ შეიძინა რიგი სტრუქტურული ნიშნებისა, რომლის საფუძველზეც საერთოქართველურ ენობრივ სისტემას ინდოევროპულთან ერთად აქცევენ ენათა ერთ ტიპოლოგიურ (მაგრამ არა გენეტურ!) კლასში. ამასთან, ეს კონტაქტები განაპირობებენ საერთოქართველური ფუძეენის მატარებელთა კულტურის სიახლოვეს ძველაღმოსავლურ ცივილიზაციასთან. ურთიერთობანი გაგრძელდება შემდგომაც – ძვ.წ. III-II ათასწლეულებში, როდესაც მიმდინარეობს საერთოქართველური ფუძეენის დიფერენციაცია,[17] ცალკეული ქართველური ენებისა და იმ ეთნიკურ ერთობათა წარმოქმნა, რომლებიც შემდგომ გა-

---

[14] უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც: წინარექართველურს გამოეყო თავდაპირველად ქართული, ხოლო მოგვიანებით სვანურ-ზანური ერთობა დაიშალა სვანურად და ზანურად [154ა].

[15] ითვლება, რომ ხეთური (ნესიტური), ისევე როგორც ლუვიური და პალაური ენები წარმოიქმნენ ძვ.წ. III ათასწლეულის მიჯნაზე ძველანატოლიური ენობრივი ერთობიდან, რომელიც, თავის მხრივ, პრაინდოევროპულიდანაა გამოყოფილი [171, II, გვ. 863].

[16] საერთოქართველური ფუძეენის მატარებული ეთნოსის სავარაუდებელი პირველსაცხოვრისის ლოკალიზაციით ჯერ კიდევ ვერ წყდება კიდევ უფრო რთული საკითხი: არი თუ არა ეს ტერიტორია მათი მართლაც პირვანდელი სამშობლო თუ სავარაუდებელია მათი მიგრაციაც აქ სხვა ადგილებიდან? საკითხის ამგვარად დასმა იმითაა ნაკარნახევი, რომ ჯერ კიდევ დაუდგენელია პრაქართველურის „თავდაპირველი“ გენეტური ნათესაობა სხვა ენებთან, ე. ი. არაა დადგენილი ის ფუძეენა, რომლისგანაც წარმოიშვა „პრაქართველური“. ამ საკითხებთან დაკავშირებით არსებობს ე.წ. „ნოსტრატული ჰიპოთეზა“, რომელიც გულისხმობს ძველი სამყაროს მსხვილ ენათა ოჯახების (ინდოევროპულის, სემიტურის, ქართველურის, ურალურის, ალტაურის) შორეულ გენეტიკურ ნათესაობასა და ერთი ფუძეენიდან წარმომავლობას [171].

[17] სპეციალურ ლინგვისტურ ლიტერატურაში გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომლის თანახმად ივარაუდება ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე ქართველური ტომების ერთი ნაწილის მიგრაცია ხმელთაშუაზღვისპირეთში, რასაც თითქოს მოწმობს წინაბერძნულ და ადგილობრივ არაინდოევროპულ ენებში წარმოდგენილი ქართველური კომპონენტები ([146], [211]). უკანასკნელ წლებში კვლავ ერთობ პოპულარული გახდა აგრეთვე ჰიპოთეზა ქართველური და კავკასიის სხვა ენების მონათესაობისა ბასკურთან ([141], [174], [202-203], [161-162]).

ერთიანდნენ ბერძნულ-რომაულ სამყაროში ფართოდ ცნობილ პირველ ქართულ სახელმწიფოებში – კოლხეთსა და იბერიაში. ეს კი იყო შედეგი განვითარების ხანგრძლივი და რთული პროცესისა, რომელმაც შეამზადა ნიადაგი ერთიანი ქართველი ხალხისა და ქართული ცივილიზაციის შესაქმნელად. სწორედ ამ პროცესის წარმოსაჩენად შევეცდებით ვაჩვენოთ ადამიანთა საზოგადოების განვითარების ძირითადი ეტაპები დღევანდელი საქართველოს მიწა-წყალზე, ადამიანის პირველი მოსვლიდან ქრისტიანული კულტურის წარმოქმნამდე. საამისოდ საჭიროა გავეცნოთ ჯერ იმ წყაროებს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ძველი (ე.ი. წინაქრისტიანული) ხალხის საქართველოს ისტორიისა და კულტურის, ანუ ქართული ცივილიზაციის სათავეების მეცნიერული შესწავლა.

3. წყაროები

წყაროები, რომელთა საფუძველზეც ხდება ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეების, ე.ი. საქართველოს ტერიტორიაზე უძველეს (წინაქრისტიანულ) ეპოქებში მოსახლე ადამიანთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების ისტორიის შესწავლა, საკმაოდ მრავალფეროვანია. უპირველესი მნიშვნელობა საქართველოს ძველი და უძველესი ისტორიის კვლევისათვის ენიჭება არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებულ მატერიალური კულტურის ძეგლებს. ეს ბუნებრივიცაა, იმიტომ რომ უცხოური წარმოშობის წერილობითი წყაროები ქართველ ტომთა შესახებ მხოლოდ ძვ.წ. VIII ს-ის შემდგომი ხანიდან ჩნდება. მთელი წინამავალი პერიოდი კი, რომელიც მრავალათასწლოვან ხანას მოიცავს, მხოლოდ არქეოლოგიური მონაცემებითაა დღეს ცნობილი. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეების შესასწავლად, არქეოლოგიურ ძეგლებთან ერთად, უთუოდ დიდი მნიშვნელობისაა ძველქართული და უცხოური ისტორიულ-ლიტერატურული თხზულებანი, ეპიგრაფიკული ძეგლები, ეთნოგრაფიის, ანთროპოლოგიის, ფოლკლორისა და ლინგვისტიკის მონაცემები. მხოლოდ ასეთი მრავალფეროვანი წყაროების კრიტიკულად გამოყენებისა და მათი მონაცემების ურთიერთშეჯერების (როცა, რა თქმა უნდა, ამის საშუალებაა) საფუძველზეა შესაძლებელი მეტ-ნაკლებად სრული სურათის წარმოდგენა.

ა. წერილობითი წყაროები

1) ქართული წყაროები

ყოველი ქვეყნისა თუ ხალხის ისტორიის შესასწავლად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ეროვნული წერილობითი ძეგლებია.

ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია, როგორც კარგადაა ცნობილი, ქართული დამწერლობის შექმნას ძვ.წ. III ს-ს მიაკუთვნებს და უკავშირებს იმ დიდ რეფორმებს, რომლებიც ალმოსავლურქართული სახელმწიფოს – ქართლის სამეფოს (იბერიის) დამაარსელმა მეფე ფარნავაზმა განახორციელა [268, გვ. 26]. სამწუხაროდ, წინაქრისტიანული ხანის ქართულენოვანი დამწერლობის ძეგლები ჯერჯერობით აღმოჩენილი არაა. ზოგიერთი მკვლევარი ამ ფაქტს იმ გარემოებით ხსნის, რომ თითქოს წარმართული ეპოქის ძველქართული წერილობითი ძეგლები (და შესაბამისად თავისი არსებით წარმართული იდეოლოგიის წინაქრისტიანული ლიტერატურა) ქრისტიანობამ გაანადგურა [246, გვ. 3], რომელიც ქართლის სამეფოში ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად IV ს-ის პირველ ნახევარში გამოცხადდა. ასეთი ახსნა წინაქრისტიანული ხანის ქართულენოვანი დამწერლობით შესრულებული ძეგლების დღემდე უქონლობისა დამაჯერებელი ვერაა. თუ ლიტერატურული (ე.ი. არაქრისტიანული იდეოლოგიის) თხზულებანი შეგნებულად გაანადგურეს, მაშ რატომ არაა შემორჩენილი ქართულენოვანი წარწერები მაინც? არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილია, მაგალითად, ბერძნული, არამაული, ებრაული წარწერები, მაგრამ ჯერჯერობით არ ჩანს წინაქრისტიანული ეპოქის ქართულენოვანი ეპიგრაფიკული ძეგლები. ასე რომ, საკითხი საკმაოდ რთულია და მარტივი მიდგომა გაუმართლებელია. აქ დგება უაღრესად რთული და კარგა ხანია ცხოველი დისკუსიის საგნად ქცეული პრობლემა ქართული დამწერლობის წარმოშობის და ანბანის შესახებ.

ქართული ანბანი ძველი ქართული ცივილიზაციის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი მემკვიდრეობაა, რომელსაც ქართველი კაცი მუდამ უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით ელოლიავებოდა. ამის თვალსაჩინო მოწმობაა ქართული ასომთავრული ანბანის მთლიანად წარმოდგენა საშაალო საუკუნეების ქართულ ხელნაწერებსა და სხვა ძეგლებზე (რომელთაგან უძველესად ე.წ. დავათის სტელაა მიჩნეული – სურ. 5)[18]

ქართული ანბანი (სურ. 4), გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, დღეს მსოფლიოში არსებულ ანბანთა შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სრულყოფილი და ორიგინალური სისტემაა, რომლის 38 ნიშანთაგან თითოეული აქვს თავისი ბგერითი შესატყვისი და რიცხობრივი მნიშვნელობა.

ქართული დამწერლობის განვითარებაში სამ ძირითად საფეხურს გამოყოფენ: ძველი (V-IX სს.), საშუალო (IX-XI სს.) და ახალი (XI ს-დან დღემდე). ასეთ დაყოფას ასო-ნიშანთა დაწერილობის თავისებურება უდევს საფუძვლად. პირველ ეტაპზე ე.წ. „მრგვლოვანი“, ანუ „სომთავრული“ დამწერლობაა, მეორეზე – „ნუსხური“ თუ „ნუსხა-ხუცური“, მესამეზე კი –

[18] დაწვრ. ამ საკითხებზე იხ. რ. რამიშვილის, ვ. სილოგავას, კ. მაჩაბლისა და სხვ. ნაშრომები [227].

„მხედრული“ ან „საერო“. ითვლება, რომ ქართული დამწერლობის ეს სამივე ნაირსახეობა ერთმანეთთან გენეტურადაა დაკავშირებული: „მრგვლოვანიდან“ ანუ „ასომთავრულიდანაა“ წარმოძღვარი „ნუსხური“, რომელმაც, თავის მხრივ, „მხედრული“ წარმოქმნა; თუმც უნდა აღინიშნოს, რომ ქართული დამწერლობის განვითარების ზემოთ წარმოდგენილ სქემას ყველა მკვლევარი როდი იზიარებს. ზოგიერთი ფიქრობს, რომ „ნუსხური“ გაცილებით აღრეა წარმოქმნილი, ვიდრე იგი დღეუმენტურად გვაქვს დადასტურებული. აკად. გიორგი წერეთელის აზრით კი, „ასომთავრულსა“ და „ნუსხურს“ თავდაპირველად ერთი საერთო პირველწყარო ჰქონდათ: „ქართული დამწერლობის ეს ორი ტიპი გამოიყო და ვითარდებოდა თავდაპირველი ორიგინალისაგან, რითაც აიხსნება ის, რომ არქაული მოხაზულობა ერთ შემთხვევაში ნუსხურშია შემონახული, ხოლო სხვა შემთხვევაში – ასომთავრულში“ [234, II, გვ. 71].

„ასომთავრულით“ თუ „მრგვლოვანით“ შესრულებული ძველქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშები ჯერჯერობით ეპიგრაფიკული ძეგლებითაა წარმოდგენილი. ესენია: რელიეფური წარწერა ბოლნისის ბაზილიკაზე [229] და მოზაიკური წარწერა პალესტინაში, პეტრე იბერის მიერ დაახლოებით 433 წელს აგებულ მონასტერში [232].[19] ბოლნისის სიონის წარწერაში წარმოდგენილ რელიეფურად შესრულებულ ასო-ნიშანთა დახვეწილობა და სრულქმნილება სპეციალისტებს უფლებას აძლევს ამტკიცონ, რომ ჩვენამდე მოღწეული წარწერები ვერ ჩაითვლებიან ქართული დამწერლობის უძველეს ნიმუშებად: მას მანამდე უთუოდ განვლილი ჰქონდა განვითარების ხანგრძლივი გზა.[20]

ახლა ჩვენს წინაშე დადგა ურთულესი საკითხი ქართული ანბანის წარმოშობის დროისა და პირობების შესახებ. გამოთქმულია მრავალი ერთმანეთის საწინააღმდეგო და განსხვავებული მოსაზრებანი. მათგან მხოლოდ ზოგიერთს დავასახელებ.

ჯერ კიდევ 1876 წელს ვ. გარდტჰაუზენმა წამოაყენა თეორია ქართული ანბანის ბერძნული წარმოშობის შესახებ [237]. შემდეგ სხვადასხვა

[19] ზოგიერთი მკვლევარი ამ წარწერას, რომელშიც პეტრე იბერი იხსენიება, უფრო გვიანდელად მიიჩნევს.

[20] ბოლნისის სიონის მთავრული დამწერლობის წინა საფეხურად მიიჩნევენ ურბნისის სიონის 3 სტრიქონიან სამშენებლო წარწერას, რომელიც შედგება 16 ასოს აღმნიშნელი 29 გრაფემისაგან და ათარიღებენ V ს-ის პირველი ნახევრით [270, გვ. 62-63]. უკანასკნელ ხანებში ბოლნისის წარწერის თარიღის შესახებ გაიშალა ცხარე დისკუსია. მკვლევართა ერთი ნაწილი უარყოფს ტრადიციულ დათარიღებას V საუკუნით და მას (შესაბამისად ტაძარს – ბაზილიკასაც) IV საუკუნით ათარიღებს (იხ. [228 და იქ დასახ. ლიტერატურა]).

ვერსიით გამოითქვა მოსაზრებანი, რომ ქართული ანბანის პროტოტიპად უნდა მიიჩნეულ იქნეს ძველარანული („სპარსულ-არამეული“) დამწერლობა [238]. აკად. ივ. ჯავახიშვილი ქართული დამწერლობის არსებობას უკვე ძვ.წ. VIII ს-დან ვარაუდობდა და მას ფინიკიურ-არამეულიდან წარმოშობილად მიიჩნევდა [233].

I	II	III	IV
Ⴀ	ⴀ	ა	1
Ⴁ	ⴁ	ბ	2
Ⴂ	ⴂ	გ	3
Ⴃ	ⴃ	დ	4
Ⴄ	ⴄ	ე	5
Ⴅ	ⴅ	ვ	6
Ⴆ	ⴆ	ზ	7
Ⴇ	ⴇ	ჱ	8
Ⴈ	ⴈ	თ	9
Ⴉ	ⴉ	ი	10
Ⴊ	ⴊ	კ	20
Ⴋ	ⴋ	ლ	30
Ⴌ	ⴌ	მ	40
Ⴍ	ⴍ	ნ	50
Ⴎ	ⴎ	ჲ	60
Ⴏ	ⴏ	ო	70
Ⴐ	ⴐ	პ	80
Ⴑ	ⴑ	ჟ	90
Ⴒ	ⴒ	რ	100
Ⴓ	ⴓ	ს	200
Ⴔ	ⴔ	ტ	300
Ⴕ	ⴕ	ჳ	
Ⴖ	ⴖ	ფ	400
Ⴗ	ⴗ	ჴ	500
Ⴘ	ⴘ	ყ	600
Ⴙ	ⴙ	შ	700
Ⴚ	ⴚ	ჵ	800
Ⴛ	ⴛ	ჭ	900
Ⴜ	ⴜ	ც	1000
Ⴝ	ⴝ	ძ	2000
Ⴞ	ⴞ	წ	3000
Ⴟ	ⴟ	ჶ	4000
Ⴠ	ⴠ	ჷ	5000
Ⴡ	ⴡ	ხ	6000
Ⴢ	ⴢ	ჯ	7000
Ⴣ	ⴣ	ჸ	8000
Ⴤ	ⴤ	ჰ	9000
Ⴥ	ⴥ	ჯ	10000

სურ. 4. ქართული ანბანი: I. ასომთავრული; II. ნუსხური, III. მხედრული; IV. რიცხვითი შესატყვისობანი

საქართველოში, კერძოდ კი მცხეთასა და მის მიდამოებში, არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ახ.წ. პირველი საუკუნეების არამეული (უფრო სწორად, „არმაზულად“ წოდებული მისი ერთ-ერთი სახეობის) დამწერლობით შესრულებული წარწერების საფუძველზე აკად. გ. წერეთელი ამტკიცებდა ქართული ანბანის გენეტურ კავშირს ძველარამეულ სისტემასთან. მაგრამ ამასთან, გ. წერეთელი ითვალისწინებს ბერძნული დამწერლობის სრულიად აშკარა გავლენასაც, რომელიც „შესაძლოა გაძლიერდა საქართველოს გაქრისტიანების დროს, როდესაც გაჩნდა ქართული დამწერლობის ბერძნულთან მისადაგების აუცილებლობა. შესაძლოა სომხურ ცნობებში მესროპ მაშტოცის მოღვაწეობის შესახებ[21] შემოინახა გამოძახილი მოვლენებისა, რომელნიც მოხდა ქართული დამწერლობის რეფორმისას საქართველოს გაქრისტიანების შემდეგ. ძირითადი მასალა კი, რომლისგანაც ქართული ანბანია შედგენილი, უთუოდ წარმომდგარია არამეულისაგან, რომელიც დაედო საფუძვლად აღმოსავლური შრიფტის მთელ რიგს. ამის გამო არ შეიძლება ქართული ანბანის წარმოშობა დავუკავშიროთ ქრისტიანობის ეპოქას, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ძირითად ქარგად წინაქრისტიანულ ენობრივ საფუძველს კი არ აიღებდნენ, არამედ გამოიყენებდნენ ბერძნულ დამწერლობას, რომელსაც საქართველოში უკვე ჰქონდა იმ დროისათვის გავრცელების და განვითარების ხანგრძლივი ტრადიციები. ქართულსა და ბერძნულს შორის ზოგიერთი მსგავსება ასოთა რიგის თანამიმდევრობაში გვიანდელ ცვლილებათა შედეგია და ქართული ანბანის ბერძნული წარმოშობის მოწმობად ვერ მიიჩნევა. ამითვე აიხსნება ისიც, რომ მიუხედავად თანხვედრებისა, მთელ რიგ შემთხვევაში ქართულ ასოთა თანამიმდევრობა სცილდება ბერძნულს და ესადაგება სემიტურს“ [234, II, გვ. 70-71].

ქართული ანბანის წარმოშობის საკითხები უკანასკნელ ხანებში კვლავ იქცა ცხოველი განსჯის საგნად და მას სხვადასხვა თვალთახედვით უდგებიან. ძირითადად იმოწმებენ ძველ ქართულ საისტორიო ტრადიციას, რომელიც ქართული დამწერლობის („მწიგნობრობა ქართული“) შექმნას მეფე ფარნავაზს მიაწერს. ამასთან, ძველქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკის [229] და, საერთოდ, ქართული დამწერლობის მთელი სტრუქტურის ანალიზის (აგრეთვე ეროვნულ წარმართულ კალენდართან კონტექსტში განხილვის) საფუძველზე ავითარებენ იდეას ქართული ანბანის ძვ.წ. IV-III სს-ში წარმოშობის შესახებ, ძირითადად არამეულის ბაზაზე [230]. გამოქვეყნებულია მოსაზრებაც, რომელიც ცნობას ფარნავაზის მიერ ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ განიხილავს როგორც დაშიფრულ ინფორმაციას, რომლის ახსნაც თითქოს შესაძლებელია ქართული ანბანის რიცხობრივი სისტემის საფუძველზე [231]. ამ მოსაზრებებისაგან განსხვავებით, აკად. თ. გამყრელიძე ავითარებს იდეას ქართული ანბანის ბერძნულიდან წარმოშობის შესახებ საქართველოში ქრისტიანობისა და ქრისტიანული კულტურის გავრცელებასთან კავშირში. წინაქრისტიანულ ხანაში კი, მისი აზრით, ქაოლის სამეფოში ხმარობდნენ უცხოურ დამწერლობას, რომლის ახ.წ. პირველი საუკუნეების ნიმუშები მრავლადაა აღმოჩენილი არქეოლოგიური გათხრების შედეგად. ესაა არამეული დამწერლობით შესრულებული წარწერები, რომლებიც მოწმობენ, რომ სახელმწიფო დამწერლობად აღიარებული იყო არამეული. ადგილობრივი ქართული ტექსტები ითარგმნებოდა და არამეულად ფიქსირდებოდა, ისევე როგორც ეს დადასტურებულია ძველი ირანისა და მახლობელი აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში. ეს წესი „ალოგლოტოგრაფიის“ სახელითაა სპეციალურ ლიტერატურაში ფართოდ ცნობილი [226].



სურ. 5. დავათის სტელა [227].

ამრიგად, ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხი უაღრესად რთულია და კვლავ სადისკუსიო. ფაქტია, რომ საღღეისოდ ქრისტიანობის წინა ხანის ქართული წერილობითი ძეგლები ჯერ აღმოჩენილი არაა. ნიშნავს ეს, რომ მანამდე (ყოველ შემთხვევაში, ქრისტიანობის გავრცელებამდე) ქართული დამწერლობა არ არსებობდა? ეფიქრობ, რომ ამ საკითხზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა ამჟამად შეუძლებელია. „ქართლის ცხოვრების“ თავდაპირველ ნაწილში („ცხოვრება ქართველ მეფეთა ...“, რო-

[21] აქ ნაგულისხმევი ცნობით, სომეხ მოღვაწეს მესროპს თუ მაშტოცს მიეწერება ქართული ანბანის შექმნა. ამ გადმოცემათა გონებამახვილური კრიტიკა იხ. [426, გვ. 93-94].

მელიც ლეონტი მროველს მიეწერებოდა) ცნობა ფარნავაზმა შექმნაო „მწიგნობრობა ქართული“, უფრო ძალზე ანგარიშგასაწევია, რამდენადაც თითქმის ყველა ცნობა მეფე ფარნავაზის რეფორმების შესახებ დოკუმენტურად და არქეოლოგიურად დადასტურდა (დაწვრ. იხ. ამ წიგნის IV კარში, აგრეთვე, [1597, გვ. 12 და შემდ.]). მაგრამ, რა თქმა უნდა, ძნელია დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ ზემოთ მოტანილ ცნობაში „მწიგნობრობა ქართული“ მაინცდამაინც ქართული „ასომთავრული“ დამწერლობა იგულისხმებოდა. უცილობელი მხოლოდ ისაა, რომ ქართლის პირველივე მეფის – ფარნავაზის დროს პირველ რიგში ოფიციალური სახელმწიფო დოკუმენტაციის წარმოებისათვის შეიქმნა თუ გამოყენებულ იქნა დამწერლობა, რომელსაც ჩვენმა ეროვნულმა ოფიციალურმა მატიანემ „ქართული მწიგნობრობა“ უწოდა. იქნებ ეს იყო მართლაც არამეული დამწერლობა, რომლის ნიმუშები არქეოლოგიურად ახ.წ. პირველი საუკუნეებისთვის დადასტურდა ქართლის სხვადასხვა ცენტრებში, და როგორც აკად. თ. გამყრელიძე ვარაუდობს, წარმოადგენდა სახელმწიფო ოფიციალურ დამწერლობასა და ენას, რომლითაც იწერებოდა ქართულიდან ნათარგმნი ტექსტები. ვიმეორებ, ძალზე ძნელია ამ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა. ერთი რამ კი სრულიად აშკარაა: ქართლის სამეფოს კარზე ნამდვილად წერილობით ფიქსირდებოდა მეფეთა საქმიანობა და მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელთა აღწერილობა ცალკეული ქრონიკების სახით შემოინახეს საუკუნეების ქარცულმა წყაროებმა. ასეთი კატეგორიული ვარაუდის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ საუკუნეების ქართულ წყაროებში შემონახული წინაქრისტიანული ხანის ქართლის მეფეთა თუ სხვა მოღვაწეთა სახელები იზსენიება ბერძნულ-რომაულ წყაროებსა და აგრეთვე ეპიგრაფიკულ ძეგლებში, ხოლო ცალკე მოვლენების რეალურობა დასტურდება არქეოლოგიური მონაცემებითაც. ამიტომაც, მართებული უნდა იყოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ წინაქრისტიანული ხანის ქართლის სამეფოს ისტორიის აღწერილობისას საუკუნეების ქართველ ისტორიკოსებს უთუოდ ხელთ ჰქონდათ უძველესი („ქართული მწიგნობრობით“ შესრულებული) ისტორიული ქრონიკები, ან უფრო სწორი იქნებოდა ვივარაუდოთ – ამ ქრონიკებში ასახული მოვლენების ზეპირსიტყვიერი ტრადიცია; შესაბამისად, საუკუნეების ქართულ წყაროებს უთუოდ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება წინაქრისტიანული ხანის საქართველოს ისტორიის შესწავლაში. ამიტომ მოკლედ მიმოვიხილოთ ეს წყაროები.

ჩვენამდე სადღეისოდ მოღწეული ძეგლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, V და მის მომდევნო საუკუნეებში საქართველოში უკვე არსებობს საკმაოდ დაწინაურებული და თვითმყოფადი ადგილობრივი სკოლა ჰაგიოგრაფიული და საისტორიო ლიტერატურისა ([246], [257-258]). იქმნება მაღალმხატვრული ნაწარმოებები ქრისტიანობისა და სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის წამებულ თუ თავდადებულ ისტორიულ პირთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ: იაკობ ცურტაველის „წამებაჲ წმინდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“ (V ს.), უცნობი ავტორის „მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ ევსტათე მცხეთელისაჲ“ (VI ს.), იოანე საბანისძის „წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესსა ბაბოისი“ (VIII ს.), ბასილ ზარზმელის „ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ ღმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი“ (X ს.), გიორგი მერჩულეს „შრომაჲ და მოღვაწეობაჲ ღირსად ცხოვრებისა წმინდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისა“ (X ს.) და მრავალი სხვ. [65].

ზემოთ დასახელებული თხზულებანი, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, წყაროა იმ ეპოქის საქართველოს ყოფისა და კულტურის შესასწავლად, რომელშიც ისინი იქმნებოდნენ. მაგრამ ჩვენთვის ამჯერად ისაა მნიშვნელოვანი, რომ ადრე საშუალო საუკუნეების ეპოქის (V-X სს.) ქართული ლიტერატურის ამ ძეგლებმა შემოინახეს წინამორბედი ხანის სოციალური და პოლიტიკურ-სამართლებრივი, აგრეთვე მატერიალური და სულიერი კულტურის ამსახველი ტერმინოლოგია, რომელთა შესწავლის საფუძველზე მკვლევართ დღეს საშუალება აქვთ უძველესი სოციალური, პოლიტიკური და კულტურული სტრუქტურების რეკონსტრუქციისა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ტერმინების შედარებით შესწავლას, ბიბლიის (ძველი და ახალი აღთქმის) ქართულ თარგმანებში რომაა წარმოდგენილი.[22]

V-XI სს-ის ქართულ ლიტერატურაში ორი თხზულებაა, რომლებიც საგანგებოდ ეძღვნება ქართველი ხალხის ისტორიის უძველეს პერიოდს. პირველს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ეწოდება და, როგორც სათაურიდან ჩანს, ქართლის გაქრისტიანების ამბავს უნდა გადმოგვცემდეს, მაგრამ არსებითად მასში ქართველთა უძველესი ისტორიაცაა წარმოდგენილი. ეს თხზულება ორი რედაქციითაა ცნობილი: შატბერდისეული (რომელიც X ს-ის 70-იან წლებშია შატბერდის მონასტერში გადაწერილი) და ჭელიშისეული (ჭელიშის მონასტერში ნაპოვნი ხელნაწერის

[22] ბიბლიის პირველი ქართული თარგმანების არსებობას საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების დასაწყისიდანვე ვარაუდობენ, რის მოწმობაც V-VII სს-ის ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში დაცულ ფრაგმენტებს მიიჩნევენ. ბიბლიის სადღეისოდ შემორჩენილი უძველესი ხელნაწერი ტექსტი, ე.წ. „ოშკის ბიბლია“, 978 წლით თარიღდება (დაწვრ. ბიბლიის ქართული თარგმანებისა და ხელნაწერთა შესახებ იხ. [250]; [252]; [264]; [266]).

მიხედვით შერქმეული). „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ორი ნაწილისაგან შედგება. პირველს, ჩვეულებრივ, „ქრონიკა“-ს უწოდებენ და მასში გადმოცემულია ქართლის სამეფოს (ბერძნულ-რომაული წყაროების „იბერიის“) ისტორია ალექსანდრე მაკედონელის დროიდან IX საუკუნემდე. მეორე ნაწილი „წმინდა ნინოს ცხოვრებად“ იწოდება და მოგვითხრობს ქრისტიანობის გავრცელებისა და ქართლის სამეფოში მის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ძველქართული საისტორიო წყაროს თარიღისა და მისი შემადგენელი ნაწილების ურთიერთკავშირის შესახებ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა ([245], [254], [257], [262], [271], [272], [273]). მკვლევართა უმრავლესობას „ქრონიკა“ და „წმინდა ნინოს ცხოვრება“ ორ სხვადასხვა დროს დაწერილ თხზულებად მიაჩნია, რომელიც საბოლოო სახით მხოლოდ IX ს-ის 30-იან წლებში გააერთიანეს. წინაქრისტიანული ხანის ქართლის სამეფოს უძველესი ისტორიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორედ პირველი ნაწილი, „ქრონიკებად“ წოდებული, რომელმაც შემოგვინახა ნუსხა წარმართი ქართველი მეფეებისა და ცნობები მათ სამშენებლო მოღვაწეობაზე. მათი რეალობა ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობებით, ეპიგრაფიკული ძეგლებითა და არქეოლოგიური მონაცემებითაც დასტურდება [262, გვ. 48-50]. აღიარებულია, რომ „ქრონიკა“, რომელსაც თავიდანვე ეწოდებოდა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, შედგენილია VII საუკუნეში ან VIII საუკუნის დასაწყისში.[23] ივარაუდება, რომ, მისი ავტორი სარგებლობდა როგორც ბერძენ-რომაელ ავტორთა თხზულებებით (მათ შორის ფსევდოკალისთენეს რომანით ალექსანდრე მაკედონელის შესახებ), ასევე წინაქრისტიანული ხანის ქართველ მეფეთა სამშენებლო საქმიანობის ამსახველი ქრონიკებით, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ. გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ „ქრონიკა“ შესაძლოა წარმოადგენდეს რაღაც ვრცელი მატიანის ექსცერპტულ ვარიანტს.

„მოქცევაჲ ქართლისაჲსთან“ ერთად ქართველთა უძველესი ისტორიისათვის დიდმნიშვნელოვანი წყაროა საშუალო საუკუნეებში შედგენილი ოფიციალური საისტორიო მატიანე – კრებული „ქართლის ცხოვრება“, ანუ „საქართველოს ისტორია“ [268].[24]

„ქართლის ცხოვრება“ შედგენილია ჯერ უგვიანეს XII საუკუნისა, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ ეს კრებული უკვე XII საუკუნეშია ძველსომხურად ნათარგმნი და ჩვენამდე XIII ს-ის ხელნაწერითაა მოღწეული [268ა]. XIII ს-ის შემდგომ „ქართლის ცხოვრება“ ივსებოდა უკვე საქართველოს ისტორიის მომდევნო პერიოდების ამსახველი თხზულებებით. ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა პირველი კრებული, რომელშიც წარმოდგენილია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან 1125 წლამდე, ე.ი. ქართველთა დიდი მეფის – დავით აღმაშენებლის გარდაცვალებამდე. „ქართლის ცხოვრების“ ეს ე.წ. პირველი ციკლი ჩვენამდე მოღწეულია 20-ზე მეტი ხელნაწერით, რომელთაგან ყველაზე უფრო ადრეული 1479-1495 წწ. გადაწერილი ე.წ. ანასეული ნუსხაა.[25] „ქართლის ცხოვრება“ შედგება სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი თხზულებებისაგან, რომლებიც ქრონოლოგიური პრინციპითაა დალაგებული. ქართველთა უძველესი ისტორია გადმოცემულია პირველ ნაწილში, რომელსაც ეწოდება „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“. მისი ავტორის, დაწერის დროისა და შედგენილობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული ([243], [257], [259], [261], [262], [272]). მკვლევართა უმრავლესობა ერთი მინაწერის საფუძველზე ვარაუდობს, რომ მისი ავტორი XI ს-ის რუსელი (ე.ი. მროველი) ეპისკოპოსი იყო,[26] მაგრამ არსებობს აზრიც, რომ ლეონტი მროველი „ქართლის ცხოვრების“ პირველი ციკლის მხოლოდ რედაქტორ-შემდგენელია თუ რედაქტორ-გადამწერი ან ზოგიერთი სხვა თხზულების ავტორი. „ცხოვრება ქართველთა მეფეთა ...“ კი უცნობი ავტორისაა და დაწერილია VII-VIII ს-ში ([262, გვ. 52]; შდრ. [274, გვ. 107]) ან V ს-შიც კი [275].[27] როგორც არ უნდა გადაწყდეს

[23] გამოთქმულია მოსაზრებაც, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს „ქრონიკა“ შედგენილია V ს-ში – ვახტანგ გორგასლის დროს [271, გვ. 81-89], თუმც მის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულებაცაა [272, გვ. 30, შენიშვნა 3].

[24] ძველი ქართული სიტყვა „ცხოვრება“ ნიშნავდა აგრეთვე „ისტორიას“. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, ბერძნული ტერმინია და ქართულ ლიტერატურაში პირველად XIII ს-ის დასაწყისშია დადასტურებული: თამარ მეფის ცხოვრების აღმწერელი უცნობი ავტორის თხზულებას ეწოდება „ისტორიანი და ზმანი შარავანდედთანი“.

[25] „ქართლის ცხოვრების“ შექმნის ისტორიისა და ხელნაწერთა ვარიანტების შესახებ დაწერ. იხ. ([249, გვ. 8-72]; [268, გვ.7-54], [259], [239]).

[26] „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ თხზულებაში, რომელსაც ეწოდება „წამება წმინდისა და დიდებულ მოწამისა არჩილისა“, აღნიშნულია, რომ ეს ნაწარმოები, ისევე როგორც „ცხოვრება ქართველთა მეფეთა ...“ და „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ „აღწერა ლეონტი მროველმა“ [268, გვ. 244]. ლეონტი მროველის სახელი დადასტურებულია აგრეთვე XI ს-ის რამდენიმე ხელნაწერის „მინაწერში“ [268, გვ. 21-22] და იხსენიება აგრეთვე 1066 წლით დათარიღებულ ერთ წარწერაში [248].

[27] „ქართლის ცხოვრების“ შედგენის დროისა და პირობების, კრებულის თავდაპირველი შედგენილობის, კომპოზიციის, სტრუქტურის, ცალკეულ ნაწილთა ავტორებისა და პირველადი სათაურების და სხვა ამ რიგის საკითხებთან დაკავშირებით ჟურნალმა „მაც-

ეს საკითხი, მაინც ნათელია, რომ ეს არის ძველი ქართული ოფიციალური მატიანე, რომელიც მკითხველს აცნობდა საქართველოს ისტორიის უმთავრეს მოვლენებს ქვეყნის დასაბამიდან.

„ცხოვრება ქართველთა მეფეთა ...“ იწყება ქართველთა და კავკასიის სხვა ხალხების წარმოშობის შესახებ თხრობით. მათ, ავტორის მტკიცებით, ერთი საერთო წინაპარი ჰყოლიათ – ნოეს შთამომავალი თარგამოსი. საკუთრივ ქართველთა წინაპრად კი გამოცხადებულია თარგამოსის რვა შვილთაგან ერთ-ერთი, სახელად ქართლოსი, რომელიც ორი მდინარის – მტკვრისა და არაგვის შესართავთან დამკვიდრებულა და ამ ადგილისათვის „ქართლი“ უწოდებია. ამის შემდგომ ავტორი მოგვითხრობს ხაზართა შემოსევაზე და შემდეგ ალექსანდრე მაკედონელის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ მოვლენებზე, აზოს მოსვლაზე, ქართლის სამეფოს დამაარსებელ მეფე ფარნავაზზე, მის ბრძოლებზე უცხოელთა წინააღმდეგ და სახელმწიფოს შექმნაზე, მომდევნო მეფეებისა და ქართლის სამეფოს ისტორიის უმთავრესი მოვლენების შესახებ.

„ცხოვრება ქართველ მეფეთა“-ს მრავალი ცნობა, ადრე მხოლოდ ლეგენდარულად რომ იყო მიჩნეული, დადასტურდა არქეოლოგიური კვლევა-ძიებითა და ეპიგრაფიკულ ძეგლთა აღმოჩენებით, რამაც ძირფესვიანად შეცვალა ადრე გამოთქმული სკეპტიკური დამოკიდებულება [273, გვ. 183] საშუალო საუკუნეების იმ ქართული საისტორიო წყაროების მიმართ, რომელშიც წარმოდგენილია წინაქრისტიანული ხანის საქართველოს (ქართლის სამეფოს) ისტორია.

საგანგებო წყაროთმცოდნეობითმა გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ავტორი სარგებლობდა მრავალფეროვანი წყაროებით, რომელთაგან ზოგიერთს თვითონვე ასახელებს: „ცხოვრება სპარსთა“, „წიგნი ბერძენთა“, „მოქცევა ბერძენთა“, „ცხოვრება სომეხთა“ [268, გვ. 3, 69]. ვარაუდობენ, რომ ავტორი იყენებდა აგრეთვე ქართლის პირველი მეფეების შესახებ ზეპირსიტყვიერ გადმოცემებს [262, გვ. 254-257], რომელთაგან ზოგიერთი შესაძლოა მოგვიანებით დაწერილი ცალკე თხზულების სახითაც კი არსებობდა, მაგ. ფარნავაზის – ქართლის სამეფოს დამაარსებლის შესახებ [243]. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რომ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ავტორი მოიხსენებს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-საც. აკად. გ. მელიქიშვილი ვარაუდობს, რომ მან გამოიყენა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს შატბერდისეულ და ჭელიშურ კრებულებში დაცული „ქრონიკა“ კი არა, არამედ მისი უფრო სრულყოფილი ვარიანტი, რომელიც შესაძლოა შექმნილი იყო უფრო ძველი ე.წ. „სამეფო ანუ საშენებლო მატიანის“ საფუძველზე ([441, გვ. 26-28], შდრ. [262, გვ. 57-60]). უკანასკნელ ხანებში ძლიერდება ტენდენცია, რომლის თანახმად „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ც და „ქართლის ცხოვრება“-ც ქართველთა უძველესი ისტორიის გადმოცემისას ეფუძნებოდა VII ს-ის ქართულ მატიანეს, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ მისი კვალი ჩანს ზემოდასახელებულ ორივე თხზულებაში [272, გვ. 47-65]. მკვლევარნი ყურადღებას აქცევენ იმ უცილობელ ფაქტსაც, რომ მემატიანე ზოგიერთ შემთხვევაში საკმაოდ დაწვრილებით აღწერს ცალკეულ მოვლენებს, სხვაგან კი მხოლოდ მეფის მოხსენიებით იფარგლება და არაფერს იუწყება მისი საქმიანობის ან მის დროს მომხდარი საგარეო თუ საშინაო მოვლენების შესახებ. ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ძველი ისტორიკოსი ობიექტურად სარგებლობდა მის ხელთ არსებული წყაროების ჩვენებებით, რაც უთუოდ აძლიერებს „ცხოვრება ქართველთა მეფეთას“ ცნობების მეცნიერულ ღირებულებას.

ამგვარად, თუმც ჩვენამდე მოღწეული ეროვნული ნარატიული წერილობითი წყაროები ქართველთა უძველესი ისტორიის შესახებ მხოლოდ საშუალო საუკუნეებისაა, მათ მაინც შემოგვინახეს უაღრესად დიდი მეცნიერული ინფორმაციის შემცველი ცნობები, რომელნიც კრიტიკული წყაროთმცოდნეობითი ანალიზისა და ბერძენ-რომაელ თუ სხვა უცხო ავტორთა თხზულებებთან, არქეოლოგიურ და სხვა მონაცემებთან შეჯერების საფუძველზე შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ ქართველთა უძველესი ისტორიის ურთულესი საკითხების კვლევისას. ეს წყაროები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფარნავაზის მიერ შექმნილი სახელმწიფოებრიობის და, მაშასადამე, სწორედ ძველი ქართული ცივილიზაციის საწყისი ეტაპის ისტორიისათვის.

ადგილობრივი წყაროების რიგს მიეკუთვნებიან ეპიგრაფიკული ძეგლებიც: ქვასა და ლითონზე (ბრინჯაოს ფილებსა თუ ვერცხლის ნივთებზე) ამოკვეთილი წარწერები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შესრულებულია სხვა (ბერძნულ, არამეულ, ებრაულ) ენებზე. მათგან საგანგებოდაა აღსანიშნავი, აღმოსავლეთ საქართველოში:

ა) ბერძნული წარწერა რომის იმპერატორის ვესპასიანესი, მცხეთის მახლობლად 1887 წელს აღმოჩენილი ([286]); ბ) „არმაზის ბილინგვა“ 1940 წელს აღმოჩნდა არმაზისხევში და შესრულებულია ბერძნული და არამეული დამწერლობის თავისებური სახეობით („არმაზულით“) ([285], [277], [291], [295], [304], [305]); გ) ბერძნული წარწერები არმაზციხე-ბაგინეთიდან

ნემ“ (ისტორიის, ... სერია) წამოიწყო საინტერესო დისკუსია და, საერთოდ, „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის წყაროთმცოდნეობითი ანალიზისადმი მიძღვნილი მასალების პუბლიკაცია [269].

[282]; დ) ბერძნული წარწერა IV ს-ისა მცხეთიდან, რომელშიც იხსენიება მთავარი მხატვარი და ხუროთმოძღვარი ავრელი აქოლისი [278, გვ. 253]; ე) არამეული (არმაზული) ერთენოვანი წარწერა ახ. წ. I-II სს. მცხეთიდან ([303], [304]); ვ) არამეული წარწერები უფლისციხიდან [290] და დედოფლის გორიდან [292-293]; ზ) ებრაული წარწერები IV-V სს-ისა მცხეთიდან [284]; თ) ზედწერილები თუ საკუთარი სახელები ბერძნულსა და არამეულზე, რომლებიც გვხვდება საბეჭდავებზე თუ ლითონის ნივთებზე [280].

ბერძნული წარწერები აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოშიც – ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე. ელინისტური ხანის ამ წარწერებიდან ერთი უშერის ნაქალაქარზეა ნაპოვნი ([299], [300]), ორი – ვანის ნაქალაქარზე [281], [302], [298].

საქართველოს ძველი ისტორიისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლები. ჩრდ. კავკასიაში (ყუბანში, ხუტორ ზუბოვკასთან) ნაპოვნია ძვ.წ. V ს-ის ვერცხლის თასი ბერძნული წარწერით, რომელშიც იხსენიება ქალაქი ფასისი ([278, გვ. XI-XII]; [1369], სრული ბიბლიოგრაფიისათვის იხ. გვ. 15-18). ძველი კოლხეთის კიდევ ერთი ქალაქი აფსარისი ახ.წ. პირველ საუკუნეებში იხსენიება იტალიის ქ. ნოლასთან აღმოჩენილ წარწერასა [1501] და ერთ-ერთ ალექსანდრიულ (ეგვიპტე) პაპირუსში [1505], [1537]. იტალიის ქალაქ ოსტიაში აღმოჩენილია II ს-ის ლათინური წარწერა, სადაც მოხსენიებულია იბერიის (ქართლის სამეფოს) მეფე ფარსმანი [307], ხოლო რომში – ბერძნული ეპიტაფია იბერთა მეფის მითრიდატეს ძმის ამაზასპის ხსენებით [306].

ჯვრჯვრობით არაა ნაპოვნი ადგილობრივ, მაგ. კოლხურ ენაზე შესრულებული წარწერები, თუმც უნდა აღინიშნოს, რომ ძვ.წ. III ს-ის ბერძენი პოეტი და მეცნიერი აპოლონიოს როდოსელი წერდა: კოლხებს „შემონახული აქვთ თავიანთი მამთაგან ნაწერი კირბები,[28] რომლებზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“ („არგონავტიკა“, IV, 279-291). ამ ცნობის საფუძველზე ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს ძველ კოლხეთში დამწერლობის არსებობას ([318, გვ. 150-169], შდრ. [441, გვ. 215]). ამ მოსაზრების სასარგებლოდ იმოწმებენ აგრეთვე ზოგიერთ ბერძენ მწერალ-ევჰემერისტს (ასე იწოდებოდნენ ძვ.წ. IV ს-ის ბერძენი მწერლისა და ფილოსოფოსის ევჰემეროსის მიმდევრები), რომელნიც ცდილობდნენ ოქროს საწმისის შესახებ მითის რაციონალურ ახსნას. მაგალითად, II ს-ის ერთ-ერთ ანონიმურ ტრაქტატში შემონახულია საინტერესო ცნობა, რომლის პირველწყარო ძვ.წ. IV ს-ის ბერძენი ევჰემერისტი პალეფატე ივარაუდება: „კოლხეთში დაცული (ტყავი) ნამდვილად ოქროს საწმისი კი არ იყო (ეს პოეტური გამონაგონია), არამედ ტყავებზე ნაწერი წიგნი, რომელიც შეიცავდა იმის აღწერას, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ ოქრო ქიმიის საშუალებით ...“ [318, გვ. 439]. ამავე წყაროდან მომდინარეობს, როგორც ფიქრობენ, II-III სს-ის ევჰემერისტის – ხარაკს პერგამონელის ცნობა, რომელიც XII ს-ის ცნობილ ბიზანტიელ კომპილატორთან და კომენტატორთან ევსტათი თესალონიკელთანაა შემონახული: „ხარაკსი ამბობს, რომ ოქროს საწმისი იყო ეტრატზე აღნუსხული ხერხი ოქროდამწერლობისა, რომლის გამოც, როგორც ღირსსარწმუნოა, მოეწყო არგოს ლაშქრობა“ [318, გვ. 447]. მსგავსი შინაარსის ცნობებს სხვა გვიანდელი ავტორებიც იმეორებენ, მაგალითად, VII ს-ის ისტორიკოსი იოანე ანტიოქელი, „სვიდას“ სახელით ცნობილი X ს-ის ლექსიკონი და სხვ. [318, გვ. 150 და შემდ.].

ამგვარ ცნობებს ემყარება სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება უძველესი კოლხური დამწერლობის არსებობაზე. სამწუხაროდ, ამ ცნობების რეალობისა და ჭეშმარიტების საფუძველი ჯერჯერობით არ გაგვაჩნია.

2) უცხოური წყაროები

წინაქრისტიანული ხანის საქართველოს ისტორიისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოურ წერილობით წყაროებს.

იმ ქართველ ტომთა შესახებ, რომელიც ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულიდან მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლეობდნენ, უძველესი, მაგრამ ძალზე ბუნდოვანი ცნობები შემონახულია ასურულ წყაროებში. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძვ.წ. XIII-XII სს-ის კოლხთა პირველი დიდი ეთნოპოლიტიკური გაერთიანების ისტორიისათვის გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებენ ასურეთის მეფეთა თუქულთა-ნინურტა I-ის და ტიგლათპალასარის „საზეიმო წარწერებს“ [325].

ძალზე მნიშვნელოვანია ძვ.წ. IX-VIII სს-ის ურარტული ლურსმული წარწერები, რომლებიც ძვირფასი წყაროა ისტორიული სამხრეთ-დასავ-

[28] სიტყვა „კირბი“ ძველ ბერძენ ავტორებთან სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. ზოგიერთს ისინი მიაჩნია ქვის, ლითონის ან გამომწვარი თიხისაგან დამზადებულ ფირფიტებად, რომელზედაც ბერძენ მმართველთა დრაკონისა და სოლონის კანონები იყო წერილობით წარმოდგენილი. ძვ.წ. II ს-ის ბერძენი მწერლის აპოლოდორის განმარტებით, „კირბები“ ყოველნაირ კანონსა და დოკუმენტს ეწოდებოდა. სხვა ავტორთა უმრავლესობა (თეოპომპე ქიოსელი, თეოფრასტე, აპოლოდორე, სვიდა) კირბების შექმნას ქალღმერთ კიბელას ქურუმებს – კორიბანტებს მიაწერს [318, გვ. 154-188].

ლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე პოლიტიკური გაერთიანებების („დიაუხი“, „კოლხა“ და სხვ.) ისტორიისა და გეოგრაფიისათვის [327]. უარყოფილ წყაროებში შემონახულ ონომასტიკურ და ტოპონიმიკურ მონაცემებს საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებენ აგრეთვე ეთნოგენეტიკური კვლევისას. უძველესი ქართველი ტომები იხსენიებიან აგრეთვე „ბიბლიაში“.

სამწუხაროდ, ძველი აღმოსავლური წყაროები ქართველ ტომთა შესახებ მაინც ძალზე მცირერიცხოვანია და ამასთან შეიცავს ცნობებს მხოლოდ ძვ.წ. VIII ს-ის 20-იან წლებამდე. ამ დროიდან კი საქართველო (კერძოდ კი, მისი დასავლეთი ნაწილი – ძველი კოლხეთი) უკვე იწყებს კონტაქტებს ბერძნულ სამყაროსთან, რაც შედეგად მოჰყვა ბერძნულ ლიტერატურაში საინტერესო ცნობების გაჩენა პირველი ქართული სახელმწიფოების – კოლხეთისა და იბერიის შესახებ (დაწერ. [321ა]). წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ, ერთი შეხედვით, ბერძენ და რომაელ ავტორთა ცნობები თითქოს მრავალრიცხოვანია, მაგრამ გულდასმითი ანალიზისა და კლასიფიკაციის დროს აშკარად ჩანს არა მხოლოდ სიძუნწე ამ ცნობებისა, არამედ ხშირად ერთგვაროვნებაც. ამ ცნობების უდიდესი ნაწილი მაინც არგონავტების ოქროს საწმისისათვის ლაშქრობის თქმულებებთანაა არსებითად დაკავშირებული. ზოგიერთ ბერძენ-რომაელ ავტორთა საქართველოს (განსაკუთრებით კოლხეთის) შესახებ ცნობების კითხვისას ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნება, რომ ისინი წერენ რაღაც შორეული და იდუმალი თუ ლეგენდად ქცეული ქვეყნის შესახებ. ეს ეს მაშინ, როდესაც კოლხეთში ძველ ბერძენთა სამოსახლოებიც არსებობდა, ხოლო ბერძენ-რომაულ სამყაროსა და საქართველოს ძველ მოსახლეობას შორის თითქმის ათი საუკუნის მანძილზე ზორციელდებოდა საკმაოდ ინტენსიური საკაჭარო-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობანი. და მიუხედავად ზემოთქმულისა, ბერძენ-რომაელ ავტორთა თხზულებანი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე უფრო მთავარ წერილობით წყაროს ანტიკური ხანის, ე.ი. ძვ.წ. VI – ახ.წ. III-IV სს-ის საქართველოს ისტორიისათვის. ძველი საქართველოს სახელმწიფოების (იბერია, კოლხეთი) და ქართველი ტომების შესახებ ბერძენ-რომაელ ავტორთა ლიტერატურული ცნობები პირობითად შეიძლება ორ მთავარ კატეგორიად დაიყოს. პირველი მეტ-ნაკლებად დაწვრილებითი და საყურადღებო ინფორმაციის შემცველია, მეორე კი მხოლოდ მოკლე ან შემთხვევითი მოხსენებაა. ჩვენ შემოვიფარგლებით მხოლოდ ძირითადი წყაროების მოკლე მიმოხილვით, რომ მკითხველს წინასწარ შეექმნას გარკვეული შთაბეჭდილება საქართველოს უძველესი ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზისა და მისი ხასიათის შესახებ.

ბერძნულ სამყაროში პირველი ცნობები (უთუოდ ზეპირსიტყვიერ გადმოცემათა სახით) აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის (ისტორიული კოლხეთის) შესახებ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ე.წ. მიკენურსა თუ აქეურ ხანაში (ძვ.წ. ათასწლეულის მეორე ნახევარი) ჩნდება, ე.ი. იმ დროს, როდესაც ანტიკური ტრადიციის თანახმად, განხორციელდა არგონავტების ლაშქრობა კოლხეთში და რომელსაც პირველად ჰომეროსი იხსენიებს თავის „ოდისეაში“ (XIII, 70-72). მაგრამ ბეელბერძენთა ნამდვილი, ცხოველი ინტერესი კოლხეთის მიმართ მხოლოდ ძვ.წ. VIII-VII სს-დან ჩნდება, როდესაც იწყება ე.წ. დიდი ბერძნული კოლონიზაცია ხმელთაშუაზღვისპირეთსა და შავიზღვისპირეთში. ამ დროს ბერძენი რომ უშუალოდ იცნობდნენ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს, თვალნათლივ მოწმობს ამ რაიონების მთელ რიგ გეოგრაფიულ სახელთა მოხსენიება ე.წ. „ტროელთა კატალოგში“ („ილიადა“, II, 851-857), რომელსაც მკვლევართა უმრავლესობა ამჟამად ძვ.წ. VIII-VII სს-ით ათარიღებს. შავიზღვისპირეთში „დიდი ბერძნული კოლონიზაციის“ საწყისი ეტაპის, ბერძნულ-კოლხური კონტაქტების (თუ ბერძნთაგან ამ კონტაქტებისაკენ ლტოლვის) ანარეკლად უნდა მივიჩნიოთ არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის გადმოცემათა არაჩვეულებრივი პოპულარობა ადრეულ ბერძნულ ლიტერატურაში (ე.წ. კიკლიკური ეპოსი, ჰესიოდე, ევმელოს კორინთელი, კინეთონი, „ნავპაატიკა“, ეპიმენიდე, სიმონიდე კეოსელი).[29] საინტერესოა და საგანგებოდ აღსანიშნავიც, რომ უკვე ძვ.წ. VIII ს-ში ბერძენი ეპიკოსი ჰოეტი ევმელოს კორინთელი პირველად მოიხსენიებს „კოლხეთის ქვეყანას“,[30] ხოლო ჰესიოდე კოლხეთის მდინარე ფასისს (დღევანდელი რიონი) იხსენიებს იმდროინდელი მსოფლიოს უდიდეს მდინარეთა შორის („თეოგონია“, 337-340). მაგრამ ზემოდასახელებულ ავტორთა თხზულებებში, რომელნიც, როგორც ცნობილია, ძირითადად გვიანდელ ავტორებთან დაცული თითო-ოროლა ფრაგმენტითაა ჩვენამდე მოღწეული, კოლხეთი მხოლოდ მითოლოგიურ ასპექტშია წარმოდგენილი და მის შესახებ ცნობები ამ დროს მეტწილად მოკლებულია რეალურ საფუძველს. სურათი ამ მხრივ მკვეთრად იცვლება ბერძენთა შავი ზღვის სანაპიროებზე მტკიცედ დამკვიდრების შემდეგ. ბერძნული კოლონიების წარმოქმნა-განვითარებასთან ერთად იწყება გაცხოველებული ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან და მასთან ერთად ჩნდება პირველი ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერილობანი. მათი შემქმნელები არიან ე.წ. ლოგოგრაფოსები, რომელთაც „პროზაულ მოთ-

[29] არგონავტების შესახებ გადმოცემებთან დაკავშირებით ბერძნულ ლიტერატურაში არსებული ყველა ცნობა ქართული თარგმანითურთ იხ. [318].

[30] საყურადღებოა, რომ ბერძნულ სამყაროში „კოლხეთის“ პირველი მოხსენიება ზუსტად ემთხვევა იმ პერიოდს (VIII ს.), როდესაც ურარტული წყაროები მოგვითხრობენ „კოლხას“ (ე.ი. კოლხეთის) ძლიერი სამეფოს შესახებ და ეს მაშინ, როდესაც ბერძნულ ლიტერატურაში საერთოდ არაა ხსენება ურარტულებისა, რაც თავისთავად ძნელად ასახსნელია, რამდენადაც ურარტულთა ურთიერთობა ხმელთაშუა-შავიზღვისპირეთთან დასტურდება ახალი არქეოლოგიური აღმოჩენებით.

ხრობათა“ ავტორებსაც უწოდებენ. მათ ჯერ კიდევ ვერ ვუწოდებთ ისტორიკოსებს: ისინი ჯერ კიდევ ვერ მიჯნავდნენ ერთმანეთისაგან მითიურსა და რეალურს. მაგრამ ლოგოგრაფოსები ბევრს მოგზაურობდნენ და თავიანთ თხზულებებში წარმოადგენდნენ მხოლოდ საკუთარი დაკვირვების შედეგებს, ამასთან არცთუ იშვიათად იყენებდნენ დოკუმენტურ მასალებსაც (მაგ., ბერძნული ქალაქების აღწერისას – ქალაქის მოხელეების, ქურუმთა და სხვა სიებს და ა.შ.).

ლოგოგრაფოსები დიდ ადგილს უთმობდნენ სხვა ქვეყნებისა და მათი ადგილობრივი მოსახლეობის ყოფისა და კულტურის აღწერას. სამწუხაროდ, დაკარგულია ლოგოგრაფოსთა უფროსი თაობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი წარმომადგენლის – ჰეკატე მილეტელის ვრცელი ეთნოგეოგრაფიული თხზულება, რომელიც ძვ.წ. 520-500 წლებშია დაწერილი და ეძღვნებოდა იმ დროს ბერძნთათვის ცნობილი თითქმის ყველა ქვეყნის აღწერას. ამ დაკარგული თხზულების ცალკეული ფრაგმენტები შემოგვიანეს VI ს-ის ავტორის სტეფან ბიზანტიონელის გეოგრაფიულ ლექსიკონში („ეთნიკა“). ამ ფრაგმენტებიდან ირკვევა, რომ ჰეკატე მილეტელის თხზულებაში წარმოდგენილი იყო ცნობები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსა და აქ მოსახლე ქართველი ტომების, ქალაქებისა და ნავსადგურების შესახებ [313]. ასეთივე ხასიათის ცნობებს შეიცავდნენ სხვა ლოგოგრაფოსთა (აკუსილაე არგოსელი, ფერეკიდე ლეროსელი და სხვ.) თხზულებანიც [313].

ძვ.წ. VI-V ს-ის კოლხეთის ისტორიასა და კულტურაზე მრავალმხრივ საინტერესო ცნობებია შემონახული ბერძენი ისტორიკოსის, ისტორიული მეცნიერების ფუძემდებლად მიჩნეულისა და „ისტორიის მამად“ წოდებულის ჰეროდოტეს თხზულებაში. ჰეროდოტეს „ისტორია“ აზიისა და ევროპის პირველი მონუმენტური ისტორიაა, რომელიც ძვ.წ. V ს-ის ბერძენ-ირანელთა დიდი ომიანობის ფონზეა გადმოცემული. ფილოლოგიურ მეცნიერებაში დიდხანს ალიარებული იყო, რომ ჰეროდოტე თუმც სარგებლობდა მისი წინამორბედების (კერძოდ, ჰეკატე მილეტელის, ჰელანიკეს, დიონის მილეტელის და სხვ.) ნაშრომებით, მაგრამ ამასთანავე იგი ეყრდნობოდა მისი მოგზაურობის დროს მიღებულ შთაბეჭდილებებს და ადგილობრივ მოსახლეთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციას. ამჟამად სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მკვლევართა ერთი ნაწილი ჰეროდოტეს ცნობების მიმართ საერთოდ სუპერკრიტიკულ მიდგომას მოითხოვს, თუმც სხვები ტრადიციულად ნდობას უცხადებენ მას. როგორი კრიტიკულიც არ უნდა იყოს დამოკიდებულება დღეს ჰეროდოტეს მიმართ, მაინც უნდა ვაღიაროთ[31] მისი ზოგიერთი ცნობის მნიშვნელობა ძვ.წ. VI და V ს-ის კოლხეთის ისტორიისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობები კოლხთა და სასპერთა (აღმოსავლურქართულ ტომთა) პოლიტიკურ გართიანებათა და მათი აქემენიდურ ირანთან ურთიერთობის, ეკონომიკის ცალკეული დარგების (კერძოდ, სელის ქსოვილის წარმოების) შესახებ. ჰეროდოტეს თხზულებაში დიდი ადგილი ეთმობა არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის შესახებ გადმოცემებს, აგრეთვე წინა აზიაში სკვითების ლაშქრობის აღწერას და ა.შ. ([320ა], [324]).

ძველი კოლხეთის ბუნებრივი პირობების, აგრეთვე აქ მოსახლე ტომთა ყოფის, ჩვეულებისა და ცხოვრების წესის საკმაოდ დაწვრილებითი აღწერილობა წარმოდგენილია ვრცელ ტრაქტატში „ჰაერის, წყალთა და ადგილთა შესახებ“, რომლის ავტორად დიდხანს მიჩნეული იყო ძვ.წ. V ს-ის გამორჩენილი ბერძენი ექიმი და ბუნებისმეტყველი ჰიპოკრატე, თუმცა თანამედროვე ფილოლოგიური მეცნიერება უარყოფს ამ მოსაზრებებს და ზემოდასახელებული თხზულების ავტორს ფსევდოჰიპოკრატეს უწოდებს. ფიქრობენ, რომ ფსევდოჰიპოკრატეს ცნობები დაფუძნებულია როგორც დღემდე დაკარგულად მიჩნეულ მის წინამორბედთა ნაშრომებზე (რომელთა შორის გამორიცხავენ ჰეროდოტეს „ისტორიას“), ასევე ავტორის პირად დაკვირვებებზე. ტრაქტატის ავტორი რომ კარგად იცნობდა კოლხთა (რომელთაც ფასიანებს უწოდებს) ქვეყანას, იქიდანაც ჩანს, რომ იგი საკმაოდ ზუსტად აღწერს მდ. ფასისის ქვემო წელის, ე.ი. კოლხეთის დაბლობის ბუნებრივსა და კლიმატურ პირობებს. საინტერესოა აღინიშნოს ფსევდოჰიპოკრატესეული აღწერილობა: „ქვეყანა ჭაობიანია, ცხელია, ნესტიანი და ტყიანი. აქ წლის ყოველ დროს იცის ძლიერი წვიმები“ და ა.შ. ის ზუსტად ემთხვევა თანამედროვე მეცნიერულ-გეოგრაფიულ დახასიათებას (დაწერ. იხ. [1050, გვ. 32-33]). განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აგრეთვე ცნობები ფასიანების ყოფის, აქ არსებულ ხასა და ლერწმის საცხოვრებელი სახლების, მრავალრიცხოვანი არხებისა და სხვ. შესახებ. ამიტომაც ფსევდოჰიპოკრატეს ტრაქტატი ძველი კოლხეთის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და პალეოგეოგრაფიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდაა მიჩნეული [321].

ძვ.წ. 401 წ. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გაიარა ბერძენმა ისტორიკოსმა ქსენოფონტმა, რომელიც წინამძღოლობდა ირანელი უფლისწულის კიროსის დაქირავებულ 10000-იან ბერძენთა ლაშქარს. ქსენოფონტმა თავისი ლაშქრობა აღწერა წიგნში „ანაბასისი“, რომელიც უაღრესად საინტერესო ცნობებს შეიცავს იმ ქართველ ტომთა შესახებ, რომელნიც უთუოდ ოდესღაც უძარტულ წყაროებში აღწერილ კოლხას სამეფოს ერთ-ერთ ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ, მაგრამ V ს-დან მაინც, როგორც ქსენოფონტის ცნობებიდან

[31] მრავალი ავტორიტეტული მკვლევარი (ს. ჟებელიოვი, ბ. რიბაკოვი და სხვ.) თვლის, რომ ჰეროდოტემ პირადად იმოგზაურა შავიზღვისპირეთში და მათ შორის კოლხეთშიც (შდრ. მაგ., [320ა, გვ. 5-7]). მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში გამოითქვა ეჭვიც ჰეროდოტეს საერთოდ შავიზღვისპირეთში და, კერძოდ, სკვითიასა და კოლხეთში ყოფნის თაობაზე [328].

ჩანს, ალარ შედიოდნენ კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში [315].

ისტორიული, ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული ხასიათის ცნობები შემორჩენილია ძვ.წ. IV ს-ის დიდი ბერძენი ფილოსოფოსის არისტოტელეს თუ მისი ავტორობით ცნობილ რიგ ნაწარმოებებში („პოლიტიკა", VII, 2, 6; 4, 4; „ცხოველთა ისტორიის შესახებ", III, 21, 7; V, 22, 8; „მეტეოროლოგია", I, 13, 17; I, 13, 29; „საოცარ ხმათა შესახებ", XVIII, 48, 62). სამწუხაროდ, ამ თხზულებებთაგან ჩვენამდე მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია მოღწეული, რომელთაგან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ცნობები რკინის ხალიბური წესით მიღების, მაღალი ხარისხის პონტოური თაფლის და სხვ. შესახებ [322, II, გვ. 5-75]. მკვლევართა უმრავლესობა არისტოტელეს მიაწერს აგრეთვე ერთ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ფრაგმენტს ფასისელთა სახელმწიფო წყობის შესახებ, რომელიც ძვ.წ. II ს-ის ბერძენ ავტორთან ჰერაკლიდესთანაა შემორჩენილი [322ა].

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის აღწერილობა მოცემულია უცნობი ავტორის მიერ ძვ.წ. IV ს-ში შედგენილ „პერიპლუსში" (რაც ძველბერძნულად ზღვის სანაპიროს გარშემო ცურვას ნიშნავს), რომელიც დიდხანს მიეწერებოდა ძვ.წ. VI ს-ის ავტორს სკილაქს კარიანდელს. აღნიშნული ზღვაოსნებისა და ვაჭრებისათვის განკუთვნილ ფსევდოსკილაქსის „პერიპლუსში" თანმიმდევრობით არის ჩამოთვლილი შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ტომები და მათ ტერიტორიაზე განლაგებული ბერძნული ქალაქები. კოლხთა ქვეყანაში ზღვის სანაპიროზე იხსენიებიან ქალაქები დიოსკურიი, გიენოსი და ფასისი, ხოლო ქვეყნის შიგნით „დიდი ბარბაროსული ქალაქი, საიდანაც იყო მედეა". ფსევდოსკილაქსის თხზულება, როგორც ფიქრობენ, ძირითადად დაფუძნებულია როგორც პირადად მის ჩრდილო და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოგზაურობაზე, ასევე ლიტერატურულ ნაწარმოებებზე. კერძოდ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის აღწერისას ავარაუდებს ჰეკატე მილეტელის თხზულებისა და VI ს-ის „პერიპლუსის" ძირითად წყაროებად გამოყენება ([322, I, გვ. 7-52]).

ელინისტურ ეპოქაში ფართოდ ვრცელდება ისტორიულ-გეოგრაფიული ლიტერატურის თავისებური სახეობა, რომელსაც ეწოდება „პერიეგეზისი" (ბერძნულად ნიშნავს "აღწერას"). ეს ტერმინი მეტწილად გეოგრაფიული მნიშვნელობით იხმარებოდა და ნიშნავდა ცალკეული ქვეყნებისა და ხალხების ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავ და სარწმუნოდ მიჩნეულ მოვლენათა აღწერას. მრავალრიცხოვან „პერიეგეზისებს" შორის კოლხეთის შესახებ ცნობები შემონახულია ექვსსტროფიანი იამბით დაწერილ თხზულებაში „დედამიწის აღწერილობა", რომლის ავტორადაც ძალიან დიდხანს ძვ.წ. III-II სს-ის ბერძენი ავტორი სკიმნოს ქიოსელი ითვლებოდა. ახლა კი დადგენილია, რომ დასხელებული ნაშრომი ჩვენთვის უცნობი ავტორისაა, რომელსაც ძვ.წ. II თუ I ს-ში მიზნად დაუსახავს მოკლე გეოგრაფიული სახელმძღვანელოს შედგენა. დიოსკიმნოსის თხზულების დღემდე შემორჩენილი 980 სტროფიდან კოლხეთს ეხება მხოლოდ ექვსი, რომელშიც საუბარია ქალაქ ფასისის დიდ სავაჭრო მნიშვნელობაზე [322, I, გვ. 53-100].

სამწუხაროდ, დღეს დაკარგულია თავისი დროისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული თხზულებანი (ერატოსთენეს, ეფორეს, დიონისე ქალკიდელის, ტიმოსთენე როდოსელისა და სხვ. ავტორთა შრომები), რომელთაც იხსენიებს ფსევდოსკიმნოსი და რომელნიც, საფიქრებელია, შეიცავდნენ ცნობებს კოლხეთის შესახებაც. ზემოდასახელებული და აგრეთვე სხვა ავტორთა ცნობები ნაწილობრივ შემონახულია ძველი სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი ისტორიკოსისა და გეოგრაფის სტრაბონის „გეოგრაფიაში".

სტრაბონი ძვ.წ. 64/63 წწ. იყო დაბადებული პონტოს ქალაქ ამასიაში და ახლო ნათესაური ურთიერთობა ჰქონდა პონტოს სამეფოს სახელგანთქმული მმართველის მითრიდატე VI ევპატორის ყველაზე უფრო გავლენიან სახელმწიფო მოხელეებთან. სტრაბონის ერთ-ერთი ბიძა – მოაფერე ერთხანს, მითრიდატე VI-ის კოლხეთზე ბატონობისას, ამ ქვეყნის მმართველიც კი იყო, რაც უთუოდ ინფორმაციის გარკვეულ წყაროს წარმოადგენდა. ფიქრობენ აგრეთვე, რომ მოგზაურობათა ერთობ მოყვარული სტრაბონი კოლხეთშიც იყო ნამყოფი. დამტკიცებულია (უპირველეს ყოვლისა, თვით სტრაბონის არაერთგზისი მითითებების საფუძველზე), რომ კოლხეთისა და იბერიის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერისას სტრაბონი სხვადასხვა ლიტერატურული წყაროებით სარგებლობდა, პირველ რიგში კი მისივე თანამედროვე ისტორიკოსების ნაშრომებით, რომელებიც მოგვითხრობენ მითრიდატეს ომებსა და პომპეუსის ლაშქრობებზე.

სტრაბონის „გეოგრაფია" წმინდა გეოგრაფიული ხასიათის აღწერილობებთან ერთად შეიცავს საინტერესო ცნობებს იბერიისა და კოლხეთის სოციალური წყობის, ეთნიკური შემადგენლობის, ქალაქებისა და სავაჭრო გზების, პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი მომენტის შესახებ. მაგალითად, სტრაბონის ცნობები აისახა ის დიდი პოლიტიკური ძვრები (მითრიდატე ევპატორის ბატონობა, პომპეუსის ლაშქრობები, პერგამონისა და ბოსფორის სამეფოს მმართველთა მძარცველური თავდასხმები), რომელთაც კოლხეთის სამეფოს დამოუკიდებლობის დაკარგვა და საბოლოო დაცემა მოჰყვა. ყოველივე ზემოთქმულის გამო სტრაბონის „გეოგრაფია" ფასდაუდებელ წყაროდ ითვლება იბერია-კოლხეთის ისტორიის მთელი რიგი საკითხების შესასწავლად ([320], [329]).

ძვ.წ. I ს-ის ცალკეულმა მოვლენებმა ასახვა ჰპოვეს II ს-ის ისტორიკოსის აპიანეს „რომის ისტორიაში", რომლის XI წიგნი ავტორმა მითრიდატეს ომებს მიუძღვნა [308]. ამავე თვალსაზრისითაა საინტერესო დიონ კასიუსის „რო-

მის ისტორია“, რომელიც III ს-ის 20-იან წლებში იწერებოდა [314].

უნდა გაბსენოთ აგრეთვე ის ძველი ბერძენი ავტორებიც, რომელთა თხზულებებში შემონახა უფრო ადრეული წყაროებიდან მომდინარე ცნობები. ასეთ ავტორებს მიაკუთვნებენ ძვ.წ. I-ახ.წ. I ს-ის მწერალს ნიკოლოზ დამასკელს [322, II, გვ. 76-99].

შავიზღვისპირეთის ვაჭრობის ისტორიისათვის დიდ ინტერესს იწვევს ძვ.წ. II ს-ის ავტორის პოლიბიოსის „ისტორიაში“ დაცული ცნობები [322, III, გვ. 3-36].

კოლხეთისა და იბერიის დასახლებული პუნქტები ჩამოთვლილია II ს-ის ბერძენი გეოგრაფოსის კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიის სახელმძღვანელოში“ [312].

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან რომის იმპერიის აღმოსავლეთში ექსპანსიასთან დაკავშირებით საქართველოს შესახებ ცნობები ჩნდება რომაულ საისტორიო და მხატვრულ ლიტერატურაში. ლათინურენოვანი მწერლებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პომპონიუს მელასა და პლინიუს უფროსის I ს-ის შუა ხანებში შედგენილი ნაშრომები, რომლებშიც ფართოდაა გამოყენებული ბერძნულენოვანი წყაროები, განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპიროების აღწერისას.

პომპონიუს მელას „დედამიწის აღწერილობა“ შეიცავს საყურადღებო ცნობებს კოლხეთის ზღვისპირა ქალაქების შესახებ [310], პლინიუსი კი თავის ენციკლოპედიურ ნაშრომში „ბუნების ისტორია“, რომელიც იმდროინდელი მსოფლიოს ფიზიკურ-გეოგრაფიულ აღწერილობად ჰქონდა ჩაფიქრებული, გვაწვდის ცნობებს აგრეთვე შიდა კოლხეთის ქალაქების შესახებაც [1108, გვ. 86-90].

131 წ. რომის იმპერატორის ადრიანეს დავალებით, რომაელთა გარნიზონების ინსპექციის მიზნით, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იმოგზაურა ბერძენმა ისტორიკოსმა და რომის იმპერიის სახელმწიფო მოღვაწემ – არიანემ, რომელიც იმჟამად კაპადოკიის მმართველი იყო. მის მიერ შედგენილი „პერიპლუსი“ ძალზე საყურადღებო ცნობებს შეიცავს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს რომაელთა სამხედრო ბანაკების, ეთნიკური შემადგენლობის, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობის, რომის იმპერიასთან ურთიერთობისა და სხვ. შესახებ ([319], [322, V, გვ. 94-159]).

ახ.წ. I-II ს-ის იბერიის ისტორიის ერთერთი უმნიშვნელოვანესი წყაროთაგანია რომაელი ისტორიკოსის ტაციტუსის „ანალები“ და „ისტორია“ [311].

მრავალმა რომაელმა ავტორმა (ვირგილიუსი, მარკოზ ლუკა, გალერიუს ფლაკუსი, ოვიდიუს ნაზონი და სხვ.) შემოინახა არგონავტების კოლხეთში ოქროს საწმისისათვის ლაშქრობის თქმულებების ისეთი დეტალები, რომლებიც არ გვხვდება ძველბერძნულ ლიტერატურაში. სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ „ორფიკული არგონავტიკა“, სადაც დეტალური აღწერაა „მედეას ბაღისა“, თავისი სამკურნალო მცენარეებით რომ იყო სახელგანთქმული [317].

საინტერესო ცნობები შეიძლება მოვიძიოთ აგრეთვე ბიზანტიელ ავტორთა თხზულებებში, სადაც ზოგჯერ შემონახულია ფრაგმენტები ისეთი ძველბერძნული ნაწარმოებებიდან, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია V ს-ის უცნობი ავტორის „პერიპლუსი“, რომელიც აგებულია იმავე პრინციპით, როგორც არიანეს უკვე ხსენებული „პერიპლუსი“ [323, II, გვ. 1-29].

დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე ძველ ბერძენ ავტორთა თხზულებების მრავალრიცხოვანი კომენტარები, რომლებიც საშუალო საუკუნეებშია შედგენილი. განსაკუთრებით საყურადღებოა სტეფანე ბიზანტიონელის უკვე ხსენებული „ლექსიკონი“, რომელშიც შემონახულია მრავალი ფრაგმენტი ისეთი თხზულებებიდან, დღეს რომ დაკარგულად ითვლება. ასევე მნიშვნელოვანია XII ს-ის მეორე ნახევარში ევსტათი თესალონიკელის მიერ დიონისეს „დედამიწის აღწერილობის“ კომენტარები [323, I, გვ. 101-165].

გარდა ზემოთ განხილული ბერძნულ-რომაული ლიტერატურული წყაროებისა, ცალკეულ, მაგრამ ზოგჯერ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს მრავალი სხვა ავტორის თხზულებანიც (იხ. [322], [326]).

საშუალო საუკუნეების უცხოური წყაროებიდან საქართველოს ძველი ისტორიის საკითხების კვლევისას ფასეულია აგრეთვე ძველსომხური საისტორიო თხზულებანი, რომელთაგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მოსე ხორენელის (მოვსეს ხორენაცის) „სომხეთის ისტორია“ [316].[32]

ასეთი გახლავთ ძალზე მოკლედ ის წერილობითი წყაროები, რომლებიც ხელთ აქვს თანამედროვე მკვლევარს ქართველი ხალხის ისტორიის შესასწავლად. მიუხედავად ამ წერილობითი წყაროების დიდი მეცნიერული მნიშვნელობისა, ისინი სრულად მაინც ვერ ასახავენ ქართველი ხალხის ძველი ისტორიისა და კულტურის ყველა ასპექტს. ამიტომ ქართული ცივილიზაციის სათავეების კვლევისათვის აუცილებელია სხვა წყაროების მოხმობაც.

ბ) ტოპონიმიის, ონომასტიკის და ენობრივი მონაცემები

საქართველოს ცალკეული რეგიონების ტოპონიმიის (ე.ი. დასახლებული პუნქტების, ძველი სადგომების, გზების, სახნავ-სათესთა, მთების, მდინარეების, ტბების და სხვა სახელწოდებათა) შესწავლა გვაძლევს ძალზე მდიდარ მასალას

[32] ძველი სომხეთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო შესანიშნავი ისტორიკოსის მოსე ხორენელის ცხოვრების დროის შესახებ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. მკვლევართა უმრავლესობა მას ამჟამად V ს-ის მოღვაწედ მიიჩნევს.

საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ეპოქაში ქართველური ენის სხვადასხვა დიალექტების მატარებელი თუ უცხოენოვანი ტომების განსახლების შესახებ [330-343].

უაღრესად საყურადღებოა, რომ ძველქართულმა საისტორიო და მხატვრულმა ლიტერატურამ, ისევე უცხოენოვანმა წერილობითმა წყაროებმა შემოინახეს ტოპონიმების უძველესი ფონდი. აქვე უნდა აღინიშნოს უაღრესად საჭურადღებო და საინტერესო ფაქტი: საქართველოში დღემდე შემორჩენილი და კვლავ არსებობს ის გეოგრაფიული სახელწოდებანი (რა თქმა უნდა, ერთგვარად სახეცვლილი), რომლებიც იხსენიებიან ძველადმოსაალურ (ცერძოდ, ურარტულ), ბერძნულ-რომაულ და ბიზანტიურ წყაროებში. მაგალითად, მკვლევარნი ავლენენ სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ისტორიული თემის – ტაოს სახელწოდებას: ძვ.წ. VIII ს-ის ურარტულ („დიაუხი“ – [327, №№ 36₂; 127, 1₆]), ძვ.წ. V ს-ის ბერძნულ („ტაოხი“ – ქსენოფონტი, „ანაბასისი“, IV, 4, 18; VI, 7, 1 და სხვ.), საშუალო საუკუნეების სომხურ („ტაიაც“) წყაროებში [441, გვ. 127-128] ან კიდევ: ურარტული „ზაბახა“ [327, № 127, 1₆] და ქართული ჯავახეთი და სხვ. (დაწვრ. იხ. 441, გვ. 178). ასევე შეიძლება მრავალი მაგალითის მოტანა ბერძნულ-რომაული და ბიზანტიური წყაროებიდან. მაგალითად, I ს-ის ბერძენი გეოგრაფოსის სტრაბონის მიერ მოხსენიებული იბერიის ქალაქი „არმოზიკე“ შეესატყვისება ქართულ „არმაზციხეს“, „სევსამურა//სისამურა“ ქართულ წიწამურს, „სარაპანა//სარაპანისი“ – შორაპანს და ა.შ. სხვა მაგალითიცაა საინტერესო: ბერძენ ისტორიკოს ქსენოფონტთან ჭოროხი იხსენიება სახელწოდებით „ჰარპას“ („ანაბასის“, IV, 6, 18) და ეს სახელწოდება დღესაც შემორჩა ერთ-ერთ მთას, რომელიც მდინარე ჭოროხის შესართავთან ახლოსაა: ადგილობრივი მოსახლეობა მას ახლაც „ჰარპაზონს“ უწოდებს [1168ა, გვ. 763]. არის შემთხვევები, როდესაც ბერძენ-რომაელი ავტორები უბრალოდ თარგმნიან ხოლმე ადგილობრივ გეოგრაფიულ სახელწოდებებს. მაგალითად, მდინარე ყვირილა იხსენიება სახელწოდებით „ბოას“ (რაც ბერძნულად აგრეთვე ყვირილს ნიშნავს), ან კიდევ მდ. ცხენისწყალს უწოდებენ „ჰიპოსს“ (ბერძნულად ნიშნავს – ცხენი). შეიძლებოდა მრავალი სხვა მაგალითის მოტანაც. ასეთი ფაქტები ქართველთა ავტოქთონობის მოწმობადაა მიჩნეული. ამავე დროს ბერძნული სახელწოდებების შედარება ქართულთან ძალზე ფასეულ მასალას გვაძლევს ქართული ენისა და მისი დიალექტების ისტორიისათვის (იხ. მაგ., [313, გვ. 149, 162, 165-166]).

ქართველი ხალხის ძველი და უძველესი ისტორიის, განსაკუთრებით კი ეთნოგენეზისისა და ქართველ ტომთა განსახლების არეალების შესასწავლად ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ლინგვისტურ მონაცემებს.

თანამედროვე ლინგვისტიკას (როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ წინა პარაგრაფში) დღეს ძალუძს აღადგინოს ე.წ. პრაენა ანუ ფუძენა, რომლის დიფერენციაციის შედეგად წარმოიშვა ისტორიულად დამოწმებული, დღეს ცოცხალი ქართველური ენები და დიალექტები. მათ ლექსიკურ ფონდსა და გრამატიკულ სტრუქტურაში ასახულია სხვადასხვა რიგის კონტაქტები სხვა ხალხებთან (განსაკუთრებით განვითარების ადრეულ ეტაპზე), რომელთა შესახებ მეტწილად არ შემოინახა რაღაცრა ისტორიული ცნობები. ენაში ასახულია ქართველი ხალხის მრავალათასწლოვანი ისტორიის რიული პროცესი.

სტრუქტურულ-ლინგვისტური და ეტიმოლოგიური ძიებანი თვალსაჩინოდ ავლენს საშუალო საუკუნეებისა და ახალი ქართული ენის ცალკეულ სიტყვებსა თუ ტერმინებში შემონახულ თავდაპირველ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ მნიშვნელობებს.

ქართული ენის ცალკეულ დიალექტებში გამოვლენილია აგრეთვე საინტერესო მონაცემები ქართველი ხალხის სულიერი კულტურის, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენათა უძველესი ფენებისა და ელემენტების შესახებ.

ამრიგად, ქართველთა უძველესი ისტორიისა და კულტურის შესასწავლად ენობრივი მონაცემების დიდი მნიშვნელობა სავსებით აშკარაა და ამიტომაც მათ სულ უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ისტორიულ-კულტურული პრობლემების კვლევისას.

გ) ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და მითოლოგიური მონაცემები

უძველესი სოციალური და კულტურული სისტემების რეკონსტრუქციის, აგრეთვე კულტურის ე.წ. „მიმღეობითი მემკვიდრეობის“ შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ეთნოგრაფიულ მონაცემებს – ქართველი ხალხის ყოფასა და მატერიალურ თუ სულიერ კულტურაში დღემდე შემონახული უძველესი პლასტებისა და ცალკეული ელემენტების შესწავლას (იხ. [344-365]).

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განხორციელებული გეგმაზომიერი ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება ავლენს უაღრესად მრავალფეროვან და მრავლისმეტყველ ფაქტობრივ მასალას, რომელთა საფუძველზე დაიწერა განმაზოგადებელი ნაშრომები თუ სპეციალური გამოკვლევები: სოციალური სისტემის (გვარის სტრუქტურა, თემური მმართველობა, ნათესაობათა სისტემა, საოჯახო, საქორწინო და სხვ. ურთიერთობანი ([344], [359-361], [363]); მეურნეობისა თუ მისი ცალკეული დარგების (მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო იარაღები ([346], [354], [355], [356-358]); მესაქონლეობა ([349]; [366]; მონადირეობა და სხვ.); ხელოსნური წარმოების ცალკეული დარგების (რკინის დამუშავება [352-353], მეთუნეობა ([345], [348]); სელის წარმოება ([351]); ხალხური მედიცინის, მუსიკალური კულტურისა და სხვ. შესახებ (დაწვრ. იხ. [349], [350], [356], [362], [364-365]).

ეთნოგრაფიულ მონაცემებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ აგრეთვე უძველესი რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისა და წარმართული პანთეონის შესასწავლად ([344], [376]). ამ თვალსაზრისით მრავალმხრივ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს ქართველი ხალხის ფოლკლორი და მითოლოგია [368-380].

დ) არქეოლოგიური წყაროები

ქართველი ხალხის ძველი და უძველესი ისტორიისა და კულტურის შესასწავლად, მიუხედავად ზემოგანხილული წყაროთა უდავოდ დიდი მნიშვნელობისა, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მაინც არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას ენიჭება. სწორედ არქეოლოგიური კვლევის შედეგად მოპოვებულ მატერიალური კულტურის ძეგლებშია ასახული დღევანდელ საქართველოს მიწა-წყალზე ადამიანთა საზოგადოების განვლილი რთული გზა ქვის ხანის აღრეული საფეხურებიდან მოკიდებული გვიან საშუალო საუკუნეებამდე. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეების შესწავლა სწორედ ძირითადად არქეოლოგიური მასალებითაა შესაძლებელი, რაძღენადაც შორეული ეპოქების შესახებ წერილობითი ჩვენებანი არ გაგვაჩნია, ამდენად, არქეოლოგიური კვლევა-ძიებით მოპოვებული მასალა ხშირად ჩვენი ერთადერთი და იმავე დროს ობიექტური სურათის ამსახველი წყაროა.

ძველი ეპოქების ძეგლებისადმი ინტერესს საქართველოში უკვე კარგა ხნის წინ აჩენდნენ. თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით, უპოვნიათ „მეფობასა შინა ირაკლი მეორისასა კერპთმსახურებისა ჟამსა შინა დაფლული მკვდარნი და ფულნი პირთა შინა დებულნი მათნი და რომელნიმე რკინის საჭურველთაგანნი დაშთომილნი განუხრწნელად, იცვებოდეს სალაროსა შინა მეფის ირაკლისასა ტფილისს ...“. ეს ცნობა ერეკლე მეორის სასახლეში სიძველეთსაცავის შექმნის მოწმობადაა მიჩნეული [38ა, გვ. 5]. უკვე XVII-XVIII სს-ში დასავლეთ ევროპაში შეიმჩნევა გარკვეული ინტერესი საქართველოსა და მისი ძველი კულტურისადმი. აქ ჩამოდიოდნენ მოგზაურები, რომელთაც დაგვიტოვეს უაღრესად საინტერესო აღწერილობანი საქართველოს ბუნებისა და მის მცხოვრებთა ყოფისა და კულტურის ძეგლთა შესახებ (დაწერ. იხ. [407]). განსაკუთრებით აღსანიშნავია ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელმაც საქართველოში XVII ს-ის 70-იან წლებში იმოგზაურა და საქართველოს მცხოვრებთა ყოფისა და ცხოვრების წესის აღწერასთან ერთად ზოგიერთი არქიტექტურული ძეგლიც მოიხსენია [397].

XVIII ს-ის 70-იანი წლების დასაწყისში კი საქართველოში იმოგზაურა გერმანელმა მეცნიერმა იოჰან გიულდენშტედტმა, რომლის ორტომიან ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს ცალკეული კუთხეების საკმაოდ დაწვრილებითი გეოგრაფიული აღწერილობანი (ფლორისა და ფაუნის დახასიათებითურთ) და მოკლე ისტორიული ექსკურსები, ფოლკლორული მასალები და ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლთა აღწერილობანი. მასთან ერთად მან ჩაიწერა მდიდარი ლექსიკური მასალა და შეადგინა ქართველურ ენათა ლექსიკონი. დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა გერმანელი მეცნიერის მიერ შედგენილ საქართველოს გეოგრაფიულ რუკას [388].

ჟ. შარდენის, ი. გიულდენშტედტისა და სხვათა ნაშრომებმა უთუოდ დიდი როლი შეასრულეს ევროპელ მეცნიერთა შორის საქართველოს სიძველეებისადმი ინტერესის გაღვივებაში. ამ მხრივ ძალზე დიდი მნიშვნელობისაა შეეცარიელი მეცნიერის დიუბუა დე მონპერეს 1831-1834 წწ. მოგზაურობის შედეგად დაწერილი ვრცელი ნაშრომი, რომელშიც აღწერილია აგრეთვე მრავალი ისეთი არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლი, რომელსაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია [412].

არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში მხოლოდ XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება, მაგრამ იმ დროს მას წარმართავდნენ ძირითადად დილეტანტი მხარეთმცოდნეები და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა წარმომადგენლები [386-387].

პირველი ქართველი არქეოლოგი იყო დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილი (1815-1878 წწ.), რომელმაც პირველი არქეოლოგიური გათხრები უფლისციხეში ჩაატარა [386, გვ. 14-16]. ის იყო აგრეთვე კონსულტანტი და თანამდგომი შესანიშნავი ფრანგი ორიენტალისტისა და ქართველოლოგის მარი ბროსესი (1802-1880 წწ.), რომელმაც დიდი ამაგი დასდო საქართველოს ისტორიის შესწავლისა და მის ევროპაში პოპულარიზაციის კეთილშობილურ საქმეს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს 1847-1848 წწ. მარი ბროსეს საქართველოში მოგზაურობა, რომლის დროსაც მან გამოაკვლინა და აღწერა უამრავი ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური და არქეოლოგიურ-არქიტექტურული ძეგლი, თუმც მეტწილად საშუალო საუკუნეებისა [410].

არქეოლოგიურმა ძეგლებმა მალე თავი აჩინეს საქართველოს სამხედრო გზის გაფართოებასთან დაკავშირებულ მიწის სამუშაოებისას. ასე დაიწყო 1871 წელს არქეოლოგიური გათხრები მცხეთაში, დღეს მსოფლიო არქეოლოგიურ ლიტერატურაში ფართოდ ცნობილ სამთავროს სამაროვანზე, რომელსაც თავდაპირველად ავსტრიელი მეცნიერი ფრ. ბაიერნი წარმართავდა [409], ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ, 1878 წ. რუსეთის V საარქეოლოგო ყრილობის მოსამზადებელი კომიტეტის სხდომაზე ადგილობრივი მხარეთმცოდნე-ენთუზიასტები მოახსენებდნენ არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში [408].

V არქეოლოგიურმა ყრილობამ, რომელიც 1881 წელს გაიმართა თბილისში და რომელსაც ესწრებოდა მრავალი გამოჩენილი სწავლული დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, უთუოდ დიდი როლი შეასრულა საქართველოს არქეოლოგიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ძეგლებისადმი ინტერესის გაფართოებაში. ამ დროიდან საქართველოში იქმნება მთელი წყება სამეცნიერო დაწესებულებებისა, როგორიც იყო „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება“, „კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური საზოგადოება“, „კავკასიის მუზეუმი“ და სხვ. [385-386]. იმ დროს საქართველოში არქეოლოგიური სამუშაოების ორგანიზაციის ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო მოღვაწე იყო XIX ს-ის შესანიშნავი ქართველი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე [385, გვ. 20-24].

ამავე დროს საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებისადმი ინტერესი კიდევ უფრო იზრდება ევროპელ მეცნიერთა შორის. ქართველი მკითხველისათვის იქნებ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ცნობილი გერმანელი დილეტანტი-არქეოლოგის, ტროისა და მიკენის აღმოჩენა-გათხრებით სახელგანთქმული ჰაინრიხ შლიმანის ინტერესების სფეროში მოექცა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, სადაც, მისივე სიტყვებით, მას „იზიდავდა ძველი საბერძნეთისა და ძველი კოლხეთის მჭიდრო ურთიერთკავშირი“. ამ მიზნით მას რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიისათვის არქეოლოგიური გათხრების ჩატარებაც კი უთხოვია ბათუმის მიდამოებში, მაგრამ, სამწუხაროდ, იშვიათი ალღოს მქონე დილეტანტ-არქეოლოგს მტკიცე უარი მიუღია [401].

1901 წლიდან თბილისში დაარსდა „მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილება“, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ ამიერკავკასიაში საქმიანობას იწყებს რუსეთის საარქეოლოგიო საზოგადოება, რომელმაც უთუოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ზემოდასახელებულ დაწესებულებათა აქტიური წევრი იყო დიდი ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, ქართული კულტურის ძეგლთა ჭეშმარიტი ქომაგი აკადემიკოსი ევგენიმე თაყაიშვილი, რომელსაც მაღლიერმა ერმა მშობელი ქვეყნის წინაშე მისი განუზომელი ღვაწლისა და ამაგის დასაფასებლად სიყვარულით შეარქვა „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“. ექვთიმე თაყაიშვილის სახელთანაა დაკავშირებული პირველი მეცნიერული არქეოლოგიური გათხრების ჩატარება ძველი საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვან ცენტრებში (მცხეთა, საჩხერე, ვანი), სადაც ამჟამადაც მიმდინარეობს ფართო მასშტაბის არქეოლოგიური კვლევა-ძიება [394]. მაგრამ, სამწუხაროდ, ექვთიმე თაყაიშვილისაგან განსხვავებით, იმ დროს საქართველოში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდნენ უმეტესწილად ისინი, ვისაც არ ჰქონდა სპეციალური მომზადება და მიზნად მხოლოდ წარსულის ლამაზი ნივთების მოძიება დაესახათ. არქეოლოგიური გათხრები წარმოებდა დაბალ მეცნიერულ დონეზე, ხშირად ფოტო- და გრაფიკული ფიქსაციის გარეშე (რომელსაც იმ დროს უკვე ფართოდ იყენებდნენ საზღვარგარეთ). ამის გამო არქეოლოგიური ძეგლების პუბლიკაცია ხდებოდა დაბალ მეცნიერულ დონეზე, ხოლო მისი კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი ნაწილი, მაგრამ ყოველგვარ დოკუმენტაციას მოკლებული, ინახებოდა სხვადასხვა მუზეუმებში და ყოველად გამოუსადეგარი იყო ნამდვილი მეცნიერული შესწავლისას და, მით უფრო, ფართო ისტორიული განზოგადებისათვის [406].

საქართველოში არქეოლოგიური მეცნიერების ფართოდ განვითარება XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო. არქეოლოგიური კვლევა-ძიების ნამდვილ მეცნიერულ კერებს თავდაპირველად წარმოადგენდნენ საქართველოს მუზეუმი და 1918 წელს დაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ახალი ქართული ისტორიული მეცნიერების პატრიარქის, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების გეგმაზომიერი წარმართვისა და შესაბამისად მეცნიერული კადრების მომზადების საქმე ([393]).

საქართველოში არქეოლოგიური მეცნიერების განვითარების ახალი ეტაპი დაკავშირებულია ყოფილ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სისტემაში 1936 წ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის („ენიმკი“) ჩამოყალიბებასთან. 1941 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსების შემდეგ, „ენიმკს“ გამოეყო ისტორიის ინსტიტუტი, რომელსაც ამჟამად ეწოდება აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. იგი იმთავითვე იქცა საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების მთავარედ. აქ გამორჩენილი ქართველი მეცნიერების, აწ განსვენებული აკადემიკოსების ივ. ჯავახიშვილის, სიმ. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილისა და აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით აღიზარდნენ პროფესიონალ არქეოლოგთა სამეცნიერო კადრები, დაიწყო სისტემური და გეგმაზომიერი არქეოლოგიური კვლევა-ძიება მთელს ჩვენს რესპუბლიკაში [430].

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წლები ქართული არქეოლოგიური მეცნიერების აღმავლობით აღინიშნა. გაიზარდა რიცხვი დაწესებულებებისა, რომლებიც აწარმოებენ არქეოლოგიურ გათხრებს. ისტორიულ-არქეოლოგიური მეცნიერების კარდინალურ პრობლემებზე გამოქვეყნდა მთელი რიგი ფუნდამენტური გამოკვლევები, რომელთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია აკად. ბ. კუფტინის კაპიტალურ პუბლიკაციებს. განსაკუთრებით ფართო მასშტაბები მიიღო არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე.

ჩვენს რესპუბლიკაში უმაღლესი ორგანო, რომელიც კონტროლსა და კოორდინაციას უწევს არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას, არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს არქეოლოგიური კომისია. მხოლოდ მას აქვს უფლება გასცეს „ნებართვა“ ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის არქეოლოგიური სამუშაოებისათვის, არქეოლოგიური გათხრები იქნება ეს თუ მხოლოდ ზედაპირული დაზვერვა.

საქართველოში არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას უმთავრესად აწარმოებენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები. მათ შორისაა 1977 წელს შექმნილი არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. ივი ახორციელებს ფართო მასშტაბის სამეცნიერო-კვლევით არქეოლოგიურ სამუშაოებს რესპუბლიკის თითქმის ყველა კუთხეში და მეცნიერულ-თეორიულ კვლევას საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიის ფუნდამენტურ პრობლემებზე, არქეოლოგიის თეორიის და ისტორიის საკითხებზე, საქართველოს არქეოლოგიურ ატლასზე, არქეოლოგიური ტერმინოლოგიის ქართულ განმარტებით ლექსიკონსა და კლასიკური არქეოლოგიის მრავალტომიან ლექსიკონზე, „ქართლის ცხოვრების“ ტოპოგრაფიის არქეოლოგიურ ცნობარზე. ინტენსიური და საინტერესო სამუშაოები მიმდინარეობს არქეოლოგიაში საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა გამოყენების გზით. ამ მხრივ აღსანიშნავია ლითონის ნაკეთობათა ტექნოლოგიური შესწავლა, ქვის იარაღების ტრასოლოგიური გამოკვლევა, არქეოლოგიურ ძეგლთა ფიზიკური (კერძოდ, პალეომაგნიტური) მეთოდებით დათარიღება, ბიოარქეოლოგიური კვლევა და სხვ. ([16, გვ.3-4], [381]). მეცნიერული კვლევის შედეგები ქვეყნდება როგორც ყოფილ სსრკ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების პერიოდულ ორგანოებში, ასევე არქეოლოგიური კვლევის ცენტრის საგაზეთო და სერიულ კრებულებში (დაწვრ. იხ. [381, გვ. 5-14, №№ 1-83], აგრეთვე [67]), არქეოლოგიური კვლევის ცენტრში მზადდება „საქართველოს არქეოლოგია“ 8 ტომად, რომელთაგან უკვე გამოიცა 2 ტომი [39, I, 1991; II, 1992].

არქეოლოგიური კვლევის ცენტრი განსაკუთრებით ფართო მასშტაბის არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას აწარმოებს ჩვენი რესპუბლიკის ახალმშენებლობათა ზონებში [69].

მატერიალური კულტურის ძეგლთა დაცვისა და შესწავლის დიდმნიშვნელოვანი კერაა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, რომელიც არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებს ყველა ისტორიული ეპოქის ძეგლებზე და არქეოლოგიური მასალების კატალოგიზაციასთან ერთად ეწევა უაღრესად ნაყოფიერ მეცნიერულ კვლევა-ძიებას საქართველოს არქეოლოგიის კარდინალურ პრობლემებზე (იხ.: [53], [54], [384], [390-391]).

მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში მიმდინარეობს მრავალმხრივი ნაყოფიერი მუშაობა ძველი ლითონების, მინის, კერამიკის ტექნოლოგიის შესასწავლად, მათი (და აგრეთვე ხის) კონსერვაციისა და რესტავრაციის მეთოდების დასამუშავებლად [37].

არქეოლოგიურ სამუშაოებს ატარებენ აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები: მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტი [29], აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი ([70], [80], [91-92], [109]), ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი [38], [46], სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი [51].

არქეოლოგიური კადრების მომზადება ხდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრასთან, რომელიც ეწევა ავრეთვე სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ([11-12], [400], [402]).

არქეოლოგიური მასალის კვლევა (ძირითადად დაცვა-აღრიცხვა და სამუზეუმო ფონდების დამუშავება) მიმდინარეობს აგრეთვე საქართველოს კულტურის სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ მუზეუმებში. ასეთებია: საქართველოს ხელოვნების მუზეუმი [29ა], აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმი (იხ. [108]), აჭარის სახელმწიფო მუზეუმი [4], ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი [62], ვანის სახელმწიფო არქეოლოგიური მუზეუმი და სხვ.

არქეოლოგიურ ძეგლთა კონსერვაციასა და რესტავრაციას ახორციელებს საქართველოს კულტურის, ისტორიის და ბუნების დაცვისა და გამოყენების მთავარი სამმართველო და საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება, რომელსაც აქვს თავისი ბეჭდვითი ორგანო „ძეგლის მეგობარი“ [64].

საქართველოს ენციკლოპედია ამზადებს „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა“ სრულ ნუსხას, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია არქეოლოგიურ ძეგლებს [44].

ამრიგად, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს მთელს ჩვენს რესპუბლიკაში და ყოველწლიურად აღინიშნება ახალი შესანიშნავი აღმოჩენებით, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს უძველესი ისტორიისა და კულტურის, საერთოდ, ქართული ცივილიზაციის ისტორიის შესასწავლად (დაწვრ. იხ. [382], [383], [385-387], [389], [393], [395], [399], [403], [404-405], [411], [413-415], [418]).

4. მოკლე ისტორიოგრაფიული მიმოხილვა

წინაქრისტიანული ხანის საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებმა ჯერ კიდევ XVIII ს-ის პირველ ნახევარში მიიქცია მკვლევართა ყურადღება. შესანიშნავმა ქართველმა ისტორიკოსმა და გეოგრაფოსმა ვახუშტი ბაგრატიონმა პირველმა მოგვცა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერა და ძველი ისტორიის უმთავრესი მოვლენების გადმოცემა უპირატესად „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ([253], შდრ. [247]).

XIX ს-ში გამოქვეყნდა მთელი წყება ნაშრომებისა, რომელთა ავტორები ძირითადად ეყრდნობოდნენ (და ეს სრულიად ბუნებრივია იმ დროისათვის) საშუალო საუკუნეების ქართულ და ბერძნულ-რომაულ წყაროებს. XIX ს-ისა და XX ს-ის დასაწყისის ქართველი ისტორიკოსების – თეიმურაზ ბაგრატიონის, დავით ჩუბინიშვილის, დიმიტრი ბაქრაძის, პლატონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსელიანის, ალექსანდრე ხახანაშვილის, მოსე ჯანაშვილისა და სხვ. ნაშრომებში წარმოდგენილია უაღრესად საინტერესო მოსაზრებანი წინაქრისტიანული ხანის საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, სოციალურ-ეკონომიკური წყობის, ქალაქების, ქართველთა ეთნოგენეზისისა და სხვ. საკითხებზე (დაწვრ. იხ. [420], [424]).

XX ს-ის პირველ ათწლეულებში ქვეყნდება ახალი ქართული ისტორიოგრაფიის მამამთავრის აკად. ივანე ჯავახიშვილის ნაშრომები, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წყაროთმცოდნეობის, ეთნოგენეზისის, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობის, ქართული ანბანის წარმოშობისა და სხვ. პრობლემების განხილვას (დაწვრ. იხ. [163], [273], [427-429]). საქართველოს ძველი ისტორიის საკითხებს მიეძღვნა აკად. ივ. ჯავახიშვილის სამაგისტრო დისერტაცია,[33] ხოლო თავის საყოველთაოდ ცნობილ „ქართველი ერის ისტორიის“ I წიგნში უძველესი ისტორიის გადმოცემისას პირველმა გამოიყენა არქეოლოგიური მასალები.

საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანა აკად. სიმონ ჯანაშიამ, რომლის ნაშრომებში განხილულია საქართველოს ძველი ისტორიის მრავალი ასპექტი [431]. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს აკად. სიმონ ჯანაშიას რედაქციით და ივ. ჯავახიშვილთან და ნ. ბერძენიშვილთან თანაავტორობით სასკოლო სახელმძღვანელო „საქართველოს ისტორია“ (შდრ. [426]), სადაც ს. ჯანაშიამ არქეოლოგიური და წერილობითი წყაროების საფუძველზე პირველად წარმოადგინა ადამიანთა საზოგადოების ისტორიის განვითარება საქართველოში უძველესი დროიდან VI ს-მდე.

ქართული არქეოლოგიური მეცნიერების მიღწევები პირველადაა განზოგადებული 1959 წელს გამოცემულ საქართველოს არქეოლოგიის პირველ ქართულ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოში [38ა].

ძველაღმოსავლური, ბერძნულ-რომაული, ქართული წერილობითი წყაროებისა და მდიდარი არქეოლოგიური მასალის ფართოდ გამოყენების საფუძველზეა დაწერილი აკად. გიორგი მელიქიშვილის 1959 წელს გამოქვეყნებული კაპიტალური ნაშრომი „საქართველოს ძველი ისტორიისათვის“ [441].

ასეთივე დიდი მნიშვნელობისაა აკად. გ. მელიქიშვილის ხელმძღვანელობით 1970 წელს გამოცემული რვატომეული „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, რომლის I ტომი მთლიანად წინაქრისტიანული ხანის საქართველოს ეძღვნება [42].

საქართველოს ძველი ისტორიის, არქეოლოგიის, ისტორიული გეოგრაფიის, ხელოვნების და კულტურის საკითხები განხილულია აგრეთვე რიგ განმაზოგადებელ ნაშრომებში, რომლებიც ეძღვნება როგორც საქართველოს ([421], [422], [425], [432], [440], [445], [447-452]), ასევე ყოფილ სსრკ ხალხთა ([436], [441-444]) თუ მსოფლიო ისტორიას [438].

ამ ძალზე მოკლე მიმოხილვაში, ბუნებრივია, ვერ მოვიხსენიებთ ყველა ავტორს, რომელთა შრომები ეძღვნება საქართველოს ძველი ისტორიისა და კულტურის პრობლემებს. ამიტომ უფლებას მივცემ თავს მკითხველის ყურადღება მივაქციო ამ წიგნის დასკვნით კარს – „ბიბლიოგრაფია“, რომელიც მეტ-ნაკლებად (თუმც, სამწუხაროდ, ალბათ, არა მთლიანად ამომწურავი სისრულით) ასახავს იმ დიდ სამუშაოს, რომელიც უკვე ჩატარებულია საქართველოს ძველი ისტორიისა და კულტურის კვლევის დარგში (იხ. [424], [433-434], [436]) და რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა ამ წიგნის დაწერა.

[33] "Государственный строй древней Грузии и древней Армении." Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, VIII, Спб, 1905.

ᲜᲐᲬᲘ I

ისტორიის დასაწყისი: ქვიდან ლითონამდე

1. ძველი ქვის ხანის ადამიანები

როდის, საიდან და რა პირობებში დასახლდნენ ადამიანები პირველად საქართველოსა და საერთოდ, კავკასიის მიწა-წყალზე? ეს საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი ურთულესი საკითხთაგანია და მასზე პასუხის გაცემა მხოლოდ არქეოლოგიური კვლევა-ძიებითაა შესაძლებელი.

ჯერ კიდევ 1939 წელს აღმოსავლეთ საქართველოში, საგარეჯოს რაიონის სოფ. უდაბნოში, აღმოჩნდა ძვლები (ორი კბილი და ზედა ყბა) ადამიანისმაგვარი მაიმუნისა, რომელსაც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აღმოჩენის ადგილის მიხედვით ეწოდა „გარეჯის უდაბნოპითეკი" ([523], [529]). გამოითქვა კიდეც მოსაზრება, რომ შესაძლოა ამიერკავკასია მიჩნეულიყო ერთ-ერთ ზონად, სადაც მიმდინარეობდა ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი. მაგრამ „გარეჯის უდაბნოპითეკის" შესაბამისი გეოლოგიური ეპოქის შესახებ არცთუ ისე მყარი მონაცემი არსებობს და ამიტომაც ძნელი სათქმელია, იგი ზედა მიოცენს განეკუთვნება თუ გვიან პლიოცენს. ამ ტერიტორიაზე არც ადამიანისმაგვარი მაიმუნის სხვა სახეობანია აღმოჩენილი და არც ადრეული ტიპი არქანთროპის (ე.ი. ადამიანის წინაპარ სახეობათა) ნაშთები. ამიტომაც პირველი ადამიანების გაჩენას საქართველოს მიწა-წყალზე ვერ მივიჩნევთ როგორც პირდაპირი ევოლუციის შედეგს და შესაბამისად ვერც ამ ტერიტორიას ვაღიარებთ ისეთ ზონად, სადაც მაიმუნის გაადამიანების პროცესი მიმდინარეობდა (შდრ. [443, გვ. 68]). უფრო სავარაუდოა, რომ პირველყოფილ ადამიანთა განსახლება ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ხდებოდა სხვადასხვა დროსა და პირობებში, სხვადასხვა კერიდან – ძირითადად კი წინა აზიის ზეგანიდან, რაც აისახა კიდეც ამიერკავკასიის ძველი ქვის ხანის ძეგლებში, რომლებიც თვალსაჩინოდ ავლენენ კავშირებს წინა აზიის პალეოლითურ კულტურასთან და მათ ძლიერ გავლენას [443, გვ. 68].

ადამიანის განსახლებისათვის დღევანდელ საქართველოს მიწა-წყალზე უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის გეოგრაფიულ მდებარეობას: იგი უშუალოდ ემიჯნებოდა წინა აზიას, საიდანაც თითქოს უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ პირველყოფილი ადამიანები, განსაკუთრებით ე.წ. გამყინვარებათშორის ეპოქებში. ადამიანთა ფართოდ განსახლება ვრცელ ტერიტორიაზე კი შესაძლებელი გახდა, როგორც ფიქრობენ, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადამიანმა შეძლო ცეცხლის ხელოვნურად მიღება და შექმნა ხელოვნური თავდაცვითი ბარიერი გარემო ბუნებისაგან, რომელიც ასე დიდ როლს ასრულებდა პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებაში.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ, პირველყოფილ ადამიანთა უძველეს სადგომებად ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ითვლებოდა აზიხის გამოქვაბული (მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე) და სატანი-დარე სომხეთში. მაგრამ ამჟამად არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ ჯერჯერობით მთელს დასავლეთ ევრაზიაში ადამიანის უძველესი ნაშთი აღმოჩნდა საქართველოში, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, დღევანდელ დმანისში; იქ, სადაც მდებარეობს საშუალო საუკუნეების კარგად ცნობილი ნაქალაქარი.[34]

დმანისში აღმოჩენილია უძველესი ადამიანის ქვედა ყბა, ქვის პრიმიტიული იარაღები და უმდიდრესი თავისი მრავალფეროვნებითა და მრავალრიცხოვნებით ფაუნისტური და ბოტანიკური მასალა, რაც ერთობლივად (გეოლოგიურ მონაცემებთან ერთად) წარმოადგენს უძვირფასეს წყაროს იმდროინდელი ადამიანისა და მისი გარემომცველი ბუნების ისტორიისათვის.

დადგენილია, რომ ადამიანი დმანისის მიდამოებში დასახლებულა ვულკანური ამოფრქვევის შემდეგ, რაც დაახლოებით 1,8 მილიონი წლის წინ მომხდარა. ამ დროს სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში ჰავა ყოფილა ზომიერი და დღევანდელზე უფრო თბილი. სავანურ ბიოტოპებს ენაცვლებოდა ტყით დაფარული გორაკები. უაღრესად მრავალფეროვანი იყო ცხოველთა სამყარო: სირაქლემა, ანტილოპა, ჟირაფი, ბიზონი, ხმალკბილა ვეფხვი, გიგანტური ირემი, ირემ-ლაღი და შველი, ჯეირანი, სამხრეთული სპილო, ე.წ. „სტენონის ჯგუფის" ცხენი, „ეტრუსკული მარტორქა", მგელი, დათვი, თხუნელა, კვერნა და მრავალი სხვ. დასახელებულ ცხოველთა ერთი ნაწილი გაშლილი და ნახევრადგაშლილი სივრცეების (სტეპის, ტყე-სტეპის) ბინადარია, სხვები კი – ტყისა. მათგან უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ ერთი მილიონი წლის წინ გადაშენდა.

დმანისში აღმოჩენილი დასავლეთ ევრაზიაში უძველესი ადამიანის ნაშთი 1999 წლამდე ქვედა ყბით იყო წარმოდგენილი. იგი Homo erectus-ის ჯგუფს მიაკუთვნეს. ქვედა ყბა გამოირჩევა არქაული და ევოლუირებული ნიშნების იშვიათი შეხამებით [465,გვ. 13-14][35].

---

[34] პირველი ცნობა დმანისის პალეოლითური ძეგლის შესახებ იხ.[539, გვ. 7-8]; იხ. აგრეთვე [522].

[35] აკად. ლ. გაბუნიას გამოკვლევით, დმანისელი ადამიანის ქვედა ყბას ახასიათებს ისეთი აპომორფული ნიშნები, როგორიცაა სიმფიზის თითქმის ვერტიკალური წინა ზედაპირი, მოლარების მკვეთრი დისტალური რედუქცია და პრემოლარების მცირე ზომები, რაც შეიძლება აიხსნას, ალბათ, თავისებური დაჩქა-



სურ. 6. დმანისელი ჰომინიდის ქვედა ყბა ([464], [596]).

დმანისის ადამიანი ყოველდღიური საქმიანობისათვის განკუთვნილ პრიმიტიულ იარაღს ძირითადად ადგილობრივი ქვისაგან (გაკაჟებული ტუფისაგან) ამზადებდა: რიყის ქვარგვალებზე, ქვის დამუშავების ატკეცის წესით [505]. ივარაუდება, რომ დმანისელი ადამიანი საკვებად ცხოველის მხოლოდ ლეშს კი არ იყენებდა, არამედ შესაძლოა, უკვე ნადირობდა კიდეც. ზოგიერთი მცენარის (მაგ. Geltis-ის) თესლის აღმოჩენის საფუძველზე ასევე ვარაუდობენ დმანისელი ადამიანის საქმიანობაში საკვების შეგროვებლობას [494, გვ. 8].

ადამიანი, რომელმაც დმანისში აღმოჩენილი ქვის იარაღი შექმნა, ევრაზიის ერთ-ერთ უძველეს ჰომინიდადაა აღიარებული. მისი ასაკი 1,8 მილიონი წლითაა განსაზღვრული.[36]

დასავლეთ ევრაზიის უძველესმა ადამიანმა აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ვარაუდობენ, აფრიკიდან შემოაღწია ე.წ. ლევანტური დერეფნით და მაშასადამე დმანისის რეგიონი შესაძლოა წარმოადგენდა ადამიანის ევრაზიაში გავრცელების ერთ უძველეს კერათაგანს.

ვარაუდობენ, რომ სწორედ აქ, სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც ადრეული ჰომინიდების განსახლება ასე თვალსაჩინოდ დმანისის აღმოჩენებით დასტურდება, გადიოდა ე.წ. ლევანტური დერეფნიდან დასავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმავალი მიგრაციული გზები [464][37]. 1999 წელს დმანისში აღმოჩნდა აგრეთვე ჰომინიდის 2 თავის ქალა ([67], V, 2000, გვ. 15-21]).

ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორ მიმდინარეობდა უძველეს ადამიანთა საქართველოს მიწა-წყალზე შემდგომი განსახლების კონკრეტული პროცესი. უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები, თითქოს მოწმობს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველო კვლავ რჩებოდა ადრეული ჰომინიდების განსახლების ძირითად კერად. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ჯავახეთში, კერძოდ, ახალქალაქის ამირანის გორაზე მიკვლეული ძველი ქვის ხანის ერთ-ერთი ადრეული ეტაპის (ე.წ. ადრეული აშელის ხანის) ადამიანის ადგილ-სამყოფელი. ამ დროს აქ ყოფილა სტეპური ლანდშაფტი, ადგილ-ადგილ ბუჩქნარითა და ტყეებით დაფარული, ჰავა კი – მშრალი და ზომიერად ცხელი. ცხოველთა სამყაროს წარმომადგენელთაგან დადასტურებულია ხერხემლიანები: ე.წ. ჰიპარიონიდული და ზუსენბორნული ცხენები, ჰიპოპოტამი, ხვეულრქიანი ანტილოპა, ხმალკბილა ვეფხვი, ბიზონი და სხვ. ასე, რომ ამ დროს ჯერ კიდევ არსებობდა ცხოველთა ზოგიერთი სახეობა, რომელიც უფრო ადრეული დმანისელი ადამიანის დროს ცხოვრობდა. ჯავახეთის ახალქალაქის ამირანის გორის ქვის ხანის ადამიანის სადგომზე ადგილობრივი ბაზალტის ქვის იარაღიცაა აღმოჩენილი: ანატკეცებზე დამზადებული საფხეკი, საჩეხ-საჭრელი და სხვ. ახალქალაქის ამირანის გორის ადრეული აშელის (ე.ი. დაახლოებით 1 მილიონი წლის წინანდელი) ხანის ადამიანის ადგილ-სამყოფელის შემდგომი შესწავლა უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს მიწა-წყალზე ადრეული ჰომინიდების განსახლებისა და მათი გარემომცველი ბუნებრივი სამყაროს შესასწავლად [469], [597].

ქვის ხანის ადამიანთა ფართოდ განსახლება საქართველოს ტერიტორიაზე ე.წ. აშელის შუა პერიოდიდან (ე.ი. დაახლოებით 300 ათასი წლის წინ) დაიწყო და ამას ხელს უწყობდა უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობები: მრავალფეროვანი ლანდშაფტურ-კლიმატური ზონები, მდიდარი ცხოველთა სამყარო, საკვებადვარგისი მცენარეულობების სიუხვე, ქვის იარაღების დასამზადებელი ნედლეულის სიმრავლე, ბუნებრივი თავშესაფარების მრავლად არსებობა. ყოველივე ეს, როგორც ჩანს, განაპირობებდა ადამიანთა დიდი მასების განუწყვეტლივ ლტოლვას საქართველოს მიწა-წყალზე საცხოვრებლად დასამკვიდრებლად უკვე ქვის ხანის ადრეული საფეხურიდან. ეს აისახა კიდეც პალეოლითური ხანის არქეოლოგიურ ძეგლთა არაჩვეულებრივ სიმრავლეში. ძველი ქვის ადამიანთა დღევანდელ საქართველოს მიწა-წყალზე ფართოდ განსახლების საილუსტრაცი-

---

რებული ევოლუციით, რომელიც შესაძლოა განპირობებული იყო პირვანდელი სამშობლოს ეკოლოგიური ნიშიდან გამოსული ჰომინიდის ახალი, ზომიერი სარტყლის, გარემოში ცხოვრების პირობებთან შეგუებით [596].

[36] დმანისელი ადამიანის ნაშთისა და ქვის იარაღის თარიღი დაფუძნებულია როგორც თანმხლები ფაუნის სიძველეზე (ცხოველთაგან მრავალი უკვე 1 მილიონი წლის წინაა გადაშენებული) და, არა მხოლოდ, ბიო – და მაგნიტოსტრატიგრაფიის მონაცემებზე, არამედ ძვლების შემცველი შრეების ქვეშ უშუალოდ მდებარე ბაზალტის იზოტოპურ ასაკზე, რომელიც ერთდროულად და ერთმანეთის დამოუკიდებლად მიიღეს აშშ-ის (კალიფორნიის უნივერსიტეტი) და გერმანიის ლაბორატორიებში.

[37] დაწვრ. დმანისის პალეოლითური ძეგლის შესახებ იხ. ([458-459], [464-465], [481], [494], [502], [504-505], [514], [522], [534], [539], [540], [595], [596]).

ოდ საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოში დღეს უკვე აღნუსხულია ამ დროის (ე.ი. პალეოლითის ეპოქის)[38] 400-ზე მეტი ძეგლი, რომელთაგან დაახლოებით 250 თარიღდება ე.წ. ქვედაპალეოლითის ეპოქით (50 – აშელური პერიოდისაა, 200 კი – მუსტიერული), ხოლო დაახლოებით 150 განეკუთვნება ე.წ. ზედაპალეოლითისა და მეზოლითის ეპოქებს [585, გვ. 5].

I. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო: ჯავახეთის ზეგანი განსაკუთრებით ქვედაპალეოლითური ძეგლებითაა მდიდარი, თუმცა ჯერ სუსტადაა შესწავლილი სისტემური არქეოლოგიური გათხრებით (იხ. [468-470], [536]).

II. სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველო: ისტორიული ქვემო ქართლის ფარგლებში მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე დაბალმთიანეთი, რომლის პალეოლითურ ძეგლთა-



სურ. 7. პალეოლითური და მეზოლითური ძეგლების გავრცელების ძირითადი რეგიონები. პირობითი აღნიშვნა: 1 – აშელი, 2 – მუსტიე, 3 – ზედა პალეოლითი, 4 – მეზოლითი (რუკა შეადგინა დ. თუშაბრამიშვილმა).

ქვედაპალეოლითური ძეგლები (ე.ი. აშელური და მუსტიერული ეპოქებისა) გამოვლენილია თითქმის მთელ საქართველოში. გამოიყოფა ექვსი ძირითადი რეგიონი (სურ. 7), რომლებიც ერთმანეთისაგან ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებითაა განსხვავდება ([492, გვ. 87], [585, გვ. 5]) (შდრ. [462, გვ. 81]).

განსაკუთრებით ფართოდ არის წარმოდგენილი ქვედაპალეოლითური ძეგლები ჯავახეთის ზეგანზე. აქ ყველაზე უკეთ წოფის სადგომია შესწავლილი (სურ. 8, № 11; [472]); ხოლო ადამიანთა განსახლების ადრეული ეტაპის გამოსაკვლევად, როგორც უკვე ითქვა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დმანისში ახალაღმოჩენილ ფენას, რომელიც არქაული იერის აშელურ იარაღებსა და ფაუნისტურ მასალას შეიცავს (იხ. ზემოთ შენიშვნა 37 და იქ დასახ. ლიტერატურა).

ამ ორი, ზემოთ დასახელებული რეგიონის გავლით ხდებოდა ამიერკავკასიის ზეგნიდან მომდინარე პირველყოფილ ადამიანთა განსახლება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

III. აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი: იორ-ალაზნის შუამდინარეთი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სოფ. ზიარის მახლობლად აშელური ხანის ღია ტიპის სადგომი – სახელოსნო, სადაც კაჟის საბადოებიდან ახლოს ქვის დამუშავების მოლიანი საწარმოო ციკლია დადასტურებული (სურ. 8, № 12; [461-462], [521].

IV. აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოდასავლეთი ნაწილი: ისტორიული შიდა ქართლი და დიდი კავკასიონის სამხრეთი ფერდობების მაღალმთიანი ზოლი. აქ გამოვლენილ

[38] სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ გვაქვს ძველი ქვის ხანის, ე.ი. პალეოლითის საყოველთაოდ მიღებული პერიოდიზაცია. ზოგიერთი მკვლევარი მომხრეა სამწილადი პერიოდიზაციის: ა) ძველი (მას „ადრეულ“ ან „ქვედა“ პალეოლითსაც უწოდებენ), რომელიც მოიცავს პერიოდს ოლდუვაიდან (ზოგჯერ „წინაშელურ“ ან „ანატკეცთა კულტურასაც“ რომ უწოდებენ), გვიან შელურ (შუალედურ ხანას ძველ აშელს უწოდებენ ე.ი. აღრიდელი პერიოდიზაციით – შელი და აბბევილი); ბ) შუა – მუსტიეს ეპოქას რომ ემთხვევა და გ) გვიანი ან ზედა, რომელიც ე.წ. ფრანგული სქემის მიხედვით მოიცავს ორინიაკის, მადლენისა და სოლუტრეს პერიოდებს. რამდენადაც აშელური და მუსტიერული ეპოქების გამოჯვნა საკამათოა (შდრ: [443, გვ. 9]), ჩვენ ვხარგებლობთ პალეოლითის ორნაწილიანი პერიოდიზაციით და ქართულ არქეოლოგიაში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად ვხმარობთ ტერმინებს „ქვედა პალეოლითი“ და „ზედა პალეოლითი“ (შდრ. [39], I).

ძეგლთაგან ყველაზე უკეთაა შესწავლილი წონას (სურ. 8, № 8; [545]) და კუდაროს (სურ. 8, № 7) კარგად სტრატიფიცირებული მღვიმური სადგომები [553], [563], [565-566].

V. დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი: მდ. რიონისა და ყვირილას აუზში გამოვლენილი მთელი წყება აღრეპალეოლითური ხანის ადამიანის მღვიმური სადგომებისა, როგორიცაა ჯრუჭულა, „ბრინჯაოს გამოქვაბული“, ორთვალა კლდე, ძუძუანა და სხვ. (დაწერ. [483-490], [493], [495-496], [567], [584-587]).

VI. დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი (დღევანდელი აფხაზეთი): ზღვისპირა ზოლი, სადაც აღმოჩენილია აშელური ხანის ადრეული საფეხურის ღია ტიპის სადგომთა მთელი ჯგუფი ძეგლებისა, რომელთა შორისაა იაშთხვა, ბირცხა და სხვ. [455], [459ა], [517], [519], [542], [548-551].

თვალსაჩინო მაგალითია გამოქვაბული კუდარო I, რომელიც ზღვის დონიდან 1500 მ-ის სიმაღლეზეა განლაგებული. ეს გამოქვაბული კარსტული წარმოშობისაა. მისი სიგრძე 50 მ-ს აღემატება და შედგება ვიწრო (დაახლოებით 3-4 მ სიგანის), მაგრამ კარგად ვენტილაციურებული 3 გალერეისაგან (აღმოსავლეთ გალერეის სიგრძე 8 მ-ია, სამხრეთისა – 11 მ, ხოლო დასავლეთისა – 25 მ), რომელნიც ფართო ცენტრალური კამერისაგან არიან თითქოს განშტოებული [564, გვ. 18-19]. აშელურ ხანაში აქ უკვე არსებობდა ხანგრძლივად დამკვიდრებული მოსახლეობა, რაზეც მიუთითებს აქ მრავლად აღმოჩენილი ცხოველთა ძვლები, რომელთაც საკვებად იყენებდა პირველყოფილი ადამიანი.

საკმაოდ მრავალფეროვანია გამოქვაბულში აღმოჩენილი ქვის ინვენტარი: მზა იარაღები, რომელთაც ხშირი გამოყენების კვალი ეტყობათ, და აგრეთვე კაჭრები, სატეხები, ნუკლეუსები,



სურ. 8. ქვედა პალეოლითის ხანის ძეგლების გავრცელების სქემატური გეგმა: 1. იაშთხვა [517], [548-551]; 2. ბირცხა [549ა]; 3. ცუცხვაო [483], [584]; 4. საკაჟია [499], [503]; 5. ორთვალა-კლდე [53, VIII]; 6. ჯრუჭულა [483]; 7. კუდარო [533]; 8. წონა [545]; 9. ლაშე-ბალთა [556]; 10. დმანისი [იხ. შენიშვნა 37]; 11. წოფი [472]; 12. ზიარი [521], [460-461]. I – აშელი; II – მუსტიე

აქ დასახელებული რეგიონები ერთნაირი სისრულით ჯერ კიდევ არაა შესწავლილი (შდრ. [585, გვ. 5-14], [462, გვ. 81-124]), მაგრამ მიუხედავად ამისა, უკვე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა დიდმნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს მიწა-წყლის პირველმცხოვრებთა ცხოვრების წესის, საქმიანობისა და აგრეთვე გარემომცველი ბუნებრივი პირობების შესახებ.

ქვედაპალეოლითური ხანის არქეოლოგიურ ძეგლთა აღმოჩენის ტოპოგრაფია თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ამ დროს ადამიანი განსახლებულია უკვე საქართველოს ყველა ლანდშაფტურ-კლიმატურ ზონაში. აშელის ეპოქიდანვე იწყება მაღალმთიანი ოლქების ათვისებაც. ამის ნამზადები, მრავალრიცხოვანი ანატკეცები და სხვ. საწარმოო ნაშთები, რომელთა მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ სრული პროცესი ქვის დამუშავებისა და იმ იარაღის დამზადებისა, პირველყოფილი ადამიანი რომ იყენებდა თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში (სურ. 9-10).

კუდაროს ჯგუფის გამოქვაბულის მახლობლად, მაგრამ უკვე ზღვის დონიდან 2150 მ სიმაღლეზე მდებარეობს წონას გამოქვაბული (სურ. 8, № 8), რომელიც აგრეთვე კარსტული წარმოშობისაა და რამდენიმე კორიდორისაგან შედგება. თავდაპირველად ის ჩვეულებრივ მუდმივ საცხოვრებლად ყოფილა გამოყენებული. შემდეგ კი, აშელურსავე ეპოქაში დროებით სა-

მონადირეო სადგომად ქცეულა. წონას მღვიმური სადგომი ერთ-ერთი უდიდესთაგანია.[39] მისი ფართობი დაახლოებით 1000 $მ^2$-ია ([545, შდრ. 443, გვ. 60]).

პალეოგეოგრაფიული და პალეოკლიმატური მონაცემების საფუძველზე [443, გვ. 56], [513], დადგენილია, რომ აშელური ეპოქის ფინალურ სტადიაზე იწყება ძლიერი აცივება, რომელმაც ადამიანი აიძულა მიეტოვებინა მაღალმთიანი ადგილები. მაგრამ შემდეგ, მუსტიეს ეპოქაში (ესაა ე.წ. ზედა პლეისტოცენის მეორე ნახევარი, რომელიც დამთავრდა დაახლოებით 35000 წლის წინ) კვლავ შეიმჩნევა საგრძნობი დათბობა. კლიმატი ხდება მშრალი ან ზომიერად ნესტიანი და რბილი [562]; ამ დროს მიმდინარეობს ადამიანის ფართოდ განსახლება მთელს საქართველოს მიწა-წყალზე და ყველა ლანდშაფტურ ზონაში. ადამიანი კვლავ, მაგრამ ამჯერად უფრო ინტენსიურად, სახლდება ვაკე-დაბლობსა და მთისწინეთში, აგრეთვე დიდი კავკასიონის მაღალმთიან ოლქებში და აღწევს თითქმის სუბალპურ ზონას ზღვის ღონიდან 1600-2100 მ-მდე. ადამიანი კვლავ უბრუნდება კუდაროსა და წონას გამოქვაბულებს. საკმაოდ მრავალრიცხოვანი მღვიმური დასახლებანი ჩნდება ყვირილას ხეობაში [584, გვ. 15-22 და იქვე დასახ. ლიტ.]. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ მუსტიეს ეპოქაში ადამიანთა ასე ფართოდ განსახლება აშელური ეპოქის ადგილობრივი მოსახლეობის ზრდისა და გამრავლების შედეგია. მაგრამ გამორიცხული არაა სამხრეთიდან, ძირითადად წინაარხიდან მოსახლეობის ახალი და არაერთი ტალღის შემოსვლა, რომელმაც თან მოიტანა თავისი, უკვე ჩამოყალიბებული უფრო განვითარებული და სრულყოფილი ტექნიკური ტრადიციები.[40]

აშელ-მუსტიეს ეპოქის ადამიანები ცხოვრობდნენ როგორც გამოქვაბულებში, ასევე ღია ცის ქვეშ – ხის ტოტებისაგან გამართულ პრიმიტიულ თავშესაფრებში (ესაა ე.წ. ღია ტიპის სადგომები). გვხვდება ადრეთვე დანიშნულების თვალსაზრისით განსხვავებული საცხოვრისები: „მუდმივი“ და დროებითი სადგომები, მონადირეთა ბანაკები, სახელოსნოები და სადგომ-სახელოსნოები. არც ეს უკანასკნელი არის ერთგვაროვანი. ზოგიერთ მათგანში დადასტურებულია „სრული საწარმოო ციკლი“, ე.ი. იარაღის დამზადების მთელი პროცესი, რომელიც იწყება ქვის პირველადი გაპობისაგან და მთავრდება იარაღის სამუშაო ნაწილების გულდასმითი მეორადი დამუშავებით (ამ მხრივ ტიპიური ნიმუშია ზიარის სადგომი – სურ. 8, № 12), სხვაგან კი – მხოლოდ ნამზადებია გულგულისათვის და ა.შ.

განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა მიზეზით გამოქვაბულები ხშირად იცვლიდა თავის ფუნქციას. ზოგჯერ ხანგრძლივ საცხოვრისად განკუთვნილი სადგომი კარგავდა თავის პირვანდელ დანიშნულებას და ხან მონადირეთა (როგორც წონა) სეზონურ სადგომად იქცეოდა, ხან სადგომ-სახელოსნოდ (კუდარო) და ა.შ. (შდრ. [563, გვ. 26, 60]). ასეთი ცვლილებები შეიძლება აიხსნას სხვადასხვა მიზეზით: ზოჯერ კლიმატური პირობების შეცვლის გამო ადამიანები იძულებული იყვნენ მიეტოვებინათ თავიანთი მუდმივი ადგილსამყოფელი და სხვაგან გადასახლებულიყვნენ, გარკვეული დროის შემდეგ ახალმოსულნი კი უკვე სხვა დანიშნულებით იყენებდნენ გამოქვაბულებს; არცთუ იშვიათად იყო შემთხვევები ძველ ბინადართა განდევნისა ან მთლიანად მოსპობისა.

ქვედაპალეოლითის ხანის არქეოლოგიურ მეგლთა გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები საკმაოდ ნათელ (მაგრამ, ბუნებრივია, ჯერ კიდევ *არასრულ*) *წარმოდგენას გვაქმნიან იმ დროის ადამიანების შესახებ.* ყოველდღიური ცხოვრების დიდ ნაწილს ისინი ანდომებდნენ იარაღის დამზადებას, რომლითაც მოიპოვებდნენ საკვებს და იცავდნენ თავს მტრისა და გარემო სამყაროსაგან.

აშელურ ეპოქაში ყველაზე უფრო გავრცელებული იარაღი იყო ქვის ხელნაჯახი, რომელიც ქვის უბრალო წაწვეტებულ კაჭარს წარმოადგენდა. იგი მზადდებოდა საკმაოდ პრიმიტიული წესით – ქვის ორმხრივი ათლით თუ ატკეცით. აშელური ეპოქის ხელნაჯახი გამოიყენებოდა საჭეს, საჭრელ თუ საბრეტ იარაღად. ხმარობდნენ აგრეთვე ქვის ანატკეცებისაგან დამზადებულ სახოკებს, საჭრისებსა და საკვეთებს (სურ. 9-10). მუსტიერულ ეპოქაში იარაღი კიდევ უფრო მრავალფეროვანია: წვეტანები, ფირფიტები, სხვადასხვა ტიპის სახოკები, დანები, დაკბილული იარაღები, საჭრისები (სურ. 11). ამათგან თითოეულს მრავალი დანიშნულება ჰქონდა და ამიტომაც ერთსა და იმავე იარაღს სხვადასხვა მიზნით იყენებდნენ.

---

[39] აქ მოხსენებულია მხოლოდ მღვიმური სადგომები. აშელური ეპოქის სხვა ძეგლების შესახებ დაწვრ. იხ. [492, გვ. 88-90; 442, გვ. 61-62; 585, გვ. 3-14; იქვე დასახ. ლიტ.], [462 და იქ დასახ. ლიტ.].

[40] ასეთი მტკიცების არაპირდაპირ მოწმობად შეიძლება მივიჩნიოთ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული ზოგიერთი დასკვნაც, კერძოდ: აშელური ეპოქისათვის ასე დამახასიათებელ ბიფასურ ინდუსტრიასთან ერთად მუსტიეს ეპოქაში შეინიშნება განსხვავებული ტექნიკური სახეობის ქვის ინდუსტრიის განვითარება. კიდევ მეტი, ბიფასიალური (ე.ი. ორმხრივ დამუშავებული) ფორმები ზოგჯერ საკმაოდ სწრაფად ქრება და აშელური ინდუსტრიის ევოლუცია მიემართება სწორედ არააშელური ტრადიციების მქონე მუსტიერული ინდუსტრიის განვითარებისაკენ. ახალ, მუსტიერულ ინდუსტრიაში გამოყოფენ განვითარების სამ სახეობას: ტიპიურ მუსტიერულს, დაკბილულ-მუსტიერულს და შარანტულს. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არქეოლოგ ვ. ლიუბინის მტკიცებით, ამიერკავკასიის მუსტიე მთელი რიგი ნიშნებით წინაარხეულთან ამჟღავნებს საკმაოდ დიდ მსგავსებას [563, გვ. 198].

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 9. აშელური ხელცული. ბაზალტი. წონა [545]

უკვე აშელური ეპოქიდან შეინიშნება ადამიანთა ლტოლვა ისეთ ადგილებში დასახლებისაკენ, რომლებიც ქვის იარაღების დასამზადებელი ნედლეულით იყო მდიდარი. ქვედა პალეოლითის (აშელ-მუსტიეს) ეპოქის თითქმის ყველა რამდენადმე მნიშვნელოვანი სახელოსნო თუ სადგომი-სახელოსნო გვხვდება სწორედ იქ, სადაც იარაღის დასამზადებლად ვარგისი სხვადასხვა ჯიშის ქვის (ანდეზიტი, ბაზალტი, კაჟი, ობსიდიანი) საბადოებია. იმდროინდელი ადამიანი არ იფარგლებოდა მხოლოდ მის მუდმივ საცხოვრისთან განლაგებული ქვის კარიერებით. ზშირად იგი ქვის მოსაძიებლად რამდენიმე ათეული კილომეტრით და კიდევ უფრო შორს მდებარე ადგილებისკენაც მიემართებოდა. მაგალითად, ლაშე-ბალთას სადგომზე (სურ. 8, № 9) ქვის იარაღები ძირითადად ადგილობრივი ნედლეულისაგანაა დამზადებული. მაგრამ იქვეა ნაპოვნი ანდეზიტის ხელნაჯახი, რომლის კარიერები დასავლეთ საქართველოშია ცნობილი [556, გვ. 34]. ეს ფაქტები თვალსათლივ მოწმობს, რომ ძველი ქვის ხანის უკვე ადრეულ საფეხურზე ადამიანები კარგად იცნობდნენ სხვადასხვა ჯიშის ქვის თვისებებს და ჰქონდათ გარკვეული ინფორმაციაც ამა თუ იმ იარაღის დასამზადებლად საჭირო ნედლეულის ადგილმდებარეობის შესახებ.

პირველყოფილი ადამიანის ძირითადი საქმიანობა (უთუოდ, ურთიერთშორის ასაკობრივ-სქესობრივი პრინციპით დანაწილებული) საკვების მოპოვება იყო. საქართველოს მიწის არაწვეულებრივი სიმდიდრე, სხვადასხვაგვარი და საკვებად ვარგისი მცენარეულობა (კაკლისმაგვარი, ველური ხილი თუ ბოსტნეული და ა.შ.) ხელს უწყობდა შემგროვებლური მეურნეობის განვითარებას, რომელიც უპირატესად ქალთა საქმიანობად იყო ქცეული. მთავარი კი მაინც იყო მონადირეობა, რომელიც პირველყოფილ ადამიანს უზრუნველყოფდა ნოყიერი საკვებით, ხორცეულით და ტყავეულით, რომელსაც იმდროინდელი ადამიანი ტანისამოსად, ქვეშსაგებად და გადასაფარებლად იყენებდა. ივარაუდება აგრეთვე, რომ ცხოველთა ძვლებს სათბობ-საწვავადაც იყენებდნენ.



სურ. 10. აშელური იარაღები (კუდარო I): 1. პრატოლიმასი, 2. კინსონის ტიპის იარაღი, 3-7. სახოკი, 8. წალდის ტიპის ცული, 9. შუბისპირისებური ბიფასი (ორმხრივი იარაღი) [443]

ნადირობის ეფექტიანობას ხელი შეუწყო მუსტიეს ეპოქაში წეტანების დამზადებამ, რომელთაც იყენებდნენ ხელშუბისპირებად (ასეთები აღმოჩენილია კუდარო I და III, წონას, ჯრუჭულას, ლაშე-ბალთასა და იაშთხვის მუსტიერულ სადგომებზე).[41] ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ის შეღეგები, რომელიც კუდარო III სადგომის ქვედაპალეოლითური ფენების გათხრებისას მოპოვებული ფაუნისტური მასალის სტატისტიკური ანალიზითაა მიღებული. გამოირკვა, რომ აშელურ პერიოდში ჭარბობს დათვის ბელისა და, საერთოდ, მცირეწლოვან ცხოველთა კბილები (იგი შეადგენს დაახლოებით 86%), მაშინ როდესაც მუსტიერულ ეპოქაში პირიქითაა. ე.ი. აშკარაა, რომ იარაღების ტექნი-

[41] შუბისპირებად მიიჩნევენ აგრეთვე საკმაოდ წაგრძელებული ფორმის ორმხრივ დამუშავებულ იარაღებს. ისინი მკვლევართ მოაგონებენ აფრიკულ იარაღებს, მაგრამ აქვთ უფრო წაგრძელებული პროპორციები და თავისებური მოხაზულობა, რის გამოც მათ ადგილობრივ ენლოგენურ კავკასიურ ტიპად მიიჩნევენ [443, გვ. 69].

კურმა გაუმჯობესებამ და სრულყოფამ პირველყოფილ ადამიანს საშუალება მისცა ენადირა გაცილებით მსხვილ პირუტყვზე, რომელიც მეტ ხორცს, ქონსა და ტყავს აძლევდა [443, გვ. 67]. მუსტიერული ეპოქისათვის უკვე აშკარაა მონადირეობის სპეციალიზაცია, რასაც, შესაძლოა, რელიეფის მრავალფეროვნება განაპირობებდა [494, გვ. 8].



სურ. 11. მუსტიერული იარაღის ნიმუშები: 1, 3-4, 7, 8 – ჯრუჭულადან; 2, 5 – წონადან; 6 – კუდარო I-დან, 9-12 – კუდარო II-დან [443]

ქვედაპალეოლითის ხანის სადგომების გათხრისას აღმოჩენილი ძვლოვანი მასალის მიხედვით ჩანს, რომ იმ დროს საქართველოს მიწა-წყალზე ცხოვრობდნენ ისეთი ცხოველები, როგორიცაა ბიზონი, მარტორქა, გამოქვაბულის ლომი, მელია, მგელა, დომბა, გიგანტური და კეთილშობილი ირემი, ტახი, ჯიხვი, ქურციკი, გამოქვაბულის დათვი, რომლის ძვლები ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანია (შდრ. [443, გვ. 66]). ადამიანი უთუოდ ნადირობდა ზოგიერთ მათგანზე, აგრეთვე ფრინველებსა და მღრღნელებზე; არაა გამორიცხული, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დიდი და მძლავრი ცხოველების ლეშსაც იყენებდა საკვებად. დიდ ინტერესს იწვევს კუდარო I სადგომის მუსტიერული ხანის ფენებში აღმოჩენილი თითქმის ათეული ათასი ძვალი ორაგულისა, რაც მკვლევარებს ავარაუდებინებს მონადირეთა სეზონური ბანაკის არსებობას: აქ, როგორც ჩანს, ქვირითობის დროს ორაგულზეც თევზაობდნენ. ამიტომაც ფიქრობენ, რომ უკვე ამ დროს მეთევზეობაც ნადირობის ერთ-ერთი ჩამოყალიბებული დარგი იყო [563, გვ. 26]; [443, გვ. 67].

ბუნებრივი პირობების ცვლილებასთან ერთად იცვლებოდა ნადირობის ობიექტიც. მაგალითად, კუდარო I სადგომზე გამყინვარებათშორის აშელურ ფენებში ჭარბობს გამოქვაბულის დათვის ძვლები,[42] რომლებიც მთელი ძვლოვანი მასალის 74,6%-ს შეადგენს, ხოლო მუსტიერულ ფენებში (ვიურმის დროინდელ დონეზე) – 1/2 ან ზოგჯერ 1/3 ნაწილსაც [443, გვ. 66].

გამოქვაბულებში აღმოჩენილი იარაღების და ცხოველთა ძვლების ნაშთების შესწავლის საფუძველზე ზოგჯერ შეიმჩნევა მონადირეობის ერთგვარი სპეციალიზაციაც, რასაც განაპირობებდა საქართველოს ამა თუ იმ მხარის გეოგრაფიული გარემო, რომელშიც ადამიანს უხდებოდა ცხოვრება. ასეთია წონას გამოქვაბული, რომელიც ძნელად მისასვლელ მაღალმთიან ზონაში მდებარეობდა, ერთ დროს (არქეოლოგიურად ფენა 6: „პირველი აშელური“) წარმოადგენდა მონადირეთა ბანაკს – დროებით სადგომს, რომელიც განკუთვნილი იყო მსხვილ ცხოველებზე ხანმოკლე და ეპიზოდური ნადირობისათვის. ასევე კუდარო I მუსტიერულ ბანაში (არქეოლოგიურად 3-4 ფენები) წარმოადგენდა ცხოველებზე სანადიროდ და ორაგულზე სათევზაოდ გამართულ დროებით თუ სეზონურ ბანაკს. აქ დასახელებული (აგრეთვე სხვადასხვა პუნქტებში ფიქსირებული) დროებითი სამონადირეო ბანაკ-სადგომები ეკუთვნოდა მთავარ „მუდმივ“ საცხოვრისად განკუთვნილ სადგომს – ე.წ. ფუძესადგომს, რომელშიც ადამიანთა ერთი გარკვეული ჯგუფი მოსახლეობდა (შდრ. [563, გვ. 66, 94]).

აშელური ეპოქისათვის ერთ-ერთი ასეთი ფუძესადგომის მაგალითია კუდარო I, ხოლო მუსტიერული ეპოქისათვის – ჯრუჭულის გამოქვაბული, მდ. ყვირილას მარჯვენა შენაკადის მდ. ჯრუჭულას ციცაბო კანიონზე ზღვის დონიდან 600 მ სიმაღლეზე განლაგებული. ამ გამოქვაბულის სიგრძე 17-17,5 მ-ია. შუა ნაწილში მისი სიგანე აღწევს 12 მ-მდე და ამრიგად, საცხოვრებლად განკუთვნილი ფართობი თითქმის 130 მ² შეადგენს.

ქვედა პალეოლითის ეპოქაში ჩნდება პრიმიტიული რელიგიური რწმენა-წარმოდგენებიც, რის ერთ-ერთ მოწმობად მიაჩნიათ „დათვის კულტი“ (დაწვრ. სპეციალურ ლიტერატურაზე მითითებით იხ. [582, გვ. 138-179]). ამ თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს კუდარო I სადგომის აშელურ ფენაში აღმოჩენილი ორი თავის ქალა – ერთი გამოქვაბულის დათვისა,

[42] ცნობები აშელ-მუსტიეს ეპოქის ნამოსახლარებზე ფაუნისტური მასალის შესახებ იხ., მაგ., [443, გვ. 23-24, 61, 71-72]; [585, გვ. 12, 15-16 და იქვე დასახ. ლიტ.], [481], [527-528], [534].

ხოლო მეორე – ირმისა, რომლებიც თითქოს საგანგებოდ იყო დაწყობილი გამოქვაბულის აღმოსავლეთ გალერეის მოპირდაპირე კედლებთან თვალსაჩინო ადგილას. კუდარო III მუსტიერულ ფენაში კი გამოქვაბულის კედლთან აღმოჩნდა დიდი ზომის გამოქვაბულის დათვის თავის ქალა, რომელიც გამოქვაბულის ცენტრისაკენ იყო „სახით" მიმართული და ჰქონდა „რიტუალურად გახეხილ-გაპრიალებული ეშვები და ნაჭდევები" [443, გვ. 67-68]. კიდევ უფრო მეტყველი სურათი დაფიქსირდა მდ. ყვირილას ზემო წელზე ცუცხვაის გამოქვაბულთა სისტემის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მაღლა განლაგებულ, ე.წ. „ზედა გამოქვაბულში", რომელშიც მუსტიერულ ეპოქით დათარიღებული ნაშთები აღმოჩნდა. გამოქვაბულის შესასვლელი ჩახერგილი იყო ქვის ლოდებით. კედლების გასწვრივ კი აღმოჩნდა გამოქვაბულის დათვის თავის ქალები და კიდურთა ძვლები, რომელნიც გარკვეული რიგით იყო დალაგებული. ამ გამოქვაბულის ძალზე მცირე მოცულება (სიგრძე სულ 3,2 მ და სიგანე 3,1 მ) თითქოს გამორიცხავს მის ადამიანთა მიერ საცხოვრისად გამოყენებას. ამიტომაც მას დათვის კულტთან[43] დაკავშირებულ გამოქვაბულად მიიჩნევენ, ხოლო აქვე აღმოჩენილ ქვის იარაღებს (საზომებს, ფირფიტებს, ანატკეცებს) კი – რიტუალური წესის შესასრულებლად საგანგებოდ მოტანილ ნივთებად (ანუ შეწირულობად) [528].

საქართველოში აღმოჩენილი ქვედა პალეოლითის ხანის არქეოლოგიური ძეგლები, ამრიგად, წარმოგვიდგენენ ჩვენი მიწა-წყლის პირველმოსახლეთა მრავალმხრივი, მიზანსწრაფული და უთუოდ ასაკობრივ-სქესობრივ პრინციპზე აგებული საქმიანობის სხვადასხვა მხარეებს (ნედლეულის მოძიება და ყოველდღიური მოზმარების ქვის იარაღების დამზადება, მონადირეობა, საკვები მცენარეულობის შეგროვება, საოჯახო კერიისა და ცეცხლის მოვლა თუ დაცვა-პატრონობა, საკულტო რიტუალების შესრულება). ამ დროისათვის ადამიანთა ცალკეულ ჯგუფებს, რომელნიც ერთმანეთთან ნათესაური კავშირებითა და წარმოებითი ურთიერთობებით იყვნენ დაკავშირებული, ჰქონდათ უკვე საერთო საკუთრება მეტ-ნაკლებად ზუსტად შემოფარგლულ სანადირო თუ საშემგროვებლო ტერიტორიაზე და წარმოების საშუალებებზე. ადამიანთა თითეული ასეთი ჯგუფი უკვე წარმოადგენდა, როგორც ფიქრობენ, გარკვეულ ტერიტორიაზე თავმოყრილ თავისებურ ეთნიკურ ერთობას, რომელიც გამოირჩეოდა გარკვეული და აშკარად გამოხატული ინდივიდუალური თავისებურებებით, რომლის შემკვიდრეობითი ტრადიციები თვალნათლივაა ასახული ქვის იარაღების დამუშავების ხერხებსა და იარაღების ცალკეულ ფორმებში.[44]

აშელ-მუსტიეს ეპოქის ანთროპოლოგიური აღმოჩენები საქართველოში ჯერჯერობით ძალზე მცირერიცხოვანია. კუდაროს გამოქვაბულის გვიან-აშელური ხანის ფენაში ნაპოვნია ადამიანის კბილი, რომელიც როგორც ფიქრობენ, ეკუთვნოდა პითეკანთროპთან თუ ნეანდერტალელთან ახლო მდგომ ჰომინიდების წარმომადგენელს [443, გვ. 65].

ძალზე მნიშვნელოვანია მუსტიეს ეპოქის აღმოჩენები ყვირილას ხეობაში: ჯრუჭულაში ნაპოვნი კბილი, ე.წ. პირველი მოლარი [532], ხოლო "ბრინჯაოს გამოქვაბულში" – ძირეული კბილი ([489], [533]). დიდ ინტერესს იწვევს საკაჟიას გამოქვაბულში აღმოჩენილი ადამიანის ქვედა ყბის ფრაგმენტი და კბილი. სპეციალისტები ყურადღებას აქცევენ ნეანდერტალოიდთათვის დამახასიათებელ ისეთ ნიშნებს, რომელნიც უფრო ადრეული ჰომინიდებისათვისაა (და აგრეთვე ზოგიერთი პალეანთროპებისათვის). ტიპიური, და ზოგიერთ სხვა დეტალებს. ამის საფუძველზე შესაძლებლად მიაჩნიათ ამტკიცონ საკაჟიელი ადამიანის ერთგვარი განცალკევება. ვარაუდობენ, რომ ის ეკუთვნოდა რაღაც ცალკე შტოს, რომელიც პალეანთროპოიდების პარალელურად ვითარდებოდა და შესამჩნევად განსხვავდებოდა როგორც ევროპელი ისე სხვა

[43] სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია საინტერესო მოსაზრება, რომ დათვის (ხოლო რიგ შემთხვევაში ზოგიერთი სხვა ცხოველის) ძვლების გროვა ყოველთვის არ უნდა მოწმობდეს მათ უტილიტარულ ხასიათს, არამედ შესაძლოა ეს იყოს გამოვლინება „გარკვეული რელიგიური რწმენა-წარმოდგენისა, რომელიც „ნადირობის სიმბოლოს" ინახავდა ანუ წარმოადგენდა მუსტიერული ეპოქის ადამიანის თავისებურ „ნატურალისტურ შემოქმედებას". ამიტომაც აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მრავალფეროვან და ადრე მრავალრიცხოვან ფაუნისტურ მასალაში ე.წ. „ძვლოვან-სიმბოლური" კომპლექსების გამოყოფის შესაძლებლობას. პალეოლითური ხელოვნების ერთ-ერთი ცნობილი მკვლევარის აზრით, კავკასიის მუსტიერული სადგომების ფაუნისტურ მასალაში გამოქვაბულის დათვის ძვლების აბსოლუტური სიჭარბე ყოველთვის როდი უნდა აიხსნას სპეციალიზირებული მონადირეობით, არამედ ეს შესაძლოა ნიშნავდეს გარკვეულ წესს, სწორედ გამოქვაბულის დათვის საგანგებოდ შერჩეული ნაწილების შენახვას, რასაც გარკვეული სიმბოლური აზრი და მნიშვნელობა ჰქონდაო [582, გვ. 161-162].

[44] ცალკეული ზონების არსებობა, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ქვის ინდუსტრიით (რაც ეთნოსპეციალური ინფორმაციის მოავარ მატარებლად ითვლება – შდრ. [557]), მიჩნეულია ქვის ხანის არქეოლოგიური კულტურის გამოყოფის კრიტერიუმად. ქვის ინდუსტრიის ხასიათის მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე ქვედა პალეოლითური ეპოქისათვის გამოყოფენ ოთხ ლოკალურ მუსტიერულ არქეოლოგიურ კულტურას: წოფის (რომელიც განსაკუთრებით განცალკევებული ჩანს), ცუცხვათის, ჯრუჭულა-კუდაროს და ცხინვალისას (დაწვ. [563, გვ. 190-205]; [585, გვ. 16, 22]).

ნეანდერტალელებისაგან, ასევე გვიანპალეოლითელი ადამიანისაგან. ძალზე მნიშვნელოვანია აგრეთვე სპეციალისტების მიერ დადგენილი ფაქტი: ერთი მხრივ, საკაჟიაში აღმოჩენილი კბილისა, ხოლო მეორე მხრივ – ჯრუჭულასა და „ბრინჯაოს გამოქვაბულში“ ნაპოვნი პალეოანთროპის კბილთა მორფოლოგიურ-ტიპოლოგიური იდენტურობა (დაწვრ. იხ. [531-532]).

კავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ყველა ანთროპოლოგიური აღმოჩენის ურთიერთშედარების საფუძველზე სპეციალისტები ასკვნიან: ნეანდერტალელთა საპაიენტიზაციის, ე.ი. თანამედროვე ტიპის ადამიანის ჩამოყალიბება კავკასიის ტერიტორიაზე დასრულდა მუსტიერული ხანის ფარგლებში. დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე პოპულაციას უკვე ჰქონდა საკმაოდ მნიშვნელოვანი პროგრესული ნიშნები. ამ პოპულაციის წარმომადგენლები უკვე აღარ იყვნენ ნეანდერტალელები (საერთოდ მუსტიეს ეპოქის ნეანდერტალელები კავკასიაში აღმოჩენილი არაა) [443, გვ. 66].

თანამედროვე ტიპის ადამიანის შემდგომი განვითარება მიმდინარეობს ძველი ქვის ხანის მომდევნო ეტაპზე – ზედა ანუ გვიანი პალეოლითის ეპოქაში (დაახლოებით 35-15 ათასი წლის წინ).

ზედა პალეოლითის ხანის ანთროპოლოგიური ნაშთები ცნობილია დევნისზერელიდან [498], საკაჟიადან (სადაც ღილიზღეფალური ფორმის თავის ქალა ნაპოვნი – [499, გვ. 84]), ქვაჭარადან,[45] ცივი მღვიმედან.

ზედა (გვიანი) პალეოლითის ეპოქა დღევანდელ საქართველოს მიწა-წყალზე აღინიშნება კმაკვრი კლიმატური ცვლილებებით, რომელიც გამოწვეული იყო ე.წ. ზედა (მთავარი) ვიურმული გამყინვარებით. ამ ხანის ფენებიდან მოპოვებული მცენარეული მტვრის (მტვრიანას) ანალიზი ცხადყოფს ამ დროს წიწვოვანთა არსებობას უკვე ზღვის დონიდან 2000მ სიმაღლეზე და შესაბამისად – სუბალპური სარტყლის გაცილებით დაბლა ჩამოწევას [457, გვ. 142-145], [493]. ზედავიურმული გამყინვარებით გამოწვეულ ძლიერ აცივებასა და კლიმატის გაუარესებას შედეგად მოჰყვა ძირეული ცვლილებანი ადამიანთა საცხოვრისების განლაგებაში (დაწვრ. [457, გვ. 143]). ადამიანი ამ დროს ტოვებს მკაცრ მაღალმთიან ხეობებს და თავშესაფარს პოულობს ზღვისპირეთსა და საქართველოს დაბლობებში, რომელიც გამოირჩევა რბილი კლიმატითა და საკვებად ვარგისი უხვი და მრავალფეროვანი მცენარეულობით. უთუოდ მრავლისმეტყველია ამ თვალსაზრისით ის ფაქტი, რომ ზედაპალეოლითური ხანის დღემდე ცნობილი ძეგლების აბსოლუტური უმრავლესობა (დაახლოებით 85) თავმოყრილია ზღვისპირა ზოლში და რიონ-ყვირილის აუზში [585, გვ. 23]. ადამიანი უკვე აღარ სახლდება ზღვის დონიდან 800-900 მ-ზე მაღლა (მაშინ როდესაც ქვედა პალეოლითში ადამიანთა სადგომები 2100 მ-ის სიმაღლეზეც იყო განლაგებული).

ზედა პალეოლითის ხანის ადამიანის ძირითადი სადგომი იყო გამოქვაბული, რომელიც იცავდა მას სიცივისა და აგრეთვე მტაცებელი ცხოველის თავდასხმისაგან.

ზედა პალეოლითის არქეოლოგიური ძეგლები სამ თანამიმდევრულ ქრონოლოგიურ ჯგუფადაა დაყოფილი (დაწვრ. [457, გვ. 150-154]): პირველი (აღრეული) ე.წ. ფრანკული სქემის მიხედვით შეესატყვისება აღრეულ ორინიაკს (სურ. 12, №№ 1, 3, 5, 9, 13, 14); მეორე (შუა) – სოლუტრეს (სურ. 12, №№ 7, 8, 10, 12, 16, 17) და მესამე (გვიანდელი) – მადლენს (სურ. 12, №№ 2, 4, 6, 11).

ამ სამ ქრონოლოგიურ ჯგუფში გაერთიანებულ ზედაპალეოლითურ ძეგლებს ახასიათებთ ქვის იარაღების ძირითადი მასის ახლო მსგავსება და მჭიდრო ურთიერთკავშირი, აგრეთვე ძვლისა და რქის ნაკეთობათა ერთგვაროვნება, რაც სპეციალისტებს უფლებას აძლევს მიიჩნიონ ისინი ერთ არქეოლოგიურ კულტურად, რომელსაც „იმერეთის (თუ „იმერეთული“) კულტურა“ უწოდეს [544].

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ზემოდასახელებული არქეოლოგიური კულტურის ძეგლები ერთმანეთთან გენეტიკურად არიან დაკავშირებული, ხოლო პირველი (ე.ი. აღრეული) ჯგუფი სათავეს იღებს ადგილობრივ მუსტიერულ კულტურაში.[46] ამასთან ერთად, ზედა პალეოლითის ხანის „იმერეთული კულტურის ძეგლებიდან“ ქვის ინდუსტრიის ხასიათით (ერთი მხრივ, გეომეტრიული ფორმების არარსებობა, ხოლო მეორე მხრივ, სიმრავლე დანისმაგვარი წაგრძელებული ფირფიტებისა და მათგან დამზადებული იარაღებისა) განცალკევებულად გამოიყურება ძუძუანას მღვიმე-სადგომი (სურ. 12, № 15) და სამერ-

[45] ამ გამოქვაბულში ორი ყბა განსაკუთრებითაა საინტერესო. პალეონტოლოგი ლ. გაბუნია ამტკიცებს: ისინი განსხვავდებიან ტიპიური თანამედროვე ადამიანისაგან ისეთი ნიშნებით, როგორიცაა აღველარული რკალის ფორმები (რაც ამსგავსებს „პრესაპიენსის“ ყბებთან), მაკროდონტიზმი და სხვ., რის საფუძველზე ივარაუდება ქვაჭარელი ადამიანის სიახლოვე კულობანს თუ კრომანიელთა რასის სხვა წარმომადგენლებთან (იხ. [509, გვ. 42-43]).

[46] ასე მაგ., არქეოლოგ დ. თუშებარამიშვილის აზრით [585, გვ. 27], ხერგულის კლდის ჯგუფის ძეგლები (დაკბილული ფორმების სიმრავლით რომ ხასიათდებიან) განვითარდნენ ცუცხვათის მუსტიერული კულტურიდან (ამ უკანასკნელის შესახებ იხ. [584], [585, გვ. 17-19]). უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მკვლევარი არ იზიარებს ხერგულის-კლდის (აგრეთვე ტარო-კლდის, სვანთა სავანის, ტოგონ-კლდის) ზედა პალეოლითის აღრეული ეტაპით უყოყმანოდ დათარიღებას (იხ. [496], შდრ. [457, გვ. 153]).

ცხლე კლდე (სურ. 12, № 18), რომელნიც უნდა მივიჩნიოთ ან „იმერეთული კულტურის“ შიგნით ლოკალურ ვარიანტად [500, გვ. 112, 113] ან დამოუკიდებელ არქეოლოგიურ კულტურად, სათავეს რომ ჯრუჭულას მუსტიერულ კულტურაში იღებს [585, გვ. 26][47]

ძალისხმევასა და გარკვეულ ჩვევა-გამოცდილებას მოითხოვდა.

საქართველოს ზედაპალეოლითური ხანის ე.წ. პირველი (ადრეული) ჯგუფისათვის საკმაოდ დამახასიათებელია ქვის დამუშავების ორგვარი ტექნიკის – ე.წ. ლევალუა-მუსტიერუ-



სურ. 12. ზედაპალეოლითური ძეგლების განლაგების სქემატური რუკა: 1. ქვაჭარა [517], 2. აპიანჩა [590-591], 3. სვანთა სავანე [453], 4. ცივი მღვიმე [699], 5. ოქუმი [520], 6. ჭახათი [455], 7. საგვარჯილე [457, გვ. 155-157], [621], 8. საკაჟია [400], [503], 9. ტოღონ-კლდე [495], 10. ბნელი-კლდე [544], 11. გვარჯილას-კლდე [482], 12. მღვიმევი [543], 13. ხერგულის-კლდე [480], 14. ტარო-კლდე [544], 15. ძეძუანა [584], 16. სარეკი [547, გვ. 178-179], 17. დევისხვრელი [498], 18. სამერცხლე-კლდე [500]

თანამედროვე ფიზიკური ტიპის ადამიანის ჩამოყალიბება აღინიშნა ქვის იარაღების სრულყოფითა და მათი დამზადების უფრო ეფექტური ტექნიკური ხერხების გამოყენებით (დაწვრ. [457, გვ. 147-150]). მუსტიერული იერის იარაღებთან ერთად ჩნდება ახალი ტიპისა და ახალი ტექნიკით დამზადებული იარაღები (სურ. 13). განსაკუთრებით ფართოდაა ამ დროს ხმარებაში ქვის გულგულასაგან (ნუკლეუსისაგან) ატკეცილი პრიზმული ფორმის გრძელი და თხელი ფირფიტები, რომელნიც ორი მხრიდანაა დამუშავებული და შემდეგ მათგან სხვადასხვა ტიპის იარაღებია დამზადებული. ქვის იარაღების ფუნქციონალური სრულყოფისა და ეფექტურობისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი ტექნიკური სიახლის გამოყენებას, როგორიცაა ე.წ. წნევითი რეტუში: ძვლის იარაღით ოდნავ დაწოლით ობსიდიანსა და კაჟს აცლიდნენ თხელ ფირფიტებს. ბუნებრივია, რომ ახალი ტექნიკური ხერხების გამოყენება დიდ

ლისა და ზედაპალეოლითურის თანაარსებობა (იხ. მაგ. [480]). მაგრამ თანდათანობით სულ უფრო და წამყვან ადგილს იკავებდა ქვის დამუშავების ზედაპალეოლითური ტექნიკა, რაც ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ მესამე (გვიანდელი) ქრონოლოგიური ჯგუფის ძეგლებზეა წარმოდგენილი. ამ მხრივ საკმაოდ მრავალრიცხოვანი მასალა ნაპოვნია გამოქვაბულ გვარჯილას-კლდეში (სურ. 12, № 11), რომელიც მდ. ყვირილას მარჯვენა შენაკადის მდ. ჯრუჭულას ღრმა ხეობაში, სოფ. დიდ რგანთან, ზღვის დონიდან 400 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს. ოვალური ფორმის გამოქვაბული კარსტული წარმოშობისაა. მისი სიგრძე 30,5 მ-ს აღწევს. გამოქვაბულის შიგნით არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოყოფილია 6 ფენა, რომელთაგან ორი შეიცავს ადამიანის ცხოვრების ნაშთებს, ე.ი. წარმოადგენს კულტურულ ფენას, რომელიც ძირითადად ერთგვაროვანი შემადგენლობისაა და არც ქრონოლოგიურადაა ერთმანეთს საგრძნობლად დაცილებული [482].

გვარჯილას-კლდისა და სხვა მღვიმე-სადგომების (ხერგულის-კლდე, სვანთა სავანე, დევისხვრელი, საკაჟია, სამერცხლე კლდე, ჭახათი,

[47] ჯრუჭულას მუსტიერული კულტურის შესახებ დაწვრ. იხ. [483], [563, გვ. 66-95]; [585, გვ. 18-22 და იქვე დასახ. ლიტ.].

აპიანჩა, ცივი მღვიმე და სხვ.) არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები წარმოგვიდგენენ ზედა პალეოლითის სხვადასხვა ეტაპზე საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლე ადამიანთა ცხოვრების წესს.

ზედაპალეოლითური ხანის ქვის იარაღები წინამორბედ პერიოდთან შედარებით საკმაოდ მარვალფეროვანია როგორც თავისი ფორმით, ასევე დანიშნულებით. ისინი ძველის იარაღებთან ერთად (რომლებიც პირველად სწორედ ზედა პალეოლითში ჩნდება) ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმ დროის ადამიანის საკმაოდ მრავალმხრივი საქმიანობის შესახებ, რომელშიც უმნიშვნელოვანესი ადგილი იარაღების დამზადებას ეკავა, რაც თვით ადამიანის საცხოვრებელ სადგომებზე – გამოქვაბულში ხდებოდა. მღვიმე-სამოსახლოების არქეოლოგიურმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ აქვე ხდებოდა ქვის (უპირატესად კაჟის) როგორც პირველადი, ასევე მეორადი დამუშავება, რასაც მოწმობს სადგომებზე მრავლად (ზოგჯერ ათასეული ცალობით) აღმოჩენილი ნუკლეუსები, ანამტვრევები და ანატკეცები (მათ შორის წვეთითი რეტუშით მიღებული), აგრეთვე იარაღების დასამზადებელი ნივთები.

ნადირობისას, შემგროვებლობასა და საოჯახო ყოფაში გამოსაყენებლად განკუთვნილი იარაღების დასამზადებლად ფართოდ იყენებდნენ კაჟის მრავალფეროვან საფხეკებს (უპირატესად პირამოღარულებს), საჭრისებს, დანებს, სადგისებს, აგრეთვე ქვისა (მეტწილად რიყის) და ძვლის გრდემლებს, უროებს და საპრიალებლებს.



სურ. 13. ზედაპალეოლითური კაჟის იარაღი (დანა და შუბისპირები) გვარჯილას კლდიდან [482]

საშინაო ყოფაში გამოიყენებოდა საფხეკები, საჭრისები, დანები. ტანისამოსის (უპირატესად, რა თქმა უნდა, ცხოველთა ტყავისაგან) დასამზადებლად იყო განკუთვნილი ძველის სადგისები და ნემსები, რომლებიც აგრე მრავლადაა ნაპოვნი ზედაპალეოლითური ხანის ადამიანთა სადგომების არქეოლოგიური გათხრებისას.

იარაღების ძირითადი ნაწილი[48] მაინც გაბატონული იყო ნადირობისათვის, რომელსაც მკაცრი და ცივი კლიმატის პირობებში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმის გამო, რომ თანდათანობით მცირდებოდა საკვებად ვარგისი მცენარეულობის მარაგი და შესაბამისად მცირდებოდა შემგროვებლური საქმიანობაც ზედა პალეოლითის ხანის ადამიანისა. თუმც უნდა ითქვას, რომ შემგროვებლობას მთლიანად არ დაუკარგავს იმ დროს თავისი მნიშვნელობა, რასაც მოწმობს საკაჟას გამოქვაბულში ნაპოვნი ფრაგმენტები საგანგებოდ დამუშავებული ირმის რქებისა. ისინი, როგორც ფიქრობენ, საკვები მცენარეულობის მიწიდან ამოსაძირკვი და მიწის სათხრელი ხის ჯოხის თავზე წამოსაცმელ ბუნიკს წარმოადგენდნენ [499, გვ. 56-57].

ზედა პალეოლითის ხანაში განსაკუთრებით გაიზარდა მნიშვნელობა მსხვილ ცხოველებზე ნადირობისა, რასაც ხელს უწყობდა ის, რომ იმ დროს (უფრო ზედა პალეოლითური ეპოქის გვიანდელ ეტაპზე) აღმოსავლეთ ქვისა და ძვლისაგან ისრისა და შუბის პირების, აგრეთვე ჰარპუნების დამზადება. მონადირეები იყენებდნენ სხვადასხვა ფორმის დანებსა და მიკროლითურ იარაღებს, რომელნიც უფრო რთული იარაღის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენდნენ.

სადგომებზე აღმოჩენილი ძვლები ცხადყოფს, რომ ზედაპალეოლითური ხანის ადამიანები საქართველოს მიწა-წყალზე ნადირობდნენ გამოქვაბულისა და შავ დათვზე, გამოქვაბულის ლომზე, გარეული ცხენსა და ხარზე, ბიზონზე, კეთილშობილ ირემსა და ჯიხვზე, მგელსა და სხვ. ცხოველებზე.

მღვიმე-სადგომებზე დადასტურებული მძლავრი კულტურული ფენები თვალსაჩინო მოწმობაა იმისა, რომ ადამიანები ერთსა და იმავე ადგილას საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობდნენ. მრავალფეროვანი სამეურნეო-საწარმოო საქმიანობა უთუოდ გარკვეული სახით სოციალურ ურთიერთობათა გართულებასაც იწვევდა, თუმც, რა თქმა უნდა, ძალზე პრიმიტიულ ფორმებში. თვალნათლივ იკვეთება სამეურნეო ყოფაში ასაკობრივ-სქესობრივი პრინციპი. ასე მაგ., აგრე მრავალფეროვანი იარაღებისა და მათი დამზადების ტექნიკის სრულყოფა უთუოდ მოითხოვდა გარკვეული წესების ცოდნას, ე.ი. თავისებურ კვალიფიკაციას. ფიქრობენ, რომ იარაღების დამზადებაზე მეტწილად უკვე ასაკოვანი და მოხუცი მამაკაცები იყვნენ დასაქმებული. საზოგადოების ფიზიკურად უფრო ძლიერი წევრები ნადირობას მისდევდნენ, ხოლო ქალები და ბავშვები მცენარეული საკვების შეგროვებით და საოჯახო საქმეებით იყვნენ დაკავებული [482, გვ. 152].

[48] იხ. [503], ხოლო გამოქვაბულ გვარჯილას-კლდეში აღმოჩენილი იარაღების ფუნქციონალური კლასიფიკაცია [482, გვ. 149-152].

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 14. ნიჟარებით შედგენილი ყელსაბამი ზედა-პალეოლითური ხანისა. საგარჯილე [621], [475]

ზედა პალეოლითის ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე შეინიშნება „სახვითი ხელოვნების“ ჩანასახები, რაც პირველყოფილი ადამიანის პრიმიტიულ-მაგიური აზროვნებით იყო ნაკარნახევი. ასეთი რიგის ნიმუშებად მიჩნეულია ნაკაწრები მღვიმეებში – კლდღვანი ეხის კედლებსა და კირქვის მცირე ზომის ფილაზე. აქ გვხვდება საჭრისით გავლებული ხაზები, თუმც ძალზე ძნელია მათში რაიმე გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა. მაინც გამოთქმულია მოსაზ-



სურ. 15. „წინამძღოლის კვერთხი“ ძვლისა. გვარჯილას-კლდე [482]

რება: მღვიმეში ამოკაწრული ხაზები თითქოს რაღაც მსგავსებას ამჟღავნებს ზმელთაშუა-ზღვისპირეთში ზედა პალეოლითური ხანის ზოგიერთი მღვიმე-სადგომის კედლებზე შემორჩენილ გრავირებასთან [443, გვ. 278]. დადასტურებულია სამკაულების გამოყენებაც, რომელნიც თავისებური ავგაროზის მოვალეობას ასრულებდნენ. ასეთებია მაგ., საგვარჯილეში აღმოჩენილი ზღვის გახვრეტილი ნიჟარები (სურ. 14), წერტილოვანი ორნამენტით შემკული ალებასტრის საკიდები, ძვლისაგან დამზადებული თევზის გამოსახულებანი და სხვ. ([453, გვ. 48, ტაბ. IV], [457, გვ. 157-180, ნახ. 59-60]).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს გვარჯილას-კლდეში ნაპოვნი ძვლის ფრაგმენტი (სურ. 15), რომელსაც პირობით „წინამძღოლის კვერთხი“ შეარქვეს. იგი დამზადებულია მსხვილი ნადირის ნეკნისაგან და აქვს 1,6 სმ დიამეტრის ნახვრეტი. მთლიანად ფრაგმენტის სიგრძე 6,5 სმ-ია და იგი, როგორც ჩანს, შუაზეა გატეხილი. მის ორსავე მხარეს ამოკაწრულია ერთმანეთის პარალელურად განლაგებული 7-7 „ისრისა“ თუ „შუბის“ გამოსახულება, რასაც შესაძლოა მართლაც რაღაც სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ძალზე ძნელია გადაჭრით თქმა იმისა, ეს მართლაც „წინამძღოლის“ კუთვნილებას (და შესაბამისად მისი ხელისუფლების სიმბოლოს) წარმოადგენდა, თუ ჰქონდა რაიმე პრაქტიკული დანიშნულება [482, გვ. 81-83, 178], შდრ. [457, გვ. 184-185]. კიდევ ერთი საინტერესო აღმოჩენა ცნობილია ე.წ. ცივი მღვიმიდან (სურ. 12 № 4) – მდინარეების კოღორისა და ამტყელის შესართავთან მდებარე გამოქვაბულიდან: ესაა გამოქვაბულის დათვის ძვლისაგან დამზადებული ნივთი, რომელიც საგანგებოდაა გაპრიალებულ-გაზეხილი, ზედა ნაწილში გახვრეტილია და შემკულია გრავირებული ორნამენტით (სურ. 16).[49]



სურ. 16. ძვლის იარაღი („ისრის გასამართავი“) ცივი მღვიმიდან [699]

ასე წარმოგვიდგება ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფერო საქართველოს მიწა-წყალზე ე.წ. პალეოლითის ხანაში.[50]

---

[49] არქეოლოგი ლ. სოლოვიოვი ამ ნივთს „ისრისა და ხელშუბის გასამართავ“ ხელსაწყოდ მიიჩნევდა [699, გვ. 191].

[50] სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში დისკუსიის საგნადაა ქცეული საკითხი საქართველოს ადგილის შესახებ ზედაპალეოლითის საერთო სისტემაში. გამოთქმული იყო მოსაზრება ე.წ. კაპსიის კულტურასთან ურთიერთკავშირის შესახებ [498, გვ. 77], [499, გვ. 86-87]. ამჟამად ზოგიერთი მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს საქართველოს ზედაპალეოლითური კულტურის განვითარების თავისებურებას და განსხვავებას კლასიკური დასავლურ-ევროპული და ჩრდილოეთ-აფრიკული კაპსიურისაგან. მასთან ერთად, ზოგიერთი ნიშნები (მაგ. ორნიკაკული იერის შენარჩუნება) ამჟღავნებს გარკვეულ მსგავსებას (და არა იდენტურობას) წინა აზიის, კერძოდ, სირია-პალესტინისა და განსაკუთრებით ერაყის (ე.წ. ზარზმიული კულტურა) სინქრონულ კულტურებთან (შდრ. [515], [516], [166, გვ. 31-34]. დაწვრ. იხ. ([457, გვ. 189-194 და იქ დასახ. ლიტ]).

თანდათანობით ზედა პალეოლითური კულტურის წიაღში ისახება ახალი ტექნიკური ჩვევები, რომელნიც ქმნიან საფუძველს ახალ, განვითარების უფრო მაღალ, საფეხურზე გადასასვლელად. ძველი ქვის ხანიდან (პალეოლითიდან) ახალი ქვის ხანაზე (ნეოლითზე) გარდამავალ პერიოდს მეზოლითს (ე.ი. შუა ქვის ხანას) უწოდებენ. ეს ეპოქა აღინიშნებოდა ვიურმული მყინვარების საბოლოო გადნობითა და დედამიწაზე თანამედროვე კლიმატის დადგომით, რამაც შექმნა ხელსაყრელი პირობები ადამიანის განსახლებისათვის საქართველოს ყველა კუთხეში და ყველა ლანდშაფტურ-კლიმატურ ზონაში. ადამიანი კვლავ ითვისებს მაღალმთიან ოლქებსაც, რასაც მოწმობს მეზოლითური ეპოქის ნაშთების აღმოჩენა წონასა და კუდაროში, რომელიც მიატოვა ადამიანმა გვიანვიურმული გამყინვარების დროს, ე.ი. ზედა პალეოლითის ეპოქაში ([545], შდრ. [563, გვ. 56-59]).

მეზოლითის ეპოქაში კიდევ უფრო მრავალფეროვანი ხდება ქვისა და ძვლის იარაღები (სურ. 18), ხოლო მათი დამზადების ტექნიკაში შეინიშნება მთელი რიგი სიახლეებისა. განსაკუთრებით დაწინაურდა მცირე ზომის იარაღების დამზადება, ვითარდება ჩასართების ტექნიკა. მიუხედავად იმისა, რომ კვლავ იყენებდნენ წინამორბედი ეპოქისათვის დამახასიათებელ დიდი ზომის უხეშ საჭეხ იარაღებს, წვეტანებს, გრავეტის ტიპის დანებს და სხვ., მაინც წამყვან ადგილს იკავებს საჭრისები, საფხეკები (ოვალური სამუშაო პირით), სახვრეტები, დაკბილული და დანისმაგვარი რეტუშირებული ფირფიტები. ზოგიერთი უხეში, გაუპრიალებელი იარაღების, როგორიც იყო სანაყები, სასრეს-სახეხები, უროები, შურდულის ქვები, საწაფებისა და სხვათა დასამზადებლად დაიწყეს რიყის ქვების გამოყენება. ხშირად იყენებდნენ აგრეთვე ძვლის სადგისებს, სახვრეტებს, საპრიალებლებს, ჰარპუნებსა და რქისაგან დამზადებულ მიწის სათხრელ-საჩიჩქნებს [466], [471], [537].



სურ. 17. მეზოლითური ძეგლების განლაგების სქემატური რუკა: 1. იაშთხვა [509], 2. კვაჭარა [509], 3. აპიანჩა [510], [590], 4. ცივი მღვიმე [699], 5. ჯამბალა [509], 6. ეწერი [509], 7. დარკვეთი [630], 8. კუდარო [563], 9. წონა [545], 10. სელო [536], 11. ჯერმუხი [537], 12. ეძანი [466], 13. ზურტაკეტი [466]

მეზოლითური ეპოქის ნამოსახლარები გვხვდება უკვე მზოლოდ გამოქვაბულებში კი არა, არამედ ღია ცის ქვეშაც. ისინი განლაგებულია მდინარეთა ხეობებში, რაც ადამიანს საშუალებას აძლევდა და თევზით უზრუნველყოფდა.

საქართველოს მეზოლითურ კულტურაში გამოყოფენ სამ ძირითად არეალს (სურ. 17),[51] რომელნიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან გვიანპალეოლითური (ე.წ. იმერეთული) კულტურიდან საერთო წარმომავლობით, მაგრამ იმავე დროს ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ქვის იარაღების ერთგვარი თავისებურებით ([471], [537] შდრ. [585, გვ. 25, 27]).

ეროვნული ბიბლიოთეკა

[51] რამდენადმე განცალკევებულად დგას №№ 10 და 11.



სურ. 18. მეზოლითური იარაღი [466]

ნარეთა ხეობებში განლაგება ხელს უწყობდა მეთევზეობის განვითარებას, რასაც მოწმობს კიდეც მთელ რიგ მეზოლითურ ნამოსახლარზე მრავლად აღმოჩენილი ჰარპუნები, სათევზაო იარაღები, საწაფები, აგრეთვე ძალზე დიდი რაოდენობით ორაგულასა და წვრილი თევზების ძვლები (იხ. მაგ., [509, გვ. 103], [466, გვ. 50-51], [537, გვ. 40].



სურ. 19. პეტროგლიფები [467ა]

მეზოლითელი ადამიანის ცხოვრებაშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მონადირეობას [471, გვ. 223], უთუოდ დიდ ინტერესს იწვევს გამოქვაბულ ქვაჭარას ადრემეზოლითურ ფენაში დიდი რაოდენობით აღმოჩენილი გამოქვაბულის დათვის ძვლები, რის საფუძველზეც გარაუდობენ, რომ ნადირის ეს სახეობა კავკასიის შავიზღვისპირეთში არსებობას განაგრძობდა ჰოლოცენის, ე.ი. თანამედროვე გეოლოგიური ეპოქის დასაწყისშიც [509, გვ. 34-39]. საერთოდ კი შეინიშნება მკვეთრი ცვლილება ნადირობის ხასიათში. ზედაპალეოლითურ და მეზოლითურ სადგომებზე აღმოჩენილი ფაუნისტური ნაშთების ურთიერთთან შედარება თვალნათლივ მოწმობს, რომ მეზოლითის ხანაში საკმაოდ შემცირდა მსხვილ ცხოველებზე ნადირობა. ამ ხანის სადგომებზე ჭარბობს გარეული ცხენის, კეთილშობილი ირმის, ტახის, შვლის და ჯიხვის ძვლები. ამრიგად მსხვილწლიქოსნებზე ნადირობა შეცვალა წვრილწლიქოსნებზე ნადირობამ, რასაც უკვე, უნდა ვიფიქროთ, ინდივიდუალური ხასიათი ჰქონდა. ინდივიდუალური ნადირობა კი

ქმნიდა საფუძველს წვრილწლიქა ნადირის მოშინაურებისათვის, რაც მოასწავებდა ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებაში იმ ახალ ეტაპს, რომელიც დაიწყო მომდევნო ეპოქაში, ნეოლითის ანუ ახალი ქვის ხანის სახელით რომაა ცნობილი. მეზოლითის ხანაში საქართველოს მიწა-წყალზე ჩნდება კლდეზე ამოკაწრული ნახატები. ისინი აღმოჩენილია სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში, დაბა წალკას 10 კმ-ით დაშორებულ მდ. პატარა ხრამის (მდ. ქციის მარჯვენა შენაკადის) ვიწრო ხეობაში. გაშიშვლებულ კლდოვან ზედაპირზე ამოკაწრულია სხვადასხვა ცხოველთა (ირემი, ცხენი, აქლემი, გველი) და ფანტასტიკურ არსებათა, აგრეთვე მშვილდისრიანი კაცუნების გამოსახულებანი. ისინი უთუოდ სხვადასხვა ხანისაა. მათგან უადრესად (მეზოლითის ხანისად) მიიჩნევენ ირმისა და შვლის, მახვში გაბმული ირმისა და ცხენის, აგრეთვე ზოგიერთ ჰიბრიდულ გამოსახულებას (სურ. 19) ([467ა], [471, გვ. 224-225, სურ. 138-14]).

2. ნეოლითური რევოლუცია: პირველი მესაქონლენი და მიწათმოქმედნი

მეზოლითი, როგორც ფიქრობენ, საქართველოს ტერიტორიაზე დაახლოებით ოთხი ათასი წლის მანძილზე გრძელდებოდა – ძვ.წ. XII-VIII ათასწლეულებში. შემდეგ კი იწყება ნეოლითი, ანუ ახალი ქვის ხანა.

ნეოლითი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპოქათაგანია კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც პირველყოფილი საზოგადოების მეურნეობასა და საერთოდ ეკონომიკაში აღინიშნება ძირეული ძვრებით. ადამიანი მიმთვისებლობითი მეურნეობიდან (ნადირობა, შემგროვებლობა) გადადის წარმოებით მეურნეობაზე (მესაქონლეობა, მიწათმოქმედება). ეს ცვლილებები, რომელთაც თან სდევდა მთელი რიგი ტექნიკური სიახლენი (როგორც, მაგალითად – გაპრიალებული და გახვრილი იარაღის ფართოდ გავრცელება) თუ სხვა, თვისებრივად ახალი ელემენტების გაჩენა (რომელთა შორის იყო მეთუნეობა) მოასწავებდნენ კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერის დასაწყისს, რომელსაც ნეოლითური რევოლუცია უწოდეს.

ნეოლითური კულტურის წარმოშობა და განვითარება საქართველოს ტერიტორიაზე იყო საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესი, რომლის ყველა ასპექტი ჯერჯერობით კიდევ არაა ჩვენთვის ნათელი. ამის უმთავრესი მიზეზი კი ისაა, რომ ნეოლითური კულტურის ძეგლები ჯერ კიდევ მცირე რაოდენობითაა გამოვლენილი, ხოლო მწარმოებლური მეურნეობის წარმოქმნა-განვითარება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ერთნაირად და სასურველი სისრულით ვერაა მაინც ჯერ კიდევ შესწავლილი.

ნეოლითური კულტურის წარმოქმნა-განვითარების ყველაზე ადრეული ძეგლები ჯერჯერობით აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოში, სადაც შესანიშნავი კლიმატური გარემო, რელიეფი და მრავალფეროვანი მცენარეული საფარი ქმნიდა უაღრესად ხელსაყრელ პირობებს ცხოველთა მოშინაურებისა, ე.ი. მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების განვითარებისათვის.



სურ. 20. ნეოლითური და ენეოლითური ძეგლების გავრცელების სქემატური რუკა (დასავლეთ საქართველო): 1. კისტრიკი [105, XII, 1950], 2. მაჭარა [653], 3. ჩხოროწყო [613], 4. ოქუში [636, გვ. 261-262], 5. გუმურიში [615], 6. ლებაკევ [475], 7. პალური [609], 8. ოდიში [612], [628], 9. ურთა [474], 10. ხორში [615], 11. მამათი [628], 12. გურიანთა [628], 13. ანასეული [628], 14. ჯიხანჯური [629], 15. ზუცუბანი [629], 16. ქობულეთი [628], 17. მახვილაური [606-607], 18. ბეშუმი [606], 19. თეთრამიწა [620], 20. თეთრი მღვიმე [616], 21. მელოური [615], 22. საგვარჯილე [621], 23. ბუდწარი [630], 24. დარკვეთი [630], 25. ძუძუანა [630], 26. სამერცხლე-კლდე [631, გვ. 263-264], 27. სამელე-კლდე [673], [664], 28. ნაქურალეში [475].

ადრენეოლითური ხანის სამოსახლოები ჯერჯერობით ძირითადად ზღვისპირეთშია ფიქსირებული, უპირატესად კი – მთისწინეთსა და მაღალმთიანეთშიც კი (სურ. 20). ადრენეოლითური სამოსახლოების უმრავლესობა უფრო ძველ, ე.ი. მეზოლითური ეპოქის ნამოსახლარებზე თუ მათ მახლობლადაა განლაგებული, რაც ზოგიერთ მკვლევარს ამ ადგილებში უწყვეტი ცხოვრების მოწმობად მიაჩნია (დაწვრ. იხ. [628, გვ. 67-71]). გენეტიკური ურთიერთკავშირი თვალსაჩინოდ მჟღავნდება თითქოს ქვის ინდუსტრიაში, ე.ი. ქვის დამუშავების ტექნიკურ წესებში, რომელთაც ადრენეოლითური ხანისათვის ჯერ კიდევ შემოინახეს გვიანმეზოლითური ტრადიციები: მიკროლითური და საკმაოდ განვითარებული ფირფიტოვანი (ე.ი. ჩა-

ნართების დამზადების) ტექნიკა. მასთან ერთად თვალსაჩინოა ქვის დამუშავების ახალი წესების გავრცელება, იარაღთა მეორადი დამუშავების ტექნიკის სრულყოფა და რაც იქნებ საგანგებოდაცაა აღსანიშნავი – სამუშაო იარაღებისათვის ახალი ფუნქციების დაკისრების მიზნით წნევითი რეტუშის ფართოდ გამოყენება იარაღების სამუშაო ნაწილის გასაფართოებლად. განსაკუთრებით თვალსაჩინო („ეპოქალურ“) ნიშნადაა მიჩნეული სხვადასხვა ჯიშის ქვისაგან (არგელიტი, ბაზალტი) გახეხილი და გაპრიალებული იარაღების დამზადება. ამ დროს პირველად ჩნდება ცული, რაც გამოწვეული იყო სამეურნეო ცხოვრების და საშინაო ყოფის უაღრესად გაზრდილი ახალი მოთხოვნილებებით. ცულსა და აგრეთვე სხვა საჭეხ-სათლელ იარაღებს ფართოდ იყენებდნენ ტყეების გასაჩეხად და ხის შემდგომი დამუშავებისათვის, რაც აგრე აუცილებელი იყო ხის მუდმივი საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე ნაგებობათა გასამართავად (დაწვრ. [628, გვ. 67 და შემდ.]). აღრენეოლითური სამოსახლოები[52] გვხვდება როგორც ბუნებრივ თავშესაფრებში (გამოქვაბულსა და ეხში), ასევე ღია ცის ქვეშ.



სურ. 21. ნეოლითური ცულები. ოდიში [628]

ღია ტიპის ზოგიერთი სადგომის არქეოლოგიური გათხრებისას ფიქსირებულია საცხოვრებელთა თუ სხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები: მცირე ზომის მრგვალი ორმოები, რომელნიც ხის ბოძების ჩასადგმელად იყო განკუთვნილი, აგრეთვე ხის წნულის ანაბეჭდებიანი თიხის შელესილობისა და თიხატკეპნილი ძირკის ფრაგმენტები. იქვე ნაპოვნი სამეურნეო დანიშნულების ორმოები და კერის ნაშთები მოწმობს, რომ აქ ჩვენს წინაშეა ოდესღაც საცხოვრებელი დანიშნულების მქონე ხის შენობები, თიხით შელესილი წნული კედლებითა და თიხატკეპნილი იატაკით, რომელზეც კერა (შუაცეცხლი) ყოფილა გამართული. ხის ბოძების ჩასადგმელი ორმოების განლაგების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ნაგებობანი კვადრატული ან სწორკუთხა მოყვანილობისა იყო [615, გვ. 60-63], [606, გვ. 49-50]; [609, გვ. 34-40]; [630, გვ. 50]. საინტერესოა, რომ ზემოთმოყვანილი ტიპის საცხოვრებელი ქოხი მხოლოდ ღია ცის ქვეშ კი არ იმართებოდა, არამედ ზოგჯერ ეხშიც, როგორც ამას მაგ. დარკვეთის ეხში აღმოჩნილი ნაშთები მოწმობს [630, გვ. 60-72].



სურ. 22. ნეოლითური მაკროლითები. ოდიში [628]

აღრენეოლითური ხანის ადამიანის ცხოვრებაში ნადირობას კვლავინდებურად მნიშვნელოვანი როლი ეკავა. მასთან ერთად ადამიანმა ისწავლა გარეული ცხოველთა მოშინაურებაც. ამ თვალსაზრისით საკმაოდ მრავალისმეტყველი მასალებია გამოვლენილი სოფ. დარკვეთის ეხში (სურ. 20, № 24), სადაც მრავალფენიანი ნამოსახლარია და სტრატიგრაფიულად გარკვევით გამოიყოფა აღრენეოლითური ხანის ნაშთების შემცველი ფენა. აქ გარეული ცხოველების (კეთილშობილი ირმის, შველის, დათვის, ტახის) ძვლებთან ერთად აღმოჩენილია უკვე მოშინაურებულ ცხოველთა – ღორის, ძროხის, ცხვრის

[52] იხ. სურ. 20 №№ 6, 7, 13, 14, 15, 18, 23, 24, 28. რამდენადმე გვიანდელი (აღრენეოლითის დასასრული თუ შუანეოლითის დასაწყისი) ხანისაა №№ 3, 5, 10.

და ძაღლის – ძვლებიც. მათი რაოდენობრივი შესწავლით ირკვევა, რომ განსაკუთრებით მისდევდნენ ღორების მოშენებას, რასაც ირგვლივ მუხისა და წიფლის ტყეების სიმრავლეც უწყობდა ხელს [630, გვ. 60-72].



სურ. 23. ნეოლითური მაკროლითები. ოდიში [628]

ამრიგად, დარკვეთის ეხში დოკუმენტურად დადასტურდა დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უკვე ადრე ნეოლითის ხანაში მწარმოებლური მეურნეობის ერთ-ერთი დარგის, მესაქონლეობის არსებობა[53] და შესაბამისად დასაწყისი ნეოლითური რევოლუციისა, რომელიც განვითარებული სამონადირეო მეურნეობის ბაზაზე მწიფდებოდა ადგილობრივ გვიანმეზოლითურ კულტურაში ([630, გვ. 69-71], შდრ. [632]).

ადრენეოლითური ხანის ადგილობრივი მოსახლეობის საქმიანობაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა შემგროვებლობას, მათ შორის გარეული ფეტვისას, რასაც მოწმობს ამ მცენარის დანაზშირებული მარცვლების აღმოჩენა [578, გვ. 194]. ფიქრობენ, რომ სწორედ მარცვლეული კულტურების ამ სახეობის კულტივიზაციამ დაუდო საფუძველი მიწათმოქმედებას – ყოველ შემთხვევაში დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მაინც [619, გვ. 14-15]. მაგრამ ადრენეოლითური ეპოქის საქართველოში მარცვლეული მცენარეების კულტივიზაციასა და შესაბამისად მიწათმოქმედების დასაწყისის შესახებ პირდაპირი მოწმობა ჯერ თითქოს არ გაგვაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროის ზოგიერთ ნამოსახლარზე (ცივი მღვიმე, დარკვეთის ეხი) უკვე საკმაოდ მრავალადაა ნაპოვნი სამკელი დანის ჩასართები, ხელსაფქვავები და სასრესები, რომელნიც განკუთვნილი იყო მარცვლეულის შეგროვებისა და შემდგომ მათი საკვებად გამოყენებისათვის (შდრ. [578, გვ. 194]; [630, გვ. 71-72]). მიწის დასამუშავებელი იარაღები (წერაქვისებური და თოხისებური მაკროლითები, კავის მსგავსი გაპრიალებული იარაღები, სამკელი დანების ჩასართები), აგრეთვე ხელსაფქვავები, სანაყები მრავლადაა აღმოჩენილი გვიანნეოლითურ ნამოსახლარებზე,[54] რაც უკვე მიუთითებს მიწათმოქმედების განვითარებაზე. ამის მოწმობაა აგრეთვე მეთუნეობა, ანუ თიხის ჭურჭლის დამზადება.

მეთუნეობა ძველი ადამიანის ერთ-ერთი შესანიშნავი გამოგონებათაგანია და, როგორც არქეოლოგიური მონაცემები თვალნათლივ მოწმობს, დღევანდელ დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრები ტომები მას უკვე ძვ.წ. VIII-VI ათასწლეულებში იცნობდნენ. კიდევ მეტი, ზოგიერთი ნიმუში ამ ხელით ნაძერწი თიხის ჭურჭლისა უკვე საკმაოდ მრავალფეროვნი ორნამენტითაა მორთული (სურ. 24): „წიწვოვანი", „თავთავისებური", ტალღისებური ხაზები, ჩაჭდეული თუ გირჩისებურად ამოხაზული ორნამენტი, რქისებური შვერილები ამკობს გვიანნეოლითური ხანის თიხის ჭურჭელს, უკვე მრავლად რომაა აღმოჩენილი ოდიშის, გურიანთის, მამათის, ანასეული II თუ დასავლეთ საქართველოს სხვა გვიანნეოლითურ ნამოსახლარებზე [628, გვ. 81-82].

დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ძეგლები ერთიანდებიან დასავლურ-ამიერკავკასიური ნეოლითური კულტურის ერთიან არეალში, რომლის შიგნით გამოიყოფა რამდენიმე ლოკა-

[53] სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მანამდე, სრულიად ბუნებრივად, უარყოფდნენ ნეოლითის ეპოქაში მესაქონლეობის არსებობას იმის გამო, რომ ნეოლითური ხანის სადგომებზე მოშინაურებულ ცხოველთა ძვლები აღმოჩენილი არ იყო (შდრ. მაგ. [619, გვ. 16-17 და იქვე დასახ. ლიტ.]). დარკვეთის ეხში შინაურ ცხოველთა ძვლების აღმოჩენა ამიტომ სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ამასთან ეს აღმოჩენა საინტერესოა იმითაც, რომ ბუნებრივი ახსნა ეძებნება ერთ საყურადღებო ფაქტს: დასავლეთ საქართველოს გვიანნეოლითურ ნამოსახლარებზე დამოწმებულია საფხეკების რაოდენობის მკვეთრი შემცირება და მათი ხარისხის საგრძნობი გაუარესება [628, გვ. 107]; შდრ. [619, გვ. 17]. ანალოგიური ვითარება დადასტურებულია წინა და შუა აზიის აღრესამოწათმოქმედო ნამოსახლარებზე და ამ ფაქტს უკავშირებენ მწარმოებლური მეურნეობისა და კერძოდ – მესაქონლეობის განვითარებას [628, გვ. 71].

[54] იხ. სურ. 20 №№ 1, 8, 11, 12, 13, 17.

ლური ჯგუფი.[55] მათთვის დამახასიათებელია, ერთი მხრივ, გენეტიკური ურთიერთკავშირი ადგილობრივ მეზოლითურ კულტურასთან, მეორე მხრივ – წინა აზიური ნეოლითური კულტურის ძლიერი ზემოქმედება,[56] რაც აისახა გეომეტრიული მიკროლითების ორმხრივ დამუშავებაში, ბრტყელძირიანი კერამიკის ფართოდ გავრცელებასა და სხვ. ელემენტებში [628, გვ. 81-97].



სურ. 24. ნეოლითური კერამიკა. ანასეული II [628]

გვიანნეოლითური კულტურის ფინალური სტადიის ზედა ქრონოლოგიურ საზღვრად ძვ.წ. VI ათასწლეულია მიჩნეული. მწარმოებლური მეურნეობის ხვედრითი წონა თანდათანობით იზრდება მომდევნო ეპოქაში, რომელსაც ენეოლითურს უწოდებენ. ამ დროს ქვის იარაღების გვერდით პირველად ჩნდება ლითონის ნაკეთობანი, რომელნიც ჯერ კიდევ ცივად ჭედვის წესითაა მიღებული (აქედანაა ამ ეპოქის სახელწოდებაც – ენეოლითი ან ხალკოლითი, რაც სპილენძის ხანას ნიშნავს).

ამ ეპოქისათვის დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე გამოიყოფა ორი ძირითადი კულტურული არეალი [39, II]: დასავლური და აღმოსავლური. დასავლური არეალი (ძირითადად მას დასავლურ-ამიერკავკასიულ ენეოლითურ კულტურას უწოდებენ) არსებითად მოიცავს დღევანდელ დასავლეთ საქართველოს[57] ([636, გვ. 216-227]).

ამ დროს არქეოლოგიურ კომპლექსებში ჯერ კიდევ იგრძნობა კავშირი ნეოლითურ კულტურასთან, რასაც ზოგიერთი მკვლევარი გენეტიკური მემკვიდრეობით ხსნის [628, გვ. 95].

დასავლურ-ამიერკავკასიული ენეოლითური კულტურის ერთ-ერთი არსებითი თავისებურება დასავლურქართულ არეალში ისაა, რომ ამ დროს სამოსახლოები ძირითადად გამოქვაბულებშია განლაგებული (შდრ. სურ. 20, №№ 20, 22, 24-27). ღია ტიპის მცირერიცხოვან სადგომთა შორის გამოირჩევა მხოლოდ თეთრამიწა (სურ. 20, № 19), რომელიც ადრე ნეოლითური ეპოქის ძეგლად იყო მიჩნეული [620], შდრ. [611], [630, გვ. 74-75] და აგრეთვე დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ზოგიერთი ნამოსახლარი. სამწუხაროდ, ღია ტიპის (ე.ი. ცისქვეშა) ნამოსახლარებზე საცხოვრებელ ნაგებობათა აშკარა ნაშთები შემორჩენილი არაა. ივარაუდება, მაგ., რომ მაჭარას ნამოსახლარის (სურ. 20, № 2) ერთ-ერთ უბანზე საქმე გვაქვს ნახევრადმიწურ საცხოვრებელთან, რომელიც გეგმაში ნახევაროვალის მოყვანილობისაა და მისი სიგანე აღწევს 3,4 მ-ს. ცენტრში შეინიშნება ქვის ფენილი, რომელზედაც აღმოჩენილია ნახშირი და კერამიკა – კერის ნაშთები [654, გვ. 115].

ენეოლითის ეპოქაში დასავლეთ საქართველოში სამოსახლოდ მაინც უპირატესობას ანიჭებენ ბუნებრივ თავშესაფრებს: გამოქვაბულებსა და ეზებს.[58] მათი უმრავლესობა მდ. ყვირილას შესართავების კანიონისებურ ზეობებში, ზღვის დონიდან 500-600 მ სიმაღლეზეა განლა-

[55] ნეოლითური კულტურის განვითარების აღრეული საფეხურის დონეზე, ზოგიერთი მკვლევარი ქვის ინდუსტრიის ხანაში ხედავს ერთგვარ განსხვავებას ერთის მხრივ დაბლობ და მთისწინა, ხოლო მეორეს მხრივ – მთიან და მაღალმთიან ოლქებს შორის. ამის საფუძველზე დასმულია საკითხი დასავლეთ საქართველოში აღრენეოლითური კულტურის ზონალური ხასიათის შესახებ [609], [615, გვ. 63-67].

[56] საინტერესო ფაქტია დადასტურებული ანასეულ I აღრენეოლითურ ნამოსახლარზე (სურ. 20, № 13), სადაც დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილნი ობსიდიანის ნაკეთობანი. ამ ქვის საბადოები დასავლეთ საქართველოში უცნობია, მაგრამ ისინი მრავლადაა აღმოსავლეთ საქართველოში. ამიტომ ივარაუდება მოსახლეობის ერთი ჯგუფის მიგრაცია აღმოსავლეთ საქართველოდან ან კიდევ ნედლეულის იმპორტი და მჭიდრო ურთიერთკავშირები [628, გვ. 100-101]; [630, გვ. 66].

[57] იხ. სურ. 20 №№ 1, 4, 19, 20, 22, 24, 25, 27. აღნიშნულ კულტურულ წრეს მიეკუთვნებიან აგრეთვე დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ფარგლებს გარეთ სოჭი-ადლერის რაიონში აღმოჩენილი ძეგლები (დაწვ. იხ. [630, გვ. 81-82]).

[58] დამახასიათებელია, მაგ. რომ სოფ. გუმურიშში (სურ. 20, № 5) დადასტურებულია ნეოლითური ხანის ღია ტიპის სადგომი. მომდევნო, ე.ი. ენეოლითის პერიოდში, ცხოვრება ამავე ადგილზე კი არ გრძელდება, არამედ იქვე ახლო მდებარე ოქუმის გამოქვაბულში (სურ. 20, № 4). ძნელია ახლა დაბეჯითებით ვამტკიცოთ, თუ რით აიხსნება მაინცდამაინც იმ ეპოქაში მოსახლეობის ასეთი ლტოლვა გამოქვაბულებისაკენ. შესაძლოა, ბუნებრივი თავშესაფარი უფრო ხელსაყრელი იყო მცირერიცხოვან ჯგუფებში გაერთიანებული იმდროინდელი ადამიანებისათვის, ხოლო მათი მეურნეობის ხასიათი (ძირითადად მცენარეული საკვების შემგროვებლობა და სხეციალიზირებული მონადირეობა, ძალზე პრიმიტიული მიწათმოქმედება და მესაქონლეობა) ჯერ კიდევ არ მოითხოვდა მსხვილ ჯგუფებად გაერთიანებას (შდრ. [612, გვ. XV]; [606, გვ. 23]; [630, გვ. 87]).

გებული და გამოირჩევა საკმაოდ დიდი მოცულობით. ასე მაგ. გამოქვაბულ სამელე-კლდის სიგრძე აღწევს 20-21 მ-ს, ხოლო სამერცხლე-კლდისა კი – რამდენიმე ათეულ მ-ს [664, გვ. 6-7]. დარკვეთის ეზში შემორჩენილია 15 მ სიგრძისა და 5 მ სიგანის საცხოვრებელი ფართობი, სადაც დადასტურებულია სტრატიგრაფიულად ერთმანეთისაგან კარგად გამიჯნული ფენები ოთხი ეპოქისა: მეზოლითის, აღრეული ნეოლითის, ენეოლითისა და აღრებრინჯაოსი [630, გვ. 9 და შემდეგ].

საქართველოს ენეოლითური ხანის სადგომების არქეოლოგიური შესწავლისას საკმაოდ თვალსაჩინოდ იკვეთება განსხვავებანი გამოქვაბულებსა და ღია ცის ქვეშ მცხოვრებთა მეურნეობაში. ღია ტიპის ნამოსახლარებზე ჭარბობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების იარაღი, რაც მიწათმოქმედების უპირატეს როლზე მიუთითებს. მღვიმურ სადგომებში კი, სამიწათმოქმედო იარაღების რაოდენობა შეუდარებლად მცირეა. სამაგიეროდ შინაური საქონლის ძვლების სიმრავლე და სხვ. აღმოჩენები მიუთითებენ უფრო მესაქონლეობის განვითარებაზე და მის დიდ ხვედრით წონაზე გამოქვაბულებში მობანადრეთა მეურნეობაში [630, გვ. 87].



სურ. 25. 1. კაჟის შუბისპირები და ისრისპირები. თეთრამიწა [620]; 2. ქვის თოხები დასავლეთ საქართველოს ენეოლითური ნამოსახლარებიდან [444]

გამოქვაბულებში და ღია სადგომებზე დიდი რაოდენობით გვხვდება ქვის იარაღების დამზადებასთან დაკავშირებული საქმიანობის ნაშთები: ნამზადები, გულგულები, ანატკეცები და ა.შ.

იარაღები ძირითადად კაჟის და აგრეთვე ზოგიერთი სხვა ჯიშის ქვებისაგანაა (ქვიშაქვა, ტუფი, დიორიტი) დამზადებული. ძალზე იშვიათია ობსიდიანის ნივთები. ქვის იარაღების დასამზადებლად გამოყენებულია კვარ-ჩაქუხები, გრდემლები და სხვ.

დასავლურ-ამიერკავკასიული ენეოლითური კულტურისათვის დამახასიათებელია ქვისა და ძვლის იარაღების, სამკაულისა და კერამიკის საკმაოდ დიდი მრავალფეროვნება ტიპოლოგიური და ფუნქციონალური თვალსაზრისით.

დასავლეთ საქართველოს ენეოლითურ ნამოსახლარებზე აღმოჩენილია ქვის საფხეკები, საჭრისები, საბურღტლები, დანები, კომბინირებული იარაღები. საკმაოდ ხშირია გაპრიალებული, ბრტყელი და სოლისებური ცულები, ტრაპეციისმაგვარი სატკეპნი და უროები. მრავალფეროვანი სერიებითაა წარმოდგენილი კაჟის შუბისპირები და ისრისპირები. ღია ტიპის ნამოსახლარებზე მრავლადაა მიწის დასამუშავებელი იარაღები, რომელნიც ყველაზე უფრო მრავალფეროვნად და სრულად გვხვდება თეთრამიწაზე (სურ. 20 № 19) და აგრეთვე მაჭახრის ნამოსახლარზე (სურ. 20 № 2): წერაქვისებური და თოხისებური მაკროლითები (რომელთაც იყენებდნენ მიწის სათხრელად და, შესაძლოა, აგრეთვე გასაფხვიერებლად), დისკოსებური თოხები, ნამგლის „დაკბილული“ ჩასართები, დანები და სხვ. (სურ. 25).

გამოქვაბულში ჭარბობს რქისა და ძვლისაგან დამზადებული მიწის საჩიჩქნ-სათხრელი იარაღები.

მარცვლეულის გადასამუშავებლად იყო განკუთვნილი გამოქვაბულებსა და ღია ნამოსახლარებზე ნაპოვნი ხელსაფქვავები, სანაყები, ფილთაქვები, სახეხები.

სამკაულებად იყენებდნენ ქვის (ფიქლის) სამაჯურებს.

წინამორბედ პერიოდთან შედარებით განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ადის მეთუნეობა. დასავლეთ საქართველოს ენეოლითურ კულტურაში კერამიკის ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა. პირველ ჯგუფში აერთიანებენ ბრტყელძირიან უყურო ჭურჭელს ოდნავ გამობერილი ტანითა და ძაბრისებური პირით. მათი კეცი ჩვეულებრივ მონაცრისფრო-მოვარდისფროა და ჭურჭლის ზედაპირი ზოგჯერ გაპრიალებულია. მეორე ჯგუფის ჭურჭელიც უყუროა, მრგვალტანიანი და მრგვალძირიანი. კეცი მოწითალო-მოვარდისფროა, ხოლო ჭურჭლის ზედაპირი კარგადაა გაპრიალებული. ორნამენტი საკმაოდ ერთგვაროვანია: ძირითადად გვხვდება ხალისებური დანაჭერწები ან ეშვიათად – ამოკაწრული ხაზები.

თიხის ნაკეთობათა მრავალრიცხოვან სერიას შეადგენენ კვირისტავები, რომელნიც მორთულია სხვადასხვა წერტილოვანი, ირიბი ან წიწვისებური ჭდეებით (დაწერ. [664, გვ. 7-8]; [630, გვ. 75-79 და იქვე დასახ. ლიტ.]), აგრეთვე სვასტიკისმაგვარი გამოსახულებით, რომელთაც ზოგიერთი მკვლევარი სრულიად სიმბოლოდ განიხილავს და მიაწნია იგი მზის, რო-

გორც ნაყოფიერების ღვთაების, კულტის ჩანასახად [619, გვ. 155].

ენეოლითური ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე უფრო უმნიშვნელოვანესი სიახლეთაგანია ლითონისაგან დამზადებული ნივთების გავრცელება. უადრესი ლითონის ნივთები დასავლეთ საქართველოს მხოლოდ რამდენიმე პუნქტშია ჯერჯერობით აღმოჩენილი: საგვარჯილეში [38ა, გვ. 83] – სპილენძის თევზსაჭერი ანკესი (რომელიც ძვლის ანკესის ფორმას იმეორებს) და ოთხწახნაგა სადგისი (თვითნაბადი სპილენძისაგან ცივი ჭედვით მიღებული), ხოლო გამოქვაბულ თეთრ მღვიმეში – ისრისპირი [677]. ასე, რომ ლითონი ამ დროს ჯერ კიდევ არ ასრულებდა რამდენადმე მნიშვნელოვან როლს: შრომის იარაღები კვლავინდებურად მხოლოდ ქვისაგან, ძვლისაგან, რქისაგან და ხისგან მზადდებოდა.

ენეოლითურ ხანაში კვლავ დიდ როლს ასრულებდა ნადირობა, რასაც მოწმობს სადგომებად გამოყენებულ გამოქვაბულებში მრავლად აღმოჩენილი ქვის შუბასპირები და ისრისპირები, აგრეთვე გარეულ ცხოველთა (კეთილშობილი ირმის, დათვის, ტახის, ჯიხვისა და სხვ.) ძვლები. მაგრამ მათთან ერთად ნაპოვნია მოშინაურებულ ცხოველთა – უპირატესად ღორის, აგრეთვე მსხვილ და წვრილ ჩლიქოსანთა ძვლებიც. მესაქონლეობის განვითარებაზე მიუთითებს აგრეთვე ტყავის დასამუშავებელი ქვისა და ძვლის იარაღების აღმოჩენებიც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ზემოთ უკვე ხსენებული, ხშირი აღმოჩენები გამომწვარი თიხის კვირისტავებისა, რომელნიც უთუოდ შინაური ცხოველის ბეწვის დამუშავებასა და საქსოვი საქმის განვითარებასთან იყო დაკავშირებული. ამრიგად, დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ენეოლითურ ხანაში მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგს მესაქონლეობა წარმოადგენდა. ჯერ კიდევ შედარებით მცირერიცხოვანი მონაცემები გვაქვს მიწათმოქმედების განვითარების შესახებ. როგორც უკვე აღინიშნა, სამიწათმოქმედო იარაღები ჯერჯერობით მხოლოდ ე.წ. ღია ტიპის ნამოსახლარებზეა აღმოჩენილი და მათი რაოდენობაც ჩვეულებრივ ერთეულებით განისაზღვრება ხოლმე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნამოსახლარები ჯერჯერობით მთისწინა ზოლშია მხოლოდ ფიქსირებული. ჩანს, რომ ჯერ კიდევ არაა ათვისებული მიწათმოქმედების განვითარებისათვის აგრე ნაყოფიერი კოლხეთის დაბლობი (მდ. რიონის ველი) და აგრეთვე ზოგიერთი მთისწინა ოლქი (მაგ. ლეჩხუმი). ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ ენეოლითურ ხანაში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებითი მეურნეობა ძირითადად დაფუძნებული იყო ცხოველთა მოშინაურებასა და მესაქონლეობაზე, ხოლო მიწათმოქმედება იმ დროს ჯერ კიდევ ნაკლებ პროდუქტიული იყო და მისი განვითარება შენელებული ტემპით მიმდინარეობდა.[59]

დასავლურკავკასიური ენეოლითური კულტურა მოიცავდა მთელს დღევანდელ დასავლეთ საქართველოსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს. ის დიდ მსგავსებას ამყღავნებს, ე.წ. მაიკოპის კულტურასთან, რომელიც ვითარდებოდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში (მათ შორის ზღვის სანაპირო ზოლში), ყაბარდო-ბალყარეთსა და ჩეჩენ-ინგუშეთში [779, გვ. 199]. ამიტომ ფიქრობენ, რომ ენეოლითურ ეპოქასა და ადრე ბრინჯაოს ხანის საწყის ეტაპზე დასავლეთ კავკასიაში გავრცელებული იყო ერთიანი არქეოლოგიური კულტურა, რომლის ლოკალური თავისებურებანი ასახულია მაიკოპურსა და დასავლურ-ამიერკავკასიურ კულტურაში. ეს უკანასკნელი კი ძირითადად დღევანდელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა (დაწვრ. იხ. [630, გვ. 84-85]).

აღმოსავლეთ საქართველოში იმავე დროს, ე.ი. დაახლოებით დასავლურ-ამიერკავკასიური ენეოლითური კულტურის პარალელურად, ვითარდებოდა სხვა იერის მატერიალური კულტურა, რომელიც შედის ე.წ. აღმოსავლურკავკასიური ადრესამიწათმოქმედო კულტურის არეალში და ერთიანებს რამდენიმე ჯგუფს [605].[60] მათგან ყველაზე უფრო ადრეულად მიჩნეულია ცენტრალურამიერკავკასიური ჯგუფი, რომელიც ძირითადად მდ. მტკვრის შუა წელზე – დღევანდელ სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა კონცენტრირებული.

---

[59] ზოგიერთი მკვლევარი იმ აზრისაა, რომ დასავლეთ ამიერკავკასია საერთოდ უნდა გამოირიცხოს იმ ზონათა რიგიდან, სადაც ივარაუდება მიწათმოქმედების ჩასახვა (ე.ი. მიწათმოქმედების ე.წ. პირველადი კერებიდან) – [672, გვ.XIV]. შდრ. [619, გვ. 19].

[60] აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურის შესახებ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთი მკვლევარი აქ ვარაუდობს ორ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ადრესამიწათმოქმედო კულტურას: ცენტრალურამიერკავკასიურს (ე.წ. შულავერი – შომუთფუნს) და სამხრეთამიერკავკასიურს (ე.წ. ქიულთეფე თუ ნახიჭევან-მუღანას). მაგრამ მკვლევართა უმრავლესობას ისინი მიაჩნია ლოკალურ ვარიანტებად ან ცალკეულ ჯგუფებად ერთიანი დიდი არქეოლოგიური კულტურისა, რომელშიც უნდა გაერთიანდნენ აგრეთვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ფიქსირებული სხვა ლოკალური ჯგუფები და მთიანი დაღესტანი (დაწვრ. საკითხის შესწავლის ისტორია და სხვადასხვა მოსაზრებათა მიმოხილვა იხ. [623, გვ. 8-50], შდრ. [444, გვ. 100-103]).



სურ. 26. ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლების განლაგების სქემატური რუკა (აღმოსავლეთ საქართველო): 1. ზრამის დიდი-გორა [623], 2. იმირის გორა [646], [672], 3. შულავერის-გორა [646], [672], 4. სიონი [625], 5. გადაჭრილი გორა [646], 672], 6. დანგრეული გორა [672], 7. არუხლო [604, გვ. 48-54], 8. წოფი [610], 9. ღელისი [602], 10. ჟინვალი [696, გვ. 27], 11. წითელი გორები [866, გვ. 55].

ადრესამიწათმოქმედო კულტურის[61] ძეგლები ამჟამად აღმოსავლეთ საქართველოში წარმოდგენილია ბორცვებად, რომელთაც ჩვეულებრივ „გორას“ უწოდებენ.[62]

აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში ადრესამიწათმოქმედო დასახლებანი ძირითადად კონცენტრირებულია ქვემო ქართლში მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადის ზრამისა და დებედას აუზში[63] (სურ. 26).

დასახლებათა ტოპოგრაფია ასახავს სოფლის, როგორც სოციალური ორგანიზაციის ძირითადი ტიპის, წარმოქმნის პროცესს. დასახლება-სოფლები მეტ-ნაკლებად კომპაქტურ ჯგუფებადაა განლაგებული ერთმანეთისაგან დაახლოებით 10-15 კმ-ის დაცილებით. თითოეული ასეთი ჯგუფი შედგება რამდენიმე (3-5) სოფლისაგან, რომლებიც ერთი მთავარი დასახლების ზრდისა და სეგმენტაციის შედეგად არის წარმოქმნილი. ასეთი სოფლები ერთმანეთისაგან სულ 0,5-5 კმ-ის დაცილებით არიან განლაგებული [672, გვ. 5-13].

სამოსახლოდ შერჩეული ადგილი, როგორც წესი, მდინარის ახლოსაა იმ მიზნით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება. მაგრამ მთლიანად დასახლება მაინც რამდენადმე მოცილებული იყო უშუალოდ მდინარის ნაპირს, რომ თავიდან აეცილებინა მდინარის ადიდებით გამოწვეული წალეკვის საშიშროება.

ზემოხსენებულ ყველა ნამოსახლარზე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად დადასტუ-

[61] სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა იმ საკითხზეც, თუ რომელ ეტაპს უნდა მიეკუთვნონ ეს ძეგლები: ნეოლითსა თუ ენეოლითს. ამიტომ ვარჩიეთ ნეიტრალური და ფართოდ ხმარებული ტერმინი „ადრესამიწათმოქმედო კულტურა“.

[62] ქართული სიტყვა „გორა“ შეესიტყვისება წინა აზიის შესახებ არქეოლოგიურ ლიტერატურაში ფართოდ ხმარებულ ცნებას „თეფე“ (თურქ.) და „ტელლ“ (არაბული). ჩვეულებრივ ასე უწოდებენ „საცხოვრებელ ბორცვებს“. მაგრამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განვასხვაოთ: დასახლება იმთავითვე ბორცვზე წარმოიქმნა თუ ჩვენამდე ძოღწეული ბორცვი თუ შემაღლება აქ გაჩნდა ხანგრძლივი დროის მანძილზე, როდესაც ერთმანეთს ეფინებოდა სხვადასხვა დროს დანგრეული და იმავე ადგილზე კვლავ აგებული საცხოვრებელი თუ სხვა დანიშნულების კომპლექსები და ცხოვრების ნაშთები. ასეთ შემთხვევაშიც გარკვეული ეტაპიდან მაინც ახალი დასახლება უკვე ბორცვისებურ შემაღლებაზე იმართებოდა, თუმც პირველი სამოსახლო შესაძლოა გაჩნდა ვაკეზე. ტერმინების „გორა“, „გორა-სამოსახლო“, „გორა-ნამოსახლარი“ შესახებ იხ. [422, VIII, გვ. 23-37, 42-60], [426, გვ. 19].

[63] ეს დასახლებანი დასავლეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ემეზობლებიან მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე კონცენტრირებულ ჯგუფს, რომელშიც შედიან ადრესამიწათმოქმედო კულტურის ისეთი ძეგლები, როგორიცაა შემუთფე, ტოირეთფე, ბაბადერვიში, გორგალართეფესი და სხვ. (დაწვრ. [444, გვ. 100 და შემდ., იქვე დასახელებული ლიტერატურა]).

რებულია საცხოვრებელ და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა არსებითად ერთგვაროვანი სისტემა, ქვისა და ძელის ინვენტარი და ა.შ. მიუხედავად ამისა, ადგილობრივ ადრესამაწათმოქმედო კულტურაში, რომელსაც ძირითადად ძვ.წ. VI-V ათასწლეულებით ათარიღებენ,[64] გამოირჩევა რამდენიმე ქრონოლოგიური საფეხური. ყველაზე ადრეულად მიჩნეულია შულავერის გორა (სურ. 26 № 3), რომელსაც მოსდევს იმირის გორა (სურ. 26, № 2), ხრამის დიდიგორა (სურ. 26 № 1), არუხლო (სურ. 26, № 7)[65] და სხვ.[66]

ნამოსახლართა ტოპოგრაფია ასახავს აგრეთვე ერთ გარკვეულ მიკრორეგიონში მოსახლეობის სიმჭიდროვის ფაქტსაც და ამდენად ფრიად საგულისხმოა იმდროინდელი დემოგრაფიული სიტუაციის გასათვალისწინებლადაც.

ძალზე ძნელია დაბეჯითებით მსჯელობა თითოეული კონკრეტული დასახლების ფართობსა და მოსახლეობის რაოდენობაზე. ვარაუდობენ, რომ შულავერის გორაზე განლაგებულ დასახლებას დაახლოებით 1 ჰა ფართობი ეკავა და შედგებოდა 60-მდე სახლისაგან, რომელთაგან თითოეულში 5-8 სული ცხოვრობდა. ასე, რომ მოსახლეობის საერთო რაოდენობა დაახლოებით 400-500 სულს აღწევდა. ამავე წესით გაანგარიშებისას იმირის გორის მოსახლეობის რაოდენობა შეიძლება 300 სულით განისაზღვროს, ხოლო მთლიანად შულავერის ჯგუფისა, რომელიც ოთხი სოფლისაგან შედგებოდა, დაახლოებით 1200-1300 სულით.[67] მთლიანი ფართობი, რომელიც ამ ოთხ სოფელს ე.ი. ერთ ჯგუფს ეკავა, განისაზღვრება დაახლოებით 500 ჰა-ით, რომლისაგან მხოლოდ 2/3 გამოდგებოდა სახნავ-სათორად, დანარჩენი კი ტყეებს ეკავათ [650, გვ. 94-95].



სურ. 27. იმირის-გორა: საერთო ხედი აღმოსავლეთიდან, გეგმა და ჭრილი [672]

არქეოლოგიური კვლევა-ძიება საკმაოდ თვალსაჩინოდ ავლენს ინტენსიური ცხოვრების კვალს. შეინიშნება საცხოვრებელი სახლებისა თუ სხვა ნაგებობათა გადაკეთება ან გაზრდა-გაფართოება, საზოგადოებრივი ცენტრის გადაადგილება, დასახლების საერთო ფართობის ზრდა ან შემცირება, გაზრდილი მოსახლეობის ხარჯზე ახალი სოფლების წარმოქმნა-განვითარება და ა.შ. ყოველივე ეს საკმაოდ მეტყველი მოწმობაა ერთ ადგილზე მოსახლეობის ხანგრძლივი (ზოგჯერ ასეული წლის)[68] დროის მანძილზე ცხოვრებისა. ეს კი, თავის მხრივ, იყო შედეგი მწარმოებლური ეკონომიკის განვითარებისა, რომელიც უზრუნველყოფდა მოსახლეობის მყარ ბინადარ ცხოვრებასა და სავსებით ჩამოყალიბებული ფორმის შედმივ დასახლებათა წარმოქმნას, მათ შემდგომ ზრდასა და სეგმენტაციას.[69]

---

[64] ასეთი დათარიღება დაფუძნებულია სტრატიგრაფიულ მონაცემებზე (შემდგომი, ე.ი. აღრებინჯაოს ხანის ანუ მტკვარ-არაქსის კულტურასთან შეფარდებით), არქეოლოგიური მასალების შედარებით-ტიპოლოგიურ ანალიზზე და რადიონახშირბადული თარიღების სერიებზე (დაწერ. [623, გვ. 133-147]; [675, გვ. 39 და შემდ.]; [444, გვ. 101-103]; [714].

[65] ([623, გვ. 108]; შდრ. [444, გვ. 102-103]) მაგრამ ამგვარ ქრონოლოგიას არ იზიარებენ სხვა მკვლევარები (იხ. მაგ. [708, I, გვ. 66]; შდრ. [675, გვ. 42-44]).

[66] ყველა ზემოთ დასახელებული ძეგლები ასახავენ აღრესამწათმოქმედო კულტურის განვითარების აღრეულ საფეხურს, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი ამჯობინებს უწოდოს გვიანნეოლითური [623, გვ. 141] ან ნეოლითურ-ენეოლითური [714], სხვები კი – აღრენეოლითური [675, გვ. 39-45] ან უბრალოდ – ენეოლითური [604]. უფრო გვიანდელ ჯგუფს (უშუალოდ რომ უსწრებს წინ აღრებინჯაოს ხანას ანუ ე.წ. მტკვარ-არაქსის კულტურას) მიაკუთვნებენ ისეთ ნამოსახლარებს, როგორიცაა წოფი (სურ. 26 № 8), დელისი (სურ. 26 № 9), აგრეთვე არაგვის ხეობისა და ალაზნის ველის ზოგიერთი ნამოსახლარი (სურ. 26 №№ 10, 11).

[67] ზოგიერთი მკვლევარი უფრო მცირერიცხოვან მოსახლეობას ვარაუდობს იმის გამო, რომ თითოეულ სახლში შეუძლებელი იყო 3-4 სულზე მეტი დატეულიყო (შდრ. [623, გვ. 41-42], [444, გვ. 136]).

[68] ასე მაგ. შულავერის გორაზე კულტურული ფენის სიმძლავრე აღწევს 7 მ-ს და ფიქსირებულია 9 სამშენებლო ჰორიზონტი, რის საფუძველზეც ვარაუდობენ აქ უწყვეტ ცხოვრებას 700 წლის მანძილზე მაინც.

[69] ზოგიერთი მკვლევარი არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ზოგჯერ ხდებოდა მოსახლეობის

დასახლებათა დაგეგმარება მეტწილად ერთ საერთო პრინციპზეა დაფუძნებული. იმ ძირის გორის მაგალითზე ჩანს, რომ საცხოვრებელი კომპლექსები განლაგებულია წრიული ფორმის ღია მოედნის (12 მ დმ-ის მქონე) ირგვლივ (სურ. 27). არქეოლოგიური გათხრებისას, ზოგიერთ სამშენებლო ჰორიზონტზე საკმაოდ ნათლად ჩანს ერთმანეთთან დაკავშირებული ჯგუფები, რომელთაგან თითოეული შედგება წრიული ან ელიფსური გეგმის მქონე ორი ნაგებობისაგან, რომელთაგან ერთი (უფრო მოზრდილი, დაახლ. 3-4 მ დმ-ის) საცხოვრებელია, ხოლო მეორე – დამხმარე სათავსო. მათზე მიდგმული ეზო ნახევარწრიულადაა შემოზღუდული. საერთოდ, როგორც ამ უაღრესად საინტერესო არქეოლოგიური ძეგლის შემსწავლელნი აღნიშნავენ, ყველა ნაგებობისა და ზღუდის კედლები ყოველთვის წრიული მოყვანილობისაა და გეგმაზე არ ჩანს არცერთი სწორი ხაზი (სურ. 27): ნახევარწრიული ეზოს ზღუდე სამხრეთ-დასავლეთი მხრიდან ედგმის ორნაწილიან წრიულ ნაგებობებს (ერთმანეთზე მიშენებულ საცხოვრებელ და დამხმარე სათავსოებს), რომელსაც, თავის მხრივ, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ედგმის მეზობელი სახლის ასევე ნახევარწრიული ეზო. ამრიგად ფიქსირდება საცხოვრებელი კომპლექსების წრიულად განლაგება ცენტრალური მრგვალი მოედნის ირგვლივ [672, გვ. 50-51]. ასეთივე ცენტრალური ღია მოედანი დადასტურებულია აგრეთვე არუხლოში ([604, გვ. 49], [605, გვ. 14]). შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ დასახლებათა დაგეგმარების ერთიანი პრინციპი: საცხოვრებელი კომპლექსების წრიულად განლაგება ღია ცენტრალური მოედნის ირგვლივ, რომელიც საზოგადებრივი ცენტრის ფუნქციას ასრულებდა.

საცხოვრებელ-სამეურნეო კომპლექსი, როგორც ითქვა, შედგებოდა საცხოვრებელი სახლის, დამხმარე სამეურნეო სათავსოსა და ეზოსაგან.[70]

ძირითადად სამშენებლო მასალას წარმოადგენდა თიხა – ალუვიური, წვრილმარცვლოვანი, ღია მონაცრისფრო-მოყვითალო ფერის, რომელიც იქვე ახლოს მოიპოვებოდა. კარგად მოზელილი თიხის ცომისაგან (რომელსაც ურევდნენ მსხვილ ქვიშასა და ბზეს) საგანგებო თიხის მოწყობილობებში მზადდებოდა სამშენებლო აგური, რომელსაც ძირი და გვერდითი ნაწილები გაბრტყელებული ჰქონდა, ხოლო ზედა მხარე – ამოზურგული[71] [672, გვ. 18]. აგურები სხვადასხვა ზომისაა. უფრო ხშირია საშუალო ზომისა: 30 × 20 × 8; 30 × 15 × 8; 25 × 15 × 7 სმ. ზოგჯერ გვხვდება დიდი ზომისაც: სიგრძით 45 და 50 სმ., ხოლო სიგანით 20 და 25 სმ.



სურ. 28. შულავრის-გორა: ალიზისკედლებიან საცხოვრებელ ნაგებობათა ნაშთები (გეგმა) [672]

აგურები გამოუწვავია და მხოლოდ მზეზეა გამომშრალი.

მიერ ბორცვის დროებით მიტოვება და შემდეგ მასზე ხელმეორედ დასახლება. ფიქრობენ, რომ მიწის დამუშავების პრიმიტიული მეთოდები იწვევდნენ ნიადაგის გამოფიტვას, რაც მიწათმოქმედ მოსახლეობას აიძულებდა მიეტოვებინა თავისი სამოსახლო და ახლო მდებარე ტერიტორიაზე დასახლებულიყო, ხოლო გარკვეული დროს შემდეგ (ნიადაგის ბუნებრივი რეგენერაციის შემდეგ) იგი კვლავ უბრუნდებოდა ადრინდელ საცხოვრისს. მაგრამ ამგვარი დასკვნებისათვის პირდაპირი მონაცემები ჯერ არ გაგვაჩნია. ცალკეულ ნამოსახლართა საშენებლო ჰორიზონტები თავისი ზასიათით უფრო უწყვეტ ცხოვრებაზე მიგვითითებენ. ამის მოწმობაა ის, რომ ცალკეულ ჰორიზონტებს შორის სტერილური ფენები არ ფიქსირდება, აგრეთვე – ცალკეულ დასახლებათა ცალკეულ ჯგუფებში გაერთიანებული სოფლების თანადროულობა (შდრ. [672, გვ. 2-7; 207 და შემდ.]).

[70] სამაროვნების აღგილმდებარეობა ჯერჯერობით უცნობია. გათხრების ანგარიშებში აღნიშნულია ცალკეული ორმოსამარხების აღმოჩენა (როგორც წესი, ბავშვისა ან მოზარდისა მოკრუნჩხულ პოზაში) საცხოვრებელი ნაგებობის იატაკქვეშ (იხ. მაგ. [666, გვ. 15]). არუხლო I-ზე რამდენიმე სამარხი დადასტურებულია სამოსახლოს გარეთ. ისინი ქვაყრილიანი ორმოსამარხებია. ზოგიერთში იატაკი წითელი ფერის საღებავით იყო დაფარული.

[71] ასეთი ფორმის აგურებს პლანოკონვექსურს უწოდებენ და ისინი ფართოდ იყო გავრცელებული მესოპოტამიაში.

კედლების წყობა ჰორიზონტალურია, ნაგებია ცალპირად: თითოეული აგური მომდევნოს 2-3 სმ-ითაა დაცილებული და დაკავშირებულია პლასტიკური თიხის ხსნარით, რომელიც გამოშრობის შემდეგ საკმაო სიმტკიცეს იძენდა.



სურ. 28ა. არუხლო: ალიზის კედლებიანი სახლების ნაშთები [604]

ყველა ნაგებობა, როგორც ითქვა, მრგვალი ან ელიფსური ფორმისაა (სურ. 27-28). კედლებს საძირკველი არ გააჩნიათ და ისინი პირდაპირ დედაქანზე ან მიწის ზედაპირზეა ამოყვანილი. თუ შენობა უფრო ადრინდელი ნაგებობის ადგილასაა აღმართული, მაშინ ნანგრევები გულდასმითაა თიხით გადაღესილი და შექმნილია თიხატკეპნილი მოედანი. სულ ქვედა რიგში კედელს ერტყმის თიხატკეპნილი სარტყელი. კედლები ალიზ-აგურით შემდეგნაირადაა ამოყვანილი: კედლის წყობის ყოველი ახალი რიგი 2-3 სმ-ით წინაა წამოწეული. ისე, რომ შიდა სივრცე თანდათანობით მცირდებოდა და იქმნებოდა „გუმბათოვანი" გადახურვა. კედლები ორივე მხრიდან თიხის ხსნარითაა მტკიცედ შელესილი და მათი სისქე ჩვეულებრივ 20-35 სმ-ს აღწევს.

ნაგებობის სიდიდე მისი ფუნქციით განაპირობებდა: დიდი (2,5-დან 5 მ-მდე დიამეტრისა) სათავსო საცხოვრებელს წარმოადგენდა, საშუალო ზომისა (1,5 – 2 მ) სამეურნეო საკუჭნაოს დანიშნულებას ასრულებდა, მცირე – (0,5 – 0,75 მ) საკვების შესანახ „ორმოდ" ითვლებოდა. შულავერის გორაზე დადასტურებულია წყლის შესანახად განკუთვნილი ორმოები, რომლებიც შიგნიდან თიხითაა შელესილი.

საცხოვრებელი წარმოადგენდა ერთთახიან მრგვალ ან ელიფსური მოყვანილობის სახლს გუმბათოვანი გადახურვით, რომელსაც, როგორც ჩანს, ექნებოდა საკვამლე ნახვრეტი. სახლის სიმაღლე 2,5 მ ივარაუდება, ხოლო შიდა ფართობი – 7-დან 17 მ²-მდე. ეზოსა და თიხატკეპნილი იატაკის დონის ზემოთ კედელში დატოვებული იყო სწორკუთხა ფორმის ღიობი (50 × 60 სმ, 60 × 70 სმ), რომელიც უფრო შეაპრომს წააგავდა, ვიდრე შესასვლელ კარს. კედლებში გამართული იყო აგრეთვე მცირე ზომის სასარკმელე ღიობები. თითოეულ საცხოვრებელ ნაგებობაში კედელთან გამართული იყო „კვერცხისებური" ფორმის (0,5 × 0,6 მ) თიხის კერა, რომელიც ჩადგმული (ჩალესილი) იყო იატაკში და ამოდიოდა ზემოთ 10-12 სმ-ის სიმაღლეზე. იმირის გორაზე კერა საცხოვრებელ ოთახში კი არ იყო გამართული, არამედ ეზოში. არქეოლოგიური გათხრებისას ჩვეულებრივ კერის მახლობლად ქვისა და ობსიდიანის იარაღებს პოულობენ, ხოლო შიგნით დაფიქსირებულ ნაცრის სქელ ფენას, ხანგრძლივად ცეცხლის ნთების მოწმობად მიიჩნევენ.

სახლები ერთმანეთისაგან განსხვავდება თავისი ზომებით. ასე მაგ., შულავერის გორაზე შიდა ფართობი ჩვეულებრივ 12,5 მ²-ს ან ზოგჯერ 17,5 მ²-საც კი აღწევს, ხოლო ზოგიერთი არ აღემატება 7 მ²-ს [672, გვ. 23].

მრგვალგუმბათოვან მიწისზედა სახლებთან ერთად ზოგიერთ ნამოსახლარზე (მაგ. არუხლოში) დადასტურებულია აგრეთვე ბორცვის გარეთ მრგვალი ფორმის ნახევარმიწურები, რომელნიც საცხოვრებლადაა გამოყენებული [605, გვ. 14-15]. გვიან ეტაპზე გვხვდება სწორკუთხა მოყვანილობის საცხოვრებელი ნაგებობაც, მაგრამ ისინი სულ ერთეულებია [605, გვ. 17].



სურ. 29. იმირის გორა: 1. №№ 8-10 ნაგებობათა გეგმა; 2. № 8 სახლის სქემატური რეკონსტრუქცია; 3. №№ 9-10 სახლის სქემატური რეკონსტრუქცია [672]

იმირის გორაზე აღმოჩენილია ერთი მეტად საინტერესო (შეიძლება ითქვას, არატიპიური) ნაგებობა (სურ. 29). აქამდე ცნობილ სხვა შე-

ნობებისაგან იგი გამოირჩევა პირველ რიგში იმით, რომ წრიულ-გუმბათოვანი ტიპის საცხოვრებელ სახლში ტრადიციულად კედელთან გამართულ კერასთან ერთად გვხვდება აგრეთვე ცენტრალური კერა. შენობის შიგნით კი დიდი რაოდენობით აღმოჩენილი კაჟისა და ობსიდიანის დასამუშავებელი იარაღები (ქვის გახეხილ-გაპრიალებული ჰატარა ცულები, ქვის გრდემლები, კვერები და საპრიალებლები), ნუკლეუსები და ანატკეცები იმის მოწმობადაა მიჩნეული, რომ ეს სახლი ერთდროულად საცხოვრებელსაც წარმოადგენდა და სახელოსნოსაც. ამ ნაგებობის კიდევ ერთი თავისებურება ისაა, რომ იგი ვიწრო კარით უკავშირდება მასზე მიდგმულ-მიშენებულ 3/4 წრიული მოყვანილობის ვიწრო დერეფანს. ეს უკანასკნელი უფრო დაბალია და აქვს გუმბათოვანი გადახურვა, რომელიც ეყრდნობა კარის ღიობის ორსავე მხარეს აღმართულ კედლებს – თავისებურ კონტრფორსებს (მსგავსად წინა აზიის უძველეს ნამოსახლარებზე აღმოჩენილი შენობებისა) [672, გვ. 59].

ადამიანის საწარმოო საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა შრომის იარაღების დამზადებას, რისთვისაც ძირითადად იყენებდნენ ქვას, ობსიდიანს, რქასა და ხეს. უმთავრესად მაინც იყენებდნენ ობსიდიანს, რომლის კარიერები ორიალეთის მთებშია განლაგებული [708, I, გვ. 62], [702, გვ. 68]; შდრ. [711, გვ. 14].



სურ. 30. ძვლის იარაღები. ხრამის დიდი გორა: ნამგლის ჩასართები, თოხები, საპრიალებლები, სახვრეტები და სადგისები, დანისებური იარაღი, საკიდები [623]

ობსიდიანისა და საერთოდ სხვადასხვა ქვის პირველადი დამუშავება თვით ნედლეულის მოპოვების ადგილზევე ხდებოდა. ამის მოწმობაა ის, რომ ნამოსახლართა უმეტეს ნაწილზე (გარდა წოფისა) დადასტურებულია იარაღების მეორადი დამუშავება და დამზადება. სპეციალურმა გამოკვლევებმა[72] ცხადყო, რომ მაგ. არუხლო I ნამოსახლარზე ობსიდიანის ინდუსტრია ხასიათდება გახლეჩის ე.წ. ფირფიტოვანი ტექნიკით, რის შედეგად მიიღებოდა დიდი და საშუალო ზომის ფირფიტები, რომლის მეორადი დამუშავებისა და სათანადო დანიშნულების იარაღის დასამზადებლად იყენებდნენ დამაბლაგვებელ ან წამმახვილ რეტუშს.



სურ. 31. ქვის სამუშაო იარაღები და ჭურჭელი. ხრამის დიდი გორა

ნამოსახლარებზე აღმოჩენილი ქვის იარაღები თავისი დანიშნულების მიხედვით ძალზე მრავალფეროვანია (სურ. 30-31). ყოველდღიურ ყოფასა და მიწათმოქმედებაში აგრე ფართოდ გამოყენებული ხისა და ძვლის დასამუშავებლად ხმარობდნენ საფხეკ-საჩორკნებს, საოლელ-სარანდავ დანებს, საჭრისებს, უროსმაგვარ იარაღებს, სატეხებს და სხვ. [711, გვ. 19], [682]. განსაკუთრებული ადგილი ეკავა სასოფლო-სამეურნეო იარაღების დამზადებას (სურ. 30-36). მიწის დასამუშავებლად იყო განკუთვნილი მიწის სათხრელი ბარები (მსხვილი ცხოველის ბეჭის ძვლისაგან დამზადებული), თოხები (ეროსებური, წერაქვისებური, კონუსური), სატარე

[72] სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს აღრესამიწათმოქმედო კულტურაში ქვის ინდუსტრიის შესახებ დაწერ. იხ. [642], [681-683], [701-702].

ნახვრეტიც რომ აქვთ გაკეთებული და კეთილშობილი ირმის რქისაგან დამზადებული მიწის სათხრელ-საჩიჩქნები (სურ. 32-36).



სურ. 32. მიწის დასამუშავებელი იარაღი. ძვლისა (ბარი) და რქის თოხი. არუხლო [680]

დადგენილია (მიკროსკოპის გამოყენებით ე.წ. ტრასოლოგიური ანალიზის საფუძველზე), რომ მიწის სათხრელები გამოიყენებოდა მარცვლეულის დასათესად და ბოსტანში სამუშაოდ. ეროსებური თოხი მრავალფუნქციური იარაღი იყო. წერაქვისებური თოხით დაბარულ მიწას აფხვიერებდნენ, ხოლო კონუსისებური თოხებით სარგებლობდნენ მიწურებისა და ნახევარმიწურების გასამართავად, სამეურნეო ხარებისა თუ ორმოების სათხრელად და ა.შ. [680], [701].



სურ. 33. ირმის რქისაგან დამზადებული თოხები და მიწის სათხრელი იარაღი. არუხლო I [680]

მიწის დასამუშავებელ იარაღებად დიდ ინტერესს იწვევს არუხლო I ნამოსახლარზე აღმოჩენილი კეთილშობილი ირმის რქა 67 სმ სიგრძისა და საგანგებოდ გაპრიალებული. ფიქრობენ, რომ იგი პრიმიტიული სახვნელი იარაღის ფუნქციას ასრულებდა. ეს იყო კაკი, რომელიც გამწვე ძალაზე ხის ხელნით მაგრდებოდა ან ადამიანი ეწეოდა მას ტყავის ღვედებით (შდრ. სურ. 36). ასეთი იარაღით ხდებოდა მიწის მეტნაკლებად დიდი ფართობის დამუშავება (მოხვნა) მას შემდეგ, როდესაც ნაადავს წინასწარ სხვადასხვა ტიპის ძვლის ან რქის თოხებით აფხვიერებდნენ [643], [708, II, გვ. 57-58].



სურ. 34. რქის თოხები. არუხლო I [680]

ხორბლისა და ქერის სამკელად იყენებდნენ ძვლისა და ხის ნამკლებს, რომელთა ჩასართებს ძირითადად ობსიდიანისაგან, ხოლო ზოგჯერ (თუმც იშვიათად) აგრეთვე კაჟისა და სხვა ჯიშის ქვისაგან ამზადებდნენ.

მიწათმოქმედებისა თუ შემგროვებლობის წესით მოპოვებულ საკვებად ვარგისი მოსავლის გადასამუშავებლად იყენებდნენ ქვის ქვიჯებს, ფილთაქვას, სასრეს-სახეხებს, მრგვალი თუ ოვალური მოყვანილობის ხელსაფქვავებს.

აგრე მრავალფეროვანი და ფუნქციონალურად დიფერენცირებული მიწის დასამუშავებელი იარაღები უზრუნველყოფდა უთუოდ სხვადასხვა მარცვლეულის კულტივაციასა და მოსავლიანობას. ამას მოწმობს აგრეთვე ნამოსახლარებზე აღმოჩენილი დანაშრებული მარცვლეულისა და ალიზ-აგურზე შემორჩენილი მარცვლების და თავთავების ნაშთებისა თუ მათი ანაბეჭდების სპეციალური პალეობოტანიკური ანალიზის შედეგები. ასე მაგ., სამხრეთ საქართველოს ზოგიერთ აღრესამიწათმოქმედო ნამოსახლარზე (არუხლო I – II, იმირის გორა) დადგინდა აქ კულტივირებულ მცენარეთა არაჩვეულებრივი მრავალფეროვნება. ხორბლეული წარმოდგენილია შემდეგი სახეობით: რბილი, ერთმარცვლოვანი, ორმარცვლოვანი, ჯუჯისებური და სპელტა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოსათვის ენდემური ხორბლის ჯიშის – მახას

აღმოჩენა. საკმაოდ მრავალფეროვანი ჯიშებითაა წარმოდგენილი ქერიც. სხვა მარცვლეული კულტურებიდან აღსანიშნავია ფეტვი და შვრია, ხოლო პარკოსანთაგან – მუხუდო, ოსპი და აგრეთვე საკმაოდ დიდი ჯგუფი მათი თანმხლები სარეველა და სხვ. ველური მცენარეებისა.[73]



სურ. 35. კონუსური ფორმის რქის თოხები. არუხლო I [680]



სურ. 36. ირმის რქისაგან დამზადებული კავი. არუხლო: 1. ირმის რქა, 2. სავარაუდო რეკონსტრუქცია [643]

მიწათმოქმედების ისტორიის შემსწავლელთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ხორბლეულის სახეობათა მრავალფეროვნება, რაც ადგილობრივი ფლორის დომესტიკაციის შედეგად მიაჩნიათ. საგანგებოდაა აღსანიშნავი რბილი ხორბლის ძალიან ფართოდ გავრცელება ხორბლეულის (ლათ. ტრიტიკუმ) სხვა სახეობებთან ერთად, რომელთა შორის არის ისეთი ჯიშებიც, რომელნიც მახლობელი აღმოსავლეთის იმავდროულ ნამოსახლარებზე ჯერ დადასტურებული არაა. ამავე დროს ამიერკავკასიის ბუნებრივ მცენარეულ ჯგუფებს შორის გამოირჩევა ისეთი საწყისი სახეობანი, რომელნიც მონაწილეობენ ე.წ. რბილი ხორბლის შექმნაში [685, გვ. 43], [671, გვ. 19-21].

მებოსტნეობის განვითარებას მოწმობს მაგ. „დანარეული გორის“ ერთ-ერთ სამეურნეო ორმოში ნაპოვნი ნესვის, მჟაუნას და სხვ. ნაშთები [646, გვ. 125].

ზოგიერთ ნამოსახლარზე ყურძნის წიპწებიცაა აღმოჩენილი. ხრამის დიდი გორის დანახშირებულ წიპწებს ამპელოგრაფიული ნიშნებით მიაკუთვნებენ ევროპულ სახეობას (ლათ. ვინიფერა ლ.) და მიიჩნევენ ველურიდან კულტურულ ვაზზე გარდამავალ ფორმად [671, გვ. 21]. შულავერის გორაზე და დანგრეულ გორაზე ნაპოვნი წიპწები კი აღიარებულია კულტურულ ჯიშებად, რომელნიც სელექციის დიდ სიძველესა და ადგილობრივი კულტურული ვაზის სრულყოფის ნიშანს ავლენს.[74]

მიწათმოქმედების განვითარებისათვის, ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კლიმატსა და საერთოდ ბუნებრივ გარემოს. მცენარეული მტვრის საგანგებო ე.წ. პალინოლოგიური ანალიზით დადგენილია, რომ ქვემო ქართლის დაბლობზე (და საერთოდ სამხრეთ კავკასიონის მთათაშორისო ზეობებში) ადრესამიწათმოქმედო კულტურის ფორმირებისა და განვითარების პერიოდში ძირითადად გაბატონებული იყო ე.წ. ღია ლანდშაფტი, მისთვის დამახასიათებელი ქსეროფიტული ტიპის (ე.ი. გვალვიანი ნიადაგებისათვის ტიპიური) ერთწლიანი მცენარეებით [668-669]. ზღვის დონიდან 300-400 მ-მდე განლაგებულ კაკაზე ნალექების წლიური რაოდენობა 400-500 მმ-ს არ აღემატებოდა. ასეთი კლიმატური რეჟიმი მაინც იძლეოდა რეგულარული ირიგაციის გარეშეც მოსავლის მიღების შესაძლებლობას. მაგრამ ჩვეულებრივ ურწყავი ნათესების არაეფექტურობა აიძულებდა მოსახლეობას მიემართა დასამუშავებელი მიწის ნაკვეთების ხელოვნური მორწყვისათვის. ფიქრობენ, რომ მდინარეებთან სიახლოვე და რელიეფის ხასიათი ხელს უწყობდა შექმნილ მარტივი საირიგაციო სისტემა, რომლის ნიშნები თითქოს დაფიქსირებულია არუხლოს ნამოსახლარზე ე.წ. „მშრალი“ და „სველი“ თხრილების სახით.[75]

[73] სრული კატალოგი იხ. [685, გვ. 61 და შემდ. №№ 1, 2, 4, 12], [671, გვ. 19], [712].

[74] მეღვინეობა-მევენახეობის ცნობილი სპეციალისტის პროფ. მაქსიმე რამიშვილის დასკვნა იხ. [707, I, გვ. 57].

[75] აქ იგულისხმება ორი არათანადროული ფართო და ღრმა თხრილი, რომელიც არუხლო I ნამოსახლარს უკლიდა გარს. ამ ძეგლის შემსწავლელმა, აწ განსვენებულმა არქეოლოგმა ტარიელ ჩუბინიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ პერიოდში მორწყვა, როგორც ჩანს, მაინც არარეგულარულ ხასიათს ატარებდა და მას ვეგეტაციური ციკლის გარკვეულ პერიოდში მიმართავდნენ ხოლმე [685, გვ.47]; [686, გვ. 88]. მდინარეებიდან წყლის გამოსაყვანად სავარაუდოა მცირე ზომის მარტივი სარწყავი არხებისა და საგუბარების მომზადება [672, გვ.16].

ამრიგად, სამიწათმოქმედო იარაღების სიმრავლე და მრავალფეროვნება, სათეს ფართობებზე ხელოვნური მორწყვის გამოყენება,[76] მოშენებული მარცვლეულის სახეობათა ფართო სპექტრი საკმაოდ თვალსაჩინოდ მოწმობს მიწათმოქმედების მაღალ დონეს ქვემო ქართლის დაბლობზე (და სამხრეთ კავკასიაში საერთოდ) ძვ.წ. VI-IV ათასწლეულებში. ამასთან უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ აქ ჩვენს წინაშეა არა მიწათმოქმედების წარმოქმნა-განვითარების საწყისი საფეხური, არამედ უკვე სავსებით ჩამოყალიბებული სამიწათმოქმედო მეურნეობა [444, გვ. 132].

მიწათმოქმედებასთან ერთად ადგილობრივი საზოგადოების სამეურნეო სისტემაში მნიშვნელოვანი როლი (ხოლო ზოგიერთი მკვლევარის მტკიცებით ადრეულ ეტაპზე მაინც – უპირატესი და შესაძლოა, წამყვანიც) მესაქონლეობას ეკავა.

მესაქონლეობის განვითარებაზე მიუთითებს მოშინაურებულ ცხოველთა ძვლების სიმრავლე და აგრეთვე მთელი წყება ქვისა და ობსიდიანის იარაღებისა, რომელთაგან დანები ცხოველის ხორცის ასაჭრელად იყო განკუთვნილი, საფხეკები კი – ტყავის დასამუშავებლად, რისთვისაც იყენებდნენ აგრეთვე კომბინირებულ იარაღებს: საფხეკ-საჭრისებს, საფხეკ-სახვრეტებს, საფხეკ-დანებსა და სხვ.

ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო ნასახლარებზე აღმოჩენილ ცხოველთა ძვლების რაოდენობრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ წამყვანი ადგილი მაინც წვრილფეხა რქოსან საქონელს (ცხვარი, თხა) ეკავა, ხოლო ზოგიერთ ნამოსახლარზე (მაგ. შულავერის გორაზე) ჩანს მსხვილი რქოსანი პირუტყვის უპირატესობა. თითქმის ყველა ნამოსახლარზე დასტურდება ღორების მოშენება და ძაღლების ყოლა.

ადრესამიწათმოქმედო კულტურის შემქმნელი მოსახლეობა მისდევდა ნადირობასაც, თუმც იგი სამეურნეო-ეკონომიკურ სისტემაში უკვე აღარ ასრულებდა რამდენადმე მნიშვნელოვან როლს. ნამოსახლარებზე აღმოჩენილია ირმის, შვლის, ჯიხვის, ტახის, დათვის და სხვ. ცხოველთა ძვლები, ასევე თევზისა და სხვადასხვა ფრინველისა (ხოხობი, კაკასიური როჭო, სავათი და სხვ.[77] (დაწვრ. [651-652]).

ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო მოსახლეობის საშინაო ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მეთუნეობას – სამეურნეო და საოჯახო ჭურჭლის დამზადებას.[78] ამ დროის თიხის ჭურჭელი ხელითაა ნაძერწი. თიხის ცომი

იისინი მიიჩნია სარწყავ არხებად, რომელნიც მდ. მაშავერას წყლით მარაგდებოდა. კერძოდ, ე.წ. სველი არხი წარმოადგენდა თავისებურ რეზერვუარს, რომელიც გაზაფხულზე მდინარის ადიდებისას ივსებოდა ხოლმე და იმავე დროს თავდაცვით ფუნქციასაც ასრულებდა ([704, გვ. 91], [684, გვ. 24], [707]). მოსაზრება ამ არხების სარწყავი დანიშნულების შესახებ სპეციალისტთა ერთმა ნაწილმა არ გაიზიარა (იხ. მაგ. [672, გვ. 77-79]). კიდევ მეტი, გამოითქვა ეჭვიც კი იმის შესახებ, რომ ეს არხები საერთო ხელოვნური წარმოშობისაა და ადამიანის მიერ რაიმე საგანგებო მიზნით გაკეთებული [679]. მაგრამ საგანგებოდ ჩატარებულმა ნიადაგმცოდნეობითმა და პალეობიოლოგიურმა ანალიზმა, რომლის დროსაც დაზუსტდა აგრეთვე თხრილების ზომები, მიმართულება და პროფილი, დაადასტურა თხრილების ხელოვნური წარმოშობა და მათი სარწყავ არხებად გამოყენების შესაძლებლობა [686]. ასეთსავე დასკვნამდე მივიდნენ გეომორფოლოგებიც დღევანდელი და ჰოლოცენური განმარხებული ნიადაგების დიაგნოსტიკური მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე [688].

[76] საინტერესოა აღინიშნოს: ნამოსახლარზე კულტურულ მცენარეებთან ერთად აღმოჩენილია მრავალრიცხოვანი სარეველა მცენარეებიც, რომელნიც დამახასიათებელია მხოლოდ საშემოდგომო და საგაზაფხულო ნათესებისათვის. პალეობოტანიკური მასალის გამოკვლევის საფუძველზე ასკვნიან, რომ თესვა და მოსავლის აღება ხდებოდა წელიწადში ორჯერ – გაზაფხულსა და შემოდგომაზე [707, გვ. 17], [685, გვ. 48].

[77] არუხლოს ნამოსახლარზე აღმოჩენილი ძვლოვანი მასალის შესწავლა გვიჩვენებს, რომ მისი 92% შინაური ცხოველისაა, ხოლო მხოლოდ 8% მოდის გარეულ ძუძუმწოვრებზე, გარეულ ფრინველებზე, ქვეწარმავლებსა და თევზებზე [662]. საგანგებოდ უნდა შევეხოთ ამ დროისათვის ცხენის მოშინაურების შესაძლებლობის საკითხს. არუხლო I და წოფის ნამოსახლარებზე ნაპოვნია გარეული ცხენის ცალკეული ძვლები და კბილები [652, გვ. 63-64]. ზოგიერთი პალეონტოლოგი გადაჭრით უარყოფს სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო მოსახლეობის მიერ ძვ.წ. VI-IV ათასწლეულში ცხენის მოშინაურების შესაძლებლობას [662, გვ. 108-109]. აქვე უნდა აღინიშნოს რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში (მუღანის ველი) ძვ.წ. IV ათასწლეულისათვის ცხენის მოშინაურებას შესაძლებლად მიიჩნევენ ალიკემეკთეფესის ნამოსახლარზე აღმოჩენილი ნაშთების საფუძველზე [444, გვ. 135 და იქვე დასახ. ლიტ.].

[78] ამ დროის სამეთუნეო ქურები საქართველოში ჯერ აღმოჩენილი არაა. ცნობილია ისინი მეზობელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე: შომუთეფეში აღმოჩენილია დედაქანში ამოკვეთილი ვარცლისებური მოყვანილობის მარტივი კონსტრუქციის ქურა, ალიკემეკთეფესის ნამოსახლარზე კი – ორიარუსიანი ქურა, რომლის ქვედა ნაწილი საცეცხლეს წარმოადგენდა, ზემოთა კი ჭურჭლის გამოსაწვავად იყო განკუთვნილი. მსგავსი კონსტრუქციის ძვ.წ. V ათასწლეულის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურები აღმოჩენილია მესოპოტამიაში – ხასუნასა და ხალაფის ნამოსახლარებზე [444, გვ. 135-136].

(კეცი) შეიცავს ქვიშის, ხვინჭის, შამოტის, ბზისა და ზოგჯერ (თუმც იშვიათად) დანაყილი ობსიდიანის მინარევებს. ჭურჭლის ძირზე გვხვდება ხის წნულის ანაბეჭდები. თითქმის ყველა ჭურჭელი ბრტყელძირიანია, ძირითადად ქილისებური მოყვანილობისა და, როგორც წესი უფსო. გვხვდება კასრისებური მოყვანილობის ჭურჭელიც, რომელსაც ჰორიზონტალური შვერილის მსგავსი ყური აქვს, აგრეთვე ქილისებური ან კეცრისებურ ტანიანი ქოთნები, მცირე ზომის ჯამები და სხვ. (სურ. 37-38).



სურ. 37. კერამიკის ნიმუშები. შულავერის გორა [623]

ჭურჭლის ზედაპირი ზოგჯერ გაპრიალებულია. უმეტესად სქელკეციანი ჭურჭელი გვხვდება, თუმც ზოგჯერ თხელკეციანიც გამოერევა. ადრესამწყობოქმედო კულტურის ნამოსახლარებზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის მხოლოდ მცირე ნაწილია ორნამენტირებული. შედარებით იშვიათია (და ისიც მხოლოდ გარკვეული პერიოდისათვისაა დამახასიათებელი) გრავირებული ორნამენტი (წიწვისებური). უფრო ტიპიურია ნაძერწი ორნამენტაცია, რომელიც თანდათანობით უფრო მრავალფეროვანი ხდება: გირჩისებური (ერთ ან რამდენიმე რიგად თუ ჯგუფურად განლაგებული), ნუშისებური ან მრგვალი, ნახევრადმრგვალი თუ ლილვისებური სახეები, რომელნიც ზოგჯერ სხვადასხვანაირი კომბინაციითაა წარმოდგენილი. განვითარების უფრო გვიან საფეხურზე ჩნდება აგრეთვე კლაკნილი ან ჯვრისებური ნაძერწი ორნამენტი, რელიეფური ანთროპომორფული გამოსახულებანი და სხვ. (სურ. 37-38) [684, გვ. 24 და შემდ.]; [672, გვ. 34-36, 68-69]; [623, გვ. 65-66, 68, 72, 74-75, 80-81, 107 და შემდ.]. ძალზე საინტერესოა არუბლოს ნამოსახლარზე ნაპოვნი თიხის ფრაგმენტი, რომელზედაც მრგვალი ფორმის საბეჭდავით ირმისა და რაღაც ცხოველის (შვლის – ?) გამოსახულებაა. ფიქრობენ, რომ ეს ფრაგმენტია რაღაც საგნისა, რომელიც „დალუქვის“ მიზნით ჭურჭლის ყელზე იყო მიმაგრებული [684, გვ. 25], რაც იმის მოწმობაცაა, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში თანდათანობით იქმნებოდა ისეთი ურთიერთობანი, რომელიც ოჯახისა თუ სხვა სოციალური ჯგუფის საკუთრების განვითარებასთან იყო დაკავშირებული [684, გვ. 56].

თიხის ჭურჭლის ნაძერწი რელიეფური გამოსახულებებით შემკობა კიდევ იმითაცაა საყურადღებო, რომ მოწმობს ამ დროს სახვითი ხელოვნების განვითარებას. ამ თვალსაზრისით ძალზე საყურადღებოა მცირე ზომის ანთროპომორფული ქანდაკებების უკვე საკმაოდ ხშირი აღმოჩენები. ასეთებია მაგ. არუხლოს ნამოსახლარზე ნაპოვნი მცირე ზომის რიყისქვის თუ კენჭისაგან დამზადებული ადამიანის თავის გამოსახულებები. ერთ-ერთ მათგანზე კარგადაა შემორჩენილი ამოკაწრული ხაზები, რომელნიც წითელი საღებავითაა ამოლესილი [684, გვ. 25-26, სურ. 6ა].



სურ. 38. კერამიკის ნიმუშები. იმირის გორა [623]

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გამოუწვავი თიხისაგან გამომერწილი ქალის მინიატურული ქანდაკებანი. მათი ცალკეული და ფრაგმენტული აღმოჩენები ცნობილია იმირის-გორასა და შულავერის გორაზე. ხრამის დიდი-გორაზე თავდაპირველად აღმოჩნდა 21 ფიგურა, რომელთაგან 17 სახლის კერაში ეწყო. ყველა ძალზე ფრაგმენტულია და მხოლოდ ერთის აღდგენა გახდა მთლიანად შესაძლებელი. ეს მცირე ზომის ქანდაკებანი წარმოსახავენ ტანშიშველ ქალებს. მათი სიმაღლე ჩვეულებრივ 5 სმ-ს არ აღემატება და მაინც გამოირჩევა

პლასტიურობითა და გამომსახველობით. ფიგურა ყოველთვის მჯდომარე პოზაშია წარმოდგენილი, მაგრამ ან მოხრილი ფეხებითა და ოდნავ ზეაწეული მუხლებით ან წინ გაწეული და მოხრილი ან ოდნავ გაშლილი ფეხებით (სურ. 39). ერთ-ერთი ქანდაკების თავლის ბუდეები შავი მბრწყინავი მასით იყო ამოვსებული, რაც კიდევ[79] უფრო მეტ გამომსახველობას ანიჭებდა მას.[79] ზოგიერთ ფიგურაზე შემორჩენილია სხვადასხვა ფერის საღებავის კვალი, თავისებური „ტატუირება“, სხვებზე – ირიბი ჭდეები [665].



სურ. 39. თიხის ქანდაკება. ხრამის დიდი-გორა [665]

ხრამის დიდი-გორაზე კიდევ 50-მდე ფიგურაა აღმოჩენილი. მათგან ზოგიერთი ნატურალისტური ნიშნებით ხასიათდება: უტრირებულ-გულ-მკერდი, თეძოები და ფეხები, ექსპრესიული თავი (ზოგჯერ ინკრუსტირებული თვალები). სახეზე ზოგჯერ შემორჩენილია შავი და თეთრი ფერის ხაზები – საკრალური ტატუირების ნაშთები [626].

ქალთა ეს სქემატური ქანდაკებანი წარმოადგენენ „დიდი დედის“ – ბუნებისა და ყოველგვარი სულიერის შემქმნელი ღვთაების – გამოსახულებებს. თავისი სტილისტური ნიშნებით ისინი დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ ჩრდილოეთ მესოპოტამიის ანალოგიურ ძეგლებთან და უთუოდ შედიან ხასუნასა და ხალაფის კულტურის წრეში [665], [649, გვ. 12-30].

ძალზე საყურადღებოა, რომ ხრამის დიდი-გორაზე ქალთა მინიატურული ქანდაკებანი აღმოჩენილია კერებში, სადაც ეწყო აგრეთვე ნაცრისფერი თიხისაგან დამზადებული კვერი (ე.ი. მისი სიმბოლური გამოსახულებანი) და აგრეთვე ცხვრის ძვლები – სამსხვერპლო შეწირულობის ნაშთები. ასე, რომ ეს უთუოდ იყო „რიტუალური კერა“, რომელთანაც საკულტო ცერემონიალი იმართებოდა.

საკულტო წესების შესასრულებლად უკვე აგებდნენ საგანგებო შენობებსაც – პრიმიტიულ ტაძარ-სამლოცველოებს. ასეთი დანიშნულების ნაგებობა იმირის-გორაზეა აღმოჩენილი (სურ. 29_2). იგი შედგება სხვადასხვა დონეებზე განლაგებული, მაგრამ ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული ორი სათავსოსაგან: მთავარ, ოვალური ფორმის სათავსოს (4,5 x 3,5 მ) სამხრეთი მხრიდან ეკვრის უფრო მცირე ზომის მრგვალი ნაგებობა (დმ – 3,2 მ). კარის ღიობის კვალი არ შეინიშნება, მიუხედავად იმისა, რომ კედლები 45 სმ-ის სიმაღლეზეა გადარჩენილი. ფიქრობენ, რომ შესასვლელი იყო მთავარი სათავსოს აღმოსავლეთ მხრიდან, რომელიც ძლიერაა დანგრეული და გამორიცხული არაა, რომ მას ამ მხრიდან კიდევ ერთი მინაშენი ჰქონოდა. მრგვალი შენობიდან მიემართება ნახევარწრიული კედლები, რომელნიც ერთმანეთს არ უკავშირდებიან. ამიტომ ამ მხრიდანაც ივარაუდება რაღაც მინაშენი. ოვალური ნაგებობის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებში კედლებთან ორპირად დალაგებული აგურებით ამოყვანილია სვეტები, რომლებიც კედლის შიდა და გარე მხარეს ქმნიან თავისებურ პილასტრებს.

ოვალური სათავსოს ცენტრში გამართულია კერა: მარტივი მრგვალი ორმო (65 სმ დმ-ისა და 40 სმ სიღრმისა). იქვე აღმოჩნდა ბრტყელი ბორდიურის ქვეშ ჩაწყობილი ხორბალი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ოვალური და მრგვალი შენობის შიგნით დადასტურებული ორმოები, რომელშიც საგანგებოდ იყო ჩაწყობილი ბრტყელი და უროს დარტყმით გაბრტყელებული ქვები – როგორც ჩანს, ხის სვეტების დასადგმელად განკუთვნილი. ეს სვეტები იკავებდა ბრტყელ ბანურ გადახურვას, რითაც ეს ზემო-

[79] აღსანიშნავია სოფ. კასუმლოს მიდამოებში (სადაც აღრესამიწათმოქმედო კულტურის ნაშთებია ფიქსირებული) ადგილ დამირ-გაისთან მიკვლეული კლდეზე ნახატი – წითელი ფერის ჟანგმიწით (წერნაქით) შესრულებული თხის, ირმის და გველის სქემატური გამოსახულებანი; სამწუხაროდ, ამ ნახატის ზუსტად დათარიღება ჯერჯერობით შეუძლებელია. ამიტომ მათ დიდ ქრონოლოგიურ დიაპაზონში ათავსებენ: „ნეოლით-ბრინჯაოს ხანა“ [626, გვ. 27-28]. იგივე ითქმის თრიალეთის მიდამოებში აღმოჩენილ და მეზოლითისა თუ მომდევნო ხანით დათარიღებულ კლდეზე ამოკვეთილ გამოსახულებაზეც [535].

აღწერილი ნაგებობა განსხვავდება ყველა დანარჩენი წრიულ-გუმბათოვანი შენობებისაგან (სურ. 29$_2$). ძლიერი ხანძრის კვალიც ხის კონსტრუქციების გამოყენების მოწმობაა. შენობის შიგნით კერასთან ახლოს ეწყო ქვის მოგრძო (ე.წ. ნავისებური) ხელსაფქვავები, ხახუნები, ხოლო შენობის მთელ ფართობზე გაბნეული იყო კერამიკის, ობსიდიანისა და ძვლის ნაკეთობათა მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები. მთელი შენობის ორიგინალური ხასიათი, ბანური გადახურვა და ინტერიერის უჩვეულო გადაწყვეტა (ყველა სხვა წრიულ-გუმბათოვანი ხახუნებისაგან რომაა განსხვავებული), აგრეთვე აღმოჩენათა ხასიათი (განგებო შეწირულობის შთაბეჭდილებას რომ ტოვებს) იძლევა საფუძველს მისი საკულტო ნაგებობად მიჩნევისათვის [672, გვ. 61-66].

ამრიგად, არქეოლოგიური გათხრების შედეგად ჩვენს წინაშე წარმოჩინდა უაღრესად საინტერესო კულტურა, რომელიც ძვ.წ. VI-V ათასწლეულებში ვითარდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. მთელი რიგი ნიშნები, როგორიცაა ხახუნების ტიპი და ალიზის წრიულ-გუმბათოვანი არქიტექტურა, ქვის დამუშავების ტექნიკა, თიხის ჭურჭლის ზოგიერთი ფორმა და ორნამენტაცია, ანთროპომორფული მინიატურული ქანდაკებანი და მათში ასახული რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, ძალზე ახლო პარალელს ამყარებენ წინა აზიის ისეთ ფართოდ ცნობილ ადრესამიწათმოქმედო კულტურებთან, როგორიცაა ტელ-სოტტა-უმ-დაბაგია, ხასუნა-სამარა-ხალაფი და სხვ., მირითადად ძვ.წ. VI-V ათასწლეულებით რომ თარიღდება [708]. უკანასკნელ ხანებში კალიბრირებული რადიონახშირბადული მეთოდით დათარიღების საფუძველზე ჩნდება ტენდენცია ქვემო ქართლის ადრეული მიწათმოქმედო კულტურების დაძველებისა და მისი ქვედა ქრონოლოგიური ზღვარის ძვ.წ. VI ათასწლეულთან მიახლებისა [675, გვ. 39-45], რაც კიდევ უფრო მტკიცე საფუძველს ქმნის ამ კულტურის წინააზიური კულტურული სამყაროსადმი მიკუთვნებისათვის.

არქეოლოგიური მასალები, როგორც ვნახეთ, საკმაოდ თვალსაჩინოდ ავლენს მრავალმხრივ ეთნოკულტურულ კონტაქტებს წინა აზიის ადრესამიწათმოქმედო კულტურასთან და მით წარმოაჩენს ძველი საქართველოს (სამხრეთ კავკასიის ერთიანი ადრესამიწათმოქმედო კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის) ადგილს ძველი სამყაროს ერთიან ისტორიულ პროცესში ნეოლითური რევოლუციის ეპოქაში.

წინა აზიის პრიორიტეტული როლი ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარებაში საკმაოდ თვალსაჩინოა და უყოყმანოდ აღიარებული. მაგრამ მასთან ერთად, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენებისა და ქრონოლოგიის დაზუსტების ფონზე, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ამჟამად სულ უფრო დაფინებით უარყოფენ ადრე მიღებულ დებულებას იმის შესახებ, რომ თითქოს ამიერკავკასია საგრძნობლად ჩამორჩებოდა წინა აზიას ახალი ტიპის ეკონომიკის ფორმირების ეპოქაში. მწარმოებლური ეკონომიკის – მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სწრაფმა განვითარებამ უთუოდ დააჩქარა ადგილობრივ ტომთა როგორც ურთიერთშორისო კავშირები, ასევე მომიჯნავე წინააზიურ კულტურულ არეალში მოქცეულ ადრესამიწათმოქმედო მოსახლეობასთან ურთიერთობა. ყოველივე ამან ხელი შეუწყო აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. VI-V ათასწლეულებში თავისთავადი ადრესამიწათმოქმედო კულტურების ჩამოყალიბებას, რომელიც ტიპოლოგიურად აგრე ახლო დგას წინაახაზიურ სამიწათმოქმედო კულტურებთან [708, III, გვ. 57-61].

ზემოთ განხილული ადრესამიწათმოქმედო კულტურა, აგრე თვალსაჩინოდ რომაა ქვემო ქართლში წარმოდგენილი, უკვე სავსებით ჩამოყალიბებული ბინადარი საზოგადოების კულტურაა. მეურნეობის წამყვანი დარგებია მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. მეტალურგია ჯერ არაა განვითარებული. ცნობილია მხოლოდ თვითნაბადი პისლენძისაგან ჭედვით დამზადებული ცალკეული ნივთები, რომელთაც ძვ.წ. V ათასწლეულის მეორე ნახევრითა და IV ათასწლეულის დასაწყისით ათარიღებენ: ბიკონუსური მძივები და ბოლოებწაწვეტებული ნახევარკალი – საკიდი (?) (ხრამის დიდი გორა), ბრტყელი ფირფიტა (არუხლო), საკინძი და ოთხწახნაგა ღერო (დელისი), დანისპირი (წყალტუბოს თეორი მღვიმე).

ადრესამიწათმოქმედო კულტურის წიაღში უკვე შექმნილია მატერიალური პირობა გვარისაგან ისეთი სოციალური ერთეულის ეკონომიკურად გამოყოფისა, როგორიცაა ოჯახი [672, გვ. 181], რაც თვალსაჩინოდაა ასახული თითოეული დასახლების დაგეგმარებასა და არქიტექტურაში: თითოეული საცხოვრებელ-სამეურნეო კომპლექსი, როგორც ვნახეთ, ალიზის ზღუდითა თუ ღობითაა გამოყოფილი. ცალკეულ ოჯახებად დაშლის პროცესი[80] უკვე გვაროვნული საზოგადოების განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს გულისხმობს, კერძოდ, ქვემო ქართლის მესაქონლე-მიწათმოქმედ ტომებში გვაროვნული თემის დაშლისა და დამოუკიდებელი ეკონომიკის მქონე ოჯახების, სახლების

[80] ამ თვალსაზრისით ძალზე საყურადღებოა შულავერის გორაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებული დასკვნა: „შულავერის გორაზე გამოვლენილი ნაგებობების ზომები და დანიშნულება უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ისინი მრავალთაობიანი სახლი-ბლოკის ნაწილია და ისეთ საზოგადოებას ეკუთვნის, სადაც უკვე დაწყებულია გვარიდან მრავალოჯახიანი თემის გამოყოფა და მიმდინარეობს შესაბამისი ცვლილებები ბინათმშენებლობაშიც“ ([619, გვ. 62-63]; იხ. აგრთვ [729, გვ. 180-181]).

წარმოქმნის პროცესს, რასაც შედეგად მოჰყვება სასოფლო თემის ჩამოყალიბება. ამ თემში ერთიანდებიან უკვე ერთი გვარის ეკონომიკურად დამოუკიდებელი ოჯახები ან ასეთ ოჯახებად დაშლილი, მაგრამ საერთო წარმოშობის რამდენიმე გვარი [729, გვ. 183-184].

ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო ხანის ნამოსახლარებზე დადასტურებული მაღალი დონე მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობისა მკვლევართ ავარაუდებინებს [672, გვ. 199-200], რომ ივი წარმოიქმნა უკვე ჩამოყალიბებული მიწათმოქმედ-მესაქონლე მეურნეობის ბაზაზე. ასეთი ვარაუდის საფუძველს ქმნის ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო დასახლებათა განლაგება სტეპურ ზონაში, რომლის სამეურნეო ათვისება მოითხოვდა საწარმოო ჩვევებისა და ბინადარი მეურნეობის ხანგრძლივ ტრადიციებს და საკმაოდ მაღალ დონეს. ამიტომ ფიქრობენ, რომ ეს ტრადიციები სხვა გეოგრაფიულ არეალში – შესაძლოა, მიმდებარე მთისწინა ზოლში – წარმოქმნილიყო. ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის წარმოქმნის პირველადი კერა საძიებელია სამხრეთ კავკასიონის მთიან და მთისწინა ოლქებში[81] ([672, გვ. 158]; [708, III, გვ. 61]).

ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო დასახლებებზე ინტენსიური ცხოვრება წყდება ერთდროულად და თითქოს უეცრად. შემდგომი განახლება ცხოვრებისა აქ საკმაოდ დიდი დროის შემდეგ და განვითარების უკვე სხვა ეტაპზე შეინიშნება. ამის მიზეზები ჯერ ცნობილი არაა: არქეოლოგიურად რაიმე უეცარი კატასტროფის კვალი არ ჩანს. ამ დასახლებებზე ცხოვრების შეწყვეტის ზუსტი თარიღის დადგენაც ჯერჯერობით შეუძლებელია, რადგან მკვლევართა შორის ჯერ კიდევ აზრთა სხვადასხვაობაა სამხრეთ საქართველოს და მიმდებარე ტერიტორიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის (ე.წ. შულავერ-შომუთეფის ჯგუფის) ქრონოლოგიის თაობაზე. ამჟამად ე.წ. კალიბრირებული რადიონახშირბადული მეთოდებით დათარიღების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება [675, გვ. 39-58], რომ შულავერ-შომუთეფის ჯგუფის ყველა ნამოსახლარი დათარიღდეს ძვ.წ. VI ათასწლეულით, ხოლო საწყისი ეტაპი – ძვ.წ. VIII ათასწლეულის დასასრულით; V ათასწლეულის (უფრო მისი მეორე ნახევრის) ფარგლებში ძოქცეს უფრო გვიანდელი ჯგუფი ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებისა, რომელთაც ახასიათებთ როგორც წინამორბედი, ე.ი. შულავერ-შომუთეფეს კულტურის ნიშნები, ასევე მომდევნო ხანის, ე.ი. ადრებრინჯაოს ხანის, ანუ ე.წ. მტკვარ-არაქსის კულტურისა.

[81] ანალოგიურ ეკოლოგიურ სიტუაციაში მიმდინარეობდა მწარმოებლური ეკონომიკის ჩასახვა წინა აზიის სხვა რეგიონებშიც (იხ. [708, III, გვ. 49 და იქ დასახ. ლიტ.]).

ᲙᲐᲠᲘ II
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲚᲘᲗᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲞᲝᲥᲐᲨᲘ

1. მეტალურგიის დასაწყისი: „მტკვარ-არაქსის კულტურა“

„მტკვარ-არაქსის კულტურის“ სახელით იხსენიება ახალი ეტაპი ადგილობრივი საზოგადოების განვითარებაში, რომელიც ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა ხანებიდან იწყება. ეს კულტურა ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში გაზდა ცნობილი მდ. მტკვარსა და მდ. არაქსს შორის მოქცეული არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საფუძველზე. ამიტომაც აკად. ბორის კუფტინმა მას „მტკვარ-არაქსის ენეოლითი უწოდა“ [772]. თითქმის 60-იან წლებამდე „მტკვარ-არაქსის კულტურა“ ენეოლითურ კულტურად იყო აღიარებული, მაგრამ შემდგომ ცნობილი გახდა, რომ ესაა არსებითად ბრინჯაოს ხანის კულტურა, რომელიც მხოლოდ მტკვრისა და არაქსის შუამდინარეთით კი არ იფარგლება, არამედ გავრცელებულია ამიერკავკასიისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის ვრცელ ტერიტორიაზე.

და მის წინამორბედ არქეოლოგიურ კულტურებთან ურთიერთობა, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია, არეალი და ლოკალური ვარიანტები, ეთნიკური ატრიბუცია და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმები და სხვ. ამიტომ შემოვიფარგლებით მტკვარ-არაქსის კულტურის ძირითადი ელემენტებისა და საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ლოკალური კერების მხოლოდ ზოგადი დახასიათებით (შდრ. [642, გვ. 151-200], [432, გვ. 104-135], [736], [752], [786]).

მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებაში ორ ძირითად ეტაპს გამოყოფენ: ადრეული ეტაპის (ენეოლითური) გამოყოფა დაფუძნებულია არქეოლოგიური ძეგლების, კერძოდ, კერამიკის ტიპოლოგიურ ანალიზსა და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ისეთი კარგად სტრატიფიცირებული ნამოსახლარების შესწავლაზე, როგორიცაა ხიზანაანთ გორა (სურ. 40, № 14), სამშვილდე (სურ. 40, № 4), თეთრიწყარო (სურ. 40, № 5), თრელი (სურ. 40, № 8) და სხვ.



სურ. 40. მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლების გავრცელების რუკა: 1. ახალციხის ამირანის გორა [752], 2. ახალქალაქის ამირანის გორა [739], 3. ღრმაზევისთავი [719], 4. სამშვილდე [732], 5. თეთრიწყარო [721], 6. კოლა [780], 7. წითელი გორები [722], 8. თრელი [720], 9. დიდუბე [640], 10. ბადაანი [777-778], 11. ჟინვალი [604, გვ. 64], 12. გუდაბერტყა [737], 13. ქვაცხელა // ქვაცხელები [753], 14. ხიზანაანთ გორა [724], 15. არგვეთი [781], [636, გვ. 266-268], 16. საჩხერე [734], [636, გვ. 268-270], 17. დაბლაგომი [636, გვ. 266], 18. ბაჭანაა [744].

მტკვარ-არაქსის კულტურის არქეოლოგიური ძეგლებისადმი მიძღვნილ საკმაოდ ვრცელსა და მრავალრიცხოვან სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა და დისკუსიის საგნადაა ქცეული ისეთი რთული პრობლემები, როგორიცაა ამ კულტურის გენეზისი

მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ადრეული (ენეოლითური) ეტაპი ხასიათდება ძველი (ენეოლითური) ტრადიციებისა და ახალი კულტურის საწყისი ფორმების ურთიერთშერწყმითა და თანაარსებობით (შდრ. [675], [684, გვ.

32-33]), რაც ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ კერამიკაში მჟღავნდება. ადრეული (ენეოლითური) ეტაპის კერამიკა უხეშად, ხელითაა ნაძერწი და მეტწილად ცუდად გამომწვარი; გამოირჩევა ანგობირებული ზედაპირითა და გარე და შიდა ნაწილების ღია ფერით. კეცი შეიცავს ქვიშის, დანაყილი ობსიდიანისა და ბზის ან სხვა მცენარეულ მინარევებს. ტიპიურია ორყურა ან ცალყურა ჭოთნები, ქილისებური ფორმის ან ცილინდრულ ყელიანი ჭურჭელი, ჯამები. უძველესი კერამიკული კომპლექსები (სურ. 41) ცნობილია ისეთი კარგად შესწავლილი ნამოსახლარებიდან, როგორიცაა ღრმახევისთავი (სურ. 40, № 3) და თრელი (სურ. 40, № 8) [720, გვ. 34-35], აგრეთვე დიდუბე (სურ. 35, № 9), სამშვილდე (სურ. 40, № 4), კიკეთი [743], კოდა (სურ. 40, № 6) და ხიზანაანთ გორა (სურ. 40, № 14 : ფენა E, [724]) და სხვ.



სურ. 41. მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპების კერამიკა. თრელი გორები [720]

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით ამ დროის დასახლებათა დაგეგმარებასა და საცხოვრებელ ნაგებობებზე, რომელთა შესახებ ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია სრულყოფილი და კარგად დოკუმენტირებული მონაცემები. ამ დროის ნამოსახლარებზე ნაგებობანი ძირითადად შემდეგდროინდელი მშენებლობისასაა განადგურებული და არსებითად შემორჩენილია მხოლოდ ზარუფისებური, ე.ი. ქვემოთკენ გაგანიერებული ორმოები, უპირატესად სამეურნეო (ხოლო ზოგჯერ შესაძლოა – საკულტო) დანიშნულებისა.[82] ნამოსახლარებზე თიხის ჭურჭლის გარდა გვხვდება ხის წნულის ანაბეჭდიანი თიხის შელესილობათა ცალკეული ფრაგმენტები, რომელნიც, შესაძლოა, საცხოვრებელი სახლის კედლის ნაშთებს წარმოადგენენ. მაგრამ თვით კედლების კვალი ან კიდევ ხის ბოძების ჩასასმელი ორმოები ჯერ დაფიქსირებული არაა. არ გამორიცხავენ იმის შესაძლებლობას, რომ საცხოვრებელი სახლის ხის წნულით შეკრული კარკასი იმ დროს თიხატკეპნილ მოედანზე იდგმებოდა, რამდენადაც ეს იყო ფაცხისებური მსუბუქი ნაგებობა [672, გვ. 149].

მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული (ენეოლითური) ეტაპის ნამოსახლარები ძირითადად ისტორიული ქვემო ქართლისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზეა განლაგებული (იხ. სურ. 40, № 3-9), ამასთან უძველეს ნამოსახლართა უმრავლესობა მდებარეობს მტკვრის მარცხენა ნაპირზე (სურ. № 40, № 12-14), რაც მკვლევართ უფლებას აძლევს მტკვარ-არაქსის კულტურის თავდაპირველი ფორმირება სწორედ ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ივარაუდონ [166, გვ. 76], [720, გვ. 44].[83]

მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებაში ადრეული (ენეოლითური) ეტაპის არსებობა სპეციალისტთა შორის არსებითად აღიარებულია (სადისკუსიოა მხოლოდ ამ ჯგუფში მოქცეული ცალკეული არქეოლოგიური ძეგლების შედარებითი ქრონოლოგია – იხ. მაგ. [675, გვ. 59 და შემდ.]), მაგრამ ჯერ კიდევ საკამათოა და გაურკვეველი აბსოლუტური ქრონოლოგიის საკითხები.

მკვლევართა უმრავლესობა მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ (ენეოლითურ) ეტაპს ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრით ათარიღებს.[84] მაგრამ, როგორც წინა თავში უკვე აღნიშნული გვქონდა, უკანასკნელ ხანებში კალიბრირებული რადიონახშირბადული მეთოდებით დათარიღების საფუძველზე აღრესამიწათმოქმედო კულტურების ე.წ. შულავერ-შომუთეფის ჯგუფის საწყისი ეტაპის ძვ.წ. VI-V ათასწლეულებით გადათარიღებასთან დაკავშირებით და, აგრეთვე ამ კულტურის გვიანდელი ე.ი. აღრესამიწათმოქმედო კულტურების მტკვარ-არაქსის კულტურაზე გარდამავალი ტიპის ძეგლების ახალაღმოჩენების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება მტკვარ-არაქსის კულტურის ელემენტების ფორმირების ხანად უკვე ძვ.წ. V ათასწლეულის დასასრული ივარაუდონ, ხოლო ადრეული ეტაპი მოაქციონ ძვ.წ. IV

[82] ყველა ეს ორმო ერთნაირი კონფიგურაციისაა და ერთმანეთისაგან მხოლოდ ზომებით განსხვავდება. ასე მაგ. ღრმახევისთავის ნამოსახლარზე აღმოჩენილი ორმოების სიღრმე 2,5 მ-ია, ხოლო დიამეტრი ქვედა, გაფართოებულ ნაწილში 4 მ-მდე აღწევს [719, გვ. 7-8]. თრელის ნასახლარზე ორმოების სიღრმე 1,1 მ-დან 2 მ-ს შორის მერყეობს, დიამეტრი ზედა ნაწილში 0,5 ან 0,6 მ-ია, ხოლო ქვედა ნაწილში – 0,8 მ და 1,1 მ-ს შორის [720, გვ. 36].

[83] მტკვარ-არაქსის კულტურის გენეზისისა და თავდაპირველი არეალის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. მკვლევართა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ეს კულტურა თავიდანვე გაჩნდა ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც იმთავითვე მოიცავდა დღევანდელ აღმოსავლეთ საქართველოს, სომხეთის ზეგანსა და მის სამხრეთით მდებარე ანატოლიის აღმოსავლეთ რაიონებს. სხვები თვლიან, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა გაჩნდა მდ. არაქსის შუა წელზე. დაწვრ. იხ. ([166, გვ. 68 და შემდ.], შდრ. [756]).

[84] იხ. მაგ. [642, გვ. 181]; [166, გვ. 89]; ვარაუდობენ ამ ეტაპის დასაწყისს უკვე ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა ხანებშიც [719, გვ. 12-13].

ათასწლეულის პირველ ნახევარში, ე.ი. აღიარონ წინა აზიის გვიანხალკოლითური კულტურების სინქრონულად [675, გვ. 59 და შემდ.].

ამჟამად ძალზე ძნელია ამ თარიღების სიზუსტის შესახებ დამაჯერებლობით მსჯელობა და მათი უყოყმანოდ გაზიარება. საეციალისტთა უმრავლესობა, ჯერჯერობით მაინც, უპირატესობას ტრადიციულ ქრონოლოგიას ანიჭებს და მტკვარ-არაქსის კულტურის საწყის ეტაპს ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრის ფარგლებში აქცევს, ხოლო ე.წ. ადრებრინჯაოს ეტაპს ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრულითა და III ათასწლეულის პირველი ნახევრით ათარიღებს ([753, გვ. 54-59], [736, გვ. 70 და შემდ.], [432, გვ. 104 და შემდ.]).

მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების მეორე, ე.ი. ადრებრინჯაოს სტადია აღინიშნება სწორედ ვრცელ ტერიტორიაზე ერთგვაროვანი კულტურის გავრცელებით, რომლის შიგნით ლოკალური თავისებურებანიც თვალნათლივ გამოიყოფა. ამ დროისთვის მტკვარ-არაქსის კულტურა უკვე მოიცავს თითქმის მთელს ამიერკავკასიასა (გარდა მისი დასავლეთი, ზღვისპირა ნაწილისა) და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიას (დაღესტანი, ჩეჩენ-ინგუშეთი და ნაწილობრივ ჩრდ. ოსეთი), ჩრდილო-დასავლეთ ირანსა და აღმოსავლეთ ანატოლიას. მტკვარ-არაქსის კულტურის ელემენტები (პირველ რიგში – კერამიკა, ნალისებური კერა-სადგამები) ვრცელდება სირიასა და პალესტინაში, სადაც ის კირბეთ-კერაკის კულტურის სახელითაა ცნობილი [779, გვ. 149 და იქვე დასახ. ლიტ.].

მტკვარ-არაქსის კულტურის მთელ არეალში საკმაოდ თვალსაჩინოდ ფიქსირდება მოსახლეობის არაჩვეულებრივი სიმჭიდროვე [779, გვ. 149 და შემდ.]. საქართველოს მიწა-წყალი ამ დროს თითქმის მთლიანადაა ათვისებული და საკმაოდ მჭიდროდაა დასახლებული როგორც დაბლობი, ასევე მთიანი და მაღალმთიანი ოლქებიც კი.

ადრებრინჯაოს ხანის, ე.ი. განვითარებული ეტაპის მტკვარ-არაქსის კულტურა განიხილება როგორც ერთიანი ისტორიულ-კულტურული კომპლექსი, მაგრამ გარკვეული ლოკალური თავისებურებებით, რაც თავს იჩენს დასახლებათა ტიპოლოგიაში, არქიტექტურულ კონეეფციასა და სამშენებლო ტექნიკაში, დაკრძალვის წესებსა და მატერიალური კულტურის ძეგლებში.

მტკვარ-არაქსის კულტურის ერთ-ერთ მძლავრ კერას წარმოადგენს საქართველოს ცენტრალური ოლქები, რომელნიც ლიხის მთის ორსავე მხარესაა განლაგებული: შიდა ქართლის ვაკეზე (ისტორიული შიდა ქართლი) და იმერეთის ზეგანზე. ეს ოლქები მტკვარ-არაქსის კულტურის არეალში ქმნის ე.წ. ჩრდილო-დასავლეთ ჯგუფს, რომელშიც შედიან შიდა ქართლის კარგად შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლები: ხიზანაანთ გორა (სურ. 40, № 14) და ქვაცხელა//ქვაცხელები (სურ. 40, № 13). აქ დასახელებულ ნამოსახლარებზე წარმოდგენილია მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ყველა ეტაპები და ამიტომაც ამ კულტურის შესასწავლად ისინი, სრულიად სამართლიანად, ითვლებიან ეტალონურ არქეოლოგიურ კომპლექსებად. ამავე ჯგუფში შედის დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მდ. ყვირილას შუა წელზე აღმოჩენილი ყორღანული სამარხები (სურ. 40, № 16, [774, გვ. 64 და შემდ]; [754, გვ. 122 და შემდ.]) და სხვ. ნამოსახლარები (სურ. 40, №№ 15, 16, 17).[85]

მტკვარ-არაქსის კულტურის ლოკალურ თავისებურებათა შესასწავლად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ახალციხის ამირანის გორის (სურ. 40, № 1) და სამხრეთ-დასავლეთი ჯგუფის სხვა ნამოსახლარების (სურ. 40, № 2) არქეოლოგიური შესწავლის შედეგებს [684, გვ. 62-68]. ლოკალურ თავისებურებათა შესწავლის თვალსაზრისით საეურადღებო ძეგლებია გამოვლენილი ჩრდილო-აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ რეგიონებში – მდ. არაგვისა და მდ. ივრის ხეობებში (სურ. 40, № 11), კახეთში (სურ. 40, № 7) და სხვ. (დაწვრ. მტკვარ-არაქსის კულტურის ცალკეული ძეგლების შესახებ იხ. [736, გვ. 151-197]).

მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლების არქეოლოგიური კვლევა-ძიება საკმაოდ ნათლად წარმოგვიჩენს ძველი აღმოსავლეთის ამ ერთერთი თვითმყოფადი და ბრწყინვალე არქეოლოგიური კულტურის შემქმნელ ტომთა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონეს ძვ.წ. IV და III ათასწლეულის პირველ ნახევარში (დაწვ. [716-791]).

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ კარგადაა უკვე შესწავლილი მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომთა დასახლების სახეობანი, ტოპოგრაფიისა და სხვ. საკითხები. კერძოდ, დადგენილია გარკვეული კანონზომიერებანი სამოსახლოთა განლაგებაში. ასე მაგ., შიდა ქართლში მტკვარ-არაქსის კულტურის დასახლებანი მდინარეთა ნაპირების გასწვრივ, ერთმანეთისაგან დაახლოებით 2-4 კმ-ის დაცილებითაა დაფიქსირებული, რაც თავის მხრივ თავისებური დემოგრაფიული ბუმის და მოსახლეობის არაჩვეულებრივი სიმჭიდროვის

[85] დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მტკვარ-არაქსის კულტურის ადრებრინჯაოს სტადიის ძეგლები აღმოჩენილია დაბლაგომსა და არგვეთში [636, გვ. 266-267]. ამ კულტურის გავრცელების ყველაზე უფრო დასავლეთ პუნქტად მიიჩნევენ ბაქსანის გამოქვაბულს (სურ. 40, 18). საინტერესოა აღინიშნოს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ელემენტების ინფილტრაცია შეინიშნება უკვე ადრეულ (ენეოლითურ) ეტაპზე. ამ თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს გამოქვაბულების სამრეცხვე-კლდისა და სამღვე-კლდის (სურ. 20, № 26-27) ნამოსახლართა ფენებში აღმოჩენილი ზოგიერთი მასალა, რომელიც გარკვეულ კავშირს ავლენს ხიზნაანთ-გორის E ფენასთან (იხ. [664, გვ. 10]).

საკმაოდ მჭერმეტყველი მოწმობაა [760, გვ. 3]; [684, გვ. 97].

.დასახლებისათვის ჩვეულებრივ შერჩეულია ბუნებრივად კარგად დაცული ადგილები: ბუნებრივ შემაღლებათა და წყალგამყოფი მთაგრეხილების თხემი და ფერდობები. დაბლობ ადგილებში ხელოვნურ ბორცვებზე და გორებზე აღმოცენებული დასახლებანი თავდაცვითი ხელოვნური თხრილებით უნდა ყოფილიყო გარშემორტყმული.[86]

მტკვარ-არაქსის კულტურის ტიპიურ (და ამასთან კარგად შესწავლილ) დასახლებას წარმოადგენს ქვაცხელა//ქვაცხელები (სურ. 42-44), რომელსაც მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროს ერთ-ერთი ტერასის ნაპირი ეკავა. დასახლება, რომლის შემორჩენილი ფართობი დაახლოებით 3500 კვადრატული მეტრია, მდინარის დონიდან 31 მ-ით მაღლა მდებარეობს. სამი მხრიდან იგი შემოსაზღვრულია საკმაოდ ციცაბო კლდოვანი ფერდობებით, რომლებიც ბუნებრივად იცავდნენ დასახლებას. ჩრდილოეთი მხრიდან დასახლება გამოყოფილია საკმაოდ ვრცელი და ნაყოფიერი მინდვრებისაგან, რომელთა კულტივაციისათვის შესაძლო იყო მახლობლად არსებული წყაროების მარჯვედ გამოყენება.

ქვაცხელას ნამოსახლარზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ორი მძლავრი კულტურული ფენა (C და B), თითოეული სამშენებლო ჰორიზონტით რომაა წარმოდგენილი, საკმაოდ ნათლად ასახავს ამ დასახლების თანდათანობით განვითარებასა და ცხოვრების წესის ადრე ბრინჯაოს ხანის ცალკეულ ეტაპებზე [724].

დასახლება მთლიანად თითქმის კვადრატული მოყვანილობისაა (70 მ × 80 მ). სახლები ერთმანეთის მახლობლად მეტ-ნაკლებად სწორი რიგებითაა განლაგებული (სურ. 42). ზოგჯერ ისინი ერთმანეთს გვერდითი ან უკანა კედლებით ებჯინება და მით ქმნიან ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ნაგებობათა ჯგუფებს, სადაც ცალკეული სახლები მცირე მოედნების ირგვლივაა განლაგებული.

სახლების ორიენტაცია თითოეულ დასახლებაზე ემორჩილება ერთ გარკვეულ პრინციპს, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განპირობებულია ადგილობრივი მიკროკლიმატური პირობებით (ქარების, მზისა და სინათლის მიმართულებათა გათვალისწინებით).[87]



სურ. 42. ქვაცხელა: საცხოვრებელი სახლების განლაგების სქემატური რეკონსტრუქცია [753]

მტკვარ-არაქსის კულტურის ადრებრინჯაოს ეტაპი საქართველოს მიწა-წყალზე აღინიშნება ახალი სამშენებლო წესებისა და საერთოდ ახალი არქიტექტურული კონცეფციის გაჩენითა და განვითარებით. წინამორბედი ეპოქისაგან განსხვავებით, როდესაც ძირითად სამშენებლო მასალას თიხა და ალიზ-აგური წარმოადგენდა (როგორც ეს ადრესამიწათმოქმედო კულტურის ე.წ. შულავერ-შომუთეფეს ჯგუფის ნამოსახლარებზეა საკმაოდ ნათლად წარმოჩენილი), ამჯერად პირველად ფართოდ იწყებენ ხის გამოყენებას: კედლების კარკასი ხის სარებითა და წნულითაა ამოყვანილი, ხოლო გადახურვა ხის ბოძებსა და ძელებზეა გამართული. ზოგიერთ რეგიონში სამშენებლო მასალად ქვაა გამოყენებული.

მკვეთრად იცვლება ნაგებობათა დაგეგმარებაც. წრიული სახლების ნაცვლად მტკვარ-არაქსის კულტურის ადრებრინჯაოს ეტაპზე ძირითადი და წამყვანი ხდება სწორკუთხა ნაგებობანი. უნდა აღინიშნოს, რომ სწორკუთხა შენობის პირველი ნიშნები ჯერ კიდევ არუხლოში, ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარებზეა დაფიქსირებული [666, გვ. 14], მაგრამ იმ დროისათვის იგი ტიპიური არაა და მისი კონსტრუქციის დეტალებიც მთლად ნათელი არაა.

ახალი სამშენებლო წესებისა და დაგეგმარების პრინციპების წარმოქმნა-განვითარება საკმაოდ მკაფიოდაა წარმოჩენილი ხიზანანთ გორასა და ქვაცხელას ნამოსახლარებზე, სადაც

[86] თავდაცვითი თხრილების შესახებ ბადაანის ნამოსახლარზე (სურ. 40, № 10) იხ. [777-778]. თავდაცვითი სასიმაგრო კედლები, რომელიც დადასტურებულია მეზობელი სომხეთის, ჩრდ. კავკასიისა და წინა აზიის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე, საქართველოში ჯერ აღმოჩენილი არაა.

[87] ასე მაგ. ქვაცხელას ნამოსახლარზე სახლები ძირითადად სამხრეთისაკენ ან ჩრდილოეთისაკენ იყო ორიენტირებული და მით საკმაოდ იყო დაცული მდ. მტკვრის ხეობის ამ ნაწილში გაბატონებული აღმოსავლეთი და დასავლეთი ქარებისაგან [753, გვ. 44].

თვალნათლივ დასტურდება ახლის ძიებისა და მათთან ერთად ძველი ტრადიციების და ახალი ტენდენციების ურთიერთთან შეთანხმება-შეთავსების ცდები (დაწვრ. [672, გვ. 223-237]).



სურ. 43. ქვაცხელა: სახლის გეგმა [753]

ხიზანაანთ გორის ნამოსახლარის ქვედა (E) ღონეზე, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ ეტაპს შეესატყვისება, საცხოვრებელ ნაგებობათა აშკარად გამოხატული ნაშთები აღმოჩენილი არაა (თუ არ ჩავთვლით ერთ მრგვალ ნაგებობას – შდრ. [724]). ამ ნამოსახლარის D ფენა კი უკვე ასახავს ახალი სამშენებლო კონცეფციის თანდათანობით დამკვიდრების ხანას. დასტურდება წინამორბედი ეპოქისათვის აგრეთვითიური საცხოვრებელი შენობის – მრგვალი ტიპის ნაგებობებში – ახალი კონსტრუქციული დეტალების გამოყენება. ასე მაგ. ერთ-ერთ ოვალური ფორმის შენობაში ვხვდებით ხის მზიდ ნაწილზე დაფუძნებულ ბრტყელ გადახურვას, რაც სრულიად უჩვეულოა და უცხო აღრესამიწათმოქმედო კულტურის ეპოქის ე.წ. წრიულ-გუმბათოვანი არქიტექტურისათვის.[88] საკმაოდ ნათლად შეინიშნება აგრეთვე სწორკუთხაკედლებიანი ნაგებობის თანდათანობითი დამკვიდრებაც და შესაბამისად თანდათან ქრება წრიული ფორმებიც. ნაგებობის ძირითად ტიპს უკვე წარმოადგენს სწორკუთხა გეგმის შენობა, რომლის წინა, სწორკუთხა დერეფნის კედლებია მხოლოდ მომრგვალებული. ამრიგად, ახალი კულტურის საწყის ეტაპზე ეპოქალურ ნიშნად ბრტყელი გადახურვისა და წრიული გეგმის ერთმანეთთან შეთავსებაა მიჩნეული, ხოლო შემდეგ კი – წრიულ-გუმბათოვანი შენობების მთლიანად სწორკუთხა ნაგებობით შეცვლა.[89] იქმნება საცხოვრებელი სახლის სტანდარტული ტიპი, რომელიც დადასტურებულია აღრებრინჯაოს ეტაპის მტკვარ-არაქსის კულტურის თითქმის ყველა ნამოსახლარზე. მათ შორისაა, რა თქმა უნდა, ქვაცხელა, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ამ ეტაპის არქიტექტურისა და სამშენებლო საქმის შესახებ ([760], [672, გვ. 113-149]).

ქვაცხელის ნამოსახლარზე აღმოჩენილი თითქმის ყველა საცხოვრებელი ნაგებობა ერთი ტიპისაა (გამოირჩევიან ერთმანეთისაგან მხოლოდ საერთო ფართობით: 30-დან 50 კვადრატულ მეტრამდე). გეგმაში ყველა ნაგებობა სწორკუთხაა, მაგრამ ოდნავ მომრგვალებული კედლებით (სურ. 43). თითოეული ნაგებობა შედგება ორი ნაწილისაგან: თითქმის კვადრატული მოყვანილობის საცხოვრებელი ოთახისა და სამეურნეო დანიშნულების დერეფნისაგან (იგი საცხოვრებელი ოთახისაგან ღიობიანი კედლითაა გამიჯნული და წინა საფასადო ნაწილშია გამართული). შესასვლელი კარი, როგორც წესი, საფასადო კედლის შუაგულშია. ზუსტად ასევე, დერეფნიდან საცხოვრებელ ოთახში შესასვლელი კარი ზუსტად ცენტრშია გაჭრილი (ე.ი. ორივე შესასვლელი ერთ ხაზზეა განლაგებული). რელიეფის შესაბამისად, ზოგჯერ წინა დერეფნისა და საცხოვრებელი ოთახის იატაკები სხვადასხვა ღონეზეა და ასეთ შემთხვევებში დერეფნიდან ოთახში შესასვლელად საფეხურებია გამართული. საცხოვრებელ ოთახში უკანა კედლის გასწვრივ ოდნავ შემაღლებული ბაქანია (დაახლოებით 10-15 სმ სიმაღლისა და 69-80 სმ სიგანისა), რომელიც, როგორც ფიქრობენ, საკულტო რიტუალის შესასრულებლად იყო განკუთვნილი (ზოგჯერ ასეთი ბაქნები გვერდითი კედლების გასწვრივაცაა დადასტურებული). ოთახის ცენტრში გამართულია კერა. მის უკან კი მრგვალი, ღრმა ორმოში ჩასმული იყო ხის ბოძი, რომელსაც ზუსტად კერის თავზე დატანებული ჰქონდა საკვამლე ნახვრეტი, საიდანაც ოთახში სინათლეც შემოდიოდა (სურ. 44).

[88] უკანასკნელ წლებში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ბერიკლდების ნამოსახლარზე (სურ. 54, № 14) აღმოაჩინა აღრესამიწათმოქმედო კულტურების ხანის საკმაოდ მოზრდილი სწორკუთხა ნაგებობა, რომლიც ჯერჯერობით მთლიანად გათხრილი არაა.

[89] უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ მაშინ როდესაც მდ. მტკვრის ხეობაში განლაგებულ დასახლებებზე სამშენებლო საქმეში ხდება რადიკალური ცვლილებები, რაც ახალი სამშენებლო ტექნიკისა და სწორკუთხა შენობების გავრცელებაში გამოიხატა, სამხრეთ ოლქებში ჯერ კიდევ არსებობს ძველი სამშენებლო ტრადიციები – წრიული მოყვანილობის სახლები [672, გვ. 236-237].

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 44. ქვაცხელა: სახლის გადახურვის რეკონსტრუქცია [672]

კედლები ამოყვანილი იყო კარგად მოსწორებულ მოედანზე, რომელიც დაფარული იყო რაყის ქვებითა და მაგრად დატკეპნილი თიხით. ამიტომაც კედლებს საგანგებოდ გაჭრილი საძირკველი არ გააჩნდათ. კედლები ამოყვანილია ან თიხის ხსნარით ერთმანეთთან დაკავშირებული ალიზ-აგურით (43 × 17 × 11 სმ), ან ხის სარებითა და წნელით, რომელიც შემდეგ ორივე მხრიდან რამდენიმე ფენადაა თიხით შელესილი. სარების დმ 8-10 სმ-ია. ისინი ერთმანეთისაგან 18-20 სმ-ის დაცილებითაა 50-60 სმ-ის სიღრმეზე ჩასმული. კედლების სისქე საშუალოდ 30-40 სმ-ია. იატაკიც თიხისა ჰქონდა ამ სახლებს, მაგრამ კარგად მოტკეპნილ-მოლესილი, ოღნავ გაპრიალებული და წითელი ფერის წერწაქით (ჟანგმიწით) შეფერილი.

ამრიგად, ადრებრინჯაოს ხანის ანუ მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ეტაპის ნაგებობის ძირითად ტიპს წარმოადგენდა მომრგვალებულკედლიანი სწორკუთხა სახლი საცხოვრებელი ოთახითა და სამეურნეო დანიშნულების წინა დერეფნით, თიხატკეპნილი იატაკით, საცხოვრებელ ოთახში აღმართული დედაბოძითა და მის წინ გამართული მრგვალი ფიგურული კერით, თიხატკეპნილი ბრტყელი ძელური გადახურვით, რომელშიც საკვამლე და სანათი ხვრელიც იყო დატანებული.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ბუნებრივია, გვხვდება საერთო წესებიდან ერთგვარი გადახვევა და ლოკალური თავისებურებანი, რომლებიც ადგილობრივი რელიეფის, საშენი მასალისა თუ სხვა ბუნებრივი ფაქტორებითა და აგრეთვე კულტურული ტრადიციებით იყო განპირობებული.

რელიეფის შესაბამისად დაგეგმარებული დასახლების თვალსაჩინო ნიმუშია ახალციხის ამირანის გორა (სურ. 40, № 1). აქ სამსახლოები გამართულია ტერასულად დანაწილებულ გორაზე, რომელსაც თითქოს მთელს ირგვლივ მდებარე არემარეზე გაბატონებული მდგომარეობა უკავია. საცხოვრებელი სახლები (თიხის ხსნარზე ამოყვანილი ქვის ერთოთახიანი ნაგებობანი) განლაგებულია 25 მ სიგრძისა და 7-10 მ სიგანის ათ ტერასაზე, რომელთა შესაქმნელად კლდოვანი დედაქანი საგანგებოდ ჩამოჭრილი და შემდეგ ამოშენებულია საყრდენი კედლები, რომელნიც ჩამოშვავებისაგან იცავდნენ ტერასაზე მდგარ საცხოვრებელ ნაგებობებს, ხოლო ირიბად დაქანებული კედლებით ხდებოდა წვიმის წყლის გადაყვანა. ტერასისებურმა განლაგებამ განაპირობა მთელი დასახლების დაგეგმარების თავისებური ხასიათიც: გამოიყოფა თითქმის ერთგვაროვანი ცალკეული კვარტალები, რომელთაგან თითოეული შედგება რამდენიმე საცხოვრებელი ნაგებობისა და მათთან დაკავშირებული სამეურნეო კომპლექსებისაგან. თითოეულ კვარტალში 18 ნაგებობა ერთიანდება. თითოეულ ტერასაზე მდგარი სახლის ბრტყელი თიხატკეპნილი სახურავი ამავე დროს წარმოადგენდა ეზოს მის ზემოთ ტერასაზე განლაგებული სახლისათვის. დასახლების მთლიანი ფართობი დაახლოებით 2500 მ²-ს შეადგენდა. მისი ძირითადი ნაწილის ცენტრში იყო ქვით შემოზღუდული დაახლოებით 120 მ² ფართობის დაუსახლებელი მოედანი, რომელიც, როგორც ფიქრობენ, საქონლისათვის იყო განკუთვნილი, ან შესაძლოა, რაღაც თავყრილობებისათვის. ბორცვის ყველაზე მაღალი ადგილი საკულტო რიტუალის შესასრულებლად იყო დატოვებული: ქვემოთ, შემოზღუდულ მოედანზე ხდებოდა რიტუალური მსხვერპლშეწირვა, რასაც მოწმობს არქეოლოგიური გათხრებისას იქ აღმოჩენილი ცხოველის დამწვარი ძვლები, მდიდრულად ორნამენტირებული თიხის ჭურჭელი და მცირე ზომის ქანდაკებანი. სამართვნები თვით დასახლების ტერიტორიაზე იყო განლაგებული, ან საცხოვრებელი ნაგებობებით დაუკავებელ ადგილებში, ან კიდევ – მიტოვებულ ნამოსახლარებზე. ამიტომაც ისინი ცალკეულ ბუდეებადაა წარმოდგენილი. დადასტურებულია საცხოვრებელი სახლის იატაკქვეშ ჩვილი ბავშვების დაკრძალვა, მაგრამ სამარხეული ინვენტარის გარეშე ([752, გვ. 21-46]; [684, გვ. 62-66, 97-98]).

ახალციხის ამირანის გორაზე საცხოვრებელი სახლები ძალზე ცუდადაა შემორჩენილი, მაგრამ მაინც შესაძლებელი გახდა დადგენა ძირითადი ტიპისა, რომელიც თავისი საერთო სტრუქტურით არსებითად არ განსხვავდება შიდა ქართლის ზემოთ განხილული საცხოვრებელი ნაგებობებისაგან. ახალციხის ამირანის გორის საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს ერთგვარად განცალკევებულ, გრძივი ღერძის მიმართულებით წაგრძელებულ ნაგებობას, რომელიც (ისევე როგორც შიდა ქართლის საცხოვრებელი კომპლექსები) შედგება ორი ნაწილისაგან: კვადრატული ოთახისა და ვიწრო განივი სათავსოსაგან, რომლებიც ერთმანეთისაგან ღიობიანი კედლებითაა გამიჯნული. სახლების ფართობი ძირითადად 20 მ²-ია, მაგრამ გვხვდება უფრო დიდი ზომისაც (ზოგჯერ 54 მ²-მდე). ძირითადად სამშენებლო მასალად თიხა და ქვაა გა-

მოყენებული: კედლები ამოყვანილია ფლეთილი ქვითა და რიყის ქვებით, რომლებიც ერთმანეთთან თიხის ხსნარითაა დაკავშირებული. მთავარი განმასხვავებელი ნიშანია გადახურვის თავისებური კონსტრუქცია: არსად არ გვხვდება დედაბოძი, რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს ბანური, ე.ი. ბრტყელი გადახურვის ძელური კონსტრუქცია. ამიტომ ვარაუდობენ გადახურვის ორ სხვადასხვა (ან ორიდან ერთ-ერთს) სისტემას, რომელიც კედლისპირა სვეტების გამოყენებაზე იყო დაფუძნებული: ცენტრალურ-გვირგვინიან ან გრძივ-გვირგვინიან, რომელიც დადასტურებულია იმავე ტერასაზე ძველი ქართული საცხოვრებელი სახლის „დარბაზის“ ტიპის შენობებში (დაწვრ. [672, გვ. 155-159]).

ადრე ბრინჯაოს ეტაპის მტკვარ-არაქსის კულტურის არეალში შესწავლილია აგრეთვე სამაროვნები, რომელნიც გვხვდება როგორც თვით დასახლების ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ. გამოიყოფა სამარხების 3 ძირითადი ტიპი: ნალისებური ქვის აკლდამები, ორმოსამარხები (ქვაყრილიანი ან უქვაყრილო) და ქვაყუთები. უკვე ამ დროისათვის დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ოლქებში ჩნდება აგრეთვე ყორღანები. დადასტურებულია როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური სამარხები. დამარხვა, როგორც წესი, ინჰუმაციურია. მიცვალებული სხვადასხვაგვარადაა დაკრძალული: ან მოკრუნჩხული პოზაში ან ზურგზე გაშოტილი. აკლდამის ტიპის სამარხებში ფიქსირებულია მეორადი დამარხვა. ასეთ შემთხვევაში ადრე დაკრძალული მიცვალებულის ძვლები აკლდამის კედელთანაა მილაგებული. სამარხეული ინვენტარი ჩვეულებრივ შედგება თიხის ჭურჭლისაგან, აგრეთვე ქვისა და ობსიდიანის ნაკეთობისაგან. ჩვეულებრივ სამარხებში ხშირია საქონლის ძვლებიც, რაც იმის მოწმობაა, რომ მიცვალებულს თან საგზლად ხორცსაც ატანდნენ.[90]

ნამოსახლარებისა და სამაროვნების შესწავლის საფუძველზე სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მტკვარ-არაქსის კულტურა აღიარებულია მიწათმოქმედ-მესაქონლე საზოგადოების კულტურად.

მეურნეობაში მიწათმოქმედების დიდ მნიშვნელობაზე და მის როლზე მიუთითებს სამიწათმოქმედო იარაღების განსაკუთრებული სიმრავლე. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, მაგალითად, ქვაცხელას ნამოსახლარზე აღმოჩენილი ირმის რქისაგან დამზადებული კავი. ფიქრობენ, რომ ამ კავით სარგებლობისას იყენებდნენ გამწევ ძალას, კერძოდ ხარს, რის მოწმობადაც მიჩნეულია თიხისაგან დამზადებული მინიატურული ბორბლებისა და ხარის ფიგურების შებმულობის ნაწილების მოდელების აღმოჩენები [753, გვ. 37-38, 45], [684, გვ. 107]. მიუხედავად ამ უაღრესად საინტერესო აღმოჩენებისა, ჯერჯერობით მაინც ნაადრევია საუბარი გუთნურ მეურნეობაზე (შდრ. [684, გვ. 106]). საფიქრებელია, რომ ზემოხსენებული კავით შესაძლებელი იყო მინდვრის მხოლოდ დაკვალვა, რაც შემდეგ მოითხოვდა აგრეთვე დამატებით დაბარვას [619, გვ. 48-49]. ქვისა და ძვლის თოხების შედარებითი სიმცირე (აგრე მრავლად რომაა წინამორბედი ეპოქის – ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარებზე) თითქოს მიუთითებს ხის თოხების ფართოდ გამოყენებაზე [619, გვ. 106].

მიწათმოქმედებაში მთავარი ადგილი მარცვლეული კულტურების მოშენებას ეკავა. ხიზანანთგორის, ქვაცხელას და გუდაბერტყას ნამოსახლარებზე აღმოჩენილია სხვადასხვა ჯიშის ხორბლის, ქერის და ფეტვის ცალკეული მარცვლები და თავთავებიც კი [685, №№ 10, 15, 25], ხოლო ბადაანის ნამოსახლარზე (სურ. 40, № 10) ნაპოვნია რბილი ხორბლის, შვრიისა და ქერის კარბონიზებული მარცვლები [778, გვ. 17]. ერთ ძნაში ხორბლისა და შვრიის ერთად აღმოჩენა მოწმობს შერეული თესვის პრაქტიკას [753, გვ. 45]. მარცვლეულის სამკელად გამოიყენებოდა ნამგალი. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნამოსახლარებზე მრავლად აღმოჩენილი ნამგლის დიდი ზომის კაჟის ჩასართები. ასე მაგ., ხიზანანთგორის ერთ-ერთ სათავსოში ერთად აღმოჩენილი კაჟის ჩასართებისაგან შესაძლებელი იყო 9 ნამგლის გამართვა [724, გვ. 17]. ნაპოვნია ლითონის ნამგლებიც [684, გვ. 126]. ნამგლებს იყენებდნენ აგრეთვე შინაური პირუტყვის საკვების დასამზადებლადაც. ნამგლით მოჭრილი თავთავები იკრებოდა ძნებად, რაც ქვაცხელას ნამოსახლარზეა დადასტურებული [753, გვ. 18]. ფიქრობენ, რომ გალეწვა ხდებოდა გამწევი ძალის გამოყენებით, რაზეც მიუთითებს, თითქოს, კევრის ნაშთების აღმოჩენა [684, გვ. 107].

მარცვლეული ინახებოდა საგანგებო ორმოებსა თუ ხაროებში და თიხის ჭურჭლეში [753, გვ. 45]. მარცვლეულის დასაფქვავად იყო განკუთვნილი ნამოსახლარებზე დიდი რაოდენობით აღმოჩენილი ქვის ხელსაფქვავები. ქვის ხელსაფქვავის გამოყენებით მოხალული ხორბლისაგან მიიღეს წმინდა საპურე ფქვილი [753, გვ. 46]. ჯერ აცხობდნენ ვარცლისებურ თიხის თონეებში. ასეთები აღმოჩენილია ახალციხის ამირანის გორის საცხოვრებელ კომპლექსებსა [752, გვ. 33] და აგრეთვე ბადაანის ნამოსახლარზე [778, გვ. 17, ტაბ. XIII, 1-2].

მარცვლეულთან ერთად მოყავდათ სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებიც, რასაც მოწმობს ქვაცხელასა და ხიზანანთგორაზე აღ-

[90] დაწვრ. საქართველოში მტკვარ-არაქსის კულტურის სამაროვნების შესახებ იხ. ([752, გვ. 117]; [684, გვ. 24-25, 41-43]; [732, გვ. 25-65]; [739, გვ. 32-33, იქვე დასახ. ლიტ.]; [736, გვ. 155-156, 159, 161-162, 165, 167, 169, 170, 176, 180, 181, 183-184, 185, 190, 192-193]).

მოჩენილი კულტურული ვაზის წიაწები [685, № 15, 25].

აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში საირიგაციო ნაგებობათა რიამე აშკარა ნაშთები ჯერ აღმოჩენილი არაა. ნამოსახლართა ტოპოგრაფიაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ აღრებრინჯაოს ეტაპის მტკვარ-არაქსის კულტურის დასახლებანი ძირითადად თავმყრილია ისეთ ხეობებში, სადაც ხელოვნური მორწყვა მთელ რიგ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ ივარაუდება, რომ ამ დროს მიწათმოქმედება ურწყავი იყო და შესაბამისად ნაკლებად ინტენსიური [619, გვ. 56][91]. მიუხედავად ამისა, სრულიად უეჭვოა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი საზოგადოების ძირითად საქმიანობას შეადგენდა მიწათმოქმედება, რაც ასახულია კიდეც იმ დროის იდეოლოგიურ რწმენა-წარმოდგენებსა და საკმოდ განვითარებულ სამიწათმოქმედო კულტურაში (ამის შესახებ უფრო დაწვრ. ქვემოთ იქნება საუბარი).

მესაქონლეობის განვითარება დასტურდება ნამოსახლარებზე მსხვილი და წვრილი რქოსანი პირუტყვის ძვლების აღმოჩენებით. თუმც ამ ორი სახეობის შეფარდება მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარებზე ერონაირი ოდენობის არაა (შდრ. [684, გვ. 108-109]). უთუოდ მრავალმხრივაა საყურადღებო ქვაცხელას ნამოსახლარზე აღმოჩენილი სხვადასხვა ცხოველთა მცირე ზომის ქანდაკებანი და აგრეთვე საქონლის ძვლების საგანგებო შესწავლის შედეგები: დასტურდება დიდკუდა, ნახევრად ნაზმატყლიანი ჯიშის ცხვრის (ე.წ. იმერული ცხვრისა) და მომცრო ზომის ძროხის (ე.წ. ზევსურული), ე.ი. საქართველოში ღღემდე შემონახულ სახეობათა, არსებობა [753, გვ. 46]. ზოგიერთ ნამოსახლარზე ფიქსირდება საქონლის დასაბანაკებელი ქვით შემოზღუდული საგანგებო მოედნები [721, გვ. 25-26]. მესაქონლეობის განვითარებაზე მიუთითებს აგრეთვე საგანგებო თიხის ჭურჭელი გამშრალი ნახვრეტებით, რომელთაც რძის პროდუქტების დამზადებისას საწურავად იყენებდნენ. საკმაოდ ხშირია კარაქის სადღვებლების აღმოჩენებიც [779, გვ. 163].

ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო-საწარმოო ყოფაში დიდი ადგილი ეკავა შრომის იარაღების დამზადებას, რისთვისაც ჯერ კიდევ ფართოდ იყენებდნენ ქვასა და ხეს. ქვის იარაღების დასამზადებელი სახელოსნო აღმოჩენილია თეთრწყაროში (სურ. 40, № 5). აქ მრავლადაა ნაპოვნი ობსიდიანისა და კაჟის ნამზადები, რომელთაგან შემდგომ იარაღებს აკეთებდნენ [721, გვ. 22-25].

ნამოსახლარებზე აღმოჩენილი ქვისა და ძვლის კვირისტავები, ძვლის საბეჭავი, თიხის ჭურჭელზე შემორჩენილი ქსოვილის ანაბეჭდები და სელის ძაფის ფრაგმენტები მოწმობს შინაოჯახო ფეიქრობის განვითარებას. ივარაუდება, კერძოდ, შალის ქსოვილის დამზადების შესაძლებლობაც, რამდენადაც დოკუმენტურად დასტურდება ნახვრად ნაზმატყლიანი ცხვრის მოშენება [753, გვ. 50].

მტკვარ-არაქსის კულტურის ერთ-ერთი განმასხვავებელი კომპონენტია კერამიკა – ხელით ნაძერწი თიხის ჭურჭელი, რომელიც გამოირჩევა ფორმების და ორნამენტაციის არაჩვეულებრივი სინატიფითა და მრავალფეროვნებით. ძირითადად ესაა შავპრიალა (ან ზოგჯერ ნაცრისფრად თუ ღიად გაპრიალებული) ზედაპირიანი ჭურჭელი, რომლის შიდა ნაწილი (სარჩული) ღია ან უფრო მეტად ვარდისფერია[92] (სურ. 45).

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს რამდენიმე ცდა მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის ქრონოლოგიური კლასიფიკაციისა (იხ. მაგ. [862, გვ. 115]; [775, გვ. 23]; [684, გვ. 137 და შემდ.]). მაგრამ მასთან ერთად აღიარებენ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის არეალში მოქცეული სხვადასხვა რეგიონებიდან თუ ლოკალური კერებიდან მომდინარე კერამიკული კომპლექსების ურთიერთთან შედარებისას მკვლევარები აწყდებიან მთელ რიგ სიძნელეებს, რაც ართულებს მტკვარ-არაქსული კერამიკის განვითარების ერთიანი ქრონოლოგიური სქემების შედგენას. მთავარი სიძნელე ვიწრო ლოკალური ვარიაციების არაჩვეულებრივ მრავალფეროვნებაშია (იხ. მაგ. [742, გვ. 20-21]) და მასში „გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელთ გვექნება რაოდენობრივად საკმარისი და კარგად დოკუმენტირებული არქეოლოგიური მასალა“ [766, გვ. 175]. კიდევ მეტი, ისეთ კარგად სტრატიფიცირებულ ძეგლებზეც კი, როგორიცაა ქვაცხელა [753] და ხიზანაანთ გორა [724], სადაც წარ-

[91] ამ მოსაზრების ავტორი, აწ განსვენებული არქეოლოგი იაზონ კიკვიძე იმოწმებს ძალზე საინტერესო და საყურადღებო ფაქტს – მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლართა არქეოლოგიური თვალსაზრისით ერთფენიანობას. ეს კი ნიშნავს ადგილობრივი მოსახლეობის მობალურობას: მიწების მოურწყველობის გამო მოსახლეობა იძულებული იყო დროდადრო მეტოვებინა თავისი სოფლები. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის მიერ სოფლების პერიოდულად მიტოვება მრავალფენიან ნამოსახლარებზეცაა დადასტურებული (დაწვრ. [619, გვ. 44-57]).

[92] სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკა რამდენიმე სახელწოდებითაა ცნობილი: მდ. მტკვრისა და მდ. არაქსის შუამდინარეთსა (და საერთოდ საქართველოში) გავრცელებულ ამ დროის თიხის ჭურჭელს უწოდებენ „ღია (ან ვარდისფერ) სარჩულიან შავ კერამიკას“ [772, გვ. 76], ანატოლიაში – „აღრებრინჯაოს ხანის აღმოსავლურ ანატოლიურ კერამიკას“ ან „აღრე ბრინჯაოს ხანის ამიერკავკასიურ-აღმოსავლურ ანატოლიურ კერამიკას“, სირიაში – „შავ-წითელ პრიალა კერამიკას“ ხოლო პალესტინაში – „კირბეტ-კერაკის კერამიკას“.

მოდგენილია მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ყველა ეტაპი, ძალზე ძნელია კერამიკული ფორმების განვითარებაში ცვლილებების ფიქსირება, სხვადასხვა სამშენებლო ჰორიზონტების შესაბამისად.

კისებურლრმულიანი) ყურები (ერთი, ორი და სამი), რომელიც ჭურჭლის კედელთან ერთადაა გამოძერწილი. ორნამენტიც მრავალგვარია: ნაძერწი (სპირალი – [750], კონცენტრული წრეები, ჩიტის გამოსახულებანი) და გრავირებული



სურ. 45. მტკვარ-არაქსის კერამიკის ძირითადი სახეობანი. ქვაცხელა [753], [166]

თიხის ჭურჭლის დამზადების ტექნოლოგია ამ დროისათვის ჯერ კიდევ პრიმიტიულია, კერამიკული მორგვის გამოყენება დადასტურებული არაა. ჭურჭელი ნაძერწია ხელით, ფენა-ფენა და ნაწილ-ნაწილ, ზოგჯერ კი საფუძვლად ქსოვილია გამოყენებული. ჭურჭლის ზედაპირი გულმოდგინედაა გაპრიალებული, რისთვისაც გამოყენებულია ძვლის ფირფიტები ან კენჭები. კეცი საკმაოდ კარგადაა გამომწვარი, ამასთან ისე, რომ შიდა ნაწილი მოვარდისფროა, ხოლო გარეთა ზედაპირი – შავი, რაც შებოლვითაა მიღწეული. გრავირებული ორნამენტი გამოწვამდეა დატანილი შემხმარ თიხაზე.

ჭურჭლის ფორმები არაჩვეულებრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა (სურ. 45). ყველაზე უფრო ტიპიურია და სხვადასხვა ვარიანტებითაა წარმოდგენილი ფართო ბიკონუსური ჭურჭელი, ცალყურა ფართოპირიანი ქოთნები, დოქები, თასები, ჯამები და სხვ. ჭურჭლის უმრავლესობას აქვს ძალზე სპეციფიკური (ე.წ. მენის-

(გეომეტრიული ხაზები და სხვადასხვაგვარი ნიშნები). გვიან ეტაპზე ჩნდება მოხატული კერამიკაც, რომელიც ქვაცხელას ნამოსახლარზეა დადასტურებული: ჭურჭლის ყელი წითლადაა შეღებილი, ტანი კი – შავად თუ მონაცრისფრო-რუხად. საგანგებოდაა აღსანიშნავი ერთი შედარებით დიდი ზომის სამყურა ბიკონუსური (და მტკვარ-არაქსის კულტურისათვის ტიპიური) ჭურჭელი. მისი ყელი წითლადაა შეღებილი, ხოლო მუქი ფერის ტანისაკენ გადასვლა ხაზგასმულია ფართო ყავისფერი სარტყლით. შემორჩენილია სიმეტრიულად განლაგებული ხაზები (მახვილი კუთხე) და მათ შორის ზეაწეული რქიანი ცხოველის (ირმის?) გამოსახულება, რომბულად დასმული ოთხ-ოთხი მსხვილი წერტილი (დაწვრ. [753, გგ. 35-36]).

მტკვარ-არაქსის კულტურის ხანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტექნიკურ-კულტურული მიღწევაა მეტალურგიისა და ლიონდამუშავების განვითარება. მტკვარ-არაქსის კულტურის

თითქმის მთელ არეალში (მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე) უკვე ძალზე მრავლადაა დამოწმებული ლითონის მოპოვებისა და დამუშავების ნაშთები. თვით ლითონის ნაწარმი თვალსაჩინოდ მოწმობს, რომ საზოგადოებამ უკვე უკან მოიტოვა ის ხანა, როდესაც თვითნაბადი სპილენძისაგან და ისიც ძალზე იშვიათად ამზადებდნენ მცირე და ერთობ შეზღუდული დანიშნულების ნივთებს. დაიწყო ახალი ერა „შეგნებული“ მეტალურგიისა, რაც ნიშნავდა ლითონის მოპოვებას გამოდნობის წესით და ნივთების დამზადებას საგანგებო ყალიბებში.

ფიქრობენ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ამ დროს სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარებისათვის ნედლეულად იყენებდნენ ქვემო ქართლში (დღევანდელ მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში) არსებულ ზედაპირზე დაფანგულ და კარბონატულ სპილენძის მადნს. აქვეა აღმოჩენილი ძველ გამონამუშევართა ნაშთები (წიდები) და ქვის უროები, რომლებსაც ძველი მეტალურგები მადნის გასამდიდრებლად იყენებდნენ ხოლმე [718, გვ. 13]; [759, გვ. 250].[93] დიდ ინტერესს იწვევს იმავე რეგიონში (სიმონიანთხევი, დმანისი) აღმოჩენილი თავისებური კომბინირებული იარაღები (ჩუგლუგი), რომელნიც აერთიანებენ „სოლისებურ ცულსა და ჭუაზე წაგრძელებულ გრძელ ნისკარტს“. ასეთ იარაღებს, როგორც ფიქრობენ, მადნის მოსაპოვებლად იყენებდნენ [771, გვ. 300]; [768, გვ. 137]. ჭანგეული მადნიდან სპილენძის გამოსადნობად ან მის ლითონად აღსაგენად აუცილებელი იყო ხის ნახშირით მადნის გახურება გარკვეულ ტემპერატურამდე [716].

მტკვარ-არაქსის კულტურის არეალში მოქცეული არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა ცხადყოფს, რომ ამ დროისათვის (ყოველ შემთხვევაში უკვე ძვ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში) მეტალურგია უკვე მეურნეობის ცალკე დარგადაა გამოყოფილი და მას სპეციალისტი-მელითონეები ემსახურებიან. ამ დროს ხდება მეტალურგიული წარმოების დანაწილება ლითონის მომპოვებელ და ლითონის ნაკეთობათა დამამზადებელ დარგებად. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ლითონის ჩამომსხმელი სპეციალისტები მუშაობენ უკვე შორს იმ ადგილებიდან, სადაც ლითონის მოპოვება ხდებოდა. ამას მოწმობს ლითონის დასამუშავებელ სახელოსნოთა თუ სხვა ნაშთების აღმოჩენა მტკვარ-არაქსის კულტურის მთელ რიგ ნამოსახლარებზე, რომლებიც სამთამადნო კერებიდან საკმაოდაა დაშორებული [684, გვ. 113 და შემდ. იქვე დასახ. ლიტ.].

ახალციხის ამირანის გორაზე აღმოჩენილია მეტალურგიული სახელოსნოს ნაშთები, მათ შორის – ქვის თაღიანი ჭურა, რომელშიც აღმოჩნდა წვრილად დანაყილი ტექნიკური ნახშირი (იგი მაღალი ტემპერატურის მისაღებად იყო საჭირო).[94] ასეთი ნახშირის მარაგი ინახებოდა აგრეთვე დიდი ზომის თიხის ჭურჭელში, რომელიც არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა სახელოსნოს იატაკის დონეზე თიხის საქშენთან ერთად [684, გვ. 114]. ასეთივე საქშენი, რომელიც მეტალურგიული ქურის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, ნაპოვნია აგრეთვე ბიზანანთ გორაზე [684, გვ. 114]. ეს მოწმობს ლითონის გამოდნობას მაღალ ტემპერატურაზე, რასაც სწორედ თიხის საქშენის მეოხებით ჰაერის დაჭირხნით აღწევდნენ.

საწარმოო პროცესის – ლითონის გამოდნობის ნაშთებს წარმოადგენს აგრეთვე წიდები და თიხის ჭურჭლის კედლებზე შემორჩენილი ლითონის კვალი. გამდნარი და გათხევადებული ლითონის გადასასხმელად ხმარობდნენ ცეცხლგამძლე თიხისაგან დამზადებულ ციცხვებს. აღმოჩენილია აგრეთვე ლუგვისათვის განკუთვნილი თიხის ყალიბები, რომელშიც ასხამდნენ აგრეთვე სავანგებო ძელაკებს, მცირე ზომის ზოლებით რომაა წარმოდგენილი. ახალციხის ამირანის გორაზე აღმოჩენილია აგრეთვე ჩამოსხმული, მაგრამ ბოლომდე გამოუჭედავი ნამგალიც [684, გვ. 113]. კიდევ უფრო მრავალსმეტყველია ქვაცხელას ნამოსახლარზე ნაპოვნი ბრტყელი ცულის ჩამოსასხმელი ყალიბი [753, გვ. 47, ტაბ. IV, 289], ხოლო ხიზანაანთ გორაზე – გამდნარი ლითონის სასხმელი თიხის ციცხვები, ცეცხლგამძლე თიხისაგან დამზადებული ყალიბები და მეტალურგიული წარმოების სხვა ნაშთები [724, გვ. 14, 19, 20, სურ. 1,1-5,9].

სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარებაში მიღწეული დიდი ტექნიკური პროგრესი და ლითონის დამამუშავებელი წარმოების მაღალი დონე თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი მრავალფეროვნად და მრავალრიცხოვანი პროდუქციით, როგორიცაა (სურ. 47-51) შრომის იარაღები (ჩუგლუგები, ნამგლები, უროები, სადგისები), საომარი და სამეურნეო იარაღები (ჭუაძილიანი და ჭუადაქანებული ცულები, ბრტყელი ცულები, შუბისპირები, სატევრისპირები), სამკაული (დიადემა, სპირალური სამაჯურები, T-ს მაგვარი და ვოლუტისებურთავიანი საკინძები, მძივები და საკიდები – დაწვრ. იხ. [716], [684, გვ. 112-113]). საგანგებოდაა აღსანიშნავი მაინც

[93] თუმც ამგვარი უროები დადასტურებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს (ისტორიული ქვემო ქართლის) ენეოლითურსა და აღრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე, მაგრამ მაინც ზემოაღნიშნული მეტალურგიული ნაშთების ზუსტად დათარიღება მთელ რიგ სიძნელეებს აწყდება და ამიტომ მას საბოლოოდ დადგენილად და აღიარებულად ვერ მივიჩნევთ.

[94] სახელოსნო აღმოჩენილია I, ანუ ყველაზე ადრეულ სამშენებლო ჰორიზონტში. ნახშირის ნიმუში რადიონახშირბადული მეთოდით დათარიღდა 4835 ± 180 წელით, ე.ი. ძვ.წ. 2885 ± 180 წ., ხოლო კალიბრირებული თარიღია 3654 ± 402 წ. [675, გვ. 83].

საომარი და სამეურნეო იარაღის სიმრავლე. ამ დროისათვის (ძვ.წ. III ათასწლეული) გამოირჩევა საკმაოდ ნატიფი ყუამილიანი და ყუადაჭანებული ცულები, რომელთა საუკეთესო და შეიძლება ითქვას – უძველესი ნიმუშებიც საჩხერეს ყორღანებშია ნაპოვნი (სურ. 47-48), აგრეთვე აფხაზეთის ღოლმენებსა და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ სხვა პუნქტში [754, გვ. 144 და შემდ., ტაბ. XV-XVI]. სწორედ ეს ყუამილიანი და ყუადაჭანებული ცულები (თავისი მრავალფეროვანი ტიპოლოგიური ვარიანტებით) წარმოადგენენ ადრებრინჯაოს ხანის კულტურის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და განმასხვავებელ ელემენტს. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ ადრებრინჯაოს ხანაში საქართველოში გავრცელებული ცულები, კერძოდ კი ყუამილიანი ცულები გენეტიკურად უკავშირდებიან წინააზიურ, ძირითადად კი შუმერულ ცულებს, რომელთა მრავალრიცხოვანი აღმოჩენები ცნობილია მესოპოტამიაში, ელამში, სირიასა და სხვაგან [771, გვ. 297]; [754, გვ. 149]. ცულის ამ სახეობამ აქ განიცადა ერთგვარი ცვლილებაც, რის შედეგადაც აქ, საქართველოში ჩამოყალიბდა ყუამილიანი ცულის თავისებური ვარიანტი, რომელიც შემდეგ გავრცელდა ჩრდილოეთ კავკასიაში და კიდევ უფრო შორს – ე.წ. ფატიანოვოს, აბაშევოსა და სხვ. არქეოლოგიური კულტურების არეალში, აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპაში (დუნაისპირეთში) [754, გვ. 148] .



სურ. 46. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი, რომელზეც სატევარია გამოსახული [753]

მრავალფეროვნებით გამოირჩევა აგრეთვე სატევრები, რომელთა უძველესი ნიმუშები ცივი ჭედვის წესითაა დამზადებული, ხოლო სხვები გამოყვანილია, ჩამოსხმულია და შემდეგაა ჭედვით დამუშავებული. საგანგებოდაა აღსანიშნავი ორნამენტირებულტარიანი ორი სატევარი, რომელნიც საქართველოში ლითონის მხატვრული დამუშავების ერთ-ერთ უძველეს ნიმუშად უნდა იქნეს მიჩნეული (სურ. 48). ორივე სატევარი ერთნაირი მოყვანილობისაა (რომბისებურპირიანია) და ერთი და იმავე წესით დამზადებული: პირი ჭედვითაა გამოყვანილი, ტარი კი ჩამოსხმულია. „ცარცის-გორაზე“ ნაპოვნი სატევრის ბრტყელი ტარი ტეხილი ზაზებითა და წნული ორნამენტითაა მორთული. ასეთივე წნული რელიეფური და სპირალისებური ხვიები ამკობს მეორე სატევარსაც, რომელიც სოფ. ქორეთშია აღმოჩენილი [754, გვ. 152, სურ. 32].



სურ. 47. ადრებრინჯაოს ხანის ბრინჯაოს ცულები საჩხერეს ყორღანული სამარხებიდან [754], [166].

საჩხერეს ბრინჯაოს სატევრების რთული მორთულობა ცვილის მოდელშია ჩამოსხმული და წარმოადგენს ლითონის დამუშავებისა და მეტალურგიის განვითარების მაღალი დონის მოწმობას უკვე ძვ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში. იგივე შეიძლება ითქვას საკმაოდ მრავალრიცხოვან ბრინჯაოს სამკაულებზეც. განსაკუთრებით დამახასიათებელია T-ს მაგვარი და მარყუჟისებრთავიანი საკინძები, რომლებიც ტიპოლოგიურად მსგავსია და შესაძლოა გენეტიკურადაცაა დაკავშირებული ჩრდ. წინა აზიაში, კვიპროსსა და სხვაგან გავრცელებულ საკინძებთან [773, გვ. 65, 80]; [754, გვ. 170-175].

ლითონის მხატვრული დამუშავების შესანიშნავი ნიმუშია ქვაცხელას სამაროვანზე აღმოჩენილი სპილენძის ფირფიტოვანი დაიდემა (სურ. 51), რომელზედაც ასტრალური ნიშნები, წყლის ფრინველები და ირმებია გამოსახული [748, გვ. 42]; შდრ. [716, გვ. 115].



სურ. 48. ბრინჯაოს იარაღი საჩხერეს ყორღანული სამარხებიდან [754]

მტკვარ-არაქსის კულტურის ლითონის ნაკეთობათა ქიმიურ-ტექნოლოგიურმა ანალიზმა ცხადყო, რომ ისინი დარიშხანიანი სპილენძისაგანაა დამზადებული. დარიშხანის რაოდენობა, როგორც წესი, 6 %-ს არ აღემატება (მხოლოდ სამკაულის ერთ, ისიც ძალზე უმნიშვნელო ნაწილში – ძირითადად მძივებსა და საკიდებში – დარიშხანის შემცველობა აღემატება 10 %-ს). სპექტრალური ანალიზის დროს გამოვლენილია აგრეთვე ანთიმონის, ტყვიის, თუთიის, კალის, რკინის, ნიკელის, ოქროს, კობალტისა და სხვ. მადნური წარმოშობის მინარევების ძალზე უმნიშვნელო რაოდენობა [716].

ლითონის ნივთების უდიდესი ნაწილი ჯერ თიხისა და ქვის მარტივ ფორმებშია ჩამოსხმული და მერე გამოჭედილი. ასეა მაგ. დამზადებული ცულები, შუბისპირები და ხიშტისებური იარაღები. სატევრის პირები წინასწარ ჩამოსხმული ნამზადის ცხელი ჭედვითაა მიღებული. მარყუჟისებურთავიანი საკინძების დამზადებისას გამოყენებულია ჭედვით შედუღება. ჟანგული მადნისაგან აღდგენილი სპილენძის ნაჭრებისაგან ცივი ჭედვითაა დამზადებული სადა ნივთები (სადგისები, დანისა და სატევრის პირები, სამაჯურები, ფირფიტოვანი გარსაკრავები).[95]



სურ. 49. ბრინჯაოს საკინძები. საჩხერე [754]

მტკვარ-არაქსის კულტურის აყვავების ხანაში ჩნდება აგრეთვე ტყვიის, ვერცხლისა და ოქროს ნაკეთობანიც [716]. საჩხერეს ერთ-ერთ ყორღანშია აღმოჩენილი ოქროს უძველესი ნივთი – სპირალისებური სასაფეთქლე, რომელსაც ბ. კუფტინი შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთის ყორღანებიდან მომდინარე ოქროს სამკაულის პროტოტიპად მიიჩნევდა [774, გვ. 79]; [862, გვ.94].



სურ. 50. ადრებრინჯაოს ხანის საკინძები [754]

ამრიგად, არქეოლოგიური მასალები თვალსაჩინოდ ავლენენ საქართველოს ტერიტორიაზე

[95] დაწვრ. იხ. ც. აბესაძის სპეციალური გამოკვლევა [716], სადაც თავმოყრილია და დამუშავებულია საქართველოსა და მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების სხვა რეგიონებში აღმოჩენილი ლითონის ნაკეთობანი, წარმოდგენილია მათი ქიმიურ-ტექნოლოგიური ანალიზის შედეგები, განხილულია სპილენძის გამოდნობის უძველესი წესები და განხილულია უაღრესად საინტერესო საკითხი დარიშხანიან სპილენძში დარიშხანის წარმომავლობისა. ამ საკითხებზე იხ. აგრეთვე [718, გვ. 17-22]; [784, გვ. 20-25].

მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომებში ლითონის წარმოების საკმაოდ მაღალ დონეს. უკვე ათვისებულია და ფართოდ გამოიყენება: ლითონის გამოდნობა, ჭედვა და ჩამოსხმა, სხვადასხვა დანიშნულების ნივთების დამზადება თიხისა თუ ქვის ფორმებში, მხატვრული ჩამოსხმა ცვილის მოდელის დაკარგვით, ლითონის დამუშავების რთული ხერხები.

საქართველოს ტერიტორიაზე მტკვარ-არაქსის კულტურის სინქრონული ნამოსახლარებისა და სამაროვნების არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული დიდძალი მასალა ძვირფასი წყაროა აგრეთვე ამ კულტურის მატარებელ ტომთა სულიერი ცხოვრების შესასწავლად (შდრ. [750-751]).



სურ. 51. სპილენძის დიადემა. ქვაცხელა [753]

ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკის ბინადარი და სამეწარმოქმედო ხასიათი თვალსაჩინოდაა ილუსტრირებული საოჯახო კერის კულტის ფართოდ გავრცელებით [619, გვ. 152-180]. ამ თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს მტკვარ-არაქსის კულტურისათვის აგრე ტიპიური კერები და სადგამები, რომლებიც, როგორც წესი, ყველა სახლშია დადასტურებული. მათ შორისაა, როგორც „მუდმივ მომქმედი“ კერა, რომელიც საცხოვრებელი ოთახის ცენტრში იყო გამართული და „მუდმივი ცეცხლისათვის“ განკუთვნილი, ასევე გადასატანიც – რიტუალის სახლს გარეთ შესასრულებლად.

კერა წარმოადგენდა ოჯახური კეთილდღეობის სიმბოლოს.

სტაციონალური კერა წარმოადგენს მცირე ორმოს, რომელიც საცხოვრებელი ოთახის იატაკშია ამოჭრილი, მოლესილია თიხით და შემდეგ გახრიალებული. შელესილობა გადადის იატაკზე და ქმნის საკმაოდ ფართო ამოზიდულ არშიას (ბორდიურს). ზოგიერთი მკვლევარის აზრით, იქმნებოდა თავისებური იმიტაცია მზისა, რომლის დისკოს წარმოსახვად ბაკვერჩხალით გავარვარებული ორმო, ხოლო შარავანდს – მოლესილობით შექმნილი ბორდიური. აღსანიშნავია, რომ კერის შელესილობაში ჩართულია ხორბლის მარცვლები. ამის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ კერა განასახიერებდა ნაყოფიერების იდეას და წარმოადგენდა უზენაეს ქალღვთაებას – მზეს (დაწვრ. [619, გვ. 164]).



სურ. 52. კერის ზესადგარი. ახალციხის ამირანის გორა [752]

კერის სადგამები, ჩვეულებრივ, სხვადასხვა ფორმისაა: რქისებური, ნალისებური, ანთროპომორფული, ზოომორფული [745]. საგანგებოდაა აღსანიშნავი გამოსახულებანი კერაზე მჯდომი მამაკაცისა, ხარის მოკლე რქებითა და კეფაზე ჯამისებური ჩაღრმავებით [752, გვ. 66], აგრეთვე კერის ირგვლივ ნაპოვნი მამაკაცის თიხის გამოსახულებანი და ქვის ფალოსი [753, გვ. 52]. ფიქრობენ, რომ ეს გამოსახულებანი განასახიერებდნენ მამაკაცის მიერ განაყოფიერებულ კერას [752, გვ. 66], რომელიც „დიდი დედის“ სიმბოლოდ აღიქმებოდა [619, გვ. 164]. მით ხაზი ესმებოდა ოჯახში მამაკაცის პირველობასა და მის მთავარ, წამყვან როლს [752, გვ. 66-67]; [619, გვ. 169].

თუ უმაღლეს ქალღვთაებად მზე იყო გააზრებული, უმაღლეს კაცღვთაებად განიხილებოდა მთავრე, რომელიც ხარის სახით იყო წარმოდგენილი. მთავრის კულტის ფართოდ გავრცელება დასტურდება ხარის მინიატურული ქანდაკებებისა და ხარის რქიანი მამაკაცის თავის გამოსახულებათა მრავალრიცხოვანი აღმოჩენებით. მთავრის მოტივი განსახიერებულია კერამიკის ორნამენტაციაშიც: ახალციხის ამირანის გორაზე ნაპოვნ ერთ ჭურჭელზე მთავრე (ნამგლისებური გამოსახულება) მოქცეულია ცენტრში, ხოლო გვერდებზე ვოლუტებისა და გაფრენილი ფრთების გამოსახულებებია [752, სურ. 13]; იხ. აგრეთვე [619, გვ. 171-172].

საკულტო ხასიათისაა საცხოვრებელი სახლის კერებთან და აგრეთვე სამარხებში ნაპოვნი შინაური ცხოველთა მინიატურული თიხის ქანდაკებანი. განსაკუთრებით მრავალად გვხვდება ცხვრის გამოსახულებები (იხ. მაგ. [753, გვ.

32]), რაც მიუთითებს ადგილობრივი საზოგადოების მეურნეობაში მეცხვარეობის წამყვან როლსა და ცხვრის კულტის წარმოშობა-განვითარებაზე [684, გვ. 168].



სურ. 53. ორნამენტირებული თიხის ჭურჭელი. ახალციხის ამირანის გორა [752]

იდეოლოგიური რწმენა-წარმოდგენები ასახულია აგრეთვე, თიხის ჭურჭლის ორნამენტაციაში (სურ. 53), თუმც ისინი ყოველთვის გასაგები ვერაა თანამედროვე ადამიანისათვის. ფიქრობენ, რომ სპირალი გამოსახავდა მზეს, ნახევარმთვარე ზეაწეული რქებით – ხარს, წერო – გაზაფხულს და ა.შ. [752, გვ. 102]; [684, გვ. 166-167].

ფიქრობენ აგრეთვე, რომ გარკვეული რწმენა-წარმოდგენა იყო ჩაქსოვილი ცალკეულ ნიშნებშიც, რომელნიც გვხვდება ზოგიერთ თიხის ჭურჭელზე და მიჩნეულია პიქტოგრაფიულ ნიშნებად – დამწერლობის ელემენტების ჩანასახებად. ასე მაგ. ვარაუდობენ, რომ ახალციხის ამირანის გორაზე ერთ-ერთ აკლდამაში ნაპოვნ თიხის ჭურჭელზე წარმოდგენილი ათი ნიშანი სხვადასხვა სცენის განსახიერებდა, როგორც მაგ. წეროს მსხვერპლად შეწირვა; ოთხკუთხა ნიშნები – მოხნულ მიწას და ა.შ. [684, გვ. 108].

საინტერესოა აგრეთვე, რომ თიხის ჭურჭელზე ვხვდებით ლითონის ნივთების მაგ. სატევრის (სურ. 46) გამოსახულებებსაც. ჩნდება მინიატურული საკიდები – ლითონის ნამკლის იმიტაცია [753, ტაბ. IV, 424], თოხებისა და ცულების გამოსახულებანი, რომელთაც უთუოდ ამოტროპეული დანიშნულება ჰქონდათ ე.ი. წარმოადგენდნენ თავისებურ ავგაროზებს [684, გვ. 167].

საკულტო რიტუალი სახლებში სრულდებოდა. ამ თვალსაზრისით საკმაოდ მეტყველი სურათი დაფიქსირებულია ქვაცხელას ნამოსახლარზე, რომელიც, როგორც ჩანს, უეცრად, შესაძლოა, მტრის მოულოდნელი თავდასხმის დროსაა განადგურებული სწორედ მაშინ, როდესაც სახლში ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული რაღაც რიტუალი სრულდებოდა. ამას მოწმობს ქვაცხელას სახლების უმეტეს ნაწილში არქეოლოგიური გათხრებისას დადასტურებული ვითარება: კედლების გასწვრივ გამართულ ბაქანზე „იდგა" ნაცრის გროვები, რომელნიც გარედან თიხის თხელი ფენით იყო შელესილი და წიოლად შეღებილი. ისინი თითქოს იმეორებდნენ იატაკში სანახევროდ ჩადგმულ თიხის ჭურჭელს. იქვე ელაგა გადასატანი კერები, რიტუალური თიხის ჭურჭელი, ნამკლის კაჟის ჩასართები, კვირისტავები, ფილთაქვები და სხვ. ერთ-ერთ სახლში კერასთან აღმოჩნდა შეწირულობა: მარცხნივ – ირემი (რომლის ძვალში ჰასელნების ისრისპირი იყო გარჭობილი), რომელსაც ირგვლივ თიხის ჭურჭელი ჰქონდა შემოლაგებული, მარჯვნივ – მრავალრიცხოვანი თიხის ჭურჭელი, ნამკლის კაჟის პირები – ჩასართები, ქვის ხელსაფქვავები, თიხის ზოომორფული და ანთროპომორფული ფიგურები [753, გვ. 51-52].

საკულტო რიტუალი, ბუნებრივია, მხოლოდ სახლებში არ სრულდებოდა. ახალციხის ამირანის გორაზე დადასტურებულია ცალკე მდგარი სამლოცველო, სადაც აღმოჩენილია სხვადასხვაგვარი შეწირულობანი, მათ შორის მდიდრულად ორნამენტირებული თიხის ჭურჭელი, ცხოველთა სტილიზებული თიხის ფიგურები, აგრეთვე რაღაც რიტუალის ნაშთები: ცხოველთა დამწვარი ძვლები, ნაცარი და ფერფლი [752, გვ. 43-45], [684, გვ. 166].

ოვალური მოყვანილობის საკულტო ნაგებობის ნაშთები აღმოჩენილია გუდაბერტყას ნამოსახლარზე (სურ. 40, № 12): კედლის შელესილობის ფრაგმენტზე შემორჩენილია სხვადასხვა ფერის მოხატულობის ნაშთები, იატაკზე ნაპოვნია რიტუალური ნივთები, რომელთა შორისაა საგანგებოდ გადახერხილი ხარის თავის ქალა – თითქოს ნიღბის შთაბეჭდილებას რომ ქმნიდა. აღმოჩნდა, აგრეთვე, თიხისაგან გამოძერწილი ადამიანის, ცხვრისა და ძაღლის მცირე ზომის ფიგურები, თიხის საბეჭდავი ირმისა და ასტრალური ნიშნების გამოსახულებებით. თიხატკეპნილი იატაკის ქვეშ გამართული იყო ხორბლის, ჭვავის, ქერისა და ფეტვის თავთავებისაგან საგანგებოდ შექმნილი ფენილი [737, გვ. 150]; [684, გვ. 165].

ამრიგად, მტკვარ-არაქსის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე წარმოგვიდგება თავისი ლოკალური თავისებურებებით. ეს უკვე საკმაოდ დაწინაურებული მიწათმოქმედი-მესაქონლე საზოგადოების კულტურაა (იხ. აგრეთვე [730-731]). ამ საზოგადოებში უკვე დაწვებულია და საკმაოდ შორსაცაა წასული მეტალურგიის ცალკე დარგად გამოყოფის პროცესი. ასე, რომ ამ საზოგადოებაში უკვე საკმაოდ გამოკვეთილადაა ჩამოყალიბებული ცივილიზაციის ზოგიერთი ელემენტი, პირველ რიგში – მარცვლეულ კულტურებზე აქცენტირებული მიწათმოქმედება და ლითონის დამუშავება. თუმც კი ამ საზოგადოების ცივილიზაციამდე ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი.

ერთ-ერთი ურთულესი პრობლემათაგანია მტკვარ-არაქსის კულტურის ეთნიკური ატრიბუცია. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრებანი, რომელნიც ჯერჯერობით მხოლოდ ჰიპოთეზებად შეიძლება მივიჩნიოთ.

ზოგიერთი არქეოლოგის აზრით, მტკვარ-არაქსის კულტურა ასახავს ოდესღაც არსებულ „კავკასიურ ეთნიკურ ერთობას", რომელიც შეესატყვისება „იბერიულ-კავკასიურ ენობრივ სისტემას" [769, გვ. 34]. მაგრამ ლინგვისტთა უმრავლესობა დღეს თვლის, რომ ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში (ე.ი. მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების პერიოდში) უკვე არსებობდა ერთმანეთისაგან სტრუქტურულ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით მკვეთრად გამიჯნული ისეთი პრაენობრივი ერთობანი, როგორიცაა დასავლურ-კავკასიური (ე.ი. აფხაზურ-ადიღეური), სამხრეთ-კავკასიური (ქართველური) და აღმოსავლურკავკასიური (ნახურ-დაღესტნური). ასე, რომ ამ დროისათვის უკვე ძნელად დასაშვებია ჯერ კიდევ „ერთიანი კავკასიური ეთნიკური ერთობის" არსებობა. ამის გარდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ (იხ. ამ წიგნის „შესავალი", § 2), აღიარებული თეორია „იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში" გაერთიანებული კავკასიური ენების გენეტიკური ნათესაობის შესახებ, ლინგვისტთა ერთ ნაწილს სადაოდ და დაუსაბუთებლად მიაჩნია.

მკვლევართა ერთ ნაწილს მტკვარ-არაქსის კულტურის შემქმნელად ინდოევროპელები, კერძოდ ხეთები (ნესიტები) ან ხურიტები მიაჩნია (იხ. [166, გვ. 268]; [171, II, გვ. 893 და იქვე დასახ. ლიტ.]). აკად. გ. მელიქიშვილი ვარაუდობს ქართველი ტომების მიერ ინდოევროპელთა ცალკეული ჯგუფების – მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების ასიმილაციას [149, გვ. 343 და შემდ.]. ლინგვისტი გ. მაჭავარიანი მიიჩნევდა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი იყო ტომთა დიდი კავშირი, რომელშიც შედიოდნენ ინდოევროპული და ქართველური (და აგრეთვე სხვა) ტომები [187, გვ. 99]. არქეოლოგ ო. ჯაფარიძის აზრით მტკვარ-არაქსის კულტურის შექმნაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართველურმა, ხურო-ურარტულმა და აგრეთვე ნახურ-დაღესტნურმა ტომებმა ([166, გვ. 286-294, 338] შდრ. [725, გვ. 21]). ლინგვისტები თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი, ერთის მხრივ, თვლიან, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის დამახასიათებელი ნიშნები სავსებით შეესაბამება მათ მიერ ინდოევროპული საზოგადოებისა და განსაკუთრებით მისი გვიანი განშტოებისათვის რეკონსტრუირებული მატერიალური კულტურისა და სოციალურ ურთიერთობათა ნიშან-თვისებებს. მაგრამ ამასთან ერთად აღიარებენ: „ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის არეალი ფართო გაგებით მოიცავს სხვადასხვა ეთნიკურ გაერთიანებებსა და ჯგუფებს, რომელთაც უნდა შეექმნათ მთლიანობაში მსგავსი (თუმც ლოკალური თავისებურებების მქონე) მატერიალური კულტურა" [171, II, გვ. 893].

ამჟამად ძალზე ძნელია რომელიმე ზემოდასახელებულ ჰიპოთეზას მოეძებნოს სრულად უცილობელი დასაბუთება იმის გამო, რომ გვიანი სიისა და მაზლობელი აღმოსავლეთის ძვ.წ. IV-III ათასწლეულების არქეოლოგიური კულტურები ჯერ კიდევ არაა სრულყოფილად შესწავლილი (მათ შორის ქორნილოგიის თვალსაზრისითაც). საქმეს ართულებს ისიც, რომ ჯერ კიდევ არაა შემუშავებული არქეოლოგიური კულტურის გარკვეულ ეთნოსთან გაიგივების საიმედო და უყოყმანოდ აღიარებული კრიტერიუმები.

მტკვარ-არაქსის კულტურის ლოკალური ვარიანტი საქართველოს ფარგლებში (განსაკუთრებით ამ კულტურის აყვავების ხანაში) აშკარად ატარებს ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციებთან მჭიდრო ურთიერთობის კვალს,[96] რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ლითონის ნაკეთობებში მჟღავნდება. ასე მაგ. აღნიშნულია საჩხერის ჟუამილიანი ცულების გენეტიკური კავშირი ძვ.წ. IV-III ათასწლეულების შუმერულ ცულებთან და ამის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება „საქართველოს უძველესი მეტალურგიის შუმერთან მჭიდრო კავშირის" შესახებ ([774, გვ. 81]; შდრ. [754, გვ. 149]). შუმერულ ბრინჯაოს ნაკეთობებთან კავშირი შეიმჩნევა აგრეთვე საქართველოში მტკვარ-არაქსის კულტურის არეალში აღმოჩენილ ხიშტისებურ იარაღსა და შუბისპირებში [803, გვ. 26-28]. მეორე მხრივ, საჩხერულ ბრტყელ ცულებს აკავშირებენ ტროას ცულებთან. ფიგურულტარიან მოლიანადხმულ სატევრებს, საკინძების ზოგიერთ ტიპსა და სხვ., ახლო პარალელებს უძებნიან ძველი ანატოლიის ძვ.წ. III ათასწლეულის ლითონის ნაკეთობათა შორის [774, გვ. 64-81]; [754, გვ. 144-178].

წინააზიური მეტალურგიული კულტურის ასეთი მძლავრი ნაკადის არსებობას მკვლევარნი ხსნიან არა მხოლოდ კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობათა გაძლიერებით, არამედ კავკასიის ადგილობრივ მოსახლეობაში გარკვეული წინააზიური ეთნიკური ფენის გაჩენით [148, გვ. 128-129].[97]

ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანები მიჩნეულია მტკვარ-არაქსის კულტურის „კრიზისის" დასწყისად. ამ დროისათვის, საქართველოს დაბლობ ადგილებში თითქოს შეიმჩნევა მოსახლეობის თანდათანობითი შემცირება და მისი ლტოლვა უფრო მთიანი და მაღალმთიანი ოლქებისაკენ. მთა იწყება განვითარების ახალი ეტაპი, რომელიც შუა ბრინჯაოს ხანის ბრწყინვალე ყორღანული კულტურის შექმნით აღინიშნება.

[96] საინტერესოა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ზოგიერთი მკვლევარი აღრეული ეტაპის მტკვარ-არაქსის კულტურის ელემენტებს პოულობს შუა ევროპის არქეოლოგიურ კულტურებში და ამის საფუძველზე ვარაუდობს ცალკეული ეთნიკური ჯგუფების მიგრაციას კავკასიიდან კარპატებში (იხ. [166, გვ. 167 და იქვე დასახ. ლიტ.]).

[97] წინააზიური კულტურის ტრადიციები, აგრე თვალსაჩინოდ რომ იჩენს თავს ადგილობრივ მატერიალურ კულტურაში, შესაძლოა თავისებური გამოვლინებაა სწორედ იმ ინდოევროპული ენობრივი გავლენებისა, რომელსაც ლინგვისტები აღასტურებენ პრაქართველურ ენობრივ სისტემაში [142, გვ. 467]; [187, გვ. 9].

2. დიდი ყორღანების საუკუნე (თრიალეთური კულტურა)

ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან მტკვარ-არაქსის კულტურას აღმოსავლეთ საქართველოში ენაცვლება ე.წ. დიდი ყორღანების ეპოქა, რომელიც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდაა ცნობილი „თრიალეთური კულტურის“ სახელწოდებით. ამ კულტურის ძეგლები პირველად XX საუკუნის 30-ან წლებში აღმოჩნდა სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში – თრიალეთში და ამიტომ აკად. ბორის კუფტინმა – ამ ძეგლების პირველშემსწავლელმა (მ. იყაშჩენკოსთან ერთად) მას „თრიალეთური კულტურა“ უწოდა [862]. პირველად ბ. კუფტინმა წარმოადგინა ამ კულტურის ძეგლთა ქრონოლოგიური პერიოდიზაცია და მის განვითარებაში გამოყო ორი ძირითადი ეტაპი: ადრებრინჯაოსა და შუაბრინჯაოსი. შემდგომში კვლევა-ძიებისას აღმოჩნდა, რომ ამ კულტურის არეალი მხოლოდ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი ოლქებით, ე.ი. თრიალეთით კი არ იფარგლება, არამედ მოიცავს გაცილებით ვრცელ ტერიტორიას: თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოს (შიდა ქართლი, კახეთი, მესხეთი) და ავრეთვე მის საზღვრებს გარეთ სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ოლქებს. უკანასკნელ წლებში ფართოდ გაშლილი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად თვალსაჩინოდ წარმოჩინდა ყორღანული კულტურის ადრეული ეტაპის ძეგლები [845-846], რაც ადასტურებს ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებას – თრიალეთური კულტურის ზოგიერთი ელემენტის გენეტურ კავშირსა და წარმოშობის წინამორბედი ე.წ. მტკვარ-არაქსის კულტურასთან, აგრეთვე ამ ორი კულტურის (მტკვარ-არაქსისა და ყორღანულის) განვითარების ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას. საკუთრივ თრიალეთური კულტურის განვითარებაში ბ. კუფტინის მიერ გამოყოფილი ორი ეტაპის შედარებით ქრონოლოგია სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, მაგრამ ჯერ კიდევ სადისკუსიოა აბსოლუტური ქრონოლოგია. მკვლევართა უმრავლესობა იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ თრიალეთური კულტურის ადრეული ეტაპის დასაწყისი ემთხვევა ადრებრინჯაოს ხანის შუა და ფინალური სტადიას (ე.წ. ადრებრინჯაო II და III) – ძვ.წ. III ათასწლეულის შუახანები ან მესამე მეოთხედი (იხ. მაგ. [804, გვ. 95], შდრ. [672, გვ. 268]). მასთან ერთად, კალიბრირებული რადიონახშირბადული მეთოდით დათარიღების დაზუსტებისა და მის საფუძველზე საქართველოსა და კავკასიის ენეოლითური და ადრებრინჯაოს კულტურების დაძველების ცდის შესაბამისად (რის შესახებაც წინა თავებში იყო საუბარი) დამოძღვრია მოსაზრება თრიალეთური ყორღანული კულტურის ადრეული ეტაპის უკვე III ათასწლეულის პირველ ნახევარში გადატანის შესახებ, ხოლო ამ კულტურის აყვავების ხანა (ტრადიციულად რომ ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ათასწლეულით თარიღდება) დათარიღდეს ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრითა და II ათასწლეულის დასაწყისი საუკუნეებით, ე.ი. მიჩნეულ იქნეს მახლობელი აღმოსავლეთის ე.წ. „სამეფო აკლდამების კულტურათა“ თანადროულად. ეს თვალსაზრისი ემყარება არქეოლოგიური მასალების იმ ჯგუფს, რომელიც ახლო მსგავსებას ამჟღავნებს კაკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით დათარიღებული ძეგლების ერთ რიგთან (დაწერ. იხ. [675, გვ. 105-141]). მიუხედავად ამგვარი მსჯელობის გარკვეული ლოგიკურობისა, ზემოაღნიშნული თვალსაზრისი ჯერ კიდევ არაა გაზიარებული სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში და იგი უთუოდ მოითხოვს შემდგომ დასაბუთებას მომავალი კვლევა-ძიებით. ჩვენი ცოდნის ამ ეტაპზე კი დიდი ყორღანების კულტურას, რომელმაც შეცვალა მტკვარ-არაქსის კულტურა, განვიხილავთ ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრისა და II ათასწლეულის პირველი ნახევრის ფარგლებში. ამასთან, ვისარგებლებ ტრადიციულად მიღებული ტერმინოლოგიით: „ადრეული ყორღანები“ ან „ადრეული ჯგუფის ყორღანები“ (რომელთაც ადრებრინჯაოს ხანას აკუთვნებენ), „აყვავების ხანის ყორღანები“ (ძირითადად შუაბრინჯაოს ხანისაა)[98] და „გვიანი ყორღანები“ (ე.ი. შუაბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიები) [804, გვ. 95]. შესაბამისად ე.წ. ყორღანულ კულტურას ჩვენ განვიხილავთ, როგორც არქეოლოგიურ კულტურას, რომელიც ასახავს ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრისა და II ათასწლეულის პირველი ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურსა და კულტურულ განვითარებას. საშუალოდ, ამ ეპოქის ძეგლები ძირითადად სამაროვნებითაა წარმოდგენილი. ჯერ კიდევ ნაკლებადაა ცნობილი ამ დროის ნამოსახლარები, რომელთა არქეოლოგიური შესწავლა უთუოდ უფრო სრულად წარმოაჩენდა იმ საზოგადოების სამეურნეო სტრუქტურასა და ცხოვრების წესს, რომელმაც დაგვიტოვა ძვ.წ. III-II ათასწლეულების გრანდიოზული ყორღანები; აკად. ბ. პიოტროვსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყორღანები, რომელთაც ჩვენამდე მოიტანეს ძველი კულტურის გასაოცარი იერსახე, გამორჩეული სრული თავისებურებებითა და მანამდე არნახული ბრწყინვალებით“.

დიდი ყორღანებისდროინდელი ნამოსახლარების მიზანსწრაფული ძიება თრიალეთსა და მესხეთ-ჯავახეთში ჯერჯერობით უშედეგოდ

[98] განსხვავებული ეტაპობრივი ნომენკლატურა წარმოადგინა გ. ქავთარაძემ, რომელიც „აყვავების ხანის ყორღანებს“ ანუ „თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანულ კულტურას“ მიაკუთვნებს ადრებრინჯაოს ხანის მესამე ფაზას [675, გვ.116].

მიმდინარეობს: დროებითი სადგომების კვალიც კი არაა დღეს ამ ოლქებში აღმოჩენილი. ამიტომაც დიდ ინტერესს იწვევს კახეთში – ალაზნის ველზე მთელი წყება მრავალფენიანი ნამოსახლარებისა, რომელნიც შუაბრინჯაოს ხანის ნაშთებსაც შეიცავენ. მაგრამ ამ ნამოსახლართა შესწავლა ჯერ მხოლოდ საწყის საფეხურზეა [821], [869].

ძალზე დიდი მეცნიერული მნიშვნელობისაა დღეობით კი ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის და II ათასწლეულის პირველი ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიის შესწავლის ძირითად წყაროს ყორღანული სამარხები წარმოადგენს.

ყორღანული კულტურის ძეგლთა ტოპოგრაფია უაღრესად საინტერესოა: ისინი ძირითადად თავმოყრილია მთისწინა და მთიანი ოლქების მდინარეთა ხეობებში, ე.ი. ისეთ ადგილებში, სა-



სურ. 54. ყორღანული კულტურის ძეგლების გავრცელების სქემატური რუკა: 1. ახჩია [849], 2. ბერთაფანები [849], 3. ნიალი [849], 4. ბედენი [802], 5. თრიალეთი [862], [861], 6. ზურტაკეტი [842], 7. სალუღა [864], [806], 8. შვინდისი [821], 9. წნორი [855], 10. ბაკურციხე [736, გვ. 208-209], 11. სამგორი [843], 12. მარტყოფი [845f], 13. ტყვიავი [814], 14. ბერიკლდები [832], [736, გვ. 214-215], 15. საჩხერე [754].

შიდა ქართლში ადგილ ბერიკლდებში (ქარელის რაიონი – იხ. სურ. 54, № 14) აღმოჩენილი ნამოსახლარი, რომელზედაც წარმოდგენილია თრიალეთური კულტურის ადრეული ეტაპისათვის დამახასიათებელი ე.წ. ბედენური ტიპის კერამიკა ([832], [432, გვ. 146]).[99] უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ შემდგომი კვლევა-ძიება კიდევ უფრო მრავალად გამოაჩენს ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ეპოქის ნამოსახლარებს.[100] დღესდაც ხელსაყრელი პირობებია პრიმიტიული მორწყვითი მიწათმოქმედების განვითარებისათვის, ხოლო მაღალმთიანი საძოვრები კი – მესაქონლეობისათვის. ასე, რომ თრიალეთური კულტურის შემქმნელი საზოგადოების სამეურნეო ბაზას ქმნიდა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, განსაკუთრებით მსხვილი რქოსანი პირუტყვის მოშენება (დაწვრ. [619, გვ. 65-84]),[101] რა-

[99] უკანასკნელ წლებში ბედენური ტიპის კერამიკა აღმოჩნდა ე.წ. ხაშურის ნაცარგორის მრავალფენიან ნამოსახლარზე [948].

[100] ყურადღებას იქცევს ე.წ. „ციკლოპური“ ნამოსახლარები, სადაც უზარმაზარ ლოდებით დუღაბის გარეშე აშენებული ნაგებობებია წარმოდგენილი. მათი არეალი საქართველოს ფარგლებში (ძირითადად თრიალეთი, აგრეთვე მესხეთ-ჯავახეთი) თითქოს ემთხვევა თრიალეთური კულტურის გავრცელებას. ზოგიერთ „ციკლოპურ“ ნამოსახლარზე დადასტურებულია ციტადელი და სასიმაგრო სისტემა. თავისი გრანდიოზულობით გამოირჩევა წალკის რაიონში სოფელ საბეჭდავის ნამოსახლარი. იგი რამდენიმე ათეულ ჰექტარზეა განფენილი, აქვს სასიმაგრო სისტემა, ბაზალტის დიდი ლოდებით ნაგები კედლები, ერთიანი პრინციპით დაგეგმარებული საცხოვრებელი კვარტალები. სამწუხაროდ „ციკლოპურ“ ნამოსახლართა ზუსტი დათარიღება ვერ ხერხდება და ამიტომ ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა (დაწვრ. იხ. ნ. შანშაშვილის და გ. ნარიმანიშვილის ნაშრომი „თრიალეთის ციკლოპური ნამოსახლარები“ [64], 4, 1996, გვ. 44-47 და იქ დასახ. ლიტ.). ხომ არ შეიძლება „ციკლოპურ“ ნამოსახლართა ერთი ნაწილი მაინც ყორღანული კულტურის შემქმნელი მოსახლეობის საცხოვრებლად მივიჩნიოთ? ამ თვალსაზრისს ეწინააღმდეგება არქეოლოგიური დამთარეღებელი მასალა, რომელიც ჯერჯერობით მაინც, ძირითადად უფრო გვიანდელი ხანისაა (გვიანბრინჯაო-ადრერკინის), მაგრამ თავისი პრინციპით ციკლოპური სტრუქტურით (ციტადელი, ერთიანი გეგმარების საცხოვრებელი კვარტალები), ე.წ. ციკლოპური ნამოსახლარები უფრო შეესატყვისება საზოგადოების განვითარების იმ დონეს, რომელიც ყორღანულ კულტურებითაა წარმოდგენილი.

[101] ეს თვალსაზრისი, რომელიც თრიალეთური კულტურის შემქმნელ საზოგადოებას განიხილავს, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც ძველ სამყაროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა: იგი ხელს უწყობდა ზედმეტი პროდუქტის დაგროვებასა და ტომთა შორის რეგულარულ გაცვლით ურთიერთობათა განვითარებას, რასაც თან სდევდა, ერთის მხრივ – ცალკეულ ტომთა გაძლიერება და მათი სხვებზე გაბატონება, ხოლო მეორეს მხრივ – ტომთა ბელადების პრივილეგირებული მდგომარეობის თანდათანობითი განმტკიცება და მათ ხელთ საზოგადოებრივი სიმდიდრის უდიდესი ნაწილის თავმოყრა. ყველაფერი ეს თვალსაჩინოდაა ასახული დაკრძალვის წესებში: ოდესღაც თანასწორუფლებიან საზოგადოებას უკვე გამოეყვნენ პრივილეგირებული წევრები – ტომთა ბელადები და მხოლოდ მათთვის იქმნებოდა გრანდიოზული სამარხები, სრულდებოდა დაკრძალვის რთული რიტუალი, ხოლო იმ ქვეყნად ცხოვრების „გასაგრძელებლად" დაკრძალულებს სურსათ-სანოვაგესა და ყოველდღიური მოხმარების საგნებთან ერთად თან ატანენ ძვირფას სამკაულსა და სხვ. ნივთებს, რომელნიც მათ პირად საკუთრებადაა ქცეული. ამის ნათელი დადასტურებაა სწორედ ძვ.წ. III-II ათასწლეულების მონუმენტური ყორღანული სამარხები.

ყორღანული სამარხები საქართველოში ჩნდება უკვე მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ სტადიაზე. მაგრამ იმ დროს ისინი ძირითადად კოლექტიურ სამარხებს წარმოადგენდნენ (როგორც მაგ. საჩხერის, ტყვიავისა და სხვ.). დაახლოებით ძვ.წ. III ათასწლეულის შუახანებიდან ჩნდება ინდივიდუალური ყორღანული სამარხები, რომლებიც გამოირჩევიან გრანდიოზულობით, ხის ძელებით ნაგები ვრცელი დასაკრძალავი დარბაზებით, ხის ეტლებზე მიცვალებულთა დასვენებითა და რთული რიტუალით, მეტად მდიდრული და მრავალფეროვანი სამარხეული ინვენტარით (რომელთა შორისაა საიუველირო და საერთოდ მხატვრული ხელოსნობის შესანიშნავი ნიმუშებიც). ასეთი ყორღანების გამოჩენა მოასწავებდა საზოგადოების ისტორიაში ახალი ეტაპის დასაწყისს.

საქართველოში აღმოჩენილ მონუმენტურ ინდივიდუალურ ყორღანულ სამარხებს შორის უძველესად მიჩნეულია სოფ. მარტყოფის მიდამოებში (ადგილი ულევარი) აღმოჩენილი ყორღანები, რომელთაც ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანებით (დაახლოებით XXIV-XXIII სს-ით) ათარიღებენ ([848, გვ. 40-41]; [847, გვ. 34], [846., გვ. 12 და შემდ.]). აქ აღმოჩენილი მასალის არქაული იერის საფუძველზე ეს ყორღანები მიჩნეულია უძველესად თრიალეთური კულტურის ადრეულ ყორღანთა შორის [848, გვ. 40].

მარტყოფის ჯგუფის ყორღანთა შორის ყველაზე უფრო დიდი ზომისაა ე.წ. „გრაკლიანთგორა". მისი, ჩვენამდე მოღწეული სიმაღლე აღემატება 12 მ-ს, ხოლო დმ – 100 მ-ს. ზემოდან თიხის სქელი ფენით გადალესილი ქვაყრილი ფარავს ხის ძელურ ნაგებობას – დასაკრძალავ დარბაზს. კედლების წყობა პერანგულია: ე.ი. მუხის ხის 9 ძელით ამოყვანილია ორი პარალელური კედელი, რომელთა შორის სივრცე მსხვილი ქვებითაა ამოვსებული. მიცვალებულის დასაკრძალავად განკუთვნილი დარბაზის შიდა ფართობი 48 კვადრატული მეტრია. იატაკი მოგებულია ქვის ბრტყელი ფილებით. გადახურვა ხისაა. ყორღანი ძველადვე გაუძარცვიათ, მაგრამ მის სიმდიდრეს თვალსაჩინოდ მოწმობს გადარჩენილი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნივთები. საგანგებოდაა აღსანიშნავი მრავალფეროვანი იარაღი, რომელთა შორისაა ბრინჯაოს ისრისპირები, ყუამილიანი ცულები, ყუნწიანი სატევრები. იმ დროისათვის უნიკალურად ითვლება № 2 ყორღანში ნაპოვნი ვერცხლის სატევარი [848, გვ. 40, ტაბ. VIII]. მრავალფეროვნებით გამოირჩევა აგრეთვე შავპრიალა (ლითონისებური ბზინვარების) კერამიკა, რომელიც გრავირებული გეომეტრიული ორნამენტებითაა მორთული (დაწვრ. იხ. [847-848], [846, გვ. 19 და შემდ.]).

ქრონოლოგიურად მარტყოფის ჯგუფზე გვიანდელადაა მიჩნეული მთელი წყება ყორღანებისა, რომელნიც პირველად თრიალეთში აღმოჩნდა,[102] ხოლო შემდგომ ბედენსა (სურ. 54, № 4) და ალაზნის ველზე (სურ. 54, № 7,9). ეს და სხვა ყორღანები ერთიანდებიან ერთ ქრონოლოგიურ ჯგუფში, რომელსაც „ბედენის" [802] ან ზოგჯერ „ბედენი-ალაზნის" ([855], [883]) ჯგუფს თუ ეტაპს უწოდებენ და ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო მეოთხედით[103] ათარიღებენ.[104]

გორც მიწისმოქმედ-მესაქონლესა და მიიჩნევს მას ადრესამიწათმოქმედო კულტურის ფინალურ სტადიად [619, გვ. 55-56, 65-83], ძირეულად განსხვავდება სხვა ავტორთა იმ შეხედულებებისაგან, რომელნიც თრიალეთური კულტურის შემქმნელთა მეურნეობის წამყვან-განმსაზღვრელად მესაქონლეობას თვლიან.

[102] 30-იან წლებში თრიალეთში აღმოჩენილ ყორღანთაგან ადრეულ ჯგუფს მიაკუთვნებენ №№ IV, X-XIII, XIX, XXI, XXIV-XXV, LXVI ყორღანებს. მათგან ზოგიერთს (№№ IV, X, XIII) მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ სტადიას აკუთვნებენ (იხ. [804, გვ. 15-37], შდრ. [842, გვ. 264-269]. სრული პუბლიკაცია ცალკეული კომპლექსების მიხედვით იხ. [861, გვ. 21-69]).

[103] ახალი ქრონოლოგიით, რომელიც კალიბრირებული რადიონახშირბადული მეთოდით დათარიღებაზეა დაფუძნებული, ამ ჯგუფის ყორღანებს ათავსებენ ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრის ფარგლებში [675, გვ. 105-116].

[104] ამრიგად ადრეულ ყორღანებში გამოყოფენ ორ ქრონოლოგიურ ჯგუფს „მარტყოფურსა" და „ბედენურს". მაგრამ მათ შედარებით დათარიღებაში აზრთა სხვადასხვაობაა. მკვლევართა ერთი ნაწილი უფრო ადრეულად მიიჩნევს „მარტყოფურ" ჯგუფს თუ ეტაპს (ეს აზრი პირველად განავითარა ო. ჯაფარიძემ [845]). სხვა მკვლევარები ბედენის ყორ-



სურ. 55. ხის „დასაკრძალავი სახლი“ (აკლდამა) ბედენის დიდი ყორღანიდან: 1. დედაქანში ამოჭრილი ქვაბული (სამარხისათვის განკუთვნილი ორმო), 2. მორების ზღვე, 3. მორები, 4. გრძივი მორები, 5. ხის ბოძები, 6. თავხეები, 7. კეხები, 8. დგარები, რომელიც ქმნიან სახლის კედლებს, 9. ქვითა და მიწით შევსება, 10. სახურავის ძელსავი, 11. შევსება ქვით, მიწითა და ხის ანატკეცებით, 12. ლაფნისაგან მოწნული ჭილოფი იატაკის ზღვეზე, ოთხთვალა საბრძოლო ეტლი, ხის ხელბარი, სამარხეული ნივთები, ადამიანის ჩონჩხის ნაშთები, ხბილენძის ნივთები [816]

ბედენის ყორღანები ზღვის დონიდან 1350-1380 მ-ის სიმაღლეზეა აღმოჩენილი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ ფერდობებზე. განსაკუთრებით გამოირჩევა № 5 ყორღანი. მისი მიწაყრილის სიმაღლე აღწევდა 5,5 მ-ს, ხოლო დმ – 80 მ-ს. ამ ხანის სხვა ყორღანებისაგან განსხვავებით მიწაყრილში ქვები გამოყენებული არაა და მას არ აქვს არც საგანგებო ფენილი – „ჯავშანი“, რომელიც ყორღანის მიწაყრილს ჩამოშვავებისაგან იცავდა. ამ ყორღანში ქვები გამოყენებულია მხოლოდ იმ სიცარიელის ამოსავსებად, რომელიც შექმნილია სამარხი ორმოს ნაპირებსა და ამ ორმოში ჩადგმული ხის ძელებიდან აგებული დასაკრძალავი დარბაზის კედლებს შორის (სურ. 55).

სამარხი ორმო (დაახლოებით 3 მ სიღრმისა) ამოთხრილია დედაქანში, მას ირიბი კედლები აქვს ისე, რომ ორმოს ზედა ნაწილის საერთო ფართობი აღწევს 120 მ^2-ს, ხოლო ქვედასი – 80 მ^2-ს. ორმოში ჩადგმულია ხის ძელებისაგან ნაგები დასაკრძალავი დარბაზი, რომლის სიგრძე 6 მ-ია, სიგანე 4,5 მ და სიმაღლე 3 მ. კედლები ამოყვანილია ერთმანეთთან ახლოს მიყრილი ვერტიკალურად მდგარი მუხის ძელებით. ხის ძელებითაა გამართული იატაკი და სახურავიც, რომელსაც ზემოდან ფარავდა წნული ჭილოფი. ეს უკანასკნელი ზემოდან წყალგაუმტარი თიხით იყო მჭიდროდ გადაფენილი და კვლავ ჭილოფით გადახურული. დასაკრძალავი დარბაზი ჩანგრეული იყო და ძველადვე გაძარცული. მის შიგნით აღმოჩნდა სამი მიცვალებულის ჩონჩხი, რომელთაგან მთავარი ცენტრში ესვენა, ხოლო ორი დანარჩენი – ძალდატანებით მოკლული ქალისა და მამაკაცისა – კუთხეებში. მთავარი მიცვალებული, როგორც ჩანს, მოკრუნჩხულ პოზაში იყო დაკრძალული ორნამენტირებულ ხის ფიცრებისაგან წკირებით შეკრულ კუბოში, რომელიც ოთხთვლიან ხის ეტლზე (სურ. 56) იყო დასვენებული. ეტლის ქვეშ თიხის ჭურჭელი ეწყო. სამარხეული ინვენტარიდან შემორჩენილია ხის, თიხის, ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს ნაკეთობანი. ხისგან იყო დამზადებული თავის დროზე სამ ფეხზე შედგმული თასები, რომელთაგან ზოგიერთი მორთული იყო რელიეფური ტალღოვანი ორნამენტით. განსაკუთრებით შესანიშნავია თიხის ჭურჭელი, რომლის ზედაპირი შავი ან ნაცრისფერია და ლითონისებურ ბზინვარებამდეა გაპრიალებული (ზოგჯერ ვერცხლისფერი იერით). იგი ხელითაა ნაძერწი, მაგრამ კარგად გაწრექილი და დამუშავებული თიხისაგან, რომელიც შეიცავს დანაყილი ანდეზიტის მინარევებს (როგორც ჩანს, თიხის გასამჭლეგებლად). აღმოჩენილია 40-მდე სხვადასხვა ფორმის ჭურჭელი, რომელთაგან თითოეული გამოირჩევა თავისი სინატიფითა და ზოგჯერ შემკულია რელიეფური „მარგალიტისებური“ ან გრავირებული გეომეტრიული ორნამენტით (სურ. 57). ამ ყორღანებში აღმოჩენილი ნივთებიდან უნდა სავანგებოდ აღინიშნოს, აგრეთვე, მართლაც რომ შესანიშნავი და დიდი ოსტატობით დამზადებული ობსიდიანის ისრისპირები. ჩვენამდე მოღწეულ სამარხეულ ნივთებს შორის უთუოდ ყველაზე უფრო გამორჩეულია ოქროს ორეოლუტიანი ორნამენტირებული საკიძი, რომელიც ჭედური ტექნიკითაა შესრულებული და წარმოადგენს ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის ოქრომჭედლობის ჩინებულ ნიმუშს. ამავე დროს მხოლოდ ეს ნივთიც კი თვალსაჩინოდ წარმოადგენს ამ ძველადვე გაძარცული ყორღანის თავდაპირველ

ღანების მასალას უფრო არქაულად მიიჩნევენ და ამიტომ ფიქრობენ, რომ ქრონოლოგიურად „ბედენის“ ეტაპის ყორღანები წინ უსწრებენ „ბარტყოფურს“. ხაშურის ნაცარგორას ნამოსახლარზე ბედენური იერის კერამიკა გვხვდება მტკვარ-არაქსულთან ერთად, ხოლო შემდეგ მტკვარ-არაქსული კულტურის ფენას ენაცვლება „წმინდა“ ბედენური კერამიკის შემცველი ფენა. ამიტომაც ვარაუდობენ, რომ ბედენური კულტურის ჩასახვა-განვითარება ხდება მტკვარ-არაქსის კულტურის წიაღში [948, გვ. 35]. ორიენტიორი კულტურის აღრეული ეტაპის ძეგლების მტკვარ-არაქსის კულტურასთან გენეტიკური კავშირის შესახებ იხ. [804, გვ. 79 და შემდ.].

ბრწყინვალებასა და სიმდიდრეს (დაწვრ. [802, გვ. 33-79, 81-91]).



სურ. 56. ხის ორთვალა ეტლი ბედენის ყორღანიდან. აქსონომეტრიული ჭრილი და წინა ნაწილის დეტალები ქვემოდან: 1. თვლები (მუხის), 2. რვილი, 3. უკანა ღერძი, 4. გარდიგარდმო ხე, 5. წინა ღერძი, 6. გვერდის ვიტრები, 7. ქვედა შემკრავი, 8. ბალიში, 9. ტაბიკი, 10. ძარას ძირი, 11. ძარას გვერდი, 12. მორგვი, 13. ღერძის ბოლო, 14. უკანა ღერძის უბეები, 15. რიკი, 16. ჩასართი, 17. წკირები, 18. წკირის ბუდეები, 19. ღვედების ჩასაბმელი ნახვრეტები [815]



სურ. 57. კერამიკა ბედენის ყორღანიდან [802]

ალაზნის ველის ყორღანები პირველ რიგში გამოირჩევა თავისი გრანდიოზულობითა და რთული დასაკრძალავი რიტუალით. ასე მაგ. წნორის ერთ-ერთ ყორღანს თითქმის 3 ჰა (29900 მ^2) ფართობი უკავია. ჩვენამდე მოღწეული სიმაღლე 11 მ-აა, ხოლო ოვალური ფორმის მიწაყრილის სიგრძე აღწევს 168 მ-ს და შედგება ჰუმუსის, თიხამიწის, ქვიშისა და რიყის ქვებისაგან (ეს უკანასკნელი უმთავრესად მიწაყრილის ქვედა ფენებშია დადასტურებული). ყორღანის ქვედა ნაწილი გარშემორტყმულია 30 სმ-იანი ქვის ფენილით – „ჯავშნით“, რომელიც მიწაყრილს იცავდა ჩამოზვავებისა და ჩამორეცხვისაგან. როგორც გამოირკვა, ქვები მოზიდულია სხვადასხვა ადგილიდან (დაახლოებით 40 კმ-ის რადიუსში). მიწაყრილის ქვეშ ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა მშრალი წყობით ამოყვანილი მრგვალი ნაგებობა, რომლის კედლები (თითქმის 2 მ სიმაღლისა) გარე მხრიდან აგებულია მსხვილი რიყის ქვებით, ხოლო შიდა მხრიდან კი – შედარებით მომცრო ქვებით. ხის ძელების ნაშთებისა და ანაბეჭდების საფუძველზე ვარაუდობენ, რომ ცენტრალურ ნაწილში იდგა კიდევ ერთი ნაგებობა, რომელსაც ირგვლივ ე.წ. შემოვლითი კორიდორი შემოუყვებოდა. არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ ამ ნაგებობას საწესო-საკულტო დანიშნულება ჰქონდა და იგი განსვენებულ ბელადთან გამოთხოვების რიტუალისათვის იყო განკუთვნილი.

დასაკრძალავი სენაკი წარმოადგენს 166 მ^2 ფართობისა და 3 მ სიღრმის ორმოს, რომელიც ხის ორმაგი ძელებით იყო გადახურული და შემდეგ პლასტიკური თიხით მჭიდროდ გადაღესილი, ხოლო ზემოდან ჭილოფით იყო გადაფარებული (შემორჩენილია ჭილოფის ანაბეჭდები). ხის გადახურვა ჩანგრეული იყო და მის ქვეშ აღმოჩნდა 2 მ სიმაღლის ხის ვერტიკალურად ერთმანეთთან მიჯრით მდგარი ძელებით (ე.ი. მესერისებურად) ამოყვანილი ნაგებობა, რომლის სახურავი ხის ძელებითა და ფიცრით იყო გამართული. ამ ნაგებობას განიხილავენ როგორც „დასასვენებელ პოსტამენტს ან სარეცელს“. აქ, ამ სარეცელზე მრავლად აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, ოქროს რამდენიმე ნივთი (წვრილი მძივები – იოტები, მილაკები, „ღილები“), ძვლის, კაჟის და ობსიდიანის ისრისპირები, ბრინჯაოს დანა, სატეგრისპირი და სხვ.

ეს ყორღანი ძველადვე იყო გაძარცული. ამიტომ ვერ მოხერხდა აქ აღმოჩენილ ჩონჩხთა შორის მთავარი მიცვალებულის დადგენა. ფიქრობენ, რომ მთავარი მაინც ის უნდა ყოფილიყო, რომელსაც ელის არეში ოქროს ხუთი და სარდიონის ექვსი მძივი აღმოაჩნდა. დანარჩენი ჩონჩხები სრულიად უინვენტაროა და ამიტომაც ფიქრობენ, რომ ისინი მსხვერპლად შეწირული ადამიანებისაა. ყორღანში დაფიქსირებულია ვერტიკალურ მდგომარეობაში შემორჩენილი ბორბლის ნაშთები და ხის ეტლის ანაბეჭდები, რაც იმის მოწმობაა, რომ მიცვალებული, რომლის

სამუდამო განსასვენებლად ასეთი გრანდიოზული ნაგებობაა აღმართული, ხის ეტლით მოასვენეს (დაწერ. [822], [864,გვ. 16-17]; [855, გვ. 19-37]).[105]



სურ. 58. ობსიდიანის ისრისპირები წნორის ყორღანიდან [855]

ზემოაღწერილი ყორღანის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 700 მ-ის დაცილებით აღმოჩენილია კიდევ ერთი ასეთივე სამარხი, რომლის მიწაყრილის სიმაღლე შემორჩენილია მხოლოდ 2,5 მ-ზე, ხოლო შიდა ფართობი შეადგენს 80x90 მ^2-ს. მიწაყრილი 10 მ სიგანის ქვის ფენილით („ჯავშნით“) იყო გარშემორტყმული. გამოთანარიშებულია, რომ მხოლოდ ამ ფენილის მოსაწყობად საჭირო იყო დაახლოებით 1000 მ^3 ქვა.

სამარხი სენაკი მიწაყრილის ქვეშ, თითქმის მის ცენტრშია გამართული და წარმოადგენს 2,5 მ სიღრმის სწორკუთხა ორმოს (10 მ x 10 მ). ისევე როგორც ზემოაღწერილ ყორღანში, აქაც ორმო ჭილოფაკადაფარებული და თიხით მოლესილი ხის ძელებით ყოფილა გადახურული. აქაც ხის ძელები 2 რიგად იყო დალაგებული და ეყრდნობოდნენ სიმეტრიულად განლაგებულ ხის 9 ბოძს; მათი განლაგება საკმაოდ ზუსტად დგინდება 0,5 მ დიამეტრისა და 0,6 მ სიღრმის ორმოებით, რომლებშიც თავის დროზე ხის ბოძები ყოფილა ჩასმული (ზოგიერთ შემთხვევაში შემორჩენილია ირიბად ჩადგმული მოკლე საბჯენი ბოძების კვალიც). ჩანს, რომ ერთი ბოძი ცენტრში იყო აღმართული, დანარჩენი კი – სამარხი სენაკის კიდეებში.

სამარხი სენაკის კედლები ქვეყნის მხარეების მიხედვითაა ორიენტირებული. თითოეულ კედელში გამართულია შესასვლელი, რომელსაც თავისი გადახურვა აქვს. სენაკის იატაკი მოგებულია თიხატკეპნილით, რომელსაც ჭრელოფი ჰქონია გადაფარებული. სენაკის შიგნით დადასტურებულია ცეცხლის კვალი, რომელიც დაუნთიათ, როგორც ჩანს, ბელადის დაკრძალვამდე, ე.ი. მის მუდმივ განსასვენებელში წინასწარ ავ სულთაგან „განწმენდის“ რიტუალი ჩატარებიათ.

სამარხში ორი მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა. მათგან ერთი ქალისაა (დაახლოებით 30 წლამდე ასაკისა), რომელიც ინვენტარის გარეშე მარჯვენა გვერდზე მოკრუნჩხულ მდგომარეობაში იყო დაკრძალული. მის გვერდით ასეთივე პოზაში ესვენა მამაკაცის (დაახლოებით 40 წლის ასაკისა) ჩონჩხი, საკმაოდ მდიდრული სამკაულებით, რომელთა შორისაა ბიკონუსური ფორმის ოქროს მძივები, ვერცხლის სამაჯური და ორცოლუტიანი საკინძი.

სამარხი სენაკის შუაგულში აღმოჩნდა ნაშთები ხის ეტლისა თუ ურმისა, რომელიც თავის დროზე დაუშლიათ და სამარხში ისე შეუტანიათ. ძარაზე ეწყო 40-მდე თიხის ჭურჭელი. კიდევ 7 დიდი ზომის ჭურჭელი იდგა სამარხი სენაკის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, სადაც აღმოჩნდა აგრეთვე თხისა და ცხვრის 460, აგრეთვე მსხვილი რქოსანი პირუტყვის 1 კოჭი (ასტრაგალი). ურემზე ეწყო აგრეთვე ძვლისა და ობსიდიანის ისრისპირები, რქისაგან დამზადებული ნივთები, ტყავის სარჩულიანი ბრინჯაოს ფარის ნაშთები და ოქროს რამდენიმე სამკაული: ორნაწილიანი საკინძი, ხვეულმავთულიანი მძივაკები, ფირფიტები. აქვეა ხაოვნი ღილის მინიატურული ქანდაკება ოქროსი (სურ. 66). იგი ჩამოსხმულია და მორთულია ცრუგადარვასით, რელიეფური ხაზებითა და მეანდრის (ე.ი. ტეხილხაზოვანი) ორნამენტით, რომელიც ფაფრის იმიტაციას ქმნის. თათები ღრუა და ნახვრეტიანი, რაც ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ ლომის ეს ოქროს მინიატურული ქანდაკება რაღაც ხის ნივთის – კვერთხის ან უფრო ურმის ხელნის თავად (ბუნიკად) იყო გამოყენებული. ურმის სამკაულს წარმოადგენდა აგრეთვე რქის ნაკეთობანი. დასაკრძალავი ეტლისა თუ ურმის მდიდრული მორთულობის მოწმობაა ბრინჯაოს დისკოებურთავიანი ღერაკი (სოგმანი) [864, გვ. 18-19], [855, გვ. 37-51, 66].

ამგვარად, უკვე ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში (ტრადიციული ქრონოლოგიით) აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენ ვხედავთ გვარისა თუ ტომის ბელადების მო-

[105] ამ ყორღანისათვის არსებობს რადიოკარბონული თარიღები, რომელიც მიღებულია თბილისისა და ლოს-ანჯელესის (აშშ) ლაბორატორიებში: პირველის შედეგია ძვ.წ. 2155 ± 50 წ., ხოლო მეორისა – ძვ.წ. 2170±50/90 წ. (იხ. [855, გვ. 25], კალიბრირებული თარიღებია, შესაბამისად, 2584 ± 337 წ. და 2768 ± 319 [675, გვ. 109]).

ნუმენტურ ყორღანულ სამარხებში მდიდრულად დაკრძალვის საკმაოდ რთულ რიტუალს, რაც თვალსაჩინოდ ასახავს საზოგადოების სოციალურ განვითარებაში მომხდარ დიდ ძვრებსა და აგრეთვე ახალ ეთნოკულტურულ გავლენებს (უფრო რომ წინააზიური სამყაროდან მომდინარეობდნენ).

განვითარების კიდევ უფრო მაღალი საფეხური აღინიშნება ძ.ფ. III ათასწლეულის დასასრულსა და II ათასწლეულის პირველ ნახევარში. არქეოლოგიური პერიოდიზაციით საქართველოსთვის ესაა უკვე შუა ბრინჯაოს ხანა, რომელსაც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვეულებრივ „თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანული კულტურის“ თუ „ყვავებული თრიალეთური კულტურის“ ხანას უწოდებენ. ამ ეპოქის უმნიშვნელოვანესი ძეგლები აღმოჩენილია სამხრეთ საქართველოში – თრიალეთსა [862], [802], [861], [842] და მესხეთში ([849], [873]).

შუაბრინჯაოს ხანის ყორღანები შედგება დიდი ქვაყრილისაგან (ზოგჯერ მაჩაცაა შერეული)[106] და გამოირჩევიან მეტწილად დიდი ზომის ქვებით ავებული გრანდიოზული „დასაკრძალავი დარბაზებით“, ხის ეტლებზე დაკრძალვის რთული რიტუალითა და უაღრესად მდიდრული სამარხეული ინვენტარით. ზოგიერთს აქვს რიყის ქვებით მოკირწყლული მისასვლელი გზები ([67], V, 2000, გვ. 47-53).

გაოცებას იწვევს, პირველ რიგში, „დასაკრძალავი დარბაზების“ გრანდიოზულობა. ისინი მეტწილად დედაქანში ამოთხრილ ორმოებშია გამართული ან პირდაპირ მიწის პირზეა აგებული. დაახლოებითი წარმოდგენის შესაქმნელად საკმარისია თუნდაც ერთ-ერთი თრიალეთური ყორღანის (მაგ. XXXVI: „ტოპიკარ“ № 1) აღწერილობა. მისი ქვაყრილის სიმაღლე 5 მ-ია, ხოლო ფძ – 65 მ და შედგება მომრგვალებული რიყის კაჭრებისაგან. ქვაყრილით დაფარული ვრცელი დასაკრძალავი დარბაზის კედლები შემორჩენილია 4 მ-ის სიმაღლეზე და მთლიანად მშრალი წყობითაა ამოყვანილი. დარბაზს აქვს საგანგებო, გრძელი შესასვლელ-კორიდორი (დრომოსი). დარბაზი წაგრძელებული სწორკუთხედის მოყვანილობისაა და ორიენტირებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. სიგრძე აღწევდა 15-მ-ს, სიგანე – 12 მ-ს, ხოლო შესასვლელის სიგანე – 3 მ-ს. მთლიანად „დასაკრძალავი დარბაზის“ ფართობი შეადგენდა 175 მ²-ს. იატაკზე ეფინა ჭილოფი. გაბრწყინე-დამპალი ხის ნაშთები მოწმობენ, რომ ქვისკედლებიან დარბაზს ჰქონდა ხის გადახურვა, რომელიც ხისავე ბოძებს ეყრდნობოდა. იქვეა ნაოვენი ფრაგმენტები ოქროს თხელი ფირფიტებისა, რომელნიც პროფილირებული ხის საშენებლო ნაწილების მოსართავად თუ გარსაკრავად ყოფილა გამოყენებული და თვალსაჩინოდ მოწმობენ თუ როგორ მდიდრულად ყოფილა მორთული ეს ვეებერთელა დარბაზი, რომელიც მხოლოდ ერთი ადამიანის დასაკრძალავად იყო განკუთვნილი. განსვენებული ბელადის ძალზე მდიდრულად დაკრძალვას მოწმობს ის სამარხეული ინვენტარიც, რომელიც ძველი სამარხების მძარცველებს გადაურჩათ.

დასაკრძალავი დარბაზის კედლებთან ელაგა დიდი ზომის თიხის ჭურჭელი, რომელთა საერთო ტევადობა სამი ათას ლიტრამდე აღწევდა. დარბაზის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა იშვიათი სინატიფით დამზადებული ობსიდიანის ისრისპირები, ხის ჯუთის ოქროს ორნამენტირებული გარსაკრავის ფრაგმენტები, ოქროს ფოლგის ნატეხები, სარდიონის მძივები და სხვა ნივთები [862, გვ. 83-84]; [861, გვ. 25-26].

შთამბეჭდავია აგრეთვე ე.წ. ორმოიანი ყორღანები, ე.ი. ისეთი ყორღანები, რომელთა ქვაყრილი ფარავს ხის ძელებით გადახურულ დედაქანში ამოთხრილ ორმოს. ასეთი სამარხი ორმოები, როგორც წესი, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ორიენტირებული, წაგრძელებული სწორკუთხედის მოყვანილობისაა. ზოგიერთი მათგანის ფართობი ასეულობით კვადრატულ მეტრს აღემატება. იატაკი წნული ლერწმის ჭილოფით ყოფილა დაფარული. ფიქრობენ, რომ მიცვალებულს წინასწარ, ყორღნის გარეთ წვავდნენ და შემდეგ ხის ეტლზე დასვენებული ნეშტი დრომოსით – საგანგებო დერეფნისებური შესასვლელით – შეჰქონდათ დასაკრძალავ დარბაზში. ეტლი ხელით შეჰქონდათ ან ღვედით აკაზმული ხარებით. თრიალეთის ერთ-ერთ დიდ ყორღანში (XV: შეპიანის ყორღანი № 2) ძალზე საინტერესო ფაქტია დადასტურებული. დრომოსსა და სამარხ სენაკში ელაგა ორი ხარის ძვლები: ერთმანეთის პარალელურად იდო თავის ქალები, ხოლო მათ უკან – ერთმანეთის მიყოლებით წყვილ-წყვილად წინა და უკანა ფეხები ჩლიქებითურთ. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ სამარხის ძირზე საგანგებოდ იყო დაფენილი ხარის ორი ტყავი. თან ხარები ისე იყო გატყავებული, რომ თავი და კიდურები საკუთარ ტყავში იყო დატოვებული. აკად. ბ. კუფტინი ვარაუდობდა, რომ ეს იყო სრულიად გამიზნული იმიტაცია იმ ხარებისა, რომელთაც მიცვალებული მიჰყავდათ იმქვეყნიურ გზაზე. იმქვეყნიური ცხოვრებისათვის განკუთვნილი იყო უამრავი რაოდენობის ზორცი მსხვილი და წვრილი რქოსანი საქონლისა, აგრეთვე ღორისა,

[106] თრიალეთის ყორღანების ქვაყრილი ჩვეულებრივ შედგება ჩვეულებრივი ლოდებისა და დიდი ზომის რიყის ქვებისაგან. ზოგიერთი ყორღანის ყრილში დადასტურებული ე.წ. ფენოვანი სტრუქტურა: ქვედა. ფენა შედგება დიდი ზომის ქვებისაგან, რომლებზედაც მიყრილია კირქვის ანატკეცები და ღორღი, ხოლო ზედა – მიწასთან შერეული საშუალო ზომის ქვებისაგან. არის შემთხვევები, როდესაც ქვედა ფენა მთლიანად დიდი ზომის ქვებითაა შედგენილი [862, გვ. 80]. ცალკეული ყორღანებისა და მათი სამარხეული კომპლექსების შესახებ დაწვრ. იხ. [861].

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთა ძვლები მრავლად აღმოჩნდა სამარხი საკნის სხვადასხვა ნაწილებსა და აგრეთვე დიდი ზომის სპილენძის ქვაბში [862, გვ. 81-83], [861, გვ. 20]. დაახლოებით მსგავსი სურათი დადასტურდა თრიალეთის სხვა ყორღანებში, რომელთაგან ზოგიერთი გამოირჩევა განსაკუთრებით მდიდრული ინვენტარით, მიუხედავად იმისა, რომ ძველადვე იყვნენ გაძარცული. ასე მაგ., VIII ყორღანში სხვადასხვა საქონლის (ხარის, ცხვრის, ღორის) უამრავ ძვლებთან ერთად აღმოჩნდა საკმაოდ მრავალფეროვანი საიუველირო ნაკეთობანი – ოქროს ბუდეში ჩასმული აქატის შესანიშნავი კულონი, ოქროს მძივები და სასაფეთქლეები, ოქროსა და ვერცხლის ორნამენტირებული ფირფიტები – ხის ნივთების გარსაკრავები და სხვ., აგრეთვე ძალზე მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი თიხის ჭურჭელი [861, გვ. 18-19, 80-83]. ან კიდევ გავიხსენოთ თუნდაც XVII ყორღანი, რომლის სამარხეული ინვენტარი შეიცავდა საიუველირო ხელოვნებისა და ტორევტიკის ისეთ დიდებულ ნიმუშებს, როგორიცაა ნაირფერი ქვებით მორთული ოქროს პოლიქრომიული თასი (სურ. 68) და რელიეფურგამოსახულებიანი ვერცხლის სარწყული, ფერადი ქვებით ინკრუსტირებული ოქროსთავიანი ვერცხლის საკინძი, ოქროს კილეტები და ხის ნივთების გარსაკრავები და ა.შ. [861, გვ. 91-98].

ამავე, ე.ი. „თრიალეთური კულტურის აყვავების“ ხანის (ტრადიციული ქრონოლოგიით ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის) გრანდიოზული ყორღანული სამარხები აღმოჩენილია აგრეთვე თრიალეთის სხვა რეგიონშიც – გომარეთის პლატოზე (ზღვის დონიდან 1300-1400 მ სიმაღლეზე), რომელსაც აგრეთვე ზურტაკეტს უწოდებენ [842, გვ. 14].[107] ზოგიერთი ყორღანის ყრილი, მთლიანად ქვისაგან ან მიწასთან შერეული ქვებისაგან შედგება. სიმაღლე აღწევს 8 მ-ს, ხოლო დმ – 100 მ-მდე. საკმაოდ შთამბეჭდავია დასაკრძალავი დარბაზების გრანდიოზულობაც. ისინი, როგორც წესი, სწორკუთხა ნაგებობებია ქვის კედლებთა[108] და ხის გადახურვით. ერთ-

[107] XVIII ს-ის დიდი ქართველი გეოგრაფოსი ვახუშტი ბაგრატიონი წერს, რომ მდ. ზურტაკეტასთან „არს დაბა დიდი გომარეთი, ვითარცა მცირე ქალაქი“, ხოლო ზურტაკეტს ათასჯერ თრიალეთის სამხრეთით: „ზურტაკეტის ჩრდილოეთ კერძოდ არს თრიალეთი“ [253, გვ. 318]. ამრიგად ვახუშტი ბაგრატიონი ზურტაკეტს სახელით იხსენიებს მხოლოდ მდინარეს (შდრ. [842, გვ. 14]).

[108] გომარეთის (ზურტაკეტის) ყორღანებში დასაკრძალავი დარბაზის კედლები მშრალი წყობითაა ამოყვანილი დიდი ზომის ქვებით, რომელთაგან ზოგიერთზე ამოკაწრულია სხვადასხვა ნიშნები: ოთხკუთხედები, სამკუთხედები, რომბები, ჰორიზონტალური ხაზები, წიწვისებური ორნამენტი, ცხოველთა (ხარი, ირემი და სხვ.) გამოსახულებანი. ფიქრობენ, რომ ამ ნიშნების ძირითადად დეკორატიული მნიშვნელობა ჰქონდათ, თუმცა არ გამორიცხავენ არც იმის შესაძ-

ერთი ყორღანის (№3) დასაკრძალავი დარბაზის სიგრძე 14,5 მ-ია, სიგანე – 10,5 მ, ხოლო სიმაღლე – 6 მ. აღმოსავლეთი მხრიდან აქვს შესასვლელი – 40 მ სიგრძის დრომოსი, რომელიც თავში 10 მ სიგანისაა, ხოლო ბოლოში – 3,8 მ. დრომოსის კედლების სიმაღლე 4 მ-მდე აღწევს. ისევე როგორც თრიალეთის ყორღანებში, აქაც ივარაუდება მიცვალებულის კრემაცია და შემდეგ დაკრძალვა ხის ეტლთან ერთად. საკმაოდ მდიდრული და მრავალფეროვანია სამარხეული ინვენტარიც, რომელიც შედგება ძალზე მრავალრიცხოვანი თიხის ჭურჭლის, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს სამკაულებისა თუ სხვა ნივთებისაგან (დაწვრ. იხ. [842, გვ. 24-38]).



სურ. 59. ორნამენტირებული კერამიკის ნიმუშები. თრიალეთური ყორღანების ადრეული ჯგუფი [804]

დაკრძალვის ასეთივე წესები მეორდება აგრეთვე თრიალეთური კულტურის ლოკალურ კერებშიც, მაგ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც – მესხეთში, სადაც აღმოჩენილია დიდი და მცირე ზომის ქვაყრილიანი ყორღანები „დასაკრძალავი დარბაზებითა“ და მრავალფეროვანი სამარხეული ინვენტარით (დაწვ. [849]).

ლებლობას, რომ ზოგიერთი აღნიშნავდა საგვარეულო ჯგუფებს ან ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს, ან შესაძლოა ცალკეულ ოსტატებს. ზოგიერთ ნიშანს აღრიცხვითი მნიშვნელობა ჰქონდა, სხვებს – რიტუალურ-მაგიური და ა.შ. ამრიგად, ივარაუდება, რომ ამ ნიშნების სახით შესაძლოა საქმე გვაქვს დაწერილობის ჩანასახთან და ეს სახეობა დაწერილობის ძირითადად თრიალეთური კულტურის ფარგლებში იყო გავრცელებული [842, გვ. 178-196].

ამრიგად, ზოგიერთი განხილული ყორღანული სამარხი წარმოგვიდგენს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარსა და II ათასწლეულის პირველ ნახევარში მცხოვრებ ტომთა სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ სტრუქტურებს. ამ ყორღანების არქიოლოგიური შესწავლის შედეგად მოპოვებული მრავალფეროვანი მასალა თვალსაჩინოდ (თუმც მაინც არა სრულად) ასახავს იმ დროს ადამიანთა სამეურნეო და საწარმოო საქმიანობის ზეაღმავალი გზით განვითარებას და ტექნიკურ-კულტურულ პროგრესს, მათ ჩვეულებს, მხატვრულ-ესთეტიკურ თვალთახედვასა და რელიგიურ-იდეოლოგიურ რწმენა-წარმოდგენებს.

სამარხებში უამრავი რაოდენობით აღმოჩენილი ძვლები სხვადასხვა საქონლისა (ხარის, ცხვრის, ღორის), რომელთა ხორცით აგრე უხვად ამარაგებდნენ თავიანთ ბელადებს იმქვეყნიურ სამყაროში „ცხოვრების“ გასაგრძელებლად, მჭერმეტყველი მოწმობაა არა მხოლოდ მესაქონლეობის ფართო მასშტაბისა, არამედ იმისაც რომ სწორედ მეურნეობის ეს დარგი იყო საფუძველი იმ აურაცხელი სიმდიდრისა, რომელმაც თავი მოიყარა თემისა თუ ტომის მეთაურთა ხელში და რომლის მხოლოდ უმცირესი ნაწილი შემოგვინახეს ყორღანულმა სამარხებმა.

ყორღანებში მოპოვებული მასალა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ხელოსნობის განვითარების საკმაოდ მაღალი დონისა და მისი სრულიად აშკარად უკვე სპეციალიზირებული ხასიათის შესახებ.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „დასაკრძალავი დარბაზები“, რომელნიც, როგორც ჩანს, იმეორებენ იმდროინდელი საცხოვრებელი სახლის ფორმას (რომელთა კვალი ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, ყოველ შემთხვევაში, თრიალეთური კულტურის განვითარების აღრეულ ეტაპზე საცხოვრებლად (ისევე როგორც სამარხებად) იყენებდნენ ხის სწორკუთხა, ძელურ სახლებს, რომელნიც შემდეგ ქვით მდიდარ ოლქებში შეიცვალა ქვის კედლიანი და ხის ძელურგადახურვიანი საცხოვრებელი ნაგებობებით ([შდრ. 672, გვ. 353-355]). თავისთავად ეს იმის მოწმობაცაა (როგორც უკვე დავრწმუნდით ყორღანების „დასაკრძალავი დარბაზების“ მაგალითზე), რომ აღგილობრივი საზოგადოების წიაღში უკვე არსებობენ პროფესიონალი „მშენებლები“ – სპეციალისტები ხითა და ქვით მშენებლობისა.[109] განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ხის დამუშავების ძალიან მაღალი ოსტატობა. ამას მოწმობს არა მხოლოდ ჯარგვალური წესით ნაგები „დასაკრძალავი დარბაზები“ და მათი შინაგანი არქიტექტურული მორთულობის დეტალები, არამედ ხის ოთხფეხიანი ურმები და ეტლები (სურ. 55). ისინი გვხვდება თითქმის ყველა ყორღანში. ეს იყო საგანგებოდ დაკრძალვის რიტუალისათვის განკუთვნილი საზეიმო-სამგლოვიარო ეტლები თუ ურმები, მაგრამ ისინი უთუოდ იმეორებდნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში ფართოდ ხმარებულ ოთხთვალა ბორბლიან საზიდრებს ([842, გვ. 75-79]. ხისგან ამზადებდნენ აგრეთვე კუბოებსა და სარეცლებს, ძვირფასი ნივთების შესანახ თუ სხვა დანიშნულების ყუთებს და კოლოფებს (ზშირად ოქროსა და ვერცხლის ორნამენტირებული ფირფიტებით რომ იყო მორთული), სხვადასხვა დანიშნულებისა და ფორმის ჭურჭელს ([802, გვ. 48]. აგრეთვე, შესაძლოა, სხვა მრავალ ნივთსაც, რომელიც სამარხებში დალპა და გაიხრწნა.

მესაქონლეობის დაწინაურებამ ხელი შეუწყო საქსოვ-სართველი ხელოსნობის განვითარებას. ყორღანებში აღმოჩენილია, მაგალითად, ზალის ძაფის ორი სახეობა – მსხვილი ბამბურა და ძალიან წვრილი, მჭიდროდ ნაქსოვი ([862, გვ. 100], [802, გვ. 75]).

კვლავ გრძელდებოდა, ჯერ კიდევ წინარე ეპოქისათვის აგრე დამახასიათებელი, ობსიდიანისა და ქვის დამუშავება. განსაკუთრებით შესანიშნავია ობსიდიანისაგან იშვიათი ოსტატობით დამზადებული ისრისპირები (სურ. 58), რომელნიც ძირითადად აღრეულ ყორღანებია მრავლად აღმოჩენილი [855, გვ. 32-33; №№42/48, ტაბ. XIII], [802, გვ. 21-22, 75, სურ. 16, 28, ტაბ. XIII], მაგრამ გვხვდება აგრეთვე უფრო გვიანდელშიც (იხ. მაგ. [862, გვ. 100, ტაბ. VI], [861, გვ. 89, № 673]; [842, გვ. 165-186]).

ბრინჯაოსაგან დამზადებული ნივთები ჩვენამდე შედარებით მცირე რაოდენობითაა მოღწეული. თითქმის ცნობილი არაა ამ დროის შრომის იარაღები. საკმაოდ იშვიათია საბრძოლო იარაღიც,[110] თუმცა ნაპოვნია ყუამილიანი ცულეფის აღმნიშველად განიხილება, სხვები – ცალკეული პიროვნების აღმნიშველად ივარაუდება [842, გვ. 143].

[110] გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ დროის სამარხებში იარაღის სიმცირე თითქოს აიხსნება ცხოვრების მშვიდობიანი პირობებითა და მოსახლეობის ნაკლებ მეომრულობით ([862, გვ. 100], შდრ. [842, გვ. 164-165]). ვფიქრობთ, ასეთი ახსნა სულ დამაჯერებელი ვერაა. რომც შესაძლებელი იყოს ლაპარაკი იმ დროის კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში „პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაციაზე“ (რასაც ჩვეულებრივ იმოწმებენ ხოლმე მკვლევარები), მაინც ვერ გამოვრიცხავთ ამ დროს ცალკეულ ტომთა შორის შეტაკებებს, ნადავლისათვის მძარცვე-

[109] ამ თვალსაზრისით უთუოდ საინტერესოა გომარეთის (ზურტაკეტის) ყორღანების „დასაკრძალავ დარბაზში“ გამოყენებულ ქვებზე ამოკაწრული ნიშნების ერთი წყება: ვერტიკალურად დაშვებული ხაზები, ჰორიზონტალური ხაზები, უკრედები, ურთიერთგადამკვეთი ხაზებისაგან შემდგარი ბადეები და სხვ., რომელთაც, როგორც ვარაუდობენ, შესაძლოა აღრიცხვის მნიშვნელობა ჰქონდეთ. მათგან ზოგიერთი ნიშანი თუ მშენებლობაში მონაწილე გარკვეული ჯგუ-

ბი, სატევრისპირები, გრძელი საძგერებელი მახვილები (რაპირა), მასრიანი შუბისპირები (იხ. [862, გვ.100], [8043, გვ. 61-69], [842, გვ. 151-156]; [855, გვ. 60-61]; [802, გვ. 75]).

ლითონის ნივთების რაოდენობრივ-სპექტრალურმა ანალიზმა ცხადყო,[III] რომ მათი უმრავლესობა სპილენძ-დარიშხანიანი შენადნობისაგანაა დამზადებული და ივარაუდება ადგილობრივ ხელოსნურ ნაწარმად. უკვე მარტყოფისა და ალაზნის ველის ყორღანებში ჩნდება ბრინჯაოს ნივთები, რომლებიც შეიცავენ კალას, თუმც მისი საბადოები საქართველოსა და კავკასიაში ცნობილი არაა. ამიტომ კალიანი ბრინჯაოს ნივთების ასეთ ადრეულ ხანაში გამოჩენა რამდენადმე მოულოდნელადაა მიჩნეული და ბუნებრივია სვამს ძალზე რთულ პრობლემას ამ ნივთების დამზადების ადგილის შესახებ. ივარაუდება, ერთი მხრივ – ამ ლითონის შემოტანა და მისი გამოყენებით ადგილობრივ ბრინჯაოს დამზადება, ხოლო მეორე მხრივ, აგრეთვე კალიანი ბრინჯაოსაგან დამზადებული ცალკეული ნივთების იმპორტი. ბრინჯაოს იმპორტულ ნივთებს მიეკუთვნება აგრეთვე თრიალეთის XVIII ყორღანში ნაპოვნი შესანიშნავი შუბისპირი, რომლის მასრა ვერცხლის სალტითაა გარშემოკრული ([862, გვ. 100], [861, გვ. 89, № 670]). ბრინჯაოს შუბისპირების (და აგრეთვე გრძელი მახვილების – რაპირების) გავრცელება თრიალეთურ კულტურაში ივარაუდება ეგეოსური სამყაროდან ძველი აღმოსავლეთის გზით ძვ.წ. XVIII ს-დან ([842, გვ. 157-162]; შდრ. [675, გვ. 131-134].

თრიალეთურ კულტურას და მის გენეტიკურ კავშირს წინამორბედ მტკვარ-არაქსულ კულტურასთან, ხოლო მასთან ერთად, ახალი ეთნოკულტურული და სტრუქტურული ელემენტების გაჩენა-განვითარებას ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ ახასიათებს კერამიკა – თრიალეთური ყორღანების ერთ-ერთი ყველაზე უფრო მასობრივი, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მონაპოვარი და აგრეთვე – ძვირფასი ლითონებისაგან (ოქროსა და ვერცხლისაგან) დამზადებული ნივთები, რომელნიც ვრცელ „სამარხ დარბაზიანი“ მონუმენტური ყორღანების ფონზე ქმნიან თრიალეთური კულტურის განუმეორებელ იერსახეს.

თრიალეთის აღრეული ყორღანებისათვის დამახასიათებელია ჯერ კიდევ ისეთი ტიპის კერამიკა, რომელიც მტკვარ-არაქსული კულტურისათვის სპეციფიკურ ელემენტებს ატარებს. ეს პირველ რიგში, ტექნიკურ თვისებებში მჟღავნდება: ამ დროისათვის უპირატესად ხელით ნაძერწი შავპრიალაზედაპირიანი და ღია ფერის (ან მოვარდისფრო) სარჩულიანი ჭურჭელია გავრცელებული. ტიპიურია მსხვილკედლიანი დიდი და საშუალო ზომის ჭურჭელი – მსხლისებური, მომრგვალებული ან კვერცხისებური მოყვანილობის ტანით, ან კიდევ თავისებური ბიკონუსური ფორმის. ეს კერამიკა, რომელიც გენეტიკურადაა დაკავშირებული წინამორბედ ეპოქის („მტკვარ-არაქსის“ კულტურის) თიხის ჭურჭლის ფორმებთან, თანდათანობით იძენს ახალ, სპეციფიკურ ნიშნებს და ხდება თრიალეთური კულტურის ერთ-ერთი განმასხვავებელი კომპონენტი. მეორე ჯგუფს ქმნის მცირე ზომის ჭურჭელი – ცილინდრული ან ორყურა, სფეროსებური ან ჯამისებური ფორმისა. გვხვდება ბიკონუსური მოყვანილობის ჭურჭელი. აღრეული ყორღანების კერამიკის ეს ჯგუფი კარგად განლექილი თიხისგანაა დამზადებული (კეცი რბილია და „თხუპნია“) და გამოირჩევა კარგად, თითქმის ლითონისებურ ბზინვარებამდე, გაპრიალებული ზედაპირითა და თითქოს იმეორებს კიდეც ლითონის ჭურჭელს. ამ ტიპის თიხის ჭურჭელი შუა ბრინჯაოს სტადიის ყორღანებშიცაა წარმოდგენილი. ამიტომაც ვარაუდობენ, რომ ისინი ასახავენ ორი ქრონოლოგიური ჯგუფის – აღრე და შუა ბრინჯაოს ეპოქების – ყორღანების კულტურის ცალკეული ელემენტების გენეტიკურ ურთიერთკავშირებს. ამასვე მოწმობს აღრეული ჯგუფის ყორღანების თიხის ჭურჭლის ორნამენტი, რომელიც შემდეგ ფართოდ ვრცელდება შუა ბრინჯაოს ხანაშიც (სურ. 60-62). ასეთებია მეანდრის, შევრონებისა თუ სხვ. გრავირებული და გაპრიალებული გეომეტრიული სახეები, აგრეთვე – რელიეფური ამოზნექილ-ამობურცული თუ ჩაზნექილი და ღარისებური ორნამენტი: სპირალი, კონცენტრული წრეები და ნახევარწრეები, ვერტიკალური თუ ჰორიზონტალური ზაზები და ა.შ. საკმაოდ დამახასიათებელია გრავირებული და რელიეფური ორნამენტის ურთიერთთან შეთანხმება, ან კიდევ – წვრილღარღვანი და ჩაღრმავებულ-წერტილოვანი ელემენტებისა ლათინური Z ასოს მოყვა-

---

ლურ ლაშქრობებსა და სხვ., რაც აუცილებლად საჭიროებდა საიერიშო და თავდასაცავ იარაღს.

[III] ალაზნის ველის ყორღანების ლითონის ნივთების ანალიზის შედეგები იხ. [855, გვ. 61]. აქ კი მოვიტანთ მარტყოფისა და სხვა აღრეულ ყორღანებში ნაპოვნი ლითონის ნივთების ანალიზის შედეგებს, რომელიც გადმოგვცა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ინტეგრალისეპარატორული კვლევის სექტორის ხელმძღვანელმა, ლითონმცოდნეობის სპეციალისტმა გ. ინანიშვილმა: „გამოიყოფა შენადნობის სამი სახეობა: 1. დარიშხანიან-ანთიმონიანი (შესწავლილი ნივთების საერთო რიცხვის 60%), მალეგირებელი ელემენტის მაღალი შემცველობით (3,0 + 12%); 2. კალიანი ბრინჯაო (30%) კალის საკმაოდ მაღალი შემცველობით (5 + 15%), ტყვიისა და თუთიის დანამატებით; 3. წმინდა სპილენძისაგან ყოველგვარი სხვა ელემენტების გარეშე დამზადებული ნივთები. შენადნობის წამყვანი ტიპია დარიშხანიანი ბრინჯაო, რომელიც აგრძელებს დარიშხანიანი სპილენძის ათვისების აღრეული ეტაპის ტრადიციებს. კალიანი ბრინჯაოს ნივთები დამზადებულია აღგილობრივი სპილენძის მადნის გამონადნობითა და მასში იმპორტული კალის დანამატებით“.

ნილობის გრავირებულ სახეებთან [804, გვ. 18-24].



სურ. 60. კერამიკის ნიმუშები. შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთური ყორღანების I ჯგუფი [804]

შუა ბრინჯაოს სტადიის კერამიკაში წამყვანი ადგილი უკავია შავპრიალა დაბალყელიან და მომრგვალებულტანიან დიდი ზომის ჭურჭელს. ორნამენტი საკმაოდ მრავალფეროვანია: ჩაზნექილ-ამობურცული (სპირალი, ირიბი ხაზები), რელიეფური, ნაკეთი, ნატვიფრი. ჩნდება ორნამენტის დატანის ახალი წესიც – პუნქტირული სავარცხლისებური შტამპით (სურ. 60-63).



სურ. 61. კერამიკის ნიმუშები. შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთური ყორღანების II ჯგუფი [804]

თრიალეთური კულტურის აყვავების პერიოდში წამყვანია შავპრიალა კერამიკა, მაგრამ გვხვდება მოხატული ჭურჭელიც (თუმც რაოდენობრივად ის საკმაოდ ჩამორჩება შავპრიალას). განსაკუთრებით ტიპიურია ქვევრისებური და ჰიდრიისებური დიდი ზომის კვერცხისებურტანიანი ჭურჭელი. ჩნდება შავპრიალა და მოხატული ჯამები.



სურ. 62. კერამიკის ნიმუშები. შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთური ყორღანების III ჯგუფი [804]

შავპრიალა კერამიკაზე ჩვეულებრივ გვხვდება გაპრიალებული ან გირჩისებური ორნამენტი, ზოგჯერ კი ორივე სახეობაა ერთმანეთის გვერდით წარმოდგენილი. კვლავინდებურად გამოიყენება რელიეფური, ნაკეთი და წერტილოვან-სავარცხლისებური შტამპით გამოყვანილი ორნამენტი. აღრეული ჯგუფისათვის აგრე დამახასიათებელი შევრონული ნახატი, რომელიც იმ დროისათვის მხოლოდ გრავირების ტექნიკით იყო შესრულებული, ამჯერად უკვე უპირატესად მოხატვითაა გამოყვანილი (სურ. 64-65).

მოხატული კერამიკა, რომელიც უკვე ძვ.წ. XVIII და XVII სს-ით დათარიღებულ ყორღანებში ჩნდება, ხასიათდება ღია ფერის ანგობირებულ ზედაპირზე წაბლისფერი მოხატულობით. შემდგომ პერიოდში კი უფრო ტიპიურია მუქი წითელი ფერის ფონზე შავი ფერით გამოყვანილი ნახატი. განსაკუთრებით ტიპიურია და ხშირი შევრონები და ტალღისებური ხაზები.

თრიალეთური ყორღანების მოხატული კერამიკის წარმოშობის საკითხი საკმაოდ რთულია. მიუხედავად იმისა, რომ სავსებით აშკარაა მოხატული კერამიკის ორნამენტული მოტივების (შევრონები, ზიგზაგები, მეანდრი, სვასტიკა) სიახლოვე თანადროულ შავპრიალა და უფრო ადრინდელ ადგილობრივ კერამიკასთან, მოხატული კერამიკის მთლიანად ადგილობრივად მიჩნევა მაინც ძალზე სათუოა. და თუ შემდგომი კვლევა-ძიებით ამ კერამიკის ადგილობრივ დამ-

ზადება დოკუმენტურადაც დამტკიცდება, თრიალეთურ კულტურაში მოხატული კერამიკის გავრცელება მაინც წინააზიური კულტურული გავლენის შედეგად უნდა მივიჩნიოთ. და არა მხოლოდ მოხატულ კერამიკაში, არამედ შავპრიალა კერამიკის ძირითად მასაშიც გამოირჩევა, ერთი მხრივ, წინამორბედი ე.ი. მტკვარ-არაქსული კულტურის კერამიკასთან გენეტიკურად დაკავშირებული ჭურჭლის ფორმები და ორნამენტაცია, ხოლო მეორე მხრივ – გარეგანი იმპულსების გავლენით შექმნილი ახალი ტიპები. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც შეიმჩნევა ძველი და ტიპოლოგიურად ახალი ელემენტების ურთიერთთან შეთანხმება თუ ახალი მოტივების ადგილობრივ ყაიდაზე გარდაქმნა-გადამუშავება [862, გვ. 84-87]; [804, გვ. 17-24; 39-43; 52-60; 79-80; 85-92]; [844, გვ. 80-150]; [855, გვ. 67-68]; [802, გვ. 18-19, 49-74].



სურ. 63. კერამიკა ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის თრიალეთური ყორღანებიდან [804]

თრიალეთური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კომპონენტია ძვირფასი ლითონების მხატვრული დამუშავება და საერთოდ საიუველირო ხელოვნება, რომელიც ძველაღმოსავლური კულტურის საერთო მიღწევების გავლენით აღმოცენდა და განვითარდა.

უკვე ადრეული ჯგუფის ყორღანებში ვხვდებით ჩვენ ოქროს ნაკეთობებს, უპირატესად კი სამკაულს. ესაა ნაირსახოვანი მძივები (ბიკონუსური, ჩაჭყლეტილ-სფერული, სირჩისებური), მილაკები, საკინძები (ვოლუტებიანი თავით, მსხლისებურთავიანი, ორწილადი). გვხვდება აგრეთვე ოქროს ფირფიტები – ხისგან დამზადებული ნივთებისა და არქიტექტურული დეტალების გარსაკრავები [855, გვ. 36-42], [802, გვ. 74].



სურ. 64. წითელ ფონზე მუქი ფერით მოხატული ქვევრი თრიალეთის ყორღანიდან. ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი [862]



სურ. 65. შავ ფონზე წითელი ფერით მოხატული ქვევრი თრიალეთის ყორღანიდან. ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი [862]

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 66. ლომის ქანდაკება. ოქრო. წნორის ყორღანი. ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრული [855]

ცალკეული ყორღანების სამარხეული ინვენტარის მიმოხილვისას უკვე მოვიხსენიეთ ოქროსა და ვერცხლის ზოგიერთი განსაკუთრებით მაღალმხატვრული ნაკეთობანი. საზეიმო ხელოვნების ერთ-ერთი აღრეული ნიმუშია, ზემოთ უკვე ხსენებული, ოქროს სხმული ლომის მინიატურული ქანდაკება (5,2 სმ სიგრძისა და 2,8 სმ სიმაღლისა), სტილიზებულად გადმოცემული ფართო, რელიეფური სარტყლით, ცრუგავარსის ტექნიკით გამოყვანილი წერტილებითა და მეანდრის (ე.ი. ტეხილხაზოვანი) ორნამენტით, რომელიც ფაფრის იმიტაციას ქმნის (სურ. 66). ალაზნის ველზე სოფ. წნორთან გათხრილ მონუმენტურ ყორღანში ნაპოვნი ეს ქანდაკება ზოგადად ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება და ლომის ასეთი აღრეული ხანის გამოსახულებათა შორის მას ჯერჯერობით ანალოგი არ ეძებნება ([864, გვ. 9], [855, გვ. 42-43, 65-66], [858, გვ. 32], [883, გვ. 42]).



სურ. 67. ოქროს საკინძი. ბედენი. ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარი [802]

აღრეულ ყორღანებში აღმოჩენილ სამკაულებს შორის განსაკუთრებით ტიპიური ჩანს საკინძები, რომელნიც ორვოლუტიანი თავითაა დამშვენებული (სურ. 67). ასეთი ოქროს საკინძებია (ორნამენტირებული) ბედენსა [802, გვ. 76, 81-85] და თრიალეთში [861, გვ. 56, № 328], ხოლო ვერცხლისა – წნორის ერთ-ერთ ყორღანში [855, გვ. 40]. მათ პროტოტიპებად მტკვარ-არაქსის კულტურაში გავრცელებულ საკინძებს მიიჩნევენ [804, გვ. 70-71].



სურ. 68. პოლიქრომიული ოქროს თასი. თრიალეთის ყორღანიდან. ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისი [862], [839].

ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის ოქრომჭედლობის დიდებული ნიმუშია ოქროს თასი (7,3 სმ სიმაღლისა; ზედა ნაწილის დ ϕ 4,5 სმ-ია), რომელიც მთლიანად ფერადი (წითელი და ცისფერი) ქვებითა და პლიკაციებითაა მორთული (სურ. 68). იგი დამზადებულია მთლიანი ფურცლოვანი ოქროსაგან და აქვს ორმაგი კედლები. დამზადების ტექნიკა საკმაოდ რთულია და საინტერესო: თრიალეთის ოქროს თასი დამზადებულია საზარატო გასაწნეზე ჩარხზე გაწნევის გამოყენებით – ჯერ ქვემოდან ზემოთ, ხოლო შემდეგ – ზემოდან ქვემოთ ძირამდე (დაწვრ. იხ. [808, გვ. 20-24]). ფერადი ქვები ჩასმულია წნული მავთულით მოჩარჩოებულ მრგვალ ბუდეებში. ასევე მავთულითაა მოჩარჩოებული ბორდიური და სპირალისებური ვოლუტები, რომელნიც ქმნიან ძირითად დეკორს ამ სრულიად უნიკალური თასისა, რომელიც გამოირჩევა დამზადების განსაკუთრებით მაღალი ოსტატობით, იმ დროისათვის ურთულესი ტექნიკური ხერხების გამოყენებით (ლითონის წნევით დამუშავება, მირჩილვა, მხატვრულ-ორნამენტიანი ნაწილების დამზადება, ფერადი თვლებით მორთვა და სხვ.), ნატიფი პროპორციებითა და თასის ფორმასთან ინკრუსტირებული ზედაპირის მოხდენილი შეხამებით (დაწვრ. იხ. [862, გვ. 92-93], [839, გვ. 52-58]. შდრ. [879, გვ. 75-76]).

ოქრომჭედლობა განვითარების უმაღლეს დონეს აღწევს ყორღანული კულტურის შუაბრინჯაოს სტადიაზე, განსაკუთრებით კი – ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ მეოთხედში. გარდა ზემოაღწერილი თასისა, სწორედ ამ ხანისაა სამარხებში აღმოჩენილ ოქროს ნაკეთობათა უმრავლესობა, რომელთა შორის გვხვდება მხატვრული ხელოსნობის თვალსაჩინო ნიმუშები [862, გვ. 92-94], [842, გვ. 269-270]. დავასახელებ მხოლოდ ზოგიერთს.

ოქროს ინკრუსტირებულ ნაკეთობათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდებული ყელსაბამი, რომელიც შედგენილია ოქროს სფეროსებრი მძივებისა (ფერადი ქვებითა და გავარსით რომაა გაწყობილი) და აქატის კულონისაგან[12] (სურ. 69). ჰოლიქრომიული ოქრომჭედლობის ამ შესანიშნავ ნიმუშს კარგა ხანია უკვე ადარებენ ურის ცნობილ კულონს [862, გვ. 94], [804, გვ. 76], [879, გვ. 74], [839, გვ. 76-79].



სურ. 69. ოქროს ყელსაბამი თრიალეთის ყორღანიდან. ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი [862], [839].

პოლიქრომიული მორთულობით გამოირჩევა აგრეთვე ვერცხლის საკინძებიც [862, გვ. 93; ტაბ. XCVII]. ასე რომ ინკრუსტაციის ტექნიკა მხოლოდ ოქროს სამკაულის მოსართავად არ გამოიყენებოდა. აღსანიშნავია, რომ ფერადი ქვებით გაწყობილ ფირფიტებს ხშირად ხის ნივთების გარსაკრავებადაც იყენებდნენ. გომარეთის (ზურტაკეტის) ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩენილია ბრინჯაოს ყურიანი ხის კოლოფი. შემორჩენილია ოქროს ტიხრები, რომელნიც ოდესღაც მორთული ყოფილა სამკუთხა მოყვანილობის სხვადასხვა ზომის თეთრი ქვებითა და სარდიონით [842, გვ. 170, ტაბ. XI, სურ. 10].



სურ. 70. ოქროს შტანდარტის ნაწილები. თრიალეთის XV ყორღანიდან. ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი [862], [839].

ვერცხლის ნაკეთობათაგან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თრიალეთის ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებულ ყორღანებში აღმოჩენილი ორი დიდებული ნივთი – რელიეფური გამოსახულებით მორთული თასი და სარწყული.

თასი (10,8 სმ სიმაღლისა და 9,9 სმ დიამეტრისა) ვერცხლის ერთი მთლიანი ფურცლისაგანაა გამოჭედილი [808, გვ. 17-19]. იგი ძირისკენ რამდენადმე შევიწროვებული ცილინდრის ფორმისაა და ბოლოვდება დაბალი ფუძე სადგარით – ფეხით (სურ. 71). გარე მხრიდან თასი შემკულია დეკორატიულ სარტყლებად განლაგებული რელიეფური ჭედური გამოსახულებებით. ზედა სარტყელზე წარმოდგენილია 17 ოთხკუთხედი, რომელნიც ირიბი პარალელური ხაზებითაა დაშტრიხული (გარკვეული მონაცვლეობით). ქვედა სარტყელზე ლოტოსისმაგვარი ფოთლებით შედგენილი ვარდულის გამოსახულებაა. ამ ორ სარტყელს შორის მოთავსებულია ჭედურგამოსახულებიანი ორი ფრიზი. ზედა ფრიზზე გამოსახულია საზეიმო თუ სარიტუალო მსვლელობა მოკლე კვართში გამოწყობილი კუდიანი ფიგურებისა, ხელში რომ მაღალი თასები უკავიათ.[13] ისინი მიემართებიან

[12] გამოთქმულია მოსაზრება, რომ აქატის კულონი თავდაპირველად სფერული მძივებით შედგენილი ყელსაბამის ნაწილი კი არ იყო, არამედ წარმოადგენდა სხვა სამკაულის ელემენტს [839, გვ. 78-79].

[13] საინტერესოა, რომ ამ ფორმის თიხის თასები აღმოჩენილია თრიალეთში (სურ. 80), ოღონდ უფრო

უზურგო ტახტზე მჯდომი ფიგურისაკენ, რომელიც ისეთსავე ტანისამოსშია გამოწყობილი და ხელთ უპყრია იმგვარივე თასი (ოღონდ უფრო მცირე ზომისა). მის ზურგს უკან ხის სტელიზებული გამოსახულებაა,[14] ხოლო წინ – სამფეხა სარიტუალო ჭურჭელია, ერთი პატარა ჭურჭელი და აგრეთვე ორი მწოლიარე ცხოველი.

ქვედა ფრიზზე ასევე რელიეფური გამოსახულებაა 9 ირმისა: ერთმანეთის მონაცვლეობით რქადატოტვილი ხარ-ირემი და თავაწეული ფურ-ირემი.



სურ. 71. ვერცხლის თასი თრიალეთის V ჯორღანიდან. ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისი [862].

ამ თასის საგანგებოდ შემსწავლელნი ხაზგასმით აღნიშნავენ მის მაღალმხატვრულ ღირსებებს, როგორიცაა რელიეფური ფიგურებისა და ორნამენტული გრაფიკული დეკორის ჰარმონიული ურთიერთშეთანხმება, დეკორატიული და სიუჟეტური სარტყლების რიტმულობა (რაც ძირითადი ელემენტების სიმეტრიული განმეორებებითაა მიღწეული), ზედაპირის დამუშავების ტექნიკური წესების მდიდარი არსენალი, რის მეშვეობითაც ოსტატმა შეძლო მიეღწია შუქ-ჩრდილების პლასტიკური ეფექტისა და განაწილებისათვის და სხვ. [839, გვ. 11-29].

თრიალეთური თასის მხატვრულ-სტილისტიკური და სიუჟეტურ-იკონოგრაფიული თვალსაზრისით კავკასიისა და ძველი აღმოსავლეთის (კერძოდ, ხეთურ-ხურიტული წრის) ძეგლებთან შედარებისას ზოგიერთ აშკარად მსგავს მოტივებთან (მოკლე კვართი, ჭვინტიანი ფეხსამოსი, პროცესიის სცენა) ერთად, საკმაოდ იჩენს თავს რიგი თავისებურებებისა, რომელთაც ანალოგი არ ეძებნებათ. ამის საფუძველზე მკვლევართა უმრავლესობა ამ თასს ადგილობრივ ნაწარმად მიიჩნევს (დაწერ. [839, გვ. 17-29]).

ძალზე რთულია ინტერპრეტაცია თასზე წარმოდგენილი სიუჟეტური გამოსახულებისა, რომელიც უთუოდ საკულტო-სარიტუალო შინაარსისაა. გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრებანი. ცნობილი ხეთოლოგის პ. შუმაკოვის აზრით, პროცესიის მონაწილეებს თხუნელას ნიღბები და მელიის კუდები აქვთ, ხოლო მთლიანად კი გამოსახულება შესრულებულია ხეთურ სტელში და განასახიერებს გაზაფხულისა და მარადიული განახლების ღვთაების – ტელეპინუს – კულტისადმი მიძღვნილ რიტუალურ სცენას [872, გვ. 111]. აკად. ბ. კუფტინი თვლიდა, რომ სარიტუალო მსვლელობის მონაწილეებს აქვთ მგლის კუდები და ამის საფუძველზე მას მგლის ტოტემის არსებობას უკავშირებდა, ხოლო ტახტზე მჯდომარე ფიგურას განიხილავდა ტყისა და ცხოველთა სამფაროს გამგებელ ღვთაებად [862, გვ. 89-92]. დაახლოებით ასეთსავე აზრს ავითარებდა ცნობილი ქართველი ფოლკლორისტი მ. ჩიქოვანი, მაგრამ, მისი აზრით, ფიგურებს დათვის ნიღაბი ჰქონდათ და, შესაბამისად, აქ საქმე გვაქვს დათვის ტოტემის გამოვლინებასთან [379]. აკად. შ. ამირანაშვილი ვარაუდობდა, რომ ფრიზზე წარმოდგენილია საზეიმო მისტერია ქურუმთა მონაწილეობით, ხოლო ტახტზე მჯდომარე ფიგურა წარმოსახავდა ხეთურ ღვთაება ტელეპინუს, რომელსაც უკავშირდება სვანეთში შემორჩენილი ღვთაება ტულეპია-მელიის კულტი [419, გვ. 30-31]. ეთნოგრაფი ვ. ბარდაველიძე თრიალეთური თასის გამოსახულებაში ხედავდა იმ უძველესი რელიგიური წარმოდგენების ასახვას, რომელნიც მგლის კულტის საფუძველზე ვითარდებოდა [376, გვ. 95-109] და ა.შ. დაბოლოს, უკანასკნელ ხანებში გამოითქვა კიდევ ერთი საინტერესო და ყურადსაღები მოსაზრება: თასზე გამოსახულია პროცესიის რიტუალი, როდესაც უზურგო ტახტზე მჯდომი დედოფლის წინ გაიელიან „ცხოველური“ ადამიანები ან „ცხოველური ხალხი“ (რასაც მოწმობს პროცესიაში მონაწილეების ცხოველთა ნიღბები და მათი კუდები). ამგვარი რიტუალები ე.წ. „ცხოველური ხალხის“ („მგლის“, „ლომის“ თუ „ძაღლის“ ხალხის) მონაწილეობით აღწერილია ხეთური ტექსტებში. ეს რიტუალები უკავშირდება სიცოცხლისა და ბუნების განახლების, ე.ი. სიკვდილ-სიცოცხლის ბრუნვის ციკლის საგაზაფხულო დღესასწაულებს. ხეთური ტექსტების მიხედვით ამ რიტუალში მონაწილეობენ ირმებიც (რომელნიც აგრეთვე გამოსახული არიან თრიალეთურ ვერც-

---

გვიანი ხანის სამარხებში (შდრ. [862. გვ. 66, სურ. 66, ტაბ. LIII]).

[14] თითქმის ყველა მკვლევარი მას „სიცოცხლის ხეს“ უწოდებს. თუმც ძველი აღმოსავლეთის მითოლოგია ასეთ ხეს არ იცნობს. ეს ტერმინი ბიბლიური წარმოშობისაა. ამიტომ ვარაუდობენ, რომ თრიალეთის თასზე გამოსახულია – სიუხვისა და ძლიერების სიმბოლო. [799, გვ. 140-141, 148].

ხლის თასზე). ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ვარაუდობენ ორივე ფრიზზე წარმოდგენილ გამოსახულებათა სიუჟეტურ ერთიანობას, რომელსაც ხეთურ-ხურიტული წარმოშობის მითოლოგიური ციკლი ასაზრდოვებდა [799].

საკულტო შინაარსი ჰქონდა, უთუოდ, ვერცხლის სარწყულზე წარმოდგენილ გამოსახულებასაც. თვითონ სარწყულა (15,5 სმ სიმაღლისაა) წაკვეთილი კონუსისებური მოყვანილობისაა. მექანიკურად შეკრული გვერდების ნაწიბურები ოქროს წნულითაა დაფარული. ოქროს რგოლი გასდევს ძირისა და გვერდების შემაერთებელ ხაზს, ხოლო პირის კიდეზე ოქროს ფირფიტაა გადმოკეცილი [862, გვ. 87-88, ტაბ. LXXXIII]. სამწუხაროდ, იგი ჩვენამდე ძალზე დაზიანებული სახითაა მოღწეული. შემორჩენილია მცენარეთა და სხვადასხვა ცხოველთა (ირმების, თხების, ჯეირანის, ქურციკის) რელიეფური გამოსახულებანი. ზემოაღწერილი თასისაგან განსხვავებით აქ გამოსახულებები სარტყლებად კი არაა განლაგებული, არამედ მთელ ზედაპირზეა განაწილებული. ცხოველთა ფიგურები სხვადასხვა ზომისაა. ისინი ჯგუფებადაა წარმოდგენილი: ხესთან ან ერთმანეთის მომზირალნი. გვხვდება ცალკე მდგარი ცხოველის გამოსახულებაც. ფრაგმენტულობის გამო საერთო კომპოზიციის დადგენა ვერ ხერხდება. მაინც თვალსაჩინოა ცხოველთა გამოსახვის რეალისტური მანერა, ცალკეული დეტალების გულმოდგინე დამუშავება და სინატიფე, მთელი კომპოზიციის დინამიურობა, სხვადასხვა ფერის მასალის (ვერცხლი, ოქრო) ურთიერთთან ოსტატურად შეხამება. ამიტომაცაა ეს სარწყულა ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის ტორევტიკის ერთ-ერთ ბრწყინვალე ნიმუშად აღიარებული [839, გვ. 29-37]. ამასთან ერთად, ცხოველთა რელიეფურ გამოსახულებებში, შუქ-ჩრდილების ეფექტურ განაწილებაში, ცალკეულ სიუჟეტურ დეტალებში (მაგ. ირმის თემა) და იკონოგრაფიაში (ხის გამოსახულება) თვალნათლივ მჟღავნდება ზემოთ განხილულ ვერცხლის თასსა და ამ სარწყულის გამოსახულებათა შორის არსებული მხატვრულ-სტილისტური სიახლოვე. ამიტომაც ვერცხლის სარწყულა და თასი თუმც სხვადასხვა დროსაა,[115] მაინც ორივეს განიხილავენ როგორც მხატვრული ხელოსნობის ადგილობრივი სკოლის ორიგინალურ ნაწარმს, ისევე როგორც შტანდარტის ოქროს ხუფს (სურ. 70), რომელზედაც გამოსახულია ორმაგი ვოლუტები, მეანდრი და ხახადაღებული ლომები [862, გვ. 98, ტაბ. C], [839, გვ. 40-41, ტაბ. XX].

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ე.წ. თრიალეთის კულტურის არეალში აღმოჩენილი მონუმენტური ყორღანული სამარხები შეიცავენ ფუნქციონალური თვალსაზრისით უაღრესად მდიდარსა და მრავალფეროვან ოქროსა და ვერცხლის ნივთებს. მათ ახასიათებთ დამზადებისა და დეკორირების უაღრესად რთული ტექნიკა: ლითონის პლასტიკური დამუშავებისთვის სახარატო ჩარხის ფართოდ გამოყენება, ლითონის წნევით დამუშავება, ფურცლოვანი ნამზადიდან ღრუტანიანი ნაკეთობის დამზადება, მხატვრულ-ორნამენტიანი ნაწილების (გავარსი, წნული) მირჩილვა, ფერადი ქვებით ინკრუსტაცია და ა.შ. [808, გვ. 17-24]. მასთან ერთად, თითქმის მთელი ათასი წლის მანძილზე – მარტყოფისა და ბედენის ტიპის ყორღანების დროიდან დაწყებული და თრიალეთური კულტურის ფინალური სტადიით დამთავრებული, ჩვენ ვხედავთ სულ სხვადასხვა დანიშნულების ნივთების გასაოცარ მხატვრულ-სტილისტურ ერთიანობას. ასე მაგ., აგრე დამახასიათებელი ორნამენტული მოტივი, როგორიცაა ე.წ. სპირალისებური ვოლუტი, წარმოდგენილია ოქროს საკინძებზე, ინკრუსტირებულ თასზე,[116] შტანდარტის ხუფზე, ხის დასაკრძალავი ეტლის გარსაკრავზე და ა.შ. ფერადი ინკრუსტაციით (წნული მავთულითა თუ გავარსით მოჩარჩოებულ ბუდეებში ჩასმული ნაირფერი ქვებითა და გამჭვირვალე მინის მასით) არის მორთული ოქროს თასი, საკინძები და მძივები. ცვარათი გამოყვანილი სამკუთხედები, სპირალი თუ სხვა გეომეტრიული სახეები ამკობს ოქროს მძივებს, საკინძებს, მედალიონებსა თუ სხვა სამკაულს. სწორედ ეს მხატვრულ-სტილისტური ერთიანობა იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ ვივარაუდოთ არსებობა ოქრომჭედლობის ადგილობრივი სკოლისა, რომელმაც უკვე ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულსა და II ათასწლეულის პირველ ნახევარში მიაღწია განვითარების ძალიან მაღალ დონეს. ასეთი ერთიანობა მჟღავნდება არა მხოლოდ ოქრომჭედლობაში, არამედ მატერიალური და სულიერი კულტურის სხვა ელემენტებშიც, მაგ. დაკრძალვის წესებში, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ კი – კერამიკაში, რომლის მორთულობა აგრე დიდ სიახლოვეს ავლენს ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობასთან. გავიხსენოთ თუნდაც ე.წ. სპირალისებური ვოლუტის ორნამენტი, რომელიც სათავეს მტკვარ-არაქსის კულტურაში იღებს, ან კიდევ კერამიკაზე ფართოდ წარმოდგენილი მოტივი – ირიბი პარალელური ხაზებით დაშტრიხული ოთხკუთხედები, რომელიც მეორდება თრიალეთური ვერცხლის თასის ზედა ორნამენტირებულ სარტყელზე (სურ. 71) და სხვ. სწორედ ასეთი რიგი, კულტურის, როგორც სისტემის, განმსაზღვრელი და დამახასიათებელი ელემენტებისა, რომელიც წინამორბედი ხანის „მტკვარ-არაქსის“ კულტურაში იღებს სათავეს, საფუძველს აძლევს მკვლევარებს ამტკიცონ თრიალეთური კულტურის ადგილობრივი (ამიერკავკასიური) წარმოშობა (დაწვრ. იხ. [804, გვ. 79-94]). ამ მო-

---

[115] სარწყულა აღმოჩენილია XVII ყორღანში, რომელიც უფრო ადრეულადაა მიჩნეული, ვიდრე V ყორღანი, სადაც თასია ნაპოვნი ([862, გვ. 88]; [804, გვ. 95]).

[116] ჯერ კიდევ აკად. ბ. კუფტინმა მიაქცია ყურადღება, რომ ე.წ. სპირალური ვოლუტის მოტივი წარმოდგენილია აგრეთვე ოქროს თასთან ერთად იმავე სამარხში ნაპოვნ მოხატულ ჭურჭელზე და ეს ფაქტი მიიჩნია „თასის ადგილობრივ დამზადების ერთ-ერთ აშკარა მოწმობად“ [862, გვ.92-937].

საზრების ერთ-ერთ საბუთად ასახელებენ აგრეთვე ყორღანული კულტურის აღრეული ჯგუფის (მარტყოფის, ბედენის) ძეგლებს, რომელნიც ასახავენ გარდამავალ ეტაპს აღრებრინჯაოს კულტურის ფარგლებში.

თრიალეთური კულტურის ძირითადი ელემენტების ადგილობრივი წარმოშობის ფაქტის კონსტატაციასთან ერთად, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში სავსებით სამართლიანადაა აღიარებული, რომ რიგ შემთხვევებში ძალზე ძნელია თვალი გავადევნოთ თრიალეთური კულტურის ზოგიერთი ელემენტის „მტკვარ-არაქსის“ კულტურის წიაღიდან აღმოცენებასა და ევოლუციას. კერამიკაშიც, საიუველირო ნაწარმსა და, რაც მთავარია, დიდ ყორღანებში კრემაციული დაკრძალვის რიტუალში საკმაოდ თვალსაჩინოდ მყოვნდება წინააზიური სამყაროს გავლენა, რაც არაერთგზის აღუნიშნავთ კიდეც სპეციალისტებს თრიალეთური კულტურის ძეგლთა უკვე პირველივე აღმოჩენებისთანავე [862, გვ. 79-100]; დაწვრ. კი იხ. [804, გვ. 79-94]. ძვ.წ. III-II ათასწლეულების ყორღანებში აღმოჩენილი ცალკეული ნივთები საკმაოდ ზნირად პირდაპირ ანალოგიებს პოულობენ ამიერკავკასიის სხვა რეგიონებსა და წინა აზიის (სირია, ირანი, მესოპოტამია, მცირე აზია), თუ ეგეოსური სამყაროს არქეოლოგიურ კომპლექსებში (დაწვრ. [804, გვ. 79-94], [675, გვ. 105-136]). ივარაუდება, რომ ცალკეული ახალი ელემენტის გაჩენა გარე სამყაროსთან ცხოველი ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის, აგრეთვე თრიალეთური კულტურის არეალში წინააზიური (ხეთური, ხურიტული) ეთნოკულტურული ტრადიციების მატარებელ ტომთა მიგრაციის შედეგია [804, გვ. 79, 107]. აქ ჩვენს წინაშე დგება მეტად რთული საკითხი, რომელზეც ძალზე ძნელია პირდაპირი თუ დამაჯერებელი პასუხის გაცემა. ესაა თრიალეთური კულტურის შემქმნელ ტომთა ეთნიკური ვინაობის საკითხი. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მრავალი, ხშირად ერთმანეთის გამომრიცხავი და ურთიერთის საპირისპირო ჰიპოთეზა. კავკასიოლოგების უმრავლესობა (სხვადასხვა არგუმენტაციით) თვლის, რომ თრიალეთური კულტურა აღგილობრივი, წინამორბედი, ე.ი. მტკვარ-არაქსის, კულტურის საფუძველზე აღმოცენდა, მაგრამ განიცადა ძველაღმოსავლური კულტურის ძლიერი გავლენა (დაწვრ. [804, გვ. 11-13 და იქ დასახ. ლიტ.]). სხვა მკვლევარები კი მთლიანად უარყოფენ თრიალეთური კულტურის განვითარებაში რაიმე აგგილობრივ საფუძველს. ასე მაგ. ცნობილი ინგლისელი არქეოლოგი ჩარლზ ბარნეი ამტკიცებდა, რომ თრიალეთური კულტურა გაჩნდა სრულიად უეცრად, წინამორბედ კულტურასთან ყოველგვარი გენეტიკური კავშირის გარეშე, ერთმანეთთან იმ ორი სხვადასხვა ელემენტის შერწყმის შედეგად, რომელთაგან ერთი ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოიჭრა, ხოლო მეორე – ჩრდილოეთ ირანიდან [790, გვ. 176-178].

ამერიკელი არქეოლოგის ლეონარდ ვულის თეორიის თანახმად [852], მტკვარ-არაქსის კულტურის შემქმნელი ტომები ე.წ. „მასობრივი მიგრაციების პერიოდში“ ამიერკავკასიიდან გადასახლდნენ, ხოლო მათი აღრინდელი აღგილსამყოფელი დაიკავეს ჩრდილოეთიდან მოსულმა ინდოევროპელებმა. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სტეპებიდან შემოჭრილ ინდოევროპელებს მიაწერს პირველ მონუმენტურ ყორღანებს ამერიკელი მეცნიერი ჯონ მელაარტიც [880]. მაგრამ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩრდილოეთიდან – შავიზღვისპირეთსა და სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან, ინდოევროპელთა მომძაობა და შემოჭრა ამჟამად საერთოდ ძლიერი ეჭვის ქვეშაა ინდოევროპელთა პირველბინადრობის შესახებ ახალი თეორიის შუქზე (იხ. [171]).

ისტორიკოს გ. მელიქიშვილის აზრით, თრიალეთური კულტურის შექმნა უკავშირდება ჩრდილო-დასავლეთ ირანიდან ხურიტული ტომების ექსპანსიას [148, გვ. 199].

არქეოლოგი ო. ჯაფარიძე თვლის, რომ თრიალეთური კულტურა შეიქმნეს საერთო-ქართველური (პრაქართველური) ენობრივი სისტემის პირველი დიფერენციაციის შედეგად წარმოქმნილმა ქართ-ზანური (ანუ ქართ-კოლხური) ენობრივი ერთობის მატარებელმა ტომებმა [842, გვ. 233, 269-270].

ამჟამად, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით, აღარ რჩება რაიმე საფუძველი თრიალეთური კულტურის მის წინამორბედ მტკვარ-არაქსის კულტურასთან გენეტიკური კავშირის უარსაყოფად. ამიტომ, უფრო მართებული იქნება ვაღიაროთ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელმა ტომებმა შეასრულეს ეთნიკური სუბსტრატის როლი იმ ტომებისათვის, რომლებმაც მ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარსა და II ათასწლეულის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე შექმნეს ბრწყინვალე ყორღანული კულტურა, „თრიალეთური კულტურის“ სახელით რომაა ღღეს ცნობილი. ამასთან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წინა აზიიდან ძველაღმოსავლური (ხეთური, ხურიტული) ეთნოკულტურული ტრადიციების მატარებელ ტომთა მიგრაციის შესაძლებლობის უარყოფა. ძველი კულტურული ტრადიციების ახალ გავლენებთან ორგანული შერწყმის საფუძველზე უნდა წარმოქმნილიყო აშკარად ძველაღმოსავლური იერის ბრწყინვალე ყორღანული კულტურა.[17]

[17] იქნებ უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ ამ ტომებს ჰქონდათ მჭიდრო კონტაქტები ინდოევროპულ ეთნოკულტურულ გაერთიანებებთან ან იმყოფებოდნენ მათი გავლენის არეალში. მაგრამ ძალზე ძნელია ამ ე.წ. მიგრანტი ტომების (იგულისხმება ის ტომები, რომელნიც შეერწყნენ აღგილობრივ, ე.ი. მტკვარ-არაქსის კულტურის შემქმნელ ტომებს) ეთნოლინგვისტური კუთვნილების საკითხი. არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ ეს იყო უკვე იმ ტომთა ცალკეული ჯგუფები, პირიქითულად რომ გამოეყოფოდნენ პრაქართველური ფუძე-ენის მატარებელ ეთნიკურ ერთობას, რომლის თავდაპირველ აღგილსამ-

ამგვარი მტკიცებების არაპირდაპირ მოწმობად შეიძლება მივგვიწია ძველი, ე.ი. მტკვარ-არაქსული და ახალი, ე.ი. თრიალეთური კულტურის ელემენტების თანაარსებობა შუა ბრინჯაოს სტადიაზეც კი. ასე მაგ. მესხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილ შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებში „თრიალეთური ტიპის“ კერამიკასთან ერთად წარმოდგენილია მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელიც (მსხლისებურტანიანი თუ ბიკონუსური მოყვანილობის ჭურჭლის სერია), რაც (ისევე როგორც კრემაციული დაკრძალვის არარსებობა) მიჩნეულია თრიალეთური კულტურის მესხეთის ლოკალური ვარიანტის ერთ-ერთ თავისებურებად,[118] [849, გვ. 148-149].

ამრიგად, სრულიად აშკარა ფაქტი მტკვარ-არაქსული კულტურის ელემენტებით წარმოდგენილი მძლავრი ადგილობრივი სუბსტრატის არსებობისა თრიალეთურ კულტურაში თავისთავად უარყოფს ზოგიერთი მეცნიერის გამოთქმულ დებულებას თითქოსდა მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომთა საქართველოდან სრული მიგრაციისა და მათ ნაცვლად ახალი ეთნიკური ელემენტების დამკვიდრების შესახებ.

დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლას – თითქოსდა ვაკე რეგიონების დაცარიელებასა და მოსახლეობის მტკნილად მთისწინა და მთიან ოლქებში კონცენტრირებას, უფრო ეკონომიკური ფაქტორი განაპირობებდა, რაც საკმაოდ მახვილგონიერულად ახსნა განსვენებულმა არქეოლოგმა იაზო კიკვიძემ: თუმც მტკვარ-არაქსის კულტურა იყო სამიწათმოქმედო კულტურა, ის მაინც დაფუძნებული იყო ურწყავ მიწათმოქმედებაზე, რაც ამუხრუჭებდა მის ინტენსიურ განვითარებასა და რამაც გამოიწვია მისი კრიზისიც და შესაბამისად მოსახლეობის ტოლოვაც მთისწინა ოლქებისაკენ,[119] სადაც ხელსაყრელი პირობები იყო პრიმიტიულ მორწყვაზე დაფუძნებული მიწათმოქმედებისათვის. ამავე დროს, ფართოდ ითვისებენ და იყენებენ მაღალმთიანეთის მდიდარ საძოვრებს, რაც ხელს უწყობდა მესაქონლეობის განვითარებას (განსაკუთრებით მსხვილი რქოსანი საქონლის მოშენებას). ეს კი, როგორც ამ თავის დასაწყისში იყო ნათქვამი, ხელს უწ-

ყოფელად მცირე კავკასიონის ცენტრალური ნაწილი და რამდენადმე მის სამხრეთით მდებარე ტერიტორიებიც ივარაუდება (დაწერ. იხ. ამ წიგნის „შესავალი“, §2 და იქ დასახ. ლიტ.). იმ დროისათვის პრაქართველური ეთნოსის შიგნით უკვე დაწყებული იყო დიფერენციაციის პროცესი და დიალექტურ დონეზე ცალკეული ეთნიკური ჯგუფების გამოყოფა. მაგრამ ახლა შეუძლებელია მათი კონკრეტული დასახელება, რადგან ვერ ხერხდება მათი ენობრივი თავისებურებების დფინქსირება. უფლას მიეცემ ჩემს თავს, არ გავიზიარო თრიალეთური კულტურის შემქმნელ ტომთა ქართ-ზანურ ერთობასთან იდენტიფიკაცია, რამდენადაც ჯერჯერობით დადგენილი არაა თრიალეთურ კულტურასთან გენეტიკური კავშირი იმ კულტურებისა, რომელნიც საქართველოს მიწა-წყალზე განვითარდნენ შემდგომ პერიოდში და უკავშირდებიან პრაქართველური ენობრივი ერთობის დიფერენციაციის შედეგად წარმოქმნილ ეთნიკურ ჯგუფებს. აქ ჩვენს წინაშე დგება სხვა რთული საკითხებიც. მაგ. როდის და როგორ გაჩნდნენ პრაქართველური ფუძე-ენის მატარებელი ტომები მცირე კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში (ამიერკავკასიის ზეგანზე), სადაც მათ ათავსებენ ლინგვისტები არქაული ლექსიკური და ტოპონიმური მონაცემების საფუძველზე (შდრ. 171, II, გვ. 880)? იქნებ ეს ტომები შედიოდნენ იმ ერთობაში, რომელთაც შექმნეს მტკვარ-არაქსის კულტურა? მაშინ როგორღა დაუკავშიროთ ქართველურ ტომებს ხეთურ-ზურიტული (და საეროდ ძველაღმოსავლური) კულტურული ტრადიციების მატარებელი ტომები, რომელნიც თრიალეთური კულტურის შექმნაში მონაწილეობდნენ? იქნებ ეს იყო „დაბრუნება“ იმ ტომებისა („ქართველურის“?), რომელთაც „მტკვარ-არაქსული“ კულტურა შეიტანეს აღმოსავლეთ ანატოლიაში, რომელიც იქცა ინდოევროპული და მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომთა საკონტაქტო ზონად? ასეთ ახალქმნილ საკითხის დაყენებისას, იქნებ ახსნა მოეძებნოს ისეთ ფაქტებს როგორიცაა მაგ. მტკვარ-არაქსის კულტურის ელემენტების შერწყმა ძველაღმოსავლურ (ე.ი. თავისი არსით ინდოევროპულ) კულტურულ გავლენასთან (რაც ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ ყორღანულ დაკრძალვის წესში აისახა), ინდოევროპიზმები პრაქართველური ფუძე-ენის ლექსიკასა და გრამატიკულ სტრუქტურაში და სხვ. მაგრამ ვფიქრობ, ჯერჯერობით მაინც თავს შევიკავებ მტკვარ-არაქსისა და თრიალეთური კულტურების ეთნიკური ატრიბუციის საკითხებზე მსჯელობისაგან იმიტომაც, რომ ჯერჯერობით არ გაგვაჩნია საიმედო და საყოველთაოდ აღიარებული ახსოლუტური თარიღები ძველაღმოსავლურ არქეოლოგიურ ძეგლებთან მიმართებაში.

[118] საინტერესოა აღინიშნოს, რომ მესხეთში (და საერთოდ მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში), რომელიც წარმოადგენდა მტკვარ-არაქსული კულტურის ერთ-ერთ მძლავრ კერას, ადრეყორღნული კულტურის (ე.ი. ადრებრინჯაოს სტადიის) ძეგლები ჯერჯერობით აღმოჩენილი არაა და ცნობილია მხოლოდ „თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურის“, ე.ი. შუაბრინჯაოს სტადიის ყორღანები. ადრეული ყორღანების (მარტყოფის, ბედელის, სამგორის და სხვ.) თანადროულად მესხეთში ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურაა გავრცელებული (შდრ. [849, გვ.167-168]). ეს ფაქტიც იმის მოწმობაა, რომ ყორღანული კულტურის ფორმირება ახალი ეთნოკულტურული ტრადიციების ინფილტრაციისა და ძველთან შერწყმის საფუძველზე აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობდა.

[119] ყორღანული კულტურის წარმოქმნისთანავე (ადრებრინჯაოს სტადიაზე) შეინიშნება მოსახლეობის რიცხობრივი ზრდა და კონცენტრაცია კახეთის ტერიტორიაზე, სადაც საკმაოდ ხელსაყრელი პირობები იყო მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებისათვის. ფიქრობენ, რომ მოსახლეობის ზრდა კახეთში ხდებოდა იქ სხვა რეგიონებიდან (პირველ რიგში, შიდა ქართლიდან) მტკვარ-არაქსის კულტურის ტრადიციების მატარებელი მოსახლეობის დიდი ჯგუფების გადასახლების ხარჯზე [619, გვ. 58-59]. საინტერესოა, რომ კახეთის ტერიტორიაზე ფართოდაა გავრცელებული მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის დეკორის მრავალი ელემენტი [763, გვ. 18].

ყობდა ტომისა და გვარის მეთაურთა გამდიდრებას და მოსახლეობის ძირითადი მასისაგან მათი სოციალურად განცალკევების ტენდენციას. ყველა მკვლევარი, რომელიც ეხება გრანდიოზული ყორღანული სამარხების სოციალურ ასპექტს, თითქმის ერთხმად აღიარებს, რომ საზოგადოება, რომელმაც შექმნა თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანული კულტურა, უკვე შემდგარი იყო კლასთა წარმოშობისა და სოციალური დიფერენციაციის გზაზე. ამ თვალსაზრისით საკმაოდ მეტყველი სურათია დადასტურებული მესხეთში, სადაც ყორღანები ცალკეულ ჯგუფებადაა განლაგებული. ამასთან დადგენილია, რომ ყორღანთა თითოეული ჯგუფი შედგება ერთი დიდი, ე.ი. მთავარი, ყორღანისა და რამდენადმე უფრო მომცრო (საშუალო და მცირე ზომის) ქვაყრილიანი ყორღანისაგან. ძალზე საინტერესოა და სოციალური ატრიბუციისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი, ის ფაქტი, რომ დიდი, ე.ი. მთავარი ყორღანი, როგორც წესი, ერთი ინდივიდის დასაკრძალავადაა განკუთვნილი, ხოლო მომცროები – კოლექტიური დაკრძალვისათვის. ეს ფაქტი ადგილობრივ საზოგადოებაში უკვე მომხდარი ქონებრივი და სოციალური დიფერენციაციის მოწმობადაა მიჩნეული. ვარაუდობენ, რომ დიდი ყორღანები ტომის ბელადთა განსასვენებელს წარმოადგენენ, საშუალო ზომის – ცალკეული გვარების მეთაურთა საოჯახო სამარხებს, ხოლო მცირე ზომის ყორღანებში რიგით მეთემეებს მარხავდნენ [849, გვ. 19-135], [619, გვ. 77-78], [873, გვ. 12-15].

საზოგადოების შიგნით მომხდარი ქონებრივი დიფერენციაციის პროცესი (რაც სოციალურ უთანასწორობასაც ასახავდა) თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი თრიალეთური კულტურის გავრცელების სხვა ოლქებშიც. ასე მაგ., კახეთის ერთ მიკრორაიონში აღმოჩენილია ძალზე მდიდრული ყორღანი, რომლის სამარხეული ინვენტარი შეიცავდა უამრავი რაოდენობის ოქროსა და სხვა ლითონის ნაკეთობებს, ბრწყინვალედ ორნამენტირებულ კერამიკასა და სხვ. ესაა სადუღას ყორღანი (სურ. 54, № 7), და იქვე ახლოს (სოფ. შვინდიანი – სურ. 54, № 8) მდებარეობს თანადროული სამაროვანი, სადაც საგანგებოდ დატკეპნილ ან გამომწვარ თიხის მოედნებზე გამართულ უბრალო ორმებში საკმაოდ ღარიბულად რიგითი მოსახლეობაა დაკრძალული (დაწვრ. [869, გვ. 17]).

მიჩნეულია, რომ მდიდრული ყორღანები ასახავენ საკმაოდ რთულ იდეოლოგიურ რწმენა-წარმოდგენებსაც, რომელნიც დაკავშირებულნი არიან, ერთი მხრივ, სოლარულ ღვთაებათა თაყვანისცემასთან [855, გვ. 61], ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლოა გაღმერთებულ წინაპართა კულტთან, რომელიც ხეთურ სამყაროშია დადასტურებული.[120]

ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის დასასრულს შეინიშნება თრიალეთური კულტურის თანდათანობითი დაქვეითება: მცირდება ყორღანთა ზომები, სამარხებში უკვე აღარ გვხვდება ძვირფასი ლითონებისა და საერთოდ მაღალმხატვრული ნაკეთობანი.[121]

თრიალეთური კულტურის დაცემის მიზეზებს ზოგიერთი მკვლევარი ხსნის იმ გარემოებით, რომ ამ დროს თითქმის მთლიანად წყდება კავშირები ძველაღმოსავლურ სამყაროსთან, სადაც ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში ხდება დიდი ეთნოპოლიტიკური ძვრები. მაგრამ მხოლოდ ამ გარემოებას, ე.ი. ძველი აღმოსავლეთის კულტურებთან კონტაქტების უქონლობას, არ შეეძლო გამოეწვია თრიალეთური კულტურის დაღუპვა. მით უფრო, რომ თრიალეთის გვიანი ჯგუფის ყორღანებში თითქოს შეინიშნება თანდათანობითი დაქვეითების პროცესი. ამ პროცესს კი, როგორც ჩანს, ღრმა შინაგანი მიზეზები ჰქონდა.

ბრწყინვალე ყორღანული კულტურის შემქმნელი საზოგადოების ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენდა მესაქონლეობა და მიწათმოქმედება (და არა მხოლოდ მესაქონლეობა, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებდა). მაგრამ გვიან ეტაპზე შეიმჩნევა მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ერთმანეთისაგან გამოყოფა. მესაქონლეობაში თანდათანობით წამყვან ადგილს იკავებს მეცხვარეობა. შესაბამისად, მესაქონლეობა მომთაბარე ხასიათს იღებს. მიწათმოქმედი მოსახლეობა კი, რომელმაც მთისწინა ზოლში ხანგრძლივად ცხოვრების პირობებში უკვე შეიძინა სარწყავი არხებისა და პრიმიტიული საირიგაციო საშუალებათა გამართვის პრაქტიკული ჩვევები, კვლავ ფართოდ განსახლდა დაბლობ რაიონებსა და ნოყიერ მიწებზე. მთაში მესაქონლეები დარჩნენ. ლითონის მადნეულით მდიდარ მთიან ოლქებში იწყება ლითონის მოპოვებასა და დამუშავებაზე დასპეციალება, რაც მომდევნო, ე.წ. გვიანბრინჯაოს ეპოქაში აგრე დიდ ადგილს დაიკავებს ადგილობრივი საზოგადოების ეკონომიკაში. ამრიგად, ბრწყინვალე ყორღანული კულტურის დაცემის მიზეზები საძიებელია შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში, რასაც განაპირობებდა მეურნეობის სხვადასხვა ფორმების უპირატესი როლი, ერთი მხრივ, ბარსა და მთისწინა ზოლში, ხოლო მეორე მხრივ – მთიან ოლქებში [619, გვ. 75-82].

---

[120] ჯერ კიდევ ბ. კუფტინმა დაუკავშირა თრიალეთური კულტურის „დასაკრძალავი დარბაზები“ ხეთურ ტექსტებში მეფისა და დედოფლის დამწვარი ნეშტის დაკრძალვის რიტუალის აღწერისას მოხსენიებულ „ქვის სახლებს“. ამავე მომენტზე ყურადღება გაამახვილა მ. ბერიაშვილმა, რომელმაც ხეთური წყაროების ცნობების განხილვის საფუძველზე დაასკვნა: ხეთურ საზოგადოებაში მეფეების „ქვის სახლებში“ დაკრძალვა დაკავშირებული იყო წინაპართა კულტთან, ხოლო ყორღანის მთავარი ფუნქცია ის იყო, რომ იგი წარმოიდგინებოდა როგორც ტაძარი, კრემაცია კი – როგორც გზა ღმერთების საკრებულოში [798].

[121] შუაბრინჯაოს ხანის ფინალურ სტადიას განეკუთვნებიან თრიალეთის შემდეგი ყორღანები: XXVIII, XXX, XXXII, XLII, რომელთა შესახებ იხ. [861, გვ. 26-27, 101-103, 115-116]; შდრ. [675, გვ. 136-141].



სურ. 72. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლების განლაგების სქემატური გეგმა (აღმ. საქართველო): 1. ტაბაწყური [968], 2. განთიადი [893], 3. ქვემო ქედი [1007], 4. ულიანოვკა [1007], 5. მელაანი [1007], 6. გადრეკილი [962], 7. ოღე [1007], 8. მელიღელე [1007], 9. შილდა [924], 10. გოხები [1007], 11. ხირსა [1007], [827], 12. თეთრიწყლები [921], 13. გომარეთი [932], 14. თრელიგორები [9], 15. სამთავრო [888], [916], [951], 16. კასპი [900], [899], 17. ხოვლეგორა [936], 18. რენე [913], 19. ყათლანისხევი [655, I], 20. ცხინვალის ნაკარგორა [905], 21. სტირფაზი [1016], 22. თლია [1012-1015], [1019-1021], 23. წიღვარი [940], 24. რეღელი [969].

3. რკინის მეტალურგიის ათვისების გზაზე (აღმოსავლეთ საქართველო გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში)

თრიალეთური კულტურის და შუაბრინჯაოს ეპოქის დასასრული აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება.[122]

შემდგომი პერიოდი თითქმის ერთ ათასწლეულს მოიცავს (ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი და I ათასწლეულის პირველი ნახევარი) და მას გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას უწოდებენ. ამ ეპოქის არქეოლოგიური ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოში საკმაოდ მრავალრიცხოვანია და მრავალფეროვანი: ნამოსახლარები, სამარხოვნები, ლითონისა და კერამიკის წარმოების ნაშთები, საკულტო ადგილები, განძები და სხვ. ისინი გამოვლენილია, აღნუსხულია, ხოლო ზოგიერთი მთლიანად გათხრილ-შესწავლილიცაა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში: შიდა ქართლსა[123] და მის ფარგლებში შემავალ კავკასიონის სამხრეთ კალთებზე,[124] არაგვისა და ივრის ხეობებში,[125] მცხეთასა და მის შემოგარენში,[126] დიდი თბილისის ტერიტორიაზე,[127] ქვემო ქართლში,[128] მესხეთ-ჯავახეთში,[129] კახეთში.[130]

[122] ზოგიერთი მკვლევარი აღმ. საქართველოში შუაბრინჯაოს ხანის დასასრულს ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე მეთხუთმეტ ათარიღებს (იხ. [961, გვ. 136-142], შდრ. [993. გვ 235]), ან XVI-XV სს-ის მიჯნით [973, გვ. 99]; სხვები ძვ.წ. XV ს-ით [890, გვ. 67] ან ძვ.წ. XV ს-ის შუა ხანებით ([1033, გვ. 511-512], შდრ. [804, გვ. 95]), ამასთან გამოყოფენ ე.წ. შუა და გვიან ბრინჯაოს გარდამავალ ეტაპს და მას დაახლოებით ძვ.წ. 1450-1350 წწ. ათარიღებენ ([961, გვ. 145-146], [1007, გვ. 101]). ზოგიერთი არქეოლოგი ამ თვალსაზრისს არ იზიარებს და გვთავაზობს, რომ ძვ.წ. XV-XIV სს. მიჩნეულ იქნეს საკუთრივ გვიანბრინჯაოს ხანად ([890, გვ. 75], შდრ. [889, გვ. 313]) ან გვიანბრინჯაოს ადრეულ ეტაპად [973, გვ. 103]. გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ აღმოსავლეთ საქართველოში შუა ბრინჯაოს ხანის მიწურული დათარიღდეს ძვ.წ XVII ს-ით, გარდამავალი პერიოდის I ეტაპი ძვ.წ. XVI ს-ის პირველი ნახევრით, ხოლო გვიანბრინჯაოს ხანის I ფაზა – ძვ.წ. XVI ს-ის მეორე ნახევრით – XV ს-ით ([949], [950, გვ. 21-22]), შდრ. [675, გვ. 136-146, გვ. 146: გვიანბრინჯაოს პირველი ფაზა ძვ.წ. XVI ს-ის შუა ხანებიდან XIV ს-ის დასაწყისამდე].

[123] [899-902], [903], [905], [913-914], [925-926], [936-937], [946-950], [978].

[124] [1013-1021]

[125] [918], [980]

[126] [888], [896-898], [907-909], [916], [938], [945], [953],[972], [974], [992], [997], [1011], [1028].

[127] [890], [892], [939], [966], [983-986], [993].



სურ. 73. კანთაროსისებური თიხის ჭურჭელი თრელის სამაროვნის შუაბრინჯაოს ხანის სამარხიდან [890]

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა აღმოსავლეთ საქართველოს შუა ბრინჯაოსა და გვიანბრინჯაოს არქეოლოგიური კულტურების ურთიერთობაზე. სპეციალისტების ერთი ნაწილი ამ ორ ქრონოლოგიურად მონაცვლე არქეოლოგიურ კულტურას შორის ვერ ხედავს რაიმე არსებით გენეტიკურ კავშირს და ამის საფუძველზე ვარაუდობს ძირეულ ეთნიკურ ცვლილებებს [804, გვ. 15 და იქვე დასახ. ლიტ.]. სხვა მკვლევარები პირიქით, გენეტიკურ კავშირსა და მემკვიდრეობით ელემენტებს ხედავენ, მაგ., კერამიკაში [1007, გვ. 58-59]. ჩვენი ცოდნის დღევანდელ ეტაპზე საკმაოდ რთულია ამ საკითხზე გადაჭრილი პასუხის გაცემა. სავსებით აშკარაა მაგ., რომ ზოგიერთ (და მათ შორის კარგად სტრატიფიცირებულ) სამაროვნებზე შუა ბრინჯაოს ხანისათვის ფიქსირდება მთელი წყება ისეთი ნიშნებისა, რომელნიც შემდეგ იქცევიან გვიანბრინჯაოს აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის განმსაზღვრელ ელემენტებად: მაგ., სწრაფ მბრუნავ მორგზე დამზადებული თიხის ჭურჭელი, ზოგიერთი ორნამენტული მოტივი, ბრინჯაოს სამკაული, გრძელი მახვილები – რაპირები და სხვა (იხ. აგრეთვე [890, გვ. 64-66]; [993, გვ. 233-234]). ამიტომაცაა, რომ გარკვეულ ეტაპზე (ძვ.წ. XV ს-ის დასასრული – XIV ს.) ივარაუდება თანაარსებობა და ურთიერთკავშირი (რომელიც არ გამორიცხავს ზოგიერთ რეგიონებში ურთიერთშერწყმასაც) ორი (ან რამდენიმე) არქეოლოგიური კულტურის[131] ან კიდევ ორი ეთნიკური მასივის არსებობა ამიერკავკასიის ვრცელ ტერიტორიაზე [993, გვ. 238]. მასთან ერთად ივარაუდება მცირე აზიიდან ინფილტრაცია ცალკეული ეთნიკური ჯგუფებისა, რომელთაც მოიტანეს მატერიალური კულტურის ისეთი თავისებური და ახალი ელემენტები, როგორიცაა, მაგ., ბიკონუსური ფორმის კანთაროსისებური ჭურჭელი ზეაწეული რკალისებური ყურებით (სურ. 73), ბიკონუსურთავიანი ბრინჯაოს საკინძები (სურ. 74) და სხვ. ([890, გვ. 64, 69-71]; [886], [981]).

ამჟამად ძალზე ძნელია გვიანბრინჯაო-აღრერკინის ხანის აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის ყველა ელემენტის დახასიათება ვიწრო ქრონოლოგიური მონაკვეთის მიხედვით. ეს მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ გვიანბრინჯაოს ცალკეული ეტაპების დათარიღების შესახებ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა,[132] არამედ

[128] [893], [912], [917],[930-933], [941], [1003],[1022]ყ

[129] [935], [940], [968-971], [989-991].

[130] [920-924], [927], [933-934], [944], [962], [963], [965], [975].

[131] ასე მაგ., არქეოლოგი რ. აბრამიშვილი ვარაუდობს, რომ ძვ.წ. XV ს-ის დასასრულსა და XIV ს-ში შიდა ქართლი (რომლის ერთ-ერთი ტიპლონური ძეგლი სამთავროს სამაროვანია) შედიოდა სხვა კულტურულ არეალში, ვიდრე თრელის სამაროვანი (თბილისის დასაღლეთ კარიბჭესთან), და კახეთის, ქვემო ქართლსა და დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე განლაგებული სხვა ძეგლები [890, გვ. 83-84].

[132] არსებობს რამდენიმე მოსაზრება, რომელიც არსებითად ერთმანეთისაგან განსხვავებულ ორ თვალსაზრისში მოქცევდება. რ. აბრამიშვილი, რომელმაც სამთავროს სამაროვნის საფუძველზე შეიმუშავა გვიანბრინჯაო-აღრერკინის ხანის არქეოლოგიურ ძეგლთა ქრონოლოგიური შკალა [888]; [889], თვლის, რომ გვიანბრინჯაოს აღრეული ეტაპი თუ საკუთრივ გვიანბრინჯაოს ხანა უნდა დათარიღდეს ძვ.წ. XV ს-ის დასასრულითა და XIV ს-ით. ამ ქრონოლოგიურ ჯგუფში ის აერთიანებს სამთავროს სამაროვნის იმ არქეოლოგიურ კომპლექსებს, რომელნიც შეიცავენ ფოთლისებურ სატევრებს, თავზედა საკინძებს და სხვ., რომელნიც დამახასიათებელია ძირითადად შიდა ქართლის არქეოლოგიური კულტურისათვის. მის თანაღროულად რ. აბრამიშვილი მიიჩნევს თრიალეთის სამაროვნის ზოგიერთ კომპლექსს (სამარხები №№ 37, 42, 55 და 56), ს. ულიანოვკის № 2 ყორღანს, ს. ოლეს №№ 11 და 13 ყორღანებს, ბაიბურთის ზოგიერთ სამარხს, საბიდაღჩახას XXVIII და ტაბაწყურის XLII ყორღანებს, აგრეთვე სომხეთში – არიჭისა და არტიკის სამაროვნებს. ეს ძეგლები იმ დროისათვის ექცევიან შიდა ქართლისაგან განსხვავებულ კულტურულ არეალში (დაწერ. [890, გვ. 79-85], შდრ. [891]). კ. ფიცხელაური იმ აზრისაა, რომ აქ საქმე გვაქვს ქრონოლოგიურად განვითარებულ ჯგუფთან, რომელთა შორის ფოთლისებურტარიანი სატევრების და თავზედა საკინძების შემცველ სამარხეულ კომპლექსებს ის ათარიღებს ძვ.წ. XIII ს-ის დასასრულით – XII ს-ით და მათ უფრო გვიანდელად მიიჩნევს, ვიდრე ზემოთ ხსენებულ და სხვა ძეგლებს, რომელთაც მიაკუთვნებს ნაწილობრივ შუა

იმატომაც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ რეგიონში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში შეინიშნება საკმაოდ თავისებური გამოვლინება მატერიალური კულტურისა და მისი ცალკეული ელემენტების განვითარებისა, ამასთან, არა მხოლოდ სინქრონულ დონეზე. შეიმჩნევა სხვადასხვა რეგიონში მატერიალური კულტურის ცალკეული ელემენტების (მაგ. იარაღის ან კერამიკის ფორმების) უფრო ხანგრძლივი არსებობა-გავრცელება, ლოკალური თავისებურებანი, სხვადასხვა ცენტრებიდან მომდინარე იმპულსები, ასევე სხვადასხვა ეთნოკულტურული ტრადიციების შერწყმა და ა.შ. ამას გარდა, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, თითქოს საყოველთაოდ აღიარებული ისეთი ცნებები და დეფინიციები, როგორიცაა „გვიანბრინჯაო-ადრერკინის აღმოსავლურ-ქართული კულტურა“ ან „ცენტრალურამიერკავკასიური კულტურა“ (იხ. მაგ. [915, გვ. 155-156]; [906, გვ. 254-255]; [382, გვ. 76]) სულ უფრო და უფრო კარგავს თავის ერთნიშნა მნიშვნელობას.[33] ამიტომაც, ამ წიგნში შემოვიფარგლებით მხოლოდ იმ ელემენტების ზოგადი მიმოხილვით, რომელნიც განსაზღვრავენ იმდროინდელი მატერიალური კულტურის საერთო იერს და აგრეთვე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ზოგიერთ ასპექტს, აგრე მრავალრიცხოვან არქეოლოგიურ ძეგლებში რომაა ასახული.

განვითარების მაღალ დონეს აღწევს კერამიკული წარმოება, რომელიც უკვე ფართოდ იყენებს სწრაფმბრუნავ მორგვს. მეთუნის მორგვით დამზადებული თიხის ჭურჭელი დადასტურებულია უკვე შუა ბრინჯაოს ფინალური სტადიისა და გვიანბრინჯაოს დასაწყისის სამარხეულ კომპლექსებში ([890, გვ. 63, 65], შდრ. [961, გვ. 99]). მომდევნო ხანაში კი (დაახლოებით ძვ.წ. XIII-XII სს-დან) მოელს აღმოსავლეთ საქართველოში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ძირითადად სამეთუნეო ჩარხით დამზადებული თიხის ჭურჭელია ძალიან ფართოდ გავრცელებული. სამწუხაროდ, თვით მორგვის აღმოჩენები ჯერჯერობით ძალზე იშვიათია. ფაქტობრივად მხოლოდ ერთი უტყუარი შემთხვევაა: ხოვლეგორის (სურ. 72, № 17) ნამოსახლართან კერამიკული ქურების არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილია გამომწვარი თიხისაგან დამზადებული სამეთუნეო ჩარხი, რომლის დმ-ია 35 სმ [936, ტაბ. XIV]. აღმოჩენილია ამ თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურებიც, რომელთაგან არქეოლოგიური გათხრებით შესწავლილია ხოვლესა (სურ. 72, № 17) და ხირისის (სურ. 72, № 11) საწარმოო კომპლექსები.

ხოვლეგორის კერამიკული სახელოსნოები ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან ძვ.წ. IV ს-მდე ფუნქციონირებდა. უძველესი სახელოსნო ძვ.წ. IX-VIII სს-ით თარიღდება და ე.წ. ჰორიზონტალური ტიპის გამოსაწვავი ქურებითაა წარმოდგენილი. ისინი გამართულია სწორკუთხა მოყვანილობის ნახევარმიწურებში. ქურის ამოსაშენებლად გამოყენებულია ფლეთილი ქვა და ცეცხლგამძლე თიხის მოლესილი ხის კარკასი (თაღისათვის). ქურები ორ ოთახიანია. საცეცხლე ორმო წაგრძელებული სწორკუთხა მოყვანილობისაა. მის გვერდებთან ეწყო გამოსაწვავად გამზადებული ჭურჭელი. ანალოგიური კონსტრუქციისაა კახეთში, სოფ. ხირისის ტერიტორიაზე გამოვლენილი ქურები, რომელნიც ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრითაა თარიღდება ([1007, გვ. 38], [975]. ფიქრობენ, რომ გამოსაწვავად გამზადებულ ჭურჭელს თავდაპირველად გამოაშრობდნენ ღრმე, ხოლო შემდეგ თაროებზე ალაგებდნენ. შემდგომ ხდებოდა ქურების გადახურვა თაღოვანი კონსტრუქციით ან თაღოვან გადახურვაში მხოლოდ სარკმლის დაგმანვა ხის წნული ლასტებით, რომელნიც შიდა და გარე მხრიდან თიხით იყო მოლესილი. შერმე საცეცხლე არხის წინ ამოთხრილ ორმოში ანთებდნენ ცეცხლს, რომელიც თანდათანობით აღწევდა ჭურჭლის გამოსაწვავ კამერაში. საჭირო ტემპერატურის

ბრინჯაოდან გვიანბრინჯაოზე გარდამავალ ეტაპს (ძვ.წ. XV ს-ის მეორე ნახევარი – XIV ს-ის პირველი ნახევარი) და აგრეთვე გვიანბრინჯაოს პირველ ეტაპს (ძვ.წ. XIV-XIII სს.) (დაწერ. [1007, გვ. 88-139]. შდრ. ამავე საკითხებზე ([675, გვ. 142-149], [908], [949], [950, გვ. 12-22], [1011]).

[33] ასე მაგ., ერთნი ფიქრობენ, რომ ძვ.წ. XV-XIV სს-ში ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე არსებობდა ორი დამოუკიდებელი არქეოლოგიური კულტურა: შიდა ქართლისა (ანუ სამთავრული) და ე.წ. ლჭაშენ-წოფილგორებისა (რომელიც გავრცელებული სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთსა და ნაწილობრივ მეზობელ სომხეთში) (იხ. [890, გვ. 85]). სხვა მკვლევარები ამტკიცებენ, რომ იმავე ხანაში მთელს ცენტრალურ ამიერკავკასიაში გავრცელებული იყო ერთი არქეოლოგიური კულტურა, რომლის შიგნით ზოგჯერ გამოიყოფა ლოკალური ვარიანტები [1007, გვ. 103]. შემდგომ ეტაპზე კი იმავე ტერიტორიაზე იქმნება რამდენიმე არქეოლოგიური კულტურა (ე.წ. „აღმოსავლურქართული“, „ბანჯა-ყარაბაბული“ და ა.შ.). ამასთან, იმავე ე.წ. აღმოსავლეთქართული კულტურის არეალში ვარაუდობენ ლოკალური ვარიანტებისა და დამუკიდებელი არქეოლოგიური კულტურების არსებობასაც კი (მაგ. ერთის მხრივ – შიდა ქართლში, ხოლო მეორეს მხრივ – კახეთში), მათ ურთიერთზე გავლენისა თუ ურთიერთობის რიულ პროცესებს სხვადასხვა ქრონოლოგიურ დონეზე (იხ. [890, გვ. 85]; დაწერ. სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვა იხ. [961, გვ. 163-169]; [1007, გვ. 103] და შემდ.). ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ძალზე ძნელია გვიანბრინჯაო-ადრერკინის აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური კულტურების ეთნიკური ატრიბუციის პრობლემებზე მსჯელობა. როგორც ჩანს, აქ საქმე გვაქვს სხვადასხვა ეთნოკულტურული ტრადიციების ურთიერთკავშირთან და ეთნიკურ წარმონაქმნთა გარკვეულ სიჭრელესთან (იხ. [149, გვ. 356-357]).

მიღების შემდეგ კარი და კვამლსადენი იხურებოდა და ქურაში იწყებოდა თანდათანობითი გაცივების პროცესი. ამის შემდეგ აღებდნენ თაღოვანი გადახურვის სარკმელს და ამოჰქონდათ გამომწვარი ჭურჭელი.

ჭურჭლის გამოწვა ხდებოდა 800-900^0 ტემპერატურაზე. გამოწვის შემდგომ ჭურჭელს შებოლავდნენ, შავი ფერის ზედაპირს ცვილით დაფარავდნენ და გააპრიალებდნენ (დაწვრ. იხ. [999-1000]).



სურ. 74. ბრინჯაოს საკინძი და თიხის ჭურჭელი თრელის სამაროვნის შუაბრინჯაოს ხანის სამარხიდან [890]

ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისა და I ათასწლეულის პირველი ნახევრის თიხის ჭურჭელი ძირითადად მუქი (შავი) ან რუხი ფერისაა. ზედაპირი მეტწილად გაპრიალებულია და მორთულია ნაირსახოვანი გეომეტრიული ორნამენტით, რომელიც დატანილია გაპრიალებით, ტკეფრვით ან გრავირებით. ჭურჭლის ფორმები და ორნამენტაცია უაღრესად მრავალფეროვანია. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ჭურჭლის ფორმა და ზოგჯერ ორნამენტიც კი თითქმის უცვლელად ინახავს თავს რამდენიმე საუკუნის მანძილზე (ძირითადად ძვ.წ. XIV-VII სს-ში). ძვ.წ. XIV-XII სს-ის არქეოლოგიური კომპლექსებისათვის ტიპიურია სფეროსებური ან ბიკონუსურტანიანი პირმოყრილი ჭურჭელი, უყურო ან ორყურა, ტანზე დაძერწილი რქისებური შვერილებითა თუ ცხოველთა (ცხვრის) სტილიზებული თავებით მორთული (დაწვრ. [892, გვ. 130-131]). ტიპიურია აგრეთვე უყურო ქოთნები – ოდნავ გადაშლილი ბაკიანი პირით, ღარისებური დაბალი ყელით, რამდენამდე წაგრძელებული სფეროსებური ტანითა და ბრტყელი ძირით. ამ ტიპის ჭურჭელი ხშირად შემკულია ფრჩხილისებური ორნამენტით (დაწვრ. [892, გვ. 131-132]). კერამიკის ადრეულ სახეობათაგან უნდა აღინიშნოს აგრეთვე ორყურა ბრტყელძირიანი (ერთ შემთხვევაში – სამფეხა) ცილინდრული ფორმის ჭურჭელი, სხვადასხვა ფორმის სასმისები და სხვ. (დაწვრ. [892, გვ. 139-140]). კერამიკული ნაწარმის ძირითადი მასა კი, აგრე მრავლად რომაა აღმოჩენილი მთელ აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ითქვა, ინარჩუნებს თავის იერსახეს ხანგრძლივი დროის მანძილზე – ძვ.წ. XIV ს-დან მოკიდებული ვიდრე ძვ.წ. VII-VI სს-მდე. ასეთებია, პირველ რიგში, სხვადასხვა ტიპის ქოთნები, ქვაბ-ქოთნები, კოჭობები, ტოლჩები, სასმისები და სხვ. (სურ. 75-79)[134] ამასთან, ტექნოლოგიური ნიშნების მიხედვით გამოიყოფა ცალკეული რეგიონები, რომელნიც ხასიათდებიან სპეციფიკური თავისებურებით [1007, გვ. 40]. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, ჯერჯერობით, მხოლოდ კახეთში დადასტურებული წითლად მოხატული ჭურჭელი. მოხატვის ტექნიკა საკმაოდ თავისებურია: ჭურჭლის გამოწვამდე, მის ზედაპირზე გაპრიალებით და ტკეფრვით დატანილია ორნამენტი (ძირითადად მეანდრი და სამკუთხედები), რომელიც უკვე გამოწვის შემდეგაა შეღებილი [1007, გვ. 40]. გვხვდება მოჭიქული ჭურჭელიც: ცალყურა მაღალფეხიანი თასები ([955], [1007, გვ. 40]). მაგრამ მოხატული და მოჭიქული ჭურჭელი არ განსაზღვრავდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კერამიკის იერსახეს. ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოში ძირითადად შავი და რუხი ფერის ჭურჭელი იყო გავრცელებული. მასთან ერთად, და ისიც მხოლოდ ძვ.წ. VII ს-ის დასასრულიდან და VI ს-ში, პირველად ჩნდება წითელკეციანი კერამიკა, რომლის ადგილობრივი წარმოება დასტურდება სამეთუნეო სახელოსნოების აღმოჩენით ხოვლეში. ესაა გრეხილი რელიეფური სარტყლებით მორთული დიდი ზომის ქვევრები, სიგარისებურტანიანი უყურო დოქები, პორჩაზნექილი ღრმა ჯამები და თასები, რომელნიც აშკარად ატარებენ უარატული ეთნოკულტურული სამყაროდან მომდინარე გავლენის ნიშნებს. ურარტულის მსგავსია ხოვლეში აღმოჩენილი სამეთუნეო მორგვიც [936, გვ. 44-48]. ამ ახალი ტიპის წითელკეციანი კერამიკის გავრცელებას ხსნიან ურარტული კულტურის გავლენის ორბიტაში მყოფი ახალი ეთნიკური მასის ადგილობრივ საზოგადოებაში ინფილტრაციით [1004, გვ. 66]; [936, გვ. 90-92].

[134] გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კერამიკის ტიპოლოგიური და ფუნქციონალური კლასიფიკაციის, დათარიღების, ცალკეული ტიპებისა და ჯგუფების არეალების შესახებ დაწვრ. იხ. [9, გვ. 63-65, 116-141, 157-158]; [936], [961, გვ. 96-102].



სურ. 75. თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს იარაღი (მასრაგახსნილი შუბისპირი და მოლიანადსხმული სატევარი) ძვ.წ. XIII-XII სს-ის სამარხიდან. თრელის სამაროვანი [892]

ტექნიკური პროგრესი ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ ლითონის წარმოებაში მჟღავნდება.

გვიანბრინჯაოს ეპოქა ხასიათდება დარიშხანიანი და ანთიმონიანი ბრინჯაოს დამზადების თანდათანობით შეწყვეტით. მის ნაცვლად იწყება მრავალკომპონენტიანი შენადნობებისაგან დამზადებული ლითონის მრავალფეროვანი ნივთების წარმოება, განსაკუთრებით კი – კალაიანი ბრინჯაოსაგან. ასეთი შენადნობების მისალებად იყენებდნენ სპილენძით მდიდარ ადგილობრივ მადანსა და, შესაძლოა, გარედან შემოტანილ კალას.[135]

სხვადასხვა დანიშნულების ლითონის ნივთების დამზადება უკვე ხდება მეტალოგენური კერებიდან საკმაოდ დაშორებულ ოლქებშიც. ლითონს აღნობდნენ საბადოებთან ახლოს და შემდეგ ლითონის ზოდები მიჰქონდათ სხვადასხვა ცენტრში. აქ უკვე მუშაობდნენ სპეციალისტი-ოსტატები, რომელნიც დაუფლებული იყვნენ ე.წ. ფასონური (ე.ი. სხვადასხვა ფორმაში) ჩამოსხმის, ცივი და ცხელი ჭედვის, მორჩილვის, დატვიფრვისა და სხვ. რთულ ტექნიკურ ხერხებს [784, გვ. 48-71]. ბრინჯაოს სადნობ-სასხმელი სახელოსნოს ნაშთები აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ოლქში. ასე მაგ., წალვერის მახლობლად აღმოჩენილია სამსხმელო ფორმები (ყალიბები), ტიგელების ფრაგმენტი, დიდი რაოდენობის წიდები, თიხის საქშენი მილები და აგრეთვე ლითონის ნაკეთობანი [1326, გვ. 140-141]; [940, გვ. 178-179]; [1007, გვ. 38].



სურ. 76. თიხის ჭურჭელი ძვ.წ. XIII-XII სს-ის სამარხიდან. თრელის სამაროვანი [892]

საკმაოდ ვრცელ ფართობზე განლაგებული ბრინჯაოს სადნობ-ჩამოსასხმელ სახელოსნოთა ნაშთები აღმოჩენილია კახეთში, ქვემო ქედში (სურ. 72, № 3). ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებულ ამ საწარმოთა ნაშთების არქეოლოგიური გათხრებისას ნაპოვნია ჭურები, მადნის სამტვრევი და სასრესი სხვადასხვა ფორმის იარაღები, თიხის ტიგელები (რომელთაც ლითონის კვალი აქვთ შემორჩენილი), თიხის და ქვისაგან დამზადებული ჩამოსასხმელი ყალიბები, თიხის საქშენი მილები და სხვ. ერთ-ერთ სახელოსნოში აღმოჩნდა თიხის დიდი ზომის ჭურჭელი, რომელშიც იდო 40 ბრინჯაოს მახვილი. ფიქრობენ, რომ ამ სახელოსნოში რამდენიმე ტექნოლოგიური პროცესი ხორციელდებოდა – მაგ., ტექნიკურად გამდიდრებული მადნისაგან ლითონის მიღება, ლითონის ნივთების დამზადება და სხვ. [961, გვ. 86-91], [1007, გვ. 32-34].

[135] კალის საბადოები საქართველოში ჯერჯერობით აღმოჩენილი არაა, მაგრამ ზოგიერთი სპეციალისტი მაინც არ გამორიცხავს მათი ძველად არსებობისა და ექსპლოატაციის შესაძლებლობას. ამჟამად მკვლევართა უმრავლესობა თვლის, რომ ამიერკავკასიაში კალა სხვა ქვეყნებიდან შემოჰქონდათ, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ხერხდება დანამდვილებით დადგენა იმისა, თუ საიდან და როგორ ხდებოდა ჩვენში კალის იმპორტი (დაწვრ. [861ა], [784, გვ. 53-54, 70]; [718, გვ. 42-43]; [1007, გვ. 34]; [855, გვ. 62]).



სურ. 77. თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს ნივთები (მახვილი, შუბისპირი, სამაჯური) ძვ.წ. XIII-XII სს-ის სამარხიდან. ორელის სამაროვანი [892]



სურ. 78. თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს ნივთები (საკინძი, მახვილი, შუბისპირი) ძვ.წ. XIII-XII სს-ის სამარხიდან. ორელის სამაროვანი [892]

ქვემო ქართლში სოფ. განთიადთან (სურ. 72, № 2) აღმოჩენილია ძალზე საინტერესო სამარხი, რომელშიც იყო ე.წ. აღმოსავლურამიერკავკასიური ტიპის ცულისა და ბრტყელი მხრებიანი ცულის ჩამოსასხმელი ყალიბები (მათ შორის კომბინირებული), ნახევარფაბრიკატები და რამდენიმე ხელსაწყოც. ძვ.წ. IX-VIII სს-ით დათარიღებული ეს სამარხი ბრინჯაოს ნივთების დამამზადებელი ოსტატის განსასვენებელს წარმოადგენდა [893, გვ. 38-64].



სურ. 79. თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს სამკაული ძვ.წ. XIII-XII სს-ის სამარხიდან. ორელის სამაროვანი [892]

აღმოსავლურკავკასიური ტიპის ცულის (სურ. 85) ჩამოსასხმელი თიხის ორსაგულიანი ყალიბები (სურ. 80) აღმოსავლეთ საქართველოსა და ამიერკავკასიის მრავალ პუნქტშია აღმოჩენილი [893, გვ. 42] და მოწმობს ძვ.წ. XIV-VII სს-ში ფართოდ გავრცელებული ამ საბრძოლო და საპარადო იარაღის დამზადებას სხვადასხვა ცენტრში (დაწვრ. [893, გვ. 41-50]; [912, გვ. 58-63]).

ცულის გარდა ძირითადად საომარ იარაღს იმ დროს წარმოადგენდა მახვილი, სატევარი, ხელშუბა, მშვილდ-ისარი.

იარაღი მატერიალური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სწრაფად ცვლადი ელემენტია. ამას განაპირობებდა ტექნიკური პროგრესი, ახალი ფუნქციონალური დატვირთვა, გარე სამყაროსთან კონტაქტები თუ სხვ. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის საომარი იარაღი მთელი რიგი სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება და მეტწილად წარმოადგენს ადგილობრივ ვარიანტს საერთო წინააზიური ტიპის საომარი იარაღისა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და I ათასწლეულის დასაწყისში ძველი აღმოსავლეთისა და ეგეოსური სამყაროს სხვადასხვა რეგიონში (შდრ. [1010, გვ. 33-37]). ჩვენ ამ-

ჯერად მხოლოდ საომარი იარაღის ძირითად სახეობათა ჩამოთვლითა და ზოგადი დახასიათებით შემოვიფარგლებით.[136]



სურ. 80. თიხის თასი თრიალეთიდან [862]

ფორმებისა და ცალკეული დეტალების მრავალფეროვნებით გამოირჩევიან მახვილები და სატევრები (სურ. 82-84). ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისა და I ათასწლეულის დასაწყისის ბრინჯაოს ინდუსტრიის ყველაზე უფრო ტიპიურ პროდუქციას წარმოადგენს ფოთლისებური სატევრები (ზოგჯერ ბრინჯაოსავე ტარით);[137] შედგენილტარიანი, მოლიანადსხმული, ბრტყელი (ბოლომომრგვალებული და ბოლოკვეთილი) მახვილები და სატევრები; მოჩარჩოებულტარიანი სატევრები (ე.წ. წინააზიური ტიპისა); მასრაგახსნილი და მთლიანადსხმული შუბისპირები, ფუძეამოღარული ისრისპირები და სხვ. (სურ. 81-84).



სურ. 81. ბრინჯაოს შუბისპირები [919]



სურ. 82. ბრინჯაოს სატევარი. სამთავროს სამაროვანი [919]

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხებში მრავლად გვხვდება საკმაოდ ნაირსახოვანი ბრინჯაოს სამკაული – საკინძები, მძივები, საკიდები, ბეჭდები, კეერთხისთავები და სხვ.

ამგვარად, ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში ბრინჯაო ასრულებდა წამყვან როლს აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებაში. მაგრამ უკვე, როგორც ვარაუდობენ, ძვ.წ. XIV ს-დან პირველად ჩნდება რკინისგან დამზადებული ნივთები [889, გვ.

[136] ჩვენი წიგნის მიზანდასახულობა და მოცულობა ვერ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ აქ ფართოდ წარმოვადგინოთ ლითონის ნაკეთობათა (და საერთოდ მატერიალური კულტურის სხვა ელემენტების) დეტალური ტიპოლოგიური და ფუნქციონალური დახასიათება, განვიხილოთ ცალკეული ტიპების გენეზისა და განვითარების, ქრონოლოგიური და არეალური კლასიფიკაციის საკმაოდ რთული საკითხები (დაწვრ. გვიანბრინჯაო-ადრერკინის საომარი იარაღის შესახებ იხ. [888-889], [912], [919], [967], [1007], [1010], [1015], [1032ა].

[137] გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრინჯაოს ნაკეთობათა და მათი ტიპოლოგიური თავისებურების შესახებ დაწვრ. იხ. [888-891], [912], [914], [1010], [1015].

307-308].[138] რკინის მეტალურგიის უძველეს კერად ითვლება ქვემო ქართლი, საიდანაცაა სწორედ ცნობილი საქართველოში ჯერჯერობით ყველაზე ძველი რკინის ნივთი – ფოლადისაგან გამოჭედილი ბრინჯაოსტარიანი სატევარი [889, გვ. 307-308, ტაბ. I,1]. რკინის ფართოდ ათვისება და მისი თანდათანობით მთელს აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელება იგარაუდება ძვ.წ. XII-XI სს-დან, თუმც არა ერთბაშად და არა ერთდროულად ყველა რეგიონში.[139] ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ადრერკინისა და, კერძოდ კი, რკინის ათვისების საწყისი ეტაპის რკინის ნივთები ტიპოლოგიური თვალსაზრისით თითქმის მთლიანად იმეორებენ წინამორბედი ხანის ბრინჯაოს ნაკეთობათა ფორმებს, რაც მათი ადგილობრივი წარმოშობის უტყუარი მოწმობაა [889, გვ. 366]. მეტალოგრაფიული და ტექნოლოგიური შესწავლის საფუძველზე დადგენილია, რომ უკვე ადრერკინის ხანაში ადგილობრივი ოსტატები დაუფლებული იყვნენ



სურ. 83. ბრინჯაოს სატევრები [919]

რბილი და საშუალო სიმტკიცის ფოლადის უშუალოდ ცივსაბერ ქურაში დამზადების, სამეურნეო თუ საომარი იარაღის ცემენტაციის, აგრეთვე ცხლად ჭედვისა თუ სხვა რთულ ტექნიკურ ხერხებს ([889], [911]). რკინის წარმოება განსაკუთრებით ფართო მასშტაბებს აღწევს ძვ.წ. VIII-VII სს-ში, რასაც თვალსაჩინოდ მოწმობს ნამოსახლარებსა და სამაროვნებზე მრავლად აღმოჩენილი საკმაოდ მრავალფეროვანი საომარი და სამეურნეო იარაღები. ტრადიციულ (ბრინჯაოს ხანიდან) მომდინარე ფორმებთან ერთად ჩნდება ახალი სახეობანი და ტიპები. განსაკუთრებით დამახასიათებელია გრძელი და მოკლე მახვილები, მასრაგახსნილი შუბისპირები, ერთმანეთისაგან პირის მოყვანილობით რომ განსხვავდებიან (შუა ნაწილში გამოყვანილი ქედით, ფოთლისებური მოყვანილობისა და ა.შ.), „ხიშტისებური“ შუბისპირები, ისრისპირები, სხვადასხვა ფორმის ცულები (ძირითადად ეუაკერიანი), დანები, ნამგლები და სხვ. (სურ. 86: 14-20). ამასთან, ზოგიერთ შემთხვე-



სურ. 84. ბრინჯაოს მახვილი [919]

ვაში, ცალკეულ რეგიონში შეინიშნება ადგილობრივი ტიპოლოგიური თავისებურებანი, რაც მოწმობს რკინის საომარი და სამეურნეო იარაღის დამამზადებელი რამდენიმე საწარმოო კერის არსებობას (დაწვრ. [889, გვ. 368-374]).



სურ. 85. ბრინჯაოს ცული. ძვ.წ. VIII-VII სს. რენე [913]

ამრიგად, რკინა მტკიცედ დამკვიდრდა ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში და გახდა ტექნიკური პროგრესის მძლავრი საფუძ-

[138] აღმოსავლეთ საქართველოში რკინის გამოჩენის ახალი ადრეული ხანით დათარიღებას ზოგიერთი მკვლევარი არ დაეთანხმა (იხ. [895], [979]). მაგრამ უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები შიდა ქართლში მიუთითებენ რკინის სწორედ ადრეულ ხანაში გამოჩენაზე.

[139] რკინის თანდათანობითი ათვისების პროცესს შეიძლება თვალი გავადევნოთ რ. აბრამიშვილის მიერ სამთავროს სამაროვნის მასალების საფუძველზე შეშუშავებული დიფერენცირებული ქრონოლოგიური შკალის მიხედვით [888-889].

ველი. მაგრამ ეს როდი ნიშნავდა ბრინჯაოს წარმოების შეწყვეტას. ძვ.წ. VIII-VII სს-ში კვლავ გრძელდება ბრინჯაოს საომარი და სამეურნეო იარაღის დამზადება, რასაც მოწმობს, როგორც სამარხებსა და ნამოსახლარებზე მათი ხშირი აღმოჩენა, ასევე ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებული რიგი ბრინჯაოს სასხმელ-სადნობი სახელოსნოებისა (რომელთა შესახებ უკვე იყო ზემოთ საუბარი). ბრინჯაოსაგან იმ დროს ძირითადად მაინც სამკაული (სამაჯურები, ხატისუღლები) და ავგაროზები მზადდებოდა (სურ. 86, 1-7). ვითარდება ბრინჯაოს მხატვრული დამუშავებაც. უკვე ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში არქეოლოგიურ კომპლექსებში მხატვრული ხელოსნობის არაერთი შესანიშნავი ნიმუშია წარმოდგენილი. მათ შორისაა თრეის სამაროვანზე აღმოჩენილი და ძვ.წ. XIII-XII სს-ით დათარიღებული ბალთა (სურ. 87) მხედრის გამოსახულებით. ასევე საგანგებოდაა აღსანიშნავი ირმისა თუ სხვა ცხოველთა და ფრინველთა ქანდაკებით დაგვირგვინებული საკიდები (სურ. 88) და საკინძები, ბრინჯაოს სხმული ჭვირული დისკოსებური საკიდები (სურ. 89), რომელნიც მზის სიმბოლოებადაა მიჩნეული [989, გვ. 62].



სურ. 86. ძვ.წ. VII-VI სს-ის ლითონის ნივთები სამთავროს სამაროვნიდან: 1-3. ბრინჯაოს სამაჯურები; 4. სასაფეთქლე; 5. სასაფეთქლე რგოლი; 6, 7. საკინძები; 8. ხატისუღელი; 9. ბრინჯაოს სატევრის ტარის ფრაგმენტი; 10-12. სკვითური ტიპის ისრისპირები; 13. სარტყლის აბზინდა. 14-20. რკინის ნივთები: 14, 15. ცულები; 16. შუბისპირი; 17. დანა; 18. აკინაკი; 19. მახვილი; 20. სატევარი ქარქაშითურთ [888-889]



სურ. 87. ბრინჯაოს ბალთა მხედრის გამოსახულებით. თრელის სამაროვანი. ძვ.წ. XIII-XII სს. [983]



სურ. 88. ბრინჯაოს საკიდი შეწყვილებული თხების გამოსახულებით. „ფეკვრების სამაროვანი“ (მელაანი, კახეთი). ძვ.წ. XIV-XIII სს. [983]



სურ. 89. ბრინჯაოს ჭვირული დისკოსებური საკიდები მესხეთ-ჯავახეთის სამაროვნებიდან. ძვ.წ. XIV-XIII სს. [969-970]

ძვ.წ. VIII-VII სს-ში ვითარდება ბრინჯაოს პლასტიკა. იქმნება ანთროპომორფული გამოსახულებანი – რიტუალური დანიშნულების თიხისა და ბრინჯაოს ქანდაკებანი. ქალის გამოსახულებებთან ერთად იქმნება მამაკაცის ითიფალური ფიგურებიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტანზეშველი მამაკაცის ქანდაკებები (სურ. 90). ერთ-ერთ მათგანს, რომელიც მძლავრი ტორსითა და აშკარად გამოხატული ფალოსით გამოირჩევა, მარჯვენა ხელში პატარა ყანწი უკავია. ყელზე შებმული ხატისუღელი, შესაძლოა, იმაზე მიუთითებს, რომ აქ ჩვენს წინაშეა გამოსახულება კულტის მსახურისა რაღაც რიტუალის შესრულების დროს. მსგავსი გამოსახულებანი საქართველოს სხვა კუთხეებიდანაცაა ცნობილი (დაწვრ. იხ. [649, გვ. 45-47]).



სურ. 90. ბრინჯაოს ქანდაკებები მამაკაცისა. მელაანი [1032]

მხატვრული ხელოსნობის საკმაოდ თავისებურ ძეგლს წარმოადგენს ბრინჯაოს რიტუალური ნივთი (სურ. 91). ესაა ზეაწეული ნაპირებიანი ფირფიტა (დაახლ. 12 სმ სიგრძისა), რომელზედაც დარჩილულია ჩამოსხმული ფიგურები, ცენტრში გამოსახულია შემოღობილი ფარეხი თავისი შესასვლელით, რომლისკენაც მიემართება ცხვრის ფარა მწყემსებითა და ძაღლებით. ე.ი. ჩვენს წინაშეა სამეურნეო-საყოფაცხოვრებო სიუჟეტი, რომელიც საკმაოდ რეალისტურადაა გადმოცემული [649, გვ. 49-51][140].



სურ. 91. ბრინჯაოს სარიტუალო ნივთი. ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი. გამდლისწყარო [1032]

ძვ.წ. VIII-VII სს-ის საქართველოსა და მთელი კავკასიის მხატვრული კულტურის ერთ-ერთი შესანიშნავი კომპონენტია გრავირებული გამოსახულებებით მორთული ბრინჯაოს სარტყლები. მათ შორის გვხვდება როგორც სადა, ისე გეომეტრიული ორნამენტით და რთული სიუჟეტური კომპოზიციით შემკული დიდებული ნიმუშები.

სადა და ორნამენტირებულ სარტყლებს ზოგჯერ აქვთ მრგვალი ნახვრეტები, რომელნიც, შესაძლოა, სხვადასხვა საგნის (მაგ. ბრინჯაოს მინიატურული სკულპტურების) ჩამოსაკიდად იყო განკუთვნილი. ორნამენტირებული სარტყლების დამახასიათებელი თავისებურებაა სპირალის გამოსახულება (სხვადასხვა კომბინაციით და რიტმული მონაცვლეობით – სურ. 92), რომელიც მაჩნიათ გარკვეული სამეურნეო ინტერესების (მზისა და სითბოს სიმრავლის) ამსახველ სოლარულ ნიშნად [1024, გვ. 20-26].

გრავირებული გამოსახულებებით მორთული სარტყლები (სურ. 92-98) ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ზომებით, ნახატის კომპოზიციით და ზედ წარმოდგენილი სიუჟეტებით. განსაკუთრებით ტიპიურია ჯიხვებსა და ირმებზე ნადირობის სცენები, ხოლო მათთან ერთად, ორნამენტულ-დეკორატიული ელემენტები, ასტრალური ნიშნები, სხვადასხვა (მათ შორის ფანტასტიკური) ცხოველების, ფრინველებისა და თევზების გამოსახულებანი [976], [1024]. ყოვე-

[140] კ. ფიცხელაურის აზრით, აქ წარმოდგენილია რიტუალური სცენა საკულტო ნაგებობით, ცხოველებითა და საგნებით [1032, გვ. 95]. ვ. ხიდაშელის ვარაუდით აქ ტაძარი-სამლოცველოა გამოსახული.

ლიეე ეს რიტმულად, გარკვეული წესითა და რიგითაა გადმოცემული, რაც მიჩნეულია მხატვრული პრინციპების მკაფიოდ დამუშავებული სისტემის არსებობის მოწმობად [976, გვ. 15], [1024, გვ. 3].



სურ. 92. ბრინჯაოს სარტყლების შემკულობის ნიმუშები [1026]

სავსებით აშკარაა, რომ ბრინჯაოს სარტყლებზე წარმოდგენილი გამოსახულებები თავისებური მხატვრული ხერხებით გადმოსცემდნენ იმ ადამიანთა იდეოლოგიურ-რელიგიურ შეხედულებებსა და თვალსაზრისს, ვისთვისაც იყო გამიზნული ძველი ხელოვნების ეს შესანიშნავი ქმნილებანი. მაგრამ მგონია, რომ დღეს ყოველთვის როდია შესაძლებელი ძველი ხელოსნის მხატვრულ-იდეოლოგიურ აზრთა მსვლელობისა და მის მიერ შესრულებულ გამოსახულებათა თუ ცალკეული გეომეტრიული სიმბოლოების რეალური შინაარსის სრული დარწმუნებითა და მთელი სისრულით აღდგენა. ამიტომაცაა დღეს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აგრე დიდი და ხშირად საკმაოდ მკვეთრი სხვადასხვაობა ძველი სიმბოლოების რეალური შინაარსის შესახებ. ასევეა ჩვენს ბრინჯაოს სარტყელებზე წარმოდგენილი დეკორატიული ელემენტებისა და სიუჟეტების ინტერპრეტაციის საკითხიც.

სპეციალისტები, რომლებიც საგანგებოდ იკვლევენ ბრინჯაოს სარტყლებზე შესრულებულ გამოსახულებებს, ამტკიცებენ, რომ აქ საქმე გვაქვს უძველეს მითოლოგიურ სიუჟეტებთან, რომელნიც ქართულ ფოლკლორშია შემონახული. ასეთადაა მიჩნეული „ნადირთა მეუფე ქალღვთაების სამყარო“ და სხვ. [976], [1024], [1026]. ხაზგასმით აღნიშნავენ იმასაც, რომ ეს გამოსახულებანი წარმოადგენენ ერთისა და იმავე სამიწათმოქმედო ღვთაების კრებით სახეს, ხოლო მასთან ერთად ანსახიერებენ იმ მაგიურ ძალებს, რომლითაც, ძველ მიწათმოქმედთა რწმენით, თითქოს აღჭურვილნი იყვნენ ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლები, ცის მნათობნი და ცალკეული საგნებიც კი [1026, გვ. 61].



სურ. 93. ბრინჯაოს გრავირებული სარტყელი. ძვ.წ. VIII-VII სს-ის სამარხიდან. საგარეჯო.



სურ. 94. გრავირებული გამოსახულებით მორთული ბრინჯაოს სარტყელი. ძვ.წ. VIII-VII სს. სამთავრო [1026], [976].



სურ. 94ა. გამოსახულების დეტალი

ძველ მიწათმოქმედთა რელიგიური რწმენა-წარმოდგენების მხატვრულ ფორმებში გადმოცემის ნიმუშადაა მიჩნეული ერთ-ერთი სარტყელი (სურ. 94), რომელზედაც გამოსახულია ხარი (თუ „ხარისმაგვარი“ ცხოველი წაგრძელებული დრუნჩით). ყურადღებას იქცევს რქების საკმაოდ თავისებური და იმავე დროს სხვა-

დასხვაგვარად გამოსახვა (სურ. 94), რაც უღელის სტილიზებულ გადმოცემად მიაჩნიათ: ერთ შემთხვევაში ესაა უღელი – მარტული (საკისრული), მეორეში – ფარცხის აკაზმულობა, ხოლო მესამეში – ნამგალი (საგანგებოდ დაშტრიხული სამუშაო ნაწილით). რქების სხვადასხვაგვარად გამოსახვის ამგვარი ინტერპრეტაციისა, აგრეთვე, ხარის პოზის, ზოგიერთი სტილიზებული დეტალის (რქის მოჩარჩოება წერტილებით – „მარცლებით“) და უძველესი ქართული რელიგიური წარმოდგენების გათვალისწინებით (სვანურ საწესო გრაფიკულ ხელოვნებაში რიჟა ასახული) ხელოვნებათმცოდნე ნ. ურუშაძემ გაშოთქვა საინტერესო მოსაზრება: ბრინჯაოს სარტყელზე გამოსახულია „ხარი-მზენელი“, „ხარი-მთესველი,“ (იმავდროულად „ხარი-მფარცხავი“) და „ხარი-მოსაველის ამღები,“ ე.ი. გადმოცემულია სამიწათმოქმედო კალენდრის მთელი ციკლი [1026, გვ. 12-19].



სურ. 95. გრავირებული გამოსახულებებით მორთული ბრინჯაოს სარტყელი. ძვ.წ. VIII-VII სს. სამთავრო [1026], [976]



სურ. 96. მრავალფიგურიანი კომპოზიციით მორთული ბრინჯაოს სარტყელი. ძვ.წ. VIII-VII სს. სამთავრო [1026], [976]



სურ. 97. გრავირებული გამოსახულებებით მორთული ბრინჯაოს სარტყელი. ძვ.წ. VIII-VII სს. სამთავრო [1026], [976]

ორნამენტული სარტყლების წარმოშობა-გავრცელების შესახებ ასევე აზრთა სხვადასხვაობაა. მათი პირველმემსწავლენი ასეთი ტიპის სარტყლებს მიაკუთვნებდნენ ასურულ, ფინიკიურ, ხეთურ, კრეტა-მიკენურ თუ დუნაისპირულ მხატვრულ სკოლებს. შემდეგ გამოითქვა, დღესაც სპეციალისტთა ერთ ნაწილში საკმაოდ პოპულარული, იდეა კავკასიაში გავრცელებული ორნამენტირებული ბრინჯაოს სარტყლების უარტული წარმოშობის შესახებ (დაწვრ. იხ. [976], [1026]). მაგრამ უკანასკნელ ხანებში საგანგებო კვლევის შედეგად თვალნათლივ ისახება რიგი სტილისტური თავისებურებებისა, რის საფუძველზეც ასკვნიან, რომ ძვ.წ. VIII-VII სს-ში არსებობდა ბრინჯაოს ორნამენტირებული სარტყლების დამზადების ადგილობრივი ცენტრები, ხოლო თვით გამოსახულებებს „კავკასიური ცხოველსახოვანი სტილის“ მხატვრული პრინციპები დაედო საფუძვლად ([976], [1026]).



სურ. 98. ბრინჯაოს სარტყელი სამთავროს სამაროვნიდან [1026]

მეტალურგიის და ლითონის იარაღების წარმოების ფაროდ განვითარებამ, შესაბამისად ტექნიკურმა პროგრესმა, მძლავრი ბიძგი შეუქმნა მიწათმოქმედებასაც, რომელიც უკვე ხელოვნურ მორწყვაზე იყო დაფუძნებული [812, გვ. 33-48]; [619, გვ. 94-95], შდრ. [422, I, გვ. 391-

394]. ლითონისა და ქვის თოხების გამოყენება ხელს უწყობდა მიწის ღრმად დამუშავებას. ივარაუდება პრიმიტიული სახნეველი იარაღის (მაგ. ხის კავის), ხარის გამწევი ძალის გამოყენებაც [1007, გვ. 45]. ეს კი იმდროინდელ მეურნეს საშუალებას აძლევდა, განეზორციელებინა მთელი რიგი აგროტექნიკური ღონისძიებებისა (ღრმად ხვნა, შერეული თესვა, გვალვაგამძლე მარცვლეული ჯიშების გამოყვანა და ა.შ.) და მით ურწყავი მიწებიც აეთვისებინა [619, გვ. 84-116]. ნამოსახლარებზე აღმოჩენილი ბოტანიკური ნაშთების (უპირატესად დანაზშირებული მარცვლეულის) შესწავლამ ცხადყო, რომ გვიანბრინჯაო-აღრერკინის ხანაში მოჰყვადათ სხვადასხვა ჯიშის ხორბალი, ჭვავი, ქერი [685, გვ. 68-69, № 43, 47-48]. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საქართველოსათვის ენდემური ჯიშის ხორბლეულის – მახასა და ზანდურის არსებობა.[141]

მოსავლის ასაღებად იყენებდნენ ბრინჯაოსა და რკინის ნამგლებს, აგრეთვე ნამგლის კაკეს დაკბილულ ჩანართებს (აგრე მრავლად რომაა ნაპოვნი თითქმის ყველგან ძვ.წ. II-I ათასწლეულების ნამოსახლარებზე[142] [619, გვ. 96]; [1007, გვ. 45 და იქვე დასახ. ლიტ.]). საკმაოდ ხშირია კვერის კოხები. შიდა ქართლის სამაროვნებზე დადასტურებულია კვერთან ერთად დაკრძალვაც (სურ. 99). ფიქრობენ, რომ ასეთი სამარხები ეკუთვნოდა გვარისა თუ თემის იმ განსაკუთრებით პრივილეგირებულ წევრებს, რომლებიც სამეწათმოქმედო სამუშაოებს ხელმძღვანელობდნენ („გუთნისდედა“) [619, გვ. 95].



სურ. 99. კვერიანი სამარხი. წაღვლი [95ჩ,ა]

სამკელი იარაღებისა და კვერის ფართოდ გამოყენება (აგრე თვალსაჩინოდ რომაა არქეოლოგიური აღმოჩენებით დადასტურებული) მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის პირდაპირ მოწმობაა [619, გვ. 95], რასაც მოწმობს აგრეთვე ნამოსახლარებზე მრავლად აღმოჩენილი ქვისაგან დამზადებული ხელსაფქვავები.

გვიანბრინჯაო-აღრერკინის ხანაში ვითარდება მებოსტნეობა, მებაღეობა და განსაკუთრებით – მევენახეობა და მეღვინეობა. ამას მოწმობს კულტურული ვაზის ყურძნის წიპწების ხშირი აღმოჩენები [1555, გვ. 138]; [685, გვ. 71 № 48], რომელთა შორის არის აღმოსავლეთ საქართველოში დღესაც ფართოდ გავრცელებული ჯიშები – „მწვანე“ და „რქაწითელი“. ვაზის სასხლავად იყენებდნენ რკინის მოხრილ დანებს (სურ. 86, 17), რომლებიც განსაკუთრებით ძვ.წ. VIII-VII სს-შია გავრცელებული [1555, გვ. 138], შდრ. [685, გვ. 97]. ამ დროისათვის გვხვდება დიდი ზომის ქვევრებიც, რომელნიც ღვინის დასაყენებლად და შესანახად იყო განკუთვნილი (იხ. მაგ. [982], [983]). ქვევრები და სარიტუალო ჭურჭელი სამლოცველოებშიცაა დადასტურებული [1007, გვ. 45-46].

უკვე შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულს და გვიანბრინჯაოს ეპოქის დასაწყისიდანვე ივარაუდება მიწათმოქმედებისაგან მესაქონლეობის გამოყოფა. აღმოსავლეთ საქართველოს გეოგრაფიული პირობები – საზაფხულო და საზამთრო საძოვრების არსებობა – ხელს უწყობდა როგორც ნახევრადმომთაბარეობა, ასევე ბინადარი იალაღური ტიპის მესაქონლეობის განვითარებას. ნამოსახლარებსა და სამარხებში გვხვდება როგორც ცხვრის, ასევე მსხვილი რქოსანი საქონლის ძვლები [1007, გვ. 46-47]. აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ოლქებში კი, მიწათმოქმედებასა და მეცხვარეობასთან ერთად, მისდევდნენ მსხვილი რქოსანი პირუტყვის მოშენებას. ამასთან ერთად, ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მესაქონლეობის განვითარებას ცალკეულ ისტორიულ პროვინციებში ჰქონდა თავისი სპეციფიკური თავისებურებანი, რომელნიც არქეოლოგიური კვლევისას ყოველთვის ვერ ფიქსირდება. ამიტომაც ენიშნება აგრე დიდი მნიშვნელობა შედარებით ახლო წარსულის ეთნოგრაფიული ყოფის შესწავლას, რამდენადაც იქაა შემონახული უძველესი ელემენტები. ქართველ ეთნოგრაფებს აღწერილი აქვთ მსხვილი და წვრილი რქოსანი პირუტყვის მოშენების ხალხური წესები, საძოვრების გამოყენების ძველი ტრადიციები, სამეურნეო კალენდარი, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები და ადათ-წესები და ა.შ. [349], [366].

ეთნოგრაფიული მონაცემებით ჩანს, რომ მიუხედავად იალაღური მეცხვარეობის განვითარებისა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მსხვილ რქოსან საქონელს მთელი წლის განმავლობაში მთაში ინახავდნენ და გადაყვადათ მხოლოდ გარკვეულ სამეურნეო-გეოგრაფიულ რეგიონებში განლაგებულ სეზონურ (საზაფხუ-

[141] ამ საბეობათა მარცვლები აღმოჩნდა თრელიგორებზე (სურ. 72, № 14) და განსაზღვრა პალეობოტანიკოსმა ნ. რუსიშვილმა.

[142] ადრე ვარაუდობდნენ მიცვალებულის კვერზე დაკრძალვას [972], მაგრამ ახლა დადასტურდა, რომ კვერი სამარხის თაგზე იყო მოთავსებული ([948], შდრ. [950, გვ. 8], ხ950ა]).

ლო, საზამთრო და ნაწილობრივ – საგაზაფხულო თუ საშემოდგომო) საძოვებზე.

მესაქონლეობა ვითარდებოდა ბუნებრივ-სამეურნეო პირობების მიხედვით და ხასიათდებოდა ვერტიკალურ-ზონალური განლაგებით, რაც აისახა კიდეც ზემოხსენებული სეზონური საძოგომების რეგულარულ გამოყენებაში, უძველესი დროიდან დღემდე რომაა შემორჩენილი. იალაღური მესაქონლეობა საქართველოში ვითარდებოდა და თანაარსებობდა ბინადარ მეურნეობასთან ერთად. იალაღური მესაქონლეობით (ე.ი. საქონლის გადაყვანით საზაფხულო საძოვრებიდან საზამთროზე და უკან) დასაქმებული იყვნენ ოჯახის ის წევრები, რომელთა ძირითად საქმიანობას შეადგენდა საქონლის მოვლა-პატრონობა, რძის პროდუქტების (ყველი, კარაქი) დამზადება. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი კი ბარში ბინადარ მიწათმოქმედებას მისდევდა [349].

უკვე გვიანბრინჯაოს ხანაში ეყრება საფუძველი მთისა და ბარის ურთიერთობას: საზოგადოებრივი შრომის დანაწილების (მიწათმოქმედებისაგან მესაქონლეობის გამოყოფის, ხელოსნური წარმოების ცალკე დარგად განცალკევებისა და დიფერენციაციის) პირობებში მთასა და ბარს უკვე აღარ შეეძლო არსებობა ძჭიდრო ურთიერთკავშირის გარეშე, რაც გულისხმობდა პირველ რიგში ნედლეულის (ლითონის) და სხვადასხვა, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, ასევე ხელოსნური ნაწარმის, აგრეთვე – ბაზამთრო და ბაზაფხულო საძოვრებით სარგებლობის უფლების ურთიერთშორის გაცვლას. რეგულარული ურთიერთკავშირი ხელს უწყობდა ბარული მიწათმოქმედების, ასევე მთის მესაქონლეობის ინტენსიფიკაციას. ეს პროცესები დიდ როლს ასრულებდნენ აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის ერთიან ეკონომიკურ სისტემაში მოქცევისათვის.[143] ამავე დროს მათ საინტერესო ასახვა ჰპოვეს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეული ოლქების მატერიალური კულტურის ძეგლებში.[144]

[143] მესაქონლეობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნის დროს საქართველოს პოლიტიკური კონსოლიდაციის პროცესში [421, I, გვ. 353]. საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე მთისა და ბარის ურთიერთობის ცალკეული ასპექტების შესახებ დაწვრ. იხ. [425, გვ. 214-219].

[144] ასე მაგ., ცხვრის გადასაყვან გზებზე მდებარე თრიალეთის ერთ-ერთ გამოქვაბულსა და სოფ. გომარეთში ნაპოვნია ამ რეგიონისათვის რამდენიმე უცხო და არატიპიური ბრინჯაოს ხახვილები და სატევრები, მთლიანადხმული მასრიანი შუბისპირები ორი რელიეფური სარტყლით და სხვ. ნივთები, რომელნიც კახეთის არქეოლოგიური კომპლექსებისათვისაა დამახასიათებელი. ამიტომ ივარაუდება, რომ კახეთის მცხოვრებლებს იმ დროს (ისევე როგორც არც თუ შორეულ წარსულში) ცხვარი სამთავრად თრიალეთში დაჰყავდათ. მეორეს მხრივ, მდ. მტკვრის მარცხენა

ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან სწრაფად ვითარდება მეცხვარეობა, რასაც მოწმობს როგორც ლითონის ლაგმების, ასევე აკაზმული ცხენის ქანდაკების აღმოჩენები [1007, გვ. 47]. მხედრიონის გაჩენას ადასტურებს თრელის სამაროვანზე ძვ.წ. XIII-XII სს-ით დათარიღებულ სამარხში აღმოჩენილი მხედრის გამოსახულებიანი ბრინჯაოს ბალთა (სურ. 87) [890, გვ. 75], [1030, გვ. 46].

ერთ-ერთი სიახლეთაგანი იყო ცხენშებმული ეტლების გამოყენებაც. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ძვ.წ. I ათასწლეულით დათარიღებული ორთვლიანი საომარი ეტლის ბრინჯაოს მოდელი – სკულპტურული გამოსახულება (სურ. 100 [1007, გვ. 47]). საომარი ეტლის არსებობა თავისთავად გულისხმობს მათ დამზადებას, საგანგებოდ გაწვრთნილი ცხენის მოშენებას, მეომარ-პროფესიონალთა არსებობას და შესაბამისად – სათანადო მატერიალურ-ტექნიკურსა და სოციალურ საფუძველს, რაც კიდევ ერთი მოწმობაა სოციალურად პრივილეგიური ფენის გამოყოფისა [998].



სურ. 100. საომარი ეტლის მოდელი. ბრინჯაო. ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი. ს. გოხები [1007], [998]

ინტენსიური მორწყვითი და ურწყავი მიწათმოქმედების, აგრეთვე ბინადარი მესაქონლეობის განვითარებამ განაპირობეს მოსახლეობის სწრაფი ზრდა და მთელი აღმოსავლეთ საქართველოს ბარის, მთისწინეთისა და მთიანეთის სამეურნეო ათვისება. ცალკეული რეგიონების ლანდშაფტურ-კლიმატური პირობები განსაზღვრავდა მეურნეობის ხასიათს, ხოლო ეს უკანასკნელი კი – დასახლებათა ტოპოგრაფიას. ასე მაგ., შიდა ქართლში, სადაც აგრე ხელსაყრელი პირობებია ხელოვნური სარწყავი სისტემების მოსაწყობად, გვიანბრინჯაო-ადრერკინის დასახლებანი ძირითადად მთისწინა ზოლშია განლაგებული. ქვემო

სანაპიროზე გვხვდება ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის ჩრდილოეთი კალთების მატერიალური კულტურისათვის დამახასიათებელი ელემენტები, რაც შესაძლოა, მიუთითებს შიდა ქართლის მოსახლეობის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის ხაზაფხულო საძოვრების გამოყენებაზე (დაწვრ. [1007, გვ. 47]).

ქართლში მიწათმოქმედნი სახლობდნენ როგორც მთიულეთში, ასევე ბარში, თუმც ეს ადგილები მესაქონლეებსაც ეკავათ. ალაზნის ველზე ძირითადად მიწათმოქმედი მოსახლეობაა დამკვიდრებული, ხოლო იორის აუზში – მესაქონლეები, თუმც მიწათმოქმედებაცაა განვითარებული და ა.შ. ([619, გვ. 92]).

მოსახლეობის საკმაოდ თვალსაჩინო სიმჭიდროვესა და მდ. მტკვრის, ალაზნისა და მათი შენაკადების ნაყოფიერი ველების ფართოდ ათვისებას [937], [426, გვ. 32-39] მოწმობს არაჩვეულებრივი სიმრავლე ნამოსახლარებისა, სადაც დასტურდება ინტენსიური და უწყვეტი ხანგრძლივი ცხოვრება. ესაა ე.წ. მრავალფენიანი ნამოსახლარები და მათთან დაკავშირებული ვრცელი სამაროვნები. ასეთებია თუნდაც მრავალწლოვანი არქეოლოგიური გათხრებით შესწავლილი სამთავროს სამაროვანი (სურ. 72, № 15), ნამოსახლარები – ხოვლეგორა (სურ. 72, № 17), ყათლანისუბანი (სურ. 72, № 19), ცხინვალის „ნაცარგორა“ (სურ. 72, № 20), თრელაგორების ნამოსახლარი და მისი ვრცელი სამაროვანი (სურ. 72, № 3-11) და სხვ.

განსაკუთრებით ფართოდაა შესწავლილი სამთაროს სამაროვანი (მცხეთის ჩრდ. განაპირას), რომელიც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე XIX ს-ის 80-იანი წლებიდანაა ცნობილი. ეს სამაროვანი ფუნქციონირებდა ხანგრძლივი დროის მანძილზე – შუა ბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული ახ.წ. VIII ს-მდე. მას თითქმის 20 ჰა ფართობი უკავია. სხვადასხვა დროს სამარხები ზოგჯერ ერთმეორის თავზეა გამართული და ამიტომ სამთაროს სამაროვანს „მრავალიარუსიანს“ (ანუ მრავალფენიანს) უწოდებენ. უკვე გათხრილია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ათასამდე სამარხი, რომელმაც მოგვცა უაღრესად მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა აღმოსავლეთ საქართველოს (კერძოდ კი – შიდა ქართლის) კულტურის ისტორიის შესასწავლად.

ისევე როგორც მთელს აღმოსავლეთ საქართველოში, სამთაროს სამაროვანზეც გვიანბრინჯაოს ეპოქის დასაწყისიდან ყორღანული სამარხების ნაცვლად[145] ფართოდ ვრცელდება ჩვეულებრივ ორმოსამარხებში ინჰუმაციური დაკრძალვის წესი. მიცვალებულები ჩვეულებრივ მოკუნწნულ პოზაში იყვნენ დაკრძალული, თავთან და ფეხებთან ორ-ორი ქვა ჰქონდათ შემოწყობილი. ქალებს მარცხენა გვერდზე ასაფლავებდნენ, ხოლო კაცებს – მარჯვენა. დაკრძალვის შემდეგ ორმოს გადახურავდნენ ხის ძელებით ან ფიცრით, რომელსაც ზემოდან ქვასა და მიწას აყრიდნენ. ზოგიერთი სამარხის თავზე დადასტურებულია ქვების წრიულად შემოლაგება (კრომლეხების მსგავსად). გვიანბრინჯაოს ხანაში სამარხები ზოგჯერ ქვის ფილებითაა გადახურული. სამარხის აღმინშენელი რაიმე ნიშანი ჯერჯერობით არ დაფიქსირებულა. სამარხების აბსოლუტური უმრავლესობა ინდივიდუალურია (ე.ი. მხოლოდ ერთი ადამიანია ჩასვენებული). გვხვდება კენოტაფებიც (ე.ი. რომელიმე პირის სიმბოლური სამარხი მიცვალებულის გარეშე). საკმაოდ იშვიათია ჯგუფური ან კოლექტიური სამარხები (ერთ შემთხვევაში ერთად 35 ჩონჩხი აღმოჩნდა). ასეთი სამარხების გაჩენას ეპიდემიას ან რაიმე სტიქიურ უბედურებას უკავშირებენ. აღრეული ხანის სამარხებში რაიმე ქონებრივი დიფერენციაცია არ შეინიშნება. სამარხეული ინვენტარი ჩვეულებრივ შედგება თიხის ჭურჭლის, ლითონის სამკაულისა და აგრეთვე იარაღისაგან (მამაკაცის სამარხში). საკმაოდ ხშირია (უპირატესად მამაკაცთა დაკრძალვისას) აღაპის წესის შესრულება, რასაც მოწმობს შინაური ცხოველების (ძროხის, ხარის, კამეჩის, ცხვრის, თხის, ღორის) და ფრინველის, აგრეთვე ტყის ფაუნის წარმომადგენელთა (ირმის, ტახის, კურდღლის) ძვლების აღმოჩენა. ზოგიერთ სამარხში თევზისა და კუს ძვლებიცაა ნაპოვნი (დაწერ. [915-916], შდრ. [951]).

სამთაროს სამაროვნის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის გასწვრივ მდებარე ბორცვზე აღმოჩენილია ადრერკინის ხანის დასახლების ნაშთები – საკმაოდ კარგად შემონახული და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის აღმოსავლეთ საქართველოსათვის ადრე ტიპიური საცხოვრებელი კომპლექსები: ბანურსახურავიანი სწორკუთხა ფორმის ნახევრად მიწური სახლები. მათი კედლები თიხის ხსნარით შეკრული ნაფლეთი ქვითა და რიყის ქვებითაა აგებული და შემდეგ ორივე მხრიდან თიხით მობათქაშებული.[146] კედლების გასწვრივ დაფიქსირებულია ბანური გადახურვის საყრდენი ბოძების ნაშთები, ხოლო ცენტრალურ ნაწილში – დედაბოძის ჩასადგმელი ორმო. ერთ-ერთი შენობის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში შემორჩენილია პურის საცობი ღუმელი, ხოლო ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში – მაღალზურგიანი სამსხვერპლო, რომელიც 4 ანთროპომორფული სკულპტურული გამოსახულე-

[145] გვიანბრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხები აღმოსავლეთ საქართველოში შედარებით იშვიათია. ისინი ძირითადად გვხვდება ქვემო ქართლში ([912, გვ. 71-73], შდრ. [961, გვ. 75-76]), სადაც აღნიშნული დროისათვის დადასტურებულია აგრეთვე ქვაყუთებში და ხის ძელებით შეკრულ სამარხებში დაკრძალვა და კრომლეხის ტიპის სამარხებიც [912, გვ. 61-66]. ეს უკანასკნელი გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშიც [1016].

[146] ზოგიერთ ნამოსახლარზე გვხვდება ცეცხლისაგან ძლიერ გაწითლებული თიხის ბათქაშის ფრაგმენტები, რომლებზედაც შემორჩენილია ხის ფიცრებისა და წნულის ანაბეჭდები. ახლახან კი ხაშურის „ნაცარგორას“ ნამოსახლარზე პირველად აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის მიწური ჯარგვალური ნაგებობა, რომლის ხის ძელებით შეკრულ კედლებზე თითქმის 2 მ-ის სიმაღლეზე შემორჩენილია თიხის ბათქაშის ნაშთები [948, გვ. 35].

ბითაა დაგვირგვინებული. სამსხვერპლოს წინ მიწაში ჩაფლული იყო ნაცრითა და დამწვარი ცხოველის ძვლებით ამოვსებული თიხის ჭურჭელი. სახლის შუა ნაწილში გამართული იყო კერა და აგრეთვე თიხატკეპნილ იატაკში ამოთხრილი სამეურნეო დანიშნულების ორმო. საცხოვრებელ ოთახს ჩრდილოეთი მხრიდან ეკერის სამეურნეო სათავსო [992].

რიზონტისაგან და ასახავს ამ გორაზე მოსახლეობის ისტორიას ძვ.წ. XV ს-დან ძვ.წ. IV ს-მდე. დადგენილია, რომ თავდაპირველად დასახლება გაჩნდა ქვის კედლებით შემოზღუდულ ხელოვნურ ბორცვზე. ძვ.წ. XIII ს-დან დასახლება იქმნება ბორცვის ირგვლივ, ხოლო თვით ბორცვზე კი საკულტო რიტუალი სრულდება და საშიშროების დროს მოსახლეობაც აფარებს



a



b



c

1 0 1 4m

სურ. 101. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის საცხოვრებელი სახლი. a) გეგმა: 1. საცხოვრებელი ნაწილი, 2. საქონლის სადგომი, 3. ღუმელი, 4-5. სანაცრეები, 6. ზღურბლი, 7. წმინდა ცეცხლი, 8. თაროები, 9. ბაგა, 10. სადინარი არხი, 11. დედაბოძი, 12. ნიშა; b) ინტერიერის აქსონომეტრული ჩანახატი; c) სახლის ნაშთების ჩანახატი [992]

აღწერილი ტიპის საცხოვრებელი სახლი (სურ. 101) გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის თითქმის ყველა ნამოსახლარზე.

ამ დროის სამოსახლოები, როგორც წესი, გამართულია ბორცვებზე, რომელსაც ჩვეულებრივ „გორას“ უწოდებენ.[147] ასეთი დასახლების განვითარების ტიპიური ნიმუშია „ხოვლეგორა“ (სურ. 72, № 17). არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილია მძლავრი კულტურული ფენა, რომელიც შედგება 8 სამშენებლო ჰორიზონტისაგან. ე.ი. ამიერიდან გამაგრებული ბორცვი ციტადელის ფუნქციას ასრულებს: მას გარშემო მძლავრი ზღუდე-კედლის რამდენიმე რიგი შემოარტყეს და გარს ღრმა თხრილიც გაუკეთეს. დასახლების ახლოს იქმნება თიხის ჭურჭლის დასამზადებელი სახელოსნოები [936]. ანალოგიური სურათი დასტურდება სხვა ნამოსახლარებზეც (სურ. 72, №№ 14, 19, 20).

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ თრელეგორეების ნამოსახლარზე, რომელიც ჩვენი დედაქალაქის – თბილისის დასავლეთ კარიბჭესთანაა განლაგებული (სურ. 72, № 14). აქ ბორცვებზე დასახლება ჯერ კიდევ ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებში გაჩნდა და თითქმის უწყვეტად იარსება ძვ.წ. VI ს-მდე.

[147] აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ეს ტერმინი („გორა“) სოციალური ინფორმაციის მატარებელიც იყო. მისგანაა ნაწარმოები სოციალური ტერმინი „გვარი“, ე.ი. „გორა“ წარმოადგენდა გვარის დასახლებას [422, I გვგ. 73], [937, გვ.188], [425, გვ. 32-42], [619, გვ. 100-106].

თრელიგორების გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის დასახლება გასაოცარია თავისი გრანდიოზულობით: იგი 1,5 კმ-ის მანძილზე გრძელდება. განსაკუთრებით მჭიდროდ ბორცვის აღმოსავლეთი ფერდობია დასახლებული. იგი ტერასებადაა დანაწილებული და თითქმის მთლიანად დაფარულია საცხოვრებელი ნაგებობებით. ესაა ძირითადად ბანურსახურავიანი ერთოთახიანი მიწურები (ზოგიერთ სათავსოში შემორჩენილია სახურავის საყრდენი ბოძების ნაშთები). შიდა მხრიდან მობათქაშებული კედლები თიხის ხსნარზეა რაფისა და ფლეთილი ქვებით ამოყვანილი. თითოეულ სახლში დადასტურებულია ჰური საცხობი ღუმელი, რომელიც რიტუალურ ფუნქციასაც ასრულებდა. მას ჩვეულებრივ უშუალოდ ეკვრის სხვადასხვა ფორმის საკურთხევლებიანი დაბალი მიედნები. სამეურნეო სათავსოებში ნაპოვნია მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების შესანახი ხაროები, საღვინე თუ სხვა დანიშნულების ჭურჭელი. საგანგებოდაა აღსანიშნავი ერთერთ სათავსოში აღმოჩენილი ხორბლის მარცვლები და ყურძნის წიპწები, რაც საღვინე ქვევრების არაჩვეულებრივ სიმრავლესთან ერთად იმ დროს დიღმის ხეობაში ინტენსიური მევენახეობის განვითარების მოწმობადაა მიჩნეული.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აგრეთვე მოსახლეობის არაჩვეულებრივი სიმჭიდროვე: სახლები ერთმანეთის გვერდითაა განლაგებული, ამასთან ერთი სახლის ბანური სახურავი ზედა ტერასაზე მდგარი სახლის ეზოდაა გამოყენებული.

თრელიგორების გვიანბრინჯაო-ადრერკინის დასახლება ეკონომიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით ზედმიწევნით ხელსაყრელ ადგილზეა განლაგებული. იგი გარშემორტყმული იყო ვრცელი, ძალზე ნაყოფიერი მიწებით. ამავე დროს მის ახლოს გადიოდა საზამთრო თუ საზაფხულო საძოვრებისაკენ მიმავალი საიალაღო გზები (ე.წ. ცხვრის გზა), აგრეთვე მდ. მტკვრის გაყოლებითა თუ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალი სავაჭრო თუ სტრატეგიული მაგისტრალები. ამიტომაც ფიქრობენ, რომ ეს ადგილები უძველესი დროიდან იზიდავდა მოსახლეობის კომპაქტურ ჯგუფებს: მის (და აგრეთვე მცხეთის რეგიონის) მფლობელს შეეძლო თავისუფლად განეხორციელებინა კონტროლი მთელი ცენტრალური კავკასიის მთისა და ბარის ოლქებისათვის [984, გვ. 168-169]. თრელიგორების ნამოსახლარისა და მისი ჩრდილოეთი ბორცვის ძირში განლაგებული ვრცელი სამაროვნის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალებში წარმოდგენილია თითქმის ათასწლოვანი ისტორია ამ ნამოსახლარისა, რომელსაც განუცდია სხვადასხვა ეთნოკულტურული გავლენებიც და, როგორც ფიქრობენ, უცხო ეთნიკური ელემენტის მიერ დაპყრობაც; არქეოლოგიურ მასალებში თვალსაჩინოდაა ასახული ამ ტერიტორიაზე მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, პოლიტიკური მოვლენები და კულტურული ურთიერთობანი.



სურ. 102. „თრელიგორები“ (იხ. სურ. 72, № 14)

სამაროვანზე, რომელიც ნამოსახლარის თანადროულია (ე.ი. ძვ.წ. XV-VI ს-ით თარიღდება), განვითარების სხვადასხვა ეტაპზე დაკრძალვის განსხვავებული წესი და სამარხეული ინვენტარია დადასტურებული. შუაბრინჯაოს ფინალურ სტადიაზე (ძვ.წ. XV ს.) ჭარბობს ყორღანული სამარხები, რომელნიც ჯერ კიდევ ასახავენ საზოგადოებაში მომხდარ ქონებრივ დიფერენციაციას, აგრე თვალსაჩინოდ რომ იყო

წარმოდგენილი თრიალეთურ კულტურაში (და წინა თაში განხილული). მდიდრული სამარხებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ერთი სამარხი. მართკუთხა მოყვანილობის ორმო (5,5 × 2,1 მ) კლდოვან დედაქანში ყოფილა ამოკვეთილი და მიცვალებულის დაკრძალვის შემდგომ ხის ძელებით გადახურული. ივარაუდება ნეშტის სრული კრემაცია. სამარხში აღმოჩნდა ოცზე მეტი თიხის ჭურჭელი, ხარის თავი და კიდურები, აგრეთვე წვრილი რქოსანი საქონლის ჩონჩხი. სამარხის თავზე დაფიქსირდა ალაპის ნაშთები: მსხვილი რქოსანი საქონლის ძვლები, თიხის ჭურჭელი და აგრეთვე მსხვერპლად შეწირული ადამიანის დანაწევრებული ძვლები.

ძვ.წ. XV-XIV სს-ით თარიღდება კიდევ ერთი (№ 37) ყორღანული სამარხი, რომელიც დიდი ზომის ქვებითაა გარშემორტყმული. აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს საომარი იარაღის, აგრეთვე კერამიკისა და წვრილი რქოსანი საქონლის ჩონჩხის (7 ერთეული) მიხედვით ვარაუდობენ, რომ სამარხი ეკუთვნოდა წარჩინებულ მეომარს.

მდიდრული სამარხების ფონზე მკვეთრად გამოირჩევა საზოგადოების რიგითი წევრების საკმაოდ ღარიბულინვენტარიანი სამარხები.

ძვ.წ. XIV ს-ის დასასრულიდან თუ XIII ს-ის დასაწყისიდან თრელის სამაროვანზე ხდება დაკრძალვის წესის მკვეთრი ცვლილება: ჩნდება სამარხთა ახალი სახეობა – ქვაყრილიანი ორმოსამარხები, რომელნიც თითქმის ძვ.წ. VII ს-ის დასასრულამდე არსებობდნენ. მკვეთრად იცვლება აგრეთვე სამარხეული ინვენტარი, რომელიც ამ დროიდან შეიცავს სამთავროს სამაროვნისათვის ტიპიურ ელემენტებს. ამ ძეგლების აღმომჩენ-შემსწავლელი არქეოლოგი რ. აბრამიშვილი თრელის სამაროვანზე დაკრძალვის ახალი წესის გავრცელებას უკავშირებს ამ ტერიტორიაზე ე.წ. სამთავრული კულტურის მატარებელი ეთნიკური ჯგუფის ინფილტრაციას და მის გავლენას.



სურ. 103. თიხის ჭურჭელი („მარანი"). ძვ.წ. VIII-VII სს. თრელის სამაროვანი [983]

თრელის სამაროვანზე გათხრილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის 100-ზე მეტი სამარხიდან განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩევა მეომართა სამარხები, რომელნიც მრავლად შეიცავენ შესანიშნავად ორნამენტირებულ თიხის ჭურჭელს, ბრინჯაოსა და რკინის საომარ იარაღს, ბრინჯაოს სარტყლებს, ლითონის ნაირსახოვან სამკაულებს და სხვ.

თრელის სამაროვნის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხეული ინვენტარი (კერამიკა, ლითონის იარაღი და სამკაული) ძირითადად ერთგვაროვანია და სინქრონულ დონეზე ექცევა, როგორც ფიქრობენ, შიდა ქართლის (ე.წ. სამთავრული) კულტურის არეალში, მაგრამ სრულიად უეცრად, ძვ.წ. VIII ს-ის დასასრულიდან თრელის სამაროვანზე ფიქსირდება მატერიალური კულტურის ისეთი ელემენტების გაჩენა, რომლებიც სრულიად ატიპიურია საქართველოს არქეოლოგიური კომპლექსებისათვის. აქ პირველ რიგში დასასახელებელია ორი ძალზე მდიდრული სამარხი მიცვალებულის ნეშტის სრული კრემაციით. ორივე სამარხს ჰქონდა ვრცელი „დასაკრძალავი დარბაზი" – ბრტყელგადახურვიანი ძელური ნაგებობა. ერთი სამარხი, შედარებით მომცრო (სულ 42 მ^2 ფართობის მქონე) „დასაკრძალავი დარბაზით" ძველადვე აღმოჩნდა გაძარცული და მაინც შემოინახა ხარის ფორმის თიხის ჭურჭელი, ვერძის თავის სკულპტურული გამოსახულებით დაგვირგვინებულტარიანი ფიალა (ანტიკური პატერების მსგავსი), ორნამენტირებული თიხის ჭურჭელი, ოქროს მძივები და სხვ.



სურ. 104. ღვთაების სკულპტურული გამოსახულება. ბრინჯაო. ძვ.წ. VIII-VII სს. თრელის სამაროვანი [983]

მეორე სამარხი კიდევ უფრო გრანდიოზულია. მისი „დასაკრძალავი დარბაზის" ფართობი

70 მ² შეადგენდა, ხოლო კედლების სიმაღლე 4 მ-მდე აღწევდა. ძალზე მდიდრული სამარხეული ინვენტარი შეიცავდა შესანიშნავად ორნამენტირებულსა და ფორმების სინატიფით გამორჩეულ ასამდე ჭურჭელს, რომელთა შორისაა ცხოველის (მეტწილად ცხვრის) ფორმის სასმისები (რიტონის მსგავსი – სურ. 103), აგრეთვე რიტუალური დანიშნულების ბიკონუსური ფორმის გამჭოლნახვრეტიანი და მოჭიქული ჭურჭელი. ამავე სამარხში ნაპოვნია რამდენიმე ათეული ბრინჯაოს და რკინის სხვადასხვა დანიშნულების ნივთი, პასტის (გაუმჭვირვალე მინისა) და სარდიონის მძივები. განსაკუთრებით მრავალფეროვანია ბრინჯაოს ნაკეთობანი, რომელთაგან ზოგიერთი წარმოადგენს მხატვრული ხელსახოცის შესანიშნავ ნიმუშს. მათ შორისაა ჭვირულ სადგარზე გამოსახული ქალღვთაების ქანდაკება (სურ. 104) და შტანდარტის თავი – ცხენის თავის სკულპტურული გამოსახულება (სურ. 105), აგრეთვე ზანზალაკებიანი ხატისულლები, ბალთები, ხელსაბები და ყუწიანი ისრისპირები, ლაგამი და სხვ. [983], [1031].



სურ. 105. ბრინჯაოს შტანდარტის თავი. თრელის სამაროვანი. ძვ.წ. VIII–VII სს. [983]

თრელიგორების ნამოსახლარზე და სამაროვანზე, აგრეთვე მის შემოგარენში მოპოვებული მდიდარი არქეოლოგიური მასალა ასახავს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიისა და კულტურის მრავალ მნიშვნელოვან ასპექტს (დაწვრ. [890], [892], [981-986], [1030-1031]).

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ადგილობრივ ტომთა ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საკულტო რიტუალებს, რომელნიც ასახავდნენ მათ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად თითქმის ყველა ნამოსახლარზეა ფიქსირებული სარიტუალო საოჯახო კერები და საკურთხეველები, აგრეთვე სამლოცველოები (რის შესახებ უკვე იყო ზემოთ ნაწილობრივ საუბარი – იხ. აგრეთვე [924], [1032ა]). ამჯერად საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ დასახლებათა ფარგლებში ღია ცის ქვეშ გამართულ საკულტო ადგილებზე, რომელნიც ფაქტობრივად „დიდი დედის“ კულტის თაყვანსაცემად შექმნილ ღია ტიპის ტაძარსამლოცველოებს წარმოადგენდნენ. მათგან ყველაზე უკეთ კახეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი სამლოცველოებია შესწავლილი. ასეთებია ე.წ. მელიღელე I და II (სურ. 72, № 8), მელაანის (სურ. 72, № 5), შილდის (სურ. 72, № 9) და სხვ. საკულტო ადგილები.

მელიღელე I სამლოცველო წარმოადგენს მრგვალ მოედანს, რომელიც დიდი ზომის ქვებითაა შემოკავებული და აგრეთვე 2 მ-მდე სიგანისა და 60 სმ სიღრმის თხრილითაა გარშემორტყმული. მის ცენტრალურ, ყველაზე უფრო შემაღლებულ ნაწილში ნაცრისა და ცხვრის დამწვარი ძვლების მკვრივი მასით მიწის ზედაპირზე გამოყვანილია სხვადასხვა ცხოველთა ფიგურები (ზოგიერთი მათგანი ზომით 2 მ-მდე აღწევს). სამლოცველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში ამოთხრილია 3-3,5 მ სიღრმის ორმოები, რომლებიც ნაცრითა და სხვადასხვა ნივთებით – შეწირულობებით აღმოჩნდა სავსე. ორმოს ცენტრში იდგა ნაცრით სავსე დიდი ზომის ჭურჭელი. ერთ-ერთი ორმო (აღმოსავლეთ ნაწილში გამოვლენილი) ორ რიგად განლაგებული ქვებით იყო გარშემორტყმული. ქვის სარტყლებს შორის სივრცე აგრეთვე ნაცრით იყო ამოვსებული, ხოლო ირგვლივ ელაგა მცირე ზომის თიხის ჭურჭელი და მრავალი წვრილი ნივთი. ამ სამლოცველოში დიდძალი შეწირულობა – თითქმის 86000 ცალკეული ნივთი თუ ფრაგმენტია აღმოჩენილი. უდიდეს ნაწილს შეადგენს დიდი და მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის ჭურჭელი, რომელიც ყოველთვის გეომეტრიული ორნამენტითა და ცხოველთა გამოსახულებებითაა მორთული. დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის იმიტაციები, სარდიონის მძივები, ობსიდიანის ისრისპირები, ბრინჯაოს ნივთები (ბეჭდები, ღილები, საკიდები). განსაკუთრებით საინტერესოა საბეჭდავების იმიტაციები, რომელნიც თიხისგანაა დამზადებული და ზედ გამოსახულია სვასტიკა, ჯვარი, სპირალი (როგორც ფიქრობენ – ცაცრ მნათობთა სიმბოლოებს რომ წარმოადგენდნენ). ასევე საგანგებოდაა აღსანიშნავი თიხის ჭურჭლის ყურები, რომლებზედაც ძაძერწილია ტანმიშველი (ზოგჯერ სახეზე ცხვრის ნიღაბაფარებული) ქალის გამოსახულებანი (სურ. 106) და 7 ბრინჯაო-

ოს ქანდაკება, რომელნიც ბუნებისა და ყველა სულიერის „დიდი დედის“ გამოსახულებადაა მიჩნეული (დაწვრ. [961, გვ. 112-116]; [1007, გვ. 52-53]; [1032]).



სურ. 106. თიხის ჭურჭლის ყურის ფრაგმენტები ანთროპომორფული გამოსახულებებით. მელიღელე, I სამლოცველო [961], [1007]

მელიღელე II სამლოცველოც მრგვალ მოედანს წარმოადგენს. მისი დმ აღწევს 80 მ-ს და გარშემორტყმულია 1 მ-მდე სიმაღლისა და 10 მ სიგანის ქვის ზღუდით. ეს უკანასკნელი კი შედგება რელიეფის შესაბამისად ზოგან ტერასისებურად განლაგებული 3 სარტყლისაგან, რომელთა შორის სივრცე ცეცხლისაგან ძლიერ გადამწვარი ქვებითაა შევსებული. შეწირულობა თუმც ფრაგმენტულადაა მოღწეული, მაინც გადარჩენილია ბრინჯაოსა და რკინის იარაღი.



სურ. 107. ბრინჯაოს იარაღი და ლაგამი მელაანის სამლოცველოდან [1032]

ანალოგიური ტიპისაა სოფ. მელაანში აღმოჩენილი სამლოცველო, სადაც ნაპოვნია 1000-მდე თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი, 234 საომარი იარაღი (სურ. 107-108), ცხენის აკაზმულობის ნაწილები, აგრეთვე ლითონის ავგაროზები, სამეურნეო იარაღი (დანები, ნამგლები), ბრინჯაოს სარტყელი და მამაკაცის ოთხი ქანდაკება (სურ. 90). ვარაუდობენ, რომ მელიღელე II და მელაანის სამლოცველოები ომის ღვთაების კულტის თაყვანსაცემად იყო განკუთვნილი [1007, გვ. 116-121], [1032, გვ. 52-58].



სურ. 108. ბრინჯაოს მახვილები მელაანის სამლოცველოდან [1032]

კიდევ ერთი სამლოცველო იყო სოფ. შილდაში გამართული. მისი შემომზღუდავი ქვის კედლები მშრალი წყობითაა ამოყვანილი. შეწირული ნივთები ეწყო დედაქანში საგანგებოდ ამოჭრილ ორმოებსა და თიხის ჭურჭელში. ერთ-ერთ მათგანში აღმოჩნდა 72 შუბისპირი, აგრეთვე – ბრინჯაოს ცულები, სატევრები და სხვა ნივთები. მეორე ჭურჭელი კი სავსე იყო სარდიონის, მინის, პასტისა და ლითონის მძივებით, სხვადასხვა ცხოველთა ბრინჯაოს მცირე ზომის ქანდაკებებით. ამას გარდა, სამლოცველოში ნაპოვნია მრავალრიცხოვანი ბრინჯაოს სამაჯურები, ცულები და შუბისპირები, ანთროპომორფული და ზოომორფული ფიგურები. სულ შილდის სამლოცველოში აღრიცხულია 3457 ნივთი. ეს იყო შეწირულობა და ამ ცერემონიალში, როგორც ვარაუდობენ, მონაწილეობდნენ ლითონდამუშავების საქმის ოსტატები – ხელოსნები [924], [999, გვ. 11].

ამრიგად, როგორც დავინახეთ, გვიანბრინჯაოს და ადრერკინის ხანის (ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი – I ათასწლეულის დასაწყისი) აღმოსავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებასა და კულტურის სფეროში ხდება კარდინალური ძვრები: დემოგრაფიული ცვლილებები და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მოძრაობა თუ ადგილგადანაცვლება, ჩნდება მსხვილი დასახლებები და მათთან ერთად ვრცელი სამაროვნები. განვითარების უმაღლეს დონეს აღწევს ბრინჯაოს მეტალურგია და ხმარებაში შემოდის რკინა – ერთერთი ყველაზე უფრო მძლავრი ლითონი (რეგიონალური როლი რომ შეასრულა კაცობრიობის ისტორიაში). ფარითოდ ვითარდება ხელოსნური წარმოება და ხდება მისი სპეციალიზაცია – დიფერენციაცია, ასევე – მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ინტენსიფიკაცია. ერთი სიტყვით, საზოგადოებრივ-კულტურული განვითარება ავიდა ახალ, მაღალ საფეხურზე.[148]

სწორედ ამ დროს, ძველაღმოსავლურ წყაროებში გაჩნდება პირველი მოხსენიება ქართველი ტომებისა და მათი დიდი პოლიტიკური გაერთიანებებისა. მათგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მუშკები, რომელნიც, როგორც ჩანს, ქართ-კოლხური ეთნიკური ერთობიდან (იხ. ამ წიგნის „შესავალი“, § 2) გამოყოფილ აღმოსავლურქართველურ ტომებში მიმდინარე დიფერენციაციისა და განცალკევების პროცესის შედეგად ჩნდებიან ისტორიის ასპარეზზე.

მუშკები მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მოსახლეობდნენ და ხეთური კულტურის არეალში იყვნენ მოქცეული [441, გვ. 105-106]; [1609, გვ. 429]. ასირიული წყაროების მიხედვით, უკვე ძვ.წ. XII ს-დან მუშკები იწყებენ სამხრეთის მიმართულებით ექსპანსიას და საკმაოდ აქტიურ როლსაც ასრულებდნენ მცირე აზიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში. ძვ.წ. XII-IX სს-ის ასირიული და VII ს-ის ურარტული წყაროების მიხედვით, მუშკები ბინადრობდნენ მდ. ევფრატის ზემო დინებისა და მისი მარჯვენა სანაპიროს ახლოს მდებარე ოლქებში [977, გვ. 72-126], მაგრამ მათი ექსპანსია კვლავ გრძელდებოდა სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით.

უკვე ძვ.წ. X ს-ის მეორე ნახევარში (ყოველ შემთხვევაში არაუგვიანეს X ს-ის 40-იანი წლებისა და IX ს. დასაწყისისა) მუშკები მდ. ევფრატი-ჰალისის სამხრეთ-აღმოსავლეთით აარსებენ თავის სამეფოს, რასაც მოწმობს ლუვიურ-იეროგლიფური წარწერები, რომლებშიც იხსენიება მუშკების მეფე სახელად ხართაფუ. ძალზე საინტერესოა მუშკთა მეფის ტიტულატურა: „მზე, გმირი, დიდი მეფე ხართაფუ, დიდი მეფე, თარხუნთის საყვარელი“ [977, გვ. 106-116].[149]

ზოგიერთი მკვლევარი მუშკებს უკავშირებს აღმოსავლეთ ანატოლიაში მოხატული კერამიკისა და მატერიალური კულტურის სხვა ელემენტების გავრცელებას (იხ. [977, გვ. 165-171 და იქ დასახ. ლიტ.]).

ამრიგად, „მუშკები“ – აღმოსავლურქართული ეთნოსის დასავლური შტო [441, გვ. 111], ქართკოლხური ერთობის დაშლის შემდგომ განცალკევდა და თავდაპირველად მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ოლქში დამკვიდრდა. ძვ.წ. XIII ს-დან დაიწყო მუშკების განსახლება ჩრდ. მესოპოტამიის მიმართულებით, ხოლო რამდენადმე მოგვიანებით მათ შესძლეს მცირე აზიის დასავლეთ და ცენტრალურ ოლქებშიც გაბატონება. ძვ.წ. VII ს-ის 70-იან წლებიდან, ე.ი. მას შემდეგ, რაც მუშკების სახელმწიფო ურარტელებმა და კიმერიელებმა გაანადგურეს, მუშკების ერთი დიდი ჯგუფი ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ გაემართა და დასახლდა დღევანდელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და მის მიმდებარე იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ბერძენები „მოსხიკეს“ (ან „მოსხთა“ ქვეყანას) შეარქმევენ, ხოლო საშუალო საუკუნეების ქართულ წყაროებში კი „სამცხედ“ ან ისევე, როგორც დღეს, „მესხეთად“ მოიხსენიება.

მუშკთა შთამომავალმა მოსხებმა//მესხებმა შემდგომ მნიშნელოვანი როლი შეასრულეს აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს – ქართლის სამეფოს (ბერძნულ-რომაული წყაროებით იბერიის) შექმნაში (დაწვრ. იხ. ქვემოთ, კარი IV).

ძვ.წ. XIII საუკუნიდან წინაურდება ქართველ ტომთა კიდევ ერთი დიდი პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც ასურული წყაროები „დაიაენის“ (ან „დაიანის“), ხოლო ურარტელები „დიაუეხის“ (თუ „დიაუხის“) სახელით იხსენიებენ. ეს უკანასკნელი სახელწოდება დღემდე შემორჩა საშუალო საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ

[148] იხ. აგრეთვე [382, გვ. 77-90], [432, გვ. 228-258], [906], [915], [994], [1030].

[149] საინტერესოა, რომ ლუვიურ-იეროგლიფურ წარწერებში მუშკების მეფის სახელსა და ტიტულატურას მზის ფრთოსანი დისკო (სამეფო კარტაში) ახლავს, ხოლო თვით მეფე „მზედ“ იწოდებოდა. ჩანს „მზე“ იყო უმაღლესი ღვთაება, რომელსაც მეფე განასახიერებდა. გავიხსენოთ, რომ კოლხთა მეფე აიეტიც მზის შვილი იყო. მზის კულტი, როგორც უკვე წინა თავებში იყო აღაერთგზის აღნიშნული, ფართოდ იყო გავრცელებული სვანებშიც. შესაბამისად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მზის, როგორც უმაღლესი ღვთაების, თაყვანისცემა ქართველურ ტომებში ჯერ კიდევ საერთო ქართულ (ე.ი. ფუძე-ენის მატარებელი ეთნოსის) დონეზე არსებობდა, რაც შესაძლოა მოწმობდეს, რომ პრაქართული ეთნიკური ერთობის დაშლის შემდგომ წარმოქმნილმა ქართველურმა ტომებმა შეინარჩუნეს რელიგიური რწმენების ზოგიერთი ელემენტი. სამწუხაროდ, წიგნის მოცულობა და მისი მიზანდასახულობა არ გვაძლევს ახლა უფლებას დაწვრილებით შევჩერდეთ ამ და სხვა მასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროვინციას – ტაოს, რომლის მცხოვრებთ ძვ.წ. V-IV საუკუნეში ბერძენი მწერალი ქსენოფონტი ტაოხების სახელით იხსენიებს (იხ. [315, გვ. 79-82, 127-129]). დიაუხის შემადგენლობაში მოქცეული იყო დღევანდელი ქ. ერზრუმისა და მდინარე დასავლეთ ეფრატის ზემო წელზე მდებარე ტერიტორიები. ხოლო მისი გავლენა ვრცელდებოდა შორს ჩრდილოეთითაც. დაიაე-ნი/დიაუხის პოლიტიკური გაერთიანება მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ასირიისა და ურარტუს ძლიერ სახელმწიფოებს. მათ შეფეთა წარწერებმა შემოინახეს დაიან//დიაუხის მეფეთა სახელებიც: საენი (ძვ.წ. XII ს-ის დასასრული), ასია (IX ს-ის შუა ხანები), უტფურუსი (IX-VIII სს-ის მიჯნა). ამავე წარწერებიდან ცნობილია ქვეყნის „ქალაქები“ და „სიმაგრეები“. დაწინაურებული ყოფილა ოქროსა და ვერცხლის მოპოვება-დამუშავება, აგრეთვე მესაქონლეობა (ცხენი, ხარი, ძროხა, ცხვარი). ძვ.წ. VIII ს-ის შუა ხანებში დიაუხის ერთი ნაწილი ურარტელებმა დაიპყრეს, მეორე ნაწილი კი – დასავლურქართულმა სახელმწიფომ, რომელსაც ურარტული წყაროები უწოდებენ კოლხას ან კულხას (დაწვ. [929, გვ. 364-382], [1002, გვ. 192-205]).

ძვ.წ. VI ს-დან აღმოსავლეთ საქართველოს დიდ დასახლებათა უმრავლესობა თითქოს წყვეტს თავის არსებობას. ზოგიერთ მათგანზე თვალსაჩინოდ ფიქსირდება ძალმომრეობით ნგრევისა და ძლიერი ხანძრის კვალი. ახლა ძნელია დაბეჯითებით ვამტკიცოთ, თუ რა მოვლენებმა გამოიწვიეს ის ვითარება, არქეოლოგიურ მონაპოვარში რომაა წარმოდგენილი.[150] ყოველ შემთხვევაში, მთელ რიგ ნამოსახლარებზე ძვ.წ. VI ს-დან აშკარად შეიმჩნევა ერთგვარი ლაკუნა – ცხოვრების შეწყვეტა და მისი მხოლოდ ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებიდან კვლავ განახლება. ასე მაგ. სამთავროს სამაროვანზე ძვ.წ. VI ს-დან მკვეთრად მცირდება სამარხების რაოდენობა და პრაქტიკულად, ჯერ-ჯერობით, სრულებით არ გვაქვს ძვ.წ. V და IV სს. სამარხები. იგივე ვითარებაა თრელეიგორებზე, სადაც ინტენსიური ცხოვრება წყდება ძვ.წ. VI ს-დან და მხოლოდ გვიანელინისტური ხანიდან იწყება მისი კვლავ აღორძინება. მაგრამ ეს როდი ნიშნავს ცხოვრების სრულიად მოშლას მთელს აღმოსავლეთ საქართველოში. ასე მაგ., ძვ.წ. V ს-ში აქტიური ცხოვრებაა ხოვლეგორაზე, როგორც ამას მოწმობს ნამოსახლარის II სამშენებლო ჰორიზონტის შესწავლისას მოპოვებული მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა. თუმც იქვე თვალსაჩინოა კულტურული სიახლეებიც (ჯერ კიდევ ძვ.წ. VI ს-დან მომდინარე). წნდება წითელკეცებიანი კერამიკის ახალი ფორმები: ე.წ. ჩაიდნისებური ჭურჭელი, წაწვეტებულძირიანი ჭურჭელი, მათრაბი, მკვეთრად პროფილირებული ფიალები და სხვ. [936, გვ. 50-55]. ანალოგიური კერამიკა წარმოდგენილია ქვემო ქართლის ძვ.წ. V ს. სამარხებშიც [1573, გვ. 6]. მათ გავრცელებას აქემენიურ ირანთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის შედეგად მიიჩნევენ [936, გვ. 93-97]. მაგრამ ეს უკვე სხვა, ახალი ეტაპია აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიაში, რომლის შესახებ საუბარი გვექნება ამ წიგნის IV კარში („კავკასიის იბერია“).

[150] ნამოსახლარებზე სკვითური იარაღის (ე.წ. აკინაკების, ისრისპირების და სხვ.) აღმოჩენების საფუძველზე ზოგიერთი მკვლევარი არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ეს მოვლენები შეიძლება უკავშირდებოდეს სკვითების ლაშქრობებს ურარტუსა და წინა აზიაში ამიერკავკასიის გავლით [41, გვ. 392-395]; [961, გვ. 46-47]; [1007, გვ. 14-15]. ზოგიერთი მკვლევარი კი უფრო შორსაც მიდის და „ამტკიცებს“ ძვ.წ. VII-VI სს-ში სკვითების მტკიცედ დამკვიდრებას აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე [1010ა, გვ. 178, 185, 189, 216, 227]. მაგრამ ასეთი მტკიცებისათვის საფუძველი არ არსებობს. ე.წ. სკვითური ტიპის ნივთები ადგილობრივი ინვენტარის შემცველ სამარხებშია, როგორც წესი, ნაპოვნი (დაწვრ. [958]). ამასთან, ე.წ. სკვითური ტიპის იარაღი (ისრისპირი, აკინაკი) ფართოდ იყო ხმარებაში სხვა ნომადი ტომების, ან, აგრეთვე, მიდიელთა და ირანელთა შეიარაღებაში. ამიტომ ძნელად დასამტკიცებელია, რომ ძვ.წ. VII თუ VI სს-ში დანგრეულ ნამოსახლარებზე აღმოჩენილი ე.წ. სკვითური ტიპის ისრისპირები მაინცდამაინც სკვითების შემოსევების მოწმობად მივიჩნიოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი III
„ოქრომრავალი კოლხეთი“
(მითი და რეალობა)

1. წინასიტყვაობის მაგიერ

„თუ როგორ იყო სახელგანთქმული ძველად ეს ქვეყანა, ცხადყოფენ ამას მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იასონისა და ამაზე უწინ კი ფრიქსეს ლაშქრობაზე.“

ასე წერდა ჯერ კიდევ თითქმის ორი ათასი წლის წინ კოლხეთის შესახებ ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი გეოგრაფოსი და ისტორიკოსი სტრაბონი (ძვ.წ. 64/63 – ახ.წ. 23-24 წწ.). სახელოვან ბერძენ მეცნიერს არგონავტების შესახებ თქმულება ნამდვილ ამბად მიაჩნდა და თავგამოდებით ეპაექრებოდა თავის წინამორბედს, ძვ.წ. II ს-ის ცნობილ ბერძენ ისტორიკოსს და გრამატიკოსს დემეტრიოს სკეფსისელს: „ფიცავ ზევსს, რომ ნამდვილად იყო ეს შორეული მოგზაურობა, ისევე როგორც ოდისევსისა და მენელაოსისა, რომელთა შესახებ ახლაც მიუთითებენ და ირწმუნებიან ჯერ კიდევ ჰომეროსის ნაწარმოებების დროიდან. ააის ხომ მიგვითითებენ ფასისთან, ხოლო აიეტი რომ კოლხეთში მეფობდა, სარწმუნოა! იქაურებში ეს სახელი ადგილობრივია. ... რაც იასონს გადახდა თავს, არგოსა და არგონავტებს, ყველანი ერთი აზრისა არიან ამის შესახებ და ნუთუ ჰომეროსმა გამოიგონა ოკეანეში აიეტთან მგზავრობა და არავითარი ისტორიული საფუძველი არსაიდან აუღია?“ (სტრაბონი, I, 2, 39 [320, გვ. 71]).

ამ თითქოსდა მწირ ცნობაში, უწინარეს ყოვლისა ისაა საყურადღებო, რომ ძველადვე ოქროს საწმისისათვის არგონავტების ლაშქრობა სარწმუნო ფაქტად მიაჩნდათ, ხოლო ის ქვეყანა, სადაც ბერძენი გმირები სანუკვარი განძის მოსაპოვებლად გაემგზავრნენ, კოლხეთად იწოდებოდა.

ამგვარად, ჩვენს წინაშე დადგა საინტერესო კითხვა: ვინ იყვნენ კოლხები, სად მდებარეობდა მათი ქვეყანა – მთელს ანტიკურ სამყაროში აგრე სახელგანთქმული „კოლხეთი“ (კოლხიდა“), როდის გამოჩნდნენ კოლხები ისტორიულ თუ საერთაშორისო ასპარეზზე, რატომ და როდის დაუკავშირეს ძველმა ბერძნებმა კოლხეთს თავისი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძველი და პოპულარული თქმულება ოქროს საწმისისათვის არგონავტების ლაშქრობის შესახებ, რომელსაც უკვე იცნობდა გენიალური ჰომეროსი?

ეს საკითხები მჭიდროდ უკავშირდება ქართველი ხალხის ისტორიას საერთოდ, რამდენადაც ძველი კოლხები ქართველი ხალხის ერთ-ერთ ძირეულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ, ხოლო მათი ენა მიეკუთვნება ქართველურ ენათა იმ ჯგუფს, რომელსაც ლინგვისტები უწოდებენ კოლხურს ან ზანურს და ასეთად მიიჩნევენ დღევანდელ მეგრულ-ჭანურსა და ლაზურს, თანამედროვე დასავლეთ საქართველოსა და ნაწილობრივ აგრეთვე დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზეც რომაა მკვიდრად გავრცელებული.

ამ წიგნის მკითხველს შევახსენებ („შესავალში“ უფრო ვრცლად წარმოდგენილ მსჯელობას), რომ ლინგვისტები უკვე ძვ.წ. IV-III ათასწლეულებისათვის მაინც ვარაუდობენ საერთო-ქართველურ ფუძე-ენას, რომლის მატარებელ ეთნოსს (ხალხს) ეკავა ე.წ. მცირე კავკასიონის დასავლეთი და ცენტრალური მიწა-წყალი (ამერკავკასიის ზეგანი). საერთო-ქართველურ ენას თავდაპირველად, როგორც უკვე ითქვა (იხ. „შესავალი“, 2), სვანური გამოეყო და უკვე ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულიდან სვანურენოვანი მოსახლეობა თანდათანობით გავრცელდა დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. სვანურენოვანი მოსახლეობის არსებობის კვალი დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ზღვისპირა ზოლში, რიონ-ენგურის აუზში დასტურდება საკმაოდ მეტწილი ტოპონიმიკური მონაცემებით და აგრეთვე არქეოლოგიური მასალით (დაწვრ. [1184, გვ. 9-20]; [149, გვ. 341 და შემდ.]). კერძოდ, შესაძლოა სვანურენოვანი მოსახლეობის დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის ზანას განეკუთვნებოდეს ის თავისებური და სპეციფიკური კერამიკა, რომელიც ქობულეთის მახლობლად ისპაანისა და ანაკლიის დიხაგუთუბას ნამოსახლარების უძველეს ფენებშია წარმოდგენილი (დაწვრ. [1184, გვ. 72]).

ქართველთა ეთნიკური განვითარების შემდგომი საფეხური, როგორც უკვე ითქვა, ქართულ-ზანური ერთობის დაშლით აღინიშნა. ამ ერთობას ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან თანდათანობით გამოეყო მეგრულ-ჭანური, რომელიც უნდა ვიფიქროთ საკმაოდ მრავალრიცხოვან და ძლიერ ეთნიკურ მასას წარმოადგენდა.[151]

[151] ე.წ. გლოტოქრონოლოგიური მეთოდის მონაცემებით, ქართულ-კოლხური (ქართულ-ზანური) ერთობიდან კოლხური ენის გამოყოფა მხოლოდ ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისისათვის (ან დაახლოებით ძვ.წ. VIII-VII სს.) იკარაუდება (შდრ. [179], [148, გვ. 70]; [210, გვ. 37-38]). მაგრამ ახალი არქეოლოგიური და ლინგვისტური მონაცემების საფუძველზე მკვლევარნი ახლა უფრო იმ აზრისა არიან, რომ ქართულ-კოლხური ენობრივი ერთობის დაშლა და შესაბამისად კოლხური ენის გამოყოფა უნდა დათარიღდეს უფრო ადრეული ხანით: ეს პროცესი ჯერ კიდევ ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებზე ადრე უნდა დაწყებულიყო [1184, გვ. 72, 194]; [171, II, გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი იმთავითვე საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე უნდა გავრცელებულიყო: ერთი მხრივ – ჭოროხის სამხრეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და მის მიმდებარე მთაგორიან ზონაში, ხოლო მეორე მხრივ – დღევანდელ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში – კოლხეთის დაბლობსა და ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზე [1184, გვ. 26 დ. შემდ.].

დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მეგრულ-ჭანური მოსახლეობის დამკვიდრებასთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომელიც სამართლიანად ფიქრობენ, იმ ბრწყინვალე და მაღალგანვითარებული ბრინჯაოს კულტურის შექმნა, კოლხური კულტურის სახელით რომაა ცნობილი.



სურ. 109. კოლხეთის (მზოლოდ ტექსტში მოხსენებული) არქეოლოგიური ძეგლების სქემატური რუკა: 1. ბათუმი [1099], [1131]; 2. ციხისძირი [1100], [1494], [1508]; 3. ქობულეთი [1122-1128], [1338], [1398-1399]; 4. ნამჭედური [1390]; 5. ისპაანი; 6. ურეკი [1186]; 7. ფოთი (ფასისი) [1185]; 8. სიმაგრე [1185]; 9. ნიგვზიანი [1186]; 10. დაბლაგომი [1349], [1092-1094]; 11. მთისძირი [1054]; 12. დაფნარი [1346-1347]; 13. საყანრია [1145]; 14. ვანი [8], [1362]; 15. სულორი [8]; 16. ვარდციხე [1510]; 17. კლდეეთი [1497]; 18. შორაპანი [1511]; 19. სარგვეში [1349]; 20. ითხვისი [1053]; 21. საირხე [1189]; 22. ძევრი [1503]; 23. საჩხერე [1188]; 24. შოშეთი [1062]; 25. ბრილი [389, გვ. 190-202]; 26. ღები [1062]; 27. გუადიხუ [1134], [1405-1406]; 28. ქუთაისი [1138], [1164]; 29. ბანძა [1503]; 30. მუხურჩა [1065]; 31. ფარცხანაყანევი [1325], [1282]; 32. ნაოხვამე (ქვალონი) [1309], [1191]; 33. ნოსირი [1065]; 34. ნოქალაქევი [30ა]; 35. ჩხოროწყუ [1530]; 36. ჭალადიდი [1185]; 37. ყულევი [1414]; 38. ანაკლია [1349], [1385]; 39. ერგეტა [1197]; 40. ჭუბურხინჯი [1327]; 41. თაგილონი [1514]; 42. პალური [1192]; 43. ლია [1507]; 44. ოჩამჩირე (გიენოსი) [1116], [1343], [1431]; 45. ფიჩორი [1042], [1287]; 46. წებელდა [1405, IV], [1532]; 47. მერხეული [1041]; 48. წითელი შუქურა [1405-1406]; 49. სოხუმი (დიოსკურია-სებასტოპოლისი) [1405], 1341]; 50. ეშერა [1428]; 51. ყულანურხვა [1014]; 52. ბიჭვინტა (პიტიუნტი) [7], [1499]

909, შენიშვნა 3]; [1162, გვ. 48-57 და იქვე დასახ. ლიტ.]. კოლხური ბრინჯაოს კულტურის შემქმნელი ტომები რომ უკვე ზანები (კოლხები) იყვნენ, მოწმობს აგრეთვე კოლხური კულტურის გავრცელება ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზე, სადაც მეგრული ტოპონიმები ფართოდ გავრცელებულია [1184, გვ. 26-30, იქვე დასახ. ლიტ.]. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა კოლხური კულტურის გავრცელება შიდა ქართლშიც და შესაძლოა სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება ზანური ტოპონიმიაც. ყოველივე ეს უნდა მოწმობდეს იმას, რომ ზანურენოვანი, ე.ი. ქართულ-ზანური ერთობის დიფერენციაციის შედეგად წარმოქმნილი მოსახლეობა უკვე არსებობდა კოლხური ბრინჯაოს კულტურის არსებობის დროს.

2. მოკლედ წინარე ისტორიის შესახებ

ამ წიგნის წინა თავებში ჩვენ უკვე შევეხეთ დასავლეთ საქართველოს ქვისა და ადრელითონების ხანის უძველესი ისტორიის საკითხებს.

ადრე ბრინჯაოს ხანაში, ე.ი. ძვ.წ. III ათასწლეულში დასავლეთ საქართველოში ორი კულტურული არეალი გამოიყოფოდა. რიონ-ყვირილას აუზი ამ დროს, როგორც უკვე ითქვა (იხ. კარი II, I), მტკვარ-არაქსული კულტურის გავლენის სფეროშია. რიონ-ყვირილას აუზის ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლების (იხ. სურ. 40, № 15-17) შესწავლა [637, გვ.

32 და იქ დასახ. ლიტ.] გვიჩვენებს, რომ რიონ-ყვირილის აუზში აღრებრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე მოსახლეობა მეტწილად მღვიმეებში ცხოვრობდა და აგრძელებდა ენეოლითური კულტურის ტრადიციებს. გვიან ეტაპზე კი ის ტოვებს გამოქვაბულებს და უმთავრესად ბუნებრივ შემაღლებებსა და გორაკ-ბორცვების ფერდობებზე სახლდება. ამ დროის დასახლების ტიპი, საცხოვრებელ ნაგებობათა სახეობანი და მატერიალური კულტურის ელემენტები (კერამიკა, ლითონის ინვენტარი) ძირითადად მტკვარ-არაქსულია. განსხვავებული კულტურაა წარმოდგენილი ამ დროს დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში და მიმდებარე კოლხეთის დაბლობში, რომლის დიდი ნაწილი წინარე ხანაში ჯერ კიდევ არ იყო სამეურნეო თვალსაზრისით ფართოდ ათვისებული. დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის აღრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე თვალნათლივ შეინიშნება ენეოლითური ეპოქის ადგილობრივი კულტურული ტრადიციების მდგრადობა, განსაკუთრებით ქვის ინდუსტრიასა და კერამიკაში (დ.წვრ. [635, გვ. 228-235], [636, გვ. 82 და შემდ.]). აღრებრინჯაოს ხანის განვითარებულ ეტაპზე ჩნდება „ხუტორული“ ტიპის დასახლებანი, სადაც ფიქსირდება ხის ძელური ნაგებობანი, რომელიც ძვ.წ. III ათასწლეულიდან გახდება ადგილობრივი არქიტექტურის ძირითადი სახეობა მრავალი საუკუნის მანძილზე. აღრებრინჯაოს ხანის უძველესი ხის ძელური ნაგებობანი (ფაცხის ტიპის) აღმოჩენილია ისპანში (სურ. 109, № 5), ანაკლიის დიხა-გუშტაზე (სურ. 109, № 38), ფიჩორში (სურ. 109, № 45).



სურ. 110. დოლმენი [754]

აღრებრინჯაოს ხანის ერთ-ერთ თავისებურ ძეგლს წარმოადგენს დოლმენები, რომელნიც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზეა გავრცელებული. დოლმენი წარმოადგენს ვერტიკალურად მდგარი ქვის მონოლითური ფილებით შედგენილ და ზემოდან ასეთივე ფილით გადახურულ ტრაპეციის ფორმის ოთხკუთხა ქვაყუთს. წინა ვერტიკალურ ფილას, როგორც წესი, აქვს მრგვალი ან ოვალური ნახვრეტი (სურ. 110). საინტერესოა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში დოლმენები ძირითადად ზღვისპირა ზოლშია დადასტურებული.

აფხაზეთის დოლმენების წარმოშობის საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია და სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაშიც ამ საკითხის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობაა. მკვლევართა ერთი ნაწილი დოლმენების მშენებლობას აზიიდან მოსულ ხალხებს მიაწერს; სხვები ფიქრობენ, რომ დოლმენების მშენებლობის იდეა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში საზღვაო გზებით გავრცელდა სირიიდან და პალესტინიდან [166, გვ. 157, 165]. გამოჩენილი რუსი არქეოლოგი ბ. პიოტროვსკი სამართლიანად უარყოფს დოლმენური კულტურის კავკასიაში მიგრაციის შესაძლებლობას, ვინაიდან აქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ასახავს კარგად ცნობილ ადგილობრივ სპილენძ-ბრინჯაოს კულტურას. ამავე აზრს ავითარებს აკადემიკოსი ო. ჯაფარიძე, რომელიც ფიქრობს, რომ დოლმენი ამ დროის სამარხთა მხოლოდ ერთ-ერთი სახეობაა, ხოლო იქ აღმოჩენილი ინვენტარი (სურ. 111) დიდ მსგავსებას ამჟღავნებს საერთოდ ძვ.წ. III ათასწლეულის დასავლეთ, საქართველოს ზღვისპირეთისა და საერთოდ დასავლეთ-ამიერკავკასიური კულტურის ძეგლებთან [166, გვ. 179-192].



სურ. 111. ბრინჯაოს ნივთები შუაბრინჯაოს ხანის დოლმენებიდან [754]

შემდგომი ეტაპია ე.წ. შუა ბრინჯაოს ხანა, რომელიც მოიცავს ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულსა და II ათასწლეულის პირველ ნახევარს. ამ ეტაპის აღმნიშვნელად სამეცნიერო

ლიტერატურაში მკვიდრდება სახელწოდება „პროტოკოლხური“ პერიოდი (იხ. [1387-1388], შდრ. [1044]). ამ დროს იქმნება თავდაცვითი თხრილებით გარშემოვლებული და ხელოვნურ ბორცვებზე განლაგებული დასახლებანი ხის ძელური ნაგებობებით, წინაურდება ბრინჯაოს მეტალურგია, მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, საფუძველი ეყრება იმ კულტურას, რომელიც ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებიდან იღებს ერთიანი სისტემის ხასიათს და სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „კოლხური ბრინჯაოს კულტურის“ სახელწოდებით.



სურ. 112. ბრინჯაოს შტანდარტი. ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი. ბრილი [38ა, გვ. 111]



სურ. 113. ბრინჯაოს სარიტუალო ცული. ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი. ბრილი [38ა, გვ. 111]

3. კოლხური ბრინჯაოს კულტურა

კოლხური ბრინჯაოს კულტურა უაღრესად თავისთავადი და უნიკალური სისტემაა, რომლის ხანის განსაზღვრავს ლითონის მრავალფეროვანი საომარი და, განსაკუთრებით, სამეურნეო იარაღი, უაღრესად სპეციფიკური კერამიკა და ჯვარგვალური ტიპის არქიტექტურა.[152] კოლხური კულტურის ცალკეული ელემენტები ჩნდება უკვე ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე მეოთხედში (შდრ. [1184, გვ. 64]), ხოლო ამ კულტურის ფორმირების საწყისი ხანა ძვ.წ. XVI-XV სს-დან ივარაუდება [148, გვ. 77-78]; [1222, გვ. 154-155]; [1184, გვ. 60]; [1198, გვ. 45 და შემდ.].

ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ კოლხურ კულტურას ახასიათებს ლითონის ნაწარმი (მრავალფეროვანი ცულები, თოხები, სეგმენტები, შუბისპირები, სამკაული და სხვ.), რომელთა დიდი ნაწილი განძების სახითაა ჩვენამდე მოღწეული.



სურ. 114. კოლხური კულტურის გავრცელების სქემატური რუკა: I. ბრინჯაოს ნივთების განძები, II. კოლხური კერამიკა [1184]

ლითონის ნივთების უძველესი განძი აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოში სოფ. ურეკში (ოზურგეთის რაიონი), ზღვის სანაპიროზე (სურ. 115). ურეკის განძი მრავალმხრივაა ჩვენთვის საინტერესო და საყურადღებო, განსაკუთრებით კოლხური ბრინჯაოს კულტურის ისტორიისათვის. განძში აღმოჩნდა ბრინჯაოს 23 ცული, 8 ბარ-თოხი და 2 ე.წ. ბრტყელი საფხეკი [1222, გვ. 10].

ურეკის განძის 23 ცულიდან 8 ყუამილიანია. ისინი გენეტიკურად ჩვენთვის უკვე ცნობილი საჩხერული ტიპის ადრებრინჯაოს ხანის ყუამილიან და ყუადაშვებულ ცულებს უკავშირდებიან და არსებითად მათ შემდგომ განვითარებას წარმოადგენენ (ურეკის ცულებისათვის დამახასიათებელია ყუადაქანებულობისა და ყუამილიანობის შერწყმა). ურეკის განძის ცულების უმრავლესობას ქმნის შედარებით ახალი ტიპი, რომელიც, როგორც ჩანს, შუა ბრინჯაოს ხანის გვიან საფეხურზე ფართოდ იყო გავრცელებული. ამ ცულებს (სურ. 115: 1-4) ორფერდა ყუა და მილისებური სატარე ხვრელი აქვთ (თავისი მოყვანილობით ისინი მკვლევარებს დღეს ჩვენში ფართოდ გავრცელებულ ქართულ ცულს მოაგონებენ). მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ცულების მესამე სახეობა (სურ. 115: 6, 9), რომელიც განძში აღმოჩენილ ბარ-თოხებთან ერთად, ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებიდან მთელ დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ახალი ბრწყინვალე კულტურის განმსაზ-

[152] დაწვრ. იხ. [433, გვ. 200-227], [440, გვ.189-218], [1043], [1064], [1065], [1184], [1198], [1207], [1215], [1222], [1240], [1278], [1309], [1315].

ღვრელ ელემენტად იქცა. ეს კულტურა დღეს ფართოდაა ცნობილი კოლხური ბრინჯაოს კულტურის სახელით.



სურ. 115. ურეკის განძის ნაწილი. ძვ.წ. XVIII-XVII სს.: 1-10. ცულები, 11-12. თოხები, 13-14. საფხვეკები [1222]

ურეკის განძს მკვლევართა უმრავლესობა ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის დასასრულით, კერძოდ კი, დაახლოებით ძვ. წ. XVIII-XVI სს. ათარიღებს [1222, გვ. 99-100]; [1184, გვ. 36-38]; [1198, გვ. 93-95], [1044, გვ. 14]. და აი, ამ განძში, რომელშიც მეტად თავისებურად აისახა შუაბრინჯაოს ხანის დასასრული, თავი იჩინა ბრინჯაოს კულტურის განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისის მაუწყებელმა იარაღმაც. ესაა ბარ-თოხები და, განსაკუთრებით, მანამდე ჩვენთვის უცნობი სახეობა ცულისა, ურეკის განძში ორი ნიმუშით რომ არის წარმოდგენილი (სურ. 115: 5, 10). ადრე გავრცელებული ცულებისაგან განსხვავებით, მათ ახასიათებთ ორფერდა ყუა და ოვალური სატარე ხვრელი, ექვსწახნაგოვანი ტანი და მომრგვალებული პირი. მაგრამ ამ ტიპის ცულები მხოლოდ ურეკში როდია ნაპოვნი, არამედ – საქართველოს შავიზღვისპირეთის სხვა პუნქტებშიც (პილენკოვო, გაგრა, ბიჭვინტა, ლიხნი, ერგე, ქობულეთი, სოფ. ჭოროხი, მახო), აგრეთვე ერთი – არზრუმშიც (დაწვრ. [1184, გვ. 57-101]; [1198, გვ. 45]), შდრ. [1044, გვ. 14-15]. ყველა ეს ცული მიჩნეულია გვიანი ბრინჯაოს ხანაში კოლხეთში ფართოდ გავრცელებული ცულების წინამორბედად. მათ ახასიათებს ექვსწახნაგოვანი ტანი, ორფერდა ყუა და ოვალური სატარე ხვრელი, გორდა (რამდენადმე ასიმეტრიული) პირი და ამასთანავე ნიღრების ნაირი სიმაღლე. ესაა სწორედ „კოლხური ცული“[153] – გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი და, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო შესანიშნავი კომპონენტი. ძვ.წ. XIV ს.-ისათვის უკვე არსებობს კოლხური ცულის ძირითადი ტიპი, რომელიც რამდენიმე საუკუნის მანძილზე (ძვ.წ. XIV-VII სს.) გაივლის განვითარების რთულ გზას და შექმნის რამდენიმე თავისებურ ვარიანტს (სურ. 117).[154]



სურ. 116. კოლხური ბრინჯაოს ცულები. ძვ.წ. XV-XII სს. [1222]

კოლხური ცული მხატვრული ხელოსნობის შესანიშნავი ნიმუშია. თითქმის ათასუკუნოვანი განვითარების მანძილზე კოლხური ცულის ყველა სახეობა გამოირჩევა ფორმის არაჩვეულებრივი სინატიფითა და იშვიათი პროპორცი-

[153] თავდაპირველად ამ ტიპის ცულები აღმოჩნდა ჩრდილოეთ ოსეთში სოფ. ყობანში და ამიტომაც მას „ყობანური ცული“ შეარქვეს. მაგრამ შემდგომში ამგვარი ცულების და განსაკუთრებით მათი ადრეული ნიმუშების დასაველეთ საქართველოში მრავლად აღმოჩენამ მკვლევარებს შეუქმნა საფუძველი, მათთვის „კოლხური ცული“ ეწოდებინათ (დაწვრ. [1274]).

[154] კოლხური ცულის ტიპოლოგიური ვარიანტების შესახებ დწვრ. იხ. [1274]; [1222, გვ. 53 და შემდ.], [1207].

ულობით. ამასთან, იგი ხშირად შემკულია პლასტიკური და გრავირებული მხატვრული სახეებით, რომელთა მიხედვით შეიძლება თვალი გავადევნოთ ძველი სახვითი ხელოვნების ჩასახვა-განვითარებასაც.



სურ. 117. კოლხური ცულის ვარიანტები: 1-2. პროტოტიპები (ძვ.წ. XV ს.), 3-4. ე.წ. I ტიპი (ძვ.წ. XIV-XI სს.), 5-6. ე.წ. II ტიპი (ძვ.წ. XIV-XI სს.), 7-8. ე.წ. III ტიპი (ძვ.წ. XI-VII სს.), 9-11. ე.წ. IV ტიპი (ძვ.წ. XI-VII სს.) [1222]

კოლხური ბრინჯაოს ცულების შემკობა ორნამენტით კოლხური კულტურის განვითარების შედარებით გვიან ეტაპს განეკუთვნება: დაახლოებით ძვ.წ. IX-VIII სს. (შდრ. [1215]). ეს ის ხანაა, როდესაც კოლხეთის მიწა-წყალზე ვითარდება რკინის მეტალურგია, ხოლო მეურნეობაში წამყვანი ხდება რკინის იარაღი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დროისათვის ბრინჯაოს კოლხურმა ცულმა თანდათანობით დაკარგა სამეურნეო და, იქნებ, საომარი დანიშნულებაც და მას მხოლოდ სარიტუალო-საკულტო ფუნქცია შემორჩა. მით უფრო, რომ ცულის კულტი ქართულ ტომებში ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს ხანაში ივარაუდება, ისევე როგორც მისი სარიტუალო დანიშნულებაც [38ა, გვ. 114].

კოლხური ბრინჯაოს ცულების ერთი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნაწილი მორთულია გრავირებული სახეებით (სურ. 118). საკმაოდ ხშირია მეტწილად სარტყლებად განაწილებული გეომეტრიული ორნამენტი: ტეხილხაზოვანი სახეები, ზიგზაგები, ირიბი მოკლე ხაზები, თევზისფიზური ანუ ფართო წიწვიანი ორნამენტი, მოკლე ვერტიკალური ჭდეები, რომბისებური ბადე (ზოგჯერ წვრილი ჭდეული წერტილებით დაფარული), წრეები, ერთიმეორეზე გადაბმული სპირალები, ჯვარი და სვასტიკა და ა.შ. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ იგივე ორნამენტი მეორდება ხოლმე აგრეთვე თანადროულ შუბისპირებზეც (სურ. 119) და ლითონის სხვა ნივთებზეც.



სურ. 118. კოლხური ცული, გრავირებული გამოსახულებებით. ძვ.წ. VIII-VII სს. [1214-1215]

ამას გარდა, გვხვდება აგრეთვე მზის, მთვარისა და ვარსკვლავების ასტრალურ ნიშნებად მიჩნეული სიმბოლური გამოსახულებანიც. კოლხური კულტურისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ცულის სხვადასხვა ნაწილის მორთვა გრავირებული ცხოველური სახეებით (სურ. 118). საკმაოდ ხშირია ძაღლის გამოსახულება, რომელიც, როგორც წესი, მთელი ტანითაა მოცემული პროფილსა და ძლიერ მოძრაობაში. დამახასიათებელია მოქნილი ტანი, მაღალი მორკალული კისერი, დიდი (მეტწილად წვეტიანი), აცქვეტილი ყურები და ფართოდ გაღებული ხახა, მოხრილი ფეხები და პლასტიკურად მოღუნული კუდი. ნიშანდობლივია ზოგჯერ ცხოველის ტანის დაფარვა ჭდეული წერტილებით, ან ირიბი ჭდეებით. ძაღლის ზუსტად ამგვარივე გამოსახულება გვხვდება კოლხური კულტურის ბრინჯაოს სხვა ნივთებზეც: მაგ. შუბისპირებზე (სურ. 118), ან კიდევ მასიურ რგოლებზე, ქინძისთავებსა და პირისსაფარეშო პატარა მაშებზეც კი. რაჭის ერთ-ერთ სოფელში (მექვენა) ნაპოვნია ცული, რომლის ერთ მხარეს გამოსახულ ცხოველს ორი კუდი აქვს, ხოლო მეორეზე – სამი. რამდენადმე უფრო სქემატურია მელიის გამოსახულებები, საკმაოდ ხშირია აგრეთვე ცხენის, ირმის, გველის, თევზის და სხვა გამოსახულებები ([1213-1215], [1394-1395]).

ღვრელ ელემენტად იქცა. ეს კულტურა დღეს ფართოდა ცნობილი კოლხური ბრინჯაოს კულტურის სახელით.



სურ. 115. ურეკის განძის ნაწილი. ძვ.წ. XVIII-XVII სს.: 1-10. ცულები, 11-12. თოხები, 13-14. საფხეკები [1222]

ურეკის განძს მკვლევართა უმრავლესობა ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის დასასრულით, კერძოდ კი, დაახლოებით ძვ. წ. XVIII-XVI სს. ათარიღებს [1222, გვ. 99-100]; [1184, გვ. 36-38]; [1198, გვ. 93-95], [1044, გვ. 14]. და აი, ამ განძში, რომელშიც მეტად თავისებურად აისახა შუაბრინჯაოს ხანის დასასრული, თავი იჩინა ბრინჯაოს კულტურის განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისის მაუწყებელმა იარაღმაც. ესაა ბარ-თოხები და, განსაკუთრებით, მანამდე ჩვენთვის უცნობი სახეობა ცულისა, ურეკის განძში ორი ნიმუშით რომ არის წარმოდგენილი (სურ. 115: 5, 10). ადრე გავრცელებული ცულებისაგან განსხვავებით, მათ ახასიათებთ ორფერდა ყუა და ოვალური სატარე ხვრელი, ექვსწახნაგოვანი ტანი და მომრგვალებული პირი. მაგრამ ამ ტიპის ცულები მხოლოდ ურეკში როდია ნაპოვნი, არამედ – საქართველოს შავიზღვისპირეთის სხვა პუნქტებშიც (პილენკოვო, გაგრა, ბიჭვინტა, ლიხნი, ერგე, ქობულეთი, სოფ. ჭოროხი, მახო), აგრეთვე ერთი – არზრუმშიც (დაწერ. [1184, გვ. 57-101]; [1198, გვ. 45]), შდრ. [1044, გვ. 14-15]. ყველა ეს ცული მიჩნეულია გვიანი ბრინჯაოს ხანაში კოლხეთში ფართოდ გავრცელებული ცულების წინამორბედად. მათ ახასიათებს ექვსწახნაგოვანი ტანი, ორფერდა ყუა და ოვალური სატარე ხვრელი, გორდა (რამდენადმე ასიმეტრიული) პირი და ამასთანავე ნიღრების ნაირი სიმაღლე. ესაა სწორედ „კოლხური ცული“[153] – გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი და, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო შესანიშნავი კომპონენტი. ძვ.წ. XIV ს.-ისათვის უკვე არსებობს კოლხური ცულის ძირითადი ტიპი, რომელიც რამდენიმე საუკუნის მანძილზე (ძვ.წ. XIV-VII სს.) გაივლის განვითარების რთულ გზას და შექმნის რამდენიმე თავისებურ ვარიანტს (სურ. 117).[154]



სურ. 116. კოლხური ბრინჯაოს ცულები. ძვ.წ. XV-XII სს. [1222]

კოლხური ცული მხატვრული ხელოსნობის შესანიშნავი ნიმუშია. თითქმის ათსაუკუნოვანი განვითარების მანძილზე კოლხური ცულის ყველა სახეობა გამოირჩევა ფორმის არაჩვეულებრივი სინატიფითა და იშვიათი პროპორცი-

[153] თავდაპირველად ამ ტიპის ცულები აღმოჩნდა ჩრდილოეთ ოსეთში სოფ. ყობანში და ამიტომაც მას „ყობანური ცული“ შეარქვეს. მაგრამ შემდგომში ამგვარი ცულების და განსაკუთრებით მათი ადრეული ნიმუშების დასაღეთ საქართველოში მრავლად აღმოჩენამ მკვლევარებს შეუქმნა საფუძველი, მათთვის „კოლხური ცული“ ეწოდებინათ (დაწერ. [1274]).

[154] კოლხური ცულის ტიპოლოგიური ვარიანტების შესახებ დაწერ. იხ. [1274]; [1222, გვ. 53 და შემდ.], [1207].

ულობით. ამასთან, იგი ხშირად შემკულია პლასტიკური და გრავირებული მხატვრული სახეებით, რომელთა მიხედვით შეიძლება თვალი გავადევნოთ ძველი სახვითი ხელოვნების ჩასახვა-განვითარებასაც.



სურ. 117. კოლხური ცულის ვარიანტები: 1-2. პროტოტიპები (ძვ.წ. XV ს.), 3-4. ე.წ. I ტიპი (ძვ.წ. XIV-XI სს.), 5-6. ე.წ. II ტიპი (ძვ.წ. XIV-XI სს.), 7-8. ე.წ. III ტიპი (ძვ.წ. XI-VII სს.), 9-11. ე.წ. IV ტიპი (ძვ.წ. XI-VII სს.) [1222]

კოლხური ბრინჯაოს ცულების შემკობა ორნამენტით კოლხური კულტურის განვითარების შედარებით გვიან ეტაპს განეკუთვნება: დახლოებით ძვ.წ. IX-VIII სს. (შდრ. [1215]). ეს ის ხანაა, როდესაც კოლხეთის მიწა-წყალზე ვითარდება რკინის მეტალურგია, ხოლო მეურნეობაში წამყვანი ხდება რკინის იარაღი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დროისათვის ბრინჯაოს კოლხურმა ცულმა თანდათანობით დაკარგა სამეურნეო და, იქნებ, საომარი დანიშნულებაც და მას მხოლოდ სარიტუალო-საკულტო ფუნქცია შემორჩა. მით უფრო, რომ ცულის კულტი ქართულ ტომებში ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს ხანაში ივარაუდება, ისევე როგორც მისი სარიტუალო დანიშნულებაც [38ა, გვ. 114].

კოლხური ბრინჯაოს ცულების ერთი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნაწილი მორთულია გრავირებული სახეებით (სურ. 118). საკმაოდ ხშირია მეტწილად სარტყლებად განაწილებული გეომეტრიული ორნამენტი: ტეხილხაზოვანი სახეები, ზიგზაგები, ირიბი მოკლე ხაზები, თევზისფხური ანუ ფართო წიწვიანი ორნამენტი, მოკლე ვერტიკალური ჭდეები, რომბისებური ბადე (ზოგჯერ წვრილი ჭდეული წერტილებით დაფარული), წრეები, ერთმეორეზე გადაბმული სპირალები, ჯვარი და სვასტიკა და შ. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ იგივე ორნამენტი მეორდება ხოლმე აგრეთვე თანადროულ შუბისპირებზეც (სურ. 119) და ლითონის სხვა ნივთებზეც.



სურ. 118. კოლხური ცული, გრავირებული გამოსახულებებით. ძვ.წ. VIII-VII სს. [1214-1215]

ამას გარდა, გვხვდება აგრეთვე მზის, მთვარისა და ვარსკვლავების ასტრალურ ნიშნებად მიჩნეული სიმბოლური გამოსახულებანიც. კოლხური კულტურისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ცულის სხვადასხვა ნაწილის მორთვა გრავირებული ცხოველური სახეებით (სურ. 118). საკმაოდ ხშირია ძალლის გამოსახულება, რომელიც, როგორც წესი, მთელი ტანითაა მოცემული პროფილსა და ძლიერ მოძრაობაში. დამახასიათებელია მოქნილი ტანი, მაღალი მორკალული კისერი, დიდი (მეტწილად წვეტიანი), აცქვეტილი ყურები და ფართოდ გაღებული ხახა, მოხრილი ფეხები და პლასტიკურად მოღუნული კუდი. ნიშანდობლივია ზოგჯერ ცხოველის ტანის დაფარვა ჭდეული წერტილებით, ან ირიბი ჭდეებით. ძალლის ზუსტად ამგვარივე გამოსახულება გვხვდება კოლხური კულტურის ბრინჯაოს სხვა ნივთებზეც: მაგ. შუბისპირებზე (სურ. 118), ან კიდევ მასიურ რგოლებზე, ქინძისთავებსა და პირისსაფარეშო პატარა მაშებზეც კი. რაჭის ერთ-ერთ სოფელში (მექვენა) ნაპოვნია ცული, რომლის ერთ მხარეს გამოსახულ ცხოველს ორი კუდი აქვს, ხოლო მეორეზე – სამი. რამდენადმე უფრო სქემატურია მელიის გამოსახულებები, საკმაოდ ხშირია აგრეთვე ცხენის, ირმის, გველის, თევზის და სხვა გამოსახულებები ([1213-1215], [1394-1395]).



სურ. 119. ბრინჯაოს შუბისპირები. ურეკი [1222]

კოლხური ბრინჯაოს კულტურის ძეგლებზე ცხოველთა გრავირებული სახეები ოსტატურადაა შერწყმული გეომეტრიულ ორნამენტთან. ამასთან ერთად დამახასიათებელია გამოსახულებისა და მისთვის განკუთვნილი კადრის ურთიერთშეთავსება, რაც ძველი კოლხური გრაფიკული ხელოვნების თავისებურებად და მხატვრული სტილიზაციის ერთ-ერთ ძირითად სახედაა აღიარებული. მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით, ძველი კოლხური სახვითი ხელოვნება გამოსახულების შესრულების მანერითა და ზოგჯერ შინაარსითაც (განსაკუთრებით ძაღლის გამოსახულება და ორნამენტის ზოგიერთი სახეობა) ძალიან ახლო მსგავსებას ამჟღავნებს ჩრდ. კავკასიის ე.წ. ყობანურ კულტურასთან. ზოგიერთი მკვლევარი კოლხური სახვითი ხელოვნების საწყისებს ყობანურ კულტურაშიც კი ეძიებდა. მაგრამ დღეს უკვე აღიარებულია (ყველ შემთხვევაში მკვლევართა უმრავლესობის მიერ), რომ ყობანური კულტურისათვის დამახასიათებელი ცული კოლხური ცულის ვარიანტს წარმოადგენს. ამასთან ერთად გრავირებული ცხოველური და გეომეტრიული სახეებით მორთულია ბრინჯაოს ისეთი ნივთები (სურ. 120), რომლებიც საერთოდ უცხოა ყობანური კულტურისათვის და პირიქით, ტიპიურია მხოლოდ კოლხურისათვის (მაგ. ცულების ზოგიერთი სახეობა, შუბისპირები).



სურ. 120. ბრინჯაოს ნივთების განძი ს. უდედან (ალ. ჯავახიშვილისა და ტ. ჩუბინიშვილის მიხედვით) [1222, გვ. 19-22]

აღსანიშნავია ის, ზემოთ არაერთგზის აღნიშნული, საოცარი სტილისტური და ტიპოლოგიური ერთიანობაც, რომელიც წარმოდგენილია სულ სხვადასხვა ფორმის და დანიშნულების კოლხურ ბრინჯაოს ნივთებზე (ცულები, სატევრები, შუბისპირები, აბზინდები და ბალთები, მასიური რგოლები, მშვილდსაკინძები, ქინძისთავები და სხვ.). ყველას ამკობს ერთი წესით (გრავირებით) შესრულებული მსგავსი ცხოველური სახეები, თუ საერთო ტიპოლოგიური იერის გეომეტრიული დეკორი. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ ამ დამახასიათებელ ნიშნებს კოლხური სახვითი ხელოვნება შემოინახავს საკმაოდ დიდხანს: ე.წ. ანტიკურ ხანაშიც – ბერძნულ კულტურასთან ურთიერთობის ეპოქაშიც.

კოლხური ბრინჯაოს ცული გრავირებულ ორნამენტთან ერთად ხშირად შემკულია ხოლმე ცხოველთა პლასტიკური გამოსახულებებითაც, უპირატესად გვიან ეტაპზე (ძ.წ. I ათასწლეულის პირველ მეოთხედში). ძირითადად გამოყენებულია ორი ხერხი. ერთ შემთხვევაში, ცხოველი (იგი მიჩნეულია ჯიქის გამოსახულებად) მუცლის ქვეშ მოკეცილი ფეხებით შერწყმულია ყუასთან და მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. მეორე შემთხვევაში, ცხოველის ქანდაკება ცულის ყუაზე მთელი ტანითაა აღმართული. გვხვდება ცხენის, ხარისა და ძაღლის გამოსახულებანი [1224, გვ. 76-77]. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საინტერესოა: ყულანურხვას

ძვ.წ. VIII-VII სს. დათარიღებულ სამარხში ნაპოვნი ცული, რომელზედაც გამოქანდაკებული პირდაღებული და ყურებდაცქვეტილი ძაღლის გამოსახულება თითქოს იმეორებს კოლხურ ცულზე ხშირად გამოსახულ ძაღლის სახეს ([1404], [1406, გვ. 116]).

მხატვრული ხელოსნობის შესანიშნავი ნიმუშია სოფ. სულორში (სურ. 109, № 15) ნაპოვნი ბრინჯაოს ცული, რომლის ყუა მორთულია სკულპტურული გამოსახულებით: ფრიგიულის მსგავსი მუზარადიანი მხედრები, რომელთაც ხელში კვერთხი უკავიათ, ზურგზე კი მოგდებული აქვთ ისრებიანი კაპარჭი (სურ. 121). ეს გამოსახულებანი ღვთაება „დიდი დედის“ მხედრებადაა მიჩნეული ([1162, გვ. 83-84]).



სურ. 121. კოლხური ბრინჯაოს ცული, ყუაზე მხედრების სკულპტურული გამოსახულებებით. სულორი.

ძველ კოლხურ სახვით ხელოვნებაში გრავირებასთან ერთად გამოყენებულია ფერადი ინკრუსტაციაც. ამ მხრივ დიდმნიშვნელოვანია სოფ. უდეში ნაპოვნი განძის ბრინჯაოს დიდი ზომის აბზინდები, გეომეტრიული და ზოომორფული სახეებით შემკული (სურ. 120). ამასთან გამოყენებულია როგორც გრავირება, ასევე ლითონით (ბაცი ფერის ბრინჯაო, რკინა) და მინისებური ფერადი პასტით ინკრუსტაცია. ამ წესით აბზინდებზე გამოყვანილია ირმებისა და ძაღლების გამოსახულებანი. თავისი იერითა და სტილიზაციის მანერით ისინი თითქმის არ განსხვავდებიან კოლხური კულტურის სხვა ძეგლებზე წარმოდგენილი ანოლოგიური გრავირებული სახეებისაგან.



სურ. 122. ბრინჯაოს სასოფლო-სამეურნეო იარაღი: I. წალდი, II. სეგმენტი, III. თოხი [1022]

ცულთან ერთად კოლხური ბრინჯაოს კულტურის ტიპიურ ელემენტებს წარმოადგენენ წალდი, თოხი და ე.წ. სეგმენტისებური იარაღი (სურ. 122). საერთოდ კი გვიანბრინჯაოს ხანის კოლხ მელითონეთა პროდუქცია უაღრესად მრავალრიცხოვანია და მასთან ერთად – მეტად მრავალფეროვანიც: ბრინჯაოს საომარი, სამეურნეო და სარიტუალო დანიშნულების ცულები (ე.წ. კოლხური ცული), რომლებიც მორთულია გრავირებული და პლასტიკური გამოსახულებებით; მრავალფეროვანი სამიწათმოქმედო იარაღები (თოხები, წალდები, ნამგლები, ე.წ. სეგმენტისებური იარაღი და სხვ.), საბრძოლო იარაღ-საჭურველი (საომარი ცულები, მახვილები, სატევრები, შუბისპირები და ისრისპირები), მრავალსახოვანი სამკაული (სამაჯურები, საკინძები, სარტყლები, ბალთები), მაღალმხატვრული ოსტატობით შემკული ადამიანის, ცხოველთა (ირემი, ვერძი, ხარი და სხვ.) თუ ფრინველთა მინიატურული ქანდაკებანი და მრავალი სხვ.

არქეოლოგიური მასალების შესწავლის საფუძველზე სრულიად თვალსაჩინოა ტექნიკური პროგრესის სწრაფი ტემპი და მაღალი დონე. ამ

დროისათვის დასავლეთ საქართველოში ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარება აღინიშნება მთელი რიგი სიახლეებით. მათგან უმთავრესი მაინც მრავალგვაროვანი და შესაბამისად სხვადასხვა თვისებებით აღჭურვილი შენადნობების მიღება და დამუშავება იყო, რაც, თავის მხრივ, მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სამეურნეო და საომარი იარაღების, აგრეთვე მრავალსახოვანი სამკაულის დამზადების ფართო შესაძლებლობას ქმნიდა.

გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური ლიტონის ნაწარმის საგანგებო ქიმიურმა და მეტალოგრაფიულმა ანალიზებმა ცხადყვეს, რომ მათი უმრავლესობის ქიმიური შედგენილობა მრავალი კომპონენტის შემცველია. განსაკუთრებით ხშირად კი, ადრეულ ეტაპზე, დარიშხანიანი, თუმცა მასთან ერთად კალიანი ბრინჯაოცაა გამოყენებული. საგანგებოდაა აღსანიშნავი გვიანბრინჯაოს ხანის ნივთების ტექნოლოგიური თვალსაზრისით ჩატარებული კვლევის შედეგები. დადასტურდა უაღრესად რთული ტექნიკური ხერხების ფართოდ გამოყენება: ქვისა და კერამიკის ყალიბებთან ერთად ლითონის ყალიბებით სარგებლობა, კვერცა (საგანგებო მოწყობილობებში), შეღუღება, ტვიფრა, ჭედვა, დაწურვა [784, გვ. 54-62]. ამ რთულ და მაღალტექნიკურ საფუძველზე ვითარდებოდა ძვ.წ. XV-XI საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში ბრინჯაოს კულტურა.

დღეს შეიძლება თამამად ვამტკიცოთ, რომ უკვე ძვ.წ. XV-XIV სს-ისათვის კოლხური ბრინჯაოს კულტურის ყველა ძირითადი ელემენტი კლასიკური სახითაა წარმოდგენილი. გამოყოფენ განვითარების ორ ძირითად ეტაპს: პირველი (ე.წ. გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპი) ძვ.წ. XV-XI სს-ით თარიღდება, მეორე კი – ძვ.წ. XI-VII სს-ით (და მით ნაწილობრივ მოიცავს ადრერკინის ხანას) ([1222, გვ. 59]; შდრ. [1198, გვ. 86 და შემდ.]).

ტერიტორიულად კოლხური ბრინჯაოს კულტურის გავრცელების სფეროდ ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის ძირითადად მიჩნეულია დღევანდელი დასავლეთ საქართველო: დიდსა და მცირე კავკასიონს შორის მოქცეული კოლხეთის დაბლობი. ამასთან ამ კულტურის ელემენტები მცირე კავკასიონის სამხრეთით მდებარე ისტორიულ მესხეთსა და ლიხის ქედის აღმოსავლეთით – ისტორიულ შიდა ქართლშიც ვრცელდება,[65] ხოლო ზღვის სანაპირო ზოლში თავს იჩენს დღევანდელი ორდუს (თურქეთის) ტერიტორიაზეც ([1184, გვ. 31 და შემდ.], [906, გვ. 255], [1278, გვ. 72], [950, გვ. 25-33], [1482]).

დადგენილია, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა კოლხური ბრინჯაოს მეტალურგიის საკმაოდ ძირითადი მძლავრი კერა: ჭოროხის აუზი, აფხაზეთი, რაჭა-ლეჩხუმი. ამას გარდა, ივარაუდება აგრეთვე სხვა ლოკალური კერების არსებობა ([1326], [1064, გვ. 142 და შემდ.], [1222, გვ. 121-153]).

სამთამადნო წარმოების ისტორიისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობისაა კავკასიონის სამხრეთ კალთებზე – რაჭაში, სვანეთსა და აფხაზეთში, აგრეთვე მცირე კავკასიონზე – აჭარასა და გურიაში აღმოჩენილი სამთო-მეტალურგიული კერები. დადასტურდა მადნის მოპოვება (ცეცხლისა და წყლის დახმარებით) მიწისქვეშა სართულებიან მაღაროებში ქვის უროებითა და ბრინჯაოს ზოლებით; მოპოვებული მადნის გატანა ხის დაწნული გობებით; მაღაროებში გვირაბების გამაგრება და საკენტლაციო სარკმლების მოწყობა; მადნის გამდიდრება კლდეში ამოკვეთილ ორმოებსა და ხის გობებში. ასე მაგალითად, მდ. რიონისა და მისი შენაკადების (ზოფხითური, ჩვეშური, ლუხური) სათავეებში უკვე მრავლადაა გამოვლენილი და ნაწილობრივ შესწავლილიც ზღვის დონიდან 1300-2000 მ სიმაღლეზე, სპილენძის მადნის ზონებში (ცისკარო კლდეებსა თუ ფერდობებზე) გამართული მღვიმეები. ისინი სხვადასხვა ზომისაა. ზოგიერთი მათგანის სიგრძე თითქმის 15-20 მეტრს უდრის, სიგანე 13-15 მეტრს აღწევს, ხოლო სიმაღლე – საშუალოდ 1,5 მეტრს. ამ მღვიმეებში ნაპოვნია ნახშირის მძლავრი ფენები და აგრეთვე ქვის უროები. ფიქრობენ, რომ ასეთი უროებით ხდებოდა მადნის მონგრევა მას შემდეგ, რაც ცეცხლით გახურებულ სპილენძის მადნის დაძარღვულ ქანებს წყლის ნაკადით დახეთქავდნენ. ერთ-ერთ მღვიმეში ნაპოვნია მადნის გამოსატანად განკუთვნილი ხის გობი. აღმოჩენილია გრანატისაგან გამოკეთილი დიდი ზომის გობიც, რომელშიც, ალბათ, მადანს ნაყავდნენ ძველი მეტალურგები. მადნის საბადოებთან ახლოს ნაპოვნია ნახშირის ნაშთები და უამრავი რაოდენობის წიდა, აგრეთვე ქვის სხვადასხვა იარაღი – ხელსაფქვავები, როდინები, სახეხები და ლითონის ნაღვენთიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები. ესაა, როგორც ფიქრობენ, ჩვენამდე შემორჩენილი ნაშთები იმ რთული პროცესისა, როდესაც ხდებოდა მადნის გამოწვა (გოგირდის მინარევების მოსაცილებლად), დაფხვნა-გასუფთავება და შემდგომ დაწურვა (დაწვ. [1061], [1062], [1241-1243], [1307], [1043, გვ. 30-33]).

სავსებით აშკარაა, რომ სპილენძით მდიდარ მთაგორიან ადგილებში ხდებოდა ნელლეულის მოპოვება ნახევარფაბრიკატებისა და ზოდების სახით, ხოლო ლიტონის ნივთების დამზადება კი – სპეციალურ სახელოსნოებში, რომელნიც ბარში იყო განლაგებული და ადგილობრივი მეურნეობის განვითარების ინტერესებს ემსახურებოდა. ამის პირდაპირი მოწმობაა წარმოების

[65] დაწვრ. კოლხური კულტურის შიდა ქართლში გავრცელების შესახებ იხ. ([950, გვ. 25-33]).

ნაშთების აღმოჩენა კოლხეთის დაბლობის უძველეს ნამოსახლარებზე (მაგ., თოხის ჩამოსასხმელი ყალიბებისა – ანაკლიაში (სურ. 123), ლითონის ჩამოსასხმელი ყალიბის ნატეხებისა და ციცხვებისა – ნოსირში [1065, გვ. 75] და სხვ.). ფიჩორის ნამოსახლარზე (სურ. 109, № 45) მრავლადაა ნაპოვნი სხვადასხვა იარაღების (ცული, თოხი, და სხვ.) და აგრეთვე კომბინირებული იარაღების ყალიბები და ზოგიერთ მათგანში ჩამოსხმული იარაღიც ([1287], [1043, გვ. 14-15]).[156]



სურ. 123. ყალიბები ბრინჯაოს თოხების დასამზადებლად. ანაკლია. ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი [1385]

კოლხური ბრინჯაოს კულტურის გენეზისის პრობლემის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კოლხური ცულის უძველესი სახეობანი აღმოჩენილია ისტორიული კოლხეთის ზღვისპირა ზოლში. ასევე თითქოს ერთდროულად გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის ლითონის იარაღი (მაგ. I და II ტიპის კოლხური ცულები, აგრეთვე თოხები და სეგმენტები) გვხვდება მთელს დასავლეთ საქართველოში როგორც განძების, ასევე ცალკეული ნივთების სახით (შდრ. [1222, გვ. 58-59], [1184, გვ. 55-58], [1044, გვ.14-15]). ყველაფერი ეს თითქოს იმის მოწმობაა, რომ კოლხური ბრინჯაოს კულტურის ძირითადი სამშობლო მაინც-დამაინც მთიანი ზოლი კი არაა, არამედ მოლიანად დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ბარი, რომელსაც საჭირო ნედლეულით ჭოროხის აუზი და აგრეთვე დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე განლაგებული მადნეულით მდიდარი ოლქები ამარაგებდა (დაწვრ. [1162, გვ. 54-55]).

კოლხური ბრინჯაოს კულტურის ჩამოყალიბება დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იყო ხანგრძლივი და რთული პროცესი, რომელიც საფიქრებელია, აქ უკვე ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე მეოთხედში მაინც დაიწყო და, როგორც ზემოთ აღინიშნა, დაკავშირებულია საერთო ქართული ფუძე-ენის მატარებელი ეთნოსიდან გამოყოფილი ქართულ-ზანური ერთობის დაშლის შედეგად განცალკევებული მეგრულ-ჭანური მოსახლეობის ერთი დიდი მასის კოლხეთის დაბლობზე დამკვიდრებასთან. ამ პროცესს თან მოჰყვა უთუოდ ახალი ტექნიკური და მხატვრული წესების გავრცელებაც.[157]

ლითონის ინვენტარი კოლხური კულტურის ერთადერთი განმსაზღვრელი ელემენტი როდია. ამ კულტურის გენეზისის და მისი შემქმნელი ეთნიკური ერთობის განსასაზღვრავად არანაკლებ (და იქნებ უფრო მეტადაც) მნიშვნელოვანია კერამიკა, რომელიც განსაკუთრებით თვალსათლივ უკანასკნელ წლებში იქნა გამოვლენილი და შესწავლილი.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს უკვე აღიარებულია, რომ გვიანბრინჯაოს ადრეულ ეტაპზევე ლითონის ნივთებთან ერთად დღევანდელ დასავლეთ საქართველოს გარკვეულ რეგიონში (არსებითად კოლხეთის დაბლობზე, პირველ რიგში კი რიონის ველსა და მის შენაკადებს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე) ვრცელდება კერამიკის სპეციფიკური სახეობა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება წინამორბედი ხანის თიხის ნაწარმისაგან, ანაკლიის მახლობლად, „დიხა-გუძუბას“ სახელით ცნობილი ნამოსახლარის ქვედა ფენაში (“დიხა გუძუბა“ I) და ქობულეთის მახლობლად ისპაანის ნამოსახლარზე რომაა დადასტურებული.

ამ ახალი ტიპის კერამიკამ პირველად თავი იჩინა ნოხვამოს (სენაკის მახლობლად) ქვედა ფენებში [1349, I, გვ. 151-157], ხოლო უკანასკნელ ხანებში კი იგი აღმოჩნდა სხვა პუნქტებშიც. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჭალადიდის „ზურგა“ [1185, გვ. 24 და შემდ.], სადაც ჩვენ უკვე რადიოკარბონული მეთოდით მიღებული თარიღები გვაქვს და ნოსირის ნამოსახლარი, სადაც კულტურული ფე-

[156] აღსანიშნავია, რომ რამდენადმე გვიანდელი (ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის) ლითონწარმოების ნაშთები დაფიქსირებულია აგრეთვე კოლხეთის სხვა ნამოსახლარებზეც – ჭალადიდში [1185, გვ. 37], დაბლაგომში [1093, გვ. 79], ხოხუმის მიაზე [1114, გვ. 60-65 და სხვ.], [1162, გვ. 135, შენიშვნა 79], [1237].

[157] ამ თვალსაზრისით საინტერესოა მაგ. ჯერ კიდევ აკად. ბ. კუფტინის მიერ შემჩნეული და აღნიშნული ფაქტი, რომ ერთ-ერთ ე.წ. სირო-ხეთურ საბეჭდავზე გამოსახულ ქურუმს კოლხური ტიპის ცული უკავია ხელთ [1349, I, გვ. 143-144]. აკად. ო. ჯაფარიძის აზრით, „კოლხური ცულის პროტოტიპი წინა აზიაში ერაყსა და ირანში, ანატოლიაში და სხვ. გავრცელებულ ტომებთან პოულობს გარკვეულ მსგავსებას“. ასევე კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ე.წ. ბრტყელი ცული „მოგვაგონებს მცირე აზიაში ხეთურ პერიოდში კარგად ცნობილ ბრტყელ ცულს“ [1278, I, გვ. 63]; [1184, გვ. 43 და შემდ.].

ნების განლაგება და მათი სტრატიფიცირება საშუალებას იძლევა საინტერესო ქრონოლოგიური შკალის აგებისა [1065, გვ. 47-70, 91]. ჩვენ არ შევუდგებით ახლა ამ კერამიკის დეტალურ დახასიათებას, რომლის ნიმუშები № 124 სურათზეა წარმოდგენილი. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ესაა უპირატესად შავად გამომწვარი კერამიკა, რომელიც ხასიათდება ფუნქციონალურად და ტიპოლოგიურად საკმაოდ მრავალფეროვანი ფორმებით (თასები, ჯამები, ქოთნები, კოჭობები, ტოლჩები, ქილები, დიდი ზომის დერგისებური ჭურჭელი და სხვ.), მრავალრიცხოვანი ორნამენტითა (ირიბი და მრგვალი ჭდეები, წიწვისებური შტრიხი, ღაროვანი ფესტონები, შევრონები, აგრეთვე რელიეფური კოპები თუ ძუძუსებრი შველილები და ა.შ.) და მეტად თავისებური ყურებით ("ფრინველის მკერდისებური", „ზოომორფული" და სხვ.).



სურ. 124. ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის კოლხური კერამიკის ნიმუშები. ნოსირის ნამოსახლარი [1065]

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში თ. მიქელაძის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციის თანახმად ამ ტიპის კერამიკაში განვითარების რამდენიმე საფეხურს გამოყოფენ, რომელთაგან ჩვენთვის ამჯერად განსაკუთრებით საინტერესოა ე.წ. პრეპროკოლხური და ძველი კოლხური I პერიოდით დათარიღებული მასალები [1184, გვ. 49-56], ხოლო თუ ნოსირის მასალების მიხედვით ვიმსჯელებთ და გავიზიარებთ არქეოლოგ ელ. გოგაძის მიერ შემოთავაზებულ ახსოლუტურ თარიღებს, საკმაოდ საინტერესო და მეტყველ სურათს მივიღებთ. ნოსირის ნამოსახლარის სულ ქვედა ფენას (ე.წ. ნოსირი I) ელ. გოგაძე ძვ. წ. XVIII-XVI (ან XIX-XVII) სს. ათარიღებს [1065, გვ. 67], რაც კარგად შეესატყვისება კოლხური ბრინჯაოს კულტურის დამახასიათებელი ელემენტების პირველ გამოჩენას, ურეკის განძში რომაა დაფიქსირებული. კოლხური ბრინჯაოს კულტურის განვითარების ადრეულ ეტაპში კი (XV-XII სს.) ექცევიან ისეთი ნამოსახლარები, როგორიცაა ნოსირი II და III, კეკელურის ზურგა (II ფენა) და ნაჰვის ზურგა (მდ. ტეხურის ხეობაში), ანაკლიის დიხა-გუბუში III და IV, ნოხვამუ I და II, ჭალადიდის ზურგა I-III [1065, გვ. 94], [1309].

ამგვარად, შუაბრინჯაოს ხანის დასასრულსა და გვიანბრინჯაოს ადრეულ ეტაპზე ახალი ტიპის კერამიკის გავრცელება (და როგორც უკვე ვნახეთ, მასთან ერთად ახალი ტიპის ლითონის ინვენტარისაც) დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დაკავშირებული უნდა იყოს აქ მეგრულ-ჭანური მოსახლეობის დამკვიდრებასთან (შდრ. [1184, გვ. 58-59]). მაგრამ ახლა გასარკვევია, რა მოჰყვა შედეგად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მეგრულ-ჭანური მოსახლეობის დამკვიდრებას? საამისოდ ჯერ უნდა თვალი გავადევნოთ ამ მოსახლეობის თანდათანობით მოძრაობის არეალს. საამისოდ ერთ-ერთ განმსაზღვრელ სპეციფიკურ ნიშნად კერამიკა შეიძლება მივიჩნიოთ. მიუხედავად იმისა, რომ გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის ნამოსახლარები ჯერ კიდევ სრულად არაა გამოვლენილი (და ამ თვალსაზრისით გეგმაზომიერი არქეოლოგიური ძიებაც არაა ჯერ წარმართული), უკვე ახლაც კი ისახება საკმაოდ საინტერესო და მეტყველი სურათი: თითქმის ერთდროულად კოლხური გვიანბრინჯაოს ადრეულ ეტაპზე სპეციფიკური კერამიკა (თ. მიქელაძის კლასიფიკაციით ე.წ. პროტოკოლხური და ძველი კოლხური I, ხოლო ელ. გოგაძის მიხედვით ნოსირი II-III-ის ტიპისა) ვრცელდება მთლიანად კოლხეთის დაბლობზე. შავი ზღვის სანაპირო ზოლში ჩვენთვის საინტერესო ტიპის კოლხური კერამიკა[158] ფიქსირებულია ჯერჯერობით ისეთ კარგად ცნობილ ნამოსახლარზე, როგორიცაა ქობულეთის „ნამჭედური", ჟულევი, ანაკლიის დიხა-გუბუში [1184, გვ. 67-68], ფიჩორი [1043, გვ.10-14] და სხვ., ხოლო ქვეყნის შიგნით – მთელს რიონ-ყვირილის აუზში, მდ. რიონის შენაკადების – მდ. ენგურის, ტეხურის და აბაშის, აგრეთვე მდ. სუფსის აუზშიც (დაწვრ. [1162, გვ. 59 და იქ დასახ. ლიტ.]).

[158] ძვ.წ. II-I ათასწლეულების კოლხური კერამიკის განვითარების ძირითადი ეტაპების შესახებ დაწვრ. იხ. [1184, გვ. 49-56], [1065], [1309], [1044, გვ. 10-14, 22-30].

უაღრესად დიდმნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სწორედ ამ ტერიტორიაზე, მაგრამ კიდევ უფრო მრავალ პუნქტში დაღასტურებულია იმავდროული კოლხური ბრინჯაოს კულტურისათვის აგრე სპეციფიკური ლითონის ინვენტარიც (I ტიპის ცულები, თოხები, წალდები, სეგმენტები). ამრიგად, ჩვენს წინაშეა უცილობელი და იმავე დროს დიდმნიშვნელოვანი ფაქტი კოლხეთის დაბლობის მჭიდროდ დასახლებისა და მასთან ერთად მისი სამეურნეო ათვისებისაც. ამ თვალსაზრისით უთუოდ დიდმნიშვნელოვანია გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის ზემოდასახელებული ნამოსახლარების შესწავლისას დადგენილი სურათი, ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობას რომ ასახავს.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა მიწათმოქმედების სწრაფი დაწინაურება. ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანით თარიღდება ფიჩორის ნამოსახლარის მე-8 ფენაში (ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევარი) აღმოჩენილი ხის კავი – უძველესი სახვნელი იარაღი [1288]. მიწათმოქმედების ინტენსიური განვითარება თვალსაჩინოდაა ილუსტრირებული სასოფლო-სამეურნეო იარაღების სიმრავლით [1254, გვ. 62-64, 68-103]. ნამოსახლარების გათხრებისას თითქმის ყველგანაა აღმოჩენილი ქვის ხელსაფქვავები (ნავისებური მოყვანილობის ქვედა ქვით), ჯურის საცხობად განკუთვნილი ბრტყელი ქვები, კაჟის ნამგლისპირები (ჩასართები). მიწათმოქმედებაში მარცვლეული კულტურების მოშენების დასტურია ენგღეური ჯიშის ხორბლის მარცვლების (დიკა და მახა), აგრეთვე ფეტვის ხშირი აღმოჩენები. აღსანიშნავია აგრეთვე ვაზისა და ყურძნის წიპწების პოვნაც [1065, გვ. 72-75; 98-99]. ასევე ნამოსახლარებზე მრავლადაა აღმოჩენილი დიდი ზომის ქვევრი და დერგისმაგვარი ჭურჭელი, რომელიც, როგორც ფიქრობენ [1065, გვ. 7], შესაძლებელია გამოიყენებოდა არა მარტო სითხის, არამედ მარცვლეულისა და მესაქონლეობის პროდუქტების შესანახადაც. მესაქონლეობის განვითარებაზე ბარის რაიონებში კი მოწმობს ნამოსახლარზე აღმოჩენილი ცხოველთა ძვლები, რომელთა შორის ჭარბობს ტანმორჩილი მსხვილფეხა საქონლის,[159] აგრეთვე შინაური ღორის, თხისა და ცხვრის [1065, გვ. 74], [1236].

ბუნებრივია, რომ მიწათმოქმედება ბარში, ე.ი. სწორედ კოლხეთის დაბლობზე უნდა განვითარებულიყო და აქ, ვფიქრობ, უდიდესი როლი შეასრულა მდ. რიონმა, რომლის მნიშვნელობა ძველი კოლხური ცივილიზაციის ისტორიაში ჯერ კიდევ არაა სათანადოდ გამოკვლეულ-შესწავლილი.

მდ. რიონი (ძველად ფასისს რომ უწოდებდნენ ბერძნები)[160] საკმაოდ დიდი და წყალუხვი მდინარეა და არა მხოლოდ კოლხეთის მასშტაბით. მისი საერთო სიგრძე 327 კმ-ია, რომელთაგან 150-ზე მეტი მოდის კოლხეთის დაბლობზე, სადაც რიონს მრავალი დიდი მდინარე მიერთვის, რის შედეგადაც მისი წყალჯრების ფართობი ერთიანად იზრდება. ჩვენთვის ამჯერად ისაა საინტერესო, რომ მდ. რიონის წყალი განსაკუთრებით მდიდარია აზოტით და ფოსფორით. ამ თვალსაზრისით მისი მდ. ნილოსთან შედარებისას დადგინდა, რომ მცენარეთა შესათვისებელი ნივთიერებანი რიონის წყალში გაცილებით მეტი რაოდენობითაა, ვიდრე ეგვიპტის უდიდეს მდინარეში, რომლის სასიცოცხლო მნიშვნელობა მიწათმოქმედების განვითარებისათვის უძველესი დროიდანაა საყოველთაოდ ცნობილი. სპეციალური გამოკვლევებით დადგენილია მდ. რიონის დანატოვარი შლამის განსაკუთრებული გამანოყიერებელი მნიშვნელობა მარცვლეული კულტურებისათვის და მისი ხანგრძლივი დროის მანძილზე ზემოქმედების უნარი [346, გვ. 102-103]. მეორე მხრივ, ცნობილია, რომ ჩვეულებრივ მაღალი ტემპერატურა და ხშირი ნალექები ხელს უწყობენ კოლხეთის დაბლობში მცენარეული საფარის, განსაკუთრებით ტყეების სწრაფად ზრდას, რაც უაღრესად ხელისშემშლელი იყო ძველად მიწათმოქმედების განვითარებისათვის. ამას თან ერთვის კოლხეთის დაბლობის კიდევ ერთი თავისებურება: დაჭაობებული ზედაპირი, ზედმეტი წყალი. ასეთ რთულ პირობებში ხალხურმა გენიამ შეძლო მდ. რიონის გამანაყოფიერებელი შლამის რაციონალურად გამოყენება და დაჭაობებული ტყიანი მასივების სამეურნეო სავარგულებად ქცევა: დაჭაობებული მიწის ზედაპირის რიონის წყლით „მორწყვა“, რის შედეგადაც მდინარის ნალექი – შლამი ნესტიან ზედაპირსაც ფარავდა და მით ნათესებისთვის მეტად ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა. ამ წესის გამოყენება მოითხოვდა საგანგებო არხების გათხრას – როგორც მდინარეული წყლის ჭაობიან ნიადაგზე გადასატარებლად, ასევე შლამისაგან დაწმენდილი წყლის ნაკვეთიდან გასაყვანად – საგანგებო სადინარების გაკეთებას. ეს უკანასკნელი მდ. რიონის ხშირი ადიდებისა და ნაპირზე გადმოსვლის შემდეგაც იყო აუცილებელი. მაგრამ ეს არ იყო ერთადერთი გზა ჭაობიან ნიადაგთან ბრძოლისა და მის სათეს ფართობად ქცევისათვის, რადგან საჭირო იყო მდინარეების (რიონისა და მისი შენაკადების) კალაპოტებს დაცილებული ფართობების ათვისებაც. ამ მიზნით მიმართავდნენ უკანასკნელ დრომდე ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილ წესს: სათესი ფარ-

[159] ამით დასტურდება ფსევდოარისტოტელეს ცნობა („ცხოველთა ისტორიის შესახებ“, III, 21): „ფასისთან არიან პატარა ძროხები, რომელთაგან თითოეული ბევრ რძეს იწველის“ [322, II, გვ. 40-41].

[160] ბერძნულ-რომაულ წყაროებში ფასისად იწოდება მდინარე რიონი (მისი ქვემო და შუა წელი) და მისი შენაკადი ყვირილა (დაწერ. [1050, გვ. 89-98], [431, II, გვ. 271-281], [329, გვ. 97-106], [1467, გვ. 10 და შემდ.]).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თობების ირგვლივ სადრენაჟო თხრილების გაკეთებას, აგრეთვე ღრმა ჭების გათხრას ან კიდევ ნიადაგის ხელოვნურ მოზვინვას. ეს წესები დაწერილებით აქვს აღწერილი აწ განსვენებულ ქართველ ეთნოგრაფს მ. გეგეშიძეს, რომელიც სამართლიანად აღნიშნავს მათ სიძველეს [346, გვ. 101-112]. მართლაც, მდ. რიონისა და აგრეთვე მის შენაკად მდინარეთა აუზებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიებისას დადასტურებულია, რომ უძველეს სამოსახლოებს თუ სამოსახლოთა ჯგუფს გარს აკრავს თხრილშემოვლებული სამეურნეო მოედნები, რომლებიც სამოსახლოებთან არხებით არიან დაკავშირებული. რაც უფრო დიდია სამოსახლო, მით უფრო ვრცელია მისი სამეურნეო ფართობი და მით უფრო რთულია მისი არხების ქსელი და საერთოდ საარხო სისტემა [1162, გვ. 61 და იქ დასახ. ლიტ.].

ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებიდან მაინც, კოლხეთის დაბლობი მეურნეობრივად ფართოდაა ათვისებული და საკმაოდ მჭიდროდ დასახლებულიც. ამას მოწმობს, როგორც უკვე არაერთგზის ითქვა, მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა, როგორც გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის ნასახლარების არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი, ასევე არქეოლოგიური დაზვერვებისას უძველეს ნამოსახლარებზე მოპოვებული ამ ხანის კერამიკული ფრაგმენტები თუ მიწის სამუშაოების დროს აგრე მრავლად აღმოჩენილი ლითონის განძები და ცალკეული ნივთები (დაწვრ. [1162, გვ. 58 და შემდ. იქვე დასახ. ლიტ.], [1164, გვ. 27-28]).

კოლხეთის დაბლობის სამეურნეო ათვისება უთუოდ იყო ხანგრძლივი და რთული პროცესი, რომელიც მოითხოვდა უაღრესად ფართო მასშტაბისა და მოცულობის, ძალზე შრომატევად მიწის სამუშაოებს, დაჭაობებული და ნესტიანი ნიადაგის სათეს ფართობებად ქცევასა და ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარებას რომ ემსახურებოდა [1162, გვ. 62-63]. აქ იგულისხმება ტყის მასივების გაკაფვა და ველური მცენარეული საფარისაგან სათესი ფართობის განთავისუფლება, სადრენაჟე არხების გათხრა და ხელოვნური მიწა-ზვინულების შექმნა, მდინარული შლამის ხელოვნური თხრილებით შეყვანა ჭაობიანი ფართობებისათვის და დაწმენდილი წყლის სადანგებო სადინარებით უკან გაყვანა. დაბოლოს ის პროცესები, მარცვლეულის დათესვის, მოვლისა და მოსავლის აღებასთან რომაა დაკავშირებული.

რა პირობებში იყო შესაძლებელი იმ შორეულ ეპოქაში ასეთი კოლოსალური მიწისა და საერთოდ სამეურნეო ნასამუშაოების ჩატარება? ბუნებრივია, პირველ რიგში, მხოლოდ შესაბამისი შრომის იარაღების არსებობისა და მასთან ერთად კოლექტიური შრომის ეფექტურად ორგანიზაციის პირობებში. მართლაც, დღეს ჩვენ ხელთ უკვე მრავლად არსებული არქეოლოგიური მასალა (სწორედ ძვ.წ. XVI-XII სს-ით დათარიღებული) თვალნათლივ გვიჩვენებს დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე პირველ რიგში სასოფლო-სამეურნეო იარაღების არანგვეულებრივ მრავალფეროვნებას ფუნქციონალური თვალსაზრისით. სწორედ მიწათმოქმედების განვითარებას ემსახურებოდა ლითონის სამეურნეო იარაღი – ყველაზე დამახასიათებელი და განმსაზღვრელი კომპონენტი გვიანბრინჯაოს ხანის დასავლურქართული, ე.ი. კოლხური კულტურისა: ცული და წალდი ტყის გასაკაფავად იყო განკუთვნილი, თოხი და ე.წ. სეგმენტური იარაღები კი ახოს აღების, ნიადაგის მომზადებისა და შემდგომი დამუშავებისათვის იყო აუცილებელი [1162, გვ. 62-65 და იქ დასახ. ლიტ.]. მაინც საგანგებოდაა აღსანიშნავი თოხების არაჩვეულებრივი სიმრავლე და მრავალფეროვნება, რაც ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში მის განსაკუთრებულ როლზე და თოხური მეურნეობის შემდგომ ფართოდ დაწინაურებაგანვითარებაზე მიუთითებს. ზოგიერთი მკვლევარი ამ დროისათვის არც პრიმიტიული სახნისის არსებობას გამორიცხავს [1253].

სოციალურ-პოლიტიკური განვითარების რა სტადიაზე იყო და როგორ იყო შესაძლებელი სამიწათმოქმედო მეურნეობით გამოწვეული ისეთი ფართო მასშტაბის მიწის სამუშაოების ეფექტური წარმართვა, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი? პირველ რიგში, რა თქმა უნდა, აუცილებელი იყო მიწის სათხრელად და ტყეების გასაკაფავად შესაფერისი სამეურნეო იარაღით უზრუნველყოფა. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს მიერ ზემოაღნიშნული მაღალი დონე ლითონის (ბრინჯაოს) მეტალურგიისა და მელითონეობის მრავალფეროვნად პროდუქცია (ცული, წალდი, სეგმენტი, თოხი და სხვა იარაღები) სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა (დაწვრ. [1254]). შესაბამისად უნდა დავასკვნათ, რომ ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარების აუცილებლობა განაპირობებდა ხელოსნური წარმოების ფართო მასშტაბებს. ლითონის მოპოვება უთუოდ მადნეულით მდიდარ მთიან რაიონებში ხდებოდა, მაგრამ საკუთრივ ლითონის იარაღების დამზადება კი – უმეტესწილად ბარში, სადაც მსხვილ სამოსახლოებთან ახლოს იყვნენ უთუოდ განლაგებული ლითონდამუშავებელი სახელოსნოები, რომელნიც მარაგდებოდნენ შედარებით ახლოს განლაგებული მადნეულით მდიდარი ოლქებიდან. ამიტომაც საფიქრებელია, რომ განძების სახით კოლხეთის დაბლობზე აღმოჩენილი ლითონის სამეურნეო იარაღები ძირითადად ადგილობრივ ლითონჩამოსასხმელ სახელოსნოებშია დამზადებული და უკვე ამ დროს ეს სახელოსნოები ნედლეულს იღებდნენ არა მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სამთამადნო კერებიდან, არამედ აგრეთვე რაჭა-ლეჩხუმის, აფხაზეთისა და სვანეთის სპილენძის მადნეულით მდიდარი ოლქებიდან (შდრ. [1162, გვ. 121-122]). თუ ეს დას-

კვნა სწორია, მაშინ უაღრესად საყურადღებო ფაქტთან გვაქვს საქმე: ლითონის მოპოვებისა და ლითონის სამეურნეო (და აგრეთვე საბრძოლო) იარაღების თუ სხვა ნაკეთობათა დამზადების ისეთი ფართო მასშტაბები, როგორიც აქ ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებიდანაა ფიქსირებული და მიმდინარეობს საკმაოდ სწრაფი ტემპითა და აღმავალი გზით, ყოვლად წარმოუდგენელია მადნის მფლობელი და მომპოვებელი მთის მოსახლეობის ბარის სასოფლოსამეურნეო ოლქებთან რეგულარული საალებმიცემო ურთიერთობათა გარეშე. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი საფუძველი და საკმაოდ მკვიდრი საფუძველიც, რომელიც დიდი და მცირე კავკასიონის სამთამადნო რაიონების და კოლხეთის დაბლობის ბარული მეურნეობის მოსახლეობას ერთიან ეკონომიკურ და, თუ გნებავთ, ერთიან პოლიტიკურ სისტემაში აერთიანებდა, რაც აისახა კიდეც ვრცელ ტერიტორიაზე ერთგვაროვანი მატერიალური კულტურის გავრცელებაში. ჩემის ღრმა რწმენით, ეს არ იყო მხოლოდ სტიქიური პროცესი: იგი მოითხოვდა მიწათმოქმედების ინტენსიურ განვითარებასა და ზედმეტი პროდუქტის შექმნაზე აქცენტირებული პოლიტიკური ორგანიზმის შექმნას. ასეთი პოლიტიკური ორგანიზმის შექმნა კი გამოიწვია პირველ რიგში კოლხეთის დაბლობის სამეურნეო ათვისების აუცილებლობამ. ტყის მასივების გაკაფვა და მასთან ერთად ჭაობიანი ადგილების სათეს სავარგულებად ქცევა, მდ. რიონისა და მისი შენაკადების წყლების თავისებურ „სარწყავ" სისტემად გამოყენება, მოითხოვდა მოსახლეობის ფართო მასების გაერთიანებას, როგორც ადგილობრივი მეთემეების, ასევე, ალბათ, ძალდატანებით მიზიდულისა (ტყვეებით). თუ ამას დავუმატებთ ზემოთქმულსაც – სამეურნეო იარაღებისა თუ მათ დასამზადებლად ლითონით მომარაგებას (ე.ი. მთისა და ბარის რეგულარულ ურთიერთობას), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარება კოლხეთის დაბლობზე იყო ის უმთავრესი საფუძველი, თავისებური მასტიმულირებელი ძალა, რომელიც განაპირობებდა პოლიტიკური კონსოლიდაციის რთულ პროცესს. ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებიდან კოლხეთის დაბლობზე მიწათმოქმედების სწრაფად დაწინაურების პროცესში უთუოდ დიდი როლი შეასრულა მდ. რიონმა, როგორც არა მხოლოდ დიდმა სამდინარო არტერიამ, თავისი შენაკადებით რომ უკავშირდებოდა მთელს კოლხეთს და ამით ხელს უწყობდა ერთ მთლიან ორგანიზმად ჩამოყალიბებას, არამედ აგრეთვე, როგორც მიწათმოქმედების მაცოცხლებელმა ძალამ. ერთი მხრივ, რიონის წყლის მარცვლეული კულტურების გაშენების ცამანაყოფიერებლად გამოყენება, მეორე მხრივ, წყალდიდობისას მის გამანადგურებელ ზემოქმედებასთან ბრძოლა მოითხოვდა ხალხის ფართო მასების კოლექტიურ ორგანიზაციას. ამას არ შეიძლება არ მოჰყოლოდა შედეგად ძირეული სოციალური ძვრები და ცვლილებანი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც უძველეს სამოსახლოთა სტრუქტურაშიც აისახა.

შემჩნეულია, რომ ძველი სამოსახლოები, როგორც წესი, ერთიმეორის გვერდით მდებარე ორი, სამი და მეტი ბორცვისაგან შემდგარი ჯგუფით არიან წარმოდგენილნი და გარკვეული შუალედით ერთი რომელიმე მდინარის გასწვრივ განლაგებულნი. ბორცვების ერთიან კომპლექსში, როგორც წესი, გამოიყოფა უფრო დიდი ზომისა და სიმაღლის, ამასთან ერთი ან ზოგჯერ ორი მზღუდავი ფართო თხრილით გარშემოვლებული ბორცვი, რომელსაც ცენტრალური ადგილი უკავია [1071]. თვალსაჩინო მაგალითია ფიჩორი I. აქ ცენტრალური ბორცვის ირგვლივ ორ რიგად კიდევ 10 სამოსახლო ბორცვია (ე.წ. გუძუბა) განლაგებული. თითოეული ბორცვი გარშემორტყმულია ხელოვნური თავდაცვითი თხრილით და ერთმანეთთან არხებითაა დაკავშირებული. სამოსახლოთა ეს სისტემა, რომელსაც თითქმის 7 ჰა ფართობი ეკავა, ხელოვნური თხრილითაა ერთიანად გარშემორტყმული [1287], [1044, გვ. 8]. აღსანიშნავია აგრეთვე შედარებით კარგად შესწავლილი „ნამჭედურის" ნამოსახლარი ქობულეთ-ფიჭვნარის მიდამოებში (სურ. 109, № 4). ესაა მრავალფენიანი ნამოსახლარი, რომელზედაც ფიქსირებულია უწყვეტი ცხოვრება ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან ძვ.წ. II ს-მდე [1390]. „ნამჭედურს" ირგვლივ მდებარე დასახლებათა შორის ცენტრალური და გაბატონებული მდგომარეობა უკავია. ამიტომაც უკვე ძვ. წ. VII-VI სს-დან იგი ქალაქური ტიპის ვრცელი დასახლების აკროპოლისად იქცევა [1390, გვ. 9].

ამგვარად, სამოსახლოთა ტოპოგრაფიაში თვალნათლივ იკვეთება თითქოს ერთგვარი განსხვავება ერთიანი კომპლექსის შიგნით, რომელიც გარკვეულ სოციალურსა და, ალბათ, პოლიტიკურ-უფლებრივ დიფერენციაციაზე, დაწინაურებული (ჰეგემონი) გვარის დანარჩენთაგან იზოლაციის ტენდენციაზე მიუთითებს.[161] უნდა ვიფიქროთ, რომ ცენტრალური სამოსახლოს მეთაური მთელი დასახლების მეთაურია, რომელიც უკვე გარკვეული უფლებებითაცაა აღჭურვილი. მის ხელთაა მთავარი უფლება – მოსახლეობის შეკრება საზოგადოებრივ სამუშაოებზე

---

161 ამ პროცესის ცალკეული ნიშნები წარმოდგენილია უკვე ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებიდან მთიანი კოლხეთის (პირველ რიგში – რაჭის) არქეოლოგიურ მონაპოვარში. ასე მაგ. ბრილის მრავალფენიან სამაროვანზე (რაჭაში, სოფ. ღებთან, მდ. ზოფხითურის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვის დონიდან 1600 მ სიმაღლეზე) ყურადღებას იქცევს ლითონის ნივთების არაჩვეულებრივი სიმრავლე ზოგიერთ სამარხში. ასე მაგ. ერთ-ერთ სამარხში ნაპოვნია 7 ცული, 8 სატევარი, 14 შუბისპირი, 12 სამაჯური, 26 საკინძი, 12 საკიდი, რაც დანარჩენი ღარიბული სამარხების ფონზე ქონებრივი დიფერენციაციის უტყუარ მოწმობადაა მიჩნეული [801, გვ. 113-115].

(პირველ რიგში ისეთისა, კოლექტიურ შრომას რომ მოითხოვს – ჭაობიანი და ტყით დაფარული მასივების სავარგულებად ქცევა, სადრენაჟო არხებისა და თავდაცვითი თხრილების გაკეთება და სხვ.). შესაბამისად მის ხელთაა ზედმეტი პროდუქტის მითვისება და გარკვეული სიმდიდრის დაგროვება. სამწუხაროდ, ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის არქეოლოგიურ მეგლებში ქონებრივი დიფერენციაციის მაუწყებელი მასალა ჯერ არ გავაჩნია. მაგრამ უკვე ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში არსებული ქონებრივი (და შესაბამისად, უფლებრივი) დიფერენციაციის არაპირდაპირ მოწმობად შეიძლება მივიჩნიოთ არქეოლოგიური ნივთების თავისებური და საინტერესო სახეობა – „განძები“, რომელნიც ლითონის სხვადასხვა ნივთებთან ერთად ხშირად შეიცავენ სპილენძის ზოდებსაც. მკვლევართა ერთი ნაწილი მათ „მელიითონეთა განძებს“ უწოდებს, მაგრამ უფრო მართებული ჩანს მათი ვოტივურ ნივთებად მიჩნევა, ამასთან სპილენძის ზოდები სიმდიდრის, ქონების დაგროვების მოწმობაცაა და გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციის მანიშნებელიც [1184, გვ. 156]; [1226, გვ. 83]; [1198, გვ. 113-114]; [1205, გვ. 40-41]. არა მხოლოდ სპილენძის ზოდები, არამედ განძის სხვა ნივთებიც (ცული, თოხი, ე.წ. სეგმენტისებური იარაღი და სხვ.) მიუთითებენ სიმდიდრის დაგროვებაზე, რამდენადაც ამ ნივთებს ზნირად წმინდა სამეურნეო ფუნქციასთან ერთად გაცვლითი ეკვივალენტის (ე.ი. მერმინდელი შინაარსით – ფულის) დანიშნულებაც ჰქონდათ (დაწვრ. [1360], [1162, გვ. 66 და იქ დასახ. ლიტ.]).

ამრიგად, ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მთელს დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აგრე ფართოდ გავრცელებული ლითონის ნივთებისა და ზოდების შემცველი „განძები“ რეალურად არსებული ქონებრივი დიფერენციაციის მოწმობად შეიძლება მივიჩნიოთ.

ახლა თუ შევაჯამებთ ზემოთქმულს, შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ მდ. რიონისა (და საერთოდ) კოლხეთის დაბლობის სამეურნეო ათვისებამ და ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარების აუცილებლობამ შექმნა ძლიერი ფუნდამენტი ახალი ტიპის, ერთ ორგანიზმად გაერთიანებული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის. ბრწყინვალე კოლხური ბრინჯაოს კულტურა, აგრე თვალსაჩინოდ რომაა წარმოდგენილი დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მაღალგანვითარებული სამიწათმოქმედო საზოგადოების ნაყოფია. ამიტომაც ბრინჯაოს მეტალურგიის (ამ სიტყვის ფართო გაგებით – მადნის გამოდნობა, ლითონის ნივთების დამზადება და ა.შ.) განვითარების მასტიმულირებელ ძალად უნდა ვაღიაროთ ბარული ინტენსიური მიწათმოქმედება, რომელიც ზედმეტი პროდუქტის დაგროვების ფართო შესაძლებლობას ქმნიდა და იყო დასაწყისი ადრეკლასობრივი ურთიერთობებისა, ე.ი. სახელმწიფოებრიობის ადრეული ეტაპის გენეზისისა.

თანამედროვე პალეოსოციოლოგიური კონცეფციის თანახმად, ისეთი პოლიტიკური სტრუქტურის ჩამოყალიბებას, სადაც ფიქსირდება ცალკეულ თემებში დაწინაურებული თუ ლოკალური ლიდერები, შედეგად უნდა მოჰყოლოდა წარმოქმნა მათ ზემოთ მდგარი ერთპიროვნული მეთაურისაც. ასეთი პოლიტიკური სტრუქტურის მქონე საზოგადოების ჩამოყალიბება იყო რთული და მრავალმხრივი ფაქტორით განპირობებული ხანგრძლივი პროცესი. ამ ფაქტორებიდან პირველი რიგისად მიიჩნევენ ოპტიმალურ ეკოლოგიურ გარემოს, საწარმოო ეფექტსა და დემოგრაფიულ ოპტიმუმს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ არქეოლოგიურ მასალებში ყველა ეს ნიშანი თითქოს თვალნათლივაა წარმოდგენილი: ა) ოპტიმალური ეკოლოგიური გარემო პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ფაქტორადაა აღიარებული. ამ თვალსაზრისით სწორედ უაღრესად ხელსაყრელი პირობები იყო კოლხეთის მიწა-წყალზე. მდ. რიონი თავისი გამანაყოფიერებელი წყლის ხელოვნური რეგულაციის გზით ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარებას უწყობდა ხელს, ხოლო დიდი და მცირე კავკასიონის მთიანი ოლქების სიმდიდრე მადნეულით, განაპირობებდა მეტალურგიის განვითარებას და საზოგადოების უზრუნველყოფას სამეურნეო თუ საომარი იარაღის დასამზადებელი ლითონით. მდიდარი ხე-ტყე საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობის ფართო შესაძლებლობას იძლეოდა (და ამასაც განაპირობა კოლხეთისათვის აგრე ტიპიური ჯარგვალური წესი ხით სახლების შენებისა, ძვ.წ. III ათასწლეულიდან რომ დასტურდება და თავი უკანასკნელ დრომდე შემოინახა). მდინარეების ფართო ქსელი კი ცალკეულ ოლქებს შორის კომუნიკაციის საუკეთესო საშუალებასაც წარმოადგენდა.

ბ) საწარმოო ეფექტიც – ეკოლოგიური გარემოთი გაპირობებული – საკმაოდ თვალსაჩინოდაა ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის კოლხური კულტურის არქეოლოგიურ მეგლებში წარმოდგენილი. როგორც დავინახეთ, მიწათმოქმედების, მესაქონლეობისა და ბრინჯაოს მეტალურგიის მაგალითზე სავსებით აშკარაა ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ცალკეულ ოლქებს შორის რეგულარული გაცვლა-გამოცვლა, შრომის კოოპერაცია (როგორც სამიწათმოქმედო სამუშაოებზე, ასევე მეტალურგიაში), სულ მზარდი ტენდენცია ზედმეტი პროდუქტის დაგროვებისა და, შესაბამისად, მისი საზოგადოების პრივილეგირებული წრეების მიერ მითვისებისა (ქონებრივი და უფლებრივი დიფერენციაციის იმპულსებზე რომ მიუთითებს და არქეოლოგიურად აისახა სამოსახლოთა ტოპოგრაფიასა და განძების დაგროვებაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) დემოგრაფიული ოპტიმუმი დასტურდება გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის სხვადასხვა ტიპის ძეგლთა (ნამოსახლარები, განძები, ლითონის ცალკეული ნივთები და სხვ.) აღმოჩენებით დასავლეთ საქართველოს მრავალ პუნქტში – ბარში, მთისწინა ზოლსა და მთიანეთში. ამასთან შომდევნო პერიოდში, ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში, მოსახლეობის სიმჭიდროვე კიდევ უფრო თვალსაჩინოა და მოწმობს ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარების შედეგად ზედმეტი პროდუქციის დაგროვების ხარჯზე მოსახლეობის სწრაფი ტემპით გამრავლების ტენდენციას (დაწვრ. [1162, გვ. 67-68 და იქვე დასახ. ლიტ.]).

ამრიგად, ზემოთ განხილული არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი (მისი ფართო გაგებით – დიდსა და მცირე კავკასიონს შორის მოქცეული კოლხეთის დაბლობი) ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში გვევლინება საკმაოდ მაღალდაწინაურებულ ქვეყნად, რომლის ხასიათს განსაზღვრავს: ა) ერთგვაროვანი მატერიალური კულტურა (თუმც რიგი ლოკალური თავისებურებებით), რომელიც შეიძლება გარკვეულად პოლიტიკური კონსოლიდაციის შედეგიც იყოს; ბ) ინტენსიური, მარცალეული კულტურების მოყვანაზე აქცენტირებული მიწათმოქმედება, რომელიც რთულ კოლმატაჟურ და სადრენაჟო მიწის სამუშაოებთან იყო დაკავშირებული და მოითხოვდა მოსახლეობის ფართო მასების კოლექტიური შრომის ორგანიზაციას (პოლიტიკური კონსოლიდაციის ერთ-ერთ არსებით მასტიმულირებელ ძალას); გ) ფრიად დაწინაურებული ბრინჯაოს მეტალურგია და ლითონის წარმოება უაღრესად მრავალფეროვანი პროდუქციით (რომელთა შორის ძირითადია საომარი და სამეურნეო იარაღები) – ქვეყნის ეკონომიკისა და პოლიტიკური ხელისუფლების მძლავრი საფუძველი; დ) მესაქონლეობა, როგორც მთაში, ასევე ბარში; ე) მრავალპროფილიანი ხელოსნური წარმოება, განსაკუთრებით კერამიკული, რომლის პროდუქცია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის შენახვასა და მოხმარებასთანაა დაკავშირებული; ვ) სრულყოფილად ჩამოყალიბებული ტიპი დასახლებებისა – გეომორფოლოგიური პირობების გათვალისწინებით შესანიშნავად გააზრებული და ჭაობიანი ნიადაგისაგან ხელოვნურად და საიმედოდ იზოლირებული სისტემა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებისა თავისებური ჯარგვალური არქიტექტურით. სამოსახლოთა ტოპოგრაფიაში შეიმჩნევა ჰეგემონი თემების დაწინაურებაც.

ასე და ამრიგად, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ჩნდება გარკვეული საფუძველი ვივარაუდოთ, რომ დღეკანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისა და I ათასწლეულის დასაწყისში გავრცელებული აგრე ერთგვაროვანი ბრინჯაოს კულტურის, ანუ კოლხური ბრინჯაოს კულტურის, შექმნა შედეგი იყო გარკვეული პოლიტიკური კონსოლიდაციისა – დიდი პოლიტიკური გაერთიანებისა. მის სათავეში შესაძლოა უკვე იდგა თავისებური პოლიტიკური ლიდერი, მეტ-ნაკლებად ერთპიროვნული უფლებებით აღჭურვილი, რომელსაც უკვე ემორჩილებოდნენ ცალკეულ თემებში დაწინაურებული მეთაურები, ბელადები (ლოკალური ლიდერები). ასეთი პოლიტიკური სტრუქტურა თავისი შინაარსით ძალზე უახლოვდება პოლიტიკური ინტეგრაციის წინასახელმწიფოებრივი წყობილებასახელმწიფოზე გარდამავალ (უფრო სწორად – შუალედურ) ეტაპს. ასეთ პოლიტიკურ სისტემას უწოდებენ „ჩიფდომ“-ს (ინგლისური სიტყვიდან „chief“, რაც ნიშნავს „ბელადს“).

ასეთი მაღალგანვითარებული საზოგადოება ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისათვის სზვაგან, შავიზღვისპირეთის არც ერთ რეგიონში არქეოლოგიურად ჯერ დადასტურებული არაა. საინტერესოა, რომ სწორედ ამ ხანას განეკუთვნება კოლხთა პირველი მოხსენიება ძველაღმოსავლურ წერილობით წყაროებში. ასე მაგ. ასურეთის მეფე ტიგლათფილესარ I (ძვ.წ. 1115-1077 წწ.) თავის თავს უწოდებს „ნაირის ქვეყნის დამპყრობელს თუმედან დაიანამდე, /აგრეთვე/ კილხი ქვეყნის დამპყრობელს ვიდრე დიდ ზღვამდე“. აკად. გ. მელიქიშვილი „კილხი“ სახელს „კოლხს“ უკავშირებს, ხოლო „დიდ ზღვას“ შავ ზღვასთან აიგივებს [1382]. ეს უკანასკნელი ძველ ასურულ წყაროებში იხსენება აგრეთვე „ზემო ზღვის“ სახელწოდებით. ამიტომ ძველ კოლხურ ტომთა ისტორიისათვის დიდმნიშვნელოვანია აგრეთვე „ზემო ზღვისა“ და მის „ნაპირას მდებარე ქვეყნების 40 მეფის მოხსენიება ასურეთის მეფის“ თუქულთა-ნინურტას წარწერებში (ძვ.წ. 1245-1209 წწ.), რაც სრულიად სამართლიანადაა მიჩნეული ძვ.წ. XIII ს-ში შავიზღვისპირეთში კოლხურ ტომთა დიდი გაერთიანების არსებობის დოკუმენტურ მოწმობად [1382] და ძალზე საინტერესოა, რომ ძველი ბერძნული მითოლოგიური ტრადიცია, რომელშიც არგონავტების კოლხეთში ოქროს საწმისისათვის ლაშქრობაა წარმოდგენილი, ბერძენთა პირველ გამოჩენას შავ ზღვაზე სწორედ ძვ.წ. მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარს მიაკუთვნებს.

ახლა ჩვენს წინაშე დგება მთელი წყება საინტერესო, მაგრამ მასთან ერთად საკმაოდ სადისკუსიო პრობლემისა: როდის და როგორ შეიქმნა ბერძნული თქმულებანი არგონავტების ოქროს საწმისისათვის ლაშქრობის შესახებ, სად მდებარეობდა აიეტის სამეფო – აია (სადაც ოქროს საწმისი ინახებოდა), რა რეალური და რა დროის მოვლენები აისახა ამ თქმულებებში? ყველა ეს საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული დღეს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ განსჯის საგნად ქცეულ პრობლემასთან, ბერძენთა შავი ზღვის სანაპიროებზე პირველი გამოჩენის დროისა და პირობების შესახებ. ერთის შეხედვით, თითქოს ამ საკითხების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაწხლეკა ცილდება საქართველოს ისტორიის ფარგლებს, მაგრამ რამდენადაც არგონავტების შესახებ ბერძნული თქმულება დაკავშირებულია კოლხეთთან (დღევანდელი დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე რომ მდებარეობდა), ამდენად უფლებას მივცემ თავს, მოკლედ შევჩერდე ზემოდასახელებულ საკითხებზე.

4. თქმულება არგონავტებზე და აია//კოლხეთი

ოქროს საწმისისათვის აიეტის ქვეყანაში არგონავტების ლაშქრობის შესახებ თქმულება ფართოდ იყო ცნობილი ძველ ბერძნულ მწერლობაში და მას არაერთი მხატვრული ქმნილება მიეძღვნა. სამწუხაროდ, არგონავტიკის თემაზე შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებთაგან უმრავლესობა დღემდე მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი [318], შედარებით სრულად კი შემონახულია ძვ.წ. VI-V საუკუნების ლირიკოსი პოეტის პინდარეს IV პითიურ ოდასა [318, გვ. 213-216] და ძვ.წ. III ს-ის ბერძენი მეცნიერისა და პოეტის აპოლონიოს როდოსელის ფართოდ ცნობილ პოემაში „არგონავტიკა“ [309]. არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის ამბავი ვრცლადაა აღწერილი აგრეთვე ერთ პროზაულ ნაწარმოებში, რომელსაც ჰქვია „ბიბლიოთეკა“ და შეცდომით მისი ავტორობა მიეწერებოდა ძვ.წ. II საუკუნის (?) ათენელ მითოგრაფოსს, ისტორიკოსსა და ლექსიკოგრაფ-კომენტატორს აპოლოდორეს [318, გვ. 347-349]. არგონავტიკის შესახებ მეტ-ნაკლებად სრულად შემონახულ ნაწარმოებთაგან უნდა ვახსენოთ აგრეთვე ახ.წ. IV საუკუნეში გალექსილი პოემა „არგონავტიკა“, რომლის ავტორობა კარგა ხანს შეცდომით მიეწერებოდა ლეგენდარულ ორფევსს, მაგრამ ახლა ფსევდო-ორფევსის ან ორფიკული არგონავტიკის სახელითაა ცნობილი [317].

არგონავტების ოქროს საწმისისათვის ლაშქრობის შესახებ ბერძნული თქმულების მოკლე შინაარსი ასეთია:

ოდესღაც ძველი ელადის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ერთ-ერთი ოლქის – ბეოტიის – დიდსა და სახელგანთქმულ ქალაქ ორქომენს განაგებდა ქართა მეფის ეოლოსის ძე ათამანტი. ორი შვილი ჰყავდა მას: ასული ჰელე და ვაჟი ფრიქსე – ღრუბელთა ქალღმერთის ნეფელეს ნაშიერნი. მაგრამ ათამანტმა შეიყვარა თებეს მეფის კადმოსის ვერაგი ასული ინო და ცოლად შეირთო იგი. სულ მალე ბოროტმა დედინაცვალმა მისთვის აგრე სახეულველი ქალის – ათამანტის პირველი მეუღლის – შვილების თავიდან მოცილება განიზრახა და საამისოდ საშინელი მზაკვრობა ჩაიდინა: მისი შეგონებით მოხალული ხორბალი დაოესეს, რასაც მოუსავლიანობა და საშინელი შიმშილი მოჰყვა. მეფე ათამანტმა რჩევისათვის დელფოს მისანთან გაგზავნა თავისი ქვეშევრდომნი. მაგრამ ინოს მიერ მოსყიდულმა ათამანტის შიკრიკებმა მეფეს აუწყეს, რომ თითქოს დელფოს მისანი ყოველისშემძლე ღმერთებისათვის ჰელესა და ფრიქსეს მსხვერპლად შეწირვას მოითხოვდა. სასიკვდილოდ განწირულ შვილებს დედამ ღვთაება ჰერმესის ნაბოძები ოქროსსაწმისიანი გრძნეული მფრინავი ვერძი მოუვლინა. ვერძმა ნეფელეს შვილები ზურგზე შეისვა და შორეული ქვეყნის – აია-კოლხეთისაკენ – გაეშურა. გზად ჰელეს ვერძის ზურგიდან გადმოვარდა და ზღვაში ჩავარდა იქ, სადაც დღეს დარდანელის სრუტეა. შემდეგ ზღვის ამ მონაკვეთს ბერძნებმა „ჰელეს ზღვა“ ან „ჰელესპონტი“ უწოდეს. ფრიქსე კი ოქროსსაწმისიანმა ვერძმა უვნებლად მიიყვანა საწადელ ქვეყანაში, სადაც ამ დროს მეფობდა გოროზი და ძლიერი მეფე აიეტი – მზის შვილი. აიეტმა შეივრდომა უცხო ქვეყნიდან ლტოლვილი ჭაბუკი, შესაფერისად აღზარდა იგი და მერმე თავის ერთ-ერთ ქალიშვილზე, ქალკიოპეზე დააქორწინა. ოქროსსაწმისიანი ვერძი აიეტმა თავის ღმერთებს შესწირა (სხვა ვერსიით, ვერძი ფრიქსემ ზევსს შესწირა), ხოლო ტყავი კი დასაცავად მიანდო გველეშაპს, რომელსაც არასოდეს ეძინა ...

მეფე აიეტის საბრძანებელში შენახული ოქროს საწმისის ამბავმა მალე მიაღწია საბერძნეთს ...

ამ დროს თესალიის ქალაქ იოლკოსში მეფობდა პელიასი, რომელმაც ვერაგულად წაართვა ტახტი თავის ძმას ესონს, ხოლო ტახტის კანონერო მემკვიდრე ესონის ძე იასონი შობილიური ქალაქიდან გაიპარა. მცირეწლოვანი იასონი თესალიის ერთ-ერთ მთაზე პელიონზე გადამალეს, სადაც მას ბრძენი კენტავრი ქირონი ზრდიდა.

ოცი წლის რომ გახდა, იასონი მშობლიურ ქალაქ იოლკოსში დაბრუნდა და მეფე პელიასს ძალით მიტაცებული მამისეული სამეფო ტახტის დაბრუნება მოსთხოვა. ვერაგმა პელიასმა სამეფო ტახტის დათმობა არ მოისურვა და ამიტომაც იასონს საზღაურად აიეტის შორეულ ქვეყანაში დაცული ოქროს საწმისის დაბრუნება მოსთხოვა.

ჭაბუკი იასონი მეფე პელიასის უმძიმეს დავალებას არ შეუშინდა და ოქროს საწმისის შორეული ქვეყნიდან ჩამოტანა ივალა. საამისოდ სამზადისს შეუდგა და პირველ რიგში აიეტის ქვეყანაში გასამგზავრებლად ხომალდის აგება დაიწყო. ეს ხომალდი პელიონის მთის ძირში შენდებოდა, სწორედ იქ, სადაც თვით იასონი იზრდებოდა. ამ ხომალდს „არგო“ უწოდეს, თითქოს იმიტომ, რომ მისი მშენებელი იყო ოქროს საწმისისათვის ლაშქრობის ერთ-ერთი მონაწილე – ქალღმერთ ათენას მსახური არგოსი, რომელსაც თვით ათენა ანძლევდა რჩევა-დარიგებას.

იასონმა ოქროს საწმისისათვის აიეტის ქვეყანაში ლაშქრობის ამბავი მთელს ელადას

უწყა და მასში მონაწილეობა შესთავაზა. მის მოწოდებას თითქოს ორმოცდაათამდე სახელოვანი ვაჟკაცი გამოეხმაურა. თავდაპირველად არგონავტთა შორის იყო ბერძენთა უძლეველი გმირი ჰერაკლეც, რომელსაც ლაშქრობის ხელმძღვანელობაც კი შესთავაზეს, მაგრამ მისივე წინადადებით მეთაურობა იასონს მიანდვეს. ასე რომ, ოქროს საწმისისათვის სალაშქროდ იმ დროის ყველა სახელგანთქმული ბერძენი ვაჟკაცი შეიკრიბა – თითქოს მთელი ელადა დაიძრაო ოქროს საწმისისათვის სალაშქროდ. თუმც არგონავტების უმრავლესობა თესალიის სახელგანთქმული ქალაქებიდან (ლარისა, ფილავე, ფერე, ალოპე, გირტონი და სხვ.) იყვნენ, მაგრამ მათ შორის ერივნენ აგრეთვე გმირები ათენიდან, სპარტიდან, პილოსიდან, არგოლიდიდან, ეტოლიიდან, ფოკეიდან, მესენიიდან, სამოსიდან, მილეტიდან და სამეფოთა სხვა ოლქებიდან და ქალაქებიდან.

იოლკოსიდან სწრაფმავალი არგოთი გამგზავრებული არგონავტები კუნძულ ლემნოსზე შეჩერდებიან და იქაურ ქალებს გაუთანხმდებიან (არგონავტების წინამძღოლი იასონი კი – დედოფალ ჰიპსიპილეს). აქედან გამგზავრებულებს გზად მრავალი ხიფათიც გადახდებათ (დაიღუპებიან მესაჭე ტიფისი და იდმონი, ჩამოცილდებათ ჰერაკლე, დაკარგული მეგობრის ჰილასის საძებნელად რომ გაეშურება) და მრავალ გმირობასაც ჩაიდენენ: გაანთავისუფლებენ უსინათლო მეფე ფინეუსს მტაცებელი ფრინველებისაგან – ჰარპიებისაგან (საკვებს რომ უმოწყალოდ ართმევდნენ უმწეო მოხუცს); შეებრძოლებიან სპილენძისფრთებიან არსებებს – სტიმფალიდებს და სხვ. არგონავტებმა დიდი ვაი-ვაგლახით გასცურეს პირქუში „მოხეტიალე“ კლდეები, შავი ზღვისაკენ მიმავალ სრუტესთან რომ იყვნენ აღმართულნი და რომელთა გადალახვა მანამდე ვერც ერთმა მოკვდავმა ვერ შეძლო.

სრუტეების გაცურვის შემდეგ არგონავტები ჩაუვლიან შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს და იქ მოსახლე ამორძალებს, აგრეთვე სხვადასხვა ტომებს, რომელთა შორის არიან ხალიბებიც – რკინის დამუშავებით სახელგანთქმულნი.... დაბოლოს არგონავტები მიაღწევენ მდ. ფასისის შესართავს, შეაცურებენ თავიანთ ხომალდს მდინარის ფართო კალაპოტში, მიადგებიან აიეტის მთავარ ქალაქს – კუტაიას. ვერ შებედავენ ბერძენი გმირები დიდ ჭალაში მუხის ხეზე ჩამოკიდებული ოქროს საწმისის მოდარაჯე გველეშაპთან შებრძოლებას. ამიტომაც ეახლებიან მეფე აიეტს და სთხოვენ ოქროს საწმისს, სანაცვლოდ კი უცხო მტრებთან ბრძოლაში დახმარებას ჰპირდებიან. მაგრამ მეფე აიეტი, რომელსაც ოქროს საწმისის დათმობა არ სურს, იასონს სთავაზობს სულ სხვა პირობის შესრულებას: არესის ველზე გაშვებული სპილენძისმკლიქებანი და ცეცხლისმფრქეველი ხარების დამორჩილებას, მიწის მოხვნას, გველეშაპის კბილების დათესვას და ნათესიდან ამოსული იარაღასხმული დევგმირების დამარცხებას.

ვერ ძალუძდა ბერძენ გმირთა წინამძღოლს კოლხთა მეფის აიეტის პირობის შესრულება. მაგრამ იასონი შეუყვარდება კოლხთა მეფის ასულს, პირმშვენიერ გრძნეულ მედეას და ის დაეხმარება ოქროს საწმისისათვის მოსულ ბერძენს. მედეა იასონს ჯადოსნური წამლებით აღჭურავს, ურჩხულის კბილებიდან აღმოცენებული გოლიათების დახოცვის საშუალებასაც ასწავლის და იასონიც ასე, მხოლოდ მედეას შემწეობით შეძლებს მეფე აიეტის პირობის შესრულებას. მედეამ საშინელი ურჩხულიც მიაძინა. ბერძნებმა მოიტაცეს უკვე დაუცველი ოქროს საწმისი და თავის საშობლოს მიაშურეს. მათ თან გაჰყვა მედეაც, რომელსაც იასონმა ცოლად შეირთა აღუთქვა... ზღვაში არგონავტებს, ოქროს საწმისის მზაკვრობით გამტაცებლებს, დაეწია კოლხთა მეფის აიეტის მიერ წარგზავნილი კოლხთა ლაშქარი უფლისწულ აფსირტეს მეთაურობით, მაგრამ მას ვერაფერად მოკლავენ... მრავალი ხეტიალისა და თავგადასავლის შემდეგ არგონავტები სამშობლოში ბრუნდებიან. ისევ და ისევ მედეას შემწეობით შეძლებს იასონი იოლკოსში სამეფო ტახტის დაბრუნებას... მაგრამ გაიელის ხანი. იასონი უღალატებს მედეას და სხვა ქალს შეირთავს. აქედან იწყება მედეას ახალი ტრაგიკული თავგადასავლები. მედეას ცხოვრება ელადაში უკვე სხვა თემაა და იგი სცილდება არგონავტიკის უმთავრეს საუბეტს – ბერძენთა ლაშქრობას ოქროს საწმისისათვის აიეტის ქვეყანაში.

ყველა ძველბერძნულ ნაწარმოებში, რომელიც არგონავტიკის თემაზეა შექმნილი (ხოლო ჩვენამდე ცალკეული ფრაგმენტებისა თუ სრული სახითაა მოღწეული), ჩვენ ვხედავთ არგონავტიკის ძირითადი სიუჟეტების ერთიანობას და ერთსახოვნებას, მათ კონსერვატიულობას. არგონავტიკის ჩვენამდე მოღწეულ ყველა ვერსიაში (როგორც სულ ადრინდელში, ასევე შედარებით გვიანდელშიც) ყოველთვის, როგორც წესი, ჩვენს წინაშეა: ა) ერთი და იგივე მთავარი მოქმედი პირნი – იოლკოსის გამგებელი პელიასი, არგონავტების წინამძღოლი იასონი, კოლხების მეფე აიეტი და მისი ასული მედეა; ბ) ლაშქრობის მიზანი – ოქროს საწმისი (გრძნეული ვერძისა, ფრიქსე რომ ჩამოაფრინა კოლხეთში), რომელსაც გველი (გველეშაპი) იცავს; გ) ქვეყანა, სადაც ინახება ოქროს საწმისი, იწოდება აია-დ ან კოლხეთად და მისკენ მიმავალ გზაზე უამრავი ხიფათი და წინააღმდეგობაა, რომელთა შორისაა პლანქტები (ან კიანეები თუ სიმპლეგადები) – „მოძრავი კლდეები“; დ) არგონავტები არიან გმირების უფროსი თაობის წარმომადგენლები – ტროის ომის მონაწილეთა მამები, ხოლო ლაშქრობა ოქროს საწმისისათვის განხორციელდა ტროის ომის წინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდის შეიქმნა არგონავტების შესახებ თქმულება და არის თუ არა იგი რაიმე რეალური მოვლენების ანარეკლი? აი, ის ურთულესი საკითხები, რომელიც დგება ისტორიკოსის წინაშე ადრეული არგონავტიკის შესწავლისას.

არგონავტიკის სიუჟეტები გვხვდება უკვე ძველი ბერძნული ეპოსის ყველაზე ადრეულ ნაწარმოებებში – ჰომეროსის პოემებში: „ილიადა", რომელიც დაახლოებით ძვ.წ. 750 წელს უნდა იყოს შექმნილი (ან, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, ძვ.წ. 730 და 710 წწ-ს შორის) იხსენიებს იასონს (არგონავტების წინამძღოლს), ჰიპსიპილეს (კუნძულ ლემნოსის გამგებელს – დედოფალს) და მათ ვაჟს ევნეოსს („ილიადა", 467-468, [318, გვ. 171]). ეს უკანასკნელი იხსენიება აგრეთვე ლიკაონის (აქილევსის მიერ დატყვევებულის) ამბებთან დაკავშირებითაც („ილიადა", XXI, 34-46; XXIII, 746-747 – [318, გვ. 172-172]). ამრიგად, ჩანს, რომ არგონავტიკის ერთ-ერთი სიუჟეტი და მისი განუყოფელი ნაწილი – ოქროს საწმისის მოსაპოვებლად აიეტის ქვეყანაში სალაშქრო მიმავალი არგონავტების ყოფნა კუნძულ ლემნოსზე, უკვე არსებობდა იმ დროისათვის, როდესაც იქმნებოდა „ილიადა", რომლის ავტორს, ეს როგორც დადგენილია სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, არაერთგზის გამოუყენებია ზოგიერთი სხვა უძველესი თქმულებებიც.

„ილიადაში" (თუმც ე.წ. „ხომალდთა კატალოგის" ნაწილში, რომლის „ილიადასადმი" პირვანდელი კუთვნილება საღისკუსიოა) იხსენება აგრეთვე „კარგად ნაგები იოლკოსი" (ქალაქი, საიდანაც დაიწყო არგონავტების მოგზაურობა), მეფე პელიასი (იასონი რომ გააგზავნა ოქროს საწმისისათვის), არგონავტი აფიტე. ამასთან ჩანს, რომ „ილიადაში" აღწერილი მოვლენებისას იოლკოსის გამგებელია პელიასის შვილიშვილი (მისი ასულის ალკესტიდასა და ადმეტეს ნაშიერი) ევმელოსი („ილიადა", II, 711-715; [318, გვ. 170]).

„ილიადაში" არგონავტიკის პერსონაჟთა მოხსენიება სრულიადაც არ უნდა იყოს შემთხვევითი: ცნობილია, რომ „ილიადის" ავტორი თავისი გმირებისა თუ მათ წინამორბედთა საქმეების აღწერისას ფართოდ იყენებდა „ისტორიულ ფონს".

მეორე პოემაში – „ოდისეა", რომელიც აგრეთვე ჰომეროსს მიეწერება, მაგრამ, როგორც ფიქრობენ, „ილიადაზე" უფრო გვიან – ძვ.წ. VII ს-ის დასაწყისშია შექმნილი, იხსენიება არგონავტების შესახებ თქმულების ყველა მთავარი პერსონაჟი (იხ. [318, გვ. 173-177]): არგონავტების წინამძღოლი იასონი („ოდისეა", XII, 72) და მისი მამა ესონი, ძმები (ფერეტი და ამითაონი) და ბიძაც კი – კრეთევსი, ასევე მეფე პელიასი („ოდისეა", XI, 256-259).

„ოდისეაში" ორგზის იხსენიება მეფე აიეტი (X, 137; XII, 70) და მისი და – გრძნეული კირკე (IX, 31; X, 136): „ორივე იშვა მოკვდავი მანაობელი ჰელიოსისა და დედა პერსესაგან, რომელიც ოკეანემ წარმოშვა" („ოდისეა", X, 138-139). „ოდისეაში" იხსენიება „მოხეტიალე კლდეებიც" – პლანქტები (XII, 61) და, რაც განსაკუთრებითაა მნიშვნელოვანი, „ყველასთვის სანუკვარი არგო", ხოლო მასთან კონტექსტში არგონავტების მთავარი გმირობა – პლანქტების გაცურვა (XII, 59-72). აღსანიშნავია ისიც, რომ „ოდისეაში" (I, 259) ჩვენ გვხვდება აგრეთვე „ელოსი, მერმეროსის ძე". ეს უკანასკნელი კი იყო იასონისა და მედეას ვაჟი, რასაც ეუწყებიან პავსანია „ნავპაქტიკაზე" მითითებით (პავსანია, „ელადის აღწერა", II, 3, 6 – [318, გვ. 455]) და ფსევდო-აპოლოდორე („ბიბლიოთეკა", I, IX, 28/3/ – [318, გვ. 366]).

არგონავტიკის სიუჟეტები წარმოდგენილია ჰესიოდეს – ძვ.წ. VIII ს-ის დასასრულისა თუ VII ს-ის დასაწყისის ავტორის – თხზულებებშიც [318, გვ. 186-188]. „თეოგონია"-ში (956-962, 992-1002) იხსენიებიან მეფე აიეტი და მისი ასული „კოჭლამაზი მედეა", რომელიც „ძალი ხომალდით" მოიყვანა იოლკოსში იასონმა, „როცა შეასრულა მეფე პელიასის უმძიმესი დავალებანი". ჰესიოდესთან ვხვდებით ჩვენ პირველად მედეასა და იასონის ძეს მედეოსს („თეოგონია", 1000-1001), რომელსაც იხსენიებს ძვ.წ. VIII-VII სს-ის ბერძენი ავტორი კინეთონიც (ფრ. 2 – პავსანია, „ელადის აღწერა", II, 3, 9 – [318, გვ. 147]). ასევე ჰესიოდესთან („თეოგონია", 340) იხსენიება პირველად მდინარე ფასისი – ძველი კოლხეთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახელგანთქმული და უდიდესი მდინარე. გვიანდელ ავტორებთან შემონახული ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ ჰესიოდეს (ისევე როგორც ძვ.წ. VIII ს-ის სხვა ბერძენი ავტორის – ფერეკიდე ლეროსელის) თხზულებებში ყოფილა სიუჟეტები უძველესი თქმულებიდან ორქომენის მეფის ძე ფრიქსეზე, რომელიც ოქროსსაწმისიანი ვერძით გაემგზავრა მეფე აიეტთან [318, გვ. 188-189]. „ქალთა კატალოგში" იყო, როგორც ჩანს, არგონავტიკის სხვა სიუჟეტებიც (აგრე ხშირად რომ გვხვდება გვიანდელ ვერსიებში, კერძოდ კი, აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში"): მეფე ფინევსი, ჰარპიები, ბორეიდები და სხვ.[162]

გვიანდელ ავტორებთან შემონახული ფრაგმენტებიდან სრულიად უცილობლად ჩანს, რომ არგონავტების შესახებ თქმულება თუ მისი ცალკეული სიუჟეტები წარმოდგენილი იყო აგრეთვე ძვ.წ. VIII-VII სს-ის მთელ რიგ ბერძნულ ლიტერატურულ ნაწარმოებებში, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ. ასე. მაგ., ფრაგმენტებიდან, რომელიც დაცულია პავსანიასთან („ელადის აღწერა", II, 3, 10) და აგრეთვე მთელი რიგი ბერძენი ავტორების თხზულებათა

[162] იხ. ჰესიოდეს ფრაგმენტები 150-151, 156, 178.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სქოლიონებში,[163] ირკვევა, რომ უკვე, ყოველ შემთხვევაში, ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევარში, უნდა შექმნილიყო არგონავტიკის ე.წ. კორინთული ვერსია, რაც ევმელოს კორინთელს მიეწერება და ნაკარნახევი იყო ქალაქ კორინთოს მისწრაფებით ჩართულიყო ე.წ. გმირული ეპოქის დიდი მოვლენების ორბიტაში. ჩვენთვის ამჟამად ისაა მნიშვნელოვანი, რომ ევმელოს კორინთელის თხზულებაში წარმოდგენილი იყვნენ მეფე აიეტი – „ჰელიოსისა და ანტიოპეს ვაჟი“ (ე.ი. ჰომეროსისა და ჰესიოდესაგან განსხვავებული ვერსია აიეტის გენეალოგიისა), მისი ასული მედეა (კორინთოში გამეფებული), იასონის მიერ აიეტის პირობის შესრულების სიუჟეტი, და ბოლოს – პირველმოხსენიება კოლხეთისა (ფრ. 2: [318, გვ. 194-195]).

არგონავტების შესახებ თქმულება წარმოდგენილი იყო აგრეთვე ე.წ. ნავპაქტიკურ ეპოსში, რომლის ავტორის შესახებ, ისევე როგორც ძველ დროში, ახლაც აზრთა სხვადასხვაობაა. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, მის შემქმნელად ითვლება გენეალოგიური პოეზიის წარმომადგენელი – ადგილობრივი პოეტი კარკინოსი, რომელიც ქ. ნავპაქტოსში გამართულ პოეტურ ფესტივალებში მონაწილეობდა. ვარაუდობენ, რომ „ნავპაქტიკა“ ჰესიოდეს გავლენითაა შექმნილი და, ალბათ, მისივე მოღვაწეობის ახლო ხანებში. აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ (III, 523; IV, 86-87) სქოლიონებში შემონახული ფრაგმენტებიდან ირკვევა, რომ „ნავპაქტიკა“-ში დაწვრილებით იყო გადმოცემული სიუჟეტი ოქროს საწმისის გატაცებისა, რომელიც ამ ვერსიის თანახმად აიეტის სასახლეში ინახებოდა [318, გვ. 198-199].

არგონავტიკის ცალკეული სიუჟეტები, როგორც ჩანს, წარმოდგენილი იყო აგრეთვე ე.წ. კიკლიკური ეპოსის ნაწარმოებებში, რომლებიც ტროის ომსა და თებეს ეძღვნებოდა. მათი შექმნის თარიღი სულ ნათელი არაა: ვარაუდობენ, რომ კიკლიკური ეპოსის ძირითადი ნაწილი ძვ.წ. VIII-VII სს-შია შექმნილი. „დაბრუნებანი“ („ნოსტოი“) და „ექალიის აღება“ იხსენიებენ იასონს და მედეას, ხოლო „ექალიის აღება“ – კირკეს (შდრ. [318, გვ. 185-186]).

ძვ.წ. VII-VI სს-დან არგონავტიკის თემა ფართოდ იკავებს ადგილს ბერძნულ ლირიკაში, კერძოდ, მიმნერმეს („ნანო“, ფრ. 11), სიმონიდე კეოსელის (ფრ. 31/48) და პინდარეს (IV პითიური ოდა) თხზულებებში [318, გვ. 201-204]. ძვ.წ. VII ს-დან არგონავტიკის სიუჟეტები წარმოდგენილია სახვით ხელოვნებაში [1153], [1478].

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ: უკვე ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში, როდესაც იქმნებოდა პირველი ბერძნული ლიტერატურული წერილობითი თხზულებანი,[164] სწორედ მაშინ ხდებოდა არგონავტების შესახებ თქმულების ლიტერატურული დამუშავებაც და, შესაძლოა, მისი წერილობითი ფიქსაციაც.

ლემნოსის სიუჟეტის მოხსენიება „ილიადაში“ უნდა მოწმობდეს (ყოველ შემთხვევაში – არაპირდაპირ მაინც) იმას, რომ არგონავტების შესახებ თქმულების ძირითადი ბირთვი უკვე არსებობდა ძვ.წ. VIII ს-ის შუახანებისათვის და სავსებით ბუნებრივია, რომ ხომალდ არგოს შორეული მოგზაურობა იხსენიება „ოდისეაში“ (იქნებ უკვე ფორმულის ფორმითაც, თუმც გვხვდება მხოლოდ ერთხელ – „ოდისეა“, XII, 70: „ყველასათვის სანუკვარი არგო“ ["Ἀργὼ πᾶσι μέλουσα"]). არგოს მოხსენიება „ოდისეაში“ ნიშანდობლივია: „ოდისეა“ უძველესი ეპიკური ნაწარმოებია, რომელიც საზღვაო მოგზაურობასა და მასთან დაკავშირებულ ფათერაკებს ეძღვნებოდა. გამოთქმულია მოსაზრება (დღესაც, თანამედროვე მეცნიერთა მიერ მეტ-ნაკლებად გაზიარებული), რომ ფოლკლორული არგონავტიკა უდევს საფუძვლად „ოდისეის“ მთავარი გმირის – ოდისევსის ზღვაში მოგზაურობის ისეთ სიუჟეტებს, როგორიცაა სკილა და ქარიბდისი, სირინოზები, დედოფალი კირკე, პლანქტები, ლესტრიგონები და სხვ. [1466, გვ. 26, შენიშვნები 30-33 და იქ დასახ. ლიტ.].

არგონავტიკაში გაერთიანებული ცალკეული სიუჟეტებიც აშკარად არქაული იერის მატარებელია. ასე მაგ., ა) არგონავტიკასთანაა დაკავშირებული უძველესი ბერძნული თქმულება ორქომენის მეფის ძე ფრიქსეზე, რომელსაც (მის დასთან – ჰელესთან ერთად) მსხვერპლად შეწირვას უპირებდნენ ლაფისტიოსის ზევსის ტაძარში (ჰეროდოტე, „ისტორია“, VII, 197 – [320ა, გვ. 115-116], შდრ. პავსანია, „ელადის აღწერა“, I, 24, 2 – [318, გვ. 454]). ფიქრობენ, რომ აქ შემონახულია ადამიანის მსხვერპლად შეწირვის შესახებ უძველესი რელიგიური რწმენის გადმონაშთი; ბ) უძველესი ბერძნული ტრადიცია არგონავტებს ხშირად იხსენიებს მინიების,[165] ე.ი. უძველესი ბერძნული ტომის სახე-

[163] სქოლიონები: პინდარე, ოლიმპ., XIII, 74; ევრიპიდე, „მედეა“, 9; იოანე ცეცე, ლიკოფრონის სქოლ., 1024; აპოლონიოს როდოსელი, „არგონავტიკა“, III, 1372; [318, გვ. 217, 239, 310].

[164] უკანასკნელ ხანებში ფილოლოგები სულ უფრო თამამად ამტკიცებენ, რომ ეპიკური პოემები, რომელნიც ჰომეროსს მიეწერება, წერილობითაა შექმნილი. უახლესი ლიტერატურა ამ საკითხებზე და ბერძნული დამწერლობის უძველეს ნიმუშებზე იხ. [1466, გვ. 25 და შენიშვნა 27].

[165] იხ. მაგ. პინდარე, პით., IV, 69 [318, გვ.204]; ჰეროდოტე, IV, 145 [320ა, გვ.96-97]; სტრაბონი, VIII, 3, 19 და IX, 2, 40 [320, გვ. 102 და 104], ლიკოფრონის „ალექსანდრას“ 872-ის სქოლიონი [318, გვ. 303], [322, IV, გვ.59]; პავსანიას („ელადის აღწერა“, IV, 33, 7) თანახმად, არსებობდა პოემა „მინიადა“, რომლის ავტორობა მიეწერებოდა პროდიკოს ფოკეელს (შდრ. [318, გვ. 15]).

ლით, რომელიც თავის წინაპრად თითქოს ორქომენის ლეგენდარულ მეფეს – მინიასს მიიჩნევდა;[166] გ) არქაული, უფრო სწორად, პოლისური იდეოლოგიის წინა ხანისაა თვით ოქროს საწმისიც, რომელიც სამეფო ხელისუფლებისა და ქვეყნის კეთილდღეობის სიმბოლოს წარმოადგენდა;[167] დ) არგონავტების უმრავლესობის თესალიური წარმომავლობა იქნებ იმის მოწმობა იყოს, რომ თქმულებაც არგონავტების შესახებ თავდაპირველად თესალიაში შეიქმნა.[168]

ახლა ჩვენს წინაშე დადგა რთული საკითხი: როდის უნდა შექმნილიყო თქმულება არგონავტებზე, რომლის სიუჟეტები და სახეები აგრე თვალნათლივ შემოინახა უძველესმა ბერძნულმა ეპოსმა?

ძვ.წ. VIII-VII სს-ის ეპიკურ ნაწარმოებებში (ჰომეროსის ჰოემები, ჰესიოდე, ნავთაქტიკა, ევმელოს კორინთელი, კიკლიკური ეპოსი) შემონახული ფრაგმენტები მოწმობენ, რომ უკვე ამ დროს არგონავტიკის თემა ბერძნული სამყაროს სხვადასხვა კუთხეში მუშავდებოდა. იქმნებოდა ცალკეული სიუჟეტების რამდენადმე განსხვავებული ვერსიებიც (ასე მაგ. აიეტის გენეალოგიისა, ერთი მხრივ, „ოდისეასა“ და ჰესიოდესთან, ხოლო მეორე მხრივ, ევმელოს კორინთელთან, ან კიდევ აიეტის წარმომავლობისა და მისი პირვანდელი სამყოფელოს კორინთული ვერსია და სხვ.). ეს თითქოს იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ ძვ.წ. VIII-VII სს-ში ზემოთ დასახელებული ეპიკური ნაწარმოებთა (მათ შორის ჰომეროსის) პირველწყარო უნდა ყოფილიყო ზეპირსიტყვიერი თქმულებანი, რომელსაც ქმნიდნენ სახალხო პოეტები (აედები) და გადასცემდნენ თაობიდან თაობას ე.წ. „ოავისუფალი“ ან „ურთიერთთანდაკავშირებული“ მოთხრობების სახით.

ამრიგად, თუ არგონავტების შესახებ თქმულებანი ფოლკლორული სიმღერების სახით უკვე არსებობდა „ილიადასა“ და „ოდისეას“ შექმნამდე (რასაც თითქოს მოწმობს ამ პოემებში არგონავტიკის სიუჟეტების მოხსენიება, თუკი ისინი გვიანდელი ჩანამატი არაა), მაშინ მართლაც ადრეული არგონავტიკა შეიძლება განვიხილოთ როგორც ნაწარმოები ჰომეროსის (ე.ი. „ილიადას“) წინადროინდელი ზეპირსიტყვიერი ბერძნული პოეზიისა, რომლის არსებობა, მ. პარის ცნობილი გამოკვლევების შემდეგ, ახლა თითქოს აღარ იწვევს რაიმე ეჭვს (იხ. [1313, გვ. 243 და შემდ.], [1466, გვ. 28 და იქ დასახ. ლიტ.]). სადავოა მხოლოდ ამ პოემის სათავეებისა და მისი წარმოქმნის დროის საკითხი: მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ ძველბერძნული ზეპირსიტყვიერი ჰეროიკული პოეზია მიკენურ ეპოქაში წარმოიქმნა, სხვები კი ზეპირსიტყვიერი ჰეგზამეტრული ეპოსის ჩამოყალიბებას პოსტმიკენურ ეპოქას (ე.წ. „ბნელ საუკუნეებს“) უკავშირებენ [1466, გვ. 28 და იქ დასახ. ლიტ.].

არგონავტიკა, როგორც გმირთა განდიდება ზეპირსიტყვიერ პოეზიაში, უთუოდ წარმოადგენს ნაყოფს ბერძნული ჰეროიკული ეპოსისა, რომლის წარმოქმნის დრო ახლა საკმაოდ რთული დასადგენია. თვლიან, რომ ჰეგზამეტრული ბერძნული ჰეროიკული ზეპირსიტყვიერი ეპოსი, თავის წარმოქმნას ბერძნული არისტოკრატიის ნოსტალგიური (იქნებ პატრიოტული ვერძნობები გამოწვეულ) იმპულსს უნდა უმადლოდეს. მაგრამ მაინც ისევ და ისევ ძნელად დასადგენია: ბერძნული გვაროვნული არისტოკრატიის ნოსტალგიური მზერა მიკენური წარსულისადმი იყო მიპყრობილი, თუ ძვ.წ. XI-IX საუკუნეებისადმი, რომელიც ახლა აგრე თვალსაჩინოდ წარმოჩნდა ჩვენს წინაშე კუნძულ ევბეაზე ლეფკანდიში ბრწყინვალე არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად.[169]

[166] იხ. სტრაბონი, IX, 2, 40 [318, გვ. 423]: "[ჰომეროსი] ორქომენეს მინიას უწოდებს მინიების ტომის მიზედვით. ამბობენ, რომ აქედან გადასახლდნენ ზოგიერთი მინიები იოლკოსში; აქედანაა, რომ არგონავტებს მინიები ეწოდებათ."

[167] ოქროს საწმისის შესახებ ძველ ბერძნულ წარმოდგენებში, ჩვენი აზრით, ორი ეტაპი გამოიყოფა. თავდაპირველად, ოქროს საწმისი აღიქმებოდა, როგორც სამეფო ხელისუფლებისა და ქვეყნის კეთილდღეობის სიმბოლო, ხოლო უფრო გვიან ეკუმენისტურმა ე.ი. რაციონალისტურმა ფილოსოფიამ (პალეფატე [318, გვ. 339], ანონიმური მითოგრაფი [318, გვ. 439], ხარაკს პერგამონელი [318, გვ.447]) და მისმა მიმდევრებმა (სტრაბონი, XI, 2, 19 [326, გვ. 126]; აპიანე, მითრ., 101 [308, გვ. 199]) ოქროს საწმისი აღიქვეს როგორც ქვეყნის (ე.ი. კოლხეთის) ოქროთი სიმდიდრე და მდინარეებში ცხვრის ტყავებით ოქროს მოპოვების წესი [1463].

[168] მკვლევართა მოსაზრებანი არგონავტების თქმულებაში ბეოტიური და თესალიური ელემენტების შესახებ იხ. [1466, გვ. 27, შენიშვნა 40].

[169] შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს წინაშეა თითქოს თავისებური გამეორებაც მიკენური საზოგადოებისა: მონუმენტური საცხოვრისი – ოიკოსი გაუმაგრებელ ბორცვზე და მეგარონები, ტაძრები და საკურთხევლები, არისტოკრატიის საქმიან მდიდრული კრემაციული სამარხები, აგრე რომ მოვუგონებენ ჰომეროსისეულ აღწერილობას. არქეოლოგიური მასალები საკმაოდ თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენენ სწორედ არისტოკრატიის აღზევებას, მის სიმდიდრესა და კეთილდღეობას, საერთოდ – მის წამყვან როლს საზოგადოების ცხოვრებაში, ხოლო გარდაცვალების შემდეგ მათ განდიდებასა და თავგანსაცდომ როგორც გმირებისას, რაც ასახულია დაკრძალვის წესებშიც. ძვ.წ. IX ს-ის დასასრულიდან შეინიშნება მკვეთრი ცვლილება: მოსახლეობა გადადის გამაგრებულ სამოსახლოებში, არისტოკრატია კარგავს თავის პრივილეგირებულ მდგომარეობას. და იქნებ ნოსტალგიაც წარსულის მიმართ წარმოიქმნა სწორედ ამ არისტოკრატიაში, რომელიც თანდათანობით კარგავდა თავის ძალაუფლებას პოლისის – საზოგადოების ორგანიზაციის სრულიად ახალი ფორმის – წარმოქმნასთან დაკავშირებით? მაგრამ აქაც ძნელდება ერთნაირ პასუხი: განა გამორიცხულია ჰეროიკული

თუ ახლა ერთიან ჩარჩოში მოვაქცევთ ყველა ჩვენს ხელთ არსებულ მონაცემს (რომელთა შეხსნებ აქამდე იყო საუბარი), თითქოს შეიძლება ითქვას: ზეპირსიტყვიერი ბერძნული ეპოსი (ჰეგზამეტრული?) უკვე არსებობდა ჯერ კიდევ „ილიადას“ შექმნამდე, შესაძლოა ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე ბერძნულ გეომეტრიულ კერამიკულ ფერწერაში გაჩნდებოდა ე.წ. ფიგურული სტილი, რომლის პირველ წარმომადგენლად ჯერჯერობით (ახალ აღმოჩენებამდე) ითვლება ე.წ. დიპილონის ოსტატი (დაახლოებით ძვ.წ. 770 წ.). ძვ.წ. VIII ს-ის შუა ხანებიდან საკმაოდ თვალსაჩინოდ ფიქსირდება გმირების თავყვანისცემა („გმირების კულტი“) – სრულდება მსხვერპლის შეწირვა იმ სამარხებზე, რომელნიც მიკენური ეპოქის ეპიკური გმირების სამუდამო განსასვენებლადაა მიჩნეული, რასაც ჰომეროსისეული პოემების გაჟღენის შედეგად მიიჩნევენ [1466, გვ.29, შენიშვნა 55-56 და იქ დასახ. ლიტ.].

ახლა ისევ „არგონავტიკას“ დავუბრუნდეთ. როგორი, მეტ-ნაკლებად კონკრეტული, დასკვნის გაკეთების უფლება გვაქვს ზემოთ მოტანილი ასე ვრცელი მსჯელობის შემდეგ? ვფიქრობ, რომ ჩვენი ცოდნის ამ ეტაპზე შეიძლება ვამტკიცოთ მხოლოდ შემდეგი: არგონავტიკა, როგორც ბერძნული ზეპირსიტყვიერი ეპოსის ნაწარმოები, გაჩნდა ჯერ კიდევ „ილიადას“ შექმნამდე. შესაბამისად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი უკვე არსებობდა ძვ.წ. VIII ს-ის დასაწყისში თუ არა, ყველ შემთხვევაში, სრულიად უცილობლად – ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევარში მაინც, ე.ი. უკვე იმ დროს, როდესაც ბერძნულ გეომეტრიულ კერამიკულ ფერწერაში იქმნებოდა პირველი სიუჟეტური ნაწარმოებები. უცილობელი უნდა იყოს აგრეთვე ისიც, რომ არგონავტიკა შედის იმ უძველეს ეპიკურ ნაწარმოებთა რიგში (მსგავსად ტროისა და თებეს ციკლებისა),[170] რომელნიც განადიდებდნენ ბერძენთა ისტორიის ე.წ. გმირულ პერიოდს ანუ გმირების – ნახევარღმერთების ხანას.[171] თუმც აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „გმირული ეპოსი“ და „გმირული პერიოდი“ ერთდროული კატეგორიები არაა: „გმირული ეპოსი“ ესაა ძვ.წ. VIII ს. („რეალური აწმყო“), „გმირული პერიოდი“ კი ძვ.წ. VIII ს-ის ბერძნული საზოგადოებისათვის უკვე ისტორიაა („წარსული“). სამწუხაროდ, ჩვენ ახლა შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდები გამოვთქვათ იმის თაობაზე, თუ რომელი „წარსული“ აისახა „ილიადის“ წინადროინდელ ბერძნულ ზეპირსიტყვიერ ეპოსში: „მიკენური“, „ლეფკანდური“ თუ კიდევ რომელიმე სხვა?

რა ისტორიული ფაქტი შეიძლებოდა ასახულიყო არგონავტების შესახებ თქმულებებში, რომელთაც აქვთ მითის ფორმა, თუმც გარკვეულად ზღაპრის ელემენტსაც შეიცავენ (რაც, უნდა ითქვას, მითის აუცილებელი ელემენტია).

მითი, როგორც ისტორიული რეალობის ამსახველი წყარო, უაღრესად რთულია და სპეციფიკური. მისი ისტორიულ წყაროდ გამოყენება ყოველთვის უდიდეს სიძნელეებთანაა დაკავშირებული და ამიტომაც მოითხოვს იგი სრულიად განსაკუთრებულ სიფრთხილეს. მითის ისტორიული ინტერპრეტაცია იმითაცაა გართულებული, რომ იგი კოლექტიური შემოქმედების ნაყოფია და არა ინდივიდუალური, ამასთან იგი თაობიდან თაობებს გადაეცემა ზეპირსიტყვიერად და ჩვენამდე უმეტესწილად გვიანდელი დანამატებით და პოეტურად გააზრებული ვერსიებითაა მოღწეული. ამიტომაცაა, რომ თანამედროვე მეცნიერებას ხშირად უმძიმს იმის განსაზღვრა, თუ რომელ ისტორიულ ფაქტსა თუ რეალობაზეა ორიენტირებული ესა თუ ის მითი თუ ეპიკური ნაწარმოები.

მიუხედავად იმისა, რომ მითის, როგორც ისტორიული წყაროს, გამოყენების შესახებ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში სრულიად ბუნებრივი აზრთა სხვადასხვაობაა, მაინც სულ უკიდურესი სკეპტიკოსებიც კი ვერ უარყოფენ იმას, რომ თუ ყოველთვის არა, ზოგჯერ მაინც, ზეპირსიტყვიერ ეპოსს აქვს ისტორიული, რეალური საფუძველი. უფრო ზუსტად: იგი ინახავს მოგონებას რაღაც ძალიან დიდი, რეალურად განხორციელებული მოვლენის შესახებ. ჩვეულებრივ ეს ისეთი ისტორიული მოვლენებია, რომელთაც უდიდესი როლი შეასრულეს ამა თუ იმ ხალხის ისტორიაში. ხალხური პოეზიის ისტორიის სპეციალისტები თითქმის ერთხმად ამტკიცებენ, რომ ყოველი ხალხის ისტორიაში არის მომენტები, დიდი ისტორიული მოვლენები, რომლებიც აღელვებენ საერთო ხალხური ფანტაზიას და ამიტომაც აისახებიან ლირიკულ-ეპიკურ სიმღერებში. ხალხური ეპოსის ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი მკვლევარის ა. ვესელოვსკის (1838-1906 წწ.) საკმაოდ მოსწრებული თქმით, „ხალხური პოეზია თავისებური ისტორიული სამსჯავროა.“ ამიტომაცაა აუცილებელი განსაზღვრა იმისა, თუ რა ისტორიული ფაქტი შეიძლებოდა დასდებოდა საფუძვლად ამა თუ იმ დიდ ეპიკურ ნაწარმოებს და კერძოდ – არგონავტიკას.

ზეპირსიტყვიერი ეპოსის წარმოქმნა „არისტოკრატიის ნოსტალგიის“ გარეშე? მსოფლიო ფოლკლორის ისტორიამ ზოგ იცის არაერთი მაგალითი იმისა, როდესაც მონუმენტური ზეპირსიტყვიერი ეპიკური ნაწარმოებები იქმნებოდა რეალურად ჩადენილი უდიდესი მნიშვნელობის გმირული საქმეების განსადიდებლად (დაწვრ. იხ. [1466, გვ. 28-29 და იქ დასახ. ლიტ.]).

[170] ცნობილი ინგლისელი მკვლევარი მ. ვესტი ვარაუდობს, რომ არსებობდა უძველესი (უფრო ადრინდელი, ვიდრე „ტროლური“, „თებესი“ და „ტროის“ ციკლებია) ე.წ. „იოლკოსის ციკლი“, რომელიც ერთიანებდა პელიასის, იაზონის, არგონავტების ლაშქრობისა და სხვ. ისტორიებს. დაწვრ. [1466, გვ.29 და შენიშვნა 57].

[171] შდრ. ჰესიოდე, შრომანი და დღეები, 159-160.

რამდენადაც ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ლიტერატურული ძეგლებიდან თქმულება არგონავტების შესახებ პირველად ჰომეროსის პოემებშია ფიქსირებული, ამდენად, ბუნებრივია, ჯერ გავერკვეთ, რამდენად რეალურ-ისტორიულ საფუძველზეა აღმოცენებული თვით ჰომეროსის მიერ გალეშილი თემა – ტროის ომი. უაღრესად დიდმნიშვნელოვანია, რომ ის გეოგრაფიული პუნქტები (მაკენი, ტარინთოსი, თებე, ორქომენი, იოლკოსი, აითნი, პილოსი, თვით ტროა და სხვ.), რომელთაც უკავშირდება უძველესი ჰეროიკული თქმულებანი, მაკენური ეპოქის რეალურად არსებული ცენტრებია და არქეოლოგიურად გამოვლენილ-დადასტურებული. ყურადღებას აქცევენ სპეციალისტები ზაზგასმით იმ ნიუანსსაც, რომ უძველეს თქმულებებში უპირატესობა ენიჭებათ აქაველ ბერძენ ტომებს, რომელნიც ასრულებენ წამყვან როლს მაკენურ ეპოქაში. იონიური ცენტრები, რომელნიც მაკენური საზოგადოების დაცემის შემდეგ აღწევენ უპირატესობას, თქმულებათა უძველეს ციკლში არ პირველობენ, ხოლო დორიელები, რომელნიც საბერძნეთში გვიან გამოჩნდებიან, ძალიან იშვიათად ან საერთოდ არ ფიგურირებენ უძველეს თქმულებებში. ყოველივე ეს იმის მოწმობადაა მიჩნეული, რომ ჰომეროსის პოემებსა და სხვა ნაწარმოებებში ფიქსირებული ჰეროიკული თქმულებები მაკენური ეპოქის ნაყოფია. ვარაუდობენ, რომ მაკენური ეპოქა არის ბერძნული მითების ძირითადი ბირთვის ისტორიული საფუძველი; ეს თქმულებები მითოლოგიზირებული ისტორიის მრავალ ჭეშმარიტ ელემენტს შეიცავს. ამ თქმულებათა შემქმნელები იყვნენ „აქეური“ ტომები, რომელნიც, როგორც ახლა ე.წ. მიკენური ხაზოვანი B დამწერლობის გაშიფრის შემდეგაა უყოყმანოდ აღიარებული, მეტყველებდნენ და წერდნენ ბერძნულ ენაზე (მის ე.წ. პროტოარკადულ-კვიპროსულ დიალექტზე).

ამჟამად სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა ცხოველი სხვადასხვაობაა ჰომეროსის მიერ აღწერილი მოვლენების დროისა და რეალურობის შესახებ. მაინც მკვლევართა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ „ილიადასა“ და „ოდისეას“ საფუძვლად დაედო მიკენური (ანუ აქეური) ეპოქიდან მომდინარე ზეპირსიტყვიერი პოეტური ტრადიცია. აღიარებულია, რომ ძველი ელადის ჰეროიკულ თქმულებებში წარმოდგენილი ზოგიერთი ელემენტი სრულიად აშკარად მიკენური ეპოქის რემინისცენციას წარმოადგენს. უაღრესად დიდმნიშვნელოვანია ზოგიერთი ავტორიტეტული ლინგვისტის მტკიცებაც, რომ ჰომეროსის თხზულებათა ენის უშუალო წინამორბედი იყო ზეპირსიტყვიერი – პოეტური ენა, ანუ ე.წ. მიკენური ეპოქის პოეტური ზედაელექტი, რამაც განაპირობა კიდეც ძველბერძნული ეპოსის ლინგვისტური სისტემის თავისებურებანი. აღიარებენ ჰომეროსის ენის საკმაოდ ახლო კავშირს მიკენურთან, ე.ი. ბერძნული ენის პროტოარკადულ დიალექტთან, რომელიც ცნობილი გახდა ინგლისელი მეცნიერის მაიკლ ვენტორისის მიერ მიკენური B დამწერლობის დეშიფრაციის შემდეგ (დაწერ. [1162, გვ. 21-30, და იქვე დასახ. ლიტ.]).[172]

ამ ე.წ. ზედაელექტის მატარებლად მიიჩნევენ ხალხურ მთქმელებს – პოეტებს, რომელთაც ძველ საბერძნეთში ადებეს უწოდებდნენ. ესენი იყვნენ ჰეროიკული, ეპიკური, დიდაქტიკური, რელიგიური თუ სხვ. რიგის სიმღერების პროფესიონალი ზეპირშემსრულებლები. აედების მეშვეობით თაობიდან თაობას გადაეცემოდა მიკენური ეპოქის ისტორიული რეალიები. ფიქრობენ, რომ აქეური (ე.ი. მიკენური) ეპოქის რეალიების გადმოცემისას აედები მკაცრად იცავდნენ ძირითადი (ე.ი. ისტორიული) ფაქტის გადმოცემის სიზუსტეს, ვინაიდან მრავალრიცხოვანი მსმენელი არ აპატიებდა მათ საყოველთაოდ ცნობილი და თაობიდან თაობაში ხალხის მიერ განდიდებული მოვლენის დამახინჯებას. აედების არსებობა მიკენის ეპოქის გამგეებელთა კარზე არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ფრესკებიცაა დადასტურებული. სწორედ აედების მეშვეობით მიიღო ელინურმა ეპოსმა უზარმაზარი ზეპირსიტყვიერი მემკვიდრეობა, სადაც პოეტური ფორმულების სახით, შესაძლოა, დაკონსერვებული იყო მიკენური ეპოქის უმთავრესი ისტორიული მოვლენები. უცილობლადაა აღიარებული, რომ ძვ.წ. VIII-VII სს-ის ბერძნულმა ლიტერატურამ მანამდე არსებული ზეპირსიტყვიერი ლეგენდარულ-მითიური ხასიათის თქმულებანი გარკვეულ წესრიგში მოიყვანა. ამასთან ერთად, მას მეტწილად ისტორიის (თუ სასსტორიო ნაწარმოების) ფორმაც მიანიჭა და ქრონოლოგიური თანამიმდევრობა სრულიად გარკვეულ და კანონიზირებულ სისტემაში მოაქცია. მაგრამ ისიცაა აქ ხაზგასასმელი, რომ ეს ქრონოლოგიური თანამიმდევრობა, აგრე თვალსაჩინოდ რომაა ფიქსირებული ძველ ბერძნულ ლიტერატურულ ძეგლებში, ზეპირსიტყვიერ ეპოსში იყო უკვე წარმოდგენილი. ბერძნულმა ფოლკლორულმა ტრადიციამ, რომელმაც შემოინახა მოგონება დიდი ისტორიული მოვლენების შესახებ, როგორიცაა თქმულება ტროის ომზე, თებეს ციკლი, გადმოცემა წინაბერძნული მოსახლეობის – პელასგების შესახებ და სხვა, შემოინახა აგრეთვე უძველესი გეოგრაფიული თუ ეთნიკური სახელწოდებანი, ისტორიულ პირთა სახელები. უკვე მაშინ ზეპირსიტყვიერ პოეზიაში ჩამოყალიბდა რიული სისტემა თქმულებათა ციკლისა, რომელთა მონაწილენი არიან არა მხოლოდ ერთი და იმავე ეპოქის გმირები, არა-

[172] უკანასკნელ ხანებში სპეციალურ ლინგვისტურ ლიტერატურაში მტკიცდება აზრი, რომ ბერძნული საგუნდო ლირიკის ენაც წარმოქმნილია მიკენურ ეპოქის პოეტური ზედაელექტისაგან. მას საფუძვლად ედო ეოლიურ-პროტოიონიური კილო და ვითარდებოდა ეპიკური პოეზიისაგან დამოუკიდებლად [75, №2, 1988, გვ. 109-115].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედ მათი შთამომავალნიც. შეიძლება უამრავი ჰაგალითის მოტანა, მაგრამ ჩვენთვის ამჟამად უფრო მნიშვნელოვანია უძველესი არგონავტიკის ადგილის განსაზღვრა ბერძნული მითოლოგიის ერთიან ქრონოლოგიურ სისტემაში. ამ თვალსაზრისითაა სწორედ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი და ეს უკვე ჰომეროსის „ილიადა“-შია ფიქსირებული, რომ ტროის ომის მონაწილენი არიან არგონავტების შთამომავალნი. ასე, მაგალითად, ტროის ომის ერთ-ერთი მთავარი გმირი – აქილევსი – არგონავტთა ლაშქრობის მონაწილის პელევსის ძეა, ხოლო პელევსის ძმის – არგონავტი ტელამონის ვაჟია ტროის ომის მონაწილე აიანტი, „დიდად“ წოდებული, განსხვავებით მეორე აიანტისაგან, რომელიც აგრეთვე ტროის ომის მონაწილეა და შვილია ერთ-ერთი არგონავტისა – ოილევსისა და ა.შ. საინტერესოა, რომ ჰერაკლე, არგონავტთა მოგზაურობის თავდაპირველი მონაწილე, ტროის ომის დროისათვის უკვე აღარაა, მისი მშვილდი და ისარი კი ხელთ აქვს ფილოქტეტეს, რომლის ხელითაც დაიღუპება პარისი ტროის ომის მეათე წელს...

ამრიგად, ამ დეტალებითაც სავსებით აშკარაა სრულიად გარკვეულად ჩამოყალიბებული ქრონოლოგიური და გენეალოგიური სისტემები, საიდანაც თვალნათლივ ჩანს, რომ არგონავტების ლაშქრობა ოქროს საწმისისათვის განხორციელებულა ტროის ომის წინარე ხანაში. ასე ესმოდათ ეს თვით ძველ ბერძნებს კარგა ხნის შემდეგაც. ასე მაგ., ძვ.წ. V საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს მტკიცებით („ისტორია“, I, 3), იასონის მიერ მედეას მოტაცების შემდეგ – მეორე თაობაში ტროის მეფის, პრიამის ძემ ალექსანდრე-პარისმა მოიტაცაო საბერძნეთიდან ელენე, რაც გახდა ტროის ომის მიზეზი ([320ა, გვ. 59]).

ტროის ომს თანამედროვე მეცნიერთა უმრავლესობა ისტორიულ ფაქტად მიიჩნევს (თუმც საწინააღმდეგო აზრიც არსებობს) და მას ძვ.წ. XIII ს-ის 30-იანი წლების ახლო ხანით თარიღებს. შესაბამისად, არგონავტთა ლაშქრობა ოქროს საწმისისათვის კი მის წინ ერთი თაობით ადრე მაინც უნდა განხორციელებულიყო (დაწვრ. [1184, გვ. 169-170], [1162, გვ. 27 და იქ დასახ. ლიტ.]), მაგრამ ასეთი დასკვნა მხოლოდ მითების საფუძველზეა გამოტანილი.

ახლა ჩვენ მივუახლოვდით ყველაზე რთულ საკითხს: რა რეალური მოვლენები უნდა ასახულიყო არგონავტიკის შესახებ მითში? ეს საკითხი მჭიდროდ უკავშირდება საერთოდ ფოლკლორის ისტორიულობასა და მხატვრული ზეპირსიტყვიერების გზით შორეული წარსულის შესახებ ინფორმაციის გადაცემის მექანიზმის უაღრესად რთულსა და სადისკუსიო პრობლემას. მე, რა თქმა უნდა, შორს ვარ იმ აზრისაგან, თითქოს ადრეული ეპიკური ნაწარმოებები მთლიანად ისტორიულ ფაქტებზეა დაფუძნებული და აღმოცენებული. მაგრამ თვით ის „შეგნებული არქაიზაცია“, რომელიც ჰომეროსის პოემებში ფიქსირდება და რომელსაც აგრე ხაზგასმით აღნიშნავენ ჰომეროსის პოემების მკვლევარნი (იხ. [1466, გვ. 30, შენიშვნა 64]), განა იმაზე არ მიგვითითებს, რომ იმ დროისათვის უთუოდ არსებობდა რაღაც ისტორიული ინფორმაცია შორეული წარსულის შესახებ? ვფიქრობ, რომ არ უნდა იყოს მარებული მთლიანად უარყოფა იმისა, რომ ზეპირსიტყვიერ ეპოსსაც ზოგჯერ მაინც აქვს ისტორიული, რეალური საფუძველი. უფრო ზუსტად: იგი უთუოდ ინახავს ზოგჯერ მოვონებას რაღაც ძალიან დიდი, რეალურად განხორციელებული მოვლენის შესახებ. გავიმეორებ, რომ ეს ისეთი ამბები, გმირობა თუ ისტორიული მოვლენებია, რომელთაც უდიდესი როლი შეასრულეს ამა თუ იმ ხალხის ისტორიაში. ზეპირსიტყვიერების ისტორიის სპეციალისტები თვლიან, რომ ყოველი ხალხის ისტორიაში არის ისეთი დიდი ისტორიული მოვლენები, რომელნიც აღელვებენ თაობების საერთო-სახალხო ფანტაზიას და ამიტომაც აისახებიან ლირიკულ-ეპიკურ სიმღერებში. თუ გავიზიარებთ ამ დებულებას (მე კი მჯერა მისი), მაშინ ბუნებრივად დაისმის კითხვა: რა ისტორიული ფაქტი („ისტორიული ბირთვი“) შეიძლებოდა დასდებოდეს საფუძვლად არგონავტების შესახებ თქმულების შექმნას?

არგონავტიკის უძველესი ვერსიების თანახმად, ქვეყანას, საღაც ინახებოდა ოქროს საწმისი იმ გრძნეული ვერძისა, რომელმაც ფრიქსე იქ საბერძნეთიდან ჩამოიყვანა, ერქვა აია.[173]

სახელწოდება აია ჩვენამდე მოღწეულ ლიტერატურულ ტექსტებში პირველად მხოლოდ ძვ.წ. VII-VI სს-ის ლირიკოსი პოეტის მიმნერმეს თხზულებაში „ნანო“ (ფრაგ. 11) იხსენიება [318, გვ. 201]. მაგრამ უეჭველია, რომ ეს სახელწოდება იმთავითვე ფიგურირებდა არგონავტთა შესახებ თქმულების უძველეს ვერსიებში. აკი უკვე „ოდისეა“ იხსენიებს მეფე აიეტს, რაც, როგორც ქვემოთ დავიმოწმებთ, თვით ძველ ბერძენთა განმარტებით, ნიშნავს „აიას მკვიდრს.“ აია ბერძნულ მწერლობაში ჩვეულებრივ გვხვდება როგორც მთელი ქვეყნის სახელწოდება, ე.ი. კოლხეთის სინონიმი (იხ. მაგ., ჰეროდოტე, I, 2; VII, 193, 197 [320ა, გვ. 58, 115-116]; აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“, II, 1267 [309, გვ. 173]), თუმც ზოგიერთი გვიანდელი ავტორი ან კომენტატორი აიას იხსენიებს როგორც ქალაქს.[174] მე არ შევუდგები ახლა

[173] ამ სახელწოდების ეტიმოლოგია გაურკვეველია. ჩვეულებრივ მას უკავშირებენ „გაია“-ს, ე.ი. „მიწას“. გამოთქმულია მოსაზრებაც, რომ თითქოს „აია“ შეიძლება ნიშნავდეს „დედა“-ს და იდენტურია ლათინური "avia"-სი. დაწვრ. ამ საკითხზე იხ. [1466, გვ. 31, შენიშვნა 66].

[174] პლინიუსი, ბუნების ისტორია, VI, 13 [326, II, გვ. 179]; სტეფანე ბიზანტიონელი, ეთნიკა: s.v. აია; სქოლიონები: „ოდისეა“, IX, 32; ევრიპიდეს „ალკესტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აიას ლოკალიზაციის შესახებ გამოთქმული ყველა მოსაზრების გადმოცემას, რადგან ისინი განხილულია მთელ რიგ ნაშრომებში (იხ. [1448], [1440], შდრ. [1313, გვ. 198-210], [1466, გვ. 35 და შემდ.]). მე ვერ დავეთანხმები ზოგიერთი მკვლევარის თვალსაზრისს, რომ თითქოს არგონავტების შესახებ თქმულების უძველეს ვერსიებში აია, ე.ი. აიეტის საბრძანებლო ჯერ კიდევ არ იყო დაკავშირებული კოლხეთთან და გაიაზრებოდა როგორც რაღაც იდუმალი ქვეყანა ოკეანის ნაპირზე, სადღაც სამყაროს სულ უკიდურეს ნაწილში მოქცეული (იხ. [1448]).[175] ამის საფუძვლად ჩვეულებრივ მიაჩნიათ მიმნერეს ცნობა (ფრაგმენტი 11=[318, გვ.201]): „აიეტის ქალაქი. აქ მალი ჰელიოსის სხივები ძევს ოქროს დარბაზში, ოკეანის სანაპიროზე, სადაც წარემართა ღვთაებრივი იასონი.“ შესაბამისად, რადგანაც აია და აიეტის ქალაქი ოკეანის სანაპიროზეა, „მას საერთო არაფერი ჰქონდაო შავ ზღვასთან. ასეთი მტკიცების ავტორები რატომღაც ივიწყებენ დიდი ბერძენი გეოგრაფისა და ისტორიკოსის – სტრაბონის განმარტებას, გამოთქმულს კამათში დემეტრიოს სკეფსისელთან, რომელიც ასევე მიმნერეს ცნობის საფუძველზე აიას „უკიდურეს აღმოსავლეთში“ ათავსებდა. სტრაბონის თქმით: „უბრალოდ მაშინდელ პონტოს ზღვას (ე.ი. შავ ზღვას – ო.ლ.) ოკეანედ ლებულობდნენ, ხოლო მასზე მცურავნი ისევე დაშორებულად მიაჩნდათ, როგორც სტელების (ე.ი. გიბრალტარის სრუტის – ო.ლ.) გვერად უფრო იქით გამგზავრებულები. მითუმეტეს, რომ ჩვენ დროსაც პონტოს ზღვა უდიდესად ითვლება ...“ (I, 2, 10 = [320, გვ. 67]).

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ „ოდისეაში“ ცნებებით არგონავტიკის მთავარ მოქმედ პირს მეფე აიეტს. ეს სახელი კი თვით ძველ ბერძენთა განმარტებით ნიშნავს აიას მკვიდრს. სტეფანე ბიზანტიელი: „აია: მისგანაა „აიეტეს“, როგორც „აზია“ – „აზიატეს“, ისე „აია“ – „აიატეს“ და „აიეტეს“ [323]. მეორე მხრივ, მიმნერეს ცნობიდანაც (ფრ. 11: „თვით იასონიც ვერასდროს წამოიღებდა დიად საწმისს იაადან ... აიეტის ქალაქი ... ოკეანის სანაპიროზე ... სადაც წარემართა ღვთაებრივი იაზონი“ [318, გვ. 201-202]) კარგად ჩანს აიასა და აიეტის სამყოფელის იდენტურობა. ასევეა ეს პინდარეს IV პითიური ოდის სქოლიონში შემონახულ ცნობაში (რომლის ავტორობა ძვ.წ. V ს-ის მწერალს ფერეკიდეს მიეწერება): იასონი

და“ 1024); აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ III, 1093; ლიკოფრონი, ალექსანდრა, 1771 (შდრ. [318, გვ. 508, სამიებელი: აია-ქალაქი]. სულ ნაოელი არაა აიას მოხსენიება სტრაბონის „გეოგრაფია“-ში (I, 2, 39): „ἥ τε γὰρ Αἶα δείκνυται περὶ Φᾶσιν πόλις.“ რამდენადაც Αἶα და πόλις ორივე ნომინატივშია, ამიტომ ჩვეულებრივ თარგმნიან „ფასისთან (მდინარესთან – ო.ლ.) ხომ მიგვასწავებენ ქალაქ აიას“ [318, გვ. 414]. უფრო სწორი ჩანს აკად. თ. ყაუხჩიშვილის თარგმანი („... აიას ხომ მიუთითებენ ქალაქ ფასისთან“ [320, გვ. 70]), სადაც ქალაქად ფასისია გააზრებული. ასე, რომ სტრაბონთანაც აიას სახელით „მხარე“, „ქვეყანა“ უნდა იგულისხმებოდეს (რომელიც ქალაქ ფასისთანაა!).

[175] სულ ახლახანს გამოვიდა ანტიკური სამყაროს შესახებ ახალი ენციკლოპედიური ლექსიკონი "Der Neue Pauly", რომლის I ტომში, სტატიაში „აია,“ ავტორი (ფ. დრაეგერი [1440]) წერს: „აია – მითიური საოცრებათა ქვეყანა ოკეანეში (ეთიოპების ქვეყანაში)... მილეტური კოლონიზაციის მიერ აია გაიგივებული იქნა ბერძნულ კოლხიდა კუტაიასთან (კოლხიდასთან) პონტოს აღმოსავლეთ სანაპიროზე“. ... თავი რომ დავანებოთ, აიას სრულიად გაუგებარ ლოკალიზაციას ეთიოპების ქვეყანაში, ზემოთმოტანილი მტკიცების ერთ წინააღდეგობაში სულ ცოტა 4 აშკარა ფაქტობრივი შეცდომაა: 1) აია, არგონავტების ლაშქრობის მიზანი, კოლხიდასთან გაიგივებული იყო არგონავტიკის ჯერ კიდევ კორინელ ვერსიაში, ძვ.წ. VIII ს-ში ე.ი. შავიზღვისპირეთში იონიური კოლონიზაციის დაწყებამდე ! საუკუნეზე მეტი ხნით ადრე; 2) „ბერძნული კოლონია კუტაია“ ავტორის შენათხზია. ასეთ ბერძნულ კოლონიას არ იცნობს და არ ასახელებს არც ერთი ბერძენ-რომაელი ავტორი. ყველგან კუტაია აიეტის სატახტო ქალაქია – აიას ან კოლხეთის დედაქალაქი და მდებარეობდა არა ზღვის ნაპირას (როგორც ჩვეულებრივ ბერძნული კოლონიები), არამედ ქვეყნის შიგნით (იხ. მაგ. [1164, გვ. 34-57]); 3) არ შეიძლება კუტაიასა და კოლხიდას შორის ტოლობის ნიშნის დასმა, რადგან კოლხიდა ქვეყნის სახელწოდებაა, კუტაია კი – მხოლოდ ქალაქისა! 4) ასევე შეცდომაა, თითქოს აია გაიგივებული იყო კუტაიასთან. პირიქით, კუტაია აღიქმებოდა, როგორც აიას ქალაქი, არა მხოლოდ ძველ ბერძენ ავტორთა სქოლიასტებთან (იხ. მაგ. [318, გვ. 295, 302, 304, 310 და სხვ.]), არამედ თვით ბერძენ ავტორებთანაც (იხ. მაგ., აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, II, 1267 [309, გვ. 173]: „ აიას ქალაქი კუტაია“). ამგვარი მტკიცებანი შეუფერებელია ისეთი მაღალი რანგის ლექსიკონისათვის, როგორიც პრეტენზია აქვს Neue Pauly-ს. რაც შეეხება სტატიის ავტორს, მას იგივე გამეორებული აქვს თავის წიგნშიც (იხ. [1439, გვ. 315 და შემდ., განსაკ. შენაშენი 75]), სადაც კუტაიას ნაცვლად წერია ფასისი, ხოლო ქართველ მეცნიერთა მიერ აიას კოლხეთთან და საქართველოსთან გაიგივება გაობცხადებული აქვს, როგორც „ლოკალური პატრიოტიზმი“. ავტორს, როგორც ჩანს, „ავიწყდება“, რომ აია კოლხიდასთან გაიგივეს ჯერ კიდევ ძველმა ბერძენმა მწერლებმა ჰეროდოტემ (I, 2; VII, 193 და 197) და აპოლონიოს როდოსელმა (II, 417), ხოლო უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში, ქართველ მეცნიერებზე ადრე, პირველად ეს ვარაუდი გამოთქვა ცნობილმა გერმანელმა ელინისტმა ვილამოვიც-მიულენდორფმა (Willamovitz von Moellendorf U., Hellenistische Dichtung in der Zeit des Kallimachus,II, Berlin, 1924, გვ. 237), ხოლო სულ უკანასკნელ ხანებში აიასა და კოლხიდის იგივეობას აღიარებენ სხვებიც (იხ. მაგ.: Allen A., The Fragments of Mimnermus. Text and Commentary (=Palingenesia XLIV), Stuttgart, 1993, გვ. 88-89).

გაემგზავრა „აიაში ოქროს საწმისის მოსატანად აიეტისაგან“[318, გვ. 259]. აქედანაც აშკარად ჩანს აიეტის სამეფოსა და აიას იდენტურობა. საინტერესოა (და მნიშვნელოვანიც) სტრაბონის ცნობაც: „სახელი აიეტი ხშირად გვხვდება კოლხეთის მცხოვრებთა შორის“ (სტრაბონი, „გეოგრაფია“, XI, 2, 31). მართლაც, ბიზანტიელი ისტორიკოსის აგათიას ცნობებიდან ირკვევა, რომ VI ს-ში კოლხეთში (რომელსაც მაშინ ლაზიკა ეწოდებოდა) ცნობილი იყო ადგილობრივი დიდკაცი სახელად აიეტი (აგათია, იუსტ., III, 8-11 = [323, III, გვ. 63-72]). ძველ ბერძნულ საისტორიო და მხატვრულ ლიტერატურაში აია იმთავითვე კოლხეთთან იყო გაიგივებული, რაც ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ ჰეროდოტესთანაა წარმოჩენილი: [„არგონავტები“] „გრძელი ხომალდით მიადგნენ აია-კოლხიდას“ (I, 2), ან „როდესაც საწმისისათვის აია-კოლხიდისაკენ გაემგზავრნენ“ (VII, 198), „კიტისორე მოვიდა აია-კოლხიდიდან“ (VII, 197) – შდრ. ([318, გვ. 281, 284-285], [320ა, გვ. 58, 115-116]). ამრიგად, აქ აია და კოლხიდა წარმოდგენილია როგორც სინონიმები. ზუსტად ასევეა აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაშიც“ (II, 417): „აია-კოლხიდა ხომ ზღვისა და მიწის დასალიერში მდებარეობს“ [309, გვ. 129].

ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ: ორი სინონიმური ტოპონიმი (აია და კოლხეთი) შეიძლება ასახავდეს ორ განსხვავებულ ქრონოლოგიურ დონეს, რომელთაგან აია უფრო ძველია [1184, გვ. 159], იქნებ ზეპირსიტყვიერი ტრადიციით შემოსულიც.

აია, სადაც არგონავტები გაემგზავრნენ, როგორც ჩანს, იმთავითვე აღმოსავლეთში,[176] კერძოდ, შავი ზღვის სანაპიროზე წარმოიდგინებოდა. ამას თვალნათლივ მოწმობს არგონავტიკის უძველესსავე ვერსიაში წარმოდგენილი ლემნოსის სიუჟეტი, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, უკვე „ილიადაშია“ დამოწმებული. ქ. იოლკოსიდან გამგზავრებული არგონავტები კი კუნძულ ლემნოსზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეჩერდებოდნენ, თუ მათი გეზი შავი ზღვის სანაპიროებისაკენ ივარაუდებოდა [1313, გვ. 199-210].

არგონავტებს რომ იმ ქვეყნამდე მიეღწიათ, სადაც ოქროს საწმისი ინახებოდა, მრავალი წინაღობა უნდა გადაელახათ, რომელთაგან უმთავრესი მაინც „მოხეტიალე კლდეები“ იყო. სწორედ ისინი უკეტავდნენ ხომალდებს გადაულახავ გზას აიეტის ქვეყნისაკენ. „მოხეტიალე კლდეები“, „ოდისეაში“ პლანქტებად წოდებულნი (სხვა ავტორებთან კი სიმპლეგადებად ან კიანეებად) კი ბოსფორის სრუტესთანაა ლოკალიზებული.[177] სწორედ შავი ზღვის სრუტეების პირველად გაცურვა იყო, ჩემი აზრით, ის უდიდესი გმირობა, რომელმაც არგონავტები ძველი ელადის ერთ-ერთ ყველაზე უფრო პოპულარულ და სათაყვანებელ გმირებად აქცია.

თუ გავიზიარებთ თვალსაზრისს არგონავტიკის ადრეულ ვერსიებში აიას, როგორც რაღაც უმისამართო თუ სამყაროს უკიდურეს ნაწილში მდებარე ქვეყნის შესახებ, რომელსაც თითქოს არავითარი კავშირი არ აქვს შავი ზღვის სანაპიროებთან, მაშინ საერთოდ ყოვლად გაუგებარი და უაზრო გახდება მთლიანად მითი ოქროს საწმისისათვის ლაშქრობის შესახებ და მისი არაჩვეულებრივი პოპულარობა ბერძნულ სამყაროში ანტიკური საზოგადოების განვითარების მთელ მანძილზე. როგორც ცნობილია, არგონავტიკის თემაზე არაერთმა ბერძენმა თუ რომაელმა მწერალმა, პოეტმა თუ დრამატურგმა, მხატვარმა თუ მოქანდაკემ შექმნა თავისი ნაწარმოებები ან გამოიყენა ცალკეული სიუჟეტები. კიდევ ერთხელ დავასახელოთ გენიალური ჰომეროსი, გამოჩენილი მწერლები ჰესიოდე და ევმელოს კორინთელი, დიდი ბერძენი ტრაგიკოსები ესქილე, სოფოკლე და ევრიპიდე, უცნობი ხელოვანი დელფოში სიკიონელთა საგანძურის ფრიზი რომ გამოაქანდაკა და შესანიშნავი ათენელი მხატვარ-კერამიკოსი დურისი, ლირიკოსი პოეტები მიმნერმე, ანაკრეონტი და პინდარე, ალექსანდრიული ეპოქის პოეტი და მეცნიერი აპოლონიოს როდოსელი, სახელგანთქმული რომაელი პოეტი და მოაზროვნე სენეკა და კიდევ სხვა, რომელი ერთი?! ერთხმადაა აღიარებული, რომ ძველ ბერძნულ საგმირო ეპოსში არგონავტების კოლხეთში ლაშქრობა ტროის ომის შემდეგ ყველაზე უფრო სახელგანთქმული ამბავია. მითი არგონავტების შესახებ ძალზე პოპულარული იყო ანტიკური პერიოდის მთელ სიგრძეზე და მას მერმეც (არას ვიტყვი ამ მითის პოპულარობაზე რენესანსისა და შემდგომი ხანის ევროპულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში).

---

176 შდრ. მაგ. „ოდისეა“, XII, 1-4 [318, გვ. 176]: „კუნძული აიაია (სადაც კირკე ცხოვრობდა – ო.ლ.) .... სადაც ჰელიოსი (ე.ი. მზე – ო.ლ.) აღმოსვლას იწყებს.“ ამიტომაც არაა დამაჯერებელი ჰომეროსისეული კირკეს – აიეტის დის საცხოვრისის ძიება ტირენეს ზღვაში. არგონავტების ყოფნა დასავლეთში გვიანდელ ვერსიებშია მხოლოდ და უკავშირდება მათ უკან დაბრუნებას [1466, გვ. 33, შენიშვნა 77 და იქ დასახ. ლიტ.].

177 ჯერ კიდევ ჰეროდოტემ მოათავსა ისინი ბოსფორთან – შავ ზღვაში შესასვლელთან (IV, 85, შდრ. [324, გვ. 132 და 324, შენიშვნა 506], [1466, გვ. 33, შენიშვნა 79]). ამ ადგილების აღწერა იხ. [1473, გვ. 124 და შემდ.].



სურ. 125. ბრინჯაოს ბალთა. ვერძის თავის სტილიზებული გამოსახულება. ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანები. ბრილი [38ა, გვ. 111]

ბუნებრივია ვიკითხოთ: რატომ იყო თქმულება არგონავტების ოქროს საწმისისათვის აიეტის ქვეყანაში ლაშქრობის შესახებ აგრე პოპულარული ბერძენთა შორის? ეს კითხვა იმითაცაა ბუნებრივი, რომ ბერძნებს თვით კოლხეთში მაინცდამაინც დიდი და საარაკო გმირობა არ ჩაუდენიათ. მათ მხოლოდ მეღეას დახმარებით შესძლეს სასმისის მოპოვება (რასაც თვით ბერძენი პოეტი მიმნერმეც კი ხაზგასმით აღნიშნავდა).[178] და მაინც, არგონავტები იყვნენ ბერძენთა დიდად სათაყვანებელი გმირები. რატომ? რა არის ის არსებითი და ძირითადი, რამაც ეპოსის ცნობილი მკვლევარის ა. ვესელკოვსკის სიტყვები კიდევ ერთხელ რომ გავიმეორო, „ადელვა საერთო-სახალხო ფანტაზია და ამიტომაც აისახა ლირიკულ-ეპიკურ სიმღერებში"? რა ისტორიული ფაქტი მანამდე გაუგონარი გმირობისა უნდა დასდებოდა საფუძვლად არგონავტთა მოგზაურობის შესახებ აგრე პოპულარული და საქვეყნოდ განდიდებული თქმულების შექმნას?

მე ვფიქრობ, რომ არგონავტების შესახებ მითის აგრე პოპულარობას აქვს ერთი, ძალზე არსებითი ასპექტი: არგონავტები იასონის ხელმძღვანელობით არიან შავი ზღვის სანაპიროებისაკენ გზის ხომალდებით პირველი გზამკვლევნი! გავიხსენოთ, რომ ფრიქსემ აიეტის ქვეყნამდე გზა მფრინავი(!) ვერძით გაიკვლია და ისიც მსხვერპლის საფასურად: სრუტეებზე გადაფრენისას ვერძიდან ჩამოვარდა და ზღვაში დაიღუპა მისი და ჰელე (ამის გამო ბერძენებმა მარმარილოს ზღვას „ჰელესპონტი – ჰელეს ზღვა" შეარქვეს).

ჯერ კიდევ გენიალური ჰომეროსი თავისი „ოდისეის" XII სიმღერის 59-72-ე ტაეპებში, სადაც აღწერილია პლანქტები ანუ „მოხეტიალე კლდეები", შავი ზღვის მისადგომებთან (ე.ი. თანამედროვე ბოსფორის სრუტეში) რომ ყოფილან თითქოს აღმართული, წერდა: „იქ დაკიდული კლდეებია, რომელთაც ხმაურით ეხეთქება შავთვალა ამფიტრიტეს დიდი ტალღა. ნეტარი ღმერთები მათ „მოხეტიალე კლდეებს" (პლანქტებს) ეძახიან. მათ ვერ გაუფრენს ახლოს ფრთოსანი, ვერც მხდალი მტრედები, რომელთაც მამა ზევსისათვის ამბროსია მიაქვთ. ადამიანთა არც ერთი ხომალდი, რომელიც კი იქ მისულა, არ გადარჩენილა: ზღვის მძვინვარება და ცეცხლის ბობოქარი ალი ერთად ფიცრებსა და ვაჟკაცთ გვამებს მოაქანავებს. მხოლოდ ერთმა საზღვაო ხომალდმა, ყველასათვის სანუკვარმა „არგომ", აიეტისაგან მომავალმა, გასცურა პლანქტებში" (XII, 59-72 = [318, გვ. 177]).

ჰომეროსის შემდგომაც ბერძნულმა სამყარომ არგონავტების მიერ პლანქტების (ე.ი. დარდანელ-ბოსფორის სრუტეების) ხომალდით გავლა აღიარა სამბოლოდ ნაოსნობის დასაწყისისა შავ ზღვაზე, რომელიც მანამდე, სტრაბონის თქმით, იწოდებოდა „არასტუმართმოყვარე ზღვად" (VII, 3, 6 = [320, გვ. 99]; შდრ. პინდარე, პით. IV, 203 [318, გვ. 212-213]). აპოლონიოს როდოსელი კი შენიშნავდა: „პირქუშმა კლდეებმა, კვლავ რომ დაშორდნენ ერთიმეორეს, ძირი გაიდგეს და სამარადისოდ შეჩერდნენ. ნეტარმა ღმერთებმა ოღესღაც გადაწყვიტეს, რომ თუკი ვინმე ამ კლდეებს იხილავდა და გადასცურავდა, ისინი უმოძრაო კლდეებად უნდა ქცეულიყვნენ" (II, 602-606, შდრ. [309, გვ. 15]). კიდევ უფრო თვალსაჩინოდ არგონავტთა დამსახურება წარმოსახა ბერძნული საგუნდო ლირიკის უდიდესმა წარმომადგენელმა პინდარემ (ძვ.წ. V ს.): „ნახევრად ღმერთების (არგონავტების – ო.ლ.) ამ ლაშქრობამ შემაჯახებელ კლდეთა მოძრაობას საზღვარი დაუდო" (პით., IV, 210-213 = [318, გვ. 213]). შავი ზღვის სანაპიროებისაკენ ცურვას კი ბერძენთათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ჯერ კიდევ აქეურ (მიკენურ) პერიოდში (ე.ი. ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში), როდესაც მოეწყო ლაშქრობა ტროისათვის, რომელიც შავი ზღვის მისადგომებთან იყო განლაგებული.[179] შემდეგ კი ეს განსაკუთრებით თვალნათლივ გამოიკვეთა ძვ.წ. VIII-VII სს-ში, როდესაც იწყება ძველ ბერძენთა დიდი საკოლონიზაციო მოძრაობა, ე.ი. ბერძენთა განსახლება და ახალი აგრარული და სავაჭრო ქალაქების დაარსება შავიზღვისპირეთში. ამ რთული გზის პირველგამკვლევნი კი სწორედ არგონავტები იყვნენ, რომელთაც გაავრცელეს აგრეთვე პირველი ცნობები შავიზღვისპირეთის შესახებ ბერძნულ სამყაროში, განსაკუთრებით კი მდიდარი და მრავალი სიკეთით აღსავსე კოლხეთის შესახებ. ამიტომაც მიიჩნია ბერძენმა ხალხმა იმთავითვე არგონავტები თავის სათაყვანებელ გმირებად, თითქმის ღმერთებს

[178] „თვით იასონიც ვერასდროს ვერ წამოიღებდა დიად საწმისს აიადან ... მეღეას სიყვარული რომ არ ეშველა" (ფრაგმენტი № 2 = [318, გვ. 201].

[179] ამჟამად, ტროის უახლესი გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალების საფუძველზე, კვლავ პოპულარული გახდა აღრე გამოთქმული დებულება, რომ ტროის ომი იყო ბრძოლა შავი ზღვის მისადგომებისათვის ([1445], [1466, გვ. 33, შენიშვნა 80]).

გაუტოლა ისინი (პინდარემ ხომ „ნახევრად ღმერთები“ უწოდა მათ) და საუკუნეების მანძილზე ჯეროვან პატივს მიაგებდა მათ გმირობას ახალი საზღვაო გზების გაკვალვასა და ახალი ქვეყნების აღმოჩენაში რომ გამოიხატა.

ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არგონავტების შესახებ თქმულების შექმნის ისტორიული საფუძველი გახდა შავი ზღვის სანაპიროებისაკენ პირველი წარმატებული ცურვა და ახალი ქვეყნის აღმოჩენა. ამიტომაც შემოინახა „ისტორიულმა მეხსიერებამ“ პირველი, დღემდე ჩვენთვის ცნობილი სახელწოდება ხომალდისა, რომელმაც შორეული მოგზაურობა განახორციელა – „ყველასთვის სანუკვარი არგო“ („ოდისეა“, XII, 70 = [318, გვ. 177]).[180]



სურ. 126. ვერძის თავის სტილიზებული სკულპტურული გამოსახულება. ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანები. ბრილი [38ა, გვ. 111]

როდის უნდა მომხდარიყო ბერძენთა პირველი წარმატებული ცურვა ხომალდით შავი ზღვის სანაპიროებისაკენ? ძველბერძნული ტრადიციის თანახმად, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, არგონავტები იყვნენ ტროის ომის მონაწილეთა მამები, ხოლო ოქროს საწმისისათვის აიეტის ქვეყანაში ლაშქრობა განხორციელდა ტროის ომის წინ. სწორედ ამის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ არგონავტების ლაშქრობა (ე.ი. შავი ზღვის სრუტეების პირველი გაცურვა) განხორციელდა მიკენურ ეპოქაში, ე.ი. ძვ.წ. XIV-XIII საუკუნეებში. სამწუხაროდ, პირდაპირი მონაცემი ამ იდეის დასადასტურებლად ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია. ერთი მხრივ, ჯერ კიდევ არაა დამტკიცებული ჰომეროსის წინადროინდელი ბერძნული ზეპირსიტყვიერი პოეზიისა და მასში აღწერილ-განდიდებული ამბების რეალური კავშირი მიკენურ სამყაროსთან. მასთან ერთად, სადისკუსიოა ტროის ომის თარიღის და, საერთოდ, მისი რეალურობის საკითხიც (თუმც ამ უკანასკნელს მრავალი მომხრე ჰყავს). ამავე დროს მიუხედავად იმისა, რომ სულ უფრო და უფრო მრავლდება ახალი არქეოლოგიური მასალები მიკენური სავაჭრო აქტივობის შესახებ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში (თითქმის შავი ზღვის მისადგომებამდე – მათ შორის ტროაშიც), ჯერ კიდევ არ გვაქვს ხელთ რეალური და უეჭველი მონაცემები მიკენელთა შავი ზღვის სანაპიროზე გამოჩენის შესახებ. მიკენური კერამიკის აღმოჩენა მაშაბში (დღევანდელ თურქეთში, სამსუნიდან 40 კმ-ის დაცილებით) უთუოდ ძალზე დიდი მნიშვნელობისაა, მაგრამ ის ჯერ კიდევ ვერ გამოდგება მიკენელთა მიერ შავი ზღვის სრუტეების გაცურვის მოწმობად. გამთხრელი-არქეოლოგი ტ. ოზგიუნი ვარაუდობს, რომ მიკენური კერამიკა მაშაბში მოხვდა კონტინენტური გზით: კვიპროსიდან და შემდეგ კილიკია-კიციკუვატნის გზით. ჯ. მელინკი უპირატესობას ანიჭებს საზღვაო გზას სრუტეებზე გავლით.[181] ასე, რომ ბერძენთა გამოჩენის შესახებ შავ ზღვაზე მიკენურ ხანაში პირდაპირი მონაცემი არ მოგვეპოვება.[182]

[180] ამ სახელწოდების ეტიმოლოგია უცნობია. ჩვეულებრივ გამოყავთ ბერძნული სიტყვიდან „არგოს“ (‘Άργος) ე.ი. „სწრაფი“. არსებობს ასეთი მოსაზრებაც: სახელი „არგო“ შეიძლება მომდინარეობდეს კოლხთა თვითსახელწოდებიდან „მ-არგ-ალ-ი“ ე.ი. **არგ** ქვეყნის მცხოვრები. შესაბამისად, თითქოს არგონავტები შეიძლება ნაშნავს „ზღვაოსნებს, რომელნიც გაემგზავრნენ არგ-ის ქვეყანაში (აკად. ს.ჯიქიას ეს მოსაზრება იხ. [171, გვ. 904-909]. მე არ შემძლია ვიმსჯელო ამგვარი მტკიცების მართებულობის შესახებ. მაგრამ უნდა გავისხენოთ ფერეკიდეს (ძვ.წ. V ს-ის ავტორის) ცნობა, რომ ხომალდს სახელი არგო შეერქვა ფრიქსეს ვაჟის (ე.ი. კოლხთა მეფე აიეტის შვილიშვილის) არგოსის სახელის მიხედვით (იხ. აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“, I, 4-ის სქოლიო = [318, გვ. 260]). არგოსის სახელს მიიჩნევენ ეპონიმურ სახელად [1184, გვ. 91-92].

[181] იხ. American Journal of Archaeology, Nr. 88, 1984, გვ. 445; Nr. 89, 1985, გვ. 558. უფრო დაწვრ. იხ. [1466, გვ. 36 და იქ დასახ. ლიტ.].

[182] ლინგვისტები აყენებენ შემდეგ არგუმენტს (რომლის მართებულობის შესახებ, ბუნებრივია, მე მსჯელობა არც ამჯერად შემიძლია): საწმისის ძირითადი ძველბერძნული სახელწოდება „კოას“ (რომელიც ინდოევროპული საფუძველზე ვერ აიხსნება და მიჩნეულია ბერძნულისათვის უცხოენოვად), დადასტურებულია ჰომეროსთან, ხოლო უფრო ადრე მიკენურ ტექსტებში ფორმით KO-WO და გენეტიკურად უკავშირდება დასავლურ-ქართველურ, ე.ი. კოლხურ (მეგრულ-ჭანურ) სიტყვას „ტყავ/ტყოვ“. ეს მიჩნეულია ბერძნულ-კოლხური კონტაქტებისა და არგონავტებისა და „ოქროს საწმისის“ შესახებ თქმულების ძვ.წ. II ათასწლეულში წარმოშობის მოწმობად [171, გვ. 904-909]. უფველესი არგონავტიკის შესწავლის თვალსაზრისით იქნებ ინტერესს მოკლებული არ იყოს ძველი ქართული ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის მონაცემები: დადასტურებულია ოქროს ვერძისა – მფრინავის, სასწაულთქმედის, განძეურნებელის, მფარველის და ა.შ., ასევე, საოჯახო კერიის და ღვთაების მოდარაჯე გველის და სხვ. მოტივები (დაწვრ. [1162, გვ. 30-76]). მაგრამ ამასთან უნდა გვახსოვდეს ფოლკლორული სიუჟეტების დათარიღებასთან დაკავშირებული სიძნელეები. შესაბამისად, ზემოხსენებული ფაქტები ვერ გამოდგება აღრეული

მეორეს მხრივ, თუ თქმულების უძველეს ვერსიას გამოვაცლით მის ძირითად მოტივს, ე.ი. არგონავტების მიერ შავი ზღვის სრუტეების პირველ გაცურვას, სწორედ მიკენურ ეპოქაში,[183] თქმულება არგონავტების შესახებ მაშინვე დაკარგავს მთელ თავის დედააზრს: ძვ.წ. VIII საუკუნეში და მის შემდგომ კი შავი ზღვის სრუტეების გადაცურვა უკვე ჩვეულებრივი იყო. კიდევ მეტი! ამ დროს არამცთუ პირველი მოგზაურობანი არაა მოულოდნელი, არამედ ბერძნული ქალაქები და სამოსახლოებიც (ე.წ. ბერძნული კოლონიები) კია დაარსებული მარმარილოს ზღვის სანაპიროებსა და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზეც.[184] ასე რომ ძვ.წ. VIII საუკუნეში შავი ზღვის სრუტეების გაცურვა და შავი ზღვის სანაპიროების მიღწევა ვერ ჩაითვლება ისეთ დიდ გმირობად, რომელიც ისეთი დიდი ძალის მხატვრული ეპიკური ნაწარმოების შექმნას გამოიწვევდა, როგორც არგონავტების ოქროს საწმისისათვის მოგზაურობაა აიეტის ქვეყანაში. ვეიძლება გვევარაუდნა, რომ ბერძენთა პირველი მოგზაურობა შავი ზღვის სანაპიროებისაკენ განხორციელდა უფრო გვიან – პოსტმიკენურ ხანაში. საბერძნეთში კუნძულ ეგებაზე, კერძოდ ლეფკანდიში უახლესი ბრწყინვალე არქეოლოგიური აღმოჩენების შემდეგ, შეიძლება გაჩნდეს რაღაც საფუძველი ვარაუდისათვის (მხოლოდ ვარაუდისათვის!), რომ პირველი მოგზაურობა შავი ზღვის სანაპიროებისაკენ, რომელიც თითქოს არგონავტების შესახებ თქმულებაშია ასახული, შესაძლოა განხორციელებულიყო ევბეელთა სავაჭრო-საკოლონიზაციო მოძრაობებისას ძვ.წ. X ან IX სს-ში. ლეფკანდის არქეოლოგიური მასალები მოწმობენ ამ დროს ევბეელთა განსაკუთრებით ცხოველ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან, რაც აქედან იმპორტირებული საგნების ხშირი აღმოჩენებითაა ილუსტრირებული. უკვე ძვ.წ. IX ს-ის დასასრულსა თუ VIII ს-ის დასაწყისში ევბეელები ჩრდილოეთ სირიაში (ალ-მინა) აარსებენ თავიანთ სავაჭრო კოლონიას, რომლის მეშვეობითაც ახორციელებენ სავაჭრო ურთიერთობას ქვეყნის შიგნით მდებარე ოლქებთანაც. ლეონოსის (რკინის) ძიებაში დაახლოებით ძვ.წ. 775 წ. ევბეელები აარსებენ თავის კოლონიას პითეკუზაში. ამრიგად, ისინი აკონტროლებდნენ მთავარ სავაჭრო გზას, რომელიც ევროპიდან მახლობელი აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა. ევბეისა და სხვა ბერძნული ცენტრების კერამიკის აღმოჩენათა ტოპოგრაფია მახლობელ აღმოსავლეთში და აგრეთვე სიცილიასა და იტალიაში ხშირად თანხვდება მიკენური კერამიკის არეალს (დაწერ. [1466, გვ. 37ა და შემდ. და აქ დასახ. ლიტ.]). მაგრამ არც ეს მონაცემებია მანიშნებელი ბერძენთა შესაძლო გამოჩენისა შავი ზღვის სანაპიროებზე უშუალოდ პოსტმიკენური ეპოქაში, თუნდაც ძვ.წ. X ან IX სს-ში, რადგანაც არც ამ დროის ბერძნული იმპორტია შავიზღვისპირეთში ჯერჯერობით დადასტურებული. ამიტომ საკითხი ბერძენთა პირველი გამოჩენისა შავი ზღვის სანაპიროებზე დიდი ბერძნული კოლონიზაციის დაწყებამდე, ჯერჯერობით, ახალ აღმოჩენებამდე უნდა დარჩეს ღიად. მე პირადად ღრმად მჯერა ბერძნული მოთოლოგიური ტრადიციისა, რაც არაერთგზის დადასტურდა არქეოლოგიური აღმოჩენებით. ამიტომაც ვეთანხმები იმ მკვლევარებს, რომელნიც ბერძენთა პირველ გამოჩენას შავ ზღვაზე მიკენურ ხანაში ვარაუდობენ.[185] მაგრამ რამდენადაც ჯერჯერო-

---

არგონავტიკის გენეზისის ურთულესი პრობლემების გადასაწყვეტად.

183 ავტორიტეტულ მეცნიერთა ერთი ნაწილი ამტკიცებდა, რომ ძალიან ძლიერი და სწრაფი დინების გამო პრაქტიკულად შეუძლებელი იყო შავი ზღვის სრუტეების გაცურვა ძვ.წ. VII საუკუნემდე, ე.ი. მანამ, სანამ ბერძნები გამოიგონებდნენ და ააგებდნენ ე.წ. პენტაკონტერს ანუ 50 ნიჩბიან ხომალდს. მაგრამ ცნობილი ინგლისელი მოგზაურის ტიმ სევერინის მიერ 1984 წელს ჩატარებულმა ექსპერიმენტმა დაამტკიცა, რომ შავი ზღვის სრუტეების გაცურვა შესაძლებელი იყო ოცნიჩბიანი გალერეითაც, რომელიც მიკენურ ხანაში იყო ხმარებაში (იხ. [1473, გვ. 88 და შემდ.]). ტიმ სევერინის ექსპერიმენტს მაღალი შეფასება მისცეს მეცნიერებმაც (იხ. მაგ., ცნობილი ამერიკელი არქეოლოგის მ. მელენკის სტატია ჟურნალში „American Journal of Archaeology, 91, Nr.1, 1987, გვ. 13).

184 ძვ.წ. VIII საუკუნეში ივარაუდება სინოპის დაარსება [1442], ძვ.წ. VII ს-ის 80-ან და 60-იან წლებს შორის პროპონტიდაში არსდება ქალკედონი და ბიზანტიონი [1435, გვ. 238 და შემდ., 245 და შემდ.].

185 ზოგიერთი მკვლევარი მაგ. უკვე ხსენებული ა. დრაგეური (იხ. ზემოთ შენიშვნა 25, და მისი რეცენზია ჩემს წიგნზე [450], რომელიც დაიბეჭდა "Gymnasium", 101, 1994) სრულ გაუგებრობას უწოდებს ვარაუდს იმის შესახებ, რომ არგონავტების ოქროს საწმისისათვის ლაშქრობებზე თქმულებაში ასახულია ბერძენთა გამოწვეს შავ ზღვაზე მიკენურ ეპოქაში [1439]. სხვა მკვლევარნი კი ამას სარწმუნო ფაქტად აღიარებენ. ასე მაგ. ცნობილმა გერმანელმა არქეოლოგმა კურტ ბიტელმა მაშატში მიკენური კერამიკის აღმოჩენის საფუძველზე გამოთქვა ვარაუდი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში „მიკენური ემპორიონის" (ე.ი. სავაჭრო ფაქტორიის) არსებობის შესახებაც კი [იხ. ჟურნალი "Gymnasium", 85, 1976, გვ. 528]. ბერძენთა შავ ზღვაზე მიკენურ ხანაში გამოჩენის შესახებ აზრს იზიარებს ავსტრიელი არქეოლოგი სტეფან ჰილერი [1445], რომელიც არქეოლოგიურ მასალებთან (თუმც ჩემის აზრით, არადამჯერებელ) ერთად, იმოწმებს მიკენურ ხაზოვან B – წარწერებში მოხსენიებული ზოგიერთი საკუთარი სახელის ალტერნატიულ წაკითხვებსაც (მაგ.: a3 – wa – ja = Aiaia, a3 – wa – ta = Aiates, i-wa-so=Jason, Ko-ki-da (ko-ki-de-jo) = Kolchida და ა.შ.) = (O. Landau, Mykenisch-Griechische Personennamen, Göteburg, 1958). მიკენელთა შავ ზღვაზე გამოჩენის აზრს იზიარებენ სხვა ცნობილი მკვლევარებიც. სულ ახლახანს იგივე აზრი გაიმეორა ცნობილმა ფრანგმა

ბით პირდაპირი არქეოლოგიური მოწმობა ამ დებულების სამტკიცებლად არ გაგვაჩნია, უნდა ვაღიაროთ, რომ მოსაზრება ბერძენთა პირველი გამოჩენის შესახებ შავ ზღვაზე მიკენურ (ან თუნდაც უბრალოდ პოსტმიკენურ) ხანაში რჩება მხოლოდ მომხიბლავ ჰიპოთეზად, რომელსაც, სამწუხაროდ, ჯერ რაიმე რეალური დამამტკიცებელი მონაცემი არ გააჩნია. ამ ჰიპოთეზის (მე ვიტყოდი – ჰიპოთეტური ჰიპოთეზის) ძირითადი არსი შეიძლება შემდეგნაირად გამოითქვას: არგონავტების შესახებ თქმულების თავდაპირველ ციკლში შესაძლოა აისახა ბერძენთა პირველი მოგზაურობანი შავი ზღვის სანაპიროებისაკენ (სრუტეების – „პლანქტების“ – პირველი წარმატებული გაცურვა) მიკენურ ხანაში. იმ დროს ბერძენთა მოგზაურობას შავ ზღვაზე ჯერ კიდევ ერთობ შემთხვევითი ხასიათი უნდა ჰქონოდა. არსებითად ეს იქნებოდა მხოლოდ პირველი ექსპედიციები მამაცი ზღვაოსნებისა, შორეული ქვეყნებისაკენ რომ მიიღტვოდნენ სიმდიდრისა და სახელის მოსახვეჭად. ასეთი მოგზაურები, ბუნებრივია, იშვიათად თუ დატოვებდნენ ნივთიერ კვალს. ამ დროს ხომ ბერძნებს არც თავიანთი სამოსახლოები დაუარსებიათ კოლხეთში და არც რეგულარული სავაჭრო ურთიერთობა დაუმყარებიათ ადგილობრივ მოსახლეობასთან. ასე რომ, თუ გავითვალისწინებთ ბერძენთა ამ პირველი მოგზაურობების ხასიათს, ძნელია მოველოდეთ ამ მოგზაურობის დამადასტურებელი უყოყმანო არქეოლოგიური მასალის აღმოჩენას, თუმც მომავალი არქეოლოგიური კვლევა-ძიებისას არც ესაა გამორიცხული.[186]

ამჯერად უფრო სწორი იქნება შემოვიფარგლოთ შემდეგი ვარაუდით: არგონავტების შესახებ თქმულებათა უძველეს ციკლში უნდა ასახულიყო ბერძენ-აქაველთა პირველი მოგზაურობანი შავი ზღვის სანაპიროებისაკენ მიკენურ ხანაში, რაც იქნებოდა ჭეშმარიტად უდიდესი მოვლენა იმდროინდელ სამყაროში. მაგრამ მაშინ (ე.ი. მიკენურ ეპოქაში) ბერძენთა მოგზაურობებს და საერთოდ ბერძნულ-კოლხურ კონტაქტებს არ უნდა ჰქონოდათ რეგულარული ხასიათი. არსებითად ეს იქნებოდა მხოლოდ შემთხვევითი და მეკობრული მოგზაურობანი მამაცი ზღვაოსნებისა, რომელთა მსგავსი აღწერილი აქვთ ბერძენ ავტორებს – თუკიდიდეს (I, 7) და სტრაბონს (I, 3, 6 [1156, გვ. 14-17]. ეს პირველი მოგზაურობანი შეწყდა ძვ.წ. XII საში, როცა განადგურდა მიკენური ცივილიზაცია. მაგრამ აქაველ ზღვაოსნებს უთუოდ გარკვეული როლი უნდა შეესრულებინათ შავი ზღვის სანაპიროებისაკენ მიმავალი გზების გაკვალვასა და ათვისებაში, რასაც შედეგად მოჰყვებოდა ბერძნულ სამყაროში პირველი (თუნდაც ჯერ კიდევ ძალზე ბუნდოვანი) ცნობების გაჩენა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტომებისა და ქვეყნების შესახებ. არგონავტების გმირობის შესახებ თქმულებანი გადაეცემოდა თაობიდან თაობას. მათი განდიდება კი ახალი ძალით იფეთქებს ძვ.წ. VIII-VII სს-დან, როდესაც დაიწყება ბერძენთა მთელს ხმელთაშუაზღვისპირეთსა და შავიზღვისპირეთში ფართოდ განსაზღვების პროცესი, რომელსაც „დიდ ბერძნულ კოლონიზაციას“ უწოდებენ. ამ დროიდან იწყება რეგულარული სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული კონტაქტები ბერძნულ სამყაროსა და კოლხებს შორის.

5. კოლხეთი და მისი კულტურა ძვ.წ. VII-IV სს-ში

ძველკოლხურ ტომთა პირველი დიდი პოლიტიკური გაერთიანება (ასურული წყაროების „კილხი“ [1181, გვ. 369-370]), რომელსაც უთუოდ უშუალო კონტაქტები ჰქონდა ძველაღმოსავლურ ცივილიზაციებთან, თანდათანობით ძლიერდება და იქცევა მძლავრ სახელმწიფოდ, რომლის ძალაუფლება ვრცელდებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ვრცელ ტერიტორიაზე. ამ სახელმწიფოებრივ ერთეულს ძვ.წ. VIII ს-ის ურარტული წყაროები უწოდებენ კულხას ან კოლხას და მოგვითხრობენ მის ბრძოლებზე მეზობელი ურარტუსა და დიაუხის სამეფოებთან [1379].

კოლხას ძლიერების ხანად ძვ.წ. VIII საუკუნეა მიჩნეული, როდესაც მან შესძლო დიაუხის სამეფოს განადგურება და მისი ტერიტორიების შემოერთება [1381, გვ. 215-216; 226-229]; [1379, გვ. 322]. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სწორედ ძვ.წ. VIII ს-ში ძველ ბერძნულ ლიტერატურაშიც პირველად ჩნდება ეთნიკურ-პოლიტიკური სახელწოდება „კოლხიდა“, რომელსაც არგონავტების მითის კონტექსტში იხსენიებს ეპიკოსი პოეტი ევმელოს კორინელი [318, გვ. 194], ხოლო კოლხეთის მდინარე ფაზისს მსოფლიოს უდიდეს მდინარეთა შორის ასახელებს ძვ.წ. VIII-VII სს-ის ბერძენი მწერალი ჰესიოდე („თეოგონია“, 337-340=[318, გვ.

ისტორიკოსმა პიერ ლევეკმა [1448ა, გვ. 12]. ასე, რომ რწმენას, რომ ბერძნული მითოლოგიაში, კერძოდ, არგონავტების შესახებ თქმულებებში, ასახულია ბერძენთა პირველი მოგზაურობანი შავ ზღვაზე მიკენურ ეპოქაში, იზიარებს მრავალი თვალსაჩინო მკვლევარი. თუმც, ვიმეორებ, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ დებულების დასამტკიცებლად პირდაპირი და კარგად დოკუმენტირებული არქეოლოგიური მოწმობა ჯერ ხელთ არ გაგვაჩნია.

[186] ზოგიერთი მკვლევარი ბერძენ-აქაველთა შავი ზღვის სანაპიროების უკვე მიკენურ ხანაში გაცნობის მოწმობად მიიჩნევს ე.წ. „ტროელთა კატალოგში“ („ილიადა“, II, 816-877) მოხსენიებულ გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელწოდებებს, რომელნიც სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს უკავშირდებიან (შდრ. [1184, გვ. 76]), მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ „კატალოგის“ მიკენური ეპოქით დათარიღება სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ აქტიური დისკუსიის საგნადაა ქცეული.

186]) და იქნებ არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ძვ.წ. VIII-VII სს-ის ბერძნულ ლიტერატურაში თქმულებანი არგონავტების კოლხეთში ლაშქრობაზე ოქროს საწმისისათვის აგრეა პოპულარული (დაწვრ. [318, გვ. 18-23]; [1162, გვ. 48-49]) და სწორედ ამ დროს ძვ.წ. VIII-VII სს-ში ბერძნულ სამყაროსა და კოლხეთს შორის კონტაქტები თითქოს არქეოლოგიურ მასალებშიცაა ასახული (დაწვრ. ქვემოთ, § 6).

ძველი კოლხეთის მოსახლეობის სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაში უთუოდ მნიშვნელოვან როლსა და ერთგვარ მასტიმულირებელ ფაქტორს წარმოადგენდა უშუალო მეზობლობა და უძველესი დროიდან მომდინარე კონტაქტები ძველაღმოსავლური სამყაროს სხვადასხვა პოლიტიკურ გაერთიანებებთან, რომელთაც ჰქონდათ განვითარებული ეკონომიკა და უკვე ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია.

ამავე დროს, სწორედ ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში, დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იწყება რკინის ფართო ათვისება, რაც უდიდეს როლს შეასრულებს ადგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკურსა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში (დაწვრ. ოდნავ ქვემოთ). ეს აისახება აგრეთვე მძლავრ დემოგრაფიულ აფეთქებაში, რაც თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი არქეოლოგიურ მონაპოვარში: თითქმის ყველგან დასავლეთ საქართველოში – შავიზღვისპირა ზოლში, კოლხეთის დაბლობსა თუ მთიანეთში – მრავლადაა აღმოჩენილი ძვ.წ. VIII-VII სს-ებისა და შემდგომი ხანის ნამოსახლარები, სამაროვნები, „მელითონეთა განძები“, რკინის წარმოების ნაშთები.

სამწუხაროდ, ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით პირველი კოლხური სახელმწიფოს (ურარტულ წყაროებში მოხსენიებული „კოლხას“) სოციალური ბუნების, პოლიტიკური ორგანიზაციის, საზოგადოებრივ ურთიერთობათა და საერთოდ მისი ისტორიის შესახებ. მით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენენ ურარტული წყაროები (იხ. [327, გვ. 278-282]), რომელთაც შემოგვინახეს საინტერესო ცნობები ურარტუს მეფის სარდურა II-ის კოლხას წინააღმდეგ ძვ.წ. 750-748 წწ. და 744-742 წწ. ლაშქრობის შესახებ. წყაროები იხსენიებენ კოლხას ქალაქებს (მათ შორის „სამეფო ქალაქს“ ილდამუსას) და ცალკეული ოლქების მმართველთა ციხე-სიმაგრეებს. ეს კი პირდაპირი მოწმობაა იმისა, რომ კოლხას სახელმწიფოში არსებობდა სამეფო ადმინისტრაცია და მეფის მოხელეთა ინსტიტუტი. ამიტომაცაა მიჩნეული, რომ უკვე, ყოველ შემთხვევაში, ძვ.წ. VIII ს-ის პირველ ნახევარში მაინც კოლხა წარმოადგენდა ძველაღმოსავლური ტიპის სახელმწიფოს, მმართველობის საკმაოდ განვითარებული სისტემით. მასთან ერთად ივარაუდება, რომ კოლხას შემადგენლობაში შედიოდნენ ისეთი ოლქებიც, რომელთა მოსახლეობა ჯერ კიდევ პირველყოფილი გვაროვნული წყობის პირობებში ცხოვრობდა [1379, გვ. 323-325].

სარდური II-ის შემდგომ ურარტული (და საერთოდ ძველაღმოსავლური) წყაროები აღარაფერს იუწყებიან კოლხას შესახებ. აკად. გ. მელიქიშვილის აზრით, ძვ.წ. VIII ს-ის 20-იან წლებში კოლხას სამეფო გაანადგურეს კიმერიელმა ტომებმა, რომელნიც ძვ.წ. VIII-VII სს-ში თავს ესხმოდნენ ურარტუსა და ფრიგიას, პაფლაგონიას, ლიდიას, მცირე აზიის იონიურ სანაპიროს და შემდეგ დასახლდნენ მცირე აზიის ჩრდილოეთ სანაპიროზე სინოპის მახლობლად [1379, გვ. 323]. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთ შემთხვევაში, თუ მართლაც იყო კიმერიელთა შემოსევები,[187] ისინი შეეხო უმთავრესად სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს, ე.ი. კოლხას სამეფოს სამხრეთ ოლქებს.

აკად. გ. მელიქიშვილის აზრით [1379, გვ. 325-326] კოლხას განადგურებისა და მის შემდეგ კიმერიელთა თითქმის გამუდმებული თავდასხმების შედეგად, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კოლხას მოსახლეობა ნაწილობრივ ამოწყდა, ხოლო სხვები კი განდევნილ იქნენ თავისი საცხოვრისიდან. მათი აღგილი თანდათანობით დაიკავეს აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შემოჭრილმა ტომებმა – ბიძერებმა, კატარზებმა და სხვ., რომელნიც ამიერიდან იხსენიებიან წყაროებში ამ ტერიტორიებზე.[188] ამ ტომების შემოჭრამ გამოშა დასავლურქართველურ (მეგრულ-ჭანურ ე.ი. კოლხურ) ტომთა ოდესღაც ერთიანი ეთნიკური მასივი, რის შემდგომ შემცირდა კოლხას ასევე ოდესღაც ვრცელი და ერთიანი ტერიტორია, რომელიც ამიერიდან მხოლოდ დღევანდელი

[187] ზოგიერთი მკვლევარი ჰეროდოტეს ცნობების საფუძველზე (I, 103-104; IV, 12 = [320ა, გვ. 64-65, 78-79]) ვარაუდობს კიმერიელთა ლაშქრობას ჩრდილოეთიდან წინა აზიაში კოლხეთის (ე.წ. მეოტიდა – კოლხიდის მაგისტრალით) გავლით (იხ. [324, გვ. 218 და განსაკუთრ. გვ. 219 და იქ დასახ. ლიტ.]). მაგრამ ჰეროდოტეს ცნობებში არსად არაა ნათქვამი კიმერიელთა მიერ მეოტიდა-კოლხეთის მაგისტრალის გამოყენების შესახებ. არც არქეოლოგიური მასალა მოწმობს კიმერიელთა ლაშქრობას კოლხეთში (დაწვრ. [1136 და იქ დასახ. ლიტ.]). უკანასკნელ ხანებში გაჩნდა ცდები კიმერიელთა ქვეყნის (ასურული წყაროების გამო//გამირრას) ლოკალიზაციისა დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. მაგრამ ამ დებულებას არ იზიარებენ ისინიც კი, ვინც კიმერიელებისა და სკვითების ამიერკავკასიაში ინტენსიური განსახლების მომხრენი არიან. იხ. რეცენზია ა. ივანჩიკის ნაშრომებზე [73, № 4, 1997, გვ. 69-85, განსაკუთრებით გვ. 76-77].

[188] პროფ. თ. მაქალაძის აზრით, კიმერიელთა და სკვითთა შემოსევა კოლხას არ შეხებია. ეთნიკური ცვლილებები კი შეეძლო გამოეწვია სხვა პოლიტიკურ მოვლენებს, კერძოდ, მიდიის გაძლიერებას [1184, გვ. 168-171].

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიით შემოიფარგლა.[189] მასვე შემორჩა სახელწოდება „კოლხეთი“ („კოლხიდა“) [441, გვ. 62 და შემდ.]; [1147].

ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანების კოლხთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ ცნობები ძვ.წ. V ს-ის ბერძენი მწერლის ჰეროდოტეს „ისტორიაშია“ შემონახული (IV, 37): „სპარსელები ცხოვრობენ და აღწევენ სამხრეთის ზღვამდე, რომელსაც მეწამულს უწოდებენ. ამათ ზემოთ ჩრდილოეთის მიმართულებით ცხოვრობენ მიდიელები, მიდიელებს ზემოთ სასპეირები, სასპეირებს ზემოთ კოლხები, რომლებიც აღწევენ ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდინარე ფასისი. ეს ოთხი ხალხი მოსახლეობს ზღვიდან ზღვამდე“ (IV, 37 =[320ა, 82]). თავისი თხზულების სხვა ადგილას ჰეროდოტე (I, 104 =[320ა, გვ. 65]) შენიშნავს: „მეოტიდის ტბიდან (ე.ი. აზოვის ზღვიდან – ო.ლ.) მდინარე ფასისამდე და კოლხებამდე 30 დღის სავალია მსუბუქად შეიარაღებული კაცისათვის, ხოლო კოლხიდიდან მიდიაში დიდი არაა გადასავალი, არამედ მხოლოდ ერთი ხალხია ამ /ქვეყნებს/ შორის. ეს არის სასპეირები. ამათ რომ ჩაუვლი, ხარ მიდიაში“.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ჰეროდოტე ვრცელ ტერიტორიაზე (ორ ზღვას შორის!) მხოლოდ 4 ხალხს ასახელებს: სპარსელებს, მიდიელებს, სასპერებსა[190] და კოლხებს. კარგადაა ცნობილი, რომ მიდია და ირანი იმ დროს უძლიერეს სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ და მათ გვერდით კოლხების მოხსენიება, შეიძლება მივიჩნიოთ კოლხთა მსხვილი პოლიტიკური გაერთიანების არსებობის არაპირდაპირ მოწმობად.[191]

ძალზე საყურადღებოა, რომ ჰეროდოტე კოლხებს იხსენიებს მიდიელებთან და სპარსელებთან ერთად იმ ოთხ ხალხს შორის, რომელთაც ორ ზღვას (ე.ი. შავ ზღვასა და სპარსეთის ყურეს) შორის ტერიტორია ეკავათ. რამდენადაც მიდიამ ფრავარტიშის აჯანყების დამარცხების შემდეგ (ძვ.წ. 521 წ.) საბოლოოდ დაკარგა თავისი დამოუკიდებლობა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჰეროდოტეს შემოთავაზებული ცნობები ასახავენ წინა აზიის პოლიტიკურ სიტუაციას ძვ.წ. VI ს-ის ოცად წლებამდე მაინც, ხოლო ზოგიერთი მკვლევარის აზრით – კიდევ უფრო ადრინდელ (ძვ.წ. VI ს-ის 50 წლებამდე) ხანაში (შდრ. [1381, გვ. 415]).

შესაძლოა კოლხთა ერთიანი პოლიტიკური ერთეულის არსებობის ამსახველი იყოს აგრეთვე ფსევდო-სკილაკს კარანდელის ცნობა („ჯიხა“, ფრ. 81), რომელიც კოლხთა საცხოვრისს საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე უჭვენებს: ზღვის სანაპირო ზოლში ჩრდილოეთით კოლხთა განსახლების ფარგლებშია დასახელებული ქალაქი დიოსკურია, ხოლო სამხრეთით – მდინარე ფასისი (მდ. ჭოროხი). ასევე ერთიანი დიდი კოლხეთის არსებობის ამსახველია სტრაბონის ცნობები (XI, 2, 15 =[320, გვ. 121-125]), რომელნიც, როგორც ცნობილია, უფრო ადრეული წყაროებიდან (ჰეროდოტე, ერატოსთენე კვირინელი, პოლიბიოსი, ერატოსთენე ეფესელი) მომდინარეობენ ([320, გვ. 5-14]).

სტრაბონის კონცეფციით კოლხეთი ზუსტად გამოკვეთილი ერთეულია და რაღაც გარკვეული გეოგრაფიული მიზნაც. ასე, მაგ., აზიის ჩრდილოეთი არაელის შესახებ სტრაბონი წერს: „როდესაც ევროპიდან აზიისაკენ მივემართებით ქვეყნის აღსაწერად, ჯერ ჩრდილოეთისას მივადგებით. ორი არსებული ნაწილიდან უნდა დავიწყოთ. პირველი არის ის, რომელიც ტანაისის (ე.ი. მდ. დონის – ო.ლ.) მიდამოებში მდებარეობს: მას ხომ დასავლეთით ჩამოუდის მდინარე ტანაისი და მეოტისი ვიდრე ბოსფორამდე და ევქსინის სანაპიროამდე, რომელიც მთავრდება კოლხეთთან ...“ (XI, 1, 5), ხოლო კოლხეთის ქალაქ დიოსკურიას (რომელიც დღევანდელი სოხუმის უბეში მდებარეობდა – ო.ლ.) – „უჭირავს უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტი მთელი ზღვისა. ამიტომ ამბობენ მასზე, რომ ისაა ევქსინის უშორესი აღგილი და უკიდურესი საცურაოდ“ (XI, 2, 16).

კოლხეთი მდებარეობდა ევქსინის პონტოს ანუ დღევანდელი შავი ზღვის ნაპირას („გეოგრაფია“, XI, 1, 5; XI, 2, 14-15; XI, 2, 17). საინტერესოა, რომ ევქსინის პონტოს ერთ ნაწილს „გეოგრაფიის“ მიხედვით, თითქოს „კოლხური ზღვა“ ეწოდებოდა (XI, 1, 6). აქ, როგორც ჩანს, იგულისხმებოდა ზღვის მონაკვეთი პტიუნტიდან ტრაპეზუნტამდე (შდრ. XI, 2, 14).

აღმოსავლეთით კოლხეთს იბერია ესაზღვრებოდა (I, 2, 39; VI, 4, 2; XI, 3, 4; XI, 14, 5; XI, 14, 15). სასაზღვრო ციხესიმაგრე იყო სარაპანა (XI, 3, 4), რომელიც დღევანდელ შორაპანთანაა იდენტიფიცირებული. კოლხეთსა და იბერიას შორის საზღვარი სკანდე-შორაპანის ხაზზე ივარაუდება.

[189] იმ დასავლურქართველურ ტომთა შესახებ, რომელნიც დარწენ ან შემდგომ დამკვიდრდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და კოლხას დასუსტების შემდეგ აღარ შესულან კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში (სანები, ხალიბები და ხალდები, ჰეპტაკომეტები, მოსინიკები, ტიბარენები), დაწერ. იხ. [441, გვ. 251-265]; [1385, გვ. 118-144]; [329, გვ.158-187].

[190] სასპერები აღმოსავლურქართულ ტომებად არიან მიჩნეული (დაწერ. [441, გვ. 231-234]).

[191] ჰეროდოტეს წიგნის სხვა ადგილას, იმავე ტერიტორიაზე დასახელებული არიან მრავალრიცხოვანი ტომები: ალაროდები, არმენები, მაკრონები, მარები, მატიენები, მარიანდინები, მიკები, მოსინიკები, მოსხები, ხალიბები ..., რომელნიც აქემენიდური ირანის სხვადასხვა სატრაპიებში ერთიანდებოდნენ. ეს თვალსაჩინოდ მიუთითებს, რომ ჰეროდოტეს ცნობაში „ორ ზღვას შორის“ მოსახლე 4 ხალხის შესახებ სწორედ პოლიტიკური სიტუაციაა წარმოდგენილი [431, II, გვ. 52].

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლხეთის ჩრდილოეთ საზღვრად „გეოგრაფიაში“ რამდენჯერმე დასახელებულია კავკასიონი (შდრ. XI, 5, 5; XI, 14, 5).[192] ასე რომ, ჩრდილოეთით კოლხეთის საზღვრები, სრულიად აშკარად, კავკასიონამდე აღწევდა. „გეოგრაფიაში“ დაზუსტებულია, თითქოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარიც. იგი ეკუსინის პონტოს (ე.ი. შავი ზღვის) სანაპიროსთანაა – XI, 2, 14: „როგორც უკვე ვთქვი, ეს სანაპირო მიემართება აღმოსავლეთისაკენ და უყურებს სამხრეთს, ხოლო ბატადან[193] ნელ-ნელა უხვევს და შეშობრუნდება დასავლეთისაკენ და სრულდება პიტიუნტთან და დიოსკურიასთან; კოლხეთის ეს ადგილები ხომ ესახღვრებიან ზემოთ დასახელებულ სანაპიროს. დიოსკურიის შემდეგ არის დანარჩენი კოლხეთის სანაპირო და მის მიმდებარე ტრაპეზუნტთან ქმნის მნიშვნელოვან მოხრილობას“. ამრიგად ჩანს, რომ პიტიუნტი, რომელიც ლოკალიზებულია დღევანდელი ბიჭვინტის მიდამოებში ([1341, გვ. 221-223]), მდებარეობდა კოლხეთის ჩრდილოეთ ნაწილში. ამიტომ სავარაუდებელია, რომ კოლხეთის პოლიტიკური საზღვარი პიტიუნტის ახლოს გადიოდა, შესაძლოა მდ. ბზიფის ხეობაში ან ოდნავ ჩრდილოეთით.[194] სტრაბონის მიხედვით, კოლხიდა „ჰენიოხების შემდეგ მდებარეობს.“ თავის მხრივ, ჰენიოხები შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე აქეელებისა და ზიგების შემდეგ არიან დასახელებული და ამის საფუძველზე მათი საცხოვრისი „გეოგრაფიის“ მიხედვით ძველი პიტიუნტის ჩრდილოეთით – სოჭისა და აფხაზეთის მიდამოებში ივარაუდება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ არქეოლოგიური მონაცემებით ეს ტერიტორია უკვე ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან კოლხური ბრინჯაოს კულტურის არეალში იყო მოქცეული.[195]

კოლხეთის სამხრეთი საზღვრების რეკონსტრუქციისათვის დიდი მნიშვნელობისაა სტრაბონის დაჟინებითი და არაერთგზისი მითითება იმის შესახებ, რომ კოლხეთის (კოლხიდას) საზღვარი ძალიან ახლოს გადიოდა ტრაპეზუნტთან და მის ახლო მდებარე ადგილებთან, მცირე არმენიასა და კაპადოკიასთან.[196]

ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტრაბონის ცნობებშიც (ისევე როგორც ჰეროდოტესთან) ასახულია ძველი კოლხეთის პოლიტიკური საზღვრები, რომლებიც მთლიანად მოიცავს დღევანდელ დასავლეთ საქართველოსა (აფხაზეთის ჩათვლით) და ნაწილობრივ მის მიმდებარე სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს, თითქმის ტრაპეზუნტამდე (დაწერ. [329, გვ. 67-75]).

ძვ.წ. VI-IV სს-ის ვითარების ამსახველი ტრადიცია შემონახულია ახ.წ. V ს-ის ანონიმი გეოგრაფოსის ცნობაშიც: „დიოსკურიიდან ანუ სებასტოპოლისიდან მოკიდებული ვიდრე აფსაროსამდე ძველად ცხოვრობდა ხალხი, რომელიც კოლხებად იწოდებოდა, ხოლო შემდეგ ლაზებად“ (XVII, 7). ეს ცნობები იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ძვ.წ. VI-IV სს-ში დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ისინი ასახელებენ მხოლოდ ერთ ხალხს – კოლხებს.[197] კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში საკუთრივ კოლხების (ე.ი. მეგრელ-ჭანების) გარდა შედიოდნენ აგრეთვე უძველესი ქართველი ტომები – სვანები, რომლებსაც დიდი კავკასიონის სამხრეთი ფერდობები და მიმდებარე ტერიტორიები ეკავათ.

ამრიგად, ზემომოტანილ ბერძენ მწერალთა ცნობების თანახმად, კოლხეთის სახელმწიფოს ტერიტორია ძვ.წ. VI-IV სს-ში ვრცელდებოდა დაახლოებით დღევანდელი ბიჭვინტიდან (ძველი პიტიუნტი) მდ. ჭოროხამდე (ძველი აფსაროსი) ან რამდენადმე სამხრეთითაც (აფსაროსის ციხე-ქალაქი, რომელიც მდ. ჭოროხის სამხრეთით 2

---

192 რამდენადმე გაუგებარია II, 1, 39-ში მოტანილი მტკიცება, რომელიც მთლიანი კონტექსტით თითქოს ერატოსთენეს უნდა ეკუთვნოდეს: „კასპიის მთა/ მდებარეობს გასასვლელში კოლხეთიდან კასპიის ზღვისაკენ“. „კასპიის მთა“ (Κασπίου ὄρος) იხსენიება აგრეთვე XI, 8, 9-ში, ხოლო XI, 2, 15-ში აღნიშნულია: „ერატოსთენე ამბობს, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ კავკასიონი კასპიად იწოდება“. ზოგიერთი კომენტატორის აზრით, „კასპიის მთის“ ქვეშ იგულისხმება კავკასიონის ერთ-ერთი მთა სურამის უღელტეხილის ზონაში (შდრ. მაგ., [73, გვ. 215]).

193 ბატა, რომელსაც იხსენიებს აგრეთვე კლავდიოს პტოლემაიოსი (V, 8, 8), ლოკალიზებულია დღევანდელი ნოვოროსიისკის უბის ან ტუაფსეს მიდამოებში (დაწერ. [1341, გვ. 43-44]).

194 სხვა რაიმე მონაცემი, თუ რამდენად ჩრდილოეთით ვრცელდებოდა კოლხეთის საზღვრები ზღვის სანაპირო ზოლში, არ გაგვაჩნია. უფრო აღრინდელი ცნობა ეკუთვნის ფსევდო-სკილაქს კარიანდელს, რომელიც ეუწყება, რომ „გელონების შემდეგ არიან კოლხები ... იქ არის ქალაქი დიოსკურისი ...“ („პზია“, 81). პიტიუნტის მოუხსენებლობა შეიძლება აიხსნას იმით, რომ ეს ქალაქი მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა.

195 დღევანდელ ბიჭვინტასა და აგრეთვე მისგან ჩრდილოეთით გაგრასა და პილენკოვოში აღმოჩენილია კოლხური ბრინჯაოს ცულების განძები (დაწერ. [1222, გვ. 11-12]).

196 იხ. მაგ. „გეოგრაფია“ II, 1, 3 („ამისოდან აღმოსავლეთისაკენ ჯერ შეგხვდებათ კოლხიდა“), XII, 3, 17 (კერასუნტი, ჰერმონასა... შემდეგ ჰერმონასას მახლობლად ტრაპეზუნტი, მერე კოლხიდა“), XII, 1, 1 (კაპადოკიელები „კოლხიდიდან არიან შემოსაზღვრულნი“), აგრეთვე, XII, 3, 1-3 და სხვ.

197 ვიწრო ტომობრივი მნიშვნელობით ბერძნულ წყაროებში „კოლხებად“ ზოგჯერ (ჩსენოფონტი, „ანაბაზისი“, IV, 8, 8) მოიხსენებიან ტრაპეზუნტის მიდამოებში მცხოვრები დასაულურქართველური ტომები, რომლებმაც თავის დროზე შექმნეს კოლხას ძლიერი სახელმწიფო, მაგრამ შემდეგ, ძვ.წ. VII ს-დან აღარ შედიოდნენ კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში.

კმ-ის დაცილებით დღევანდელ სოფ. გონიოში მდებარეობდა, შედიოდა კოლხეთის სამეფოში),[198] ხოლო აღმოსავლეთით – იფარგლებოდა სურამის ქედით.

საკმაოდ რთულია კოლხეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრის საკითხი.

ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ კოლხას ძლიერების ხანაში, სამეფოს პოლიტიკური ცენტრი თავდაპირველად სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, სადღაც მდ. ჭოროხის აუზში მდებარეობდა, ხოლო შემდეგ ის გადატანილ იქნა მდ. რიონის (ე.ი. ძველი ბერძნული წყაროების – ფასისი) დაბლობზე (დაწერ. [441, გვ. 216]; [1181, გვ. 389]). მაგრამ პირდაპირი მონაცემები ასეთი დასკვნისათვის არ გაგვაჩნია. გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ კოლხეთის სამეფოს პოლიტიკური ცენტრი იმთავითვე მდ. რიონზე (ფასისზე) მდებარეობდა, როგორც ეს ივარაუდება ძვ.წ. VI-IV სს-ისათვის ბერძენ ავტორთა ცნობების საფუძველზე.[199] ჯერ კიდევ ფსევდო-სკილაქსი იუწყებოდა: „... მდინარე ფასისზე ზევით აყოლებაზე 180 სტადიონის მანძილზე არის დიდი ბარბაროსული ქალაქი, საიდანაც იყო მედეა.“ მაგრამ აქ მოხსენიებული ქალაქის ადგილმდებარეობა ჯერ დაუდგენელია და ამ საკითხის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა (შდრ. [1164, გვ. 40-43]).

მთელი წყება ბერძენ-რომაელი და აგრეთვე ბიზანტიელი ავტორებისა (მაგ. ლიკოფრონ ქალკიდელი და მისი სქოლიასტები, აპოლონიოს როდოსელი და მისი სქოლიასტები, პროკოპი კესარიელი და სხვ.), რომელთა ცნობები მეტწილად ძვ.წ. VI-V სს-ის ავტორთა თხზულებებიდან მომდინარეობს, მედეას სამშობლოდ და აიეტის რეზიდენციად ასახელებენ მდ. ფასისზე მდებარე ქალაქ კუტაიას, რომელსაც დღეს მკვლევართა უმრავლესობა დღევანდელი ქუთაისის მიდამოებში ათავსებს (დაწერ. იხ. [1363], [1164, გვ. 34 და შემდ.]).[200] არქეოლოგიური მასალები მოწმობს, რომ ძვ.წ. VIII-VII სს-დან ქუთაისი და მისი მიდამოები (ე.წ. „ქუთაისის ქვეყანა“) ძალზე მჭიდროდაა დასახლებული. თითქმის ყველგან არქეოლოგიურად დასტურდება კოლხეთისათვის აგრე ტიპიური ხელოვნური სამოსახლო ბორცვები (ფარცხნანაგვები, ქვემო მესხეთი, ჯიხაიში, ტყაჭირი, ქვემო და ზემო მაღლაკი, პატრიკეთი, საყულია, ბანოჯა და სხვ.) ან ბუნებრივად შემაღლებულ ადგილებზე განლაგებული ნამოსახლარები (ბანოჯა, ჭოგანარი, ფარნალის გორა და სხვ.). ამ დროსვე, ძვ.წ. VIII-VII სს-ში უთუოდ ვრცელი დასახლება ჩნდება საკუთრივ ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე, რომელიც შესაძლოა უკვე რაღაც ცენტრის ფუნქციასაც ასრულებდა (დაწერ. [1164, გვ. 27-34]).

თითქმის არაფერი ვიცით ძვ.წ. VI-IV სს-ის კოლხეთის პოლიტიკური ისტორიის შესახებ. ჰეროდოტეს ცნობებიდან ჩანს, რომ აქემენიდურმა ირანმა კოლხეთის დაპყრობა და თავის სატრაპიებში გაერთიანება ვერ შეახლო [441, გვ. 237], თუმცა გარკვეული დამოკიდებულება (შესაძლოა ნომინალური) აქემენიდთა მიმართ მაინც არსებობდა. ჰეროდოტეს ცნობით (III, 97): „კოლხებმაც დაიწესეს საჩუქრები და ასევე მათმა მეზობლებმაც ვიდრე კავკასიონის მთებამდე (რადგან ამ მთებამდე ვრცელდებოდა სპარსელთა ძალაუფლება, ხოლო კავკასიონის ჩრდილოეთისაკენ მდებარე ქვეყნების არაფერი უნდათ იცოდნენ სპარსელებისა), ამათ საჩუქრად დაიწესეს ჩვენ დრომდე, ყოველ მეხუთე წელს რომ გადაიხადონ ასი ყრმა და ასი ქალწული“ [320ა, გვ. 76]. ამ ცნობიდან სულ ნათელი არაა: „ას ყრმასა და ას ქალწულს“ მხოლოდ კოლხები უგზავნიან საჩუქრად სპარსელებს თუ „მათ მეზობლებთან“ ერთად? ეს თვით „დაწესებული საჩუქარიც“, როგორც ჩანს, წარმოადგენდა არა ხარკს (რასაც თვით ჰეროდოტეც ხაზგასმით აღნიშნავს),[201] არამედ თავისე-

[198] ციხე-ქალაქ აფსაროსის შესახებ აგრეთვე [1341].

[199] სარდური II-ის წარწერაში მოხსენიებული „სამეფო ქალაქი“ ილდამუსა გ. მელიქიშვილის აზრით „სამეფო რეზიდენცია არ უნდა იყოს“ (იქ მსხდარან კოლხას მეფისნაცვლები). ილდამუსას ადგილმდებარეობაც ზუსტად არაა ცნობილი. საყურადღებოა, რომ თვით კოლხას მეფე ურარტელების წინააღმდეგ საომარ ოპერაციებში არ მონაწილეობს. აქედან თითქოს შეიძება ვივარაუდოთ, რომ მისი პოლიტიკური რეზიდენცია საკმაოდ მოშორებითაა და მან „ჯერ მოასწრო ილდამუსის საშველად მოსვლა“ [1181, გვ. 388]. ამიტომაც ვვარაუდობ, რომ კოლხას მეფის რეზიდენცია უკვე მაშინ, შესაძლოა, მდ. რიონის დაბლობზე მდებარეობდა [1162, გვ. 70-73].

[200] ძველი კუტაიას ლოკალიზაციისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია VI საუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოს პროკოპი კესარიელთან შემონახული უთუოდ ძველი ტრადიცია: „მდინარე რიონის სანაპიროებთან კოლხებს ძველადვე აუგიათ ციხე, რომელიც შემდეგ ხანებში მათ მეტწილად მიწასთან გაუსწორებიათ, რადგან ის მეტად დაბალ კაკუზე მდებარეობდა და, მათი აზრით, ადვილი მისასვლელი იყო. მაშინ ამ ციხეს კოტაიონს უწოდებდნენ ელინური ენით, ამჟამად კი მას ლაზები ქუთაისს ეძახიან... სხვები კი ამბობენ: ძველ დროში ამ ადგილს ქალაქი იყო და კვიტაიონი ეწოდებოდაო; აქაური იყო აიეტი, რის გამოც პოეტები მას კვიტაიელს უწოდებენ, ხოლო კოლხეთის ქვეყანას კი კვიტაიდსო“ [323, II, გვ. 163-164]. ამრიგად, პროკოპი კესარიელის ცნობიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ ძველ ბერძენ პოეტებსა და ბიზანტიელ ავტორებსაც კუტაია სწორედ დღევანდელ ქუთაისსა თუ მის მახლობლად ეგულებოდათ.

[201] ჰეროდოტე ჩამოთვლის სპარსელთა მოხარკე სატრაპიებსა და ხალხებს, ხოლო საგანგებოდ იხსენიებს იმ ხალხებს (მათ შორის – კოლხებს), რომელთაც „ხარკი არაფერი ჰქონდათ დაწესებული, ხოლო საჩუქრები კი მოჰქონდათ“ და საერთოდ, განსაზღვრავს რა სპარსთა მეფის შემოსავალს, დასძენს „ესაა საჩუქრები, რომელსაც ლებულობს მეფე ხარკს გარდა“ (III, 93-97).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურ კონტრიბუციას, რომელსაც კოლხეთი იღებდა მძლავრი მეზობლის სასარგებლოდ. როგორც ჩანს, უკვე ძვ.წ. V ს-ის დასასრულისათვის მაინც კოლხეთი, ისევე როგორც მისი სამხრეთი მეზობლები (კარდუხები, ხალიბები, ხალდები, მაკრონები, მოსინიკები, ტიბარენები და სხვ., რომელნიც ადრე აქემენიდური ირანის სხვადასხვა სატრაპიებში იყვნენ გაერთიანებულნი), მთლიანად განთავისუფლდნენ აქემენიდური ირანის მორჩილებისაგან (იხ. ქსენოფონტი, „ანაბასისი," VII, 7, 25; შდრ. [441, გვ. 239]).

ძვ.წ. VII-IV სს-ის კოლხეთის პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურების შესახებ აგრეთვე ძალზე მწირი მონაცემები მოგვეპოვება. იმის გამო, რომ არ არსებობს ადგილობრივი ნარატიული წერილობითი წყაროები და ეპიგრაფიკული ძეგლები, კვლავ იძულებული ვართ მივმართოთ ბერძნულ-რომაულ ლიტერატურას, რომელშიც ჩვენთვის ამკვრად საინტერესო საკითხზე ასევე ძალზე მწირი ცნობებია შემორჩენილი. ამასთან ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ უცხო ავტორები კოლხეთს (ასევე როგორც სხვა არაბერძნულ ქვეყნებს) აღწერდნენ მხოლოდ მათთვის საინტერესო თვალთახედვით, ხოლო ამ აღწერისას სარგებლობდნენ ტრადიციული ბერძნული ტერმინებით, რომელნიც ადგილობრივ თავისებურებებსა და მათ შინაარსს ყოველთვის ზუსტად ვერ გადმოგვცემდნენ.

პირველ რიგში უნდა განვიხილოთ ცნობები ძვ.წ. VII-IV სს-ში კოლხეთში სამეფო ხელისუფლების არსებობის შესახებ, ვინაიდან ზოგიერთი მკვლევარი საერთოდ უარყოფს კოლხეთის სამეფოს არსებობას.[202]

კოლხეთში სამეფო ხელისუფლების დამადასტურებელი მონაცემი არაა მრავალრიცხოვანი და მეტწილად მართლაც, ერთი შეხედვით, არაპირდაპირი ხასიათისაა. მით უფრო დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ერთ ფაქტს, რომლისთვისაც, რამდენადაც ვიცი, დღემდე ყურადღება არავის მიუქცევია.

ახ.წ. 9 წელს რომაელმა ისტორიკოსმა პომპეუს ტროგუსმა დაარსრულა თავისი 44-ტომიანი ნაშრომი სახელწოდებით "Historiae Philippicae", რომელშიც პირველად რომაულ ისტორიოგრაფიაში წარმოდგენილი იყო მსოფლიო ისტორია (ასირიელების, მიდიელთა, სპარსელების, მაკედონელებისა და დიადოქოსებისა). სამწუხაროდ, ეს თხზულება ჩვენამდე მოღწეული არაა და ცნობილია მხოლოდ მისი ძალზე შემოკლებული ვარიანტი, რომელიც ეკუთვნის მარკუს იუნიანუს იუსტინუსს (ვარაუდობენ, რომ იგი III საუკუნეში მოღვაწეობდა). სამაგიეროდ, ჩვენამდე მოღწეულია თვით ტროგუსის მიერ შედგენილი ე.წ. Prologi (ანუ „შესავლები"), რომლებშიც წარმოდგენილი იყო თითოეული წიგნის მოკლე შინაარსი და, აი, XXXVII წიგნის „შესავალში" აღნიშნულია, რომ მასში გაღმოცემულია პონტოს მეფეების ისტორია, ხოლო „მისგან გადახვევით" ("in exessu") „ბოსფორელთა და კოლხთა მეფეების წარმომავლობა და საქმენი [მათნი]" ("... Dictaequle in excessu regum Bosporanorum et Colchorum origines et res gestae" – [326], II, 1, გვ. 52). ამრიგად, აქ გვაქვს პირდაპირი მითითება კოლხეთში სამეფო ხელისუფლების შესახებ. ამასთან შეიძლება თამამად ვამტკიცოთ, რომ იგი იმდენად ძლიერი და ფართოდ ცნობილი ყოფილა, რომ პომპეუს ტროგუსმა აუცილებლად ჩათვალა მისთვის ღირსეული ადგილი დაეთმო პონტოს (მითრიდატე ევპატორთან კავშირში) და ბოსფორის მეფეების გვერდით, ამასთან დიადოქოსების ისტორიის კონტექსტში.

კოლხეთში სამეფო ხელისუფლების არსებობის შესახებ პომპეუს ტროგუსის ცნობას ადასტურებს არქეოლოგიური მასალაც: ვანში აღმოჩენილია ადგილობრივ დამზადებული ძვ.წ. IV-III სს-ის კრამიტები, რომლებზედაც არის დადღა „ბასილეკ," ე.ი. „სამეფო" (კრამიტი) [1285], [1433]. ასევე დიდად მნიშვნელოვანია ეშერაში აღმოჩენილი ძვ.წ. III ს-ის ბერძნული წარწერა ბრინჯაოს ფირფიტაზე, რომელზედაც იკითხება „ბასილეია," ე.ი. „სამეფო ხელისუფლება" ან „სამეფო" [301]. პომპეუს ტროგუსის უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ცნობისა და არქეოლოგიური (ეპიგრაფიკული) მონაცემების ფონზე კიდევ უფრო დამაჯერებლად გამოიყურება ბერძენ-რომაელ ავტორთა სხვა მითითებანიც კოლხეთში სამეფო ხელისუფლების შესახებ.

ჰეროდოტე, როგორც უკვე ითქვა, კოლხებს მოიხსენიებს წინა აზიის ძლიერი ხალხების – მიდიელებისა და სპარსელების – გვერდით. მაგრამ „ისტორიის მამა" არაფერს იუწყება კოლხთა პოლიტიკური კონსოლიდაციის დონის შესახებ. მით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ქსენოფონტის („ანაბასისი", V, VI, 36) ცნობა იმის შესახებ, რომ მის მიერ აღწერილი ამბების დროს (ე.ი. ძვ.წ. 401 წ.) კოლხეთში (ფასისზე) „ახლა აიეტის შთამომავალი მეფობს". ეს ცნობა იმითაა მნიშველოვანი, რომ წარმოადგენს პირდაპირ მოწმობას ძვ.წ. V ს-ში კოლხეთში სამეფო ხელისუფლების შესახებ. იმავე დროს ჩანს, რომ კოლხეთის მეფეები თავის თავს კოლხთა ლეგენდარული მეფის აიეტის – მზის შვილის – შთამომავლებად მიიჩნევდნენ და თავის თავს აიეტიდებს უწოდებდნენ. რომაელი ისტორიკოსი პლინიუსიც კოლხეთის მეფე სავლაკს „აიეტის შთამომავალს" („ბუნების ისტორია", XXXIII, 52 [326, II, გვ. 197]) უწოდებს. ამრიგად, ამ ცნობებში თითქოს ხაზი ესმება სამეფო ხელისუფლების შთამომავლობით (ე.ი. მემკვიდრეობით) გადაცემის პრინციპსაც. სამეფო დინასტიის დამაარსებლად კი გვევლინება

[202] იხ. მაგ., [1294], [1300].

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეთამძლე აიეტი,[203] ბერძენთავე გადმოცემით მზის შვილი. ამრიგად, აშკარა უნდა იყოს, რომ ძველბერძნულ მწერლობაში შემონახული ცნობები ასახავენ კოლხეთის მეფეთა კარზე შემუშავებულ წარმოდგენას, რომელიც მათ გენეალოგიას ღვთაებრივი წარმოშობის (მზის შვილს)[204] აიეტს უკავშირებდა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ კოლხეთის მეფეების აიეტის შთამომავლებად მოხსენიება საკუთრივ სამეფო კარზე შემუშავებული პრესტიჟული ამბაციაა, მათი ხელისუფლების თითქოს და ღვთაებრივი წარმომავლობის ხაზგასასმელად, როგორც ქვეშვრდომთა ასევე უცხოელთათვის (იქნებ ეს კონცეფციაც იყო წარმოდგენილი პომპეუს ტროგუსის მონათხრობში კოლხთა მეფეების წარმომავლობის შესახებ?). აკი ბერძენი გეოგრაფოსი და ისტორიკოსი სტრაბონიც არწმუნებდა თავის მკითხველს: „აიეტი რომ კოლხეთზე მეფობდა, ეს სარწმუნოდაა მიჩნეული; იქაურებში ეს სახელი ადგილობრივია.“ მართლაც ახ.წ. VI ს-ში კოლხეთში (ლაზიკაში) ცნობილია ისტორიული პიროვნება, პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც აიეტი ერქვა (აგათია, იუსტინიანეს მეფობა, VII, 8, 17 [323, III, გვ. 63 და შემდ.]). სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემის პრინციპი შესაძლებელია სტრაბონის ერთ ცნობაშიც დავინახოთ: „თუ რაოდენ სახელგანთქმული იყო ძველად ეს ქვეყანა (ე.ი. კოლხეთი – ო.ლ.), ცხადჰყოფენ ამას მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იაზონის ლაშქრობაზე, რომელიც მოვიდა მიდიამდე, და ამაზე უწინ კი ფრიქსეს (ლაშქრობას) ...ამის შემდეგ მემკვიდრე[205] მეფეებმა სკეპტუხიებად[206] დაყვეს ქვეყანა და ჰქონდათ ზომიერი ხელისუფლება“ (XI, 2, 18: [320, გვ. 124]).

სტრაბონის ცნობაში სკეპტუხიებად დანაწილება არგონავტთა ლაშქრობისა და, შესაბამისად, აიეტის მემკვიდრე მეფეების ღონისძიებადაა მიჩნეული. ამიტომ მართებული ჩანს მოსაზრება, რომლის თანახმად სკეპტუხიებად დაყოფა განხორციელდა კოლხეთის სამეფოს ჩამოყალიბებისთანავე [1113, გვ. 181, შენიშვნა 5], ხოლო სტრაბონის ცნობა უნდა განვიხილოთ, როგორც მოწმობა სამეფოს მართვაში გარკვეული პლეიტიკური ცენტრალიზაციისა, თუმც სხვა მკვლევართა იმ აზრისა არაა, რომ სკეპტუხიებად დაყოფა გვიანდელი (ძვ.წ. II ს-ის) მოვლენაა, ხოლო სტრაბონის ცნობაში ასახულია თითქოს მეფის ხელისუფლების შეზღუდვისისუსტე და ცალკეული ოლქების გამგებელთა დამოუკიდებლობის აღიარება (დაწვრ. [1106, გვ. 789-790] შდრ. [1159, გვ. 13]). ჩვენი აზრით, უფრო საფიქრებელია, რომ სტრაბონის ცნობა აიეტის „მემკვიდრე მეფეების“ მიერ კოლხეთის „სკეპტუხიებად დაყოფის“ შესახებ უნდა გულისხმობდეს ქვეყნის დანაწილებას გარკვეულ ტერიტორიულ-სამამგებლო ერთეულებად, რაც უნდა ყოფილიყო შედეგი სამეფო ხელისუფლების ადმინისტრაციული ღონისძიებისა და მიზნად ისახავდა ქვეყნის მართვა-გამეპობის მოწესრიგებას“[207] (შდრ. [1106, გვ. 783-789]). რო-

---

[203] „აიეტზე უფრო დიდი მეფე არავინ არის. მართალია, შორსაა, მაგრამ თუ ინება, ელადაზე ომით წამოვა.“ ასე ათქმევინებს პპოლონიოს როდოსელი ფეკაოა მეფე აღკინოს („არგონავტიკა“, IV, 1104-1105 [309, გვ. 307]).

[204] ჯერ კიდევ ჰომეროსის „ოდისეაშიც“ (X, 137-138) აღნიშნულია, რომ აიეტი „აშვა მოკვდავთმანათობელი ჰელიოსისაგან“. ბერძენთა შორის გავრცელებული ასეთი შეხედულება აიეტის წარმომავლობაზე, რომელსაც ერთხმად გვანდელი ავტორებიც (ჰესიოდე, ევმელოს კორინთელი და სხვ.) ამეორებენ, იქნებ შემთხვევითი არაა და შესაძლოა წარმოადგენს ადგილობრივი, კოლხური რწმენა-წარმოდგენების ასახვას. მზე ხომ ძველ ქართველ ტომთა წარმართული პანთეონის ერთ-ერთი უმაღლესი ღვთაებაა, დღის სინათლის განსახიერება [376, გვ. 11-12]. კოლხთა მიერ მზის, როგორც უმაღლესი ღვთაების, თაყვანისცემა ქართული წარმართული კალენდრის ანალიზითაცაა დადასტურებული [430, გვ. 125-131]. ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილ ელინისტური ხანის ბერძნულ წარწერაშიც მზე (ჰელიოსი) უზენაეს ღვთაებათა შორისაა მოხსენებული [302]. დაბოლოს მზის კულტის არსებობას კოლხეთში მოწმობს არქეოლოგიური მასალაც: ლომი და ლომის თავი (მზის განსახიერება) კოლხურ ოქროს დიადემებზე და ვერცხლის მონეტებზე, კოლხური ოქროსა და ვერცხლის საყურეებისათვის აგრე ტიპიური ვარდული, ხოლო ოქროსა და ბრინჯაოს ნივთებზე, თხის ჭურჭლეზე გამოსახული სვასტიკა (ქართული დედაბოძის შემკულობაშიც რომ შემოუნახია თავი) აგრეთვე მზის სიმბოლოებადაა აღიარებული [1365, გვ. 56, 93-94]; [1162, გვ. 73-74 და იქვე დასახ. ლიტ.].

[205] ბერძნულ დედანშია „διαδεξόμενοι, რომელიც ნაწარმოებია ზმნიდან διαδέχομαι, რაც ნიშნავს „მემკვიდრეობით მიღებას“, „წინამორბედისაგან მიღებას“ და ა.შ. (იხ. დაწვრ. [329, გვ. 197-198]).

[206] ბერძნული ტერმინი „სკეპტუხოს“ სიტყვასიტყვით ნიშნავს „სკიპტრის მპყრობელს“, „გამგებელს.“ სემანტიკურად იგი ძალზე უახლოვდება არანულ სიტყვას „ვაზრაკა“ („ვაზრაკაკა“), რომელიც ნაწარმოებია არსებითი სახელიდან „ვაზრა“ („სკიპტრა,“ „ჯოხბაღი“). ტერმინი „სკეპტუხოს“ ბერძენ ავტორებთან ხშირად იხსენიება „წარჩინებულთა“ აღსანიშნავად, მაგ. სარძაებში ან სხვ. ხალხებში [1365, გვ. 56 და იქ დასახ. ლიტ.].

[207] განსხვავებული აზრისაა მ. ინაძე, რომელიც იზიარებს მოსაზრებას, რომ კოლხეთის სამეფოს დანაწილებას „საფუძვლად დაედო ქვეყანაში არსებული სატომო ორგანიზაციები“ [1113, გვ. 53-54]. ასეთი სატომო ორგანიზაციების შესახებ ძვ.წ. VIII-IV სს-ის კოლხეთში ჰირდაპირი მონაცემი არ გაგვაჩნია. პირიქით, როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, ყველა წყარო მხოლოდ ერთ ტომს (ხალხს) კოლხებს ასახელებს. არქეოლოგიურ მასალებშიც საკმაოდ თვალსაჩინოა მთელი დღევანდელი დასავლეთი საქართველოს (როგორც მთელი ზღვისპირეთის, ასევე შიდა რაიონების) მოსახლეობის კულტურული ერთგვაროვნება და ერთიანობა [1159, II, გვ. 16]. ამიტომაც

გორც არ უნდა გადაწყდეს სტრაბონის ამ ძალზე საინტერესო და მრავალმხრივ საყურადღებო ცნობის ინტერპრეტაციის საკითხი, ის მაინც სავსებით აშკარაა, რომ აქ საქმე ეხება კოლხეთის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დანაწილებას, ე.ი. სახელმწიფოს ერთ-ერთ არსებით ნიშანს მისი ფორმირების ადრინდელ ეტაპზე[208]. უკვე ურარტული წყაროები იზსენიებენ კოლხას სამეფოს ცალკეული ოლქების მმართველებს ტერმინით „ლუარდი“ [1379, გვ. 323], რომელსაც უთუოდ სტრაბონისეული „სკეპტუხოსი“ შეესატყვისება.

სკეპტუხია, ჩვენის აზრით, ტერიტორიულ პრინციპზე შექმნილი ადმინისტრაციული ერთეულია, რომელსაც საფუძვლად ისტორიულად ჩამოყალიბებული პოლიტიკურ-ტერიტორიული წარმონაქმნი დაედო. მის სათავეშიც უთუოდ ადგილობრივი საგვარეულო არისტოკრატიის წარმომადგენელი იდგა, რომელიც სამეფო ხელისუფლებამ ადმინისტრაციული უფლებებით აღჭურვა და მით სამეფო მოხელედ აქცია [1365, გვ. 56-58]. სკეპტუხი, ამრიგად, ერთერთი საფეხურია ქვეყნის მართვის იერარქიულ სისტემაში, რომლის უმაღლეს საფეხურზე იდგა კოლხთა მეფე. სამწუხაროდ, ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია პოლიტიკური მმართველობის იერარქიული წყობის სხვა კონკრეტული ელემენტები.

ადგილობრივი გვაროვნული არისტოკრატიის აღჭურვა ადმინისტრაციული უფლებებით, ქმნიდა მტკიცე საფუძველს სოციალური განცალკევებისა და კოლხ წარჩინებულთა კიდევ უფრო გამდიდრებისათვის, რამდენადაც სამეფო ხელისუფლების მიერ ბოძებულ ახალ ფუნქციას მოჰქონდა ახალი შემოსავალი ხარკის სახით, რომელიც განისაზღვრებოდა არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, არამედ ოქროს, ვერცხლისა თუ სხვა ძვირფასი ნივთების სახით, რაც თვალსაჩინოდაა ასახული სწორედ არქეოლოგიურ მონაპოვარში, განსაკუთრებით კი სამარხეულ ინვენტარში. ასე მაგ., საზოგადოების რიგით წევრთა სამარხები თავიანთი აღნაგობითა და დაკრძალვის წესებით მკვეთრად განსხვავდება წარჩინებულთა სამარხებისაგან. ერთის მხრივაა – სულ უბრალო სამარხი ორმო და უაღრესად ღარიბული ინვენტარი (მარტივი სამკაულები და ორიოდე თიხის ჭურჭელი), ხოლო მეორეს მხრივ – ხის დიდი ზომის სარკოფაგებში ძალზე მდიდრულად დაკრძალული „ამა ქვეყნის ძლიერნი“ მონა-მოსამსახურეებით და ცხენებით, ოქროსა და ვერცხლის უამრავი სამკაულებით, ლითონისა და თიხის ჭურჭლეულით, უხვი სურსათ-სანოვაგითა და ა.შ. სამაგალითოდ წარმოვადგენ ვანში აღმოჩენილ ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებით დათარიღებულ წარჩინებული კოლხი ქალის სამარხს. იგი კლდეგან დედაქანში – თირში იყო ამოკვეთილი. სამარხი ორმოს ჩრდილოეთ კედელთან აღმოჩნდა ცხენის ჩონჩხი, რომელსაც რკინის ლაგამისა და აკაზმულობის სხვა ნაშთები შემორჩენოდა (სურ. 127).



სურ. 127. „წარჩინებული კოლხი ქალის“ სამარხი. ძვ.წ. V ს. ვანი. [1169]

თირში, ჩანს, ჩადგმული იყო ხის სარკოფაგი, რომლისგანაც მხოლოდ რკინის საკმაოდ დიდი ზომის ლურსმნები იყო შემორჩენილი. მათი განლაგება მიუთითებდა, რომ სარკოფაგის სიგრძე იყო 3,40 მეტრი, სიგანე – 2,80 მ, ხოლო სიმაღლე – დაახლოებით 1,5 მ.

სამარხში 4 ჩონჩხი აღმოჩნდა; მათგან ერთი – ქალისა, გასაოცარი ბრწყინვალებით დაკრძალული. თავთან, სამარხის ორმოს აღმოსავლეთ კედელთან ელაგა ვერცხლის, ბრინჯაოს, ფერადი მინისა და თიხის ჭურჭელი. ისინი გარკვეული წესითა და დანიშნულებით იყო დალაგებული. მათგან ერთი ნაწილი (11 ნივთი) ბერძნულია და მათი აღმოჩენა ამ სამარხში სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა: ისინი, ერ-

---

ვვარაუდობ, რომ იმ დროისათვის (ძვ.წ. VII-IV სს-ში) კოლხეთში ტომობრივი ორგანიზაცია უკვე არ არსებობდა, და ადმინისტრაციული დანაწილება განხორციელდა ტერიტორიულ პრინციპზე. ამის თვალსაჩინო ილუსტრაციაა ვანისა და საირხის არქეოლოგიური მონაპოვარი. ვანი და საირხე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ კოლხეთის ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებული ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებია. არავითარი საფუძველი აქ განსხვავებული ტომობრივი ორგანიზაციისა და სტრუქტურის აღიარებისათვის არა გვაქვს.

[208] შდრ. ძველ ბერძნულ ტრადიციას კლისთენეს მიერ ატიკის ტერიტორიულ ფილებად ან რომაულ ტრადიციას სერვიუს ტულიუსის მიერ რომის ტერიტორიულ ტრიბებად დაყოფის შესახებ. ანალოგიური ძველი ქართული ტრადიცია შემონახულია აგრეთვე ლეონტი მროველის ცნობებში ქართლის (იბერიის) პირველი მეფის – ფარნავაზის მიერ ქვეყნის სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებად – საერისთაოებად დაყოფის შესახებ [1597, გვ. 20 და შემდ.].

თის მხრივ, მიუთითებენ ძველი კოლხეთის ცხოველ ურთიერთობაზე ანტიკურ ცივილიზაციასთან, მეორეს მხრივ – წარმოადგენენ ჩვენს უმთავრეს დასაყრდენს ამ სამარხის საკმაოდ ზუსტი დათარიღებისათვის.

პირველ რიგში (თვით ნივთების განლაგების მიხედვით) აღსანიშნავია ბრინჯაოს სამტუჩა სურა (ე.წ. ოინოხოია) და ტაფისებური ჭურჭელი, რომელსაც პატერას უწოდებენ. ეს ჭურჭელი ხელის რიტუალური დაბანისათვის იყო განკუთვნილი. განსაკუთრებით საინტერესოა პატერა, რომლის ტარი ტანშიშველი ჭაბუკისა და ცხვრის თავის სკულპტურული გამოსახულებითაა დამშვენებული. ზუსტად ასეთი ჭურჭელი ათენში ძვ.წ. 500-480 წლებს შორის მზადდებოდა და აქედან ვრცელდებოდა მაშინდელი მსოფლიოს სხვა მაღალი კულტურის ქვეყნებში. ბერძნულია თავისი მხატვრული სტილით იქვე ნაპოვნი ვერცხლის სარწყულა, რომელსაც ყურს ქვემოთ ამკობს ფრთოსანი ლომისა და ორ-ორი ფეხებმოკეცილი ვერძის სკულპტურული გამოსახულებანი.

უნიკალურია ვერცხლის მცირე ზომის სანელსაცხებლე სფეროსებური ჭურჭელი, რომელსაც ატიკური ტიპის არიბალოსს უწოდებენ. ასეთი ფორმის სანელსაცხებლეები ათენში ძვ.წ. VI-V საუკუნეებში მზადდებოდა. სამარხში ნაპოვნი არიბალოსის ყურები გედის გამოსახულებებს წარმოადგენს, მუცელს კი გასდევს გრავირებული ფრიზი, რომელზედაც ხელაწვდილი სფინქსების მსვლელობაა გამოსახული.

ამ ბერძნული ჭურჭლის გვერდით იდო მცირე ზომის კოლხური სიტულა (ქვაბისებური ჭურჭელი), რომლის სახურავზე სხვადასხვა ცხოველთა გრავირებული გამოსახულებებია (ლომი, ჯიხვი, ტახი, მამალი). თავისი სტილით ეს გამოსახულებანი მოგვაგონებენ ძვ.წ. XII-VIII საუკუნეების კოლხურ ბრინჯაოს ცულებზე წარმოდგენილ ცხოველებს და მიუთითებენ ადრეანტიკური ხანის (ძვ.წ. VI-V საუკუნეების) კოლხური მხატვრული კულტურის ადგილობრივ ძირძველ ტრადიციებზე.

ამ ჭურჭელს ისევ ბერძნული მაღალფეხიანი ვერცხლის ორყურა თასები (ე.წ. კილიკები) მოსდევდა. ისინიც ათენის სახელოსნოებში დამზადებული ძვ.წ. V საუკუნის 70-50-იან წლებში. იმავე ხანისაა და ათენელ მეთუნეთა ნახელავია აგრეთვე მშვენიერი შავი ლაკით დაფარული მაღალფეხიანი კილიკი და შავი ფერის სარტყლებით მორთული ორყურა სანელსაცხებლე ჭურჭელიც. იქვე ახლოს ელაგა ფურადი მინის სანელსაცხებლე თასებიც. ერთი – აისფერია, ხოლო მეორე – ცისფერი, თეთრი და ყვითელი ფერის ტალღისებური სარტყლებით შემკული. ასეთ მინას ფინიკიურს უწოდებენ, თუმც ამ ჭურჭლების დასამზადებელ სახელოსნოებს ეგვიპტეში ვარაუდობენ. მაშ, სულ 11 იმპორტული ნივთია ამ სამარხში ნაპოვნი, მაგრამ მათი მნიშვნელობა განუზომლად დიდია.



სურ. 127ა. სამარხის დეტალი

ამ ნივთების უმრავლესობა (11-დან 9 ნივთი) ათენის სახელოსნოების ნაწარმია და საკმაოდ ზუსტად თარიღდება ძვ.წ. V საუკუნის მეორე მეოთხედით – 70-იანსა და 50-იან წლებს შორის. ამიტომაც ვათარიღებთ სამარხს დაახლოებით ძვ.წ. V ს. შუა ხანებით.

სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში კოლხურ თიხის ჯამებზე ელაგა საქონლისა და ფრინველის ძვლები – მიცვალებულთათვის „ამ ქვეყნად“ გატანებული საგზლის ნაშთები. „სატრაპეზოდ“ იყო განკუთვნილი აგრეთვე დიდი ზომის კოლხური ბრინჯაოს ქვაბები, ე.წ. სიტულები, რომლებიც სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში იყო დალაგებული.

განსაკუთრებით ბრწყინვალე იყო წარჩინებული კოლხი ქალის სამკაული, თითქმის მთლიანად ოქროსა და ვერცხლისაგან ნაკეთები. ამასთან ყველა ისინი ადგილობრივ, კოლხ ოქრომჭედელთა მიერაა დამზადებული!

მიცვალებულს თავს უმკობდა დიდებული ოქროს დიადემა, რომელზედაც ცხოველთა ბრძოლის გამოსახულებებია ამოტვიფრული. დიადემაზე ოქროსავე სხვებიანი სასაფეთქლე რგოლები იყო უთუოდ დამაგრებული. ჭვირულბურთულიანი და ცვარათი უხვად გაწყობილი მდიდრული ოქროს საყურეები ჰქონია ამ კოლხ ქალს, აგრეთვე რამდენიმე ყელსაბამი – თითქმის მთლიანად ოქროს მძივებისა და საკიდებისაგან შედგენილი. ერთი ყელსაბამი მინიატურული ფრინველის გამოსახულებიანი საკიდებისა და წვრილი ტანდაღარული მძივებითაა შედგენილი, მეორე – ვერძის თავის გამოსახულებიანი საკიდებისაგან, მესამე – სიმინდის ტაროსებური გამოსახულებებისაგანაა შემდგარი. მეოთხე ყელსაბამი შედგენილია აგრეთვე ოქროს დოლისებური საკიდებისაგან, რომელზედაც ასევე ოქროს წვრილი მარცვლებისაგან შედგენილი სხვადასხვა გეომეტრიული სახეებია გამოსახული. მათთან ერთად ყელსაბამში გამოყენებულია ოქროს ტანდაღარული მძივებისა და ქარვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორკუთხა მძივების მონაცვლეობა, რაც, ალბათ, თავის დროზე გარკვეულ პოლიქრომიულ ეფექტს ჰქმნიდა. საერთოდ საფიქრებელია, რომ უთუოდ ოქროს საკიდებთან და მძივებთან იყო გამოყენებული მათთან ერთად მრავლად ნაპოვნი ფერადი პასტისა და სარდიონის მძივ-საკიდები. განსაკუთრებით დიდებული კიდევ ერთი ყელსაბამი, რომელიც შედგენილია კუს გამოსახულებიანი ოქროს საკიდებისა და სადა სფერული მძივებისაგან. 2-3 სმ სიდიდის კუს ზურგი ოქროს უწერილესი მარცვლებით გამოყვანილი სამკუთხა და რომბული ხაზებითაა მორთული, ხოლო თვალები პასტითაა ინკრუსტირებული.

წარჩინებულ კოლხ ქალს ტანისამოსი ყელთან ოქროს მშვილდსაკინძით ჰქონია შებნეული. ამასთან მისი სახელოებისა და მკერდის მოსართავად უხვად გამოუყენებიათ ვერცხლის მილაკები და სადა სფერული მძივები, ნაირსახოვანი საკიდები, რომელთაგან ზოგიერთი გაორმაგებულ პირამიდას წააგავს ან კიდევ ტანდაღარულ მძივს. გვხვდება ტახის მინიატურული გამოსახულებანიც. სარტყელს ამშვენებდა ორი ფრთაგაშლილი არწივის ოქროს გამოსახულება.

იდაყვს ქვემოთ ხელი მორთული იყო ოქროსა და მუქი წითელი ფერის სარდიონის მძივებით, ხოლო მაჯაზე ეკეთა ოქროს სამაჯურები, რომელთაგან ერთი – წყვილი ვერძის თავის, ხოლო მეორე – ტახის სკულპტურული გამოსახულებითაა დაბოლოებული.

მიცვალებულს, როგორც ჩანს, ეფარა სუდარა, რომელიც ოქროს ღილაკებით და ვერცხლ მილაკზე ასხმული სამკუთხა ფირფიტებით იყო გაწყობილი.

მიცვალებულის ჩონჩხის ქვეშ და მის გვერდით აღმოჩნდა ძლიერ დამსხვრეული თიხის ჭურჭელი. როგორც ჩანს, ისინი იდგა ხის სარეცლის ქვეშ, რომლის სიმძიმესაც დაუმსხვრევია ისინი. აღდგენილია 20-მდე კოლხური თიხის შავპრიალა ჭურჭელი, რომელიც ჩაუტანებიათ მიცვალებულისათვის. ისინი გამოირჩევა ნატიფი და მსუბუქი ფორმებით, ტრადიციული კოლხური გეომეტრიული ორნამენტით („სავარცხლით“ გამოყვანილი ტალღისებური და რომბული სახეები, ჭდეები). მაინც საგანგებოდა აღსანიშნავი ბიკონუსური ფორმის მეტად მოხდენილი ჭურჭელი, ყურმილიანი ღოქი და სხვ.

ამავე სამარხში, წარჩინებული ქალის ჩონჩხთან ერთად, კიდევ სამი ქალი იყო დასვენებული, მაგრამ ისინი შედარებით ღარიბულად იყვნენ მორთულნი. ერის აღმოაჩნდა თავზე ვერცხლის ორი დიადემა ერთად, ოქროს საყურეები და ვერცხლის სამაჯურები, მეორეს – ვერცხლის დიადემა, ოქროს საყურეები და ყელსაბამი, მესამეს კი – მხოლოდ ოქროს ერთადერთი საყურე.

სულ სამი ათასზე მეტი ოქროსა და ვერცხლის ნივთია ამ სამარხში ნაპოვნი, უკლებლივ ყველა ადგილობრივ, კოლხ ოქრომჭედელთა მიერაა ამ ორი ათას ხუთასი წლის წინ დამზადებული. ამასთან ისიც ხაზგასასმელია, რომ სამარხის თითოეული ნივთი გამოირჩევა სინატიფითა და მაღალმხატვრული გემოვნებით [8, I, გვ. 213-242].

სიმდიდრითა და სინატიფით თითქმის ზუსტად ისეთივეა, რამდენადმე უფრო გვიანდელი, ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებული სამარხის ინვენტარი: ოქროს ჭედური გამოსახულებებით მორთული დიადემა და საკისრე რკალი, საყურები და სასაფეთქლები („სხივანა,“ ბიპირამიდულსაკიდიანი, ნავისებურსაკიდიანი და მხედრის გამოსახულებიანი), ორი წყვილი სამაჯური (ცხოველთა თავებით დამშვენებული), • ხუთი ყელსაბამი, ოთხი ბეჭედი, არწივის ჰერალდიკური გამოსახულებანი, ათეული ლობით მძივები, საკიდები და ბალთები, ომფალოსიანი თასი და დიდებული გულსაკიდი, ვერცხლის სამკაული, სარწყული და გედის თავის გამოსახულებიანი კოვზი, პოლიქრომიული მანის ხანელსაცხებლეები და სხვ. [8, I, გვ. 113 და შემდ.]. მთლიანად, შეიძლება ითქვას, რომ ძვ.წ. V-IV სს-ის ეს ორი სამარხი, რომელიც თითქმის ერთგვაროვანსა და დაახლოებით ტოლფასოვან ინვენტარს შეიცავს, ეკუთვნის არა მხოლოდ ქონებრივად ერთი და იგივე შეძლების, არამედ სოციალურად ერთი და იმავე ფენის წარმომადგენებს, კოლხეთის მმართველი წრის (წარჩინებულთა) ყველაზე მდიდართა და შეძლებულთა ფენას. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ვანსა და მის მიდამოებში სოციალურ-ქონებრივად განსხვავებული წრის კუთვნილი სინქრონული და საიმედოდ დოკუმენტირებული სამარხები ჯერ არაა აღმოჩენილი, ამჟამად ჩვენ არ გვაქვს საშუალება, ვუჩვენოთ ქონებრივი დიფერენციაციის დონე თუ ხარისხი ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული ოლქის, ვთქვათ, „ვანის ქვეყნის“ ფარგლებში.[209] მაგრამ ვანის მდიდრული სამარხეული ინვენტარის შედარებას კოლხეთის სხვა ცენტრებიდან მომდინარე მასალებთან, შეუძლია შეგვიქმნას დაახლოებითი წარმოდგენა კოლხეთის საზოგადოების ქონებრივი და სოციალური დიფერენციაციის განვითარების ძირითად ტენდენციებზე ძვ.წ. VI და განსაკუთრებით V-IV სს-ში.[210]

[209] ვანსა და მის მიდამოებში და, საერთოდ, დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ოლქებში აღმოჩენილი ქვევრსამარხები ამჯერად შედარებისათვის არ გამოგვადგება, რადგან ისინი რამდენადმე გვიანდელია (ძვ.წ. IV-III სს.) და მათი გავრცელება, ჩვენი აზრით, უკავშირდება პოლიტიკური და ეთნიკური განვითარების სხვა რიგის ძერებს.

[210] ვანის მდიდრულ სამარხებში დაკრძალულ პირთა ქონებრივი ავლა-დიდების აბსოლუტური ოდენობის სალესტრატიციო ინტერესს მოკლებული არ ჩანს მათი შედარება ქობულეთ-ფიჭვნარის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ბერძენ მოახალშენეთა თანადროულ სამარხეულ ინვენტართან. სამაგალითოდ დავასახელებ ყველაზე მდიდარი ბერძენი ვაჭარ-მოქალაქისად მიჩნეულ სამარხში (1967 წ. № 1 სამარხი) აღმოჩენილ

კოლხეთის წარჩინებულთა წრეში არსებული ღრმა ქონებრივი დიფერენციაციისა და შესაბამისად, შესაძლოა, იერარქიულად დაქვემდებარებული ჯგუფების არსებობის მოწმობაა მდ. ყვირილას ხეობაში, საირხეში აღმოჩენილი წარჩინებულ პირთა სამარხები, სადაც დასტურდება სამარხთა ისეთივე სახეობანი და მდიდრული ინვენტარი, როგორც ვანში [1189]. სავსებით აშკარაა, რომ ისინი სოციალურად ერთი და იმავე წრის წარმომადგენლებს ეკუთვნოდნენ. იმავე დროს იმავე ხეობაში სოფ. ითხვისში აღმოჩენილია მდიდრულად მიჩნეული სამაროვანი. დაკრძალვის წესი ისეთივეა, როგორც ვანსა და საირხეში. მიცვალებული დაკრძალულია რკინის ლურსმნებით შეკრული ხით ნაგებ ქვაყრილიან სამარხში და ახლავს შეწირული ცხენი. მაგრამ სამარხეული ინვენტარი მკვეთრად განსხვავდება ვანის მდიდრული სამარხებისაგან ოქროს ნივთების მინიმალური ოდენობით. ასე მაგ., № 1 სამარხში, რომელიც ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს, აღმოჩნდა: ვერცხლის დიადემა, რკინის ცალპირა დანა და საომარი ცული, რკინის და ბრინჯაოს ისრისპირები, ვერცხლის სასმისი და ომფალოსიანი ფიალა, ბრინჯაოს სიტულა, ბერძნული (ატიკური) შავფიგურული კილიკი და შავლაკიანი მაღალფეხიანი თასი, კოლხური თიხის დოქი, ყურმილიანი ხელადა და ორი ჯამი, ბრინჯაოს ლაგამი და რქის ნივთი (ცხენის ავშარას სამკაულად მიჩნეული) [1053].

აღსანიშნავია, რომ ითხვისის იმავე სამაროვანზე ხით ნაგები მდიდრული სამარხების გვერდით გვხვდება აგრეთვე ჩვეულებრივი ორმოსამარხებიც, რომლებიც აგრეთვე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ამრიგად, ვანისა და საირხის მდიდრული სამარხების ფონზე სხვა ოლქებიდან ცნობილი თანადროული (ძვ.წ. V ს. – IV ს-ის პირველი ნახევარი) სამარხეული ინვენტარის შედარებითი განხილვა საკმაოდ თვალსაჩინოდ ავლენს კოლხეთის საზოგადოების ღრმა ქონებრივ დიფერენციაციას. ითხვისის, ქობულეთ-ფიჭვნარისა და სხვ. ცენტრების არამცთუ რიგითი მწარმოებელი საზოგადოების, არამედ უთუოდ წარჩინებულთა მდიდრულად მიჩნეულ სამარხეულ ინვენტართან შედარებისას ვანისა და საირხის წარჩინებულთა სამარხები გამოირჩევა როგორც განსაკუთრებული სიმდიდრით, ასევე ნივთების სინატიფითა და მაღალმხატვრული გემოვნებით. ეს სამარხები, ამრიგად, ეკუთვნიან საზოგადოების მმართველ ელიტას, რომელთა ხელთაა უკვე დაგროვილი უამრავი სიმდიდრე. თუ სწორია დებულება, რომ „წარჩინებულობის პირველსაფუძველი ქონებრივი დიფერენციაცია, სიმდიდრე კი არაა, არამედ პირიქით – თვით წარჩინებულობა და პრივილეგირებული მდგომარეობაა სიმდიდრისა და დაგროვების პირველწყარო," მაშინ სრულიად აშკარად კოლხეთის არქეოლოგიურ მონაპოვარში ასახულია ადგილობრივი საზოგადოების საკმაოდ გართულებული სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურა: უკვე არსებობს სოციალური თვალსაზრისით „იერარქიულად დაქვემდებარებული ჯგუფები, წრეები, ფენები ..." [1365, გვ. 59-67].

ძლიერი ქონებრივი დიფერენციაცია, აგრე თვალნათლივ რომ გამოჩნდა ძვ.წ. V-IV საუკუნეების სამარხეულ კომპლექსებში, საკმაოდ თვალსაჩინოდ ასახავს სიმდიდრის დაგროვების პროცესს საზოგადოების მცირერიცხოვანი ნაწილის ხელთ. კერძომესაკუთრულ ურთიერთობათა განვითარება კი წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე უფრო მძლავრ სტიმულსა და წინამძღვარს სოციალურად დაპირისპირებული კლასების წარმოქმნის რთულ პროცესში.

ასე და ამრიგად, თითქოს უკვე აღარ უნდა იწვევდეს არავითარ ეჭვს კოლხეთის ადგილობრივი საზოგადოების წიაღში მომხდარი ღრმა სოციალური დიფერენციაცია. აქ ჩვენს წინაშე დადგა კოლხეთის სამეფოს ისტორიის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა: სოციალურ ურთიერთობათა, კერძოდ კი – ექსპლუატაციის ფორმების საკითხი, რასაც აგრე დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურის განსასაზღვრავად. წერილობითი წყაროების არაჩვეულებრივი სიმცირის გამო აქ იძულებულნი ვართ მხოლოდ ზოგადი მითითებებით შემოვიფარგლოთ. ასე მაგ., აკად. გ. მელიქიშვილი შემდეგნაირ განსაზღვრას გვთავაზობს: „კოლხეთის სამეფო ადრეკლასობრივი სახელმწიფო იყო. საზოგადოების ზედაფენა მცირერიცხოვან მონებს გარდა ექსპლუატაციას უწევდა რიგით მეთემეთა – თავისუფალ თუ ნახევრად თავისუფალ მიწათმოქმედთა ფართო მასებს" [1180, გვ. 414].

ერთადერთი წყარო, რომლის მიხედვითაც შეიძლება ვიმსჯელოთ კოლხეთის სამეფოს სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის შესახებ, არის აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა." ამ თვალთახედვით ძვ.წ. III ს-ის ბერძნული ეპიკური პოემის ცნობები სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოიტანა პროფ. თ. მიქელაძემ, რომელმაც დასახელებული ნაწარმოები ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისა და I

ნივთებს: ოქროსა და ვერცხლის წვრილი მავთულის მცირე ზომის სადა რგოლები, ბრინჯაოს ოინოხოია და ჩამჩა, საწური და სტრიგილი, 4 ქიოსური ამფორა, შავლაკიანი ჯამები, თასები, კილიტები, სამარილე და ამფორისკი (სულ 9 ჭურჭელი), წითელფიგურული დიდებული კრატერი და ასკი; ან კიდევ 1967 წელს გათხრილი №6 სამარხის ინვენტარი: ოქროს 1 ფარაკიანი ბეჭედი და ქალაქ ქიზიკის 1 სტატერი, 1 ვერცხლის თასი, 2 ამფორა, ხოლო სააღაპე მოედანზე – თიხის კოჭბები, წითელფიგურული ლეკითოსი, ასკოსი, შავლაკიანი სამარილეები, ჯამები, ლანგრები, კილიკები. საერთოდ სხვა სამარხებშიც ოქროსა და ვერცხლის მხოლოდ თითო-ოროლა სამკაულია და სამარხეული ინვენტარიც ძირითადად კერამიკითაა წარმოდგენილი [1124].

ათასწლეულის დასაწყისის კოლხეთის საზოგადოებრივი წყობის ამსახველად მიიჩნია [1184, გვ. 160 და სხვ.]. რა თქმა უნდა, შესაძლოა, ჩვენ გარკვეული ეჭვით შევხედოთ ახოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ წარმოდგენილი კოლხეთის სოციალურ-ყოფითი რეალიების ასე ადრეული ხანით დათარიღების შესაძლებლობას, მაგრამ პროფ. თ. მაქალიძისეული ანალიზი ზოგიერთი სოციალური ტერმინისა უაღრესად საყურადღებოა და ანგარიშგასაწევი. ამასთან, მგონია, რომ ახოლონიოს როდოსელის პოემა შეიძლება ასახავდეს კოლხეთის საზოგადოებრივ ურთიერთობათა რამდენადმე რეალურ სურათს იმ დროისათვის მაინც, როდესაც ბერძნულ სამყაროში პირველად ჩნდება კოლხეთის მეტ-ნაკლებად დაწვრილებითი აღწერილობანი, ე.ი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ წარმოდგენილი სოციალურ-ყოფითი რეალიები უფრო ძვ.წ. VII-V სს-ის ვითარებას უნდა ასახავდნენ (შდრ. [1363]).

თ. მაქალაძის აზრით, კოლხეთის საზოგადოების ძირითად ნაწილს წარმოადგენდნენ თავისუფალი მეთემეები, რომელნიც ახოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ (III, 245) იწოდებიან როგორც „კოლხები,“ ან „ძენი კოლხებისანი“, ანდა პირდაპირ „დემეტრია“, რაც ნიშნავს „დემების წარმომადგენელს თუ მეთემეს“. ისინი იყვნენ ძირითადი მწარმოებლები – მიწათმოქმედნი, მელითონენი, მეთუნენი. ისინი მონაწილეობდნენ სახალხო კრებაში და ქმნიდნენ მეფის ლაშქარს. არათავისუფალი მწარმოებლები – მონები და მსახურნი „არგონავტიკაში“ მოიხსენიებიან ორი ტერმინით: „ἄμφιπολος“ (III, 247, 843, 870) და „δμῶς“ (III, 272, 299). ეს ტერმინები მონათა აღსანიშნავად მოხსენიებულია ჰომეროსის „ოდისეაშიც“: მათგან პირველი ტერმინი აღნიშნავს „მსახურ ქალს“ (უპირატესად „მხლებელს“), ხოლო მეორე – „მონას“, „ტყვეს“. ახოლონიოს როდოსელის თხზულების მიხედვით ეს უკანასკნელნი სამეფო კარს ემსახურებიან (დაწერ. [1184, გვ. 161-163], შდრ. [1365, გვ. 67-70]).

ამრიგად, უაღრესად მწირი წერილობითი ცნობების და მათი არქეოლოგიური მონაცემებთან შედარების საფუძველზე მაინც მეტ-ნაკლებად თვალსაჩინოდ ისახება ძვ.წ. VIII-IV სს-ის კოლხეთის საზოგადოების საკმაოდ რთული და მკვეთრად დიფერენცირებული საზოგადოებრივ-კლასობრივი სტრუქტურა. სოციალური იერარქიის უმაღლეს საფეხურზე იღგნენ მეფე და მისი მოხელეები, ე.ი. კლასი ადამიანებისა, რომელნიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ფლობდნენ საწარმოო საშუალებებს და ეწეოდნენ სხვისი შრომის ექსპლუატაციას. მათ უპირისპირდებოდა თავისუფალ მწარმოებელთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფენა – ძირითადად მეთემეები, რომელნიც თუმც ფლობდნენ წარმოების საშუალებებს, მაგრამ განიცდიდნენ მძაფრ-თველი ზედფენის ექსპლუატაციას ეკონომიკური იძულების გზით [1365, გვ. 68-69].

ბევრად უფრო მრავლისმეტყველი და საიმედოდ დოკუმენტირებული მონაცემები გვაქვს ძვ.წ. VII-IV ს-ის პირველი ნახევრის კოლხეთის ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ: ესაა არქეოლოგიური მასალები.

კოლხეთის ეკონომიკური განვითარებისათვის, პირველ რიგში კი მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციისათვის, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რკინის წარმოებას. სწორედ რკინის ფართოდ ათვისებამ, რომელსაც თან სდევდა თვისებრივად ახალი და მაღალი დონე წარმოების საშუალებათა დამზადებისა, შეასრულა უაღრესად დიდი როლი საწარმოო ძალთა განვითარებაში, რაც აღინიშნა კარდინალური ძვრებით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურსა და პოლიტიკურ სტრუქტურებში.

ძვ.წ. VIII-IV სს-ის კოლხეთში ყველა პირობა არსებობდა რკინის დამამუშავებელი წარმოების ინტენსიური განვითარებისათვის: 1. მდიდარი მადნული (ძირითადად მაგნეტიტური რკინისა) ქვეყნის სხვადასხვა ოლქებში; 2. ხე-ტყის სიმრავლე (ანტიკურ მწერალთა ცნობებით დადასტურებული),[211] რომელიც წარმოების ამარაგებდა აგრე მნიშვნელოვანი საწვავ-სათბობი მასალით; 3. ლითონის დამუშავების მრავალსაუკუნოვანი და უწყვეტი ტრადიციები.

ახლა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია რკინის მეტალურგიის სწრაფი განვითარება უკვე ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან – ყოველ შემთხვევაში VIII-VII სს-დან. ბუნებრივია, რომ VI-IV სს-ები უნდა მივიჩნიოთ რკინის ინდუსტრიის კიდევ უფრო ფართოდ განვითარებისა და აყვავების ხანად, რადგან ამ დროს როგორც საომარი, ასევე სამეურნეო იარაღებიც უკვე მთლიანად რკინისაგანაა დამზადებული.

სამწუხაროდ, ანტიკურმა ლიტერატურულმა ტრადიციამ არ შემოგვინახა ცნობები კოლხეთის რკინის მეტალურგიის შესახებ. კარგადაა ცნობილი მხოლოდ ბერძენ ავტორთა ცნობები ხალიბების – კოლხი მელითონე ტომების შესახებ. მაგრამ ძვ.წ. VI-IV სს-ში ხალიბები არ შედიოდნენ კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში, თუმცა რკინის მოპოვების ხალიბური წესი ფლოტაციისა არქეოლოგიურადაა დადასტურებული კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ოლქებში.

წერილობითი წყაროების სიმცირის პირობებში კოლხური მეტალურგიისა და, კერძოდ, რკინის დამუშავების შესწავლისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს არქეოლოგიურ მასა-

[211] იხ. მაგ., სტრაბონი, „გეოგრაფია“, XI, 2, 17 [320, გვ. 122], ვიტრუვიუსი, ათი წიგნი არქიტექტურაზე, II, 1, 4 [326, II, 1, გვ. 42], პანლიუსი, ასტრონომია [326, I, გვ. 58]; იხ. აგრეთვე [329, გვ.126-127].

ლებს, აგრეთვე ეთნოგრაფიულ მონაცემებს. ამ უკანასკნელთა მეშვეობით შეიძლება აღვადგინოთ ძველი მეტალურგიის ისტორიის არაერთი მხარე, არა მხოლოდ ტექნიკური, არამედ საკულტო-იდეოლოგიურიც.

ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე რკინის საბადოები ძირითადად დღევანდელ აჭარაში, აფხაზეთში, სვანეთსა და რაჭაშია თავმოყრილი. ამ მთიან ოლქებში თითქმის ყველგან გვხვდება რკინის ძველი გამონამუშევრები, რკინის საწური ქურის ნაშთები, წიდის გროვები ან სხვ. მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ყოველთვის ზუსტად ვერ თარიღდებიან. მაინც არაა გამორიცხული, რომ მათგან ბევრი ანტიკურ ხანაშიც იყო ექსპლუატაციაში.

ძვ.წ. VI-IV სს. რკინის დამუშავებელი წარმოების მძლავრი კერა აღმოჩენილია სვანეთში, ჭუბერის თემში. ლითონის პირველად დამუშავებასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი ნაშთები, საქშენი მილები და განსაკუთრებით წიდების განსაკუთრებული სიმრავლე არქეოლოგებს ავარაუდებინებს წარმოების ფართო მასშტაბებს, რაც რკინის მადნეულის უშუალოდ სიახლოვეზე იყო დაფუძნებული [1063].

რკინის წარმოების ნაშთები – რკინის საწური ქურა, საბერვლის მილები, დიდი რაოდენობის წიდები – ნაპოვნია კოლხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებშიც არგვეთის ოლქში, სოფ. ნავარძეთში [1034].

ძვ.წ. I ათასწლეულის (ანტიკური და წინარე ანტიკური პერიოდები) მძლავრი მეტალურგიული კერა ყველაზე უკეთ და თვალსაჩინოდ აჭარა-გურიის ტერიტორიაზეა გამოვლენილი. აქ მრავლადაა აღმოჩენილი რკინის საწნაო ქურები, შლაკი, ცეცხლგამძლე თიხის შესანახად განკუთვნილი მოქდენები, საქშენ-საბერველი მილები და სხვ. ნაშთები [1410].

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძვ.წ. VI-IV სს-ში რკინის დამუშავება წარმოებდა აგრეთვე მეტალოგენური რაიონებიდან დაშორებულ ცენტრებშიც. ამას კი ძალზე დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა შინა ეკონომიკური კავშირების შემდგომი განვითარებისათვის. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში საინტერესოა ქუთაისში ძვ.წ. V ს. კულტურულ ფენაში ნაპოვნი საბერველის მილი, ბოლომომწვარი. აქვეა ნაპოვნი კოლხური ტიპის მინიატურული ცულისა და აგრეთვე სატეხის ყალიბები, რამაც სხვა მონაცემებთან ერთად თავის დროზე ჩვენ იქ ძველი ქალაქის საწარმოო უბნის არსებობა გვავარაუდებინა [1156, გვ. 44].

რკინის წარმოების ფართო მასშტაბების პირდაპირი მოწმობაა ძვ.წ. VI-IV სს-ის კულტურულ ფენებში და, განსაკუთრებით, სამარხებში ნაპოვნი მრავალფეროვანი სამეურნეო და საომარი დანიშნულების საგნები: თოხები, ცულები, დანები და ნამგლები, მახვილები, სატევრები, შუბისა და ისრისპირები, ფარი, ცხენის აკაზმულობის ნაწილები და მრავალი სხვ. (სურ. 128).

ძალზე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ძვ.წ. VI-IV სს-ის რკინის ნაწარმი ტიპოლოგიური თვალსაზრისით ხშირად იმეორებს იმავე ფორმებს, რომლებიც კოლხეთში ბრინჯაოს ეპოქაში შეიქმნა. ასე მაგ. ძვ.წ. VI-IV და მომდევნო საუკუნეებშიც ფართოდ გავრცელებულ ცულ-ჩაქუჩებს გენეტურად ძვ.წ. II-I ათასწლეულების ცნობილ ბრინჯაოს კოლხურ ცულებს უკავშირებენ (სურ. 128₃). ზუსტად ასევე, ძალზე თავისებური ცელისებური წალდები, ალ. კალანდაძის დაკვირვებით, სათავეს ბრინჯაოს ცულებში იღებენ და უკანასკნელ დრომდეა გამოყენებული, მაგრამ ოდნავ სახეცვლილი, არა მხოლოდ ტყისა და ბუჩქნარის საკაფავად, არამედ ვენახისა და სხვა ხილის სასხლავად [1114, გვ. 28-29, 42-44].



სურ. 128. I. ძვ.წ. VII-V სს-ის რკინის ნაკეთობანი: 1. სახნისისებური იარაღი, 2. თოხი, 3. ცულები, 4. შუბისპირი, 5. სატევრები, 6. ნამგალი, 7. ღურძნები, 8. ლაგამი; II. რკინის სადნობი ქურა.



სურ. 129. ტიპოლოგიური ტაბულა: ზე რიგში – ბრინჯაო, ქვედა რიგში – რკინა [1310].

ამრიგად, სავსებით თვალსაჩინოა კოლხეთში რკინის დამუშავების მაღალი დონე და წარმო-

ების საკმაოდ ფართო მასშტაბები, რაც მიწათმოქმედებისა და საერთოდ სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარებისა და აგრეთვე – სამხედრო საქმის ინტერესებით იყო განპირობებული: რკინის სადნობი ჭურებისა და სასოფლო-სამეურნეო თუ საომარი იარაღების ასეთი არაჩვეულებრივი სიმრავლე, რაც, რამდენადაც ვიცი, ამ დროისათვის თითქოს არსად სხვაგან მსოფლიოში აგრე თვალსაჩინოდ არაა გამოვლენილი, ზემოთქმულის მჭერმეტყველი მოწმობაა. რკინის წარმოების ფართო მასშტაბების შესანიშნავი ილუსტრაციაა თითქმის ყველგან მთელს კოლხეთში რკინის იარაღების აგრე მრავლად აღმოჩენა. ასე მაგ. ერგეტის სამაროვანზე ძვ.წ. VII ს-ის მხოლოდ ერთ (მაგრამ კოლექტიურ) სამარხში აღმოჩენილია რკინის 142 თოხი, 28 სახნისი, 27 ნამგალი, აგრეთვე სეგმენტები (შესაძლოა, პრიმიტიულ სახნავ იარაღადაც გამოყენებული – შდრ. [1253]), ვაზის სასხლავი დანები და სხვ. ([1186], იხ. აგრეთვე [1197]).

ცნობილია, რომ სასოფლო-სამეურნეო იარაღების სამარხებში აღმოჩენა, საერთოდ, იშვიათი შემთხვევაა მსოფლიო არქეოლოგიაში. „მიუხედავად იმისა, რომ მიწისმოქმედებამ ადამიანთა ცხოვრებაში მთელი გადატრიალება მოახდინა, სასოფლო-სამეურნეო იარაღები თითქმის არასოდეს არ გვხვდება სამარხებში“ – წერდა გამოჩენილი ინგლისელი არქეოლოგი გორდონ ჩაილდი. კოლხეთში კი სასოფლო-სამეურნეო იარაღების სამარხებში აღმოჩენა საყოველთაოდაა დადასტურებული და მით ის თვალსაჩინო მოწმობაა ქვეყნის ეკონომიკაში მიწათმოქმედების წამყვანი როლისა, რაც აგრე თვალნათლივ აისახა ძველ ბერძნულ მითოლოგიურ წარმოდგენებშიც კოლხეთის შესახებ. ასე მაგ., არგონავტიკის ყველა ვერსიაში კოლხეთი განვითარებული მიწათმოქმედების ქვეყნადაა წარმოდგენილი და ეს ნიშანი მეფე აიეტშიაც ბრწყინვალედ განსახიერებული: მიწათმოქმედებაა კოლხთა მეფის ძლიერების სიმბოლო და ამიტომაც იგი ოქროს საწმისის მოსაპოვებლად მოსულ ბერძენთა წინამძღოლს იარაღით კი არ ეპაქრება, არამედ ხვნა-თესვაში გამოიწვევს, რადგან მხოლოდ მას ძალუძს „ხალენძისჩლიქებიანი, ცეცხლისმფრქვეველი ხარების უღელში შებმა“, სწორი, ღრმა ხნულების გავლება, დილიდან დაღამებამდე თესვა და მოსავლის მკა (შდრ. აპოლონიოს როდოსელი, „არგონავტიკა,“ III, 408 და შემდ., =[309, გვ. 197-198]). მითიური კოლხეთის ეს სიმბოლოც, რომელიც აგრეთვე წითელი ზოლივით გასდევს არგონავტიკის ყველა ვერსიას, რეალურ საფუძველზეა აღმოცენებული და შესანიშნავადაა (როგორც წინა თავში ვიხილეთ) ილუსტრირებული ძვ.წ. II და I ათასწლეულების მეტად მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალებით.

რკინის იარაღების გამოყენებამ უდიდესი როლი შეასრულა სამიწათმოქმედო მეურნეობის ინტენსიფიკაციაში, რამდენადაც იგი უკვე უზრუნველყოფილი იყო სხვადასხვა დანიშნულების ტყის საჩეხი და მიწის სათხრელ-დასამუშავებელი იარაღებით.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე აღარებულია, რომ მიწათმოქმედება კოლხეთში გუთნურ-თოხნითი იყო, რასაც მოწმობს რკინის სახნისებისა თუ სახნისებური იარაღების მრავლად აღმოჩენა ([1186, გვ. 76-78], [1197, ცხრილი 1]) და აგრეთვე ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი სახვნელი იარაღების საგანგებო შესწავლა [357], [1421].

მემინდვრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მარცვლეულ კულტურებს. მოყვადათ ფეტვი და სხვადასხვა ჯიშის მარცვლეული („მახა“, „რბილი ხორბალი“, „კოლხური სპელტა“), რომელთა ნაშთები გვხვდება ძვ.წ. I ათასწლეულის კოლხურ ნამოსახლარებზე. მარცვლეულის შესანახად იყო განკუთვნილი დიდი ზომის ქვევრები, რომელთაც ძირთან და მხრებზე სავენტილაციო ხვრელებიც აქვთ გაკეთებული. ტექნიკური კულტურებიდან ფართოდ იყო კულტივირებული სელი და კანაფი, რომლებიც ექსპორტის საგანსაც კი შეადგენდნენ [1357, გვ. 95-100]; [1365, გვ. 70-73].

არქეოლოგიური მასალები მოწმობენ აგრეთვე მევენახეობისა და მეღვინეობის ინტენსიურ განვითარებას [1355, გვ. 50-52], რაზედაც მეთითებს ვაზის სასხლავი რკინის დანებისა [1349, II, გვ. 37-38]; [1555, გვ. 55 და შემდ.] და საღვინე ჭურჭლის (ქვევრები, დოქები, სასმისები) სიმრავლე. ფიქრობენ, რომ მიწათმოქმედების ისეთი ინტენსიური დარგების განვითარება, როგორიცაა მევენახეობა და მებაღეობა, უთუოდ ხელს უწყობდა მიწაზე კერძო საკუთრების წარმოქმნას [441, გვ. 249].

კოლხეთის მიწათმოქმედების ცალკეული დარგების შესწავლა, ამრიგად, გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ სამიწათმოქმედო მეურნეობის განვითარების საკმაოდ მაღალი დონე, რაც უზრუნველყოფდა ჭარბი პროდუქტის წარმოებასა და სასაქონლო წარმოების განვითარებას.

მიწათმოქმედებასთან ერთად მეურნეობის დაწინაურებულ დარგს წარმოადგენდა მესაქონლეობა – წვრილი და მსხვილი რქოსანი პირუტყვის, ღორის, ფრინველის გაშენება, რასაც თვალსაჩინოდ მოწმობს ძვ.წ. VII-V სს-ის ნამოსახლარებზე მათი ძვლების ხშირი აღმოჩენები [1355, გვ. 99-100].

ძვ.წ. VII-V სს-ის კოლხური ნამოსახლარები არქეოლოგიურად ჯერ კიდევ სამწუხაროდ, სუსტადაა შესწავლილი. მაინც სავსებით აშკარად ისახება დასახლებათა საკმაოდ მყარი და ორგანიზებული სისტემა. შეიმჩნევა მათი აღმავლობა უკვე ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან და თანდათანობითი ზრდა. ძვ.წ. VIII-VII და მომდევნო საუკუნეებში კოლხეთში

ნამდვილი დემოგრაფიული აფეთქება აღინიშნება: ძალზე მჭიდროდ ჩანს დასახლებული როგორც ბარი, ასევე მთისწინა ზოლი და მთიანი ოლქები.



სურ. 130. ძვ.წ. VI-IV სს-ის კოლხური ხის არქიტექტურა: 1. კოლხური საცხოვრებელი სახლი ვიტრუვიუსის მიხედვით (გ. ლეჟავას რეკონსტრუქცია), 2. ძვ.წ. V-IV სს-ის ტაძარ-სამლოცველო ვანიდან (გეგმა, ჭრილი, ხის კონსტრუქციის ნაშთები) [8, IV], 3. ძვ. წ. V-IV სს-ის სასიმაგრო ნაგებობა მთისძირიდან [1054].

ძვ.წ. VII-V სს-ის (ისევე როგორც წინამორბედი ხანის) კოლხური დასახლებანი ძირითადად ხუტორული ტიპისაა [1184, გვ. 70-73]. ისინი განლაგებულია ბუნებრივ შემაღლებებზე ან ხელოვნურ მიწა-ყრილებზე. გარშემორტყმულია ერთი ან ორმაგი თხრილით, რომელთაც თავდაცვითი ფუნქცია ჰქონდათ. ძირითად საშენ მასალას ხე წარმოადგენდა.

კოლხური საცხოვრებელი სახლის აღწერილობა რომაელ არქიტექტორ ვიტრუვიუსთანაა შემონახული (იხ. ვიტრუვიუსი, „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ“, II, I, 4, 6):

„კოლხები პონტოს მხარეში ტყის სიუხვის გამო აწყობენ მიწაზე მარკვნივ და მარცხნივ მთლიან ხეებს ერთმანეთს შორის მათი სიგრძის ტოლი მანძილის დატოვებით, მათ ზემოდან კი თავსა და ბოლოს გარდიგარდმო გასდებენ სხვა ძელებს, რომლებიც ამგვარად ზღუდავენ ბინის შინაგან სივრცეს. შემდეგ, ოთხივე მხარეს კუთხეებში შეუღლებული ხეების თანდათანობითი წყობით ამოყავთ რა ძირითადი ძელების შვეულად ხის კედლები, აგებენ კოშკებს, და შუალედებს კი, რომლებიც ხეებს შორის რჩება მათი სისქის გამო, ამოავსებენ ფათხებითა და თიხით. ასევე (აგებენ) სახურავებსაც: გასდებენ რა ნაპირიდან დაცილებით გასაყარებს, რომლებიც ზევითკენ თანდათანობით მოკლდება, ოთხივე მხრიდან შუისკენ ამოჰყავთ პირამიდები, რომლებიც ფოთლებითა და თიხით დახურულნი წარმოადგენენ ბარბაროსთათვის კუსმაგარ კოშკურ სახურავებს“ (თარგმანი ლ. სუმბაძის [1401] – შდრ. [1232]).



სურ. 131, 1. სიმაგრის ნამოსახლარი. ძვ.წ. VI ს-ის დასასრული. ხის ძელური ნაგებობის ნაშთები [1185]

მკვლევართა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ვიტრუვიუსის აღწერილობაში წარმოდგენილია კოლხური საცხოვრებელი სახლის უძველესი ტიპი: ცენტრალურ ერდოიან-გვირგვინიანი კოშკურა ძელური ნაგებობა [1401], [1365, გვ. 149 და იქ დასახ. ლიტ.], [1232 და იქ დასახ. ლიტ.].

ვიტრუვიუსის ცნობები არქეოლოგიურადაც დახტურდება: კოლხეთის თითქმის ყველა კუთხეში აღმოჩენილია ძელური, „ჯვარგვალის“ წესით ნაშენი სახლების ნაშთები და მათი ცალკეული დეტალები [1589, გვ.17-18].

კოლხეთში ხის არქიტექტურის განვითარებას განაპირობებდა ტყეების (და მაშასადამე – სამშენებლო მასალის) სიმრავლე და კლიმატური პირობები. სამშენებლო წესების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან ძველი კოლხური ნამოსახლარების – ნამჭედურის [1390], ნოსირის [1065], სიმაგრის ([1185], [1383]) არქეოლოგიური გათხრები.

კოლხეთში აღმოჩენილი უძველესი ხის ნაგებობანი ძვ.წ. III ათასწლეულით თარიღდება და შენობის ძირითადი წესი („ჯვარგვალი“) თავს ინახავს თითქმის უკანასკნელ დრომდე.

ძვ.წ. VI-V სს-ის ხის საცხოვრებელი კომპლექსი ყველაზე უკეთ სიმაგრის ნამოსახლარზეა წარმოდგენილი (სურ. 131, 1-3). საცხოვრებელი ჩვეულებრივ შედგება ერთი ან რამდენიმე ძელურად ნაგები სწორკუთხა ოთახისა და დამხმარე სათავსოებისაგან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 131, 2. სიმაგრის ნამოსახლარი. ძვ.წ. VI ს-ის დასასრული. ფიცარნაგი.

არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, რომ კოლხეთში ფართოდ იყო გავრცელებული აგრეთვე თიხით ორმხრივ შელესილი ნაგებობანი, რასაც თვალსაჩინოდ მოწმობს ნამოსახლარებზე შრალად აღმოჩენილი ხის ძელებისა და წნულის ანაბეჭდებიანი ბათქაშის ფრაგმენტები. სიმაგრის ნამოსახლარზე დაფიქსირებულია სწორკუთხა (მეტწილად კვადრატული) თიხატკეპნილ იატაკიანი ხის ნაგებობანი (5,80 x 5,60 მ), რომელთა კედლებიც თიხით ყოფილა შელესილი [1185, გვ. 73]. ანალოგიური ნაგებობანი დადასტურებულია თითქმის მთელ კოლხეთში, მათ შორის მთიან ოლქებშიც (მაგ. ლეჩხუმში [1206]).

ზემოაღწერილი წესით შენდებოდა აგრეთვე საკულტო და საფორტიფიკაციო ნაგებობანიც.

ძვ.წ. V ს-ის ხით ნაგები და თიხით შელესილი საკულტო ნაგებობა აღმოჩენილია ვანში – ნაქალაქარის ზედა ტერასაზე (სურ. 132).

ესაა დღემდე უცნობი ტიპის ხით ნაგები ტაძარი-სამლოცველო ძვ.წ. V საუკუნისა, რომელიც ზედა ტერასის შუა ნაწილში ყოფილა აღმართული. ხის შენობა თავის დროზე თიხით ყოფილა შელესილი და იგი ძლიერი ხანძარისაგან დაღუპულა. ამიტომაც მთელი ფართობი დფარული იყო ცეცხლისაგან გამომწვარი და ძლიერ გაწითლებული თიხის ბათქაშებით, რომელთაც თვალნათლივ ეტყობოდათ ხის ფიცრებისა და წნულის ანაბეჭდები.

ეს ტაძარი-სამლოცველო თავისი გეგმით რუსული „П“-ს მოყვანილობისაა. საკმაოდ საინტერესოა მისი შშენებლობის ტექნიკა. ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების სიგანე ორ მეტრამდე აღწევს და შემდეგნაირადაა ნაგები: კედლების გარე და შიდა ნაწილები გრძივი ხის ძელებითაა შექმნილი, მათ შორის სივრცე კი ასევე ხის განივი ძელებითაა დატიხრული და შემდეგ თიხითა და რიყის ქვებით ამოვსებული. დანარჩენი ნაწილი კი წარმოადგენდა დახურულ კორიდორს, რომლის კედლები რამდენადმე განსხვავებული წესითაა ამოყვანილი: დაახლოებით 20 მეტრის სიგრძეზე კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი სწორკუთხა ფოსოების ორი ერთმანეთის პარალეური რიგია (5 მეტრი სიგანისა). სწორკუთხა ფოსოებში ჩადგმული აღმოჩნდა ხის გრძივად ჩადგმული მოკლე ძელები, რომლებიც თავისებური ბალიშის ფუნქციას ასრულებდნენ. ხის ბალიშებზე კი ჯარგვალის წესით ყოფილა ამოყვანილი განივად დაწყობილი ფიცრები, რომლებიც ქმნიდნენ დახურულ კორიდორის გარე და შიდა კედლებს. ამრიგად რუსულ „П“-ს მაგვარი შიდა ეზო, რომელიც აღმოსავლეთითაა ღია, წარმოადგენდა ღია ცის ქვეშ საღოცავსა და სარიტუალო მოედანს, დახურული კორიდორი კი შესაწირავისათვის იყო უთუოდ განკუთვნილი (შდრ. სურ. 132). აქ მრავლად აღმოჩნდა კოლხური თიხის ჭურჭელი და აგრეთვე რამდენიმე ფრაგმენტი ბერძნული მოხატული კერამიკისა ([8, IV, გვ. 30-35], [1314], [1227]).

ზე ფართოდ გამოიყენებოდა აგრეთვე საფორტიფიკაციო მშენებლობაშიც. სოფ. მოისხრში (ვანის ჩრდილოეთით 10 კმ-ზე) აღმოჩენილია ნაშთები ძვ.წ. V-IV სს-ის სწორკუთხა ნაგებობისა, რომელიც თავის დროზე კოშკის ფუნქციას ასრულებდა. შემონახა მისი ზეძირკველი (ცოკოლი), რომელიც შერეული ტექნიკითაა ნაგები: საფასოო ნაწილი ამოყვანილია კლდოვან დედაქანში ამოკვეთილ „ბუდეებში“ ჩასმული ქვის ფილებით, ხოლო შიდა ნაწილი – ხის ძელებით. მათ შორის სივრცე დატიხრულია და შევსებულია თიხანარევი ღორღით. კედლები თიხით ყოფილა შელესილი [1054].

მოსახლეობის ყოფისა და განსაკუთრებით კი რელიგიური რწმენა-წარმოდგენების შესახებ მრავალფეროვან ინფორმაციას შეიცავენ კოლხეთის რიგითი მიწათმქმედი მოსახლეობის სამარხები. დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ოლქებში აღმოჩენილ ინდივიდუალურ ინჰუმაციურ სამარხებთან ერთად [1132], [1134], [1344], [1405] დადასტურებულია მიცვალებულთა სრული კრემაცია. ამასთან ზოგჯერ ხდებოდა მიცვალებულის დაწვა სამარხს გარეთ და შემდეგ მისი ნაშთების ორმოში ჩასვენება ინვენტართან ერთად ან კიდევ – ნაწილობრივი კრემაცია (ძვლების დანაზშირებამდე) თვით სამარხ ორმოში [1192, გვ. 97-98], [1041], [1186, გვ. 14-16], [1197ა].

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საკმაოდ სპეციფიკური კოლექტიური სამარხები და მათთან დაკავშირებული საკულტო მოედნები. ცეცხლის ძლიერი კვალი, ცხოველთა ძვლების მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები და საგანგებოდ დამსხვრეული თიხის ჭურჭელი (დოქები, სასმისები) მოწმობენ, რომ „საკულტო“ მოედნებზე აღაპი და მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული რიტუალები სრულდებოდა. სამარხო ორმოები ამოჭრილია დედაქანში და საკმაოდ დიდი ზომისაა (ზოგჯერ მათი ფართობი 60 მ^2-საც კი აღწევს). საკულტო მოედნები და ზო

ჯერ კი სამარხი ორმოც რიყის ქვებითაა დაფარული. საკულტო მოედანზე აღმოჩენილ ადამიანთა ძვლებს აშკარად ეტყობათ ძლიერი ცეცხლის კვალი, რაც ნაწილობრივი კრემაციისა და სარიტუალო ცეცხლის გამოყენებით ე.წ. მეორადი დაკრძალვის წესზე მიუთითებს. ამგვარი კოლექტიური სამარხები კოლხეთის სხვადასხვა ოლქებშია დადასტურებული (იხ. სურ. 109, №№ 6, 9, 30, 39, 42, 47). ასეთ სამარხებში საკმაოდ მრავალრიცხოვანი ინვენტარია წარმოდგენილი: თიხის ჭურჭელი (ყურმილიანი დოქები, ორყურა ჭურჭელი, თასები და სასმისები), საომარი და სასოფლო-სამეურნეო იარაღები (ბრინჯაოს ცულები, რკინის თოხები, სეგმენტები, სახნისები, დანები და ნამგლები), სამკაული (ბრინჯაოს ხატისუღლები, მშვილდსაკინძები, სამაჯურები, აგრეთვე სარდიონის, გიშრის, ფერადი და გამჭვირვალე მინის მძივები), ადამიანისა და ცხოველთა ბრინჯაოს ქანდაკებანი (სურ. 133).



სურ. 131, 3. სიმაგრის ნამოსახლარი. ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისი. ხის ძელური ნაგებობის წყობა (დეტალი)

ვარაუდობენ, რომ საკულტო მოედნიდან განსვენებულის განსაკუთრებული ნაწილები, დაუწვავად, ინვენტართან ერთად (ქსოვილში ან ტყავში გახვეული) საგანგებოდ გამართული კორიდორით შეჰქონდათ დიდი ზომის სამარხ ორმოებში, რომელიც ხით იყო შემორაგული, ალბათ, გადახურულიც და ქმნიდა თავისებურ სახლს, აკლდამას, რომელიც შევსების შემდეგ მიწით ივსებოდა და მის ნაცვლად ახალი აიგებოდა ([1197ა, გვ. 4-6]). წერილობითი წყაროებიდან კერძოდ, ახალონიოს როდოსელის („არგონავტიკა,“ III, 200-210 =[309, გვ. 187], შდრ. [1443ა, გვ. 165-166], [1468ა]), აგრეთვე ნიმფოდორ სარაკუზელის, ნიკოლოზ დამასკელის, კლავდიუს ელიანეს და ფსევდო-პლუტარქეს ცნობებისა და არქეოლოგიური მასალების საფუძველზე ვარაუდობენ [1186], რომ ზემოაღწერილ კოლექტიურ სამარხებში დაკრძალვა ორ ეტაპად მიმდინარეობდა. ჯერ ხდებოდა მიცვალებულების ტყავებში გახვევა და ზეზე ჩამოკიდება, ხოლო შემდეგ არქეოლოგიურად დადასტურებული ზემოაღწერილი წესით დაკრძალვა [1197ა, გვ. 4-6]. ამავე სამარხებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა საინტერესოა იმითაც, რომ იგი გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს აგრეთვე კოლხთა რელიგიური რწმენა-წარმოდგენების შესახებ.[212]

საგანგებოდაა აღსანიშნავი, შეიძლება ითქვას, სრულიად უნიკალური და ბრწყინვალე არქეოლოგიური აღმოჩენა სოფ. ურეკში. აქ ძვ.წ. VII-VI სს-ით დათარიღებულ კოლხურ სამაროვანზე, ერთ-ერთ სამარხში ბრინჯაოსა და რკინის მრავალ სასოფლო-სამეურნეო იარაღთან ერთად ნაპოვნია ბრინჯაოს მცირე ზომის ქანდაკება, რომელიც წარმოსახავს ტახტზე მჯდომ ქალს, ხელში რომ ბავშვი უკავია (სურ. 134). ესაა „ღმერთების დიდი დედის“ ანუ „დიდი დედის“ ქანდაკება. მასთან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოს ქანდაკებები ფრანველებისა, ხარისა, შვლისა და ავაზის [1186, გვ. 59-62]. ძველი აღმოსავლური მითოლოგიის თანახმად, ცხოველები და ფრინველები „დიდი დედის“ განუყრელი თანამგზავრები არიან და ასახიერებენ „ღმერთების დიდი დედის“ უმთავრეს ფუნქციას. „დიდი დედა“ ხომ ნაყოფიერების სიმბოლოა,

[212] ძვ.წ. VII-V სს-ის კოლხთა რელიგიის შესახებ წერილობით მონაცემები არ გაგვაჩნია. ერთადერთი ცნობა შემონახულია ახალონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“, რომელიც თუმც ძვ.წ. III ს-შია შექმნილი, მაგრამ ავტორს გამოუყენებია უფრო ძველი წყაროები [1363] და ამდენად პოემაში წარმოდგენილი ზოგიერთი ცნობა უფრო ადრინდელი ვითარების ამსახველად შეიძლება მივიჩნიოთ. ჩვენთვის ამგვარად საინტერესოა ცნობა (III, 699) იმის შესახებ, რომ კოლხთა „უდიდესი საფიცარია“...„დიადი ზეცა (ურანოსი) და მის ქვეშ მყოფი დედამიწა (გეა)“. ეს უკანასკნელი „ღმერთების დედად“ არის მოხსენებული (III, 716). საინტერესოა, რომ ვაწში აღმოჩენილ ელინისტური ხანის ბერძნულ წარწერაშიც უმაღლეს ღვთაებად დასახელებული არიან გეა (დედამიწა), ჰელიოსი (მზე) და მეისი (მთვარე) [302]. ეთნოგრაფიული, ენობრივი და გვიანდელი წერილობითი ცნობებისა და აგრეთვე არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ვარაუდობენ, რომ კოლხთა პანთეონში უპირველესი ადგილი ეკავათ სწორედ მზესა და მთვარეს, რომელთაც თაყვანს სცემდნენ როგორც ანთროპომორფულ სამიწათმოქმედო ღვთაებებს (დაწვრ. [1184, გვ. 84], [1355, გვ. 122]).

მიწათმოქმედების მფარველი, მცენარეულობისა და ცხოველთა გამამრავლებელი, ყოვლისშემქმნელი მიწის უმაღლესი ღვთაება. „ღმერთების დიდი დედის“ კულტის არსებობა ამ დროის კოლხეთში სხვა მონაცემებითაც დასტურდება. ვანის მახლობლად სოფ. სულორში (ერთ-ერთ ადგილას, ადგილობრივი მოსახლეობა „საკაკლეს“ რომ უწოდებს) შემთხვევით, მიწის სამუშაოების დროს, აღმოჩნდა ძვ.წ. VIII-VII სს-ის კოლხური ბრინჯაოს ცული, რომლის ყუაზე სკულპტურული კომპოზიციაა. გამოსახულია ორი მხედარი, რომელთაც ზურგზე ისრიანი კაპარჭები აქვთ, ხოლო ერთ-ერთ მათგანს ხელთ კვერთხი უპყრია (სურ. 121). ესენი უთუოდ არიან „ღმერთების დიდი დედის“ მხედრები, რომელთა გამოსახულებანი ფართოდ იყო გავრცელებული ძველ ხალხებში. საინტერესოა, რომ თვით ვანშიცაა ნაპოვნი ძვ.წ. IV ს-ით დათარიღებული ოქროს საყურეები მხედრების გამოსახულებით (სურ. 150), რომელნიც შესაძლოა აგრეთვე „დიდი დედის“ მხედრებს წარმოსახავდნენ.



სურ. 132. ძვ.წ. V ს-ის ხის ტაძარ-სამლოცველო. ვანი (გეგმა და რეკონსტრუქცია)

შესაძლოა „დიდი დედის“ კულტთანაა დაკავშირებული აგრეთვე ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ძვ.წ. VIII-VII სს-ის სამსხვერპლო მოედანი, რომელზედაც რამდენიმე ასეული (!) ჭურჭლის ფრაგმენტია აღმოჩენილი (ისინი ნაწილობრივ წარმოდგენილია 135-137 და აგრეთვე 160-164 სურათებზე). იქვეა ნაპოვნი სხვადასხვა ცხოველთა (ირემი, ხბო, ღორი, ვერძი, ხარი და სხვ.) და ორ და სამთავიან ფანტასტიკურ არსებათა ტერაკოტული (გამომწვარი თიხის) ქანდაკებანი. ახლა ძნელია ამ სკულპტურულ გამოსახულებათა სიმბოლიკის ინტერპრეტაცია, განსაკუთრებით ორ და სამთავიან არსებათა (ისინი გვხვდება აგრეთვე ძველი ირანის, საბერძნეთის და იტალიის არქეოლოგიურ მონაპოვარშიც და იხსენიებიან ხეთურ ტექსტებშიც). გამორიცხული არ უნდა იყოს მათი კავშირი „დიდი დედის“ კულტთან, რამდენადაც მრავალი მაგალითია იმისა, რომ ხშირად „დიდი დედა“ – ღვთაება გამოისახებოდა ხოლმე მის მიერ შექმნილ და მას დამორჩილებულ სულიერ არსებათა სახით. ჯერ კიდევ II ს-ში ცნობილი რომაელი მწერალი ლუციუს აპულეუსი „დიდ დედას“ ათქმევინებს: „მე ვარ ბუნება, დედა ყველა სულიერისა, მპყრობელი სტიქიისა, საწყისი ყველა საწყისისა, უმაღლესი ღვთაება. თუმც ერთი ვარ მე, მაგრამ თაყვანს მცემენ ისევე მრავალსახეობით, რამდენი მიწიერი არსებაცაა ამ ქვეყანაზე“.



სურ. 133. ძვ.წ. VIII-VII სს-ის კოლექტიური სამარხის კომპლექსი. ერგეტა [1197ა]

ზემოგანხილული არქეოლოგიური მასალა მოწმობს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მითოლოგიური რწმენა-წარმოდგენების არაჩვეულებრივ სიმტკიცესა და უწყვეტ ეთნოკულტურულ ტრადიციებს. თავისთავად კი ეს თვალსაჩინო მოწმობაა იმისა, რომ ამ დროისათვის კოლხეთში უკვე სისტემის სახითაა ჩამოყალიბებული სამიწათმოქმედო კულტი, აგრეთვე მითოლოგიური შემოქმედება მისი მხატვრული გააზრებისა და წარმოსახვის ფორმებით.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძვ.წ. VIII-V სს-ში „დიდი დედის“ კულტს ოფიციალური, საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათი ჰქონდა (შდრ. [1349, გვ. 243-247], [1186, გვ. 62-65]).

კოლხთა ძველი რელიგიური რწმენების ამსახველი ბრინჯაოსა და თიხის ნაკეთობანი იმავ დროს წარმოადგენენ ძვ.წ. VII-V სს-ის მხატვრული ხელოსნობის შესანიშნავ ნიმუშებსაც. ა

ასპექტში არქეოლოგიური მასალები წარმოადგენდნენ მრავალმხრივ მნიშვნელოვან წყაროს ხელოსნური წარმოების ისტორიისთვისაც. ხელოსნური წარმოება კი შეადგენდა ერთ-ერთ ძირითად ნაწილს იმ ეკონომიკური ბაზისა, რომელზედაც დაფუძნებული იყო ძვ.წ. VII-IV სს-ის ბრწყინვალე და უაღრესად თავისთავადი კოლხური კულტურა.



სურ. 134. ძვ.წ. VII-VI სს-ის სამარხის ინვენტარი. ურეკი [1186]

ამჯერად ჩვენ არ ვისახავთ მიზნად კოლხური ხელოსნური წარმოების ყველა დარგის წარმოდგენას და მის ისტორიასთან დაკავშირებული საკითხების სრულად განხილვას (შდრ. [1365, გვ. 74-102]). განვიხილავთ მხოლოდ იმ დარგებს, სადაც ყველაზე უფრო თვალნათლივ მჟღავნდება როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე, ასევე კოლხური კულტურის სპეციფიკური ნიშნები და თავისთავადობა.

ხელოსნური წარმოების განვითარებისათვის რამდენიმე პირობაა აუცილებელი, პირველ რიგში, ნედლეული. ხელშემწყობ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე წინამორბედი ეპოქების ტექნიკური მემკვიდრეობა (ე.წ. მიმდევობითი მემკვიდრეობა). პროდუქციის დასახასიათებლად კი აუცილებელია განისაზღვროს ტიპოლოგიური მოდელი, დამზადების ტექნიკა და სტილი, ცალკეული საწარმოო ცენტრების პროდუქციის არეალი.

ძვ.წ. VI-IV სს-ის ნამოსახლარების კულტურული ფენების და სამარხების გათხრებისას მოპოვებული მასალის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან ნაწილს წარმოადგენს კერამიკა. ამ დროს თიხის ჭურჭელი ძირითადად სწრაფმბრუნავ კერამიკულ ჩარხზეა დამზადებული.

აღიარებულია, რომ კერამიკული ჩარხის შემოღება ყველაზე თვალსაჩინო და უტყუარი მოწმობაა კერამიკული წარმოების ცალკე და დამოუკიდებელ ხელოსნურ დარგად გამოყოფისა. თუ ეს ასეა, ამას კი თითქმის ყველა ერთხმად აღიარებს, ეს პროცესი, კერამიკული ხელოსნობის გამოყოფისა, დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე დაიწყო გაცილებით ადრე: ჩარხზე დამზადებული ადგილობრივი კერამიკა აქ თითქოს ჩნდება ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულსა და I ათასწლეულის დასაწყისში. ყოველ შემთხვევაში, სრულიად დანამდვილებით, ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების თიხის ჭურჭელი, რომელიც ჩვენთვის ვანის, დაბლაგომის, ანაკლიის, ოჩამჩირის, ქობულეთის და სხვა ნამოსახლარებიდან, აგრეთვე სოხუმის მახლობლად ე.წ. „წითელი შუქურას“ სამაროვნებიდანაა ცნობილი, უკვე ჩარხზეა ნაკეთები; ამავე დროს გამოირჩევა ფორმების სიმრავლითა და სინატიფით, მრავალფეროვანი გეომეტრიული ორნამენტით. ეს კი მოწმობს კერამიკული წარმოების ღრმა ფესვებს და ტექნიკური ჩვევების ფორმირების პროცესს ადგილობრივ ნიადაგზე. ძვ.წ. VIII-VII სს-ში განსაკუთრებით დამახასიათებელია კანელურებიანი ჭურჭელი (დერგები, დოქები და სხვ.), კონუსისებურძირიანი სასმისები, აგრეთვე რქისებურშვერილიანი (ე.წ. ზოომორფულ ყურიანი) თასები და დოქები (სურ. 135-137).



სურ. 135. ძვ.წ. VIII-VII სს-ის კოლხური კერამიკა [1403]

ძვ.წ. VI-IV საუკუნეების კოლხმა მეჭურჭლეებმა, ამრიგად, ჩარხიანი კერამიკის წარმოების ტექნიკური და მხატვრული მიღწევები თა-

ვიანთი წინამორბედი ეპოქისაგან მიიღეს. მრავალსაუკუნოვანმა ტრადიციებმა განაპირობეს ის ფაქტი, რომ კერამიკული წარმოება ძვ.წ. VI-IV სს-ის კოლხეთის ერთ-ერთ განვითარებულსა და მაღალდაწინაურებულ დარგს წარმოადგენს.



სურ. 136. კოლხური თიხის სასმისი. ძვ.წ. VIII-VII სს. ვანი [1403]

წარმოების ფართო მასშტაბის პირდაპირი მოწმობაა კერამიკული ნაწარმის არაჩვეულებრივი სამრავლე და მისი მრავალფეროვნება: სხვადასხვა ფორმის დიდი ზომის სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელი (ქვევრები, დერგები), მრავალგვარი დოქები, ქოთნები, კათხები, მათარები, სხვადასხვა ზომის სასმისები, ჯამები, თეფშები, საბეჭდავები, ლითონსადნობი ჭურა-სახელოსნოებისათვის განკუთვნილი მილები და სხვა (სურ. 138).

განსაკუთრებით დამახასიათებელია შავზედაპირიანი ქვევრები და დერგები, რომელნიც მარცვლეულის, ღვინის, ზეთის და სხვა სითხის შესანახად იყო განკუთვნილი (სურ. 138). ძვ.წ VI-IV სს. მათ აქვთ კარგად პროფილირებული (ჭრილში სამკუთხა მოყვანილობის) პირის გვირგინი, რომელიც ორნამენტირებულია თევზიფხურა, გრეხილი, რომბული თუ სხვა სახეებით.

ქვევრის მუცელგამობერილი ტანი დაფარულია წვრილი, მკაცრად ჰორიზონტალური ღარებით (თითქოს დაშტრიხულიაო) და შემკულია აგრეთვე რელიეფური ქედებით; ზოგიერთ ქვევრზე, უპირატესად ძვ.წ. IV ს-ში, გვხვდება ცხოველთა და ფანტასტიკური არსებათა გამოსახულებანი, რომელნიც სტილისტურად თითქოს იმეორებენ კოლხური ბრინჯაოს ცულების გრავირებულ გამოსახულებებს.

კოლხური ქვევრები, როგორც წესი, კარგად და თანაბრადაა გამომწვარი 750-800° ტემპერატურაზე. კეცი შეიცავს კვარცის, ქარსისა და პლაგიოკლაზის მინარევებს.



სურ. 137. კოლხური დოქი. ძვ.წ. VIII-VII სს. ვანი [1403]

ქვევრების დამზადება მეტად რთული და შრომატევადი პროცესია, რომლის შესახებ კონკრეტულ წარმოდგენას ეთნოგრაფიული მასალები გვიქმნიან. დიდი ზომის ქვევრების დამზადება რამდენიმე (ზოგჯერ 8-10) დღეს გრძელდებოდა და მასში რამდენიმე ოსტატი მონაწილეობდა.



სურ. 138. ძვ.წ. VII ს-ის დასასრულის - IV ს-ის პირველი ნახევრის კოლხური კერამიკის ძირითადი სახეობანი და ორნამენტაცია: 1. ქვევრი, 2, 6-7. დერგები, 4, 8, 10. დოქები, 3, 5. დეკორატიული ჭურჭელი, 9, 11-13. ქოთნები, 14, 15. ხუფები, 16-21. სასმისები, 22, 23. ჯამები [1167]

ქვევრების დამზადება აღრეანტიკური ხანის კოლხეთში წარმოგვიდგება როგორც სრულიად ჩამოყალიბებული და ცალკე დარგი კერამიკული ხელოსნობისა. ქვევრების ნატეხების არაჩვეულებრივი სიმრავლე ძვ.წ. VI-IV სს. ყველა კოლხურ ნამოსახლარზე უნდა მოწმობდეს იმას, რომ ქვევრების დამზადებაში დასაქმებული იყვნენ სპეციალიზირებული ხახელოსნოები. აქვე უნდა დავძინოთ, რომ სწორედ ამ ქვევრებით გაჭიანდათ კოლხეთიდან საექსპორტოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები: თაფლი, ცვილი და ა.შ., რასაც მოწმობს კოლხური ქვევრების ახლა უკვე ძალზე ხშირი აღმოჩენები ყირიმისა და საერთოდ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ბერძნულ ქალაქებში.

თავსაჩინო მრავალფეროვნებით ხასიათდება ყოველდღიური მოხმარების კერამიკაც. თუმცა საწარმოო კომპლექსები (სახელოსნოები, ქურები) ჯერ აღმოჩენილი არ არის, მაინც არავითარ ეჭვს არ იწვევს ამ კერამიკის ადგილობრივი წარმომავლობა. ამის მოწმობაა ტიპოლოგიური თავისებურებანი (ფორმა, ორნამენტი), რომელიც არ გვხვდება კოლხეთის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე თიხის შედგენილობა. ლაბორატორიულ-ტექნოლოგიურმა შესწავლამ ცხადყო, რომ სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების თიხის ჭურჭლებს თითქმის ერთგვაროვანი შედგენილობის კეცი აქვთ.

ძვ.წ. VI-IV სს-ის კოლხური კერამიკა ძირითადად შავი ფერისაა, ან ნაცრისფერზედაპირიანი. ზოგჯერ გაპრიალებულია. ფართოდაა გავრცელებული მრავალფეროვანი დოქები, რომელთაგან ტიპიურია ყურმილიანი დოქები (სურ. 138:4, 139), უპირატესად ბიკონუსური ფორმისა, სხვადასხვა ფორმის სასმისები, ჯამები და სხვ. (სურ. 138).



სურ. 139. კოლხური თიხის დოქი. ვანი. ძვ.წ. V ს. [1167]

სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების ჭურჭელი ერთიანდება ორნამენტული დეკორით: წნეხვით გამოყვანილი ვერტიკალური ხაზები, რომბული ბადე, სავარცხლისებური იარაღით შესრულებული ტალღოვანი ორნამენტი, სპირალური ხაზები, ნაჭდევი კონცენტრული წრეები, თევზიფხური და წიწვისებური ორნამენტი ძვ.წ. VI-IV სს-ის კოლხური კერამიკის დეკორის ძირითადი სახეებია და ერთდროულად გვხვდება სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების ჭურჭელზე (დაწვრ. [1167, იქვე დასახ. ლიტ.]).



სურ. 140. კოლხური თიხის დოქი. ვანი. ძვ.წ. V ს. [1167]

ძვ.წ. VI-IV სს-ის კოლხური კერამიკა გამოირჩევა საკმაოდ ნატიფი ფორმებით, რომელიც ან მკვეთრი ბიკონუსური მოყვანილობითაა ხაზგასმული, ან კიდევ ერთი ნაწილის მეორეზე თანაბარი გადასვლით. ჭურჭლის ფორმა და ხაზების კონტური მოხდენილადაა შერწყმული მკაცრ გეომეტრიულ ორნამენტთან. თავისი ტექნიკური თვისებებით კოლხი მეჭურჭლეების ნაწარმი ძირითადად საკმაოდ მაღალი თვისებებით გამოირჩევა და მისი საუკეთესო ნიმუშებით ხშირად არ ჩამოუვარდება იმპორტულს და აქტიურ კონკურენციას უწევს მას.

ძვ.წ. VI-IV სს-ის კოლხური თიხის ნაწარმის არაჩვეულებრივი სიმრავლე და მრავალფეროვნება მოწმობს არა მხოლოდ ხელოსანთა მაღალ პროფესიულ დონეს, არამედ კერამიკული წარმოების ძალიან ფართო მასშტაბსაც, რომელიც უკვე მასობრივი მოხმარებისათვისაა განკუთვნილი. ამას მოწმობს ჭურჭლის ფორმების ერთგვარი სტანდარტიზაცია და ერთი და იმავე ტიპის ჭურჭლის ფართოდ გავრცელება მთელს კოლხეთში სხვადასხვა და ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ ოლქებში: ქვევრები, ყურმილიანი დოქები, კონუსისებრძირიანი თუ მაღალფეხიანი სასმისები, ბრტყელძირა და ირიბკალთიანი ჯამები – აი, ძვ.წ. VI-IV სს-ის კოლხური კერამიკის ძირითადი კომპონენტები (სურ. 138), რომლებიც მთელ კოლხეთშია გავრცელებული, როგორც ზღვისპირა ნამოსახლარებზე – ბათუმიდან მოკიდებული სოხუმის მიდამოებამდე (ბათუმის ციხე, „კოხი“ ჩაქვის რაიონში, ქობულეთ-ფიჭვნარი, ფოთის მიდამოები, ონამჩირე, სოხუმი), ასევე კოლხეთის და-

ლობზე: მდ. რიონის ქვემო და შუა დინებაზე (მდ. ტეხურასა და ცხენისწყალს შორის, დაბლაგომი, ვანი და მისი მიდამოები, ქუთაისი და მისი მიდამოები), მის სათავეებში (ბრილი), მდ. სუფსა-ნატანების, ენგურისა და ყვირილას ხეობებში (საირხე, ითხვისი, არგვეთი, საჩხერე და სხვ.). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ამ ტიპის კერამიკის გავრცელება მთიან კოლხეთში – მდ. რიონის სათავეებში (დღევანდელი რაჭა-ლეჩხუმი), სადაც, როგორც ცნობილია, არ იყო ხელსაყრელი პირობები კერამიკული ხელოსნობის განვითარებისათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ ბრილისა და შრომისუბნის სამაროვნებზე, ცხეთასა და სხვაგან ნაპოვნი თიხის ჭურჭელი (ყურმილიანი ბიკონუსური დოქები, სასმისები, ჯამები და სხვ.) წარმოადგენდა მდ. რიონის შუა წელზე განლაგებული სახელოსნოების პროდუქციას. ასევე ენგურის ხეობით იგივე კერამიკა აღწევდა და ვრცელდებოდა კოლხეთის ყველაზე უფრო მაღალმთიან ოლქებში (სვანეთი) (დაწვრ. [1365, გვ. 77-79 და იქ დასახ. ლიტ.]). ზემოთქმული მოწმობს ძვ.წ. VI-IV სს-ის კოლხური კერამიკული ხელოსნობის სასაქონლო ხასიათს, რასაც დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა შიდაკოლხური ეკონომიკური კავშირების განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნული კერამიკის ტიპები, მათი სტანდარტიზებული ფორმები, რომელთაც ხვდება არქეოლოგი როგორც გათხრებისას, ასევე ზედაპირული დაზვერვებისას, ძვ.წ. VI-IV სს-ის ყველა კოლხურ ნამოსახლარზე, თანხვდება კოლხეთის სამეფოს საზღვრებს როგორც გეოგრაფიულ, ასევე ქრონოლოგიურ ჭრილში. ამ კერამიკის არეალი მოიცავს მთელს დღევანდელ დასავლეთ საქართველოს, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ – ზღვისპირა ზოლსა და ლიხის ქედს შორის, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დიდხა და მცირე კავკასიონებს შორის ტერიტორიას.

ქრონოლოგიური თვალსაზრისით, ზემოთ დახასიათებული ტიპის კერამიკის გავრცელებას ძვ.წ. VII საუკუნიდან ვარაუდობენ. ყოველ შემთხვევაში, უკვე საუბრით ჩამოყალიბებული ტიპების არსებობა დოკუმენტურადაა დადასტურებული ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანებიდან მაინც – ფოთის მახლობლად სიმაგრის ანტიკურ ნამოსახლარზე აღმოჩენები იონიური არქაული კერამიკის საფუძველზე. ამ კერამიკის ფართოდ გავრცელების ხანა კი მოდის ძვ.წ.-ის VI-V საუკუნეებზე და IV ს-ის პირველ ნახევარზე. თუმცა იგი გვხვდება IV ს-ის მეორე ნახევარშიც (დაწვრ. [1167]).

კოლხეთის ეკონომიკური განვითარებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რკინის მეტალურგიას და რკინის დამუშავებას საერთოდ, რის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა დაწვრილებით საუბარი. ძვ.წ. VI-IV სს-ში კოლხეთში გრძელდება ბრინჯაოს დამუშავებაც. თუმცა ამ დროს მას უკვე აღარ აქვს ისეთი დიდი სამეურნეო მნიშვნელობა, როგორც რკინის წარმოებას. ბრინჯაო ამ დროს გამოიყენებოდა ძირითადად სამკაულის დასამზადებლად (სამკაურები, ხატისუღლები, მშვილდსაკიდები, ბეჭდები, ბალთები და სხვ.), აგრეთვე საკულტო და სარიტუალო ნივთებისათვის, რომელთაგან ბევრი მხატვრული ხელოსნობის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს დიდი ზომის ბრინჯაოს ქვაბები – სიტულები, რომლებიც კოლხეთის სხვადასხვა ჰუნქტებშია ნაპოვნი – უპირატესად ძვ.წ. V საუკუნის სამარხებში (ქობულეთ-ფიჭვნარი, სოხუმი, ბრილი, ითხვისი, ვანი). ისინი (სურ. 141-143) თავისი ფორმით ზედმიწევნით იმეორებენ ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში საქართველოსა და კაკასიაში გავრცელებულ ბრინჯაოს ჭურჭელს, რომელთა ერთ-ერთ მწარმოებელ ცენტრად კოლხეთია მიჩნეული. ძვ.წ. V ს-ის ჭურჭელი იმავე ტექნიკითაა დამუშავებული: ნაჭედია ბრინჯაოს ფურცლებისაგან, რომელიც შემდეგ ყურების გასწვრივ და ქუსლის გარშემო მანჭვლებითაა შეკრული. სამაგიეროდ ძვ.წ. V ს-ის სიტულები უფრო ადრინდელისაგან პროპორციებითა და ძირითადად კი ყურის მოყვანილობით განსხვავდება. ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებული ჭურჭლის ყურის ზედა ნაწილი ზედმიწევნით იმეორებს იმავე ხანის კოლხური თიხის ჭურჭლის ე.წ. „ზოომორფული“ ყურების შემკულობას (სურ. 141).



სურ. 141. კოლხური ბრინჯაოს სიტულა. ძვ.წ. VII-VI სს. ბრილი [1202]

აღსანიშნავია, რომ ამგვარი ყურები ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრისთვისაა დამახასიათებელი და, როგორც წესი, აღარ გვხვდება ძვ.წ. VI-V საუკუნეებიდან. შესაბამისად განსხვავებულია სიტულების ყურების ფორმაც ძვ.წ. V საუკუნეში. ვანში ნაპოვნი ერთი სიტულის ყურის ზედა ნაწილი ცხოველის დაცქვეტილი და თავწაწვეტებული ყურების იმიტაციას წარმოადგენს და მით ზუსტად იმეორებს თიხის ჭურჭლის ყურების ფორმას, რომელიც

გვხვდება ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში (სურ. 142). ამგვარად, ჩანს მისი მორთვა ეპოქის მხატვრული სტილის მიხედვით. სიტულების მეორე ჯგუფის ყურები წნული ორნამენტითაა შემკული. ამასთან ვანში ნაპოვნ ერთ სიტულას ძირზე სვასტიკის გამოსახულება ამკობს. საგანგებოდაა აღსანიშნავი ვანში აღმოჩენილ ქალის სამარხში მიცვალებულის თავთან ნაპოვნი ბრინჯაოს ჭურჭელი (სიმაღლე დაახლ. 14 სმ), რომელიც თითქმის ზუსტად იმეორებს ზემოაღნიშნული სიტულების ფორმას (სურ. 143): ყურები წნული ორნამენტითაა შემკული, ხოლო ძირზე სვასტიკაა გამოსახული. შემორჩენილია სახურავი, რომელზედაც ცხოველთა გრავირებული გამოსახულებაა (ჯიხვი, მამალი, ლომი და ტახი), რომლებიც იმ ტრადიციულ სტილშია შესრულებული, კოლხური ცულებისათვის რომაა დამახასიათებელი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ტიპის ჭურჭლისა და ბრინჯაოს სხვა ნაკეთობათა საწარმოო ცენტრებს ტრადიციულად წარმოადგენდნენ კოლხეთის მთიანი ოლქები, ძველთაგანვე რომ იყვნენ ცნობილი მაღალგანვითარებული ლითონის დამუშავებით. ასეთ შემთხვევაში ბრინჯაოს სიტულების აღმოჩენები კოლხეთის სხვადასხვა ოლქებში (ქობულეთი, სოხუმი, ვანი, ითხვისი, რაჭა) შეგვეძლო მიგვეჩნია ჩრდილოეთ მთიან რაიონებში ინტენსიური წარმოების არსებობისა და შინაკოლხურ ეკონომიკურ ურთიერთობაში მათი აქტიური მონაწილეობის მოწმობად [772, გვ. 5], [38ა., გვ. 220-221], [1205, გვ. 32-34, 49-50], [1053, გვ. 37-38], [1365, გვ. 82-83].



სურ. 142. ბრინჯაოს ქვაბები-სიტულები. ვანი. ძვ.წ. V ს. [1169]

ბრინჯაოს სამკაულებთან ერთად ძვ.წ. VI-IV სს-ის კოლხეთში შზადდება და ხელოსნურ ნაწარმს წარმოადგენს ვერცხლის სამკაულიც: დიადემები, ხატისუღლები, საყურეები, სამაჯურები, ბეჭდები და ა.შ. სტილისტური თვალსაზრისით ისინი არსებითად იმეორებენ ოქროს სამკაულებს, რომელთა შესახებ საგანგებოდ ქვემოთ იქნება საუბარი.

უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ უკანასკნელ ხანებში გამრავლდა ვერცხლის ფიალების აღმოჩენის შემთხვევები. ზოგიერთი მათგანი (დაბლაგომის, ითხვისის, საირხის) ომფალოსიანია და ეკუთვნის აქემენიდურ ხანაში მთელს მახლობელ აღმოსავლეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთში გავრცელებული ფიალების ტიპს. ზოგიერთი თავისებურება და მათი სიმრავლე შეიძლება მართლაც მოწმობს იმას, რომ ასეთი ფიალების დამამზადებელი ერთ-ერთი ცენტრი კოლხეთში არსებობდა [1053, გვ. 37].



სურ. 143. ბრინჯაოს მცირე ზომის სიტულა და მისი სახურავი (გრავირებული გამოსახულებებით მორთული) [1169]

კოლხური მხატვრული კულტურის თავისებური და სპეციფიკური ნიშან-თვისებანი ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ ოქრომჭედლობაში მჟღავნდება.

კოლხური ოქრომჭედლობის უძველესი ნიმუშები ჯერ კიდევ ძვ.წ. VIII-VII სს-ით თარიღდება: სოფ. ურეკში ერთ-ერთ სამაროვანზე ნაპოვნია მტაცებელი ცხოველის თავით დაგვირგვინებული და ცვარათი მორთული სასაფეთქლეები [1186]. უხვად დაცვარული ოქროს სამკაულები ნაპოვნია ნოსირში, ჭუბურისხინჯში და ფარცხანაყანევში. მათ ძვ.წ. VII-VI სს-ით ათარიღებენ [1564, გვ. 12-22]. ძვ.წ. VI ს-ს გა-

ნეკუთვნება სიმაგრის ნამოსახლარზე აღმოჩენილი ოქროს სამკუთხა საკიდი, რომელიც ერთ მხარეს ცვარათი გამოყვანილი ხარის სტილიზებული გამოსახულებებითაა მორთული, ხოლო მეორე მხარეს – მეანდრის ორნამენტით (სურ. 144).

ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უკვე ძვ.წ. VII-VI სს-ში ეყრება საფუძველი კოლხური ოქრომჭედლობის იმ თავისებურ სტილს, რომელიც განსაკუთრებულ აყვავებას ძვ.წ. V-IV სს-ში მიაღწევს და რომლის შესანიშნავი ნიმუშები აღმოჩენილია ვანში, ხოლო უკანასკნელ წლებში აგრეთვე საირხეში [1189ა].[213]



სურ. 144. ოქროს საყურე. ძვ.წ. VI ს. სიმაგრე [1185]

ვანსა და კოლხეთის სხვადასხვა ცენტრებში ნაპოვნი ოქროს სამკაულები უაღრესად მრავალრიცხოვანია და ძალზე მრავალფეროვანი. ძვ.წ. V ს-ის თავსამკაულთაგან განსაკუთრებით ტიპიურია ოქროს (და ვერცხლის) დიადემები, რომელთა გრეხილი რკალი ჭედური გამოსახულებებით მორთული რომბისებური ფირფიტებითაა დაგვირგვინებული. ასეთი დიადემები ძვ.წ. V-IV სს-ში მხოლოდ კოლხეთისთვისაა დამახასიათებელი. ისინი, როგორც ჩანს, საგანგებოდ დაკრძალვის რიტუალისთვის იყო განკუთვნილი (დაწვრ. 1365, გვ. 86-88]). ვანის ერთ-ერთ დიადემაზე (სურ. 145) წარმოდგენილია ძველი აღმოსავლეთისა და არქაული საბერძნეთის ხელოვნებაში ფართოდ გავრცელებული სიუჟეტი ცხოველთა ბრძოლისა: ერთ ფირფიტაზე – ორი ლომი გლეჯს ზურგზე წაქცეულ ხარს, ხოლო მეორეზე – ქურციკს. ვანის ეს ოქროს დიადემა ძველი ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუშია და იგი უთუოდ გამოჩენილი ოსტატის მიერაა შესრულებული. ამას მოწმობს მარჯვედ აგებული ჯგუფური კომპოზიცია, ცხოველთა დამახასიათებელი ნიშნების ხაზგასმა, ნაოცი და მკვეთრი ნახატი... უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტი და პირდაპირი ანალოგია ვანის დიადემის გამოსახულებებს ვერ ეძებნება. ჩანს, ოსტატმა-დეკორატორმა უბრალოდ კი არ გაიმეორა, როგორც ეს ხშირად ხდებოდა ხოლმე, რომელიმე ცნობილი ნაწარმოები, არამედ თავისებურად და მაღალი მხატვრული ოსტატობით დაამუშავა იმ დროს მახლობელ აღმოსავლეთსა და ანტიკურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული სიუჟეტები, რომელთაც იქნებ ძველ კოლხეთშიც გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, თუმც ამ სიმბოლიკის რეალური შინაარსი დღეს, არსებითად მაინც, ძნელად გამოსაცნობია. დიადემის ოსტატმა – ოქრომჭედელმა შეძლო ჭედური ხელოვნების ხერხებით ხარსა და ქურციკზე ლომების თავდასხმის სცენების გადმოცემა, სარკისებურად ასახვა რომბული მოყვანილობის ფირფიტებზე და ამასთან სამფიგურიანი კომპოზიციების სამკუთხა ჩარჩოში მოთავსება, რაც უფრო მონუმენტური რელიეფისა და, კერძოდ, ფრონტონული კომპოზიციისათვისაა დამახასიათებელი. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ვანის დიადემის შემქმნელი კარგად იცნობდა ბერძნული ფრონტონული რელიეფის წარმოსახვის პრინციპებს. თანაბარი ზომის ფიგურები ზომიერად ავსებენ გამოსახულებისათვის განკუთვნილ მთელ სამკუთხა სივრცეს, რაც აგრე დამახასიათებელია გვიანარქაული ხანის ბერძნული ხელოვნებისათვის. ფიგურების განლაგება ემორჩილება ერთ საერთო გეგმას, თუმც დეტალებში შეინიშნება ერთგვარი თავისუფლება და გადახვევა. ამასთან ერთად, გამოსახულების შესრულების მანერა სრულიად განსხვავებულია ბერძნულისაგან და ახლოს დგას აღმოსავლურთან, ე.წ. აქემენიდურთან, თუმცა არ ემორჩილება მის კანონიკურ ნორმებსაც.

ვანში ნაპოვნი ოქროს დიადემა, რომელიც დაახლოებით ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებშია დამზადებული, თავისი ფორმით წმინდა კოლხურია, მაგრამ მისი მორთულობა მეტად რთული. იგი თითქოს აერთიანებს ძველაღმოსავლურ და ანტიკურ სიუჟეტებსა და კომპოზიციებს ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, წინა აზიის, ასურეთის, მანას სამეფოს, აქემენიდური ირანის ხელოვნებისათვის დამახასიათებელ სტილისტურ თავისებებს, სახეებსა თუ ცალკეულ ნიშ-

[213] ოქროს სამკაულები კოლხეთში უკვე ძვ.წ. III ათასწლეულშია დადასტურებული: სანხერესთან „ცარცის გორისა“ და სოფ. ქორეთის ყორღანებში ნაპოვნია ერთნაწევარი სპირალის ფორმის სასაფეთქლეები [774, გვ. 74], მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას დავსვათ საკითხი ოქრომჭედლობის უწყვეტი ტრადიციების შესახებ ძვ.წ. III ათასწლეულიდან მოკიდებული ანტიკურ ხანამდე.

ნებს. ეს გარემოება მოწმობს კოლხური ცივილიზაციის ძველ აღმოსავლურ ისტორიულ-კულტურულ ფესვებს და მჭიდრო კონტაქტს მის თანადროულ აქემენიდური ირანის და ანტიკური სამყაროს კულტურებთან.



სურ. 145. კოლხური ოქროს დიადემა. ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევარი. ვანი [1159], [1257]

ვანის დიადემა დამზადებულია, ჩვენი აზრით, ადგილობრივი ოსტატის მიერ, რომელიც აღზრდილი იყო ძველ წინააზიურ ტრადიციებზე, მაგრამ განიცდიდა თანამედროვე ირანული და აგრეთვე რამდენადმე ბერძნული ხელოვნების გავლენას (დაწვრ. [1157, გვ. 29-33], [1365, გვ. 85-90]).



სურ. 146. კოლხური ოქროს დიადემა. დეტალი. ძვ.წ. V ს-ის დასასრული ან IV ს-ის დასაწყისი. ვანი. [1257]

თავსამკაულის აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს აგრეთვე საყურეები და სასაფეთქლეები (სურ. 147-151), რომელნიც კოლხეთში ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში რამდენიმე ნაირსახეობითაა წარმოდგენილი. განსაკუთრებით დახასიათებულია ე.წ. ხბივანა საყურეები (სურ. 147), რომელნიც ამ დროს მთელს კოლხეთშია გავრცელებული და როგორც წესი, არ გვხვდება საქართველოს ფარგლებს გარეთ. ამიტომაც ისინი ისევე, როგორც დიადემები, ტიპიურ კოლხურ სამკაულებადაა მიჩნეული.

კოლხეთის სხვადასხვა ცენტრებში ნაპოვნი ოქროს, ელექტრუმისა და ვერცხლის ხბივანა საყურეები ერთმანეთისაგან შემკულობის ცალკეული დეტალებითა და უპირატესად კი „ხბივების“ რაოდენობით განსხვავდება. ამ ტიპის სამკაულის საუკეთესო ნიმუშები ისევ ვანშია ნაპოვნი. აქაური ხბივანა საყურეები რთული წესითაა დამზადებული: საყურე-რგოლის საფასადო მხარე მეტწილად ვარდულითაა მორთული, ხოლო „ხბივები“ კი ცვარათი შედგენილი პირამიდებით ბოლოვდება. განსაკუთრებით მდიდრულია „წარჩინებული კოლხი ქალის“ სამარხში აღმოჩენილი ხბივანა საყურეები (სურ. 147), რომელნიც იმავე დროს კოლხ ოქრომჭედელთა ფილიგრანული ტექნიკის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. საყურე-რგოლი მრგვალგანივკვეთიანი მავთულისგანაა დამზადებული. რკალი გახსნილია, ხოლო ბოლოები ისეა გახვრეტილი, რომ ფრინველის თავს მოგვაგონებს. საყურე-რგოლის წინა მხარე (ზედა ნაწილი) 16 ფურცლიანი მინიატურული ვარდულითაა დამშვენებული, სიგრძივ დაცვარულია, ხოლო ნაპირები დაკეჭნილი მავთულით გამოყვანილი „მარყუჟებითაა“ შემკული. რგოლს ქვემოთ განშლილი 6 „ხბივაც“ ცვარათი შედგენილი პირამიდებითაა დაბოლოებული და ჩიტის მინიატურული გამოსახულებებით მორთული. ამასთან ფრინველის გამოსახულებაც უხვადაა დაცვარული (თავი, მკერდი, ფრთები, ამასთან მკერდზე ორ რიგად განლაგებული სამკუთხედებია გამოყვანილი). სულ 8 სმ-ს არ აღემატება თითოეული საყურე და მის მოსართავად კი დამზადებულია რამდენიმე ასეული ოქროს ცვარა, რომელთა დიამეტრი ნახევარ მილიმეტრსაც კი არ აღემატება და მით გამოყვანილია რთული სახეები (პირამიდები, ფრინველთა ცალკეული დეტალები).



სურ. 147. კოლხური ოქროს საყურეები. ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევარი. ვანი. [1159], [1257]

ძვ.წ. V-IV სს-ის კოლხეთში გავრცელებულია აგრეთვე ე.წ. ჭვირული და სფერული ბურთულიანი ოქროს საყურეები (სურ. 148) და სასაფეთქლეები. ნაპოვნია ისინი ვანში, როგორც ძვ.წ. V ს. სამარხებში, ასევე ძვ.წ. IV ს.

სამარხებშიც ([1157, გვ. 33-35], [1365, გვ. 90-94], [1257, გვ. 27-31]).

ზემოაღწერილი ტიპის საყურეები თუ სასაფეთქლე რგოლები მხოლოდ კოლხეთისთვისაა დამახასიათებელი და არ გვხვდება საქართველოს ფარგლებს გარეთ. საგანგებოდაა აღსანიშნავი ვანში ნაპოვნი ოქროს საყურეები, რომელნიც გამოსახავენ ეტლზე მდგარ ცხენოსნებს (სურ. 150) და მოგვაგონებენ ახალგორის სასაფეთქლეებს ცხენების გამოსახულებით (სურ. 225), რომელთაც ანალოგები ძვ.წ. V ს. აქემენიდური ირანის ხელოვნებაში ვერ ეძებნებათ ([1157, გვ. 34-35, 101: შენიშვნა 56-57]). მასთან ერთად ძვ.წ. V-IV სს. კოლხეთში ვხვდებით აგრეთვე ისეთი ფორმის საყურეებსა და სასაფეთქლეებს, რომელნიც ამ დროს სხვა ქვეყნებშიცაა ფართოდ გავრცელებული ([1157, გვ. 35, 102: შენიშვნები 58-61]).



სურ. 148. კოლხური ოქროს საყურეები. ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევარი. ვანი. [1159], [1257]

ვანშია ნაპოვნი, მაგალითად, ე.წ. ნახევარმთვარისებური (თუ ნავისებური) მოყვანილობის საყურეები (სურ. 151), რომელთა ფორმა ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებიდან მოკიდებული ფართოდაა გავრცელებული როგორც წინა აზიაში (ჯერ ასურეთსა და ურარტუში, ხოლო შემდეგ აქემენიდურ ირანში), ასევე ხმელთაშუაზღვის-პირეთსა (კვიპროსი, კონტინენტური საბერძნეთი, ეტრურია) და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში (დაწვრ. იხ. [1365, გვ. 92-93 და იქ დასახ. ლიტ.]). მაგრამ მათგან განსხვავებით კოლხეთში ნაპოვნი ნახევარმთვარისებური საყურეები (და ცხენოსნის გამოსახულებიანი სასაფეთქლეები) ისევეა შედგენილი, როგორც წმინდა კოლხური ტიპის (სხივანა და ჭვირულბურთულიანი) საყურეები: საყურეებზე რგოლის საფასაღო მხარე შემკულია მინიატურული ვარდულითა და ცვარათი გაწყობილი ან დაკეჭნილი მავთულით გამოყვანილი „მარყუჟებით". ესაა საყურე-რგოლის მხატვრული გაფორმების თავისებურება, რომელიც ამ სახით საქართველოს ფარგლებს გარეთ არ გვხვდება ([1157, გვ. 35, 102: შენიშვნა 63]). მასთან ერთად საყურეებისა და სასაფეთქლეების მორთვაში უზვადაა გამოყენებული ზედაპირის დაცვარვა სამკუთხა თუ რომბული სახეებით, ხოლო სხივანა და ჭვირულბურთულიანი საყურეების შემკობა ცვარათი შედგენილი პირამიდებით. ასეთივე სტილისტური ნიშნებით ხასიათდება და სრულიად უეჭვოდ კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებს წარმოადგენს ძვ.წ. V ს. ვანის სამარხებში ნაპოვნი მრავალრიცხოვანი და ნაირსახოვანი ოქროს მძივები და საკიდები. მათ შორისაა მინიატურული ჩიტის, ვერძისა და ხბოს თავის გამოსახულებანი [1257].



სურ. 149. კოლხური ოქროს საყურეები. ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევარი. ვანი. [1165]

ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუშია კუს გამოსახულებიანი საკიდები, რომელნიც ყელსაბამის ნაწილებს წარმოადგენს. კუს თვალები პასტითაა ინკრუსტირებული, ხოლო ზურგი ცვარათი გამოყვანილი სამკუთხედებითაა მორთული (სურ. 152).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკე ჯგუფს ქმნიან სამაჯურები [1257, გვ. 47-49], რომელნიც დაგვირგვინებულია ღომის, ხბოს, ვერძისა თუ სხვა ცხოველთა თავების სკულპტურული გამოსახულებებით. სტილისტურად ისინი არ განსხვავდებიან აქემენიდურ სამყაროსა და ხმელთაშუაზღვისპირეთში გავრცელებული სამაჯურებისაგან. საგანგებოდ აღსანიშნავია ვანში აღმოჩენილი ძვ.წ. V საუკუნის ოქროს სამაჯური, რომელიც ტახის სკულპტურული გამოსახულებითაა დამშვენებული (სურ. 153). სტილისტური თვალსაზრისით ვანის სამაჯურის ტახის გამოსახულებანი რამდენადმე უახლოვდებიან ირანისა და მცირე აზიის ტერიტორიაზე ცნობილ ბრინჯაოს ტახის გამოსახულებებს, მაგრამ მათგან განსხვავდებიან ზოგიერთი დეტალის (ყურის, ჯაგრის) გადმოცემით და, რაც მთავარია, უფრო გრაფიკულ-დეკორატიული სტილითა და რამდენადმე სკულპტურულობით [1157, გვ. 36]. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ვანში იმავე სამარხში, სადაც ოქროს ტახიანი სამაჯურია, ნაპოვნია ვერცხლის საკიდებიც, რომელნიც ზედმიწევნით იმეორებენ სამაჯურზე გამოსახულ ტახის ფიგურას (შდრ. [8, I, გვ. 229, № 32]).



სურ. 150. კოლხური ოქროს სასფეთქლები. ძვ.წ. V ს-ის დასასრული ან IV ს-ის დასაწყისი. ვანი. [1159], [1257]

მდიდრულ სამარხებში მრავლადაა აგრეთვე ნაპოვნი ოქროს წვრილი ნივთებიც: მძივსაკიდები, ტანისამოსის მოსართავი ღილაკები და კლიტები, ჰერალდიკური ნიშნები, რომელთაგან საგანგებოდა აღსანიშნავი ფრთაგაშლილი არწივის გამოსახულებანი (სურ. 154) და სხვ. [1257].



სურ. 151. ოქროს საყურეები. ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი. ვანი. [1257]

საერთოდ, კოლხეთში აღმოჩენილი ოქროს სამკაული საკმაოდ მრავალფეროვანია და მეტად მრავალრიცხოვანი! მაგრამ ხასიათდება გასაოცარი მხატვრულ-სტილისტური ერთიანობით. მათ ადგილობრივ, ე.ი. კოლხურ წარმოებაზე მიუთითებს მხატვრული ფორმის ორიგინალობა, რომელიც მეტწილად მხოლოდ კოლხეთისათვისაა დამახასიათებელი, ზოგიერთ შემთხვევაში გენეტურად უკავშირდება (როგორც ფორმით, ასევე დეკორით) წინამორბედი ხანის ბრინჯაოს კულტურის ძეგლებს და, როგორც წესი, არ გვხვდება კოლხეთისა (და საერთოდ ძველი საქართველოს) ფარგლებს გარეთ. ასეთებია, პირველ რიგში: დიადემა, „ხივანა“ და ჭვირულბურთულიანი საყურეები, თუ სასფეთქლე რგოლები, მძივსაკიდების ზოგიერთი ფორმა და სხვ., რომელსაც იმეორებენ აგრეთვე ვერცხლისა და ბრინჯაოს ნაკეთობანი. ვახსა და კოლხეთის სხვა ცენტრებში ნაპოვნი ოქროს ნივთების ადგილობრივი წარმოშობის უტყუარი მოწმობაა მათი სტილისტური და ტექნიკური ერთიანობა, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა საყურეებსა და სასფეთქლეებში: სულ სხვადასხვა საყურეები, რომელთა ფორმა ორგანულურია („ხივანა“ და „ჭვირულბურთულიანი“) თუ ნასესხები („ნახევარმთვარისებური“) მაინც ერთნაირადაა შემკული: რგოლის საფასადო მხარე შემკულია მინიატურული გარდულითა და უხვადაა დაცვარული, რაც ძვ.წ. V საუკუნეში მხოლოდ კოლხეთისათვისაა დამახასიათებელი და ამ ხასით, როგორც უკვე აღნიშნეთ, არ გვხვდება ძველი საქართველოს ფარგლებს გარეთ (იხ. აგრეთვე ქვემოთ სურ. 181-182).

ძვ.წ. V-IV სს-ის კოლხური ოქროს სამკაულისათვის დამახასიათებელია აგრეთვე გავარისის ფართოდ გამოყენება. სულ სხვადასხვა

ფორმისა და დანიშნულების ნივთები (საყურეები, სასაფეთქლეები, ნაირსახოვანი საკიდები და მძივები, ბალთები) ამ დროს უხვადაა დაცვარული და ამასთან შემკულია ცვარათი გამოყვანილი პირამიდებით, სამკუთხედებით, რომბული ან სხვა გეომეტრიული სახეებით. ფრიად საინტერესოა, რომ ძვ.წ. V ს. ვანის მდიდრულ სამარხებში გვხვდება აგრეთვე ასეთივე წესით შემკული ვერცხლის ნივთებიც [8, I, გვ. 229-234], [1157, გვ. 37, სურ. 19], რაც საერთოდ იშვიათია და, თავის მხრივ, გავარსის ტექნიკის კოლხეთში ფართოდ გავრცელების კიდევ ერთი თვალსაჩინო მოწმობაა.



სურ. 152. ოქროს ყელსაბამი. ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევარი. ვანი [1257]

ოქროს ნივთებისა და სამკაულის ცვარათი გამოყვანილი პირამიდებითა და სამკუთხედებით, რომბული თუ სხვ. გეომეტრიული სახეებით შემკობა ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული მხატვრულ-სტილისტური ხერხია აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის მაღალ კულტურულ ქვეყნებში. ეს იყო იმ დროს ფართოდ გავრცელებული მოდა, რომელმაც, როგორც ჩანს, აგრეთვე კოლხეთამდეც მიაღწია, სადაც მოხდა მისი თავისებური ათვისება, გადამუშავება და ორგანულად დაკავშირება საუკუნეების მანძილზე შემუშავებულ ადგილობრივ მხატვრულ ფორმებთან და სახეებთან. ამის შედეგად შეიქმნა თავისებური კოლხური ოქრომჭედლობის განუმეორებელი სტილი, რომლის შესანიშნავი ნიმუშებიც ვანშია მრავლად აღმოჩენილი ([1157, გვ. 28-40], [1365, გვ. 84-100], [1452, გვ. 261-280], [1165, გვ. 12-17, 368-376], [1257], [1438]).



სურ. 153. ოქროს სამაჯურები. ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევარი [1159], [1257]

უახლესი აღმოჩენების საფუძველზე შეგვიძლია სრულიად თამამად ვამტკიცოთ, რომ ძვ.წ. V-IV სს. (აგრეთვე უფრო გვიან III-II სს-ში) ძველ ვანში და კოლხეთის სხვა ცენტრებში (მაგ. საირხეში [1189]) არსებობდა პროფესიონალ ხელოსანთა ძლიერი სკოლა, რომელიც ურთულესი ტექნიკური ხერხების გამოყენებით (კვერვა-ჭედვა, რჩილვა, გავარსი, ტვიფრვა) საუკუნეების მანძილზე ქმნიდა მხატვრულ ოქრომჭედლობის უბრწყინვალეს ნიმუშებს. ანჭყონიამ ვანის შემთხვევით მონაპოვარში გამო-

ჟო ერთი მცირე, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი ჯგუფი ოქროს ნივთებისა: ნამზადი – ჭდეებიანი მავთული, ოქროს „წვეთები“, ზოდი და გამოუყენებელი ნატვიფრი ფირფიტის ფრაგმენტი. ეს ნივთები ა. ჭყონიას საწარმოო პროცესის ნამთბად მიაჩნია [1257, გვ. 92 და შემდ.].

ამგვარად, გვაქვს ყველა საფუძველი იმისათვის, რომ ძვ.წ. VI-V სს-ის მახლობელი აღმოსავლეთის ოქრომჭედლობის ცნობილი ცენტრების (აქემენიდური ირანი, ეგვიპტე, კვიპროსი, ლიდია, არმენია, მიდია, ბაქტრიანა) გვერდით კოლხეთიც დავასახელოთ ([1157, გვ. 38-39]), მით უფრო, რომ, როგორც ცნობილია, კოლხეთში ოქროს მოპოვებასა და დამუშავებაზე ბერძენ-ლათინი მწერლებიც მოგვითხრობენ და მას „ოქრომრავალ“ ქვეყანას უწოდებენ (დაწვრ. კოლხეთის „ოქრომრავლობასა“ და ოქროს მოპოვებაზე ქვემოთ იქნება საუბარი).



სურ. 154. არწივის ოქროს ფირფიტოვანი გამოსახულებანი. ძვ. V-IV სს. ვანი [1257]

აქ წარმოდგენილი მიმოხილვა არ არის სრული. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი დარგი განვიხილეთ. ამას გარდა, აქ განხილულიც ხშირად შორსაა კვლევის სასურველი სიღრმისაგან. ჯერ კიდევ წინაა ძალზე შრომატევადი სამუშაო ცალკეული საწარმოო ცენტრების ლოკალიზაციისა და თითოეული მათგანის პროდუქციის გასაღების არეალის განსასაზღვრავად. ძალზე მნიშვნელოვანი იქნებოდა სტატისტიკური მეთოდების გამოყენება. ამისათვის აუცილებელი იქნება მასალის აღწერა ე.წ. ფორმალიზებული ენით, ხელოსნური ნაწარმის ცალკეულ სახეობათა აღსანიშნავი მათემატიკური მოდელის შექმნა, იმისათვის რომ გვქონდეს ინფორმაციის ეფექტური სისტემა. მწვავედ იგრძნობა წერილობითი წყაროებისა და განსაკუთრებით დოკუმენტური ეპიგრაფიკული ძეგლების უქონლობაც, კერძოდ, ხელოსნური წარმოების ორგანიზაციის ისტორიის შესასწავლად. მაგრამ უკვე ახლა, ჩვენს ხელთ არსებული ზემოთ განხილული მასალების საფუძველზე შეგვიძლია არა მხოლოდ დავადასტუროთ მრავალდარგობრივი ხელოსნური წარმოების მნიშვნელოვანი როლი და ადგილი კოლხეთის ეკონომიკაში, არამედ გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრებაც, რომელთაც ექნებათ გარკვეული მნიშვნელობა კოლხეთის სამეფოს სოციალურ-ეკონომიკური დონის საილუსტრაციოდ ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში:

1. მრავალდარგობრივი ხელოსნური წარმოება კოლხეთში დაფუძნებული იყო ადგილობრივ, საკმაოდ მდიდარ ნედლეულზე;

2. ხელოსნური წარმოების ინტენსიური განვითარებას ხელს უწყობდა ტექნიკური ჩვევების სრულყოფის მრავალსაუკუნოვანი და უწყვეტი ტრადიციები, ლითონის დამუშავებისა და კერამიკული წარმოების ძირძველი მყარი მემკვიდრეობითი იდეები;

3. ხელოსნური ნაწარმი, როგორც წესი, საკუთარი, ე.ი. კოლხური ტიპოლოგიური მოდელითაა წარმოდგენილი (შდრ. ქვემოთ სურ. 181-182) და თვალსაჩინო მოწმობაა ადგილობრივი მხატვრული და ტექნიკური ტრადიციების სიმძლავრისა;

4. ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში სავსებით აშკარად შეინიშნება ხელოსნური ნაწარმის ძირითადი ფორმების სტანდარტიზაცია: სხვადასხვა საწარმოო ცენტრები, ზოგჯერ ალბათ, ტერიტორიულად ერთმანეთს საკმაოდ დაშორებულიც, ამზადებენ ფორმითა და ორნამენტაციით ერთგვაროვან პროდუქციას.

ხელოსნური ნაწარმის უნიფიკაცია და ამგვარად საერთო კოლხური ტიპის ნივთიერი კულტურის შექმნა უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც ასახვა შიდაკოლხური ეკონომიკური კავშირებისა (რაც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაშიც შეინიშნება), არამედ, პირველ რიგში, როგორც შედეგი შიდაკოლხური ეკონომიკური და აგრეთვე, კულტურული ერთობისა.

კოლხური ხელოსნობა ძვ.წ. VI-IV სს. აშკარად სასაქონლო ხასიათს ატარებდა. ამას მოწმობს ხელოსნური ნაწარმის საწარმოო ცენტრებიდან დაშორებულ ოლქებში გავრცელება. ძალიან რთულია საკითხი ხელოსნური ნაწარმის რეალიზაციის ფორმების შესახებ. მიუხედავად ფულადი მიმოქცევისა (იხ. ქვემოთ), უნდა ვიფიქროთ, გაცვლის ძირითად ფორმას, როგორც ამას ეთნოგრაფიული მასალებიც გვიდასტურებენ, წარმოადგენდა ვაჭრობა ნივთებითა და პროდუქტებით.

ხელოსნური წარმოების ინტენსიური განვითარება უთუოდ ხელს უწყობდა ვაჭრობის სტრუქტურის გართულებას. მნიშვნელოვან როლს ამ პროცესში ასრულებდა კოლხეთის მოსახლეობის ეკონომიკური კონტაქტები გარე სამყაროსთან, კერძოდ, კოლხეთის ჩართვა საერთაშორისო ვაჭრობის ორბიტაში (რის შესახებ დაწვრ. ქვემოთ იქნება საუბარი).

ჩვეულებრივ სვამენ საკითხს ხელოსნური წარმოების როლის შესახებ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში. ამჟამად ჩვენ არ გვაქვს პირდაპირი მონაცემები, თუ კონკრეტულად რა როლი შეასრულა ხელოსნურმა წარმოებამ კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის გართულებაში. ეფექრობ, დღეს მაინც აქ არა აქვს აზრი რაიმე საგარაუდებელი გონებაჭვრეტითი დასკვნების კეთებას მხოლოდ და მხოლოდ ანალოგიების საფუძველზეც, რომელთა კანონზომიერებაც ვთით მოითხოვს ხოლმე სერიოზულ არგუმენტაციას.

ამჯერად, ვფიქრობთ, უფრო მართებული იქნება, რომ ასეთი მრავალდარგობრივი ხელოსნური წარმოების არსებობაში, რომელიც სავსებით აშკარაა ძვ.წ. VI-IV სს. კოლხეთში, დავნაზოთ ასახვა საზოგადოების რთული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურისა. ჩვენი აზრით, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ხელოსნობის ზოგიერთი დარგის (პირველ რიგში კი საიუველირო ხელოსნობისა და აგრეთვე იმ დარგებისა, რომელთა პროდუქციას ფუფუნების საგნები, ძვირფასი სამკაულები, ხელისუფლების ინსიგნიები და მისთანანი), განვითარება პირდაპირი შედეგია სწორედ საზოგადოების საკმაოდ მკვეთრი სოციალური და უფლებრივი, აგრეთვე ქონებრივი დიფერენციაციისა. კიდევ მეტი, ხელოსნობის მთელი რიგი დარგების წარმოშობა და ფართოდ განვითარება, ასე მკაფიოდ რომ გამოჩნდა არქეოლოგიურ მონაპოვარში, უნდა უკავშირდებოდეს და უნდა იყოს შედეგი საზოგადოების შიგნით მმართველი ზედაფენის წარმოქმნის და მათი რეზიდენციის, როგორც პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრის (სკიპტუხია) განვითარებისა. აქ ზდებოდა, უთუოდ, კონცენტრაცია ხელოსნობის ძირითადი დარგებისა, ყოველ შემთხვევაში სრულიად დანამდვილებით – ლითონის დამუშავებისა და, პირველ რიგში, საომარი იარაღის დამამზადებელი სახელოსნოებისა. საინტერესოა, რომ იარაღ-საჭურველი ამ დროს მხოლოდ მმართველი ზედაფენის სამარხებში გვხვდება. აქვე, მმართველი ზედაფენის რეზიდენციასთან, ე.ი. ადმინისტრაციულ ცენტრებში ხდებოდა კონცენტრაცია სამშენებლო საქმის ოსტატებისა, საიუველირო ხელოსნობის, ძვირფასი ლითონის და თიხის ჭურჭლის, ძვირფასი ქსოვილებისა და საერთოდ ფუფუნების საგნების დამამზადებელი სახელოსნოებისა. სწორედ ხელოსნური წარმოების კონცენტრაცია გარკვეულ ცენტრებში და შესაბამისად ბაზრის წარმოქმნა იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქალაქური ცივილიზაციისაკენ. საქალაქო ცხოვრებაზე გადასვლა კი ნიშნავდა მძლავრი მწარმოებელი და აგრეთვე სოციალური ფაქტორის გაჩაჩენად. ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ მასალებში ამ პროცესის შედეგი უკვე ჩამოყალიბებული სახითაა წარმოდგენილი: პროფესიული ხელოსნობის ზოგიერთი დარგის განვითარების ეს მაღალი დონე შეიძლება განვიხილოთ როგორც მოწმობა კოლხეთის საზოგადოების ურბანიზაციისა, თუმც კონკრეტული გზა ამ პროცესისა და მისი სტრუქტურა ჯერ კიდევ უცნობია.

ახლა ჩვენს წინაშე დადგა უაღრესად რთული და ჯერ კიდევ ძნელად გადასაწყვეტი პრობლემა: რას წარმოადგენდა და როგორი იყო ძვ.წ. VII-V სს-ის კოლხური ქალაქი, როგორც სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ფენომენი – „ცივილიზაციის“ ერთ-ერთი არსებითი და განმსაზღვრელი ელემენტი? სამწუხაროდ, ჩვენი ცოდნის დღევანდელ ეტაპზე ზემოთდასმულ საკითხზე მსჯელობა მხოლოდ ჰიპოთეტურ ხასიათს შეიძლება ატარებდეს.

წერილობით წყაროებში შემონახულია არსებითად მხოლოდ ერთი ცნობა, რომელიც ძვ.წ. IV ს-ის ავტორთან ფსევდო-სკილაქს კარიანდელთანაა დაცული: „კოლხების ქვეყანაში ... მდინარე ფასისი ... მდინარის ზევით აყოლებით 180 სტადიონის მანძილზე არის დიდი ბარბაროსული ქალაქი, საიდანაც იყო მედეა“ („აზია“, 81, [322, I, გგ. 48]). ამ ქალაქის ადგილმდებარეობა, როგორც უკვე ითქვა, ჯერ დადგენილი არაა.

ფსევდო-სკილაქის ცნობაში არსებითად მხოლოდ ისაა ჩვენთვის მნიშვნელოვანი, რომ ბერძენი ავტორი კოლხების ქვეყანაში „ელინურ ქალაქებთან“ (ფასისი, გიენოსი) ახსენებს „დიდ ბარბაროსულ (ე.ი. ადგილობრივ, არაელინურ – ო.ლ.) ქალაქს“, რაც კოლხეთში საქალაქო ცენტრების არსებობის მხოლოდ არაპირდაპირ მოწმობად შეიძლება მივიჩნიოთ. ბერძნული წყარო არაფერს იუწყება ამ ქალაქის არამცთუ სტრუქტურის, არამედ გარეგნული მხარის შესახებაც.[214] სამწუხაროდ, არც არქეოლოგიურადაა ჯერჯერობით ძვ.წ. VII-V სს-ის კოლხური ქალაქის გარეგნული სახე გამოვლენილი, რასაც ართულებს კოლხური დასახლებებისათვის აგრეთიპიური ხის არქიტექტურა, რომელიც ჩვეულებრივ ძალზე ცუდად ან სულ აღარაა შემორჩენილი. ძველი კოლხური ნამოსახლარის „ნამჭედურის“ (სურ. 109:4) არქეოლოგიური მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კოლხეთის დაბლობზე ქალაქების ციტადელი („შიდაციხე“) ჩვეულებრივ შემაღლებულ ადგილებზე (ბუნებრივ ან ხელოვნურ ბორცვებზე) იყო განლაგებული და ხელოვნური თავდაცვითი თხრილის კიდეზე ამოყვანილი ხის მესერით გამაგრებული [1390, გვ. 20-21].

---

[214] აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ (III, 215-220) აღწერილი მეფე აიეტის რეზიდენციაც – „კუტაია ქალაქი“ – საკმაოდ არარეალისტური ჩანს („სპილენძის ქონგურებზე იდგა ქვის კოშკი“, „ოთხი დაუშრეტელი წყარო ... ერთი რძეს მოაჩქეფებდა, მეორე – ღვინოს, მესამე სურნელოვან ზეთს მოარაკრაკებდა, მეოთხე კი მოაქუხებდა წყალს ...“ და ა.შ.).

ფუნქციონალური თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვანის ნაქალაქარის შესწავლის შედეგები. ზემოთ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ჩვენის ვარაუდით ძვ.წ. VI ს. – IV ს-ის პირველ ნახევარში ვანი წარმოადგენდა კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის (სტრაბონისეული ტერმინოლოგიით – სკეპტუხიის) ცენტრს (დაწვრ. იხ. [1159, გვ. 14-19], [1365, გვ. 54-55]).

მმართველი ზედაფენის რეზიდენცია განლაგებული იყო სამკუთხა ბორცვზე, რომელიც ორი მხრიდან მოზღუდული იყო ღრმა ხევებით. ამდენად ისინი ბუნებრივ თავდაცვით ფუნქციას ასრულებდნენ (სავარაუდებელია, რომ ეს ხევები ერთმანეთთან ხელოვნური თხრილით იყო შეერთებული). ბორცვს მთელს იმ არემარეზე გაბატონებული მდგომარეობა ეკავა. მმართველი ზედაფენის სამარხები ქვედა და ცენტრალურ ტერასებზეა დაფიქსირებული. ამასთან ისინი სხვადასხვა ადგილებშია გაფანტული და არ წარმოადგენენ ერთიან სამაროვანს. ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ მდიდრული სამარხების ირგვლივ, როგორც წესი, ფიქსირდება საცხოვრებლისათვის დამახასიათებელი კულტურული ფენები, რაც გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ ეს იყო ადგილობრივ დიდგვაროვანთა საოჯახო სამარხები, რომელნიც მათსავე სამოსახლოებთან, ეზოებში იყო გამართული.

ზედა ტერასაზე განლაგებული იყო ხით ნაგები ტაძარ-სამლოცველო (სურ. 132) და კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი სარიტუალო-საკულტო არხები (დაწვრ. [8, V, გვ. 150-154]). ამრიგად, ბორცვის ყველაზე უფრო მაღალი ნაწილი თავისებურ „ფუნქციონალურ ცენტრს“ წარმოადგენდა, რაც იმის მოწმობაცაა, რომ მმართველი ზედაფენა ფლობდა, როგორც საერო, ასევე სასულიერო უფლებას, ე.ი. მისი ხელისუფლება თეოკრატიული ხასიათისა იყო (შდრ. [1111], [1112, გვ. 73 და შემდ.]).

ამრიგად, სამოხელეო ზედაფენის წარმოქმნას და მის შემდგომ სოციალურ განცალკევებას შედეგად მოჰყვა მისი საცხოვრისის გამოყოფაც (ოდესღაც თანასწორუფლებიან მეთემეთაგან) და, შესაბამისად, წარმოქმნა და შემდგომი განვითარება მათი რეზიდენციებისა, რომელნიც უკვე იქცნენ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრებად. რიგითი მიწათმოქმედი მოსახლეობის საცხოვრისი ამ დროისათვის ბორცვის ირგვლივ მიმდებარე ტერიტორიაზე ფიქსირდება. სწორედ ვანის და მის ირგვლივ მდებარე დასახლებათა სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შედარებისას თვალსაჩინოდ მჟღავნდება დასახლებული პუნქტების იერარქიული სისტემა და ვანის, როგორც სამოსახლოს, გაბატონებული მდგომარეობა. აქ უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: ვანის ჩრდილოეთით დაახლოებით 10 კმ-ზე სოფ. მთისძირში საკმაოდ მაღალ ბორცვზე დადასტურებულია ძვ.წ. V-IV სს-ის საფორტიფიკაციო ნაგებობანი – ცალკე მდგარი კოშკი, რომელსაც მარჯვე სტრატეგიული მდგომარეობა ეკავა და საგანგებოდ იცავდა მთელი ოლქის (სკეპტუხიის) მთავარი ცენტრის მისადგომებს [1054]. ამრიგად, აქ ჩვენს წინაშეა ადმინისტრაციული ხელისუფლების ერთ-ერთი დამახასიათებელი და არსებითი ნიშანი – ტერიტორიის დაცვა!

ამრიგად, ძვ.წ. VI-IV სს-ის პირველ ნახევარში ვანი წარმოადგენდა მმართველი ზედაფენის რეზიდენციას და პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრს, რომელსაც ჰქონდა უპირატესად მმართველობითი ფუნქცია. იგი მიმართული იყო ირგვლივ მდებარე სამიწათმოქმედო ტერიტორიის ექსპლოატაციაზე და ზემოქმედებდა მასზე როგორც პოლიტიკურად და იდეოლოგიურად, ასევე ეკონომიკურად (დაწვრ. იხ. [1159, 2, გვ. 14-19]).

არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ აგრეთვე, რომ სწორედ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრებთან ხდებოდა კონცენტრაცია ხელოსნობის ძირითადი დარგებისა, განსაკუთრებით ისეთი დარგებისა, რომელიც მმართველ ზედაფენას ემსახურებოდა. ამის თვალსაჩინო ილუსტრაციაა ვანის მდიდრულ სამარხებში მრავლად ნაპოვნი ფუფუნების საგნები, ძვირფასი სამკაულები, ხელისუფლების ინსიგნიები და სხვა, რომელთა შესახებ უკვე იყო ზემოთ საუბარი. აქვე, მმართველი ზედაფენის რეზიდენციასთან, ე.ი. ადმინისტრაციულ ცენტრებში, ხდებოდა, უთუოდ, კონცენტრაცია სამშენებლო საქმის ოსტატებისა, საიუველირო ხელოსნობისა, ძვირფასი ლითონისა და თიხის, ქსოვილებისა და საერთოდ ფუფუნების საგნების, იარაღ-საჭურველის დამამზადებელი სახელოსნოებისა. მეორე მხრივ, არქეოლოგიური მასალები (იმპორტული ლითონის და ფერადი მინის ნივთები, იონიური თუ ატიკური მოხატული ჭურჭელი და შავლაკიანი კერამიკა, ხმელთაშუაზღვისპირეთის ცენტრების ამფორები და სხვ.) მოწმობენ, რომ უკვე ძვ.წ. VI და განსაკუთრებით V-IV სს-ში ვანი მსხვილ სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრადაა ქცეული. ამასთან ანტიკური იმპორტი გზას იკვლევს ვანის ირგვლივ მდებარე სასოფლო თემებშიც (შუამთა, დაბლაგომი, მთისძირი და სხვ.) [1170].

ამრიგად, ვანი ძვ.წ. VI-IV სს-ის პირველ ნახევარში წარმოადგენდა არა მხოლოდ მსხვილ სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრს, არამედ იგი საქონლის გამნაწილებლის ფუნქციასაც ასრულებდა, რაც იმავ დროს მეტ-ნაკლებად მუდმივმოქმედი ბაზრის გაჩენის მოწმობაცაა [1170, გვ. 139-140], [1345, გვ. 282].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანის არქეოლოგიური შესწავლის და აქ გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სწორედ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი, რომელიც ახორციელებდა მის ირგვლივ მდებარე ტერიტორიაზე („ქვეყანა“) პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და იდეოლოგიურ ზემოქმედებას, იყო ადრეკოლხური ქალაქის ძირითადი ტიპი,[215] მაგრამ ჯერ კიდევ ნაადრევია იმის თქმა – იყო თუ არა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი ადრეკოლხური ქალაქის ერთადერთი სახეობა?[216] ყოველ შემთხვევაში, ზემოთ ვარაუდის სახით გამოთქმული მოსაზრება კოლხური ქალაქის წარმოქმნა-განვითარების შესახებ, როგორც ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრისა, უთუოდ იყო წინაელინისტურ ხანაში მაგისტრალური და არსებითად განსაზღვრავდა ადგილობრივი ურბანისტული წარმონაქმნების სპეციფიკას,[217] განსხვავებით იმ ბერძნული სავაჭრო ქალაქებისაგან, რომელნიც ზღვისპირა კოლხეთში გაჩნდნენ ე.წ. დიდი ბერძნული კოლონიზაციის ეპოქაში, როდესაც იწყება კოლხეთის რეგულარული კონტაქტები ელინურ სამყაროსთან.

6. კოლხეთის ურთიერთობანი ბერძნულ სამყაროსთან ძვ.წ. VIII-IV სს-ში

ბერძნული სამყარო და კოლხეთი – ესაა საკმაოდ რთული, ვრცელი და იმავ დროს მრავალასპექტიანი მეცნიერული პრობლემა, რამდენადაც აქ ჩვენს წინაშეა ურთიერთობა სხვადასხვა ტიპის საზოგადოებებსა და სტრუქტურებს შორის, რაც საკმაოდ თავისებურადაა ასახული თვით ძველ ბერძენთა წარმოდგენებში: ისინი ზომ ერთმანეთს უპირისპირებდნენ და განასხვავებდნენ ელინსა და არაელინს, რომელთაც „ბარბაროსებს“ უწოდებდნენ. ძვ.წ. V ს-ის დიდი ბერძენი ტრაგიკოსის ევრიპიდეს დრამაში „მედეა“ (ტ. 1329-1335) ბერძენი იასონი ასე მიმართავს მედეას: „შენის სახით ბარბაროსული სახლიდან და ქვეყნიდან ელინურ სახლში დიდი ბოროტება მოვიყვანე“ [318, გვ. 234]. „ელინური სახლის“ (ე.ი. ბერძნული სამყაროს) და „ბარბაროსული სახლის“ (არაბერძნული სამყაროს) ურთიერთდაპირისპირება, ქედმაღლური დამოკიდებულება არაელინთა მიმართ ტიპიურია კლასიკური ხანის ბერძნული სამყაროსათვის: მათი წარმოდგენით ყველა არაბერძენი „ბარბაროსია“, მას არ ძალუძს შექმნას ცივილიზაცია, კულტურა. ასეთი იყო საერთო ბერძნული კონცეფცია, მაგრამ სინამდვილეში ჩვენ ვხედავთ, რომ პრაქტიკულად, როდესაც საქმე ეხებოდა მათ პირად ინტერესებს, ისინი შესანიშნავად ეგუებიან „ბარბაროსებს“, ვაჭრობენ მათთან და „ემსახურებიან“ კიდეც (გავიხსენოთ თუნდაც კარგად ცნობილი ფაქტები: ბერძენ ზურომთმძღვართა საქმიანობა აქემენიდთა კარზე, ან კიდევ ოქრომჭედლებისა სკვითების ქვეყანაში და მრავალი სხვ.). კიდევ მეტი – ბერძენთა მიერ შედგენილ გეოგრაფიულ ტრაქტატებსა და საისტორიო თხზულებებში ხშირად ობიექტურადაა წარმოდგენილი არაბერძნული სამყარო, „ბარბაროსთა“ ინტელექტუალური სამყარო. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია კოლხეთი. რამდენი ამაღლებული ეპითეტია კოლხეთის მიმართ ნათქვამი ძველბერძნულ ლიტერატურაში! აქ კოლხეთი წარმოდგენილია როგორც მაღალგანვითარებული ქვეყანა, მრავალნაირი სიკეთითა და ბუნებრივი სიმდიდრეებით სავსე, ქალაქებითა და ძლიერი სახელმწიფოთი, რომელსაც სათავეში ედგა მძლეთამძლე მეფე აიეტი და ა.შ. ზოგადი ბერძნული კონცეფციიდან აგრე სრულიად განსხვავებული შეხედულებანი კოლხეთს შესახებ ბერძნულ სამყაროსა და კოლხეთს შორის ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგად მიღებული ინფორმაციის ნაყოფია. ჩვენ არ შევუდგებით ახლა ბერძნული სამყაროსა და კოლხეთის ურთიერთობათა დაწვრილებით განხილვას.[218] ამჯერად შე-

[215] ახალი არქეოლოგიური აღმოჩენის მიხედვით [1189] ასეთივე ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო სარიხეც.

[216] ვრცელ საისტორიო-არქეოლოგიურსა და სოციოლოგიურ ლიტერატურაში სადღეისოდ ჯერ კიდევ არაა წარმოდგენილი ძველი ქალაქის ერთნაირი თუ ერთი, საყოველთაოდ მიღებული დეფინიცია. ჩემის ღრმა რწმენით – ვერც იქნება! ქალაქის ტიპის ძირითად განმსაზღვრელად მისი ფუნქცია უნდა იქნეს მიღებული. ისევე როგორც თანამედროვე საზოგადოებაში ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ ფუნქციონალური თვალსაზრისით ქალაქთა ტიპოლოგიურ მრავალფეროვნებას (სამრეწველო ქალაქები, ადმინისტრაციული ქალაქები, საპორტო ქალაქები ან კიდევ საკურორტო თუ საუნივერსიტეტო ქალაქები და ა.შ.), ასევე იყო უთუოდ ძველ სამყაროშიც. ამიტომაც მგონია, რომ შეცდომაა „ქალაქის“ ცნების კრიტერიუმის შემოფარგვლა მხოლოდ „სავაჭრო-სახელოსნო ცენტრით“ ან მისი განსაზღვრა გეოგრაფიულ-დემოგრაფიული ხასიათის ისეთი ფიზიკური მონაცემებით, როგორადაც მიიჩნევენ ნაგებობათა ზომებს, მოსახლეობის რაოდენობასა და ა.შ. ძველი ქალაქის ფუნქცია უპირატესად რეგულატივურია და იგი მჟღავნდება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულს თუ იდეოლოგიურ სფეროში.

[217] ადგილობრივი ეკლოგიური პირობები აისახა კოლხეთის ქალაქურ დასახლებათა სპეციფიკაშიც: კოლხეთისათვის, მისი ისტორიის მთელ მანძილზე (შეიძლება ითქვას – თითქმის ჩვენ დრომდე) არ ჩანს დამახასიათებელი ძველაღმოსავლური ქალაქის ისეთი ნიშნები, როგორიცაა მაგ. კომპაქტური განაშენიანება და მაღლივი არქიტექტურა.

[218] ბერძნულ-კოლხური კონტაქტების ისტორიის საკითხები მრავალ ნაშრომშია განხილული - იხ. მაგ.

ვეცდებით ყურადღება გავამახვილოთ მხოლოდ კოლხეთის ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობის ზოგიერთ ასპექტზე და არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე განვსაზღვროთ ადგილობრივი კულტურის „ქცევა“ მაღალგანვითარებულ ბერძნულ ცივილიზაციასთან ინტენსიური კონტაქტების ხანაში - ე.ი. ძვ.წ. VI-V სს-ში.

ბერეზანის (სამხრეთ უკრაინაში [134], გვ. 46]) არსებობას. ამიტომ ჯერ კიდევ გადაუჭრელი რჩება ძველი სამყაროს მიგრაციული პროცესების ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მოვლენის, ე.წ. დიდი ბერძნული კოლონიზაციის ისტორიის ყველაზე აქტუალური და სადისკუსიო პრობლემა – წინაკოლონიალური ხანის კონტაქტები ბერძნებისა შავი ზღვის ადგილობ-



სურ. 155. დემოგრაფიული სიტუაცია შავიზღვისპირეთში ძვ.წ. VIII-VII სს. სქემატური რუკა (შდრ. [76])

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ძველი ბერძნული ტრადიცია ბერძენთა პირველ კონტაქტებს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან ჯერ კიდევ მიკენურ ეპოქას მიაკუთვნებდა და მას კოლხეთში ოქროს საწმისისათვის არგონავტების ლაშქრობას უკავშირებდა. მაგრამ, როგორც უკვე ზემოთვე აღვნიშნეთ, ასეთი აღრეული, ე.წ. მიკენური ან უშუალოდ პოსტმიკენური ხანისათვის ჩვენ დღემდე არ მოგვეპოვება პირდაპირი და საიმედო მასალა, რომელიც დამაჯერებლად მოწმობდეს ამ დროს ბერძენთა გამოჩენას კოლხეთში.

უფრო მეტი მასალა მოგვეპოვება ძვ.წ. VIII და VII საუკუნის პირველი ნახევრისათვის, თუმცა მაინც არაპირდაპირი, ვინაიდან არც ამ დროის ბერძნული იმპორტია ჯერჯერობით შავიზღვისპირეთში დადასტურებული. უძველესი ბერძნული კერამიკა დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთში ძვ.წ. VII საუკუნის მესამე მეოთხედითა და შემდგომი ხანით თარიღდება. მაგრამ იგი უკავშირდება უკვე ბერძნული ქალაქების – ისტრიისა (რუმინეთის ტერიტორიაზე [1341, გვ. 100]) და ბორისთენე-

რივ მოსახლეობასთან. წინასწარ შევნიშნავ, რომ ამ პრობლემის გადაჭრისათვის ერთადერთი მონაცემი მხოლოდ კოლხეთშია საძიებელი. არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ შავიზღვისპირეთში ბერძნული კოლონიზაციის წინ, ე.ი. ძვ.წ. VIII-VII სს-ში, შავი ზღვის დასავლეთი და ჩრდილოეთი სანაპიროები მთლიანად დაუსახლებელია (იხ. სურ. 155). მხოლოდ კოლხური სანაპიროა მჭიდროდ დასახლებული. ამ დროს აქ დასტურდება მაღალგანვითარებული საზოგადოება, რაზეც უკვე გვქონდა ზემოთ საუბარი. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ მითი არგონავტების ოქროს საწმისისათვის ლაშქრობის შესახებ სწორედ კოლხეთს დაუკავშირდა, იმიტომ, რომ მხოლოდ აქაა ამ დროს მაღალგანვითარებული საზოგადოება. აკი ჯერ კიდევ დიდი ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი წერდა: „[ჰომეროსს] კარგად აქვს ნათქვამი „ყველასთვის ცნობილი არგო“, ვინაიდან ეს მოგზაურობა მოხდა ცნობილი და კარგად დასახლებულ ადგილებში. ... არ იქნება სარწმუნო ლაშქრობა ოქროს საწმისისათვის უცნობ და უჩინარ ადგილებში; არც უდაბურ, დაუსახლებელ და ჩვენგან ეგზომ დაშორებულ ადგილებში მოგზაურობა გაითქვამდა ასე სახელს და ყველასათვის „ცნო-

[1156], [1184], [1328], [1108], [1123], [1126], [1159], [1170], [1365], [1357-1358], [1453], [1447], [1119].

ბილი“ დაერქმეოდა“ („გეოგრაფია“, I, 2, 40 = [321, გვ. 73]).



სურ. 156. ძვ.წ. VIII-VII სს-ის კოლხური კერამიკის გეომეტრიული სტილის ორნამენტაცია [1403]

ბერძნული კოლონიზაციის წინარე ხანაში, ე.ი. ძვ.წ. VII საუკუნის შუა ხანებზე ადრე ელინურ სამყაროსა და კოლხეთს შორის არსებულ ურთიერთობებს მოწმობს პირველ რიგში ძვ.წ. VIII ს-ის ბერძენი ეპიკოსი პოეტის ევმელოს კორინელის თხზულებაში „კორინთიაკა“ მოხსენიება კოლხეთისა, სახელწოდებით „კოლხის//კოლხიდა“ (ფრ. 2 = [318, გვ. 195-196]), რაც ემთხვევა კოლხთა ძლიერი სახელმწიფოს ზშარ ხსენებას ურარტულ ლურსმულ წარწერებში ([1379], იხ. აგრეთვე ზემოთ). ბერძნული დიდაქტიკური ეპოსის უდიდესი წარმოადგენელი ჰესიოდე კოლხეთის მდინარე ფასისს იხსენიებს მსოფლიოს უდიდეს მდინარეთა შორის, თავის ცნობილ პოემაში „თეოგონია“ (ტაეპი 340=[318, გვ. 186]), რომლის დაწერის თარიღად ძვ.წ. VIII ს-ის დასასრული ან VII ს-ის სულ დასაწყისი ივარაუდება. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რიგი გეოგრაფიული და ეთნიკური სახელწოდებანი წარმოდგენილია ე.წ. „ტროელთა კატალოგში“, რომელიც თუმც „ილიადა“-ში გვიანდელ ჩანართად ითვლება, მაგრამ მკვლევართა აღიარებით, ასახავს ძვ.წ. VIII-VII სს-ის ეთნოპოლიტიკურ სიტუაციას. „ტროელთა კატალოგში“ („ილიადა“, II, 851-857 [318, გვ. 170]) იხსენიებიან პაფლაგონიელები (რომელნიც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე სახლობდნენ); მდინარე პართენიოსი (მდინარე პაფლაგონიასა და ბითინიას შორის, რომელიც დღევანდელ ბარტინსუსთანაა იდენტიფიცირებული), პაფლაგონიის ქალაქები სესამოსი, კრომნა და კიტოროსი.[219] ასევე იხსენიებიან „ჰალიძონები შორეულ ალიბეიან“, რომელიც ჯერ კიდევ სტრაბონმა დაუკავშირა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ხალიბების ტომს (XII, 3, 19-24 = [320, გვ. 204-212]). რაც შეეხება „ჰალიძონებს“, აკად. გ. მელიქიშვილის მტკიცებით, იგი შეესატყვისება ურარტული წყაროების „ხალიტუს“, რომელიც აღნიშნავდა აღმოსავლეთ მცირე აზიაში, კილიკიის ტაურებში მდებარე ქვეყანას [1380, გვ. 45-46]. ასე, რომ თითქოს აშკარაა, რომ „ტროელთა კატალოგში“ ასახულია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გეოგრაფიული და ეთნიკური გარემო (დაწვრ. [1184, გვ. 78-79], [329, გვ. 52-55].

ზემოთქმული თითქოს მოწმობს, რომ ელინები უკვე იცნობდნენ კოლხეთს ჯერ კიდევ დიდი ბერძნული კოლონიზაციის დაწყებამდე[220] და იქნებ ფსევდო-სკიმნოსის ცნობა ქალაქ სინოპის VIII საუკუნეში დაარსების შესახებ,[221] გულისხმობს სწორედ მილეტელების მიერ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე დროებითი ფაქტორიის დაარსებას, რაც მიზნად ისახავდა შავიზღვისპირეთში კოლონიზაციისათვის პირობების წინასწარ გაცნობას და ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტების დამყარებას.

ძვ.წ. VIII-VII სს-ის ბერძნებსა და კოლხეთს შორის ურთიერთობათა არსებობის არაპირდაპირ მოწმობად შეიძლება მივიჩნიოთ აგრეთვე ოქროს საწმისისათვის არგონავტების კოლხეთ-

[219] ამ ქალაქების შესახებ: [1443, გვ. 53-55], [1341, გვ. 139, 148]. „ტროელთა კატალოგში“ მოხსენიებულ ქალაქ კიტოროსს სტრაბონი უწოდებს „მილეტელთა ემპორიონს“ (XII, 3, 10). თუ ეს ქალაქი მართლაც სინოპელთა დაარსებულია, მაშინ ეს აქტი უნდა განხორციელებულიყო არა უადრეს ძვ.წ. VII ს-ისა. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ კიტოროსის მოხსენიება „ტროელთა კატალოგში“ შესაძლოა გვიანდელი ჩანართი იყოს.

[220] ამ აზრს იზიარებს გამოჩენილი ინგლისელი არქეოლოგი და ისტორიკოსი სერ ჯონ ბორდმანი [1436, გვ. 182, 217].

[221] ფსევდო-სკიმნოსის ცნობაში სინოპის დამაარსებლად ითვლება ვინმე „ჰაბრონდი, წარმოშობით მილეტელი, ფიქრობენ, რომ ის მოკლეს კიმერიელებმა“ (ტაეპი 940-944=[322, I, გვ. 99]). სინოპის განადგურება კიმერიელების მიერ მოხდა ძვ.წ. VIII ს-ის დასასრულს. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში სინოპის დაარსების თარიღის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. მკვლევართა უმრავლესობა არ იზიარებს სინოპის დაარსების ასეთ ადრეულ თარიღს, რამდენადაც VIII ს-ის კერამიკა ჯერ აღმოჩენილი არაა. დაწვრ. იხ. [1341, გვ. 239-241], [1467, შენიშვნა 286 და იქ დასახ. ლიტ.].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ლაშქრობის შესახებ მითის არაჩვეულებრივი პოპულარობა იმდროინდელ ბერძნულ ლიტერატურაში (ჰომეროსი, ჰესიოდე, ევმელოს კორინთელი, „ნავპაკტიკა“, კიკლიკური ეპოსი ([318, გვ. 169-200], [1466, გვ. 22-28]). უთუოდ დიდმნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ არგონავტიკის თემა, კერძოდ მედეას გამოსახულება ჩნდება ეტრუსკულ კერამიკულ ფერწერაში უკვე ძვ.წ. VII ს-ში [1153].



სურ. 157. ბრინჯაოს ფიბულები (მშვილდსაკინძები) ძვ.წ. VIII-VII სს-ის სამარხეული კომპლექსებიდან

არგონავტიკა ძვ.წ. VIII-VII სს-ში უთუოდ წარმოადგენდა ბერძნული საკოლონიზაციო კონცეფციის თავისებურ გამოვლინებას. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა კორინთული ვერსიის დამუშავება, რაც ევმელოს კორინთელის „კორინთიაკა“-შია წარმოდგენილი. ამ ვერსიით აიეტი თავდაპირველად მეფეა კორინთოსი, რომელიც მას მისმა მამამ მზე-ღვთაება ჰელიოსმა უბოძა. მაგრამ „აიეტს კორინთო არ მოეწონა“ და „გაემართა კოლხეთის ქვეყნად“ (იხ. [318, გვ. 195]). მაშასადამე, გამოდის, რომ აიეტი ბერძენია, იგი ჯერ კორინთოს გამგებელია და მხოლოდ შემდეგ ეუფლება კოლხეთს. როგორ უნდა აგხსნათ ეს ვერსია? იგი აიხსნება მხოლოდ ბერძნული საკოლონიზაციო იდეოლოგიით: ყველა ქვეყანა, სადაც ბერძენთა კოლონიები დაარსდა, თითქოს თავდაღნვე ბერძნებს ეკუთვნოდათ. ეს კონცეფცია თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი მრავალრიცხოვან გადმოცემებში, ბერძნული ქალაქების დაარსების ისტორიას რომ შეეხება.[222]

ამრიგად, წერილობითი ცნობები მოწმობენ, რომ ბერძნები უკვე იცნობდნენ კოლხეთს ჯერ კიდევ ძვ.წ. VIII და VII სს-ში, რაც გარკვეული ურთიერთობის შედეგი უნდა ყოფილიყო. ძვ.წ. VIII-VII სს-ის, ე.ი. კოლონიზაციამდელი კონტაქტების არაპირდაპირ (ჰიპოთეტურ) მოწმობად შეიძლება მივიჩნიოთ ქვემოთ დასახელებული არქეოლოგიური მასალაც.



სურ. 158. სვასტიკა (მკლავებმოხრილი ჯვარი) ძვ.წ. VIII-VII სს-ის კოლხური ბრინჯაოს ცულებსა და ოქროს საკიდებზე

ძვ.წ. VIII-VII სს-ში კოლხეთის მატერიალურ კულტურაში სრულიად აშკარად თავს იჩენს მთელი რიგი სიახლეებისა, რომელნიც ვერ აიხსნება ვერც როგორც ადგილობრივი ტრადიციების ნაყოფი, და ვერც წინააზიურ კულტურებთან ურთიერთობის შედეგი.[223] მეორეს მხრივ, ეს სიახლეები საინტერესო ტიპოლოგიურ მსგავსებას ავლენენ გვიანგეომეტრიული ხანის საბერძნეთის მატერიალურ კულტურასთან. ასე მაგ., ვაშლი აღმოჩენილ ძვ.წ. VIII-VII სს-ის ტიპიურ კოლხურ კერამიკაში (სურ. 135) (იხ. [1403]) გამოირჩევა სრულიად ახალი ფორმები – ბერძნული კანთაროსებური და კალაოთისებური ჭურჭელი, რომელთაც პირდაპირი ანალოგიები ეძებნებათ ბერძნულ კერამიკაში, კერძოდ, კუნძულ ევბეაზე, ლეფკანდის სამაროვანზე აღმოჩენილ ჭურჭელს შორის (შდრ. სურ. 135_{14-15}). ასევე კოლხურ კერამიკაში ჩნდება შემკულობის რიგი ახალი მოტივებისა, ძალიან მსგავსი ბერძნული გვიანგეომეტრიული კერამიკის ორნამენტაციისა. ძვ.წ. VIII ს-დან

[222] ეს კონცეფცია დამუშავებულია მთელ რიგ მეცნიერულ გამოკვლევებში. იხ. მაგ. I. Malkin, Religion and Colnization in Ancient Greece, Leiden. 1987.

[223] ასე მაგ., ირანულ სამყაროსთან ურთიერთობის შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ საბრძოლო იარაღის ზოგიერთი სახეობის, ფარის ბრინჯაოს უმბონების ([1186, გვ. 45, ტაბ. XII, 533-537, XXX, 1033], შდრ. O. Muscarella, Bronze and Iron Near Eastern Artifacts in the Metropolitan Museum of Art, New York, 1989, გვ. 73-75, №№ 117-120), თიხის ყურმილიანი ღოქების (იხ. [1159, I, გვ. 21, შენიშვნა 71], შდრ. [1167, გვ. 35, შენიშვნა 268]) გავრცელება.

კოლხეთში ჩნდება ტანსაცმლის მორთვის ახალი ელემენტები, რომელთა შორისაა ბერძნული ე.წ. სუბმიკენური ტიპის ერთწილადი მშვილდისებური ფიბულები (სურ. 157). მათგან ზოგიერთი ბერძნულის მსგავსად წიწვისებური ორნამენტით ან თევზების გამოსახულებებითაა მორთული. საგანგებოდაა აღსანიშნავი ახალ აითნში (აფხაზეთი) აღმოჩენილი ბერძნული ტიპის ნავისებური ფიბულა, რომელიც აგრეთვე, კოლხეთისა და ეგეოსური სამყაროს კოლონიზაციამდელი კონტაქტების მოწმობადაა მიჩნეული ([1212], შდრ. [1349, I, გვ. 160-161, სურ. 29:3]). დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე სიმრავლე და პოპულარობა კოლხურ ბრინჯაოს



სურ. 159. ძვ.წ. VIII-VII სს-ის კოლხური ზოომორფული პლასტიკა

ცულებზე სვასტიკისა და მეანდრის გამოსახულებებისა (სურ. 158), რაც ტიპიურია და განმსაზღვრელი გეომეტრიული ბერძნული ხელოვნებისათვის და აღარ გვხვდება ძვ.წ. VIII-VII სს-ის წინააზიურ კულტურებში [1436, გვ. 15]. ჩვენთვის საინტერესო ხანის კოლხური კულტურის სიახლეა გარკვეული გეომეტრიზაცია, რომელიც არა მხოლოდ ორნამენტაციაში მჟღავნდება, არამედ საკმაოდ თვალსაჩინოდ – ცხოველთა ბრინჯაოს ქანდაკებებშიც (სურ. 159), რომელნიც ასევე ძალიან მსგავსია ბერძნული გეანგეომეტრიული ზოომორფული ქანდაკებების. ძვ.წ. VIII ს-ის კოლხეთის ტერაკოტულ ქანდაკებებში, რომელთა უმრავლესობა ვანშია აღმოჩენილი, გამოირჩევა სრულიად უჩვეულო ორმხრივ პროტომიანი ფიგურები (სურ. 160-163). მსგავსი ქანდაკებები (ბრინჯაოსი და თიხისა) ასევე ფართოდაა გავრცელებული ძვ.წ.



სურ. 160. ორმხრივპროტომიანი ცხოველის ტერაკოტული ფიგურა. ძვ.წ. VIII-VII სს. ვანი [1403], [1464]

VIII-VII სს-ის ბერძნულ სამყაროში.[224] აღსანიშნავია, რომ ვანში აღმოჩენილი ზოგიერთი ტერაკოტული ფიგურებისათვის დამახასიათებელი მომრგვალებული თავი და გრძელი კისერი (სურ. 164) ასევე დიდად ემსგავსება ოლიმპიიდან (საბერძნეთი) ცნობილ ქანდაკებებს. ძვ.წ. VIII-VII სს-ის კოლხეთის მატერიალური კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო სიახლეა ბრინჯაოს ანთროპომორფული პლასტიკა (სურ. 165-166): მთელ რიგ სამაროვნებზე (ურეკი, ნიგვზიანი, მუხურჩა) აღმოჩენილია ბრინჯაოს ქანდაკებანი ქალებისა ზეაწეული ან წინგამოშვერილი ხელებით (ე.წ. აღორანტულ პოზაში), ტახტზე ან ცხენზე მჯდომარე ქალ-ღვთაებებისა („დიდი დედა"), რომელთაც ხელთ ბავშვი უჭირიათ, მამაკაცებისა – ბერეტისებური თავსაბურავით და სარტყლით (იარაღის ჩამოსაკიდებლად) [1397, გვ. 63-67, ტაბ. XXXVI]. ისინი მთელი რიგი ნიშნებით ასევე დიდ მსგავსებას ავლენენ გეომეტრიული ხანის ბერძნულ ანთროპომორფულ ქანდაკებებთან.[225] განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ბრინჯაოს ქანდაკება „მეეტლისა" მუხურჩიდან (სურ. 167), რომლის პირდაპირი ანალოგიაა გვიანგეომეტრიული ბერძნული მეეტლის მცირე ზომის ქანდაკებანი (ოლიმპიისა და დელფოს აღმოჩენებით რომაა ცნობილი და ოლიმპიურ ასპარეზობებზე გამარჯვებულის ან გამოჩენილი პირის გვამისათვის მებრძოლის ვოტივურ ფიგურებად რომაა აღიარებული).[226]

[224] პროფ. ჯონ ბორდმანი ვანში აღმოჩენილ ორმხრივ პრტომიან ფიგურებს ლურისტანულ გაკლენად მიიჩნევს ([1436, გვ. 341, შენიშვნა 102]). ამაზე აზრს უყოყმანოდ იზიარებენ [1475, გვ. 4], მაგრამ თვით ლურისტანში აღმოჩენილი ამ ტიპის ბრინჯაოს საკიდების წარმომავლობა მეტწილად უცნობია და თარიღიც საეჭვო. ამიტომ სპეციალისტი-არანისტები მათ აღარ თვლიან სპეციფიკურ ლურისტანულ ნივთებად და უფრო გვიანელინისტური ხანით ათარიღებენ. დაწვრ. იხ. [1464].

[225] შესადარებლად იხ. მაგ. Byrne M., The Greek Geometric Warrior Figurine (= Archaeologia Transatlantica, X), Providence, 1991.

[226] შდრ. Byrne, დასახ. ნაშრ., აგრეთვე: Heilmeyer, Frühgriechische Kunst, Berlin, 1982, გვ. 47.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 161. ორმხრივპროტომიანი ცხოველის (ხბოს?) ტერაკოტული ფიგურა. ძვ.წ. VIII-VII სს. ვანი [1403], [1464]



სურ. 162. ორმხრივპროტომიანი სამთავიანი ცხოველის ტერაკოტული ფიგურა. ძვ.წ. VIII-VII სს ვანი [1403], [1464]

ძვ.წ. VIII-VII სს-ის ბერძნულ-კოლხური კონტაქტების თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია კუნძულ სამოსზე აღმოჩენილი ვოტივები – ე.წ. კავკასიური ტიპის ბრინჯაოს ზანზალაკები და აბზინდები [1446]. განსაკუთრებით საყურადღებოა იქვე ნაპოვნი ბავშვიანი ცხენოსანი ქალის მცირე ზომის ბრინჯაოს ქანდაკება (სურ. 165), რომელიც მისმა აღმომჩენმა იმთავითვე კავკასიურად მიიჩნია [1446, გვ. 80-84]. მას შემდეგ ეს ქანდაკება არაერთხელ გახდა მსჯელობის საგანი. უკანასკნელ ხანებში ის





სურ. 163. ორმხრივპროტომიანი ორთავიანი ტერაკოტული ფიგურა. ძვ.წ. VIII-VII სს ვანი [1403], [1464]

საგანგებოდ განიხილა ამერიკელმა მეცნიერმა მ. ვოიაცისმა და აღიარა მისი სრული განსაკუთრებულობა მხედარ ქალთა ბერძნულ ქანდაკებებს შორის (ასეთი სულ ხუთია ცნობილი). მისი აზრით, სამოსზე მხედარი ქალის ქანდაკება კავკასიური (კოლხური) გავლენითაა ძვ.წ. VIII საუკუნეში შექმნილი „ერთ-ერთ ბერძნულ სახელოსნოში, იქ სადაც წარმოდგენილი იყო ბერძნული, ორიენტალიზირებული და კავკასიური კულტურის ელემენტები, შესაძლოა თვით სამოსზე“ ([1477, გვ. 260, 270-272]).[227] უკა-



სურ. 164. „გვირგვინიანი“ ცხოველის პროტომა. ტერაკოტა. ძვ.წ. VIII-VII სს. ვანი ([1403])

[227] ამერიკელი მკვლევარის აზრი დამახინჯებით გადმოსცეს მ. ტრეისტერმა და გ. ცეცხლაძემ, რომელთაც ხსენებული ქანდაკება და ანალოგიური ურეკის ქანდაკება ტახტზე მჯდომარე ბავშვიანი ქალისა ([1186, გვ. 59-62, სურ. 9, 5]), ყოველგვარი დასაბუთების გარეშე „დასავლეთ ირანის სახელოსნოებში დამზადებულად“ გამოაცხადეს [1475, გვ. 2-3]. აქვე აღვნიშნავ, რომ მსგავსი ქანდაკებანი საერთოდ არაა ირანიდან და წინა აზიური სამყაროდან ცნობილი.

ნასკნელ ხანებში მსგავსი ქანდაკებანი აღმოჩნდა კოლხეთში, მაგ. მუხურჩაში [1387, ტაბ. XXXI, 6]. მთელი რიგი ნიშნებით (ქალის თავის სწორკუთხა მოყვანილობა, მაღალი ყელი, ყელსაბამი, უნაგირი, ცხენის უჩვეულოდ გრძელი კისერი) ეს ქანდაკებანი (სურ. 165,10) ძალიან უახლოვდება სამოსზე აღმოჩენილი ბავშვიანი მხედარი ქალის გამოსახულებას, რაც მხარს უჭერს მოსაზრებას ამ უკანასკნელის კოლხურ წარმომავლობაზე [1387, გვ. 65] თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ძვ.წ. VIII-VII სს-ში ბერძნულ-კოლხური კონტაქტების არსებობაზე. ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული არქეოლოგიური მასალა თითქოს თვალსაჩინოდ ადასტურებს წერილობითი წყაროების საფუძველზე გამოთქმულ მოსაზრებას ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში ე.ი. კოლონიზაციამდელ ხანაში ბერძნული სამყაროსა და კოლხეთს შორის არსებული ურთიერთობების შესახებ,[228] ალბათ იმ დროს ჯერ კიდევ მეტწილად არარეგულარულის.

ბერძნულ სამყაროსა და კოლხეთს შორის რეგულარული ურთიერთობა იწყება ძვ.წ. VI საუკუნიდან და დაკავშირებულია ე.წ. ბერძნული კოლონიზაციის პროცესთან. ამ დროს ვრცელ ტერიტორიაზე – ჰიბრალტარიდან მდ. დონის სათავეებამდე, ე.ი. მთელ ხმელთაშუა და შავი ზღვისპირეთში გაჩნდნენ ბერძნული ქალაქები – კოლონიები. ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის სატყუარა გამოთქმით, „ამ დროიდან ბერძნები ცხოვრობდნენ დედამიწის შემოსაზღვრულ ნაწილში ზღვის გარშემო ფასისიდან (იგულისხმება კოლხეთის მდინარე – დღევანდელი რიონი – ო.ლ.) ვიდრე ჰერაკლეს სვეტებამდე (ჰიბრალტარი – ო.ლ.), როგორც ჭიანჭველები განლაგდებიან ხოლმე ჭაობის გარშემო".

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ბერძნული დასახლებების (კოლონიების) გაჩენა ე.წ. დიდი ბერძნული კოლონიზაციის ეპოქაში მხოლოდ ერთ-ერთი ეტაპია საკუთრივ ელადიდან ბერძენთა ფართოდ განსახლების რთულ პროცესში. სამწუხაროდ, სადღეისოდ ჩვენ ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია რამდენადმე მნიშვნელოვანი წერილობითი წყაროები იმის შესახებ, თუ ზუსტად როდის და რა პირობებში დასახლდნენ ბერძნები შავი ზღვის კოლხურ სანაპიროზე, როგორი იყო აქ ბერძენთა კოლონიზაციის პოლიტიკური და ეკონომიკური მოტივები, ბერძნულ დასახლებათა პოლიტიკური და სოციალური ორგანიზაციის კონკრეტული ფორმები, მათი ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან და ა.შ. ამ საკითხების გარკვევასთან კი მჭიდროდაა დაკავშირებული განსაზღვრა, ერთის მხრივ, კოლხეთში დაარსებული ბერძნული კოლონიების ადგილისა „დიდი ბერძნული კოლონიზაციის" ერთიან სისტემაში, ხოლო მეორეს მხრივ (რაც ამჯერადაა ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო) - ბერძნული კოლონიზაციის როლისა ძვ.წ. VI-V სს-ის კოლხური საზოგადოების პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული სტრუქტურების განვითარებაში.



სურ. 165. ბრინჯაოს ანთროპომორფული პლასტიკა ძვ.წ. VIII-VII სს-ის კოლხური სამაროვნებიდან

ბერძნულ-რომაული წყაროები შავი ზღვის კოლხურ სანაპიროზე ასახელებენ მხოლოდ სამ ბერძნულ ქალაქს: ფასისს, დიოსკურიასა და გიენოსს (დაწერ. იხ. [1334]; [1156, გვ. 25-27]; [1365, გვ. 111-113]; [1108, გვ. 6-58]).

ბერძნული ქალაქი გიენოსი მოხსენიებულია მხოლოდ ფსევდო-სკილაქს კარიანდელთან („აზია", 81). ივარაუდება, რომ იგი დღევანდელი ოჩამჩირის მიდამოებში, მდ. მოქვის მარცხენა შენაკადის – მდ. ჯიქმურის შესართავთან მდებარეობდა (დაწერ. [1341, გვ. 76-78]). არქეო-

[228] ამ სავარაუდებელ კონტაქტებს, ყოველგვარი სერიოზული მეცნიერული არგუმენტაციის გარეშე უარყოფენ გ. ცეცხლაძე და მ. ტრეისტერი [1475, გვ. 4]. საერთოდ დასახელებული სტატია გამოირჩევა უაღრესი ტენდენციურობით („ანტიკოლხური" განწყობით), ყოველივე ადგილობრივობის არგუმენტაციის გარეშე უარყოფით, სკვითებს კოლხეთში განსახლებისა და მათი დიდი როლის დეკლარაციული განცხადებით, და, რაც მთავარია - უამრავი ფაქტობრივი შეცდომებითა და აღრევებით, დამოწმებული ლიტერატურის არასწორი მითითებით.

ლოგიური გათხრების შედეგად აქ ბერძნული ქალაქური დასახლების რამდენადმე მნიშვნელოვანი კვალი ჯერ გამოვლენილი არაა. პირიქით: აქ აღმოჩენილი დასახლება – თავდაცვითი თხრილით გარშემორტყმული ხელოვნური ბორცვები ხის საცხოვრებელი ნაგებობებითა და ნახევრმიწურებით, ტიპოლოგიურად თითქმის მთლიანად იმეორებს წმინდა კოლხურ დასახლებებს. არქეოლოგიური მონაპოვარიც მეტწილად ადგილობრივია და უფრო ადგილობრივი მოსახლეობის ყოფისა და სამეურნეო საქმიანობის ამსახველია. მხოლოდ ხამანწკის ნიჟარები (რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა საკვებად არ იყენებდა) და კოლხურთან შედარებით ძალზე მცირერიცხოვანი ბერძნული იმპორტული კერამიკა (ძვ.წ. VI ს-ის იონიური, უპირატესად კი – V და IV სს-ის ატიკური თიხის ჭურჭელი) იძლევა საფუძველს, რომ აქ დროებითი სავაჭრო ფაქტორია ივარაუდონ (დაწვრ. [1339-1340], [1343], [1431]).



სურ. 166. ბრინჯაოს მეეტლე. ძვ.წ. VIII-VII სს. მუხურჩა [1082].

დიოსკურიის ბერძენთა (მილეტელების) მიერ დაარსების შესახებ ცნობა შემონახულია მხოლოდ არიანესთან, რომელმაც კოლხეთში იმპერატორ ადრიანეს დავალებით იმოგზაურა 131 წ., როდესაც ძველი ქალაქი უკვე ზღვაში იყო ჩაძირული[229] და მის ყოფილ გარეუბანში განლაგებული იყო რომაელთა ციხე-ქალაქი სებასტოპოლისი. ივარაუდება, რომ ძველი დიოსკურია დღევანდელი სოხუმის ყურეშია ჩაძირული და იგი ოღესღაც მდ. ბესლეთის შესართავთან მდებარეობდა (დაწვრ. [1341, გვ. 86 და იქ დასახ. ლიტ.]). დიოსკურიის ჰიდროარქეოლოგიურ შესწავლას ჯერჯერობით არსებითი შედეგი არ მოუცია, ამიტომაც ფაქტობრივად ამ ქალაქის ადრეული ეტაპის ისტორიის შესახებ მასალა არ გაგვაჩნია. დღევანდელი სოხუმის მიდამოებში ადრეული ბერძნული კერამიკა ერთეული ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი და ისიც მხოლოდ ძვ.წ. VI ს-ის დასასრულს განეკუთვნება [1365, გვ. 136], მაგრამ ეშერის ნამოსახლარზე (დღევანდელი სოხუმიდან 10 კმ-ის დაცილებით) კერამიკულ კომპლექსებში ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევრის როდოსულ-იონიური და ატიკური კერამიკის ცალკეული ფრაგმენტების აღმოჩენა შესაძლოა მიუთითებდეს უკვე ამ დროს ბერძნული სავაჭრო დასახლების არსებობაზე სოხუმის ყურის მიდამოებში, სადაც ივარაუდება ძველი დიოსკურია (იხ. [1428, გვ. 20-23, 56]).[230]



სურ. 167. ბრინჯაოს ქალღვთება. ძვ.წ. VII ს. ერგეტა.

სოხუმის ყურესა თუ მის მიდამოებში ბერძნული დასახლების არსებობის ყველაზე უფრო თვალსაჩინო მოწმობაა მდ. ბესლეთის შესართავთან ახლოს, დღევანდელი ნაპირიდან 7 მეტრის დაცილებით, ზღვაში ნაპოვნი მარმარილოს სტელა (სურ. 168). სწორკუთხა ფილაზე (157 ×

[229] არ შეიძლება არ აღინიშნოს დიოსკურიის დაარსების შესახებ ანტიკურ მწერალთა ცნობების ურთიერთისაგან განსხვავება და მათ შორის წინააღმდეგობანი. ასე მაგ., ფსეფელო სკილაქსი მას (განსხვავებით ფასისისა და გიენოსისაგან) იხსენიებს ეპითეტის „ელინურ“-ის გარეშე, ამასთან ქალაქის სახელწოდებას გადმოსცემს საკმაოდ უჩვეულო ფორმით – „დიოსკორის“, რამაც სპეციალისტებს საფუძველი მისცათ სახელწოდება „დიოსკურია//დიოსკურიადა“ ადგილობრივი ტოპონიმის გრეციზირებულ ფორმად მიეჩნიათ (დაწვრ. [1365, გვ. 133-134 და იქ დასახ. ლიტ.]; იხ. აგრეთვე [1393]; [432, III, გვ. 16]; [1400, გვ. 117]; [1184, გვ. 105]; [1432]). საინტერესოა, რომ რომაელი მწერალი პლინიუსი („ბუნების ისტორია“, VI, 11) დიოსკურიას „კოლხურ ქალაქს“ უწოდებს.

[230] თუმც გამორიცხული არაა, რომ ეშერაში ბერძნული იმპორტი ჩრდ.-აღმ. შავიზღვისპირეთში დაარსებული ბერძნული ქალაქებიდანაც იკვლევდა გზას.

92 სმ) სამფიგურიანი რელიეფური კომპოზიციაა მოცემული, რომელიც განსვენებულთან გამოთხოვების სცენას ასახავს: განსვენებული გამოსახულია სავარძელში მჯდომარედ და მარჯვენა ხელით ეხვევა მის მუხლებთან დაჩოქილ ბავშვს (შვილს?). უკანა პლანზე გამოსახულია ახალგაზრდა ქალი, რომელიც უსახელო სარტყლიანი ატიკური ჰიპლოსითაა შემოსილი და ხელში კოლოფი უკავია. მას, ისევე როგორც პატარა ბავშვს, მოკლედ შეჭრილი თმა აქვს (გლოვის ნიშნად), ხოლო თავი – მარცხენა მხრისკენ ოდნავ დახრილი, რაც აგრეთვე მწუხარე განწყობის მაუწყებელია. ამრიგად, სოხუმის სტელაზე წარმოდგენილია ბერძნული საფლავის ქვებზე განსვენებულთან გამოთხოვების ფართოდ გავრცელებული სცენა:



სურ. 168. სამარხის სტელა. სოხუმი. ძვ.წ. V ს-ის უკანასკნელი მეოთხედი [1155], [1371], [1480]

ქალი საკუთარ შვილთან ერთადაა გამოსახული, იქცევა ახლობელი ნათესავი - ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ხელთ უპყრია განსვენებულისადმი მიძღვნილი სავანგებო საჩუქარი – იმქვეყნიურ ცხოვრებაში აუცილებელი, მაგიური დანიშნულების სამკაულებიანი კოლოფი. გამოსახულების კომპოზიციის, რელიეფის ხასიათისა და დრაპირების მიხედვით სტელა თარიღდება ძვ.წ. 430-420 წწ. იგი უნდა მივიჩნიოთ პროვინციული სკოლის, მაგრამ ძლიერი ატიკური გავლენით შექმნილ ნაწარმოებად ([1155]; [1361]; [1470, გვ. 899-904]). სოხუმის სტელა ანტიკური ხელოვნების მეტად საინტერესო და რთული ძეგლია. იგი იმითაცაა საინტერესო, რომ დღემდე ცნობილ ან ბერძნულ სამარხ რელიეფებს შორის, რომელნიც მრავალფიგურიანი კომპოზიციითაა შემკული, ყველაზე უფრო ადრინდელია.

მიცვალებულის სამარხზე საგანგებო საფლავის ქვის – სტელის აღმართვა ფართოდ იყო გავრცელებული ბერძნულ სამყაროში ძვ.წ. VII ს. დასასრულისთვის, ხოლო განსაკუთრებით კი, ძვ.წ. VI-IV სს-ში. საგანგებო საფლავის ქვის აღმართვა მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, განსვენებულის შესახებ ხსოვნის შენახვას მომავალი თაობისათვის, ხოლო მეორე მხრივ, მიცვალებულისათვის კულტის შესასრულებელი ადგილის შემოფარგვას. გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ სამარხზე აღმართული სტელა, ბერძენთა წარმოდგენით, თითქოს განსვენებულის საცხოვრისად, მისი სულის მუდმივ სასუფეველად იყო აღმართული. ასე, რომ სტელის აღმართვა წმინდა ბერძნული მოვლენაა და სოხუმთან აღმოჩენილი რელიეფი უთუოდ ბერძენის სამარხზე უნდა ყოფილიყო აღმართული.

ჯერჯერობით აღმოჩენილი არაა ქალაქი ფასისი, რომელსაც ძვ.წ. IV ს-ის ბერძენი მწერალი ფსევდო-სკილაქს კარიანდელი „ელინურ ქალაქს“ უწოდებს („პაზია“, 81=[422, I, გვ. 48]). ითვლება, რომ ეს ქალაქ ფასისის პირველი მოხსენიებაა წერილობით წყაროებში და უფრო ადრე მას არავინ (მათ შორის ჰეროდოტე) არ იხსენიებს (შდრ. მაგ., [338, გვ. 45], [1108, გვ. 13]). ჰეროდოტესთან სახელწოდება ფასისი 8-ჯერაა ნახსენები. მათ შორის 5-ჯერ ახლავს განმარტება „მდინარე“ (I, 2; I, 104; II, 103, IV, 37; V, 84 = [321ა, გვ. 58, 65, 71, 82, 105]). კიდევ ერთ შემთხვევაში (IV, 45) განმარტება „მდინარე“ არ ახლავს, მაგრამ სავსებით ნათელია, რომ აქაც ჰეროდოტე მდინარეს გულისხმობს.[231] დანარჩენ ორ შემთხვევაში ფასისის განმარტება „მდინარის“ გარეშეა მოხსენებული (IV, 38 და IV, 86). ამ პასაჟებში ფასისი იხსენიება ერთგან ზღვის სანაპიროს აღწერისას და მის სანაპიროდან დასახლებულია ქალაქი სიგეონი, ხოლო მეორეგან (IV, 86) ფასისი დასახლებულია ნავსადგურებს შორის მანძილების აღნიშვნისას, რაც გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ ორ ზემოთ დასახლებულ შემთხვევაში ჰეროდოტე გულისხმობდა ფასისს როგორც ქალაქს, ნავსადგურს (დაწვრ. [1467]. როგორც ჩანს, ჰეროდოტე არ იყო ერთადერთი ავტორი ძვ.წ. V ს-ში, რომელიც ქალაქ ფასისს

[231] საუბარია ქვეყნების საზღვრებზე და ფასისი დასახლებულია მდინარე ნილოსთან ერთად (დედანში, ბერძნულ ტექსტში აქ ფასისის განმარტება „მდინარეს“ გარეშეა (შდრ. [321ა, გვ. 84]).

იხსენიებდა. ბიზანტიელი ისტორიკოსი სტეფანე ბიზანტიონელი თავის ლექსიკონში (რომელიც „ეთნიკა-ს" სახელწოდებითაა ცნობილი) განმარტავს: „... ფასისი, ქალაქი .... მოქალაქე – ფასიატეს და ფასიატიკოს ან ფასიანოს, როგორც [ამბობს] არისტოფანე". ამრიგად, ძვ.წ. V ს-ის ცნობილი ბერძენი კომედიოგრაფი [326, I, გვ. 269] აგრეთვე გულისხმობდა ქალაქ ფასისის მოქალაქეს. და ბოლოს, ძვ.წ. V ს-ის მწერალ ჰეპოკრატეს ავტორობით ცნობილ ტრაქტატში „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ" აღნიშნულია, რომ ფასიანები (ე.ი. მდინარე ფასისპირიონის მიდამოებში მცხოვრებნი) „ცოტას დადიან ფეხით ქალაქსა და ეშპორიონში" (15 = [321, გვ.45]). ხომ სავსებით აშკარაა, რომ აქ ქალაქი ფასისი იგულისხმება. ასე, რომ ფასისი ფსევდო-სკილაქსის IV საუკუნის შუახანებში შედგენილ „პერიპლუსში" კი არ იხსენიება პირველად, არამედ გაცილებით ადრე – ძვ.წ. V ს-ის ავტორებთან – ჰეროდოტესთან, არისტოფანესთან, ჰიპოკრატესთან (თუ ფსევდო-ჰიპოკრატესთან).[232]

წერილობით ბერძნულ-რომაულ და ბიზანტიურ წყაროებში ქალაქი ფასისი, თუმც ხშირად იხსენიება,[233] მაგრამ მის შესახებ ცნობები ძალზე მწირია. ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ფრაგმენტს „ფასისელთა პოლიტიდან", რომელიც ძვ.წ. II ს-ის მწერალ ჰერაკლიტე ლემბის სახელითაა ჩვენამდე მოღწეული, მაგრამ ამოღებულია არისტოტელეს თხზულებიდან „პოლიტიები": XVIII. ფასისელთა (სახელმწიფო წყობილებიდან). „ფასისში თავდაპირველად ჰენიოხები ცხოვრობდნენ, კაციჭამია და ადამიანთა ტყვის გამზდელი ტომი. შემდეგ მილეტელები" [322ა, გვ. 73].

ამ ცნობაში ჩვენთვის ამჯერად საყურადღებოა: 1. თვით ფაქტი, რომ არისტოტელეს „პოლიტიათა" შორის (საიდანაც მომდინარეობს ჰერაკლიტეს ცნობა) არსებობდა „ფასისელთა პოლიტია". ეს მოწმობს ფასისში გარკვეული წყობილების – ორგანიზაციის არსებობას, თუმც მისი ხასიათის შესახებ „პოლიტია" არაფერს გვაუწყებს, რადგან, როგორც ჩანს, არისტოტელეს სხვა „პოლიტიათა" მსგავსად, „ფასისელთა პოლიტიამაც" გვაინდყი ავტორთა ხელში არსებითი ცვლილებები განიცადა და ჩვენამდეც ძალზე ფრაგმენტულად და პირვანდელ დედანს საგრძნობლად დაშორებული სახით მოაღწია ([1108, გვ. 28 და შემდ.]; [1109]).[234] 2) ფასისის უძველეს მოსახლეობად აქ ჰენიოხების დასახელება, რაც სხვა წყაროებით არ დასტურდება,[235] და 3) ფასისში მილეტელთა არსებობა, რაც ეზიარება ანტიკურ მწერლობაში დაცულ ტრადიციას ამ ქალაქის მილეტელთა მიერ დაარსების შესახებ. ელინისტურ მწერლობაში ასეთი ცნობა, როგორც ვარაუდობენ, ეკუთვნოდა ფსევდოსკიმნოსს და იგი შემონახულია V ს-ის ანონიმურ „პერიპლუსში" (დაწერ. [1108, გვ. 40-42 და იქ დასახ. ლიტ.]): „... მდინარეში რომ შედიხარო, ფასისის მარცხნივ მდებარეობს მილეტელთა ელინური ქალაქი, რომელსაც ფასისი ეწოდება და რომელშიაც, ამბობენ, ჩამოდის სამიცი ტომი, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე; მათ შორის, ამბობენ, ზოგნი არიან ბარბაროსები ინდოეთიდან და ბაქტრიანადან".

უფრო გვიანდელია ცნობა, რომელიც ეკუთვნის ახ.წ. I ს-ის ავტორს პომპონიუს მელას: „აქ ჩამოდის ფასისი, აქვეა ამ მდინარის მოსახელე ქალაქი, თემისტაგორე მილეტელის დაარსებული" („დედამიწის აღწერილობა", I, 109 [310]). ასევე ბუკოლიკური პოეტის თეოკრიტეს სქოლიასტის ცნობით („იდილია", XIII, 24-ის): „ფასისი არის მდინარე და მისი მოსახელე ქალაქი კოლხებში, სადაც ცხოვრობენ ელინები, მილეტელი მოახალშენეები" [322, IV, გვ. 127]. სტეფანე ბიზანტიონელიც იუწყება, რომ „ფასისი, აიას ქალაქი კოლხების ქვეყანაში, მდინარე ფასისზე, დაარსებულია მილეტელების მიერ". ქალაქის სახელწოდება ფასისი, როგორც ჩანს, მდინარის სახელიდან მომდინარეობს.[236] ლინგვისტები სახელწოდებას „ფასისი" უძველესი დროის ქართველური ენობრივი სამყაროს კუთვნილ სიტყვად აღიარებენ, თუმც არსებობს ერთგვარი აზრთა სხვადასხვაობაც (იხ. მაგ. [148, გვ. 50-67], [1068], უფრო დაწერ. ცალკეულ მოსაზრებათა მიმოხილვა იხ. [1467, გვ. 5-9]).

[232] არაა სწორი, რომ თითქოს ქალაქი ფასისი მოხსენიებულია პინდარესთან [1341, გვ. 289], ან ავტორთან ფასისის სახელით მდინარე იგულისხმება (პით. IV, 211-212 და მისი სქოლიონი = [318, გვ. 213 და 221]).

[233] ქალაქ ფასისის შესახებ წყაროების მიმოხილვა იხ. [1050, გვ. 120 და შემდ.]; [1334, გვ. 295-299]; [1108, გვ. 6-58]; [1341, გვ. 289]; [1467]; [1057ა].

[234] საერთოდ კი, არისტოტელეს „პოლიტიიდან" მომდინარე ამ ფრაგმენტის ინტერპრეტაცია და მისი თარგმნაც მკვლევართა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს (დაწერ. [322ა]; [1108, გვ. 29-39]; [102, გვ. 383-384, 409]; [1443, გვ. 369, შენიშვნა 687]; [1354]).

[235] ნ. ლომოურის აზრით, საერთოდ საეჭვოა, რომ ამ ფრაგმენტში იხსენიებოდეს ფასისი (მდინარე ან ქალაქი), რამდენადაც სიტყვა, რომლითაც იწყება ფრაგმენტი (φασιν) შეიძლება იყოს არა ტოპონიმის ამბნიშნველი, არამედ ზმნა. შესაბამისად საეჭვოაო „ფასისელთა პოლიტიის" არსებობა საერთოდ არისტოტელეს „პოლიტიათა" შორისო [1354].

[236] ასე მაგ., სტრაბონი აღნიშნავს, რომ ქალაქი ფასისი მდინარის „თანამოსახელეა" (XI, 2, 17) ან „მსგავსი სახელისაა" (XI, 3, 4). იმასვე უსვამს ხაზს პომპონიუს მელა: „მდინარის მოსახელე ქალაქი" („დედამიწის აღწერილობა", I, 109). მდინარის სახელის შერქმევა ახალდაარსებული ქალაქებისათვის საკმაოდ ხშირია ბერძენთა საკოლონიზაციო პრაქტიკაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასისის ადგილმდებარეობის საკითხიც ამიტომ სადავოა. სტრაბონის „გეოგრაფიაში“ შემონახულია საყურადღებო ცნობები: „გეოგრაფია“, XI, 2, 17: „ ... ფასისზე მდებარეობს მისი მოსახელე ქალაქი, გარშემორტყმული მდინარით, ტბითა და ზღვით.“ დაახლოებით იგივეს გადმოგვცემს XI, 3, 4: „ ... /ფასისზე/ არის ქალაქი მსგავსი სახელისა და მახლობლად ტბა.“

მეთიები ქალაქთან ტბის არსებობის შესახებ სტრაბონის წინადროინდელ ცნობებში არ გვხვდება,[237] მაგრამ იგივეს გვაუწყებს V1 ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია: ფასისთან „ ... რომ ერთი ტბა არის“ (Agath., Iust., III, 21 = 323, III, გვ. 102). აგათიას ცნობებში (III, 19) დაზუსტებულია ფასისის მდებარეობაც; ამასთან აღნიშნულია, რომ „მდინარე ჩრდილოეთით ჩამოუდის ქალაქს“ (III, 20), რაც ეთანხმება არაანესა და V ს-ის ანონიმური „პერიპლუსის“ ცნობას (რომელიც, როგორც ვთქვით, ფსევდოსკიმნოსს შეიძლება ეკუთვნოდეს): „მდინარეში რომ შედიხართ, ფასისის მარცხნით მდებარეობს მილეტელთა ელინური ქალაქი, რომელსაც ფასისი ეწოდება“ (იხ. [1108, გვ. 40], [319, გვ. 86].

ამრიგად, ძველი ფასისის ადგილმდებარეობის შესახებ ელინისტურ-რომაულ და ბიზანტიურ წყაროებში თითქოს ზუსტი მინიშნებაა: იგი მდებარეობდა მდ. ფასისის ზღვაში შესართავთან, მის მარცხენა ნაპირზე, და იქვე იყო ტბა. ეს სიტუაცია თითქოს ზუსტად შეესატყვისება დღევანდელ ქალაქ ფოთს, რომელიც მდ. რიონის (ძველი ფასისი) ზღვაში შესართავთან მდებარეობს, და იქვეა ტბა, რომელსაც პალიასტომი ჰქვია. ამიტომაც, თითქმის ყველა მკვლევარი, რომელიც ძველი ფასისის ადგილ-მდებარეობის საკითხებს განიხილავს, ამ ქალაქს დღევანდელი ფოთის მიდამოებში ვარაუდობს (დაწვრ. სხვადასხვა მოსაზრებათა განხილვა იხ. [35]). მიუხედავად ამისა, ძველი (კლასიკური და ელინისტური ხანის) ფასისი ჯერ აღმოჩენილი არაა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ აქაური რთული გეომორფოლოგიური ვითარების გამო ძველ ავტორთა ცნობები ვერ გამოდგება ორიენტირად ქალაქის ადგილმდებარეობის განსასაზღვრავად: დადგენილია, რომ ჩვენთვის საინტერესო არეალში ზღვა უკან იხევს და ხმელეთი იზრდება ზღვის ხარჯზე (ეს პროცესები სტრაბონსაც აქვს აღნიშნული, იხ. I, 3, 4-9), მაგრამ იზრდება მარჯვენა სანაპირო, ხოლო მარცხენა კი ირეცხება (რაც იწვევს ძველი კულტურული ფენების განადგურებასაც); ფოთის მიდამოებში მრავალგანაა დადასტურებული ე.წ. „ნარიონელები,“ რომლებიც მდინარის დღევანდელი კალაპოტისაგან საკმაოდ დიდი მანძილითაა დაცილებული. უთუოდ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ახლაც კარგად ახსოვს, რომ დღეს მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ე.წ. „პატარა ფოთი“ ადრე მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე იყო განლაგებული. ზემოთქმული თითქოს ნათელყოფს, თუ რაღენ სართულებთანაა დაკავშირებული ქ. ფასისის ძიება და რომ დღეს არსებული გეომორფოლოგიური ვითარება ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოდგება ორიენტირად ანტიკურ და ბიზანტიურ წყაროებში დაცული იმ ცნობებისათვის, რომლებიც ქ. ფასისის ადგილმდებარეობას შეეხებიან. ამ გარემოებაზე თავის დროზე ზაზგასმით მიუთითა მ. ფასისის პირველმა ქართველმა მკვლევარმა მ. ბერძნიშვილმა და მანვე გამოთქვა მოსაზრება, რომ ქ. ფასისი აწინდელი ფოთის აღმოსავლეთითაა საძიებელი [1049]. უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე განხორციელებულმა ფართო არქეოლოგიურმა სადაზვერვო სამუშაოებმა (იხ. [1185]) რამდენადმე დაადასტურეს ზემოაღნიშნული მოსაზრება და, ვფიქრობთ, ცხადყვეს რომ ანტიკური ფასისი მართლაც დღევანდელი ფოთის აღმოსავლეთითაა საგულვებელი. არქეოლოგიური დაზვერვების პარალელურად, დიდ სიღრმეებზე კულტურული ფენის დასადგენად გამოყენებულმა გეოლოგიურმა ბურღვებმა დაადასტურეს, რომ აწინდელი ფოთის ტერიტორია და მისი აღმოსავლეთ განაპირა რაიონიც (დაახლოებით 5 კმ-ის მანძილზე ცენტრიდან) არცთუ ისე შორეულ წარსულში ზღვის ეკავა (აღნიშნულ ტერიტორიაზე ზღვური წარმოშობის სილები და ქვიშნარია გავრცელებული, ხოლო 5-10 მ სიღრმეზე გავლებულ ჭაბურღილებში ზღვის ფაუნის ნაშთებია აღმოჩენილი). თუმცა ფასისი ჯერ კიდევ არაა აღმოჩენილი, მაინც ამჟამად საკმაოდ მნიშვნელოვანი და იმედისმომცემი წარმატებებია მოპოვებული. ფოთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ თ. მიქელაძის ხელმძღვანელობით აღმოაჩინა მთელი რიგი ადრეანტიკური და ელინისტური ხანის ნასახლარები, რომლებიც უთუოდ დაკავშირებული იყვნენ ფასისთან და მასთან ერთად, რამდენადმე მაინც ამცირებენ ფასისის ძიების სფეროს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არქეოლოგიურმა დაზვერვებმა რამდენადმე შეაკნეს პარალელურად მიმდინარე გეოლოგიური ბურღვით მიღწეული შედეგები და საკმაოდ საინტერესო სურათი წარმოგვიდგინეს. გეოლოგიური ბურღვით სრულიად უცილობლად დადგინდა არც თუ ისე შორეულ წარსულში დღევანდელი ფოთის ტერიტორიაზე ზღვის არსებობა. ამასთან, ადრევე მოპოვებული არქეოლოგიური მასალები ცხადყოფენ, რომ ზღვის ნაპირი ანტიკურსა და უფრო ადრინდელ ხანაშიც დაახლოებით ემთხვეოდა დღევანდელ ხანაპიროს ქ. ფოთის სამხრეთით მალთაყვასა და სოფ. გრიგოლეთთან,

[237] საფიქრებელია, რომ სტრაბონის ეს ცნობა მომდინარეობდეს ან ჰიპარქესაგან, ან ერატოსთენესაგან, რომელთაც სტრაბონი იმოწმებს ფასისსა და დოსკურიას შორის მანძილთან დაკავშირებით (შდრ. II, 1, 39-40).

ხოლო ჩრდილოეთით – დღევანდელი ხობის მიდამოებს. ამასთან, თანამედროვე ფოთსა და მის მიდამოებში მდ. რიონის გაყოლებაზე ყვე-ლაზე უფრო ადრინდელი მატერიალური კულ-ტურის ძეგლები (გვიანბრინჯაოსა და ადრეან-ტიკური ხანისა) ფიქსირებულია მხოლოდ ქ. ფოთიდან აღმ. 18-20 კმ-ის დაცილებით, სოფ. ჭალადიდსა (რიონის მარჯვენა სანაპირო) და სოფ. სიმაგრეში (რიონის მარცხენა ნაპირზე). ამ პუნქტებიდან დასავლეთით ქ. ფოთის მი-მართულებით მოპოვებული ძეგლების ასაკი „ახალგაზრდავდება.“ ჭალადიდიდან და სიმაგ-რიდან 5-6 კმ-ის დაცილებით რიონის ორივე ნაპირზე (სოფ. საქორჭო, ჭალადიდის სატყეო) მოპოვებულია უკვე ელინისტური ხანის მასა-ლები, უფრო დასავლეთით – პატარა ფოთის მისასვლელთან ახ.წ. V-VI სს-ის ფენა დაფიქ-სირებული. ამ დროის ნაშთები პალიასტომის ტბაშიცაა დადასტურებული [1303, გვ. 34 და შემდ.]. ეს გარემოება თითქოს იძლევა საფუძ-ველს ვარაუდისათვის, რომ ქ. ფასისის წარ-მოქმნის დროისათვის, ძვ.წ. VI-V სს-ში დღე-ვანდელი ფოთის მიდამოებში ზღვის ღრმა უბე არსებობდა, რომელიც მდ. რიონის რეჟიმის შედეგად და ზღვის ხარჯზე ხმელეთის ზრდის გამო თანდათანობით მცირდებოდა, რასაც თან მოსდევდა მოსახლეობის მოძრაობაც ზღვის ნაპირისაკენ. ამის ნათელი ილუსტრაციაა პატა-რა ფოთის (ისტორიული ძველი ფოთისა) და დღევანდელი ფოთის (ახალი ქალაქი წარ-მონაქმნის) მაგალითიც (იხ. აგრეთვე [35]). ამი-ტომ სავარაუდებელია, რომ ძვ.წ. VI-I საუკუ-ნეების ფასისი დღევანდელი ფოთის აღმოსავ-ლეთითაა სამებელი. ასე, რომ ქალაქი ფასისი, აგრე ფართოდ რომ იყო ცნობილი ბერძნულ სამყაროში, ჯერ აღმოჩენილი არაა. ქალაქ ფა-სისის მდებარეობის სავარაუდებელ ტერიტორია-ზე და მის მახლობლად მდ. ფირორისა და რი-ონის ქვემო წელზე კი არქეოლოგიური კვლე-ვა-ძიების შედეგად გამოვლენილია მთელი სის-ტემა წმინდა კოლხური ნამოსახლარებისა, რო-მელთაგან ერთი რიგი განეკუთვნება ძვ.წ. VIII-VII სს. (და უფრო ადრინდელ ხანას), ე.ი. ამ რეგიონში ბერძნული კოლონიზაციის დაწყების წინა პერიოდს, სხვები კი – ძვ.წ. VI-V სს., ე.ი. ფასისის დაარსებისა და მისი ისტორიის ადრე-ულ ხანას [1070], [1185]. განსაკუთრებით სა-ინტერესოა სიმაგრის ნამოსახლარი (მდ. რი-ონის მარცხენა ნაპირზე), სადაც აღმოჩენილია კოლხური სამოსახლო: ხის ნაგებობათა კომ-პლექსი, მრავალფეროვანი კოლხური კერამიკა და აგრეთვე ბერძნული იმპორტი (ქიოსური და ლესბოსური ამფორების, იონიური მოხატული და სადა კერამიკის, ატიკური შავფიგურული და შავლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტები). ფიქრო-ბენ, რომ ეს კოლხური დასახლება ფასისთან ახლოს მდებარეობდა და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მასთან ([1185], [1384]).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ნამოსახ-ლარზე აღმოჩენილი ბერძნული იმპორტული კერამიკა, რომლის ერთი ნაწილი ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანებით თარიღდება (აღმოსავლურ-ბერძნუ-ლი ზოლებიანი კერამიკა: იონოზოიები, ამფორე-ბი, თასები, როდოსულ-იონიური თასები; ატიკუ-რი შავლაკიანი და შავფიგურული კერამიკა, ქიოსური ყელგამობერილი ამფორები), თუმც გვხვდება უფრო ადრეული, ძვ.წ. VI ს-ის პირ-ველი ნახევრით დათარიღებული ცალკეული ფრაგმენტები (ქიოსური ამფორების, ე.წ. ვარ-დულებიანი თასების, ფიქალურას სტილის ფრაგმენტები [1185, გვ. 63 და შემდ.], [1447]). აღსანიშნავია, რომ ძვ.წ. VI ს-ის ბერძნული კერამიკა აღმოჩენილია ქვეყნის შიდა რაიო-ნებშიც, მდ. ფასისის გაყოლებაზე, სადაც ის უთუოდ ქალაქ ფასისიდან ვრცელდებოდა. ასე მაგ., ვანის ნაქალაქარზე ნაპოვნია ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისით დათარიღებული ქიოსური მოხატუ-ლი თასის ფრაგმენტები ([1170, გვ. 42, № 101]). მდინარე ფასისის გაყოლებაზე მდებარე კოლხურ ნამოსახლარებზე ძვ.წ. VI ს-ის პირ-ველი ნახევრის ბერძნული იმპორტული კერა-მიკის აღმოჩენები უაღრესად დიდი მნიშვნელო-ბისაა ქალაქ ფასისის დაარსების თარიღის და-საზუსტებლად.[238] ეს არქეოლოგიური აღმოჩენები იმის მოწმობაა, რომ ქალაქი ფასისი უკვე არ-სებობდა ძვ.წ. VI ს-ის პირველ ნახევარში. და-შასადამე, ის დაარსებული უნდა იყოს შავი-ზღვისპირეთში ბერძენთა საკოლონიზაციო მოძ-რაობის მეორე ეტაპზე, ე.ი. დაახლოებით ძვ.წ. 600-570 წლებს შორის (დაწერ. [1467]).[239]

---

[238] არქეოლოგიური კრიტერიუმი იმ ბერძნული ქალა-ქების – კოლონიების დაარსების თარიღის დასად-გენად, რომელნიც ჯერ აღმოჩენილი არაა, ჯერ არაა შემუშავებული. უნდა ვიფიქროთ, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე გავრცელებული ბერძნული კერამიკა უკვე მანიშნებელია ბერძნული ახალშენის საეჭვო აქტივობისა და მაშასადამე, მისი არსებობისაც! მაგ-რამ მეორეს მხრივ, ეს შეიძლება იყოს დროებით სავაჭრო ფაქტორიის ან ცალკეულ ვაჭართა აქტივო-ბის შედეგიც კი.

[239] ქალაქ ფასისის დაარსების თარიღის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული: 1) ძვ.წ. VII ს-ის დასასრული - VI ს-ის დასაწყისი ([1146, გვ. 46-52]); 2) ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევარი ([1108, გვ. 120-121]); 3) ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარი ([1435, გვ. 254], [1436, გვ. 218]): "this is proved remarkably elusive, and the first indication of the arrival of Greek goods is some pottery of the second half of the sixth century". მაგრამ მდინარე ფასისის გასწვრივ აღმოჩენილი ბერძნული კერამიკა, რა-გორც ვნახეთ, ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევრით თა-რიღდება; 4) ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანები ([1474, გვ. 240]: "According to written sources". მაგრამ, როგორც ცნობილია წერილობით წყაროებში არავითარი ცნო-ბები არაა ქალაქ ფასისის დაარსების თარიღზე); 5) ძვ.წ. VI ს-ის დასასრული ([1321, გვ. 55], [1290, გვ. 55]); 6) არა უადრეს ძვ.წ. V ს-ის დასასრულისა ან

ქალაქი ფასისი ჯერ აღმოჩენილი არაა, მაგრამ მისი სავარუდებელი და მახლობელი ტერიტორიებიდან ჩვენს ხელთაა რამდენიმე არქეოლოგიური აღმოჩენა, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ ამ ქალაქთან და უაღრესად დიდი მნიშვნელობისა არიან მისი ისტორიისათვის. პირველ რიგში უნდა გავსინჯოთ ყუბანისპირეთში, ხუტორ ზუბოვკაში, ერთ-ერთ სარმატულ სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ომფალოსიანი თასი, რომელიც ძვ.წ. V ს-ის დასასრულსაა დამზადებული (სურ. 169). ომფალოსზე პითონის გამოსახულებაა, რომელიც ასახავს ძველ დელფურ წარმოდგენებს ომფალოსზე, როგორც აპოლონის მიერ მოკლული პითონის სამარხზე. თასის შიდა კედლებზე ირმის თავებია გამოსახული, გარე კედელზე კი ბერძნული წარწერა - „ვეკუთვნი აპოლონ ჰეგემონს, რომელიც ფასისშია.“ ჰეგემონი აქ აპოლონის, როგორც ქალაქის წინამძღოლის, უმთავრესი მფარველ-ღვთაების ეპითეტია. წარწერა კი მოწმობს, რომ თასი ეკუთვნოდა აპოლონის ტაძარს ფასისში (დაწვრ. [1369]).



ΑΡΟΛΛΩΝΟΣΗΓΕΜΟΝΟΣΕΙΜΙΤΟΜΦΑΣΙ

სურ. 169. ვერცხლის ომფალოსიანი თასი. ზუბოვკა (ყუბანი). ძვ.წ. V ს-ის უკანასკნელი მეოთხედი [1369]

ჩვენ გვაქვს უაღრესად საინტერესო ცნობა III ს-ში ასევე ფასისში არსებული არტემიდეს ტაძრის შესახებ. იგი ეკუთვნის ისტორიკოს ზოსიმეს („ახალი ისტორია,“ [326, გვ. 791]). ამრიგად, დასტურდება აპოლონისა და არტემიდეს ტაძრები და მათი კულტი ფასისში. მაგრამ იქნებ მათი დედის – ლეტოს კულტიც? ცნობილია, რომ ამ ე.წ. აპოლინარულ ტრიადას თაყვანს სცემდნენ ფასისის მეტროპოლიაში, მილეტში. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ფასისის მახლობლად აღმოჩენილი, იკონოგრაფიული თვალსაზრისით სრულიად უნიკალური მონეტები, დღეს ოცამდე ნიმუშით წარმოდგენილი. შუბლზე ქალის თავის გამოსახულებაა, ზურგზე – ადამიანის ორი თავია – აპოლონისა და არტემიდესათვის დამახასიათებელი იკონოგრაფიული ნიშნებით (სურ. 170). ვვარაუდობთ, რომ შესაძლოა ამ მონეტებზე აპოლინარული ტრიადაა წარმოდგენილი: ლეტო, აპოლონი და არტემიდე (დაწვრ. [1369, გვ. 31-34], იხ. აგრეთვე [67, 3, გვ. 45-47]).



სურ. 170. ე.წ. II ტიპის კოლხური ვერცხლის დიდრაქმა. ძვ.წ. V ს. [1166]

ფასისის სავარაუდებელ ტერიტორიაზე და მის მახლობლად აღმოჩენილია ძვ.წ. V ს-ის ვერცხლის მონეტები, დღეს მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებში 9 ეგზემპლარით წარმოდგენილი: შუბლზე – მილეტური მონეტებისათვის ტიპიური ლომის გამოსახულებაა, ზურგზე - ტანშიშველი მუხლმოდრეკილი მამაკაცის ფიგურა ხარის თავით (სურ. 171). ცნობილია, რომ ხარის ნიშნებიანი მამაკაცის გამოსახულება ბერძნულ იკონოგრაფიაში ეს არის მდინარე-ღვთაება. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ვერცხლის მონეტებზე გამოსახული ხარისთავიანი ტანშიშველი მამაკაცი არის მდინარე-ღვთაება ფასისი, რომელიც იხსენიება ბერძნულ და რომაულ წყაროებში (დაწვრ. იხ. [1166]). განსაკუთრებით საინტერესოა ელინისტური ეპოქის ბერძენი მწერლის მნასეასის ცნობა, რომელიც თეოკრიტეს XIII იდილიის 75-ე ტაეპის სქოლიონებშია შემონახული: „კოლხებს სახელი დაერქვათ კოლხის მიხედვით, რომელიც ფასისის ძე იყო“ [322, IV, გვ. 128]. მსგავსი ცნობა აქვს ევსტათე თესალონიკელს, ორჯერ გადმოცემული: „კოლხები იწოდებიან კოლხის – ფასისის ძის კოლხის მიხედვით ...“, „გადმოცემის თანახმად ისინი (ე.ი. კოლხები – ო.ლ.) იწოდებიან ფასისის ძის კოლხის მიხედვით“ ([322, I, გვ. 120, 150],

---

IV ს-ის დასაწყისისა ([1184, გვ. 104], [1185, გვ. 83-84], [1443-ის პირველ გამოცემაში, გვ. 157-158, თუმც მეორე გამოცემის 85-ე გვერდზე აღიარებს ფასისის არსებობას VI ს-ში], [1445ა, გვ. 209-211]), რამდენადაც თითქოს ქალაქი ფასისი უფრო ადრე წერილობით წყაროებში არ იხსენიება, მაგრამ, როგორც უკვე ზემოთ ვნახეთ, ქალაქ ფასისს ძვ.წ. V ს-ში იხსენიებენ ჰეროდოტე, არისტოფანე, ჰიპოკრატე.

[326, I, გვ. 203-204]). მდინარე-ღვთაება ფასისი იზსენება მწერალ კალიმაქესთან ძალზე საინტერესო კონტექსტში. ესაა კოლხთა მეფის აიეტის ფიცი: „... დაე იცოდნენ ჰელიოსმა და ფასისმა, მეფემ ყველა ჩვენი მდინარისა“ [322, IV, გვ. 107, 109]. მდინარეთა გაღმერთება განპირობებული იყო მათი დიდი მნიშვნელობითა და როლით, როგორც ადამიანთა საარსებო საშუალებისა: მდინარეულ თევზს დიდი ადგილი ეკავა კვებით რაციონში; წყალუხვი მდინარეები გამოიყენებოდა სარწყავად და სასმელ წყლად საქონლისათვის; მდინარეები დიდ როლს ასრულებდნენ ხე-ტყისა და სხვა სავაჭრო საგნების ტრანსპორტირებაში, ამასთან წარმოადგენდნენ სავაჭრო მაგისტრალებს, ზოგჯერ საერთაშორისო მნიშვნელობისაც (შდრ. სტრაბონის ცნობებს: XI, 2, 17 და XI, 7, 3). ბერძნული ახალშენებიც ამიტომ, როგორც წესი, არსდებოდა მდინარეების შესართავთან, სადაც იქმნებოდა ნავსადგურიც. ასეთი დიდი მნიშვნელობის გამო იყო, რომ მდინარეებს სახელები შეერქვა მრავალ ქალაქს. მდინარე-ღვთაებები კი იქცნენ ასეთი ქალაქების ეპონიმებად და მფარველ ღვთაებებად, რომელნიც გამოსახული იყვნენ ამ ქალაქების მონეტებზე, ძირითადად ხარ-კაცის ან ხარის ნაწილების (თავის, რქის) მატარებელი მამაკაცის სახით. იგივე უნდა ითქვას ფასისის მიმართ. მილეტელთა ახალშენი დაარსდა მდინარე ფასისთან და ეწოდა მისი სახელი (შდრ. სტრაბონი, XI, 2, 16-17; პომპონიუს მელა, I, 109; ამიანე მარცელინე, XXII, 24). ეს მდინარე კი ფართოდ იყო ცნობილი ბერძენულ სამყაროში არგონავტების შესახებ თქმულებიდან. მიწის გამანაყოფიერებელი შლამით მდიდარი მდინარე ფასისი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დიდ როლს ასრულებდა მიწათმოქმედების განვითარებაში, რაც აისახა კიდეც ხალხურ ფოლკლორში შემონახულ ლეგენდაში: „დიდება შენდა, წმინდა მდინარე, დიდო რიონო! შენ უკვდავებას ანიჭებ ჩვენს მიწას, შენ მარჩენალი ხარ ყველასი და ჯარგვალებში სიხარულს შემომტანი! თევზის მბრძანებელო და მეთევზეთა მფარველო, მიიღე ეს ლოცვა ნაშნად ჩვენი ერთგულებისა ...“ [1137, გვ. 258-259]. ასე, რომ მდინარე ფასისის დიდი მნიშვნელობა, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ისე მოსული ბერძენი მოახალშენეებისათვის, ქმნიდა საფუძველს ფასისის მდინარე-ღვთაებად პერსონიფიცირებისათვის, რაც წარმოდგენილი უნდა იყოს ე.წ. კოლხური დიდრაქმის I ტიპის მონეტებზე (დაწერ. [1166]).

ამრიგად, თუმც ფასისი ჯერ აღმოჩენილი არაა, მაგრამ წერილობით წყაროებთან ერთად, ჩვენ ხელთ გვაქვს მთელი წყება არქეოლოგიური მასალისა ქალაქ ფასისის რეალურად არსებობის შესახებ.

ბერძნულ-რომაულ წყაროებში მოხსენიებული ბერძნული „კოლონიები,“ როგორც ითქვა, კოლხეთში ჯერ აღმოჩენილი არაა. არც ეპიგრაფიკული ძეგლებია მოპოვებული. ამ ქალაქების ტიპისა და ფუნქციის განსასაზღვრავად წყაროებშიც პირდაპირი ცნობები შემონახული არაა. ამით აიხსნება სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული აზრთა სხვადასხვაობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (კოლხეთში) ბერძნული კოლონიზაციის ხასიათის შესახებ (დაწერ. [102, გვ. 292-314]; შდრ. [76, გვ. 292-394]).



სურ. 171. ე.წ. I ტიპის კოლხური ვერცხლის დიდრაქმა [1166]

არქეოლოგიური კვლევა-ძიება შავი ზღვის კოლხეთის სანაპიროზე (ბათუმის რაიონი, ცისკისძირი, ქობულეთ-ფიქვნარი, ურეკი, ფოთი და მისი მიდამოები, ჭულევი, ქარიეტა, ოჩამჩირე, სოხუმი და მისი მიდამოები, ეშერი, ბიჭვინტა) ცხადყოფს, რომ მთელი ზღვისპირა ზოლი მთლიანად ადგილობრივი მოსახლეობის მიერ იყო მჭიდროდ დასახლებული, როგორც კოლონიზაციის წინარე ხანაში, ასევე ძ.წ. VI-V სს., ე.ი. კოლონიზაციის პერიოდში. ამასთან არქეოლოგიური მასალები უტყუარად მოწმობენ, რომ მიწისმოქმედებასა და ხელოსნურ წარმოებასთან ერთად (კერამიკული წარმოება, რკინის მეტალურგია), მოსახლეობის საწარმოო საქმიანობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ზღვასთან (მეთევზეობა) ([1370], [1468]).

ზემოაღნიშნულ ვითარებას საგრძნობლად უნდა შეეფერხებინა კოლხეთში ბერძენთა საკოლონიზაციო მოძრაობის განვითარება: მართლაც ძ.წ. VI-V სს. კოლხეთის სახელმწიფოს არსებობის პირობებში ბერძნული კოლონიების დაარსებამ ვერ მოახდინა რამდენადმე არსებითი ცვლილება ადგილობრივ დემოგრაფიულ სიტუაციაზე. ადგილობრივი მოსახლეობა კვლავინდებურად იმავე ტერიტორიაზე სახლობს და ეწევა აქტიურ სამეურნეო საქმიანობას, ამასთან თითქმის არ შეინიშნება რამდენადმე არსებითი კვალი ბერძნული გავლენისა ადგილობრივი მოსახლეობის ყოფასა და მატერიალურ თუ სულიერ კულტურაზე, რაც აგრე თვალსაჩინოდ მჟღავნდება ჩვეულებრივ იმ ოლქებში, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობდა „დიდი ბერძნული კოლონიზაცია.“ ცნობილია, რომ ბერძნული კოლონიები – პოლისები – ირგვლივ მდებარე ტერიტორიაზე ქმნიდნენ „ელინიზირებულ ზონებს,“ უაღრესად დიდ გავლენას ახდენდნენ და ძირეულად გარდაქმნიდნენ ადგილობრივი მოსახ-

ლების კულტურის ყველა სფეროს: ენას, ყოფას, იდეოლოგიას, დაკრძალვის წესებს, ხელოსნურ წარმოებას, სამშენებლო ტექნიკასა და ა.შ. არაფერი ამის მსგავსი ძვ.წ. VI-V სს-ის კოლხეთში არ შეინიშნება (დაწერ. [1380]). ამიტომაც დღეს მკვლევართა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ბერძნულ კოლონიზაციას კოლხეთში არსებითად სავაჭრო ხასიათი ჰქონდა და ბერძნული დასახლებების (კოლონიების) ეკონომიკის განმსაზღვრელი სავაჭრო ფუნქცია იყო. მაგრამ მაინც საკამათო და ჯერ გადაუჭრელი რჩება კოლხეთის სანაპიროზე დაარსებული ბერძნული ქალაქების – კოლონიების პოლიტიკური ორგანიზაციის საკითხი: წარმოადგენდნენ ისინი ემპორიონის (ე.ი. სავაჭრო ფაქტორიის) ტიპის დასახლებებს თუ ჰქონდათ დამოუკიდებელი პოლისის სტატუსი (შდრ. [102, გვ. 369-407]). აქ დაისმის აგრეთვე ასეთი კითხვა: რატომ მოვიდნენ ბერძენი მოახალშენეები კოლხეთში და რა მიზნით დაარსეს თავისი კოლონიები? აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ, ძვ.წ. VIII-VII სს-ში (ე.ი. სწორედ „დიდი ბერძნული კოლონიზაციის“ ეპოქაში) არაჩვეულებრივი პოპულარობა ბერძნულ მწერლობაში იმ თქმულებებისა, რომელნიც მოგვითხრობდნენ არგონავტების ლაშქრობაზე კოლხეთში ოქროს საწმისისათვის. გავიხსენოთ, რომ ამ თემას უძღვნეს თავიანთი ნაწარმოებები ე.წ. კიკლიკური და ნავთაქტიკური ეპოსის წარმომადგენლებმა, გამოჩენილმა მწერლებმა და პოეტებმა – ევმელოს კორინთელმა, სიმონიდე კეოსელმა, ჰეკატე მილეტელმა, აკუსილაე არგოსელმა, პინდარემ და მრავალმა სხვამ (დაწერ. [318, გვ. 185-216]). ხომ არ იყო ეს თავისებური მოწოდება ოქროთი მდიდარი ქვეყნის „დასალაშქრავად“? თუ სწორია დებულება იმის შესახებ, რომ უძველესი არგონავტიკა არის აგრეთვე თავისებური ასპեზა ძვ.წ. VIII-VI სს-ის ბერძნული საკოლონიზაციო კონცეფციისა, მაშინ შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს მოსაზრება ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინ საკმაოდ ნათლად ჩამოაყალიბა დიდმა ბერძენმა ისტორიკოსმა და გეოგრაფოსმა – სტრაბონმა, რომელიც აღნიშნავს (I, 2, 39 = [320, გვ. 70-71]): „ამ ქვეყნის (კოლხეთის - ო.ლ.) სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლით, რკინითა და სპილენძით გვიხსნის /არგონავტთა/ ლაშქრობის სწორ საბაბს. ამ მიზნით პირველი მგზავრობა ფრიქსემ მოაწყო ...“. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კოლხეთის ლეთინით სიმდიდრემ დაიინტერესა ბერძენი და ეს გახდა საფუძველი აქ ბერძნული კოლონიების დაარსებისა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ისტორიოგრაფიაში „ლეთინის ძიება“ მიჩნეულია, როგორც დიდი ბერძნული კოლონიზაციის ერთ-ერთი სტიმული და მამოძრავებელი ძალა.

კოლხეთის სიმდიდრე ოქროთი (რაც არქეოლოგიურადაა დადასტურებული და წინა პარაგრაფში იყო განხილული) ძველ ბერძნულ ლიტერატურაში საკმაოდ თვალსაჩინოდაა ხაზგასმული და სხვადასხვაგვარი პოეტური ხერხებით წარმოჩენილი. ასე მაგ., იხსენიება „ოქრომრავალი კოლხების მეუფე აიეტი ღმერთების ყოვლისმძლე სვემ გააპატიოსნა“ [318, გვ. 293]. ესაა ე.წ. ეპიტაფია კოლხეთში დაკრძალულ აიეტზე, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნეში უცნობმა ბერძენმა ავტორმა შეადგინა (დიდხანს მის ავტორად შეცდომით ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე იყო მიჩნეული). ჩვენთვის ამჯერად ეგი იმითაა საინტერესო, რომ აქ კოლხეთი მოიხსენიება იმავე ეპითეტით - „ოქრომრავალი,“ როგორც მხოლოდ ძველ სამყაროში თავისი სიმდიდრით განთქმული ქალაქები მიკენი, სარდი და ბაბილონი.

კოლხეთის ოქრომრავლობას სხვა ბერძენი ავტორებიც სხვადასხვა პოეტური ხერხებით ხაზგასმით აღნიშნავენ [1256, გვ. 209]. ასე მაგ., ძვ.წ. VII-VI სს-ის პოეტის მიმნერმეს გადმოცემით აიეტი ოქროს სასახლეში ცხოვრობდა [318, გვ. 202]. ევრიპიდესთან კოლხთა მეფის ასული მედეა საჩუქრად გასცემს ხოლმე ოქროს გვირგვინითა და თასით, თავის სახელგანთქმულ წამლებს ოქროს ქვაბებში ხარშავს [318, გვ. 237]. აპოლონიოს როდოსელის პოემაში „არგონავტიკა“ (III, 1228-30) კოლხთა მეფე აიეტი ატარებს ოქროს მუზარადს და ცხოვრობს ოქროს კოშკში. ცნობილი რომაელი მწერალი და მეცნიერ-ენციკლოპედისტი გაიუს პლინიუსი უფროსი მოგვითხრობს მეფე აიეტის შთამომავალზე სალაკეზე, რომელსაც „ოქროს საწმისებით სახელგანთქმულ თავის სამეფოში აურაცხელი ოქრო და ვერცხლი უპოვია“ („ბუნების ისტორია,“ XXXIII, 51). ოქროს საწმისი კი რაღაა, რომელიც კოლხეთში ინახებოდა და აგრე აღელვებდა ძველ ბერძენთა გონებასა და რწმენა-წარმოდგენებს?

თუ ადრე ოქროს საწმისი აღიქმებოდა, როგორც სამეფო ხელისუფლებისა და ქვეყნის კეთილდღეობის სიმბოლო (იხ. ზემოთ, აგრეთვე [1463]), ადრეელინისტური ხანიდან ვრცელდება მისი ახალი, ამჯერად უკვე რაციონალისტური ახსნა [1463]. ერთ-ერთ ანონიმურ მითოლოგიურ ტრაქტატში შემონახულია საინტერესო ცნობა, რომელიც ძვ.წ. IV ს. ბერძენ მწერალს – ევჰემერისტს პალეფატეს მიეწერება: „კოლხეთში დაცული ტყავი ნამდვილი ოქროს საწმისი კი არ იყო (ეს პოეტური მონაჭორაა), არამედ ტყავებზე ნაწერი წიგნი, რომელიც შეიცავდა იმის აღწერას, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ ოქრო ქიმიის საშუალებით“ [318, გვ. 439]. სხვები კი ირწმუნებოდნენ, რომ „ოქროს საწმისი იყო ეტრატებზე აღნუსხული ხერხი ოქროდამწერლობისა, რომლის გამოცყ, ამბობენ, ეს ღირსსარწმუნოა, „არგოს“ ლაშქრობა მოეწყო ...“ [318, გვ. 447].

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენად რეალურია ბერძენ და რომაელ ავტორთა ცნობები კოლხეთზე, როგორც ოქროთი მდიდარ ქვეყანაზე?

ოქრო, როგორც ცნობილია, უძველესი დროიდან მოიპოვება როგორც მადნიდან, ასევე მდინარეებში, ალუვიურ ქვიშასა და ხრეშში, სადაც ის ჩადიოდა ოქროს შემტვრეული მადნის გამოფიტვის ან დაშლის შედეგად. ოქროს მადანი კოლხეთში ჯერ აღმოჩენილი არაა. სამაგიეროდ კოლხეთის მდინარეებში ოქროს მოპოვების შესახებ იუწყებიან ჯერ კიდევ ბერძენი და რომაელი ავტორები, რომელთა ცნობებს ოდნავ ქვემოთ განვიხილავთ. ახლა კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ანტიკური ხანის მწერალთა ცნობებს კოლხეთის მდინარეებში ოქროს მოპოვების შესახებ ადასტურებენ უფრო გვიანდელი მონაცემებიც. ასე მაგ. უცხოელი მოგზაურები (როგორც მაგ. XVII ს-ში იტალიელი არქანჯელო ლამბერტი, XVIII ს-ში გერმანელი რაინექსი, XIX ს-ში დიუბუა დე მონპერე) გვაწვდიან საინტერესო ცნობებს დასავლეთ საქართველოს მდინარეებში ოქროს მოპოვების შესახებ (იხ. [1257, გვ. 96 და იქ დასახ. ლიტ.]; [1089, გვ. 8-11]). XIX ს-ში ინტენსიურად მისდევდნენ ოქროს მოპოვებას მდ. რიონისა და მდ. ენგურის ხეობებში. სანკტ-პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულია რუსი ინჟინრების ტომილევისა და გილევკის მიერ 1850-1853 წლებში ზემოდასახელებულ მდინარეებში ოქროს მოსაპოვებლად ჩატარებული მუშაობის ანგარიში (ხელნაწერი რუსულ ენაზე, სათაურით „მდინარეების რიონისა და ენგურის ხეობაში ოქროს არსებობის პირობები"). ირკვევა, რომ ზოგიერთ ადგილებში ერთ ტონა ქვიშაზე მოდიოდა საშუალოდ 5,3 გრამი ოქრო. ზშირად ზოგიერთი ოქროს მარცვლის სიდიდე სიმინდის მარცვალს აღემატებოდა. აღნიშნულია შემთხვევები თვითნაბადი ოქროს პოვნისაც (დაწერ. იხ. [1365, გვ. 98-99, შენიშვნა 150]). ოქროს ძიება საბჭოთა პერიოდშიც გრძელდებოდა მეორე მსოფლიო ომამდე. კიდევ ერთხელ დადასტურდა კავკასიიდან დასავლეთ საქართველოში მომდინარე მდინარეებში ოქროს არსებობა. ზოგიერთ მდინარეში ოქროს შემტვრეული ქვიშაარი ფენის სიმძლავრე ორ მეტრს აღწევდა. აღმოჩენილი იყო ოქროს მარცვლები, წონით 2-4 გრამი, ხოლო თვითნაბადი ოქროსი კი, 40 გრამამდე. ამასთან აღინიშნებოდა დიდი ზოდების აღმოჩენაც: ერთი 340 გრამი, ხოლო მეორე 450 გრამი [1089, გვ. 14-15].

ამრიგად, ბერძენ და რომაელ ავტორთა ცნობები კოლხეთში ოქროს სიმრავლის შესახებ რეალურ მონაცემებზეა დაფუძნებული.[240] უდიდესი მნიშვნელობისაა ის ფაქტიც, რომ ანტიკური დროის ავტორებმა შემოგვინახეს კოლხეთში ოქროს მოპოვების წესის აღწერაც: ასე მაგ., სტრაბონი იუწყება (XI, 2, 19): „კოლხეთში მდინარეებს ჩამოაქვთ ოქრო, რასაც ადგილობრივი მცხოვრებლები დაზვრეტილი ვარცლებით და ტყავებით აგროვებენ. აქედან მომდინარეობს მითიც ოქროს საწმისზე." ახ.წ. II საუკუნის მწერალის აპიანეს ცნობით: „კავკასიონიდან გამომდინარე მრავალ ნაკადულს უჩინარი ოქროს ქვიშა ჩამოაქვს. ადგილობრივი მცხოვრებლები მდინარეში სქელმატყლიანი ცხვრის ტყავებს დებენ და აგროვებენ ქვიშას, რომელიც ამ ტყავებზე რჩება. ალბათ, ამგვარივე იყო აიეტის საწმისიც" („მითრიდატეს ომები," 103). უაღრესად საინტერესოა და ფრიად მნიშვნელოვანი, რომ ოქროს მოპოვების ბერძენ მწერალთა მიერ ზემოაღწერილი წესი, თითქმის უკანასკნელ დრომდე შემოინახა სვანეთში, ე.ი. ისტორიული კოლხეთის მთიან ოლქებში. აწ განსვენებული ქართველი ეთნოგრაფის ლ. ბოჟორიშვილის ცნობით: „ოქროს მოპოვებას სვანები ცხვრის ტყავის დახმარებით ახერხებდნენ. ფიცარზე გაჭიმულსა თუ სხვაგვარ ხერხით გაწელილ ცხვრის ტყავს სათანადოდ დაამაგრებდნენ, რომ წყალს არ მოეტანა, ტყავის ბეწვიანი მხარე ზემოთ უნდა ყოფილიყო მოქცეული. ბეწვი ოქროს დაიჭერდა და წყალი კი გადაივლიდა. სველი ტყავი ოქროს კენჭების მიიწებებდა, რადგან ოქრო უფრო მძიმეა, ვიდრე სილა. განსაზღვრული დროის შემდეგ ტყავს ამოიღებდნენ და გასაშრობად გაშლიდნენ. გაშრალ ტყავს დაბერტყავდნენ და ოქროს კენჭებს გადმოყრიდნენ" [1051].[241]

ძნელია, ალბათ, მოიძებნოს სხვა უფრო მჭერმეტყველი დადასტურება ძველ ბერძენ მწერალთა ცნობებისა, რომელნიც ცდილობდენ განემარტათ ოქროს საწმისის შესახებ მითის წარმოშობის რეალური საფუძველი.

ოქროსთან ერთად (აგრე რომ სჭირდებოდა ამ ლეიონიით ღარიბ საბერძნეთს) კოლხეთში ბერძენ მოახალშენეს უთუოდ ამ ქვეყნის რკინით სიმდიდრეც იზიდავდა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი აღრეული და უდიდესი ბერძნული ქალაქის სინოპის საკოლონიზაციო პრაქტიკაშიც. ზოგიერთი მკვლევარი ამ აზრისაც კია, რომ ქალაქები ფასისი და დიოსკურია კოლხეთში თვით მილეტის მიერ კი არაა დაარსებული, არამედ მილეტის კოლონიის – სინოპის მიერ, ე.ი. შეიძლება ვი-

[240] მით უფრო გაკვირვებას იწვევს, ზოგიერთი ავტორის ცდა არარეალურად გამოაცხადონ ცნობები კოლხეთში ოქროს არსებობის შესახებ, და უარყონ ადგილობრივი ოქროს არამც თუ ექსპორტი, არამედ მისი გამოყენების შესაძლებლობაც კი სამკაულების დასამზადებლად (შდრ. [1475, გვ. 18-19]).

[241] ოქროს მოპოვების ეს წესი საკუთარი თვალით ნახა და დაწერილებით აღწერა თავის წიგნში ცნობილმა ირლანდიელმა მოგზაურმა და ექსპერიმენტატორმა ტიმ სევერინმა, რომელმაც 1985 წელს ოცნიჩიანი ნავით გაიმეორა არგონავტების მარშრუტი (იხ. [1473, გვ. 222-223]).

ვარაუდოთ, რომ სინოპის ეკონომიკური ინტერესები კოლხეთის მიმართ განპირობებული იყო იმავე მოტივებით, რომელსაც შედეგად მოჰყვა სინოპის მიერ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, უშუალოდ კოლხეთის სამეფოს მიმდებარე ტერიტორიაზე ისეთი ქალაქების დაარსება, როგორიცაა ტრაპეზუნტი, კოტიორა, კერასუნტი და სხვ. ამ ქალაქების დაარსებით სინოპე მიზნად ისახავდა თავისი გავლენის სფეროში მოექცია სხვადასხვა მაღნეულით (ვერცხლით, სპილენძით, ტყვიითა და განსაკუთრებით კი – რკინით) მდიდარი ის ოლქები, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს აღმოსავლეთ ნაწილში - მდ. არისისა და მდ. თერმოდონტის აღმოსავლეთით რომ მდებარეობდა [1375, გვ. 69 და შემდ.]. აქ მოსახლე მელიითონე ტომებს იხსნიებდნენ კრებითი სახელით „ხალიბები“ და მათ მიაწერდნენ რკინის „გამოგონებას,“ ხოლო მათ ქვეყანას კი „რკინის დედას“ უწოდებდნენ (ესქილე, „მიუჯაჭვული პრომეთეოსი,“ 714=[318, გვ. 226, 227]). ადგილობრივ მოსახლეობასთან ლითონისათვის სავაჭროდ სწორედ სინოპემ დაარსა, როგორც ფიქრობენ, ტრაპეზუნტი, კერასუნტი, კოტიორა და ემპორიონის ტიპის ახალშენები – არმენა, კარუსა და სხვ. სინოპემ გზა გაიკაფა მცირე აზიის შიდა რაიონებისაკენაც, რამაც ხელი შეუწყო ამ ქალაქის, როგორც პონტოს ერთ-ერთი უდიდესი სავაჭრო ცენტრის დაწინაურებას. სინოპის ვაჭრობის ისტორიის სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ მასი, როგორც სავაჭრო-სატრანზიტო ცენტრის, მნიშვნელობას. აქ თავს იყრიდა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს სხვადასხვა პუნქტებიდან წამოსული საქონელი. სავსებით აშკარაა, რომ სინოპის სულ უფრო და უფრო მზარდი ეკონომიკური ინტერესების სფეროში უნდა მოქცეულიყო კოლხეთი, რომლის სამხრეთ-დასავლეთი ოლქები უშუალოდ ემეზობლებოდა სინოპის გავლენის ქვეშ მყოფ რკინით აგრე მდიდარ ტერიტორიას. სწორედ კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთი ოლქები იყო რკინით განსაკუთრებით მდიდარი, რასაც თვალსაჩინოდ მოწმობენ რკინის წარმოების მრავალად აღმოჩენილი ნაშთები (რომელთა შესახებ ზემოთ იყო უკვე საუბარი). შეიძლება, ამრიგად, ვივარაუდოთ, რომ კოლხეთის ბუნებრივმა სიმდიდრეებმა მიიზიდეს იონიელი ბერძნები კოლხეთში აქ თავიანთი სავაჭრო ახალშენების დასაარსებლად. მაგრამ მხოლოდ ლითონის გატანით როდი იფარგლებოდა ბერძენთა საქმიანობა კოლხეთში. ექსპორტის ერთ-ერთ მთავარ საგანს შეადგენდა ხე-ტყე. სტრაბონის ცნობით (XI, 2, 17 = [320, გვ. 123-124]), კოლხეთში მოიპოვებოდა „გემთშენებლობისათვის საჭირო ყოველი მასალა. აქ იზრდება მრავალი ტყე და მდინარეებითაც ჩამოიტანება, მრავლად ამუშავებენ სელს, კანფს, ცვილს.“ საფიქრებელია, რომ გემშაენ მასალასთან ერთად კოლხეთიდან გაჰქონდათ აგრეთვე ხის ძვირფასი ჯიშები, რომელთაც ავეჯის დასამზადებლად იყენებდნენ. ხე-ტყის გატანას ხელს უწყობდა, როგორც ჩანს, გეოგრაფიული პირობებიც: დასავლეთ საქართველოს მდინარეების ჩქარი დინება ზღვის სანაპიროზე მდებარე საპორტო ცენტრებში ხე-ტყის ტრანსპორტირების კარგ შესაძლებლობებს ქმნიდა. აქ დგება მთელი წყება საინტერესო, მაგრამ ძალზე რთული საკითხებისა, რომელთა შესახებ ახლა გაძნელდება პასუხის გაცემა. მაგ., როგორ ხორციელდებოდა ხე-ტყის ექსპორტირების ორგანიზაცია (მოჭრა, დამზადება, ტრანსპორტირება)? ვინ ედგა საათავეში ამ საქმეს: კოლხი ხელისუფალნი თუ ბერძენი ვაჭრები?

მთელს ანტიკურ სამყაროში იყო სახელგანთქმული კოლხური ხოხობი, რომელსაც პირველად დემოსთენე (ძვ.წ. V ს.), ხოლო შემდეგ ძვ.წ. III-II სს. ბერძენი მწერალი ათაოარკიდე კნიდოსელი იხსენიებს. ბერძენ-რომაელ მწერალთა ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ ხოხობიც და მისი სახელიც ანტიკურ სამყაროში კოლხეთის ფასისისგანაა გავრცელებული. იოუენალის სქოლიასტი წერს: „ხოხობი ფასისიდან წარმომავლობს, ხოლო ევსტათი თესალონიკელის ცნობით, „მდ. ფასისის მიხედვით მიიღეს ეს სახელი (ფასიანები) ფრინველებმაც, რომლებიც აქ დიდი რაოდენობითაა,“ ამიტომაა, რომ ბერძნულად ხოხობს ეწოდება „ფასიანოს,“ ლათინურად – „ფაზიანუს.“[242]

მზოლოდ ნედლეული და ბუნებრივი სიმდიდრე რიდი შეადგენდა კოლხეთიდან ექსპორტის საგანს: უკვე ადრეანტიკურ ხანაში, როგორც ჩანს, ფართოდ გაჰქონდათ კოლხური ხელოსნური ნაწარმი, რომელსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფართო სასაქონლო ხასიათი ჰქონდა. უკვე ძვ.წ. V ს. (და შესაძლოა, რამდენადმე უფრო ადრეც) მთელს ანტიკურ სამყაროში კოლხური სელი იყო სახელგანთქმული, სტრაბონი წერდა: „კოლხეთში უხვად მოჰყავთ სელი. ...სელის წარმოებამ სახელიც კი გაითქვა; იგი უცხო ქვეყნებშიც გაჰქონდათ და ზოგიერთი, ვისაც სურს დაამტკიცოს კოლხების ნათესაობა ეგვიპტელებთან, ამაში ხედავს დამამტკიცებელ საბუთს“ (XI, 1, 17). სრულიად აშკარაა, რომ „ზოგიერთებში“ სტრაბონი გულისხმობს ჰეროდოტეს, რამდენადაც ამ უკანასკნელს ეკუთვნის ჩვენთვის ცნობილი პირველი მითითება კოლხური სელის შესახებ და იქიაც თითქოს და კოლხებისა და ეგვიპტელების ნათესაობისა. ჰეროდოტეს ცნობა: „მზოლოდ ესენი (კოლხები – ო.ლ.) და ეგვიპტელები ამზადებენ სელს ერთნაირად. ...ხოლო კოლხურ სელს ელინები სარდონულს უწოდებენ, ეგვიპტიდან შემოსულს კი

[242] შესაბამისად, ანალოგიური წარმოშობისაა ხოხბის აღმნიშვნელი სიტყვა თანამედროვე ევროპულ ენებში (რუსული ფაზან, გერმანული Fasan, ინგლისური Faisant, ფრანგული Phesant [1050, გვ. 36-37], [1365, გვ. 150-151 და იქ დასახ. ლიტ.]).

– ეგვიპტურ სელს“ (II, 105 [324ა, გვ. 73]), მოწმობს, რომ ბერძნულ სამყაროში ფართოდ იყო გავრცელებული კოლხური სელი და იგი, უნდა ვივარაუდოთ, ეგვიპტურსაც კი უწევდა მეტოქეობას ([1050, გვ. 44]). საინტერესოა, რომ ქსენოფონტი წერდა: „წმინდა ფასიანურ ან კართაგენურ სელისაგან, უნდა გაკეთდეს ჩასაცვები ბადეები, აგრეთვე სამგზავრო და საველე“ („მონადირეობაზე,“ II, 4 = [326, გვ. 359]). ამრიგად, სელის ექსპორტს ადრეანტიკური ხანის კოლხეთის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ჰქონოდა.

საფიქრებელია, რომ ქსოვილთან ერთად კოლხეთიდან ფართოდ გაჰქონდათ სელის ზეთი, რომელსაც, როგორც ცნობილია, საკვები, სანათი და სამკურნალო დანიშნულება ჰქონდა [351, გვ. 54]. საინტერესოა, რომ კოლხთა ლეგენდარული მეფის აიეტის ასული მედეა მთელს ანტიკურ სამყაროში იყო სახელგანთქმული, როგორც ჯადოსნური წამალთა დამზადების დიდოსტატი. ფიქრობენ, რომ სელის წარმოებით განთქმულ კოლხეთში, როგორც სამკურნალო, ისე სურნელოვანი ზეთის შემზადება სელის ზეთის საფუძველზე იყო აღმოცენებული.

ვარაუდობენ, რომ კოლხეთიდან გაჰქონდათ აგრეთვე ხელოსნური მზა-ნაწარმიც ([1365, გვ. 149-154 და იქ დასახ. ლიტ.]).

ჩვენ არ მოგვეპოვება პირდაპირი მასალა იმის შესახებ – არსებობდა თუ არა კოლხეთში მონათა ბაზარი. მაგრამ ტყვე-მონების კოლხეთიდან გაყვანის ცალკეული შემთხვევები ეჭვს თითქმის არ უნდა აწვევდეს. საამისო მოწმობაა კოლხი მონების არსებობა ათენის კერამიკოსთა და ვაზებისმომხატველთა შორის, რომელნიც თავის ნაწარმოებებზე წაჰწერდნენ ხოლმე ეთნიკურ სახელს – „კოლხი“. მონა „კოლხი“ იხსენიება აგრეთვე აითწში ძვ.წ. 415-414 წწ. ე.წ. ჰერმოკოპიდების პროცესთან დაკავშირებით შედგენილ წარწერაში, საიდანაც ვიგებთ, რომ „კოლხი“ მონა 153 დრაქმად ყოფილა შეფასებული. მაგრამ რამდენადაც საინტერესო არ უნდა იყოს ეს მონაცემები (დაწვრ. იხ. [1365, გვ. 162 და იქ დასახ. ლიტ.]), ის მაინც ვერ გამოდგება მოწმობად კოლხეთში ისეთი მონათა ბაზრის არსებობისა, რომელიც ათენისა თუ სხვა ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების ინტერესის სფეროში მოექცეოდა (შდრ. [1295], [1437]). ჩვენის აზრით, ბერძნებს კოლხეთში ძირითადად მაინც ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრეები და პირველ რიგში კი – ლითონი იზიდავდა.

ბერძენ ვაჭრებს კი კოლხეთში ძირითადად მხატვრული და სუფრის ნატიფი კერამიკა თუ ძვირფასი ლითონის ჭურჭელი, მაღალი ხარისხის ღვინო, ზეითუნის ზეთი და ნელსაცხებლები შემოჰქონდათ.

არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ბერძნული სამყაროს კოლხეთთან ურთიერთობაში ორი ძირითადი ეტაპი გამოიყოფა: პირველი მოიცავს ძირითადად ძვ.წ. VI, ხოლო მეორე კი ძვ.წ. V-IV საუკუნეებს (დაწვრ. [1365, გვ. 154-179 და იქ დასახ. ლიტ.]).

ანტიკური სამყაროს კოლხეთთან რეგულარული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის[243] ადრინდელ ეტაპზე სრულიად აშკარაა აღმოსავლურ-ბერძნული /იონიური/ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების აქტიური როლი. ძვ.წ. VI ს. პირველ ნახევარში ურთიერთობა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ძალზე სპორადული ხასიათს ატარებს (ამ ხანის მხოლოდ ერთეული აღმოჩენებია ჯერჯერობით ცნობილი), სამაგიეროდ უკვე ძვ.წ. VI ს. შუა ხანებიდან და განსაკუთრებით ძვ.წ. VI ს. მეორე ნახევარში ანტიკურ სამყაროსა და კოლხეთს შორის უკვე საკმაოდ ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჩანს.

ძვ.წ. VI ს., როგორც ითქვა, კოლხეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში აქტიურ როლს იონიური სავაჭრო-სახელოსნო ცენტრები ასრულებენ. ამ ცენტრების ნაწარმი, უპირატესად მხატვრული კერამიკა, უკვე საკმაოდ მრავლადაა კოლხეთში აღმოჩენილი.

აღსანიშნავია სხვადასხვა ფორმის ჯამები, მოხატული თეფშები, პოლიქრომიული სარტყლებით შემკული სურები, ჭრაქები და სხვ. აქ კარგად გამოიყოფა ე.წ. იონურ-როდოსული (კამირესის ჯგუფი), ფიკელურას და „იონიური“ სტილის კერამიკა. ამ კერამიკის ნაწილი როდოსის და სამოსის სახელოსნო ცენტრების პროდუქციაა. ჯერჯერობით ვერ ხერხდება აღმოსავლეთის ბერძნული კერამიკის ე.წ. „იონიური“ ჯგუფის სახელით ცნობილი კერამიკის საწარმოო ცენტრების განსაზღვრა. თიხების არაჩვეულებრივი მრავალფეროვნება მკვლევართ სხვადასხვა საწარმოო ცენტრების (ქიოსი, ნავკრატისი, მილეტი) არსებობას ავარაუდებინებს. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ აღმოსავლურ-ბერძნული კერამიკის მკვლევართა უმრავლესობის აზრით, საშუალო როლს იონიური სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების პროდუქციით ვაჭრობაში უდიდესი სავაჭრო ცენტრი მილეტი ასრულებდა. იონიური მხატვრული კერამიკის ინტენსიურ იმპორტზე კოლხეთში მოწმობს ამ კერამიკის აღმოჩენა არა მხოლოდ ზღვისპირა ზოლში (ქობულეთ-ფიჭვნარი, ფოთის მიდამოები), არამედ კოლხეთის შიდა რაიონებში და აღმოსავლეთ საქართველოშიც კი (სურ. 172).

გარდა მხატვრული კერამიკისა, იონიური ცენტრებიდან კოლხეთში შემოჰქონდათ ზეითუნის ზეთი, მაღალი ხარისხის ღვინო და სხვ. ამაზე მიუთითებს დიდი ზომის სატრანსპორტო თიხის ჭურჭლის, ე.წ. ამფორების ძალზე ხშირი აღმოჩენები ძველი კოლხეთის მრავალ პუნქტში. აღსანიშნავია, რომ კოლხეთში აღმოჩენილი

[243] კოლხეთში ბერძნული იმპორტის შესახებ დაწვრ. [1156, გვ. 68-92], [1365, გვ. 154-159], [1123-1126], [1170], [1217], [1447].

ძვ.წ. VI ს. ამფორების უმრავლესობა აგრეთვე იონიურ საწარმოო ცენტრებს ეკუთვნის (ქიოსი, ლესბოსი, სამოსი და სხვ.) (სურ. 173). საერთოდ, ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარში კოლხეთში იმავე საწარმოო ცენტრების პროდუქცია შემოჰქონდათ, რაც შავიზღვისპირეთის სხვა ოლქებში. ამიტომ ამ დროის იონიური ბებში წამყვან ადგილს აკუთვნებენ მილეტს, რომელსაც მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა შავიზღვისპირეთში დაარსებულ თავის ახალშენებთან. მილეტთან ერთად აქტიურ როლს ასრულებდნენ აგრეთვე ქიოსი და შესაძლოა – სამოსიც.

ძვ.წ. VI ს. დასასრულსა და V ს. დასაწ-



სურ. 172. ძვ.წ. VI-V სს-ის ბერძნული იმპორტის გავრცელება ქ. ფასისიდან რიონ-ყვირილის მაგისტრალით: ○ - არქაული ხანა; ● - კლასიკური ხანა. ა. ამფორები; ბ. კერამიკა; ტ. ტორევტიკა; მ. მინა; მო. მონეტები. 1. სიმაგრე (საქორქილი): ა,ბ; 2. ზურგა (ჭალადიდი): ა,ბ; 3. საგვიშიო: ა,ბ; 4. სენაკი: ბ; 5. ნამარნუ: ა,ბ; 6. დაფნარი: ა; 7. დაბლაგომი: ა,ბ; 8. მთისძირი: ა,ბ; 9. ვანი: ა,ბ,ტ,მ,მო; 10. სულორი: ბ,მო; 11. ქუთაისი: ბ,ტ; 12. ბრილი: ბ,მ; 13. ჭოგნარი: ა,ბ; 14. სვირი: ბ; 15. ითხვისი: ბ; 16. საჩხერე: ბ; 17. საირხე: ბ,ტ; 18. გორაძირი: ბ; 19. კორბოული: ბ; 20. ავლევი: ბ; 21. რუსთავი: ბ; 22. ყაზბეგი: ტ; 23. ხოვლე: ბ; 24. აწყური: ბ.



სურ. 173. ბერძნული იმპორტული ამფორები კოლხეთში [1170], [1447]

იმპორტის კოლხეთში გავრცელება უნდა განვიხილოთ, როგორც ნაწილი აღმოსავლურ-ბერძნული ცენტრების მთელს შავიზღვისპირეთთან ეკონომიკური ურთიერთობისა და მისი ერთერთი შემადგენელი ელემენტი. ამ ურთიერთობების ფასისში შეინიშნება აღმოსავლურ-ბერძნული ცენტრების კოლხეთთან სავაჭრო ურთიერთობის შესუსტება. ძვ.წ. V ს. მეორე ნახევრიდან იონიური მხატვრული კერამიკა თითქმის სრულებით აღარ გვხვდება კოლხეთის არქეოლოგიურ მონაპოვარში. სამაგიეროდ ამ დროიდან სრულიად აშკარად ისახება ათენის (ატიკის) აქტიური სავაჭრო როლი კოლხეთთან ურთიერთობაში.

ათენის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა კოლხეთთან, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ძვ.წ. VI ს. უკანასკნელ მეოთხედში იწყება. ამ დროის ცალკეული აღმოჩენები ცნობილია ქობულეთ-ფიჭვნარიდან, ფასისის მიდამოებიდან, ოჩამჩირესა და ეშერის ნამისახლარებიდან. ერთი აღმოჩენა აღმოსავლეთ საქართველოშიცაა (ხოვლე) ფიქსირებული. მაგრამ არქეოლოგიურ მონაპოვარში ნათლად ჩანს, რომ ამ დროს ატიკასთან ურთიერთობა ჯერ კიდევ არაა ინტენსიური და იგი ვერ უწევს კონკურენციას იონიურ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს. სულ სხვა სურათია ამ მხრივ ძვ.წ. V ს-ში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში და IV ს-ში.

ცნობილია, რომ ძვ.წ. VI ს. დამლევს დარიოს I დაიპყრო პრომონტიდა და ჰელესპონტი, რის შედეგადაც შავი ზღვის სრუტეები აქე-

მენიდური ირანის გავლენას დაემორჩილა. ფაქრობენ, რომ ამ ფაქტს, მიუხედავად ბერძენ-ირანელთა ომიანობისა, დიდად არ შეუშლია ხელი ათენის შავიზღვისპირეთთან ვაჭრობისათვის, მაგრამ ძვ.წ. V ს. 90-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების დასაწყისს შორის სავაჭრო ურთიერთობანი მაინც საგრძნობლად უნდა შეფერხებულიყო. მხოლოდ ძვ.წ. V ს. 70-იანი წლებიდან (ძვ.წ. 476/5 წწ.) ათენელთა მიერ ქ. ბიზანტიონის საბოლოოდ დაპყრობის შემდეგ იწყება ათენელთა განუყოფელი ბატონობა შავი ზღვის სრუტეებზე და მათი უპირატესი როლი მთელ შავიზღვისპირეთთან ვაჭრობაში. არქეოლოგიური აღმოჩენები მოწმობენ, რომ სწორედ ძვ.წ. V ს-ის 70-იანი წლებიდან უნდა ვივარაუდოთ ათენის ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დასაწყისი კოლხეთთანაც. ამ თვალსაზრისითაცაა დიდმნიშვნელოვანი ვანში აღმოჩენილი წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში ნაპოვნი რამდენიმე იმპორტული საგანიც, რომელთაგან ზოგიერთი საკმაოდ ზუსტად თარიღდება. საგანგებოდაა აღსანიშნავი ბრინჯაოს სურა (ოინოხოია) და ტაფისებური ჭურჭელი (პატერა), რომელნიც რიტუალური ხელის დაბანისათვის იყო განკუთვნილი (სურ. 174). პატერის ტარი ტანშიშველი ჭაბუკის სკულპტურულ ფიგურას წარმოსახავს. სახისა და ტანის სტილისტური თავისებურებანი, განსაკუთრებით კი ქანდაკების მწყობრი კონტური და წაგრძელებული პროპორციები, ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი ფეხები, მარცხენა ხელის ასიმეტრიულობა, ზომები და აგრეთვე აკროტერიუმის სახით შესრულებული დამაკავშირებელი ფირფიტა, ამ პატერას აახლოვებს ატიკური წარმოების პატერებთან (მის ე.წ. აკროპოლისის ჯგუფთან), რომელთაც ძვ.წ. 500-480 წწ. ათარიღებენ. ძვ.წ. V ს. მეორე მეოთხედით თარიღდება იქვე ნაპოვნი ატიკური წარმოების ორი ვერცხლის კილიკი და აგრეთვე ატიკური შავლაკიანი მაღალფეხიანი კილიკი. შესაბამისად, იმავე ხანისაა იმავე სამარხში ნაპოვნი ასევე ატიკური მცირე ზომის ამფორა და რამდენიმე სრულიად უნიკალური ნივთი. ასეთია პირველ რიგში ატიკური ტიპის ვერცხლის არიბალოსი, რომლის პირი ლეკითოსისებური ჭურჭლისაა, ხოლო ყურები ფრინველის სახითაა გაფორმებული (სურ. 175). ძირზე გაოთხკეცებული ლოტოსის გამოსახულებაა. სფეროსებური ტანი „ენების" ორნამენტითაა შემკული, მათ შორის კი შექმნილია ფრიზი, რომელზედაც სფინქსების მსვლელობის გრავირებული გამოსახულებაა.

ჭურჭლის ატიკური ფორმა და სფინქსის (სტილის თვალსაზრისით) ატიკური იერი გვაფიქრებინებს რომ ეს მრავალმხრივ საინტერესო ჭურჭელი ატიკური სახელოსნოების ნაწარმია. სტილისტურად ამავე რიგისაა მუჯღომარე სფინქსის სკულპტურული გამოსახულება, რომელიც ამკობს იმავე სამარხში ნაპოვნ ვერცხლის კოვზს. დაბოლოს აღსანიშნავია, აგრეთვე, ასევე სრულიად უნიკალური ვერცხლის სარწყულები, რომლის ყურები ფრთოსანი ლომის სკულპტურული გამოსახულებითაა მორთული, ხოლო მათ ქვემოთ ორ-ორი ვერძის გამოსახულებაა მუცელზე მირჩილული.



სურ. 174. ბრინჯაოს ბერძნული სარიტუალო ჭურჭელი (პატერა). ვანი. ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევარი (დაახლ. 480-470 წწ.) [1170]



სურ. 175. ვერცხლის ბერძნული სანელსაცხებლე ჭურჭელი (არიბალოსი). ვანი. ძვ. V ს-ის პირველი ნახევარი [1170], 1060ა]

ამრიგად, აქ აღწერილი ნივთების უმრავლესობა ზუსტად თარიღდება ძვ.წ. V ს. მეორე მეოთხედით და წარმოადგენს ძველი ბერძნული ტორევტიკის უნიკალურ ნიმუშებს (დაწვრ. იხ. [1159, I, გვ. 23-24], [1060ა]). მათი აღმოჩენა იმითაცაა საინტერესო, რომ იგი გვიჩვენებს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ათენის კოლხეთთან ურთიერთობის ახალი ეტაპის დასაწყისს ბერძენ-ირანელთა ომიანობის შემდეგ, როდესაც ათენი დაიკავებს დომინირებულ მდგომარეობას მთელ შავიზღვისპირეთთან ვაჭრობაში. ამ დროისათვის არქეოლოგიური მონაცემები მოწმობენ კოლხეთში ათენელთა ემპორიონის ტიპის სავაჭრო დასახლებათა გაჩენას. ასეთადაა მიჩნეული, მაგ., ქობულეთი-ფიჭვნარში გამოვლენილი ძვ.წ. V-IV სს-ის ვრცელი დასახლება და სამაროვანი, რომელიც თვალსაჩინოდ ავლენს ეთნიკურ სტრუქტურას. სამარხების უმრავლესობა ადგილობრივ მოსახლეობას ეკუთვნის. ესაა ორმო-სამარხები, რომელნიც შეიცავენ ტიპიურ კოლხურ ინვენტარს (კერამიკას, ოქროსა და ვერცხლის სამკაულებს, მონეტებს – ე.წ. კოლხურ თეთრს). მასთან ერთად სამაროვანზე აღმოჩენილია ერთი განცალკევებული უბანი, სადაც დაკრძალვის ბერძნული წესებია დადასტურებული. სამარხების უმრავლესობა ინპუმაციურია და ორიენტირებულია აღმოსავლეთისაკენ. ზოგიერთი სამარხში აღმოჩენილი დიდი ზომის რკინის ლურსმნები მოწმობენ, რომ მიცვალებულებს ხის კუბოებში მარხავდნენ. დადასტურებულია მიცვალებულთა კრემაციაც. ზოგიერთი სამარხის მახლობლად სააღაპე მოედნებიცაა დაფიქსირებული. სამარხეული ინვენტარი, როგორც წესი, შეიცავს ბერძნულ ნივთებს: ბრინჯაოს სარკეს, კიპაროსის (ღვინის ამოსაღები ჩამჩას), სარწყულებს, სტრიგილებს (საფხეკს, რომელსაც ბერძნები სპორტული ასპარეზობისას ზეთისა და ქვიშის ჩამოსაფხეკად ხმარობდნენ), ოინოხოიებს (სამტუჩა სალინე დოქებს), ვერცხლის თასებს, ოქროსა და ვერცხლის სამკაულებს, მონეტებს. ცალკეულ სამარხებში გვხვდება ქიოსისა და თასოსის ამფორები. განსაკუთრებით მრავალფეროვანია და მრავალრიცხოვანი ამ სამარხებში აღმოჩენილი კერამიკა, რომლის უდიდესი ნაწილი (შავლაკიანი და წითელფიგურული ჭურჭელი) ათენშია დამზადებული. ეს განცალკევებული სამაროვანი წარმოიქმნა ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებში, იარსება მან ძვ.წ. IV ს-ის დასასრულამდე, ე.ი. სამაროვანი ფუნქციონირებდა სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ათენს დომინირებული მდგომარეობა ეკავა კოლხეთთან ვაჭრობაში. ამიტომაც იგი ათენელი მოახალშენეების კუთვნილებადაა მიჩნეული [1124].[244]

ძვ.წ. V ს-დან ატიკური ნაწარმი კოლხეთში საკმაოდ დიდი რაოდენობით შემოდის (წინარე ხანის იონიურ იმპორტთან შედარებით). მაგრამ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, ათენელ ვაჭრებს ამ დროის კოლხეთში ძირითადად მაღალმხატვრული ნაწარმი კი არ შემოაქვთ, არამედ ატიკის კერამიკული საწარმოების მასობრივი პროდუქცია. ძირითადად ესაა შავლაკიანი სუფრის ჭურჭელი, რომელიც მაინცდამაინც დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. ძირითადად გვხვდება მცირე ზომის ჭურჭელი (სკიფოსები, კილიკები, მომცრო ლეკითოსები და ა.შ.). შედარებით იშვიათია დიდი ჭურჭელი (ჰიდრია, კრატერი). იგივე ითქმის მხატვრულ კერამიკაზეც. მოხატული კერამიკა ძირითადად წარმოდგენილია ე.წ. „პაკარული“ სტილის შავფიგურული კილიკებითა და შაბლონური წითელფიგურული ჭურჭლით და ისიც არცთუ ისე მრავალრიცხოვანია. ჯერჯერობით ცოტა რამ ვიცით კოლხეთის ატიკური იმპორტის ისეთ სახეობებზეც, როგორიცაა ტერაკოტები, ტორევტიკა, ოქრომჭედლობა, რომელნიც მოხატულ მაღალმხატვრულ კერამიკასთან ერთად აგრე დიდი რაოდენობით შეჰქონდათ ბერძენ ვაჭრებს შავიზღვისპირეთის სხვა ოლქებში (მათ შორის ჩრდ. შავიზღვისპირეთში) ძვ.წ. V ს-ის უკანასკნელ მესამედსა და IV ს-ის პირველ ნახევარში.

ძვ.წ. V-IV სს-ში ატიკური კერამიკა გვხვდება თითქმის მთელ კოლხეთში – როგორც ზღვისპირა ზოლში, ასევე ქვეყნის შიდა რაიონებში და მთიან ოლქებშიც კი (სურ. 172) მაგრამ რაოდენობრივად იმპორტული ნაწარმი მაინც ჯერ კიდევ მცირერიცხოვანია და ფაქტობრივად თითოეულ პუნქტში შეტყვლად ერთეული ნიმუშებითაა წარმოდგენილი. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ ატიკური იმპორტული კერამიკა გვხვდება ძირითადად ქალაქური ტიპის დასახლებებზე და აგრეთვე ადგილობრივ დიდკაცთა სამარხებში (ვანი, საირხე, ითხვისი, ბრილი და სხვ.). ეს კი მოწმობს იმას, რომ იმპორტული საგნები იმ დროს საკმაოდ ძვირად ფასობდა და მისი მომხმარებელი ძირითადად კოლხეთის საზოგადოების მმართველი ფენა იყო, რომელიც ქვეყნის ძირითად ნედლეულსა და სიმდიდრეს ფლობდა.

ატიკურ კერამიკულ ნაწარმთან ერთად ძვ.წ. V-IV სს-ში კოლხეთში ბერძენ ვაჭრებს შემოჰქონდათ აგრეთვე მაღალი ხარისხის ღვინო და, შესაძლოა ზეითუნის ზეთი, რასაც მათი ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი ჭურჭლის - ამფორების ზნარი აღმოჩენებიც მოწმობს. ამასთან, თუ ძვ.წ. VI ს-ისთვის ქვეყნის შიგნით ამფორების აღმოჩენათა მხოლოდ თითო-ოროლ. შემთხვევებია ცნობილი, ძვ.წ. V-IV სს-ისთვის მათი რიცხვი საკმაოდ მრავლდება და ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებიდან კოლხეთში ამფორების ადგილობრივ დამზადებაც კი იწყება.

ძვ.წ. V-IV სს-ში კოლხეთში, ისევე როგორც შავიზღვისპირეთის დანარჩენ რაიონებში ვრცელდება უპირატესად იმ ცენტრების ამფორები, რომელნიც ე.წ. ათენის პირველ საზღვაო კავშირში შედიოდნენ. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ქიოსის – ათენის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პრივილეგირებული მოკავშირის ამფორები. ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევრიდან კოლ-

[244] უკანასკნელ ხანებში არქეოლოგმა გ. კვირკველიამ თავის სადისერტაციო ნაშრომში (ავტორეფერატი - [1136ა]) გამოთქვა მოსაზრება, რომ შესაძლოა ქობულეთ-ფიჭვნარის ბერძნული სამაროვანი ეკუთვნოდათ სინოპელებს.

ზეთში ვრცელდება აგრეთვე კ. თაზოსის ნაწარმიც (ამფორები, ლეკითოსები), რასაც ასევე ათენის შავიზღვისპირეთთან სავაჭრო ურთიერთობათა გაცხოველებას უკავშირებენ. შესაძლოა ათენის საშუამავლო ვაჭრობას პონტოს ზღვის ქვეყნებთან უკავშირდება აგრეთვე ზოგიერთი სხვა ნაწარმის გავრცელება კოლხეთში. მაგ., ეგვიპტური ნივთებისა, რომელთა შორისაა უნიკალური პოლიქრომიული გულსაკიდი (სურ. 176), სირიული მინის მრავალფერი მძივები, აგრეთვე მინის ასევე მრავალფერი (ე.წ. ფინიკიური) სანელსაცხებლები (სურ. 177)[245] და სხვ.



სურ. 176. ოქროს პექტორალი. ვანი. ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი [1170]

შავიზღვისპირეთის ცალკეული ოლქების საერთო ბერძნულ სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებში მონაწილეობამ უთუოდ ხელი შეუწყო თვით ამ ცალკეულ რეგიონებს შორის სავაჭრო ურთიერთობათა დამყარებასაც. ასე მაგ. უკვე ძვ.წ. VI ს. იწყება და განსაკუთრებით ინტენსიური ხდება V-IV სს-ში კოლხეთის ურთიერთობა ჩრდ. შავიზღვისპირეთთან. კოლხური ქვევრები, რომლითაც, როგორც ჩანს, ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი (მათ შორის, სავარაუდოა, ძვირადღირებული სელის ზეთის), უკვე მრავლადაა აღმოჩენილი ბოსფორის სამეფოს ტერიტორიაზე, ძირითადად ბერძნულ ქალაქებში (პანტიკაპეონი, მირმეკიონი, ნიმფეიონი) – [1365, გვ. 168-170].



სურ. 177. პოლიქრომიული მინის სანელსაცხებლები. ვანი. ძვ.წ. V-IV სს. [8, VII]

კოლხეთის სავაჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობამ ბერძნულ სამყაროსთან უთუოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების რთულ პროცესში. ეს იყო სრულიად ახალი მოვლენა, რის შედეგადაც კოლხეთი პირველად ჩაება საერთაშორისო ვაჭრობის ორბიტაში. პირველად ძვ.წ. VI ს-დან დაიწყო კოლხეთში რეგულარული იმპორტი ბერძნული ნაწარმის, რომელიც სანაცვლოდ გარკვეულ ეკონომიკურ კომპენსაციას ითხოვდა და ამას არ შეეძლო არსებითი გავლენა არ მოეხდინა ქვეყნის ეკონომიკაზე. საგარეო სავაჭრო ურთიერთობამ უთუოდ გაართულა კოლხეთის ეკონომიკური სტრუქტურა და პირველ რიგში კი – შიდაკოლხური ვაჭრობა, რისი ყველაზე უფრო თვალსაჩინო და მჭერმეტყველი მოწმობაა ფულადი მიმოქცევის განვითარება: ძვ.წ. VI ს-ის უკანასკნელი მეოთხედიდან მთელს კოლხეთში ფართოდ მიმოიქცევა ვერცხლის მონეტები, რომელნიც გამოირჩევიან არაჩვეულებრივი მრავალრიცხოვნებით, მიმოქცევის სრულიად გარკვეული არეალით (მთლიანად რომ ემთხვეოდა დღევანდელ დასავლეთ საქართველოს, ე.ი. ძველი კოლხეთის ტერიტორიას), აგრეთვე სამონეტო ტიპებისა და ვარიანტების მრავალფეროვნებით, რომელნიც მაინც ერთიანი საერთო მოდელით ერთიანდებიან. ესაა ე.წ. კოლხური თეთრი. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში [1332, გვ. 31-55]; [1291]; [1444]; [1318, გვ. 9-32], [1441] გამოყოფენ კოლხური თეთრის რამდენიმე ტიპსა და ნომინალს, რომელნიც ძირითადად ძვ.წ. VI-IV სს-ში მიმოიქცეოდა.

[245] უკანასკნელ ხანებში სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მკვიდრდება აზრი, რომ პოლიქრომიული მინის ჭურჭელი მზადდებოდა ძირითადად როდოსზე და ზოგიერთ სხვა ბერძნულ კუნძულებზე (იხ. Weinberg G. D., McCleblan M. C., Glass Vessels in Ancient Greece, Athens, 1992, გვ. 19).

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კოლხური თეთრის წვრილი ნომინალები: ნახევარდრაჭმა ანუ ტრიობოლი, რომელიც ჯერჯერობით 2 სახეობითაა წარმოდგენილი:

I. ავერსზე გამოსახულია ხახადაღებული ლომის თავი პროფილში, რევერსზე – ძუ ლომის პროტომა ჩაჭდეული კვადრატში. წონა 2,21-2,60 გრ.

II. ავერსზე – წერტილოვანსა და ხაზოვან რკალში მოთავსებულია ადამიანის თავი მარჯვენა პროფილში, რევერსზე – ხაზოვან ჩარჩოში გამოსახული ხარის თავი პროფილში. წონა საშუალოდ 2 გრ. თარიღდება ძირითადად ძვ.წ. V-IV სს-ით. ეს კოლხური თეთრის ყველაზე უფრო გავრცელებული სახეობაა (სურ. 178). მათი რაოდენობა რამდენიმე ათასი ცალით განისაზღვრება.



სურ. 178. „კოლხური თეთრი“ ([1115], [1318])

საკითხი იმის შესახებ თუ ვინ ჭრიდა კოლხურ თეთრს: კოლხეთის მეფეები თუ კოლხეთის ბერძნული ქალაქები, სადისკუსიოა და ჯერ დადგენილი არაა (იხ. [1318, გვ. 9-32]).

კოლხური თეთრის გავრცელება მთლიანად თანხვდება კოლხეთის ტერიტორიას და ძალიან იშვიათად გვხვდება იგი ქვეყნის გარეთ. ეს კი მოწმობს, რომ იგი განკუთვნილი იყო შინა, ადგილობრივ ბაზარზე მიმოქცევისათვის, ე.ი. შინაკოლხური ბაზრის ინტერესებისათვის იყო მოჭრილი. კოლხური თეთრი გვხვდება და მიმოიქცევა სწორედ იმ ტერიტორიაზე, სადაც ვრცელდება ძვ.წ. VI-IV სს-ის კოლხური კულტურის დამახასიათებელი კომპონენტები (კერამიკა, ლითონის ნივთები, საიუველირო ნაწარმი).

კოლხური თეთრის არეალზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სავაჭრო ოპერაციებში, რომლებშიც მონეტაა გამოყენებული, როგორც ღირებულების ერთიანი ეკვივალენტი, მეტ-ნაკლები ინტენსივობით ჩაბმულია კოლხეთის ყველა ოლქი. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, თითქოს ფული შეეჭრა კოლხეთის ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში, მაგრამ ამ მონეტების არაჩვეულებრივი სიმრავლე ქვეყნის სხვადასხვა ოლქებში უთუოდ მოწმობს წარმოების სასაქონლო ხასიათს და ვაჭრობის ორგანიზაციის გარკვეულ დონეს. უნდა აღინიშნოს შემდეგი: ე.წ. II ტიპის კოლხური ტრიობოლებისათვის დამახასიათებელია გარკვეული სტაბილურობა და სტანდარტიზაცია, ხოლო განსხვავება წონაში შესაძლოა სწორედ იმას მოწმობს, რომ ამ მონეტებს ჰქონდათ პირობითი ფასეულობის ხასიათი, რაც დამახასიათებელია ფულის მოჭრის განვითარებული ფორმისათვის.

ტოპოგრაფია მონეტების აღმოჩენისა, აგრეთვე სხვა არქეოლოგიური ნივთებისა (იმპორტი, ადგილობრივი ნაწარმი), გვიჩვენებს მჭიდრო ეკონომიკურ კავშირებს კოლხეთის ცალკეულ ოლქებს შორის, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ სახმელეთო და სამდინარო მაგისტრალებით. ამ გზებს მიყვებოდა იმპორტული და ადგილობრივი ხელოსნური ნაწარმიც შინაკოლხურ ბაზრებზე. ფულადი მიმოქცევა კი, რომელიც დაფუძნებული იყო ერთიან სისტემაზე, წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას, რომელიც კოლხეთის ცალკეულ ოლქებს ერთიან ეკონომიკურ სისტემაში აქცევდა. ამ ერთიანი ეკონომიკური სისტემის არსებობაში შეიძლებოდა დაგვენახა კოლხეთის ერთიანი სახელმწიფოს, მისი პოლიტიკური კონსოლიდაციის საფუძველი.

კოლხეთის ეკონომიკური ისტორიისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა ამას წინათ ვანის მახლობლად, სოფელ სულორში აღმოჩენილი მონეტების განძი: 700-მდე ვერცხლის მონეტა – კოლხური თეთრის წვრილი ნომინალები – ტრიობოლი შუბლზე ქალღვთაების, ხოლო ზურგზე – ხარის თავის გამოსახულებით. ამ განძში კოლხურ თეთრთან ერთად წარმოდგენილია სამი უცხოური ვერცხლის მონეტა (სურ. 179): ე.წ. კრეზოიდი (ლომისა და ხარის თავების გამოსახულებით), მისი გვიანდელი ვარიანტი, რომელიც დარიოს პირველის მიერ უნდა იყოს მოჭრილი დაახლოებით ძვ.წ. 500 წელს; აქემენიდური სიკლოსი შუბოსანი გვირგვინიანი მეფის გამოსახულებით, ასევე დარიოს პირველის მიერ დაახლოებით 490 წლის ახლოს მოჭრილი, და მილეტური ობოლი შუბლზე ლომის თავის, ხოლო ზურგზე – ჩაჭდეულ კვადრატში ვარსკვლავისებურად წარმოდგენილი ლოტოსის 4 ფვავილის გამოსახულებით, რომელიც მოჭრილია 540 და 530 წლებს შორის.[246] ამრიგად, სულორის განძში კოლხური

[246] განძი ახლახან გამოქვეყნა: L. Lebanidzé, Le trésor monetaire de Sulori, "Actes du VII-e Symposium de Vani," Paris, 1999, გვ. 155-158. უცხოური მონეტების ჩვენეული განსაზღვრა და დათარიღება რამდენადმე განსხვავებულია და ეფუძნება: სპარსული მონეტებისა (კრეზოიდი, სიკლოსი) – J. Price, M.F. Basler-ის

თეთრის წვრილ ნიმინალებთან ერთად პირველადაა წარმოდგენილი ასე ადრეული უცხოური მონეტები, რაც გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ კოლხური თეთრის მიმოქცევა იწყება უკვე ძვ.წ. VI ს-ის დასასრულს ან V ს-ის სულ დასაწყისში.[247] პირველია აგრეთვე მილეტური მონეტების აღმოჩენა, რაც მოულოდნელი არაა, რამდენადაც, როგორც უკვე ვნახეთ, ბერძნული ახალშენები კოლხეთში მილეტის დაარსებულად ითვლება. დარიოს პირველის მოჭრილი მონეტები კი მიუთითებენ აქემენიდურ ირანთან ურთიერთობაზე.[248] ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ, როგორც ჰეროდოტეს ცნობებიდან ჩანს, კოლხეთი არ ყოფილა ირანის მიერ უშუალოდ ანექსირებული და არც მისი სატრაპიების შემადგენლობაში იხსენიება. მაგრამ ჰოლიტიკურ გავლენაზე მეუთითებს თავისებური კონტრიბუცია: ჰეროდოტეს თანახმად, 100-100 ვაჟი და ქალიშვილი 5 წელიწადში ერთხელ იგზავნებოდა ირანის მეფესთან (ჰეროდოტე, III, 97=[320ა, გვ. 76]).



სურ. 179. უცხოური მონეტები სულორის განძიდან: მილეტური ობოლი (მარცხნივ), ე.წ. კრეზოიდი (მარჯვნივ) და სიკლოსი (შუაში)

არქეოლოგიური მასალა, კოლხეთის აქემენიდებთან ურთიერთობის ამსახველი, ჯერ კიდევ, სამწუხაროდ, ძალზე მცირეა: ფაქტობრივად ესაა აქემენიდური ტიპის ოქროს ზურგშეზნექილი სამაჯურები, კიდევ ერთი წყვილი ოქროს სამაჯურებისა, რომელთა ტახის გამოსახულება მოგვაგონებს ირანიდან (ამლაში) და მცირე აზიიდან (სარდი) მომდინარე ტახის ფიგურებს. თუმც ვანში ამავე სამაჯურებთან ერთად აღმოჩენილია საკიდები, რომელნიც ზუსტად იმეორებენ სამაჯურების ტახის გამოსახულებას [1159, I, გვ. 18-19]. აქემენიდური ხანის ეგვიპტის საწელოსნოების ნაწარმადაა მიჩნეული დიდებული პოლიქრომიული გულსაკიდი (სურ. 176).

აქემენიდურად მიიჩნევენ ვანის მდიდრულ სამარხში აღმოჩენილ ოქროს ფიალასაც (სურ. 180), მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ფიალის ორნამენტი და მისი განლაგება უფრო ტიპიურია აღმოსავლურ-ბერძნული მხატვრული კერამიკისა და ტორევტიკისათვის. აქემენიდური ირანის სახელოსნოშია დამზადებული ვანში აღმოჩენილი მუქი იისფერი მინის სანელსაცხებლე [8, VII, გვ. 86, № 396].



სურ. 180. ოქროს ომფალოსიანი ფიალა. ვანი. ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი [8, I]

ასე, ამრიგად, კოლხეთი თითქოს ორი სამყაროს – დასავლური (ბერძნული) და აღმოსავლური (აქემენიდური) კულტურების – ზემოქმედების არეალში ხვდება. აქ ისმის კითხვა: როგორი იყო ადგილობრივი, კოლხური კულტურის რეაქცია, მისი ქცევა ამ ორ დიდ ცივილიზაციასთან დიალოგის შედეგად. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ამ კონტაქტებს არ გამოუწვევია ძირეული ტრანსფორმაციები კოლხურ კულტურაში. კოლხურმა კულტურამ შეინარჩუნა თავისი ძირითადი იერსახე, სისტემური მთლიანობა, თუმც შეითვისა ახალი ელემენტები, მაგრამ იგი საკუთარ ნიადაგზე გადაამუშავა. ამ დებულების საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ მატრიალური კულტურის ყველაზე მასობრივი ელემენტი – კერამიკა, რომელიც თავისი ფორმებით, ტიპოლოგიური ნიშნებით წმინდა კოლხურია (იხ. ზემოთ სურ. 138). იგივე ითქმის ოქროს სამკაულზე, რომელიც საზოგადოების მხოლოდ ყველაზე მაღალი ფენის კუთვნილებაა. როგორც ცნობილია, სწორედ საზოგადოების ზედა ფენაა ყოველივე უცხოურისადმი მგრძნობიარე, იმისი მიმღები, რაც პრესტიჟულ მოდასთანაა დაკავშირებული. ამ

(იხ. Revue des études anciennes, XCI, 1989) და I. Carradice-ს (იხ. British Archaeological Reports. International Series, 341, 1987) ნაშრომებს, ხოლო მილეტური მონეტებისა – F. Becke-ის ნაშრომს (იხ. Sweizerische Numismatische Rundschau, 67, 1988, გვ. 5-33).

[247] აღსანიშნავია, რომ ქუთაისში „გაბაშვილის გორაზე“ წარმოებული გათხრებისას კოლხური თეთრი აღმოჩენილია ძვ.წ. VI-V სს-ის კულტურულ ფენაში [1434, გვ. 339], [1164, გვ. 32 და შენიშვნა 49].

[248] აქემენიდური სიკლოსი უფრო ადრე აღმოჩნდა სურამში კოლხურ თეთრთან ერთად [1322, გვ. 35, 56, № 24].

თვალსაზრისითაც კოლხური ოქროს სამკაული მეტად თავისებურია და ადგილობრივი გემოვნებისა და ტრადიციების გამგრძელებელი. მისი ორიგინალური ხასიათი, თავისთავადობა საკმაოდ თვალსაჩინოა, თუ კოლხურ სამკაულს ტიპოლოგიური და მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით, შევადარებთ აქემენიდურსა და ბერძნულს. კოლხური დიადემის მსგავსი თავსამკაული არ გვხვდება არსად (იხ. სურ. 181). იგივე ითქმის კოლხურ საყურეებსა და სასაფეთქლეებზე (შდრ. სურ. 182).



სურ. 181. კოლხური დიადემა: ძვ.წ. VIII-VII სს., ბრინჯაო, ერგეტა (1); ძვ.წ. VII-VI სს., ბრინჯაო, სოხუმი (2); ძვ.წ. VI-V სს., ვანი, ვერცხლი (3-4), ოქრო (5-6)

კოლხური ყურსამკაულის ძირითადი ტიპებია: სხივანა, ჭვირულბურთულიანი, ბიკონუსური ან სფეროსებურსაკიდიანი, ნავისებური ფორმისა, ფიგურული (სურ. 147-150, 182). სტილისტური ელემენტია – სხვადასხვა ტიპის საყურეზე – ვარდული. ტექნოლოგიური ნიშანია: გახვრეტილი ბოლოები შესაკრავად (იხ. სურ. 182), კოლხური საყურე სრულიად განსხვავებულია იმ ტიპიური ბერძნული საყურეებისაგან, რომლებიც გავრცელებულია მთელს ბერძნულ სამყაროში (კონტინენტურ საბერძნეთში, კუნძულებზე, ეტრურიაში, თრაკიაში, ჩრდ. შავიზღვისპირეთში). განსხვავება საკმაოდ თვალსაჩინოა როგორც ტიპოლოგიური, ასევე სტილისტური და ტექნოლოგიური ნიშნებით. ბერძნულში არ გვაქვს კოლხურისათვის აგრე ტიპიური ვარდულა, არც ბოლოებგახვრეტილი საყურეები. კოლხურ საყურეებს შორის არაა ბერძნულისათვის აგრე ტიპიური სპირალი თავისი ნაირსახეობებით, ცხოველის და ადამიანის თავიანი მორკალული საყურეები.

ასევე თვალსაჩინოა განსხვავება კოლხურ და აქემენიდურ საყურეებს შორის. ერთადერთი ნასესხები ფორმა კოლხურ საყურეებში არის ე.წ. ნავისებური თუ ნახევარმთვარისებური (სურ. 151). ასეთი ფორმის საყურეები ჩნდება ძველ აღმოსავლეთში ჯერ კიდევ ძვ.წ. III ათასწლეულში და შემდეგ ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა ტიპოლოგიური ვარიანტებით მთელს ბერძნულ და აქემენიდურ სამყაროში. კოლხური ნავისებური საყურეები მათგან მაინც საკმაოდ განსხვავებულია ფორმით, ვარდულით და გახვრეტილი ბოლოებით. მაშინ, როდესაც ბერძენი ოსტატები ძვ.წ. VI-V საუკუნეებში უპირატესობას ფილიგრანს ანიჭებენ, კოლხი ოქრომჭედლები ძირითადად გრანულაციის ტექნიკას იყენებენ: ოქროს წვრილი მარცვლებით გამოყვანილი სამკუთხედები სიბრტყეზე და პარამიდები სივრცეში კოლხური ყველა ტიპის სამკაულის დამახასიათებელი ნიშანია.[249]



სურ. 182. ძვ.წ. VI-IV სს-ის საყურეების ძირითადი ტიპები

ამრიგად, კოლხურ ოქროს სამკაულშიც საკმაოდ თვალსაჩინოა კოლხური მხატვრული კულტურის განვითარების ტენდენციები: ადგილობრივი ტრადიციები და მათ პრიზმაში გადა-

[249] ამრიგად, ამჯერადაც ყოველად დაუსაბუთებელია გ. ცეცხლაძისა და მ. ტრეისტერის უკვე ხსენებულ ნაშრომში (იხ. ზემოთ შენიშვნა 227-228) კატეგორიული განცხადება კოლხეთში აღმოჩენილი ოქროს სამკაულების ვითომდა ბერძენი ოსტატების მიერ დამზადების შესახებ, რომელნიც თავიანთ ხელოვნებას კოლხთა ელიტის გემოვნებას უსადაგებდნენ და ამიტომ უნდა ვილაპარაკოთ თითქოს „კოლხეთში ბერძნული ოქრომჭედლობის სკოლაზე და არა კოლხურზე“ [1475, გვ. 18].

მუშავებული ინოვაციები, რომელნიც გზას იკვლევენ გარე სამყაროსთან კონტაქტებით, მსოფლიო კულტურულ-ისტორიულ პროცესში აქტიური მონაწილეობით.

7. ინოვაციები კოლხეთის მატერიალურ კულტურაში ძვ.წ. IV-III სს-ში

ძვ.წ. IV ს-ის უკანასკნელ მეოთხედში ხმელთაშუაზღვისპირეთსა და წინა აზიაში დაიწყო დიდი პოლიტიკური ძვრები, რომლებიც, როგორც ცნობილია, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებთანაა დაკავშირებული.

ალექსანდრე მაკედონელისა და მისი მემკვიდრეების ლაშქრობანი კოლხეთს არ შეხებია. ამიტომაც მას არ განუცდია ბერძენ-მაკედონელთა ექსპანსია და კოლონიზაცია, რამაც, როგორც ცნობილია, სათავე დაუდო ძველი სამყაროს ისტორიაში თვისებრივად ახალ ეტაპს, რომელსაც ჩვეულებრივ ელინიზმის ეპოქას უწოდებენ და მის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს პირობითად ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან და ძვ.წ. I ს-ის 30-იანი წლებით განსაზღვრავენ.[250]

ბერძენ-მაკედონელთა ექსპანსიამ აღმოსავლეთის ქვეყნებში არსებითად შეცვალა ძველი აღმოსავლეთის პოლიტიკური სიტუაცია, მაგრამ კოლხეთს იმ დროს დიდი ქარტეხილები არ განუცდია: პოლიტიკური თვალსაზრისით იგი იმ სამყაროს ფარგლებს გარეთ დარჩა, რომელსაც „ელინისტურს“ უწოდებენ. მით უფრო დიდ ინტერესს იწვევს ძვ.წ. IV-I სს-ის კოლხეთის კულტურის სტრუქტურა, როგორც ერთ-ერთი მაგალითი ელინისტური ცივილიზაციის გავლენისა ისეთ ქვეყნებზე, რომელიც ელინისტური სახელმწიფოების შემადგენლობაში არ შესულან და არსებითად ელინისტური სამყაროს პერიფერიაზე იმყოფებოდნენ. მაგრამ იმ ეპოქაში ფართოდ გაშლილმა სავაჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობებმა, რომელთაც თან სდევდა კულტურული მიღწევებისა და ფასეულობათა ურთიერთგაცვლა-გაზიარება, თავისი გავლენა მოახდინა კოლხეთზეც, რომელიც ამიერიდან შედის მჭიდრო კონტაქტებში კიდევ უფრო ვრცელ და მრავალფეროვან ბერძნულ სამყაროსთან, ვიდრე ეს იყო წინამორბედ ხანაში. ამიერიდან ანტიკური ცივილიზაციის იმპულსები, რომელნიც გავლენას ახდენდნენ აღგილობრივი მოსახლეობის კულტურაზე, მომდინარეობენ სხვადასხვა ტერიტორიული და ეთნოკულტურული ცენტრებიდან. ამასთან უნდა ითქვა გავითვალისწინოთ, რომ იმ დროს ბერძნები აქტიურ როლს ასრულებდნენ საკუთრივ ელინისტური სამყაროს (პოლიტიკური გაგებით) გარეთ. ბერძნები აკონტროლებდნენ ვაჭრობას სირია-პალესტინისა და შავიზღვისპირეთის ნავსადგურებში. არსებობს მრავალი მონაცემი იმის შესახებ, რომ ბერძნების დიდ კულტურულ გავლენას განიცდიდა იმ ქვეყნების მოსახლეობა, სადაც რეგულარულად მიმდინარეობდა ხაზღვაო ვაჭრობა, ან სადაც ცხოვრობდენ მოწვეული ბერძენი ხელოსნები და ხელოვანნი, რომლებზედაც მუდამ დიდი მოთხოვნილება იყო თითქმის ყველგან, განსაკუთრებით სასახლეების, ტაძრებისა და სხვა ამგვარ მშენებლობათა დროს. იმ დროს ბერძნების ქირაობდნენ მოლაშქრეებად და ზოგჯერ აღგილობრივი დიდკაცნი მათ თავიანთ საბრძანებელში მუდმივ საცხოვრებლადაც იწვევდნენ... შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ელინიზმის ეპოქაში მსგავსი რამ კოლხეთშიც ხდებოდა, თუმც ამის შესახებ პირდაპირი მითითება წერილობით წყაროებში არ მოგვეპოვება.

ბერძნულ-რომაულ მწერლობას არ შემოუნახავს აგრეთვე რაიმე ცნობა კოლხეთის პოლიტიკური ისტორიის შესახებ ძვ.წ. IV ს-დან თითქმის ძვ.წ. II ს-ის დასასრულამდე. ცნობილია მხოლოდ რამდენიმე პირის სახელი, მაგრამ ჩვენ ფაქტობრივად არაფერი ვიცით მათი საქმიანობის შესახებ. ასე მაგ., სახელი „დედალოს“ აღნიშნულია ვანის ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრის ერთ-ერთ მდიდრულ სამარხში (ე.წ. „წარჩინებული კოლხი მეომრის“) აღმოჩენილ ოქროს უფლებრივ საბეჭდავზე [1150, გვ. 284-288]. შემორჩენილია თითქოს ძვ.წ. III ს-ის ზოგიერთი მეფის სახელიც: აკი – ლიზიმაქეს ოქროს სტატერის აღგილობრივ მინაბაძზე [1330] და სავლაკი – ვერცხლის მონეტებზე [1311].[251]

ჩვენი ძირითადი წყარო მაინც არქეოლოგიური მასალაა, რომელიც მეტნაკლებად ზუსტად ასახავს აღგილობრივი კულტურის განვითარების უმთავრეს ტენდენციებს ძვ.წ. IV-I სს-ში.

ზემოთ ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ძვ.წ. VII-IV სს-ის პირველ ნახევარში კოლხური კულტურა მკაცრად ერთიანია მთელს დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ფარგლებში და ზუსტად შეესატყვისება კოლხეთის სამეფოს პოლიტიკურ-ტერიტორიულ საზღვრებს. მაგრამ ძვ.წ. IV ს-ის შუახანებიდან ერთ დროს ძლიერი კოლხეთის სახელმწიფო თანდათანობით სუსტდება, მისი აღმოსავლეთი ოლქები აღმოსავლურქართული სამეფოს – იბერიის გავლენის ქვეშ ექცევა და მის ეთნოკულტურულ გავლენასაც განიცდის (დაწვრ. იხ. [1366]). ეს გარემოება თითქოს თვალსაჩინოდაა ასახული არქეოლოგიურ მასალებშიც.

ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან კოლხეთის მატერიალური კულტურის განვითარებაში შეიმჩნევა კვეთრი გარდატეხა და თვისებრივად ახალი ელემენტების გაჩენა ნივთიერი და სუ-

[250] ტერმინების „ელინიზმი“ და „ელინისტური კულტურა“ დეფინიციის სიძნელეების, მათი არსის, გეოგრაფიული არეალის, ქრონოლოგიური ჩარჩოების და სხვ. მათთან დაკავშირებული საკითხების შესახებ დაწვრ. იხ. [1161].

[251] თუმც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მონეტების კოლხეთისადმი კუთვნილებას ყველა მკვლევარი არ იზიარებს - შდრ. [1318, გვ. 102-105].

ლიერი კულტურის სტრუქტურაში. მასთან ერთად, ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე ისახება ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავებული ორი არეალი: ზღვისპირა ზოლი და აღმოსავლეთ ოლქები.

ძველი კოლხეთის ეთნოკულტურული განვითარების ისტორიაში ახალი ეტაპის დამახასიათებელი ნიშნები თვალნათლივაა ასახული დაკრძალვის წესებსა და მატერიალური კულტურის ზოგიერთ ელემენტში.



სურ. 183. ოქროს პოლიქრომიული ბალთები. ვანი. ძვ.წ. III-II სს-ის [1257]

ზღვისპირა კოლხეთში ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარსა და III ს-ში კვლავინდებურად ძირითადად ორმოსამარხებია გაერცელებული, მაგრამ სამარხეულ ინვენტარში კარგად შეინიშნება მატერიალური კულტურის ზოგიერთ სახეობაში (განსაკუთრებით კერამიკასა და სამკაულებში) ახალი ტიპოლოგიური ნიშნების გაჩენა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ქობულეთ-ფიჭვნარის სამაროვანი. სამარხები ქვიშოვან გრუნტშია გამართული და ძირითადად აღმოსავლეთისაკენაა (ზოგჯერ – ჩრდილოეთისაკენ) ორიენტირებული. სამარხი ორმოს სიგრძე 2 მ-ია, ხოლო სიგანე მერყეობს 1,05-0,75 მ-ს შორის. ქვიშნარ ნიადაგში ადამიანის ძვლები ცუდად ინახება და ამიტომ დაკრძალვის წესის ცალკეული დეტალების აღდგენა საკმაოდ რთულია. სამარხეული ნივთების განლაგების მიხედვით დგინდება მიცვალებულის როგორც მოკრუნჩხულ (გვერდზე), ასევე ზურგზე გაშოტილ პოზაში დაკრძალვა. სამარხეული ინვენტარი მეტწილად ჩარხზე დამზადებული თიხის ჭურჭლითაა წარმოდგენილი, თუმც იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ხელით ნაძერწიც. ტრადიციულ ფორმებთან ერთად (როგორიცაა მაგ. ყურშალიანი დოქები) ჩნდება ახალიც. განსაკუთრებით დამახასიათებელია მოყავისფრად ან მოწითალოდ გამომწვარი სფერულტანიანი სამტუჩა დოქები, რომელნიც ერთმანეთისაგან ყურის მოყვანილობით განირჩევიან: ბრტყელ ან მრგვალგანივკვეთიან ყურებთან ერთად, გვხვდება ორლულიანი ყურებიც (ახალი ელემენტი!). ჭურჭლის ტანი მეტწილად არაორნამენტირებული და სადაზედაპირეანია, მაგრამ გვხვდება აგრეთვე კანელურებიანი ან ზოგჯერ მოხატული დოქებიც კი. სამარხეულ ინვენტარში წარმოდგენილია აგრეთვე ქოთნები და ჯამები, გუტუსის-მაგვარი ჭურჭელი, მათარები, მაღალფუძიანი ლარნაკები, კანთაროსები, ლუდერიუმები და სხვ. ამ ადგილობრივ დამზადებულ ჭურჭელთან ერთად იმპორტული კერამიკაცაა: ლეკითოსები, სანელსაცხებლეები, არიბალოსის ტიპის ჭურჭელი და სხვ. საკმაოდ მრავალფეროვანია სამკაულიც – ბრინჯაოსა და რკინის ხატასულლები, სასაფეთქლეები, ბეჭდები, მრავალეროვანი სამაჯურები (სწორზურგიანები დაგვირგვინებულია მეტწილად ცხოველის თავის, ხოლო ზურგშეზნექილები კი – გველის თავების სტილიზებული გამოსახულებებით). იშვიათად, მაგრამ მაინც, გვხვდება აგრეთვე ოქრის სამკაულიც – სასაფეთქლეები. შედარებით მრავალრიცხოვანია ვერცხლის რგოლისებური საკიდები. მრავლადაა ქვის, გამჭვირვალე და ოქროფენილი მინის მძივები, აგრეთვე მინის საკიდები (ღელფინისებური, ამფორისკისებური და სხვ.). სამარხებში გვხვდება მონეტებიც: კოლხური თეთრი (ჩვეულებრივი ტრიობოლები) და სინოპური დრაქმები. სამაროვანი ძვ.წ. IV-II სს-ით თარიღდება [1086], [1298], [1338].



სურ. 184. წარჩინებული კოლხი მეომრის სამარხში შეწირული მონა-მსახურები. ვანი. ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედი [8, I]

ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებიდან კოლხეთში დაწყებული მნიშვნელოვანი ეთნოკულტურული ძვრები განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ქვეყნის ცენტრალურსა და აღმოსავლეთ რაიონებში მჟღავნდება. ახალი ტენდენციები კარგად აისახა დაკრძალვის წესებში, განსაკუთრებით ვანსა და

მის მიმდებარე ტერიტორიაზე – ასე მაგ., მდიდრულ სამარხებში რიყისა და თიხის ქვებით გადახურულ ხის სარკოფაგებთან ერთად ჩნდება კრამიტის სახურავიანი სამარხი ნაგებობანი [8, II, გვ. 68-79] და ქვაყუთები [8, I, გვ. 89]. მიცვალებულს ატანენ უკვე ბერძნული ყოფისათვის დამახასიათებელ თიხის ჭურჭელს – ამფორებს. იწყება მონეტების ჩატანებაც,[252] რაც აიხსნება იმქვეყნიური ცხოვრების შესახებ ბერძნული რწმენა-წარმოდგენების გავრცელებით (ესაა „სფასური“, რომელიც უნდა გაეღო მიცვალებულს, რომ მოხუც მენავე ქარონს მისი სული ჰადესის სამყაროში გადაეყვანა). ბერძნული ჩვეულების მიბაძვას მოწმობს ვანის მდიდრულ სამარხებში ჩატანებული (და მაშასადამე ყოველდღიურ ცხოვრებაშიც გამოყენებული) ბრინჯაოს ბერძნული კნემიდები (ფეხსაფარი ჯავშანი), სტრიგილები (ათლეტები რომ ხმარობდნენ ტანის გასაწმენდად), ოქროს გვირგვინი (ბერძნული წარმოდგენებით – მიცვალებულის ჰეროიზაციის სიმბოლო). ვანში აღმოჩენილია აგრეთვე ძვ.წ. III-II სს-ის ოქროს პოლიქრომიული ბალთები – დიადემის ნაწილები (სურ. 183), რომელიც მორთულია ე.წ. ჰერაკლეს კვანძის გამოსახულებით (ბერძნები მაგიურ ძალას რომ მიაწერდნენ), გრანატის თვლებიანი მინანქრიანი ფოთლისებური გამოსახულებებით, ოქროს ვარდულებით, პალმეტებით და მარცვლისებური საკიდებით. ვრცელდება მონა-მსახურთა მსხვერპლთშეწირვა და „ამა ქვეყნის ძლიერთათვის“ „იმ ქვეყნად“ მოსამსახურებლად გაყოლება და სხვა საიახლენი (დაწვრ. [8, I, გვ. 202-211], [8, II, გვ. 20], [8, IV, გვ. 147-150], [8, V, გვ. 284-288]).



სურ. 185. ქვევრსამარხი. დაბლაგომი. ძვ.წ. IV-III სს. [1095]

ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებიდან იცვლება რეგიონი მოსახლეობის დაკრძალვის წესიც: კოლხეთის აღმოსავლეთ რაიონებში ვრცელდება მიცვალებულის ქვევრებში დაკრძალვა (სურ. 185). ესაა, როგორც წესი, ინდივიდუალური განსასვენებელი, თუმც ზოგჯერ გვხვდება წყვილთა დაკრძალვაც. ჩვეულებრივ, სამარხად განკუთვნილი ქვევრი წინასწარ შუაშია გადახერხილი და შიგ მიცვალებული ძლიერ მოკუნჭზულადაა ჩასვენებული (თავით დასავლეთისაკენ). სამარხეული ინვენტარი (სურ. 186) შეიცავს თიხის ჭურჭელს, მონეტებს – კოლხურ თეთრს და სამკაულს (ბრინჯაოსა და ვერცხლის სამაჯურებს, ბრინჯაოს ბეჭდებს, ბრინჯაოსა და გამჭვირვალე მინის მძივებს) (დაწვრ. იხ. [1087], [1094 და იქვე დასახ. ლიტ.], [1282], [1346]).



სურ. 186. ძვ.წ. IV-III სს-ის ქვევრსამარხების ინვენტარი: ბრინჯაოს სამკაული (სამაჯურები, საყურეები) და კერამიკა [1094]

ქვევრსამარხების გავრცელება შესაძლოა ასახავს გარკვეულ ეთნიკურ ძვრებს, რომელიც ძველი კოლხეთის აღმოსავლეთ ოლქებში აღმოსავლურ-ქართული ტომების – მესხების – აქტივიზაციასთან უნდა იყოს დაკავშირებული [1365, გვ. 211-215]. საინტერესოა, რომ თითქმის იმავდროულად დაკრძალვის ეს წესი (ქვევრსამარხები) აღმოსავლეთ საქართველოშიც ვრცელდება (დაწვრ. იხ. [1094], [1579]. ამასთან ყურადღებას იქცევს გარკვეული მსგავსება კოლხეთის აღმოსავლეთი ოლქებისა და აღმოსავლეთ საქართველოს ქვევრსამარხებში მოპოვებული კერამიკისა და აგრეთვე სამარხეული ინვენტარის ცალკეულ ელემენტებს შორის [1094]. შეიძლე-

[252] უნიკალური ფაქტია ფიქსირებული ვანის ერთ, ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით დათარიღებულ, მდიდრულ სამარხში: აღმოჩენილია 80 ვერცხლის მონეტა - კოლხური ტრიობოლები, რომელნიც, როგორც ჩანს, ტოპრაკში უნდა დებულიყო, მიცვალებულს რომ ეკავა ხელებით [1121, გვ. 28].

ბა ვივარაუდოთ, რომ ქვევრებში დაკრძალვის წესი საქართველოში მცირე ხნიდან გავრცელდა [1366, გვ. 480-489].



სურ. 187. მამაკაცის (ღვთაების?) რკინის ქანდაკება ოქროს სამკაულებით (საყურეები, საკისრე რგოლი, სამაჯურები). ძვ.წ. III ს. ვანი [1271]

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს რკინისა და ბრინჯაოსაგან დამზადებული ქალისა და მამაკაცის „დაკრძალვის“ რიტუალი. ეს ქანდაკებანი მორთულია ოქროს სამკაულებით: თავსაბურავით, საყურეებით, ხატისუღელითა და სამაჯურებით (სურ. 187-188). ისინი კლდოვან დედაქანში საგანგებოდ ამოკვეთილ ორმოებში იყო „ჩასვენებული“: პირქვე და, როგორც ჩანს, ოქრომკედით მოქარგულ სუდარაში გახვეული. ახლა ძნელია „დაკრძალვის“ ამ რიტუალის სიმბოლიკის შესახებ რაიმის გადაჭრით თქმა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ აქ შესაძლოა „გარდაცვალი“ ღვთაების დატირების მისტერიის ერთ-ერთ ელემენტთან გვაქვს საქმე [1355, გვ. 123], მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ ესაა ქურუმთა გამოსახულებანი, „დედამიწას“ – მთავარ ღვთაებას ნაყოფიერ მოსავალს რომ შესთხოვდნენ (გავიხსენოთ, რომ ქალისა და მამაკაცის ბრინჯაოს ქანდაკებანი პირქვე – ე.ი. მლოცველის პოზაში იყო ჩასვენებული) [1118].



სურ. 188. ქალისა და მამაკაცის ბრინჯაოს ქანდაკებანი ოქროს სამკაულებით (საყურეები, საკისრე რგოლი, სამაჯურები). ძვ.წ. III ს. ვანი [1118]

მკვეთრი ცვლილება შეინიშნება მატერიალური კულტურის ცალკეული კომპონენტების განვითარებაშიც: თუმც ძვ.წ. IV საუკუნის შუასმე მეოთხედში (და იქნებ უფრო გვიანაც – ამ საუკუნის დასასრულამდე) ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ძვ.წ. VI-V საუკუნისათვის დამახასიათებელი კერამიკის ზოგიერთი ფორმები (ქვევრები, ყურმილიანი ღოქები, ირიბკალთიანი ბრტყელძირა ჯამები), მაგრამ მასთან ერთად თანდათანობით ჩნდება ახალი ფორმები: ძაბრისებურპირიანი სამტუჩა და მრგვალპირიანი (ზოგჯერ მაღალყელიანი) სფეროსებურ, ბიკონუსურ თუ მსხლისებურტანიანი ღოქები. მათ მორნულობაში ჭარბობს გეომეტრიული მოტივები, ზოგზოგისებური ხაზები, ტალღოვანი და ბადისებური ორნამენტი (სურ. 186). შემოდის აგრეთვე მოხატული კერამიკა: მოყვითალო ფერის ანგობზე წითელი საღებავით მოხატული ღოქები, რომლებიც გვხვდება არა მხოლოდ სამარხებში, არამედ კულტურულ ფენებშიც. ანალოგიური მოხატული ღოქები გვხვდება აღმ. კოლხეთის სხვადასხვა ცენტრებშიც (ვანი, საჩხერე, ითხვისი), ასევე აღმოსავლეთ საქართველოსა (თბილისში, კუმისი და ასურეთის სამაროვნებზე) და სომხეთში. ამასთან ერთად, უნდა ვივარაუდოთ, რომ მოხატული კერამიკის ეს სახეობა კოლხეთის აღმოსავლეთ ოლქებში მეზობელი იბერიიდან ვრცელდებოდა [1365, გვ. 184 და იქ დასახ. ლიტ.]. უნდა აღინიშნოს, რომ თვით ჭურჭლის ფორმა (მსხლისებურტანიანი პირგადაშლილი ღოქი) ხდება ერთ-ერთი წამყვანი ტიპი ამ ხანის კერამიკაში (ქვევრსამარხებში წარმოდგენილი სამარხეული ინვენტარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ), რაც თვალსაჩინო მოწმობაა ახალი კულტურული იმპულსებისა (და იქნებ ეთნიკური ინფილტრაციისაც).

ასეთივე სიახლე ჩნდება ოქრომჭედლობაშიც: თანდათანობით ქრება ძვ.წ. VI-V და IV სს-ის პირველი ნახევრისათვის ახრე ტრადიციული და კონსერვატიული ფორმები (გრეხილრკალიანი რომბისებურფირფიტიანი დიადემები, სხივანა საყურეები და სხვ.). ნაცვლად ჩნდება ტიპოლოგიურად ახალი სახეობანი, რომელნიც ახლა უკვე აშკარად განიცდიან ბერძნულ-ელინისტური მხატვრული კულტურის გავლენას. ასეთებია მაგ., „წარჩინებული მეომრის“ სამარხში აღმოჩენილი თავსაბურავი, რომელიც მხედრის, ცხენისა და ფრინველის „ჟღარუნებიანი“ გამოსახულებებითაა შედგენილი. მათი პირდაპირი ანალოგები ბერძნულ ნაკეთობათა შორის ჩემთვის უცნობია (შდრ. [1165, გვ. 22 და გვ. 35, შენიშვნა 86]). ადგილობრივ ოსტატთა ნახელავად, მაგრამ ბერძნული გავლენით შექმნილად, უნდა მივიჩნიოთ ოქროს გვირგვინის ნაწილები – ზეთისხილის რტოების, ფოთლებისა და სხვ. გამოსაზულებანი [1257, გვ. 59-62]. ოქროს სამკაულისა და სხვა ნაკეთობათა ადგილობრივ დამზადებას მოწმობს ვანში ძვ.წ. IV-III საუკუნეების კულტურულ ფენებში აღმოჩენილი

ოქროს ნამზადი, აგრეთვე ძვლის ნაკეთობანი, რომელნიც ოქრომჭედლის იარაღადაა მიჩნეული [1257, გვ. 43 და შემდ.]. ადგილობრივ ნაკეთობებთან ერთად გვხვდება აშკარად იმპორტირებული ბერძნული სამკაულიც, როგორიცაა, მაგ., ვანის ერთ-ერთი მდიდრული (მაგრამ ძველადვე გაძარცული) სამარხის ოქროს ყელსაბამი – წნული ძეწკვი, რომელიც სერდოლიკის მძივებითა და რქოსანი ლომის თავებითაა დამშვენებული და სხვ. [1257, გვ. 72-73], [143].



სურ. 189. ქვით ნაგები თაღდაცითი კედლის საძირკველი. ძვ.წ. IV-III სს. [1258]

განვითარების ახალ საფეხურზე ადის კოლხური გლიპტიკაც, რომელიც უძველესი დროიდან ხეთური (კაპადოკიური) და ასირიული გავლენით ვითარდებოდა. ადგილობრივი ოსტატები ამზადებდნენ საგანგებო დანიშნულების უფლებრივ საბეჭდავებს. ასეთი იყო, მაგ., „წარჩინებული მეომრის“ ოქროსა და ვერცხლის ოფიციალური და პირადი საბეჭდავი ბეჭდები, რომელთაგან ერთ-ერთზე მისი სახელი – „დედატოს“ – არის ამოკვეთილი (დაწვრ. [1150, გვ. 134-166]).

ამავე ხანას განეკუთვნება ბერძნული ურბანისტული ელემენტების, კერძოდ, სახურავიან ნაგებობათა გავრცელება. ასე, მაგ., ვანის ნაქალაქარის ძვ.წ. IV-III სს-ით დათარიღებულ კულტურულ ფენებში უკვე მრავლად გვხვდება კრამიტები, ძირითადად სინოპური ნაწარმი [1286, გვ. 6-7]. საინტერესოა, რომ იმავ დროს კრამიტს სასოფლო თემებშიც იყენებდნენ, რასაც დაბლაგომში აღმოჩენილი სინოპური კრამიტით გადახურული მდიდრული სამარხიც მოწმობს [1092].

ძვ.წ. IV-III სს-ში ვრცელდება ქვის არქიტექტურაც. ამ პერიოდს განეკუთვნება, მაგ., ვანში აღმოჩენილი სწორკუთხა ნაგებობა, რომლის კედლები თეთრი კირქვის ფილებითაა რაყის ქვით ნაგებ მაღალ საძირკველზე ამოყვანილი [8, II, გვ. 27-30]. ვანში აღმოჩენილია თაღდაცითი ნაგებობაც. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ქვის მასიური კედლები, რომელნიც ზოგან 6 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. ამ კედლების ქვედა რიგი ქვიშაქვის ბრტყელი ფილებითაა თიხის ხსნარზე ამოყვანილი. საკმაოდ თავისებურია ზედა ნაწილის კონსტრუქცია. იგი წარმოადგენდა, როგორც ჩანს, ხის ძელებითა და ფიცრებით შეკრულ კარკასს, რომელიც შემდეგ რიყის ქვებით იყო შევსებული. ძლიერი ხანძრისაგან, აქ რომ გამძვინვარებული სადღაც ძვ.წ. III ს-ში, მთლიანადაა დამწვარი ხის ნაწილები (თუმც მათი ნაშთები არაერთგზის იქნა ფიქსირებული გათხრის პროცესში), რიყის ქვები და ქვიშაქვის ბლოკები კი დახეთქილია და წიდისმაგვარ ამორფულ მასადაა ქცეული (სურ. 194).

ზემოაღწერილი კედლის დასავლეთით კი მდებარეობს ასევე ძვ.წ. IV-III სს-ის მეტად თავისებური და, შეიძლება ითქვას – უნიკალური (არა მხოლოდ ვანისათვის !) სამსხვერპლო. ესაა საკმაოდ ფართო, მთლიანად რიყის ქვებით მოკირწყლული სამსხვერპლო, რომელიც ასევე რიყის ქვებით ნაგები კედლებით იყო შემოზღუდული. მოკირწყლულ მოედანზე კარგად შეიმჩნევა ორი მცირე ზომის ორმო, რომელიც წმინდა სითხის დასხმის რიტუალისათვის იყო განკუთვნილი [1258].

ძველი კოლხეთის ისტორიაში ეს ახალი ეტაპი, რომელიც აგრე მკაფიოდ იჩენს თავს არქეოლოგიურ მონაპოვარში, შესაძლოა, დაკავშირებულია იმ დიდ პოლიტიკურ ძვრებთან, რომლებიც მკვეთრად აღინიშნება მთელს მახლობელ აღმოსავლეთში და აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში [1366, გვ. 481-482], სადაც სწორედ ამ დროისათვის ჩვენ ვხედავთ ნამდვილ „ურბანისტულ აფეთქებას,“ ამასთან ერთად „სამხრეთული“ წარმოშობის აშკარა ელემენტებს, როგორიცაა, მაგალითად, ბრყინვალე მოხატული კერამიკა ან კიდევ ადგილობრივი წარმოების კრამიტებზე ბერძნული ასოები, რომლებიც კაპადოკიის ბერძნულ დამწერლობასთან ავლენენ მსგავსებას.[253] ამ თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ვანში აღმოჩენილი „წარჩინებული კოლხი მეომრის სახელიც „დედატოს“ (რომელიც მის პირად უფლებრივ ოქროს საბეჭდავ-ბეჭედზეა წარწერილი) ახლო მსგავსებას მცირეაზიელ, კერძოდ, კაპადოკიურ საკუთარ სახელთან პოულობს [1366]. აქ ისიცაა აღსანიშნავი, რომ კაპადოკიური გავლენა აღინიშნება აგრეთვე ვანშივე აღმოჩენილ ძვ.წ. IV ს-ის გლიპტიკურ ძეგლებზეც [1150, გვ. 134-146].

არქეოლოგიური მასალები მოწმობენ კოლხეთის ცხოველ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას ელინისტურ სამყაროსთან (დაწვრ. [1156, გვ. 117-137]; [1365, გვ. 191-195]). უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის ქვეყნებზე და მათ შორის კოლხეთზეც გადიოდა „მსოფლიო“ მნიშვნელობის ერთ-ერთი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც დასავ-

[253] დაწვრ. იხ. ამ წიგნის IV კარში: „კავკასიის იბერია“.

ლეთს აღმოსავლეთის ქვეყნებთან აკავშირებდა. ბერძენ-რომაელ ავტორთა (პატროკლე, არისტობულე, სტრაბონი, ვარონი, პლინიუსი) ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ ეს გზა მიემართებოდა ინდოეთიდან კასპიის ზღვამდე (სანაოსნო მდინარის ოქსოსის – აწინდელი ამუ-დარიის მეშვეობით), ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გავლით – მდ. მტკვარი, სურამის ულელტეხილი, მდ. ფასისი (რიონ-ყვირილის მაგისტრალი) – აღწევდა შავი ზღვის სანაპიროებს ქალაქ ფასისთან და მერე უკვე საზღვაო გზით უკავშირდებოდა შავიზღვისპირეთისა და მცირე აზიის ქალაქებს [1154].

ელინისტურ ხანაში კოლხეთიდან, უთუოდ, ივივე გაჰქონდათ, რაც წინამორბედ ხანაში (ე.ი. ძირითადად ნელლეული: ლიანონი, ხე-ტყე, სელი და სხვ., რის შესახებ დაწვრილებით ზემოთ იყო უკვე საუბარი). მაგრამ ამ დროისათვის მკვეთრად იცვლება შემადგენლობა იმ ქვეყნებისა თუ ცალკეული სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებისა, რომელნიც ახორციელებდნენ ეკონომიკურ ურთიერთობებს კოლხეთან. შესამჩნევად მცირდება ათენის სავაჭრო აქტივობა. სამაგიეროდ ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებიდან კოლხეთთან ურთიერთობაში თანდათანობით წამყვან ადგილს იკავებენ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული ქალაქები, განსაკუთრებით კი – სინოპე. ძვ.წ. IV-I სს-ში სინოპის იმპორტს კოლხეთში აშკარად დომინირებული მდგომარეობა უკავია: სინოპური ამფორების (ზეითუნის ზეთი რომ შემოჰქონდათ), ლუუთრიებისა და კრამიტის ფრაგმენტები აღმოჩენილია კოლხეთში თითქმის ყველგან – როგორც ზღვისპირა ზოლში, ასევე შიდა ოლქებშიც. სინოპეს გარდა კოლხეთთან სავაჭრო ურთიერთობა აქვს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის კიდევ ერთ ბერძნულ ქალაქს – ჰერაკლეას. კოლხეთში ნაპოვნია ჭოთისა და თაზისას ამფორები, აგრეთვე უცნობი საწარმოო ცენტრებისაც (ე.წ. სოლოხა I და II ტიპის ამფორები).

ძვ.წ. III-I სს-ში კოლხეთთან სავაჭრო ურთიერთობა აქვს კუნძულ როდოსს, რასაც მოწმობს როდოსის, კოსისა და კნიდის ამფორების ხშირი აღმოჩენები.

ძვ.წ. III-I სს-ში კოლხეთში ვრცელდება შავიდა წითელლაკიანი კერამიკა, „შეგარული თასები“ და სხვა ნაწარმი მცირე აზიისა და ბმელთაშუაზღვისპირეთის სხვადასხვა ცენტრებისა (პერგამონის, სამოსის, ალექსანდრიისა და სხვ.). მცირეაზიური იმპორტი ამ დროს გვხვდება კოლხეთის ზღვისპირა და შიდა რაიონებში (განსაკუთრებით მრავლად – ვანში), მდ. ენგურის ხეობით უცხოური ნაწარმი აღწევს კოლხეთის მაღალმთიან ოლქებსაც (სვანეთი), ხოლო რიონ-ყვირილის სავაჭრო-მაგისტრალით კი – გზას იკვლევს აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში.

ელინისტურ ხანაში გრძელდება კოლხეთის ეკონომიკური ურთიერთკავშირები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთთანაც, რასაც მოწმობს, ერთის მხრივ, ქერსონესისა და ბოსფორის ამფორების აღმოჩენა კოლხეთში, ხოლო მეორეს მხრივ – კოლხური კერამიკისა (ქვევრების, ამფორების) ჩრდ. შავიზღვისპირეთის სხვადასხვა ცენტრებში (დაწვრ. [1365, გვ. 191-195], [1174]).

კოლხეთის ცხოველი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ელინისტურ სამყაროსთან თვალსაჩინოა დასავლეთ საქართველოში მრავლად აღმოჩენილი უცხოური მონეტებითაც. მათ შორისაა: სირაკუზის ტირანის ჰიერონის ოქროს სტატერი, ფილიპე II, ალექსანდრე II და ფილიპე III მაკედონელების ოქროს სტატერები და ტეტრადრაქმები, ლიზიმაქეს ოქროსა და ვერცხლის მონეტები, „ახალი სტილის“ ათენური ტეტრადრაქმები, პონტოს სამეფოს, კაპადოკიის, პართიის, აგრეთვე შავიზღვისპირეთის ბერძნული ქალაქების (პანტიკაპეიონის, ოლბიის, ქერსონესისა და სხვ.) მონეტები [1318, გვ. 42-45].

„კოლხური თეთრის“ ნაცვლად, რომელიც, როგორც ჩანს, ძვ.წ. IV-III სს-შიც მიმოქცეულა, კოლხეთში ძვ.წ. II-I სს-ში იჭრება და მიმოქცევაშია ლიზიმაქეს ოქროს სტატერების ადგილობრივი მინაბაძები [1318, გვ. 55-101].



სურ. 190. ვერცხლის კოვზი, სახელურზე ხარისა და ძაღლის სკულპტურული გამოსახულებებით. ძვ.წ. IV-III სს. ვანი [1095]

ანტიკური იმპორტის ტოპოგრაფიის შესწავლა ცხადჰყოფს, რომ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობაში ჩაბმული იყო კოლხეთის რეგიონის ბარის, ასევე მაღალმთიანი ოლქების მოსახლეობაც. ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები უთუოდ ხელს უწყობდა ადგილობრივი სასაქონლო წარმოების აღმავლობას და მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის (დაწვრ. იხ. [1156, გვ. 117 და შემდ.]; [1365, გვ. 191 და შემდ.]).

ძვ.წ. III ს-ის დასასრულისა და II-I სს-ის კოლხეთში თვალსაჩინოდ შეინიშნება ბერძნულ-ელინისტური ცივილიზაციის გავლენა ადგილობრივი მოსახლეობის მატერიალურ კულტურასა და ხელოვნებაში, ყოფასა და იდეოლოგიაში. ამის ერთ-ერთი მაგალითია კოლხური კერამიკული წარმოება (სურ. 191): წმინდა ადგილობრივ ტრადიციულ კოლხურ ფორმებსა და ორნამენტულ სახეებთან ერთად და მათ გვერ-

დით მზადდება ბერძნულ-ელინისტური კერამიკის გავლენით შექმნილი ჭურჭელი (სათევზე ლანგრები, კანთაროსის ტიპის თასები, უნგვენტარიუმის მსგავსი სანელსაცხებლეები, წითელლაკიანი ჭურჭლის მინაბაძები [1174, გვ. 52-53]); ფართო ამზადებენ ბერძნული ტიპის კერამიკულ ტარას – ამფორებს. ამ მხრივ საინტერესოა კოლხეთში უკვე მრავლად აღმოჩენილი ე.წ. „ყავისფერკეციანი“ ამფორები, რომელთაც ადრე სამხრეთ პონტოს საწარმოო ცენტრების პროდუქციად მიიჩნევდნენ, ამჯერად კი აღიარებულია მათი კოლხეთში ადგილობრივად დამზადება. ამას უცილობლად მოწმობს ამ ტიპის ამფორების ძალზე მრავალრიცხოვანი აღმოჩენები მთელს კოლხეთში და მათი კეცის მინერალური შემადგენლობის იდენტურობა კოლხური კერამიკის სხვა ჯგუფებთან (ქვევრებთან, სქელკედლიან ჭურჭელთან). უნდა აღინიშნოს აგრეთვე ვანში აღმოჩენილ ამფორებსა და კოლხურ ქვევრებზე გამოწვამდე შესრულებული ნიშნების მსგავსება-ერთიანობა ([1156, გვ. 137-138], [1397]). ამფორების დამამზადებელი ერთ-ერთი ცენტრი, როგორც ჩანს, ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში (დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე) მდებარეობდა. ამ თვალსაზრისითაა საინტერესო სამეთუნეო სახელოსნოების ნაშთები და აგრეთვე ამფორათა ყურები, რომელზედაც არის დამღა ბერძნული ასოებით: „დიოსკუ“ (იხ. [1365, გვ. 191 და იქ დასახ. ლიტ.]).



სურ. 191. ძვ.წ. III-I სს. კოლხური კერამიკის ძირითადი სახეობანი

ძვ.წ. IV-III სს-ში კოლხური ამფორები სინოპური ამფორების მიბაძვით მზადდებოდა, მაგრამ შემდეგ – ძვ.წ. III ს-ის დასასრულსა და განსაკუთრებით ძვ.წ. II-I სს-ში – ადგილობრივ ამფორებს საკმაოდ ორიგინალური ფორმა აქვთ, რასაც მოწმობენ ვანში ძვ.წ. II-I სს-ის კომპლექსებში აღმოჩენილი ე.წ. წელშეზნექილი ამფორები[254] (სურ. 191) [1397].

მთელს კოლხეთში მრავლად აღმოჩენილი თიხის პირამიდული საწაფები მიუთითებენ, რომ კოლხეთშიც გავრცელებული იყო ელინისტურ სამყაროში ფართოდ ხმარებული ვერტიკალური საქსოვი დაზგა [1156, გვ. 141].

ელინისტური ეპოქის კოლხეთის ქალაქები და დასახლებანი ჯერ კიდევ სუსტადაა შესწავლილი. ზღვისპირა ზოლში განსაკუთრებით საფუძვლიანია ეშერის ვრცელი ნაქალაქარი. ძვ.წ. II-I სს-ით თარიღდება მისი თავდაცვითი და სხვა ნაგებობანი [1428].

ელინისტური ეპოქის ძეგლები შედარებით უკეთ ვანშია გამოვლენილი.

8. ტაძრების ქალაქი

ვანის ნაქალაქარი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, მდინარე სულორის რაონთან შეერთების მახლობლად. ძვ.წ. III-I სს-ში[255] ქალაქი განლაგებული იყო სამკუთხა მოყვანილობის მაღალ ბორცვზე, რომლის ფართობი დაახლოებით 6,5 ჰექტარია და 3 ძირითად ტერასადაა დანაწილებული. ძვ.წ. III ს-დან ეს ბორცვი მძლავრი თავდაცვითი კედლებითაა გამაგრებული, ამასთან შესანიშნავადაა გამოყენებული ბუნებრივი პირობებიც – აღმოსავლეთი და დასავლეთი მხრიდან არსებული ღრმა ხევები, რომელთა ნაპირები მიუვალ, ციცაბო კლდეებს წარმოადგენს (სურ. 192).

ბორცვის ჩრდილოეთ ნაწილში გამართულია კარიბჭე, რომელიც ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარშია აგებული (სურ. 193-194).

კარიბჭე და მასთან დაკავშირებული გალავნის კედლები (კოშკებით გამაგრებული) აგებულია კლდოვან დედაქანზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა თირს უწოდებს (სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „თირი არს კლდე ლბილი და ადვილ სათლელი“). კედლების ქვედა რიგი კლდოვან დედაქანში საგანგებოდ ამოკვეთილ სწორკუთხა ბუდეებშია ჩასმული, რაც საიმედოდ იცავდა ნაგებობებს ძირის გამოთხრისაგან, რასაც იმ დროს მიმართავდა ხოლმე მომხდური მტერი თავდაცვითი კედლე-

[254] ამ ტიპის ამფორები ფართოდაა გავრცელებული მთელს ანტიკურ სამყაროში ახ.წ. I საუკუნიდან. გამორიცხული არ უნდა იყოს მათი წარმოება კოლხური ამფორების გავლენით.

[255] ვანის ძველი ქალაქის ისტორიაში, როგორც ცნობილია, რამდენიმე ეტაპი გამოიყოფა (დაწვრ. იხ. [1165], [1368ა], [1460]). უძველესი ძეგლების შესახებ წინა თავებში იყო საუბარი. ამჟამად კი მხოლოდ ძვ.წ. III-I სს-ის ძეგლები იქნება განხილული (ვანის ნაქალაქარის შესახებ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიისათვის იხ. [8], IX, 1996).

ბის დასანგრევად. ძირითადი კედლის სისქე თითქმის სამ მეტრს აღწევს (უფრო ზუსტად – 2,76 მეტრია). საფასადო მხარის ერთი ნაწილი (ჩრდ.-აღმ. კუთხე) თეთრი ფერის დიდრონი ქვათლილებითაა ამოყვანილი. თითოეული ქვათლილის ნაპირა საგანგებოდაა ჩამოთლილი, ხოლო მათ შორის შექმნილი ბალიში წვეტიანი იარაღითაა დაკეჭნილი. ამგვარი ქვათლილებით ამოყვანილი კედლები ფართოდ იყო გავრცელებული მთელს ელინისტურ სამყაროსა და მახლობელ აღმოსავლეთში. მას ბერძნები „რუსტებიან“ ქვათლილებს უწოდებდნენ. იგი სიმაგრესთან ერთად განსაკუთრებულ სილამაზეს ანიჭებდა საფასადო კედლებს.

დროულადაა ზუსტად ჰორიზონტალურ რიგებად ამოყვანილი, ხოლო შიდა და საფასადო ნაწილში ჩადგმულია საგანგებოდ და კარგად დამუშავებული სწორკუთხა ქვათლილები. თლილი ქვით ნაგებ საფუძველზე შემდეგ აღმართული იყო ალიზით (გამოუწვავი ან ნახევრად გამომწვარი აზენარევი თიხის აგურით) ამოყვანილი კედლები, რომლებიც მთლიანადაა გადმონგრეული და ძლიერი ცეცხლისაგან ამორფულ მასად ქცეული.

განსაკუთრებით შესანიშნავია კარიბჭის კომპლექსის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი (სურ. 194). კუთხიდან 45 სმ-ის დაცილებით ქვიშაქვის ბალიშზე აღმართულია დაახლოებით 70 სმ



სურ. 192. ვანის ნაქალაქარი. გეგმა (ელინისტური ხანის ნაგებობანი): 1. კარიბჭის არქიტექტურული კომპლექსი, 2. ძვ.წ. II-I სს-ის სატაძრო კომპლექსი, 3. ძვ.წ. II-I სს-ის ტაძარი და საზეიმო საკურთხეველი, 4. „კონტრფორსებიანი ნაგებობა“, 5-6. ძვ.წ. II-I სს-ის თაღდაცვითი კედლები, 7. საზეიმო საკურთხეველი (ძვ.წ. III-II სს), 8. თორმეტსფეხურიანი საკურთხეველი (ძვ.წ. II-I სს.), 9. „აბსიდიანი ნაგებობა“, 10. „მრგვალი ტაძარი“ (ძვ.წ. III-II სს.), 11. ძვ.წ. I ს-ის თაღდაცვითი კედლები.

კარიბჭის კედლის შიდა და გარე პერანგს შორის სივრცე სხვადასხვა ზომის ქვებითაა შევსებული, რომლებიც ერთმანეთთან თიხითაა დაკავშირებული. ამასთან, პერანგის შეგნითაც ქვები ჰორიზონტალურადაა ჩაწყობილი და სრულიად გარკვეული ცდაა შიდა ქვების დალაგებისას მათი საფასადო წყობის ქვათლილებთან ნიველირებისა. სავსებით აშკარაა, რომ კედლის მთელი სისქე ერთდროულადაა ნაშენი, ე.ი. ჯერ პერანგი როდია ამოყვანილი, და ამის შემდეგ შიდა სივრცე ამოვსებული. ამრიგად, კედელი მთელს მის სიგანეზე ერთსიმაღლის სწორკუთხა სვეტი, რომელიც უშუალოდ კედლის წყობას ებჯინება. ამ სვეტზე დევს თითქმის კვადრატული მოყვანილობის მარმარილოს კვარცხლბეკი. მის ზედა ნაწილში ამოკვეთილია სწორკუთხა ფოსო, რომლის ნაპირები ტყვიითაა შევსებული, შიგნით კი შემორჩენილია ტყვიითვე ჩამაგრებული წვრილმარცვლოვანი მარმარილოს ნატეხები, როგორც ჩანს, ოლესაც ამ კვარცხლბეკზე მდგარი მარმარილოს ქანდაკების უკანასკნელი ფრაგმენტები. იქვე კედელზე ძველი ბერძნული ასოებით (ვერტიკალურად ზემოდან ქვემოთ) ამოკაწრუ-

ლია წარწერა, რომელიც პროფესორმა თინათინ ჟაუხჩიშვილმა ასე გადმოთარგმნა: „გეცვლრები (შენ) მეუფეო – (ქალღმერთო)“ [279]. ასე, რომ ქალაქში შესასვლელთანვე გარეთ იდგა ქალაქის მფარველი ღვთაების ქანდაკება. აქვე მინდა დავსძინო, რომ ქალაქის შესასვლელთან, მის გარეთ, მფარველი ღვთაების ქანდაკების აღმართვა უჩვეულო იყო ბერძნულ-ელინისტური სამყაროსათვის. ძველ ბერძენთა იდეოლოგიური კონცეფციით ქალაქის მფარველი მთავარი ღვთაების ქანდაკება იდგა ქალაქის შიდა ნაწილში, ჩვეულებრივ ყველაზე უფრო შემაღლებულ ადგილზე აღმართულ მთავარ ტაძარში. სამაგიეროდ ქალაქში შესასვლელთან მფარველი ღვთაების ქანდაკება წესად იყო ძველ აღმოსავლეთში. ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში ცნობილმა გერმანელმა არქეოლოგმა კურტ ბიტელმა ხეთური ნაქალაქარის ბოღაზ-ქოის გათხრებისას აღმოაჩინა ძვ. წ. VIII ს-ის კარიბჭე, რომლის წინ ღვთაებათა ქანდაკებები იყო აღმართული.



სურ. 193. კარიბჭის არქიტექტურული კომპლექსი და თავდაცვითი ნაგებობანი (შდრ. სურ. 192, 1): 1. ქალაქის მფარველი ქალღვთაების პოსტამენტი, 2. რკინის ჩამოსაშვები კარი (კატარაქტა), 3. კუტიკარი, 4. საკურთხეველი, 5. „შიდა ეზო“, რომლის დასავლეთ ნაწილში სამლოცველოა გამართული, 6. სამსზვრჭლო, 7. რიყის ქვით მოკირწყლული „ქუჩა“ - სამლოცველოს მისასვლელი, 8. ნახევარწრიული კოშკი, 9. თავდაცვითი კედელი (I რიგი), 11. იარაღსაწურველისა და სურსათ-სანოვაგისათვის განკუთვნილი სათავსები, 12. ჯაზარმა, 13. რვაკუთხა კოშკი

ვანის ძველ ქალაქში შესასვლელთან დაგებულია ქვის დიდრონი ბრტყელი ფილები, რომლებიც ერთმანეთთან რკინის სამაგრებითაა დაკავშირებული. ეს ფილები ზედ ხშირი სიარულისაგან შესამჩნევადაა გაცვეთილი. ქანდაკების პოსტამენტიდან 30-ოდე სმ-ის დაცილებით კედელში გამოკვეთილია 10 სმ სიგანის საგანგებო ვერტიკალური ნაში, რომელიც ზემოდან ჩამოსაშვები რკინის კარისათვის იყო განკუთვნილი. „კატარაქტას“ უწოდებდნენ ძველი ბერძნები ასეთ რკინის კარს, რომელსაც მტრის შემოსევის საშიშროების ჟამს ჩამოუშვებდნენ და მით საიმედოდ ჩაჰკეტავდნენ ქალაქში შესასვლელს. ამას მოსდევდა შიდა კარი, რომელიც არსებითად კუტიკარს წარმოადგენდა. ეს უკანასკნელი შემდეგნაირად იყო მოწყობილი: ძირითადი კედელი, რომელზედაც ჩამოსაშვები კარისათვის განკუთვნილი ნაშია ამოკვეთილი, ერთ ადგილას დაახლოებით 50 სმ-თაა წინ გამოწეული და ქმნის თავისებურ ბურჯს, რომელსაც სრულიად გარკვეული კონსტრუქციული დანიშნულება ჰქონდა. მის შიდა კუთხესთან იატაკის ფილაზე ამოკვეთილია ოთხკუთხა ფოსო (9×9 სმ), რომლის ნაპირი ტყვიითაა გამოყვანილი და განკუთვნილი იყო კარის ჩასადგმელი ღერძისათვის. ასე რომ „ბურჯი“ კარის ზურგის საყრდენს წარმოადგენდა. ასეთივე ბურჯი აღმართული იქნებოდა უთუოდ მოპირდაპირე მხარესაც, მაგრამ სამწუხაროდ, იგი შემორჩენილი არაა. თვითონ კარი, როგორც ჩანს, ხისა იყო, მაგრამ რკინის ფურცელი ჰქონდა გარშემოკრული (გარსაკრავის ნაწილები ლურსმნებითურთ იქვე იქნა ნაპოვნი) და იღებოდა გარედან შიგნით. ამაზე მიუთითებს თირზე დაგებულ ქვის ფილაზე შემორჩენილი რკალისებური ხაზები, რომლებიც სწორედ კარის მოძრაობისგანაა დარჩენილი.

სამწუხაროდ, არაა გადარჩენილი კარიბჭის მოპირდაპირე აღმოსავლეთი ნაწილი, მაგრამ მისი წარმოდგენა და რეკონსტრუქცია უკვე არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. ნახევარწრიული კოშკის კონტურის მიხედვით შესაძლებელი ხდება კარიბჭის აღმოსავლეთი ნაწილის კონტურის აღდგენა (იხ. სურ. 193). არკვევა, რომ კატარაქტა (ე.ი. ჩამოსაშვები რკინის კარი) და კუტიკარი 2,4 მეტრის სიგანისა იყო, ხოლო თვით შესასვლელი 1,20 მეტრი. ამას უტყუარად მოწმობს ერთი საგულისხმო დეტალიც: შესასვლელში დაგებული ქვის ფილები შუა ნაწილში საგრძნობლადაა შეთხელებული (თითქმის 4 სმ-ით), მასზე ხშირი სიარულისაგან. გაცვეთილი ნაწილის ცენტრი კარის საყრდენი ზურგისაგან 55-60 სმ-თაა დაცილებული. შესაბამისად შესასვლელის სიგანე 1,20 მ უნდა ყოფილიყო.



სურ. 194,1. ვანის ნაქალაქარი: კარიბჭის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე და ქალაქის მფარველი ქალღვთაების პოსტამენტი (შდრ. სურ. 193, 1)

კარიბჭე, რომელიც ძველი ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილშია განლაგებული, ბორბლიანი ტრანსპორტისათვის არ იყო განკუთვნილი. ამას მოწმობს არა მხოლოდ შედარებით ვიწრო შესასვლელი (როგორც უკვე ვთქვით – სულ 1,20 მ სიგანის), არამედ ისიც, რომ შესასვლელში ფილები 2 საფეხურადაა (კიბისებურად) დალაგებული, რაც ბუნებრივია, გამორიცხავს მასზე ბორბლიანი ტრანსპორტის გამოყენებას. ასე, რომ ეს კარი მხოლოდ ქვეითად მოსიარულეთ ემსახურებოდა. ძველი ქართული ტერმინოლოგიით ეს იყო „ცოტა კარი“. ეს გარემოება კი გვაფიქრებინებს, რომ ქალაქს კიდევ ჰქონდა (იქნებ რამდენიმეც) შესასვლელი, მათ შორის „დიდი კარიც.“



სურ. 194,2. ვანის ნაქალაქარი: „შიდა ეზოს“ დასავლეთი ნაწილი, რომელიც სამლოცველოდ იყო გამოყენებული (შდრ. სურ. 193, 4-5)

კარიბჭის შიდა ნაწილში, კატარაქტასა და კუტიკარს რომ გაიცილდა კაცი, მას ხვდებოდა ე.წ. სწორკუთხა მოყვანილობის (7×3,20 მ) „შიდა ეზო,“ რომელსაც სამხრეთი მხრიდან ღია შემოსასვლელი ჰქონდა. ასეთი „შიდა ეზო“ ჩვეულებრივ იმისათვის იყო განკუთვნილი, რომ მტერი, რომელიც ქალაქის კარს შეანგრევდა, ახალ მარწუხებში მოექციათ. მაგრამ ვანის ძველი ქალაქის ეს „შიდა ეზო“ საკმაოდ თავისებურია და ბერძნული საფორტიფიკაციო კონცეფციით აგებულ ქალაქებთან შედარებით სრულიად (და არსებითად!) განსხვავებული ფუნქციის მატარებელია. მაგრამ ამის შესახებ ოდნავ ქვემოთ. ახლა კი ამ ნაგებობის აღწერას შევეცდები (სურ. 193, 5; 194, 1 და 3).

„შიდა ეზოს“ მხოლოდ დასავლეთი ნაწილია გადარჩენილი. იგი რუსული „П“-ს მაგვარი მოყვანილობისაა. მის ჩრდილოეთ კედლად კარიბჭის ძირითადი კედელია გამოყენებული. სამხრეთი კედელიც ამიტომ 3 მეტრი სიგანისაა, თუმცა ჩრდილოეთი კედლისაგან განსხვავებით უფრო ვიწროა (2,10 მ სიგანისა) და აგებულია ქვიშაქვის ქვაყალიებით, რომელნიც ძლიერი ცეცხლისაგანაა გაწითლებული და დამსკდარი. დასავლეთი კედელი ფაქტობრივად სწორად ჩამოთლილი კლდოვანი დედაქანის მოპირკეთებაა. ამიტომაცაა იგი მხოლოდ 1,10 მ სიგანის. კლდოვან დედაქანსა და მოპირკეთებულ კედელს შორის სივრცე ფლეთილი ქვით, რიყის ქვებითა და თიხითაა შევსებული. აღწერილი ნაგებობის შიდა ნაწილის (ე.ი. ინტერიერის) კედლები სხვადასხვა ზომის რუსტირებული სწორკუთხა ქვათლილებითაა ამოყვანილი ასე, რომ ჰორიზონტალური რიგების წყობაც სხვადასხვა ზომისაა (ასეთ წყობას სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში „ფსევდოისოდომურს“ უწოდებენ). ნაგებობის დასავლეთ კედელთან აღმართულია საკურთხეველი – ქვის სწორკუთხა ბალიშზე მდგარი ოთხწახნაგა სვეტი, რომელზედაც ორ საფეხურად დევს კარგად გათლილი ბრტყელი ფილები. აქ ერთ დეტალზეა ყურადღება მისაქცევი: ქვის საკურთხეველი (ისევე როგორც ღვთაების ქანდაკების პოსტამენტი) უშუალოდ კედელზეა მიდგმული. ეს ტრადიცია პირველ ქართულ ეკლესიებში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც იქნა შენარჩუნებული. აქ ტრაპეზი (წარმართული ხანის საკურთხევლის მემკვიდრე) კედლის პირას იყო აღმართული, მაშინაც კი, როდესაც ბიზანტიურმა და რუსულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიებმა კედელთან მიდგმული ტრაპეზი მკრეხელობად მიიჩნიეს და ამ წესს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს.



სურ. 194,3. რიყის ქვით მოკირწყლული „ქუჩა“ – სამლოცველოსთან მისასვლელი (შდრ. სურ. 193, 7)

საკურთხევლის ირგვლივ აღმოჩნდა თიხის 23 ჭურჭელი: ჯამები, ქოთნები, წითელი სარ-

ტყლებით მოხატული ორყურა ქილა და მოხდენილი სამტუჩა დოქები, აგრეთვე ხუთი ამფორა. ყველა ისინი ადგილობრივ მეთუნეთა ნახელავია და ამ ქალაქში სალოცავად მოსულთ, ღვთაებისათვის შეუწირავთ. ორი ამფორა ფეტვით სავსე აღმოჩნდა. ფეტვი კი, როგორც ცნობილია სვანური და მეგრული ეთნოგრაფიული მასალებით, დიდ როლს ასრულებდა ქართველ ტომებში ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილ რიტუალში.

ამრიგად, დადასტურდა „შიდა ეზოს“ (ყველ შემთხვევაში, მისი დასავლეთი ნაწილის) გამოყენება თავისებურ ტაძარ-სამლოცველოდ, რაც სრულიად უჩვეულოა ბერძნული მოდელით აშენებული საფორტიფიკაციო ნაგებობისათვის. კიდევ მეტი, ვანის ძველი ქალაქის „ცოტა კარის“ საკრალური დანიშნულება კიდევ ერთი უაღრესად საყურადღებო აღმოჩენით არის დადასტურებული.

კარიბჭის ტაძარ-სამლოცველის გარეთ, მის სამხრეთ კედელთან (სურ. 193₃) გამართულია მონოლითში ამოკვეთილი როფი, რომელიც წინა მხრიდან ქვებითაა შემორაგული. ცნობილმა ქართველმა ეთნოგრაფმა, აწ განსვენებულმა ვერა ბარდაველიძემ ასე განმარტა ამ როფის დანიშნულება: იგი მსხვერპლად შეწირული ცხოველის სისხლის ჩასაღვრელად იყო განკუთვნილი და მას ანალოგიები მთა-თუშეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში მოეპოვებაო.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ქალაქის შესასვლელშივე საკულტო შენობა – ტაძარია აღმართული, რაც ამ ძველი ქართული ქალაქის დამახასიათებელი თავისებურებაა. ასეთი რამ სრულიად უჩვეულოა, მაგალითად, ბერძნულ-ელინისტური ქალაქებისათვის. სამაგიეროდ, საინტერესო პარალელს პოულობს ძველ ქართულ საკრალურ ტრადიციებში – საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში რომაა აგრე უხვად შემონახული და ეთნოგრაფების მიერ ასევე შესანიშნავად წარმოჩენილი. „ღვთის კარს“ უწოდებენ ასეთ ტაძარ-სამლოცველოს. პროფ. ვერა ბარდაველიძის განმარტებით, „ღვთის კარი“ (ანუ „ჯვრის კარი“ თუ „ხატის კარი“) აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სამლოცველოს („ხატის“) ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, სადაც „დიდი“ დღესასწაულები იმართებოდა და მოსახლეობას შეწირულობა (!) მოჰქონდა. ისიცაა საინტერესო, რომ საერთო ხევსურულ სალოცავში (ე.წ. საღმრთო გუდანის ჯვარი) „ღვთის კარი“ აგრეთვე სამი მხრიდანაა შემოზღუდული, ხოლო მის შიგნით ქვის სადირკვლეზე მდგარი ბომონაა აღმართული [344]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვანის ძველი ქალაქი მე სატაძრო ქალაქად მიმაჩნია (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება დაწვრილებით საუბარი) – უზუსტაესი ღვთაების სალოცავად აგებული. ასე რომ კარიბჭესთან აღმართულ ტაძარ-სამლოცველოს მართლაც შეიძლება ეწოდოს „ღვთის კარი“ (საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს ტერმინი – „ღვთის კარი“ – ტაძარ-სამლოცველოს მნიშვნელობით ურარტულ ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც იხსენიება, მაგრამ მისი რეალური მნიშვნელობა გაუგებარი იყო).

ახლა ისევ უნდა დავუბრუნდეთ „შიდა ეზოს“, რომლის გათხრამ კიდევ რამდენიმე საყურადღებო დეტალი დააზუსტა.

„ტაძარ-სამლოცველოს“ შიდა ნაწილში ამორფულ მასად ქცეული და ხანძრისაგან ძლიერ გაწითლებული ალიზის კედლის ნანგრევებით შექმნილი მძლავრი ფენა იქნა აღებული. მაგრამ ყურადღებას იქცევს ის, რომ არ აღმოჩენილა არც ერთი ფრაგმენტი კრამიტისა, აგრე მრავლად რომაა დადასტურებული ნაგებობის გარეთა ფარობების გათხრებისას. სამაგიეროდ „ტაძარ-სამლოცველოს“ იატაკის დონეზე თვალსაჩინოდ გამოვლინდა დანაშრეტული ხის ძელები და ფიცრები. როგორც ჩანს, ისინი ზემოდან იყო ჩამოვარდნილი და ქმნიდნენ სახურავს, რომელიც თავის დროზე, „ტაძარ-სამლოცველოს“ ზედა სართულზე გამართული სათავსოს იატაკს წარმოადგენდა. სწორედ ეს სათავსო იყო რვინის კარის – კატარაქტას – სამოძრაოდ განკუთვნილი რთული მექანიზმების განსალაგებლად. ამასთან ნათელია, რომ ეს სათავსო მთლიანად ფარავდა მეორე სართულის სახით ე.წ. „შიდა ეზოს“, რომლის ერთი ნაწილი, როგორც ვნახეთ, ძველი „ცო ა-კარის“ ტაძარ-სამლოცველოს წარმოადგენდა.

ახლა კი ისიც უნდა გავიხსე ით, რომ მსგავსი რამ საშუალო საუკუნეების ქართულ ციხე-სიმაგრეებშიცაა დადასტურებული: შესასვლელ კართან გამართულია ეკლესია (მაგ. ათონის იეერთა მონასტერში, თმოგვში და სხვ.). ზოგჯერ წყაროებში მათ „კარის ეკლესიას“ უწოდებენ (თუმცა ამ ტერმინს ძირითადად სხვა მნიშვნელობა ჰქონდა და იგი რომელიმე დიდი ფეოდალის საგვარეულო ეკლესიას აღნიშნავდა). ეს კი ძველი ქართული, წარმართული ხანიდან მომდინარე კულტურული ტრადიციის მიმღეობითი მემკვიდრეობის კიდევ ერთი თვალსაჩინო დასტურია, რასაც როგორც ქვემოთ დავინახავთ, ვანში კიდევ მრავალგზის შეეხვდებით.

ამრიგად, კარიბჭის ე.წ. „შიდა ეზო“ ზემოდან დახურულ სივრცეს წარმოადგენდა. ჩვენ ამ სართულის დაახლოებითი სიმაღლის წარმოდგენის საშუალებაც გვაქვს, რამდენადაც გადარჩენილი ქვის კედლების სიმაღლე სამხრეთ ნაწილში 2,55 მეტრს აღწევს და მასთან ერთად კედლებში არ ჩანს სართულშორისი გადაბურვისათვის აუცილებელი ხის კონსტრუქციებისათვის განკუთვნილი ფოსოების კვალი. სრულიად თამამად შეიძლება დავასკვნათ, რომ „ტაძარ-სამლოცველოს“ (და მაშასადამე გადახურული „შიდა ეზოს“) სიმაღლე ყოველ შემთხვევაში აღემატებოდა 2,55 მეტრს.

„შიდა ეზო“ სამხრეთი მხრიდან „ღია“ იყო და მას ჰქონდა რიყის წვრილი ქვით მოკირ-

წყლული 18 მეტრი სიგრძისა და 2 მეტრი სიგანის საგანგებო მისასვლელი (სურ. 193$_7$, 194$_4$).

კარიბჭეს აღმოსავლეთი მხრიდან იცავს ნახევარწრიული (უფრო სწორედ – ნალისებური) მოყვანილობის კოშკი (სურ. 193:8), რომელიც სამწუხაროდ, ძალზე დანგრეულია: შემორჩენილია მხოლოდ მისი აღმოსავლეთი ნაწილის საძირკველი. მაგრამ მაინცაა შესაძლებელი მისი დაგეგმარებისა და სამშენებლო ტექნიკის აღდგენა. 2,85 მ სიგანის კედელი კლდოვანი დედაქანის ფერდზეა აშენებული. საძირკვლის ქვათლილების სულ ქვედა რიგი დედაქანში ამოკვეთილ სწორკუთხა ფოსოებშია ჩაშენებული. წყობა პირნაგულია. შესანიშნავად გათლილ-დამუშავებული რუსტებიანი ქვათლილებით შედგენილ გარე და შიდა პირანგებს შორის სივრცე თიხით, რიყისა და ფლეთილი ქვებითაა საგულდაგულოდ ამოვსებული. კოშკის შიდა ნაწილი დაახლოებით 1 მეტრის სიმაღლეზე თიხის და დაფშვნილი თირის საკმაოდ მკვრივი მასითაა ამოვსებული, რაც კოშკს კედლის მნგრეველი იარაღებისაგან თავის დასაცავად განსაკუთრებულ სიმტკიცეს ანიჭებდა.

ერთი შეხედვით, თითქოს უცნაურია კარიბჭის დამცველი კოშკის აგება აღმოსავლეთი მხრიდან, რაც ეწინააღმდეგება თავდაცვის ელემენტარულ წესს: ჩვეულებრივ კარიბჭის დამცავი კოშკი დასავლეთი მხრიდან იგებოდა, რომ ფარებით მოიცრიაც მტრის დაუცველი მარჯვენა მხარ-მკლავი ქალაქის დამცველ მეისართათვის აღვილი სამიზნე ყოფილიყო. მაგრამ ვანის ძველი ქალაქის ჩრდ. ნაწილში კარიბჭის დამცავი კოშკის აღმოსავლეთი მხრიდან აგება ბუნებრივი პირობების გათვალისწინებამ შექმნა. საქმე იმაში გახლავთ, რომ თვითონ კარიბჭე მაშენებულია კლდის მასივზე, რომელიც ცენტრალური ტერასიდან ეშვება და იქ დასავლეთი მხრიდან კოშკის გამართვა შეუძლებელი იყო. ამის სანაცვლოდ კი, ქალაქის მშენებლებმა გალავნით შემოსაზღვრულ ცენტრალურ ტერასაზე ააგეს კიდევ ერთი კოშკი, რომელსაც კარიბჭის მისადგომი და საიერიში ნაწილის კონტროლირებაც დააკისრეს. ასე რომ ქალაქის ჩრდილოეთი შესასვლელის დაცვის ყველა დეტალი გულმოდგინედაა გააზრებული. ამას თავდაცვითი სისტემის შემადგენელი ნაწილების არქეოლოგიური შესწავლაც თვალსაჩინოდ ადასტურებს.

ნახევარწრიული კოშკი გალავნის კედელზეა მიშენებული. გალავნის კედელი კი დაახლოებით 45°-ის მქონე დახრილობის ფერდს მოყვება. ისე, რომ კედელთან მისადგომად იქმნება ციცაბო შეშაღლება, რაც მოიერიშე მტერს ძნელად გადასალახავ წინააღმდეგობას უქმნიდა კედლის სანგრევი მექანიზმებისა თუ ბორბლებზე შემდგარი მძიმრავი საიერიშო კოშკების წარმატებით გამოყენებისათვის.

გალავნის კედლებიც პერანგული წყობითაა ნაგები და აქაც საძირკვლის ქვედა რიგის ქვები კლდოვან დედაქანში ამოკვეთილ ფოსოებშია შენებული. საფასადო მხარეც კარგად დამუშავებული რუსტირებული ქვათლილებითაა აგებული. ეს ქვათლილები ასეთი ზომისაა: 50×50×30 სმ, 40×40×30 სმ. ასეთი ქვათლილებით კედლის ორი ან სამი რიგია ამოყვანილი, ზემოთ კი კვადრატული ფორმის (52x52 სმ) 10 სმ სისქის ალიზის აგურით ნაგები კედელია აღმართული. გალავნის კედლის სისქე 2,80 მ-ია, მაგრამ ეს მხოლოდ კედლის პირველი წყებაა. შიდა მხრიდან 2,80 მ-ის დაცილებით ზუსტად პარალელურად კედლის მეორე რიგია აგებული. ამ ორ კედელს შორის სივრცე დატიხრულია და მთლიცარე ზომის სათავსოებია შექმნილი. ამ სათავსოებში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, მეტწილად ამფორები (ღვინის, წყლის, მარცვლეულის თუ სხვა პროდუქტებისათვის განკუთვნილი ძირწვრილი ორყურა ჭურჭელი) და რაც საგანგებოდაა აღსანიშნავი და ძალზე საყურადღებო – მრგვალი ქვის ჭურვები (უმეტესად 15 და 20 სმ დიამეტრისა), რომელიც ფილაკვნის ანუ ქვის სატყორცნი საგანგებო მანქანებისათვის იყო განკუთვნილი. ასე, რომ ზემოაღნიშნული სათავსოები ქალაქის დამცველი გარნიზონის საკვებ-საწოვაგისა და იარაღ-საჭურვლის შესანახად იყო გამიზნული; კიდევ მეტი, დაღსტურდა, რომ ქვისსატყორცნი იარაღები, რომლებიც ჩვეულებრივ კოშკებში იდგა, ვანის ძველ ქალაქში გალავნის კედლებზეც ყოფილა განლაგებული. მართლაც, გალავნის ორ პარალელურ კედელს შორის სივრცე 6 მეტრს აღემატება და, მაშასადამე, მისი ერთიანი ზედა სარიული სავსებით საკმარისი იყო ქვის სატყორცნი მექანიზმების განსალაგებლად.

ზემოაღწერილი გალავნის კედელი 15 მეტრი სიგრძისაა და იგი ორ კოშკს შორისაა მოქცეული (სპეციალურ ლიტერატურაში კოშკებს შორის მოქცეულ გალავნის კედელს კურტინას უწოდებენ). ის, ერთის მხრივ, კარიბჭის დამცავ ნახევარწრიულ კოშკს უკავშირდება, ხოლო მეორეს მხრივ – მრავალკუთხა (ე.წ. პოლიგონალურ) კოშკს, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ სანახევროდაა გათხრილი (სურ. 193:9-11, 12). ისიც ამავე წესითაა აგებული, როგორც ნახევარწრიული კოშკი და გალავნის კედლები. თუმც მისი საძირკველი კიდევ უფრო საგულდაგულოდაა აგებული: კლდოვან დედაქანში ჩაშენებული საძირკვლის წყობა გარედან გამაგრებულია საგანგებოდ დაყრილი გაქვავებული მკვრივი მასით, რომელიც თიხით, დანაყილი თიხითა და ქვის ანატკეცებითაა შექმნილი. საძირკვლის ასეთი საგულდაგულო გამაგრება კედლებს იცავდა ძირის გამოთხრისაგან, ხოლო კოშკის შიგნით საგანგებოდ ჩაყრილი დაახლოებით 70 სმ სიმაღლის თიხის მკვრივი მასა კედლის სანგრევი მანქანების საწინააღმდეგოდ იყო განკუთვნილი. ამ თიხაყრილის ზედაპირზე კი, რომელიც კოშკის სარდაფული ნაწილის იატაკს წარმოადგენდა, აღმოჩნდა ამფორები და

ქვის ჭურვები, რომელთა სატყორცნო მანქანები კოშკის მეორე სართულზე უნდა ყოფილიყვნენ განლაგებული. აქვე კიდევ ორი უაღრესად საინტერესო ნაპოვნია საგანგებოდ აღსანიშნავი. ესაა ბრინჯაოს ფირფიტები, რომლებზეც წვრილი ბრინჯაოსვე ლურსმნებია შემოჭრილნილი. ეს, როგორც ჩანს, დარაბების გარსაკრავია. ასეთი დარაბები კი მოისართათვის იყო განკუთვნილი და ისინი კოშკების მესამე სართულისათვის იყო დამახასიათებელი. მრავალკუთხა კოშკი, რომ მართლაც სამსართულიანი უნდა ყოფილიყო დადასტურა კიდევ ერთმა ნაპოვნმა. ესაა კერქვისაგან გამოკვეთილი პილასტრის კაპიტელი. ცნობილია, რომ არქიტექტურულ-დეკორატიული გაფორმება ჰქონდათ სწორედ კოშკების მესამე სართულს (დაწვრ. [8, I, გვ. 147-151, II, გვ. 7-16]; [1365, გვ. 117-120]).

ამრიგად, ვანის ძველი ქალაქის ჩრდილოეთი ნაწილის სასიმაგრო სისტემის შესწავლამ თვალნათლივ გვიჩვენა, რომ ვანის ძველი ქალაქის მშენებლები კარგად იცნობდნენ და შემოქმედებითად იყენებდნენ მაშინდელი ეპოქის (ფართო გაგებით, ესაა ელინისტური სამყარო) საფორტიფიკაციო კონცეფციებსა და სისტემებს, რომელიც ჩამოყალიბებულია ძვ.წ. III საუკუნის ბერძენი მეცნიერის ფილონ ბიზანტიონელის (ზოგჯერ მას ფილონ მექანიკოსს უწოდებენ) ნაშრომში.

ამავე დროს, ქალაქის კარიბჭე თვალსაჩინო მაგალითია იმისიც, თუ რაოდენ ძლიერია ადგილობრივი ეროვნული საკრალური ტრადიციები (გავიხსენოთ ქალაქის მფარველი ქანდაკების აღმართვა კარიბჭის გარეთა კედელთან, „შიდა ეზოს“ ქცევა ტაძარ-სამლოცველოდ და სხვ., რაც სრულიად უცხოა ბერძნული და საერთოდ ელინისტური საფორტიფიკაციო თვალსაზრისათვის).[256]

ქალაქის შიგნით რამდენიმე მონუმენტური ნაგებობა ყოფილა აღმართული. ასე მაგ., ქვედა ტერასაზე, კარიბჭის სამხრეთ-აღმოსავლეთით დაახლოებით 100 მ-ის დაცილებით მდებარეობდა საკმაოდ ვრცელი სატაძრო კომპლექსი, რომელსაც დაახლოებით 100 მ² ფართობი ეკავა (სურ. 195).

ერთიანი არქიტექტურული კომპლექსის შედგენელი ნაწილებია კოშკისებური ნაგებობა, სამსხვერპლო მოედანი, ხუთსაფეხურიანი კიბე (ალბათ, ხის სამსხვერპლოზე ამავალი), ე.წ. „სვეტებიანი დარბაზი“ და „შესაწირავისათვის განკუთვნილი დარბაზი“ (იხ. სურ. – გეგმა).

კოშკისებური ნაგებობა, სამწუხაროდ, ძალზე დანგრეულია. მთლიანად მორღვეულია მისი ჩრდილოეთი ნაწილი. სამაგიეროდ მთლიანად შემორჩენილია (თითქმის 2 მეტრ სიმაღლეზე) სამხრეთი საფასადო ქვის კედელი, რომელზედაც შემდეგ ალიზის კედელი იქნებოდა აღმართული. საფასადო ნაწილი მშვენივრად გათლილი დამუშავებული სწორკუთხა ქვათლილებითაა ამოყვანილი და, როგორც ვანის ძველი ქალაქის სხვა ნაგებობანი, მშრალად – ე.ი. ყოველგვარი დამაკავშირებელი ხსნარის გარეშეა აშენებული. კოშკისებური ნაგებობის დანიშნულების შესახებ ძნელია რაიმეს გადაჭრით თქმა, თუმც ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა მაინცაა შესაძლებელი (მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ).



სურ. 195. ვანის ნაქალაქარი – ძვ.წ. II-I სს-ის სატაძრო-საკულტო კომპლექსი (შდრ. სურ. 192,2): 1. კოშკისებური ნაგებობა, 2. სამსხვერპლო მოედანი, 3. ქვის საფეხურები, 4. „სვეტებიანი დარბაზი“, 5. შეწირულობათა შესანახი დარბაზი [1175] [1163]

კოშკისებური ნაგებობის ძირში ღია მოედანზე სამსხვერპლოა გამართული. ამ მოედანზე მრავლად აღმოჩნდა შენაწირი ჭურჭელი – მეტწილად კოლხური ქვევრები და ამფორები, დოქები, ქოთნები და ლანგრები, აგრეთვე (ადგილობრივთან შედარებით უფრო მცირე ოდენობით) ბერძნული ამფორები, მცირეაზიული წითელლაკიანი ლანგრები, ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვადასხვა ცენტრებში დამზადებული რელიეფური გამოსახულებებით შემკული თასები. აქვეა ნაოვნი ადგილობრივი თიხისაგან დამზადებული და გამოწვარი ქანდაკება გრძელ სამოსელში გამოწყობილი მამაკაცისა (იქნებ ქურუმისა?),[257] რომელსაც ხელში სიუხვის ყანწი უკავია (ქანდაკებას თავი მოტეხილი აქვს). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სამსხვერპლო მოედანზე რქოსანი და წვრილფეხა საქონლის, აგრეთვე ფრინველის ძვლების სიმრავლე. აქ ჯიხვის რქებიცაა ნაპოვნი. გათხრის პროცესში დადგინდა, რომ სამსხვერპლო მოედანზე შენაწირავს დროდადრო თიხით გადალესავდნენ ხოლმე და მით ქმნიდნენ ახალ ბაქანს მსხვერპლშეწირვის რიტუალისათვის. როგორ ჰგავს ჩვენს მიერ აქ დაფიქსირებული სურათი ქართული მითიანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულ „ხატობას“, რომელიც, თუმც ქრისტიანული ეპოქისაა, მაგრამ წარმართული

[256] ბიბლიოგრაფია ვანის საფორტიფიკაციო სისტემაზე იხ. [8, IX, №№ 243, 373].

[257] ზოგჯერ სიუხვის ყანწით გამოისახებოდნენ პერსონიფიცირებული მდინარე-ღვთაებანი (განსხვავებული მოსაზრება იხ. [1056]).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურის არაერთი ელემენტი აქვს მძლავრად შემონახული!

კოშკისებური ნაგებობა უკავშირდება სწორკუთხა შენობას, რომელიც ორ დარბაზადაა ყრუ კედლით გაყოფილი. ქვის საძირკველი კარგად დამუშავებული რუსტირებული სწორკუთხა ქვათლილებითაა ორ და სამ რიგად ამოყვანილი. ამასთან რუსტირებული ქვათლილები ინტერიერშიცაა გამოყენებული. ქვის წყობაზე შემორჩენილია ბზენარევი ალიზით (52×52 სმ; 52×26 სმ) აგებული კედლებიც. რუსტირებული ქვათლილები, რომლებიც კედლის გარე და შიდა პერანგს ქმნიან, კლდოვან დედაქანში ამოკვეთილ ბუდეებშია ჩაშენებული, რაც განსაკუთრებულ სიმტკიცეს ანიჭებდა ნაგებობის საძირკველს. მოელს შენობაში, გადმონგრეული და ამორფულ მასად ქცეული ალიზის ქვეშ ყველგან დადასტურებულია ჩაქცეული სახურავის ნაშთები: ძლიერი ცეცხლისაგან დამწვარი ხის კოჭები და კრამიტები.

კრამიტისა და სახურავის ნაშთები დასავლეთი და სამხრეთი კედლების გასწვრივ გარეთაცაა აღმოჩენილი. ყურადღებას იქცევს სხვადასხვა ზომის რკინის ლურსმნების სიმრავლე, აგრეთვე დანაზშირებული ხის კოჭები, ჰორიზონტალურად რომ ყოფილა დალაგებული ქვის კედლების პარალელურად მათგან 2 მეტრის დაცილებით. ეს საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ აქ კრამიტით გადახურული კორიდორის არსებობა, ტაძრის ირგვლივ სარტყულო მსვლელობისათვის რომ იქნებოდა განკუთვნილი. თვით სწორკუთხა ნაგებობა ორ ნაწილადაა გაყოფილი. პირველს პირობით „სვეტებიან დარბაზს“ უწოდებენ, რადგან მის შიგნით ორი, რატომღაც ასიმეტრიულად განლაგებული ქვის სვეტის ძირი – ბაზისი აღმოჩნდა, თითეული 50 სმ-ის დიამეტრისა. თვით სვეტები გადარჩენილი არაა (უთუოდ ხის იყო და ამიტომ).

„სვეტებიანი დარბაზი“ სწორკუთხაა (9,2 × 8,5 მ) და მას სამი შესასვლელი აქვს. დასავლეთი შესასვლელი 3,8 მ სიგანისაა და დიდი ზომის ქვიშაქვის სწორკუთხა ქვათლილითაა მოგებული. ჩრდილოეთი შესასვლელი 2 მ სიგანისაა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთი – 3 მ. აქაც ზღურბლი კარგად დამუშავებული ქვათლილებითაა მოგებული და მისკენ გარე მხრიდან ასასვლელად კიბეებია გამართული.

ამ დარბაზის იატაკი თიხატკეპნილია; ამასთან ერთად კლდოვან დედაქანში საგანგებოდ ამოკვეთილი „არხია“, რომელიც ქვის ფილებითაა მოგებული. ამ არხის ერთი ნაწილი დასავლეთ შესასვლელთან ახლოს კედელში საგანგებოდ დატანებულ ფოსოში გამოდის და დასავლეთ კედლის გასწვრივ მიემართება ხვეულაკად. არხის შეორე ბოლო კი მიმართულია აღმოსავლეთ კედლისკენ, საიდაც უშუალოდ კედლის შიდა ძირთან კლდოვან დედაქანში ამოკვეთილია 1,30 მ სიღრმის ორმო, რომელიც თავის დროზე ხის ფიცრებით იქნებოდა გადახურული. ამ ვარაუდის საფუძველს გათხრების პროცესში დაფიქსირებული ხის ძელების ანაბეჭდები იძლევა. არხი აღმოსავლეთ კედლის გარეთაც გაძოდის, მაგრამ ეს ნაწილი ჯერ შესწავლილი არაა. ძნელი სათქმელია ახლა თუ რა რიტუალი სრულდებოდა ამ არხის მეშვეობით? „სვეტებიანი დარბაზის“ საკულტო ხასიათზე კი სავსებით აშკარად მიუთითებს აქ აღმოჩენილი ქვის საკურთხეველები. ერთი მათგანი ადგილობრივი ჯიშის ქვიშაქვის მონოლითიდანაა გამოკვეთილი და ზედა ნაწილში აქვს თასისებური ჩაღრმავება, რომელსაც ნათლად ეტყობა აქ ოდესღაც დანთებული ცეცხლის კვალი. საკურთხევლის ნაწილებს წარმოადგენს აგრეთვე ორი სწორკუთხა ფილა, რომელთაც ასევე ზედა ნაწილში თასისებური ჩაღრმავებები აქვთ. ადგილობრივი ქვიშაქვისგანაა დამზადებული მესამე საკურთხეველიც, რომელიც გარეგნულად როდინს მოგვაგონებს, ორივე მხრიდან ძაბრისებურადაა შეღრმავებული.

„სვეტებიან დარბაზს“ სამხრეთ-დასავლეთით უშუალოდ კედელზე გარე მხრიდან მიშენებული აქვს ხუთსაფეხურიანი კიბე, რომელიც სწორკუთხა ქვათლილებითაა შედგენილი. თითოეული საფეხურის სიგანე 1,9 მეტრია. ბაქანი, რომელზედაც კიბე ადიოდა, გადარჩენილი არაა. გათხრების პროცესში დაფიქსირებული დანაზშრობული ხის ძელები გვაფიქრებინებს, რომ აქ უნდა ყოფილიყო აღმართული ხის ნაგებობა, რომელიც რიტუალური მსხვერპლშეწირვისათვის იყო განკუთვნილი. ამასვე მოწმობს დარი, რომელიც საგანგებოდაა კიბის საფეხურებზე ამოკვეთილი. ამ დარში უთუოდ მსხვერპლად შეწირული ცხოველის სისხლი ან სხვა რამ სითხე მოედინებოდა...

„სვეტებიანი დარბაზი“ ყრუ კედლითაა გამიჯნული მეორე, ასევე სწორკუთხა დარბაზისაგან. აქ, გადმონგრეული ალიზის კედლებისა და ჩაქცეული სახურავის კრამიტის ფრაგმენტებს ქვეშ აღმოჩნდა 27 თიხის ჭურჭელი: 8 დიდი ზომის ქვევრი, აგრეთვე დერგები, ამფორები და ქოთნები. ყველა ისინი წითელკეციანია, ადგილობრივი წარმოებისა. ჭურჭელი სხვადასხვა ჯიშის მარცვლეულით იყო სავსე. ცნობილი პალეობოტანიკოსის შინაიდა იანუშევიჩის დასკვნით, აქ „წარმოდგენილია 5 ჯიშის ფეტვი და ხორბალი, მათგან ორი ე.წ. იტალიური ჯიშისაა, ხოლო დანარჩენი ჩვეულებრივ ფართოდ გავრცელებულ სახეობას განეკუთვნება. ხორბლეული კი რამდენიმე სახეობის ნარევს წარმოადგენს, ძირითად ქართულ ენდემურ ჯიშს, რომელიც ფართოდაა წარმოდგენილი საქართველოში სხვა უფრო ადრეული ხანის ნამოსახლარებზეც“.

ნაგებობის სამხრეთი კედლიდან 6-ოდე მეტრის დაცილებით, თითქის ხევის პირას, კლდოვან დედაქანში ამოკვეთილია ორმო (ჯერ სხვა სახელი ვერ შეგვირქმევია მისთვის). მისი ზედა ნაწილი ოვალური მოყვანილობისაა, დაახლოებით 6 მ სიგრძისა და 6,5 მ სიგანისა. კლდო-

ვანი დედაქანის ზედაპირიდან 4 მ-ის სიღრმეზე ორმო უკვე ნამდვილი კვადრატის ფორმას იღებს (მისი ზომებია 2×2 მ). ეს „ორმო" ჯერჯერობით 22 მ-ის სიღრმეზეა შესწავლილი და დასასრული ჯერ არ უჩანს. სამწუხაროდ, ვერაფერს ვიტყვი ამ ორმოს დანიშნულებაზე,[258] რომლის კლდოვან დედაქანში ამოსაკვეთად იმდროინდელი ტექნიკის პირობებში კოლოსალური შრომაა გაწეული. იქნებ ბოლომდე გათხრამ მოგვცეს პასუხი ამ საოცარი ქმნილების დანიშნულების შესახებ. ერთი რამაა მხოლოდ ცხადი: „ორმო" ფუნქციონირებდა სატაძრო კომპლექსთან ერთად. ამას უცილობლად მოწმობს ის ფაქტი, რომ „ორმოში" ჩაცვენილია ტაძრის კედლის ქვათლილები და ალიზის ფრაგმენტები. ასე, რომ „ორმო" ამ გრანდიოზული სატაძრო კომპლექსის ორგანული შემადგენელი ნაწილია.

გათხრები ნაქალაქარის ამ უბანზე ჯერ არაა დასრულებული. ამიტომაცაა შეუძლებელი რაიმე ვარაუდის გადაჭრით გამოთქმა. ერთი რამაა უცილობელი: აქ საქმე გვაქვს ფუნქციონალური თვალსაზრისით უაღრესად რთულ საკულტო არქიტექტურულ კომპლექსთან. ვერაფერს ვიტყვი გადაჭრით იმის შესახებაც კი, თუ რომელი ღვთაების (თუ ღვთაებების) სახელზეა აგებული ეს ტაძარი. თუმც გავბედავ და ძალზე წინასწარულად და ჰიპოთეტურად გამოვთქვამ ზოგიერთ მოსაზრებას ცალკეული არქეოლოგიური მონაპოვრის შესახებ. ასე მაგალითად, დიდ ინტერესს იწვევს როდინისებური ქვის ჭურჭელი, რომელიც შეიძლება სარიტუალო საკურთხეველად მივიჩნიოთ. საქმე იმაში გახლავთ, რომ მსგავსი ნივთები ძველი ირანის დედაქალაქში პერსეპოლისშია აღმოჩენილი და მასზე ამოკვეთილი არამეული წარწერები მოწმობენ, რომ ამ ტიპის საკურთხევეზები ცეცხლის კულტთან იყო დაკავშირებული. კიდევ მეტი, ვარაუდობენ, რომ როდინისებურ ჭურჭელში მზადდებოდა მათრობელა სასმელი – ჰაომა, რომელსაც რიტუალური მიზნით იყენებდნენ. ეს სასმელი მზადდებოდა წიწვოვანი მცენარის ეფედრინის ტოტების ჭურჭელში დანაყვით და მიიღებოდა ალკოჰოლოიდური ექსტრაქტი ეფედრონი. ამასთან დაკავშირებით, ძალზე საყურადღებოა, რომ ჩვენი არქიტექტურული კომპლექსის ერთ-ერთ დარბაზში აღმოჩნდა ფერფლის გროვა, რომელიც ქართველი ბოტანიკოსის პროფ. თ. კეზელის განსაზღვრით, „ბიქმნა წიწვოვანი მცენარის დაწვის შედეგად" (როგორც ჩანს, შენობაში გამძვინვარებული ხანძრისაგან).

ცეცხლის კულტთან დაკავშირებით ისიცაა საინტერესო, რომ „სვეტებიან დარბაზში" აღმოჩენილი მონოლითური საკურთხევლის თასისებურ ჩაღრმავებას აშკარად ეტყობა, რომ მასში ხანგრძლივად ენთო ცეცხლი. როგორც გახსენეთ, ამ არქიტექტურული კომპლექსის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია კოშკისებური ნაგებობა, რომელიც თავისი სიმაღლით უთუოდ საგრძნობლად აღემატებოდა დანარჩენ ორ დარბაზს. და აი, აქ არ შემიძლია არ გავიხსენო ძველ აღმოსავლეთში (კერძოდ, ირანის ტერიტორიაზე) გავრცელებული კოშკისებური ნაგებობანი, რომელთაც ბევრი სპეციალისტი (თუმც არა ყველა) წმინდა ცეცხლის შესანახ რიტუალურ ნაგებობად მიიჩნევს. ჩვენთვის საინტერესო სატაძრო კომპლექსის ასეთსავე ასპექტში განხილვას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს აქ დადასტურებული რიტუალიც, შესაწირავის ხასიათი (ნაირსახოვანი მარცვლეული) და საღვთო ცხოველის სისხლისათვის და საზედაშე ღვინისათვის განკუთვნილი არხი და სხვ. ცნობილია, რომ მარცვლეული და ღვინო ძველ აღმოსავლეთში დიდ როლს ასრულებდა რიტუალში, რომელიც სრულდებოდა მითრას – მზისა და სინათლის ღვთაების პატივსაცემად და თავისი ხასიათით, მჭიდროდ იყო ცეცხლის კულტთან დაკავშირებული. და ბოლოს აქვე უნდა დავძინოთ, რომ მითრას კულტის გადმოსვლის საქართველოშიც კარგადაა ფიქსირებული. გავიხსენოთ თუნდაც განსვენებული ქართველი ეთნოგრაფის სერგი მაკალათიას ნაშრომი ჯვედ-მისარიონის კულტის შესახებ [1178].

მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა დაბეჯითებით გავიმეორო, რომ ეს მხოლოდ ვარაუდია. უფრო დამაჯერებლად საუბარი ამ საკითხებზე ამ უაღრესად საინტერესო და მეცნიერული თვალსაზრისით მრავალმხრივ მნიშვნელოვანი კომპლექსის სრულად გათხრისა და შესწავლის შემდეგ იქნეს ეგებ შესაძლებელი (შდრ. [1175]).[259]

რთული არქიტექტურული კომპლექსი მდებარეობდა ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში (სურ. 196). მთავარი ნაგებობა კომპლექსის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში იყო განლაგებული. ესაა აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებული მარტივი მეგარონის ტიპის სწორკუთხა ნაგებობა, რომლის პარალელური (ჩრდ. და სამხ.) კედლების სიგრძე 13 მეტრია, ხოლო დასავლეთი კედლისა – 5 მეტრი (სურ. 196, 1). ტაძრის შიგნით, მის დასავლეთ ნაწილში აღმართულია სწორკუთხა პოსტამენტზე მდგარი ოვალური მონოლითური სვეტი-საკურთხეველი. ტაძარს ჰქონია მოზაიკური იატაკი, რომელიც კირხსნარით შეკავშირებული თეთრი და ღია ვარდისფერი რიყის ქვებითაა შედგენილი. ეს იატაკი მთლიანადაა დანგრეული, თითქოს საგანგებოდ. ტაძრის მოზაიკური იატაკის ნანგრევებში აღმოჩენილია მდიდარი შეწირულობა: კოლხური ქვევრი და 40-ზე მეტი (!) ამფორა, 120 სპილენძის მონეტა. იქვეა ნაპოვნი, სარიტუალო სანგები: რკინის სასაკმევლე, რომელიც ორი ნაწილისგანაა შედგენილი: „ჯამისა" და

[258] გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ორმო თითქოს ჰეკატეს მისტერიებს უკავშირდებოდა [1449].

[259] იხ. აგრეთვე [8, IX, №№ 227, 334, 336, 464, 479].

დაფანჯრული კედლიანი კონუსური ქუდისაგან (სურ. 197).



სურ. 196. ვანის ნაქალაქარი – ძვ.წ. II-I სს-ის სატაძრო კომპლექსი (შდრ. სურ. 192,3): 1. „ტაძარი-მარანი“, 2. საფეხურებიანი საზეიმო საკურთხეველი, 3. საკურთხეველიანი დარბაზი, 4. სარიტუალო არხი, 5. სარიტუალო ორმოები ([8, I], [1218], [1163]

იქვეა ნაპოვნი ბრინჯაოს სარიტუალო ჭურჭელი (თუ სხვა საგანი), რომელიც ხანძრისაგანაა ძლიერ დეფორმირებული და ჯერჯერობით მაინც ვერ მოხერხდა მისი ფორმის აღდგენა. გადარჩენილია ნატეფრი ორნამენტით (ოვები და მარგალიტები, ვარდულები, მცენარის ფოთლოვანი ღეროები, ფრინველის გამოსახულებანი) მორთული ბრინჯაოს ფირფიტები. თითქმის მთლიანადაა შემორჩენილი სკულპტურული მორთულობა. ჭურჭელი, როგორც ჩანს, იდგა ფრინველის (არწივის) ბრჭყალებიანი კლანჭების გამოსახულებიან სადგარზე (ასეთი „კლანჭი“ ექსპია ნაპოვნი). ამავე ჭურჭელს ამკობდა ბრინჯაოსგანვე ჩამოსხმული არწივის სამი გამოსახულება. დიდებულია სამივე ქანდაკება: ფრთაგაშლილი არწივები, რომელთა თითოეული დეტალი (ნისკარტი და თვალები, განსაკუთრებით ბუმბული და ღონიერი ქვედა კიდურები) დიდი მხატვრული ოსტატობითაა დამუშავებული (სურ. 198).



სურ. 197. რკინის სასაკმეველე. ვანი. ძვ.წ. II-I სს. [8. I]

ჭურჭლის მხატვრული გვირგვინია 18 სმ სიმაღლის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც გამარჯვების ფრთოსან ქალღმერთს – ნიკეს გამოსახავს. სრული შთაბეჭდილებაა, თითქოს ქალღმერთი სწრაფად ეშვება ზეციდან გამარჯვების მაცნედ და მაუწყებლად. მას ამაყად გადაუგდია უკან თავი, რომელსაც ლამაზად ვარცხნილი თმა უმშვენებს. ქალღმერთის ტანს მოსავს დიდებული კვართი, ხოლო მის მოსახვამს ქარი აფრიალებს. სამოსლის კერტიკალური ნაოჭები შესანიშნავადაა შეხამებული ქანდაკების საერთო რიტმთან, დაუოკებელსა და უსწრაფეს მოძრაობას რომ გამოხატავს. კვართი გადახსნილია და მოჩანს ქალღმერთის ნატიფი შიშველი ფეხი (სურ. 199).



სურ. 198. არწივის ქანდაკება (ჭურჭლის შემკულობის ნაწილი). ბრინჯაო. ძვ.წ. II ს. ვანი [8, I]

მთელი რიგი ნიშნებით (ტანის წაგრძელებული პროპორციები და შედარებით პატარა ზომის თავი, წინ გაშვერილი შიშველი ფეხი) ვანის ნიკე ანალოგიებს პოულობს ნიკეს იმ ტიპთან, რომელიც ძვ.წ. II ს. მეორე ნახევარში შექმნა მცირე აზიის ქალაქის პერინის კოროპლასტიკამ. ჭურჭლის მოსართავ ნაწილს ეკუთვნის აგრეთვე ექსპი ჰორელიეფური გამოსახულება, რომელიც შეღვენიობა-მეცენატობის

ღმერთის – დიონისეს – წრის ღვთაებებს გამოხატავს. მათგან ერთი ძლიერ დაზიანებულია, თუმც შემორჩენილი ვაზის ფოთლებისაგან შედგენილი გვირგვინი მოწმობს, რომ აქ, ისევე როგორც დანარჩენ შემთხვევებში, დიონისეს წრის გამოსახულებებთან გვაქვს საქმე. მეორე გამოსახულება წვეროსანი პანისაა (ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ესაა ტყის ღმერთი, მწყემსებისა და მონადირეების მფარველი ღვთაება). მას თხისებური წვეტიანი ყურები აქვს, ხოლო მეჩხერი ომა ცხოველის რქებივითაა ამოზიდული. პირი ფართოდ აქვს გაღებული და მოჩანს კბილების ქვედა რიგი. სწორედ ფართოდ გაღებული პირი და ზემოთკენ მომზირალი თვალები, ღრმა ჰორიზონტალური ნაოჭებით დაღარული შუბლი აძლიერებენ სახის უაღრესად პათეტურ გამომეტყველებას (სურ. 200). ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ მოხუცი პანი ახლა გამძვინვარებულია და თავისი საზარელი ყვირილით პანიკურ შიშს გვრის იმათ, ვინც მას სიმშვიდეს უფრთხობს.



სურ. 199. გამარჯვების ქალღმერთის (ნიკეს) ქანდაკება. ბრინჯაო. ძვ.წ. II ს. ვანი [1159]

სტილისტურად ეს გამოსახულება მოგვაგონებს კარგად ცნობილი წვეროსანი გალის ქანდაკებას იმ ჯგუფური კომპოზიციიდან, რომელიც ძვ.წ. II საუკუნეში აღმართეს ათენში პერგამონელმა ოსტატებმა (ე.წ. ატალოს I-ის ვოტივი). საერთოდ კი ვანში ნაპოვნი გამოსახულება ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია და, იქნებ დამაკავშირებელი რგოლიც გვიანელინისტური ხანის სატირთა გამოსახულებების იმ რიგში, რომელმაც ბრწყინვალე გამოხატულება ჰპოვა საყოველთაოდ ცნობილ „მოცეკვავე ფავნის“ ქანდაკებაში (პომპეუმში რომაა ნაპოვნი და ნეაპოლის მუზეუმში გამოფენილი).



სურ. 200. პანის გამოსახულება. ბრინჯაო. ძვ.წ. II ს. ვანი [1159]

მესამე ჰორელიეფური გამოსახულება დიონისეს მუდამ მხიარული თანამგზავრის – სატირისაა. მის თავს ამკობს სუროს ფოთლებითა და ნაყოფით შედგენილი გვირგვინი. ოსტატს იგი თითქოს ოღნავ შემთვრალი. გამოუსახავს და ამიტომაც ცბიერი გამომეტყველება აქვს. სტილისტურად ეს გამოსახულება ძალიან ახლო დგას ე.წ. პერგამონული სტილის სატირების იმ ჯგუფთან, რომლის საუკეთესო ნიმუშები კანზასისტის (აშშ) მუზეუმშია დაცული და ძვ.წ. II საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება.

მეოთხე გამოსახულება ქალისაა და გამორჩევა პათეტური იერით. აქ უკვე ჩვენ ვხედავთ კლასიკურად სწორ ნაკვთებს. მას თავს ვაზის ფოთლებით შეკრული გვირგვინი უმკობს, ხოლო ყურებზე ყურძნის მტევნები ჰკიდია. სავსებით აშკარაა, რომ ესეც დიონისეს წრის ღვთაებაა. ვფიქრობ, რომ ეს უნდა იყოს არიადნე, თეზევსისაგან მიტოვებული, რომელიც მითის თანახმად დიონისეს მეუღლე და მისი ქურუმი გახდა.

დანარჩენი ორი ჰორელიეფური გამოსახულება წარმოსახავს დიონისეს მუდამ მხიარულსა და მოშხიბლავ თანამგზავრებს – სახემშვენიერ მენადებს. ორივეს თავს ამკობს ვაზის ფოთლების გვირგვინი. ერთ-ერთ მათგანს ფართო, განიერი სახე აქვს, მოკლე ნიკაპი. ამ ნიშნებით იგი უახლოვდება პერგამონის საკურთხევლის დიდსა და მცირე ფრიზზე წარმოდგენილ ჭაბუკთა და ყმაწვილ ქალთა სახეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერგამონული წრის მხატვრულ პლასტიკასთან დიდი მსგავსება და სიახლოვე კიდევ უფრო მკაფიოდ მჟღავნდება მეორე მენადის გამოსახულებაში. ძალზე დამახასიათებელია და ტიპიურია, მაგალითისათვის, თვალის გადმოცემა, მშვილდივით მორკალული წარბები და ნაზად მოხაზული ქუთუთოები. სახის ოვალი, თვალები, ხორცსავსე ტუჩები და ნაზი ღიმილიც კი თითქოს იმეორებს ბერლინის მუზეუმში დაცულ ცნობილ პერგამონულ ქალის თავს, რომელსაც პირობითად აფროდიტეს უწოდებენ და ძვ.წ. II ს. 60-იანი წლებით ათარიღებენ.

მთლიანად ეს სკულპტურული მორთულობა წარმოადგენს ელინისტური ხანის ბერძნული ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს, რომელთა აგრე დამახასიათებელი მხატვრული სახეების მრავალფეროვნება სათავეს ძვ.წ. IV ს. უდიდესი ბერძენი მოქანდაკეების პრაქსიტელესა და სკოპასის შემოქმედებაში იღებს. მათი დათარიღება ეჭვს არ იწვევს: ძალზე ახლო მსგავსება პერგამონული წრის მხატვრულ სახეებთან მიუთითებს პერგამონის საკურთხევლის ე.წ. მცირე ფრიზის შექმნის შემდგომ ხანაზე, ე.ი. ძვ.წ. II საუკუნის 60-იანი წლების შემდგომ პერიოდზე, მაგრამ არა უგვიანეს 40-იანი წლებისა.

გაცილებით უფრო რთულია საკითხი იმის შესახებ, თუ სადაა ეს ჭურჭელი და მისი სკულპტურული მორთულობა დამზადებული. ვიდრე არაა დასრულებული მხატვრული სახეების კიდევ უფრო დეტალური სტილისტური ანალიზი, აგრეთვე არაა აღდგენილი ჭურჭლის ფორმა, და არც მისი ტექნოლოგიური თვისებებია ჯეროვნად შესწავლილი, იძულებული ვართ ჯერჯერობით ღიად დავტოვოთ ეს საინტერესო საკითხი. მაგრამ თვით ფაქტია ამ აღმოჩენისა ჩვენთვის ამჯერად ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი. იგი მოწმობს, რომ ვანის ძველი მოსახლეობისათვის ცნობილი იყო დიონისეს კულტთან დაკავშირებული ბერძნული მითოლოგიური რელიგიური სახეები (ეს ხომ ჩვენ კარიბჭის გათხრების დროსაც ვნახეთ). მაგრამ პირველ რიგში ყურადღებას იქცევს თვით ის გარემო, რომელშიც აღმოჩენილია დიონისეს წრის ღვთაებათა გამოსახულებებით შემკული სარიტუალო ჭურჭელი. ტაძარში აღმოჩენილი მთელი კომპლექსი – მეღვინეობა-მევენახეობის მფარველი ღვთაების დიონისეს წრის ღვთაებათა გამოსახულებებით მორთული სარიტუალო ჭურჭელი, საღვინე ქვევრი და შეწირული ამფორები (40-მდე) – ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ტაძარი სწორედ მეღვინეობა-მევენახეობის კულტთან იყო დაკავშირებული. არქეოლოგიური აღმოჩენით დადასტურებული ეს საინტერესო ვითარება ძალზე ჰგავს ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახულ ქართულ საკულტო მარანს. ქართველმა ეთნოგრაფებმა საკმაოდ დამაჯერებლად უჩვენეს ვაზის მოსავლიანობასთან დაკავშირებული მაგიური და რელიგიური რწმენა-წარმოდგენების არაჩვეულებრივი მრავალფეროვნება, რაც სრულიად სამართლიანად ჩვენში მეღვინეობა-მევენახეობის კულტურის სიძველედაა მიჩნეული. დადგენილია, რომ ქართული მარანი სალოცავ ადგილს წარმოადგენდა და არსებობდა საგანგებო საკულტო მარნები, სადაც მარჯვენა კუთხეში იდგა საზედაშე ქვევრები, ე.ი. ღვთაებისათვის შესაწირავად გამიზნული ღვინის ჭურჭელი (გავიხსენოთ, რომ ვანში აღმოჩენილ ზემოხსენებულ ტაძარში სწორედ აღმოსავლეთ ნაწილში ელაგა შეწირულობა – 40-მდე ამფორა).

ქართული მარანი, საჯვარე, ზედაშე – საკულტო ნაგებობაა, რომელიც სალოცავის ხატის როლს ასრულებდა. აქვე სრულდებოდა ლოცვა-ვედრების და მსხვერპლის შეწირვის რიტუალი. ძალზე საინტერესოა აგრეთვე, რომ ვანში გათხრილ, აი, ამ ტაძარში, რომლის შესახებაც ჩვენ ახლა საუბარი გვაქვს, აღმოჩენილია თირში ამოკვეთილი ორმოებიც, რომელნიც, ვფიქრობთ, მსხვერპლად შეწირული პირუტყვისა თუ ფრინველის სისხლის ჩასაღვრელად იყო განკუთვნილი. ერთი სიტყვით, არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგენილი სურათის შედარება ქართულ ეთნოგრაფიულ მასალებთან უაღრესად საინტერესო პარალელს ავლენს და ამ მიმართებით შემდგომი კვლევა-ძიება, ალბათ, კიდევ უფრო პერსპექტიული იქნება.

ამჟამად კი ჩვენ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ზემოაღწერილი ნაგებობის არქეოლოგიური შესწავლით დასტურდება ქართული რელიგიური წარმოდგენების ღრმა და ადგილობრივი ფესვები. ამავე დროს მას, გარეგნულად მაინც, იმდროინდელი მოდის შესაბამისად, გარკვეული ელინური იერიც აქვს მიღებული. მხედველობაში გვაქვს სწორედ ის რიტუალური ჭურჭელი, რომელიც მეღვინეობა-მევენახეობის მფარველი ბერძნული ღვთაების დიონისეს წრის მხატვრულ-რელიგიური სახეებით არის შემკული და მოწმობს დიონისეს კულტის არსებობას ვანში.

ტაძარს ჩრდილო-დასავლეთი მხრიდან მიშენებული ჰქონია რამდენიმე სწორკუთხა დარბაზი, თუმც ჩვენამდე ძლიერ დანგრეული სახით მოღწეული. აქ ნაპოვნია ფრაგმენტები დიონისეს ტერაკოტული ნიღბისა და კანდელაბრის მაგვარი ბრინჯაოს ნივთისა. ერთ-ერთ დარბაზში დასავლეთ კედელთან საკურთხეველი იყო მიშენებული... ყურადღებას იქცევს, რომ ზოგიერთ სათავსში კლდოვანი დედაქანი ხელუხლებლად იყო შემორჩენილი. მით კიდევ ერთხელ დადასტურდა ქართველ ტომებში (და სხვა ძველ ხალხებში) არსებული რელიგიური წარმოდგენა, კლდეს ღვთაებრივ ძალას რომ მიაწერდა.

არქეოლოგიურმა გათხრებმა ამ კომპლექსის კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილი გამოავლინა, თუმც მტრის მიერ უმოწყალოდ დანგრეული. ტაძარ-მარანის ჩრდილო-აღმოსავლეთით მასზე მიშენებული დიდი კედელია აღმოჩენილი, ასევე

მშვენივრად გაათლილი რუსტირებული ქვათლილებით ნაგები. მის ძირში კი დიდი სწორკუთხა ფილები იყო მიმობნეული. დადგინდა, რომ ეს ფილები, რომელთა ზედაპირი რამდენადმე გაცვეთილი იყო, ორ საფეხურად განლაგებულ კიბის ფილებს წარმოადგენდა. ხოლო იქვე ნაპოვნია სვეტის ძირი, ე.წ. ატიკური ტიპის ბაზისი, სვეტის ნაწილები და ორი დიდებული კაპიტელი, თეორი ფერის კირქვისაგან გამოკვეთილი. ერთ-ერთი მათგანი შუაგულში აკანთოს ფოთლებს შორის მოქცეული ქალღვაების თავისა და გულმკერდის სკულპტურული გამოსახულებებითაა მორთული, ხოლო მეორე – ვარდულითაა დამშვენებული. იქვე სხვა არქიტექტურულ დეტალებთან ერთად აღმოჩენილია 3,10 მ სიგანის არქიტრავი – ქვის კოჭი, რომელიც თავის დროზე სვეტის თავებზე იყო დადგმული (სურ. 201).



სურ. 201. ძვ.წ. II ს-ის ქვის მოწუჭურომებული სვეტის თავები ვანის ნაქალაქარიდან და ორდერის რეკონსტრუქცია [1229-1230]

ეს საზეიმო შესასვლელი ორ საფეხურიან მონუმენტურ საკურთხეველს ეკუთვნოდა. საკურთხეველისკენ კი მიემართებოდა, კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი 18 მეტრი სიგრძის არხი. მას ირგვლივ აღმოჩნდა კლდოვან დედაქანშივე ამოკვეთილი მრგვალი და ოვალური მოყვანილობის ორმოები (სურ. 196:4-5). ზოგიერთ მათგანს გვერდით ღარები ჰქონდა და მაშასადამე წარმოადგენდნენ სამსხვერპლო ორმოებს: აქ საღვთო ღვინო თუ სხვა სითხე მიერთმეოდათ მიწისქვეშა ღვთაებებს. სხვა ორმოები მარცვლეულისათვის იქნებოდა განკუთვნილი. ეთნოგრაფების ცნობით, ასეთი რიტუალური არხები საქართველოს მთიანეთშიცაა დამოწმებული. მოსავლის აღებასთან დაკავშირებული რიტუალისას ამ არხებში ასხვამენ ღვინოს და ჰყრიან სხვადასხვა ჯიშის მარცვლეულს, რაც სიუხვისა და ნაყოფიერების განსახიერებადაა მიჩნეული [1365, გვ. 202-206], [1218], [8, VIII, გვ. 36].

ნაგებობათა მთელი წყებაა აღმოჩენილი ცენტრალურ ტერასაზე, რომელიც ძველი ქალაქის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმადგენდა. მათგან საგანგებოდაა აღსანიშნავი ე.წ. მრგვალი ტაძარი (სურ. 202).



სურ. 202. „მრგვალი ტაძრის“ ნანგრევები. ძვ.წ. III-II სს. ვანის ნაქალაქარი (შდრ. სურ. 192, № 10)

არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ამ ადგილზე უფრო ადრე (ძვ.წ. IV ს-ის დასასრულსა და III ს-ის პირველ ნახევარში) იდგა სწორკუთხა შენობა, რომელიც თავისი გეგმით ემსგავსებოდა კარიბჭესთან აგებულ ტაძარ-სამლოცველოს („ღვთის კარი“). თავდაპირველი, სწორკუთხა შენობიდან ამჟამად შემორჩენილია შესანიშნავად გათლილი და დამუშავებული ქვათლილებით ამოყვანილი დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლების საძირკვლები, აგრეთვე კლდოვან დედაქანში (თირში) ამოკვეთილი ბუდეები, რომელნიც ქვათლილების ჩასალაგებლად იყო განკუთვნილი და რომელთა მეოხებით გახდა შესაძლებელი ნაგებობის თავდაპირველი გეგმის აღდგენა. მისი სიგრძე 11,4 მეტრია, ხოლო სიგანე – 10, 4 მეტრი. კედლების სისქე 3 მეტრს აღწევს. მშენებლობის წესი ანალოგიურია კარიბჭის კედლების წყობისა და მათ თანადროულობაზე მიუთითებს. სწორკუთხა შენობის იატაკი სხვადასხვა ზომის თირის ქვათლილებითაა მოგებული.

ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარში სწორკუთხა შენობის საძირკველზე მრგვალი შენობა აუგიათ. საამისოდ ძველი შენობის საძირკველიც გამოუყენებიათ. შენობა რომ მთლიანად მრგვალი იყო (კოშკისებური), ამას მოწმობს მრგვალი მოყვანილობის ბუდეები აღმოსავლეთ ნაწილში (სადაც ადრე სწორკუთხა შენობას საერთოდ არ ჰქონდა კედელი და „ღია“ იყო კარიბჭის ტაძარ-სამლოცველოს მსგავსად) და აგრეთვე სამხრეთ ნაწილშიც, სადაც ძველი შენობის სწორკუთხა ბუდეების ნაკვალევზე მომრგვალებული ბუდეებია ამოჭრილი. მრგვალი შენობის გარე დიამეტრი 10 მეტრია, ხოლო შიდა – 5,4 მეტრი. ასე რომ თავის დროზე იგი საკმაოდ გრანდიოზული უნდა ყოფილიყო. ტაძრის კედელს ამკობდა დეკორატიული ჭურჭელი – ჰიდრიისმაგვარი. სახურავის მორთულობაში გამოყენებული იყო, როგორც ჩანს, ადგილობრივი ჯიშის თეთრი ფერის კირქვისაგან გამოკვეთილი ლომის თავები, რომელთაგან ერთი შენობის დეკორა-

ტიული მოსართავია, ხოლო დანარჩენი ორი – სიმის ნაწილია – წვიმის წყლის სადინარად განკუთვნილი (სურ. 209). სამივე თითქმის ერთნაირი ზომისაა (სიგრძე 70 სმ, სიმაღლე – 45 სმ, სიგანე – 36 სმ). ერთ-ერთ მათგანს შემორჩენილი აქვს კონსტრუქციული დეტალები, რომლითაც იგი შენობის სათანადო ნაწილთან იყო დაკავშირებული.

ჯერჯერობით ძალზე რთულია მრგვალი ტაძრის არქიტექტურული ფორმების აღდგენა, მაგრამ აშკარაა, რომ იგი არ ემორჩილება ბერძნულ-ელინისტური ხუროთმოძღვრების ძირითად პრინციპებს, თუმცა ზოგიერთი კონსტრუქციული დეტალის გამოყენება გამორიცხული არაა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს სწორედ ცენტრალურ ტერასაზე ნაპოვნი ტრაპეციის ფორმის 10-12 სმ სისქის ქვის ათამდე ფილა (საშუალოდ 90×95 სმ), რომელთა ნაპირები საგანგებოდაა ამოჭრილი, როგორც ჩანს, ქვის ან ხის ძელებზე დასამაგრებლად. არქიტექტორ გიორგი ლეჟავას აზრით, ეს ფილები წარმოადგენს კესონის უჯრედის საზურავებს და განკუთვნილი იყო მრგვალი ფორმის, ე.ი. თოლოსის ტიპის შენობისათვის. ჯერჯერობით ძნელია გადაჭრით თქმა იმისა, ეკუთვნან თუ არა ეს ფილები ზემოაღწერილ მრგვალ ნაგებობას. მაგრამ ერთი რამ მაინც საუსებით ცხადია: კონსტრუქციულად მათი გამოყენება დაკავშირებულია ელინისტური ხუროთმოძღვრების სამშენებლო ტექნიკის გავლენასთან. ჭერის პლაფონის გაფორმების კესონური პრინციპი, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია ბერძნული მრგვალი ტიპის ისეთი შენობებისათვის, როგორიცაა, საბერძნეთში თიმელე ეპიდავროსში, ფილიპეიონი ოლიმპიაში (ძვ.წ. IV ს. დასასრული), და განსაკუთრებით არსინოიონი სამოთრაკის კუნძულზე (ძვ.წ. III ს.). ყველა ესენი სატაძრო-საკულტო ნაგებობებია. აღსანიშნავია, რომ ელინიზმის ხანაში ეს მრგვალი ფორმის საკულტო ნაგებობანი ხუროთმოძღვრების ზემოდასახელებული ძეგლების გავლენით ჩნდება და ვრცელდება მახლობელსა და ცენტრალურ აღმოსავლეთში: „მრგვალი ტაძარი“ პართიის ნისაში, ჩაიტის მრგვალი დარბაზი გუნტუპალეში, აბსიდიანი ტაძარი ტაქსილაში (ინდოეთი), საკულტო ნაგებობათა კომპლექსი კოი-კრილგან-კალეში. ვანის მრგვალი შენობაც საკულტო უნდა ყოფილიყო.[260] ამას მოწმობს იქვე ნაპოვნი ღარიანი სამსხვერპლო ქვა, შენობის გეგმა, ნაგებობასთან დაკავშირებული კულტურული ფენების ხასიათი... ძნელი სათქმელია, რომელი ღვთაების სალოცავს წარმოადგენდა იგი. ამ ტაძრის გეგმა, რომელიც ჩვენ კოშკისებურ დახურულ შენობად გვაქვს წარმოდგენილი, გვავარაუდებინებს, რომ იგი საიდუმლო რიტუალისათვის იყო განკუთვნილი. მახლობელ აღმოსავლეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთში ასეთი ტაძრები მიწისქვეშა ღმერთებისათვის, კერძოდ, კაბირებისათვის, მჭვიდროა მფარველი ღვთაებებისათვის იყო აგებული. გავიხსენოთ, რომ მრგვალ ტაძართან ღარიანი სამსხვერპლო ქვაა აღმოჩენილი. ასეთი ქვები კი ზოგიერთ ქვეყანაში განკუთვნილი იყო მსხვერპლად შეწირული ცხოველის სისხლის ჩასაღვრელად, რომელიც მიწაში მიედინებოდა...

„მრგვალ ტაძართან“ იყო, როგორც ჩანს, დაკავშირებული „ხატის ბელელი“, სადაც ინახებოდა ხორბლეულითა და ფეტვით სავსე ამფორები. ცენტრალურ ტერასაზე მდგარა მცირე ზომის აბსიდიანი ტაძარი და სწორკუთხა ქვათლილებით ნაგები საკულტო თუ საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები, რომელნიც კრამიტით ყოფილა გადახურული. დადგენილია გადახურვის საკმაოდ ორიგინალური წესიც: სწორკუთხა კრამიტები (50×60, 52×64 სმ) ზემოდან ასეთივე სწორკუთხა კრამიტთ იფარებოდა, ხოლო ღარისებური კრამიტი (კალიპერა) გამოიყენებოდა შენობის ნაპირებზე, ამასთან ის ზურგით იდებოდა და თავისებურ წყალსადინარს წარმოადგენდა (სურ. 203).



სურ. 203. კრამიტები და გადახურვის სისტემის რეკონსტრუქცია ვანის ნაქალაქარზე. ძვ.წ. II-I სს.

ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილშიც საკულტო ნაგებობათა მთელი წყებაა გამოვლენილი, ამასთან სხვადასხვა დროისა [1216]. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ორი სამსხვერპლო, თითქმის ერთი ტიპისა. ისინი კლდოვან დედაქანში ამოკვეთილ სწორკუთხა ღრმა ორმოებშია გამართული. ერთ-ერთი მათგანი (ზომით 1,10×1,20 მ) შემდეგნაირი კონსტრუქციისაა: ორი სწორკუთხა ფილა, რომე-

[260] ბიბლიოგრაფია ვანის მრგვალ ტაძარზე იხ. [8, IX, გვ. 54, სურ. 16, V-ის განმარტება].

ლიც შუაგულში ნახევარწრიულადაა ამოკვეთილი, ერთმანეთთან შეერთებისას ქმნის ღრმულს. ასეთი ფილები სამ რიგადაა დალაგებული ისე, რომ ღრმულის სიმაღლე 60 სმ-ს აღწევს. თითქმის ისეთივე კონსტრუქციისაა მეორე სამსხვერპლოც (მისი ზომებია 1,60×1,68 მ), მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ორმოს ფსკერზე მასიური საგანგებოდ დამუშავებული ოვალური ფორმის მონოლითია, რომლის შუაგულიც მრგვალადაა ამოკვეთილი.

ამ მონოლითსაც თავის დროზე ორი ფილა (ისიც შუა ნაწილში ნახევარწრიულად ამოჭრილი) ფარავდა. მაგრამ ერთი მათგანი წვეტიანი იარაღითაა გადმობრუნებული.

ორივე სამსხვეპლოს ღრმულებში აღმოჩნდა დამწვარი რიყის ქვები, რომელიც რაღაც რიტუალის დროს იყო შეწირული. აქ ბუნებრივია გავიხსენოთ ჩვენი ეთნოგრაფების მიერ საქართველოს მთიანეთში (კერძოდ, სვანეთში) აღწერილი წესი რიყის ქვების შეწირვისა, რომელთაც სამკურნალო მაგიურ თვისებას მიაწერდნენ.

ძვ.წ. II საუკუნის მეორე ნახევარში ამავე ფართობზე ახალი ნაგებობები აღუმართავთ. საამისოდ მთელი ფართობი მოუსუფთავებიათ, დანგრეული (ალბათ შემოსეული მტრის მიერ) სამსხვერპლოები საგულდაგულოდ შეუვსიათ ქვებით, შემდეგ დიდი მოედანი თიხის მკვრივი ფენით დაუფარავთ და ასე ამგვარად მოუმზადებიათ სამშენებლო მოედანი, ახალი, ამჯერად უკვე სრულიად განსხვავებული ტიპის, საკურთხევლის ასაშენებლად (სურ. 204).



სურ. 204,1. თორმეტსაფეხურებიანი საკურთხევლის ნანგრევები. ძვ.წ. II-I სს. ვანის ნაქალაქარი (შდრ. სურ. 192, № 8) [1216]

ეს საკურთხეველიც საკმაოდ ორიგინალურია და შეიძლება ითქვას – უნიკალურიც, რამდენადაც მსგავსი არსად, არც საქართველოს ფარგლებს გარეთ, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილი არაა. იგი ორი ნაწილისაგან შედგენილი რთული არქიტექტურული კომპლექსია, რომელიც აგებულია შესანიშნავად გათლილი და ერმანეთთან კარგად მიჯრილი ქვის ბლოკებით. თორმეტ საფეხურს (მათგან ქვედა ექვსი სწორკუთხაა, ხოლო დანარჩენი ექვსი ნახევარწრიული) სამხრეთი მხრიდან ავყავართ ნახევარწრიულ მოედანზე, რომელსაც სწორკუთხა ქვათლილებით აგებული ბაქანი (4,45×3,90 მ) აქვს მიშენებული. საფეხურებიანი საკურთხევლის აღმოსავლეთი ნაწილი დანგრეულია, მაგრამ სავსებით შესაძლებელია მისი რეკონსტრუქცია (სურ. 204, 2).



სურ. 204,2. თორმეტსაფეხურებიანი საკურთხევლის რეკონსტრუქცია (გ. ყიფიანი)

საკურთხევლის სამხრეთით აღმოჩენილია ნანგრევები ხის შენობისა, რომლის კედლები თიხით ყოფილა შელესილი და მერმე გამომწვარი. ბათქაშებს ნათლად ეტყობათ ხის წნულისა და ფიცრის ანაბეჭდები.

მობათქაშებული ხის ნაგებობა საკურთხევლის განმსაცავი ყოფილა. არაჩვეულებრივად მრავალრიცხოვან მონაპოვარში ყურადღებას იქცევს გამომწვარი თიხისაგან დამზადებული პირამიდული მოყვანილობის საწაფების სიმრავლე – 200-ზე მეტი (!). ეს საწაფები ვერტიკალურ საქსოვ დაზგაზე ძაფების დასაჭიმავად გამოიყენებოდა. ცნობილია, რომ თითოეულ დაზგას 10 საწაფი ჭირდებოდა, ხოლო ასეთი რაოდენობით საწაფების აღმოჩენა ერთ კომპლექსში სრულიად განსაკუთრებული შემთხვევაა !!!

განმსაცავში უამრავი რაოდენობით აღმოჩნდა თიხის ჭურჭელიც, საკურთხევლისათვის რომ შეუწირავთ აქ მოსულ მლოცველებს: ქვევრები, ამფორები, წითელი ფერის სარტყლებით მორთული სარიტუალო მაღალგვერდიანი ლანგრები და სხვ. ყურადღებას იქცევს ნაირფეროვნება და სიმრავლე მინისა და ქვის მძივებისა, რომელთა შორისაა მოზაიკური მძივებიც.

შესაწირავში აღმოჩნდა რკინის იარაღიც – სატევრები, აგრეთვე მცირე ზომის ბრინჯაოს გულამოზიდული ფარები, ე.წ. უმბონები, როგორც ჩანს, ცხენის აკაზმულობისათვის ან ხის საომარი ფარებისათვის რომ იყო ჩვეულებრივ განკუთვნილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 205. კოლხური ამფორები. ძვ.წ. II-I სს. [1397]

განსაკუთრებით შესანიშნავია ვერცხლის ნივთები: მედალიონი, რომელზეც ქალღვთაების თავის და გულმკერდის მაღალ რელიეფში შესრულებული გამოსახულებაა. ქალღმერთი უსახელო კვართითაა შემოსილი, ხოლო ყელზე მოოქროვილი მინის მძივები ჰქონდა შემორჩენილი. ეს მედალიონი, როგორც ჩანს, ხის ნივთზე დასაჭედებლად იყო განკუთვნილი (სურ. 206).



სურ. 206. ვერცხლის მედალიონი ქალღვთაების გამოსახულებით. ძვ.წ. II-I სს. ვანის ნაქალაქარი [1216]

ასევე მაღალი მხატვრული ღირსებისაა ორი ვერცხლისავე ქანდაკება ტანშიშველი ჭაბუკისა (ერთი 8,5 სმ სიმაღლისა, მეორე – 7 სმ) და წარმოსახავს ღვთაება აპოლონს. ერთ-ერთ ჭაბუკს ხელთ ფიალა უპყრია და მაშასადამე რაღაც რიტუალის შესრულებისასაა გამოხატული (სურ. 207). ეს ქანდაკებები მცირე აზიის ბერძნულ სახელოსნოებში უნდა იყოს დამზადებული. ფიგურების აგების წესსა და ხაზების სანატიფეში თვალნათლივ იგრძნობა დიდი ბერძენი მოქანდაკის პოლიკლეტის სკოლის გავლენა, აგრე დიდი როლი რომ შეასრულა ელინისტური ეპოქის მხატვრული პლასტიკის განვითარებაში.



სურ. 207. ვერცხლის ქანდაკებები: აპოლონი. ძვ.წ. II-I სს. ვანის ნაქალაქარი [1216]

განძსაცავის მონაპოვარში მაინც ყველაზე დიდ ინტერესს ორი ოქროს ფირფიტა იპყრობს. ორივე ხის ნივთზე (იქნებ კოლოფზე) იყო, ალბათ, თავის დროზე დაჭედებული. ერთი მათგანი ფრაგმენტულია, თუმც შემორჩენილია ქალის თავის გამოსახულება ცრუცვარათი გაწყობილ ჩარჩოში ჩასმული. მეორე ოქროს სწორკუთხა ფირფიტის შუაგული ამოჭმულია (ალბათ, აქაც რაღაც გამოსახულება იყო წარმოდგენილი), მაგრამ შემორჩენილია არამეული ასოებით შესრულებული ორნამენტი (დაწვრ. იხ. [1216]).

ცენტრალურ ტერასაზე აღმოჩენილია აგრეთვე თლილი, რუსტირებული ქვათლილებით ნაგები სწორკუთხა მოედანი და მასთან ახლოს კი, ორ თუ სამ იარუსად განლაგებული წყალსაწრეტი არხები, რომელნიც თიხის ქვისაგან გამთლილი ფილებითაა შედგენილი. ეს წყალსაწრეტი ძველ ქალაქში სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვის საკმაოდ საინტერესო ორგანიზაციაზე მიუთითებს. მეორეს მხრივ – ერთ-ერ-

თი, მიწის ზედაპირიდან ყველაზე ღრმად განლაგებული წყალსაწრეტი უთუოდ რაღაც დიდ ნაგებობას უკავშირდებოდა.

ბორცვის წვერზე, ძველი ქალაქის ყველაზე უფრო შემაღლებულ ნაწილში აღმართული ყოფილა მონუმენტური საკურთხეველი. ის წარმოადგენს ქვის ფილებით მოგებულ (16 მ სიგანისა და 9 მ სიგრძის) სწორკუთხა ბაქანს, რომელზედაც 8 საფეხურიანი კიბით ადიოდნენ[261] (სურ. 208).



სურ. 208,1. საზეიმო საკურთხევლის ნანგრევები: საკურთხევლის ბაქანზე ასასვლელი საფეხურები. ვანის ნაქალაქარი (შდრ. სურ. 192, № 7) [1120]



სურ. 208,2. საზეიმო საკურთხევლის გეგმა და ქვის წყობის დეტალები [1120]

ქალაქის ხუროთმოძღვრული გაფორმებისა და მისი გარეგნული ბრწყინვალების თვალსაჩინო მოწმობაა არქეოლოგიური გათხრებისას მრავლად აღმოჩენილი მარმარილოსა და კირქვის არქიტექტურული დეტალები: წვიმის წყლის სადინარად განკუთვნილი ლომის თავები (სურ. 209), ფიგურული სვეტისთავები (სურ. 210), რელიეფური ფრიზი მეტლის (ეოსის?) გამოსახულებით (სურ. 211), ანტეფიქსები, მცენარეული ორნამენტითა და ფრინველთა რელიეფურგამოსახულებიანი აკროტერიუმი (სურ. 212).

ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური კვლევა ჯერ კიდევ შორსაა დამთავრებისაგან, მაგრამ მაინც სადღეისოდ მოპოვებული დიდძალი და მრავალფეროვანი მასალის საფუძველზე ჩვენ წინაშე დგება მთელი წყება უაღრესად საინტერესო პრობლემებისა, რომელთა შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ძველი ქართული ცივილიზაციის ცალკეული სტრუქტურების წარმოქმნა-განვითარების ისტორიისათვის, განსაკუთრებით კი ძველბერძნულ თუ ელინისტურ სამყაროსთან ურთიერთობის კონტექსტში.



სურ. 209. ლომის თავი (სახურავის მორთულობა – სიმის ნაწილი). კირქვა. ძვ.წ. III-II სს. ვანის ნაქალაქარი [1589]

არქეოლოგიური მასალები თვალსაჩინოდ მოწმობენ, როგორც უკვე ვნახეთ, ძველ ვანში ელინისტური კულტურის ცალკეული ელემენტების საკმაოდ მკვიდრად გავრცელებას. ახე მაგ., ძვ.წ. III-I სს-ის ვანის ხუროთმოძღვრული ძეგლები ცხადყოფენ, რომ აქ ძომუშავე ხუროთმოძღვარნი კარგად იცნობდნენ და შესანიშნავადაც იყენებდნენ ელინისტური არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის მიღწევებს, რომელნიც იმდროინდელი კულტურული მსოფლიოს ვრცელ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული როგორც ხმელთაშუაზღვისპირეთში, ასევე აღმოსავლეთის ქვეყნებში (მცირე აზია, სირია, ირანი, შუა აზია). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ელინისტური ხუროთმოძღვრების გავლენა ვანში ძირითადად სამშენებლო ტექნიკასა და აგრეთვე, არქიტექტურულ დეკორში მჟღავნდება, მაშინ როდესაც ნაგებობათა დაგეგმარება და ფუნქციონალური არსი პრინციპულად განსხვავდება ბერძნულისაგან (ასეთებია მაგ. კარიბჭის სამლოცველო – „ღვთის კარი“, მოზაიკურიატაკიანი ტაძარი და მასთან დაკავშირებული სამსხვერპლო-საკურთხევლები და სხვ.).

ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა უმნიშვნელოვანესი წყაროა რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ისტორიისათვის. ამ თვალსაზრისითაცაა ძალზე საინტერესო

[261] დაწვრ. იხ. [8, IV, გვ. 21-23, 143-146].

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ აღმოჩენილი ბერძნულენოვანი წარწერა (სამწუხაროდ, ფრაგმენტული), სადაც მოხსენებული არიან ძველკოლხური სამყაროს უმთავრესი ღვთაებანი – დედამიწა (გეა), მზე (ჰელიოსი) და მთვარე (მეისი) [302]. საერთოდ კი საკმაოდ მკვეთრად ისახება კოლხური რელიგიის ჰელიოთეისტური ხასიათი. გვაქვს საფუძველი, ვივარაუდოთ ქთონიკურ ღვთაებების თაყვანისცემა („მრგვალი ტაძარი“, კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი და „წმინდა სისხლისათვის“ თუ სხვა შესაწირავისათვის განკუთვნილი სამსხვერპლოები და სხვ.), აგრეთვე ნაყოფიერების კულტი („ღვთის კარი“). ამასთან ისიც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არქეოლოგიური გათხრებისას დფიქსირებული რელიგიური წესები, მსხვერპლშეწირვის ხასიათი და მასთან დაკავშირებული რიტუალები მეტწილად პირდაპირ ანალოგებს პოულობენ საქართველოს ეთნოგრაფიულ მასალებში. ერთდროულად შეინიშნება ელინური რწმენა-წარმოდგენებისა და კულტების გავრცელებაც. უთუოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა მეფვინეობა-მევენახეობის ღვთაების – დიონისეს თაყვანისცემა, რაც უკვე ძვ.წ. IV ს-დან მაინც დასტურდება. ამ თვალსაზრისითაცაა საინტერესო წარჩინებული კოლხი მეომრის დედატოსის ერთ-ერთი ოქროს ბეჭდის ფარაკზე გამოსახული წვერიანი სატირის ნიღაბი, რომელსაც დიონისეს უკავშირებენ და შესაძლოა თვით მის განსახიერებასაც წარმოადგენდა [1150, გვ. 147-152]. ძვ.წ. IV ს-ით თარიღდება აგრეთვე ვანის ერთ-ერთ ბრინჯაოს ბეჭდის ფარაკზე წარმოდგენილი სალამურიანი სილენის – დიონისეს თანამგზავრის გამოსახულებაც [1150]. უფრო მრავალრიცხოვანია ძვ.წ. III-I სს-ის მასალები – დიონისეს თავის ტერაკოტული ნიღაბი [1200], დიონისეს თანამგზავრების – არიადნეს, პანის, სატირისა და მენადების ბრინჯაოს გამოსახულებანი (სურ. 146), სილენის თავის ჩამოსასხმელი ყალიბი (სურ. 213) და სხვ.



სურ. 210. ფიგურული სვეტისთავი. კირქვა. ძვ.წ. II ს. ვანის ნაქალაქარი [1230]

დიონისეს კულტი ელინისტურ ხანაში ფართოდ იყო გავრცელებული ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში. მით უფრო გასაგებია მისი პოპულარობა და ფართოდ გავრცელება საქართველოში, რომელიც მეღვინეობა-მევენახეობის ქვეყანას წარმოადგენდა. საფიქრებელია, რომ დიონისეს სახით თაყვანს სცემდნენ მეღვინეობა-მევენახეობის ადგილობრივ ღვთაებას, რომლის კულტი უთუოდ უძველესი დროიდან არსებობდა. და დიონისეს კულტის მსგავს ტიპოლოგიურ ელემენტებსაც შეიცავდა. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ვანის მახლობლად სოფ. მთისძირში ნაპოვნი ძვ.წ. V-IV სს-ის ვერცხლის ყანწი (რიტონი), რომელზედაც წარმოდგენილია, როგორც ფიქრობენ, ძველი ქართული ფოლკლორის ერთ-ერთი პერსონაჟი – ოჩოპინტრე. ამ „თხა-კაცის“ ტიპოლოგიური სახე საკმაოდ ახლოს დგას დიონისეს თანამგზავრთან – პანთან [1054, გვ. 72-81].



სურ. 211. რელიეფის ფრაგმენტი ეოსის (?) გამოსახულებით. კირქვა. ძვ.წ. II ს. ვანის ნაქალაქარი [1464]

დიდ ინტერესს იწვევს ბერძენთა ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული გმირის – ჰერაკლეს გამოსახულებათა აღმოჩენა ვანის ნაქალაქარზე: ოქროს ბალთაზე – ნემეური ლომთან შებრძოლებული ჰერაკლე [1257, გვ. 81-82], ბრინჯაოს ჭურჭლის ნაწილი – მედალიონი, რომელზედაც ჰესპერიდების ბაღიდან დაბრუნებული ჰერაკლეა წარმოდგენილი [1171]. თითქოს ამავე სახეს ამეორებს გამომწყვარი თიხის სატვიფრავი [8, IV, გვ. 45, № 35], რაც მიუთითებს იმაზე, რომ ჰერაკლეს გამოსახულებებს ვანშივე ამზადებდნენ. ამასვე მოწმობს ვანის ნაქალაქარის მახლობლად – საყანჩიაში აღმოჩენილი თიხის ყალიბი (სურ. 214), რომელიც აგრეთვე ჰერაკლეს გამოსახულებათა

დასამზადებლად იყო განკუთვნილი [1142]. ბუნებრივია ვიკითხოთ, რით აიხსნება ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟის ამგვარი პოპულარობა ვანში? პასუხს ამ კითხვაზე ვპოულობთ ცნობილი მწერლის დურისის (ძვ.წ. 340-275 წწ.) ერთ, მაგრამ მრავალმხრივ საინტერესო ცნობაში: „კავკასიის მცხოვრებნი მხოლოდ ზევსსა და ათენას არ სწირავენ მსხვერპლს, ვინაიდან ისინი იყვნენ პრომეთეს დასჯის მიზეზნი, ჰერაკლეს კი განსაკუთრებულად სცემდნენ თაყვანს იმის გამო, რომ ისრით განგმირა არწივი, პრომეთეს გულ-ღვიძლს რომ უკორტნიდა ...“ [318, გვ. 343]. ასე, რომ კავკასიის მცხოვრებნი თაყვანს სცემდნენ პრომეთეს, რომელმაც ღმერთებს ადამიანებისათვის მოსტაცა ცეცხლი და ამისათვის მკაცრად დაისაჯა. როგორც ცნობილია, ქართულ ფოლკლორში ფართოდაა გავრცელებული თქმულება ადგილობრივი გმირის აჰირანის შესახებ, რომელიც პრომეთეს ორეულია [1156, გვ. 145-147 და იქ დასახ. ლიტ.], და გასაგებია, რომ ბერძენი გმირი ჰერაკლე, რომელმაც ტანჯვა-წამებისაგან იხსნა ამირანი//პრომეთე, გახდა ადგილობრივი ხალხების თაყვანისცემის საგანი (დაწვრ. 1459ა).



სურ. 212. აკროტერიუმი. კირქვა. ძვ.წ. II-I სს. ვანის ნაქალაქარი.

ელინისტური კულტურის გავრცელებამ თავისი ასახვა ჰპოვა ამ ქალაქის ბრინჯაოს ქანდაკებებით მორთვაშიც. სამწუხაროდ, ისინი ჩვენამდე ძალზე ფრაგმენტულადაა მოღწეული. საგანგებოდაა აღსანიშნავი ტანშიშველა ჭაბუკის ტორსი (1,05 მ), რომელიც ე.წ. მკაცრ სტილზე აქცენტრებულ ელინიზმის ეპოქის კლასიკური ხელოვნების წრეს განეკუთვნება (სურ. 215), (დაწვრ. [1165, გვ. 27-29][262]). ნაქალაქარის სხვადასხვა უბნებზე მრავლადაა ნაპოვნი ბრინჯაოს ქანდაკებათა ფრაგმენტები – ადამიანის სხეულის ნაწილები (ხელის მტევნები, მუხლის თავი, კისერი, თმის კულულები და წამწამები), აგრეთვე სხვადასხვა ცხოველთა გამოსახულებების ფრაგმენტები [1216, გვ. 63]. გამოსახულებები სულ სხვადასხვა ზომისაა და მოწმობს, რომ ვანის ძველ ქალაქში იდგა როგორც ცალკეული ქანდაკებანი, ასევე სკულპტურული კომპოზიციებიც. ამასთან ბრინჯაოს ქანდაკებათა ფრაგმენტების არაჩვეულებრივი სიმრავლე, ნამზადები, ჩამოსხმის დეფექტის შესავსებად განკუთვნილი სხვადასხვა ზომის მრავალრიცხოვანი სწორკუთხა ფირფიტები, ნაღვენთები და წარმოების სხვა ნაშთები მოწმობენ, რომ ბრინჯაოს მონუმენტურ ქანდაკებებს ვანშივე ამზადებდნენ ან მოწვეული ბერძენი მოქანდაკეები ან ადგილობრივი ოსტატები, რომლებიც კარგად იცნობდნენ ელინისტური ქანდაკების მხატვრულ პრინციპებს და დაუფლებული იყვნენ ქანდაკების ჩამოსხმის რთულ ტექნიკას.[263]



სურ. 213. თიხის ყალიბი სილენის გამოსახულების დასამზადებლად (ძვ.წ. II ს. ვანის ნაქალაქარი) და ყალიბიდან მიღებული გამოსახულება

აქ ჩვენს წინაშე დგება რთული და საინტერესო საკითხი ელინისტური კულტურის გავრცელების გზების შესახებ.

ძვ.წ. III-I სს-ში კოლხეთი აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო ვაჭრობაში, რომელმაც ძვ.წ. III-I სს-ში უაღრესად ფართო მასშტაბები მიიღო. ეკონომიკურ ურთიერთობას ელინისტურ ქვეყნებთან, ბუნებრივია, თან მოყვებოდა კოლხეთში ელინისტური კულტურის გავრცელებაც, მით უფრო, რომ ელინიზმის ხანაში კოლხეთზე (და ამიერკავკასიის სხვა

[262] იხ. აგრეთვე [8, IX, №№ 391, 392, 438, 468, 482].

[263] ვანსა და მის მიდამოებში ბრინჯაოს ქანდაკებათა ადგილობრივ დამზადებას მოწმობს საყანჩაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ჩამოსასხმელი ქურის ნაშთები და იქ ნაპოვნი ყალიბების ფრაგმენტები [100, 1985 წ. გვ. 86], ხოლო 1989 წ. ბრინჯაოს ქანდაკების ჩამოსასხმელი სახელოსნოს ნაშთები აღმოჩნდა თვით ნაქალაქარზეც [1165, გვ. 29].

ქვეყნებზე) გადიოდა მსოფლიო მნიშვნელობის დიდი საეკჭრო-სატრანზიტო მაგისტრალი, რომელიც დასავლეთს (ბერძნულ-ელინისტურ სამყაროს) აღმოსავლეთთან აკავშირებდა. შესაბამისად, შეიძლებოდა გვემტკიცებინა, რომ ელინისტური კულტურა საქართველოში ვრცელდებოდა შავიზღვისპირა ოლქებიდან, სადაც უკვე ძვ.წ. VI ს. შუა ხანებიდან არსებობდნენ ე.წ. დიდი ბერძნული კოლონიზაციის ხანაში დაარსებული ელინთა სამოსახლოები. მაგრამ საქმე ისაა, რომ ზღვისპირა ზოლში არ ჩანს ელინისტური კულტურის ზოგიერთი ელემენტი, რომელიც აგრე თვალსაჩინოა მაგ. ვაწში. ეს გარემოება უკვე აძლევა თითქოს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ანტიკური ცივილიზაციის იმპულსები კოლხეთში მხოლოდ ზღვისპირა ცენტრებიდან არ მომდინარეობდა. მით უფრო, რომ იგივე კულტურა საკმაოდ მკაფიოდ იჩენს თავს შიდა კოლხეთის აღმოსავლეთ რაიონებში და განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ საქართველოში (სამადლო-ნასტაკისი, სარკინე, მცხეთა და მისი მიდამოები, წუნდა). შეიძლება დავინახოთ მთელი რიგი მსგავსება ვანის სამშენებლო წესებსა და ე.წ. არმაზციხე I-ის რიგის ძეგლებს შორის, რომელნიც „დიდი მცხეთის“ სხვადასხვა უბნებზეა (არმაზციხე, წიწამური, სარკინე) აღმოჩენილი: ისეთივე სამშენებლო წესები, ქვაოლილები და არქიტექტურული დეტალები (ბაზები, კაპიტელი, წნული ჩუქურთმა), ზოგიერთი შენობის გეგმა, აგრეთვე ალიზ-აგურის ფართო გამოყენება, როგორც ვანშია დადასტურებული. იგივე შეიძლება ითქვას რელიგიური რწმენა-წარმოდგენების (კერძოდ, დიონისური კულტების) გავრცელებაზეც. ამიტომაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძველი კოლხეთის აღმოსავლეთ ოლქებში (კერძოდ – ვანსა და მის მიდამოებში) და აღმოსავლეთ საქართველოში (იბერიის) ანუ ქართლის სამეფოში) ელინისტური კულტურის იმპულსები ერთი საერთო წყაროდან – მცირე აზიიდან მომდინარეობდა [1365, გვ. 211-214], შდრ. [1110].

ერთ-ერთი ურთულესი საკითხთაგანი, რომელიც დგება ვანის ნაქალაქარის შესწავლისას, ესაა მისი ძველ წერილობით წყაროებში მოხსენიებულ პუნქტებთან იდენტიფიკაციის შესახებ. გამოთქმულია მოსაზრება ვანის ნაქალაქარის შესაძლო გაიგივების შესახებ იმ ქალაქთან, რომელსაც პლინიუსი („ბუნების ისტორია“ I, 13) უწოდებს „სურიუმ“-ს, ხოლო კლავდიოს პტოლემაიოსი (V, 9, 5) – „სურიონ“-ს. ამ მოსაზრებას, რომელიც პირველად არქეოლოგმა ნინო ხოშტარიამ გამოთქვა,[264] თითქოს მხარს უჭერს ვანში აღმოჩენილი ფრაგმენტული ბერძნული წარწერა, რომელიც, აკად. თ. ყაუხჩიშვილის აზრით, წარმოადგენს ძვ.წ. III საუკუნის საკრალურ დოკუმენტს – სატაძრო საკანონმდებლო წარწერას [302]. მის მე-17 სტრიქონში ნათქვამია: „... აღიმართა სურისში“, რაც თითქოს უნდა იყოს ქალაქის სახელწოდება. წარწერაში „სური“-ს (მიცემით ბრუნვაში) მხარს უჭერს კლავდიოს პტოლემაიოსთან და პლინიუსთან მოხსენებული სურიონ//სურიუმ-ის ვანთან იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. მაგრამ, მაინც, წარწერის ფრაგმენტულობის გამო, ძნელია გადაჭრით ითქვას, რომ ის რაც „აღიმართა სურისში“ იყო სწორედ ვანში აღმოჩენილი ბრინჯაოს წარწერა (შდრ. [298]). ამას გარდა, პლინიუსთან დაცული ცნობით, კოლხეთის ქალაქთაგან მის დროს ე.ი. ახ.წ. I საუკუნეში „იდგა მხოლოდ სურიუმი“. ხოლო ცნობილია, რომ ვანი ძირფესვიანადაა დანგრეული ჯერ კიდევ ძვ.წ. I ს-ის შუა ხანებში.



სურ. 214. ჰერაკლეს გამოსახულების დასამზადებელი ყალიბი საყანრიიდან და ყალიბიდან მიღებული გამოსახულება [1142], [1459ა]

არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენასაც, თუ რა ტიპის ქალაქთან გვაქვს აქ საქმე ძვ.წ. III-I სს-ში?

ძვ.წ. III-I სს-ში სამკუთხა ბორცვზე განლაგებული ქალაქი ქვისა და ალიზის ძლიერი თავდაცვითი კედლებით იყო გამაგრებული, მას ჰქონდა დიდებული კარიბჭე, რომელიც წარმო-

[264] სახელწოდება „ვანი“, რაც ძველ ქართულ ენაში ნიშნავდა „სახლს“, „სიდგურს“, „დარბაზს“, „საცხოვრებელს“, „მონასტერს“, ამ მხარის აღსანიშნავად ჯერჯერობით არც ანტიკურ (ბერძნულ-რომაულ) და არც საშუალო საუკუნეების ქართულ წყაროებში დადასტურებული არაა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ამ მხარეს ძველად „საჩინო“ ერქვა [253, გვ. 751, 772].

ადგენს რთულ არქიტექტურულ კომპლექსს, საფორტიფიკაციო მშენებლობის ყველა წესების დაცვით რომაა აგებული. ქალაქში იდგა მრავალრიცხოვანი საკულტო თუ საზოგადოებრივი დანიშნულების კრამიტით გადახურული ნაგებობანი, რომელთაგან ზოგიერთი მდიდრულად იყო მორთული: სვეტები, მოჩუქურთმებული არქიტექტურული დეტალები, წვიმის წყლის სადინარად განკუთვნილი ლომის თავები, მარმარილოს ქვისა თუ ბრინჯაოს ქანდაკებები, რიყის ქვით მოკირწყლული „ქუჩები“ ამშვენებდნენ ამ ოღესაც დიდებულსა და უთუოდ ძალიან მდიდარ ქალაქს. აქ თავს იყრიდა კოლხეთში ბერძნულ-ელინისტური სამყაროდან შემოტანილი ფუფუნებისა და ფართო მოხმარების საგნები: სინოპური ჭეთის ზეთი და ხმელთაშუაზღვისპირა კუნძულების (თაზოსი, როდოსი, კოსი, კნიდი) მაღალხარისხოვანი ღვინო, მთელს იმდროინდელ მსოფლიოში სახელგანთქმული პერგამონული და ალექსანდრიული თიხის ჭურჭელი (შავი და წითელი ლაკით დაფარული ლანგრები, რელიეფური გამოსახულებებით მორთული თასები), ბრინჯაოს მაღალმხატვრული ნაკეთობანი...



სურ. 215. ბრინჯაოს ქანდაკების ნაწილი: ჭაბუკის ტორსი. ძ.წ. II-I სს. ვანის ნაქალაქარი [1165], [1368]

დღემდე აღმოჩენილი არქეოლოგიური ცნობების მიხედვით, ვანის ნაქალაქარი თითქოს არ წააგავს „ნამდვილ“, „საერო ქალაქს.“ უკვე საკმაოდ თვალსაჩინოა ამ ქალაქში სატაძრო-საკულტო ნაგებობათა დიდი ხვედრითი წილი და მათი თითქოს წამყვანი როლიც. ასევე, ნაქალაქარზე მრავლად აღმოჩენილი მცირე საკურთხევლები (სურ. 218) და სარიტუალო საგნები (სურ. 197) მოწმობენ მის საკულტო ხასიათს. ჩვენი აზრით, აქ საქმე უნდა გვქონდეს ელინისტური ხანის საქართველოს დიდ სატაძრო ცენტრთან ანუ სატაძრო ქალაქთან.[265] ეს უნდა ყოფილიყო იმავე რიგის ქალაქი, როგორიც იყო ძველ ეგვიპტეში კარნაკი, ხოლო არქაული და კლასიკური ხანის საბერძნეთში ოლიმპია, დელფო, დოდონა და სხვ., უფრო კი ელინისტური ხანის მცირე აზიის დიდი სატაძრო გაერთიანებები: პონტოს კომანა და ზელა, ზევსისა და აპოლონის ტაძრები კაპადოკიაში, ღმერთების დედის ტაძარი პესინუნტში, ოლბის სატაძრო სახელმწიფო კილიკიაში, ანატის ტაძარი არმენიაში და სხვ. კარგადაა ცნობილი, რომ ეს ტაძრები მხოლოდ საკულტო-რელიგიურ ცენტრებს კი არ წარმოადგენდნენ, არამედ იმავე დროს იყვნენ მსხვილი პოლიტიკური და ეკონომიკური ერთეულები, რომლებიც ფლობდნენ ვრცელ მიწებსა და აურაცხელ სიმდიდრეს.



სურ. 216. ბრინჯაოს ქანდაკების ფრაგმენტი: მამაკაცის ხელის თითები. ძ.წ. II-I ს. ვანის ნაქალაქარი (1216], [1368], [1165])

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ ვანში აღმოჩენილ ქალაქს უნდა გულისხმობდეს ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი, როდესაც კოლხეთის აღწერისას (XI, 3, 17) ასახელებს ლეგკო-

[265] ძალზე ნაშაღრობლივია, რომ ქალაქის ძ.წ. I ს-ში განადგურების შემდეგ, ამ ადგილზე აღარავინ დასახლებულა თითქმის XVIII საუკუნემდე, როდესაც ამ ბორცვზე ლეჩხუმიდან ჩამოსახლებული ახალციხეანები დამკვიდრდნენ. გვიანანტიკურ ხანაში ბორცვზე მხოლოდ დაკრძალვის შემთხვევაა დადასტურებული, ხოლო საშუალო საუკუნეებში კი აქ ეკლესია მდგარა. საინტერესოა სახელწოდება **ვანიც**, რომელიც უძველეს ტერმინადაა აღიარებული, ამასთან როგორც ფიქრობენ, უპირატესად სამონასტრო და წმინდა ადგილების აღმნიშნელია (იხ. ზემოთ შენიშვნა 264).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეას მდიდარ სატაძრო ქალაქს (დაწვრ. [1362]). სავსებით აშკარაა, რომ ლევკოთეას სახელით აქ იხსენიება ადგილობრივი, ძველი ქართული წარმართული პანთეონის ღვთაება, რომელიც გარეგნული ნიშნებით ემსგავსება ბერძნულ ლევკოთეას — „თეთრ ქალღმერთს", ზღვის ღვთაებას — ელინური მითოლოგიის ერთ-ერთ ძალზე საინტერესო პერსონაჟს. მას თაყვანს სცემდნენ როგორც ნაყოფიერებისა და მოსავლიანობის ღვთაებას, რასაც მოწმობს მსხვერპლშეწირვის რიტუალები, რომელნიც ძალზე წააგავენ იმათ, დემეტრეს სახელზე რომ იმართებოდა. გადმოცემის თანახმად, ლევკოთეა იყო დიონისეს გამზრდელიც და ამიტომ მას თაყვანს სცემდნენ აგრეთვე როგორც მეღვინეობისა და მევენახეობის მფარველს. ამასთან ერთად, ბერძნულ მითოლოგიაში ლევკოთეა მჭედლებისა და მეტალურგების, აგრეთვე ავადმყოფებისა და ფეხმძიმე ქალთა მფარველიც იყო. საერთოდ ლევკოთეას კულტი ფართოდ იყო გავრცელებული და ბერძნულ მითოლოგიაში მრავალსახოვნად წარმოდგენილი; მაგრამ ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ ფაქტს, რომ ლევკოთეა, თავისი გარეგნული სახით მაინც, წყლის ღვთაებაა, ყოველ შემთხვევაში, ბერძენთა რელიგიური წარმოდგენებით იგი წყლის მცხოვრებია (ბერძნული სახვითი ხელოვნების ძეგლებზე ლევკოთეა გამოსახულია ზღვის ცხოველებით გარშემორტყმული ან ზღვის ვერძზე ამხედრებული, თმაგაშლილი ქალის სახით) და მისი რელიგიურ-მითოლოგიური სახეც წყალთანაა დაკავშირებული ... ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ლევკოთეას სახელით სტრაბონი იხსენიებს ძველი ქართული წარმართული პანთეონის ერთ-ერთ უზენაეს ღვთაებას, რამდენადაც მის სახელზეა აგებული ყველაზე უფრო მდიდარი და ცნობილი სამლოცველო. ეს ღვთაება, როგორც ჩანს, ისევე როგორც ბერძნული ლევკოთეა, იყო ნაყოფიერების ღვთაება, მაგრამ გააზრებული იყო, როგორც წყლის ქალღმერთი (ხომ არაა ამ ღვთაების სახე ვანის აგრე უნიკალურ კაპიტელებზე წარმოდგენილი? — შდრ. სურ. 210).



სურ. 217. ქანდაკების ფრაგმენტი: ლომის ფაფარს ჩაბღაუჭებული ხელი (ჰერაკლესი?) ([1216], [1459ა]

ვანში აღმოჩენილი ქალაქი რომ სწორედ ქალღმერთის სახელზეა აგებული, დასტურდება არქეოლოგიური მასალით: ქალაქის კარიბჭესთან, როგორც უკვე ვთქვით, აღმართული იყო მფარველი ღვთაების ქანდაკება. იქვე კედელზე ბერძნული ასოებით ამოკაწრულია: „გევედრები, მეუფეო (ქალღმერთო)" [279]. ეს ქალღმერთი რომ ნაყოფიერების ფუნქციის მატარებელი იყო, შესაძლოა ამის მოწმობა იყოს კარიბჭესთან გამართულ ტაძარში, საკურთხევლთან აღმოჩენილი შეწირულობის ხასიათი: ნაპოვნია ამფორები, რომელთაგან ორი ფეტვის მარცვლებით იყო სავსე. ფეტვი კი, მეგრული და სვანური ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, დიდ როლს ასრულებდა ნაყოფიერების ღვთაებებთან დაკავშირებულ საკულტო რიტუალში. მისი გადმონაშთია, როგორც ჩანს, სამეგრელოში ახალი წლის სადღესასწაულო რიტუალში შემორჩენილი წესი: „ფეტვიან მუჭას მეკვლე წყალში სამჯერ ჩაყოფდა და სინჯავდა, თუ ფეტვი მშრალი იყო, წელიწადი ტაროსიანი იქნებაო, თუ სველი — ავდრიანი" [1177]. მოსავლიანობის ღვთაებისადმი ფეტვის შეწირვა სვანეთშიცაა დადასტურებული: „დიდება მოსვლოდეს ... ფეტვი ბლომად მოგვიყვანე. დაგვიჯვარე ყოველთვის ფეტვი, დიდების ღირსო, ინდომე ჩვენი შენაწირი" [376].

მაგრამ ეს ფაქტები, რა თქმა უნდა, სრულებითაც არაა საკმარისი ვანის მფარველი ქალღმერთის ლევკოთეად გააზრებისათვის, რამდენადაც ეს უკანასკნელი ძირითადად მაინც წყლის ღვთაებაა. ნაყოფიერების ფუნქციის მატარებელ წყლის ღვთაებათა არსებობა ძველ კოლხეთში არა ერთი მონაცემით დასტურდება და ამას (წყლის კულტის ფართოდ გავრცელებას) გეოგრაფიული გარემოს (კოლხეთის დაბლობის წყალუხვიანობით) სპეციფიურობით ხსნიან. წყლის ღვთაებათა კულტის გადმონაშთები დასავლეთ საქართველოში უკანასკნელ ხანებამდეა შემორჩენილი. აღსანიშნავია, მაგალითად, სამეგრელოში ცნობილი დღესასწაული „მესეფობა." ხალხის წარმოდგენით „მესეფი იყო წყლის დედა, რომელიც ამ დროს ზღვიდან ამოდიოდა". ამას გარდა, გავრცელებული იყო რწმენა წყლის დედაზე („წყარიშ დიდა"), რომელიც „თეთრი ქალიშვილის" სახით იყო წარმოდგენილი [1137, გვ. 259-260], [1177] (ლევკოთეა სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „თეთრ ქალღმერთს").

ლევკოთეას „მდიდარი" სატაძრო ქალაქი, სტრაბონის ცნობით, „ჯერ ფარნაკემ, და ცოტა მოგვიანებით, მითრიდატე პერგამონელმა გაძარცვეს" (XI, 2, 17=[320, გვ. 124]). აქ დასახელებული ფარნაკე, პონტოს მეფის მითრიდატე ევპატორის ვაჟი, ძვ.წ. 63-47 წწ. განაგებდა ბოსფორის სამეფოს. მის მიერ კოლხეთის დალაშქვრის შესახებ ცნობა მოეპოვება დიონ კასიოსსაც ([42, 45, 3]=[314, გვ. 70]). ეს ლაშქრობა, როგორც ფიქრობენ, ძვ.წ. 50 წლის შემ-

დეგ უნდა მომხდარიყო. ხოლო ძვ.წ. 47 წელს ფარნაკე იღუპება აჯანყებული მოხელის ასანდრეს წინააღმდეგ ბრძოლაში. ასანდრეს დასჯას და ბოსფორის შემომტკიცებას რომაელები ავალებენ პერგამონის მმართველის მითრიდატე VII (ანუ როგორც მას უწოდებენ – მითრიდატე პერგამონელს), რომელმაც ძვ.წ. 47 წელს გაალაშქრა ბოსფორზე და იქვე დაიღუპა. სწორედ ამ დროს, ბოსფორში მოსვლამდე გაბარცვა მან (როგორც ფიქრობენ საომარი ოპერაციებისათვის აუცილებელი მდიდარი ნადავლის ხელში ჩაგდების მიზნით) და უმოწყალოდ დაანგრია კოლხეთში ლევკოთეას სატაძრო ქალაქი.



სურ. 218. მცირე ზომის საკურთხევლები ვანის ნაქალაქარიდან. ძვ.წ. II-I სს. [1139]

ძვ.წ. I საუკუნის შუა ხანებში, ხანმოკლე დროის მანძილზე ქალაქის ორჯერ დანგრევის კვალიც საკმაოდ ნათლად ჩანს ვანის ნაქალაქარზე. პირველი შემოსევა განხორციელდა უთუოდ გაზაფხულის ერთ-ერთ დღეს, როდესაც კარიბჭესთან მის გარეთ რელიგიური დღესასწაული იყო გამართული. ამას მოწმობს ერთი საინტერესო აღმოჩენა.

კარიბჭის კედლის გარეთ, გადმონგრეული ალიზის კედლებქვეშ აღმოჩნდა დანახშირებული ხის ძელი, ხოლო იქვე – ძალზე დამსხვრეული, თიხისაგან გამოძერწილი და შერმე გამომწვარი ნიღაბი, რომელიც სუროს ფოთლებითა და ვაზის ნაყოფით დამშვენებულ დიონისეს თავს გამოსახავს. იქვე იქნა ნაპოვნი თიხის ასამდე მინიატურული სფეროსებურმუცლიანი ქოთანი. თურმე გაზაფხულზე იმართებოდა დიონისეს პატივსაცემად დღესასწაული, რომლის დროსაც მის ნიღაბს ხის ძელზე ჩამოკიდებდნენ და ირგვლივ თიხის ქოთნებს შემოულაგებდნენ [1200].

პირველი შემოსევის დროს დაინგრა ქალაქის კარიბჭე და სამივე ტერასის ყველა ძირითადი ნაგებობა. ყველგან თვალნათლივ ჩანს ძლიერი ხანძრისა და უმოწყალოდ ნგრევის კვალი: საძირკვლამდე მოთხრილ-მონგრეული კედლები, ხანძრისაგან გაწითლებული ქვები, გადამწვარ-გადამდნარი კრამიტი და ალიზი, დანახშირებული ხის ძელები. ყველაფერი ეს ძალიან მოგვაგონებს სწორედ ფარნაკეს „ხელწერას“, რომელსაც ვიცნობთ ჩვენ მის მიერ ჩრდ. შავიზღვისპირეთში განადგურებული ქალაქების მაგალითზე.

პირველი შემოსევის შემდეგ ცხოვრება მხოლოდ ცენტრალურ ტერასაზე განახლებულა. ქალაქის ცხოვრების სულ უკანასკნელი ეტაპი აქ წარმოადგენილია ქვისა და ალიზის თავდაცვითი კედლების ნანგრევებით. ცენტრალური ტერასის აღმოსავლეთ ფერდობზე კარგად ჩანს, რომ ეს გალავნის კედლები სასწრაფოდ, ყოველგვარი წინასწარი მომზადებისა და სათანადო საძირკვლის გარეშეა დაშენებული თიხნარ ფენაზე. ხოლო ეს ფენა, რომელიც შეიცავს სხვადასხვა არქიტექტურულ დეტალებს, თავის მხრივ რამდენადმე უფრო ადრე, აგრეთვე ძლიერი ნგრევისაგანაა წარმოქმნილი. ამ ფენაშიც ძვ.წ. I ს. პირველი ნახევრის კერამიკული ფრაგმენტები და მონეტები გვხვდება. ასე, რომ საკმაოდ ხანმოკლე დროის მანძილზე ძვ.წ. I ს. შუა ხანებში ქალაქი ორჯერაა დანგრეული. ეს არქეოლოგიური მონაცემებიც ეთანხმება სტრაბონის ზემოთ მოტანილ ცნობას ლევკოთეას სატაძრო ქალაქის ორჯერ გაძარცვის შესახებ (ჯერ ფარნაკეს, ხოლო შემდეგ მითრიდატე პერგამონელის მიერ).

ანტიკურ სამყაროში ორი „იბერია“ იყო ცნობილი: ერთი დასავლეთისა – პირენეს ნახევარკუნძულზე, ხოლო მეორე – კავკასიისა, დღევანდელ აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე. ამ უკანასკნელის მოხსენიებისას ბერძენი მწერლები დაუმატებდნენ ხოლმე „აღმოსავლეთ იბერნი“, „იბერთა აღმოსავლელი ტომი“, „ზღის იბერნი“ და მით განასხვავებდნენ მათ ესპანეთის იბერთაგან, რომელთა მიმართ იტყოდნენ „ევროპელი იბერნი“, „დასავლეთის იბერია“ [162, გვ. 46-47].

უკვე ძველადვე აინტერესებდათ და ფართო მსჯელობის საგნად იყო ქცეული დასავლეთისა და აღმოსავლეთის იბერთა შორის ურთიერთობის საკითხი. ბერძნულ-რომაულსა და ბიზანტიურ მწერლობაში (პოლიღოროე, ვარონი, პლინიუსი, სტრაბონი, აპიანე, ევსები კესარიელი და სხვ. – იხ. [161, გვ. 70-103]) შემონახულ მრავალ მოსაზრებათა შორის, დაკასახელებ მხოლოდ II ს-ის ბერძენი მწერლის აპიანეს გამონათქვამს: „იბერებს, რომლებიც აზიაში არიან, ზოგი მიიწვევს ევროპელი იბერების წინაპრებად, ზოგი ამათ (ე.ი. ევროპელთა – ო.ლ.) მოახალშენებად, სხვები კი მხოლოდ თანამოსახელეებად, რადგან არც ზნე აქვთ არაფრით მსგავსი და არც ენა“ („მითრიდატეს ომების ისტორია“, 101 = [308, გვ. 195]).

საინტერესოა, რომ აზრი ქართველთა ესპანეთის იბერებთან მონათესაობის შესახებ საშუალო საუკუნეების საქართველოშიც იყო გავრცელებული, განსაკუთრებით – X-XI სს-ში (დაწვრ. [161, გვ. 78-90]). ჯერ კიდევ X ს-ის დასაწყისში ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწე იოანე მთაწმინდელი (ათონელი) აპირებდა თავის მოწაფეებთან ერთად ესპანეთში გამგზავრებას, რომ გასცნობოდა „დასავლეთის ქართველთა ცხოვრებას“ [161, გვ. 89]. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ X-XI სს-ში ბერძნულიდან ქართულ ენაზე თარგმნილ თხზულებებში ხშირადაა გამოთქმა „ესპანეთის ქართველნი“ (დაწვრ. [161, გვ. 89], [1636]).

ესპანეთისა და საქართველოს უძველესი მოსახლეობის ურთიერთობის თაობაზე იდეა ახლაც საკმაოდაა პოპულარული, რამდენადაც არსებობს აზრი ქართველური და ბასკური ენების შესაძლო გენეტიკური ნათესაობის შესახებ. მაგრამ ეს გენეტიკური ნათესაობა, რომელიც ენებს შორის არსებული რეგულარული ფონეტიკური შესატყვისობების საფუძველზე უნდა დადგინდეს, ჯერ დამტკიცებული არაა. მე მგონია, რომ ასეთი ნათესაობა თუკი მართლაც არსებობდა, იგი ძალიან შორეულ ხანაში უნდა ვეძებნათ. ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე ლინგვისტურ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია აზრი იმის შესახებ, რომ პრაქართველური ფუძე-ენა უკვე არსებობდა ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში, ე.ი. ადრებრინჯაოს ეპოქაში. შესაბამისად, თუკი ქართველურსა და ბასკურ ენებს შორის მართლაც არსებობდა გენეტიკური ნათესაობა, მაშინ იმ ფუძე-ენის არსებობა, რომლის დიფერენციაციის შედეგად წარმოიშვნენ ქართული, ბასკური თუ სხვა ენები, უნდა ვეძებნათ ნეოლითისა თუ ადრეული ხალკოლითის ეპოქაში, ე.ი. დაახლოებით ძვ.წ. VIII-VI ათასწლეულებში. ძალზე საეჭვოა, რომ დღეს ლინგვისტურმა მეცნიერებამ, თუნდაც არქეოლოგიური მონაცემების შუქზე, შესძლოს ისეთი ფუძე-ენის დაფიქსირება და რეკონსტრუქცია, რომლისგანაც უნდა წარმოქმნილიყვნენ ქართული და ბასკური ენები. ამიტომაც თავი უნდა შევიკავოთ ამ საკითხებზე შემდგომი მსჯელობისაგან, რამდენადაც წარმატება ან რაგინდ მომხიბლველი არ უნდა იყოს ზემოთ მოტანილი იდეა დღევანდელი ესპანეთისა და საქართველოს უძველესი მოსახლეობის მონათესაობის შესახებ.[266]

ძველქართულ სასტორიო ლიტერატურაში სახელწოდებანი „იბერია“ და „იბერნი“ არ გვხვდება. მათ ნაცვლად ხმარებაშია ეკვივალენტური „ქართლი“. „იბერია“ და „იბერები“ კი მხოლოდ ბერძნულ-რომაულსა და ბიზანტიურ მწერლობაშია წარმოდგენილი (შდრ. [151, გვ. 56-69]). ფაქტობენ, რომ ქართველთა ყველა უცხოური სახელწოდება წარმოძღვარია პირველსაწყისი ძირიდან „იბერ“, როგორც მაგ. სომხური „ი-ვარ-ქ“, რომელსაც უკავშირებენ ძველირანულ „ჰრე-ან“ და ა.შ. (დაწვრ. [165, გვ. 50 და შემდ.], შდრ. [151, გვ. 92-103, 107-117]). ანტიკურსა და ბიზანტიურ მწერლობაში აღმოსავლეთ საქართველოს აღმნიშვნელი სახელწოდების „იბერია“ (და „იბერები“) ეტიმოლოგიაც ნათელი არაა და მის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა (დაწვრ. [165, გვ. 5-50]). საფუძველს მოკლებულად არაა მიჩნეული მოსაზრება იმის შესახებ, რომ სახელწოდება „იბერი“ გენეტიკურად დაკავშირებულია სატომო სახელთან „სასპერი“ („სასპირები“), რომელთაც პირველად ჰეროდოტე იხსენიებს (IV, 37). ეს სახელწოდება შემონახულია თითქოს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული პროვინციის სახელში „ჰჯრი“, რომელიც ბერძენ გეოგრაფოსთან სტრაბონთან „სისპირიდიტა“-ს სახელითაა მოხსენიებული (იხ. [193, გვ. 290]; [1609, გვ. 425-426]). ლინგვისტური თვალსაზრისით სახელწოდებათა სერ //ჰიბერ//იბერ მონაცვლეობა კანონზომიერად მიჩნეული [441, გვ. 91].

[266] ქართულ-ბასკური ურთიერთობებისა და ამ პრობლემის შესწავლის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ დაწერ. იხ. [141], [161-162], [174], [188], [203].

საშუალო საუკუნეების ქართულ საისტორიო წყაროებში – „ქართლის ცხოვრება“, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და სხვ., „იბერიის“ შესატყვისად ყველგან, როგორც წესი, იხსენიება „ქართლი“.[267] ვარაუდობენ, რომ ბერძნულ-რომაულ სახელს „იბერია“ და მის ქართულ შესატყვისს „ქართლი“ უფრო პოლიტიკური ან გეოგრაფიული მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ეთნიკური [1609, გვ. 425].

იბერიის ანუ ქართლის სამეფოს წარმოქმნა უნდა განვიხილოთ, როგორც დღევანდელ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოსავლურქართულ ტომთა პოლიტიკური კონსოლიდაციის ხანგრძლივი პროცესის შედეგი. ამ პროცესში აქტიური როლი შეასრულეს აღმოსავლურქართულმა ტომებმა – მესხებმა [1609, გვ. 432].

ახლა ჩვენს წინაშე დადგა რთული და საძიებო საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ არიან მესხები, რომელთაც მიეწერებათ აგრე დიდი როლი აგრეთვე კოლხეთის აღმოსავლეთ ოლქებში ძვ.წ. IV ს-დან მთელ რიგ ეთნოკულტურულ სიახლეებში (ქვევრში დაკრძალვის წესი, მოხატული კერამიკის გავრცელება და სხვ.), რაც ასე თვალსაჩინოდ აისახა ვანის სატაძრო ქალაქის არქეოლოგიურ მონაპოვარშიც (დაწვრ. იხ. წინა თავი – შდრ. [1362]). იმავ დროს მსგავსი ნიშნები ჩანს ძვ.წ. IV-III სს-ის აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალურ კულტურაშიც [1094]. მესხთა ტომებს უკავშირებენ იბერიის (ქართლის) სამეფოს შექმნას, ხეთურ-მცირეაზიული წარმოშობის კულტების შემოტანას და რიგი გეოგრაფიული სახელების გაჩენასაც (მათ შორის ქალაქ მცხეთის სახელწოდებას: „მცხეთა“ ნიშნავსო „მესხთა საცხოვრისს“, ისევე როგორც „სამცხე“ და ა.შ. [441, გვ. 111 და შემდ.]).

იმისათვის, რომ ვუპასუხოთ კითხვაზე თუ ვინ არიან მესხები, ჩვენ კიდევ ერთხელ უნდა დავუბრუნდეთ ქართველურ ტომთა ეთნიკური განვითარების ისტორიას პრაქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის შემდგომ (დაწვრ. ამ საკითხზე უკვე იყო საუბარი ამ წიგნის „შესავალში,“ § 2). როგორც ვიცით პრაქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის პირველი ეტაპი სვანურის გამოყოფით აღინიშნა, ხოლო შემდგომი კი ქართულ-კოლხური (ანუ, ტრადიციული ტერმინოლოგიით, ქართულ-ზანური) ერთობის დაშლით.

ქართულ-კოლხური ეთნიკური (ენობრივი) ერთობის დაშლამ (რაც უკვე ძვ.წ. II ათასწლეულში უნდა მომხდარიყო) დასაბამი მისცა, ერთის მხრივ, კოლხების – დასავლურქართველური ტომების[268], ხოლო მეორეს მხრივ, ქართების – აღმოსავლურქართველური ტომების დამოუკიდებელ განვითარებას: კოლხები დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დამკვიდრდნენ, ქართები კი – აღმოსავლეთ საქართველოში [1609, გვ. 429-430]. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართულ-კოლხური ეთნიკური ერთობიდან გამოყოფილ აღმოსავლურქართველურ ტომებში მიმდინარეობდა დაშლისა და განცალკევების პროცესები, მაგრამ ამის ლინგვისტურ ასპექტში დაფიქსირება ახლა შეუძლებელია. აღმოსავლურქართულ ტომთა ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენდა, როგორც ჩანს, ძვ.წ. XV-VII სს-ში ასირიულ, იეროგლიფურლუვიურ და ურარტულ წყაროებში მოხსენიებული „მუშკები“, რომელნიც ბერძნულ მწერლობაში „მოსხ“ სახელით იხსენიებიან და გაგივებული არიან ქართულ ტომებთან – მესხებთან (დაწვრ. [1651], [441, გვ. 105-113]).[269]

მუშკები მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მოსახლეობდნენ და ხეთური კულტურის არეალში იყვნენ მოქცეული ([441, გვ. 105-106]; [1609, გვ. 429]). ასირიული წყაროების მიხედვით, უკვე ძვ.წ. XII ს-დან მუშკები იწყებენ სამხრეთის მიმართულებით ექსპანსიას და საკმოდ აქტიურ როლსაც ასრულებენ მცირე აზიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში. ძვ.წ. XII-IX სს-ის ასირიული და VII ს-

[267] ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, თავდაპირველად „ქართლი“ ერქვა დღევანდელი მცხეთის პირდაპირ მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ბორცვს, სადაც „განვიდა“ ქართველთა ეთნარქოსი ქართლოსი [268, გვ. 9] და შემდგომ იბერიის (ქართლის) მეფეთა ადგილ-სამყოფლად იქცა [268, გვ. 25]. ამიტომაც ზოგჯერ ქართულ წყაროებში „ქართლი“ იბერიის დედაქალაქის აღმნიშვნელიცაა (დაწვრ. იხ. [1597, გვ. 19-20 და იქ დასახ. ლიტ.]).

[268] სახელწოდება „ქართი“ წერილობით წყაროებში ლეგენდონულად დადასტურებული არაა. ფაქტობრივად იგი პირობითია და ხელოვნურადაა შექმნილი პლუტარქეს ერთ-ერთ ცნობაში, სადაც ქართველთა ეთნარქოსი ქართლოსი [268, გვ. 9] და შემდგომ იბერიის (ქართლის) მეფეთა ადგილ-სამყოფლად იქცა [268, გვ. 25]. ამიტომაც ზოგჯერ ქართულ წყაროებში „ქართლი“ იბერიის დედაქალაქის აღმნიშვნელიცაა (დაწვრ. იხ. [1597, გვ. 19-20 და იქ დასახ. ლიტ.]).

[269] ასირიულ, ლუვიურ-იეროგლიფურ და ურარტულ წარწერებში, ბიბლიურ ტექსტებში, ირანულ ლურსმულ წარწერებში, ბერძენ ავტორებთან და ქართულ წყაროებში დადასტურებული სახელწოდებების – მუშკი, მოშოკ, მეშებ, მაჩია, მოსხოი, მესხი და მათი ეთნიკური იდენტიფიკაციის შესახებ სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის და სხვადასხვა მოსაზრებათა მიმოხილვა დაწვრ. იხ. [1651, გვ. 127-144].

ის ურარტული წყაროების მიხედვით, მუშკები ბინადრობდნენ მდ. ევფრატის ზემო დინებისა და მის მარჯვენა სანაპიროს ახლოს მდებარე ოლქებში [1651, გვ. 72-126], მაგრამ მათი ექსპანსია კვლავ გრძელდებოდა სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით.

უკვე ძვ.წ. X ს-ის მეორე ნახევარში (ყოვლ შემთხვევაში არაუგვიანეს X ს-ის 40-იანი წლებისა და IX ს-ის დასაწყისისა) მუშკების მდ. ჰალისის სამხრეთ-აღმოსავლეთით აარსებენ თავის სამეფოს, რასაც მოწმობენ ლუვიურ-იეროგლიფური წარწერები, რომლებშიც იხსენიება მუშკების მეფე, სახელად ხართაფუ. ძალზე საინტერესოა მუშკთა მეფის ტატულატურა: „მზე, გმირი, დიდი მეფე ხართაფუ, დიდი მეფე, თარხუნთის საყვარელი“ [1651, გვ. 106-116].[270]

ზოგიერთი მკვლევარი მუშკებს უკავშირებს აღმოსავლეთ ანატოლიაში მოხატული კერამიკისა და მატერიალური კულტურის სხვა ელემენტების გავრცელებას (იხ. [1651, გვ. 171 და იქ დასახ. ლიტ.]).

ამრიგად, „მუშკები“ – აღმოსავლურქართული ეთნოსის დასავლური შტო [441, გვ. 1111],[271] ქართულ-კოლხური ერთობის დაშლის შედეგად განცალკევდა და თავდაპირველად მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ოლქებში დამკვიდრდა. ძვ.წ. XIII ს-დან დაიწყო მუშკების განსახლება ჩრდ. მესოპოტამიის მიმართულებით, ხოლო რამდენადმე მოგვიანებით მათ შესძლეს მცირე აზიის დასავლეთ და ცენტრალურ ოლქებშიც გაბატონება. ძვ.წ. VII ს-ის 70-იან წლებიდან, ე.ი. მას შემდეგ, რაც მუშკების სახელმწიფო ურარტელებმა და კიმერიელებმა გაანადგურეს, მუშკების ერთი დიდი ჯგუფი ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გაემართა და დასახლდა დღევანდელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე, რომელსაც ბერძენები „მოსხიკეს“ (ან „მოსხთა“ ქვეყანას“) შეარქმევენ, ხოლო საშუალო საუკუნეების ქართულ წყაროებში კი „სამცხედ,“ ან ისევე როგორც დღეს, „მესხეთად“ მოიხსენიება.[272] აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ მოსხთა/მესხთა განსახლების არეალი მოიცავდა სპერსაც, ე.ი. იმ ალქს, რომელსაც უკავშირებენ „იბერ“ („იბერია“) სახელწოდების წარმოქმნას. მეორეს მხრივ, „ქართ“, რომელიც საფუძვლად უდევს ქართველთა თვითსახელწოდებას, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, თითქოს გარკვეულ კავშირშია სატომო სახელთან „კარდუ-ხი“, რომელთაც ჰიპოთეტურად ჩრდილო მესოპოტამიელ მუშკთა შთამომავლებად მიიჩნევენ [441, გვ. 108-109, 111].

[270] საინტერესოა, რომ ლუვიურ-იეროგლიფურ წარწერებში მუშკების მეფის სახელსა და ტატულატურას მზის ფრთოსანი დისკო (სამფრო კარტუში) ახლავს, ხოლო თვით მეფე „მზედ“ იწოდება. ჩანს, „მზე“ იყო უმაღლესი ღვთაება, რომელსაც მეფე განასახიერებდა. გავიხსენოთ, რომ კოლხთა მეფე აეტიც მზის შვილი იყო. მზის კულტი, როგორც უკვე წინა თავებში იყო არაერთგზის აღნიშნული, ფართოდ იყო გავრცელებული სვანებშიც. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მზის, როგორც უმაღლესი ღვთაების თაყვანისცემა ქართველ ტომებში ჯერ კიდევ საერთო ქართულ (ე.ი. ფუძე-ენის მატარებელი ეთნოსის) დონეზე არსებობდა, რაც შესაძლოა მოწმობდეს, რომ პრაქართული ეთნიკური ერთობის დაშლის შემდგომ წარმქმნილმა ქართველურმა ტომებმა შეინარჩუნეს რელიგიური რწმენის ზოგიერთი ელემენტი. საშუხაროდ, წიგნის მოცულობა და მისი მიზანდასახულობა არ გვაძლევს ახლა უფლებას დაწვრილებით შევჩერდეთ ამ და სხვა მასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

[271] მუშკების ეთნიკური წარმომავლობისა და ქართველურ ეთნიკურ სამყაროსთან მათი გენეტიკური კავშირის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებათა განხილვა დაწერ. იხ. [1651, გვ. 127-199 და იქ დასახ. ლიტ.]. მუშკების შთამომავალ მესხებს მკვლევართა უმრავლესობა აღმოსავლურქართულ ტომად და ქართის ანუ საკუთრივ ქართული ენის მატარებლად მიიჩნევს. მაგრამ გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება მესხების კოლხური ეთნოსისადმი კუთვნილების შესახებ. ეს მოსაზრება ემყარება, ერთი მხრივ, ცნობას, რომელიც შემონახულია სტეფანე ბიზანტიელთან (ფრ. 188) და მიეწერება ძვ.წ. VI ს-ის ავტორს ჰეკატე მილეტელს: „მოსხები – კოლხური ტომი“, მეორე მხრივ – იმ ფაქტს, რომ კოლხური ბრინჯაოს კულტურის აყვავების პერიოდში, ე.ი. ძვ.წ. XV-VIII სს-ში მესხეთი კოლხური კულტურის არეალში მოქცეული და ამ ტერიტორიაზე მეგრულ-ჭანური (ე.ი. კოლხური) ტოპონიმებიცაა დადასტურებული. შესაბამისად, ამტკიცებდნენ, რომ მესხები თავდაპირველად კოლხურ ტომებს წარმოადგენდნენ, რომელნიც შემდგომ (ძვ.წ. IV-III სს-ის შემდეგ) ასიმილირდებიან აღმოსავლურქართულ ტომებთან, რის შედეგად, თითქოს დაკარგეს თავიანთი პირვანდელი კოლხური ენა [1184, გვ. 30, 73-75]. ასეთი მტკიცება, ჩვენის აზრით, დამაჯერებელი ვერაა: 1. სულ ნათელი არაა გამოთქმა „მესხები – კოლხური ტომი“ ჰეკატე მილეტელს ეკუთვნის თუ სტეფანე ბიზანტიელს? 2. კოლხური მატერიალური კულტურა და ტოპონიმების გავრცელება მესხეთის ტერიტორიაზე იმის მოწმობაა მხოლოდ, რომ ძვ.წ. XV-VIII სს-ში აქ კოლხური ტომები მოსახლეობდნენ. მუშკები კი ამ დროს მცირე აზიის ჩრდ.-აღმ. ოლქებში ბინადრობდნენ. მხოლოდ ძვ.წ. VII ს-დან ეკავებენ მუშკები იმ ტერიტორიას, რომელიც შემდგომ ბერძნულ წყაროებში „მოსხიკედ“ იწოდება, ხოლო ქართულში – მესხეთად. უნდა ვივარაუდოთ, რომ მუშკებმ//მესხებმა მოახდინეს დამხვდური კოლხური მოსახლეობის ასიმილაცია, რის შედეგადაც მკვეთრად იცვლება მატერიალური კულტურაც, თუმც ძველი კოლხური ელემენტები თავს ინახავს ძვ.წ. VII-IV სს-შიც. ამიტომაც, მე პირადად, ვიზიარებ მესხთა აღმოსავლურქართული წარმოშობილობის შესახებ მოსაზრებას, რომელიც დამაჯერებლად დაასაბუთა აკად. გ. მელიქიშვილმა [441, გვ. 105-117].

[272] საინტერესოა, რომ ვახუშტი ბაგრატიონი სახელწოდება „სამცხე“-სთან ერთად, იმავე მნიშვნელობით ხმარობს „მესხი“: „... ჩამოსული მესხიდამ“ [253, გვ. 34].

აქემენიდთა ირანის ძლიერი სახელმწიფოს არსებობის ხანაში მისი გავლენის ქვეშ ექცევიან აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთი ოლქები, მათ შორის მოსხ//მესხებით, სასპერებითა და სხვა ქართული ტომებით დასახლებულნი, რომელნიც სხვადასხვა სატრაპიებში (ძირითადად XIX სატრაპიაში) ერთიანდებიან (დაწერ. [1609, გვ. 432-434]). მაგრამ უკვე ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებიდან მაინც და განსაკუთრებით კი ალექსანდრე მაკედონელის მიერ აქემენიდთა ირანის სახელმწიფოს განადგურების შემდგომ, რომელსაც მოჰყვა მახლობელ აღმოსავლეთში დიდი პოლიტიკური ძვრები (დიადოხოსების ბრძოლა, ე.წ. ელინისტური სახელმწიფოების – სელევკიდების, პერგამონის, პონტოს სამეფოების წარმოქმნა და ა.შ.), იწყება მესხების (ხეთურ-მცირეაზიული კულტურის ტრადიციების მატარებელი აღმოსავლურქართული ტომების) კიდევ უფრო ჩრდილოეთით განსახლება.[273] ამას შედეგად უნდა მოჰყოლოდა ძველი კოლხეთის აღმოსავლეთ ოლქებში ფიქსირებული ეთნოკულტურული ინოვაციები (რომელთა შესახებ დაწვრილებით საუბარი იყო ზემოთ: კარი III, § 6), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – ასევე ახალი (წინამორბედი, ე.ი. გვიანბრინჯაო – ადრე რკინის ხანისაგან კვეთრად განსხვავებული) იერის მატერიალური კულტურის გავრცელება, რამაც საკმაოდ თავისებური ასახვა ჰპოვა „ურბანისტულ აფეთქებაში“.

1. „ურბანისტული აფეთქება“

ძველი ქართული საისტორიო წყაროები „ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ალექსანდრე მაკედონელის ხანის მოვლენებისა და თითქოსდა მისი ქართლში „მოსვლის“ დროისათვის აქ მოიხსენიებენ მრავალ ქალაქს, რომელთა ადგილმდებარეობა დღეს მეტნაკლებად კარგადაა ცნობილი. სამწუხაროდ, წყაროებში დადასტურებულ ქალაქთაგან ჯერ-ჯერობით ყველა ვერაა არქეოლოგიურად შესწავლილი. ამიტომაც ძნელია ახლა გადაჭრით თქმა იმისა, თუ წყაროებში დასახელებულ ქალაქთაგან რომელი არსებობდა უკვე ალექსანდრე მაკედონელის „მოსვლისას“? და მაინც არქეოლოგიური კვლევა-ძიება თვალსაჩინოდ ავლენს საკმაოდ განვითარებულ საქალაქო ცხოვრებას ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარსა და III ს-ის დასაწყისში.

დღეს ჩვენს ხელთ არსებული არქეოლოგიური მასალების მიხედვით ძვ.წ. V ს-ისა და IV ს-ის პირველი ნახევრისათვის აღმოსავლეთ საქართველოს რიგ ოლქებში – კერძოდ, შიდა ქართლსა და მტკვრის ხეობაში შეინიშნება ერთგვარი დემოგრაფიული კრიზისი და ლაკუნა[274] (შდრ. სურ. 219). მაგრამ უკვე ძვ.წ. IV ს-ის შუახანებიდან საკმაოდ თვალსაჩინოა სამეურნეო ცხოვრების და კულტურის აღმავლობა მტკვრის ხეობაში, სადაც ამ დროს წარმოიქმნებიან ქალაქები, რომელნიც წარმოადგენდნენ ხელოსნობისა და ვაჭრობის მსხვილ ცენტრებს და რომელნიც ფლობდნენ აგრეთვე ირგვლივ მდებარე ვრცელ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიასაც. ეს ქალაქები, რომელნიც თითქოს უეცრად გაჩნდნენ,[275] ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავდებიან ფუნქციონალურ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით.

ძვ.წ. IV-II სს-ის ვრცელი ნაქალაქარი აღმოჩენილია მდ. მტკვრისა და მდ. ქსნის შესართავთან. მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, იმ ადგილას, რომელსაც სამადლო ეწოდება. ორ მაღალ (75-80 მ) ბორცვზე (დაახლოებით 16 ჰა საერთო ფართობით) განლაგებული იყო ციტადელი („შიდაციხე“), რომლის ნაგებობები ძლიერ დანგრეულ-განადგურებული სახითაა ჩვენამდე მოღწეული. ქალაქი დაარსებული იყო ორი მნიშვნელოვანი გზის ურთიერთგადაკვეთის ადგილზე. მათგან ერთი მდ. მტკვარს მიყვებოდა (და წარმოადგენდა საერთაშორისო მაგისტრალის ნაწილს), ხოლო მეორე – ქსნის ხეობას სამხრეთ საქართველოსთან – თრიალეთთან – აკავშირებდა.

არქეოლოგიური გათხრებით დადასტურებულია, რომ სამადლოს ტერიტორიაზე თავდაპირველი დასახლება უკვე ძვ.წ. VII-V სს-ში არსებობდა. ძვ.წ. IV ს-ის დასასრულს იწყება ციტადელის ახალმშენებლობა. სამწუხაროდ, მისი დაგეგმარების აღდგენა ძლიერი დანგრეულობის გამო ახლა შეუძლებელია. თავდაცვითი კედლები და მთავარი ნაგებობანი (სასახლისა თუ სატაძრო ტიპისა) გადარჩენილი არაა. ირკვევა, რომ ბორცვების ფერდობები ხელოვნურად იყო დატერასებული. დასავლეთ ბორცვზე დადასტურებულია ზვიდი ხელოვნური ტერასა (თითოეული 5-9 მ სიგანისა და 3 მ სიმაღლისა), რომელნიც საფეხურებად მიემართებოდნენ ბორცვის წვეროსაკენ. საყრდენი კედლები ფლეთილი

[273] ალექსანდრე მაკედონელის ქართლში „მოსვლის“ ამბავი, რა თქმა უნდა, ლეგენდარულ ხასიათს ატარებს, ვინაიდან კარგადაა ცნობილი, რომ მისი ლაშქრობანი საქართველოს არ შეხებია. ფიქრობენ, რომ ქართული წყაროების ცნობები ალექსანდრე მაკედონელის ქარიღში ლაშქრობის შესახებ საშუალო საუკუნეებში პოპულარული რომანის „ალექსანდრია“-ს (რომლის ავტორად ფსევდო-კალისთენე იწოდება) გავლენითაა შეთხზული ([256, გვ. 47-51], [260-261]).

[274] ამ დროისათვის (როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული – შდრ. II კარი, § 3) ცხოვრება ინტენსიურად მიმდინარეობდა აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ რაიონებში – ქვემო ქართლში (შდრ. [1573]).

[275] თუმც ამ ნამოსახლარების ტერიტორიაზე დადექსირებულია წინამორბედი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის დასახლებათა ნაშთები, მაგრამ კულტურული მემკვიდრობა და ცხოვრების უწყვეტი გაგრძელება არ შეინიშნება.

ქვებითა თიხის ხსნარით ამოყვანილი და გამაგრებული იყო კედლის წყობაში გარდიგარდმო დატანებული ხის ძელებით. საფასადო მხარე მოპირკეთებული იყო რიტმულად მონაცვლე ბრტყელი ფილებითა და მსხვილი ქვათლილებით. ზოგიერთ ადგილას საყრდენი კედლები მძლავრი კონტრფორსებით იყო გამაგრებული. ერთ-ერთი კედელი ამაგრებდა 11,5 მ-ის სიგანისა და 2-3 მ სიმაღლის ბაქანს, რომელზედაც მდგარა ალიზის კედლებიანი ნაგებობანი. ერთ-ერთ ტერასაზე აღმოჩენილია თითქმის კვადრატული ფორმის (4 მ × 4,5 მ) ნაგებობა, რომლის იატაკი ბზენარევი ალიზ-აგურით იყო მოგებული. ერთ-ერთ ამ ტიპის ნაგებობაში დადასტურებულია საფეხურისებური იატაკი და საკულტო დანიშნულების კერა. გვხვდება აგრეთვე თიხატკეპნილ იატაკიანი სათავსოები, რომელთა კედლები რიყის ქვებით მოგებულ საძირკველზეა ალიზ-აგურით ამოყვანილი.

მოსაბათქაშებლად თიხასთან ერთად გამოიყენებოდა გამომწვარი თაბაშირიც. ნაგებობათა გადასახურავად კრამიტი გამოიყენებოდა. ვარაუდობენ, რომ ზემოადწერილი ნაგებობანი (რომელთა ერთი ნაწილი შესაძლოა ორსართულიანიც კი იყო) წარმოადგენდნენ სამეურნეო სათავსოებს, რომელნიც ეკუთვნოდნენ ოდესღაც ბორცვის წვერზე განცალკევებით მდგარ (მაგრამ ჩვენამდე არ მოღწეულ) სასახლეს ან ტაძარს. ასეთი ნაგებობის ნაშთებს უნდა წარმოადგენდნენ თეთრი კირქვის კარგად დამუშავებული ქვათლილები, მრავალრიცხოვანი კრამიტები და სხვა არქიტექტურული დეტალები, რომლითაც მოფენილია ბორცვის დასავლეთი ფერდობი. საგანგებოდაა აღსანიშნავი ფრაგმენტი ნადირობის სცენის ამსახველი მაღალმხატვრული რელიეფისა, ოდესღაც რომ ამკობდა შენობის ინტერიერს.

ციტადელზე აღმოჩენილია აგრეთვე ძვ.წ. IV-



სურ. 219. იბერიის არქეოლოგიური ძეგლები. განლაგების სქემატური რუკა: 1. გომარეთი [1573], 2. კუშჩი [1573], 3. ალგეთი [1573], 4. მცხეთა [1544, 1545], 5. არმაზციხე (ბაგინეთი) [1542, 1549], 6. მუხათგვერდი [1547, 1548], 7. ნაქულბაქევი [1661], 8. არმაზისხევი [1546], 9. წიწამური [1543], 10. კამარახევი [1630], 11. სარკინე [1545, 1667], 12. ნინოწმინდა [1683], 13. სამადლო [1670], 14. ნასტაკისი [1667], 15. ციხიაგორა [1717], 16. არავეთხევი [1631, 1698, 1699], 17. ჭინვალი [1698, 1699], 18. ძალისა [1559, 1560, 1561], 19. ახალგორი [1702], 20. ყანჩაეთი [1562], 21. უფლისციხე [1655, 1656, 1701], 22. ურბნისი [1650], 23. დეღოფლისმინდორი [1669], 24. ზღუდერი [1696], 25. ბორი [1644, 1697], 26. კლდეეთი [1497]

ამ ტიპის ერთ-ერთ ნაგებობაში დადასტურებულია მიწაში იატაკის დონეზე ჩადგმული ბრტყელი ქვა, რომელიც ცენტრალური სვეტის საყრდენს წარმოადგენდა. კედლების ასაგებად გამოყენებული ალიზ-აგური კვადრატული ფორმისაა: 50 × 50 × 10-11 სმ. მასთან ერთად გვხვდება „ნახევარაგურიც“: 50 × 22 × 10 სმ.

III ს.ს-ით დათარიღებული აკლდამის ნანგრევები. დასაკრძალავი კამერის (5,5 მ × 4 მ) კედლები 2 მ სიმაღლემდე ამოყვანილი ყოფილა ქვის ყორული წყობით, ხოლო შემდეგ კი ალიზ-აგურითა და წყობაში დატანებული ხის ძელებით. კედლები ორივე მხრიდან თიხით იყო მობათქაშებული. ვარაუდობენ, რომ აკლდამა ორ-

ფერადად იყო კრამიტით გადახურული. იატაკი თიხით იყო მოტკეპნილი თიხასთან შერეული წვრილი კენჭების თხელ ფენაზე. დასკვრძალავ კამერაში იდგა ხის ორი სარკოფაგი, რომელიც ძველადვე ყოფილა გაძარცული. ერთ-ერთში აღმოჩნდა 7 ჩონჩხი ოდესღაც მოკრუნჩხულ პოზაში დაკრძალული ადამიანებისა. სამარხეული ინვენტარიდან გადარჩა მხოლოდ ვერცხლის რგოლები, წითლადშეღებილი ფიალა და ბრინჯაოს ორფრთიანი მასრიანი ისრისპირი. ვარაუდობენ, რომ აქ დაკრძალული იყვნენ მსახური წარჩინებული პირისა, რომლისთვისაც აუგიათ დიდებული აკლდამა, რომლის ინვენტარი მთლიანადაა გაძარცული. წარჩინებულ პირთა სამარხების სიმდიდრის შესახებ კი ერთგვარ წარმოდგენას გვაქმნის შემთხვევით აღმოჩენილი ხის სარკოფაგი წარჩინებული ქალისა, რომლის სამარხეული ინვენტარიდან გადარჩენილია დატვიფრულ გამოსახულებიანი ოქროს ბალთები, რკინის სარეცლის ვერცხლის გარსაკრავები, ვერცხლისა და ბრინჯაოს ხატისულლები, ბრინჯაოს ზარაკები და ვერძის მინიატურული ქანდაკება, მინისა და ქვის მძივები და სხვ. მდიდრული სამარხები მოწმობენ, რომ ციტადელი მმართველი ზედაფენის რეზიდენციას წარმოადგენდა. არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ვარაუდობენ, რომ ციტადელი ძვ.წ. II ს-ის შუა ხანებშია განადგურებული (დაწვრ. [1670]).



სურ. 220. სამადლოს ნაქალაქარი: ტაძრის გეგმა და ძვ.წ. IV-III სს-ის მოხატული კერამიკა [1670]

ძვ.წ. III ს-დან საქალაქო დასახლება ჩნდება სამადლოს მოპირდაპირე მხარეს, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ნასტაკისად წოდებულ ველზე. ნაქალაქარს საკმაოდ ვრცელი ფართობი უკავია – დაახლოებით 1 კმ-ის სიგრძისა და 0,5 კმ სიგანისა. საქალაქო ტიპის დასახლებამ აქ ახ.წ. VII ს-მდე იარსება. ამიტომაც ძვ.წ. III და II სს-ის ნაგებობანი და კულტურული ფენები გვიანდელი ხანის მშენებლობათა გამო ძლიერაა დანგრეულ-დაზიანებული. მაგრამ აქ აღმოჩენილი დორული ორდერის სვეტისთავები და არქიტრავი, ქვის სამარკელზე ალიზ-აგურის კედლებიან ნაგებობათა ნაშთები, კრამიტის, ადგილობრივი და იმპორტული კერამიკის ფრაგმენტები და აგრეთვე საკმაოდ ვრცელი სამაროვანი თვალსაჩინოდ მოწმობენ ნასტაკისის დასახლების ქალაქურ ხასიათს [1667, გვ. 93-95].

გამოთქმულია საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ნასტაკისის დასახლებანი წარმოადგენდნენ ერთი ქალაქის ორ შემადგენელ ნაწილს: სამადლოში განლაგებული იყო ციტადელი („შიდაციხე"), ხოლო ნასტაკისის ველზე – საკუთრივ ქალაქი [1558, გვ. 24]; [1670, გვ. 25-30].

სამადლო-ნასტაკისის ქალაქი წარმოადგენდა ხელოსნური წარმოების მსხვილ ცენტრს, განსაკუთრებით კი – კერამიკული წარმოებისას. აქ ამზადებდნენ სამშენებლო კერამიკას, პირველ რიგში კი ძალიან დიდი რაოდენობით კრამიტს, რომელიც სამი სახეობითაა წარმოდგენილი: გვერდბაკეცილი ბრტყელი კრამიტი (ე.წ. სოლენი თუ კერამიდი), ღარისებური (კალიპტერი) და აგრეთვე – საგანგებო ღარისებური კრამიტი, რომელიც ორფერდა სახურავის კეხის დასაფარავად იყო განკუთვნილი (სურ. 221).



სურ. 221. კრამიტი სამადლოს ნაქალაქარიდან. ძვ.წ. IV-III სს. [1670]

კრამიტი დამზადებულია მაღალხარისხოვანი წვრილმარცვლოვანი თიხისაგან და კარგადაა გამომწვარი. ზედაპირი ფანგმიწითაა ფიფლად შელებილი. კრამიტები საკმაოდ დიდი ზომისაა.

ბრტყელი კრამიტის სიგრძე მერყეობს 57,5 სმ-დან 73 სმ-მდე (უფრო ხშირად 58 სმ სიგრძისაა), ღარისებური კრამიტისა – 47 სმ-დან 66,5 სმ-მდე (უფრო ხშირია 60 სმ). კეხის კრამიტი ჩვეულებრივ 97 სმ სიგრძისაა. ბრტყელი კრამიტის გვერდებზე ჯერ კიდევ მის გამოწვამდეა დატანილი ნაირსახოვანი ნიშნები (ჩალრმავებული წერტილი, ირიბი ჯვარი, ჭდეები). კრამიტებზე არის ბერძნული (იონური) ნუმერაციის სისტემის ასო-ნიშნებიც, რომელთაც განიხილავენ ამა თუ იმ ოსტატის მიერ დამზადებული კრამიტის რაოდენობის აღმნიშველ ნიშნებად [1652], [1670, I, გვ. 53-61].

საკმაოდ მრავალფეროვანია ადგილობრივ მეთუნეთა პროდუქციაც (სურ. 222): ქოთნები, ფიალები, ჯამები, დოქები, ქვევრები და ა.შ. ისინი კერამიკული სწრაფმბრუნავი მორგვის გამოყენებითაა დამზადებული. ეს კერამიკა ჩვეულებრივ ღია ფერის კეცისაა, მაგრამ ზოგჯერ გვხვდება შავპრიალაზედაპირიანი თასები და ჯამებიც. ჭურჭლის ზედაპირი დაფარულია ღია მოყვითალო ანგობით ან მაღალი ხარისხის წითელი საღებავითაა (ოქრით) მოხატული ან შეღებილი. მოხატულ კერამიკაში განსაკუთრებით ქვევრები და დიდი ზომის კრატერისებური ჭურჭელი გამოიყოფა. გეომეტრიულ ორნამენტთან ერთად კრატერისებურ ჭურჭელზე წარმოდგენილია მამაკაცთა ფერხულის და ნადირობის სცენები, ფრინველთა და ცხოველთა გამოსახულებანი (სურ. 220).

სამადლოს ნაქალაქარზე აღმოჩენილი მოხატული ქვევრები საკმაოდ დიდი ზომისაა (სამაღლე 1,80 მ, დმ პირთან – 0,70 მ, შუაწელში – 1,60 მ), აქვს პირისგვირგვინი, კვერცხისებური ტანი და ვიწრო ბრტყელი ძირი. მოხატულობა სიუჟეტურია, განლაგებულია სარტყლებად (ფრიზებად) და ჩვეულებრივ წითელი ფერის საღებავითაა შესრულებული მოყვითალო ფონზე (სურ. 220). ერთ-ერთ ქვევრზე ასეთი სცენებია წარმოდგენილი: ზედა ფრიზზე ბრძოლის სცენაა (ორი მხედარი და ერთი ქვეითი მეომარი შუბით განგმირავენ თავის მსხვერპლს, რომელიც ჭვეტილი მუზარადით, ფარითა და მახვილითაა გამოსახული). იმავე სარტყელზეა ირმებსა და მთის თხებზე ნადირობის სცენა. შუა ფრიზზე მამაკაცთა ფერხული და ფრინველების მსვლელობაა გამოსახული. მესამე ფრიზზე შევრნებია. ქვევრის სულ ქვედა ნაწილი სამმაგი სარტყლითაა შემკული. სამადლოს მოხატული კერამიკა ძვ.წ. IV-III სს-ის იბერიის მატერიალური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო შესანიშნავი კომპონენტია. ის სრულიად უეჭველად ადგილობრივაა დამზადებული, მაგრამ იმავე დროს აშკარად ატარებს აღმოსავლურანატოლიური, კერძოდ, გვიანფრიგიული გავლენის კვალს [1670, I, გვ. 75] და შესაძლოა იყოს კიდევ ერთი მოწმობა ამ ტერიტორიაზე მესხთა განსახლებისა, რომელთაც, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ზოგიერთი მოხატული კერამიკის აღმოსავლეთ ანატოლიაში გავრცელებას მიაწერს.



სურ. 222. ძვ.წ. IV-III სს-ის კერამიკა. სამადლოს ნაქალაქარი [1670]

ცალკე ჯგუფს ქმნიან დოქები და შედარებით მოზრდილი ორყურა ჭურჭელი, რომელიც თეთრი სარტყლითაა შემკული. ზედაპირის მოსართავად აქ გამოყენებულია ავრეთვე ჩაჭრილ-ჩაჭდეული ან რელიეფური სამკაული.

სამადლოს თიხის ნაწარმის საგანგებო პეტროგრაფიულმა ანალიზმა ცხადყო, რომ ჭურჭელიცა და კრამიტიც დამზადებულია ერთი და იმავე თიხისაგან, რომლის კარიერები დადასტურებულია სამადლოსა და ქსანში [1615, გვ. 38-45].

ზემოაღწერილი ტიპის კერამიკა მრავლადაა წარმოდგენილი ქართლის იმავდროულ ნაქალაქარებზე [1670, გვ. 76-85].

სამადლო-ნასტაკისის დასახლება წარმოგვიდგება აგრეთვე, როგორც მსხვილი სავაჭრო ცენტრი, რასაც მოწმობს აქ აღმოჩენილი იმპორტული ნაკეთობანი, მათ შორის მცირეაზიული შავლაკიანი და წითელლაკიანი კერამიკა [1559, გვ. 23].

ფუნქციონალურ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით, რამდენადმე განსხვავდება „ციხია-გორა“ – მდ. კავთურას ხეობაში სოფ. კავთისხევთან, სამადლო-ნასტაკისიდან სულ ათიოდე კმ-ის დაცილებით. „ციხია-გორა“ ყორღანისებური დიდი ზომის ბორცვია. არქეოლოგიური გათხრების დაწყებამდე მისი სიმაღლე 12 მ-ს აღწევდა, საერთო ფართობი კი 40 × 100 მ²-ს. გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ეს ტერიტორია ჯერ კიდევ აღრებრინჯაოსა და შემდეგ გვიანბრინჯაოს ეპოქებში ყოფილა დასახლებული. მერმე

შეინიშნება ერთგვარი წყვეტილი, ხოლო ძვ.წ. IV-III სს-ში აქ შენდება მეტად საინტერესო და რთული არქიტექტურული კომპლექსი, რომლის ირგვლივ ჩნდება დასახლება თავისი სამაროვნით.

„ციხია-გორას“ კულტურული ფენების სიმძლავრე ზოგიერთ ადგილას 5 მ-მდე აღწევს. გათხრების შედეგად ჩნდება საკმაოდ რთული გეგმარების სატაძრო არქიტექტურული კომპლექსი, რომლის შესწავლა ჯერ დამთავრებული არაა (სურ. 223).

შედგება 8 სათავსისაგან, რომელთაგან 6 – მარცვლეულის შესანახად იყო განკუთვნილი.

ჩრდილოეთი მხრიდან ტაძარს ეკვრის ორსართულიანი სწორკუთხა მოყვანილობის (18 მ × 4,5 მ) შენობა, რომლის პირველი სართული (3,5 მ სიმაღლისა) ქვითაა ნაგები, ხოლო მეორე (1,5 მ სიმაღლემდე გადარჩენილი) – ალიზ-აგურით. სართულშორისი გადახურვის ნაშთები აღმოჩენილია ქვის კედელზე. დასავლეთ კედელთან გამართულ კართან ალიზ-აგურით სამი კვადრატული ხარაო ამოშენებული. ერთ-ერთ მათ-



სურ. 223. ციხია-გორა. ძვ.წ. IV-III სს-ის ნაქალაქარის გეგმა: 1. ტაძარი, 2. საკურთხეველი, 3. მზღუდავი კედელი, 4. კოშკები, 5. თონე, 6. საცხოვრებელი, 7. მარანი, 8. „წისქვილი“ (გ. ცქიტიშვილის გათხრები) [1717]

ბორცვის წვერი გარშემორტყმული იყო 1,5 მ სისქის კედლით, რომელიც ბზენარევი ალიზ-აგურითაა ამოყვანილი და შიდა მხრიდან მოპირკეთებულია. ბორცვის შემოზღუდული ფართობის ცენტრალური ნაწილი უკავია თითქმის კვადრატული ფორმის (8 მ × 7,5 მ) ტაძარს, რომელიც საგანგებო კედლითაა შემოზღუდული. ტაძარსა და მზღუდავ კედელს შორის გამართულია სათავსოები, რომლებშიც აღმოჩენილია ჯვრისებური რელიეფურგამოსახულებიანი თიხის დისკოები და აგრეთვე თიხის შეკიდული ბეჭდები (ბულა). როგორც ტაძრის, ისე მზღუდავი კედლები თითქმის 4,25 მ სიმაღლეზეა გადარჩენილი. 2 მ-ის სიმაღლემდე ისინი ამოყვანილია ქვის ფილებით, ხოლო შემდეგ – ალიზ-აგურით. ტაძრის ეზოში აღმართულია ქვით ნაგები კვადრატული ფორმის საკურთხეველი.

ტაძრის ზღუდე-კედელს აღმოსავლეთის მხრიდან ეკვრის „წმინდა ბეღელი“, რომელიც განში აღმოჩენილია ქერის დანახშირებული მარცვლები, ხოლო დანარჩენ ორში – პატარა ზომის ქვევრები. ერთ-ერთი სათავსოს ალიზის კედლის ნანგრევებში ნაპოვნია ხბოს პროტომების (თავისა და მკერდის) გამოსახულებებით დაგვირგვინებული კაპიტელი (სურ. 224), რომელიც მოგვაგონებს ცნობილ აქემენიდურ სვეტისთავებს სუზიდან.

ზემოხსენებული ერთ-ერთი სათავსოს კედელთან გამართული ყოფილა 4 თონე; სხვა სათავსოში (სურ. 223) აღმოჩნდა ქვის 30 ხელსაფქვავი, რაც იმის მოწმობადაა მიჩნეული, რომ აქ იყო ტაძრის „წისქვილი“, სადაც ხელით მუშაობდნენ.

საგანგებოდაა აღსანიშნავი კიდევ ერთი სათავსო (სურ. 223), სადაც საწნახელი და მიწაში ჩადგმული 20 მოხატული საღვინე ქვევრია აღმოჩენილი, ე.ი. აქ საქმე გვაქვს ტიპიურ მარანთან, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში დღემდეა შემონახული.

ყველა შენობაში იატაკი თიხატკეპნილია, კედლები – მობათქაშებული. სახურავად გამოყე-

ნებულია კრამიტი, ზუსტად ისეთივე, როგორც სამადღო-ნასტაკისში. საერთოდაც, მშენებლობის ტექნიკა და მოლიანად მატერიალური კულტურა ძალიან ახლოსაა სამადღო-ნასტაკისის ნაქალაქართან (დაწვრ. იხ. [1707], [1717], [1607]).



სურ. 224. ქვის კაპიტელი (სვეტისთავი). ძვ.წ. III ს. ციხიაგორა (1717], [1566])

„ციხია-გორას“ ფუნქციის შესახებ სხვადასხვაგვარი მოსაზრებებია გამოთქმული. ერთნი განიხილავენ მას, როგორც „ციხე“-ს (ციხე-ქალაქს) – ადმინისტრაციულ ცენტრს ერთ-ერთი იმ ოლქისა, რომელიც აქემენიდური ირანის XVIII სატრაპიაში შედიოდა [1707, გვ. 92]. მაგრამ „ციხია-გორას“ წარმოქმნის დროისათვის (ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი და III ს-ის დასაწყისი) აქემენიდური ირანი უკვე განადგურებულია და მისი სატრაპიებიც დაშლილია. ამიტომაც ზემომოტანილი მოსაზრება დამაჯერებელი ვერაა. იქნებ უფრო მართებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ „ციხია-გორა“ წარმოადგენდა იბერიის (ქართლის) ერთიანი სამეფოს წარმოქმნამდე ჩამოყალიბებული ერთ-ერთი პოლიტიკურ-ეკონომიკური ტერიტორიული ერთეულის (კავთისხევის?) რელიგიურ და პოლიტიკურ ცენტრს [1670, გვ. 21].

მართლაც, მთელი კომპლექსი სადაც მოწინავეობს ტაძარი თავისი ბეღლით, პურსაცხობებით, მარნითა და ა.შ., ძალზე წააგავს ძველ აღმოსავლეთში ფიქსირებულ სიტუაციას, როდესაც სასოფლო თემები ტაძრის ირგვლივ ერთიანდებოდნენ და რაც საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში სატაძრო თემების გადმონაშთებითაცაა საკმაოდ თვალსაჩინოდ ილუსტრირებული [359-361].

ზემოაღწერილი ნამოსახლარები და მათი თანადროული სხვა ნამოსახლარები და სამაროვნები მდ. მტკვრის ორსავე ნაპირზეა განლაგებული, ძირითადად მდ. ქსნისა და არაგვის ორმდინარეში. ჯერჯერობით აღმოჩენილი არაა ძვ.წ. IV-III სს-ის ქალაქური დასახლება მცხეთაში,[276] რომელმაც, ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, ითქვა დიდი როლი შეასრულა ქართლის ცალკეული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანების პროცესში და შემდეგ მისი დედაქალაქიც გახდა [1544], [1610, გვ. 445-455]. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროისათვის (ე.ი. ძვ.წ. IV-III სს-ში) დღევანდელ მცხეთასა და მის მიდამოებში ვრცელი დასახლებების არსებობას მოწმობს ორი სამაროვანი: ერთი – კამარახევში (წიწამურთან ახლოს, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე), ხოლო მეორე – მუხათგვერდში (მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მცხეთიდან აღმოსავლეთით 10 კმ-ის დაცილებით).

კამარახევის სამაროვანზე სამი ტიპის სამარხებია დადასტურებული: ორმოსამარხები (ქვის ფილებით, მიწაყრილით ან ქვაყრილებით გადახურული), ქვაყრილება და სამარხები, რომელთა კედლები ქვიშაქვის ფილებითა და რაყის ქვებითაა ამოყვანილი. ძირითადად ესაა ინდივიდუალური სამარხები. მიცვალებული დასვენებულია მოკრუნჩხულ მდგომარეობაში მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე. თავი დადებული აქვს ქვის ფილაზე („ბალიშად“ განკუთვნილი). სამარხეული ინვენტარი მრავალფეროვანია, თუმც გვხვდება უინვენტარო სამარხებიც, ძირითადად ბავშვებისა. ზოგიერთ შემთხვევაში სამარხების ირგვლივ ფიქსირდება დამსხვრეული ჭურჭელი და ცხოველთა ძვლები, რაც აღაპის წესის ნაშთებადაა მიჩნეული.

თიხის ჭურჭელი ძირითადად სწრაფმბრუნავი ჩარხის გამოყენებითაა დამზადებული. ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც, შედარებით ღარიბულ სამარხებში გვხვდება ხელით ნაძერწი კერამიკაც. თიხის ჭურჭელი მეტწილად წითლად ან მონაცრისფროდაა გამომწვარი (შედარებით მცირერიცხოვანია შავი ფერის კერამიკა) და უორნამენტოა (მხოლოდ იშვიათად გვხვდება ორიბი ჭდეების გამოსახულება). რამდენადმე განცალკევებულ ჯგუფს ქმნიან დოქები, რომელთა ღია ფერის ზედაპირი წითელი საღებავით მოხატული სამკუთხედებითაა მორთული.

განსაკუთრებით დამახასიათებელია მრგვალპირიანი ან სამბუჭა მსხლისებურტანიანი დოქები, ქოთნები და ტოლჩები, ბრტყელძირა ან სამფეხა ჯამები.

იარაღი წარმოდგენილია რკინის საკვეთლებით და მახვილებით, ისრისპირებითა და მასრაგახსნილი შუბისპირებით. საკმაოდ მრავალრიცხოვანია ცალპირა მოხრილი დანები.

მრავალგვარია სამკაულიც: ბრინჯაოს ზურგშეზნექილი სამაჯურები (რომელთა ბოლოები შესქელებულია ან გველის თავის სტილიზებული გამოსახულებებითაა მორთული), ცილინდრულ და კონუსისებურთავიანი საკინძები, ზარა-

[276] მცხეთისა და მისი მიდამოების ერთი რიგი ძეგლების (ე.წ. „არმაზისციხე I“) ადრე მიღებული დათარიღება ძვ.წ. IV-III სს-ით [1545, გვ.25], [1661, გვ. 34] ამჟამად მცდარადაა მიჩნეული [1670, I, გვ. 102]; [1558, გვ. 21-22], [1598].

კები, მშვილდსაკინძები, მძივები, ბეჭდები, აგრეთვე მინისა და სარდიონის მძივები [1630].

თანადროული სამაროვნები დადასტურებულია აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებშიც [1630, გვ. 39-52]. შედარებით კარგადაა შესწავლილი ქვემო ქართლის სამაროვნები (მაგ. კუშჩის, გომარეთისა და სხვ. [1671], [1572], [1573]). სამარხებად ძირითადად ქვაყუთები გამოყენებული. მიცვალებული ჩასვენებულია მოკრუნჩხულ პოზაში. ზოგჯერ (თუმც იშვიათად) დასტურდება წყვილადი დაკრძალვაც. ქვაყუთებთან ერთად გვხვდება ორმოსამარხებიც.

ქვაყუთების სამარხეული ინვენტარი საკმაოდ მრავალფეროვანია. კერამიკის ძირითადად სახეობანია ღოქები (მრგვალძირა ან სამტუჩა, ყურმილიანი), ჯამები (რომელთა შორის გამოიყოფა ცალყურა, სადინარიანი ჯამები), ქოთნები (ცალყურა ან უყურო) და სხვ.

ძვ.წ. IV-III სს-ში ქვაყუთებთან ერთად აღმოსავლეთ საქართველოში ვრცელდება აგრეთვე (ისევე როგორც ძველი კოლხეთის აღმოსავლეთ ოლქებში) მიცვალებულთა ქვევრში დაკრძალვის წესიც.[277] ძვ.წ. IV-III სს-ის ქვევრსამარხები აღმოსავლეთ საქართველოში ჯგერჯგრობით დადასტურებულია ქვემო ქართლსა [1554], [1587] და აგრეთვე შიდა ქართლში მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე („ციხია-გორიდან“ 300-იოდე მის დაცილებით მდებარე ბორცვზე, რომელსაც „დაჭრილები“ ჰქვია [1619]).

სამარხი-ქვევრები ჰორიზონტალურ მდგომარეობაშია მიწაში ჩადგმული, თუმც გვხვდება ვერტიკალურად მდგარიც. ქვევრები დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან და გამომწვარია წითლად ან მოყვითალოდ. ყელი ზოგჯერ შემკულია ნაჭდევი ორნამენტით. გვხვდება წითლად მოხატული ქვევრებიც. მიცვალებული ქვევრში მოკრუნჩხულ პოზაშია ჩასვენებული. ინდივიდუალურთან ერთად გვხვდება წყვილადა და აგრეთვე კოლექტიური დაკრძალვაც (საოჯახო სამარხები). სამარხეულ ინვენტარს შეადგენს თიხის ჭურჭელი, ლითონის სამკაული და ქვისა თუ ვამჭვირვალე მინის მძივები.

ზემოაღწერილი სამარხები (ქვაყუთები, ქვასამარხები, ორმოსამარხები) ეკუთვნიან რიგით მეთემეებს. მათ ფონზე მკვეთრად გამოირჩევა მმართველი ზედაფენის – საგვარეულო არისტოკრატიის სამარხები. ასეთები ამჟამად ცნობილია ახალგორიდან[278] [1702], ყანჩაეთიდან [1562], ციხიაგორიდან [1717] და ალგეთიდან [1573], [1572]. ისინი ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრითა თუ III ს-ის დასაწყისით თარიღდებიან.[279] ეს სამარხები შეიცავენ მეტად მრავალრიცხოვან ოქროსა და ვერცხლის სამკაულებს. ასეთებია: ხატისუღლები (საკისრე რგოლები), ყელსაბამები, საყურეები და სასაფეთქლეები, ბეჭდები, მრავალფერივანი ბალთები, აგრეთვე ცხენის აკაზმულობის ნაწილები (ვერცხლისა და ბრინჯაოს ლაგმები, მთვარისებური საკიდები და სხვ.). მათი უმრავლესობა წარმოადგენს საუკეთესო ხელოვნების ნიმუშებს, რომელთაგან ზოგიერთი უთუოდ კოლხური ოქრომჭედლობის გავლენითაა შექმნილი. ასეთებია, მაგ., შეწყვილებული რაშების გამოსახულებიანი ოქროს სასფეთქლეები, რომელნიც კოლხური სამკაულების მსგავსად ვარდულითაა შემკული (სურ. 225).[280]

---

[277] ზემოთ (კარი III, § 6) ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ქვევრსამარხების გავრცელება შესაძლოა დაკავშირებული იყოს ძველი კოლხეთის აღმოსავლეთ ოლქებსა და აღმოსავლეთ საქართველოში მესხების განსახლებასთან. მესხთა წინაპარი მუშკები ახლო კონტაქტში იყვნენ ხეთურ-ანატოლიურ სამყაროსთან, სადაც მიცვალებულთა ქვევრში დაკრძალვა უძველესი დროიდანაა დადასტურებული.

[278] ე.წ. „ახალგორის განძის“ შემადგენელი ნივთების დეტალური ფუნქციონალური ანალიზი (იხ. [1702]) გვიჩვენებს, რომ ისინი ტიპიურ სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენს: თავსამკაული (დიადემა, საყურეები და სასაფეთქლეები), ხელის მორთულობა (სამაჯურები, ბეჭდები), ტანსამოსის და სუდარის მოსართავი, „იმქვეყნიური ცხოვრებისათვის“ აუცილებელი ნივთები (თიხისა და ლითონის ჭურჭელი), ცხენის აკაზმულობა.

[279] ესენია ე.წ. „ახალგორის ტიპის“ ძეგლები, რომელთაც ადრე ძვ.წ. VI-V ან V-IV სს-ით ათარიღებდნენ (შდრ. [1562, გვ. 69]), მაგრამ ახალი აღმოჩენების საფუძველზე ასეთ დათარიღება საეჭვოა. „ახალგორის განძში“ მართლაცაა ე.წ. აქემენიდური კულტურის ტიპიური ნივთები, მაგ. ოქროს მრგვალი საყურეები [1702, №№ 24-25], რომელნიც აქემენიდურ საჭურჭლეში გვხვდება ძვ.წ. V-IV სს-ის კომპლექსებში (დე ჰუიუკი, ნეირაბი, ბაბილონი, სუზა, ფასარგადი), მაკ ამ საქართველოში ისინი ადრეელინისტური ხანის კომპლექსებშია დადასტურებული (საირხე [1189, გვ. 72, ტაბ. XXIV], შავსაყდარა და ენაგეთი [1605, გვ. 56-57, 65-66; ტაბ. XI, 5; XVIII, 7; XXIV, 4], შავსაყდარა II [1605]. ახალგორის ვერცხლის ფიალები, თუმც ეკუთვნიან ძვ.წ. V-IV სს-ში ფართოდ გავრცელებულ ტიპებს [1702, № 63-64], მაგრამ ბრტყელი ფიალები (№ 61-62) და მათი ორნამენტაცია ახლო პარალელს ადრეელინისტური ხანის ჭურჭელში პოულობს. „ახალგორის განძის“ დათარიღებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ცხენის აკაზმულობის ნაწილებს (მაგ. ლაგამს [1702, გვ. 53-54] და მთვარისებურ საკიდებს პირდაპირი ანალოგიები აქვთ ძვ.წ. IV-III სს-ით დათარიღებულ სამარხებში ვანიდან [1121, გვ. 23-24] და საირხედან [1189, გვ. 55, 77-78] და ბოლოს, „ახალგორული ტიპის“ ძეგლების ადრეელინისტური ხანით დათარიღებას მხარს უჭერს ციხიაგორაზე აღმოჩენილი მდიდრული სამარხი, რომელიც თარიღდება არაუადრეს ძვ.წ. III ს-ისა და შეიცავს ახალგორულის მსგავს ორნამენტირებულ ფირფიტას [1717, გვ. 96-97, სურ. 20]).

[280] არა მხოლოდ ვარდული, არამედ სასაფეთქლე რგოლის წინა ნაწილის ზედაპირის მორთვა ცვარათი გამოყვანილი სამკაუთხედებით აგრეთვე კოლხური ოქრომჭედლობისათვისაა ტიპიური და გვხვდება

სამკაულების ერთ ნაწილს აშკარად ეტყობა აქემენიდური ხელოვნების გავლენა. ასეთებია გავარსით მორთული საყურეები [1702, გვ. 21-23, №№ 24-25], [1597, გვ. 11, შენიშვნა 23] ან კიდევ საბეჭდავი-ბეჭდები, რომელთა ფარაკზე გამოხატულია ფრთოსანი ურჩხული, ფრთოსან რაშზე ამხედრებული მეომარი და სხვ. (დაწვრ. [1595, გვ. 43-45, 87-92]; [1152, გვ. 23 და შემდ. 116 და შემდ.]).[281]

ზემოთ ხსენებული სამარხები ეკუთვნიან ეკონომიკურად მდიდარსა და სოციალურად პრივილეგირებულ ადგილობრივ წარჩინებულ პირებს. ისინი ასახავენ იმ პერიოდის სოციალურ სტრუქტურას, როდესაც უკვე ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელი ტერიტორიულ-პოლიტიკური გაერთიანებანი, რომელთა სათავეში იდგა ადგილობრივი გვაროვნული არისტოკრატია. ვარაუდობენ, რომ ასეთი გაერთიანებები „ხევებად“ აწოდებოდნენ [425, გვ. 61 და შმდ.]. მათი ცენტრები მდინარეთა ხეობებში იყო განლაგებული, როგორც ამას მოწმობს ზემოთ ნახსენები მდიდრული სამარხების სერია (ახალგორი, ფანჩაეთი, „ცხიაგორა“, ალგეთი).



სურ. 225. ოქროს საყურეები. ახალგორი. ძვ.წ. IV ს. [1702]

ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრისა და III ს-ის დასაწყისის საყურეებსა და სასადეთლეებზე [1121, გვ. 16, სურ. 9].

[281] საბეჭდავი-ბეჭდების გამოყენება მოწმობს კერძო საკუთრების განვითარებას. ოქროსა და ვერცხლის საბეჭდავი-ბეჭდები მათი მფლობელის მაღალ სოციალურ მდგომარეობაზე მიუთითებენ. ბეჭდებს წარჩინებული პირების გარდა საზოგადოების რიგითი წევრებიც ხმარობდნენ, რასაც მოწმობს ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავების სერიული წარმოება (დაწვრ. [1594], [1686]). უკანასკნელ ხანებში ზოგიერთი მკვლევარი ცდილობს ეს საბეჭდავები ძვ.წ. I ს-ითა და შემდგომი ხანით დაათარიღოს [1668], მაგრამ ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავების აღმოჩენა კარგად სტრატიფიცირებულ სამარხებში [1573, გვ. 159] მხარს უჭერს ადრე გამოთქმულ მოსაზრებებს (შდრ. [1686], [1594], [1598, გვ. 161], [1595, გვ. 104-121, 151].

არქეოლოგიური მასალები ასახავენ აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ ოლქებს შორის ურთიერთკავშირების გაცხოველებას, რაც აჩქარებდა ეკონომიკური და პოლიტიკური კონსოლიდაციის პროცესს. შეინიშნება ცალკეული ოლქების ლოკალური მატერიალური კულტურის თანდათანობითი ნიველირება და ძვ.წ. IV ს-ის დასასრულსა და III ს-ში უკვე რამდენადმე ერთგვაროვანი მატერიალური კულტურის ჩამოყალიბება დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რაც გარკვეულ წილად შესაძლოა იყო შედეგი ერთ პოლიტიკურ ორგანიზმში გაერთიანებისა. იქმნებოდა ერთიანი აღმოსავლურქართული სახელმწიფო – ძველი ქართული წყაროების ქართლის სამეფო, რომელსაც ბერძენ-რომაელი მწერლები „იბერიას“ უწოდებდნენ.[282]



სურ. 226. ოქროს საყურეები. ახალგორი. ძვ.წ. IV ს. [1702]

2. ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა

ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია („ქართლის ცხოვრებასა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში შემონახული) თვალსაჩინოდ ასახავს იმ ცხარე ბრძოლას, რომელიც გაიმართა ცალკეულ არისტოკრატიულ გვარებს შორის ქართლში უზენაესი ხელისუფლებისათვის. აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულთა ხელისუფალნი ამ ბრძოლაში დასახმარებლად გარეშე ძალასაც მიმართავდნენ. ასე მაგ., ჯერ აღმოსავლეთ საქართველოს იმ სამხრეთ ოლქის მმართველმა, რომელიც

[282] მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის ერთიანობა ძვ.წ. IV ს-ის დასასრულსა და III ს-ში, როგორც უკვე ვნახეთ, თვალსაჩინოდ ასახული დაკრძალვის წესებში, კერამიკაში, სამკაულებსა და ა.შ. (დაწვრ. [1094], [1573]). სავანგებოდ უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი ფაქტი: მოხატული ჭურჭელი, რომელიც ადრე მხოლოდ შიდა ქართლისთვის იყო სპეციფიკურად მიჩნეული, უკანასკნელ წლებში ჩნდება, როგორც ქვემო ქართლში (არქეოლოგ ნ. თუშიშვილის გათხრები ს. არადეთში), ასევე ქართლის ჩრდილოეთ ოლქებშიც – არაგვის ხეობაში (არქეოლოგ რ. რამიშვილის გათხრები ს. ფინვალში).

ოდესღაც ირანის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა და ამიტომაც „არიან ქართლად“ (ე.ი. ირანის ქართლად) იწოდებოდა, შესძლო პონტოს სამეფოს მხარდაჭერით თავისი გავლენა გაევრცელებინა მდ. მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე მიწა-წყალზე. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობით, ალექსანდრე მაკედონელმა ქართლის გამგებლად დანიშნა „აზო, ძე არიან ქართლისა მეფესაჲ“. ამის შემდეგ „აზოჲ წარვიდა არიან ქართლად, მამისა თვისისა და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამამძუძეთანი“ [65, გვ. 81]. აკად. გ. მელიქიშვილის მტკიცებით, ეპითეტი „არიან“ უნდა ნიშნავდეს „ირანისას“ (ძველი სპარსული „არიან“). „არიან ქართლი“ კი უნდა აღნიშნავდეს სამხრეთ ქართულ იმ პროვინციებს, რომელნიც აქემენიდური იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ [441, გვ. 276-380], [1609, გვ. 443].[283] ძველი ქართული საისტორიო ქრონიკა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ არიან-ქართლის მეფის ძეს აზოს ქართლის „პირველ მეფეს“ უწოდებს, თუმც ოფიციალური ვერსია („ქართლის ცხოვრება“) მას ასეთად არ აღიარებს, რამდენადაც იგი ქართლში უცხო ძალის (ბერძენთა) მეოხებით მოვიდა როგორც დამპყრობელი: „... მონებდა იგი ბიზანტიოსს, მეფესა საბერძნეთისასა. იყო კაცი ძნელი და მესისხლე, და ესე დააწესა და ამცნო სპათა მისთა, ვითარმედ: „ყოველმან ქართველთაგანმან რომელმან პოვოს საჭურველი, მოჰკალთ იგი“. და ჰყოფდეს ჰრომნი იგი ესრეთ ქართველთა ზედა, და ვინცავინ გამოჩნდეს ქართველთაგანი ქმნულ-კეთილი და ასაკოვანი, მოკლან იგი. და იყო ჭირი დიდი ნათესავსა ზედა ქართველთასა“ [268, გვ. 20]. მაგრამ გარეშე ძალაზე დამყარებული აზოს ბატონობა ქართლში დიდხანს არ გაგრძელებულა. ქვეყანაში იფეთქა აჯანყებამ, რომელსაც სათავეში ედგა მცხეთის წარჩინებული გვარის წარმომადგენელი – ფარნავაზი – „მამულად ქართლელი, კაცი გონიერი, მხედარი შემართებული“. და „მაშინ ყოველნი ქართველნი განუდგეს აზონს და მოვიდეს წინაშე ფარნავაზისი“ [268, გვ. 20-23]. ბრძოლა იყო უთუოდ ცხარე და ულმობელი, რასაც შესაძლოა მოწმობდეს სამადლოს, „ციხია-გორას“ და სხვა ნაქალაქარებსა თუ ნამოსახლარებზე ფიქსირებული ძლიერი ნგრევისა და ხანძრის ნაშთები. აჯანყება ქართველთა გამარჯვებითა და ფარნავაზის გამეფებით დამთავრდა. ფარნავაზის გამეფების თარიღად ძვ.წ. 284 წ-ია მიჩნეული, რაც ქართული ეროვნული წელთაღრიცხვის დასაწყისიცაა (და გამოსავალი თარიღი ქორონიკონისა [1584, გვ. 312-316]).[284]



სურ. 227. ოქროს საყურეები. ახალგორი. ძვ.წ. IV ს. [1702]

ქართული ოფიციალური საისტორიო ტრადიციის თანახმად (რომელიც „ქართლის ცხოვრებაშია“ წარმოდგენილი), „ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლისა“ [268, გვ. 26], რომელმაც სათავე დაუდო ფარნავაზიანთა დინასტიას (შდრ. [268, გვ. 29_{13}, 31_{10}, 59_{17} და სხვ.]; იხ. აგრეთვე სომეხი ისტორიკოსის ფავსტოს ბიზანტიელის „სომხეთის ისტორია“ (V, 15).

ძველმა ქართულმა საისტორიო ტრადიციამ [268, გვ. 24-25] შემოგვინახა მეტად საყურადღებო ცნობები ქართლის პირველი მეფის მიერ განხორციელებული რეფორმების შესახებ, რომლებშიც ფიქსირებულია სახელმწიფოს ყველა არსებითი ნიშანი: ტერიტორიული დანაწილება („განაწესნა ერისთავნი რვანი“), საჯარო ხელისუფლება[285] („დაადგინა სპასპეტი... (რომელიც) შემდგომადვე წინაშე მეფისა, მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა. ხოლო ამათ ერისთავთა ქუეშე, ადგილთა და ადგილთა, განაჩინნა სპასალარნი და ათასისთავნი„) და აგრეთვე

[283] ამ ცნობაში მეტ-ნაკლებად რეალური სურათი უნდა იყოს წარმოდგენილი. ცნობილია, რომ აქემენიდური იმპერიის დანგრევის შემდეგ მისი სატრაპების ერთი ნაწილი ჩრდილოეთისაკენ გაიქცა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აზოც ერთ-ერთი იმათგანი იყო. საფიქრებელია, რომ აზომ და მისმა თანმხლებმა „მამა-მძუძეთანმან“ თან მოიტანეს საგვარეულო მდიდრული სამკაულიც. მაშინ გასაგები გახდება ძვ.წ. IV-III სს-ის (ე.ი. აზოს დროინდელი) ქართლის მდიდრულ სამარხებში (ახალგორი, ყანჩაეთი და სხვ.) უფრო ადრეული, ძვ.წ. V-IV სს-ის ტიპიური აქემენიდური სამკაულის აღმოჩენა.

[284] ფარნავაზი რომ რეალური, ისტორიული პიროვნება იყო და მისი რეფორმებიც რეალურად განხორციელებული, ფაქტია. დაწვრ. იხ. [1597, გვ. 20-21, შენიშვნა 28]. ძალზე დიდ ინტერესს იწვევს „არმაზის ბილინგვის“ არმაზული ტექსტის მე-7-8 სტრიქონების ახლებური ინტერპრეტაცია, რომლის ავტორები აქ ვარაუდობენ მეფე ფარნავაზის ან ფარნავაზიანთა (როგორც დინასტიის) სახელის მოხსენებას ([277], [297], შდრ. რამდენადმე განსხვავებული მოსაზრება [291, გვ. 36: „...ხომ არ იგულისხმება არა მეფე ფარნავაზი, არამედ წარწერის თანადროული ქართლის მმართველი სპასპეტი ფარნავაზი?“).

[285] ამ დროისათვის საჯარო ხელისუფლების უმთავრესი ორგანოს – სასამართლოს გამოყოფაზე, ჩვენის აზრით, მიუთითებს სტრაბონის ცნობაც იმის შესახებ, რომ მართლმსაჯულება იბერთა მეფის ფუნქციაა (XI, 3,6) (შდრ. [1596, გვ. 375]).

გადასახადების დაწესება („ხარკი სამეფო და საერისთავო“).[286]

ფარნავაზმა ქართლის სამეფო წყობილების თითქოს ელინისტური სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელი ელფერი მისცა. შესაძლოა, სწორედ ამას გულისხმობდეს ცნობა „ესრეთ განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსისასა“[287] [268, გვ. 25]. მთელი სახელმწიფო დაყოფილ იქნა 8 ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ და სამხედრო ერთეულად, რომელთაც საერისთავო ეწოდებოდა. მათ სათავეში იდგნენ ადგილობრივი გვაროვნული არისტოკრატიის წარმომადგენლები, რომლებიც ამიერიდან სახელმწიფო მოხელეებად იქცნენ.



სურ. 228. ოქროს სამკაული ცხენის მოსართავად. ძვ.წ. IV-III სს. [1702]

ფარნავაზის მიერ შექმნილი სახელმწიფოს შინაგანი სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის წარმოსადგენად უაღრესად დიდმნიშვნელოვანია ცნობა – „განაწესა ერისთავნი რვანი და სპასპეტი... ხოლო ამათ ერისთავთა ქუეშე, ადგილთა და ადგილთა განაჩინნა სპასალარნი და ათისთავნი, და მათგან ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეფოო და საერისთავო“ [268, გვ. 25]. წყაროს ცნობა აქ უნდა გულისხმობდეს ქვეყნის არა მხოლოდ სამხედრო ერთეულებად დაყოფას, არამედ ფისკალურ-ადმინისტრაციულ ერთეულებად – საათასისთავოებად, საიდანაც მოვიდოდა „ხარკი სამეფოო“. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძველი ქართლის ათასისთავი და მის ხელთ დაქვემდებარებული ფისკალური ერთეული შეესაბამებოდა სელევკიდების სარიასა და ელინისტურ არხაში არსებულ „ხილიარხებს“, ე.ი. „საათასისთავოებს“, სადაც მოსახლეობას შეჰქონდა სამეფო გადასახადი, ისევე როგორც ქართლში – „ხარკი სამეფოო“.[288] ჩვენ შორს ვართ, რა თქმა უნდა, იმ აზრისაგან, თითქოს ფარნავაზმა მექანიკურად გადმოიღო ელინისტური სახელმწიფოს წყობილების ფორმები ქართლში. აქ საქმე ეხება ისტორიულად ჩამოყალიბებული ადგილობრივი ვითარებისთვის[289] იმდროინდელი მოწინავე სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი ელფერის მიცემას მხოლოდ.

ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ ჩვენც ფარნავაზის მიერ საკუთარი კულტის დაწესება: „მანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელისა ზედა თჳისსა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა. ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა და მიერითგან ეწოდა არმაზი კერპისა მისთჳს. და ქმნა სატფურება დიდი კერპისა მისთჳს აღმართებულისა“ [268, გვ. 25].[290] ძველქართულ წყაროებში („მოქცევაჲ ქართლისაჲ“) შემონახულია ამ კერპის აღწერილობაც: „დგა კაცი ერთი სპილენძისა, და ტანსა მისსა ეცუა ჯაჭჳ ოქროისა, და ჩაფხუტი ოქროისა, და სამხარნი ესხნეს ფრცხილი და ბივრტი, და ხელსა მისსა აქუნდა ხრმალი ლესული, რომელიც ბრწყინავდა და იქცეოდა ხელსა შინა, რეცა თუ რომელი შეეხებიან, თავი თჳისი სიკუდილ განაწირის...

სურ. 228. ოქროს სამკაული ცხენის მოსართავად. ძვ.წ. IV-III სს. [1702]

[286] შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ შემონახული ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია ამ შემთხვევაში ისეთივე დიდი მნიშვნელობისაა ქართველთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის ისტორიისათვის, როგორც ძველი საბერძნეთისათვის ისტორიული ტრადიცია კლისთენეს მიერ ატიკის ტერიტორიულ ფილებად დაყოფის ან კიდევ ტრადიცია სერვიუს ტულიუსის მიერ რომის ტერიტორიულ ტრიბებად დანაწილების შესახებ!

[287] შეიძლება გვეფიქრა, რომ ამ ცნობაში იგულისხმება პართიის ელინისტური სამეფო, მაგრამ უკანასკნელი სელევკიდების სახელმწიფოს გამოეყო ძვ.წ. 247 წ., ე.ი. რამდენიმე ათეული წლით გვიან ქართლის სამეფოს შექმნის შემდეგ. ამიტომ საკარაუდებელია, რომ ლეონტი მროველის ცნობებში საერთოდ სელევკიდების სახელმწიფოა ნაგულისხმევი.

[288] საინტერესოა, რომ მეზობელ სომხეთშიც რამდენადმე მოგვიანებით, სამეფო შემოსავლის გამგებელი ავრეთვე „ხაზარაპეტად,“ ე.ი. ათასისთავად იწოდებოდა (იხ. [597, გვ. 22, შენიშვნა 35 და იქ დასახ. ლიტ.]).

[289] ქართლის სამეფოს შექმნამდე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც უკვე აღინიშნა, არსებობდა დამოუკიდებელი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულები (ხევი), რომელთა სათავეში იდგა ადგილობრივი გვაროვნული არისტოკრატია. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ეს ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთეულები აქცია ფარნავაზმა საერისთავოებად. ეს თვალსაზრისი ჩანს იქიდანაც, რომ ერთიანი სახელმწიფოს „ერისთავები“ არც თუ ადვილად შეეგუნენ ახალ სტატუსს და შემდგომ შეეცდებიან დამოუკიდებლობის მოპოვებას: ფარნავაზის გარდაცვალებისთანავე „ზრახეა ყუე ერისთავთა ქართლისათა და თქუეს: „არა კეთილ არს ჩუენდა, რათამცა ვმსახურებდეთ ნათესაჲსა ჩუენსა, ვიყნენთ ჩუენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვნენთ პირველ ...“ [268, გვ. 26].

[290] შდრ. „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი: „ფარნავაზმა.... შექმნა ერთი დიდი კერპი თავის სახელზე; იგი თვით არის არმაზი“ [268ა, გვ. 35].

და მარჯუულ მისა დგა კერპი ოქროისა, და სახელი მისი გაცი, და მარცხალ მისა კერპი ვერცხლისაი: და სახელი მისი გა“ ([65, გვ. 119]; შდრ. [98, გვ. 752]).

ამრიგად, ჩვენს წინაშე წარმოდგება უმაღლეს ღვთაებათა ტრიადა (არმაზი, გაც და გა//გაიმ),[291] რომლის სათავეშია არმაზი.[292] ეს ნიშნავდა არა მხოლოდ ახალი კულტის დაწესებას, არამედ ერთიან სახელმწიფოებრივ კულტს, რომელიც ამიერიდან უპირისპირდებოდა ლოკალურ სატომო თუ სათემო კულტებს [1703]. უმაღლესი ღვთაება – არმაზი თვით სახელმწიფოს უზენაეს მბრძანებელს განასახიერებდა. ელინისტური აღმოსავლეთის მონარქ-დესპოტთა მსგავსად, ქართლის პირველმა მეფემ თავისი თავი ღმერთად გამოაცხადა, მაგრამ ელინისტური მეფეებისაგან განსხვავებით, იგი რომელიმე ბერძენ ღმერთს კი არ განასახიერებდა, არამედ თვით ქართველთა უძველესსა და უზენაეს ღვთაებას! ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი: მეფის კულტის დაწესება ქართლის მეფის ხელისუფლების უზენაესობის შესახებ ქვეშევრდომთა შორის რწმენის განმტკიცებას ისახავდა მიზნად. ქართლის პირველი მეფე წარმოშობით ადგილობრივი ძლიერი არისტოკრატიული გვარისგანაა: იგი იყო „შვილი თავთა მათ ქართლისათა“ და ამიტომაც მართებდა მას სხვებზე „უფლობა“.[293]

ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია ფარნავაზს მიაწერს აგრეთვე „ქართული მწიგნობრობის“ ე.ი. ქართული დამწერლობის შექმნას. ახლა ჩვენ არ შევუდგებით ამ უაღრესად რთული სადისკუსიო საკითხის განხილვას, რაც ამ წიგნის „შესავალშია“ (§ 3) წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ენაზე წინაქრისტიანული ხანის წერილობითი ძეგლები ჯერ აღმოჩენილი არაა, მაინც უთუოდ მრავალმხრივაა საყურადღებო ცნობა: „ფარნავაზ განაგრცო ენა ქართული, და არდარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“ [268, გვ. 27]. ამ ცნობის თანახმად ჩანს, რომ ფარნავაზს ქართული ენა სახელმწიფო ენად დაუმკვიდრებია.

ამჯერად, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როდის შეიქმნა ფარნავაზის მოღვაწეობის ამსახველი საისტორიო თხზულება. არსებითი ისაა, რომ იგი გახდა ორგანული შემადგენელი ნაწილი „ქართლის ცხოვრებისა“, რომელიც ძველი ქართული ისტორიოგრაფიის ოფიციალური ძეგლია და მას სურს, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი ძალზე მარჯვედ შენიშნავდა, „სთქვას, რომ ფარნავაზის დროს და ფარნავაზის მეოხებით შეიქმნა ქართველთა სახელმწიფო, ქართული ტერიტორიით, ქართული ენით, ქართული წეს-წყობილებით (თუმცა ნასესხებით), ქართული სარწმუნოებით, ქართული მწიგნობრობით და ქართველი მეფით“ [1553, გვ. 157]. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შთამომავლობამ ფარნავაზის მოღვაწეობა აღიქვა, როგორც ქართული ცივილიზაციის დაბადება.

ძვ.წ. III საუკუნე – ფარნავაზისა და მისი უშუალო მემკვიდრეების[294] მეფობის პერიოდი, იყო იბერიის ძლიერების ხანა. ამ დროს იბერიის შემადგენლობაში მოქცეული იყო მთელი აღმოსავლეთ საქართველო (ქართლი, კახეთი, სამცხე, ჯავახეთი, კოლა, არტაანი, კლარჯეთი) და დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი ოლქები (აჭარა, არგვეთი, ეგრისი [1610, გვ. 455-458], [425, გვ. 455-458], [329, გვ. 76-97]). იბერიის პოლიტიკური გავლენა თანდათანობით ვრცელდებოდა აღმოსავლეთითაც – ალბანიის მიმართულებით: უკვე ძვ.წ. III ს-ში იბერიის შემადგენლობაში შედიოდის ისტორიული ჰერეთიც. იმავე დროს იბერიამ შესძლო ზოგიერთი მთიელი ტომების დამორჩილება და კავკასიონის მთავარ გადასასვლელებზე (დარიალის ხეობა და სხვ.) კონტროლის დაწესება. ამას კი ძალზე დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა: ქართლის სამეფოს მესვეურებს შესაძლებლობა ეძლეოდათ ალეკვეთათ მომთაბარეთა ჩრდილოეთიდან შემოსევა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათი მოკავშირეებად გამოყენება (დაწერ. [1620, გვ. 455 და შემდ.]).

ძვ.წ. III ს-დან იბერია თავის ძალაუფლებას ავრცელებს დასავლეთითაც. უკვე თავისი მეფობის პირველსავე წლებში ფარნავაზმა იბერიის საზღვარზე ააგო ორი ციხე-სიმაგრე: შორაპანი

[291] გამოთქმულია საყურადღებო მოსაზრება: ძველ-ქართულ წყაროებში ე.წ. „არმაზული ტრიადის“ აღწერილობა სტრუქტურული თვალსაზრისით იდენტურია ხეთური ღვთაების „აღწერილობის“, ე.ი. ძველ-ქართულ „აღწერილობას“ საფუძვლად უდევს ცირკულაციული (ანატოლიური) მოდელი [1569]. ეს ფაქტი საინტერესოა იმითაც, რომ კიდევ ერთი მოწმობაა ძველაღმოსავლური (ხეთურ-მცირეაზიული) კულტურული ტრადიციების მატარებელ აღმოსავლურქართული ტომთა – მესხების – მონაწილეობისა იბერიის სამეფოს შექმნაში.

[292] სახელის „არმაზ“ (ისევე როგორც გაც და გაიმ) შესახებ რამდენიმე თვალსაზრისი არსებობს, რომელთაგან უპირატესობას ანეგბენ იმ მოსაზრებას, რომლის თანახმად „არმაზ“ უნდა უკავშირდებოდეს ხეთურ-ლუვიურ სიტყვას „არმა(ს)“ – მთვარე [1381, გვ. 420-421]; [1569, გვ. 156], [1665].

[293] აზოს წინააღმდეგ აჯანყების წინ ეგრისის მმართველი ქუჯი ასე მიმართავს ფარნავაზს: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლობა ჩემი... შენ ხარ უფალი ჩუენდა და მე ვარ მონა შენი“ [268, გვ. 22]. „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში ეს პასაჟი ასეა წარმოდგენილი: „ქართლის სახლის პირველ მამასახლისთაგანი ხარ შენ...“ [268ა, გვ. 31].

[294] იბერიის მეფეთა ნუსხა ფარნავაზიდან მირიანამდე (ახ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი) დაწერ. იხ. [441, გვ. 47-62].

და დიმნა, რომელთაც უნდა შეექმნათ პლაცდარმი აღმოსავლეთ კოლხეთში იბერიის პოლიტიკური გავლენის დასამყარებლად.

იბერიის პირველი მეფეები (ფარნავაზი და მისი მემკვიდრეები – საურმაგი, მირიან I) წარმატებით იყენებდნენ სელევკიდების სახელმწიფოს მმართველთა დახმარებას, რომელნიც თვით იყვნენ დაინტერესებული თავიანთი ჩრდილოეთი საზღვრების დაცვასა და, შესაბამისად, იბერიასთან კეთილმეზობლობაში. სელევკიდების მმართველმა ანტიოქოს I ელინისტურ მონარქიებში მიღებული წესისამებრ ფარნავაზს „უწოდა შვილად თვისად, და წარმოსცა გვირგვინი“ [268, გვ. 23]. მაგრამ შემდგომ სელევკიდების სამეფოს დაცემის და პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგ, ძვ.წ. II საუკუნის I ნ-ის პირველი ნახევრის განმავლობაში იბერიამ დაკარგა მისი სამხრეთი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაწერ. [1610, გვ. 465-467]).

ელინისტური ხანის იბერიის სოციალურ-ეკონომიკური წყობის დეფინიცია უაღრესად რთულია და საკისკუსიო. ამის მიზეზია წერილობითი წყაროების სიმწირე. ძირითად წყაროდ მიჩნეულია იბერიის საზოგადოებრივი წყობის სტრაბონისეული აღწერილობა („გეოგრაფია“, XI, 3,6): „ქვეყანაში ადამიანთა ოთხი გვარი[295] მოსახლეობს. ერთი გვარია და პირველი, რომლისგანაც სხამენ მეფეებს: მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს, ხოლო მეორე მოსამართლეობს და მხედარმთავრობს. მეორე გვარია ქურუმების, რომელნიც ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე. მესამე გვარი არის მხედართა და მიწისმოქმედთა. მეოთხე გვარი არის ლაოების, რომლებიც სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო. საზოგადო აქვთ მათ ქონება ნათესაობისდა მიხედვით. მართავს და განაგებს თითოეულს უხუცესი“. ამ ცნობის ცალკეული ადგილების ინტერპრეტაცია საკმაოდ რთულია, რის გამოც სპეციალისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. აშკარაა, რომ სტრაბონის ეს ცნობა საკმაოდ არქაულ ვითარებას ასახავს, რასაც მოწმობს უზენაესი ძალაუფლების რამდენიმე პირს შორის განაწილება, ტახტის მემკვიდრეობის არაპირდაპირი წესი (არა მამიდან შვილზე) და სხვ. ამ მხრივ ეს მკვეთრად განსხვავდება იმ სიტუაციისაგან, რომელიც ჩვენთვის კარგადაა ცნობილი სხვა წყაროებიდან. ამიტომაც ვვარაუდობ, რომ იბერიის საზოგადოებრივი წყობის სტრაბონისეული აღწერილობა შეიძლება მოშდინარეობდეს უფრო ძველი წყაროდან და ასახავს ფარნავაზის წინაძრონდელ ვითარებას [1596], [329, გვ. 208-222]. მაინც სტრაბონის ცნობა საინტერესოა იმითაც, რომ მან შემოგვინახა გარკვეული ინფორმაცია იბერიის საზოგადოების ძირითადი მწარმოებელი ფენის შესახებ. ესენია „ლაოები, რომლებიც სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც (მეფეთა – ო. ლ.) ცხოვრებისათვის არის საჭირო“. ამ ცნობაში საინტერესოა და დამახასიათებელი უწინარეს ის გარემოება, რომ იბერიის მოსახლეობის ძირითად მწარმოებელთა ფენა იწოდებოდა ლაოებად ანუ ტერმინით, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ელინისტური აღმოსავლეთის ქვეყნებში სამეფო მიწაზე მსხდომი დამოკიდებული მოსახლეობის აღსანიშნავად. სტრაბონის ცნობით, იბერიის ლაოებს „ქონება საერთო აქვთ ნათესაობისდა მიხედვით. მართავს და განაგებს თითოეულს (ნათესაობას – ო.ლ.) უხუცესი“. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იბერიაში ლაოები ცხოვრობდნენ თემებად, რომლებიც, ისევე როგორც ელინისტურ აღმოსავლეთში, წარმოადგენდნენ აღმინისტრაციულ-ფისკალურ ერთეულებს, რომელთაც ჰქონდათ თვითმმართველობის მსგავსი ორგანოები. სასოფლო თემებში გაერთიანებულ იბერიის მოსახლეობას სათანასთავოებში შეჰქონდა „ხარკი სამეფო“ და „ხარკი საერისთავო“. სათანადო წყაროების უქონლობის გამო ძნელია გადაჭრით თქმა იმისა, თუ რა ხასიათის იყო ეს „ხარკი“ იბერიაში. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ნატურით გამოსაღებს წარმოადგენდა. იბერიული ლაოები უთუოდ იხდიდნენ აგრეთვე შრომითი ბეგარას „სეფე-სახლის“ სასარგებლოდ ან სტრაბონის თქმით: „აკეთებდნენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის იყო საჭირო“. ამ ვალდებულება-გამოსაღების ადგილობრივი სახელწოდება უნდა ყოფილიყო „სეფეობა“ ანუ მეფის, ე.ი. სეფე-სახლის სასარგებლოდ გაღებული ვალდებულება-საქმიანობა (დაწერ. [1597, გვ. 41-42 და იქ დასახ. ლიტ.]).

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ელინისტური ხანის იბერიაში, მიწისმოქმედება ძირითადად დაფუძნებული იყო სასოფლო თემებში გაერთიანებული მიწისმოქმედი მოსახლეობის ფართო ექსპლუატაციაზე. მასთან ერთად, ჟურნალისტიკა იქცევს სტრაბონის ის ცნობაც, რომლის თანახმად, იბერიის მოსახლეობის „მესამე გვარი არის მხედართა და მიწისმოქმედთა“. მკვლევართა ერთი რიგის აზრით, ამ ცნობაში თითქოს ასახულია ერთობა „ხალხი-ჯარი“, რომლის ძველი ქართული სახელწოდება „ერი“. მაგრამ სტრაბონისეული ტექსტი თითქოს სხვაგვარი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობასაც იძლევა. პირიქით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტრაბონი (თუ მისი წყარო) ანსხვავებს ერთმანეთისაგან მიწისმოქმედებსა და მეომრებს. ასე რომ, აქ ორ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ პროფესიულ კატეგორიებზე უნდა იყოს საუბარი: მიწისმოქმედებსა და მეომრებზე. ახლა ძნელია თქმა იმი-

[295] ბერძნულ ტექსტში ნახმარია სიტყვა „გენოს“ (τὸ γένος), რომელსაც სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. იბერიის მიმართ ის გადმოგვცემს „გვარს“. სოციალური მნიშვნელობით კი არა, არამედ მუოთითებს, რომ „იბერიაში ოთხნაირი ხალხი მოსახლეობს“ (დაწერ. [320, გვ. 25 და შემდ.]).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა, თუ როგორი იყო იბერიის „მიწისმოქმედთა“ სოციალური სტატუსი: თავისუფალი წვრილი მიწის მესაკუთრენი იყვნენ ისინი თუ მიწის თავისუფალი არენდატორები (დაწვრ. [197, გვ. 42-43 და იქ დასახ. ლიტ.]).

ასევე საყურადღებოა ცნობა იბერიაში პროფესიონალ მეომართა არსებობის შესახებ, მით უფრო, რომ იგი სხვა მონაცემებითაც დასტურდება. კერძოდ, საინტერესოა ამ თვალსაზრისით პლუტარქეს ცნობა, რომ ძვ.წ. 68 წ. არტაშატთან ბრძოლის დროს სომხეთის მეფის ტიგრანის არმიაში იყვნენ აგრეთვე „იბერიელი შუბოსნები, რომლებზედაც ტიგრანი უფრო მეტ იმედს ამყარებდა, ვიდრე დანარჩენ მოქირავნეებზე“ („ლუკულუსი“, XXXI). აკად. გ. მელიქიშვილი ვარაუდობს, რომ იბერიელი შუბოსნები სომხეთის მეფის მოქირავნეებს წარმოადგენდნენ. თუ სწორია ეს მოსაზრება (და იგი კი პლუტარქეს) საკმაოდ გარკვეულ ცნობაზეა დაფუძნებული), მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს ძალზე საინტერესო ვითარებასთან – მოქირავნეობის ინსტიტუტის განვითარებასთან ელინისტური ხანის იბერიაში. ჩვენთვის უცნობია, თუ როგორი იყო მოქირავნეობის მასშტაბები, მაგრამ ცხადია, რომ იგი ელინისტური ხანის იბერიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგად იყო წარმოქმნილი: მოქირავნეთა კონტინგენტს ქმნიდა, ალბათ, გაჩანაგებული წვრილი თავისუფალი მწარმოებელი. ეს ფაქტიც კიდევ ერთი მოწმობაა ელინისტური ხანის იბერიის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ძალზე რთული სტრუქტურისა.

დამოკიდებული მიწისმოქმედი, ექსპლოატირებული მოსახლეობის გვერდით ელინისტური ხანის იბერიაში, როგორც ძველი ქართული წყაროები მიუთითებენ, იყვნენ აგრეთვე მონებიც („მონა“, „ტყუე“, „ნასყიდი“, „მხევალი, „სახლის წული“) [441, გვ. 425-428]; [1612, გვ. 609-620]; [242]. მაგრამ მონის შრომა იბერიაში, ისევე როგორც ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში, არასოდეს გამხდარა ძირითადი მწარმოებელი ძალა. ჩვენი აზრით, მონის შრომა უპირატესად ხელოსნურ წარმოებაში გამოიყენებოდა და ქალაქებში იყო კონცენტრირებული. როგორც „ევსტატე მცხეთელის მარტვილობიდან“ ჩანს, გავრცელებული იყო საშინაო-საოჯახო მონობაც. მაგრამ ელინისტური ხანის ქართლის სამეფოს საზოგადოებრივ ურთიერთობაში განმსაზღვრელი ჩანს სასოფლო თემებში გაერთიანებული დამოკიდებული მოსახლეობის (ლაოების ანუ გლეხების) პროტოფეოდალური ექსპლოატაციის ფორმები.

იბერიის სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძველს მიწათმოქმედება და მისი საკმაოდ ნაყოფიერი ველების ფართო სამეურნეო ათვისება ქმნიდა [619, გვ. 117-131]. მიწათმოქმედების ინტენსიურ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საირიგაციო ნაგებობანი, რომელთაც ცენტრალური ხელისუფლება დამოკიდებული და ნახევრად დამოკიდებული მოსახლეობის ფართო მასების გამოყენებით აშენებდა. ერთ-ერთ ასეთ საირიგაციო ნაგებობად მუხრანის სარწყავი სისტემაა მიჩნეული [812, გვ. 43-48]; [619, გვ. 125-132]; [1670, გვ. 17-20].

იბერიის სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ ქალაქებს. განვითარებული საქალაქო ცხოვრების არსებობის მოწმობად ერთხმადაა მიჩნეული სტრაბონის „გეოგრაფიაში“ (XI, 3, 1) დაცული ცნობა: „...და მართლაც იბერია კარგადაა დასახლებული მეტწილად როგორც ქალაქებად, ისე დაბებად, ისე რომ აქ გვხვდება კრამიტის სახურავები და ხუროთმოძღვრების წესით აგებული სახლები, ბაზრები და სხვა საზოგადოებრივი შენობები“. სტრაბონის ეს ცნობა, როგორც ცნობილია, მომდინარეობს პომპეუსის აღმოსავლეთში ლაშქრობის მონაწილის თეოფანე მიტილენელისაგან [1664] და მაშასადამე ასახავს ძვ.წ. I ს-ის 60-იანი წლების ვითარებას (და, შესაბამისად, უფრო ადრინდელსაც). ბერძენ ისტორიკოსთა ცნობები იბერიაში ქალაქების სიმრავლის შესახებ დასტურდება ძველქართული, ძველსომხური, ბერძნულ-რომაული და სხვა წყაროებით, აგრეთვე არქეოლოგიური მონაცემებით [1545], [1597, გვ. 47-54]; [1653], [1654, გვ. 620-644 და იქ დასახ. ლიტ.].

არქეოლოგიური მასალებისა და წერილობითი წყაროების შესწავლის საფუძველზე ელინისტური ხანის ქართლის ქალაქები წარმოგვიდგებიან, როგორც განვითარებული საქალაქო ცენტრები (საკუთრივ ქალაქით, ციხე-სიმაგრეთა სისტემით, გარეუბნებითა და სასოფლო რაიონებით), დაწინაურებული ხელოსნური წარმოებით და საშინაო თუ საგარეო ვაჭრობით. მაგრამ სათანადო მასალების უქონლობის გამო ჯერ კიდევ გადაუჭრელი რჩება საკითხი ამ ქალაქების კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური ბუნების, მათი შინაგანი წყობისა თუ მმართველობის შესახებ.

ყურადღებას იქცევს ქართული წყაროების ცნობები, რომლებიც მოგვითხრობენ იბერიის მეფეთა ქალაქთმშენებლობაზე. ასე მაგ., „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ფარნავაზმა „მოზღუდა ქალაქი მცხეთა მტკიცედ, და ყოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი, მოოხრებულნი ალექსანდრესაგან, ამან აღაშენა“, ხოლო მეფე ფარნავაზომ „უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენება“ [268, გვ. 25-29]. შეიძლება ვიგარაუდოთ, რომ იბერიაც აქტიურად ჩაება მთელს ელინისტურ აღმოსავლეთში ფართოდ გაშლილ ქალაქთმშენებლობის პროცესში. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება, რომელიც იბერიის ქალაქებს მახლობელი აღმოსავლეთის ელინისტურ ქალაქებთან ანათესავებს – ესაა ქალაქებში უცხო, არაქართული მოსახლეობის არსებობა. ქართლის სამეფოს ქალაქების ეთნიკური სიჭრელის მოწმობადაა მიჩნეული „ქართლის ცხოვრების“ ცნობა: „იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა:

სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული“. სადღეისოდ ამ ენათაგან ოთხი თუ ხუთი დოკუმენტურადაა დადასტურებული. წერილობითი წყაროები (ლეონტი მროველი, ნინოს ცხოვრება) და ეპიგრაფიკული ძეგლები (ებრაული ეპიტაფიები) მოწმობენ ებრაული მოსახლეობის არსებობას ქართლის ქალაქებში (მცხეთა, ურბნისი).

იბერიის ქალაქებში უცხო მოსახლეობის არსებობაზე მიგვითითებს ანტიკური ხანის მცხეთის ხელოსანთა ეთნიკური შემადგენლობაც (მხატვარი უხუცესი და ხუროთმოძღვარი ავრელი აქოლისი, ქვის მჭრელი პლატონი და სხვ.). უცხო მოსახლეობის არსებობა იბერიის ქალაქებში, ამრიგად, სავსებით აშკარაა. ეს კი ჩვენს წინაშე სვამს კიდევ ერთ საინტერესო საკითხს. – ესაა ქალაქთმშენებლობა. ანტიკური ხანის იბერიაში უცხო მოსახლეობის დასახლება ნებით თუ ძალით და მით ქალაქის მოსახლეობის გაზრდა, ერთ-ერთი საშუალება იყო ელინისტური ქალაქთმშენებლობისა, რომელიც აგრე კარგადაა ცნობილი ელინისტურ აღმოსავლეთში და აგრეთვე მეზობელ არმენიაში [1597, გვ. 53-54 და იქ დასახ. ლიტ.].

სამწუხაროდ, ჩვენ სადღეისოდ ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება საკმარისი არქეოლოგიური მონაცემები ელინისტური ხანის იბერიის ქალაქების გეგმარებითი სისტემის შესახებ. ქართულ წყაროებში „სამეუფო ქალაქად“ უკვე ფარნავაზის დროიდან მცხეთა მოიხსენიება [268, გვ. 25]. მაგრამ საკუთრივ მცხეთასა და მის მიდამოებში ამ ხანის საქალაქო დასახლება ჯერ მიკვლეული არაა. ქალაქის შიდაციხეც – აკროპოლისად – გვევლინება არმაზი, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მტკვრისა და არაგვის შესაყართან აღმართული მთა, რომელსაც „ქართლი“ ეწოდებოდა (დღევანდელი ბაგინეთი): „ქართლოს მოვიდა პირველად ადგილთა მას, სადა, შეერთვის არაგვი მტკუარსა, განვიდის მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა, და იშენა მუნ ზედა სახლი, – და უწოდა მთასა მას სახელი თავისა თვისისა ქართლი... მოკუდა ქართლოს და დაფლეს იგი თავსა ზედა ქართლისასა, რომელსა აწ ეწოდების არმაზი. და შემდგომად ამისსა ცოლმან მისმან აღაშენა დედა-ციხე“ [268, გვ. 8]. შემდგომ, აზოს მიერ ქართლის დალაშქრის აღწერისას მოიხსენიება როგორც „თავადი ციხე, რომელ არს არმაზი“ [268, გვ. 19], სადაც ფარნავაზმა „ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა“ [268, გვ. 25] და სადაც დაიკრძალა ქართლის პირველი მეფე „წინაშე არმაზისა კერპისა“ [268, გვ. 26].

„არმაზი“ უცხოურ წყაროებშიც იხსენიება. სტრაბონი მას „ჰარმოზიკეს“ უწოდებს (XI, 3, 5): „ხოლო არმენიიდან (შემოსასვლელი) არის მტკვრის ვიწროებზე და არაგვისაზე. ვიდრე ერთმანეთს შეერწყმიან (ეს მდინარეები) იმ ადგილას კლდეებზე მდებარეობენ გამაგრებული ქალაქები, რომლებიც დაცილებული არიან ერთმანეთს დაახლებით 16 სტადიონით, მტკვარზე მდებარეობს ჰარმოზიკე, ხოლო მეორეზე (იგულისხმება არაგოსი//არაგვი – ო. ლ.) – სევსამორა“ [320, გვ. 129]. „ჰარმოზიკე“ ქართული „არმაზის ციხის“ („არმაზციხის“) შესატყვისია, და მიჩნეული [1542]. კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიაში“ იბერიის ქალაქთა შორის იხსენიება „ჰარმოზიკა“ და „მესტლეტა“ (ეს უკანასკნელი მცხეთის აღმნიშვნელია [312, გვ. 50, 51]). პლინიუსთან გვხვდება სახელწოდება „ჰერმასტა“ („ბუნების ისტორია“, VI, 26). რომაელი ისტორიკოსი დიონ კასიუსი „არმაზს“ უბრალოდ „აკროპოლისად“ მოიხსენიებს („რომის ისტორია“, XXXVII, 1). ბერძნული „აკროპოლისის“ ქართული შესატყვისია „შიდაციხე“ და საინტერესოა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ არტაგ მეფის (რომელიც სწორედ დიონ კასიუსის მიერ აღწერილი ამბების მონაწილეა) სამშენებლო საქმიანობის აღწერისას მოვგვითხრობს არმაზში „შიდა ციხის“ მშენებლობაზე [შდრ. [265, გვ. 709]].

ქართული და უცხოური წყაროების „არამაზის“ (არმაზციხე“) – ქართლის სამეფოს დედაქალაქის შიდაციხის (აკროპოლისის) – ადგილმდებარეობა დამაჯერებლადაა დადგენილი: იგი ამჟამად იყო დღევანდელი მცხეთის პირდაპირ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე აღმართულ სამკუთხა ბორცვზე, რომელსაც ახლა „ბაგინეთს“ უწოდებენ [1552]. დედაქალაქის აკროპოლისად ამ ბორცვის შერჩევა მისი უაღრესად ხელსაყრელი ადგილმდებარეობით იყო უთუოდ ნაკარნახევი: მას გაბატონებული მდგომარეობა უკავია მთელს იმ არემარეზე, აკონტროლებს ყოველ მნიშვნელოვან გზას და იმავე დროს ადვილად დასაცავია. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქ აღმოჩენილია თავდაცვითი კედლები, სასახლე და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი, მდიდრული აკლდამები და სხვ. [1545, გვ. 162-182].

დედაქალაქის შიდაციხეს ეკავა დაახლოებით 30 ჰა ფართობი, რომელიც კოშკებით იყო მთლიანად გარშემორტყმული. კედლები ზოგჯერ ციცაბო კლდეებზეა აშოყვანილი. შშენებლობის წესი ასეთია: კლდოვან დედაქანში ამოკვეთილია ბუდეები, რომლებშიც ჩასმულია სწორკუთხა ქვაბლიები და მით შექმნილია საძირკველი, რომელზეც ამოყვანილია ასევე ქვაბლიებით შედგენილი კედელი ერთიდან ექვს რიგამდე (რელიეფის შესაბამისად). ქვის ზეძირკველზე შემდეგ ამოყვანილია ალიზ-აგურით (50×52×12 სმ) ნაგები კედელი. მასიური ალიზის კედლების გასამაგრებლად ყოველ 5 მ-ის დაცილებით შიდა და გარე მხრიდან მძლავრი კონტრფორსებია აგებული. კედლის წყობაში დატანებულია გარდი-გარდმოდ დაწყობილი ხის (მუხის) ძელები. კედლების სიმაღლე

6-8 მ-მდე აღწევდა, ხოლო სისქე 2,80-3,20 მ-ს. გალავნის კედლები პერანგული წყობითაა ნაგები. კოშკები ოთხკუთხაა და კრამიტით ყოფილან გადახურული.



სურ. 229. არმაზციხე: „სვეტებიანი დარბაზი“. ძვ.წ. II-I სს. [1545]

გალავნის კედლებით მოზღუდულ შიდაციხის ტერიტორიაზე ძვ.წ. II-I სს-ის რამდენიმე ნაგებობააა აღმოჩენილი. მათ შორისაა არქიტექტურული კომპლექსი, რომლის მთავარი ნაწილია ე.წ. „სვეტებიანი დარბაზი“ (სურ. 229): სწორკუთხა დარბაზი (20,82×8,87 მ),[296] რომლის კედლები ნაგებია ერთმანეთთან ყოველგვარი ხსნარის გარეშე მჭიდროდ დაკავშირებული სწორკუთხა ქვათლილებით. ქვის წყობის სიმაღლე დასავლეთ ნაწილში აღწევს 3,3 მ-ს, სხვაგან – 1,75 მ-ს. ქვის ზეძირკველზე ალიზაგურით ნაშენი კედელია ამოყვანილი. კედლები საშუალოდ 1,45-1,70 მ-ის სისქისაა. დარბაზის გრძივ ღერძზე განლაგებული იყო 6 სვეტი. ისინი „ბალიშისებური“ მოყვანილობისაა და ზუსტად იმეორებენ მთელს ელინისტურ აღმოსავლეთში გავრცელებულ სვეტის ძირებს: სწორკუთხა ბაზაზე ბრტყელი მრგვალი ყელიანი „ბალიშია“, რომელზედაც ამოკვეთილია სწორკუთხა ფოსო. აღმოჩენილია ქვის 6 სვეტის თავიც, აგრეთვე ხის სვეტის დანაზშირებული ფრაგმენტები. ამ ნაგებობის კედლები წითლად შეღებილი ბათქაშით ყოფილა შიგნით მოპირკეთებული, რასაც მოწმობს არქეოლოგიური გათხრებისას ნაოვნი შელესილობათა ფრაგმენტები. სვეტებისა და ანტერიერის მოსართავ ნაწილთა ნაშთებს უნდა წარმოადგენდეს იქვე აღმოჩენილი ოქროს ფურცლები, ბრინჯაოს ბრტყელთავიანი ლურსმნები და სხვ.

[296] ზომები მოტანილია პუბლიკაციის მიხედვით [1545, გვ. 26].

„სვეტებიანი დარბაზის“ შიდა მხარეს ქვის წყობაში დაფიქსირებულია მცირე ზომის სწორკუთხა ფოსოები, რომელთა შესახებ გამოთქმულია მოსაზრება, რომ მათ შესაძლოა ანტისეპსმურ სამაგრთა მნიშვნელობაც ჰქონდათ. ივარაუდება აგრეთვე, რომ ამ ბუდეებში, შესაძლოა, კოჭები იყო ჩასმული და ისინი ნივთების დასაწყობი თაროს კონსოლებისათვის იყო განკუთვნილი. დარბაზის იატაკი ტუფოგენური ქვიშის ვარდისფერი ფხვნილით ყოფილა მოტკეპნილი. მრავლად ნაპოვნი ღარიანი და ბრტყელი კრამიტებისა და აგრეთვე სვეტების განლაგების საფუძველზე ვარაუდობენ, რომ სვეტებიან დარბაზს ორფერდა გადახურვა უნდა ჰქონოდა. „სვეტებიანი დარბაზის“ მთავარი საფასადო კედელი აღმოსავლეთ მხარესაა და აქეს ანტისებური ორი გამონაშვერი. კედლის ცენტრში გამართულია ოთხსაფეხურიანი ფართო კიბე, რომლითაც ჩადიოდნენ დარბაზში. „სვეტებიანი დარბაზის“ წინ დაფიქსირებულია ძლიერი ხანძრის კვალის მატარებელი ქვის წყობის ფრაგმენტები. ფიქრობენ, რომ აქ იყო „სამსხვერპლო“ ან „მუდმივი ცეცხლის“ ადგილი (დაწვრ. [1555, გვ. 25-28]).

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძველ ქართულ წყაროებში „არმაზის“ (ხოლო უფრო ადრე „ქართლის“) სახელით წოდებულ ბორცვზე განლაგებული იყო გამაგრებული ქალაქი – იბერთა მეფეების თავდაპირველი რეზიდენცია. მის შემდგომ ზრდა-განვითარებასთან ერთად ქალაქური დასახლება თანდათანობით გამოვიდა გალავნის კედლებს გარეთ და იქცა ერცელ ქალაქად, რომელიც გაიშალა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე (მის მარჯვენა შენაკადებს, მდ. არმაზისხევსა და მდ. კარსნისხევს შორის). ნაქულბაქევთან აღმოჩენილი იმპერატორ ვესპასიანეს 75 წ-ით დათარიღებული ბერძნული წარწერის მიხედვითაც [1545, გვ. 131-134][297] შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახალაღმოცენებული ქალაქური დასახლებაც გალავნის კედლით იყო გარშემორტყმული. მდ. კარსნისხევის შესართავთან აღმოჩენილია „ხელოსანთა უბანი“ საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებით, საწარმოო ნაშთებითა და სამაროვნებით. საცხოვრებელი კომპლექსები წარმოადგენს სწორკუთხა შენობებს, რომელთა საძირკველი და კედლები ამოყვანილია ერთმანეთთან თიხის ხსნარით დაკავშირებული ფლეთილი ქვით. სახლები კრამიტით იქნებოდა გადახურული. იატაკი თიხატკეპნილია და ცენტრალურ ნაწილში კერაა გამარ-

[297] ამ წარწერაში საუბარია იმის შესახებ, რომ იმპერატორმა ვესპასიანემ (69-79 წწ.) და მისმა შვილებმა, იმპერატორებმა ტიტემ (71-81 წწ.) და დომიციანემ (81-96 წწ.) იბერთა მეფე მითრიდატეს და ხალხს „გაუმაგრეს ეს კედლები“ [286]. აშკარაა, რომ წარწერაში საუბარია უკვე არსებულ კედლებზე, ე.ი. იმ კედლების აღდგენაზე („გამაგრებაზე“), რომელნიც, შესაძლოა, პომპეუსმა დაანგრია მისი ქართლში ძვ.წ. 66/65 წწ. ლაშქრობისას.

თული. საცხოვრებელს ეკკრის მარტივი ტიპის გადახურული მსუბუქი სამეურნეო დანიშნულების სათავსოები, სადაც ყველგან კერაცაა დადასტურებული. საცხოვრებელი კომპლექსების საბრეთით განლაგებული ყოფილა საწარმოო უბანი – თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურებით. სამაროვანზე, როგორც ჩანს, მეთუნეხელოსნები იმარხებოდნენ კრამიტყუთებსა და ორმოსამარხებში [1624].

რაგით მოსახლეობას ეკუთვნის აგრეთვე მცხეთაში, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ქვევრსამარხებიც. ივარაუდება, რომ ამ ტიპის სამარხები სამთავროს სამაროვანზე მხოლოდ ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევრიდან ჩნდება (ე.ი. უფრო გვიან, ვიდრე კოლხეთის აღმოსავლეთ ოლქებსა და აღმოსავლეთ საქართველოში მდ. მტკვრის სამხრეთით მდებარე რაიონებში) და არსებობს ძვ.წ. I ს-ის დასასრულამდე. ქვევრებში დამარხვის წესი ერთდროულად ფართოდ ვრცელდება იბერიის სხვა (განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ) ოლქებში ([1094], [1579], [1628]).



სურ. 230. თიხის ნიღაბი: დიონისეს გამოსახულება. ძვ.წ. II ს. სარკინე [1667]

სამთავროს სამაროვანზე ქვევრსამარხები ცალკეულ ჯგუფებადაა წარმოდგენილი. ქვევრები ძირითადად ჰორიზონტალურადაა ჩადგმული. დაკრძალვა ინჰუმაციურია: მიცვალებული ქვევრებში ძლიერ მოკრუნჩხულადაა ჩასვენებული მარცხენა ან მარჯვენა მხარეს. სამარხთა უმრავლესობა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენაა ორიენტირებული, ე.ი. ყველთ სამხრეთისაკენ. ქვევრის პირზე ჩვეულებრივ ბრტყელი კრამიტია აფარებული, ხოლო იშვიათად აგრეთვე ქვიშაქვის ფილა ან დიდი ჭურჭლის ნატეხი. ქვევრებს თითქოს ეტყობათ, რომ ისინი ადრე სამეურნეო დანიშნულებით უხმარიათ და შემდეგ სამარხებად გამოუყენებიათ. ასეთი ქვევრები ჩვეულებრივ დიდი ზომისაა. ბავშვები უფრო მცირე ზომის ქვევრებში არიან დაკრძალული, ხოლო ჩვილები სხვადასხვა ფორმის ჭურჭელში, უმეტესად ორყურა დერგებში.

სამთავროს სამაროვნის ქვევრსამარხების ინვენტარი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. აქ ჩვეულებრივ გვხვდება თიხის ჭურჭელი (მრგვალპირიანი ან სამტუჩა დოქები, სხვადასხვა ზომის ქოთნები, კანთაროსისებრი ორყურა სასმისები, ასკოსის ტიპის ჭურჭელი, ჯამები და ფიალები), ლითონის (ძირითადად ბრინჯაოს) საკაულები (ზურგშეზნექილი და ბოლოებგამსხვილებული სამაჯურები, საყურე რგოლები, ზარაკები, ბეჭდები) და მრავალფეროვანი მძივები (ქვის, ძვლის, მინის). სამარხთა გვიანდელ ჯგუფებში გვხვდება აგრეთვე მონეტები – ჰაროული (არშაკიდების) დრაქმები. სრულებით არ გვხვდება საომარი იარაღი. საერთო-სამეურნეო იარაღებიდან კი წარმოდგენილია მხოლოდ მოხრილი დანები (დაწერ. [1579]).

მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა სტრაბონის მიერ მოხსენებული „გამაგრებული ქალაქი“, რომლის სახელწოდება ბერძნულად წარმოდგენილია ფორმით სისამურა//სევსამორა, რაც ქართულ „წიწამურის“ შესატყვისადაა მიჩნეული (დაწერ. [1543]). არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქ გამოვლენილია თავდაცვითი კედლები და სხვა ნაგებობანი (მათ შორის მრგვალი გეგმარების შენობის ნაშთები), რომელნიც ერთმანეთთან რკინის სამაგრებით დაკავშირებული ქვის სწორკუთხა ქვათლილებითა და ალიზ-აგურითაა ნაგები. რკინის სამაგრები ე.წ. მერცხლის კუდისებურ ფოსოებში იყო ჩაჭედილი. დადასტურებულია ღარისებური და ბრტყელი კრამიტების გამოყენება [1545, გვ. 182 და შემდ.].



სურ. 231. თიხის ნიღაბი: მენადას (?) გამოსახულება. ძვ.წ. II ს. სარკინე [1667]

მცხეთიდან 8-10 კმ-ის დაცილებით მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე სარკინეთის ქედის ფერდობებზე აღმოჩენილია ძვ.წ. II-I სს-ით დათარიღებულ ნაგებობათა ნაშთები. სწორკუთხა ქვათლილებითა და ალიზ-აგურით ნაგები ეს შენობები მდგარა ტერასაზე. ღარიანი და ბრტყელი კრამიტის სიმრავლე მიუთითებს, რომ შენობები კრამიტით ყოფილა გადახურული. ერთ-ერთ შენობაში აღმოჩენილია მეღვინეობა-მევენახეობის მფარველი ღვთაების – დიონისეს და მისი თანამგზავრების ტერაკოტული გამოსახულებები (ნიღბები, ქანდაკებები) და სხვ. (სურ. 230-232 [1667, გვ. 95-96]). რამდენადმე დასავლეთით (იმ ადგილზე, რომელსაც „გრძელ მინდორს“ უწოდებენ) აღმოჩენილია რკინის დასამუშავებელი საწარმოს ნაშთები: რკინის წიდები, ნახევარფაბრიკატები, რკინის მადნის ნატეხები, რკინის ცულები, წერაქვები, ცეცხლისაგან ძლიერ დეფორმირებული რკინის ნივთები, ლითონის სადნობად განკუთვნილი თიხის ჭურჭელი (ტიგელი) და სხვ. [1545, გვ. 206-214].



სურ. 232. თიხის ნიღაბი. ძვ.წ. II ს. სარკინე [1667]

ამრიგად, არსებობს სრული საფუძველი იმისა, რომ „გრძელ მინდორზე“ გამოვლენილი ნაშთები მივაკუთვნოთ იმ ქალაქს, რომელსაც ძველი ქართული წყაროები „სარკინეს“ უწოდებენ [268, გვ. 17-18]; [265, გვ. 708].[298]

ქართლის (იბერიის) უძველეს ქალაქთა შორის ძველი ქართული წყაროები მოიხსენებენ აგრეთვე ურბნისს [268, გვ. 10,17]; [265, გვ. 708], რომელიც დღევანდელი სოფ. ურბნისის ტერიტორიაზე მდებარეობდა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქ აღმოჩენილია სხვადასხვა ეპოქის ძეგლები – ადრებრინჯაოს ხანიდან მოკიდებული ახ.წ. VIII ს-ის 30 წლებამდე. დაფიქსირებულია ელინისტური ხანის ნაგებობათა ნაშთები, ნახანძრალი ფენები და სამარხები. საგანგებოდაა აღსანიშნავი ოდესღაც ბორცვის წვერზე მდგარი მონუმენტური ტაძარი, რომელიც თავის დროზე კრამიტით ყოფილა გადახურული. მისკენ მიემართებოდა განიერი თიხატკეპნილი კიბეები (თითოეული საფეხური 2,80 მ სიგრძისა, 0,60 მ სიგანისა და 0,15 მ სიმაღლისაა). შემორჩენილია 18 საფეხური (ივარაუდება კი 40-ის არსებობა [1578, გვ. 17-22]). აღმოჩენილია აგრეთვე ალიზ-აგურით ნაშენი თავდაცვითი კედლები, ახ.წ. პირველი საუკუნეების აბანოს ნაშთები და ვრცელი სამაროვანი [1650, გვ. 29-60]; [1578, გვ. 17-22]; [619, გვ. 124-125]; [1658].

ურბნისის მახლობლად, ს. არადეში იმ ადგილას, რომელსაც „დედოფლის მინდორი“ ჰქვია, გაშენებული იყო ვრცელი სატაძრო კომპლექსი, რომელსაც ძვ.წ. II-I სს-ით ათარიღებენ. გათხრების შედეგად გამოვლენილია ერთდროულ ნაგებობათა ვრცელი სისტემა, რომელსაც დაახლოებით 6 ჰა ფართობი უკავია. ესაა გრძივი ღერძით სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული სწორკუთხედი, რომელიც გალავნის კედლითაა მოზღუდული და, მისი გამთხრელის იულ. გაგოშიძის აზრით, ტაძარს წარმოადგენდა (თუმც გამორიცხული არაა სხვაგვარი ინტერპრეტაციაც). ამ რთული არქიტექტურული კომპლექსის (სურ. 233) სამხრეთ ნაწილში განლაგებული იყო მთავარი ნაგებობა (46×30 მ): ოთხსვეტიანი კვადრატული ფორმის ცელა, რომლის ცენტრში ივარაუდება ოთხკუთხა ბაქანზე აღმართული საკურთხეველი. ცელა და მისკენ მიმართული ღია პორტიკი სამი მხრიდან გარშემორტყმული იყო კორიდორების სისტემით. ძირითად სწორკუთხა ტაძარს ჩრდილოეთი მხრიდან ეკვროდა „აივანი“ – ორსვეტიანი ღია პორტიკი. ამ მთავარი ნაგებობიდან ჩრდილოეთით 90 მ-ის დაცილებით გამოვლენილია უფრო მცირე ზომის კომპლექსი, რომელიც შედგებოდა ღია პორტიკისაგან, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მდგარი საკურთხევლისაგან კვადრატული სენაკისა და ორმხრივი გარშემოსავლელი დერეფნისაგან. ამ შენობათა მიმართ მკაცრად სიმეტრიულია დასავლეთისა და აღმოსავლეთის კარიბჭეები, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს ვრცელ პროპილეუმს (საზეიმო შესასვლელს) ექვსი სვეტისა და ორი (არათანაბარი ზომის), გარე და შიდა პორტიკისაგან. ამ უკანასკნელის ორსავე მხარეს განლაგებულია ერთმანეთთან კარით დაკავშირებული მცირე ზომის სწორკუთხა ნაგებობანი. კარიბჭეს

[298] გამოთქმულია მოსაზრება, რომ თითქოს „სარკინე ქალაქი“ მცხეთის ერთ-ერთ უბანს წარმოადგენდა, როგორც არმაზციხე, ან წიწამური [1545, გვ. 206-208].

მომსვლელი შეჰყავდა კვაღრატული მოყვანილობის ეზოსა და სხვა სათავსოებში.



სურ. 233. დედოფლის მინდორი. ძვ.წ. II-I სს-ის სატაძრო კომპლექსი. A. გეგმა: 1. მთავარი ტაძარი, 2. მცირე ტაძარი, 3. აღმოსავლეთის შესასვლელი, 4. დასავლეთის შესასვლელი, 5. ნაგებობა, რომელიც იცავდა მთავარი ტაძრის სამხრეთ შესასვლელს, 6. ტემენოსის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში განლაგებული ნაგებობანი; B. სვეტი (რეკონსტრუქცია); C. სვეტის თავი [1669]

ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გამოვლენილია ერთმანეთისაგან იზოლირებული სამი შენობა, რომელთაგან თითოეულს საკუთარი ეზო ჰქონდა.

ყველა ნაგებობის კედელი ამოყვანილია ბზენარევი ალიზ-აგურით (50×50×12 სმ; 50×25×12 სმ), რიყის ქვებით აგებულ საძირკველზე. კედლების სისქე ჩვეულებრივ 1,10 მ-ია, მხოლოდ მთავარი ტაძრის კედელი განსხვავებული სისქისაა – 1,60 მ-ის. ძელური კონსტრუქციები ერთმანეთთან რკინის ლურსმნებით იყო დაკავშირებული. ისინი ეყრდნობოდნენ ოთკუთხა ბაზისზე მდგარ ხის სვეტებს, რომელიც დაგვირგვინებული იყო რელიეფური ორნამენტით (ლოტოსის ფურცლები, პალმეტი, ვარდული) მორთული ქვიშაქვის კაპიტელებით. მთავარი ნაგებობის ცენტრალური ნაწილის გარდა, ყველა შენობა გადახურული ყოფილა წითლად შეღებილი დიდი ზომის (საშუალოდ 57 სმ სიგრძის) გვერდებაკეცილი ბრტყელი და ღარიანი კრამიტებით. ზოგიერთ მათგანზე გვხვდება ნიშნები, რომელნიც სველ თიხაზე გამოწვამდეა დატანილი.

გათხრებისას აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა შედარებით მცირერიცხოვანია: ზურგშეზნექილი სამაჯურები, ცილინდრული ფორმის პოლიქრომიული მინის მძივი, კრატერისებური მოხატული ორყურა ჭურჭელი, ბერძნული შავლაკიანი ქუსლიანი ჯამები და სხვ. ისინი ძირითადად ძვ.წ. II-I სს-ით თარიღდება.

მთელი არქიტექტურული კომპლექსი ძლიერი ხანძრისაგანაა განადგურებული, როგორც ფიქრობენ, იბერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს გრანდიოზული კომპლექსი მიეძღვნა მაზდეანურ ღვთაებებს, რომელნიც ადგილობრივ ქართულ ასტრალურ ღვთაებებთან იყვნენ შერწყმული. ამასთან ივარაუდება, რომ მთავარი ტაძარი აგებული იყო ავესტური ნაყოფიერების ღვთაების – ანაჰიტის სახელზე [1669].

იბერიაში არსებობდა კლდეში ნაკვეთი ქალაქებიც. ერთ-ერთი მათგანია უფლისციხე, რომელსაც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ უძველეს ქალაქთა შორის მოიხსენიებს [268, გვ. 708], [1655-1656], [1701].



სურ. 234. უფლისციხე. საერთო ხედი ([1655-56], [1701])

უფლისციხე ძველი საქართველოს ერთ-ერთი შესანიშნავი და უნიკალური ძეგლია, რომლის შესახებ ჯერ კიდევ XVIII ს-ში დიდი ქართველი მეცნიერი-გეოგრაფოსი და ისტორიკოსი, ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „უფლისციხე ... მტკურის კიდესა, რომელი აღაშენა პირველად უფლოს, ძემან ქართლოსისამან, და იყო ქალაქი ჩინგისამდე; აწ არს შემუსრვილი. არამედ შენობა უცხო, კლდისაგან გამოკუთილი; პალატნი დიდ-დიდნი, ქანდაკებულნი კლდისაგანვე; გვირაბი ჩახვრეტით ჩაკაფული მტკურამდე, დიდი. დასავლით აქუს ქარაფი მაღალი, და მას შინა გამოკუთილნი ქუაბნი მრავალ-დიდნი, არამედ აწ შეუალ არს... გამოსული იხილვების სპა-

ლაშქარნი შუბოსანიშეილდოსანნი, ცხენოსანნი, გალაშქრებულნი, ნიშნენ მისნობად და უწოდებენ უფლისციხეს...“ [253, გვ. 366].

უფლისციხე მართლაც რომ გრანდიოზული არქიტექტურული კომპლექსია, რომელიც თითქმის მთლიანად კლდეშია გამოკვეთილი. ქალაქს იცავდა კლდეშივე ამოკვეთილი ღრმა თხრილი და მის ნაპირზე ელინისტურ ხანაში აგებული მძლავრი თავდაცვითი კედლები, რომელნიც ამავე წესითაა ნაგები, როგორც არმაზციხის, სევსამორას თუ ვანის საფორტიფიკაციო ნაგებობანი: სწორკუთხა ქვაღილებით შექმნილ საძირკველზე ალიზ-აგურით შედგენილი კედლებია ამოყვანილი.

კლდეში ნაკვეთი ქალაქი ბუნებრივი პირობების შესაბამისად წინასწარ გააზრებული ერთიანი სამშენებლო პრინციპებითაა აგებული, რასაც მოწმობს მისი დაგეგმარება და მთლიანი სტრუქტურა [1701, გვ. 4].

სულ ქვედა, სამხრეთ ნაწილში გამართულია ქალაქში შესასვლელი კარი. მთავარი შესასვლელი წარმოდგენს საკმაოდ ფართო და იმავე დროს მკვეთრად დაფრქდებულ გზას, რომელიც თავდაცვითი თხრილის გარეთ უერთდება აღმოსავლეთის მიმართულებით მიმავალ კლდეში ნაკვეთ ფართო შარაგზას. მეორე, საპირისპირო, ე.ი. დასავლეთი მხრიდან შესასვლელი გზა თითქმის 60 მ სიგრძისაა, მაგრამ მხოლოდ 1,5 მ სიგანის. ის საკმაოდ ღრმადაა კლდეში შეჭრილი და თითქოს ქმნის ქვეითად მოსარულეთათვის განკუთვნილ „ცოტა კარს“. მასთან ერთად ქალაქს ჰქონდა აგრეთვე კარგად შენიერებული გვირაბიც, რომელიც მდ. მტკვართან გადიოდა. ქალაქში შესასვლელი ორივე გზა უერთდება მთავარ ქუჩას – ძირითად მაგისტრალს, რომლისგანაც განტოტილია ცალკეული ქუჩები – აქ იდგა სხვადასხვა ნაგებობანი, რომელნიც, როგორც წესი, აღმოსავლეთისაკენ და სამხრეთისაკენ იყვნენ ორიენტირებული.

ქალაქი სამ ნაწილად იყოფოდა და ტერასებურად იყო ფერდობზე გაშენებული. უმთავრესი ნაგებობანი ცენტრალურ ნაწილშია აღმართული და გამოირჩევა დიდი ზომებით, გეომეტრიული დაგეგმარებით და მაღალმხატვრული არქიტექტურული ფორმებით.

ნაგებობანი ძირითადად ერთსართულიანი უნდა ყოფილიყო. თითოეული მათგანი წარმოადგენს დამოუკიდებელ არქიტექტურულ კომპლექსს, რომლის კომპოზიციურ ცენტრს ქმნიდა კამარიანი თუ სწორკუთხა ღია პორტიკი, რომელიც ერთიან სტრუქტურად აეროიანებდა მცირე ზომის დარბაზებს. პორტიკის წინ ღია ეზო იყო გამართული. უნდა აღინიშნოს, რომ კლდეში ნაკვეთი კომპლექსები თუ ცალკეული „შენობები“ მკაცრად ემორჩილებიან მიწისზედა ნაგებობათა შენებლობის არქიტექტურულ პრინციპებს: მათ აქვთ არქიტექტურულად გაბრებული ფასადიცა და ინტერიერიც. კლდეში ნაკვეთი დარბაზების მხატვრულ მორთულობაში ფართოდაა გამოყენებული როგორც ქვის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ელემენტები (კესონები, კაპიტელები, პილასტრები), ასევე ხის კონსტრუქციებისათვის ტიპიური ნიშნების იმიტაციაც (მაგ. კლდოვან ჭერზე თითქოს გამოსახულია ბრტყელი და ნახევრად მრგვალი ძელები). ასეთი დარბაზების უმრავლესობა საკულტო შენობად და ტაძრადაა მიჩნეული. ზოგიერთ მათგანში დაფიქსირებულია იატაკში ამოკვეთილი მრგვალი ორმოები, რომელნიც სამსხვერპლო სისხლის ჩაქცევის რიტუალისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. საკულტო დანიშნულება უნდა ჰქონოდათ ორ- და ოთხსვეტიან დარბაზებსაც.

უფლისციხის არქიტექტონიკური შესწავლისას აღმოჩენილი მრავალფეროვანი არქიტექტონიკური მასალიდან საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ბრინჯაოსისადგარიანი ხის სკივრის ნაშთები. ბრინჯაოს სადგარი ჩლიქისებური მოყვანილობისაა. ხის სკივრს კი, როგორც ჩანს, შემოკრული ჰქონდა მკვრივი ქსოვილი, რომელიც ოქროს მძივებით, ვარდულებითა და ლოტოსის თუ სხვა ფირფიტოვანი გამოსახულებებით ყოფილა გაწყობილი. სკივრში ჩაწყობილი უნდა ყოფილიყო იქვე ნაპოვნი ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინის, თიხის და ძვლის საგნები. მათგან საგანგებოდაა აღსანიშნავი ნახევრად მწოლიარე ქალის ტერაკოტული გამოსახულება, რომელიც ძვ.წ. III ს-ის ბერძნულ ნახელავადაა მიჩნეული.

ვარაუდობენ, რომ ელინისტურსა და გვიანანტიკურ ხანაში უფლისციხე სატაძრო ქალაქს წარმოადგენდა (დაწვრ. [1701]).

კიდევ უფრო დიდ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ აღმავლობას ქართლის (იბერიის) სამეფომ ახ.წ. პირველ საუკუნეებში მიაღწია. მაგრამ მანამდე მას მოუხდა სისხლისმღვრელი შეტაკება ახალ დიდ პოლიტიკურ ძალასთან – რომის იმპერიასთან.

3. რომის ექსპანსია აღმოსავლეთში და ძველი საქართველო (იბერია, ლაზიკა-ეგრისი)

ძვ.წ. I ს-ის პირველი ათეული წლები მახლობელ აღმოსავლეთში აღინიშნა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძვრებით, რომელთაც უდიდესი როლი შეასრულეს აგრეთვე ძველი საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობის ისტორიაში. ჯერ კიდევ ძვ.წ. II ს-ის დასასრულს პონტოს სამეფოს ძლიერმა მეფემ მითრიდატე VI ევპატორმა (ძვ.წ. III-63 წწ.), მას შემდეგ რაც დაიმორჩილა სამხრეთ-აღმოსავლეთ და დასავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული ქალაქები, ბოსფორის სამეფო და ნაწილობრივ კოლხეთიც,[299] დაიწყო ბრძოლა მთელს მცირე აზიაში გაბატონებისათვის. მითრიდატეს მოკავში-

[299] დაწვრ. იხ. [441, გვ. 305-306], [1355, გვ. 18-19], [1526, გვ. 169 და შემდ.], [1534], [1529], [1568], [329, გვ. 276-288].

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედ ამ დროს გამოდის ქართლის სამეფოს მეზობლად გაძლიერებული სომხეთი, რომელმაც იმ დრისათვის უკვე შესძლო პართიის მიერ მიტაცებული მიწების ერთი ნაწილის უკან დაბრუნება და კიდევ მეტიც: თავისი სამფლობელოს გაფართოება მეზობელი ქვეყნებისა და ნაწილობრივ იბერიის ხარჯზეც [1610, გვ. 465-467]. მაგრამ პონტოს სამეფოსა და სომხეთის გაძლიერებას წინ აღუდგა მძლავრი მეტოქე – რომი, რომელიც უკვე ძვ.წ. II ს-დან აქტიურ როლს ასრულებდა მცირე აზიაში. დაიწყო მახლობელ აღმოსავლეთში პოლიტიკური ბატონობისათვის მპყრი და ხანგრძლივი ომი, რომელშიც ჩათრეული აღმოჩნდნენ ამიერკავკასიის ქვეყნებიც. რომის პოლიტიკური ინტერესების სფეროში მოექცნენ იბერია და კოლხეთიც. მეზობელ ალბანიასთან ერთად მათ უნდა შეესრულებინათ რომაელთათვის თავისებური პლაცდარმის როლი პართიის, პონტოს სამეფოსა და სომხეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, მახლობელ აღმოსავლეთში პოლიტიკური გავლენის დამყარებას რომ ისახავდა მიზნად. ამიერკავკასიის ქვეყნებზე გაბატონება მრავალმხრივ იყო რომისათვის ხელსაყრელი: მას გზა ეხსნებოდა ამ ქვეყნების მდიდარი ბუნებრივი რესურსების გამოყენებისათვის, საშუალება ეძლეოდა დაემყარებინა კონტროლი ამ ქვეყნებზე გამავალ საერთაშორისო სავაჭრო გზებზე და, რაც განსაკუთრებით იყო მნიშვნელოვანი – გადაეკეტა დიდი კავკასიონის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გზები და გადასასვლელები და ამგვარად შეეწყვიტა ჩრდილოეთიდან მომძლავრებული მომთაბარე ტომების შემოსევა, ხოლო ისინი გამოეყენებინა მოქირავნე მეომრებად ან მოკავშირეებად, რასაც ხშირად მიმართავდნენ ქართლის (იბერიის) მეფეებიც თავიანთი პოლიტიკური ინტერესების განსახორციელებლად [432, II, გვ. 17], [41, I, გვ. 509], [1681].

რომაელთა პირველი ლეგიონები საქართველოს მიწა-წყალზე გამოჩნდნენ ძვ.წ. 65 წ., როდესაც პომპეუსი მტკვრის აყოლებით შემოიჭრა იბერიაში, რომელიც იმ დროს პონტოსა და სომხეთის მოკავშირე იყო. გაიმართა ცხარე ბრძოლები, რომელთა შესახებ მოგვითხრობენ რომაელი ისტორიკოსები პლუტარქე („პომპეუსი“, XXXIV) და დიონ კასიუსი („რომის ისტორია“, XXXVII). პომპეუსმა შესძლო არტაგის დამარცხება და დამორჩილება. იბერიას დაეკისრა კონტრიბუცია. ამის შემდეგ პომპეუსი იმორჩილებს კოლხეთსაც (დაწერ. [431, გვ. 332-337], [41, I, გვ. 500-510], [1681], [329, გვ. 289-296 და დასახ. ლიტ.]).

რომაელთა ლაშქრობა ამიერკავკასიის ქვეყნებზე მათი პოლიტიკური ბატონობის დამყარებით დასრულდა. მაგრამ ეს ბატონობა ყველგან ერთგვაროვანი არ იყო და ხშირად იცვლებოდა თავის ხასიათსაც თითქმის მთელი სამი საუკუნის მანძილზე.

კოლხეთში პომპეუსმა მმართველად დააყენა ვინმე არისტარქე, რომელსაც ძვ.წ. 52/51 წწ-ში აქ მონეტებიც მოუჭრია თავისი სახელით [1115, გვ. 31-32], [1355, გვ. 38-39], [1318, გვ. 131-133], [329, გვ. 293, შენიშვნა 487 და იქ დასახ. ლიტ.].

რომაელთა პოლიტიკური გავლენის დამყარების შემდეგ, შავი ზღვის კოლხეთის სანაპიროზე შენდება ციხე-ქალაქები რომაელთა მუდმივი გარნიზონებისათვის, რომელნიც აქ ახ.წ. 80-იანი წლების შემდეგ ჩნდებიან, როგორც შემადგენელი ნაწილები ე.წ. „პონტოს ლიმესისა“ [1525] თუ „კავკასიური საზღვრებისა“ ([1505], შდრ. [1527]).

კოლხეთის სანაპიროზე განლაგებულ რომაელთა ციხე-ქალაქებს შორის ყველაზე სახრეთით მდებარეობდა აფსაროსი – დღევანდელ სოფ. გონიოს ტერიტორიაზე, მდ. ჭოროხის შესართავთან (დაწერ. [1501 და იქ დასახ. ლიტ.]). ეს ციხე-ქალაქი 131 წ. იმპერატორ ადრიანეს დავალებით ინსპექციის მიზნით მოინახულა ცნობილმა რომაელმა ისტორიკოსმა და სამხედრო მოღვაწემ, იმჟამად კაპადოკიის მმართველმა, ფლავიუს არიანემ. არიანეს, როგორც კაპადოკიის გამგებლის, საინსპექციო მოგზაურობა, თავისთავად მიუთითებს იმაზეც, რომ აფსაროსის რომაელთა სამხედრო გარნიზონი, ისევე როგორც ფასისისა და დიოსკურიის, II ს-ის 30-იან წლებში ემორჩილებოდა კაპადოკიის სარდლობას. კაპადოკიის გამგებლობაში კი კოლხეთი შევიდა პონტოსთან ერთად ამ პროვინციის შექმნისთანავე. მაგრამ, სამწუხაროდ, არიანე არაფერს იუწყება კოლხეთში კაპადოკიის პროვინციალური აღმინისტრაციის ორგანოებზე. მისი ცნობით, აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში მხოლოდ პატარა ცალკეული სამფლობლოებია, რომელთაც მართავენ ადგილობრივი მეფეები – „რომაელთა მეგობრები“. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მდებარე რომაელთა ციხე-სიმაგრეთაგან არიანე პირველად სწორედ აფსაროსს აღწერს:

„... მოვედით აფსაროსში, სადაც დვას ხუთი სპეირა. აქ ხელფასი დავურიგე ჯარისკაცებს და დავთვალიერე იარაღი, კედელი, თხრილი, ავადმყოფები და ისიც, თუ რა მდგომარეობაში იყო პურის მარაგის დამზადება“ (§ 6, შდრ. [319, გვ. 35]).

არიანეს ძუწი ცნობა, რომ მან მოინახულა „ავადმყოფები,“ მიუთითებს იმაზე, რომ აფსაროსშიც იყო საგანგებო ლაზარეთი (ე.წ. valetudinarium), როგორც ეს დადასტურებულია დიდ რომაულ კასტელუმებში, როგორც ლეგიონურ, ასევე აუქსილარიულ სიმაგრეებში.

ასევეა საინტერესო ცნობა: „დავთვალიერე შეიარაღება“. აქ გამოყენებული ტერმინი „ὅπλα“ მრავლობითშია (მხოლობითია ὅπλον) და ასეთ შემთხვევაში ნიშნავს არა უბრალოდ იარაღს, როგორც ჩვეულებრივ თარგმნიან, არამედ „მძიმე შეიარაღებას“ და მოწმობს, რომ აფსაროსში იყო სამხედრო არსენალიც, ე.წ. armamentarium.

არიანე იუწყება, რომ დაათვალიერა „თუ რა მდგომარეობაში იყო პურის მარაგის დამზადება“. ეს უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ აფსაროსში უნდა ყოფილიყო აგრეთვე საგანგებო შენობა მარცვლეულის შესანახად ე.წ. horreum. აქ კი ჩვენს წინაშე დადგება საკითხი აფსაროსში მდგარი რომაელთა სამხედრო რაზმების მომარაგების შესახებ. სამწუხაროდ, არიანე არაფერს იუწყება, თუ როგორ იყო მომარაგება უზრუნველყოფილი, სურსათის იმპორტირება ხდებოდა თუ ადგილობრივ დამზადება.



სურ. 235. გონიოს ციხე (აფსაროსი). გეგმა. (ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გაოხრები)

არიანე წერს: „აქ ხელფასი დაგურიგე ჯარისკაცებს“, ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ აფსაროსში დაბანაკებული იყო რომაელთა მუდმივმქმედი, რეგულარული სამხედრო ნაწილი. „დავთვალიერე კედელი, თხრილი“. აქედან ჩანს, რომ საუბარია ტიპიურ კასტელუმზე, რომელსაც ჰქონდა თავდაცვითი კედლები (ფორტიფიკაცია) და თავდაცვითი თხრილი (fossa).

აფსაროსის დაარსება მიზნად ისახავდა იმ პერიის სიმაგრეების დაცას პონტოს აღმოსავლეთ რეგიონში, რასაც ემსახურებოდა აგრეთვე სამხედრო ბანაკები ფასიისში, დიოსკურია-სებასტოპოლისსა და უფრო გვიან პიტიუნტში. რომაელთა „მეგობარ“ ადგილობრივ ტომებთან ერთად ისინი იცავდნენ საზღვარს ჩრდილოეთ კავკასიის მეომარი ტომების (პირველ რიგში – ალანების) შემოსევებისაგან.

აფსაროსის დაარსებას სხვა კონკრეტული მიზნებიც ჰქონდა. ის ზურგიდან იცავდა ტრაპეზუნტს – სტრატეგიული თვალსაზრისით რომაელთა უმნიშვნელოვანეს სამხედრო საზღვაო ბაზას, რომელიც აკონტროლებდა მთავარ მაგისტრალს არმენიასა და სპარსეთისაკენ. თვით აფსაროსი კი – ჭოროხის შესართავთან მდებარე, აკონტროლებდა არა მხოლოდ გზას კოლხეთის დაბლობიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისაკენ, არამედ ჭოროხის ხეობასაც, საიდანაც შეიძლებოდა შეღწევა იბერიაში, არმენიასა და პერსარმენიაში. აქ, მთებში ცხოვრობდნენ მეომარი ტომები, რომელნიც დიდ უსიამოვნებას აყენებდნენ რომაელებს.



სურ. 236, 1. ჭაბუკის (დიოსკურის) ოქროს ქანდაკება. გონიოს განძი. ახ.წ. II-III სს. [1501]

აფსაროსი აკონტროლებდა ზღვასაც არა მხოლოდ მეკობრეების წინააღმდეგ და, მაშასადამე, ვაჭრობის ხელშესაწყობად, არამედ სკვითური ტომების გამაჩანაგებელი საზღვაო ლაშქრობების წინააღმდეგაც.[300] დაბოლოს, მნიშვნელოვანი იყო გაძლიერებული იბერიის ფაქტორი. პლინიუსის ცნობით („ბუნების ისტორია,“ VI, 12 = [326, II, გვ. 178]), აფსაროსთან „მთებს გადაღმა უკვე იბერიაა“! არიანეს ცნობითაც, აფსაროსის დასავლეთით მცხოვრები „ზიდრიტები ფარსმანის (ე.ი. იბერიის მეფის – ო.ლ.)

[300] დაწვრ. იხ. ზოსიმეს ცნობები („ახალი ისტორია,“ I, 28-33 = [326, I, გვ. 789-791]).

ქვეშევრდომნი არიან“ (§ 11 = [319, გვ. 42]). ასე, რომ აფსაროსის ციხე-სიმაგრე იბერიის შემოტევებისაგან თავდასაცავადაც იყო გამიზნული [1505].

არიანეს აღწერილი აფსაროსი, როგორც ითქვა, დღევანდელ გონიოს ციხესთანაა გაგივებული. ესაა მონუმენტური ოთხკუთხა ციხე, მძლავრი გალავნის კედლებითა და 22 კოშკით (სურ. 235). მისი ფართობი დაახლოებით 4,6 ჰა (145×245 მ). მას რომაული კასტელუმის ყველა ტიპიური ნიშანი აქვს. მაგრამ საკუთრივ არიანეს აღწერილი ციხის დღემდე შემორჩენილი გალავნის კედლებთან მიმართების საკითხი ჯერ ღიად რჩება. უკანასკნელ წლებში აქ დაიწყო ფართო მასშტაბის არქეოლოგიური კვლევა-ძიება. აღმოჩენილია მძლავრი კულტურული ფენები (მრავლად რომ შეიცავენ რომაული ხანის წითელლაკიან კერამიკას, ამფორებს, მონეტებს), სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებს (პრეტორიუმი, აბანოები), საკანალიზაციო და წყალგაყვანილობის სისტემებს.[301]



სურ. 236, 2. ოქროს ფალარი, ფერადი ქვებით ინკრუსტირებული. გამოსახულია ცხოველთა ბრძოლის სცენა. გონიოს განძი. ახ.წ. II-III სს. [1501]

რომაელთა სამხედრო გარნიზონი იდგა აფსაროსის ჩრდილოეთითაც, დღევანდელი ციხისძირის ადგილას, რომელიც ბიზანტიურ წყაროებში პეტრას სახელითაა ცნობილი. ამ მიდამოებიდან ცნობილია „განძი“, რომელიც შეიცავდა ახ.წ. II-III სს-ის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნივთებს [1508], [1494], ხოლო აქ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილია ახ.წ. II-III სს-ის ვრცელი სამაროვანი, ნაგებობანი და კულტურული ფენები [1100], [1494]. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს კრამიტის ფრაგმენტი, რომელზედაც შემორჩენილია დადა: VEX. FA და რომელიც ასე გაიშიფრა: VEX(ilatio) FA(siana). ფიქრობენ, რომ კრამიტი დამზადებულია იმ სამხედრო გარნიზონის ერთ-ერთ სახელოსნოში, რომელიც იდგა ქ. ფასისში [1505, გვ. 138-139]. სამწუხაროდ, თვით ქალაქი ფასისი და აქ აგებული რომაული ციხე-სიმაგრის ნაშთები ჯერ აღმოჩენილი არაა. ეს ციხე-ქალაქიც დაწვრილებით აქვს აღწერილი არიანეს: „ციხე-სიმაგრეში თავსდება ოთხასი რჩეული მეომარი ... ორმაგი თხრილი ერტყმის კედელს. ორივე ფართოა. წინათ კედელი თხისა იყო და ხის კოშკები იდგა მასზე. ახლა კედელი და კოშკები გამომწვარი აგურისგანაა გაკეთებული. საძირკველი მისი მყარია, ზედ სამხედრო მანქანებია დადგმული ... ხოლო რადგან ნავსაყუდელი უშიშარი თავშესაფარი უნდა ყოფილიყო ხომალდთათვის, საიმედოდ უნდა ყოფილიყო დაცული აგრეთვე ციხის გარშემო მდებარე სხვა ადგილებიც, რომლებიც დასახლებული იყო სამსახურიდან გადამდგარი სამხედრო პირებით და ვაჭრებით ...“ (§ 9 = [319, გვ. 39-40]). აქედან ჩანს, რომ ადრე ფასისში იყო ხითა და ალიზით ნაგები ციხე, რაც ტიპიურია I ს-ის რომაული კასტელუმებისათვის. ცნობა კედლებზე განლაგებული სამხედრო მანქანების შესახებ შეიძლება მიუთითებდეს ლეგიონის სამხედრო ნაწილზე. ფასისს ჰქონია ნავსადგურიც. საინტერესოა ისიც, რომ ფასისში საცხოვრებლად რჩებოდნენ ვეტერანები – ყოფილი სამხედრო პირები. არიანეს აღწერილი ფასისი აღმოჩენილი არაა. შვეიცარიელი მოგზაური დიუბუა ვარაუდობდა, რომ ის უნდა ყოფილიყო მის მიერ ნანახი ნაგიზნურუ ([412, I, გვ. 67 და შემდ.;], შდრ. [1049], [1353, გვ. 48], [1070, გვ. 40]), რომელიც ამჟამად დანგრეულია.

არიანეს აღწერილი აქვს ციხე-სიმაგრე სებასტოპოლისიც, ძველი დიოსკურიის ადგილას. აქ მას განუხორციელებია: „ჯარისკაცთათვის ხელფასის მიცემა, ცხენებისა და იარაღის დათვალიერება, მხედრების გავარჯიშება ცხენზე შეხტომაში, ავადმყოფების მონახულება, პურის შახაგის შემოწმება, ციხე-სიმაგრის კედლისა და თხრილის შემოვლა ...“ (§ 10 [319, გვ. 41]).

სებასტოპოლისის უფრო გვიანდელი ნაშთები კი ქ. სოხუმში ზღვის სანაპიროზეა ფიქსირებული [1515]. მათგან ყველაზე ადრინდელია რომაული სამხედრო სიმაგრის (კასტელუმი) ჩრდილო-აღმოსავლეთ კედლის ნაშთები (დანარჩენი ნაწილი ზღვაშია ჩაძირული). კედელი (უფრო გვიან 5 კონტრფორსითა და 2 კოშკით გამაგრებული) 2,4 მ სისქისაა და ნაგებია ე.წ. შე-

[301] ახალი არქეოლოგიური გათხრების წინასწარი მონაცემები იხ. [16, გვ. 49-51], [16ა, გვ. 43-45], გაზეთი „ჭვარა,“ № 146-147, 18 ივლისი, 1998 წ., ბათუმი, გვ. 4-5.

რეული წყობით („ოპუს მიქსტუმ“): კირქვის ხსნარზე ზღვის კენჭებისაგან და აგურისაგან, რომელიც ორ რიგად განლაგებულ სარტყელს ქმნის. კუთხეებში დადასტურებულია ოთხ რიგად განლაგებული აგურის სარტყლებიც. კედელი ძირითადად სწორია, მაგრამ ჩრდილო-აღმოსავლეთ ბოლოშია მომრგვალებული. არქეოლოგ ვ. ლექვინაძის რეკონსტრუქციის თანახმად, ახ.წ. II ს-ის დასარულსა თუ III ს-ის დასაწყისში აგებულ რომაელთა სიმაგრეს მომრგვალებულკუთხეებიანი პარალელოგრამისებური დაგეგმარება ჰქონდა. მისი ფართობი დაახლოებით 0,6-0,8 ჰა-ს შეადგენდა და განკუთვნილი უნდა ყოფილიყო ორასამდე ჯარისკაცისათვის. უფრო გვიან (ახ.წ. III ს-ის დასასრული – IV ს.) იმავე ადგილას რომაელები აშენებენ ახალ სიმაგრეს, რომლის ფართობი უკვე 2,0 – 2,5 ჰა-ს შეადგენს [1522]. აქ დასაზელებულ ნაგებობათაგან ორიოდე კმ-ის დაცილებით მდგარა კიდევ ერთი სწორკუთხა კოშკი (შიდა ფართობი 5,40×5,47 მ), რომელიც აგებულია არაუადრეს II ს-ის დასასრულისა, ფუნქციონირებდა III და IV ს-ში და იცავდა ზემოაღწერილ მთავარ სიმაგრეს [1405, გვ. 313-317].

კოლხეთის სანაპიროზე აგებულ რომაულ ციხე-სიმაგრეებს შორის ყველაზე უკეთ შესწავლილია პიტიუნტი – დღევანდელი ბიჭვინტის აღგილას. არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა თავდაცვითი, ადმინისტრაციული, საკულტო და საცხოვრებელი ნაგებობები. ცალკეული და ჯერჯერობით მცირერიცხოვანი აღმოჩენები (ძირითადად კერამიკისა) განეკუთვნება ახ.წ. I ს-ს. რომაული ციხე-სიმაგრის მშენებლობა კი, არქეოლოგიური მასალების მიხედვით, იწყება არაუადრეს ახ.წ. II ს-ისა, რაც თითქოს წერილობითი წყაროებითაც დასტურდება: ახ.წ. 134 წლისათვის არიანე ჯერ კიდევ არ იხსენიებს პიტიუნტს რომაულ სიმაგრეთა შორის.[302]

რომაული ხანის პიტიუნტი ორი უმთავრესი ნაწილისაგან შედგებოდა: კასტელუმი („ციხე“, „სიმაგრე“) და კანაბე, რომელიც აგრეთვე თავდაცვითი კედლებითა და კოშკებით იყო გარშემორტყმული. სწორკუთხა მოყვანილობის „სიმაგრე“ – კასტელუმი (150×130 მ) ერთი კოჰორტისათვის, ე.ი. 500 ლეგიონერის დასაბანაკებლად, იყო განკუთვნილი. იგი აგებულია II-III სს-ში და შემდეგ IV და V სს-ში რამდენჯერმე გადაკეთებული თუ ხელმეორედ აშენებული. მძლავრი (3,00-3,20 მ სისქის) კედლები კირხსნარზეა კონგლომერატის ქვებით აგებული. ისინი განმტკიცებულია სწორკუთხა, მრავალკუთხა და ნახევარწრიული კოშკებით. შესასვლელი აღმოსავლეთ კედელში ყოფილა გამართული. კარიბჭეს იცავდა ორი კოშკი (გარედან მომრგვალებული, ხოლო შიგნით სწორკუთხა მოყვანილობისა). „სიმაგრის“ (კასტელუმის) შიდა ნაწილში იდგა რამდენიმე ნაგებობა, რომელთაგან უმთავრესი იყო ე.წ. პრეტორიუმი (სურ. 237).



სურ. 237. პიტიუნტი (ბიჭვინტის ნაქალაქარი). გეგმა

სიმაგრეს აღმოსავლეთი მხრიდან ეკვროდა ვრცელი სამოქალაქო დასახლება – კანაბე, რომლის თავდაცვითი კედლები და კოშკები „სიმაგრესთან“ (კასტელუმთან) ერთად ქმნიდნენ ერთიან მძლავრ საფორტიფიკაციო სისტემას. თუმც, როგორც ჩანს, თავდაპირველად კანაბე იზოლირებული იყო ძირითადი სიმაგრისაგან, რომლის კარიბჭის დამცავი კოშკები თავისი საფასადო მხრით კანაბესკენაა მიმართული [1483, გვ. 62-63]. სამოქალაქო დასახლების (კანაბეს) ტერიტორიაზე გათხრილი ნაგებობის უმრავლესობა IV-VI სს-ით თარიღდება, მათ შორის მოზაიკურიატკიანი ქრისტიანული ბაზილიკებიც. III-IV სს-ს განეკუთვნება საკანალიზაციო სისტემა და აბანო, აგრეთვე ზოგიერთი სხვა ნაგებობა [1499].

ცალკეული საფორტიფიკაციო ნაგებობანი (თავდაცვითი კედლები, კოშკი), რომელნიც შედიოდნენ ძველი პიტიუნტის ერთიან თავდაცვით სისტემაში, ფიქსირდება აგრეთვე მის კასტელუმ-კანაბეს გარეთაც, მაგ. ინკიტის ტბის მიდამოებში [1483, გვ. 48-49].

კანაბეს თავდაცვითი კედლების სამხრეთითა და დასავლეთით მდებარეობდა საკმაოდ ვრცელი სამაროვანი. სამარხთა ძირითად ტიპს წარმოადგენდა ორმოსამარხები. III-IV სს-ში დადასტურებულია მოკრუნჩხულ პოზაში, შესაძლოა, ხის კუბოებში დაკრძალვა. გვხვდება ამფორებში დაკრძალვაც (ინჰუმაციაც და კრემაციაც). სამაროვანზე წარმოდგენილია აგრეთვე აკლდემებიც, რომელნიც კონგლომერატის ქვებით ან თიხის ფილებითაა კირხსნარზე ნაგები. სამარხეული ინვენტარი გამოირჩევა მრავალ-

[302] არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად რომაული სიმაგრის არსებობა პიტიუნტში არიანეს წინარე ხანაში ივარაუდება (იხ. [1505, გვ. 132, შენიშვნა 3 და გვ. 132, შენიშვნა 25]).

რიცხოვნებითა და მრავალფეროვნებით (დაწვრ. [1499]).

ძველი სებასტოპოლისისა და პიტიუნტის გათხრებმა გამოაკლინეს საკმაოდ მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა, სადაც ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანია კერამიკა, მრავლადაა ამფორები. II-III სს-ში განსაკუთრებით გავრცელებულია წელშეზნექილი, წაგრძელებული ადგილობრივი ამფორები. მათთან ერთად გვხვდება სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, აგრეთვე ქერსონესის, ბოსფორის, სინოპის და სხვა ცენტრების ამფორებიც [7, I, გვ. 252-280]. საკმაოდ მრავალფეროვანია II-III სს-ის ჭითელლაკიანი კერამიკაც (ჯამები, თეფშები, თასები, ცალყურა და ორყურა დოქები). საგანგებოდაა აღსანიშნავი ოვალური ფორმის მომრგვალებულკალთებიანი, პირგადაშლილი და ბრტყელძირიანი თეფშები, რომელნიც შემკულია რელიეფური გამოსახულებებით (ნადირობის სცენები, ჯანჩა, დელფინი, თევზები, მცენარეული ორნამენტი და სხვ.) [1479], [1484], [1487], [1500], [1506]. ეს კერამიკა ძირითადად ზღვისპირა ქალაქებში გვხვდება და ჯერჯერობით ქვეყნის შიდა რაიონებში დადასტურებული არაა. ასე, რომ ახ.წ. პირველ საუკუნეებში ზღვისპირა საქალაქო ცენტრებმა დაკარგეს თავიანთი ეკონომიკური ფუნქციაც, როგორც მთელი კოლხეთის სავაჭრო ცენტრებისა. ისინი უმთავრესად რომის იმპერიის პოლიტიკური ინტერესების განმხორციელებლები იყვნენ. მათი ძალაუფლება ღრმად, ქვეყნის შიგნით, როგორც ჩანს, არ ვრცელდებოდა, სადაც ამ დროს იგრძნობა ქართლის (იბერიის) პოლიტიკური და კულტურული ზეგავლენა. ეს ვითარება ნუმიზმატიკური მონაცემებითაცაა თვალსაჩინოდ ილუსტრირებული [1516], [1488-1490]. ახ.წ. I-III სს-ში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ისახება ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული არეალი, სადაც სხვადასხვა ფულადი ერთეულებია მიმოქცევაში. ზღვისპირა ზოლში, სადაც განლაგებული იყვნენ რომაული გარნიზონები, გავრცელებული იყო კესარიული მონეტები, რომელნიც, როგორც ფილრობენ, შემოდიოდა ტრაპეზუნტიდან (ეს უკანასკნელი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ამიერკავკასიაში მდგარი რომაული გარნიზონების მომარაგებაში). შიდა რაიონებში კი ამ დროს ბპილენძის მონეტები კი არ მიმოიქცევა, არამედ – დიდრაქმები და დენარები. ახ.წ. II ს-ის დასასრულიდან მიმოქცევაშია საერთო საიმპერიო დენარები. ამავე დროს კოლხეთის აღმოსავლეთ რაიონებში სამონეტო მიმოქცევის საფუძველს შეადგენენ რომის იმპერატორთა ბპილენძის მონეტები, რომელნიც, როგორც ფილრობენ, აქ მეზობელი იბერიიდან ვრცელდებოდა [1488], [1516].

ადგილობრივი სახელმწიფოებრიობის დაცვამას მძიმე შედეგი ჰქონდა ერთ დროს ძლიერი და ერთიანი კოლხეთისათვის. ზღვისპირა ზოლი თითქმის მთლიანად რომაელთა გამგებლობაში იყო. შიდა რაიონებში კი, წერილობითი წყაროების მიხედვით, შეინიშნება დემოგრაფიული ძვრები, ახალი ეთნოპოლიტიკური ერთეულების წარმოქმნა, პირველყოფილი გვაროვნული საზოგადოების დინებაში მდგარი მთიელი ტომების მოძალება, საერთოდ, უნდა ითქვას, ერთგვარი „ბარბარიზაცია“ აგრე ძლიერი და აცვაებული, ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებული მხარისა (დაწვრ. [441, გვ. 363-391]; [42, I, გვ. 537-563]). მაგრამ ახ.წ. პირველი საუკუნეები აღინიშნება ძველი კოლხეთის სამეფოს ნანგრევებზე ახალი პოლიტიკური ერთეულების წარმოქმნით, რომელთაგან თანდათანობით მოწინავე ადგილს იკავებს ლაზთა სამეფო, რომელიც შემდეგ, ახ.წ. IV ს-დან თავის პოლიტიკურ გავლენას მთელს დასავლეთ საქართველოზე გაავრცელებს და ძველი კოლხეთის სამეფოს მემკვიდრედ მოვგვევლინება [1498, გვ. 313-340]. საყურადღებოა და მრავალმხრივ აღსანიშნავი, რომ ლაზებს თავი კოლხებად მოჰქონდათ და ამაყობდნენ კიდეც ამით. ადგილობრივი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულების წარმოქმნა და მათ მეთაურთა დაწინაურება, მმართველთა წრის სამართებითაც დასტურდება. ისინი აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში: კლდეეთში [1497], [1512], თაგილოსში [1514], სარგვეშში [1539], გონიოში [1511], ციხისძირში [1508], [1494].

ახ.წ. პირველი საუკუნეების დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მატერიალური კულტურის დაწერილებითი დახასიათება გართულებულია ქვეყნის შიდა რაიონებიდან არქეოლოგიური მასალის შედარებითი სიმცირით. ნამოსახლარები ჯერ კიდევ არაა. ფაქტობრივად ცნობილია მხოლოდ სამარხთა აღმოჩენის ცალკეული შემთხვევები. მაგრამ მაინცაა შესაძლებელი მსჯელობა დაკრძალვის წესებსა და მატერიალური კულტურის ცალკეულ ელემენტებზე [1503].

ადგილობრივი მოსახლეობის ახ.წ. პირველი საუკუნეების დაკრძალვის წესები გამოირჩევა ერთგვარი მრავალფეროვნებით. ყველაზე მეტად გავრცელებულია ორმოსამარხები, სადაც მცვალებული ჩასვენებულია მოკუნჭნულ ან გაშოტილ პოზაში [1503, გვ. 66-68]. მდ. ენგურის შუა წელზე მდებარე სოფ. ლიაში [1507] დადასტურებულია ქვაყრილიანი ორმოსამარხები, რომელთაც ირგვლივ რიყის დიდი ზომის ქვები ჰქონდათ შემოწყობილი. მკვალებულები (მამაკაცებიცა და ქალებიც) ზურგზე გაშოტილად იყვნენ დაკრძალული. თითოეულ სამარხში რამდენიმე (2-4) თიხის ჭურჭელი ელაგა. ქალთა სამარხებში ჭარბობს სამკაული, ხოლო მამაკაცთა სამარხებში – იარაღი (მახვილები, სატევ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რები, დანები, შუბისპირები). ორივეგან გვხვდება მშვილდსაკინძები და ქამრის ბალთები. მამაკაცთა სამარხებში ახ.წ. I-II სს-ის ვერცხლის რომაული მონეტებიცაა ნაპოვნი. ეს სამარხები საზოგადოების საშუალო ფენას ეკუთვნიან [1507].

ახ.წ. II-III სს-ის მდიდრული სამარხები შესწავლილია სოფ. კლდეეთში (დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ განაპირას, რომელიც, როგორც ფიქრობენ, იბერიის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იყო მოქცეული). მიცვალებულები უშუალოდ სამარხ ორმოებში არიან ჩასვენებული მოკრუნჩხულად, თავით დასავლეთისაკენ. დადასტურებულია ცხენისა და ძაღლის ჩაყოლება, ხოლო ერთ შემთხვევაში – შინაური საქონლის ძვლებიც – იმქვეყნიური „საგზლის“ ნაშთები. სამარხეული ინვენტარი საკმაოდ მრავალრიცხოვანია და მრავალფეროვანი: ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს სამკაულები (ბალთები, მშვილდსაკინძები, აბზინდები), რომელნიც ხშირად ფერადი თვლებითაა გაწყობილი; თიხის, ლითონისა და მინის ჭურჭელი; რკინის იარაღი (მახვილები, სატევრები, შუბისპირები და სხვ.); მონეტები ([1497], შდრ. [1512]).

ორმოსამარხებთან ერთად გვხვდება სამარხთა სხვა სახეობანიც: ქვაყუთები (მთიან რაჭაში – სოფ. ბრილი და შოშეთი), ქვევრსამარხები (ბანძა, ძევრი, საირხე) [1503, გვ. 67], [1502], [1188, გვ. 128-130].



სურ. 238. ახ.წ. I-III სს. კერამიკა [1503, 1507]

სოფ. ჩხოროწყუში (სურ. 109, № 35) დადასტურებულია მიცვალებულთა კრემაცია და ფერფლის საგანგებო ჭურჭელში (ურნაში) „ჩასვენება“ სამარხეულ ნივთებთან ერთად [1530]. ეს სამარხები ახ.წ. II-III სს-ით თარიღდება. ამავე დროისაა ე.წ. წებელდური კულტურის ადრეული სამარხები (დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, მდ. კოდორის ხეობაში) (სურ. 109, № 46). აქ დადასტურებულია როგორც ინჰუმაციური, ასევე კრემაციული ორმოსამარხები [1532], [1533].

მიუხედავად დაკრძალვის წესების ასეთი მრავალფეროვნებისა, მაინც ძველი კოლხეთის რაიონების მოსახლეობის მატერიალურ კულტურას გარკვეული ერთგვაროვნება ახასიათებს ახ.წ. პირველ საუკუნეებშიც.

კერამიკა მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. ტიპიურია ცალყურა და ორყურა დოქები (მეტწილად სამტუჩა), მაღალძირიანი თასები და ჯამები, წკვეთილი კონუსის ფორმის ვაზები მაღალ, ძირშეღრმავებულ ქუსლზე (რომელიც ზედა ნაწილის მოყვანილობას იმეორებს), ცალყურა ქოთნები, ქვევრები და დერგები (სურ. 238).

ახ.წ. I ს-დან ვრცელდება იმპორტული ნაწარმიც, თუმც დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებში მაინც იშვიათია: რამდენიმე სანელსაცხებლე ნაპოვნია კლდეეთის მდიდრულ სამარხებში [1497, გვ. 23-24].



სურ. 239. რკინის საომარი და სამეურნეო იარაღი [1503, 1507]

მრავალფეროვანია რკინის იარაღიც: მახვილები (ორლესული), სატევრები (მეტწილად რგოლისებურქუდიანი ე.წ. სარმატული ტიპისა), შუბისპირები (ფოთლისებური, წაგრძელებული, ქედიანი, ფრთითა და კონუსისებური ყუნწით) და ისრისპირები (სამფრთიანი). დადასტურებულია მუზარადის, რკინისა და ბრინჯაოს ჯავშნის ფრაგმენტებიც (თაგილონი, კლდეეთი) (სურ. 239).

სამეურნეო იარაღი წარმოდგენილია რკინის ცულებითა და მოხრილი, ნამგლისებური დანებით.

მდიდრულ სამარხებსა და „განძებში“ საკმაოდ ხშირად გვხვდება ლითონის ჭურჭელი, მეტწილად იმპორტული ან ადგილობრივი, უც-

ხოურის მიბაძვით დამზადებული: ოქროს კანელურებიანი ფიალა (გონიო) და ვერცხლის თასები (თაგილონი, ბანძა), რელიეფური გამოსახულებებით მორთული ვერცხლის თასები (ხაიში, თაგილონი, სარგვეში), ვერცხლის ორნამენტირებული თეფშები და ლანგრები (თაგილონი), ტიხე-ფორტუნას გამოსახულებიანი ვერცხლის ლანგარი (ციხისძირი), ინკრუსტირებული ვერცხლის ფიალა (ქვაშხეთი), კანთაროსისებური ვერცხლის ჭურჭლის ყური, რომელიც მორთულია აღმოსავლურ ტანისამოსში გამოწყობილი მუზარადიანი ჯაბუკის რელიეფური გამოსახულებით (ციხისძირი) და სხვ.

საკმაოდ მრავალფეროვანია ოქროს (ხშირად ნაირფერი ქვებით, მინითა თუ პასტით ინკრუსტირებული), ვერცხლისა და ბრინჯაოს სამკაული. განსაკუთრებით დამახასიათებელია მთლიანად ნაჭედი ბუდეპაბმული მშვილდსაკინძები, რომლებიც მრავლადაა წარმოდგენილი ახ.წ. II-III სს-ის სამაროვნებზე. ასე მაგ. კლდეეთში ფერადი ჩანართებით გაწყობილი ვერცხლის მშვილდსაკინძია ნაპოვნი, ბრინჯაოსი კი – ჩხოროწყუს, ლიას, ძევრისა და სხვა სამაროვნებზე.

ოქროს სამკაულებს შორის გამოირჩევა საყურეები (მასიურ, თავგადასხლილ რგოლზე ჩამოკიდებულია ოქროს ფურცლისაგან დამზადებული ბურთულებისაგან შედგენილი მტევანი), სამაჯურები (ბოლოებგადახვეული), მძივები და მძივსაკიდები [1503, გვ. 79-86].



სურ. 240. ოქროს ბალთა. კლდეეთი. ახ.წ. III ს. [1497]

ასევე მრავალფეროვანია საბეჭდავი-ბეჭდები: როგორც ადგილობრივი, ასევე იმპორტული.[303] საგანგებოდაა აღსანიშნავი ტანისამოსისა და თავსაბურავის მოსართავი საგნები. მათ შორისაა ოქროს ბალთები – მოთვალული და დაცვარული სწორკუთხა ფირფიტები, რომელთა ზედა ნაწილი ფრინველის ან ცხოველის გამოსახულებით მორთული სამკაუხედებითაა დაგვირგვინებული, ხოლო ქვედა ნაწილზე შებმულია წვრილ ძეწკვზე დამაგრებული მრგვალი ფირფიტები (სურ. 240). ასეთი ბალთები ნაპოვნია კლდეეთში, გონიოში და თარიღდება ახ.წ. II-III სს-ით [1501, გვ. 19-22]. მათი დანიშნულება სულ ნათელი არაა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისინი შესაძლოა თავსამკაულს წარმოადგენდნენ [1256, გვ. 87, შენიშვნა 38]. თავისი ტიპოლოგიური და მხატვრულ-სტილისტური ნიშნებით (სწორკუთხა ცენტრალური ბალთა, ჩიტების სკულპტურული გამოსახულებანი, ძეწკვიანი საკიდები, გავარსის შეთანხმება ფერად ინკრუსტაციასთან) გონიოსა და კლდეეთის ფერადი თვლებით მორთული ბალთები განეკუთვნებიან სამკაულთა იმ რიგს, რომელნიც ახ.წ. პირველ საუკუნეებშია ფრიად გავრცელებული (დაწვრ. [1501, გვ. 19-23]). ყურადღებას იქცევს მათ შემკულობაში გავარსის ფართოდ გამოყენება: როგორც ცენტრალურ სწორკუთხა, ასევე დამაგვირგვინებელ სამკაუთა ჩარჩოებზე თავისუფალი ადგილები ცვარათი გამოყვანილი სამკუთხედებითა და ვარდულებითაა მორთული. ოქროს სამკაულის ბრტყელი ზედაპირის მორთვა ცვარათი გამოყვანილი სამკუთხედებითა და პირამიდებით ძველ კოლხურ ოქრომჭედლობაში ფართოდ გავრცელებული მხატვრულ-სტილისტური ხერხია უკვე ძვ.წ. VII-IV სს-ში. ძნელი საოქმელია, გონიოს და კლდეეთის ბალთების შემკულობაში ძველი კოლხური ოქრომჭედლობის ტრადიციების აღორძინებასთან გვაქვს საქმე, თუ ახალ მხატვრულ-სტილისტურ ტალღასთან, რომელიც ახ.წ. პირველ საუკუნეებში გეზგდება საქართველოშიც და ჩრდილო კავკასიაშიც (განსაკუთრებით ყუბანისპირეთში). საერთოდ კი ახ.წ. პირველი საუკუნეების დასავლეთ საქართველოს საიუველირო ნაწარმი ძალიან ახლო მსგავსებას ამჟღავნებს იბერიის ოქრომჭედლობის ნიმუშებთან და საერთოდ ამ დროს მთელს მატერიალურ კულტურაში იგრძნობა იბერიის კულტურული გავლენა, რაც იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების თავისებური გამოვლინებაა: იბერია ამ დროს საქართველოს მიწა-წყალზე მთავარი მოქმედი ძალაა, გამავრცელებელი ახალშობილი ქართული ცივილიზაციისა.

[303] იხ. [1595, გვ. 121 და შემდ. №№ 109, 110, 116, 119, 127, 129, 135, 136, 140, 144].

4. ქართლის (იბერიის) სამეფო ახ.წ. პირველ საუკუნეებში

რომაელთა პოლიტიკური გავლენა ქართლის (იბერიის) სამეფოზე დიდხანს არ გაგრძელებულა. იბერიის მესვეურებმა მარჯვედ ისარგებლეს ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარში რომში მიმდინარე შინაპოლიტიკური ბრძოლებით (რომელიც რესპუბლიკის დამხობითა და ძვ.წ. 30 წელს იმპერიის გამოცხადებით დამთავრდა) და მისი პართიის ძლიერ სამეფოსთან ურთიერთობის უკიდურესობამდე გამწვავებით. ძვ.წ. 50-30 წწ. ქართლის სამეფო უკვე სრულიად განთავისუფლებულია რომისადმი პოლიტიკური დამოკიდებულებისაგან. კიდევ მეტი! იბერიის მეფეები წარმატებით იყენებდნენ რომს თავისი პოლიტიკური ძალაუფლების განსამტკიცებლად სომხეთისა და პართიის სამეფოების წინააღმდეგ ბრძოლაში [41, გვ. 507 და შემდ.].

ახ.წ. I-II სს. რომისა და ქართლის სამეფოს ურთიერთობა ძირითადად კეთილმეზობლურსა და მშვიდობიან ხასიათს ატარებდა, თუმც ზოგჯერ ადგილი ჰქონდა პოლიტიკური ურთიერთობის გამწვავებასაც (მაგ., იმპერატორ ადრიანეს მმართველობის დროს). ახ.წ. I-II სს. რომისა და იბერიის პოლიტიკური ურთიერთობა გამოიხატებოდა თავისებურ კავშირში (სიმმაქიაში), რასაც, როგორც ფიქრობენ, გარკვეული ორმხრივი ეკონომიკური ინტერესებიც განსაზღვრავდა. ცნობილია, რომ რომის დაინტერესება ამიერკავკასიის ქვეყნებით მხოლოდ ამ უკანასკნელთა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობით (როგორც პლაცდარმისა ჩრდილოეთის მომთაბარე ტომების წინააღმდეგ) არ იყო განპირობებული. აქ დიდ როლს ასრულებდა ის გარემოებაც, რომ რომაელები ამიერკავკასიის ქვეყნებში ხედავდნენ დამაკავშირებელ გზას ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთთან, რომელიც მონათა უშრეტ წყაროს წარმოადგენდა. ასევე რომაელთა ეკონომიკური ინტერესების სფეროში ექცეოდა ის დიდი სავაჭრო მაგისტრალი, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებს ამიერკავკასიაზე გავლით დასავლურ სამყაროსთან აკავშირებდა. ცნობილია, რომ პომპეუსი სავანგებოდ იყო დაინტერესებული ამ გზაზე სავაჭრო ურთიერთობათა განხორციელების შესაძლებლობებით. ვარონის ცნობით (რომელიც პლინიუსთანაა შემონახული), „პომპეუსის ლაშქრობის დროს მისი (ე.ი. პომპეუსის – ო.ლ.) ბრძანებით გამოკვლეულ იქნა, რომ ინდოეთიდან შეიძლება 7 დღეში ჩასვლა პაქტრიაში მდ. პაქტრთან, რომლიც ოქსს ერთვის, აქედან ინდური საქონელი გადაქვთ კასპიის იქით მდ. მჭკვრით და სახმელეთო გზით. არა უმეტეს 5 დღისა მათ შეუძლიათ მიაღწიონ ფასისს, რომელიც შავ ზღვას ერთვის" (პლინიუსი, ბუნების ისტორია, VI, 52).

ახ.წ. I-II სს-ში ქართლის (იბერიის) სამეფო აქტიურ როლს ასრულებს რომის იმპერიის საგარეო პოლიტიკაში და მის მოკავშირედაც გვევლინება მახლობელ აღმოსავლეთში. რომაელმა ისტორიკოსებმა ტაციტუსმა და დიონ კასიუსმა შემოგვინახეს საკმაოდ დაწვრილებითი აღწერილობა ქართლის მეფეების სომხეთში პოლიტიკური ძალაუფლების დამკვიდრებისა და პართელთა წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლების შესახებ. ამ დროს იბერიის ხელქვეით აღმოჩნდნენ ზოგიერთი ჩრდილოკავკასიური ტომებიც. ქართლის ხელისუფალნი აკონტროლებდნენ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო და სტრატეგიულ მაგისტრალებს (დაწვრ. [41, გვ. 510-537], [441, გვ. 337-363], [1583], [1681]).

განსაკუთრებულ ძლიერებას იბერიამ მიაღწია ახ.წ. II ს-ის 30-50-იან წლებში მეფე ფარსმან II დროს, რომელსაც ძველი ქართული წყაროები „ქველს" უწოდებენ და ასე ახასიათებენ: „ ...ხოლო ფარსმან ქველი იყო კაცი კეთილი და უხუად მომნიჭებელი და შემწყობელი, ასაკითა შუენიერი, ტანითა დიდი და ძლიერი, მხნე მხედარი და შემმართებული ბრძოლისა, უშიში ვითარცა უხოცო და ყოველითავე უმჯობესი ყოველთა მეფეთა ქართლისათა, რომელნი გარდაცვალებულ იყვნეს უწინარეს მისსა" [268, გვ. 51]. ფარსმან მეფე მოხსენებულია „არმაზის ბილინგვაშიც" – არამეული დამწერლობით შესრულებული ტექსტის მე-2 სტრიქონში [291, გვ. 15-16].

ფარსმან II-ის მეფობაში იბერიის ტერიტორია საგრძნობლად გაიზარდა და შავ ზღვამდეც კი მიაღწია. ფლავიუს არიანე, რომელმაც იმპერატორ ადრიანეს დავალებით 134 წელს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო მოიარა, იხსენებს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მაკრონებისა და ჰენიოხების მეზობლად მცხოვრებ ზიდრიტების ტომს, რომელნიც „ფარსმანის ქვეშევრდომნი არიან" [319, გვ. 42]. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ რომაულ ციხე-ქალაქ აფსაროსში (თანამედროვე სოფ. გონიო) მდ. ჭოროხის შესართავთან დაბანაკებული იყო, თითქოს, რომაელ ჯარისკაცთა 5 კოჰორტა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ასეთი მრავალრიცხოვანი ძალა, პირველ რიგში, იბერიის აქტიური ექსპანსიისაგან თავის დასაცავად უნდა ყოფილიყო გამიზნული [1505]. ბუნებრივია, რომ რომის იმპერია თვით იყო დაინტერესებული აგრე გაძლიერებული იბერიის მოკავშირეობაში. რომაელი ისტორიკოსის დიონ კასიუსის ცნობით, იმპერატორმა ანტონინე პიუსმა ქართლის მეფე ფარსმანი რომში მიიწვია და მას დიდი პატივი მიაგო: სპარტიო სტუმარს „ნება დართო კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეეწირა, მისი ცხენოსანი ქანდაკება ენიალონზე დაადგმევინა და უყურებდა ფარსმანის, მისი ვაჟისა და სხვა წარჩინებულ იბერთა სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედრო ვარჯიშობას“ („რომის ისტორია“, XX, 2 [314, გვ. 83]). ამ ამბების შესახებ იუწყება რომაელი ისტორიკოსი იულიუს კაპიტოლუსიც. კიდევ უფრო სანიტერესოა, რომ იბერთა მეფის ფარსმანის რომში სტუმრობას იხსენიებს რომის მახლობლად ქალაქ ოსტიაში აღმოჩენილი წარწერაც ([307], [276], შდრ. [441, გვ. 357-363], [41, გვ. 529-534]).

იბერთა მეფეების ძლიერება მათ ტიტულატურაშიც აისახა: ისინი უკვე „დიდ მეფეებად“ იწოდებიან! ასე, მაგალითად, ერთენოვან არამეულ წარწერაში იხსენიება „მიჰრდატ, მეფე დიდი, ძე ფარსმანისა, დიდი მეფისა“ [303], „არმაზის ბილინგვაში“ შემოგვინახა ქართლის (იბერიის) სამეფოს უმაღლეს სამოხელეო პირთა სახელწოდებანიც – „პიტიახში“ (შესატყვისი ქართული „ერისთავისა“),[304] აგრეთვე „ეპიტროპოსი“ (ბერძნ. ტექსტში) თუ „რბ-თრბს“ (არამეულში), რაც ზუსტად შეესატყვისება სამეფო მეურნეობის გამგებლის ძველქართულ სახელწოდებას – „ეზოისმოძღუარი“ (დაწვრ. [1709], [283], [1597, გვ. 26-27]).

იბერია ძლიერ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ რჩებოდა ახ.წ. III ს-ის პირველ ნახევარშიც, როდესაც აღმოსავლეთის პოლიტიკურ არენაზე გამოდის ახალი ძლავრი სახელმწიფო – სასანიდების ირანი. მხოლოდ შაპურ I დროს (242-272 წწ.) შეძლო სასანიდურმა ირანმა იბერიის დამორჩილება. ყოველ შემთხვევაში სასანიანთა ირანის მეფის (შაპურ I) ცნობილ წარწერაში იბერია მის მოხარკე ქვეყნებს შორის იხსენიება [303, გვ. 55-56], [1592]. მაგრამ, როგორც ვარაუდობენ, უკვე შაპურ I დროს ირანსა და ქართლს შორის მეგობრული ურთიერთობა უნდა დამყარებულიყო. III ს-ში ქართლი დამოუკიდებელ და ძლავრ სახელმწიფოს წარმოადგენდა, კერძოდ, მეფე ამაზასპის მეფობის ხანაში, რომლის შესახებ „ქართლის ცხოვრება“ [268, გვ. 55] იუწყება: „ესე ამაზასპ იყო კაცი ძლიერი და დიდი გოლიათი, მსგავსი ფარსმან ქუელისა ...“ (დაწვრ. იხ. [41, გვ. 564-569]).

ახ.წ. პირველი საუკუნეების ქართლის (იბერიის) სამეფოს ძლიერება თვალსაჩინოდ აისახა მატერიალურ კულტურაშიც. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად აღმოჩენილია სამეფო ოჯახისა და იბერიის წარჩინებულთა მდიდრული სამარხები, მრავალრიცხოვანი ქალაქები – დაწინაურებული მრავალდარგობრივი ხელოსნური წარმოებით, გარე სამყაროსთან ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობით (დაწვრ. [1597, გვ.], [1653-1654]).

არმაზციხეზე (აწინდელი ბაგინეთი), როგორც უკვე ითქვა, სამეფო რეზიდენცია ივარაუდება. ახ.წ. პირველი საუკუნეებით თარიღდება იქ აღმოჩენილი მთელი წყება ნაგებობებისა, რომელთა მშენებლობაში უკვე ფართოდ გამოიყენებოდა კირხსნარი, როგორც დამკავშირებელი მასალა. ასეთებია „სასახლე“, აბანო, სამეურნეო სათავსები, აგრეთვე წყალსადენი და სხვ. (დაწვრ. იხ. [1545, გვ. 29 და შემდ.]). განსაკუთრებით შთამბეჭდავია ექვსაბსიდიანი საკულტო ნაგებობის ნაშთები, მასთან დაკავშირებული ტალანი და 16 ქვევრიანი მარანი, იქ ნაპოვნი ქანდაკების კვარცხლბეკი, რომელიც მორთულია გარდულებითა და სვეტნარის რელიეფური გამოსახულებით, აგრეთვე აღმოჩენის ტერფის ფორმის ჩასამაგრებელი ბუდეებით [1549]. დიდ ინტერესს იწვევს სამარხი ნაგებობანიც. ასეთებია, მაგ., ორფერდა სახურავიანი ქვის სარკოფაგი, რომელიც საკმაოდ მდიდრული ინვენტარით გამოირჩევა: ოქროს ყელსაბამები, სამაჯურები, ბეჭდები, დასაკრძალავი ხის სარეცლის ვერცხლის მოჩუქურთმებული გარსაკრავები, ნადირობის სცენებით თუ ყურძნის მტევნების სტილიზებული გამოსახულებებით მორთული ვერცხლის თასი და ფიალა, ვერცხლის ჩამჩა და „არმაზულ“ წარწერიანი კოვზი, რომაული ოქროსა და ვერცხლის მონეტები [1550].

ასეთი სარკოფაგები იბერიის მმართველი წრისა და მათი ოჯახის წევრების სამარხებადაა მიჩნეული. აღმოჩენილია ქვით ნაგები მავზოლეუმის ტიპის აკლდამაც. ერთ-ერთი მათგანი (სამუზეუმო, ჩვენამდე ძლიერ დანგრეული სახით და გაძარცულად მოღწეული) შიდაციხის ტერიტორიაზეა დადასტურებული (სურ. 242). ეს აკლდამა კლდეში ყოფილა ჩადგმული და შედგება 2 ნაწილისაგან: წინა წაგრძელებული მოყვანილობისაა (5,4 მ² ფართობის) და მას აღმოსავლეთით თითქოს უნდა ჰქონოდა კლდეში გამოკვეთილი სამსაფეხურიანი ვიწრო შესასვლელი, ხოლო ძირითადი ნაწილი წარმოადგენდა მიცვალებულის დასაკრძალავ კვადრატული ფორმის სენაკს (7,4 მ² ფართობისა). აკლდამის კედლები კირხსნარით დაკავშირებული ფლეთილი ქვებითაა ამოყვანილი და შემდეგ მოპირკეთებულია შესანიშნავად გათლილ-დამუშავებული სწორკუთხა ფილებით, რომელნიც ლითონის სამაგრებითაა ერთიმეორეზე გადაბმული (დაწვრ. [1545, გვ. 105-106]).

მავზოლეუმის ტიპის კარგად შემონახული აკლდამა აღმოჩენილია ბაგინეთის ქედის ჩრდილო კალთის ძირას (სურ. 241-242). ესაა გეგმაში კვადრატული ფორმის ერთსენაკიანი სამარხი ნაგებობა, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენაა ორიენტირებული. კედლები

[304] გავიხსენოთ, რომ ქართლის (იბერიის) სამეფოს შემქმნელმა ფარნავაზმა ქართლი დაჰყო რვა ადმინისტრაციულ ერთეულად, რომელთა სათავეში იდგნენ „ერისთავნი“ [268, გვ. 1].

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სხვადასხვა ზომის ქვათლილებისგანაა მშრალი წყობით ამოყვანილი, თუმც ზოგიერთ ადგილას კირხსნარითაა შევსებული. ნახევარწრიული თაღი დიდი ზომის (0,45-0,50 მ სისქის) სოლისებური ქვათლილებითაა შედგენილი. აკლდამის შიდა ფართობი დაახლოებით 4,2 მ²-ია (2,33-2,37×1,75-1,80 მ) და შიგნიდან მოლიანად დანაყილი კრამიტისა თუ აგურის ფხვნილგარეული კირხსნარითაა მოლესილი. იატაკი კარგად გათლილი დიდი ზომის ქვიშაქვებითაა მოვებული. აკლდამა ბრტყელი და ღარისებური კრამიტებითაა ორფერდად გადახურული. დაბალზღურბლიანი კარი დიდი ზომის (1,03×0,68×0,20 მ) სწორკუთხა ლოდით იყო ამოქოლილი. ყურადღებას იქცევს ფასადის თავისებური გადაწყვეტა, რომელსაც პირდაპირი ანალოგიები ბერძნულ-რომაულ არქიტექტურაში არ მოეპოვება. ფასადის დამაგვირგვინებელ ფრონტონს ქმნის ორფერდა ლავგარდანი და არა ანტიკური ფრონტონისათვის აგრე ტიპიური ჰორიზონტული კარნიზი. საინტერესოა, რომ ფასადის ამგვარივე გაფორმება ქარლის ანტიკური ხანის სხვა ძეგლებზეც გვხვდება და ეს ქართული ხუროთმოძღვრების დამახასიათებელ ნიშან-თვისებადაა მიჩნეული.



სურ. 241. „მცხეთის სადგურის“ აკლდამა. ახ.წ. II ს. მცხეთა [1591]

მცხეთის აკლდამის მეორე თავისებურება ისაა, რომ კედლების ქვები არაა მწყობრად და ანტიკური ხუროთმოძღვრებისათვის ჩვეული მკაცრი სისტემით დალაგებული. აქაც ოსტატს გაბედულად დაურღვევია წყობის ჰორიზონტალობა და სხვადასხვა ზომის დიდრონი თლილი ქვები ისე დაუწყვია, როგორც მათი მოყვანილობა უკარნახებდა. ეს ხერხიც მერმინდელი ქართული ხუროთმოძღვრებისათვისაა დამახასიათებელი. ასე რომ, თუმც ზემოაღწერილი აკლდამის ძირითადი ხუროთმოძღვრული ხერხები ელინისტურ-რომაული არქიტექტურიდან მომდინარეობს, მაინც თვალსაჩინოა რიგი თავისებურებანი, რომლებიც ადგილობრივ ოსტატთა შემოქმედებით თავისუფლებაზე მიუთითებს (და წარმოადგენს შესანიშნავ მასალას საშუალო საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების გენეზისის ისტორიისათვის). ამიტომაც სამართლიანია ამ ძეგლის პირველ შემსწავლელთა დასკვნა: „მცხეთის სადგურთან აღმოჩენილი აკლდამა ახალ მასალას გვაწვდის ძველი საქართველოს თავისთავადი, ინტენსიური კულტურული ცხოვრების შესახებ“ [1591, გვ. 648]. აკლდამა გაძარცული აღმოჩნდა, თუმცა გადარჩენილია მინის, ბრინჯაოსა და სხვ. ნივთები, აგრეთვე მონეტები. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს აკლდამა ეკუთვნოდა მმართველი ზედაფენის წარმომადგენელს – შესაძლოა სამეფო ოჯახის წევრს [1591], [1545, გვ. 107-108], [1589, გვ. 21].



სურ. 242. აკლდამის გეგმა [1545]

ქართლის (იბერიის) სამეფოს კულტურას (მისი ყველაზე უფრო დიდი აღმავლობის ხანისას) თვალსაჩინოდ ასახავს არმაზისხევში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად აღმოჩენილი უაღრესად მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა.

არმაზისხევში – მცხეთის მახლობლად, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, იქ სადაც მას მდ. არმაზისხევი მიერთვის, განლაგებული იყო ქართლის სამეფოს უზენაეს მოხელეთა რეზიდენცია. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ახ.წ. II-IV სს-ის სასახლის კომპლექსი და სამაროვანი [1546].

ხუროთმოძღვრული ნაგებობანი ძალზე დაზიანებული სახითაა ჩვენამდე მოღწეული და ისიც არაა ჯერ კიდევ მოლიანად გამოვლენილი და შესწავლილი. ამიტომაც ახლა შეუძლებელია სასახლის კომპლექსის დაგეგმარებისა და მისი შემადგენელი ნაწილების სრულად წარმოდგენა. ცხადია მხოლოდ, რომ ნაგებობათა კედლები კირხსნარით შეკავშირებული ფლეთილი ქვებით ყოფილა ამოყვანილი, სახურავად კი ბრტყელი და ღარიანი კრამიტი იყო ფართოდ გამოყენებული. სასახლის მდიდრულ არქიტექტურულ მორთულობას მოწმობს გათხრებისას აღმოჩენილი მოჩუქურთმებული სვეტისთავები, ქვის ბაზები, პროფილირებული კარნიზები და სხვა დეტალები. შედარებით უკეთაა გადარჩენილი

სასახლის აბანო (სურ. 243), რომლის საძირკველი მსხვილი რიყის ქვებითაა ამოყვანილი, ხოლო კედლები – ფლეთილი ქვაშაქვებით. შემაკავშირებელ მასალად კირხსნარია გამოყენებული. ნაგებობის საერთო სიგრძე 22,0 მ, ხოლო სიგანე – 3,8 მ.



სურ. 243. არმაზისხევის აბანო. II-III სს. I - ქვედა სართული, II - ზედა სართული: 1. გასახდელი, 2. საცეცხლე, 3. ცხელი აბანო, 4. თბილი აბანო, 5. ცივი აბანო [1546]

არმაზისხევის აბანო, რომაული აბანოების მსგავსად, გათბობის ჰიპოკაუსტურ სისტემაზე იყო აგებული და ჰქონდა 5 ძირითადი განყოფილება: გასახდელი ოთახი, საცეცხლე განყოფილება, ცხელი (კალდარიუმი), თბილი (ტეპიდარიუმი) და ცივი (ფრიგიდარიუმი) აბანოები. ყველაზე უკეთ შემორჩენილია ცხელი აბანო (12,1 $м^2$ ფართობისა), რომლის ქვედა ნაწილი ტიპიურ ჰიპოკაუსტს, ე.ი. იატაკქვეშ გათბობის მოწყობილობას წარმოადგენს. მისი თარაზული იატაკი 20 სმ სისქის კირხსნარში შერეული დანაყილი აგურით თუ კრამიტით, ე.ი. წითელი მასის ჰიდრავლიკური ხსნარითაა მოლესილი. იატაკზე მრგვალი, ხოლო კედლების გასწვრივ კვადრატული და სწორკუთხა აგურებით შედგენილი სვეტებია ამოყვანილი, რომელნიც ზემოდან ერთმანეთთან ცეცხლგამძლე ხსნარით დაკავშირებული კვადრატული კერამიკული ფილებითაა გადახურული. ეს ფილები, რომელნიც ზემოდან კიდევ ჰიდრავლიკური ხსნარით იყო გადალესილი, ქმნიდნენ ზედა სართულის იატაკს. ჰაერის ნორმალური ცირკულაციისათვის ჰიპოკაუსტის კუთხეებსა და აგრეთვე თბილი აბანოს კედლებში დატანილი იყო სავენტილაციო კერამიკული მილები. ცხელ აბანოში შემორჩენილია ორი, შედარებით მცირე ზომის, ჰიდრავლიკური ხსნარით მოლესილი სათავსო – ე.წ. „ცისტერნა“, რომელთაც თბილი და ცხელი წყლისათვის იყენებდნენ. ამავე განყოფილების ჩრდილო ნაწილში კედელში ნახევარწრიული ნიში იყო ჩაშენებული. თერმოიზოლაციისათვის სეგმენტისებურამონაჭრებიანი ბრტყელი კრამიტია გამოყენებული. ცივ აბანოში დადასტურებულია 0,12 მ დიამეტრის თიხის მილები, რომელთა მეშვეობით ჭუჭყიანი წყალი კოლექტორში გადადიოდა. ეს უკანასკნელი გამართული იყო აბანოს აღმოსავლეთი კედლის საძირკვლის გასწვრივ და აგებული იყო კირხსნარით შეკავშირებული ფლეთილი ქვებით და ღარისებური კრამიტებით (არხის სიგრძე 5,50 მ, სიგანე – 0,23 მ, სიმაღლე – 0,30 მ).

მიუხედავად იმისა, რომ ტიპოლოგიურად არმაზისხევის სასახლის აბანო ახ.წ. პირველ საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული ე.წ. ჰაიოკაუსტიანი რომაული აბანოების სახეობას განეკუთვნება, მრავალი კონსტრუქციული და ფუნქციონალური დეტალი მაინც ჯერ კიდევ დასადგენია (მაგ., განათების სისტემა, წყალგამანაწილებელი ქსელი, გადახურვის დეტალები და სხვ.) (დაწვრ. [1546, გვ. 147-160]).

სასახლის სამეურნეო ნაგებობათა შემადგენლობაშია მარანი, რომელსაც დაახლოებით 45×90 მ ფართობი ეკავა. ღვინო ინახებოდა მიწაში ჩადგმულ წითლადგამომწვარ ქვევრებში, რომელთა ტანი რელიეფური სარტყლით იყო მორთული. სულ 50-მდე სხვადასხვა ზომის ქვევრია აღმოჩენილი. ყველაზე დიდი ქვევრების სიმაღლე 2 მ-ია (პირის dm – 0,4 მ, მაქსიმალური სიგანე – 0,75 მ, ხოლო ძირის dm – 0,2 მ; კედლების სისქე – 1,5-2,0 სმ).

არმაზისხევის არქეოლოგიური კომპლექსის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს ვრცელი სამაროვანი წარმოადგენს. სულ გათხრილია 144 სამარხი (ძირითადად ორმოსამარხები და ქვით ან კრამიტით ნაგები). გამოირჩევა მდიდრული სამარხების ჯგუფი, რომელიც ეკუთვნის ქართლის სამეფოს წარჩინებულთა ფენას – ერისთავებს. ისინი ქვით ნაგებ სამარხებში არიან დაკრძალული. აქ სამარხთა ორი სახეობა გამოიყოფა: მთლიანადკვეთილი ანუ სარკოფაგი და ქვის ფილებით შედგენილი. სახურავის მიხედვით თითოეულ სახეობაში ორ ქვეტიპს გამყოფენ: ბანურ სახურავიანსა და ორფერდას. დაკრძალვა ინჰუმაციურია – სამარხები დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ხოლო მიცვალებულები, როგორც წესი, თავით დასავლეთისაკენ არიან დასვენებული. ჩონჩხის ცუდი შემონახულობის გამო დაკრძალულთა პოზა სულ ნათელი არაა. ერთ შემთხვევაში თითქოს დადასტურდა მარჯვენა მხარეს მუხლმოხრილ მდგომარეობაში დაკრძალვა, ხოლო მეორეში – მეორადი (მიცვალებულის ძვლები ეწყო ვერცხლის ლანგარზე). მიცვალებულები მეტწილად უშუალოდ სამარხის იატაკზე არიან დაკრძალული, მაგრამ ზოგჯერ ხის საგანგებო სარეცელზე დასვენებული (ნაპოვნია მისი ვერცხლის გარსაკრავები).

სამარხეული ინვენტარი ძალზე მდიდრულია და მრავალფეროვანი. იგი შედგება ოქროს (მეტწილად ძვირფასი თუ ნახევრადძვირფასი ფერადი ქვებით გაწყობილი), ვერცხლის, მინისა და თიხის ნივთებისაგან; მათ შორისაა ოქროს ინსიგნიები (საპარადო სატევრები, სარტყლები, დიადემები, საკუთარსახელიან წარწერიანი ბეჭდები), ვერცხლის ჭურჭელი (საღვინე სერები, დეკორატიული ლანგრები, სკულპტურული გამოსახულებებით მორთული ფიალები და სხვ.), სხვადასხვა სამკაული (სამაჯურები, ყელსაბამები, ბაზრინდები, საკიდები, ბეჭდები), ავგაროზები, რკინის იარაღი, მინის ჭურჭელი და მრავალი სხვ. [1546].

აღსანიშნავია, რომ იბერიის მაღალ მოხელეთა თანაგრძნული სამარხები აღმოჩენილია აგრეთვე ბორში [1697], ზღუდერში [1695], არაგვის ხეობაში [1699].

ქართლის (იბერიის) სამეფოს რიგითი მოსახლეობის კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის წარმოსადგენად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობისაა სამთავროს სამაროვანი (დღევანდელი ქალაქ მცხეთის ჩრდილოეთ განაპირას). ესაა მრავალფენიანი (ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებიდან მოკიდებული ახ.წ. VII-VIII სს.) ვრცელი სამაროვანი, რომლის არქეოლოგიური შესწავლა უკვე მრავალი ათეული წელია მიმდინარეობს. ახ.წ. პირველი საუკუნეებისათვის აქ სამარხთა შემდეგი სახეობანია დადასტურებული: ა) ორმოსამარხები (ქვის ფილებით, კრამიტებით ან აგურებით გადახურული); ბ) ქვის ფილებით ნაგები სამარხები (ე.წ. „ქვაყუთი“); გ) კრამიტით ან აგურით ნაგები სამარხები („კრამიტსამარხი“, „აგურსამარხი“). ზოგჯერ გვხვდება შერეული ტიპისაც: კრამიტსახურავიანი აგურსამარხი ან ქვის ფილით გადახურული აგურსამარხი და ა.შ. ახ.წ. I-III სს-ში უფრო გავრცელებულია კრამიტსამარხები (სურ. 244), რომლის კედლები შედგენილია ბრტყელი კრამიტით. ეს უკანასკნელი ვერტიკალურადაა დაყენებული (განიერი და ვიწრო ნაწილების ქვემოთკენ მოცალეობით), გვერდებით გარეთ (საშუალო სიდიდის სამარხის თითოეული გრძივი კედლისათვის ჩვეულებრივ 4 კრამიტი გამოიყენებოდა).

გვხვდება გრძივი კედლების ამოყვანის სხვა წესიც: კრამიტი ლაგდება მისი გრძელი ნაწილით ან ჩვეულებრივ, შვეულად, მხოლოდ ვიწრო ნაწილით ქვემოთკენ და შეერთების ადგილი იფარება ღარისებური კრამიტით. იატაკიც მეტწილად ბრტყელი კრამიტითაა მოგებული, თუმც გვხვდება ფილაქვით ან კვადრატული აგურით მოგებულიც. სახურავად გამოყენებულია ხე, ფილაქვები ან დიდი ზომის აგურები, მაგრამ მეტწილად კი მაინც ბრტყელი გვერდებაკეცილი კრამიტი, რომელსაც ღარისებური კრამიტი აქვს დაფარებული. ასეთ შემთხვევაში მარტივი სახურავი, ჩვეულებრივ, კრამიტების ერთი ან ორი რიგისგანაა შედგენილი. უფრო ტიპიურია შემდეგნაირი გადახურვა: ხის ნივნივებზე ორ რიგად ლაგდებოდა ბრტყელი კრამიტი, რომლის ერთი ბოლო კრამიტყუთის კედელზე მაგრდებოდა, ხოლო მეორე – ნივნივის ძელზე.



სურ. 244. კრამიტსამარხი. რეკონსტრუქცია [1675]

ახ.წ. I-III სს-ში სამთავროს სამაროვანზე დაკრძალვა ძირითადად ინჰუმაციურია. ადრეულ სამარხებში ჯერ კიდევ მიცვალებულთა მოკრუნჩხულად დაკრძალვის არქაული წესია შემორჩენილი, რომელიც თანდათანობით ზურგზე გაშოტილ მდგომარეობაში დაკრძალვით იცვლება. ახ.წ. პირველი საუკუნეების სამარხთა უმრავლესობა ინდივიდუალურია (ე.ი. ერთი პირისთვისაა განკუთვნილი), მაგრამ გვხვდება ორი ან რამდენიმე მიცვალებულის ერთად დაკრძალვა ან კიდევ სამარხის ხელმეორედ გამოყენებაც (უკვე არსებულ სამარხში ახალი მიცვალებულის ჩასვენება). სამარხებში ჩონჩხი სხვადასხვაგვარადაა დამხრობილი, მაგრამ ჭარბობს მიცვალებულის თავით აღმოსავლეთისაკენ ჩასვენება.

სამარხეული ინვენტარის ანალიზის საფუძველზე ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ საზოგადოების შეძლებული ფენები უფრო ქვით ნაგებ (მეტწილად ორფერდა) სამარხებში იკრძალებოდნენ, საშუალო შეძლებისა – კრამიტსამარხებში, ხოლო ღარიბები და ბავშვები – ორმოსამარხებში.

სამარხთა აბსოლუტური უმრავლესობა ინვენტარიანია, მაგრამ დადასტურებულია აგრეთვე სრულიად უინვენტაროც – მეტწილად ბავშვებისა (თუმც იშვიათად – მოზრდილთა სამარხებიც).

ახ.წ. I-III სს-ის სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი სამარხები შეიცავენ თიხის (როგორც წესი, ცალყურა დოქებს, იშვიათად ქოთნებს) და მინის ჭურჭელს (ბოთლისებური დიდი ზომის ჭურჭელს და სურებს, თასებს და

ფიალებს, სანელსაცხებლეებს, მათარებს და სხვ.), ლითონის (ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინის) ნივთებს, სამკაულს (გემიან ბეჭდებს, დიადემებს, საყურეებს, სამაჯურებს, მძივებს, სამგლოვიარო გვირგვინის ფურცლებს), ტანისამოსის მოსართავს (აბზინდებს, საკინძებსა და მშვილდსაკინძებს) და საპირისფარეშო საგნებს (ბრინჯაოს სარკეები), ლითონის საოჯახო ჭურჭელსა და სხვა ნივთებს (ბრინჯაოსა და ვერცხლის დოქებს, ჩამჩებს, კოვზებს, თასებს), ქვის (გიშრის, სარდიონის, ძოწის, ლალის, ქარვისა და სხვ.), მინისა და პასტის მძივებს, ძვლისა და ნიჟარის საგნებს, მონეტებს).

საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ სამარხებში ამ დროს სრულებით არ გვხვდება სამეურნეო და საომარი იარაღ-საჭურველი (დაწვრ. [1675]).

სამთავროს სამაროვნისათვის დამახასიათებელი დაკრძალვის წესები და სამარხთა აღნაგობა (ორმოსამარხები, ქვიონაგები სამარხები, კრამიტსამარხები და აგურსამარხები) იბერიის სხვა პუნქტებშიცაა დადასტურებული, მაგრამ მეტწილად მაინც მდ. მტკვრის ხეობაში – შიდა ქართლში, სადაც აგრე დაწინაურებული საქალაქო ცენტრები იყო განლაგებული. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი კრამიტსამარხები და აგურსამარხები ჯერჯერობით არაა დადასტურებული ქართლის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქებში – ქვემო ქართლში, სადაც კვლავინდებურად მხოლოდ ორმოსამარხები ან ქვაყუთებია გავრცელებული (შდრ. [862, გვ. 24-30]).

ახ.წ. პირველ საუკუნეებში საქალაქო ცხოვრების აღმავლობისა და დაწინაურების თვალსაჩინო მოწმობაა ნაქალაქარი დღევანდელ სოფ. ძალისაში (მუხრანის ველზე, მცხეთიდან ჩრდილო-დასავლეთით 20 კმ-ის დაცილებით), რომელიც II ს-ის ბერძენი გეოგრაფოსის კლავდიოს პტოლემაიოსის თხზულებაში მოხსენიებულ ქალაქ „ძალისა"-სთანაა იდენტიფიცირებული [1559]. არქეოლოგიური გათხრებით (რომელიც ამჟამადაც მიმდინარეობს) დადგენილია, რომ ძველ ქალაქს დაახლოებით 70 ჰა ფართობი ეკავა. ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე 6-7 ჰა ფართობის ხელოვნური ბორცვი მიჩნეულია ციტადელად – შიდაციხედ, რომელიც ალიზ-აგურის კედლით იყო გარშემორტყმული. აქ დადასტურებულია სხვადასხვა დროის კულტურული ფენები და გვიანანტიკური ხანის, ოდესაც კრამიტსახურავიანი მონუმენტური შენობის ნაშთები. საკუთრივ ნაქალაქარზე აღმოჩენილია ე.წ. რეგულარული პრინციპით დაგეგმარებული უთითერთგადამკვეთი ქუჩები და მოედნები (ზოგიერთი აგურის ფილებით რომ ყოფილა მოგებული), საზოგადოებრივი, საკულტო და საცხოვრებელი ნაგებობანი, შესანიშნავი მოზაიკები, აბანოები, წყალსადენები და საკანალიზაციო სისტემები (სურ. 245).



სურ. 245. ძალისის ნაქალაქარი. გეგმა: 1. პერისტილური სასახლე; 2. სასახლე შადრევნითა და გათბობით; 3. მოზაიკის იატაკიანი ნაგებობა; 4. „დიდი აბანო"; 5. „საცურაო აუზი"; 6. აფსიდებიანი ნაგებობა; 7-8. წყალსადენები; 9. ტყვიის მილებით შედგენილი წყალსადენი; 10. საკანალიზაციო კოლექტორი [1561]

ნაქალაქარზე აღმოჩენილი ყველაზე ადრეული მასალა ძვ.წ. II-I სს-ით თარიღდება, მაგრამ ძირითადი ნაგებობანი ახ.წ. I-IV სს. განეკუთვნება.

საგანგებოდაა აღსანიშნავი მონუმენტური სასახლეები. ერთ-ერთი მათგანი წარმოადგენს რთულ მრავალდარბაზიან არქიტექტურულ კომპლექსს, რომელსაც დაახლოებით 2500 მ^2 ფართობი უკავია. ესაა გრანდიოზული ნაგებობა, რომლის შიდა ეზოში – ატრიუმში – შადრევანი ყოფილა გამართული. გამოვლენილია სახინებელი ოთახები, სათათბირო დარბაზი, ორგანყოფილებიანი საპირფარეშო საკუთარი კანალიზაციითა და წყალსადენით. გადარჩენილია ცენტრალური გათბობის ჰიპოკაუსტიც. სასახლის მფლობელებს საცურაო აუზიც ჰქონიათ. ამ აუზის საერთო მოცულობას 800 მ^3-ით განსაზღვრავენ (სიგრძე ამ ნაგებობათაგან 39,6 მ-ია, სიგანე კი 11,5 მ). აუზის ჩრდ. „აბსიდში" 9 საფეხურიანი ჩასასვლელი კიბეა გამართული, ხოლო კუთხეებში კი ჩამოსაჯდომი მერხებია მოწყობილი. იატაკი და გარე კედლები ჰიდრავლიკური ხსნარითაა მოლესილი. საცურაო აუზი უკავშირდებოდა აბანოს, საიდანაც შემოყვანილი იყო ორმაგი წყალსადენი. ფიქრობენ, რომ საცურაო აუზი და აბანო ერთ კომპლექსს წარმოადგენდა ([1560-1561], [1667]).

ძალისის ძველი ქალაქის ნაგებობანი მაღალმხატვრული მოზაიკებით იყო დამშვენებული. ერთ-ერთი აბანოს იატაკზე შემორჩენილია ნა-

ორფერი კენჭებით შედგენილი მცენარეული ორნამენტი, თევზის, დელფინის თავისა და ნიჟარის გამოსახულებანი. აღმოჩენილია მონუმენტური მოზაიკური იატაკიც, რომელიც სასახლის ერთ-ერთ დარბაზში, როგორც ფიქრობენ – სანადიმო დარბაზში, ე.წ. ტრიკლინიუმში – ყოფილა დაგებული ([1629, გვ. 141-142], [1716]). სამწუხაროდ, მოზაიკა ჩვენამდე ძალზე დაზიანებული სახითაა მოღწეული (სურ. 246). ძირითადი გამოსახულებებისათვის განკუთვნილი მოზაიკის ცენტრალური ნაწილი წაგრძელებულ სწორკუთხედებსა და კვადრატებში მოთავსებუ-



სურ. 246. მოზაიკა დიონისესა და არიადნას გამოსახულებით. III ს. ძალისის ნაქალაქარი ([1560], [1667], [1629], [1716])

ლი მცენარეული და გეომეტრიული სახეებითაა მოჩარჩოებული. ცენტრალურ კვადრატში გამოსახულნი არიან (თანმხლები განმარტებითი ბერძნული წარწერებით) ტახტზე მჯდომარე დიონისე და არიადნა და აგრეთვე მათი მუდმივი თანამგზავრები (სალამურიანი პანი, მოცეკვავე მენადა, გრძელ სამოსში გამოწყობილი ქალები, შესაძლოა მუზები), ცხოველები (ავაზა) და სხვადასხვა ნივთები (სამფეხა მაგიდა, იონოხოია, კანთაროსი), აგრეთვე ყურძნის მტევნები და სურო. ამ გამოსახულებათა ირგვლივ ოთხ კვადრატში წარმოდგენილი არიან ფიგურები, რომელნიც წლის სხვადასხვა დროს განასახიერებდნენ: ფრთოსანი ჭაბუკი, რომელსაც ცალ ხელში ხილით სავსე კალათი უკავია, ხოლო მეორეში – ფიალა, განასახიერებდა შემოდგომას; ქალი, რომელსაც ხელში თასი უკავია, – ზამთარს; კიდევ ერთი ფრთოსანი ჭაბუკი ხორბლის თავთავებით ზაფხულის ალეგორიას წარმოადგენდა, ხოლო მეორე, რომელსაც მცენარის ღეროები და თავთავები უკავია – გაზაფხულს (დაწერ. [1629, გვ. 143-144], [1716]). შემორჩენილია ბერძნული წარწერაც: „ვახსენოთ პრისკე, რომელმაც გააკეთა“. ფიქრობენ, რომ აქ მოხსენიებული პრისკე მოზაიკის შემსრულებელი ოსტატი კი არ იყო, არამედ სახლის მფლობელი – წარჩინებული პირი, რომლის დაკვეთითაც მოზაიკა გაკეთდა [1629, გვ. 146].

ძალისის ზემოაღწერილი მოზაიკის თარიღის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებია. მისი პირველაღმოჩენი არქეოლოგი ალ. ბოხოჩაძე მას ახ.წ. II ს-ით ათარიღებდა [1560, გვ. 64]. მაგრამ უფრო სწორი უნდა იყოს მოზაიკის სტილისტური და კომპოზიციური თავისებურებების ანალიზის საფუძველზე გამოტანილი დასკვნა: ძალისას მოზაიკა ახ.წ. III ს-ის შუახანებშია შექმნილი [1629, გვ. 149], [1716].

ძალისის ნაქალაქარი ახ.წ. პირველ საუკუნეებში საქალაქო ცხოვრების აღმავლობისა და დაწინაურების თვალსაჩინო მოწმობაა.

საკმაოდ მძლავრი ქალაქური დასახლება აღმოჩენილია ახლახან სოფ. არადეთში, იმ ადგილას, რომელსაც არადეთის ორგორას უწოდებენ (მდ. ფცისწყლის მარცხენა ნაპირზე, შესართავის მახლობლად). ძვ.წ. I ს-ში აგებული სასახლე, რომლის კედლები ამოყვანილია ალიზით, რაყის ქვის ხის არმატურიან საფუძველზე და გარე საფასადო მხრიდან მოპირკეთებულია ერთმანეთთან გამირებით გადახმული თლილი ქვებით; გადახურული ყოფილა მცხეთური ტიპის კრამიტით. გამოვლენილია სასახლის დასავლეთი (მცირე) კარიბჭე და შიდა ეზოს ირგვლივ განლაგებული 7 სათავსო. ეზოში სახაბაზო და 4 თონისმაგვარი ღუმელია აღმოჩენილი. სასახლის სათავსოები სამეურნეო დანიშნულებისაა – ძირითადად სურსათისა და იარაღის შესანახად განკუთვნილი. ვარაუდობენ, რომ ერთ-ერთ ოთახში ცხოვრობდა სამეურნეო მოხელე, რომელსაც სურსათის მიღება-გაცემა ევალებოდა. ნაგებობა ძლიერი ხანძრისგანაა დაღუპული ახ.წ. I ს-ის ბოლოს. ყურადღებას იქცევს ნანგრევებსა და იატაკზე ნაპოვნი აურაცხელი მასალა, რომელთა შორისაა ავეჯი (მაგიდები, ტახტი, კარადა, კანდელაბრი, ჭაღი), სამრძოლო და სამეურნეო იარაღ-საჭურველი (ბექთარი, ჯაჭვის პერანგი, შუბისპირები, ისრისპირები, მშვილდი, სახნისები, გუთნის აჯაღლა), ლითონის და თიხის მრავალფეროვანი ჭურჭლეული, თიხის ბოცები. საგანგებოდაა აღსანიშნავი ძვლის (ირმის რქის) სამკითხაო-სათამაშო ფირფიტების კომპლექტი გრავირებული ნახატებითა და არამეული (არმაზული) წარწერებით.[305]

არქეოლოგიური მასალები მოწმობენ იბერიაში ადგილობრივი მძლავრი ხუროთმოძღვრული სკოლის არსებობას, რომელიც კარგად იცნობდა ბერძნულ-რომაული არქიტექტურის უმთავრეს პრინციპებს და შემოქმედებითად ნერგავდა და ავითარებდა მათ ადგილობრივ ნიადაგზე. იბერი-

[305] ეს ახალაღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები ჯერ გამოქვეყნებული არაა. ცნობები მოგვაწოდა ამ სრულიად უნიკალური ძეგლის აღმომჩენმა არქეოლოგმა იულონ გაგოშიძემ.

აში რომ არქიტექტურულ ნაგებობათა მხატვრულ გაფორმებას საგანგებო ყურადღება ექცეოდა, ეს კარგად ჩანს მცხეთაში აღმოჩენილი IV ს-ის ეპიტაფიითაც, სადაც იხსენიება „მთავარი მხატვარი და არქიტექტორი ავრელი აქოლისი“ [278, გვ. 253-254]. მაშასადამე, ასეთი თანამდებობა არსებობდა ქართლის სამეფოს ქალაქებში. აკი ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონიც ხაზგასმით აღნიშნავდა: „ ...მართლაც იბერია კარგადაა დასახლებული მეტწილად როგორც ქალაქებად, ისე დაბებად; ისე რომ აქ გვხვდება კრამიტის სახურავები და ხუროთმოძღვრების წესით აგებული სახლები, ბაზრები და სხვა საზოგადოებრივი შენობები“ (XI, 3, 1).

ახ.წ. პირველ საუკუნეებშიც (ისევე როგორც წინამორბედ ხანაში) ქართლის (იბერიის) ქალაქები ხელოსნური წარმოების მსხვილ ცენტრებს წარმოადგენდნენ.

კერამიკული სახელოსნოები ამზადებდნენ სხვადასხვა ფორმის ღოქებს, ქოთნებს, თასებსა და სხვა ჭურჭელს. საგანგებო ადგილი ეკავა ღვინისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესანახი ქვევრებისა და დერგების დამზადებას.



სურ. 247. ახ.წ. I-III სს-ის კრამიტები ([1545], [1661])

თიხის ჭურჭელი უმეტესწილად სამეთუნეო ჩარხის გამოყენებითაა დამზადებული, მოწითალოდ ან ჩალისფრადაა გამომწვარი. ზოგჯერ დაფარულია წითელი ფერის ანგობით და მასთან ერთად გაპრიალებულიცაა. ღოქის ზოგიერთი სახეობა წითელი სარჩყლებით ან სადა გეომეტრიული ორნამენტებითაა მორთული. მძლავრად კი უნდა ითქვას, რომ ახ.წ. I-III სს-ის ადგილობრივი კერამიკა მაინცდამაინც არ გამოირჩევა ფორმების სიმრავლით თუ სინატიფით და ამ თვალსაზრისით მკვეთრად განსხვავდება წინამორბედი (გვიანბრინჯაო-ადრერკინის) ხანის თიხის ჭურჭლისაგან. სავარაუდოა, რომ ხარისხის რამდენადმე გაუარესება პროდუქციის რაოდენობრივი ზრდითაც იყო გამოწვეული. მეთუნე-ხელოსნები უკვე ფართო ბაზრისათვის – არა მხოლოდ ქალაქის, არამედ მათ ირგვლივ მდებარე სასოფლო თემების მოსახლეობის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად მუშაობდნენ.

კერამიკული წარმოების (და საერთოდ, ხელოსნური წარმოების) ორგანიზაციის საკითხები ჯერ კიდევ ნაილი არაა, რამდენადაც წერილობითი წყაროები მათ შესახებ არ მოგვეპოვება. თუ გავითვალისწინებთ წარმოების მასშტაბებს (პროდუქციის მრავალრიცხოვნებას), აგრეთვე იმ გარემოებას, რომ სხვადასხვა სახეობის ჭურჭლის დამზადება სხვადასხვა ტექნიკური ხერხების გამოყენებას მოითხოვდა, მაშინ შეიძლება სამეთუნეო ხელოსნობაში ერთგვარი სპეციალიზაცია ვივარაუდოთ. ასე, მაგ., შეიძლება დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ ამ დროს მექვევრეობა ცალკე დარგად იყო გამოყოფილი. ასევე ცალკე დარგს წარმოადგენდა სამშენებლო კერამიკის (კრამიტის, აგურის, ფილების, წყალსადენი მილების) დამზადება. აკეთებდნენ როგორც ბრტყელ გვერდებაკეცილ, ასევე ღარისებურ კრამიტსაც. ბრტყელი კრამიტი ტიპოლოგიურად სხვა ქვეყნებში გავრცელებული კრამიტისაგან არსებითად არ განსხვავდება. სამაგიეროდ რამდენადმე თავისებურია ღარისებური კრამიტი, რომელიც თავისი კონსტრუქციითა და დამზადების ტექნიკით შეამჩნევად განსხვავდება ანტიკურ სამყაროში გავრცელებული კალიპტერებისაგან. ასე, მაგ. (სურ. 247), მცხეთურ ღარიან კრამიტს ზემოდან (ვიწრო ბოლოსთან ახლოს) აქვს ქიმი, რომელიც ზედა მწკრივის კალიპტერს აკავებდა. თავისებურია ასეთი კალიპტერების დამზადების ტექნიკაც: მათ კერამიკული ჩარხის მეშვეობით აკეთებდნენ. წყალსადენის მილების მსგავსად ჯერ მზადდებოდა „საკრამიტე მილები“, რომელთაც შემდეგ შუაში ჭრიდნენ. ამიტომაც გვიანანტიკური ხანის ქართული კრამიტი ჭრილში ნახევარწრიული ფორმისაა (დაწერ. [1545, გვ. 44-77]).

არქეოლოგიური მასალები მოწმობენ ქართლის (იბერიის) სამეფოში მხატვრული ხელოსნობის, განსაკუთრებით ოქრომჭედლობის დაწინაურებას. შესრულების მაღალმხატვრული დონითა და დიფერენცირებული ტექნიკის გამოყენებით გამოირჩევა მხატვრული ხელოსნობის არაჩვეულებრივად მრავალფეროვანი ნაწარმი:

ოქროს დიადემები, ბალთები, სამაჯურები, საყურეები, ბეჭდები, ყელსაბამები და ყელსაკიდები, სამგლოვიარო გვირგვინის ფურცლები, საკიდები, აბზინდები და სხვ. (სურ. 248-251).



სურ. 248. ოქროს ყელსაკიდი. არმაზისხევი. ახ.წ. II ს. [1546]

ოქრომჭედლობის თავისებურებაა პოლიქრომია – ნაირფერი ქვების ზედაპირის მოსართავად გამოყენება. ამ თვალსაზრისით იბერიელ ოსტატთა ნახელავი ე.წ. „სარმატულ“ თუ „ბერძნულ-სარმატულ“ ოქროს ნაკეთობებს ეხმაურება [1682 და იქ დასახ. ლიტ.].

მაღალ დონეს მიაღწია აგრეთვე ვერცხლის მზატვრულმა დამუშავებამ (სურ. 252-256). საგანგებოდაა აღსანიშნავი დასაკრძალავი სარეცლის ფეხის მოჩუქურთმებული გარსაკრავები [1690, გვ. 90-104] და მთელი სერია დიდი ზომის თასებისა მედალიონებით, რომელზედაც ბომონის წინ მდგარი ცხენის გამოსახულებაა წარმოდგენილი (დაწვრ. [1690, გვ. 80-89], შდრ. [1618]). ამავე რიგს მიეკუთვნება არწივის გამოსახულებიანი ვერცხლის თასები [1690, გვ. 61-64], რომელთაგან ყველაზე შესანიშნავი ჟინვალში აღმოჩენილი ფიალაა.



სურ. 249. ოქროს ყელსაკიდი. არმაზისხევი. ახ.წ. II ს. [1546]

ადგილობრივი, იბერიული ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშებია ბრინჯაოს ჭვირული ბალთები (სურ. 257) ცხოველთა გამოსახულებებით (ხშირად მრავალფიგურული კომპოზიციებით). ცენტრალური ფიგურა ჩვეულებრივ ირემი, ჯიხვი ან ცხენია. მათთან ერთად გამოსახულნი არიან ფრინველები, გველი, ხარი, ძაღლი ან სხვა ცხოველი. ფიქრობენ, რომ ცენტრალური ფიგურა „ცხოველთა მეუფეს“ განასახიერებს (დაწვრ. [1657]).[306]

კერძო საკუთრების შემდგომ განვითარებასთან ერთად, ადგილობრივი საზოგადოების როგორც ზედაფენაში, ასევე რიგით წევრებს შორის ფართოდ ვრცელდება სხვადასხვა დანიშ-

306 ამ ბალთებს ჩვეულებრივ კოლხურ ნაწარმად მიიჩნევენ [1657], მაგრამ ისინი მეტწილად აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოსა და ისტორიული კოლხეთის აღმოსავლეთ რაიონებში, რომელნიც ახ.წ. პირველ საუკუნეებში იბერიის შემადგენლობაში შედიოდნენ. ამიტომაც უფრო მართებული იქნება, თუ ამ ბალთებს იბერიულს ვუწოდებთ.

ნულების საბეჭდავი-ბეჭდები.[307] უკვე გვიანაქეშენიდური ხანიდანაა ხმარებაში მცირეზიანული ქვის საბეჭდავებიდან ჩამოსხმული ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავები. ყურადღებას იქცევს ის საინტერესო ფაქტი, რომ იბერიის სხვადასხვა კუთხეებში აღმოჩენილ მინის საბეჭდავებზე ხშირად ზედმიწევნით მეორდება არა მხოლოდ თემატიკა, არამედ მთელი კომპოზიცია, სტილი, გამოსახულებათა ცალკეული დეტალები, ფიგურები და საბეჭდავების ზომებიც კი. ეს გარემოება ერთი და იმავე ფალიბის მრავალგზის გამოყენებისა და შესაბამისად იბერიაში მინის მრავალწახნაგა საბეჭდავების მასიური (სერიული) წარმოების უცილობელ მოწმობადაა მიჩნეული (დაწვრ. [1686], [1594]).



სურ. 250. სატევრის ქარქაშის ოქროს გარსაკრავი. არმაზისხევი. ახ.წ. II-III სს. [1546]

ძ.წ. I ს-დან იბერიაში ფართოდ ვრცელდება ბეჭდებსა თუ სხვა სამკაულში ჩასმული ჭრილა ქვები – გემები [1687], [1593], [1658]. მათი უმრავლესობა ანტიკური სამყაროს სხვადასხვა ცენტრებიდანაა შემოტანილი. ასეთებია „ბერძნულ-რომაული“, იტალიკური, რომაული, ბოსფორული, მცირეაზიული, პართული, სასანური და სხვა გემები. უკვე ახ.წ. I ს-დან იბერიაში ივარაუდება ადგილობრივი სახელოსნოები, სადაც მოწვეულ უცხო ოსტატებთან ერთად ადგილობრივი ხელოსნებიც მუშაობდნენ [1687, გვ. 240], [1593, I, გვ. 102]. ისინი უკვე ღრუწლებული იყვნენ დაზგაზე ჭრის რთულ ტექნიკას. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ სახელოსნოებში მზადდებოდა ანტიკური და აღმოსავლური სამყაროსათვის უცხო ტექნიკით – ჭრილა ქვების ოქროს ფურცლით „მოპირკეთების“ წესით ნაკეთები საბეჭდავები [1595, გვ. 53 და შემდ.]. ადგილობრივ დამზადებულ ჭრილა ქვებს შორის გვხვდება არაერთი მაღალმხატვრული ნაწელავი, რომელთა შორის არმაზისხევის ერისათვის სამარხებში მოპოვებული პორტრეტული გემები გამოირჩევა.



სურ. 251. ოქროს აბზინდები. არმაზისხევი. ახ.წ II ს. [1546]

საგანგებოდ უნდა ვახსენოთ ოქროს ბეჭედში ჩასმული სარდიონის ინტალიო, რომელზედაც გამოსახულია წვეროსანი მამაკაცის პორტრეტი და თან ახლავს მისი სახელისა და თანამდებობის აღმნიშვნელი წარწერა: „ასპავრუკ პატიახში“ [1593, II, გვ. 59-61]. გლიპტიკის ბრწყინვალე ნიმუშია ფერადი ქვებით მოოჭვილი, ოქროს ბალთაში ჩასმული მუქი ფერის პიროპის (გრანატის) ინტალიო, რომელზედაც გამოსახულია ერთმანეთის მომზირალი წვეროსანი მამაკაცისა და ქალის ბიუსტი – რომაულ სამოსში გამოწყობილნი და რომაული წესით თმადავარცხნილნი (სურ. 258). გამოსახულების ირგვლივ ბერძნული წარწერაა, რომე-

[307] ყველაზე ადრეული საბეჭდავები (გამომწვარი თიხისა) აღმ. საქართველოში უკვე ძ.წ. XIV ს-დან ჩნდება. IX-VII სს-ში ვრცელდება ქვის (ქვიშაქვის, სტეატიტის, მარმარილოს, გიშრის), აგრეთვე ბრინჯაოსა და ძვლის საბეჭდავები. ხმარებაშია ბრინჯაოს საბეჭდავიც. ძ.წ. VI ს-დან შემოდის ფარაკანი საბეჭდავები, ხოლო V ს-ის მეორე ნახევრიდან მათთან ერთად სარგებლობენ მინის მრავალწახნაგა საბეჭდავებითა და სკარაბეოიდებით [1595, გვ. 12 და შემდ.; გვ. 150-151].

ლიც ასე ითარგმნება: „კარპაკი, ზევახი, ჩემი სიცოცხლე“. ფიქრობენ, რომ კარპაკი მამაკაცის სახელია, ზევახი კი – მისი მეუღლისა [1593, II, გვ. 55-58].



სურ. 252. დასაკრძალავი სარეცლის ფეხის ვერცხლის გარსაკრავები. ბაგინეთი (რამაზციხე). ახ.წ. III ს. ([1546, 1690])

იბერიის მონაწილეობა საერთაშორისო ვაჭრობაში[308] ნუმიზმატიკური მასალებითაა თვალნათლივ ილუსტრირებული. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ალექსანდრე მაკედონელის სტატერების ოქროს მინაბაძები, რომელთა მიმოქცევის ხანად ძვ.წ. I – ახ.წ. II ს-ია მიჩნეული. ახ.წ. I ს-დან იბერიის სამონეტო მიმოქცევაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ძვ.წ. 2 – ახ.წ. 4 წწ.-ში გალიაში იმპერატორ ავგუსტუსის სახელით მოჭრილი დენარები[309] და გოტარზე II-ის პართული დრაქმები (ამჟამად მათ არტაბან II-ის დრაქმებს უწოდებენ). ეს მონეტები იბერიაში ახ.წ. III ს-ის შუა წლებამდე მიმოიქცეოდა[310] ([1678, გვ. 180], [1516, გვ. 44], [1317, გვ. 34]). ახ.წ. I ს-დან იბერიაში შემოდის რომაული აურეუსებიც, რომელნიც I ს-ის მეორე ნახევრიდან ავგუსტუსის დენარებთან ერთად გადახდის ძირითად საშუალებად იქცევა [1317, გვ. 35].



სურ. 253. ვერცხლის თასი. გამოსახულია არწივი, რომელსაც პირში გამარჯვების გვირგვინი უჭირავს. არაგვისპირი. ახ.წ. III ს. ([1690], [1699])

გარე სამყაროსთან რეგულარულ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას ის ფაქტიც მოწმობს, რომ იბერიაში აღმოჩენილია თითქმის ყველა რომაელი იმპერატორის (ნერონიდან ვალერიანამდე) და პართელთა მეფის (არტაბანიდან ვოლოგეზამდე) მონეტები (დაწვრ. [1678], [1317, გვ. 154-164]).

ახ.წ. პირველ საუკუნეებში იმპორტულ საგნებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სზვადასხვა სახის სამკაულს. სამარხებსა და კულტურულ ფენებში მრავლად გვხვდება ეგვიპტური ცისფერი პასტისაგან დამზადებული მძივები, აგრეთვე იმავე პასტისაგან ნაკეთები საკიდები მწოლიარე ლომისა და სკარაბეების სახით. განსაკუთრებით მრავლადაა ისინი ნაპოვნი მცხეთასა და ურბნისში, მაგრამ გვხვდება აგრეთვე ძირითად სავაჭრო მაგისტრალს საკმაოდ დაშორებულ ადგილებშიც. ახ.წ. პირველ საუკუნეებში ზემოაღნიშნული ნაწარმი რომაული და ეგვიპტის სახელოსნოებისა ძალზე ფართო ტერიტორიაზეა გავრცელებული (ხმელთაშუაზღვისპირეთი, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი, ჩრდილო კავკასია, ამიერკავკასია, შუა აზია, მახლობელი აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნები). ეს გარემოება საკმაოდ ნათლად მიუთითებს ქართლის სამეფოს მოსახლეობის მონაწილეობაზე საერთაშორისო ვაჭრობაში და ეგვიპტის სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების აქტიურ სავაჭრო ურთიერთობაზე იბე-

[308] იბერიის სავაჭრო-სატრანზიტო გზების შესახებ იხ. [1684].

[309] ვარაუდობენ, რომ ეს მონეტები იბერიაში უშუალოდ იმპერიიდან კი არ შემოდიოდა, არამედ მისი აღმოსაელური პერიფერიიდან: მდ. ევფრატის სათავეებიდან, ხოლო შემდეგ მდ. მტკვრის აყოლებით [1516, გვ. 93]. საინტერესოა, რომ ამ გზით ივარაუდება ქართლში რომაული იმპორტის ზოგიერთი სახეობის, კერძოდ, იტალიკური ჭურჭლის გავრცელება [1597, გვ. 70, 100].

[310] ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ II ს-ში იბერიაში თითქოს ამ მონეტების ადგილობრივი მინაბაძები მიმოიქცეოდა [1516, გვ. 46], მაგრამ ამგვარი მოსაზრება სადავოდაა მიჩნეული [1317, გვ. 34].

რიასთან და, საერთოდ, ამიერკავკასიის ქვეყნებთან.

ეგვიპტის სახელოსნო ცენტრებიდან უნდა იყოს იმპორტირებული აგრეთვე სერდოლიკის ე.წ. მილაკით გახვრეტილი მძივები, რომლებიც მრავლადაა ნაპოვნი „დიდი მცხეთის“ მიდამოებში და ურბნისშიც.



სურ. 254. ვერცხლის თასი. გამოსახულია ბოძონის წინ მდგარი ცხენი. ზღუდერი. ახ.წ. III ს. ([1690], [1696])

აღმოსავლეთის ქვეყნებიდან (შუა აზია, ინდოეთი, არაბეთი) უნდა იყოს შემოტანილი ძვირფასი ქვები (გრანატი და მისი სახეობანი, ალმანდინი, ფირუზი და სხვ.), რომელთაც ხშირად იყენებდნენ ადგილობრივი (იბერიის) ოქრომჭედლები თავიანთი მაღალმხატვრული პოლიქრომიული ნაწარმის შესამკობად.



სურ. 255. რომაული ვერცხლის ფიალა. არმაზისხევი. ახ.წ. II ს. ([1546], [1689])

ახ.წ. I ს-დან იბერიაში ფართოდ ვრცელდება მინის ნაწარმი (სურ. 259), რომლის აღმოჩენა ამჟამად თითქმის ყველა რამდენადმე მნიშვნელოვან ძველ საქალაქო ცენტრებსა თუ მათ მიმდებარე სასოფლო თემებშია დადასტურებული. საინტერესოა, რომ ახ.წ. I-III სს-ში მინის ჭურჭელი სამარხეული ინვენტარის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი ჩანს. იბერიაში გავრცელებული მინის ჭურჭელი ძირითადად სირიული წარმოშობისაა, დამზადებულია თავისუფლად ან ფორმაში ბერვის წესით ([1682, გვ. 144-146], [1597, გვ. 74-76], [1634, გვ. 44]). განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია სხვადასხვა ტიპის კოლბისებურტანიანი სანელსაცხებლეები, რომელნიც ერთმანეთისაგან ფერითა და ფაქტურითაც განსხვავდებიან. მათი უმრავლესობა ასევე სირიული სახელოსნოების ნაწარმადაა მიჩნეული, თუმც გამოყოფენ ადგილობრივ ნიმუშებსაც [1638, გვ. 20-33]. გავრცელებულია სხვა ტიპის ნაწარმიც: რელიეფურორნამენტიანი ფიგურული ორყურა და დაღარულტანიანი ცალყურა ან ორყურა ჭურჭელი, მცირე ზომის მრავალწახნაგა და მათარისებური ჭურჭელი, ამფორისკები და სხვ. საკმაოდ მრავალფეროვანია მაღალი ხარისხის ღვინის, ზეთისა და აგრეთვე წამლეულისათვის განკუთვნილი ბოთლისებრი ჭურჭელი. ისინი იბერიაში თითქმის ყველგანაა დადასტურებული ([1638], [1634]). მასობრივ ნაწარმთან ერთად გვხვდება მაღალმხატვრული ნაკეთობანიც. ასეთია, მაგ., ურბნისში, ახ.წ. I ს-ით დათარიღებულ კომპლექსში აღმოჩენილი ცისფერი მინის ფიალა, რომელიც ცივი წესით გამოყვანილი მინანქრისებური საღებავით დატანილი ძაფებითაა მორთული [1634, გვ. 16-17], ან კიდევ ზღუდერში აღმოჩენილი სილენის ნიღბის ორმხრივ გამოსახულებიან ფორმაში გამობერილი, ახ.წ. II ს-ის სირიული სანელსაცხებლე და სირიული ტიპის ფაცეტებიანი ფიალა [1700]. თბილისში ნაპოვნია ახ.წ. I ს-ის ეგვიპტური პოლიქრომიული ალაბასტრონი [1700].

სირიიდანაა იმპორტირებული სოფ. არადეთში ნაპოვნი ახ.წ. I ს-ის ბრინჯაოს ბატკნისებრი – სარიტუალო პატარა ნიჩბისებური ნივთები [1563]. აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო თუ კულტურული ურთიერთობის შედეგად შემოტანილად მიიჩნევენ მცხეთაში აღმოჩენილ III-IV ს-ის დასაწყისის ფერუმარილის სასრეს ნიჟარას, რომელზეც თითქოს ტაძრის გრავირებული გამოსახულებაა წარმოდგენილი [1625].

რომაული ხანის მრავალრიცხოვან იმპორტულ საგნებს შორის გამოირჩევა (სურ. 260-263) სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების ბრინჯაოს ჭურჭლეული (სურები, პატერები, საღვინე ჩაშჩა, სამელნე). ამგვარი ჭურჭლის წარმოების მთავარ ცენტრებს ახ.წ. I-II სს-ში წარმოადგენდნენ სამხრეთ იტალიკური ქალაქები, განსაკუთრებით კაპუა – კამპანიის მთავარი ქალაქი (დაწვრ. [1597, გვ. 76-100], [1683], [1713]). იტალიკური ბრინჯაოს ჭურჭლის აღ-

მოჩენა ძველი ქართლის ტერიტორიაზე უკვე საკმაოდ ხშირია, რაც იტალიკური პროდუქციის ფართო იმპორტზე მეუთითებს. აქ კი ჩვენს წინაშე დგება საკითხი იტალიკური იმპორტის იბერიაში გავრცელების შესახებ.



სურ. 256. ვერცხლის ფიალა. არმაზისხევი. ახ.წ. II ს. ([1546], [1689])

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ანალოგიური ნივთები სრულიად არ გვხვდება კოლხეთში. ამიტომაც არაა სავარაუდებელი იტალიკური ნაწარმის გავრცელება ქართლის სამეფოში კოლხეთის ზღვისპირა რომაული სამხედრო ბანაკებიდან და რიონ-ყვირილის სავაჭრო მაგისტრალით (მით უფრო, რომ გარკვეული მიზეზების გამო ამ გზის ფუნქციონირება კოლხეთში ახ.წ. I ს. დარღვეული იყო). ჩვენი აზრით, იტალიკური იმპორტი, ისევე როგორც სხვა საქონელი (მონეტები, სამკაული, მინა), ქართლში გზას იკვლევდა სამხრეთის სავაჭრო მაგისტრალით. ეს საქონელი მიჰქონდათ ქართლის სამეფოს დედაქალაქში მცხეთაში, რომელიც სწორედ დიდ სავაჭრო გზაჯვარედინზე მდებარეობდა. მცხეთიდან იმპორტული საქონელი ფართოდ ვრცელდებოდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში.

ქართლის (იბერიის) სამეფოს მიწა-წყალზე ნაპოვნი რომაული კულტურის ძეგლებიდან ყველაზე უფრო ღირშესანიშნავია არმაზისხევის ერისთავთა სამარხებში ნაპოვნი ვერცხლის 3 ფიალა, რომელთაგან ერთი ანტონიუს გამოსახულებიანი მედალიონითაა შემკული, მეორე – წვეროსანი მამაკაცის ბიუსტით, ხოლო მესამე – სიუხვის ყანწიანი ქალღვთაების ჰორელიეფით[311] (სურ. 253). სამივე ფიალა მაღალმხატვრული ნაწარმოებია (დაწვრ. იხ. [1680]. შდრ. [1597, გვ. 101-102]). ფიქრობენ, რომ ქართლის სამეფოს დიდკაცთა სამარხებში წარმოდგენილი ეს ფიალები აქ დიპლომატიური არხებით უნდა იყოს მოხვედრილი: ეს რომის იმპერატორთა ან მათ მაღალ მოხელეთა ნობათი უნდა იყოს.

ახ.წ. პირველი საუკუნეების ზემოთ განხილული იმპორტული საგნები (მონეტები, მინის ჭურჭელი, გლიპტიკური ძეგლები, ბრინჯაოს ნაწარმი და ტორევტიკა) თვალსაჩინოდ მოწმობენ რომაულ სამყაროსა და იბერიას შორის ცხოველ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას [1597, გვ. 65-103].



სურ. 257. ბრინჯაოს ჭვირული ბალთა [1667]

ანტიკური იმპორტის გავრცელების დეტალურ შესწავლას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ახ.წ. I-III სს. ქართლის სამეფოს ეკონომიკური ისტორიისათვის. არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ ამ დროს ქართლის ქალაქები დიდ სავაჭრო ცენტრებს წარმოადგენდნენ. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე მიაქციეს ყურადღება წერილობითი წყაროების ცნობებს ქართლის ქალაქებში (მცხეთა, ურბნისი) საგანგებო სავაჭრო-საბაზრო ადგილებისა თუ უბნების არსებობის შესახებ. იბერიაში საბაზრო მოედნების არსებობაზე მეუთითებს სტრაბონის ცნობა (XI, 3, 1); საინტერესოა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ის ცნობა იმის შესახებ, რომ მცხეთაში იმართებოდა ხოლმე დიდი ბაზრობა, სადაც თავს იყრიდნენ ქართლის ყველა კუთხის მცხოვრებნი (შდრ. [265, გვ. 118]).

[311] ამ ქალღვთაებას ტიხე-ფორტუნად მიიჩნევდნენ. მაგრამ ამას წინათ, გერმანიაში გამოცემულ კალენდარში გამოქვეყნდა ანტიკური ეკონოგრაფიის გამოჩენილი მკვლევარის, პროფ. ერიკა სიმონის კომენტარი, სადაც არმაზისხევში აღმოჩენილ ვერცხლის თასზე გამოსახული „სიუხვის ყანწიანი“ ქალღვთაება გააზრებულია როგორც ამალთეა (იხ. "Archäologischer Kalendar," 1998, März-April, - Mainz (Verlag Philipp von Zabern).

ძალზე საინტერესოა (და ქართლის ეკონომიკური ისტორიისათვის ფრიად მნიშვნელოვანი), რომ ამ დროს საერთაშორისო ვაჭრობაში ქალაქებთან ერთად ფართოდ ებმება სოფლის მოსახლეობაც. უცხოური, იმპორტული საგნები გვხვდება არა მხოლოდ ქალაქებში (მცხეთა, უფლისციხე, ურბნისი) თუ სხვა მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრებში (ზღუდერი, ბორი, კლდეეთი), არამედ სასოფლო რაიონებშიც (ნიჩბისი, ზემო ხანდაკი, ატოცი და სხვ.). ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ ამ დროს სოფლის მოსახლეობაში ინტენსიურად იკვლევს გზას ფულადი ურთიერთობაც. ამის მოწმობაა მონეტების ხშირი აღმოჩენები სასოფლო ადგილებში: ნიჩბისში, დიღომში, ზემო ავჭალაში, ლილოში, ხანდაკში და სხვ. (იხ. [1597, გვ. 103 და იქ დასახ. ლიტ.]).



სურ. 258. ზევახისა და კარპაკის სახელიანი ოქროს ბეჭედი. არმაზისხევი. ახ.წ. II ს. ([1546], [1593, II])

ახ.წ. I-III სს-ის ქართლის სამეფოს მოსახლეობის აქტიურ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას ანტიკურ სამყაროსთან თან მოჰყვა კულტურული ურთიერთობაც, უფრო სწორად, ანტიკური კულტურის კიდევ უფრო ფართოდ გავრცელება. ეს მომენტი საკმაოდ კარგადაა ასახული ანტიკური ხანის ქართლის მატერიალური კულტურის ძეგლებზე.

ახ.წ. პირველ საუკუნეებში კიდევ უფრო ფართოდ ვრცელდება ანტიკური ზეოროთმოძღვრების ცალკეული ელემენტები. ანტიკური არქიტექტურული საორდერო სისტემის გავრცელებაზე მიუთითებს არმაზისხევში აღმოჩენილი კორინთული ტიპის კაპიტელი, ნატეხი ტიპიური ანტიკური, დაბალული და საკმაოდ რთულპროფილიანი კარნიზისა, რომელიც, როგორც ჩანს, ანტაბლემენტის ფრიზის ნაწილს წარმოადგენდა, და სხვა არქიტექტურული დეკორის ნაშთები. ახ.წ. I საუკუნეს მიეკუთვნება არმაზისციხეზე დადასტურებული სოლისებური ქვებით ამოყვანილი ცილინდრული კამარები, რომლებიც ელინისტური აღმოსავლეთის სამშენებლო ტრადიციების გავლენას უნდა მიეწეროს.

დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე უფლისციხის დარბაზთა მორთულობის ზოგიერთი ელემენტი, კერძოდ ჭერის კესონური დამუშავება, რომელიც ახლო ანალოგიებს პოულობს რომის არქიტექტურაში (მაქსენციუსისა და კონსტანტინეს ბაზილიკების და კარაკალას თერმების თაღთა კესონები). ამასთანავე, სპეციალისტები შენიშნავენ გარკვეულ განსხვავებასაც. რომში კესონების განაწილება დიაგონალურია, უფლისციხეში კი ვერტიკალური. აღნიშნულია აგრეთვე, რომ სხვა ელემენტები და დეტალების უმრავლესობა წინ უსწრებს რომის მხატვრულ გემოვნებას და ელინისტურ ტრადიციებთანაა დაკავშირებული. საერთოდ კი უფლისციხის ზუროთმოძღვრული კომპლექსი ამ დროს ამჟღავნებს ადგილობრივი სამშენებლო ხელოვნების ფესვების სიმტკიცესა და საკუთარი მხატვრული ტრადიციების განვითარებას (დარბაზების ჭერის დამუშავება, დედაბოძები და გვირგვინი დიდ დარბაზში და სხვ.) [1597, გვ. 104-105 და იქ დასახ. ლიტ.].



სურ. 259. I-III სს-ის მინის ჭურჭლის ძირითადი სახეობანი [1634]

ახ.წ. I საუკუნიდან ქართლის ქალაქებში ვრცელდება ნაგებობათა ახალი სახეობა – აბანოები (იხ. ზემოთ).

ანტიკურ სამყაროსთან კულტურული ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს ზოგიერთი ცვლილება, რომელიც ზუროთმოძღვრებაში, კერძოდ კი, კედლის წყობის პრინციპში შეინიშნება. ასე, მაგალითად, არმაზისციხეზე ახ.წ. I ს-ის ერთ-ერთ კედელზე წარმოდგენილია ბადური წყობა, კუთხით დაყენებული მცირე ზომის კვადრებით, ე.წ. რეტი-

კულატუში, რომელიც ძვ.წ. I ს-ში ვრცელდება რომაულ ხუროთმოძღვრებაში და ტიპიურია ავგუსტუსის ხანისათვის ([1597, გვ. 106 და იქ დასახ. ლიტ.]).



სურ. 260. იტალიკური ბრინჯაოს სურები და მათი ჟურების შემკულობა. ახ.წ. I ს. ნიჩბისი ([1597], [1683], [1713])

ახ.წ. I საუკუნეებიდან ქართლის ქალაქებში ვხვდებით ანტიკური ქალაქების ისეთ აუცილებელ კომპონენტსაც, როგორიცაა წყალსადენები. არმაზისციხესა და ძალისაში აღმოჩენილია როგორც ქვით ნაწყობი ღია წყალსადენი, ასევე თიხის მილებისაგან შედგენილი.



სურ. 261. იტალიკური ბრინჯაოს სურა სკულპტურული გამოსახულებით ყურზე: ომფალა. ახ.წ. I ს. მცხეთა ([1597], [1683])

ახ.წ. I-III სს-ის ქართლში ელინისტური კულტურის გავრცელების მჭევრმეტყველი ილუსტრაციაა იბერიის სამეფოს წარჩინებულთა შორის ელინისტურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული ორი საერთაშორისო ენისა და დამწერლობის (ბერძნულისა და არამეულის) გამოყენება (სურ. 264).

ანტიკური კულტურის ერთგვარი გავლენა შეიმჩნევა სულიერი კულტურის ზოგიერთ სფეროშიც. ყურადღებას აქცევენ იმ ფაქტს, რომ ახ.წ. I საუკუნიდან მცხეთაში ვრცელდება ანტიკური სამყაროსათვის დამახასიათებელი კრამიტსამარხები. ამასთან მიცვალებულებს უკვე გაშოტილ პოზაში ასაფლავებენ; ხშირია სამარხებში მონეტების ჩატანებაც, რაც აგრეთვე ანტიკური რელიგიური რწმენების გავრცელებასთანაა დაკავშირებული.



სურ. 262. იტალიკური ბრინჯაოს სურა (ოინოხოია) და სარიტუალო ჭურჭელი (პატერა). ახ.წ. I-II სს. ბორი ([1597], [1683])

ანტიკური მითოლოგიური რწმენების გავრცელებაზე ძველი ქართლის (უპირატესად ქალაქების) მოსახლეობაში მიუთითებს გლიპტიკური ძეგლების ძალზე ხშირი აღმოჩენები. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სპეციალისტები ანტიკური გემების იმპორტის დასაწყისს სწორედ პომპეუსის ლაშქრობას უკავშირებენ, ხოლო მათი ფართოდ გავრცელების ხანად ახ.წ. I და განსაკუთრებით II-III სს. მიჩნეული. როგორც ცნობილია, გემების, კერძოდ, საბეჭდავების გავრცელება ძველ ქვეყნებში კერძო საკუთრების ინსტიტუტის განვითარებასთანაა დაკავშირებული და იმავე ვითარებით ხსნიან საქართველოში საბეჭდავების ფართოდ გამოყენებას [1593, II, გვ. 19]. ამჯერად ჩვენთვის ის გარემოებაა უფრო საინტერესო, რომ ამა თუ იმ ღვთაების გამოსახულება საბეჭდავებზე (მათ შორის ავგაროზებად გამოყენებულ გემებზეც) მფლობელის მიერ ამ ღვთაების მფარველად მიჩნევას ნიშნავდა თითქოს [1687, გვ. 229].

მცხეთასა და მის მიდამოებში აღმოჩენილი გემები შინაარსობრივად რომაულ თემატიკას ასახავს. განსაკუთრებით გავრცელებულია (ღმერთებიდან) ტიხე-ფორტუნას (სიუხვისა და დოვლათის ღვთაება) გამოსახულება; გვხვდება აგრეთვე ფორტუნა-იზიდა, ათენა-მინერვა, ნიკე-ვიქტორია (გამარჯვების ღვთაება), ზევსი, ჰელიოსი, აპოლონი, მარსი, არესი, პლუტონი, ასკლეპიოსი (ჯანმრთელობის ღვთაება) და მისი

ქალიშვილი ჰიგია და სხვ. [1687, გვ. 229], [1593, I, გვ. 5; II, გვ. 14-15; III, გვ. 9].

დიდ ინტერესს იწვევს ისიც, რომ გემიან ბეჭდებს შორის ვხვდებით რომაულ საქორწინო ბეჭდებსაც [1593, II, გვ. 14].



სურ. 263. იტალიკური ბრინჯაოს სურა. ახ.წ. I ს. ბრი ([1597], [1683])

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით განსაკუთრებით ყურადსაღებია მოსაზრება, რომ „უცხოეთიდან (ანტიკური ქვეყნებიდან და აღმოსავლეთიდან) მცხეთაში შემოტანილი გემები უთუოდ საგანგებო შეკვეთით იყო გაკეთებული დახელოვნებული ოსტატების მიერ“ [1593, II, გვ. 29]. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ახლა დადგენილად ითვლება, რომ ძველი ქართლის მოსახლეობაში საბეჭდავებზე მოთხოვნილება იმდენად დიდი იყო, რომ აქ მათი ადგილობრივი წარმოება აუცილებლობად ქცეულა. საყურადღებოა, რომ ახ.წ. II-III საუკუნეების გემებზე, რომლებიც ადგილობრივ იბერიელ ოსტატთა ნახელავადაა მიჩნეული, პორტრეტულ გამოსახულებებთან ერთად ჩვენ ვხვდებით ანტიკურ სიუჟეტებსაც (აენეა-პალადა) [1593, II, გვ. 61-63, № 20]. ხოლო იბერიაში მოშუშავე უცხო ოსტატის ნაკეთობად ითვლება არმაზისხევის ერისთავთა სამაროვანზე (აკლდამა № 7) ნაპოვნი გემა, რომელზედაც აქტეონის ირმად გადაქცევაა გამოსახული [1593, II, გვ. 48-51, № 13].

ადგილობრივი გემების შესწავლამ ცხადყო, რომ ადგილობრივი ოსტატები კარგად იყენებენ დაუფლებული გემების დამუშავების ანტიკურ ტრადიციებს (იცნობდნენ დაზგის ტექნიკასაც კი), მაგრამ ამასთან ერთად მათ ნახელავში იგრძნობა გარკვეული ინდივიდუალობა და თავისებურება.

ადგილობრივ ოსტატთა ნახელავი პორტრეტული გემების შესწავლის შედეგები იმითაცაა ჩვენთვის საინტერესო, რომ ისინი მოწმობენ იბერიელ წარჩინებულთა შორის რომაული მოდის (ჩაცმა-დახურვის) გავრცელებას. ასე, მაგალითად, კარპაკისა და ზეკახის გემაზე ორივე ტუნიკითა და ქლამიდითაა შემოსილი, ხოლო თმები რომაულ ყაიდაზე აქვთ დავარცხნილი, ამასთან კარპაკს თმის ვარცხნილობა ფაუსტინა უფროსის მიერ შემოღებული მოდის მიხედვით აქვს გაკეთებული [1593, II, გვ. 55-57, № 17].



სურ. 264. არმაზის ბილინგვა ([285], [291], [297])

ქართლის ადგილობრივ კულტურაში ზოგიერთი უცხო კულტურული ნაკადის არსებობა (რაც, აქვე უნდა შევნიშნოთ, მაშინდელი „მსოფლიოს“ მოწინავე ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი) არ შეიძლება გადაჭარბებულად იქნეს შეფასებული. ამავე ხანაში ქართლის სამეფოში ინტენსიურად ვითარდება მატერიალური კულტურის მრავალი დარგი, რომელსაც ელინისტურ-რომაული კულტურის რამდენადმე შესამჩნევი გავლენა არ შეხებია. საკმარისია აღინიშნოს, რომ ახ.წ. I-III სს. ქართლში არსებობდა საკმაოდ განვითარებული ადგილობრივი ოქრომჭედლობის სკოლა, რომელიც ქმნიდა მაღალმხატვრულ სამკაულთა ნამდვილ შედევრებს. ამ ძეგლებისათვის დამახასიათებელია რთული ტექნიკური ხერხების ოსტატური გამოყენება (ჭედვა, კვერვა, რჩილვა, მოგავარსება, ნივთების შემკობა წნული და გრეხილი სახეებით), ამასთან ერთად სამკაულთა მორთვა ნაირფერადი

ძვირფასი ქვებით, პასტითა და მინანქრით, ე.წ. პოლიქრომია, რომელსაც საქართველოში უძველესი ტრადიციები ჰქონდა.

მართებულად უნდა მივაჩნიოთ ჩვენს სპეციალურ ლიტერატურაში განვითარებული აზრი, რომ ელინისტურ-რომაული კულტურისადმი მისწრაფება ქართლის მმართველ წრეებში იგრძნობა და იგი (ელინისტური კულტურის გავლენა) რიგით მოსახლეობას ფართოდ არ შეხებია.

ზემოთ განხილული მასალების საფუძველზე საკმაოდ თვალნათლივ ისახება ახ.წ. I-III სს-ის ქართლის (იბერიის) სამეფოს ეკონომიკისა და კულტურის დამახასიათებელი ნიშნები: მრავალდარგობრივი ხელოსნური წარმოება (რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მსხვილ ხელოსნურ წარმოებას), ქალაქები და ბაზრები (აგრე დიდ როლს რომ ასრულებდნენ შიდა თუ საგარეო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებაში), განვითარებული ფულადი მეურნეობა და მასთან ერთად სასაქონლო წარმოების შემდგომი ზრდა, მრავალმხრივი (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული) ურთიერთობანი გარე სამყაროსთან... საერთოდ კი ქართლის (იბერიის) სამეფო წარმოგვიდგება როგორც ძლიერი და ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ერთიანი ქართველი ხალხის ფორმირების რთულსა და ხანგრძლივ პროცესში. თავისი თითქმის შვიდსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე იბერიამ შესძლო გამკლავებოდა იმდროინდელი მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოების მოძალებას. ჯერ კიდევ პლუტარქე – რომაული ეპოქის გამოჩენილი ბერძენი ისტორიკოსი, წერდა: „იბერები არ ემორჩილებოდნენ არც მიდიელებს და არც სპარსელებს, მათ მაკედონელთა ბატონობაც კი თავიდან აიცილეს“ („შედარებითი ბიოგრაფიები: პომპეუსი“, XXXIV). იბერიამ დამოუკიდებლობა შეინარჩუნა რომის იმპერიასა და პართიის სამეფოებთან ბრძოლაშიც.

ქართლის (იბერიის) სამეფოს სახელმწიფოებრიობისა და კულტურის სიმტკიცე, მისი თვითმყოფადობა და დამოუკიდებლობა მიჩნეულია ერთიანი ქართველი ხალხის შექმნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად. ეს პროცესი, რა თქმა უნდა, უფრო გვიან – ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს შექმნის შემდეგ დასრულდა. მაგრამ საფუძველი მას მაშინ ჩაეყარა, როდესაც ფარნავაზ მეფემ შექმნა პირველი ქართული სახელმწიფო – ქართლის (იბერიის) სამეფო „ქართული ტერიტორიით, ქართული ენით, ქართული წეს-წყობილებით, ქართული სარწმუნოებით, ქართული მწიგნობრობით და ქართველი მეფით“ [1553, გვ. 157]. ფარნავაზია ამიტომ ფუძემდებელი ძველი ქართული ცივილიზაციისა, რომლის შექმნა, როგორც ვნახეთ, მრავალსაუკუნოვანმა განვითარებამ შეამზადა. ფარნავაზის დაარსებულ სახელმწიფოში ქართის ტომის პოლიტიკური ჰეგემონიით დაიწყო ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბება, რასაც მძლავრი საფუძველი IV ს-ის 30-იან წლებში ქართლის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად გამოცხადებამ შეუქმნა (დაწვრ. იხ. [1592, გვ. 45-96], [41, II, გვ. 10 და აქ დასახ. ლიტ.], [4223, გვ. 98-102], [1715, გვ. 40-54]). აქედან იწყება ახალი ეტაპი ძველი ქართული ცივილიზაციის ისტორიაში: ქრისტიანული იდეოლოგიის საფუძველზე ყალიბდება ქართული ქრისტიანული ლიტერატურა, ხელოვნება, ხუროთმოძღვრება, კულტურა ([246], [370], [419], [446], [451], [452], [1715 და აქ დასახ. ლიტ.]).

ბიბლიოგრაფია
პერიოდული და სერიული გამოცემები, კრებულები

1. ანალები (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები), თბილისი.
2. არქეოლოგიური ძიებანი (ახალგაზრდა მკვლევართა სამეცნიერო სესიის მასალები), თბილისი.
3. აღმოსავლური ფილოლოგია.
4. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის „შრომები“.
5. „ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა“ (კრებული არნ. ჩიქობავას წინასიტყვაობითა და რედაქციით), თბილისი, 1976.
6. გურია. მხარის კვლევა-ძიების შედეგები, თბილისი.
7. დიდი პიტიუნტი, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, თბილისი.
8. ვანი, არქეოლოგიური გათხრები, თბილისი.
9. თბილისი I (არქეოლოგიური ძეგლები), თბილისი, 1978.
10. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები.
11. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე.
12. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები.
13. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, თბილისი.
14. ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.
15. კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.
16. კავკასიის არქეოლოგია: უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბილისი, 1997.

16ა. კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია. I (მოხსენებათა მოკლე შინაარსები), თბილისი, 1998.

17. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბილისი, 1966 (კრებული მიძღვნილი ნ. ბერძენიშვილი-სადმი).
18. კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, თბილისი.
19. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, თბილისი.
20. კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციების შრომები, თბილისი.

20ა. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბილისი.

21. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, თბილისი.
22. მასალები საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიისათვის, თბილისი.
23. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი.
24. მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი.
25. მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), თბილისი.
26. მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის... სერია), თბილისი.
27. „მიმომხილველი“, თბილისი.
28. „მნათობი“, თბილისი.
29. მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბილისი.

29ა. ნარკვევები. საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის შრომები.

30. ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, თბილისი.

30ა. ნოქალაქევი – არქეოპოლისი, I, თბილისი, 1981.

31. ჟინვალი, არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში, თბილისი.
32. საბჭოთა ხელოვნება, თბილისი.
33. საისტორიო კრებული, თბილისი.
34. საისტორიო მოამბე, თბილისი.
35. სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ქალაქ ფასისის ღოკალიზაციის პრობლემისადმი. მოხსენებები, თბილისი, 1973.
36. სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“. მოხსენებათა თეზისები, თბილისი.
37. სამუზეუმო ექსპონატთა რესტავრაცია, კონსერვაცია, ტექნოლოგია, თბილისი.
38. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, ბაათუმი-თბილისი.

38ა. საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1959.

39. საქართველოს არქეოლოგია. 8 ტომად, თბილისი.
40. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, თბილისი.
41. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბილისი, 1971.
42. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბილისი, 1973.
43. საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები, თბილისი.
44. საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წიგნი II, თბილისი, 1990.
45. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

46. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, თბილისი.
47. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, თბილისი.
48. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, თბილისი.
49. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, თბილისი.
50. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, თბილისი.
51. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო ინსტიტუტის მოამბე, თბილისი.
52. საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, თბილისი.
53. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციები, თბილისი.
54. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, თბილისი.
55. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.
56. ქართველური ენების სტრუქტურის საკითხები, თბილისი.
57. ქართული ისტორიოგრაფია, თბილისი.
58. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი.
59. ქართული ფოლკლორი, თბილისი.
60. ქართული წყაროთმცოდნეობა, თბილისი.
61. ქართული ხელოვნება, თბილისი.
62. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, თბილისი.
63. „ცისკარი", თბილისი.
64. ძეგლის მეგობარი, თბილისი.
65. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, თბილისი.
66. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან (ივ. ჯავახიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული), თბილისი, 1976.
67. „ძიებანი", საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი, თბილისი.
68. Абхазский археологический сборник, Сухуми.
68а. Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников. Всесоюзная научная сессия 17-19 октября 1985 г. в г. Батуми (Тезисы докладов), Тбилиси, 1985.
69. Археологические исследования на новостройках Грузинской ССР, Тбилиси.
70. Археологические открытия в Абхазии, Сухуми.
71. Археологические открытия в СССР, Москва.
72. Вестник Академии наук СССР, Москва.
73. Вестник древней истории, Москва.
74. Вопросы истории, Москва.
75. Вопросы языкознания, Москва.
76. Демографическая ситуация в Причерноморье в период Великой греческой колонизации (Материалы II Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья, Цхалтубо, 1979), Тбилиси, 1981.
77. Душетская научная конференция, посвященная проблеме взаимоотношений между горными и равнинными регионами, Тбилиси, 1984.
78. Записки Восточного отделения Российского археологического общества.
79. Записки Кавказского отделения Императорского русского географического общества.
80. Известия Абхазского института языка, литературы и истории, Сухуми.
81. Известия Абхазского научного общества, Сухуми.
82. Известия Академии наук СССР, Москва.
83. Известия Государственной Академии Истории материальной культуры, Ленинград.
84. Известия Кавказского института археологии и истории, Тифлис.
85. Известия Кавказского отделения Императорского московского археологического общества, Москва.
86. Источниковедческие разыскания, Тбилиси.
87. Кавказ в системе палеометаллических культур Евразии (Материалы симпозиумов), Тбилиси, 1988.
88. Кавказ и Средиземноморье, Тбилиси, 1980.
89. Краткие сообщения Института археологии АН СССР, Москва.
90. Краткие сообщения Института истории материальной культуры АН СССР, Москва.
91. Материалы по археологии Абхазии, Сухуми.

ეროვნული ბიბლიოთეკა

92. Материалы по археологии и искусству Абхазии, Сухуми.
93. Материалы по археологии Кавказа, Санкт-Петербург.
94. Материалы по археологии России.
95. Материалы и исследования по археологии СССР, Москва.
96. Местные этно-политические объединения Причерноморья VII-V вв. до н.э. (Материалы IV Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья. Цхалтубо-Вани, 1985), Тбилиси, 1987.
97. Новые археологические находки на территории Грузинской ССР. Экспресс-информация, Тбилиси, 1972.
98. Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения.
99. Очерки истории Грузии, I, Тбилиси, 1989.
100. Полевые археологические исследования, Тбилиси (ПАИ).
101. Причерноморье в эпоху эллинизма (Материалы III Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья. Цхалтубо – 1982), Тбилиси, 1985.
101a. Причерноморье в VII-V вв. до н.э. (Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Вани. 1987), Тбилиси, 1990.
102. Проблемы греческой колонизации Северного и Восточного Причерноморья (Материалы I Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья. Цхалтубо - 1977), Тбилиси, 1979.
103. Российская археология, Москва.
104. Сборник сведений о кавказских горцах, Тбилиси.
105. Советская археология, Москва.
106. Советская этнография, Москва.
107. Советское языкознание, Москва.
108. Труды Абхазского государственного музея, Сухуми.
109. Труды Абхазского Института языка, литературы и истории АН ГССР, Сухуми.
110. Труды Абхазского научно-исследовательского института, Сухуми.
111. Четвертичная система Грузии (К I Международному конгрессу по изучению четвертичного периода. Москва, 1982), Тбилиси, 1982.
112. Языки народов СССР, т. IV, 1967, Москва.
113. Archäologische Anzeiger, Berlin.
114. Bedi Kartlisa (Revue de Kartvélologie), Paris.
115. Bibliotheca Classica Orientalis, Berlin.
116. Dialogues d`histoire ancienne, Paris.
117. Georgica, Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte. Jena (№ 1-12). Konstanz (№ 13 ff.).
118. Histoire et Archéologie, n.88, 1984: Au pays de la toison d'or.
119. Le Pont-Euxin vu par les grecs. Sources écrites et archéologie. Symposium de Vani, Paris, 1990.
120. Sur les traces des Argonautes (Actes du Ve symposium de Vani), Paris, 1996.

შემავლისათვის
1. ქვეყანა

121. კეცხოველი ნ., საქართველოს მცენარეული საფარი, თბილისი, 1960.
122. მარუაშვილი ლ., საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. 1-2, თბილისი, 1969-1970.
123. რამიშვილი რ., ახალი არქეოლოგიური მასალები საქართველოს მევენახეობის ისტორიაში [24], 2, 1983, გვ. 127-147.
124. საბაშვილი მ., საქართველოს სსრ ნიადაგები, თბილისი, 1965.
125. საქართველოს ფლორა. ტ. 1-6, თბილისი, 1971-1980.
126. ჯანაშვილი ა., საქართველოს ცხოველთა სამყარო, ტ. 1-4, თბილისი, 1963-1973.
127. Гвоздецкий Н. А., Кавказ, Очерк природы, Москва, 1963.
128. Геология СССР. т. 10. Грузинская ССР. т. I, Геологическое описание. Москва, 1964.
129. Геоморфология Грузии, Тбилиси, 1971.
130. Грузинская ССР. Атлас. Тбилиси-Москва, 1964.
131. Гулисашвили В. З., Природные зоны и естественно-исторические области Кавказа, Москва, 1964.
132. Дендрофлора Кавказа, т. 1-5, Тбилиси, 1959-70.
133. Джавахишвили А. Н., Геоморфологические районы Грузинской ССР, Москва, 1947.
134. Джанелидзе Ч. П. Палеогеография Грузии в голоцене, Тбилиси, 1980.

ეროვნული ბიბლიოთეკა

135. Маргалитадзе Н. А., Голоценовая история растительности горной Колхиды, [111], გვ. 131-150.
136. Природные ресурсы Грузинской ССР: т. 1-3. Москва, 1958-61.
137. Ресурсы поверхностных вод СССР, вып. I, Москва.
138. Советский Союз (географическое описание в 22 томах), Грузия. Москва, 1967.
139. Справочник по климату СССР, вып. 14, Грузинская ССР, ч. 1-5, Ленинград, 1967.

2. ქართველები: მათი წარმომავლობისა და ეთნო-ლინგვისტური კუთვნილების საკითხები

140. აბდუშელიშვილი მ., ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური ისტორია, თბილისი, 1977.
141. ბრაუნი ი., ბასკური და კავკასიური, „კავკასიურ-ბერიული წელაწდეული“, VIII, თბილისი, 1981, გვ. 201-208.
142. გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია, თბილისი, 1965.
143. გიგინეიშვილი ბ., ეთნონიმ ჰენიოხის წარმომავლობისათვის, [26], I, 1975, გვ. 115-125.
144. გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.
145. გორდეზიანი რ., ჰეროდოტეს ცნობა კოლხთა წარმომავლობის შესახებ, [12], 162, 1975, გვ. 35-36.
146. გორდეზიანი რ., წინაბერძნული და ქართველური, თბილისი, 1985.
147. თოფურია ვ., სვანური ენა, I (ზმნა), თბილისი, 1967.
148. მელიქიშვილი გ., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბილისი, 1965.
149. მელიქიშვილი გ., ქართველები და მათი წარმომავლობის საკითხი, [41], I გვ. 312-358.
150. ულენტი ს., სვანური ენის ფონეტიკის საკითხები, თბილისი, 1949.
151. „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“ (კრებული. რედაქტორი გ. პაიჭაძე), თბილისი, 1993.
152. ქავთარაძე გ., ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის, თბილისი, 1985.
153. ქალდანი მ., სვანური ენის ფონეტიკა, I (უმლაუტის სისტემა), თბილისი, 1969.
